

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დაძნობა

ლეილა ცომაია

LEILA TSOMAIA

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა

THE OVERTHROW OF PRESIDENT GAMSAKHURDIA'S POWER

თბილისი • 2018

TBILISI • 2018

UDC (უაკ) 94(479.22) „1989“—1992“
ც-834

ანოტაცია

წიგნი – „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა“- დაწერილია, ზვიადის დისიდენტობის დროინდელი თანამებრძოლის, გაზეთ „განმათავისუფლებლის“ მთავარი რედაქტორისა და ლიტერატორის ლეილა ცომაიას მიერ. ამ ისტორიულ მონოგრაფიაში პირუთვნელი სიმართლით აღწერილ- გაანალიზებულ – შეფასებულია, ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების სირთულით აღსავსე პოსტ-საბჭოური, 1990-93 წლების უახლესი პერიოდი, პრეზიდენტის მკვლელობის ჩათვლით.

წიგნში, დოკუმენტურ საარქივო და ფოტო მასალებზე დაყრდნობით, ნაჩვენებია, პოლიტიკურ-შეიარაღებული ოპოზიციის საიდუმლო კავშირები რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ წრეებსა და სახელმწიფოს სტრუქტურებთან. წიგნის პუბლიცისტური ნაწილი, აგრეთვე, მოიცავს მოკლე მიმოხილვას, მიხეილ სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდების.

ANNOTATION

The present book – “The overthrow of President Gamsakhurdia’s power”- is written by Leila Tsomaia, writer and editor-in-chief of the newspaper “Liberator”, companion in arms of Zviad Gamsakhurdia during the period of dissident movement. This historical monograph gives an objective description, analysis and estimation of the most complicated, post-Soviet period of Zviad Gamsakhurdia’s National government, the nearest history of 1990-93, including the President’s assassination.

On the basis of documentary, archive and photo materials the secret connections of the political-armed opposition are shown with the political circles and governmental structures of the Russian empire. The publicistic part in the book contains also a short survey of the periods of coming to power of Mikheil Saakasvili and Bidzina Ivanishvili.

რედაქტორი
ბეჟან ჯავახია

გარეკანის დიზაინერები
გიორგი გელაშვილი
თამარ ლომთაძე

დამკაბადონებელი
ვლადიმერ პერანიძე

© ლეილა ცომაია, 2018

ISBN 978-9941-8-0513-4

წიგნი დაკაბადონდა გამომცემლობა ინტელექტში
წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა მერიდიანის სტამბაში
მისამართი: თბილისი, ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №84, ტელ.: 2 39 15 22

რედაქტორისაგან

(რეცენზია ლეილა ცომაიას ნაშრომზე)

ჩვენ წინაშეა წიგნი, რომელიც ჩვენი ისტორიის მეტად მნიშვნელოვან ეპოქას და პიროვნებებს ეხება, უფრო ზუსტად, ძირითადად, კონცენტრირებულია ერთ პიროვნებაზე – ბატონ ზვიად გამსახურდიაზე. როგორც ჩანს, ავტორს სურვილი აქვს პასუხი გასცეს ყველა მნიშვნელოვან, უფრო სწორად, სრულიად დაპირისპირებული მოსაზრებების საფუძვლად ქცეულ კითხვებს. ამდენად, ეს ნაშრომი მეტად აქტუალურია, მით უფრო, როდესაც ავტორი ძირითადად, იმ პერიოდს აღწერს, რომლის თვითმხილველია და ხშირად, არა მხოლოდ თვითმხილველია, არამედ — გარკვეული პოზიციით, ამ პროცესების აქტიური მონაწილეც.

მთავარი, რაც თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, წინამდებარე წიგნი არ არის მხოლოდ ავტორისმიერი აღწერა ამ ეპოქისა, არამედ ავტორი საკუთარ შეფასებებს აძლევს უახლეს ისტორიულ მოვლენებს.

წიგნში განხილული მოვლენების დიდი ნაწილი ცნობილია ჩვენთვის, ამ ეპოქის თანამედროვე ადამიანებისათვის, მაგრამ ბევრი ისეთი ისტორიაცაა გადმოცემული, რომლებიც ჩემთვისაც უცნობი იყო. იმ ეპოქის ავტორისეული ანალიზი, არა მხოლოდ დღეისათვის არის მნიშვნელოვანი, არამედ ვფიქრობ, მომავალი ისტორიკოსებისათვის, მკვლევართათვის და საერთოდ, საქართველოს თანამედროვე ისტორიის პრობლემებით დაინტერესებულ პირთათვისაც მეტად მნიშვნელოვან საისტორიო წყაროს წარმოადგენს. საკითხის აქტუალობას ზრდის ის ცხოველი ინტერესი, რომელიც არსებობს საზოგადოებაში ზვიად გამსახურდიას პიროვნების მიმართ და ვფიქრობ, რომ მომავალშიც, დრო უფრო და უფრო ფასეულს გახდის ბატონ ზვიად გამსახურდიას სახელს და იგი, მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობითა და ლიტერატურული შემოქმედებით, ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ქართული სახელმწიფოს დამფუძნებელ მამათა შორის.

ლეილა ცომაიას ეს ნაშრომი აუცილებლად გახდება მნიშვნელოვანი წიგნი ამ ეპოქის შესახებ, რასაც ხელს უწყობს ლეილა ცომაიას ფიგურის ასევე გამოკვეთილი როლი და ადგილი ამ ეპოქალურ მოვლენებში.

აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ ხშირ შემთხვევაში, გარკვეული მოვლენების შეფასებაში არ ვეთანხმები ავტორისეულ აზრს და ჩვენ არც

ადრე გვქონია სრული თანხმობა კონკრეტული პოლიტიკური პროცესების შეფასებაში, თუმცა მთავარ მოვლენებში და ანალიზში, როგორიცაა საქართველოს თავისუფლებისა და დასავლური ღირებულებებისადმი დამოკიდებულების საკითხი, არ შეიძლება არ დაეთანხმო ქალბატონ ლეილა ცომაიას. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ ქალბატონი ლეილა ამ პროცესებში გამოირჩეოდა პირდაპირობით და შეურიგებლობით. ქალბატონი ლეილას უკომპრომისობის მაგალითი არის მისი ღია და, ხშირ შემთხვევაში, ეპატაჟურად გამოხატული პროტესტი, ყველა იმ პროცესსა და მოვლენაზე, სადაც მას დაუნახავს ქართველი ხალხის ინტერესების შელახვა. ან თუნდაც იმ სახელმწიფო გადაწყვეტილებებზე, რომლებიც არ გამოხატავდა ქართველი ხალხის აზრს. ამის ბოლო მაგალითი გახლდათ ქალბატონ ლეილას მდუმარე აქცია, ერთერთი საბჭოთა მწერლის მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვის გამო. მის მიერ გამოხატული პროტესტის ეს ფორმა, რომლის შეფასებაც დღეს შესაძლებელია ნაირგვარი იყოს, ვფიქრობ, მომავალში მაინც უფრო დადებითად ტრანსფორმირდება და უმეტესი იტყვის, რომ ლეილა ცომაიას ასეთმა პროტესტებმა, მისი თანამედროვენი, რაღაც სირცხვილს აგვარიდა მომავალი თაობის წინაშე.

დიახ, არ შეიძლება ქვეყანას არ ჰყავდეს, თუნდაც ერთი ადამიანი მაინც, რომელიც სათანადო პასუხს გასცემს და გააპროტესტებს ხელისუფლების ანტიეროვნულ პოზიციას. ქალბატონი ლეილასათვის არ არსებობს არცერთი ავტორიტეტი, რაშიც მკითხველი დარწმუნდება წიგნის წაკითხვის შემდეგ, ან თუნდაც თვალს გადაავლებს ქალბატონ ლეილას განცხადებებს სოციალურ ქსელში, სადაც კრიტიკის ობიექტი ხშირადაც ამ სტრიქონების ავტორიც ყოფილა.

ქალბატონ ლეილა ცომაიას ინიციატივით ჩატარებული საპროტესტო აქციებიდან ერთერთი მეც მინდა გავიხსენო. ეს იყო 1993 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმდროინდელი პოზიციისადმი მიმართული; იმ პერიოდში უნივერსიტეტის მმართველები შევარდნაძის რეჟიმის პოლიტიკური დაკვეთით, არა მხოლოდ ათავისუფლებდნენ უნივერსიტეტიდან პროფესორ-მასწავლებლებს, არამედ აქტიურად ებრძოდნენ „სხვაგვარად მოაზროვნეებს“ მის ყველა საფეხურზე, როგორც ადმინისტრაციაში, ასევე სტუდენტებშიც. ამ პროცესში ერთერთი აქტივისტები სწორედაც „უნივერსიტეტის კიბის დემოკრატები“ იყვნენ (ის საბჭოთა ინტელიგენცია, რომლებიც ზ. ჟვანიასა და გ. ჭანტურიას ინიციატივით, უნივერსიტეტის კიბეებზე, გამსახურდიას ხელისუფლებას უპირისპირდებოდნენ). უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის „ანტიზვიადისტური“ პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული აქციის ორგანიზატორ-

იც, ქალბატონი ლეილა გახლდათ. ეს მართლაც საჭირო იყო, რადგანაც ამით ჩვენ შეგვიძლია, მომავალ თაობებს ვუთხრათ, რომ უნივერსიტეტში არსებობდა ძალა, რომელიც არ ეპუებოდა შევარდნაძის კრიმინალურ რეჟიმს და მის მიერ მოთვინიერებულ ე. წ. წითელ ინტელიგენციას. ამ საპროტესტო აქციის დროს არ შემიძლია არ გავიხსენო მაშინდელი პრორექტორის რისმაგ გორდეზიანის განცხადება; პარტკომობიდან უკვე პრორექტორად „გარდაქმნილი" გორდეზიანი გვიმტკიცებდა, რომ ჩვენ არ ვებრძვით უნივერსიტეტში ზვიადისტებსო (თუმცა, უნივერსიტეტიდან ორი დათხოვნილი იქვე ვესწრებოდით, ქალბატონი ლეილა, რომელიც უნივერსიტეტის გამომცემლობაში მუშაობდა და მე, 1992 წელს დაგვითხოვეს უნივერსიტეტიდან). ბატონმა გორდეზიანმა თან დაამატა, რომ ზუსტად ჰქონდა აღრიცხული რამდენი ზვიადისტი იყო უნივერსიტეტში. ამ განცხადების შესაბამისად კი, მის მიმართ, ქალბატონ ლეილას დასმულმა კითხვამ: თუ რაში დასჭირდა მას ზვიადისტების აღრიცხვა, თუკი არ ებრძოდა?.. ნაპარტკომალი ძალიან გააღიზიანა.

ქალბატონი ლეილა ცომაიას ნაშრომის გაცნობამ, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შესახებ, კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი წიგნის დაწერა, რადგანაც ქართული აზროვნების ისტორიაში, გარკვეული პოლტიკური ავტორიტეტებისა თუ მათ მიერ შერჩეული ე.წ. პოლიტიკური ექსპერტების წყალობით, ჯერ კიდევ მკვიდრდება სრულიად ანტიეროვნული მოსაზრებანი. საზოგადოებაში ჯერაც დომინანტის როლი უკავია ძველი საბჭოთა ნომენკლატურის მიერ კლიშედ ქცეულ მოსაზრებებს 1991-92 წლების მოვლენებზე და ზვიად გამსახურდიას პიროვნების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ხალხმა გულში ჩაიკრა და მთაწმინდის პანთეონში დაკრძალა მისი საყვარელი გმირი, დღემდე ძალიან ბევრი ავტორი ცდილობს ზვიად გამსახურდიას როლის დაკნინებას ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. ჩემი აზრით, ასეთი მოსაზრებების გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პოლტიკოსებიდან, ზვიად გამსახურდიას პრინციპულ მომხრეებსა და თანამებრძოლებს, არ მიეცათ საშუალება შეეფასებინათ ეს მოვლენები. ნებისმიერი ხელისუფლება, 1992 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ, ცდილობდა და ცდილობს ამ ადამიანთა მარგინალიზაციას.

საბჭოთა ნომენკლატურის მოსაზრებათა ხალხისთვის თავს მოხვევა, რაც აშკარად ვლინდება, სწორედაც იმაში, რომ შევარდნაძის ხელისუფლება და მისი მემკვიდრე პოლიტიკური ელიტა, დღემდე ატარებს მეხსიერების ისეთ პოლიტიკას, რომ მომავალ თაობებს, კომუნისტურ ნომენ-

კლატურაზე დადებითი აზრი ჩაუნერგონ. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ თბილისში დღემდე არსებობს გია გულუას, გია ჭანტურიას და სხვა ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების ქუჩები და მემორიალური დაფები, ასევე საზოგადო მოღვაწეთა პანთეონებში ეროვნული გმირების გვერდით დაკრძალეს კომუნისტური ნომენკლატურის წევრები და ანტიეროვნული ფიგურები. როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ შესაძლებელია ნომენკლატურის მიერ გატარებული მეხსიერების პოლიტიკით, მსგავსი ზემოქმედების მოხდენა ადამიანთა გარკვეულ ნაწილზე, რომლებზედაც მძიმედ იმოქმედა საბჭოთა კავშირის ნგრევამ. როგორც ცნობილია, ეს იყო ტრამვა, რაც საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მიიღო საბჭოთა კავშირის ნგრევის შედეგად. ძირითადი მასებისთვის მძიმე აღმოჩნდა რეჟიმის მეთვალყურეობიდან გათავისუფლება და ასევე, ჯერ კიდევ ძლიერი აღმოჩნდა, საზოგადოების აზროვნებაში წითელი ინტელიგენციის ავტორიტეტი. ამას ემატება ის, რომ შევარდნაძის რეჟიმის მიერ გატარებული პოლიტიკა ხელს უწყობდა მოსახლეობის ხელოვნურ გაღატაკებას, რაც ქმნიდა და ქმნის საბჭოთა წარსულის ნოსტალგიას.

დიდი დრო დასჭირდა ქართულ საზოგადოებას, რათა დაენახა ბოლშევიკების რეჟიმის კრიმინალური ხასიათი და სახე, ამ რეჟიმში, ინტელიგენციის ჩართულობა.

პროცესი და მოვლენები, რომელთა შესახებაც ავტორი წერს, მრავალმხრივია და ბევრი კითხვაც არსებობს. ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ინსტიტუტებმა, ამ დროში, დიდი ცვალებადობა განიცადეს. მათ შორის ისეთმა მნიშვნელოვანმა ინსტიტუტებმა, როგორიცაა ეკლესია და უნივერსიტეტები. ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანმა ინსტიტუტებმა ვერ შეძლეს თავი დაეღწიათ ბოლშევიკური იდეოლოგიისა და რეჟიმების ზემოქმედებისაგან; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღემდე რჩება საბჭოთა ნომენკლატურის გავლენის ქვეშ, რისი თვალსაჩინო მაგალითი იყო და არის კომუნისტი ფუნქციონერების არსებობა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაში. რექტორის ბოლო პერიოდის არჩევნებში, ფავორიტები, სწორედაც ძველი კომუნისტური ნომენკლატურის წარმომადგენლები იყვნენ. ასევე, ბოლო პერიოდის დაკვირვებებიდან აშკარაა, ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურის და საბჭოთა პრიველიგენციის გაბატონებული მდგომარეობა საქართველოს ეკლესიის სხვადასხვა სტრუქტურებში.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს ნარატივი. ლეილა ცომაიას მიერ დანახული 80-90-იანი წლები, წლები თავისუფლებისათვის

ბრძოლისა და 90-იანი წლები რეპრესიებისა. საზოგადოება, ჩვენი აზრით, არაფერს იმახსოვრებს დამოუკიდებლად, მეხსიერება გარკვეულ სოციუმში ფორმირდება და იცვლება დროთა განმავლობაშიც. მიუხედავად ამისა, მთავარი ისაა, რომ წარსულის ვერსიის შექმნა თანამედროვეობის ცოდნისა და საჭიროებისამებრ ხდება, რაც საზოგადოებრივადაა განსაზღვრული. მიმაჩნია, რომ ჩვენი უახლესი ისტორიით დაინტერესებულმა პირებმა, ეს ვერსია აუცილებლად უნდა წაიკითხონ, ის კონკრეტულ ეპოქასთან და იდეოლოგიურ ტენდენციებთან არის დაკავშირებული. იმ ეპოქის ავტორისეული შეფასება მეტად საჭირო და საინტერესოა, რადგანაც მეხსიერება საზრდოობს მრავალფეროვანი მოგონებებით.

ლეილა ცომაიას წიგნი, 1991-92 წლების სამხედრო გადატრიალებაზე, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო, რუსეთის მოდერნიზებული იმპერია, ისევე როგორც 1921 წელს, მკითხველებს, კიდევ ერთხელ გვაძლევს საშუალებას ახლებურად შევხედოთ და გავაანალიზოთ ჩვენი უახლესი წარსული.

ბეჟან ჯავახია,
ისტორიის დოქტორი

წიგნი გამოიცა და დაისტამბა უცხოეთში
მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისა და
საქართველოს მოქალაქე მამულიშვილთა
შემოწირულობებით,
რისთვისაც გულითად მადლობას
ვუხდით მათ!

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა
(დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება)

„მეფე გიორგი ბრწყინვალის შემდგომ 650 წელი ელოდა საქართველო ზვიად გამსახურდიას“.

მიხეილ მიქაძე – ჟურნალისტი

ზვიად გამსახურდიასთან, როგორც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწორუპოვარ ლიდერთან, თავიდანვე დაპირისპირებულმა პოლიტიკურმა ძალებმა (გ.ჭანტურიამ, ირ.წერეთელმა, თ.ჩხეიძემ, ირ. სარიშვილმა, გ. მამულიამ, მ. გიორგაძემ და სხვებმა), 1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს, რის საბაბადაც მათ არჩევნების საბჭოური კანონმდებლური ბაზა დაასახელეს და ზვიად გამსახურდიას მასში მონაწილეობა ბრალდებად წაუყენეს.

ოპონენტების არგუმენტები საფუძველს იყო მოკლებული; ზვიად გამსახურდიას ლიდერობით წარმოებულმა ფართომასშტაბიანმა საპროტესტო აქციებმა (წარმოება-დაწესებულებების სრული გაფიცვა, სამტრედიის რკინიგზის სრული ბლოკირება, პერმანენტული მასობრივი მიტინგები და მანიფესტაციები დედაქალაქის ყველა უმაღლეს სასწავლებელთან, ფაბრიკა-ქარხნებთან, დაწესებულებებთან, მთავრობის სასახლესთან, ყველა მსხვილ რაიონებსა თუ ქალაქებში), ანუ მთელი საქართველოს მასშტაბით პერმანენტულმა დესტაბილიზაციამ აიძულა კომუნისტური ხელისუფლება 1990 წლის 9 მარტის სესიაზე გაეუქმებინა ყველა მოქმედი ძირითადი ხელშეკრულება (აღიარა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევა, 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის ფაქტი და 1922 წლის დეკემბრის სამოკავშირეო ხელშეკრულების არაკანონიერება. ბათილად ცნო 1922 წლის 12 მარტისა და 1924 წლის 24 მაისის ხელშეკრულებები).

საბჭოთა კომუნისტურმა რეჟიმმა, საქართველოში, თავი უკანონოდ გამოაცხადა.

1990 წლის 25 მარტის საბჭოურ არჩევნებს კი ეროვნულმა მოძრაობამ ზვიად გამსახურდიას ლიდერობით, ბოიკოტი გამოუცხადა, როგორც არალეგიტიმურ და არადემოკრატიულ არჩევნებს.

მთავრობის სასახლესთან მიმდინარე შემდგომმა მრავალათასიანმა მიტინგებმა 1990 წლის 18-19 აგვისტოს უმაღლესი საბჭოს სესია აიძულა მიეღო დემოკრატიული საარჩევნო კანონი, რამაც საბოლოოდ უზრუნველყო 28 ოქტომბრის არჩევნებში პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ გამარჯვება. არჩევნებისთვის კი ზემოხსენებული ბლოკი რეგისტრაციაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გატარდა (და არა იუსტიციის სამინისტროში), რითაც დაადასტურა, რომ არ ცნობს საბჭოთა ხელისუფლების კანონიერებას.

ამრიგად, ზვიად გამსახურდიას საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია.

ერთადერთი, რაც საბჭოურობის ელფერს სძენდა 28 ოქტომბრის არჩევნებს, ეს გახლდათ საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული საარჩევნო კანონი, მაგრამ არჩევნების საერთაშორისო აღიარებისათვის აუცილებელი იყო, იგი არსებული კანონის ფარგლებში ჩატარებულიყო. ამ იურიდიულ ნორმას ეროვნულ-დემოკრატიული ძალები ვეღარაფრით აუვლიდნენ გვერდს.

როგორი იყო პროპაგანდისტული ფონი? 28 ოქტომბრის არჩევნების მიჯნაზე მთელ საქართველოში სრულად იყო ლიკვიდირებული ყოველგვარი საბჭოური ატრიბუტიკა: მთავრობის სასახლიდან ჩამოგდებული იყო საბჭოური წითელი დროშა, რომელიც ეროვნული მოძრაობის აქტივისტმა გაბრიელ (გაბო) ისაკაძემ, ეროვნული მოძრაობის აზვირთების საწყის ეტაპზე, 1988 წლის 25 ნოემბერს ჩამოხსნა პირადი ინიციატივითა და გამბედაობით. სამთავრობო შენობების კედლებიდან, ეროვნული მოძრაობის მიერ, ამოფხეკილი იყო საბჭოური გერბები და ოქტომბრის რევოლუციის ამსახველი არქიტექტურული პასაჟები. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (მათ შორის აჭარაში, აფხაზეთსა და ცხინვალშიც) კვარცხლბეკებიდან გადმოგდებული იყო ლენინის (1990 წლის 28 აგვისტოს დედაქალაქის მთავარ მოედანზე), სტალინის, ორჯონიკიძისა და სხვა რევოლუციის ბელადების მონუმენტური ძეგლები თუ ბიუსტები. ქუჩები, პროსპექტები და მოედნები აღარ იყო მათი სახელობის. გაუქმებული იყო კომპარტიული, კომკავშირული და საბჭოთა პროფკავშირული ორგანიზაციები – მანდატების მასობრივი დაყრითა და დემონსტრაციული დაწვით. მათი რიგებიდან გასული იყო წევრთა მთელი არმია, მოსწავლეები აღარ წარმოადგენდნენ საბჭოთა პიონერებსა და ოქტომბრელებს, ყველა წარმოება-დაწესებულებაში გაუქმებული

იყო რუსულენოვანი საბჭოური ბლანკები, უმაღლეს სასწავლებლებში კი — სამხედრო კათედრები – ქართველი წვევამდელები აღარ მიდიოდნენ საბჭოთა ჯარში, ყველა ტიპის სასწავლებელში გაუქმებული იყო კომუნისტური იდეოლოგიის საგნების სწავლება და ა. შ.



საბჭოთა იმპერიული სისტემის ნგრევაში თავიანთი ლომის წილი ედოთ, სხვა დისიდენტებსაც (ვალენტინა ფაილოძეს, გია ჭანტურიას, თამარ ჩხეიძეს, ლუიზა შაკიაშვილს, ირაკლი წერეთელს, მამუკა გიორგაძეს და სხვ.), მაგრამ, ქართველი ერი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირ ლიდერებად ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიიჩნევდა, რაც ზემოხსენებულ პოლიტიკურ ძალებში ფარულ შურსა და მტრობას იწვევდა. ხისტი რეალობა იმთავითვე ნათელს ჰყოფდა, თუ ვის მიანიჭებდა ქართველი ერი უპირატესობას სრულიად ახალ, ეროვნული ძალების მონაწილეობით ჩატარებულ საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნებში, რაც ცალსახად უპერსპექტივოს ხდიდა პირველობის ამბიციით შეპყრობილ ჭანტურიას, წერეთლისა და ჩხეიძის ბრძოლას დემოკრატიულ არჩევნებში. ამ გაუმხელელი მოტივით მათ იწყეს თანდათანობითი გამიჯვნა ზვიად გამსახურდიასაგან, შეთითხნილი და თითიდან გამოწოვილი ბრალდებებით, ინტრიგებით, რაც შემდგომ ანტაგონიზმშიც გადაიზარდა.

პირველობის ფაქტორი იქცა დეტონატორად დეკემბერ-იანვრის „პუტჩში“ პოლიტიკური ძალების მხრიდან. რა რჯიდა ინტელიგენციას, რომელიც, აგრეთვე აქტიურად ჩაერთო სახელმწიფო გადატრიალებაში? საქმე იმაში გახლდათ, რომ „წითელ ინტელიგენციას“, ზვიად გამსახურდიას გახელისუფლების პირობებში ექმნებოდა რეალური საფრთხე, საბჭოთა პერიოდში უკანონოდ და დაუმსახურებლად მიკუთვნებული პრივილეგიების და დიდების დაკარგვისა, რაც მათ უმრავლესობას მიღებული ჰქონდა საბჭოთა „*კგბ*“-სთან საიდუმლო თანამშრომლობის სანაცვლოდ. ზვიად გამსახურდია უეჭველად მიიღებდა „ლუსტრაციის კანონს“, რომლის ძალითაც გამოაშკარავდებოდა მათი კავშირები რუსეთის სპეცსამსახურებთან.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ, საარჩევნო პლაკატისთვის, საგანგებოდ შეარჩია გოგონა მაყაშვილების გვარიდან, მარო მაყაშვილის პატივისგებად. თავისუფალი საქართველოს სიმბოლოდ, პლაკატზე გამოსახული 3 წლის სალომე

მაყაშვილი, გახლდათ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის, მიხეილ მაყაშვილის მესამე შვილი.

1990 წლის 28 ოქტომბრის საყოველთაო-სახალხო არჩევნებში მონაწილე 14 პოლიტიკური ორგანიზაციიდან, დიდი პროცენტული უპირატესობით (53,99%) გაიმარჯვა სიით მე-12 ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, ხოლო სიით მე-3 – „საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ“ – მიიღო 29, 58 %.

ამრიგად, 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნებით, პოსტსაბჭოური რესპუბლიკებიდან, პირველად საქართველოში დე-იურედ დაემხო საბჭოთა კომუნისტური დიქტატურა და არჩეული ეროვნული უზენაესი საბჭო მუშაობას 14 ნოემბერს შეუდგა. სესიის პირველსავე სხდომაზე კი უზენაესი საბჭოს პირველ თავმჯდომარედ, დეპუტატების მიერ, არჩეულ იქნა ***ზვიად გამსახურდია*** (მისი კანდიდატურის წარმდგენი დეპუტატი გახლდათ ცნობილი პოეტი, მუხრან მაჭავარიანი).

ცნობილია, რომ ზვიად გამსახურდია, როგორც შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი და პასუხისმგებლობით აღსავსე ლიდერი, ღრმად დააფიქრა არჩევნებში გამარჯვებამ, რამეთუ მან უმალ იგრძნო ტვირთის სიმძიმე. რევანშისტულმა ძალებმაც არ დააყოვნეს; ამავე დღეს დაიწყო „მხედრიონის“ პუტჩი, რაც გამოიხატა ქართლსა და კახეთში მილიციის განყოფილებებზე თავდასხმასა და უზენაესი საბჭოს შენობის წინ შეიარაღებული გამოსვლების მცდელობაში, რაც აღკვეთილ იქნა. თუმცა, დესტრუქციულმა „მხედრიონელებმა“ 22 ნოემბერს კარვები დასცეს ოპერის ბაღში და შიმშილობა გამოაცხადეს, გვერდით ავტომატებიც დაილაგეს.



28 ოქტომბრის არჩევნებს წინ უსწრებდა, შეურიგებელი ოპოზიციის მიერ დანიშნული ე. წ. „ეროვნული კონგრესის“ არჩევნები, რომელიც 30 სექტემბერს ჩატარდა. „ეროვნული კონგრესის“ არჩევნების დანიშვნის გადაწყვეტილება, ირაკლი წერეთლისა და გია ჭანტურიას ორგანიზებით მოწვეულ

ე. წ. „ეროვნულ ყრილობაზე“ 1990 წლის 23 მაისს მიიღეს. „ეროვნული ყრილობა“ არ წარმოადგენდა ლეგიტიმურ ორგანოს და უფრო პოლიტიკური დესტაბილიზაციის მიზნებს ისახავდა. ე.წ. „კონგრესის“ ყრილობა აკურთხა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

1991 წლის 31 მარტს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე (ცხადია, ავტონომიურ რესპუბლიკებშიც: აჭარა, აფხაზეთი, ე.წ.სამხრეთ ოსეთის ოლქი) ჩაატარა რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, ხოლო 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 31 მარტის რეფერენდუმისა და 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენით, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძვლზე, **საქართველოს ტერიტორიული საზღვრებიც 1918 წლის მდგომარეობით** (ტაო-კლარჯეთი, საინგილო, ლორე, დვალეთი, სოჭი) განისაზღვრა.

შევარდნაძის ხუნტისტური ხელისუფლების მიერ 1995 წელს მიღებულ კონსტიტუციაში კი გაკეთდა კაპიტულანტური ჩანაწერი: „2.1. მუხლი – საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით“. როცა არსებობდა ლეგიტიმური შესაძლებლობა, საქართველოს ტერიტორია განესაზღვრათ, თუნდაც 1991 წლის 9 აპრილის მდგომარეობით, მაგრამ არც შევარდნაძე, არც სააკაშვილი და არც ბიძინა ივანიშვილი არ აღიარებდნენ 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტს და ზვიადის მოშურნეობით მტრობდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობასაც. ზემოხსენებულ კონსტიტუციის პროექტზე მუშაობდნენ გივი ინწკირველი, ვახტანგ ხმალაძე, ავთანდილ დემეტრაშვილი.

ოპოზიციამ, ზვიად გამსახურდიას, სარეფერენდუმო თარიღის გამოცხადების გამო, „განდიდების მანიაში“ დასდო ბრალი: საკუთარ დაბადების დღეს დაამთხვიაო. რეალურად კი, თარიღის შეთავაზება, აფხაზეთის ავტ.რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატ ნუგზარ მგალობლიშვილისგან მომდინარეობდა და პოლიტიკური ფორს-მაჟორით იყო განპირობებული; რუსეთმა, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, 1991 წლის 17 მარტს დანიშნა რეფერენდუმი საბჭოთა კავშირის შენარჩუნების მზაკვრული მიზნით. 17 მარტის რეფერენდუმს, ზვიადმა წინმსწრებად უძღვნა ორი წერილი, როგორც აფხაზეთის, ასევე ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისა და ავტონომიების ხელმძღვანელების მიმართ. წერილში, ზვიადი დეტალურად განმარტავდა რუსეთის გეგმებს და რეფერენდუმის ნეგატიურ შედეგებს. ამ წერილმა, გარკვეულწილად შეუწყო ხელი 17 მარტის რეფერენდუმის წარუმატებლობას საქართველოს ავტონომიებში.

რუსეთი შეეცადა, საქართველოსთან მიმართებაში, თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინა „მთიელ ხალხთა ასამბლეა“, რომლის წევრთა უმრავლესობამ 1991 წლის მარტის დასაწყისში, მასობრივი საინფორმაციო არხებით გაავრცელა მოთხოვნა საქართველოს მთავრობის მიმართ, რომ გაიყვანოს ქართული მილიცია სამხრეთ ოსეთიდან და დაიწყოს მოლაპარაკება მათი სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნობის თაობაზე. „მთიელ ხალხთა ასამბლეის“ ამ განცხადებას, მალევე (4 მარტს) გამოეხმაურა ჩეჩნეთის დელეგაცია, რომელთა მიერ საქ. რესპ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისადმი გამოგზავნილ დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ ამ განცხადებასთან „არავითარი კავშირი არა აქვს ჩეჩნეთის დელეგაციას. ჩეჩნეთის დელეგაციამ მტკიცედ გაილაშქრა საქართველოსა და *(?... — ლ. ც.)* აფხაზეთში საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების შეყვანისა და კავკასიის ხალხთა საქმეებში ცენტრის ჩარევის ნებისმიერი ცდის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ჩეჩენთა დელეგაციამ მტკიცედ მოითხოვა ბოიკოტი გამოუცხადონ 17 მარტის რეფერენდუმს“. დეპეშას ხელს აწერდნენ „მთიელ ხალხთა ასამბლეის“ საკოორდინაციო საბჭოს წევრები: **უ. ვ. არსამიკოვი, ს.ხ. აბუმუსლიმოვი** (მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ შენიშნული ფრაზა „საქართველოსა და აფხაზეთში“ ყურს ეხამუშა, ამ განცხადებამ ჩვენთვის უდავოდ პოზიტიურად იმუშავა 17 მარტის რეფერენდუმზე).

რუსეთმა 17 მარტის რეფერენდუმიდან სრულად გამოთიშა გალის რაიონი, რომლის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ; კანონის დარღვევის მიზეზად, რუსეთმა, საარჩევ-

ნო უბნების მომზადების მოუსწრებლობა დაასახელა. ამგვარი ფანდებითა და რეფერენდუმის გაყალბებით შეადგინეს ოქმი, რომ თითქოს, 17 მარტის რეფერენდუმს ხმა მისცა აფხაზეთის მოსახლეობის 50%-ზე მეტმა ამომრჩეველმა. ამ ყალბი ოქმით ხელში, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ზვიად გამსახურდიამ, მოსკოვში წარგზავნა ნუგზარ მგალობლიშვილი, რათა იგი შეხვედროდა სსრკ უმაღლესი საბჭოს ქართველ დეპუტატებს და მათ ტრიბუნიდან ხმამაღლა გაეჟღერებინათ სიყალბე. თავის მხრივ, ნუგზარ მგალობლიშვილმა ხმაურიანი წერილებიც გამოაქვეყნა რუსულ და ქართულ გაზეთებშიც 17 მარტის რეფერენდუმის გაყალბების თაობაზე.

სსრკ უმაღლესი საბჭოს მაშინდელ დეპუტატებს წარმოადგენდნენ: **აკაკი ბაქრაძე, ელდარ შენგელაია, გუჩა კვარაცხელია, არქიტექტორი ნოდარ მგალობლიშვილი, ოთარ ზუხბაია, რევაზ სალუქვაძე, თამაზ გამყრელიძე...** რომლებმაც სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე გაახმოვანეს აფხაზეთში რეფერენდუმის გაყალბების ფაქტები. ნუგზარ მგალობლიშვილის მთავარი კოზირი, რეფერენდუმიდან, გალის ტერიტორიის ეთნიკური ნიშნით გამოთიშვა იყო, რამაც ქართველი დეპუტატების მოსალოდნელი პროტესტიც გამოიწვია. ზვიად გამსახურდიამ 17 მარტის რეფერენდუმს დაუპირისპირა საქართველოს რეფერენდუმი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ, რომელიც უსწრაფესად უნდა ჩატარებულიყო. წინ 9 აპრილი იდო და დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღი, ზვიადს, სწორედ ამ დღისთვის სურდა დაემთხვია დამოუკიდებლობისათვის შეწირული გმირების პატივსაცემად. მოსკოვიდან წარმატებული ვიზიტით დაბრუნებულ ნუგზარ მგალობლიშვილთან, ზვიადმა განიხილა რეფერენდუმის დანიშვნის თარიღი, რომელიც 9 აპრილამდე, რომელიმე კვირა დღეს უნდა ჩატარებულიყო. 9 აპრილამდე კი მხოლოდ სამი კვირა რჩებოდა (24, 31 მარტი და 7 აპრილი). 7 აპრილი გამოირიცხა, რადგან ერთ დღეში, მთელ საქართველოდან, ოქმების მიღება და დათვლა შეუძლებელი ხდებოდა. 24 მარტისთვის კი რეფერენდუმის მომზადება ვერ ესწრებოდა და მეტნაკლებ ოპტიმალურ თარიღად რჩებოდა 31 მარტი და ნუგზარ მგალობლიშვილმა ზვიადს 31 მარტი შესთავაზა. ძალიან დიდი ხნის მერე, ნუგზარ მგალობლიშვილი გულწრფელად მოიგონებს: „იმ ფორს-მაჟორულ და ექსტრემალურ ვითარებაში სულაც არ გამხსენებია, რომ 31 მარტი ზვიადის დაბადების დღე იყო, არამედ უბრალოდ კვირა დღის გათვალისწინებით შევთავაზე ეს თარიღი და დარწმუნებული ვარ, არც ზვიადს ახსოვდა; ერთადერთი, რაც მკითხა „მოვასწრებთ“? და მე დავაიმედე, „მოვასწრებთ-მეთქი“ და იმ წუთიდანვე შევუდექით რეფერენდუმისთვის მზადებას“.



საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმი

1991 წლის 31 მარტი

სარეფერენდუმო ბიულეტენი

თანახმა ხართ თუ არა,
აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა
1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?

დიახ **არა**

(შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი **პასუხი**)

31 მარტის რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის მოსახლეობის (გალის ჩათვლით) 60,27%-მა და თითქმის 60%-მა (მათ შორის აფხაზებმაც) ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას, თუმცა იყვნენ ადგილობრივი გარუსებული ქართველებიც, რომლებმაც **„არა“** შემოხაზეს.

1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში კი ჩაიწერა:

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწი-

ფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი ქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათ-

ვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.

თბილისი, მთავრობის სასახლე,
1991 წლის 9 აპრილი, 12 საათი და 30 წუთი.

საქართველოს რესპუბლიკის დროშა აღიმართა მთავრობის სახლზე.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე, 1991 წელს შემოვიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირველი მისია საქართველოში, რომლის საფუძველზეც საქართველო დღემდე, მჭიდროდ თანამშრომლობს მასთან. საქართველო, 1992 წლის 31 ივლისს გახდა გაეროს 179-ე წევრი ქვეყანა (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისი კი საქართველოში 1993 წლის დასაწყისში გაიხსნა), 1997 წლიდან, საქართველო, მონაწილეობას იღებს ევრო-ატლანტიკურ პარტნიორობაში და მჭიდროდ თანამშრომლობს ნა-

ტოსთან, ხოლო 1999 წლის 27 აპრილს კი, გახდა ევროსაბჭოს სრულუფლებიანი წევრი. 2014 წლის 27 ივნისს, სახელმწიფო საქართველოსთან ოფიციალურად გაფორმდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება.

ზვიად გამსახურდიას მთავრობა, 1918-21 წლების დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის სამართალმემკვიდრედ აცხადებდა რა თავს, ამ პერიოდის „დამოუკიდებლობის აქტის“ საფუძველზე აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და აღადგინა იმავე პერიოდის სახელმწიფო სიმბოლიკებიც; იმავდროულად იგი შეუდგა მუშაობას ახალ სიმბოლიკებზე, რომელიც, ცხადია, დიდად განსხვავებული ვერ იქნებოდა 1918-21 წლების სიმბოლიკებისაგან.

ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დროშის ახალ ესკიზში ფერები სრულად შენარჩუნებული იყო, მაგრამ განლაგებით – გადახალისებული, რაც ცვლიდა მრუმე განწყობას დროშის ფაქტურაში. დროშის განახლებულ ესკიზზე მუშაობა, პრეზიდენტ გამსახურდიას მიერ დავალებული ჰქონდა უზ.დეპუტატ მიხეილ მაყაშვილის მიერ შექმნილ ჯგუფს, რომლებმაც გადატრიალებამდე მოასწრეს მისი სრულყოფა, მაგრამ პარლამენტს აღარ დასცალდა მიღება.

ჰერალდიკაზეც (1918 წლის 27 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ ღერბში) შეტანილი იყო ცვლილება. კერძოდ, წმ. გიორგის ღერბში შავი მთის მწვერვალი (მიმსგავსებულია ძუძუს თავს და ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ წმ. გიორგი ცხენით ტორავს მას) გადახალისებულ იქნა მწვანე ფერით და ოდნავ მომრგვალდა...

ეს გახლავთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტი 1918-21 წლის, გურამ შარაძის მიერ მოკვლეული ციურიხში ფლურის კოლექციიდან.

ჟორდანიას მთავრობის დროშაზე შავი ფერის (მიწის) თავში მოქცევასთან დაკავშირებით, ზეპირ წყაროებში შემორჩენილია ინფორმაცია, რომ თავდაპირველ ვარიანტში, დროშაზე თეთრი (რომელიც ცის უმანკო – სუფთა ფერთან ასოცირდება) ზემოთ იყო მოქცეული, მაგრამ მაშინდელი მთავრობის ჰერალდიკოსების თქმით, თეთრი ფერი სრულფასოვნად ვერ უძლებსო

სივრცეს და მიიღეს გადაწყვეტილება ფერების ამოტრიალების შესახებ. ეროვნული მოძრაობის აზვირთების დროს, 1990 წლის სექტემბერში, ფილარმონიაში გაფართოებულ შეკრებაზე, ერთმა ჭარმაგმა კაცმა ზვიადს და დამსწრე საზოგადოებას მოგვახსენა, რომ მის ოჯახში დაცული იყო ჟორდანიას მთავრობის დროშის პირვანდელი ვარიანტი, რომელიც ეკუთვნოდა მის ნათესავს და შენახული ჰქონდა საცხოვრებელი სახლის კედელში. ამ სიტყვებით მან გულის ჯიბიდან ამოიღო აბრეშუმის ნაჭრის ნაკეცებიანი გაცრეცილი დროშა, რომელიც მერმე ინახებოდა ზვიადთან...



ჩვენ არ ვიცით, რა ბედი ეწია შემდგომ, ზვიადთან დაცულ ამ დროშას; შეიძლება, კოლხური კოშკის გადაწვის დროს, ისიც ხანძარმა შთანთქა, ან შეიძლება შემონახულია კიდეც...

არსებობს ზეპირი გადმოცემაც, რომ როცა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის დროშას ქმნიდნენ ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი და სხვა მეცნიერები, გაითვალისწინეს „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებული დროშა. ტარიელი როცა გაემართა ხატაელთა წინააღმდეგ საბრძოლველად ამბობს: „ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა“ (404 სტროფი).

ისტორიული სიმართლე ზვიად გამსახურდიას მიერ ოსების ე. წ. „გენოციდის“ შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ახალარჩეულმა უზენაესმა საბჭომ, 1990 წლის 22 ნოემბრის დადგენილებით გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დეპუტატთა საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის დადგენილება ავტონომიური ოლქის ე.წ. „სამხრეთ ოსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გამოცხადების შესახებ, – აგრეთვე, გადაწყვეტილებაც 1990 წლის 2 დეკემბრისათვის ე.წ. სამხრეთ ოსეთში არჩევნების დანიშვნის შესახებ. ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ სცნო არჩევნების შედეგები და ა.შ. (1990 წლის 10 დეკემბერი). აქვე უნდა აღინიშნოს იმ წინმსწრებ სამართლებრივ აქტებზეც, რაც თვით კომუნისტურმა უმაღლესმა საბჭომაც განახორციელა. კერძოდ, **კომუნისტურმა უმაღლესმა საბჭომ** ამავე,1990 წლის 22 სექტემბრის დადგენილებით ბათილად სცნო „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ 20 სექტემბრის დადგენილებები. მიუხედავად ამისა, ოსმა სეპარატისტებმა, კრემლის დირექტივით კვლავ გააგრძელეს საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედებები. 1990 წლის მდგომარეობით ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (შეიქმნა 1922 წელს, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ – 1924 წელს) მოსახლეობა სულ 98 000 კაცს შეადგენდა და წარმოადგენდა 4 ადმინისტრაციულ რაიონს: ცხინვალის, ზნაურის, ახალგორისა და ჯავის.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის განმტკიცების მიზნით, უზენაესი საბჭო იძულებული გახდა მიეღო გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაუქმების შესახებ (1990 წლის 11 დეკემბრის დადგენილება). უზენაესი საბჭოს ამ დადგენილებას დაუპირისპირდნენ: **ჯაბა იოსელიანი, გია ჭანტურია, ირინა სარიშვილი, გიორგი კობახიძე, მამუკა გიორგაძე, ბესო ჯუღელი, მამუკა არეშიძე, გია ბარამიძე, ზურაბ ჟვანია, გიორგი ხაინდრავა, ირაკლი მაჭავარიანი, ლუიზა შაკიაშვილი, თამარ ჩხეიძე, რაულ კუპრავა**... ისინი მიემხრნენ რა ოს სეპარატისტებს, მთელ მსოფლიოში ავრცელებდნენ დეზინფორმაციებს, ვითომცდა, გამსახურდიას რეჟიმის მიერ ოსების დისკრიმინაციისა და გენოციდის შესახებ. ამგვარი დემაგოგიის შემცველი დოკუმენტი გახლდათ „პრაღის 24-ე რეზოლუციაც“, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ, თითქოს, საქართველოს ხელისუფლება აპირებს ნაციონალური უმცირესობების საქართველოდან გასახლებას და ზვიად გამსახურდიას მიაწერეს ლოზუნგი „საქართველო – ქართველებისთვის“, რაც, სინამდვილეში გახლდათ თავად გია ჭანტურიას დისიდენ-

ტობის დროინდელი ლოზუნგი და პარტიის (ედპ) პროგრამის „მთავარი ნაწილის“ დ) პუნქტის შემადგენელი დევიზი იყო (იხ. ფოტო).



10 გუშაგი №17 1988 წლის ოქტომბერი

განაც ქართველი ხალხისთვის მიუღებელი იყო როგორც სხვა ქვეყნის ნაწილად გახდომა ისე ტოტალიტარიზმი. ქართველი ერი იბრძოდა, იბრძვის და იბრძოლებს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

* * *

მთავარი ნაწილი

ა) ეროვნულ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების (IV დასი) მოწინავე რაზმს, საქართველოს ეროვნულ-პატრიოტულ ძალთა ყველაზე რადიკალურ პოლიტიკურ გაერთიანებას.

ბ) საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მიზანს წარმოადგენს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მშვიდობიან საშუალებებით და მრავალპარტიულობის დამკვიდრება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრების სფეროებში.

გ) ე. დ. პარტიის იდეოლოგიას წარმოადგენს თ ე ო დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა, რაც ტრადიციულ დემოკრატ[illegible] [illegible]ირებულებებთან ერთად გულისხმობს ეკლესიის წამყვან [illegible] [illegible]ოლის საკითხებში და პოლიტიკურის კონტროლს.

დ) ჩვენი დევიზია: „საქართ[illegible] [illegible]�ებისთვის“, რაც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს [illegible] ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიურ ერთეულთა უფლებების შეზღუდვას ან მათ პოლიტიკურ თავისუფლების შეზღუდვას.

ე) ჩვენ ვთანამშრომლობდით და ვითანამშრომლებთ დემოკრატიულ ძალებთან: რუსეთის, ესტონეთის, ლიტვის ლატვიის, უკრაინისა და სომხეთის. ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს და თავისუფლებას ან ერთად მივაღწევთ, ანდა ვერც ერთი ჩვენთაგანი. ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ თანამშრომლობას არა მარტო სსრკ დემოკრატიულ ძალებთან, არამედ აგრეთვე საზღვარგარეთის ყველა ჭეშმარიტად პროგრესულ ანტიტოტალიტარულ ძალებთანაც. ისტორიული კანონზომიერება და ობიექტური რეალობა ცხადად გვიჩვენებს, რომ დაპყრობილ ერთა განთავისუფლება ახლოა. საჭიროა მხოლოდ ხალხის დარაზმვა, ძალთა გაერთიანება და მოქმედების კოორდინაცია.

ვ) ე.დ. პარტიისათვის უცხოა ყოველგვარი ძალმომრეობა. ის იბრძოლებს მხოლოდ პოლიტიკური საშუალებებით: მიტინგები, დემონსტრაციები, გაფიცვები, ეროვნული დაუმორჩილებლობის მოწოდ-

ჭანტურია და სარიშვილი, ასევე აფრიალებდნენ ლოზუნგს „ძირს შევარდნაძე-გამსახურდიას ალიანსი“, როდესაც, სინამდვილეში თავად იმყოფებოდნენ შევარდნაძესთან ფარულ ალიანსში. ისინი გამსახურდიას წინააღმდეგ, სწორედ შევარდნაძის ფინანსებითა და დირექტივებით მოქმედებდნენ, რაც შემდგომმა დროებამ ნათლად დაადასტურა.

ზვიადს ოპოზიციაში ჩაუდგა, თითქოს თანამოაზრე და თანამებრძოლი რუსლან ღონღაძეც, რომელიც შეიარაღებულ პუტჩისტებს შეუერთდა.

1991 წლის 23 მარტს, დაბა ყაზბეგში, რუსეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ბორის ელცინთან შეხვედრაზე, ზვიად გამსახურდიამ მიაღწია შეთანხმებას „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაუქმების შესახებ.

(დოკუმენტი იხილეთ მომდევნო გვერდზე)

საქართველოს რესპუბლიკა
მარტი № 58 (78) 1991

23 მარტს ყაზბეგში ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ბორის ელცინი და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი

1) 1991 წლის აპრილის მანძილზე ხელმოსაწერად მომზადდეს ოსეთის სფსრ და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ხელშეკრულების პროექტი, რისთვისაც შეიქმნას სამუშაო ჯგუფები.

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისათვის ერთობლივი მოქმედების შეთანხმების შედეგად მხარეები მორიგდნენ:

2). რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 დღეში შექმნან ერთობლივი კომისია აღნიშნულ რეგიონში ვითარების შესასწავლად და მიმდინარე წლის 20 აპრილამდე სიტუაციის ობიექტურად შეფასების მიზნით.

3). რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 აპრილამდე შექმნან მილიციის გაერიანებული რაზმი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირების განსაიარაღებლად. ამ რაზმს დაევალება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მოცემულ ტერიტორიაზე ვითარების სტაბილიზაციამდე.

4). სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინადადება მიეცეს გაიყვანოს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან აქ დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები.

5). რუსეთის სფსრ, საქართველოს რესპუბლიკის და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ მინისტრთა საბჭოებმა დაუყოვნებლივ დაიწყონ საიმისო მუშაობა, რომ ლტოლვილებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების პირობები შეექმნათ. უზრუნველყონ ადგილობრივი ხელისუფლების კანონიერი ორგანოების აღდგენა.

6). საქართველოს რესპუბლიკის, რუსეთის სფსრ და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ მთავრობებმა შექმნან ლტოლვილებისათვის მიყენებული ზარალის შემფასებელი კომისია და დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური სახსრები გამოიყონ ამ ზარალის ასანაზღაურებლად.

7). შექმნილ კომისიებისა და რაზმების საბოლოო ამოცანად ჩაითვალოს რეგიონში მშვიდობისა და სიმშვიდის აღდგენა.

8). შეიქმნას მუდმივი ჯგუფი, რომელიც კონტროლს გაუწევს ამ ოქმის შესრულებას და განიხილავს წარმოჩრილ მიმდინარე საკითხებს.

რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ელცინი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

დაბა ყაზბეგი. 1991 წ. 23 მარტი.

ოსი ექსტრემისტები, გარდა იმისა, რომ რუსული სამხედრო ბაზებიდან ღიად ყიდულობდნენ იარაღს (რაშიც მათ თბილისსა და დანარჩენ საქართველოში მცხოვრები ოსები ფინანსურად ეხმარებოდნენ), **ამასთანავე, ცხინვალის ქარხნებშიც ამზადებდნენ სხვადასხვა სახის იარაღს, რის გამოც ქართველი ენერგეტიკოსები გაიფიცნენ.** ამ პოლიტიკურ პროტესტთან დაკავშირებით, გ. ჭანტურიამ, ირ. სარიშვილმა, მ. გიორგაძემ, ირ. კობახიძემ, ჯ. იოსელიანმა, თ. ჩხეიძემ, ირ. მაჭავარიანმა, ზ. ჟვანიამ, ლ. შაკიაშვილმა, გოგა და ივლიანე ხაინდრავებმა... დემაგოგიური ვიდეოკადრების ჩვენებით მსოფლიოს ამცნეს: „ელექტროენერგიის გათიშვის გამო, ცხინვალის საავადმყოფოებში ოსი ბავშვები იხოცებიან“ო. მაშინ, როცა ეთნიკური შემადგენლობის სურათი, იმ დროისათვის, თითქმის უცვლელი იყო და იქ მცხოვრები უმრავლესი ქართველებიც ზარალდებოდნენ. ხოლო, მათი ხელდასმით მოსულმა ხუნტის ხელისუფლებამ კი, წლების განმავლობაში ელექტროენერგიის ხანგრძლივი და ბოროტგანზრახული გამორთვებით, საოპერაციო მაგიდებზე, მთელ საქართველოში მრავალი ქართველის სიცოცხლე იმსხვერპლა, რაზეც ზემოხსენებულ ვაი-პატრიოტებს არანაირი პროტესტი არ გამოუთქვამთ; მრავალთაგან, მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიყვანთ; 2002 წლის 22 დეკემბერს, ხობის რაიონის საავადმყოფოში, უშუქობის მიზეზით დაიღუპა ავადმყოფი ეპილეფსიის დიაგნოზით, 12 წლის მათე ლაშხია, რომელსაც პირველადი დახმარებისათვის ესაჭიროებოდა ელექტრო მასაჟი, რათა არ დამდგარიყო ფატალური შედეგი.

ელექტროენერგიის გათიშვის აქტი, თავისი ულმობლობით ნამდვილად ვერ შეედრებოდა ოსების ველურობას და სისასტიკეს ქართველების მიმართ; 1990 წლის 3 იანვარს, ცხინვალის რაიონის სოფელ ფრისში, ოსმა ბიძამ, ქართველობის გამო აკვანში ჩაცხრილა საკუთარი დისშვილი, 9 თვის პაატა ნიკორიშვილი. მანამდე კი ოსებმა მოკლეს სოფელ თამარაშენის მკვიდრი 17 წლის ვეფხვია თუთარაშვილი. ქართველი მეომარი მერაბ მინდიაშვილი ოსებმა ხეზე მიაბეს და ცოცხლად დაწვეს. ოსების მიერ დამწვარ ქართველებს, ცხინვალში ჩასულმა გოგა ხაინდრავამ სურათები გადაუღო და საზღვარგარეთ გაგზავნა, თითქოს ზვიადის მებრძოლების მიერ დამწვარი ოსების ცხედრებისა. ხაინდრავასთან ერთად ამგვარ ინსინუაციურ ბრალდებებს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ევროპაში ავრცელებდნენ **დავით** და **ლევან ბერძენიშვილებიც**. გოგა ხაინდრავას მებრძოლთა ჯგუფმა „დევიატკამ“, 1992 წლის 6 იანვარს, მეტეხის ხიდთან დახვრიტა ცხინვალის ომის ქართველი გმირი გოგია გაბროშვილი.

ცხინვალის რაიონის ქართული სოფლებიდან თბილისში ჩამოსული მოსახლეობა დაცვას თხოვდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას. აუპატიურებენ ჩვენ გოგონებს, გვიკლავენ ბიჭებს, სამსახურებიდან გვდევნიან ქართველებს, სასწრაფო დახმარება არ მოდის ქართველ ავადმყოფებთან, არ გვიღებენ საავადმყოფოებშიო და ა.შ. ქართველებისადმი მტრობა და სიძულვილი ოსებს ათწლეულების შემდეგაც არ განელებიათ; 2003 წლის 3 მაისს, ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენში საკუთარ ბენზინგასამართ სადგურში, ოსებმა, ერთიანად ამოხოცეს მინდორაშვილების ოჯახი, – მამა და 3 ვაჟიშვილი. 2005 წლის 24 ნოემბერს, გატაცებული ხაჭაპურიძეების 4 წევრიდან, ერთ-ერთის მოკვეთილი კიდურები გაუგზავნეს ოჯახს, ხოლო დანარჩენი ცხედრების სანაცვლოდ კი ფული მოსთხოვეს. ოსთა ველურობისა და სისატიკის ამბებს არ შეუძრავს ქართველი ფსევდო-პატრიოტი ოპოზიციონერების გულები.

ეროვნული ხელისუფლების ოპოზიციონერები ღია და აშკარა სოლიდარობას ავლენდნენ საქართველოს მოქალაქე ყოველი ჯურის სეპარატისტ-ექსტრემისტებისადმი. ჯაბა იოსელიანი, ზურაბ ჟვანია, გია ბარამიძე, ირაკლი მაჭავარიანი, გოგა ხაინდრავა და სხვები პოლიტპატიმრად აღიარებდნენ ოსი ექსტრემისტების **ლიდერს ტორეზ კულუმბეგოვს**, რომელიც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ დააპატიმრა მთელი რიგი დანაშაულობების გამო, რაც გამოიხატებოდა ტერორისტული ბანდფორმირებების შექმნაში, ქართველთა მასობრივი მკვლელობების (მათ შორის ცოცხლად დაწვისა და ცოცხლად დახერხვის), ჯგუფური გაუპატიურებებისა და მასობრივი დევნის ორგანიზატორობაში, ერთა შორის შუღლის ჩამოგდებასა და გაღვივებაში.

ამგვარი მძიმე და სასტიკი დანაშაულობებისათვის დაპატიმრებული კულუმბეგოვი, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისთანავე, ციხიდან გაათავისუფლა ე. შევარდნაძემ და ჯ. იოსელიანმა და სამთავრობო თვითმფრინავით გადააფრინა ცხინვალში. ცხინვალში დაბრუნებულმა ექსტრემისტების ლიდერმა კულუმბეგოვმა, თანამზრახველ **ალან ჩოჩიევთან** ერთად ჩაატარა ე.წ. რეფერენდუმი სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობისა და ჩრდილოეთ ოსეთთან მიერთების შესახებ (1992 წლის ამ რეფერენდუმის საფუძველზე, 2006 წლის 12 ნოემბერს, მათ მეორედ ჩაატარეს რეფერენდუმი, რომელშიც მოსახლეობის, აწ უკვე 99% პროცენტმა ხმა მისცა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. 2017 წლის 9 აპრილს ე.წ . სამხრეთ ოსეთში მესამედ ჩატარდა რეფერენდუმი (საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად) ოსეთისათვის ძველი სახელწოდების – „ალანიას რესპუბლიკის“ მინიჭების შესახებ. მეორე სეპარატისტულ

რეგიონში – აფხაზეთში, რეფერენდუმი დამოუკიდებლობის შესახებ 1999 წ. გაიმართა).

1992 წლის 16 იანვარს, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ განაცხადა, რომ ამჟამინდელი დროებითი მთავრობისადმი ყოველმხრივი მხარდაჭერა გამოხატა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ. „ჩვენ მზადა ვართ ჩამოვიდეთ თბილისის დასაცავად ნებისმიერ დროს და გპირდებით მამაცურად დავიცავთ საქართველოს საზოგადოებრიობის დემოკრატიულ ძალებს“ – განაცხადეს ოსური შეიარაღებული ფორმირებების ხელმძღვანელებმა. ზოგიერთი ცნობით, ასეთი მოწოდებით ცხინვალში გამოვიდა ოპოზიციონერების მიერ ციხიდან გათავისუფლებული ოსური მოძრაობის ლიდერი **ტორეზ კულუმბეგოვი**. რა შეიძლება ითქვას ამ ინფორმაციაზე? მხოლოდ ერთი: 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, უზურპატორთა ხროვას: თენგიზ სიგუას, თენგიზ კიტოვანს და ჯაბა იოსელიანს მხარდაჭერა გამოუცხადა ოსი ექსტრემისტებისა და სეპარატისტების ლიდერმა, ტერორისტმა ტორეზ კულუმბეგოვმა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 31 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (მათ შორის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონშიც) ჩაატარა რეფერენდუმი საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ხმა მისცა ამომრჩეველთა 98,9%. ამ შედეგებზე დაყრდნობით უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს სესიაზე მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ამავე სესიაზე მიღებულ იქნა დადგენილება რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების მიზანშეწონილობის შესახებ, ხოლო **14 აპრილს მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობისა და მასთან დაკავშირებით საქ. რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ“. საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა 1991 წლის 26 მაისს**, რომელშიც პრეზიდენტობის 6 კანდიდატიდან 86,52% გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიამ (იხ. ოქმი).

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ცენტრალური
საარჩევნო კომისიის 1991 წლის 3 ივნისის სხდომის

ო ქ მ ი

1

კომისიამ შეაჯამა 1991 წლის 26 მაისს ჩატარებული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შედეგები.

ქვემდგომი საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა:

1. საქართველოს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი-3604810,
   არჩევნების მონაწილეთა რიცხვი - 2978247,
   კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვი - 2968945,
   ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვი - 39318;

2. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის
   მიცემული ხმების რაოდენობა:
   ბატონი ზვიად გამსახურდია - 2565362,
   ბატონი ირაკლი შენგელაია - 26886,
   ბატონი ჯემალ მიქელაძე - 51717,
   ბატონი ვალერიან ადვაძე - 240243,
   ბატონი თამაზ კვაშანტირაძე- 8553,
   ბატონი ნოდარ ნათაძე - 36266;

3. "საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ"
   საქართველოს რესპუბლიკის კანონის 25-ე მუხლის თანახმად,-
   ა/ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარებულად
   იქნეს ცნობილი;
   ბ/ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეული იქნა

ბატონი ზვიად გამსახურდია

დაბადებული 1939 წ., ფილოლოგი, საქართველოს რესპუბლიკის
პრეზიდენტი, საარჩევნო ბლოკის "პირველი ნაბიჯი - თავისუფალი

14 ივნისს, საქართველოს რესპუბლიკის არჩეულმა პირველმა პრეზიდენტმა ბიბლიაზე დადო ფიცი ღვთისა და ერის წინაშე, რომ დაიცავდა საქართველოს კონსტიტუციას და ერთადერთი პრეზიდენტი იყო დამოუკიდებელი საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვა კონსტიტუცია და ჭეშმარიტად იქცა სახელმწიფო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტად!



ზვიად გამსახურდიას ფიცი წარმოთქმული ღვთისა და ერის წინაშე

ძვირფასო მეგობრებო!

ქართველმა ხალხმა, საქართველოს მოსახლეობამ ღირსმყო დავიკავო ესოდენ მაღალი თანამდებობა პრეზიდენტისა, რაც მავალებს საჯაროდ წარმოვთქვა ფიცი.

ვფიცავ და საზეიმოდ ვაცხადებ ღვთისა და ერის წინაშე, რომ ერთგულად განვახორციელებ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის მოვალეობას.

ვიღვაწებ ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და გაძლიერებისათვის; დავიცავ მის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას; განუხრელად განვახორციელებ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს, დავიცავ ადამიანის უფლებებს.

ღმერთი იყოს ჩემი შემწე ყოველივე ამაში!

როგორც რეფერენდუმი, ასევე უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და საპრეზიდენტო არჩევნები იყო საყოველთაო-სახალხო და ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის უზენაესმა საბჭომ, საქართველოში დისლოცირებულ რუსეთის ჯარს მიანიჭა საოკუპაციო ჯარის სტატუსი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები

№ 9 (614) სექტემბერი 1991 წელი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

657 საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ

ვინაიდან 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ოკუპაცია და ანექსია განხორციელდა წითელი არმიის, — შეიარაღებული აგრესიის მთავარი ძალის მეოხებით, რომელიც დღემდე იმყოფება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ემორჩილება მხოლოდ სსრ კავშირის ხელმძღვანელობას, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესმა ორგანომ ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი ნების საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები გამოცხადდეს საოკუპაციო სამხედრო ძალად.

2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირთან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გაყვანის თაობაზე.

3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სრულ გაყვანამდე სსრ კავშირის წინაშე დაისვას საკითხი აფხაზეთის ასსრ და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებიდან საბჭოთა არმიის ნაწილების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ, რადგანაც მათი ყოფნა და მოქმედება ხელს უშლის მდგომარეობის სტაბილიზაციას ამ რეგიონებში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 15 სექტემბერი.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ სტრატეგიასა და მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოს ქცევა საერთაშორისო სამართალსუბიექტად და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს დამოუკიდებლად მოქმედ სახელმწიფო ერთეულად ჩამოყალიბება. ზვიად გამსახურდია დასავლური ორიენტაციის ლიდერი იყო, რომლის პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო პროგრამაში მან ნათლად ჩაწერა: **„სამომავლო ისტორიული მისია, რომელიც უნდა იტვირთოს დამოუკიდებელმა საქართველომ, შეიძლება იყოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზოგადსაკაცობრიო ინტეგრაციული პროცესებისათვის ხელის შეწყობა...** საქართველომ უნდა განახორციელოს სინთეზი ამ ორი სამყაროსი“. ხოლო სსრ კავშირთან დამოკიდებულების ნაწილში კი ეწერა: **„საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებს. საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის თანასწორუფლებიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება წარმოადგენს ორივე მხარის ჭეშმარიტ ინტერესებს“.** საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ცნობის ასპექტების პროგრამულ ნაწილში კი კიდევ უფრო ნათლადაა გაცხადებული, რომ **„3. საქართველო გახდეს გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი და მათ საქმიანობაში შეასრულოს აქტიური როლი“.**

1991 წლის 15 დეკემბერს, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მედეა თუშმალიშვილი და პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, საგანგებო მისიით წარგზავნა ბრიუსელში, რათა მათ მონაწილეობა მიეღოთ ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაში. ქართველმა დიპლომატებმა, ევროპელ დეპუტატებს გადასცეს საქართველოს უმაღლესი ხელისუფალის თხოვნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტში სამშვიდობო მისიით ჩართვის შესახებ. ნატოს შტაბ-ბინაში, საქართველოს დელეგაცია პატივით მიიღო გენერალურმა მდივანმა ვორნერმა, რომელმაც საქართველოსა და ნატოს კავშირების განმტკიცების გულითადი სურვილი გამოთქვა. ეს იყო პირველი ნაბიჯი, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ, ნატოსკენ სწრაფვისა და პოლიტიკური ურთიერთობებისკენ გადადგმული.

კრემლიდან მართული ოპოზიცია კი შეგნებულად აფერხებდა ქვეყნის წინსვლას. მათ გაილაშქრეს პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების წინააღმდეგ; ხოლო ზვიადის პრეზიდენტად არჩევის დღესვე, 26 მაისს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარმა კომიტეტმა ვრცელი „ღია წერილით“ მიმართა ზვიად გამსახურდიას. წერილის ტექსტი გაჟღენთილი იყო შურით, ბოღმით, სიძულვილით, ცილისწამებებით, თავდასხმითი და ინსინუაციური ბრალდებების ჩამონათვალით, რისი დასკვნითი აკორდი ასეთი იყო: **„ჩვენ ბრალს გდებთ საქართველოს ღალატში!“** (იხ. წერილის ნაწყვეტი).

ამ ბოღმით გულდასენილი და პოლიტიკურ დიპლომატიას სრულიად მოკლებული „ღია წერილის“ ხელმომწერები გახლდნენ:

გიორგი ჭანტურია
მამუკა გიორგაძე
გურამ ჩახვაძე
ირინა სარიშვილი
თენგიზ შარმანაშვილი
ვახტანგ ტალახაძე
ვანო ხუხუნაიშვილი
დავით კვარაცხელია
ირაკლი ქადაგიშვილი
ვასილ ჭყოიძე
ნიკო გონაშვილი
გიორგი ზუმბაძე



ბრალს გდებთ საქართველოს ღალატში!

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ, ბატონო "პრეზიდენტო", თქვენი ავი თ
კარგი, მაგრამ თქვენს მიერ მიღებული კანონით არ იმოქმედებთ, მაშ
ცხადი ხდება, რომ თქვენ და თქვენთან ერთად მოსკოვს ჩვენი არა მხოლო
პოლიტიკური, არამედ ფიზიკური განადგურებაც განგიზრახავთ.

ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, დავძენთ, რომ არაფერი ზემოთქმულ
ციცისწამება არ არის და თუ სასამართლო პროცესს გვაღირსებთ, ი
დავამტკიცებთ ჩვენს სიმართლეს იმ არგუმენტებისა და საბუთების
მოხმობით, რის საფუძველზეც არაერთხელ ტელეფლობატებზეც მოგიპატიჟეთ.
რაც შეეხება საქართველოს "პრეზიდენტის" ღირსების შეღახვის ამკრძალა
კანონს, ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში კანონი ცილისწამებისა და
შეურაცხყოფისათვის ყველას ერთნაირად იცავს და სკის, რომ აღარაფერ
ვთქვათ იმაზე, რომ კაცმა საკუთარი ღირსება, პირველ რიგში, თვითონ უნ
დაიცვას, ან თუნდაც იმაზე, რომ უღირსებო კაცის ღირსების შეღახვ
შეუძლებელია.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი:

გიორგი ჭანტურია
მამუკა გიორგაძე
გურამ ჩახვაძე
ირინა სარიშვილი
თენგიზ შარმანაშვილი
ვახტანგ ტალახაძე
ვანო ხუხუნაიშვილი
დავით კვარაცხელია
ირაკლი ქადაგიშვილი
ვასილ ჭყოიძე
ნიკო გონაშვილი
გიორგი ზუმბაძე

თბილისი 1991 წლის 26 მაისი

ხოლო, შეიარაღებული კრიმინალური ფორმირების – „მხედრიონის“ – მეთაურმა ჯაბა იოსელიანმა, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევიდან მეორე დღეს, კარვები დასცა, ჯერ ოპერის ბაღში, შემდგომ უნივერსიტეტის ეზოში. მოშიმშილე „მხედრიონელებს“ საჯარო განცხადებით მორალური თანადგომა გამოუცხადეს: ვახტანგ გოგუაძემ, მამა-შვილმა კოტე და გოკა გაბაშვილებმა, ვახუშტი კოტეტიშვილმა, ვალერი კვარაცხელიამ, მამუკა არეშიძემ, ვალერიან ადვაძემ, აკაკი ბაქრაძემ, თამაზ კვაჭანტირაძემ, ზურაბ კიკნაძემ, გურამ თევზაძემ, თემურ ფიფიამ, ნოდარ ლომოურმა, ოთარ ლითანიშვილმა, ჭაბუა ამირეჯიბმა, გურამ ფანჯიკიძემ, ლევან ღვინჯილიამ, რომან მიმინოშვილმა, იზა ორჯონიკიძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, რუსუდან ბერიძემ, კობა იმედაშვილმა, დაძმამ – გიგა და მარიკა ლორთქიფანიძეებმა, რისმაგ გორდეზიანმა, მზექალა შანიძემ, გოგა ხაინდრავამ, ლაშა თაბუკაშვილმა, ნაირა გელაშვილმა, დავით მჭედლურმა, გურამ გეგეშიძემ, გიზო ნიშნიანიძემ, მურმან ჯგუბურიამ, რეზო მიშველაძემ, ძმებმა ზაურ და გენო კალანდიებმა, ციალა არდაშელიამ, ზურაბ თორიამ, ვაჟა ოთარაშვილმა...

თენგიზ სიგუასათვის მეცნიერებათა აკადემია მთლიანად დათმობილი ჰქონდა ამ აკადემიის პრეზიდენტს ალბერტ თავხელიძეს, რომელიც აკადემიის წევრებით: **ანდრია აფაქიძე, ევგენი ხარაძე, მერაბ ალექსიძე, მერაბ მამარდაშვილი, ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი, ნოდარ ლომოური** და სხვებით გვერდში ედგნენ თენგიზ სიგუასა და ჯაბა იოსელიანს.

ოპერატიული მოქმედებისათვის, **ჯანსუღ ჩარკვიანის** ხელმძღვანელობით შეიქმნა საზოგადოება „თბილისელი“, რომელიც შეიარაღებულ შტაბად გადაიქცა. ამ საზოგადოების თანადამფუძნებელი გახლდათ კომუნისტი პოეტი **რეზო ამაშუკელი**, რომელიც განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ზვიად გამსახურდიას მიმართ. ე.წ. საზოგადოება „თბილისელი“ ავტომატებით მარაგდებოდა „რუსთაველის საზოგადოებიდან“, რომელსაც ხელმძღვანელობდა თენგიზ სიგუა და რომელსაც შეიარაღებითა და ფინანსებით უზრუნველჰყოფდა რუსეთი. ამასთანავე, საქართველოს სსრ კავშირის ბანკში გახსნილი იყო ანგარიში, რომელზეც მოქალაქეები ნებაყოფლობით რიცხავდნენ თანხებს (იხ. გაზეთ „კომუნისტის“ 5 თებერვლის (1989 წ.) განცხადების სკანერი). „თბილისელების“ ოფისში გაიცემოდა ავტომატები პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობის მოსურნე სხვადასხვა ჯურისა (კრიმინალების) და ქართველთმოძულე სხვადასხვა ეროვნების მოხალისეებისათვის; ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ, ძირითადად აღდგა სისხლაღრეული და გვარგადაკეთებული ქართველობა.

კინოს სახლში შტაბ-ბინა დაიდეს: **ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძემ, რეზო ესაძემ, რეზო ჩხეიძემ, რობერტ სტურუამ, მერაბ კოკოჩაშვილმა, ელ-დარ და გიორგი შენგელაიებმა, ლანა ღოღობერიძემ, მაია ნათაძემ, ნანა მჭედლიძემ, ქეთი დოლიძემ, ოთარ მეღვინეთუხუცესმა, გურანდა გაბუნიამ, ლალი ბადურაშვილმა, ნუკრი ქანთარიამ**, **გოგი ხარაბაძემ, გია ბურჯანაძემ, ერლომ ახვლედიანმა, მანანა გიგინეიშვილმა, დავით მაღრაძემ, რუსლან მიქაბერიძემ, ერეკლე საღლიანმა, თემო გოცაძემ, ოთარ ლითანიშვილმა, რეზო ამაშუკელმა, იზა ორჯონიკიძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, გიზო ნიშნიანიძემ, ჭაბუა ამირეჯიბმა, რომან მიმინოშვილ-მა, ჯემალ (სიმონ) აჯიაშვილმა, ემზარ კვიტაიშვილმა, თეატრალური ინსტიტუტის დეკანმა გოგი დოლიძემ** და სხვებმა, რომლებიც კინოს სახლის კიბეებზე პერმანენტულ მიტინგებს მართავდნენ. მათ საფრანგე-თიდან ზურგს უმაგრებდა კინორეჟისორი **ოთარ იოსელიანი,** რომელიც სიძულვილს ავლენდა ზვიად გამსახურდიას მიმართ და დროდადრო ჩამო-დიოდა კიდეც თბილისში. მსახიობი **ნოდარ მგალობლიშვილი** და **თემურ ბაბლუანიც** პუტჩისტი თეატრალების ამქარში იყვნენ.

ეროვნული მოძრაობის წევრი ე. გვეტაძე (რომელიც, წარსული ნაცნო-ბობით ხშირად სტუმრობდა ხოლმე ცნობილ მსახიობს ზურაბ ქაფიანიძეს) გახდა უნებლიე მოწმე **რეზო ესაძის** სატელეფონო ზარისა, რომელმაც ზურაბ ქაფიანიძეს ისტერიული ხმით ყურმილში ჩაჰყვირა (სწორედ ამ ხმამაღლობის წყალობით შეძლო საუბრის ტექსტის მოსმენა შემსწრემ): რას გამოკეტილხარ სახლში! იარაღი აიღე ხელში და გამოდი ზვიად გამ-სახურდიასა და მისი ლეკვების ჩასახოცად! თუ ავტომატი არა გაქვს, აქ მოგცემთო.

მარჯანიშვილის თეატრი, აკაკი ბაქრაძემ (როგორც ამ თეატრის ყოფილმა სამხატვრო ხელმძღვანელმა) და ოთარ მეღვინეთუხუცესმა, პუტჩის დაწყებისთანავე იარაღის საწყობად აქციეს. სახელმწიფო გადა-ტრიალების შემდგომ გახორციელდა რეპრესიები ეროვნული ხელისუ-ფლების მომხრე ხელოვანების მიმართ: გოგი გელოვანის, იზა გიგოშვი-ლის, მაია თომაძის, მედეა ფანიაშვილის, აკაკი ხიდაშლის, ლატავრა ფოჩიანის, ლია ელიავას, ოთარ კობერიძის, თამარ კრავეიშვილის, ვარ-ლამ (ლალი) ნიკოლაძის, თათია ხაინდრავას, ელენე საყვარელიძის, მაკა ბარდაველიძის, ლია გუდაძის, ნესტან შარიას, ასიკო გამსახურდიას, მა-რინე იშხნელის, მანანა მენაბდის, შოთა კიკნაძის, კახა მიგინეიშვილის... ისინი თეატრებიდან, კონსერვატორიებიდან და კინოსტუდიებიდან გან-დევნეს. განცდილი სტრესის გამო, ზოგიერთი მათგანი, პერმანენტულ რეპრესიებსა და სტრესს ფიზიკურად ემსხვერპლა **(ფანიაშვილი, თომა-**

ძე, გიგოშვილი, ლია ელიავა... შევარდნაძის რეჟიმის პერიოდში გარდაიცვალნენ!). მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, ასმათ ტყაბლაძე ინტერვიუში აცხადებს: **„ოთარ მეღვინეთუხუცესი კინოშია დათა თუთაშხია, ცხოვრებაში ის ნიკანდრო ქირიაა, გაიძვერა და მკვლელი“...**

ოპერის ბაღში „მხედრიონელების“ კარვების ფონზე, ოპერის თეატრის წინ პერმანენტულ მიტინგებს მართავდნენ რეაქციული ოპოზიციონერები, რომლებიც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გადადგომასთან ერთად მისგან კატეგორიულად მოითხოვდნენ რუსული პროპაგადნისტული მანქანის „ვრემიას“ გადაცემის აღდგენას ტელევიზიით, რათა არ შეფერხებულიყო იმპერიის მიერ ორგანიზებული სამხედრო გადატრიალების პროცესი და კონტროლირებული ყოფილიყო იგი.

ქვემოთ წარმოდგენილ ფოტოზე ოპერის თეატრის წინ, ჩვენს მიერ ხსენებულ პლაკატის ფონზე, რეაქციულ ოპოზიციასთან ერთად ***(გოგა ხაინდრავა, ნიკო ჩიგოგიძე (ილ.ჭავჭავაძის საზოგადოებისა და შემდგომ სახალხო პარტიის წევრი), გელა ნიკოლეიშვილი, გურამ ყორანაშვილი, სვანური ქუდით — ჯუმბერ კოპალიანი, თემურ კვირკველია — სახელმწიფო ტელევიზიისა და მოგვიანებით შევარდნაძის უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული მოხელე),*** ჯაბასა და ჯუმბერ კოპალიანს მხარს უკან, კეპკით, იგორ გიორგაძე დგაააას?... დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რამეთუ ფოტოს არასრულყოფილი კადრია, მაგრამ გასაკვირიც არაფერი იქნება...

გოგა ხაინდრავა,ნიკო ჩიგოგიძე,გურამ ყორანაშვილი,გელა ნიკოლეიშვილი, ჯაბა იოსელიანი,იგორ გიორგაძე(?...),ჯუმბერ კოპალიანი,თემურ კვირკველია

2013 წლის 25 დეკემბერს თემურ კვირკველიას შესახებ facebook-*ზე ასეთი რამ დაწერა საბერძნეთში მყოფმა სოციალურმა მიგრანტმა ბელა არჩემაშვილმა (Bella Archemashvili): „კვირკველიას ჩაუვლია ხელი ღვინ-ჯილია ლევანასთვის, მიქაბერიძე რუსლანა, შაკიაშვილი, მიმინოშვილი, მაგისთანები კიდევ რამდენიმე და ჯერ კიდევ ოქტომბერი იყო, არ იყო ის სამარცხვინო ომი დაწყებული, ჩამოწანწალდნენ თიანეთში. კლუბში, ჩა-მომყვანმა „კაგებე"-შნიკმა დაახვედრა ხალხი, მივედით და რას ვისმენთ, ჩამოვაგდოთ გამსახურდიაო...გავათიშინეთ დენი, გამოვრეკეთ იქიდან... ამათ იცოდნენ, რომ 22-ში ყველაფერი დამთავრდებოდა ისე, როგორც დამთავრდა და დაიწყო ქვეყნის დაქცევა, დღემდე რომ გრძელდება... ეხლა ზის „ობიექტივში" და უნამუსოდ მოძღვრავს ხალხს..."*

თემურ კვირკველია გახლდათ სახელმწიფო ტელევიზიის ადმი-ნისტრაციული მუშაკი, შემდგომში გენპროკურორის პრეს-სამსახურის უფროსი, შემდგომ უშიშროების საბჭოს წევრი, ჟურნალისტი.

„მხედრიონის" კარვის ბანაკებიდან მალე წარმოიშვა რამდენიმე შვი-ლობილი ბანაკები: ჭანტურია-სარიშვილი, მამუკა გიორგაძე, ირაკლი ქა-დაგიშვილი, გიორგი კობახიძე, ნესტან კირთაძე, ბესო ჯუღელი, გოგა გოგნიაშვილი, ვანო ხუხუნაიშვილი, გურამ ჩახვაძე... გამაგრდნენ თეატრა-ლური ინსტიტუტის კუთვნილი შენობის მეორე სართულზე (რომელიც მათ უკანონოდ ჰქონდათ დასაკუთრებული და რომლის დაბრუნებასაც მრავა-ლი წელი სასამართლოთი უშედეგოდ ცდილობდა ამ ინსტიტუტის დეკანი, ასევე, გამსახურდიას ოპოზიციონერი გოგი დოლიძე). მთავრობის დამხობის მჭექარე მოწოდებებით გამოდიოდნენ: ზურაბ ჟვანია, გია ბარამიძე, ლევან მამალაძე, გია (გიორგი) გაჩეჩილაძე, ხათუნა გოგორიშვილი, მათთან იყო ზურაბ ნოღაიდელიც (შემდგომში, შევარდნაძის ფინანსთთა მინისტრი, ე.წ. „მწვანეები"). *(ფოტოზე: ნოღაიდელი, ჟვანია, გოგორიშვილი, ბარამიძე).*



ილია ჭავჭავაძის საზოგადოებიდან: თამარ ჩხეიძე, ლუიზა შაკიაშვილი, ბორის კაკუბავა, ჯუმბერ კოპალიანი, გურამ ყორანაშვილი, ზურაბ ცინცაძე, ირაკლი მაჭავარიანი, ვახტანგ ძაბირაძე, რაულ კუპრავა... აგრეთვე: ძმები ივლიანე და გოგა ხაინდრავები, ნანა კაკაბაძე, თენგიზ შარმანაშვილი, ვახტანგ რჩეულიშვილი, ნოდარ ნათაძე, ავთანდილ იმნაძე, ვახტანგ ხმალაძე, რეზო შავიშვილი, გია ჟორჟოლიანი, ირაკლი შენგელაია... ოპერის წინ აწყობდნენ პერმანენტულ მიტინგებს. ირაკლი წერეთელი, თეიმურაზ სუმბათაშვილი, თორნიკე ფიფია, თემურ ფიფია და სხვ. გამაგრებული იყვნენ „იმელის“ შენობასთან. თემურ ფიფია (უნივერსიტეტის დოცენტი, თორნიკე ფიფიას ძმა, შემდგომში, შევარდნაძის სახელმწიფო მოხელე) მეგაფონის „რუპორად“ იყო გადაქცეული და მთელი ხმით გაჰყვიროდა, რომ თითქოს ზვიადმა, შავნაბადაზე ჩახოცა ათობით გვარდიელი და ხალხს მოუწოდებდა ხელისუფლებაზე იერიშისაკენ, – „ნუ ზიხართ სახლებში“-ო.

ირაკლი ბათიაშვილი, დრო და დრო, ხან „მხედრიონელების“ ბარიკადებზე ჩნდებოდა და ხანაც ირაკლი წერეთლისას. მათთან იყო ცრუ-მონარქისტი **თემურ ჟორჟოლიანიც**, რომელიც, აგრეთვე რესპუბლიკის მოედანზეც გამოდიოდა ზვიადის საწინააღმდეგო მიტინგებზე და ზვიადს „სატანას“ ეძახდა: „სატანა უნდა გადადგეს, სატანა უნდა მოსცილდეს საქართველოს... სატანის გადადგომა მშვიდობას მოუტანს საქართველოს“.

ეს გახლავთ ფოტო-დოკუმენტური კადრი თ. ჟორჟოლიანის თავხედური შელაპარაკებისა ზვიად გამსახურდიასთან, რაზედაც მკვეთრად ჩანს ზვიადის რეაქციაც...

ასევე, სატანად სახავდა ზვიადს ანზორ აბჟანდაძეც, რომელმაც ზვიადის „სატანიზმის“ რიცხვითი ფორმულაც კი გამოიყვანა.

ხოლო გოგა ხაინდრავა, ტიპიური წითელი სპეცაგენტი კი აგრესიას ვერ მალავდა 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგების გამო და მეგაფონში ძარღვების დასკდომამდე გაჰყვიროდა: „პუტჩი დაიწყო საქართველოში 28 ოქტომბერს, გაიგეთ ხალხნო! ... ახლა მოქმედების დროა, ჩვენ ვიღუპებით!“

ასევე, **ვალერი ვაშაკიძეც** (შემდგომში შევარდნაძის პარლამენტარი და ლტოლვილთა მინისტრი).

ზემოხსენებულ რადიკალურ ოპოზიციასთან ჩნდებოდნენ მწერლები: **ელგუჯა მაღრაძე, დათო მაღრაძე, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ლია ბედოშვილი, მისი ქმარი დავით აქუბარდია(შემდგომში „ტელეკომპანია“ კავკასიის დამფუძნებელი), ზურაბ თორია, მისი ცოლი თსუ-დან იზოლდა ჭილაძე, ზაურ და გენო კალანდიები, ციალა არდაშელია...** ეს უკანასკნელი ქალბატონი განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა მიმართ და შეიარაღებულ ხუნტას გეშავდა ეროვნული ხელისუფლების მომხრე მომიტინგეების მიმართ. მოგვიანებით, ეს ლიტერატორი არდაშელია ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში ცრემლებს ღვრიდა აფხაზეთის დაკარგვის გამო, თითქოს მისი წვლილიც არ ყოფილიყო იმ ტოტალურ კატასტროფაში, რაც ეროვნული ხელისუფლების დამხობას მოჰყვა.



უნივერსიტეტის ე.წ. პრეს-კლუბელები (პრორექტორ ვახტანგ გოგუაძის იდეოლოგიური შვილები): **დათო ტურაშვილი, ფიქრია ჩიხრაძე, თედო ისაკაძე, ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი...** პირველ კლასიკურ გიმნაზიის წინ მოწყობილ კარავში ათენ-აღამებდნენ.

დათო ტურაშვილი, სახელმწიფო ტელევიზიასთანაც გამოდიოდა ზვიადის ხელისუფლების იარაღით დამხობის მოწოდებით. ტურაშვილი, 1992 წლის ხუნტის ეგზეკუციების დროს, გია ყაყარაშვილსაც ახლდა სამეგრელოში ავტომატით ხელში, რისი ვიდეო-კადრიც არსებობს (იხ. ფოტო ვიდეოდან). 2012 წლის მარტში, ყარაბაღში მწერალთა შეკრებაზე, ტურაშვილმა ადგილობრივ ჟურნალისტთან ინტერვიუში განაცხადა, რომ „აფხაზეთს აქვს უფლება გააკეთოს არჩევანი დამოუკიდებლობაზე“ (იხ. http://www.youtube.com/watch?v=J7Fq1U2h9pg **“Абхазия имеет право на выбор”**). ტურაშვილმა, მოგვიანებით, სამეგრელოში ავტომატით ყოფნაც უარყო და ყარაბაღშიც გაკეთებული განცხადებაც, ჩემს შესახებ უამრავი სისულელეები იწერებაო. არ არის გამორიცხული, ტურაშვილმა, ამ ფოტოზე მისი ყოფნაც უარყოს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან, ზვიად გამსახურდიას, ქებითი ესსე უძღვნა. ტურაშვილის ფსიქო-ტიპი და ფენომენი ზუსტად აქვს დანახული, უფლებადაცვით ცნობილ აქტივისტს, ირაკლი კუპრაძეს; (იხ. პოსტი მისი **facebook**-ის_გვერდიდან **Irakli_Kupradze** *2012 წელი):*

„დათო ტურაშვილმა ერთი თვის წინ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის, ნიკა რურუას მხარდაჭრით შეგვახსენა თავი. ამის შემდეგ, რამდენიმე დღეში ტურაშვილი გიორგი გაბუნიას გადაცემაში იჯდა თავისუფალ დემოკრატებთან ერთად, როგორც მათი მხარდამჭერი და თან ჩვენც მხარდაჭერიკენ მოგვიწოდა. დღეს, „ძალიან პრინციპული“ დათო ტურაშვილი ბათუმში გვესტუმრა მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატის არმაზ ახვლედიანის პიარაქციაზე და მოგვიყვა როგორი კარგი, ნამდვილი მორწმუნე და დემოკრატია არმაზ ახვლედიანი.

ამ პოსტით ჩემს დამოკიდებულებებს ხსენებული პარტიებისადმი საერთოდ არ

ვუსვამ ხაზს, უბრალოდ, ტურაშვილის ქმედებებს აღვნიშნავ. თუ ვინმე იცნობთ და მეგობრობთ, როგორც მოყვარემ „უძრახეთ პირში“ და ურჩიეთ, რომ მორჩეს ტრაკის თამაშს და ჩამოყალიბდეს, თორემ გარე ხედვით ამაზრზენად აღიქმება მისი ეს პოლიტ-„გახსნილობა“.

გოკა გაბაშვილი, გიგა ბოკერია, დავით პაიჭაძე, ხათუნა გოგორიშვილი, გია ბარამიძე, ზურაბ ჟვანია, გიორგი ჭანტურია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი მამულია, გიორგი მაისურაძე... უნივერსიტეტის კიბეებზე დამსხდარ რევოლუციონერ „წითელი ინტელიგენციის“ ახალგაზრდულ ფრთას წარმოადგენდნენ და ხმას უერთებდნენ „დიქტატორ“ ზვიად გამსახურდიას დამხობის მოწოდებებში.

უნივერსიტეტის პროფესორ **ვახუშტი კოტეტიშვილს,** თავისი სახლი დათმობილი ჰქონდა, შეიარაღებული ოპოზიციისათვის, საიდანაც ხუნტა ჰაუბიცებს ესროდა მთავრობის სახლს. ორმხრივი სროლების შედეგად მისი სახლიც მნიშვნელოვნად დაზიანდა, რის გამოც ვახუშტი ისტერიულად გაჰყვიროდა: „37 წელს დახვრეტილი მამაჩემის სახლ-მუზეუმი დაანგრიეს... მამაჩემისა, რომლის საფლავიც კი არ არის შემორჩენილი და ეს მისი ერთადერთი ძეგლი-სახლი მოსპეს და გაანადგურეს, ის რაც კომუნისტებს გადაურჩა, აი ამ ეროვნულმა მთავრობამ გადაბუგა და მოსპო!“ მოგვიანებით, საზღვარგარეთ იძულებით ემიგრირებული „მრგვალი მაგიდელი“ **ალექსანდრე სანდუხაძე** დაწერს: „ვინ იფიქრებდა, შავჩოხიანი ვახტანგ კოტეტიშვილის გაფუჭებული ძე ვახუშტი, დაუპირისპირდებოდა შავჩოხოსან კონსტანტინე გამსახურდიას შვილს?“

რევოლუციონერი წითელი ინტელიგენციის ამ ფოტოზე,
უნივერსიტეტის წინ, ვახუშტი კოტეტიშვილი, ხელმარცხნივ პირველი დგას.

„წითელი ინტელიგენციის“ ამგვარივე აგრესიული წარმომადგენელი, რეჟისორი **გიგა ლორთქიფანიძე** იმუქრებოდა: „გამსახურდია უნიათო მმართველია, ის დაუპირისპირდა საზოგადოების საუკეთესო ნაწილს – ინტელიგენციას და ეს ინტელიგენცია მას გადაიყოლებს!“

და, ვინ იყვნენ, სინამდვილეში, ეს „ინტელიგენციის საუკეთესო“ ნაწილი?! ვინ იყვნენ და, როგორც კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა, „ინტელექტუალური ვასალები“.

პუტჩისტების ოჯახი — მარიკა ლორთქიფანიძე — შვილი გიორგი ოთხმეზური, ძმა — გიგა ლორთქიფანიძე — რძალი ქეთევან კიკნაძე — მსახიობი.

უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს, რომ **„ ჩვენი ინტელიგენციიდან თითქმის ყველა, ხაზს ვუსვამ, თითქმის ყველა, ვინც გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების რეპრესიებს გადაურჩა, თანამშრომლობდა სპეცსამსახურებთან“** და ამის საილუსტრაციო მაგალითად მას მოჰყავს ცნობილი მეცნიერი ნიკო მარი. სწორედ ამგვარი „საუკეთესო ნაწილის“ წარმომადგენელი გახლდათ გიგა ლორთქიფანიძეც და ის ინტელიგენცია, რომლებიც კრემლის დირექტივებით დაუპირისპირდნენ დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას, როგორც 20-იან ასევე 90-იან წლებშიც!

საბჭოთა მწერლები, თეატრალები და მეცნიერები 70-იანი წლებიდან, ახლადგამოჩენილ დისიდენტებს აქტიურად უპირისპირდებოდნენ, როგორც წითელი ცენზურის დუმილის დამრღვევთ. გაზეთ „ახალგაზრდა

კომუნისტში“ საბჭოთა პოეტმა **რეზო ამაშუკელმა** გაილაშქრა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას წინააღმდეგ 1978 წელს პასკვილით – „ღამურები“. ამას(შ)უკელი მძვინვარებდა: „კოსტავა და გამსახურდია სოციალისტურ სამშობლოს ლანძღავენ რადიო „ამერიკის ხმასა“ და „თავისუფლებაში“ო. საფრანგეთში ემიგრირებულმა უშიშროების ყოფილმა თანამშრომელმა 80-90-ან წლებში ნუგზარ სულაშვილმა საკუთარ ფეისბუქზე დადო პოსტი: „რეზო ამაშუკელი (ანუ ცოცხალი მძორი) იყო „კგბ“-ს აგენტი. „იყოს“-ს ვამბობ იმიტომ, რომ ახლა უკვე მისი აგენტურული რესურსი აღარავის სჭირდება, გარდა საკუთარი გამოჩერჩეტებული თავისა. მისი პირადი კარტოთეკის ასლი 1993 წელს გადმომცა პოლკოვნიკმა გურამ თვაურმა, გადამბირებელის პოლკოვნიკ გივი პოლიკაშვილის თანხმობით. როდესაც ის მოქალაქეთა კავშირის პირველ მოდგილედ ინიშნიბოდა 1993 წელს, პირადად დავურეკე ვახტანგ გოგუაძეს და ავუხსენი, რომ კონტრდაზვერვის სამსახურს გააჩნდა მამხილებელი დოკუმენტები მის წინააღმდეგ და არ შეიძლებოდა მისი საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნა. რამდენიმე დღეში ქალაქის უშიშროების სამმართველოს უფროსმა ავთანდილ იოსელიანმა მთხოვა მასალები მისთვის გადამეცა მოკვლევის მიზნით, რის შემდეგაც ის უგზო-უკვლოდ გაქრა, ხოლო ეს მძორი დანიშნა პირველ მოადგილედ. მისი ვერბოვკის სახელია **„კაპკანა“**.

აი, ამგვარი ნომენკლატურული მწერალ-შემოქმედ-მეცნიერთა მიერ იყო მხარდაჭერილი ეროვნული ხელისუფლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება.

ვაჟა ადამია, ერთი ტანკითა და შეიარაღებული რაზმელებით გამაგრდა მერაბ კოსტავას ეზოში, რომელიც, აგრეთვე მის საცხოვრებელ ეზოსაც წარმოადგენდა. ეს რენეგატი, სამწუხაროდ, ძალიან მალე სასტიკად დასაჯა ღმერთმა; მას, იმავე ეზოში, ერთადერთი ვაჟი იმ ჭურვზე აუფეთქდა, რომელიც ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლების დროს შემორჩა. მოგვიანებით კი (2005 წლის 3 ნოემბერს), თავად ვაჟა ადამია, თელასის ორი თანამშრომლის პისტოლეტით დაჭრის გამო დააპატიმრეს და საპატიმროში მან სრული 4 წელი მოიხადა. მოგვიანებით ამ სტომატოლოგს კვლავ მოუწია ციხის კედლების ხეხვა სხვა კრიმინალური დანაშაულისათვის...

ორჯერ კრიმინალურ პატიმრობამოხდილმა, სახელმწიფო დამნაშავე ვაჟა ადამიამ, 2016 წლის 29 ივლისს, ერთი ცნობილი მწერლის წიგნის „პრეზენტაციაზე,“ მწერალთა კავშირში დაბეჯითებით განაცხადა: *„ეროვნული მოძრაობის ლიდერებში გადაწყვეტილი იყო, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების სათავეში გია ჭანტურია უნდა ყოფილიყო*

და ეს გადაწყვეტილება მხარდაჭერილ-მოწონებული იყო ზევით და საზღ-ვარგარეთის პოლიტიკურ ლიდერებშიც“-ო. ვ. ადამიას ეს განცხადებაც ნათლად ადასტურებს, რომ მათი შეიარაღებული დაპირისპირება პრე-ზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, პიროვნული იყო და იმართე-ბოდა რუსეთის იმპერიის „კგბ“ და „გრუ“-სგან.

მწერალთა კავშირში იმ წიგნის განხილვას მეც ვესწრებოდი და რო-დესაც განხილვა დამთავრდა, ვ. ადამია დარბაზში შევაჩერე და ვუთხა-რი: „საქართველო რომ სახელმწფოდ შემდგარიყო, შენ კრიმინალზე კი არ უნდა მოგეხადა სასჯელი, არამედ სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის“-მეთქი! (თურქეთმა და ლიტვამ, 2000 წლებში გაასა-მართლეს 90-იან წლებში სამხედრო გადატრიალებაში მონაწილე მაღალი თანამდებობის პირები და სამხედრო მაღალჩინოსნები).

ვაჟა ადამია, რომელიც ვერაზე, მერაბ კოსტავას სახლის მიმდე-ბარე ეზოში დაიბადა და გაიზარ-და, მერაბის პოლიტპატიმრობი-დან გათავისუფლების შემდგომ, მერაბისა და ზვიადის თანამე-ბრძოლი გახდა და მერაბის გარ-დაცვალებისთანავე, ზვიადთან უშუალო კონსულტაციით დააარ-სა „მერაბ კოსტავას საზოგადოე-ბა და ფონდი“, რითაც დღემდე არსებობს. „მერაბ კოსტავას საზოგადოებით“ კი, ზვიად გამ-სახურდიამ იგი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს ბლოკში“ შეიყვანა და უზენაესი საბჭოს დეპუტატი გახადა. ამ ფონდში შექმნილი არასახარბიე-ლო (ფლანგვითი) ვითარების გამო, ზვიადს ხშირად უწევდა ვაჟა ადამიას ნაცვლად პასუხისგება, მა-გრამ მაინც არ მოიკვეთა იგი. ადამიამ კი ყველა სიკეთე, მხოლოდ მტრო-ბითა და ბოროტებით გადაუხადა.

ყველაზე ცინიკური და ულმობელი ქმედება ვაჟა ადამიას მხრიდან კი გახლდათ „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ სახელით შეიარაღებული და გააფთრებული ბრძოლის წამოწყება ზვიად გამსახურდიას, როგორც

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის და ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ იმპერიული რუსეთის სასარგებლოდ!

ე.წ. „პატრიოტი და მერაბ კოსტავას საზოგადოების“ თავმჯდომარე ვაჟა ადამია, 1992 წლის 22 მარტს ლანჩხუთის რაიონის საზოგადოების ერთ ნაწილთან შეხვედრისას ასეთ განცხადებას აკეთებს: „ყველა ვალდებულია დადებითად შეაფასოს ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლა, რადგან მისი პოლიტიკური ნიჭი და უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტი, სწორედ რომ ჰაერივით სჭირდება ეკონომიკურად დანგრეულ და პოლიტიკურად გათიშულ საქართველოს“.

ხოლო, თუ როგორ „ააყვავა“ ეკონომიურად, როგორ აღმოფხვრა პოლიტიკური გათიშულობა ერში და როგორ „გააერთიანა“ საქართველო, ეს კრიტიკული კითხვა, შევარდნაძის მადიდებელ ვაჟა ადამიასთვის რომ დაგესვათ, უტიფრად გიპასუხებდათ, რომ სავსებით სწორი გადაწყვეტილება იყო ზვიადის დამხობა და შევარდნაძის ჩამოყვანაო.

„მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები იძულებული გახდნენ ადექვატური ღონისძიებებისათვის მიემართათ, – გარედან მართული რევანშისტებისაგან კონსტიტუციური ხელისუფლების დასაცავად, მთავრობის სახლის წინ კარვები მათაც გაშალეს. პრეზიდენტს არ სურდა მთავრობის სასახლის წინამდებარე ტერიტორია შეიარაღებული გვარდიელებით გაემაგრებინა, ვინძლო სისხლიანი დაპირისპირების პროვოცირება არ მომხდარიყო.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში დაბანაკებული „მხედრიონელები“ სისტემატურად იჭრებოდნენ უნივერსიტეტის შენობაში და სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფასაც კი აყენებდნენ კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერ პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს. „მხედრიონელებთან“ ერთად, ამ მხრივ, აქტიურობდნენ ირაკლი წერეთლის ეროვნულ-დამოუკიდებლობის პარტიის წევრებიც. მაგალითად, მისმა ერთ-ერთმა წევრმა **კობა ხაბაზმა** (შემდგომში მ. სააკაშვილის კანცელარიის მოხელემ და პარლამენტარმა) სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა უნივერსიტეტის მასწავლებელს ქ-ნ კარბელაშვილს. მოგვიანებით, ამ ხაბაზმა უფრო სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა, – მეტრო „რუსთაველთან“ მოახლოებულ კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერ მანიფესტანტებს, მერაბ კოსტავას ეზოს გალავნიდან, აგინა და ფალოსი უჩვენა. ეს იყო ვოლუნტარიზმის თარეში. ამ თავზე ხელაღებულ ვოლუნტარისტებს კი ზურგს უმაგრებდნენ ქვეყნის შიგნით თუ გარეთ მყოფი კომუნისტი ლიდერები, ყოფილი ფუნქციონერები.

ზემოხსენებული რევანშისტული ოპოზიციის თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა, სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდგომ ხელისუფლებაში მოვიდა. უნივერსიტეტის პრორექტორი იდეოლოგიის დარგში ვახტანგ გოგუაძე ხუნტის პარლამენტის სპიკერი გახდა. გოგუაძემ, რომელიც გახლდათ იდეოლოგი საქართველოს ანტისახელმწიფოებრივი ძალებისა, სპიკერად გახდომისთანავე ოფიციალური მადლობა გადაუხადა ხუნტის მთავარ შეიარაღებულ ძალებს:

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

108 **საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებაში დიდი დამსახურებისათვის თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანისათვის მადლობის გამოცხადების შესახებ**

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნასა და ჩამოყალიბებაში დიდი დამსახურებისათვის თენგიზ **კიტოვანსა** და ჯაბა **იოსელიანს** გამოეცხადოთ მადლობა.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 6 მაისი.

ხოლო, 1993 წლის 27 ივლისს, სოჭის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით (აფხაზეთის მხრიდან – სოკრატ ჯინჯოლია) რუსეთს ოფიციალურად ჩააბარა აფხაზეთი და საქართველოს CHГ-ში „შეთრევის“ (ნოდარ ნათაძე) ხელშეკრულებაზეც მოსკოვში მანვე მოაწერა ხელი.

შევარდნაძე-სიგუა-იოსელიანი-გოგუაძე-რჩეულიშვილისა და ერთი მუჭა რუსეთუმე წითელი ინტელიგენციის გადაწყვეტილება სნგ-ში შესვლაზე, სულაც არ გამოხატავდა სრულიად საქართველოს მოსახლეობის ნებას. და არც თვით მაშინდელი პარლამენტარების უმრავლესობისას, არამედ ძალად თავსმოხვეული გადაწყვეტილება გახლდათ.

როგორც ზემოთ ვთქვით, ოპოზიცია მანამდე იყო დაპირისპირებული ზვიად გამსახურდიასთან, ვიდრე იგი ქვეყნის პირველი მმართველი გახდე-

ბოდა და შემდგომი მითი პრეზიდენტ გამსახურდიას დიქტატორობის შესახებ, მათ მიერვე იყო შეთხზული. ოპოზიცია არ იყო გულწრფელი, ოპოზიციამ, უბრალოდ ზვიადის პრიმატი – პრეზიდენტობა ვერ აიტანა. „ოღონდ ზვიადი ნუ იქნება და ვინც უნდა იყოს!“ ასეთ უპასუხისმგებლო და იმპერატიულ განცხადებებს გაიგონებდით მათგან. ყველა ბრალდება ზვიადის წინააღმდეგ ნასაზრდოები იყო პირადი მტრობითა და შურით და რა თქმა უნდა, ქვეყნის ინტერესებიდან არ გამომდინარეობდა. ოპოზიციის, არცერთი წარმომადგენელი, არ გახლდათ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და მოკლებულ იყვნენ სათნოებას, რომ თუნდაც ერთი წელი ეცლიათ ეროვნული ხელისუფლებისათვის, რათა მათ მშვიდ ვითარებაში განეხორციელებინათ რეფორმები და სახელმწიფო მოწყობა. არამედ ისინი, პრეზიდენტს, არაპროფესიონალ კადრებზე უკიჟინებდნენ, მაშინ, როცა თავადაც კარგად უწყოდნენ, რომ 70-წლიანმა საბჭოთა კომუნისტურმა მმართველობამ, ყველაზე მძიმე დაღი სწორედ კადრებს დაასვა. თვით პრეზიდენტიც, ამ მძიმე მემკვიდრეობას, მისი ხელისუფლების „აქილევსის ქუსლად“ განიხილავდა. 1991 წლის 15 ნოემბრის სატელევიზიო გამოსვლაში იგი აღნიშნავდა, რომ სამოცდაათწლიანი კომუნისტური მმართველობის პერიოდში „მოხდა ჩვენი კადრების გახრწნა და გადაგვარება. აი, ასეთ დროს რატომ გიკვირთ, ვერ ვპოულობდე შესაფერის კადრებს თანამდებობებზე?... მოგვაწოდეთ თქვენი კანდიდატურები, მოგვეხმარეთ კადრების შერჩევაში... კადრების უმართებულო შერჩევამ მოიტანა ძალზე სავალალო შედეგები... ვინაიდან ვართ ომის მდგომარეობაში დღიდან ჩვენი არჩევისა...“.

ნამდვილად, „კადრების უმართებულო შერჩევად“ უნდა შეფასდეს, პრეზიდენტის მხრიდან, თენგიზ კიტოვანის, გოგი ხოშტარიას, მურმან ომანიძის, ვახტანგ (ლოთი) ქობალიას მსგავს ოდიოზურ პირთა დანიშვნა მაღალ სახელისუფლებო პოსტებზე. აგრეთვე, საბჭოთა კომუნისტური რეჟიმის პროკურორის, ვახტანგ რაზმაძის დატოვება თანამდებობაზე.

ვ. რაზმაძის მიმართ ამგვარი შემწყნარებლობა ზვიად გამსახურდიას მხრიდან, უთუოდ, პიროვნული მადლიერების გამოხატულება გახლდათ. კერძოდ, საკავშირო ცკ-ს ჰქონდა მცდელობა, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, ჯერ კიდევ 1975 წელს დაეპატიმრებინათ, რისთვისაც, მოსკოვიდან ჩამოვიდნენ რუსეთის „კგბ“-ს წარმომადგენლები დავალებით, რომ ჩაეტარებინათ ჩხრეკა „კოლხურ კოშკში“ არალეგალური ლიტერატურის აღმოსაჩენად. ამისთვის მათ სჭირდებოდათ პროკურორის სანქცია, რაც ვახტანგ რაზმაძეს უნდა გაეცა. მოსკოვიდან მოვლენილმა კგბ-ს წარმომადგენლებმა, ვ. რაზმაძეს კაბინეტში შესაბამისი ბრძანება

წარუდგინეს, მაგრამ ვინაიდან იმ ხანებში, მწერალი კონსტანტინე გამსახურდია უკვე დაუძლურებული გახლდათ, რაზმაძემ, თავის მხრიდან უარი განუცხადა მათ საჭირო სანქციის გაცემაზე და ურჩია, რომ ამისთვის ქალაქის პროკურორისთვის მიემართათ. თუმცა, სანამ სტუმრები ქალაქის პროკურორთან მივიდოდნენ, რაზმაძემ ტელეფონით გააფრთხილა პროკურორი, რომ არ გაეცა სანქცია მათთვის.

რუსეთის სპეც-ჯგუფის „კოლხურ კოშკში“ ჩხრეკისთვის შეჭრას, შესაძლოა, მართლაც დაეჩქარებინა კლასიკოსი მწერლის სიკვდილი, რაც დიდ ხმაურს გამოიწვევდა. მოსკოვიდან მოვლენილი ჩეკისტები, ვახტანგ რაზმაძის მოხერხებით, გაწბილებული დაბრუნდნენ უკან.

ეს, რაც შეეხება მორალურ ფაქტორს; პოლიტიკური ასპექტით კი, იმდროინდელი საბჭოური კანონმდებლობით, მოკავშირე რესპუბლიკებში პროკურორები მოსკოვიდან ინიშნებოდნენ (ასე იყო ბალტიისპირეთის რესპუბლიკებშიც) და ზვიადს, მაშინვე რომც დაენიშნა საკუთარი კადრი, რაზმაძეს შეეძლო არ გადამდგარიყო და რუსეთის დირექტივები განეხორციელებინა, რასაც აკეთებდა კიდეც! რაზმაძის პროკურორის თანამდებობაზე დროებით დატოვება, ძირითადად, ამ ხისტი ვითარებით (შეიძლება ითქვას ორხელისუფლებიანობით) იყო განპირობებული.

არასათანადო კადრების ყოლის მიუხედავად, ეროვნულმა ხელისუფლებამ მაინც შეძლო შეემუშავებინა ეკონომიკური რეფორმების, პრივატიზაციისა და კერძო საკუთრების კომპლექსური პროგრამა, რომლის გახორციელებას პოლიტიკური სტაბილიზაცია და დრო ესაჭიროებოდა, რაც აგენტურული ოპოზიციის მტრული საქმიანობით ვერ იქნა მიღწეული. აგენტურული ოპოზიცია პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას ხელმძღვანელობით პრეზიდენტისაგან კატეგორიულად მოითხოვდა მიწის კერძო საკუთრებაში დაუყოვნებლივ გადაცემას, რაზეც პრეზიდენტი პასუხობდა: *„ის, ვინც დღეს ქადაგებს მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემას მოქალაქეობის კანონის გარეშე, საქართველოს მტერია, ნამდვილი მოღალატეა ჩვენი ეროვნული ინტერესებისა. ჯერ უნდა გვქონდეს მოქალაქეობის კანონი, რომელიც ამჟამად მუშავდება.“*

საწარმოებისა და დაწესებულებების პრივატიზაციამდე კი, პრეზიდენტი ასევე აუცილებლად მიიჩნევდა საქართველოს ეროვნული სიმდიდრეების სრულ ინვენტარიზაციასა და ქონების შეფასებას. მანამდე კი, ქვეყანას აუცილებლად უნდა ჰქონოდა საკუთარი მყარი ეროვნული ვალუტა, რისთვისაც ასევე იზრუნა პრეზიდენტმა; საფრანგეთში დაბეჭდილი ლარისა და თეთრის საქართველოში ტრანსპორტირებას ხელს მხოლოდ არსებული დესტაბილიზაცია უშლიდა.

უზენაესმა საბჭომ შეიმუშავა დადგენილება სახელმწიფოს საწარმოთა პრივატიზების შესახებ (იხ. დადგენილება) და ამ კანონის ამოქმედებასაც, 5 ოქტომბერს დაწყებულმა დესტაბილიზაციამ შეუშალა ხელი.



~~პროექტი~~ 96

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ა დ გ ე ნ ს :

საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1991 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს თავმჯდომარე

თბილისი
1991 წლის 9 სექტემბერი.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური კრედო ამგვარი იყო:



დესტაბილიზაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ფსევდო ეროვნულ-დემოკრატი გია ჭანტურია, საპატიმროდან ასეთ განცხადებებს აკეთებდა: ზვიად გამსახურდიას „არსებობის სულ რამდენიმე კვირა თუ დარჩენია“ და თავის პარტიელებს ემუქრებოდა: „ვინც დღეს საქართველოში ხელს შეუწყობს პოლიტიკურ სტაბილიზაციას, ის ჩვენი პარტიის გარეთ დაიყენებს თავს!“

გია ჭანტურიას პარტიული პროგრამის დევიზში დეკლარირებული დევიზი „საქართველო ქართველებისთვის“, ზვიად გამსახურდიას მიაწერეს, რითაც აქტიურად მანიპულირებდა მისდამი მტრულად განწყობილი ოპოზიცია და ნაციონალური უმცირესობების მტრად და დიქტატორად მოიხსენიებდნენ მას. 2015 წლის 26 აგვისტოს, რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, ხელი მოაწერა რა ბრძანებულებებს „რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის თაობაზე,“ – განაცხადა, რომ „1991 წელს საქართველოს პრეზიდენტმა გამსახურდიამ მოწოდებით – „საქართველო – ქართველებისთვის,“ უბრძანა სოხუმსა და ცხინვალზე შეტევა“.

ასე პროპაგანდისტულად და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოდ იმუშავა გია ჭანტურიას დევიზმა პრეზიდენტ

ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, ხოლო დევიზის რეალური ავტორი ჭანტურია კი ქვაბავაზაკურად იღიმოდა.

ქვეყანაში მიმდინარე დესტაბილიზაცია, თავისი სახიფათო ესკალაციით, სიმშვიდის საფუძველს არ ქმნიდა, რაც შფოთში აგდებდა სრულიად საქართველოს მოსახლეობას. მათმა დიდმა ნაწილმა თბილისში მოიყარა თავი. ისინი ოპოზიციას ხელისუფლებასთან შერიგებისაკენ მოუწოდებდნენ. ზვიად გამსახურდია გამოთქვამდა მზადყოფნას და სურვილს ოპოზიციასთან დიალოგისა, მაგრამ ოპოზიციას არ სურდა დიალოგი, არამედ მხოლოდ გადადგომა. შერიგების მოთხოვნით მსხვერპლშეწირვის ულმობელი აქტი განახორციელა ახალგაზრდა ექიმმა (კარდიოლოგმა) **გია აბესაძემ** – მან რუსთაველზე (ედპ-ს შტაბ-ბინასთან) ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა.

«თუ ქართველთა შერიგებას და საქართველოს აღორძინებას მსხვერპლი სჭირდება, დაე, ეს მსხვერპლი მე ვიყო. ღმერთმა ქნას – ბოლო. შვილო, მაპატიე, ვიცი, რომ გამიგებ». ეწერა ექიმ აბესაძის მიერ დანატოვარ ბარათში. აბესაძის გამაოგნებელი მსხვერპლშეწირვისა და დიდუბის თელასზე შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლთა გამო საქართველოს მთავრობამ გლოვის დღე გამოაცხადა (იხ. დადგენილება).

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

თელასზე 26 სექტემბრის თავდასხმის დროს დაღუპულთა ხსოვნის და რუსთაველის პროსპექტზე დამწვარი გია აბესაძის პატივსაცემად ამა წლის 1 ოქტომბერს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით რესპუბლიკაში ცხადდება გლოვის დღე. სამგლოვიარო მიტინგი გაიმართება მთავრობის სახლთან დღის 3 საათზე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

თელასზე შეიარაღებული თავდასხმის სატელევიზიო საინფორმაციო კადრებში, უზენაესი საბჭოს დეპუტატი გელა ჩორგოლაშვილი წარმოჩინდა. ჩორგოლაშვილმა პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში უარყო თავისი მონაწილეობა და კავშირი ამფეთქებლებთან და აფეთქების, მხოლოდ შემთხვევით თვითმხილველად დაასახელა თავი.

კრემლიდან მართული ქართველი ოპოზიციონერები კი, შერიგებას, არაფრის ფასად არ აპირებდნენ, არამედ მხოლოდ ნგრევას და ომს!

პირველი მკვახე ბრალდება, რაც რენეგატმა ოპოზიციონერებმა ზვიად გამსახურდიას წაუყენეს, ეს გახლდათ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედებაში დატოვება და 1921 წლის კონსტიტუციის აღუდგენლობა. ეროვნული ხელისუფლების მიერ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედებაში დატოვება დროებითი იყო, რაც გარდამავალი პერიოდისათვის უალტერნატივო აუცილებლობას წარმოადგენდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და შენარჩუნების თვალსაზრისით. ეს კონსტიტუცია არ წარმოადგენდა ახალ რედაქციას, არამედ, ამ კოსტიტუციაში, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს მიერ შეტანილ იქნა ძირეული ცვლილებები ახალი პოლიტიკური მოწყობის სისტემით. ამასთანავე, აღნიშნულ კონსტიტუციაში პირველად ჩაიდო, ადამიანთა უფლების დაცვის საკითხში, საერთაშორისოდ აღიარებული დემოკრატიული უფლებები და ნორმები. მასში, საბჭოური კონსტიტუციის არცერთი პუნქტი არ იქნა დატოვებული. პარალელურად დაისახა ახალი კონსტიტუციის შექმნის გეგმა.

ჯერ კიდევ, კანონიერი ეროვნული ხელისუფლების არსებობის პირობებში, 1992 წლის 2 იანვარს, სამხედრო საბჭომ (სიგუა-კიტოვანი-იოსელიანი-ყარყარაშვილი), საერთაშორისო ნორმების სრული უგულვებელყოფით, გააუქმა მოქმედი 1978 წლის (გარდაქმნილი) კონსტიტუცია. ქვეყანა კონსტიტუციურ ვაკუუმში აღმოჩნდა. ხუნტა ჩქარობდა!

1992 წლის 18-20 იანვარს, ტექნიკური ბიბლიოთეკის (კოსტავას ქ.) დარბაზში, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების თავკაცის, **მიხეილ ქურდიანის** თავმჯდომარეობით, ჩატარდა ეროვნული კონგრესის მორიგი სესია. სესიაზე, ირაკლი წერეთელმა, გოგა ხაინდრავამ, თენგიზ შარმანაშვილმა, ვაჟა მთავრიშვილმა, ივლიანე ხაინდრავამ შეაფასეს რა შექმნილი პოლიტიკური ვითარება, მიიღეს რეზოლუცია. მიღებული რეზოლუციის მიხედვით ზვიად გამსაურდიას ხელისუფლება გამოცხადდა უკანონოდ, რადგან მოქმედებდა 1978 წლის კონსტიტუციით და შეფასდა დანაშაულებრივ, ავტორიტარულ რეჟიმად. ე.წ. ეროვნული კონგრესის ამ მე-17 სესიის გადაწყვეტილებით, ქვეყნის ძირითად საკანონმდებლო აქტად მიჩნეულ იქნა 1921 წლის კონსტიტუცია. არჩევნებში მონაწილეო-

ბის უფლება მიეცემოდა მხოლოდ იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც აღიარებდნენ 1921 წლის კონსტიტუციას.

ზემოხსენებულ სესიაზე, ირაკლი წერეთელმა, მოითხოვა მიღებულიყო დეკლარაცია დემოკრატიული რევოლუციის შესახებ, გაუქმებულიყო პრეზიდენტის ინსტიტუტი და უზენაესი საბჭო. მიეღოთ გადაწყვეტილება ზვიად გამსახურდიას, როგორც არაკანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლის, დაპატიმრების შესახებ.

წერეთელმა, აგრეთვე განაცხადა, რომ ქვეყანაში სტაბილიზაციის დამკვიდრების მიზნით, იგი თანახმაა, რომ საქართველო შევიდეს დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობაში. თუმცა, წერეთელმა მალევე სრულიად საპირისპირო განცხადებაც გააკეთა: საქართველომ არანაირი ხელშეკრულება არ უნდა დადოს რუსეთთან; სანამ არჩევნები არ ჩატარდება, საქართველოს СНГ -ში შესვლაზე ლაპარაკი ნადრევია. ეროვნული კონგრესის ამ მე-17 სესიის რეზოლუციაში შეტანილ იქნა მოთხოვნა ეროვნული კრების ჩატარების შესახებ.

ყოვლად უპრინციპო და პოლიტიკურ ორიენტაციაში ლერწამივით მერყევი წერეთელი, რომელიც „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის“ დამფუძნებელი და საქართველოს ნატოში გაწევრიანების მომხრე გახლდათ, ახლა ოკუპანტ რუსეთს უმზერდა ლმობიერად. ხოლო, კიტოვანთან ერთად, მანაც ჰაუბიცები და ტყვიები დაახალა ახალფეხადგმულ დამოუკიდებელ საქართველოს.

პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებისა და კოალიციური მთავრობის შექმნის წინადადებით გამოდიოდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატებიც: გურამ მუჩაიძე, ვაჟა ხაჭაპურიძე, ფრიდონ დოჩია და სხვ. (იხ. დოკუმენტი მომდევნო გვერდზე).

ძვირფასო თანამემამულენო!

საქართველოში ვითარება უკიდურესად დაიძაბა.ჩვენ ყველა სამოქალაქო ომის რეალური საფიშროების წინაშე ვდგავართ.

პრეზიდენტის მცდარმა კონცეფციამ "ჯერ დამოუკიდებლობა,მერე დემოკრატია" კრახი განიცადა და შეაფერხა ჩვენი წინსვლა სანუკვარი მიზნისაკენ.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საბჭოს მიაჩნია,რომ დღეს საქართველოში მომქმედ არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ ძალუძს თავის თავზე აიღოს ქვეყნის მართვა-გამგეობის მთელი პასუხისმგებლობა.გარდამავალ ეტაპზე აუცილებელია ამ პასუხისმგებლობის გადანაწილება არსებულ პოლიტიკურ პარტიებზე.სხვანაირად ეროვნული თანხმობა და სტაბილიზაცია არ მიიღწევა.

ქართველი სოციალ-დემოკრატების წინადადებებია:

1. პრეზიდენტის გადადგომით ერთი დიქტატორი შეიძლება შეიცვალოს მეორეთი.ამიტომ საერთოდ უნდა გაუქმდეს პრეზიდენტის ინსტიტუტი.საქართველო ჯერ არაა მზად ამისათვის.სახელმწიფო მონოპოლიზმის პირობებში პრეზიდენტის ინსტიტუტს პიროვნებათა მრწამსის მიუხედავად ავტორიტარიზმისაკენ მივყევართ;

2.განახლებულ იქნას დამოუკიდებელი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მოქმედება. ეს უნდა მოხდეს უზენაესი საბჭოსა და ეროვნული კონგრესის ერთობლივ სხდომაზე;

3.პარიტეტულ საწყისებზე ჩამოყალიბდეს საქართველოს დამფუძნებელი კრება,რომელშიც თითოეული მომქმედი პოლიტიკური პარტიიდან დელეგირებული იქნება 10-15 დეპუტატი.ამასთან უნდა იქნას უზრუნველყოფილი ავტონომიური ფორმირებების,ეროვნული უმცირესობების და უპარტიოების წარმომადგენლობა.თვითდათხოვნილი იქნენ უზენაესი საბჭო და ეროვნული კონგრესი;

4.შეიქმნას კოალიციური მთავრობა.მინისტრების პორტფელები განაწილდეს მომქმედ პოლიტიკურ პარტიებზე.

ქართველი სოციალ-დემოკრატები მოუწოდებენ პრეზიდენტს,ბატონ ზვიად გამსახურდიას,ყველა პოლიტიკურ პარტიას დაუყოვნებლივ დაიწყოთ შემოთავაზებული წინადადებების განსახილველად შეხვედრა-კონსულტაციები.

ამასთან აუცილებლად მიგვაჩნია ბუშის,გორბაჩოვის და შევარდნაძის დანძლვა-გინების შეწყვეტა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საბჭო
(თავმჯდომარე გუსო მუჩაიძე)

თბილისი,1991 წლის 14 სექტემბერი

მოადგილე, ეროვნული ფრონტი
ლონგინ

ხუნტამ, თებერვლის დასაწყისში, სპორტის სასახლეში ორგანიზება გაუკეთა ე.წ. ეროვნული ყრილობის (კრების) მოწვევას, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ. თავისთავად ყრილობა არ წარმოადგენდა ლეგიტიმურ ორგანოს და ცხადია მას ამგვარი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღების უფლება არც ჰქონდა. მოქმედი კონსტიტუციის გაუქმებითა და

1921 წლის კონსტიტუციის აღდგენით, ხუნტამ, მოშალა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის სამართლებრივი მექანიზმები, რაც რუსეთის იმპერიის პირდაპირ ინტერესებში შედიოდა და ხელ-ფეხს უხსნიდა სეპარატისტებს.

ეროვნულმა ხელისუფლებამ, სწორედ ამგვარი საფრთხის სრულად გამორიცხვის მიზნით იმთავითვე თქვა უარი 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის აღდგენაზე, რამეთუ, მოცემულ ვითარებში, სსრკ იმპერიული კონსტიტუციისაგან დამცავ მექანიზმად იგი არ გამოდგებოდა! აფხაზმა სეპარატისებმაც არ დააყოვნეს! ისარგებლეს რა შექმნილი სიტუაციით, თავიანთი უზენაესი საბჭოს 1992 წლის 23 ივლისის სესიაზე მიიღეს მთელი რიგი ანტიკონსტიტუციური აქტებისა. კერძოდ: გამოაცხადეს (1991-92 წლებში ცვლილებებით და დამატებებით) 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტა და აღადგინეს აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუცია, რითაც სამართლებრივად უზრუნველყვეს აფხაზეთის გასვლა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობიდან.

დევნილობაში მყოფმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, შევარდნაძეს, ჯერ კიდევ მაისში გამოუგზავნა საპროტესტო წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: „აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში გაიმარჯვა სეპარატისტულმა ტენდენციამ და ანტიქართულმა კურსმა. უნდათ რომ შემოიღონ აფხაზეთის მოქალაქეობის კანონი... შეიქმნა აფხაზური გვარდია, მოიხსნა ქართველი მინისტრების უმრავლესობა, რაც პირდაპირი შედეგია თქვენს მიერ მოწყობილი პუტჩისა... კანონიერი კონსტიტუციის ვითომცდა შეჩერებისა, ძველი კონსტიტუციის, ვითომცდა აღდგენისა... საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში ჩაწერილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი, სამართლებრივად განსაზღვრულია მისი დაქვემდებარება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისადმი. ამ კონსტიტუციის შეჩერებით თქვენ ჩაიდინეთ უდიდესი დანაშაული ქართველი ერის წინაშე, რითაც აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩამოაშორეთ საქართველოს. აფხაზეთის დღევანდელი ხელისუფლება იმით ამართლებს თავიანთ სეპარატიზმს, რომ საქართველოს ახალი კონსტიტუცია აღარ არსებობს, ხოლო ძველში აფხაზეთის ავტონომია საერთოდ არ არის ნახსენები...“

ხუნტამ, პოლიტიკურ ოპოზიციასთან ერთად, ჯერ კანონიერი ეროვნული ხელისუფლების იარაღით დამხობით, ხოლო შემდგომ მოქმედი კონსტიტუციის გაუქმებით შეამზადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევა. პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ კი, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მიზნით გააკეთა იძულებითი არჩევანი

– გარდამავალი პერიოდის დროებითი ძირითადი კანონი, კვლავ, 1978 წლის კონსტიტუციაზე დააფუძნა, რომლიდანაც ამოიღო მთელი რიგი მუხლები, შეიტანა ფუნდამენტური ცვლილებები და დამატებები. ხოლო, პარალელურად შექმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც დაევალა 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის საფუძველზე შეემუშავებინა საქართველოს ახალი კონსტიტუცია.

მეორე ბრალდება, რაც პრეზიდენტის მისამართით გაისმოდა აგენტურული ოპოზიციის მხრიდან, გახლდათ „პოლიტპატიმრების“ არსებობა. ე. შევარდნაძესთან ფარულ ალიანსში მყოფი ჭანტურიას, ხაინდრავას, იოსელიანის, სარიშვილის, გიორგაძის... აშკარად კრიმინალური და დესტრუქციული ქმედებები სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას: აუცილებელი შეიქმნა გია ჭანტურიას, თემურ ტალახაძის, გიორგი ხაინდრავას, ჯაბა იოსელიანის დროებითი იზოლაცია (პრეზიდენტი სწორედ ამგვარ პრევენციულ ღონისძიებაზე ლაპარაკობდა) და ისინი 1991 წლის 16 სექტემბერს დააპატიმრეს. ჭანტურიას შეიარაღებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ბანდფორმირება „მხედრიონთან“ ერთად სჩადიოდა სხვადასხვა სახის კრიმინალურ დანაშაულს, რის შედეგადაც ერთობ დაიძაბა კრიმინოგენული ვითარება რესპუბლიკაში. გია ჭანტურია, აგრეთვე გახლდათ პრაღის კონფერენციის 24-ე რეზოლუციის (1990 წლის 4-6 ივლისი) ერთ-ერთი თანაავტორი (ხელმომწერი), რომელშიც მიზანმიმართულად ჩაიწერა დეზინფორმაცია, რომ თითქოს, ზვიად გამსახურდია მტრობს ყველა ნაციონალურ უმცირესობას და მიტინგებზე მათი გასახლების მოთხოვნებს აყენებსო!

პატიმრობაში მყოფმა გია ჭანტურიამ და გოგა ხაინდრავამ, პრეს-კონფერენციაც კი მოაწყვეს ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის ციხის კედლებში, რისთვისაც ხელი არაფრით შეუშლია „დიქტატორ გამსახურდიას“.

დისიდენტების საერთაშორისო თავყრილობის ორგანიზატორმა ვაცლავ ჰაველმა, ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ დისიდენტების ერთი ჯგუფის მიერ შემუშავებულ ამ 24-ე რეზოლუციას, თავად არ მოაწერა ხელი, რასაც კმაყოფილებითა და მოწონებით აღნიშნავდა ზვიადი. მისთვის ყველაზე მეტად მტკივნეული იყო ამ ცილისმწამებლურ რეზოლუციაზე ვლადიმერ ბუკოვსკისა და პარუი აირიკიანის ხელმოწერა. სომეხი დისიდენტი პ. აირიკიანი, რომელიც მერაბ კოსტავასთან ერთად იხდიდა სასჯელს, 1987 წელს ჩამოსული იყო თბილისში ზვიადთან. მასთან შეხვედრებსა და საუბრებს, მერაბ კოსტავასთან ერთად „კოლხურ კოშკში“ მეც

ვესწრებოდი. დაისახა ერთობლივი მოქმედების გეგმა და პ. აირიკიანი ამ შეხვედრითა და საუბრებით, თითქოს დიდად კმაყოფილი გაემგზავრა საქართველოდან, ასე ჩანდა, მაგრამ შემდეგ ცნობილი გახდა ამ რეზოლუციაზე მისი პირველი ხელმოწერა, რამაც ძალზე დაამწუხრა ზვიადი.

4—6 июля с. г. по инициативе организации «Демократия и независимость» в Праге состоялась международная конференция, в работе которой принимали участие диссиденты, бывшие политзаключенные, политологи и политические деятели, философы и представители международных благотворительных организаций, а также политэмигранты.

От Грузии в работе конференции принимали участие Георгий Чантурия, Ирина Саришвили, Тенгиз и Эдуард Гудава.

Конференцию открыл президент Чехии и Словакии господин Вацлав Гавел.

Конференция приняла ряд резолюций. Предлагаем вашему вниманию одну из них.

Резолюция № 24

ОБ ЭТНИЧЕСКИХ КОНФЛИКТАХ В ГРУЗИИ

В последнее время в Грузии возник ряд этнических конфликтов, что не может не тревожить нас, как членов организации, поставившей себе целью координацию национально-освободительной активности в Советской империи. Этноконфликты губительны не только сами по себе: они наносят серьезный ущерб престижу национально-освободительных движений народов СССР, уводят эти движения на путь, ничего общего не имеющий с демократией. Выяснение вопроса — кто прав, а кто виноват в каждом конкретном этноконфликте далеко завело бы нас. Однако факт, что в механике развития каждого этноконфликта принимают участие и коммунистические имперские силы, и провокаторы обеих конфликтующих сторон. Исходя из основных принципов нашей организации: защиты демократических ценностей, прав человека, прав наций и национальных меньшинств — мы выступаем с равным осуждением всех сторон, разыгрывающих сценарий межнациональной вражды.

Анализируя этноконфликты в Грузии, мы хотим подчеркнуть провокационную суть действий ряда сил этнических меньшинств, раздувающих межнациональные распри.

В связи с этим наше беспокойство не может не вызвать то, что в грузинском национальном движении выделилась группа лиц и организаций, которые стоят на позициях национальной нетерпимости, антидемократизма и силового решения межэтнических проблем.

Деятельность альянса, возглавляемого Гамсахурдиа, противоречит международным нормам по правам человека, сформулированным в Заключительном акте Хельсинкского совещания.

Выступая на локальных митингах, Звиад Гамсахурдиа постоянно поднимает антидемократический лозунг выселения этнических меньшинств, проживающих в Грузии, тем самым натравливая последних на грузинское национально-освободительное движение.

Хотим подчеркнуть, что наряду с этим негативным явлением в грузинском национальном движении существует сильное демократическое крыло. Мы высоко ценим шаги Национального форума Грузии и Координационного центра грузинского национального движения, которые привлекли к работе первого Национального съезда Грузии (23—25 мая 1990 г.) представителей практически всех национальных меньшинств Грузии и стараются решать межэтнические проблемы путем переговоров и демократической процедуры. Эти усилия выражаются в идее всеобщих демократических выборов в Национальный Конгресс Грузии, намеченный 30 сентября с. г., в которых национальным меньшинствам гарантируется равноправное участие.

Мы верим, что только таким образом, только консолидируя демократические усилия всех народов, можно добиться межэтнического мира, без которого невозможно построить демократическое, правовое и свободное общество.

Резолюцию подписали:

Паруйр АЙРИКЯН (США); Ирина РАТУШИНСКАЯ (Британия); Яков СУСЛЕНСКИЙ (Израиль); Иосиф ЗИСЕЛЬС (Украина); Эдуард ГУДАВА (США); Тенгиз ГУДАВА (ФРГ); Анатолий Щибико (Украина); Олена ПРОЦИВ (представитель Национальной партии Украины); Петро РУБАН (США); Игорь ГЕРАЩЕНКО (Британия); Доброслав БАРАГА (лидер Национально-демократического движения Хорватии); Георгий МАЛИЗДИА (Грузия); Анна СЕМТИНУРАТОВА (США); Арво ВАЛТОН (Эстония); Витаутас СКУОДИС (США); Ашот НАЗАРЯН (Армения); Карен АГУЛЯН (Франция); Хейки АХОНЕН (ФРГ); Николае ЛУПАН (Румыния); Анна ЛУПАК (Румыния); Владимир БУКОВСКИЙ (Британия); Юрий ЯРИМ-АГАЕВ (США); Тофик ГАСЫМОВ (Азербайджан); Араз АЛИ-ЗАДЕ (Азербайджан); Янис РОЗКАЛНС (Латвия); Карен СИМОНЯН (Армения); Петрас ВАИТЕКУНАС (Литва); Александр ПОДРАБИНЕК (Россия); Анатолий КОРЯГИН (Швейцария).

სწორედ ამ ინსინუაციურ რეზოლუციას ბეჭდავდა ანტიქართული ოპოზიციური გაზეთი „ქართული ფილმი“, რასაც ხელი შეუშალა კანონიერი ხელისუფლების აღშფოთებულმა მომხრეებმა. „რეზოლუციის“ ხსენებულ გაზეთში გამოქვეყნება მიზნად ისახავდა არაქართველი მოსახლეობის პროვოცირებას და აჯანყებას ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ, ეთნიკური კონფლიქტების კერების წარმოქმნას საქართველოს რეგიონებში. გარდა ამისა, ჯ. იოსელიანი საკუთარი ბანდფორმირება „მხედრიონით“ ახდენდა სისტემატურ თავდასხმებს საქართველოში დისლოცირებულ რუსეთის სამხედრო ნაწილებზე, სამხედრო ტექნიკის მიტაცების მიზნით, რითაც რუსეთის სამხედრო აგრესიის პროვოცირებასაც იწვევდა, თუმცა კრემლი და მისი სამხედრო უწყება ისედაც საკმარისად აიარაღებდა მის მიერვე შექმნილ ქართულ „მხედრიონს“.

პრაღის 24-ე კონფერენციის მონაწილენი სხვადასხვა ქვეყნებიდან. საქართველოდან: გია ჭანტურია (მეოთხე რიგის ბოლოში), მის წინ — ირინა სარიშვილი, სარიშვილის ხელმარცხნივ — თენგიზ გუდავა, გუდავას გვერდით — პარუირ აირიკიანი, მესამე რიგის მარჯვნივ პირველი (თეთრ სამოსში) დგას ედუარდ გუდავა, გუდავადან მესამე — ივლიანე ხაინდრავა, 1990.

ამ მრავალრიცხოვან პერსონალთა ფოტოზე, მარცხნიდან ჩამჯდარ მდგომარეობაში პირველი (თეთრი კოსტუმითა და ზოლებიანი ჰალსტუხით) პროფილით, თუმცა ძალიან ჰგავს მიხეილ სააკაშვილს, მაგრამ ჩემი მრავალმხრივი გადამოწმების შედეგად იგი რეალურად აღმოჩნდა ამერიკელი **იური იარიმ აგაევი**. ინფორმაციის გადასამოწმებლად ინტერნეტ-მიმოწერა ვაწარმოე ამერიკაში მცხოვრებ ძმებ გუდავებთან, რომლებთანაც მე, დისიდენტური წარსულიდან, პირადი ნაცნობობა მაკავშირებდა. თენგიზ გუდავამ მომწერა: „ეს პიროვნება გახლავთ იური იარიმ-აგაევი, ცენტრფორდ დემოკრასის პრეზიდენტი. მიხეილ სააკაშვილს ჩვენთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. პატივისცემით- თენგიზ გუდავა, 30 ივლისი, 2008“. ასევე, ამერიკაში მცხოვრებმა დოდონა კიზირიამ თავის წერილობით პასუხში ეჭვი შეიტანა ფოტოზე ჩემს მიერ სააკაშვილად მიჩნეულ პიროვნებაში და არ დაადასტურა ჩემი ვარაუდი. ასევე, ვერ დაადასტურეს სააკაშვილის ნამდვილობა მამუკა გიორგაძემ და ირინა სარიშვილმაც, რომლებსაც მე ინფორმაციისათვის პირადად მივმართე. თუმცა, ვერც ჩემთვის საინტერე-

სო პირის ვინაობა დაასახელეს: ყველას არ ვიცნობდითო. თენგიზ გუდავას პასუხმა გაფანტა ყველა ეჭვი სააკაშვილის პრაღის კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ, რაც ვრცელდებოდა სააკაშვილის სხვადასხვა ოპოზიციონერების მხრიდანაც ინტერნეტ-საიტებით.

მესამე ინსინუაციური ბრალდება აგენტურული ოპოზიციის მხრიდან გახლდათ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ, ვითომცდა მოსკოვის პუტჩისადმი მხარდაჭერა და ეროვნული გვარდიის დაშლა.

რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ სიგუა წინასწარ იყო ინფორმირებული მოსკოვში მოსალოდნელი „პუტჩის“შესახებ. ამგვარი ვარაუდი საფუძველს არ იყო მოკლებული; ანალოგიურ დასკვნამდე მივყავართ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნემო ბურჭულაძის ნაამბობსაც: „სიგუას გადადგომა... უფრო გარეთ იყო შეთანხმებული სხვა ძალებთან... მისი გადადგომა მოულოდნელი იყო... მოგეხსენებათ, მოსკოვის პუტჩი 19-ში დაიწყო, მან კი გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა 16-ში, ხოლო 17-ში პრეზიდიუმის სხდომაზე მოიტანა...“.

მაღალი და საპატიო თანამდებობიდან ასე ვერაგულად გაპარული სიგუა, სახელმწიფო ტელევიზიასთან და რესპუბლიკის მოედანზე მის მიერ ორგანიზებულ მიტინგებზე, შეიარაღებულ ოპოზიციას „დიქტატორი გამსახურდიას“ დამხობისკენ მოუწოდებდა.

რაც შეეხება კიტოვანსა და მის გვარდიას, პრეზიდენტს იგი არ დაუშლია, მხოლოდ სახელწოდება შეუცვალა, რათა დაეცვა გვარდია იმპერიის შესაძლო აგრესიისაგან. პრეზიდენტის 19 აგვისტოს ბრძანებულებაში – „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები – ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ“, 1 მუხლში მითითებული იყო: „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები – ეროვნულ გვარდიას მიეცეს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვედანაყოფის სტატუსი“.

საქართველოს გვარდიის მილიცია სტრუქტურებში დროებითი შეყვანა (მითუმეტეს, როდესაც, თავდაპირველად, გვარდია სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემდებარედ შეიქმნა) წინგამხედვარე გონივრული ტაქტიკა იყო ახალშექმნილი გამოუცდელი და ჯერაც არასაკმარისად, შეუიარაღებელი გვარდიის გადასარჩენად; არაფერი იყო დასაძრახი ახალფეხადგმული დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტის სიფრთხილეში. პრეზიდენტს, საგანგებო მდგომარეობის დროს ამგვარი ბრძანებულებისა და განკარგულების გაცემის უფლება კონსტიტუციით ჰქონდა მინიჭებული *(მუხლი 121[4]—ის 22 პუნქტის მეორე ნაწილი და მუხლი 121[6]).*

კიტოვანის გვარდიის რკონში დისლოკაციის მიზეზად, პრეზიდენტის მიერ გვარდიის სტატუსის შეცვლის დასახელება, სინამდვილეში

იყო საბაბი, რათა კიტოვანს, პრეზიდენტის (როგორც მთავარსარდლის) კონტროლიდან გამოეყვანა გვარდიის ნაწილები და ადვილად განეხორციელებინა პუტჩი. იგი სიგუას ინსტრუქტაჟით მოქმედებდა. სიგუა კი უშუალო კავშირ-ურთიერთობაში იმყოფებოდა კრემლთან, რასაც ადასტურებს ეს დოკუმენტიც (იხ დოკუმენტი):

საქართველოს რესპუბლიკა
1991წ №188 27 სექტემბერი

ობიექტურ მკითხველს, ალბათ, დააინტერესებს ამდენი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია...

მართლაც ძალიან ძნელი გასაგებია ვინ ვის მხახურობს და ვის წისქვილზე ახხამს წყალს.

ახეთ ვითარებაში, უველას ხალუთარი სინდისის გაყოლა გვმართებს, ვაღიაროთ კანონის უზენაესობა და ბრმად ნუ ავყვებით ხხვადასხვა პოლიტიკური მიზნებით დაინტერესებულ დაჯგუფებებს...

იუდას რეისი

ხუნტის ტაბ-ბინაში, მაენაბადაზე, რომელიც ეროვნული გვარდიის ნაწილებმა დაიკავეს ა. წ. 26 სექტემბერს, აღმოჩნდა თვითმფრინავის ბილეთი, რომლითაც ხუნტის მეთაური თენგიზ სიგუა ა. წ. 12 სექტემბერს ბაქოდან მოსკოვს გადაფრენილა „შეფებისგან" ახალ-ახალი ინსტრუქციების მისაღებად და იანაევის დაკითხვის ოქმის „საშოვნელად".

ითლი მისახედრია, რომელ დაწესებულებაში ინახება ასეთი ოქმები. ისიც ცნობილია, რომ ეს დაწესებულება მხოლოდ თავის ერთგულ და შემოწმებულ აგენტებს თუ ანდობს ამგვარ ოქმებს. ცნობილია აგრეთვე, თუ როგორ ეთითხნიან ისინი მსგავს დოკუმენტებს თავიანთ პოლიტიკურ მტრებს.

ბარაქალა, ბატონო თენგიზ!

უკვე ნათელია, თუ ვინ მართავს თქვენს ხუნტას და ვისი ინსტრუქციებით მოქმედებთ.

გვერწმუნეთ, ბატონო თენგიზ, მაგ. ბლთი გვერასოდეს დაიბრალებთ სკამს, რომელსაც ბაბან ხართ შესწიროთ მთელი საქართველო.



1991 წლის 4-5 ოქტომბრის შეტევის მცდელობა მთავრობის სასახლეზე პუტჩის პირველი მანევრი იყო, რაც ხელისუფლებისა და მისი უიარაღო მხარდამჭერების ძალისხმევით მოგერიებულ იქნა, თუმცა, პუტჩისტებმა მაინც დაღვარეს სისხლი, დაჭრეს 70-მდე კაცი და მოკლეს ერთი ახალგაზრდა – **გია ტეტელაშვილი.** მკვლელის ვინაობა ათი წლის დაგვიანებით გახდა ცნობილი; 2001 წლის 1 ნოემბერს, პირველი არხის სატელევიზიო შოუში „რას ფიქრობს ხალხი“ (წამყვანი ეკა ბერიძე), კინორეჟისორმა და შევარდნაძის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ელდარ შენგელაიამ, ტეტელაშვილის მკვლელობაში პირდაპირ ამხილა სახელმწიფო რადიო და ტელეკორპორაციის პრეზიდენტი ზაზა შენგელია (ყოფილი კომკავშირის ცკ-ს მდივნისა და შევარდნაძის კულტურის მინისტრის სესილი გოგიბერიძის მეუღლე). შეიარაღებულ გადატრიალებაში აქტიური მონაწილეობისათვის, ზ. შენგელია, შევარდნაძემ, ჯერ თბილისის მერიაში დააწინაურა, ხოლო შემდგომ კი ზემოხსენებულ თანამდებობაზე, სადაც მას ჟურნალისტი თანამშრომლები კორუფციაში ამხელდნენ და გადადგომის მოთხოვნით გაფიცვებს უწყობდნენ. მის წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურად ილაშქრებდა სამეგრელოში დაღუპული ჟურნალისტის დათო ბოლქვაძის დედა ლია ისიანი-ბოლქვაძე, რომელიც მას საგაზეთო მუქარებით ამხელდა: „ზაზა შენგელიავ, მაინც ამოგთხრი!“

ზაზა შენგელიას, შემდგომ მაინც მოუწია თანამდებობის დატოვება და იგი შოუ-ბიზნესებში გადავიდა.

„ГКЧП“-სადმი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულება კი ასეთი გახლდათ: „პოლიტიკური შეფასება მომხდარი გადატრიალებისა ძალზე რთულია, ვინაიდან, ჯერ-ჯერობით არ არის ნათელი ნამდვილი გადატრიალებაა ეს, თუ მხოლოდ გარიგება ან შოუ....“ საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია მოსკოვის პუტჩის მიმართ, თავისი კატეგორიულობით, გაბედულობითა და პირდაპირობით მნიშვნელოვნად აღემატებოდა სხვა ქვეყნების მეთაურთა პოზიციებს (შედარებისათვის იხილეთ იმ პერიოდის რუსული პრესა). მიუხედავად ამისა, სიგუა-იოსელიანი-კიტოვანი ზვიადს „მშიშრობასა და კურდღლობაში“ ადანაშაულებდნენ და ამგვარად, სრულიად უმართებულოდ აკნინებდნენ და შეურაცხყოფდნენ მას. ზვიად გამსახურდია ქმედითადაც ჩაება მოსკოვის პუტჩში, დემოკრატიულად არჩეული რუსეთის ხელისუფლების მხარდასაჭერად

მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში მიავლინა თავისი წარმომადგენლები – დეპუტატები (ირაკლი მელაშვილი და სხვები), რომლებიც გამოდიოდნენ მიტინგებზე, სადაც ფრიალებდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დროშა.

მოსკოვის პუტჩის („ГКЧП“) დღეებში საქართველოში გამოცოცხლდნენ და გააქტიურდნენ ქართველი კომუნისტები, რომელთაც სათავეში ედგა საქართველოს ცკ-ს უკანასკნელი მდივანი **ავთანდილ მარგიანი**. მასთან ფარულ ალიანსში იმყოფებოდა „წითელი დისიდენტი“ **გურამ მამულია**. ისინი ღიად მიემხრნენ მოსკოვის პუტჩს, რითაც მათ გამოავლინეს თავიანთი მტრული დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პროცესებისადმი. მოსკოვის პუტჩისადმი კომუნისტი პარლამენტარების მხარდაჭერა, თანხვედრი იყო პუტჩის ორგანიზატორების იმპერიული მიზნებისა, ეს იყო არა გადატრიალება, არამედ საბჭოთა კავშირის შენარჩუნების მცდელობა. პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, თვითლუსტრირებული ორთოდოქსი კომუნისტები, პარლამენტიდან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაითხოვა და საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ სსრკ შეიარაღებულ ძალებსაც საოკუპაციო ჯარის სტატუსი მიანიჭა, რის გამოც, აგრეთვე მსოფლიო მასშტაბის ხმაური ატეხეს ოპოზიციურმა ძალებმა.

ოპოზიცია, პრეზიდენტს, აგრეთვე ბრალს დებდა ტელევიზიის მონოპოლიზებასა და გაზეთების დახურვაში, რაც, აგრეთვე არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ვინაიდან, გრძელდებოდა ათამდე ოპოზოციური გაზეთის გამოცემა და თვით სამთავრობო გაზეთებშიც იბეჭდებოდა ოპოზიციის წერილები, ხოლო სახელმწიფო ტელევიზიაში ოპოზიციისათვის არსებობდა „ალტერნატიული საათი“, შეუფერხებლად იცემოდა წითელი ინტელიგენციის წიგნები და მათი რეაქციული წერილები ქვეყნდებოდა სამთავრობო პრესაშიც (“საქართველოს რესპუბლიკა“, „თბილისი“, „ლიტერატურული საქართველო“). პრეზიდენტმა ახალი, რეალპოლიტიკის გათვალისწინებით მიზანშეუწონლად მიიჩნია მხოლოდ კომკავშირული გაზეთის „მოლოდიოჟ გრუზიის“ არსებობა, რომლის გამოცემა შეწყდა.

გია ჭანტურია და 2 სექტემბრის მიტინგის პოლიტიკური ანატომია

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დემოკრატიული მმართველობის პირობებში ოპოზიციას ეძლეოდა მიტინგების ჩატარების სრული თავისუფლება შეუზღუდავ ადგილებში. ხელისუფლების დამხობის მოწოდებების მიუხედავად, არ ირბეოდა არც ერთი მიტინგი. ერთადერთ გამონაკლისს, მხოლოდ 1991 წლის 2 სექტემბრის მიტინგის პროვოკაციული დარბევა წარმოადგენდა, რის გამოც პრეზიდენტმა აღშფოთება ვერ დამალა.

15 სექტემბრის უზენაესი საბჭოს სხდომაზე პრეზიდენტმა მღელვარედ განაცხადა: „როდესაც ამერიკის კონგრესის დელეგაცია ჩამოდის თბილისში. დრო, როდესაც მე მას ვხვდები... ამდროს გაისმის სროლა რუსთაველის პროსპექტზე. რა ჰქონდა მიზნად დასახული ყოველივე ამის ჩამდენს და მომწყობს, გეკითხებით მე! მე მგონი დღესავით ნათელია, მეგობრებო, მზადდებოდა ცნობა ჩვენი ქვეყნისა მრავალი უცხო ქვეყნების მიერ, დელეგაციის ჩამოსვლა მისადაგებული იყო, სწორედ ამასთან და ეს უნდა ჩაშლილიყო. ნუთუ ამის მიხვედრა ასე ძნელია, მეგობრებო?!... მე მწარე სიმართლე უნდა ვთქვა: მილიციაში არის ჩვენდამი მტრულად განწყობილი ძალები... ეს იყო შეგნებულად მოწყობილი პროვოკაცია ჩემს წინააღმდეგ ორივე მხრიდან, რომლებიც, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ერთი ცენტრიდან იმართებოდნენ და ერთი ავტორი ჰყავს ყოველივე ამას... ჩვენ უნდა მივიღოთ ყველა ზომები, რომ დამნაშავეები დაისაჯონ, ეს არის ჩვენი მოვალეობა... დღევანდელი სიტუაცია საქართველოში ძალიან მაგონებს 1918-21 წლების სიტუაციას... მაშინაც, მოსკოვს გადახვეწილი მოღალატე ქართველები მართავდნენ ყველაფერს, ისინი ქმნიდნენ აქ დასაყრდენ ჯგუფებს... მეორე ანექსიას ამზადებენ, მეგობრებო, მოსკოვში გადახვეწილი ჩვენი მოღალატე თანამემამულეები...“

პრეზიდენტის სიტყვა, რომელიც კუპიურებით მოვიტანეთ აქ, ბოლომდე მღელვარე იყო. „მოსკოვში გადახვეწილ მტრებში“ პრეზიდენტი მოიაზრებდა: **ე. შევარდნაძეს, ვალერიან ადვაძეს, გურამ მგელაძეს, ნუგზარ ფოფხაძეს, ზურაბ წერეთელს (ფინანსურ ოლიგარქს).** ერთ-ერთი ამათთაგანის, გურამ მგელაძის (აბაშის ყოფილი რაიკომის მდივანი) საიდუმლო კავშირს კრემლთან ადასტურებს 1991 წლის 20 თებერვლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული დოკუმენტი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ. გურამ მგელაძე გახლდათ „მხედრიონის“ დამაარსებელი და დამფინანსებელიც, იგი მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ჯაბა იოსელიანთან, რომელიც ხშირად სტუმრობდა მოსკოვში მას.

„საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წლის 20 თებ.

კრემლის აგენტები საქართველოში

საქართველოში დესტაბილიზაციის შესახებ ჩამთავრდა ეროვნულ მეფარეველობა ბუნაგ ბელაკაძე, ამას წინათ ბელაკაძის ოჯახის წევრი დაუკავეს ესპარეთრეში ესაბლის ტაბიბისათვის, მას ალბომაზდა ქალბოლოდან გამოგზავნილი ფული ბუნაგ ბელაკაძისადმი დაუფარავთ საბჭოთა და თვითმფრინავლოვან კომიტეტის თავმჯდომარის ნ. პეროვაკოვისა, რომელიც ავალებდა ბელაკაძს საქართველოს დღეგანდელი ხელისუფლების შემოუფიანას და კონტროლს, ანარქიათა იმის შემოუფიანას, თუ რომელ ხელფლება საქართველოში საბჭოთა კანონები. კოალიციისათვის განთავისუფლებული ბელაკაძე, რომელიც ანარ დაუფარავთ და ანარ თანამდებობის პირი, ქალბოლის დანაკარგია ლენინ. ხალიბულ დოკუმენტს ქვეშოთ მთავაზობთ.

Секретариат Верховного Совета СССР

Москва, Кремль

577

Грузинская ССР
г Тбилиси, ул. Чавчавадзе, д. 75а, кв 4.
т. Мгеладзе Г.Д.

№ 44-5/7-47

ВЕРХОВНЫЙ СОВЕТ СОЮЗА СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

КОМИТЕТ ПО ВОПРОСАМ РАБОТЫ СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ, РАЗВИТИЯ УПРАВЛЕНИЯ И САМОУПРАВЛЕНИЯ

Москва, Кремль

18 января 1991 № 44-5/7-47

т.МГЕЛАДЗЕ Г.Д.
Грузинская ССР, г.Тбилиси,
ул.Чавчавадзе, д.75а, кв.4

Уважаемый Гурам Давидович!

В соответствии с планом работы 17 января 1991 года на заседании Комитета рассмотрен вопрос о выполнении Постановления Верховного Совета СССР "О порядке введения в действие Закона СССР "Об общих началах местного самоуправления и местного хозяйства в СССР". Принято решение поручить всем членам Комитета в период зимних парламентских каникул изучить в своих избирательных округах практику применения Закона СССР, обратив особое внимание на следующие вопросы:

- Руководствуются ли местные Советы народных депутатов в своей практической деятельности Законом СССР"Об общих началах местного самоуправления и местного хозяйства в СССР". Какие статьи Закона или положения вызывают затруднения при практическом применении и почему. Какие высказываются предложения по их уточнению или изменению.

- Приняты ли в республике законодательные акты,регулирующие деятельность местных Советов. В чем конкретно они расходятся либо противоречат Закону СССР. Какова позиция местных Советов по этим вопросам. Какие изменения в связи с этим предлагается внести в Закон СССР.

- Как формировался бюджет местных Советов на 1991 год. Как оцениваются положения третьего раздела Закона СССР о финансовой основе местного самоуправления.Какие положения этого раздела применяются на практике. Какие акты республиканских органов ограничивают применение этих положений Закона СССР (приложить).

- Как организовано взаимодействие Совета, Президиума Совета и исполкома. Имеются ли рекомендации республиканских либо краевых(областных) Советов по этим вопросам. Какие вносятся предложения по созданию единой и целостной системы исполнительной власти сверху донизу.

Материалы по этим вопросам просьба направить в Комитет к 11 февраля 1991 года.

Председатель Комитета Н.Пивоваров

მილიციის სტრუქტურებში შეპარული შეთქმულები კი, რომლებმაც 2 სექტემბრის სისხლიანი ავანტიურა მოაწყვეს (არავინ დაღუპულა) გამოვლენილ იქნენ, თუმცა პრეზიდენტმა მათი მოხსნა ვერ შეძლო. ესენი გახლდნენ: შსს მინისტრი **დილარ ხაბულიანი, გელა ლანჩავა, რომან გვენცაძე, დავით ზეიკიძე, მიხეილ სალაძე, თვით რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე** და სხვები, რომლებსაც თენგიზ სიგუა და თენგიზ კიტოვანი მფარველობდნენ.



Главному редактору еженедельной газеты «Московские новости» Л. КАРПИНСКОМУ

В номере 45 редактируемого Вами еженедельника за 10 ноября 1991 г. в подборке «Факс-факт» опубликовано сообщение о том, что в тюрьмах Грузинской республики находится по меньшей мере 70 политзаключенных. При этом делается ссылка на якобы сделанное заявление на митинге, посвященном Дню политзаключенного и организованном Национально-демократической партией республики.

Уважаемый главный редактор!

У нас давно уже убедились в пристрастном отношении редакции влиятельной газеты к Республике Грузия, заявившей и добивающейся полной национальной независимости и восстановления утраченной государственности. Мы даже привыкли к необоснованным, голословным, зачастую и клеветническим информациям, исходящим со страниц газеты, об общественно-политической ситуации, межнациональных отношениях в республике.

Однако позволю себе напомнить Вам, что когда речь идет о конкретных фактах и делах, желательно публиковать их после проверки. Иначе, зачем нужно было редакции обыкновенных уголовных преступников «прессращать» в политзаключенных.

Подобная позиция не служит делу справедливости и истины. Она сеет недоверие и вражду.

Как наделенное соответствующими полномочиями должностное лицо и сведущее в фактических обстоятельствах, выражаю решительный протест в связи с названным сообщением и со всей ответственностью заявляю, что ни в следственных изоляторах, ни в исправительно-трудовых учреждениях республики не содержатся подследственные, подсудимые или осужденные за политические преступления.

В этом легче всего убедиться, приехав в республику и проверив вместе с нами факты.

Очевидно, это невыгодно редакции, использующей все средства с целью создания у многомиллионного читателя искаженного представления о действительности сегодняшней Грузии.

Если редакция в ладах с принципами плюрализма, то мы вправе рассчитывать на публикацию данного протеста в ближайшем номере «Московских новостей».

В. РАЗМАДЗЕ,
Генеральный прокурор Республики Грузия, государственный советник юстиции 2-го класса.
„Свободная Грузия" — 20 ноя. 91 г

ვახტანგ რაზმაძე პრეზიდენტმა გამსახურდიამ, შეიარაღებულ გადატრიალებაში მონაწილეობისათვის 1992 წლის 4 იანვარს გაათავისუფლა გენერალური პროკურორის თანამდებობიდან და მის ნაცვლად დანიშნა ვაჟა აბაკელია. რაზმაძე არ ტოვებდა თანამდებობას და კაბინეტს, რის გამოც ეროვნული ხელისუფლების გვარდიელები იძულებით შევიდნენ მასთან და მოსთხოვეს გაეთავისუფლებინა კაბინეტი ახალი გენპროკურორისათვის. აღნიშნული ფაქტი, პროვოკატორმა რაზმაძემ, ხელისუფლების მხრიდან შეიარაღებულ თავდასხმად შეაფასა და საერთაშორისო ხმაური ატეხა. ვახტანგ რაზმაძე გახლდათ რა საბჭოთა პერიოდის გენერალური პროკურორი, მისი ულმობელი განაჩენით იქნენ დახვრეტილნი „თვითმფრინავის ბიჭები", რომლებმაც, 1983 წლის 18 ნოემბერს, საბჭოთა კავშირიდან გაქცევის მიზნით, თბილისის აეროპორტში განახორციელეს თვითმფრინავის „გატაცება". ედუარდ შევარდნაძის, ალექსი ინაურისა და ვახტანგ რაზმაძის სანქციით თვითმფრინავში მოკლეს 3, ხოლო დანარჩენი დახვრიტეს სასამართლოს განაჩენით. ესენი იყვნენ:

1. *სოსო წერეთელი — 25 წლის, მხატვარი*
2. *კახა ივერიელი — 29 წლის, ექიმი*
3. *პაატა ივერიელი — 23 წლის, ექიმი*
4. *გეგა კობახიძე — 23 წლის, მსახიობი*
5. *დათო მიქაბერიძე — 25 წლის, სტუდენტი*
6. *გრიგოლ ტაბიძე — 32 წლის, მხატვარი*
7. *თეოდორე ჩიხლაძე — 33 წლის, ბერი, რომელიც არ იმყოფებოდა თვითმფრინავში, მაგრამ ბრალი დასდეს ორგანიზატორობაში.*

დააპატიმრეს, გეგა კობახიძის ახალშერთული ფეხმძიმე მეუღლე თინათინ ფეტვიაშვილი, რომელიც საკანში დააძინეს და გაუკეთეს აბორტი: საბჭოთა ხელისუფლების მტრების შვილი არ უნდა დაიბადოსო.

ძალზედ საინტერესოა ინტერნეტში ჩვენს მიერ მოძიებული ფოტო 1982 წლისა; ახალგაზრდა მხატვარი სოსო წერეთელი, სტიქარში, პატრიარქს რაღაც ქაღალდებს გადასცემს (იხ. მეორე ფოტოზე ს. წერეთელი ხელმარჯვნივ კუთხეში პირველი)...



ასევე მნიშვნელოვანია 1980 წლის ფოტო თეიმურაზ ჩიხლაძისა, პატრიარქის გვერდით (პირველი ფოტო)...

დახვრეტილი დისიდენტი ახალგაზრდების მშობლებს, შევარდნაძე-რაზმაძე-ინაურის საბჭოთა ხელისუფლებამ, ტყვიის საფასური 3-3 მანეთი გადაახდევინეს. ხოლო ერთ-ერთის მშობელს – 6 მანეთი, ერთი ასცდა შენ შვილს და მისთვის მეორე ტყვია დაგვჭირდაო.

და, რაოდენ საკვირველია, რომ შევარდნაძის მიერ დახვრეტილი ამ ახალგაზრდების მშობლები: სოსო წერეთლის მამა – კოტე წერეთელი (მან **ვიქტორ დომუხოვსკის** მიერ გამოძიებული დოკუმენტები სადღაც გააქრო და უარყოფდა დომუხოვსკისგან მის ჩაბარებას), ძმებ კახა და პაატა ივერიელების მამა – ვაჟა ივერიელი (ლეკიშვილი), 1992 წელს, სამთავრობო გაზეთით მიესალმა ზვიადის ეროვნული ხელისუფლების დამხობას, გეგა კობახიძის დედა – ნათელა მაჭავარიანი და მამაც – მიხეილ კობახიძე, რომელიც საბჭოთა კინემატოგრაფიაში ანტისაბჭოურ (დისიდენტ) რეჟისორად იყო მიჩნეული და ფილმების დამოუკიდებლად გადაღებასაც კი უკრძალავდნენ („რვანახევარის“, „მუსიკოსების“ გამო...), შევარდნაძეს ემხრობოდნენ.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტისათვის(უცხოეთის სახელმწიფოების მსგავასად)პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების თხოვნით დედაქალაქის საკრებულოს (კუკავასა და გაბუნიას უადრეს), არასამთავრობო ორგანიზაცია „განათლების ეროვნულმა კავშირმა“ მიმართა (ლალი გილიგაშვილი, დავით არაბიძე), რაზეც საკრებულოს „სახელდებისა და სიმბოლიკის საკითხთა კომისიის“ თავმჯდომარემ **ნათელა მაჭავარიანმა** მათ, წერილობით აცნობა, რომ თითქოს საკითხი გადაწყვეტილია და „ზვიად გამსახურდიას სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სახელდების დადგენილების დოკუმენტის აღებას შეძლებთ სექტემბრის თვის ბოლოს ქ. თბილისის საკრებულოს საქმისწარმოების განყოფილებაში“ (*დოკუმენტი №07/6715; 04/6706).* თუმცა, საკითხის გადაწყვეტა 2013 წლის ნოემბრის საკრებულოს სხდომაზეც ჩავარდა და 27 დეკემბრისთვის გადაიდო, მაგრამ არც დეკემბრის სხდომაზე იქნა დადებითად გადაწყვეტილი. 2015 წლის 30 ივნისს, თბილისის საერთაშორისო **აეროპორტს შოთა რუსთაველის სახელი** ეწოდა, რაც ბიძინა ივანიშვილისა და პრემიერ ღარიბაშვილის მიერ იყო მხარდაჭერილი და მოტივირებული – ზვიად გამსახურდიასადმი მტრობით.

დისიდენტმა ზვიად გამსახურდიამ კი საერთაშორისო მასშტაბის ხმაური ატეხა თვითმფრინავის ბიჭების დახვრეტის გამო, საპროტესტო მიტინგებიც მოაწყო და დახვრეტამდე, მათი შეწყალების პეტიციის ინიციატორიც, სწორედ ზვიად გამსახურდია გახლდათ. ხოლო, როცა ეროვნული ხელისუფლების სათავეში მოვიდა, 1990 წელს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში შექმნა თვითმფრინავის გატაცების ცდის შემსწავლელი დროებითი კომისია, რომლის თავმჯდომარე **ვიქტორ დომუხოვსკი** გახლდათ. სწორედ ვიქტორ დომუხოვსკის მიერ მოსკოვში სპეციალური მივლინებით დაკითხულ იქნა შევარდნაძე. დაკითხვის და გამოძიების ოქმები კი ხელისუფლების გადატრიალების დროს, რომ არ დამწვარიყო, ბატონმა ვიქტორმა, სამსახურეობრივი სეიფიდან გამოიღო და ჩააბარა კოტე წერეთელს, ვისგანაც გაქრა.

სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ, რომან გვენცაძეს, შევარდნაძემ შსს მინისტრობა უბოძა. რიგითი ომონელი გელა ლანჩავა (პრეზიდენტის მიერ დაპატიმრებული ჯაბა იოსელიანი, კგბ-ს ციხიდან, ლანჩავამ გაათავისუფლა. ლანჩავა, გადატრიალების შემდეგ კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მიტინგებსაც ხვრეტდა), ჯერ ჯაბა იოსელიანმა დანიშნა ქალაქის კომენდატად, ხოლო შევარდნაძემ, შინაგანი ჯარის სარდლად დააწინაურა. მოგვიანებით კი (24 ივნისის ტელევიზიის წარმატებული პროვოკაციისათვის) მას გენერლის წოდებაც მიანიჭეს;

1992 წლის 24 ივნისს, ლანჩავას გეგმის მიხედვით მოხდა ზვიად გამსახურდიას მომხრეთა შეტყუება სახელმწიფო ტელევიზიის შენობასა და ტელეანძაზე, რისთვისაც გამოყენებულ იყვნენ უზენაესი საბჭოს დეპუტატი

ვალტერ შურღაია, აქტივისტი სტუდენტი **ეკა ხერხეულიძე**, **ხატია ღუდუშაური** და სხვ. როგორც შემდგომ გაირკვა, ისინი დაარწმუნა ლანჩავამ, რომ გარედან მის მიერ იქნებოდნენ დაცულნი. ოღონდ, საზოგადოებისათვის ბოლომდე გაურკვეველი და ბუნდოვანი დარჩა შურღაიასა, ღუდუშაურისა და ხერხეულიძის კავშირები ლანჩავასთან და სახელმწიფო ტელევიზიაში მათი შესვლის სერიოზული მიზანი. ტელევიზიაში და ანძაზე შეტყუებულ „ზვიადისტებს“ გარედან ტანკებით და თვითმფრინავიდან გაუხსნეს ცეცხლი. ამ დღეს ტელევიზიის მიმდებარედ, მთაწმინდის პარკში და გერგეთის ქუჩაზე მოკლეს: **დავით ნადირაძე, ნუგზარ დვალიშვილი, ნუკრი არჩვაძე, რეზო ბროძელი, მერაბ სულაძე, ლიმა გიორგაძე.** დაიჭირეს უზენაესი საბჭოს დეპუტატები (ბიძინა ჩოლოყაშვილი, ვალტერ შურღაია, ბიძინა დანგაძე, აგრეთვე გივი კალმახელიძე და სხვ.). **ვალტერ შურღაია,** ფურთხითა და ბილწი გინებით, „სირცხვილის დერეფანში“ გაატარეს.

24 ივნისის პროვოკაცია მთლიანად ხუნტის მიერ იყო დაგეგმილი; იგი მიზნად ისახავდა 24 ივნისს, დაგომისში შევარდნაძე-ელცინის შეხვედრის გადაფარვას, რომელზედაც მიღებული იქნა მოღალატური გადაწყვეტილება (კონფლიქტური მხარეების ურთიერთგამიჯვნის მიზნით), „სამშვიდობო დერეფნის“ გორის საზღვართან შექმნის შესახებ. საზღვარზე კი ჩაყენებული იქნებოდნენ რუსი და ოსი სამხედროები. დაგომისის ამ 24 ივნისის კაპიტულანტური ხელშეკრულებით, შევარდნაძემ შიდა ქართლი რუსებსა და ოსებს გადასცა.

დევნილმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ იჩქერიიდან გააკეთა მიმართვა 24 ივნისის ტელევიზიის აქტთან დაკავშირებით და მას, შევარდნაძის ხელისუფლების მიერ დაგეგმილი პროვოკაცია უწოდა. ოფიციალურ მიმართვებში პრეზიდენტი გამსახურდია, თუმცა შეეცადა დაეცვა თავისი დეპუტატი ვალტერ შურღაია, მაგრამ პირად საუბრებში იგი არ ამართლებდა მის ქმედებას, რის გამოც შურღაიას უზენაესმა საბჭომ უფლებამოსილება შეუჩერა. მოგვიანებით პრესაში(„ალია“) გამოჩნდა ჟურნალისტთა ჯგუფის მიერ მოპოვებული პრეზიდენტის პირადი წერილი ლოთი ქობალიასადმი, რომლის ნაწილში ზვიადი ვალტერ შურღაიას ქმედებას უარყოფითად აფასებს და ამბობს, რომ შურღაიას ეს გეგმა მასთან არ იყო შეთანხმებული და მან, ჩადენილი ავანტიურით, ზიანი მიაყენა ეროვნულ მოძრაობას და პრეზიდენტის პრესტიჟსაც.

ძალიან მძიმე მოსასმენი და საყურებელი იყო, მოგვიანებით, უზენაესი საბჭოს დეპუტატის (ყოფილი დისიდენტის) ვალტერ შურღაიას გამოსვლა მიტინგზე შევარდნაძის გვერდით ტელევიზიის სისხლიანი პროვოკაციის შემდგომ. შურღაიამ, საქართველოს გაეროში შეყვანა, სრულად შევარდნა-

ძის დამსახურებად აღიარა, ხოლო პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია „სისხლიანი ხელების“ მქონედ შერაცხა და მას გადადგომისაკენ მოუწოდა.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, სამთავრობო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა, ხუნტის პროკურორ ვახტანგ რაზმაძისადმი, საპატიმროდან გამოგზავნილი ვალტერ შურღაიას წერილი სათაურით: „ღმერთმა იცის, მე არასდროს მიღალატია პრეზიდენტისთვის. ეხლა ნათლად ვხედავ: ერთადერთი სწორი გზა მისი გადადგომაა“ (იხ. ქვემოთ).

ის, მე არასდროს ეხლა ნათლად მისი გადადგომაა

საქართველოს ისტორია, ძირითადში, ბრძოლის ორ ფორმას მოიცავს: ბრძოლა თავისუფლებისთვის და ბრძოლა თავისუფლების შესანარჩუნებლად.

ჩვენნი საუბედურო, ერთიანი ვიყავით მხოლოდ მაშინ, როცა დიდ და უძლიერეს მტერთან გვქონდა საქმე. სხვა შემთხვევაში ერთმანეთის დაჯერეოდით ხოლმე.

დავითის, დემეტრეს, გიორგი მეხუთის, თამარის ეპოქა, ზოგიერთი სხვა ნათელი პერიოდები ჩვენს ისტორიაში ხუთ ორასიოდე წელს მოიცავს; ეს კი ძალზე ცოტაა ერთიანის, რომელის ამაკი, მინიმუმ, რამდენმე ათასი წელია.

თავის დროზე ბევრი ალაშფოთა (მათ შორის, შეც) ნტალინის ნაოკვამბა, რომ ქართველი ერი მეცხრამეტე საუკუნეში ჩამოყალიბდა. ახლა, როცა მიმდინარეპროცესებს ვუყურებ, ღმერთო შეგაღოდე. ბევრჯერ მომდის ფიქრი: ვართ კი ჩამოყალიბებული ერად?!

უკანასკნელმა ორასწლიანმა ბატონობამ, მიუხედავად იმისა, გაუას, აკაკის გამოწყვინებისა, მიუხედავად სამწლიანი დამოუკიდებლობისა, მაძინა ჩვენში საუკეთესო თვისებები და წარმოიშინა შური, ზურგის, ღალატი, ვაუტანლობა.

„სამეგრელო მიშვებულ ყოფილ ერს“, რომელსაც ოდითგანვე ჰქონდა ეგრისა და წმენდულთა შობის დიდი უნარი, ბრძოლაც დავიწყებია. არ იცის, ვის ებრძოლოს და როგორ ებრძოლოს.

ახლა, როცა ღმერთმა გადმოუფეთქა დაკროვილმა ენერგიამ, რომელსაც ვერ მივაცით სწორი მიმართულება, ჩვენნი საუბედურო ოდ.

თუ ამე გაგრძელდა. ღმერთი დაგვსჯის, აუცილებლად დაგვსჯის.

ბუნებამ ერთადერთი სიმართლე იცის — ღვთიური სიმართლე. მას რომ შევწვდეთ, უნდა ავმაღლდეთ აუცილებლად.

ეხლა არ არის მტკუანია და მამრალის გარჩევის დრო. თუ სრული ერთგული შერიგება არ მოხდა, დავიღუპებით.

მე სტარიონ-სტარიონ ვეძებდი საქართველოს ისტორიაში, იყო თუ არა დასავლეთ საქართველოში კუთხეები, რომლებიც ერთმანეთის სიხლი არ დაუღვრიათ.

(ბუნებრივია, ლაპარაკია ჩვენს სამშობლოს და ბორკზე).

საქართველოს მოლიანობისთვის უნდა დაგიოყოთ ჩვენი სიმპათიები და ანტიპათიები.

აკ არ არის ლაპარაკი შევარდნაძეზე და გამსახურდიაზე. ლაპარაკია საქართველოზე.

ბატონ ზვიად გამსახურდიას ნაოქვამი აქვს ჩემთან საუბარში, რომ არავითარ შემთხვევაში არ ხარ დამბუნება სიხლიანი ეზოი. უარსებულად, ქერქერობით, არ გამოდის.

ღმერთმა იცის, მე არასდროს მიღალატია პრეზიდენტისთვის. ეხლა ნათლად ვხედავ: ერთადერთი სწორი გზა მისი გადადგომაა.

ეს სამი წელი ვაცალოთ მათ, ვინც გაიმარჯვებს. ალბ, სამართლიანი ქრიტიკით დავუმბარეთ. მომდევნო არჩევნებში კი ყველას შანი თანაბარი იქნება. ნათლად ვამოიკვეთეს, ვინ რისი გამკეთებელია; ისიდან მიხედვით ინსტრ ელის ხალხი.

ბეგეოდა სიხლისღვრა, ბოროტება შობს მხოლოდ ბოროტებას. ამის ჩვენ, ყველანი, ყოველ ნამაზე ვხედავთ.

მე ვთხოვ სამეგრელოს შეიარაღებულ ფორმირებებს, უპირობოდ გადაეგზავნოდნენ დაკვეთილნი. მოაქცევენ ისე რაინდულად, როგორიც ყარაბაღშვილთან და ოვეთთან დამოკიდებულებაში. ვიდრეცა უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი, გამოაჩინოს კეთილი ნება.

ფიზიკურად ბელისუფლებამ უნდა გამოიყვანოს „ზზეტრიანთნის“ ნაწილები სამეგრელოს ტერიტორიიდან.

კ-ფიც რამდენიმე თბილისელ ჰყავს. სამეგრელოს ტერიტორიაზე უნდა შეიქმნის ბატალიონი, რომელშიც ეარსებ ადგილობრივი ახალგაზრდებისა, იმსახურებენ საქართველოს სხვა და სხვა კუთხის სტრუქტურებში. მისი შეთავაზი უნდა იყოს ვახტანგ (ლეონ) ქობულია, ეს მოხსნის მრავალ პრობლემას.

საკითხის საბოლოოდ მოგვარებამდე სამეგრელოს რეგიონში მოქმედმა ყველა შეიარაღებულმა ფორმირებამ დაუყოვნებლივ და უპირობოდ უნდა შეწყვიტოს იარაღის გამოყენება და სხვა ძალადობა. ღრმად ვარ დარწმუნებული ბრძოლის ამეთი მეთოდების უპირსპექტივობაში. მას მხოლოდ უბედურება მოაქვს ჩვენი ხალხისთვის და საქართველოს დამოუკიდებლობას კატასტროფის წინაშე აყენებს.

კარგი იქნება, თუ სამეგრელოს რაიონებისთვის გაიკეთებენ გამონაკლისს და მისცემენ განმგებლის არჩევის საშუალებას. დე, აირჩიონ, ვინც სურთ.

და ყველაზე მთავარი.

რამდენადაც ვიცი, დღეს-ხვალ საქართველო გახდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. ეს ფაქტი ბევრად დაამკვიდრებს საქართველოს დამოუკიდებლობას. ორასწლიან ბატონობას ბოლო მოეღება.

ამ უბარამაზარი მოვლენის აღსანიშნავად, რომელის გაცნობიერება ეროვნულ ძალიც კაა, ღირს მანიფესტის (ამოცანადმის) წერა-მოიდგინეთ, რამდენ ოჯახს დაუბრუნდება მიმალული, ჯაქეული, დაპატიმრებული. ეს უნდა მოხდეს არჩევნებამდე და გახდეს ეროვნული შერიგების გარანტია.

რა თქმა უნდა, ძნელია სწორი აზროვნებისა და ლოგიკის ერეტენშია იქონინო პატიმრის პოზიციიდან, მაგრამ მე შევეცადე, შესაძლებლობის ფარგლებში, მოკლედ გამოვეთქვა ჩემი აზრი.

თუმცა ჩემი ნათქვამი ტერენტი გრანელის „ორ სიტყვაში“ ჯეტეა:

„მე მოფიქრებს საქართველოს ბედი,
მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს“.

მეც ამით ვამთავრებ, ვთხოვ უშენიანს, დაიცვას საქართველოს მთლიანობა.

ვალტერ შურღაია.

თბილისი, 16 ივლისი, 1992 წელი.

რატომ გამოვედი ტელევიზიით

1992 წლის 31 ივლისს, საქართველოს გაეროში გაწევრიანება კი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას 31 მარტის რეფერენდუმისა და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე მოხდა. საკუთარი ხალხის სისხლში მოთხვრილი ხელები კი, სწორედ შევარდნაძეს ჰქონდა და შევარდნაძე უნდა გადამდგარიყო.

შევარდნაძეს არასოდეს დაუმალავს, რომ „გამსახურდიას ოპოზიციონერები ხშირად ჩამოდიოდნენ მოსკოვში ჩემთან კონსულტაციებისთვის“ო. ერთ-ერთი ამგვარი მიზნობრივი ვიზიტის დროს, გია ჭანტურიას, შევარდნაძისაგან, უთუოდ ეცნობა, რომ 2 სექტემბერს მოსკოვში ტარდე-

ბოდა დეპუტატთა ყრილობა, რომელზეც განიხილებოდა ბალტიისპირეთისა და საქართველოს სსრკ-დან გამოყოფის საკითხი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჭანტურიამ, ამ ცნობასთან ერთად, შევარდნაძისაგან სათანადო ინსტრუქტაჟიც მიიღო. საიდუმლო ინსტრუქციები მიეცა, აგრეთვე შევარდნაძესთან ფარულ ალიანსში მყოფ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებსაც, რომლებმაც გია ჭანტურიას მიერ წინასწარ დაანონსებულ 2 სექტემბრის მიტინგზე შეიარაღებული ომონი წარგზავნეს და ცნობილი პროვოკაციული გასროლებიც განახორციელეს, რომლის ექო (როგორც გათვალისწინებული იყო) მოსკოვში მიმდინარე ყრილობასაც მისწვდა და რომელმაც თბილისის 2 სექტემბრის მიტინგის დარბევა, საქართველოში დიქტატორული რეჟიმის არსებობად შერაცხა და გაურკვეველი ვადით გადადო სსრკ-დან საქართველოს გასვლის ცნობა-აღიარება, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები კი გასულად გამოაცხადა.

ეროვნულ-დემოკრატები, მართალია თავს იმართლებდნენ, რომ ჩვენ კინოს სახლთან ორშაბათობების მიტინგი წინასწარ გვქონდა დაგეგმილი და 2 სექტემბრის მიტინგიც ამ გეგმის მიხედვით ჩატარდაო, მაგრამ, მას შემდეგ, რაც გაცხადდა მათი მოსკოვური ვოიაჟები შევარდნაძესთან, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „ორშაბათობების“ ერთთვიანი ციკლის დაგეგმვა კალენდრით ხელში მოსკოვში მოხდა. ნოდარ ნათაძის თქმით: „პატრიოტმა და გამოკვეთილმა დისიდენტმა... მითხრა გაკვრით: „სექტემბერში ზვიადის წასვლის პროცესები დაიწყებაო“. ჩემი ვარაუდით იგი, სწორედ გია ჭანტურია უნდა ყოფილიყო.

გია ჭანტურია, 1991 წლის აგვისტოში, რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტ თენგიზ გუდავასთან ინტერვიუში დაბეჯითებით აცხადებდა: „ზვიადის პრობლემას ჩვენ ძალიან მალე გადავწყვეტთ, დაგვრჩა მხოლოდ ბოლო დარტყმის მიყენება!“.

2 სექტემბრის ყბადაღებულ დარბევასთან დაკავშირებით საგულისხმოა, აგრეთვე მწერალ მერაბ ელიოზიშვილის გამოსვლა მწერალთა კავშირის 1991 წლის 12 სექტემბრის ცნობილ სხდომაზე (ამ სხდომაზე რუსეთუმე ქართველი მწერლები: **რეზო ამაშუკელი, კობა იმედაშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, მურმან ლებანიძე, რეზო ჯაფარიძე, გურამ ფანჯიკიძე, იზა ორჯონიკიძე, გურამ გვერდწითელი, გურამ გეგეშიძე, ნაირა გელაშვილი, მანანა გიგინეიშვილი, ნოდარ გრიგალაშვილი, დავით მაღრაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, კობა იმედაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ერეკლე საღლიანი** და სხვები კატეგორიული აღშფოთებით გმობდნენ 2 სექტემბრის დარბევას): „...ორი თვის წინ ტელევიზორის ძებნაში... ერთმა კაცმა მითხრა ვერ იშოვიო და ლაპარაკში დაამატა: 2 სექტემბერს არ გადასცდება, ზვიად გამსახურდიას ყოფნა-არყოფნის ამბავი დადგებაო. ახლა მაინტერესებს, საიდან იცოდა ვაჭარმა, რომ 2 სექტემბერს უნდა მომხდარიყო ეს ინციდენტი“.

სახელმწიფო გადატრიალების 10 წლისთავთან დაკავშირებით ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ზე, 2002 წლის 6 იანვარს ნაჩვენებ დოკუმენტურ ფილმში „ჩაკეტილი წრე“, ედპ-ს ყოფილმა წევრმა იური ტალახაძემ, რომელიც ზვიადს დაპატიმრებულიც ჰყავდა, განაცხადა: მოსკოვიდან მორიგი ვიზიტიდან დაბრუნებულმა ირინა სარიშვილმა აგვისტოში გვითხრა, მოგვცეს მითითება, რომ განვაახლოთ და გავააქტიუროთ გამსახურდიას საწინააღმდეგო გამოსვლები და მე 2 სექტემბრის შემდეგ მივხვდი, რომ ჩვენი საპროტესტო აქციები მოსკოვიდან იმართებოდაო.

„კგბ“-სა და „გრუ“-ს საიდუმლო აგენტის თემურ მასხულიას ე. შევარდნაძისადმი წერილის მიხედვით, რომელიც დათარიღებულია 1996 წლის ივლისით: „1990 წლიდან რუსეთის სპეცსამსახურებმა მნიშვნელოვნად გააააქტიურეს ოპერატიული მუშაობა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში... დამთავრებული კრიმინალურ სამაყაროში, რისი ერთი მაგალითია „მხედრიონი“... მახსენდება 1991 წლის 2 სექტემბრის ორგანიზება და უშუალო შემსრულებლები: გურამ მგელაძე, იგორ გიორგაძე, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა, თემურ ხაჩიშვილი და გრუ-ს გენერალი ივანენკოვი. მიტინგის ორგანიზება ხდებოდა „გრუ“-ს მეშვეობით, ბატონო ედუარდ!...“ (იხ. „მართალი გაზეთი“, №18(103), 30.05,2002. გვ.17). ნიშანდობლივია, რომ ბატონი თემურ მასხულია, იმავდროულად იყო ედპ-წევრიც. მისივე მტკიცებით, ჯაბა იოსელიანი იყო რუსეთის უშიშროების მე-3 სამმართველოს აგენტი, მეტსახელად **„პრინცი“.**

ასე ღრმად იყვნენ ალიანსში ქართველი ოპოზიციონერები კრემლის პოლიტიკურ ძალებთან, მეტროპოლიასთან.

გადავხედოთ ჯაბა იოსელიანის კრიმინალურ ბიოგრაფიასაც: ჯ. იოსელიანმა, ლენინგრადში, ბანკის ძარცვაში მონაწილეობის გამო 17 წელი ციხეში გაატარა. 1965 წელს სასჯელმოხდილმა, მცირე ხანში, ისევ ამოყო თავი ციხეში, ამჯერად მკვლელობისთვის. 1991 წლის თებერვალში მისი ორგანიზაცია პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ უკანონოდ გამოაცხადა, ხოლო თავად იოსელიანი მხედრიონის წევრებთან ერთად დააპატიმრეს. დეკემბერში იოსელიანი ციხიდან გააპარეს და იგი საქართველოს ეროვნული გვარდიის განდგომილ წევრებს შეუერთდა სამხედრო გადატრიალების მოწყობის მიზნით. 1995 წლის 29 აგვისტოს, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის იმდროინდელი შენობის ეზოში შევარდნაძეზე მომხდარი ტერაქტის გამო ჯაბა იოსელიანიც დააპატიმრეს. ამ ტერაქტზე, ჯაბამდე, „მხედრიონის“ ერთერთი ლიდერი გიგა გელაშვილი, უშიშროების მინისტრის მოადგილე თემურ ხაჩიშვილი, გოჩა თედიაშვილი და გოჩა გელაშვილი დააპატიმრეს. იგორ გიორგაძემ კი ვაზიანის სამხედრო ბაზიდან მოახერხა გაქცევა რუსეთის სპეცსამსახურების დახმარებით. 1996 წელს ჯ. იოსელიანმა, ციხიდან მოითხოვა მოეხსნათ მისთვის ტერორიზმის ბრალდება რამეთუ იგი, მხოლოდ, ნარკოტიკების და იარაღის დიდი ოდენობით შენახვის ფაქტს აღიარებდა. 29 აგვისტოს ტერაქტის გარდა, ჯაბა იოსელიანი და მისი „მხედრიონელები“ (გიგა გელაშვილი, თემურ ხაჩიშვილი, გოჩა თედიაშვილი (ქილერი), გოჩა გელაშვილი, დავით სანიკიძე), აგრეთვე დადანაშაულებულები იყვნენ გია გულუას, გია ჭანტურიასა და სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობებშიც.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გულითადმა მცდელობამ – „არც ერთი ქართველი კრემლის სატანას!“ და შეიარაღებული ოპოზიციონერებისათვის „ტყვიის ნაცვლად, ყვავილების სროლამ“ ნაყოფი ვერ გამოიღო. უშიშროების გენერალ-მაიორის ანზორ მაისურაძის თქმით ცნობილი ინტელიგენცია, ოპოზიცია და თვით უზენაესი საბჭოს დეპუტატთა უმრავლესობაც კი, მათი თანამშრომლები იყვნენ. ამიტომაც მივიღეთ განხეთქილება უზენაეს საბჭოში, რასაც გარეოპოზიციის დარაზმვა მოჰყვა; ტყვიები კი, შევარდნაძემ და მისმა უშიშროების მინისტრმა იგორ გიორგაძემ დაახალა გია გულუასა და გია ჭანტურიასაც. ჭანტურია, 1994 წლის 3 დეკემბერს, საკუთარ სახლთან, მანქანაში ჩაცხრილა. ჭანტურიას მკვლელობისთვის მოსკოვში, 1996 წელს დააკავეს, აგრეთვე კრიმინალური ავტორიტეტი და „კულინარების“ საძმოს გავლენიანი მფარველი თემო ქურდიანი. გია ჭანტურიას მკვლელობისთვის დაპატიმრებული მხედრიონელები, 2002 წელს, ედუარდ შევარდნაძემ შეწყალების აქტით გაათავისუფლა. ცნობილია, რომ, სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე,

გია ჭანტურია, შევარდნაძისაგან მოითხოვდა დაეშალა და გაეუქმებინა შეიარაღებული ორგანიზაცია „მხედრიონი“.

ქვემოდადებული ფოტო, სამწუხაროდ არ არის სრული კადრი გია ჭანტურიას დაკრძალვის დღისა ქაშუეთის ეკლესიიდან. არ იქნება გასაკვირი, რომ აქ, დიდი სანთლით ხელში, იგორ გიორგაძეც იდგეს. თუმცა, ირინა სარიშვილი, 25 წლის შემდგომაც, გია ჭანტურიას მკვლელობის შემკვეთად შოთა კვირაიასა და თემურ ხაჩიშვილს ასახელებს, ხოლო ე. შევარდნაძესა და იგორ გიორგაძეს დიდსულოვნად ინდობს. ე. შევარდნაძის მიმართ მან მხოლოდ მსუბუქი შენიშნვა გამოთქვა, გია ჭანტურიას მკვლელობის უმალ, იგორ გიორგაძის გენერლის წოდებით დაჯილდოვების გამო.

ახალდანიშნულმა უშიშროების მინისტრმა იგორ გიორგაძემ (1993 წლის ოქტომბერი), კაბინეტში შესვლისთანავე დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო დროშა კედლიდან ჩამოგლიჯა, ფეხქვეშ გაიგდო და დაფხრიწა იგი. ხოლო, როდესაც ყვარლის ტყეში „ზვიადისტებს“ (ვიქტორ დომუხოვსკი და სხვ.) სპეცრაზმით დასდევდა, გველს გადააწყდა, თავით დაიჭირა, ბათინკებით გაჭყლიტა და თან მძულვარე სისინით მიაყოლა: „ზვიადის თავი მოვჭერიო“. იგორ გიორგაძე ზვიადს ადანაშაულებდა შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროდან ოსი ეროვნების კადრების დათხოვნაში და ქართველებით ჩანაცვლებაში. არადა, სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის ამგვარი პრევენციული „წმენდა“ აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენდა ოსების გამოააშკარავებული სეპარატიზმისა და აგრესიის ფონზე. მოგვიანებით იგორ გიორგაძე აღიარებს, რომ საქართველოს შსს და სუს-იდან გათავისუფლებული ოსი ეროვნების კადრები მან

დაასაქმა მოსკოვის, ჩრდილო ოსეთის, ყაზახეთისა და სხვადასხვა რეს-პუბლიკების ძალოვან სტრუქტურებში, ხოლო ზვიადის ეროვნული ხელი-სუფლების მისამართით კი დაიფიცა, რომ რუსეთის მიერ გამოზრდილი, სპეციალისტ-კადრების, ასე უბრალოდ გაყრას, ზვიადს არ აპატიებდა.

1995 წლის 29 აგვისტოს, „იმელის“ შენობის ეზოში შევარდნაძეზე ტე-რაქტის მოწყობის შემდეგ, საქართველოდან გაპარული და მალვაში მყო-ფი იგორ გიორგაძე, რამდენიმე წლის შემდგომ შეეცადა დაბრუნებულიყო საქართველოს ხელისუფლებაში; თავისი სატელიტი პარტიების „კომუ-ნისტები“ და „სამართლიანობის პარტიის“ მეშვეობით (თავმჯდომარეები: პანტელეიმონ გიოგრაძე, ირინა სარიშვილი), იგორ გიორგაძემ მოსკოვიდან დაიწყო მანიპულირება ზვიადის მკვლელობის თემით; იგი მოსკოვის სა-მალავიდან იძლეოდა ვრცელ ინტერვიუებს გაზეთებსა და ტელევიზიებში, შევარდნაძის მხილებისა და ზვიადის მკვლელის დასახელების პირობით, თუკი იგი დაბრუნდებოდა საქართველოს ხელისუფლებაში.



საქართველოს დამოუკიდებლო-ბისათვის მებრძოლი დისიდენტე-ბი: ირინა სარიშვილი, მამუკა გიორგაძე, ირაკლი ქადაგიშვილი, ვანო ხუხუნაიშვილი, გიორგი კო-ბახიძე, ირაკლი წერეთელი, თამარ ჩხეიძე, ლუიზა შაკიაშვილი, თეი-მურაზ სუმბათაშვილი, ირაკლი შენგელაია, ნოდარ ნათაძე, ავთან-დილ იმნაძე, ვახტანგ ძაბირაძე, რეზო შავიშვილი, ვაჟა ადამია და სხვები, ე. შევარდნაძემ, 1992 წლის 11 ოქტომბრის ე.წ. „იმედის“ არჩევნებით პარლამენტში შეიყვანა, რითაც დააკ-მაყოფილა მათი პოლიტიკური ამბიციები. თუმცა, საქართველოს და-მოუკიდებლობისათვის პატიმრობაგამოვლილ ამ დისიდენტთა უმრავლესო-ბას, შევარდნაძისაგან, წინ დიდი გაწბილება და სულში ჩაფურთხება ელოდა;

1992 წლის 24 ივნისის დაგომისის, 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკო-ვის ე.წ. სამშვიდობო და 1993 წლის 27 ივლისის სოჭის ხელშეკრულებე-ბის დადებითა (ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის გასხვისება) და საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1-ელი მარტის გადაწყვეტილე-ბით საქართველოს СНГ-ში შესვლით, რუსეთის სატრაპმა შევარდნაძემ უმოწყალოდ გადაუსვა ხაზი მათ დისიდენტურ ბრძოლას. შევარდნაძის სივერაგისადმი ყოფილი დისიდენტების რეაქცია პარლამენტში უმძაფრე-სი იყო; ირაკლი წერეთელმა სტვენა და გინება დაიწყო, გამწარებულმა ლუიზა შაკიაშვილმა – «Широка страна моя родная“ იმღერა. ნოდარ ნა-

თაძემ, პირიდან და თვალებიდან ცეცხლის ყრით, შევარდნაძეს, ჯაბა იოსელიანსა და თენგიზ სიგუას სულ მოღალატე და საქართველოს მტრები ეძახა. ხალხი მოელოდა, რომ ისინი, პროტესტის ნიშნად, დახევდნენ ან დაყრიდნენ მანდატებს, მაგრამ, საბოლოოდ, ისინი ვერ შეელიენ კოოპტაციით მოპოვებულ პარლამენტარობას (პრივილეგიებს).



საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის
წესდებასთან საქართველოს რესპუბლიკის
შეერთების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდებას.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1994 წლის 1 მარტი.

მომავალმა თაობებმა აუცილებელად უნდა იცოდნენ, თუ ვინ დააბრუნა ისტორიის ჩარხი და ვინ იყვნენ საქართველოს CHГ-ში შეყვანის ინიციატორები; ამ მიზნით ვაქვეყნებთ პარლამენტის სპიკერის მოადგილის რუსუდან ბერიძის მიერ წაკითხულ ხმის მიმცემთა სტენოგრამას;

რუსუდან ბერიძე: „ვკითხულობ დსთ-ში შესვლის მომხრეთა სიას: აბალაკი გივი, აბაშიძე ასლან, აბესაძე ინგუშა, აბულაძე თენგიზ, ადამია ჯემალ, ადამია რევაზ, ალექსანიანი ფერდინანდ, ამირეჯიბი მზეჭაბუკ (ჭაბუა), ანდრიაძე ირაკლი, არველაძე ტახირ, ახმეტელი გიორგი, აჯიაშვილი სიმონ (ჯემალ), ბალაშვილი ვლადიმერ, ბარამიძე გიორგი, ბარამიძე მალხაზ, ბაშალეიშვილი დავით, ბახტაძე დემურ, ბერიანიძე შალვა, ბერიძე ალექსანდრე, ბერიძე ჯემალ, ბრეგაძე აკაკი, ბუაჩიძე თენგიზ, გაზდელიანი თენგიზ, გამყრელიძე თამაზ, გაჩეჩილაძე გიორგი, გელაძე ავთანდილ, გელაძე ვაჟა, გეწაძე გურამ, გვერდწითელი მიხეილ, გიგინეიშვილი მანანა, გოგუაძე ვახტანგ, გოდერძიშვილი გელა, გორგოძე ჯემალ, გულუა ბაკურ, დოლიძე როსტომ, დოლმაზაშვილი ავთანდილ, ელოშვილი ომარ, ენუქიძე ზაზა, ვარდოსანიძე ლევან, ველიჯანაშვილი გოდერძი, ზუხბაია ოთარ, თავართქილაძე ანზორ, თირქია ლედი, თუმანიშვილი გრიგოლ, იაკობიძე ვაჟა, იორამაშვილი გივი, იოსელიანი ჯაბა, კალანდაძე თენგიზ, კალაძე რობიზონ, კალანდია გენო, კეკელია შალვა, კვარაცხელია ვალერი, კიკნაძე გიორგი, კირთაძე ნესტან, კიტოვანი თენგიზ, კობაიძე ალექსი, კობერიძე ნუგზარ, კოპალეიშვილი თეიმურაზ, კოხია ოთარ, კოხრეიძე ნოდარ, კურტანიძე ჯუმბერ, ლეკიშვილი ნიკოლოზ, ლითანიშვილი ოთარ, ლიპარტელიანი როინ, ლობჟანიძე გივი, ლომინაძე გივი, ლომსაძე ბორის, ლორთქიფანიძე გრიგოლ (გიგა), ლორთქიფანიძე ვიქტორ, ლორთქიფანიძე როზა, მამალაძე ლევან, მამრაძე პეტრე, მამულია გურამ, მანძულაშვილი მიხეილ, მარშანია ადა, მახალდიანი სოსო, მგელიაშვილი თეიმურაზ, მეგუთნიშვილი სოსო, მიმინოშვილი რომან, მუჩაიძე გურამ, მჭედლიძე მიხეილ, ნადარეიშვილი თამაზ, ნათელაშვილი შალვა, ნაკაშიძე ბადრი, ნოღაიდელი ზურაბ, ოთარაშვილი ვაჟა, ორჯონიკიძე იზა, პატიაშვილი ჯუმბერ, ჟვანია ზურაბ, ჟორჟოლიანი გია, რივკინი მარკი, რჩეულიშვილი ვახტანგ, რუხაძე სერგო, სნხჩიანი ჟორა, უსტიაშვილი გურამ, ფენდერავა არნოლდ, ქარცივაძე ნოდარ, ქაშაკაშვილი ამირან, ქაჯაია მერაბ, ქველაძე ზურაბ, ქვლივიძე გელა, ღარიბაშვილი ქართლოს, ღოღობერიძე ლანა, ყოლბაია ვახტანგ, შაიშმელაშვილი გიორგი, შენგელაია ელდარ, ჩარკვიანი ჯანსუღ, ჩარქსელიანი ანზორ, ჩიტლოვი დიმიტრი, ჩხენკელი მიხეილ, ცივაძე დავით, ცინცაძე თამაზ, ციციშვილი ჯიმშერ, ციხელაშვილი ტარიელ, ციხისთავი გია, წერეთელი ზურაბ, წითლანაძე გიორგი, წიკლაური მევლუდ, წოწონავა ანზორ, ჭეიშვილი რევაზ, ჭელიძე ივერი, ხარატიშვილი იოსებ, ხაჭაპურიძე ვაჟა, ხვედელიძე გივი, ხიზანიშვილი რამაზ, ხუციშვილი ომარ, ჯაფარიძე რევაზ, ჯეირანაშვილი ნიაზ, ჯიბლაძე ალექსანდრე.

პოეტი და პარლამენტარი ჯანსუღ ჩარკვიანი იხსენებს: „დსთ-ში შესვლას კენჭი რომ ვუყარეთ, მეორე დღეს პარლამენტის ფოიეში ჩემს მეგობარ ელდარ შენგელაიას ვიღაც ელაპარაკებოდა. ელდარს გადავეხვიე, მივესალმე. მეორე კაცი არ მომესალმა და ხელგაწვდილი დამტოვა. მე ვუთხარი, რა არის, ლენინივით ხელგაწვდილი რომ დამტოვე-მეთქი და მე იმ კაცს ხელს არ ჩამოვართმევ, ვინც შევარდნაძის დაძახილზე დსთ-ში შესვლაზე ხელი მოაწერაო. მე შაირი მეხერხება და იმ კაცს ლექსად მივუგე:

„ასე გვითხრა შევარდნაძემ, ტრიბუნაზე შემდგარმა: „შეხვალთ? დედა „მოგეკ(აქ ორი უხამსი ასო-ნიშნის ნაცვლად **კ** ჩავსვით)ვლებათ“, თუ არ შეხვალთ, დედ-მამა“ *(ჯანსუღის ამ უხამსური „ექსპრომტის“ ვიდეოც არსებობს* – **ლ. ც.**). რასაკვირველია, ეს ლექსი ედუარდ შევარდნაძემდე მივიდა. მოგვიანებით ერთმანეთს შევხვდით და შევარდნაძემ მითხრა: ბიჭო, რა ტიპი ხარ, მამა შემეცოდა, მამაო“.

ვბეჭდავთ, გაზეთში გამოქვეყნებულ დოკუმენტსაც, ვინაიდან ამ წითელი ინტელიგენციის შვილები, ცდილობენ რა პატრიოტად წარმოაჩინონ თავიანთი მშობლები, დღეს უკვე ამბობენ-წერენ, რომ მათ მშობლებს ხელი არ მოუწერიათ СНГ-ში შესვლაზე (მაგალითად, თაკო ჩარკვიანი).

საქართველოს პარლამენტის წევრთა განცხადება

ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრები, მხარს ვუჭერთ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ ედუარდ შევარდნაძის გადაწყვეტილებას საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის შესახებ.

პარლამენტის წევრები:
აბალაძე გივი ბორგუნის ძე
აბაშიძე ალფან იბრაგიმის ძე
აბესაძე ინგუშა ხოტინის ძე
აბულაძე თენგიზ ეფგენის ძე
ადამია ჯუმბულ ბაბუას ძე
ადამია რევაზ შოთას ძე
ალექსანიანი ფერდინანდ არმენაკის ძე
ამირაჯიბი ფუფუანუკ (ბაბუა) ირაკლის ძე
ანდრიაძე ირაკლი ოლიმპიის ძე
აფაქიძე ტასი ვლადიმერის ძე
აფხაზელი გიორგი (ცუზარი) გიორგის ძე
აჯიაშვილი სიმონ (ჯემალი) დავითის ძე
ბალაშვილი ვლადიმერ ოდდა ძე
ბარამიძე გიორგი ალექსეზოს ძე
ბარამიძე ფალიაზ ბენიამინის ძე
ბაუალეიშვილი დავით რეინის ძე
ბასტაძე დეზერ ფიხეილის ძე
ბერიანიძე შალვა ზაკარიას ძე
ბერიძე ალექსანდრე ფიხეილის ძე
ბერიძე ჯემალ ლევანის ძე
ბრეგაძე აკაკი ალექსანდრის ძე
ბუაჩიძე თენგიზ პაპლეს ძე
ბაზდილიანი თენგიზ კონრადის ძე
გაგულიძე თამაზ პალიკიანის ძე
გაჩეჩილაძე გიორგი-ამბერკის ძე
გელაძე ავთანდილ შოთას ძე
გელაძე ვაჟა ნიკოლოზის ძე
გეფაშე ბურაბ ეასონის ძე
გვერდწითელი ფიხეილ კაპლეს ძე
გიგინეიშვილი ფანანა ივანის ასული
გოგუაძე ვახტანგ ვლასის ძე
გოდერძიშვილი გელა გიორგის ძე
გორგოძე ჯემალ პალერიანის ძე
გულუა ბაკურ დავითის ძე
დოლიძე როსტომ ბასანის ძე
დოლმაჯაშვილი ავთანდილ რაფინის ძე
ელოშვილი ოდარ ილიას ძე
ენგეძიძე ზაზა ფიხეილის ძე
ვარდოსანიძე ლევან გრიგოლის ძე
ველიჯანაშვილი ბოდერძი რაფიელის ძე
ზუნგაია ოთარ გიორგის ძე
თავგართელაძე ანზორ ილარიონის ძე
თინაქიძ ლეფი თარაფის ასული
თუფანიშვილი გრიგოლ დიმიტრის ძე
იაკობაძე ვაჟა ტაშტანის ძე
იორანაშვილი ბეგი ფიხეილის ძე
იოსელიანი ჯაბა კონსტანტინეს ძე
კალანდაძე თენგიზ გრიგოლის ძე
კალაძე რობიზონ არჯევანის ძე
კალანდია გენო ვლადიმერის ძე
კეკელია შალვა ნიკორდრის ძე
კვარაცხელია ფალერი დავითის ძე
კეტნაძე გიორგი (ბოზი) პარლაბის ძე
კერთაკე ნენგან ლევანის ასული
კეტოფანი თენგიზ კალისტრატეს ძე
კობაიძე ალეკო ლევანის ძე
კობერიძე ნუგზარ ნიკოლოზის ძე
კოკალეიშვილი თეიმურაზ დავითის ძე
კოსია ოთარი გრიგოლის ძე
კოსრეიძე ნოდარ ლუკას ძე
კუტატელაძე ჯუმბერ გიორგის ძე
ლეკიშვილი ნიკოლოზ ფიხეილის ძე
ლეთარგიშვილი ოთარ ანტონის ძე
ლიპარტელიანი რობინ ფასილის ძე
ლოგგანიძე გივი შალვას ძე
ლომინაძე გივი ნიკოლოზის ძე
ლომსაძე გოგის აბესალომ ძე
ლორთქიფანიძე გრიგოლ (ბეგა) დავითის ძე
ლორთქიფანიძე ვიქტორ ფიხეილის ძე
ლორთქიფანიძე როზა ოთარის ასული
მაგალაძე ლევან ლეგეთრის ძე
მაჩარაძე პეტრე გრიგოლის ძე
ღავთია გურამ ხაფსონის ძე
მანჭელაშვილი ფიხეილ შალვას ძე
მარგანია ადა ლორენის ასული
მაჩალდიანი ნოსო თენგიზის ძე
მგელიაშვილი თეიმურაზ (ჯუბო) ივანის ძე
მეგუთნიშვილი ნოსო არჩილის ძე
მიქიანოშვილი რომან ლევერიანის ძე
მუსაიძე გურამ ოთარის ძე
მფილაძე ფიხეილ ლევანის ძე
ნადარეიშვილი თამაზ ვლადიმერის ძე
ნათელაშვილი შალვა აფგარის ძე
ნაკაშიძე გაფრი ჯემალის ძე
ნოლაიდელი. ზურაბ თეიმურის ძე
ოთარაშვილი ვაჟა გიორგის ძე
ორჯონიკიძე იზა არჩილის ასული
პაპიაშვილი ჯუმბერ ილიას ძე
ძვანია ზურაბ ბენარიონის ძე
ძორძოლიანი ბია გიორგის ძე
რევაზი ფარი ალექსანდრეს ძე
რჩეულიშვილი ვახტანგ შალვას ძე
რუხაძე ხერგო ხაფსონის ძე
სნეჩიანი ძორა ზარბანდის ძე
უსტიაშვილი გურამ ხარიტონის ძე
ფანდერავა არნოლდ ეროსტის ძე
ქარცივაძე ნოდარ ხეფდის ძე
ქაშაკაშვილი ამირან ნიკოლოზის ძე
ქაჯაია ფერაბ ფუსას ძე
ქველაძე ზურაბ ილიას ძე
ქვლიფიძე ბელა პეტრეს ძე
ღარიბაშვილი ქართლოს დავითის ძე
ღოლოფერიძე ლანა ლევანის ასული
ყოლბაია ვახტანგ ბაბარიელის ძე
შაიშმელაშვილი გიორგი ფიხეილის ძე
შენგელაია ილდარ ნიკოლოზის ძე
ჩარკვიანი ჯანსუღ ავდიდის ძე
ჩარქსელიანი ანზორ კონსტანტინეს ძე
ჩიბლოკი დიმიტრი ხაფსონის ძე
ჩხენკელი ფიხეილ ბაკინიფის ძე
ცივაძე დავით გიორგის ძე
ცინცაძე თამაზ ინგბალის ძე
ციციშვილი ჯიმშერ ვახტანგის ძე
ციხელაშვილი ტარიელ ივანის ძე
ციხისთავი ბია ხოლომონის ძე
ფარეთელი ზურაბ კონსტანტინეს ძე
ფიფლანაძე გიორგი იაკობის ძე
ფილაური ფეფლეფ შაგრის ძე
ფონტაია ანზორ დავითის ძე
ფეიშვილი რევაზ (რეზო) ბენედიქტეს ძე
ფელიძე ივერი რაფიელის ძე
ხარაგიშვილი ეროსა ალექსის ძე
ხუბაურიძე ვაჟა ხოლომონის ძე
ხვედელიძე გივი ანდრეს ძე
ხიზანიშვილი რევაზ რობიზონის ძე
ხუციშვილი ოდარ იურის ძე
ჯაფარიძე რევაზ ანდრიას ძე
ჯიერანაშვილი ნიკო ალექსანდრეს ძე
ჯიბლაძე ალექსანდრე ბასანის ძე

СНГ-ში შესვლის საპარლამენტო გადაწყვეტილება გახდა მიზეზი გია ჭანტურიას მიერ ხონის დატოვებისა და ამით ზვიადისტების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლების გაგრძელებაზე უარის თქმის. „იმისთვის ვიბრძოდი, რომ ისევ იმპერიაში შევყო თავი?!“ აღშფოთებით ეუბნება იგი ჯაბას და პროტესტის ნიშნად ბრუნდება თბილისში. „საგანგებო კომიტეტიდან“ პროტესტის ნიშნად გამოდის, აგრეთვე ირაკლი ბათიაშვილიც. ბათიაშვილი, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თავმჯდომარეობიდანაც გადადგა. გია ჭანტურიას მოთხოვნით, ვიცე-პრემიერის თანამდებობიდან გადადგა, აგრეთვე ირინა სარიშვილიც.

შევარდნაძის ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკური კურსის გამო, 1992 წლის 11 ოქტომბრის ხუნტის პარლამენტში, პარლამენტარობაზე უარი პროტესტით მაინც თქვეს: **თემურ მდინარაძემ, თორნიკე ფიფიამ, მალხაზ კვანჭილაშვილმა.** თემურ მდინარაძის პროტესტი ეხებოდა მიწის კანონსა და სხვა ანტისახელმწოფოებრივ საკანონმდებლო აქტებს. თორნიკე ფიფიამ გაილაშქრა ჯაბა იოსელიანის „მხედრიონის“ ეგზეკუციებისა და კრიმინალური თარეშის წინააღმდეგ სამეგრელოში. ბატონი კვანჭილაშვილის პროტესტის მიზეზი გახდა სოჭის ხელშეკრულება, რომელიც განიხილებოდა 1993 წლის 24 ივლისის პარლამენტის სხდომაზე (მიღებულ იქნა 27 ივლისს).

ზემოხსენებულ კონდოტიერებთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ბუმბერაზი პოეტისა და მამულიშვილის **აკაკი წერეთლის მწარე ამოძახილი:** „სწორედ გამოცანაა ქართველების ცხოვრება! ვუკვირდები ჩვენი ქვეყნის თავგადასავალს და მიკვირს... ჩვენი ისტორია ვერ წარმოგვიდგენს მისთანა შემთხვევას, რომ ქართველები დამარცხებულიყვნენ და მიზეზი ღალატი არ ყოფილიყოს! ვინ იყვნენ ეს მოღა-

ლატეები? ქართველისავე შვილები და მერე რა შვილები?! რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღოდათ ქვეყნის წინაშე და ადრე სამშობლოსათვის თავდადებულნი ყოფილან“.

1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებით დეპუტატობაზე პირადად თავი შეიკავა ედპ-ს ლიდერმა გია ჭანტურიამ და იქ მხოლოდ თავისი ემისრების საკმაოდ დიდი წარმომადგენლობა შეგზავნა, ხოლო თავად საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სერიოზულ მზადებას შეუდგა; ჭანტურიამ დაიწყო აქტიური ვიზიტები საზღვარგარეთ, შეეცადა ურთიერთობების დამყარებას საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აწყობდა ინტენსიურ შეხვედრებს უცხოელ დიპლომატებთან და ა.შ. ამგვარი აქტივობით დასავლეთისა და ევროპის პოლიტიკურ წრეებში იგი იკვეთებოდა, როგორც მზარდი და კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა პოლიტიკური ფიგურა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია შევარდნაძეს; ჭანტურია, მის თვალწინ, დასავლეთზე ორიენტირებულ პროგრესულ პოლიტიკოსად ყალიბდებოდა.

გია ჭანტურიას მოცილება, რუსეთისა და მისი ემისრის ე. შევარდნაძისათვის, სასიცოცხლოდ აუცილებელი გახდა; და აი, 1994 წლის 3 დეკემბერს, შეიარაღებული სპეცნაზი, საკუთარ სახლთან მანქანაში ცხრილავს ჭანტურიას. შევარდნაძე, ამგვარი წარმატებული ოპერაციისათვის, მალე გენერლის წოდებით აჯილდოვებს საკუთარ უშიშროების მინისტრს იგორ გიორგაძეს, რომლის კისერზეა, აგრეთვე გია გულუასა და შევარდნაძის ფონდის თავმჯდომარის სოლიკო ხაბეიშვილის სისხლიც, რომლებიც, გიორგაძემ, შევარდნაძისავე დაკვეთით მოკლა.

1992 წლის 23 ივნისს გორის რუსეთის სამხედრო ბაზაზე თავდასხმაც. პოლკოვნიკ **ბესიკ ქუთათელაძის** მეთაურობით, შევარდნაძის ვერაგული ჩანაფიქრი იყო; შევარდნაძეს აღარ სჭირდებოდა ქუთათელაძე და ამ სასაკლაოზე წარგზავნით მოიცილა იგი.

საქართველოს უშიშროების მინისტრის, იგორ გიორგაძის სისხლიანი ხელები იკვეთება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დევნაში, შეპყრობასა და მკვლელობის ორგანიზებაშიც კრემლის პოლიტელიტის დაკვეთით.

ჯალათი და ტერორისტი იგორ გიორგაძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შევარდნაძეზე წარუმატებელი ტერაქტის შემდეგ (1995 წლის 29 აგვისტო), სექტემბერში, მოსკოვში გაიქცა.

ზურაბ წერეთლის ფენომენი, წითელი ინტელიგენციის რუტინა

„არ არსებობს უფრო დიდი მტერი
საკუთარი ხალხისა,
ვიდრე კოლონიზატორების მიერ
აღზრდილი ინტელიგენცია.“

ჯავაჰარლალ ნერუ

მოქანდაკე ზურაბ წერეთელი – ეს ტიპიური საქმოსან-ოლოგარქი, რომელიც არც-თუ ჰაბიტუსით ჰგავს შემოქმედის ნატურას, საბჭოთა პერიოდიდანვე ახლო ურთიერთობაში იყო ე. შევარდნაძესთან და არავის უთმობდა რუსეთის პოლიტბიუროს უმაღლეს პირთა მასპინძლობასაც. ჯაბა იოსელიანი თავის ხუთასგვერდიან დოკუმენტურ წიგნში „სამი განზომილება“ იხსენებს: „ზურაბ წერეთელმა თავისი მარიფათით საკუთარ სახლში, ბაგებში, ბრეჟნევის ცხოვრების ამსახველი ექსპოზიცია მოაწყო. შევარდნაძის დავალებით... საგანგებოდ დნეპროძერჟინსკშიც წავიდა... ბრეჟნევის სახლის და გარდაცვლილი დედის ფოტოები ჩამოიტანა. შემდეგ მონტაჟი გააკეთა – ერთ გადიდებულ ფოტოზე ბრეჟნევი დედამისის გვერდით გამოსახა და წინდახედულად შემოსასვლელში დაკიდა... ბრეჟნევი შეჩერდა, ცრემლები გადმოყარა და წაილუღლუღა: იცით, მე კი არა მაქვს ეს ფოტო“.

აი, ამ ტიპის ხელოვანთა და საბჭოთა მეცნიერთ სძულდათ ზვიად გამსახურდია, რომლებსაც უმძიმდათ უარის თქმა ჩვეულ ნეგატიურ ცხოვრების წესსზე, რომლებსაც აკრთობდათ ზნეობა და მორალი. ისევე, როგორც 1918-21 წლებში, 1990-იან წლებშიც, წითელმა ინტელიგენციამ, კომუნისტებთან ერთად პრინციპული ბრძოლა გამოუცხადა ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას, არ სურდათ რა მათ საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფა. ანალოგიისათვის მოვიყვანთ ციტატას გრიგოლ ჟვანიას კრებულიდან „როგორ მზადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია“:

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი დამოკიდებულების საკითხში განსაკუთრებულ შეურიგებლობას იჩენენ ქვეყნის შიგნით ქართველი კომუნისტები. ისინი რუსეთისაგან, ჯერ ამიერკავკასიის, ხოლო ისტორიული 26 მაისის შემდეგ საქართველოს ჩამოშორებას აფასებდნენ, როგორც „ანტიხალხურს“, „კონტრრევოლუციურს“ და ა.შ. ასე იყო 1918-21 წლებში. ხოლო, 1991-93 წლებში კომუნისტების, წითელი ინტელიგენციისა და მათ მიერ დაგეშილი რეაქციონერების მხრიდან ბრძოლამ უფრო მწვავე და ულმობელი ხასიათი მიიღო, რადგან ამჯერად, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ხელისუფლების მართვის სადავეები ხელთ ეპყრა არა ნოე ჟორდანიას მსგავს რუსეთუმე და უნიათო პოლიტიკოსს, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ ლიდერს ზვიად გამსახურდიას, რაც მოასწავებდა სრულიად კავკასიის გაერთიანებას და მასზე რუსეთის გავლენის დაკარგვას.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის საარჩევნო სიების შედგენის წინ ზვიად გამსახურდია პირადად ეახლა აკაკი ბაქრაძეს შინ და გულითადად შესთავაზა სათავეში ჩასდგომოდა „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ საარჩევნო სიას და ამასთანავე გამოთქვა მზადყოფნა უპრეცენდენტო კომპრომისისათვის – თავად უარს იტყოდა საპარლამენტო არჩევნებში კენჭისყრაზე. მიუხედავად იმისა, რომ აკაკი ბაქრაძემ მაშინვე უარით უპასუხა ზვიადს, ზვიადი, იგივე თხოვნით, კიდევ ორჯერ ეწვია მას. ბაქრაძის პასუხი სამჯერვე მტკიცედ უარყოფითი იყო.

აკაკი ბაქრაძე

ზვიად გამსახურდიას, ასევე არაერთი მცდელობა ჰქონდა ნოდარ ნათაძესთანაც, რათა „სახალხო ფრონტსა“ და „მრგვალ მაგიდას“ ერთიანი სიით ეყარათ კენჭი, რაც ნოდარ ნათაძეს უჩენდა რეალურ პერსპექტი-

ვას პარლამენტში მეტი კანდიდატების შეყვანისა. ზვიად გამსახურდიას წინადადებებს, ნოდარ ნათაძემაც კატეგორიული უარით უპასუხა. პრეზიდენტად არჩევის შემდგომ კი ზვიად გამსახურდიამ არაერთ კომუნისტ მეცნიერს შესთავაზა მაღალი თანამდებობები; თამაზ გამყრელიძემ, მარიამ ლორთქიფანიძემ და რევაზ თვარაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის თანხმობაზე შორს დაიჭირეს თავი, რისი ერთადერთი მიზეზიც პრეზიდენტ ზვიად გამსაურდიასადმი მათი მტრული დამოკიდებულება გახლდათ.



ნოდარ ნათაძე



თამაზ გამყრელიძე

წითელი ინტელიგენცია კრემლის ინსტრუქტაჟით მოქმედებდა და ბოიკოტს უცხადებდა ზვიად გამსახურდიას, რითაც მის დასუსტებასა და დამარცხებას ცდილობდა. თუმცა, კრემლის მცდელობამ წითელი ინტელიგენციით (რომლებსაც იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული დანიშნულებით ანიჭებდნენ უმაღლეს ჯილდოებსა და წოდებებს) დაემარცხებინა ზვიად გამსახურდია, არ გაამართლა. ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერდა ზვიად გამსახურდიას. ამ შემდგარი რეალობის წინაშე უძლურ იქმნა კრემლი; იგი სამხედრო გადატრიალებისათვის სამზადისს შეუდგა.

წითელმა ინტელიგენციამ, რომლის ძირითად ბირთვს ხელოვანები წარმოადგენდნენ, ბრძოლის პლაცდარმად კინოს სახლი აირჩია, სადაც პერმანენტულ მიტინგებზე პრეზიდენტ გამსახურდიას ჩამოგდების სულისკვეთებით გამოდიოდნენ: **რობერტ სტურუა, რეზო ჩხეიძე, ლანა ღოღობერიძე, გოგი ქავთარაძე, ოთარ ლითანიშვილი, თემო გოცაძე, გოგი ხარაბაძე, რეზო ესაძე, ქეთი დოლიძე, გია ბურჯანაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გურანდა გაბუნია, ელდარ შენგელაია, გიორგი შენგელაია, გიგა ლორთქიფანიძე, ბუბა კიკაბიძე, დიმა ჯაიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ ფანჯიკიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, თამაზ წივწივაძე, ნაირა გელაშვილი, იზა ორჯონიკიძე, მერაბ მამარდაშვილი...**

განუზომელი იყო ამ „ინტელექტუალი ვასალების“ შური და სიძულვილი დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასადმი. მოგვიანებით ვახტანგ რაზმაძე გაიხსენებს: **„ე. შენგელაიამ მითხრა:** „ვახტანგ, ძალიან პატივს გცემ, არ ხარ ცუდი ადამიანი და გთხოვ, ნუ ემსახურები გამსახურდიასო“.

ელდარ შენგელაია: ***«მე მივედი და დავწვი გაზეთ «საქართველოს რესპუბლიკის» ნომრები, სადაც ათასი სისულელე იწერება მოსკოვის*** **ГИК-ზე** (**Государственный институт кинематографии** –ავტ.); ***საქართველო უნდა იყოს ლაღი და თავისუფალი ქვეყანა... ის საქართველო კი... რომელიც მათ უნდათ... არ გვინდა ასეთი საქართველო! არ გვინდა ასეთი საქართველო!!!»***

მედროვე და უწიგნურმა, ელდარ შენგელაიამ, შევარდნაძეს როდი უერთგულა; პარლამენტის უკანასკნელ დაძაბულ სხდომაზე, გრძივ სკამებს შორის ჩამძვრალმა, დარბაზში შეჭრილ სააკაშვილს ერთი ვარდი გამოსტაცა და პირგაბადრულმა თვითონაც აღმართა; ე. შენგელაია სააკაშვილის პარლამენტარიც გახდა. შენგელაია, არც მის მზრუნველ ივანიშვილს ერთგულებს...

ჯანსუღ ჩარკვიანი იმ დღეებში წერს: ***«ჩვენი ადგილი აწმყოსა და მომავალში აღარ არის — ჩვენი ადგილი ისტორიაშია».***

„თავისუფლება და სილაღე“ მათ, კოლონიალური რუსეთის წიაღში წარმოედგინათ მხოლოდ და ჭეშმარიტი თავისუფლებისათვის მოღვაწე მამულიშვილებისადმი იმგვარი აგრესიით იყვნენ აღძრულნი, რომ მზაობდნენ, დაებნელებინათ საკუთარი სამშობლოს მომავალი და ისტორიულ წარსულში დაეტოვებინათ იგი.

ტელევიზიის ჟურნალისტების გაფიცვა

მას შემდეგ, რაც 1991 წლის 22 სექტემბერს, კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერმა ხალხმა რუსთაველის პროსპექტიდან შიშველი ხელებით განდევნა აგენტურული ოპოზიცია, მათ სახელმწიფო ტელევიზიასთან გადაინაცვლეს, სადაც ჟურნალისტთა ერთ ნაწილს დაწყებული ჰქონდა გაფიცვა „დიქტატორი პრეზიდენტის“ გადადგომის მოთხოვნით. გაფიცვას სათავეში ედგნენ: **არჩილ გოგელია, ლევან ღვინჯილია, ვალერი კვარაცხელია, ლუიზა შაკიაშვილი, მამუკა არეშიძე, კოკა ყანდიაშვილი, გ. ფანჯიკიძე, თ. წივწივაძე, ჭ. ამირეჯიბი, ჯ. ჩარკვიანი, ირ. წერეთელი, ზვიად ქორიძე, თემურ კვირკველია** და სხვები. ისევე, როგორც ოპოზიციის უდიდესი უმრავლესობა, ლევან ღვინჯილიაც მოსკოვის კგბ-ს

აგენტი გახლდათ „ოდიშარიას“ ფსევდონიმით, რის დამადასტურებელ კართოტეკას აქვე ვაქვეყნებთ.



СОВ. СЕКРЕТНО

	Псевдоним "ОДИШАРИ"
1. Фам. ГВИНДЖИЛИЯ	№ 20749 №
2. Имя ЛЕОН	(лич дела) (архива)
3. Отч. СИЛИБИСТРОЕВИЧ	Категория АГЕНТ
4. Год рожд. 1950 5. Место рожд с. Ахали Хибула	Когда завербовали 1974 февр ль
Хобского р–н ГССР 6. Адресс г. Тбилиси	Кем завербовали ШАНИДЗЕ " 5 " отдел " 1 " отделечие
ул Шевченко 3	орган КГБ ГССР
7. Место работы и долж. инстит	Оформить личное дело и
ут языкознания АН ГССР ст. науч.сотрудник	взять на учет
8. Партийность член КПСС	Нач 5 отдела КГБ ГССР
9. Нац грузин 10.Гражд СССР	подпись Полковник
11. Образование высшее	КВАРЦХАВА

СОВ. СЕКРЕТНО

მოგვიანებით (2002 წლის ოქტომბერში) ლევან ღვინჯილია კგბ-ს აგენტობაში, აგრეთვე საჯაროდ ამხილა პარლამენტარმა **გურამ შარაძემაც** ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ით გამართულ დებატებში, ღვინჯილიამ კი ვერ გააბათილა მის წინააღმდეგ წაყენებული მძიმე ბრალდება, არამედ იგი, ხაფანგში მომწყვდეულივით წრიალებდა. მას, არც სასამართლოში უჩივლია შარაძისათვის (პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი გურამ შარაძე სააკაშვილ-მერაბიშვილის სპეცაგენტებმა მელიქიშვილის ქუჩაზე უკნიდან თავში სროლით მოკლეს 2007 წლის 20 მაისს).

ტელევიზიის აქციას, მთელი სამხედრო არსენალით (ტანკებით, ავტომატებით და არტილერიით) იცავდა პრეზიდენტისგან განდგომილი და რკონიდან წამოსული თენგიზ კიტოვანი, რითაც აშკარა გახდა 17 სექტემბერს გაფიცული ჟურნალისტების, პოლიტიკური ოპოზიციისა და მწერლების ალიანსი შეიარაღებულ ძალებთან, რომლებმაც ერთობლივად გაძარცვეს და დაარბიეს სახელმწიფო ტელევიზია. ტელევიზიიდან განდევნეს ჟურნალისტები: **მზია ბაქრაძე, თინა მგალობლიშვილი, დავით სოკოლოვი, ქეთევან ნიჟარაძე, თამარ გელაშვილი და სხვ.**

შეიარაღებულმა ოპოზიციამ 25 სექტემბერს თავდასხმა მოახდინა თელასზე, სადაც დაიღუპა 5 და დაიჭრა რამდენიმე ადამიანი. თელასზე გახორციელებული სისხლიანი დივერსიის შემდეგ, წითელმა ინტელიგენციამ შეწყვიტა მჯდომარე აქცია სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბეზე და ტელევიზიასთან გადაინაცვლა. თელასზე მომხდარი დივერსიის გამო პრეზიდენტი იძულებული გახდა საგანგებო წესები შემოეღო, მაგრამ შეიარაღებული ოპოზიცია კვლავაც განაგრძობდა დაუმორჩილებლობას, დესტრუქციულ თუ კრიმინალურ ქმედებებს. ამასთანავე, განაგრძობდნენ

პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნას, რაც კრემლის იმპერიულ გეგმას წარმოადგენდა იმის გათვალისწინებით, რომ ზვიად გამსახურდიას ნებაყოფლობითი გადადგომა ნიშნავდა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისა და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის მის მიერვე იურიდიულად გაუქმებას, ანუ კაპიტულაციას. საქართველოს რესპუბლიკა კვლავ რუსეთის შემადგენლობაში – მის პოლიტიკურ და სამართლებრივ სივრცეში დაბრუნდებოდა, რომ არაფერი ვთქვათ იმ ტოტალურ სახელმწიფოებრივ კატასტროფაზე, რაზეც წინასწარმეტყველებდა ზვიად გამსახურდია.

ოპოზიცია, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნის იდეოლოგიურად გამყარების მიზნით ავრცელებდა ხმებს: „თუ გამსახურდია დარჩება ხელისუფლების სათავეში, დასავლეთის ქვეყნები არ სცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას“ო. ოპოზიციის მტრული სულისკვეთების საპირისპიროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის პროცესი დაიწყო 1991 წლის 27 აგვისტოდან და გრძელდებოდა თვით პუტჩის დღეებშიც. აღსანიშნავია, რომ ამერიკა, რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით, არ ჩქარობდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას და მხოლოდ გადატრიალების პროცესში – 25 დეკემბერს აღიარა ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ასევე აუჩქარებლად მოიქცა აშშ – სომხეთის, უკრაინის, მოლდოვასა და სხვა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობის შემთხვევებშიც. 27 აგვისტოდან 6 იანვრის გადატრიალების ჩათვლით კი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის ქრონოლოგიური სურათი ასეთი იყო:

1. რუმინეთი – 27 აგვისტო
2. მოლდოვეთი – 27 აგვისტო
3. აზერბაიჯანი – 30 აგვისტო
4. სომხეთი – 13 სექტემბერი
5. თურქეთი – 16 დეკემბერი
6. უკრაინა – 16 დეკემბერი
7. მონღოლეთი – 20 დეკემბერი
8. ლიტვა – 20 დეკემბერი
9. ირანი – 25 დეკემბერი
10. კანადა – 25 დეკემბერი
11. აშშ – 25 დეკემბერი
12. ბრაზილია – 26 დეკემბერი
13. კუბა – 26 დეკემბერი
14. ტაილანდი – 26 დეკემბერი
15. ინდოეთი – 26 დეკემბერი
16. ვიეტნამი – 27 დეკემბერი
17. ბელორუსეთი – 27 დეკემბერი
18. ეგვიპტე – 27 დეკემბერი
19. ალჟირი – 27 დეკემბერი
20. ჩინეთი – 27 დეკემბერი
21. სლოვენეთი – 27 დეკემბერი
22. იორდანია – 28 დეკემბერი
23. ხორვატია – 28 დეკემბერი
24. ლიბანი – 30 დეკემბერი
25. პაკისტანი – 31 დეკემბერი

1992 წელს:

26. ლაოსი – 2 იანვარი
27. ერაყი – 2 იანვარი
28. ეთიოპია – 2 იანვარი
29. ბურუნდი – 6 იანვარი...

საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის პროცესი შეუქცევადი ხდებოდა, რაც საბოლოოდ თვით რუსეთსაც აიძულებდა ეცნო საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ამ აღიარებით აქტს კი უცილობლად მოჰყვებოდა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან დიპლომატიური, ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების დამყარება;

1991 წლის 29 სექტემბერს საქართველოში ერთკვირიანი ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ავტორიტეტული საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ფრიდომ რისარჩ ფაუნდეიშნის“ მრავალრიცხოვანი დელეგაცია. ამერიკელი ბიზნესმენების ჩამოსვლის მიზანი იყო საქმიანი ურთიერთობების დამყარება და ინვესტიციების გახორციელების შესაძლებლობის შესწავლა საქართველოს მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 190 (210) სამშაბათი, 1 ოქტომბერი, 19

შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან

საქართველო ზვიად გ

საქართველ

პრ

პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მიესალმა რა ამერიკელ ბიზნესმენთა დელეგაციას, გამოთქვა იმედი, რომ მათი ჩამოსვლა ნაყოფიერი იქნება, არამარტო საქმიანი კონტაქტების დამყარების კუთხით, არამედ ხელშემწყობ ფაქტორად იქცევა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დიპლომატიური ცნობის დაჩქარების საქმეშიც. დელეგაციის მეთაურმა ჯეკ უილერმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საინტერესო ურთიერთობისათვის და რესპუბლიკაში შექმნილი ამომწურავი ინფორმაციის მიღებისათვის. საქართველოთი უცხოელი ინვესტორების დაინტერესების

პროცესი გრძელდებოდა შექმნილი დესტაბილიზაციის მიუხედავად. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია კი ყველაფერს აკეთებდა, რათა დროულად მიეღწია სტაბილიზაციისათვის და ქვეყანა დადგომოდა აღმშენებლობის გზას. ამ უმაღლესი პასუხისმგებლობის მოტივით პრეზიდენტმა 30 სექტემბერს გამოსცა ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აქციების მონაწილეთა **სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ“,** თუ ისინი ნებაყოფლობით ჩააბარებდნენ იარაღს(იხ. ბრძანებულება) .

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აქციების მონაწილეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში ბოლო დღეებში შექმნილი მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის ნორმალიზაციისა და სამოქალაქო მშვიდობის დამყარების მიზნით **ვბრძანებ:**

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლონ ყველა ის პირი, რომელმაც მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბერში ორგანიზაცია გაუკეთეს ან მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ აქციებში, თუ ისინი მიმდინარე წლის 3 ოქტომბრის დღის 12 საათამდე ნებაყოფლობით ჩააბარებენ იარაღს, საბრძოლო მასალებსა და ტექნიკას სპორტის სასახლეში საამისოდ სპეციალურად მოწყობილ პუნქტში და უარს იტყვიან ზემოაღნიშნული აქციების გაგრძელებაზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 30 სექტემბერი.

პრეზიდენტის ზემოხსენებული ბრძანებულება გამოიცა მას შემდეგ, რაც შეიარაღებულმა ოპოზიციამ 25 სექტემბერს მოახდინა თავდასხმა თელასზე (დაიღუპა 5 ადამიანი), 30 სექტემბერს, პუტჩისტებმა ბომბი ააფეთქეს ტელევიზიასთან, ხოლო ცირკის შენობიდან ზარბაზნები ესროლეს კვებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ესეც მას შემდეგ, რაც, წინა დღეებში (28-29 სექტემბერი), იუსტიციის სამინისტროში შედგა შეხვედრები მთავრობის წარმომადგენლებსა და ოპოზიციას შორის, რომელზედაც მთავრობის მხრიდან შეთავაზებული იყო კონფლიქტების

მშვიდობიანი, დიალოგის გზით გადაწყვეტა და ოპოზიციის ნებაყოფლობითი განიარაღების მოთხოვნა. ოპოზიციამ, მთავრობის წინადადების საპირისპიროდ წამოაყენა პრეზიდენტის გადადგომისა და პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმების მოთხოვნა, რაც სცილდებოდა მოლაპარაკების საგანს. პარალელურად, ინტელიგენციის მხრიდან, გაზეთებში ქვეყნდებოდა მოწოდებები შეიარაღებული ოპოზიციის მიმართ, რათა მათ შეეწყვიტათ შეიარაღებული დაპირისპირება და ყველა საკითხი მხოლოდ დიალოგის გზით გადაწყვეტილიყო (სარგის ცაიშვილის მიმართვა „ღია წერილი თენგიზ კიტოვანს!“, ანა კალანდაძის მიმართვა „ნამდვილად ღირს“, თამაზ გამყრელიძის, აკაკი ბაქრაძისა და სხვ.).

„საქართველოს ხოსპუბლიკა“ 1991 წ.

ნამდვილად ღირს!

ამ ძნიმე დღეებში, როდესაც რუსთაველის პროსპექტზე აღმართული ბარიკადების ერთ მხარეს ოპოზიციური დაჯგუფება დაბანაკებულა, ხოლო მეორე მხარეს პრეზიდენტის მომხრეთა ოკეანე ღელავს, ერთი ბრძნული ნათქვამი მაგონდება — **ყველაზე ღონიერი საკუთარი თავის მომრეველია.** ეს ხომ ჩვენს სულში ჩაბუდებული ეშმაკის დათრგუნვას გულისხმობს, დაძლევას სატანისას, ნიადაგ ერთმანეთის გაუტანლობას და ერთმანეთისათვის ანგარიშგაუწევლობას რომ გვიქადაგებს, ნიადაგ ძმათა ჟლეტისაკენ რომ მოგვიწოდებს და მოყვასის მიმართ სიძულვილით რომ გვავსებს?

ისევ გათიშვა და დაპირისპირება, ისევ... „ჩვენ“ და „ისინი“, ისევ... ორად (თუ მეტად არა!) გაბლეჩილი საქართველო და, რაც მთავარია, შემზარავი შიში ხვალინდელი დღისა!

დავთრგუნოთ სატანა, მოვძებნოთ, გამოვნახოთ საერთო ენა, გულისყურით მოვეუსმინოთ ერთმანეთს, — გავარკვიოთ გასარკვევი, დავთმოთ დასათმობი, უარვყოთ უარსაყოფი და ისევ ძმებად დავრჩეთ!

იმპერატორი მარკუს ავრელიუსი, ავტორი ღვთაებრივი წიგნისა — „ფიქრები“, ერთგან წერს: „უნდა შეგეძლოს შეიცვალო შეხედულება, თუკი ვინმე დაგანახვებს ან დაგიმტკიცებს შენი შეხედულების მცდარობას. მაგრამ შეხედულების შეცვლის საბაბი უნდა იყოს რაიმე დიდი და ნათელი, როგორც მაგალითად, სამართლიანობის, საზოგადო სიკეთისა თუ სხვა მათი მსგავსისთვის ზრუნვა, და არა ის, რაც სასიამოვნოდ გიჩანს, ან დიდებას გიქადის „შენ“ (წიგნი ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბატონმა ბიჩანა ბრეგვაძემ).

ჩვენი „შეხედულების მცდარობა“ უკვე „დაგვანახვა“ და „დაგვიმტიცა“ 25 სექტემბერს თბილისში უმიზნოდ და უშედეგოდ დაღვრილმა სისხლმა... ნუთუ ამ შემზარავმა ძმათამკვლელობამ ერთხელ მაინც არ უნდა გამოგვაფხიზლოს და დაგვაფიქროს?

უფრო „დიდი და ნათელი“ მიზანი კი, როგორიც **საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაა,** რაღა უნდა იყოს ყოველი ჩვენგანისათვის, ჩემო პატივცემულო თანამემამულენო?!

ღირს, ნამდვილად ღირს ამ დიდი და წმიდათაწმიდა მიზნისთვის „შეხედულების შეცვლა“ და ერთ მუშტად შეკვრა!

ანა კალანდაძე
30.IX.91.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს

დღეს უკვე აშკარაა, რომ დაპირისპირებულ ძალთა შორის მოლაპარაკებამ ჯერჯერობით შედეგი ვერ მოგვცა.

საბოლოო კატასტროფისა და მასობრივი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია: აღდგეს ისე მოულოდნელად შეწყვეტილი სესია უზენაესი საბჭოსი, რომელზეც უკვე დაწყებული იყო და მიმდინარეობდა ოფიციალურ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არსებულ დაპირისპირებათა მოგვარებასა და პოლიტიკური კონფლიქტების პარლამენტური გზით მოწესრიგების პროცესი.

ეს პროცესი უნდა ახლავე აღდგეს და გაგრძელდეს: გადავიტანოთ ამ საკითხებზე მსჯელობა მიტინგებიდან და ბარიკადებიდან პარლამენტში!

ამაში ვხედავ მე დღეს ერთადერთ ხსნასა და გამოსავალს შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან. ვუშველოთ ჩვენს ხალხს; ჩავაყენოთ ჩვენი ქვეყანა ცივილიზებულ სახელმწიფოთა რიგში; დავუბრუნოთ მას კეთილი სახელი კულტურული და განათლებული ერისა.

თამაზ გამყრელიძე,
საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

30 სექტემბერი, 1991 წ.

აი ამგვარი შეიარაღებული დაპირისპირების ესკალაციის ფონზე პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გამოსცა ზემოხსენებული 30 სექტემბრის ბრძანებულება.

1991 წლის იანვრის დასაწყისში, შავნაბადაზე (კომკავშირულ ქალაქ „ბორის ძნელაძეში“) დაბანაკებულ „მხედრიონის“ შტაბს რუსი სამხედრო ქვეგანაყოფი მიადგა. „მხედრიონელებს“, სიბნელის გამო, დაუპატიჟებელი სტუმრები ზვიად გამსახურდიას გვარდიელები ეგონათ და ცეცხლი გაუხსნეს, რასაც რუსების საპასუხო სროლები და „მხედრიონის“ შტაბის დარბევაც მოჰყვა. რუს სამხედროებსა და „მხედრიონელებს“ შორის ამ პროვოკაციულ შეიარაღებულ დაპირისპირებაში, ოპოზიციამ ზვიადს დასდო ბრალი და რამდენიმე დღის განმავლობაში ავრცელებდნენ მცდარ ინფორმაციას მომხდარის შესახებ და დაღუპულთა გაზვიადებულ რაოდენობასაც (60 ახალგაზრდა) ასახელებდნენ. ამგვარი მცდარი და ინსინუაციური ბრალდებები „ზვიად გამსახურდიას დიქტატორული რეჟიმის“ სამხილად მათ დააგზავნეს უცხოეთშიც. ხოლო, როცა რეალური ვითარება გაირკვა, ოპოზიცია არ ცდილა ინსინუაციური ბრალდების გამო ბოდიშის მოხდას ხელისუფლების მიმართ და არც გავრცელებული დეზინფორმაციის უარყოფას.

რამდენადმე მოგვიანებით, შეიარაღებული ოპოზიციის პოლიტიკურმა ლიდერმა თენგიზ სიგუამ ატეხა სკანდალი და დიდი ხმაური შექმნა, შავნაბადაზე დაბანაკებული კიტოვანის გვარდიელების მიერ, ვითომცდა „აღმოჩენილ“ რიგი ინტელიგენციის **„დასახვრეტთა სიის“** შესახებ.

ვითომცდა, პრეზიდენტ გამსახურდიას მიერ იანაევისადმი გაგზავნილი ეს **„შავი სია“,** რევანშისთვის საგანგებოდ გადამდგარ, თავად თენგიზ სიგუას მიერ იყო შედგენილი, რაზეც ამ ე.წ. დასახვრეტთა სიაში კინორეჟისორი ძმების – ელდარ და გიორგი შენგელაიების გვარის არასწორად შეტანაც (შენგელია) მეტყველებს. ზვიადს კი ნამდვილად არ შეეშლებოდა კინორეჟისორ შენგელაიების გვარი. მაშინდელ საზოგადოებას კარგად ახსოვს, აგრეთვე სიგუას ქადილი, „იანაევის ოქმების“ გამომზეურების შესახებაც, ვითომცდა ზვიად გამსახურდიას სამხილად, რაც ვერადავერ წარმოადგინა. იმ „შავ სიამ“ კი თავისი პროვოკაციული მისია შეასრულა – ინტელიგენცია აუმხედრა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ დააპირისპირა ზვიად გამსახურდიას. „დასახვრეტთა სიაზე“ პრეზიდენტის ხელმოწერის სიყალბე კი დაადასტურა სასამართლო ექსპერტიზამ, რომელსაც საქართველოს პროკურატურამ გადაუგზავნა და რომლის დასკვნაში წერია: **ხელმოწერა (სახელი და გვარი) ზ.კ. გამსახურდიას სახელით განლაგებულ წერილზე: სსრ კავშირის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის იანაევის სახელზე, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გერ-**

ბიანი ბლანკის რუსულად ნაბეჭდი ტექსტის ბოლოს, სიტყვის შემდეგ: „პრეზიდენტი“ – შესრულებულია არა ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას, არამედ სხვა პირის მიერ მის ნამდვილ ხელმოწერებზე მიმსგავსებით: *უფროსი (მეცნიერი) ექსპერტი: თ. ანდრიაშვილი.*

ქვემოთ კი იხილეთ ე.წ. „დასახვრეტთა სიის“ სრული ტექსტის და მასზე „ექსპერტის დასკვნის“ სრული ტექსტის „სკანერი“ გაზეთიდან „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ოქტომბერი, 1991, გვ. 3.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

Вице-Президенту

Янаеву Г. И.

С доверенными лицами Гоглидзе Р. и Оманидзе М. высылаю список на арест врагов народа.

Анкеты в двух экземплярах прилагаются.

Шеварднадзе	Патиашвили	Натадзе
Мгеладзе	Гумбаридзе	Чантурия
Поцхадзе	Асатиани К.	Шенгелия З.
Сигуа	Асатиани А.	Шенгелия
Хоштария	Чхеидзе Р.	Амиреджиби
Церетели З.	Чхеидзе Т.	Квилитая
Церетели	Бакрадзе	Беридзе
Адамия	Кахидзе	Ажашукели Р.
Китованя	Ханчели	Асатиани Ж.
Пааташвили	Исакадзе	Патиашвили
Кэшакашвили	Буачидзе	Адвадзе

Президент /Звиад Гамсахурдия/

ექსპერტის დასკვნა

1991 წლის 27 სექტემბერს, საქართველოს რესპუბლიკის სეცრსკლ-ში საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელ გაგნიძის 1991 წლის 26 სექტემბრის დადგენილებით ხელწერის სასამართლო ექსპერტიზის ჩასატარებლად მიღებულია წერილი სსრ კავშირის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის იანაევის სახელზე, საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელით. ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად დასმულია შემდეგი საკითხი: „საქართველოს პრეზიდენტის სახელით სსრკ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის გ. ი. იანაევის სახელზე შედგენილ ზემოაღნიშნულ წერილზე ხელისმოწერა ქართულ ენაზე ზვიად გამსახურდიას სახელით შესრულებულია თვით ზ. გამსახურდიას მიერ თუ სხვა პირის მიერ?“

შედარებითი კვლევისათვის წარმოდგენილია ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას ხელნაწერისა და ხელმოწერის ნიმუშები: № 7489810 სისხლის სამართლის საქმიდან — ექვმიტანილის დაკითხვის ოქმი 18.04.89 წლის თარიღით (ს. ფ. 46-57), ბრალდებულის დაკითხვის ოქმი 19.04.89; (ს. ფ. 60-63), ბრალდებულის დამატებითი დაკითხვის ოქმები — 5.05.89 და 18.04.89 წლის თარიღებით (შესაბამისად ს. ფ. 65-69, 79-93). ახსნა-განმარტება საქართველოს სსრ პროკურორის სახელზე — 17.04.89 წლის თარიღით (საქმის ფურცელი 69-78), ოქმი ბრალდებულისათვის ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ — 3.05.89 წლის თარიღით, ბრალდებულისათვის ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის ოქმი — 18.05.89 წლის თარიღით (საქმის ფურცელი 166-167).

მასალების გაცნობის შემდეგ გამოსაკვლევ საბუთზე და ნიმუშებზე შესაბამისად დასმული იქნა შტამპის ანაბეჭდები: „სსესკლ“, „ნიმუში“.

გამოკვლევა

გამოკვლევას ექვემდებარება ხელმოწერა (სახელი და გვარი), ზ. გამსახურდიას სახელით, განლაგებული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გერბიანი ბლანკის რუსულად ნაბეჭდი ტექსტის ბოლოს. (სამრიგად ჩამოთვლილია გვარები, ნაწილი ინიციალთა, ნაწილი. მის გარეშე — სულ 33 პირის გვარი) სიტყვის შემდეგ: „პრეზიდენტი“ (რუსული ასოებით, მთლიანად საბუთი და ხელმოწერა არის ქსეროასლი).

გამოსაკვლევი ხელმოწერის ტრანსკრიპცია და გადაბმა ასეთია: „ზ-ვ-ი-ა-დ-ვ-ოვ სავარაუდო ასო ს-ა — სავარაუდო ასო ხ-ურ-დ-ი-ა“. ასო „ზ“-ს სტრიქონული ელემენტის საწყის ნაწილთან და ბოლო ნაწილთან აღინიშნება დამატებითი შტრიხები.

გამოსაკვლევი ხელმოწერის გამომუშავების ხარისხი — საშუალოა, შეიმჩნევა მცირედ გამოხატული პირველი ჯგუფის მოძრაობის კოორდინაციის დაქვეითება — შტრიხების დაკლაკნით შესრულებაში, შესრულების ტემპი შენელებულია, რაც გამოიხატება საწერი ხელსაწყოს უსაფუძვლო შეჩერებაში (შტრიხების გადაკვეთასა და მოღუნვითი მოძრაობიდან გაშლით მოძრაობაზე გადასვლის დროს „ად“, „ურ“), ასოების ზომა და გაკანება შერეულია: საშუალოდან დიდამდე, ასოთა მიმართულება — მარჯვნივ დახრილი, წერითი სტრიქონის ფორმა და მიმართულება: კლაკნილი, ჰორიზონტალური.

ხელმოწერა შესრულებულია კოორდინაციის დაქვეითების, შენელებული ტემპით და ხოლო დამატებითი შტრიხების არსებობა მიუთითებენ ხელმოწერის უჩვეულო შესრულების პირობებზე.

გამოსაკვლევი ხელმოწერის შედარებით ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას ნიმუშებთან დადგენილი იქნა განსხვავება: გამომუშავებაში (ნიმუშებში — მაღალია), კოორდინაციაში (ნიმუშებში არ აღინიშნება), შესრულების ტემპში (ნიმუშებში — საშუალო და საშუალოზე ჩქარი), წერითი ხაზის ფორმასა და მიმართულებაში (ნიმუშებში — ვარიაციულია) და შემდეგი ვარიანტის კერძო ნიშნებში:

— მოძრაობის ფორმა ასო: „ს“-ს ქვედა მარცხენა ნაწილის შესრულების დროს — სწორხაზოვანი — უკუქცევითი (ნიმუშებში კუთხოვანი ან რკალურია).

— მოძრაობის ფორმა ასოების გადაბმის დროს: „რდ“ კუთხოვან-სწორხაზოვანი, რომელიც გადადის რკალურში (ნიმუშებში — მარაუუჟით ან სწორხაზოვან-უკუქცევითი მოძრაობით), „გა“ — კუთხოვანია (ნიმუშებში — რკალური).

მოძრაობის ფორმა და მიმართულება ასო „ა“-ს სტრიქონზე და ნაწილის შესრულების დროს — სწორხაზოვანი. მიმართული ქვევიდან ზევით მარჯვნივ) (ნიმუშებში რკალური, მარცხივსწრიული).

— მოძრაობის რაოდენობა ასო „უ“-ს სტრიქონული ელემენტების შეერთების დროს: გამოსაკვლევში შესრულებულია. ორი გადაკვეთი მოძრაობით, (ნიმუშებში — ერთი მოძრაობით).

— მოძრაობის განფენილობა ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად ასოების შესრულებისას: „ზ“-ს პირველი ელემენტი ნიმუშებთან შეფარდებით ვერტიკალურად 1,5-2-ჯერ დიდია, ჰორიზონტალურად 1,5-ჯერ. „ა“ ნიმუშებში 2-ჯერ დიდია.

განსხვავებასთან ერთად აღინიშნება თანადამთხვევებიც: ასოების ზომაში, გაკანებაში და მიმართულებაში.

ჩამოთვლილი განსხვავებები ხელის საერთო და კერძო ნიშნების მიხედვით — მყარია, არსებითია, რომელთა ერთობლიობა საკმარისია კატეგორიული დასკვნისათვის იმის შესახებ, რომ გამოსაკვლევი ხელმოწერა ზ. კ. გამსახურდიას სახელით მითითებულ ზევით მითითებულ საბუთზე, შესრულებულია არა ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას, არამედ სხვა პირის მიერ.

მითითებული თანადამთხვევითი ნიშნები (ასოების — ზომა, გაკანება, დახრა) მიღებულ უარყოფით დასკვნაზე ვერ მოახდენენ გავლენას, რადგან არ წარმოადგენენ არსებითს და ატარებენ ჯგუფურ ხასიათს ე. ი. დამახასიათებელია მრავალ პირთა ხელნაწერებისათვის.

გარეგნული მსგავსება გამოსაკვლევი ხელნაწერისა ნიმუშებთან — მოწმობს ნამდვილ ხელმოწერებზე მიმსგავსებით შესრულებაზე.

დასკვნა

ხელმოწერა (სახელი და გვარი) ზ. კ. გამსახურდიას სახელით განლაგებული წერილზე: სსრ კავშირის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის იანაევის სახელზე, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გერბიანი ბლანკის რუსულად ნაბეჭდი ტექსტის ბოლოს, სიტყვის შემდეგ: „პრეზიდენტი“ — შესრულებულია არა ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას, არამედ სხვა პირის მიერ მის ნამდვილ ხელმოწერებზე მიმსგავსებით.

უფროსი (მეცნიერი) ექსპერტი:
თ. ანდრიაშვილი.

ოპოზიცია არ იყო დამოუკიდებელი და გულწრფელი საკუთარ ქმედებებში, არამედ მართული იყო; ეროვნული ხელისუფლება, ქვეყანაში სტაბილიზაციის უზრუნველყოფის მიზნით იძულებული გახდა მიეღო კანონი „მიტინგების შესახებ“, რასაც დაუმორჩილებლობა გამოუცხადა ირაკლი წერეთელმა: „ჩვენ არ დავემორჩილებით ამ კანონს. ჩვენი მიზანია საყოველთაო დაუმორჩილებლობა საქართველოში დესტაბილიზაციის ესკალაციით. ჩვენ იმდენად უნდა გავუმწაროთ ცხოვრება ხალხს, რომ იგი იძულებული გახდეს ძალით დაამხოს გამსახურდიას ხელისუფლება... როცა წავა გამსახურდია, მე გამოვალ ინიციატივით, რათა შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდეს“.

ჟურნალ „ოგონიოკთან ინტერვიუში“ ირ. წერეთელი კატეგორიულად აცხადებს: პრეზიდენტი უნდა გადადგეს.

კორესპონდენტი: უნდა? მაგრამ თუ არ გადადგა?

ირაკლი წერეთელი: გადადგება. ვერსად წავა. ჩვენ მას მოსვენებას არ მივცემთ. გადავკეტავთ გზებს, რკინიგზას, გამოვრთავთ შუქს. უკომპრომისო ბრძოლა წავა“.

შორსგამხედვარე და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პრეზიდენტი *ზვიად გამსახურდია* კი აცხადებდა: **ჩემი პოსტიდან გადადგომა გამოიწვევს საქართველოში, რამდენიმე პარალელური მთავრობის შექმნას და რამდენიმე ერთეული პრეზიდენტის აღმოცენებას. უფრო მეტიც, გამოიწვევს საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას...“** – მაგრამ მისი შეგონება არ იქნა შესმენილი კოლაბორაციონისტ ოპოზიციონერთა მხრიდან, ხოლო ზვიადის შორსმჭვრეტელური შეგონება კი, საუბედუროდ, ახდა...

და მათ იარაღიც აიღეს ხელში. „კალაშნიკოვის“ ავტომატიდან უშენდა ტყვიებს მთავრობის სასახლეს დავით აქუბარდიაც, რომელიც ეროვნული ხელისუფლების დამხობის უმალ, თავის ძმასთან (თამაზ აქუბარდია, შემდგომში პარლამენტარი) ერთად, ჯერ ბანკირი გახდა, ხოლო შემდგომ ტელეკომპანია „კავკასიის“ მფლობელი.

აკაკი, ამ ლექსის სტროფში, ასე მრისხანებს შინაური მტრების მიმართ:

„ფარისეველო, გაუტანელო,
სხვასთან თავმხრელო, შინ ორმოს მთხრელო,
ნაგავის მყრელო, შენ ჭრელო გველო,
რამ შეგაძულა, სთქვი, საქართველო“!

სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებაში მონაწილეობა და პრეზიდენტისაგან განდგომა, საჯარო განცხადებითა თუ პრივატულ საუბრებში, მოინანიეს: **ნოდარ ნათაძემ, გელა ჩორგოლაშვილმა, ლუიზა შაკიაშვილმა, გურამ გოგბაიძემ, ავთანდილ იმნაძემ, მამუკა არეშიძემ, ერეკლე საღლიანმა, დიმიტრი ჯაიანმა, ოთარ მეღვინეთუხუცესმა:** „... რას ვერჩოდითო...“

ერთგვარ მონანიებად შეიძლება აღვიქვათ თემურ ქორიძის უკანასკნელი წიგნი (2016 წ.) „კაცი არ ყველა სწორია“. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასგან განდგომილი თ. ქორიძე, 1992 წლის თებერვალში, ხუნტის არჩევნებში მონაწილეობისა და სტაბილიზაციისაკენ მოუწოდებდა მთელ ერს. აკრიტიკებდა ზვიადს და ბრალს დებდა დემოკრატიის ხელყოფაში (უფრო ვრცლად იხ. გვ. 414-415-ზე).

დიმა ჯაიანისა და მისი კამპანიის მიერ ატეხილ ტყვიის წვიმას სენაკში, 1993 წლის ზაფხულში, ემსხვერპლა მისივე სახლიკაცი, სენაკელი 23 წლის ჭაბუკი ზაზა ჯაიანი.

ნოდარ ნათაძის მიერ 1996 წელს შედგენილ **„მონანიების“** ტექსტს სათაურით – „კანონიერი ხელისუფლებისათვის ცეცხლის გახსნა სახელმწიფოსათვის ცეცხლის გახსნაა და იგი უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე ნებისმიერი თანამდებობის პირის სიცოცხლის ხელყოფა“, – ხელს აწერდენ: **ნოდარ ნათაძე, გურამ გოგბაიძე, კონსტანტინე გუგულაშვილი, მ. კიკნაძე, ირაკლი წერეთელი.** წერეთელმა მოგვიანებით განაცხადა, რომ „მონანიების“ ტექსტს არ იყო გაცნობილი და მასზე ხელმოწერას სიტყვიერად დაეთანხმა და არ იზიარებდა გაზეთში გამოქვეყნებული „მონანიების“ შინაარსს. **ავთანდილ იმნაძემ**, რომელიც დისიდენტი და ყოფილი პოლიტპატიმარიც გახლდათ, ზვიადის წინააღმდეგ ბრძოლა მოინანია 2017 წლის 21 თებერვალს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან გამართულ შეკრებაზე და თავის მაშინდელ საქციელს ყოვლად გაუმართლებელი უწოდა.

სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეობა მოინანიეს, აგრეთვე რიგითმა „მხედრიონელებმა“ და „თბილისელებმა“, რის ტრაგიკულ მაგა-

ლითად აქ გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებულ მხოლოდ ერთ წერილობით დოკუმენტს მოვიყვანთ:

ყოფილი მხედრიონელის მონანიება

ღმერთი მოჭკითხავს შეგარდნაძეს ცოდვებს. სიკეთისთვის გაჩენილ 18-20 წლის ბიჭებს ხელში იარაღი როცა აგვაღებინეს და თავის ქვეყანაზე, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ უდანაშაულო ხალხზე დაგვშილი ძაღლებივით მიგვიშვეს.

მე ვიქეცი ისეთ ადამიანად, რომელსაც აღარავითარი მოთხოვნილება აღარ მაქვს, არ მაქვს სურვილები. გულგრილი გავხდი კულტურისა და ცივილიზაციის მიმართ. ყოველგვარ სიმდიდრესა და ფუფუნებას ზიზღით ვუყურებ. ვშრომობ და რაც მშირდება, ჩემი ხელით შეგეშენი. კარგა ხანია, სიცოცხლე მომბეზრდა, სიკვდილს ვეძებ დღითა და ღამით, მაგრამ არ მოდის!

ყოფილი მხედრიონელი თემურ თეთრუაშვილი

ამერიკის შეერთებული შტატები, ნიუ-იორკი. 18 იანვარი, 2011 წელი

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობის მიზეზები, გადატრიალების სამზადისი და პირველი გასროლა

რუსეთის იმპერიის თავკაცი მიხეილ გორბაჩოვი და მის შემდგომ, პრეზიდენტი ბორის ელცინი ცდილობდნენ რაიმე სახით მაინც შეენარჩუნებინათ თავიანთი ჰეგემონია ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებზე. ამ მიზნით, პირველმა, მიხეილ გორბაჩოვმა 1991 წლის 14 ნოემბერს სცადა ნოვოოგარიოვოში შეექმნა ე.წ.ახალი სუვერენული სახელმწიფოთა კავშირი, რაც, სინამდვილეში ისეთივე უნიტარული სახელმწიფოთა კავშირი უნდა ყოფილიყო, როგორიც სსრკ. გორბაჩოვის მცდელობამ სრული ფიასკო განიცადა, რადგან (მიწვევის მიუხედავად) ნოვოოგარიოვოში არ ჩავიდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, უკრაინის და სხვა რესპუბლიკების პრეზიდენტები, რამეთუ ისინი მიხვდნენ, რომ მათ ახალ იმპერიაში ეპატიჟებოდნენ. მიუხედავად ამისა, რუსეთს ხელი არ აუღია თავის იმპერიულ განზრახვაზე; უკვე პრეზიდენტად არჩეულმა ბორის ელცინმა, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს სამოკავშირეო ხელშეკრულების ახალი ნაირსახეობა – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კავშირი (СНГ) შესთავაზა და 21 დეკემბერს ალმა-ათაში მოაწყო შეკრება ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების პირველი პირების მონაწილეობით, სადაც იურიდიულად გაფორმდა სსრკ-ს დაშლა. ამ აქტის თანადროულად შეიქმნა ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კავშირი – СНГ. ხსენებულ შეკრებაზე პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ **დამკვირ-**

ვებლად წარგზავნა ვიცე-პრემიერი გურამ აბსანძე და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე. გაზეთ „ახალი ერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბ-ნ აბსანძე ამბობს, რომ იმ ისტორიულ შეკრებაზე ელცინმა აგრძნობინა მათ, რომ თუ საქართველო СНГ-ში არ გაწევრიანდება, თქვენი ხელისუფლების დღეები დათვლილიაო. ანალოგიური მუქარის ზარები კრემლიდან ირეკებოდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთანაც. პუტჩი დაიწყო 22 დეკემბერს დილის 8-ის ნახევარზე და არა – 10,15 ან 20 დეკემბერს, ვინაიდან, ისინი 21 დეკემბრამდე ელოდნენ, რომ საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ხელს მოაწერდა სამოკავშირეო ხელშეკრულებას, რისთვისაც ბ-ნ აბსანძეს, რუსეთის მთავრობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, გადასცა ელცინის ტელეფონის ნომერი, რათა ელცინისთვის თანხმობის შესახებ დაერეკა ზვიადს 21 დეკემბრის დილის 7 საათამდე.

დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ელცინს არ დაურეკა და აგენტურულ ოპოზიციას (სიგუას, იოსელიანს, კიტოვანს, ყარყარაშვილს, ადამიას...) მიეცა განკარგულება შეიარაღებული გადატრიალების დაწყების თაობაზე. ნახევარ საათში დაიწყო პუტჩი.

ხუნტის ორგანიზატორი თენგიზ სიგუა, 22 დეკემბერსვე მოითხოვდა პრეზიდენტის გადადგომას. გაბოროტებული პრემიერი სიგუა, სასტუმრო „თბილისიდან“ სატელეფონო კავშირით პრეზიდენტთან, იმპერატიული ტონით და აგრესიული მუქარით მოითხოვს მისგან: „...თქვენი შეცოდება მეტი აღარ იქნება! თქვენ დიდი ხანია უნდა გადამდგარიყავით! თქვენ ეხლა გამობრძანდებით თეთრი დროშით, თუ გინდათ სიცოცხლე შეინარჩუნოთ, თუ არადა ამოგბუგავენ ყველას!“ თენგიზ სიგუას მუქარას, სასტუმრო „თბილისში“ შეკრებილი სიგუას თანამზრახველები ტაშითა და ოვაციებით შეხვდნენ. მისი ულტიმატუმის შეუსრულებლობის გამო, სიგუა, თავდაცვის მინისტრის მოადგილე **ბესიკ ქუთათელაძეს** აძლევს ბრძანებას პრეზიდენტის დაპატიმრების შესახებ. ქუთათელაძე, პრეზიდენტისთვის სატელევიზიო კავშირის გაწყვეტის მიზნით, იკავებს სატელევიზიო ანძას და თავად განაგებს. „მოვუწოდებთ პრეზიდენტს, უფლებამოსილება გადასცეს პარლამენტს და მის თავმჯდომარეს, შემდეგ ხალხი გამოუტანს განაჩენს ყველას, ვისაც ამ ომის დაწყებაში მიუძღვის ბრალი“, ამჯერადაც დაწერილ ულტიმატუმს ძლივს კითხულობს ბ. ქუთათელაძე, რომელიც სიგუას მარიონეტადაა გადაქცეული. მათთან სამხედრო კავშირშია **ნოდარ გიორგაძეც** (ავღანელთა კავშირის

ყოფილი თავმჯდომარე) და **გივი კვანტალიანიც.** ბესიკ ქუთათელაძე, რომელსაც ნდობა გამოუცხადა ზვიად გამსახურდიამ, სჩადის უსინდისო ღალატს და არ ინდობს პრეზიდენტს. ხოლო შემდგომ კი, ყარყარაშვილთან ერთად, იგი ვეტმფრენით ეშვება ზუგდიდში, რათა პრეზიდენტის ერთგულებისათვის სამაგალითოდ დასაჯონ ზუგდიდელები.

საქართველოს უშიშროების გენერალ-მაიორი **ოთარ ხატიაშვილი,** უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდიამ, უშიშროების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა. ხატიაშვილმა, ზვიადის კეთილგანწყობა და ნდობა მით მოიპოვა, რომ ხატიაშვილმა უშუამდგომლა გივი გუმბარიძესთან, რათა საიდუმლო დოკუმენტაცია (ორიგინალები) სრულად გადაეცა მისთვის. მართალია, ოთარ ხატიაშვილი, დეკემბერ-იანვრის გადატრიალების დროს აღარ იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავრობის უშიშროების ხელმძღვანელი, მაგრამ იგი ხუნტის ძალებს ეხმარებოდა; 1991 წლის 31 იანვარს, ხატიაშვილის მიერ რეკომენდირებული სპეციალისტის მეშვეობით, ლევან შარაშენიძემ (შემდგომში, სიგუას დროებითი მთავრობის თავდაცვის მინისტრი), პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, ჯორჯიაშვილის ქუჩის ჭიდან, გადაუჭრა საკომუნიკაციო კაბელი(„ვეჩე“), რომლითაც პრეზიდენტი საკუთარ გვარდიასთან ამყარებდა კონტაქტს.ზვიადის ხელისუფლების უშიშროების მინისტრი **თამაზ ნინუაც** *(რომელიც ცოლთან ერთად საკუთარ სახლში მოკლეს 2009 წლის ნოემბერში)* 22 დეკემბერს კიტოვანისა და იოსელიანის მხარეზე გადავიდა.

კავშირგაბმულობის მინისტრი **ფელიქს ტყებუჩავა** კი პრეზიდენტს სატელეფონო კავშირებს უსპობს, სადღაც აქრობს კავშირგაბმულობის დანადგარებით აღჭურვილ მანქანას. ეროვნული ხელისუფლების კავშირგაბმულობის ეს მინისტრი ფ. ტყებუჩავა, იგივე აპრობირებული მეთოდით მოქმედებს 1993 წლის შემოდგომაზეც სამეგრელოში, კავშირგაბმულობის გარეშე ტოვებს რა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და უკვე მეორედ უწყობს შეთქმულებას.

ყოფილი პარლამენტარის, აჭარის საარჩევნო ბლოკ „აღორძინებიდან“ (1999-2003 წ.წ.), სანდრო ბრეგაძის მტკიცებით მთავრობის სასახლეზე პირველი გასროლა მოახდინა თენგიზ სიგუას დაცვის უფროსმა მურთაზ შალუაშვილმა. „1991 წლის 21 დეკემბრის ღამეს, 22 დეკემბრის გამთენიამდე, თენგიზ სიგუა თავისი დაცვის 14 წევრთან ერთად იმყოფებოდა ალექსანდროვის ბაღში (მთავრობის სასახლის წინამდებარე იგივე 9 აპრილის ბაღი – ***ლ.ც***). სიგუას დაცვის 14-ივე წევრი, როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, იყო რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი და მათ ჰქონდათ დავალებული თბილისში ომის პროვოცირება... სხვათაშორის, „ვარდების

რევოლუციის“ დროს, სწორედ ამ შალუაშვილმა ჩამოუხსნა სხდომათა დარბაზის კარი პარლამენტში შევარდნილ სააკაშვილს და, ეტყობა ამ დამსახურებისათვის უზით“ იგი პარლამენტში მანდატურთუხუცესადო.

სახელმწიფო ტელევიზიის ბლოკადა — მიკროფონით ხელში თენგიზ სიგუა, მარჯვნივ მისი დაცვის უფროსი მურთაზ შალუაშვილი, შალუაშვილის გვერდით სამხედრო ქუდში გელა ლანჩავა.

ნიშანდობლივი და საგულისხმოა, რომ მურთაზ შალუაშვილი დღემდე უცვლელი მანდატურთუხუცესია და მე-9 მოწვევის 2016-20 წლების პარლამენტშიც ინარჩუნებს ამ თანამდებობას.

მურთაზ შალუაშვილი

ოპოზიციური გაზეთის „სახალხო განათლების“ ყოფილი რედაქტორისა და დეპუტატის აპოლონ სილაგაძის დოკუმენტურ წიგნში „რა ხდებოდა თბილისში 22/X11. 1991 – 6.1. 92“ – ოპოზიციონერი ელგუჯა ბერიშვილი ასე აღწერს პუტჩის დაწყებას: „20 დეკემბერს... რესპუბლიკის მოედანზე გამართული მიტინგის მონაწილეებმა მთავრობის სასახლისკენ გადაინაცვლეს... 21 დეკემბერს, ღამით ოპოზიციამ დაიწყო რუსთაველზე ჩახერგილი ავტობუსები-

სა და მძიმე სატვირთო მანქანების გაყვანა“. შეიარაღებული ოპოზიციის მიერ რუსთაველის პროსპექტის ბარიკადებისაგან გაწმენდის სამზადისმა, რომელიც „შერიგების“ მოწოდებით ინიღბებოდა, ხელისუფლების მხრიდან ხელის შეშლის გარეშე ჩაიარა და შერიგების მოწოდებით მოსულებთან მოსალაპარაკებლად ქალაქის მერი **თამაზ ვაშაძე** და დეპუტატი **ავთანდილ რცხილაძე** წარგზავნა. ოპოზიციამ მთავრობის წარგზავნილი ორივე პირი გაიტაცა და მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიებზე (მათ შორის, ქაშუეთის ეკლესიაშიც) დაიწყეს მძიმე საბრძოლო ტექნიკის მობილიზება. საბრძოლო ტექნიკა შეზიდეს ვერის წმ.პანტელეიმონის ეკლესიაშიც, საიდანაც ცეცხლს უშენდნენ „კოლხურ კოშკს“. ეკლესიების საბრძოლო პლაცდარმად გამოყენების უფლება კი ხუნტას პატრიარქისგან ჰქონდათ მიღებული.

უზენაეს საბჭოს შენობაზე შტურმის დაწყებასთან დაკავშირებით ჯაბა იოსელიანი წერს: „ვაცხადებ ისევ ჩემს ფორმულას: „ყველას, მინუს ერთი!“ ზვიად გამსახურდია უნდა წავიდეს... ვირჩევთ აკადემიას ზემელზე. შეგვიძლია ზემოდან შემოვუაროთ სასახლეს, შპილზე ნაღმსატყორცნსა და ტყვიამფრქვევს დავდგამთ... ოთარ ლითანიშვილმა თბილისის დეტალური რუკა და მთავრობის სასახლის შენობის გეგმა მოიტანა... ყარყარაშვილს ვაჩვენებ თბილისის რუკას, საიდან დავიწყოთ დილით იერიში... გიგა არველაძეს ვავალებ მთავრობის სასახლის შემოგარენის შესამოწმებლად დაზვერვაზე გაგზავნოს ერთი ათეული, ისინი ხომ არაფერს აპირებენ... შემოდის კიტოვანი... გვერდზე გავყავარ: „კაცი გამოჩნდა, რომელმაც იცის ისეთი შესასვლელი ბუნკერში, პირდაპირ ზვიადის ოთახს მიადგება“... თვალს მიპაჭუნებს, იღიმის...“.

ზემომოყვანილი ციტატებიდან აშკარად და ცხადად ჩანს, რომ პირველი გასროლა და შტურმიც უზენაესი საბჭოს შენობაზე შეიარაღებულმა ოპოზიციამ განახორციელა და ამის დასტურად ჩვენ მხოლოდ ოპოზიციონერთა წერილობითი წყაროები მოვიყვანეთ და არც ერთი, კანონიერი ხელისუფლების მომხრეებისა. იგივეს ადასტურებს გელა ლანჩავაც, რომ 22-ში, დაახლოებით დილის 1 საათზე გია ყარყარაშვილს შევხვდიო, მისი ფორმირება ამ დროს ცხინვალში იყოო. ვუთხარი იმის შესახებ, რაც ხდებოდა. მაშინვე დავსხედით მანქანაში და წავედით ქსნისკენ, გზაში შევხვდით ცხინვალიდან მომავალ ყარყარაშვილის ფორმირებებს. დაახლოებით 80 კაცამდე იქნებოდნენო. გამოვბრუნდით თბილისისაკენ. იქნებოდა თორმეტი ან პირველი საათი. მაშინ განვახორციელეთ ნამდვილი კარგი გასროლა ნაღმტყორცნებიდან. 4 ნაღმი ჩავარდა უზენაესი საბჭოს შენობაში და მერე დაიწყო ნამდვილი ომიო.

1992 წლის 6 იანვარს, კრემლის საოკუპაციო რეჟიმიდან შეიარაღებულ-დაფინანსებულმა ხუნტამ, ორკვირიანი ბრძოლების შედეგად, დაამხო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი და ეროვნული მთავრობა. პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, სისხლისღვრის შეწყვეტის მიზნით მიიღო იძულებითი გადაწყვეტილება უზენაესი საბჭოს შენობისა და ქვეყნის დატოვების შესახებ.

ამ სისხლიან გადატრიალებასთან დაკავშირებით, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1992 წლის 6 იანვრის სპეციალური გამოშვებით, თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი იუწყებოდნენ:



დიქტატორული რეჟიმი დამხობილია

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მმართველობა საქართველოს მოსახლეობისადმი

1992 წლის 2 იანვრიდან პრეზიდენტ ვალიკაშვილის ხელქვეშ ტაბულარიუმში ულტიმატუმი დაწესებულა, საქართველოში ძალადობის ხელში ჩაგდებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო. სახელმწიფო საბჭომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებითი შეიარაღებული კონტროლიორების მოქმედება და დათხოვა პარლამენტი.

საქართველოს სახელმწიფო მრეთის ყველა სტრუქტურა ეწირებოდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს.

პრეზიდენტი-ფანატიკი ზვიადი გეგეჭკორი ცალიანებულია ინსულტისგან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ-ფანატიკის მოალეთან შესრულება დროებით დაეკისრა ხალხის ოინარ ბაგაფშვილს.

ოპოზიციის პარტიებს ეფიცა. წინადადება შეეტანა ნაციონალ-ფაშისტური დამბაზი, რომელიც მოაწყობენ ამჟამ ხალხისაგან არჩეულნი და შეიმუშავებენ საქართველოს ეროვნული ეკონომიკის პროგრამას. დამბაზში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიას და ორგანიზაციას, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, აფხაზეთ ავტონომიურ რეგიონს, რომელთა მოწვევასაც დამბაზი მიუნიშნებლად ჩაიელის.

1992 წლის 3 იანვარს 0 საათიდან ქალაქ ფოლიანში ცხადდება საგანგებო მდგომარეობა.

სახელმწიფო საბჭო აკეთებენ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას და აღმინისტრაციულ ორგანოებს და ყველას მათ სიგანეში ფაშისტური ტერიტორიის ტერიტორიაზე ხელი შეუწყონ ეროვნული დამბაზისა და ეროვნების ხელისუფლებას.

ბოიკოტის კანონის სასოფლო-ბანკისაგან საბჭო საბჭო ეროვნულ უფლებამოსილებას და ძალაუფლებას გადაცემს ბოიკოტს.

სახელმწიფო საბჭოს სახელით

ო

მაძე – ხუნტის პროკურორი), 7 იანვარს, სომხეთში, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გადმოცემის მოთხოვნით წარგზავნა:

ალექსანდრე კავსაძე,

გიორგი შენგელაია,

რევაზ ყიფიანი, გენპროკურორის მოადგილე

გივი კვანტალიანი, შს მინისტრის მოადგილე

პრეზიდენტმა გამსახურდიამ, ხუნტის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, უარი განაცხადა.

საქართველოს სამხედრო საბჭომ, სომხეთის პრეზიდენტთან, 1992 წლის 13 იანვარს მეორე დელეგაცია წარგზავნა ზვიად გამსახურდიას გადმოცემის მოთხოვნით. ხუნტის ნდობით აღჭურვილ დელეგაციას წარმოადგენდნენ: **ელდარ შენგელაია *(დელეგაციის მეთაური),* ჭაბუა ამირეჯიბი, გრიგოლ (გიგა) ლორთქიფანიძე, გიორგი (გოგა) ხაინდრავა, ვახტანგ კიკაბიძე, რევაზ ყიფიანი**. სომხეთის პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ბაბკენ არარკციანმა, ქართველთა დელგაციას გამსახურდიას გადაცემის ულტიმატუმზე, მართალია უარით უპასუხეს, მაგრამ იმავე დღეს, გამსახურდიას, სომხეთის დატოვების წინადადება მისცეს. დევნილი პრეზიდენტი და მისი მთავრობა იჩქერიის პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა შეიფარა.

ვახტანგ რაზმაძემ, დევნილ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.



საქ.რესპ.№82-83 16 მაისი 1992 წ. გვ. 2:

საქართველოს პროკურატურა ბრალსა სდებს

საქართველოს რესპ.ყოფილი **პრეზიდენტი ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია** პასუხისგებაშია მიცემული, **სისხლის სამართლის დანაშაულობათა** ჩადენაში ედება ბრალი. ასეა **ამჯერად, დანაშაულობათა** ხასიათზე წარმოდგენა გვაქვს, **მაგრამ არცთუ სრული** და არც ყოველთვის კონკრეტული. ვ. რაზმაძე.

I წარედგინა 24.XII.1991 წლისა

სამხედრო საბჭოს დავალებით, წითელმა ნომენკლატურულმა ინტელიგენციამ, საქართველოში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის აღწერით საგანგებო წერილით მიმართა სომხეთის ინტელიგენციას:

ქართველი ინტელიგენციის მიმართვა სომეხი ინტელიგენციისადმი

ჩვენო ძვირფასო მეგობრებო და კოლეგებო!

1991 და 1992 წლების მიჯნაზე ძალიან მძიმე და ტრაგიკული დღეები გადაიტანა ქართველმა ხალხმა ღია და შეურიგებელ ბრძოლაში, საქართველოს რესპუბლიკის ყოფილ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას რეჟიმთან და მის მომხრეებთან, დიქტატურასთან დემოკრატიისათვის ბრძოლაში, რომელმაც მიგვიყვანა სამხედრო შეტაკებამდე, დაღვრილ იქნა ადამიანთა სისხლი, დაიწვა და დაინგრა რუსთაველის პროსპექტის მნიშვნელოვანი ნაწილი – თბილისის სიამაყე და სილამაზე, დაიწვა აგრეთვე მთელი რიგი მიმდებარე საცხოვრებელი სახლები და დაწესებულებები.მოწინავე, პროგრესულმა ქართველმა ინტელიგენციამ, მისმა საუკეთესო წარმომადგენლებმა: მწერლებმა, პოეტებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა, მოქანდაკეებმა, არქიტექტორებმა, მეცნიერ-მუშაკებმა, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებიდან აღიმაღლეს პროტესტის ხმა მის მიერ დამყარებული ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ეროვნული და ეთნიკური პრობლემების სისხლისღვრის გზით გადაჭრის წინააღმდეგ. სამოქალაქო ომის ინსპირირების წინააღმდეგ.

ქართული ინტელიგენცია საკითხისადმი ასეთ მიდგომას ყოველთვის ვანდალიზმად თვლიდა, თავაზობდა მის გადაწყვეტას ცივილური გზით, მოლაპარაკების მაგიდასთან.

ჩვენო სომეხი ძმებო და კოლეგებო!

ჩვენთვის სასიამოვნოა თქვენი მხარდაჭერა, გულწრფელი გამოძახილი, იმის ცოდნა, რომ თქვენ ყურადღებით ადევნებთ თვალყურს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, თქვენი დახმარების შემოთავაზება კრიზისული მოვლენების გადაჭრაში. ჩვენი ხალხები, ქართული და სომხური მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა და მთლიანად კულტურის ისტორია ეს არის ერთობლივი ბრძოლა სამართლიანობისა და სიბრძნისა ბოროტებასთან, უმეცრებასთან, ტირანიასთან და ნაციონალიზმთან. ჩვენ გვიხარია, რომ ყველა დროში ქართული და სომხური ინტელიგენცია გამოდიოდა გამარჯვებული ამ მძიმე, მაგრამ სამართლიან ბრძოლაში.

ჩვენ ახლაც მადლობელი ვართ მხარდაჭერისთვის. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი ურთიერთობა მომავალში უფრო მყარი იქნება, რომ მალე მოგვიშუშდება იარები და დამყარდება მშვიდობა და კეთილდღეობა კავკასიაში და მთელს მსოფლიოში.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

ქართული ინტელიგენციის სახელით:

ოთარ ლითანიშვილი *– ქ. თბილისის მთავარი მხატვარი, საქ. სახ. მხატვარი.*

ბუბა კიკაბიძე *– საქ. სახ. არტისტი*

სოფიკო ჭიაურელი *– საქ. და სომხეთის სახ. არტისტი*

ლანა ღოღობერიძე *– საქ. სახ. არტისტი, კინორეჟისორი*

ჯანსუღ ჩარკვიანი *– პოეტი*

ბიძინა კვერნაძე *– კომპოზიტორი,*

ნოდარ ჯამბერიძე *– საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი, სახ. ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი*

გიორგი ციციშვილი *– საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.*

ვახუშტი კოტეტიშვილი *– პროფესორი*

გიორგი შენგელაია *– კინორეჟისორი,საქ. სახ. არტისტი*

ფელიქს ღლონტი *– კომპოზიტორი, საქ. სახ. არტისტი*

გიგა ლორთქიფანიძე *– რეჟისორი, საქ. შემოქმ. კავშირის თავმჯდომარე*

გურამ მირიანაშვილი *– არქიტექტორი, საქ. რესპუბლიკის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა მინისტრი*

ხუტა ბერულავა *– პოეტი*

ელგუჯა ამაშუკელი *– მოქანდაკე, საქ, სახ. მხატვარი*

გია ბადრიძე *– კინოდრამატურგი*

გურამ გვერდწითელი *– ლიტერატურათმცოდნე, გამომცემლობა „მერანის“ დირექტორი.*

მიმართვა იხ. სომხეთის უმაღლესი საბჭოს გაზეთ „რესპუბლიკა არმენიაში“ 10(300), 17.01.1992 წ. არმენპრესისა და საქინფორმის ერთობლივი ინფორმაციით.

ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და საქართველოდან განდევნის გამო, ჩემი ტრაგიზმითა და სისხლნარევი ცრემლებით სავსე „მილოცვა“ მივიტანე არჩილ გოგელიას გაზეთში „დრონი“. ა. გოგელიამ, რამდენჯერმე წაიკითხა „მილოცვის“ ტექსტი, უამურად ატრიალა ხელში და მის უკან დაბრუნებას შეეცადა. მივუხვდი რა, გადაწყვეტილებას, „უფალი“ რედაქტორი დავანამუსე:

„ბატონო არჩილ, თქვენ, პრესისა და ტელევიზიის მონოპოლიზებაში ადანაშაულებდით ზვიადს და დიქტატორობას სწამებდით მას. და, აი, მოვედი მე ამ პატარა რეპლიკით, „დემოკრატ“ რედაქტორთან და დამიბეჭდეთ!“

გოგელიამ იძულებით დაიტოვა ჩემი რეპლიკა და მრავალჯერადი სატელეფონო შეხსენების შემდგომ, როგორც იქნა, დამიბეჭდა. ოღონდ, დაბეჭდა, ჩემდამი შეურაცხმყოფელი და სისხლის სამართლის მუქარის შემცველი მინაწერით (იხ. ქვემოთ)...

გ ი ლ ო ც ა ვ თ...

„ამ დილით, 1992 წლის 6 იანვარს, საქართველოში საბოლოოდ დაემხო, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დიქტატურა. პრეზიდენტი და მისი თანამებრძოლები გაიქცნენ. მთავრობის სასახლე მთლიანად დემოკრატ მებრძოლთა ხელშია“ (საქართველოს ტელევიზიის ინფორმაცია).

გამარჯვების ყიჟინა. ზალპი.

გილოცავთ.

თქვენ და მხოლოდ თქვენ, პოპულარულო ინტელიგენციავ!

ვინაც: მძულვარებით, ინტრიგით, შურით შეთითხნეთ დიქტატორის შავბნელი კერპი. „ჰკა, მაგასო!...“ დასცით ყიჟინა და უგუნურთა გუნდიც აზვავდა; გეშით ეკვეთნენ და ველური დაგემოვნებით ღვარეს ძმის სისხლი, ბარბაროსულად მოაოხრეს დედა-ქალაქი, ყოველ ქართველთა სულიერი ნავთსაყუდელი.

გილოცავთ, ვინაც ძმას გამარჯვება, მტრისებრ მოოხვით, აზეიმეთ, ვინაც: ცილისწამების, ბეზღისა და ფარისევლობის საზარელი სპექტაკლი დადგით. ვინაც ღირსება შემილახეთ და თავი მკერდზე დამახრევინეთ (ჩემი სირცხვილის დედაქალაქში, მე ხომ, ამაყად და სილაღით ვეღარ გავივლი).

გილოცავთ, ვინაც საქართველო ასე ულმობლად დაასამარეთ, ვინაც ნათელი დასუდრეთ ბნელით.

ვინაც, ქართველთა გულდედლობის და ღალატის მოწმე გამხადეთ,

ვინაც მიეცით სადინარი, აღვირახსნილ, უტიფარ ტყუილს.

გილოცავთ: რუსის ზარბაზნით ქართველთა ჟლეტას, მშობლიური ქალაქის ნგრევას, საკუთარი ერის გენოციდს... მშვიდობიან მომიტინგთა და ავტობუსის უიარაღო მგზავრთა დახვრეტას (ამ ულტრა-ფაშიზმს).

ოლიმპიურ დუმილს გილოცავთ.

გილოცავთ: დიდ ბაზალეთს და ქართველთა უთვალავ გვამებს.

გილოცავთ და,

ღმერთმა შეგინდოთ...

ლეილა ცომაია

1992 წლის 7 იანვარი,

ქრისტეშობის დღე

გაზეთი „დრონი“, 18 იანვარი, 1992 წელი.

გაზეთის რედაქტორის მინაწერის ერთი ფრაგმენტი:“...ჩვენ ამგვარ წერილებს, ჩვეულებრივ არ ვბეჭდავთ ხოლმე, მაგრამ ამჯერად გამონაკლისი დავუშვით, რადგან ცილისწამება სისხლის სამართლის დანაშაული გახლავთ და თუ ქალბატონ ლეილა ცომაიას სურს ამგვარი დანაშაულის საბუთი ჩვენი გაზეთის საშუალებით შემოუნახოს შთამომავლობას, მისი ნებაა“.



ГИЛОЦАВТ...

ეს დღეთ, 1992 წლის 6 იანვარს, საქართველოში საბოლოოდ დაემხო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დიქტატურა. პრეზიდენტი და მისი თანამებრძოლები გაიქცნენ. მთავრობის სასახლე მთლიანად დემოკრატ მებრძოლთა ხელშია“ (საქართველოს ტელევიზიის ინფორმაცია).

გამარჯვების ყიჟინა. ზაღლა.

გილოცავთ.

თქვენ და მზოლოდ თქვენ, პოპულარული ინტელიგენციავ!

ვინაც: მძულვარებით, ინტრიგით, შურით შეთითხნეთ დიქტატორის შავბნელი კერპი. „ჰკა მაგასო!...“ დასცეთ ყიჟინა და უგუნურთა გუნდიც აზავდა. ეგმით ეკვეთნენ და ველური დაეემონეთით ღვარეს ძმის სისხლი, ბარბაროსულად მოაოხრეს დედა-ქალაქი, ყოველ ქართველთა სულიერი ნაგებაფეფელი.

გილოცავთ, ვინაც ძმის გამარჯვება მტრისებრ მოიხგეთ აზეიმეთ, ვინაც: ცილისწამების, ბეზღისა და ფარისეველობის საზარელი სპექტაკლი დადგინთ. ვინაც ღირსება შემზღაბეთ და თავი მკერდზე დამაბრევინეთ (ჩემი სირცხვილის დედაქალაქში მე ხომ ამაოდ და სილაღით ვეღარ გაგივლე).

ბ ბ ბ, ვინაც საქართველო ასე ულმობლად დაასამარეთ, **ბ ბ ბ** ბათელი დასუფრეთ ბნელთა.

ბ ბ ბ ქართველია გულდგელობის და ღალატის მოწმე და გამბადეთ, ვინაც მიეცით სადინარი აღვირახსნილ. უტიფარ ტყუილს.

გილოცავთ: რუსის ზარბაზნით ქართველია ჟლეტას, მშობლიური ქალაქის ნგრევას, საკუთარი ერის გენოციდს — მშვიდობიან მომიტინგეთა და ავტობუსის უიარაღო მგზავრთა დახვრეტას (ამ ულტრაფაშიზმს).

ოლიმპიურ დუმილს გილოცავთ.

გილოცავთ: დიდ ბაზალეთს. და ქართველ ვაჟკაცთა უთვალავ გვამებს.

გილოცავთ და

ღმერთმა შეგინდოთ...

ლეილა ცომაია

1992 წლის 7 იანვარი,

ქრისტეშობისდღე.

გაზ. „დრონი“

18 იანვარი, 1992 წ.

ამ წერილის ავტორი იცეთ გამარჯვეული ჭარბოელთა წერს, რომ აშკარაა, თოხის ბერით არ ექნება გატეცებული ხელისგულები; თავადაც ინტელიგენტი გახლავთ, მაგრამ, ჩანს „არაპოპულარულ ინტელიგენტად“ მიაჩნია თავი. ამიტომაც ირის, ამე ხელიდეთეთ რომ პარალებს ჩვენში დიტრაფილებულ უბედურებას „პოპულარულ ინტელიგენციას“.

გამოდის, მაინ ბრალი ეთაფიალ ყველა უწესებას და სამინისტროს უცოდინარი ხელმძღვანელები რომ ჩაუფენეს ხალიჩეში.

არც ერთი რეფორმის განხორციელება რომ არც დაწუხეულა და სოციალისტური სისტემის განმტკიცებელად ყველიერი რომ გაკეთდა.

„ბრეგალი მაგიდა“ რომ დაშალა, პრეზიდენტმა რომ სტაბილური მთავრობის ფორმირება ვერ შეძლო. რომ შეეშინდა, „ეკს“-ს მსარი რომ დაეტარა, ეკარლიის დაშლა და განთარდება რომ გადაწყვეტა.

რიგითი სანდორრმაცია მიტინგი (ბ ნეკტემბერი) რომ დაარბევინა და არაფრისგან მხოლოდ მსჩეტაბის ხკანდალი შეეძნა, ქართველი მოლიცია (ოფიცრ) ქართველ მომიტინგეებს რომ მოეხია.

ყველა, ვინც პრეზიდენტისგან განსხვავებული აზრი გამოთქვა, ოპოზიციაში რომ ჩაირიცხა, ხალხი ოპოზიცია ერის მტრად გამოაცხადა და პრეზიდენტი ბალს რომ მოეწოდებდა მისი ფიზიკური განადგურებისკენ.

ოპოზიციას, რომელიც დაალოგიკენ მოეწოდებდა პრეზიდენტს, ტაკეი რომ დაეშინა.

ყველაფერი „პოპულარული ინტელიგენციის“ ბრალი ეთფიალ.

აი, ამას ჰქვია უტოფარი ხილეფრე და ეიფლიწამება. ჩვენ ამგვარ წერილებს, ჩვეულებრივ, არ ვიქვეფენით ხოლმე, მაგრამ ამჯერად გამონაკლისი დეფეშეთ, რადგან ეიფლიწამება სისხლის სამართლის დანაშაული გახლავთ და თუ ქალბატონ ლეილა ცომაიას სურს ამგვარი დანაშაულის საბუთი ჩვენი გაზეთის საშუალებით შეეენახოს მომავლობას, მისი ნებაა.

18 იანვარი, 1992 წ.

მომდევნო ფოტოზე აღბეჭდილია თბილისის ომში „გამარჯვებული“ გოგა ხაინდრავა 1991 წ. 27 დეკემბერს. მორფზე დამოკიდებულ და მუდამ ფულზე დახარბებულ ხაინდრავას, არასოდეს გააჩნდა იდეური ფასეულობები და მის უმთავრეს ღირებულებას მუდამ ფული წარმოადგენდა, რის გამოც იგი სამშობლოსა და ერსაც უდრტვირვნელად გაყიდდა. ეს

სისხლაღრეული ქართველი ხაინდრავა დღემდე დარჩა ფულის წუწკად და „პერსონა ნონ-გრატად“!

რაკი, ზვიად გამსახურდიამ, მდევრებს გაასწრო სომხეთში, ხუნტის ხელისუფლება შეეცადა, ზვარტნოცის აეროპორტიდან მაინც, **ზაურ ბედიას** მიერ აფრენილი თვითმფრინავი ვაზიანში დაესვა, რაც რუსეთის მოთხოვნაც იყო. მაღალი კლასის პროფესიონალმა მფრინავმა ზაურ ბედიამ თვითმფრინავი კატაპულტირებით ატყორცნა ჰაერში და გეზი გროზნოსკენ აიღო. შარაშენიძემ ჰაერში ორი ავიაგამანადგურებელი მაინც გაისროლა.

სამხედრო ავიაციის გენერალი ლევან შარაშენიძე იმპერიალისტური რუსეთის ინტერესების დამცველი გახლდათ:

– მე, როგორც საბჭოთა არმიის გენერალი, ზომებს ვიღებდი იმისათვის, რომ გამსახურდიასთან დაპირისპირებული შეიარაღებული ფორმირებები მაქსიმალურად მომემარაგებინა იარაღით. ამისთვის რუსი გენერლები ჩემს ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდნენ, ვითხოვდი და მაძლევდნენ. ამას მე არ ვმალავ. ბეპაევი და გენერალი გრეკოვი უშუალოდ ამით იყვნენ დაკავებული. ამ ყველაფერს კი სოხუმიდან პატრიკეევი აკონტროლებდა. ეს უკვე ის პერიოდი იყო, როცა რუსეთი ჩვენზე იყო ორიენტირებული და არა გამსახურდიაზე. რუსეთი იარაღსაც გვაძლევდა და ტექნიკასაც. რუსების მიერ მოცემული ორი „ჰაუბიცა“ მთავრობის სახლის წინ მუშაობდა.

1992 წლის 14 თებერვლის სამიტამდე ბატონ ედუარდს მოსკოვში ვესტუმრე. ვისაუბრეთ მისი საქართველოში დაბრუნებაზე. იგი ამისათვის მზად იყო. მინსკის სამიტის დღეს ჟურნალისტების წინაშე ეს ტექსტი წავიკითხე: „ამხანაგებო, პატივცემულო ლეონიდ მაკარევიჩ (კრავჩუკი, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა), ნება

მომეცით საქართველოს დროებითი მთავრობის დავალებით შემდეგი განცხადება გავაკეთო, საქართველოში განხორციელდა დემოკრატიული რევოლუცია. დაემხო ზვიად გამსახურდიას დიქტატორული და ავტორიტარული რეჟიმი მისი ყველაზე უარესი ოჯახური დიქტატის მოვლენით. ჩვენ ვებრძოდით არა პრეზიდენტის ინსტიტუტს, არა პარლამენტს, ჩვენ ვებრძოდით ადამიანს, რომელიც დამღუპველ პოლიტიკას ატარებდა საქართველოში. მან ზარალი არა მარტო ქართველ, არამედ სხვა ხალხებსაც მიაყენა. .. ყველას მადლობას ვუხდით, ვინც ჩვენ მხარს გვიჭერდა გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლაში და ისინი ამაში არ შემცდარან. ამას დრო დაგვიმტკიცებს. საქართველოს დსთ-ში გაწევრიანებას გადაწყვეტს ახლად არჩეული პარლამენტი. მზად ვართ, კარგი ურთიერთობა გვქონდეს ამიერკავკასიის სამხედრო ჯარებთან, რომლებსაც საოკუპაციო სტატუსი მოვუხსენით“.

ლევან შარაშენიძის სიტყვას მძაფრი რეაქცია მოჰყვა ბელორუსიის პრეზიდენტის შუშკევიჩის მხრიდან, რომელმაც პირდაპირ მიახალა საქართველოს დროებითი მთავრობის წარმომადგენელს, რომ საქართველოში არავითარი დემოკრატიული რევოლუცია არ მომხდარა და რომ იგი ქართული ხუნტის წარმომადგენელია, რომ საქართველოში თქვენ დაამხეთ კანონიერი ხელისუფლებაო.

ლევან შარაშენიძეს, მოსკოვში ზურგს უმაგრებდა საქართველოს დროებითი მთავრობის ელჩი **ვალერიან ადვაძე.**

და რას იქმოდა გადატრიალების პერიოდში ეროვნული ხელისუფლების მეორე უმაღლესი პირი, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი? იგი მერყეობდა, ყველანაირად ცდილობდა თავი აერიდებინა პუტჩისტი დეპუტატების დაგმობისათვის და ბოლოს საერთოდ გაეცალა ბრძოლის ველს ავადმყოფობის საბაბით. შემდეგ იგი უეცრად გამოჩნდა ზუგდიდში, სადაც ხალხს მოუწოდებდა არ წასულიყვნენ ხელისუფლების დასახმარებლად და არ მიეღოთ მონაწილეობა ბრძოლებში. ასეთივე აგიტაციას ეწეოდა იგი ქუთაისსა და სხვა ქალაქებში.

ა. ასათიანი, რომელმაც თავისი თავი გადამდგარად გამოაცხადა, ხოლო კანონიერი პარლამენტი დაშლილად, შემდგომში ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო მაფიოზური ხუნტის ცრუ პარლამენტის შეკონწიწებაში არალეგიტიმური არჩევნების გზით... მისი ამგვარი მოღალატური პოზიცია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სამართლიან გულისწყრომას იწვევდა.

ნიშანდობლივია გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ ინფორმაცია აკაკი ასათიანის „მკურნალობის“ ვადებთან დაკავშირებით, ვნახოთ იგიც:

„უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი აკაკი ასათიანი ქობულეთის სამკურნალო-სარეაბილიტაციო სანატორიუმ „საქართველოში“ აგრძელებს მკურნალობას. მკურნალობის კურსი დაახლოებით სამ კვირას გასტანს“.

ანუ, გაზეთის უწყებით, წინასწარგაცხადებული „მკურნალობის სამკვირიანი“ ვადა, სრულად და ზუსტად მოიცავს, გადატრიალების მზადების, დაწყებისა და დასრულების პერიოდს 6 იანვრის ჩათვლით. გადატრიალების შემდგომ, აკ. ასათიანი, („კგბ“- ს ფსევდონიმით „მალიში“) ბრუნდება თბილისში და საიდუმლო შეხვედრებს აწყობს თენგიზ სიგუასთან. თენგიზ სიგუასგან დაინსტრუქტაჟებული აკ. ასათიანი, 1991 წლის 17 იანვარს მიდის, ფილარმონიის ქვემოთ მდებარე კინოთეატრ „ამირანის“ დარბაზში, სადაც წინასწარ შეკრებილები არიან უზენაესი საბჭოს დეპუტატების ნაწილი. შეკრებას თავმჯდომარედ ევლინება აკ. ასათიანი, რომელიც იხილავს საკითხს უზენაესი საბჭოს ახალი, ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შესახებ, რათა მოხდეს ახალი ხელისუფლების ლეგიტიმაცია. რისთვისაც საჭიროა ჩატარდეს უზენაესი საბჭოს სესია ქვორუმის უზრუნველყოფით. ქვორუმის პირობად მიჩნეულ იქნა გარიცხული კომუნისტი დეპუტატების დაბრუნება უზენაეს საბჭოში. ალტერნატივად წამოყენებულ იქნა ეროვნული კრების მოწვევა (პაატა კოღუაშვილი და სხვ.).

მოღალატე აკაკი ასათიანისადმი უარყოფითი დამოკიდებულება არ განელებულა ერში, მაგრამ რამდენადაც საკვირველი უნდა იყოს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შვილებში პატივდებული აღმოჩნდა იგი. ასე, მაგალითად; 2014 წლის 10 მარტს, კონსტანტინე გამსახურდიამ (უმცროსი) მოაწყო ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებული წიგნის პრეზენტაცია – „ზვიად გამსახურდიას საქმე“. პრეზენტაციაზე კონსტანტინეს მიწვეული ჰყავდა აკაკი ასათიანიც და მას სიტყვით გამოსვლაც შესთავაზა, რასაც დარბაზიდან ჩემი რეპლიკა მოჰყვა: „სამწუხაროა, რომ იუდებზე მოთხოვნილება დღესაც არსებობს და ამ შეკრებაზეც!...“-მეთქი! რეპლიკას განმარტებაც მივაყოლე: „გარდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასი, ამ დარბაზში სხედან ადამიანებიც, რომლებმაც, აკაკი ასათიანის ღალატისა და შეთქმულების შედეგად სასტიკი რეპრესიები გამოიარეს და პროტესტს გიცხადებთ ამ მოღალატის პატივით მოწვევის გამო“. ხოლო აკ. ასათიანს კი მივმართე, რომ საკუთარი ღალატის გარემოებებზე ესაუბრა. ჩემმა რეპლიკამ და შენიშვნამ სამივე გამსახურდიას (კოკოს, გიორგის და მოგვიანებით, ცოტნეს) გულისწყრომა გამოიწვია.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის დოკუმენტური წიგნის პრეზენტაციაზე აკაკი ასათიანის მოწვევა და სიტყვის მიცემის პატივიც კონსტანტინესაგან, პირადად ჩემთვის დიდი მოულოდნელობა გახლდათ, ხოლო თავად აკაკი ასათიანის მხრიდან კი, ჭეშმარიტად დიდი გაბედულება. მას დამსწრეთა უმრავლესობის უკმაყოფილო შეძახილებით მოუწია დარბაზის დატოვება.

კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიებმა, პატივი მიაგეს, აგრეთვე გარდაცვლილ ჯანსუღ ჩარკვიანს სამძიმარზე წუხილით მისვლით. გიორგი კი საქართველოში არ იმყოფებოდა, იგი შევარდნაძის ძალოვან სტრუქტურებში მსახურობდა და „კეთილ ბაბუს“ ეძახდა შევარდნაძეს. ხალხში კი იყო მოლოდინი, რომ გიორგი შევარდნაძის ნდობის მოპოვებას ცდილობს და ერთხელაც ტყვიას დაახლის მამამისის მკვლელსო.

ოპოზიცია, იარაღითა და ფულით მოსკოვიდან მარაგდებოდა, რაც ოფიციალურად განაცხადა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა იური აფანასიევმა, რომ გორბაჩოვმა და შევარდნაძემ 65 მილიონი რუბლი გაიღეს საქართველოში პუტჩის მომზადებისა და გახორციელებისათვის. გარდა ამისა, რუსეთი, სამხედრო ძალითაც მონაწილეობდა პუტჩში სპეცჯგუფ „ალფა“ და ძერჟინსკის სახელობის დივიზიით, აგრეთვე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილებით გენერალ-ლეიტენანტ სუფიან ბეპაევის სარდლობით, რასაც ადასტურებს ხუნტის ჟურნალისტი მამუკა არეშიძეც, რომ დასამალი უკვე აღარ არის, რუსეთის ჯართან კონტაქტები იყო თბილისის ომის დროსაც და მანამდეცო (მამუკა არეშიძემ, ძალიან დიდი დაგვიანებით, 2017 წელს ტელევიზიით აღიარა თავისი წილი დანაშაული ეროვნული ხელისუფლების დამხობაში). ხოლო გაზეთ „იზვესტიის“ კორესპონდენტი ევგენი კრუტიკოვი გვამცნობს, რომ საქართველოს პუტჩში მონაწილეობდა როსტოვის სპეცნაზი.

2002 წ. 6 იანვარს ტელეკომპანია „რუსთავი -2“-ით ნაჩვენებ დოკუმენტურ ფილმში „ჩაკეტილი წრე“, ოპოზიციონერი დეპუტატი ირაკლი მელაშვილი ამბობს, რომ საქართველოს პუტჩს მოსკოვიდან ხელმძღვანელობდა რუსეთის მთავრობის მაღალი თანამდებობის პირი ბურბულისიცო. რუსეთის დუმის დეპუტატ კოვალიოვის განცხადებითაც, რუსეთს,

საქართველოში, სახელმწიფო გადატრიალება, 65 მილიონი რუბლი დაუჯდა.

აკაკი ასათიანის მსგავსად, თენგიზ სიგუასა და კრემლთან დაახლოებულ ზურაბ წერეთელთან, მოღალატურ ალიანსში იმყოფებოდა ეროვნული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი **გოგი ხოშტარიაც**; ხოშტარია, ნაცვლად იმისა რომ თანამდებობის შესატყვისი ცოდნა გაეღრმავებინა, საგარეო ეკონომიკისა და ბიზნესის საკითხებში პროფესიონალურად გარკვეულიყო, მთელ თავის მოღვაწეობას ტყუილებსა და ინტრიგების ხლართვას ანდომებდა. იგი, პრეზიდენტისაგან შეუთანხმებლად მიემგზავრებოდა უცხოეთში თავის მეუღლესთან ერთად და ძირითადად მაღაზიებში დაეხეტებოდნენ. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე, მას არ მოუმზადებია არცერთი ოფიციალური ვიზიტი პრეზიდენტისათვის და მისთვის არასოდეს წარუდგენია ანგარიში საკუთარი საზღვარგარეთული ვიზიტებისა. იგი საიდუმლო შეხვედრებს აწყობდა შევარდნაძესთან მოსკოვში, რასაც ზურაბ წერეთელი უზრუნველყოფდა. ხოშტარია-შევარდნაძის გეგმას წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიახლება გორბაჩოვთან ერთგულების ფიცით. „სანამ გორბაჩოვს არ შეხვდებით, ბუში არ მიგიღებს“, ჩასჩიჩინებდნენ ზვიადს გოგი ხოშტარია და ზურაბ წერეთელი.

ოპოზიციასთან საიდუმლო კავშირ-ურთიერთობაში იმყოფებოდა უზენაესი საბჭოს უშიშროების საბჭოს წევრი **ზვიად ბოკუჩავაც**.



შევარდნაძის ნეოკომუნისტურ ხუნტასთან საიდუმლოდ თანამშრობლობდნენ მირიან მირიანაშვილი, გოგი ხოშტარია, აკ.ასათიანი და ზ. ბოკუჩავა ტელევიზიასთან, შავნაბადაზე და თბილისის ზღვაზეც. ხოლო, როდესაც მათი ღალატით დაემხო და განიდევნა ზვიად გამსახურდია, შევარდნაძე შეეცადა ხოშტარია-ასათიანის პოლიტიკური ტანდემით შეექმნა „ოპოზიცია“, რომელიც მისგანვე იქნებოდა მართული.

შევარდნაძის მიზანს წარმოადგენდა, ამ ფსევდო-ოპოზიციონერი ლიდერების გარშემო შემოემტკიცებინა სრულიად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მიეღოთ მონაწილეობა ხუნტის არჩევნებში, როგორც შევარდნაძის რადიკალურ ოპოზიციას და ლეგიტიმური გაეხადა მისი ხელისუფლება. ამ მიზნით, ხოშტარია-ასათიანმა,

სატელევიზიო გამოსვლებით იწყეს შევარდნაძის ხმამაღალი კრიტიკა და ქვეყანაში სტაბილიზაციის აღდგენის რეკომენდაციების მიცემა ხელისუფლებისთვის. მათი გამოსვლების შინაარსი პრო-ზვიადისტური ორიენტაციისა იყო.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ ენდო ხოშტარია-ასათიანის ნეოკომუნისტურ ტანდემს, მოღალატედ შერაცხა ისინი და გააგრძელა ბრძოლა და დაუმორჩილებლობა შევარდნაძის ხუნტისტური ხელისუფლებისადმი. რომელიც 2003 წლამდე, ანუ შევარდნაძის გადაყენებამდე გაგრძელდა.

გოგი ხოშტარია აღშფოთებასა და უკმაყოფილებას ვერ მალავდა უკვე დამხობილი ზვიად გამსახურდიას, საქართველოდან, ცოცხლად გასვლის გამო. ამასთან დაკავშირებით დოდონა კიზირია იხსენებს: *„ვარ ტელევიზიის შენობის მესამე სართულის კიბეებზე და ვხედავ გოგი ხოშტარიას და მისკენ დავიძარი. ამ დროს პირველი სართულიდან ზემოთ ამოდის კინორეჟისორი გიორგი შენგელაია... „რა ქენი, ბიჭო! ცოცხალი როგორ გაუშვი!“ — უყვირის გოგი ხოშტარია ზემოდან გიორგი შენგელაიას...“*

ერთადერთი დეპუტატი, ვინც შევარდნაძესთან ღიად შევიდა პოლიტიკურ ალიანსში (მირიან მირიანაშვილის შემდგომ), **ნუგზარ მოლოდინაშვილი** იყო. 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში, მოლოდინაშვილმა, შევარდნაძის პოლიტიკურ ბლოკ „ახალი საქართველოს“ სიით იყარა კენჭი. უზენაესი საბჭოს დეპუტატის ამგვარი თვითლუსტრირება საცნაურ მოულოდნელობად იქცა, რამეთუ იგი შევარდნაძის პოლიტპატიმარს წარმოადგენდა და მისმა პოლიტპატიმრობამ და შიმშილმა შეიწირა მოლოდინაშვილის მშობლები. მანამდე, მოლოდინაშვილი, არ ყოფილა შემჩნეული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასადმი ღალატში და ზოგადად იგი გონიერ კაცად მიიჩნეოდა. თუმცა, 1994 წელს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან დაკავშირებით, გავრცელდა ხმა, რომ 1993 წლის ნოემბერში, ფოთში მოხდა საიდუმლო შეკრება პრეზიდენტის გარემოცვის რამდენიმე პირის (რომლის ორგანიზატორად ნუგზრ მოლოდინაშვილი სახელდებოდა) და ამ შეკრებაზე ზვიადის მკვლელობას უყარეს კენჭიო. დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით ქრისტესმიერი გამცემლობის ამ „საიდუმლო სერობის“ შესახებ, მაგრამ ისტორიული ფაქტი კი ნამდვილად შედგა 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში; უზენაესი საბჭოს დეპუტატი ნუგზარ მოლოდინაშვილი შევარდნაძის ამოყირავებულ ნავში ჩახტა მისი პოლიტიკური რეანიმაციის მიზნით. ამ ხისტმა რეალობამ გააღვივა ეჭვი, მოლოდინაშვილის ადრეული საიდუმლო კავშირების შესახებ შევარდნაძესთან, რასაც იგი მალავდა(?!).

პრეზიდენტისადმი მიპყრობილი იუდას მზერა...

2003 წლის 23 ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“, ანუ შევარდნაძის პოლიტიკური კარიერის დასრულების შემდგომ, 28 ნოემბერს სასტუმრო „თბილისი – მერიოტში“ შეკრებილ შევარდნაძის მომხრეებს შორის (მამა-შვილი ჩარკვიანები, ადა მარშანია, ირინა სარიშვილი, ირაკლი ბათიაშვილი და „აღორძინების“ წევრები) ნუგზარ მოლოდინაშვილიც იყო, რომლებიც შევარდნაძის პოლიტიკური რეანიმაციის მიზნით მოქმედების შემდგომი გეგმის დასახვას შეეცადნენ. ამ შეკრებაზე გააჟღერა ირინა სარიშვილმა, რომ იგი ახალ პოლიტიკურ მოძრაობას ქმნის. სარიშვილი ახალი გადაყენებული იყო „ეროვნულ-დემოკრატიული“ პარტიის ლიდერობიდან.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის გარკვევა, თუ რა პოზიცია ეკავა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II კანონიერი ეროვნული ხელისუფლების შეიარაღებული გადატრიალების პერიოდში. ცნობილია, რომ პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ პირადად სთხოვა ჩარევა კათოლიკოს-პატრიარქს ილია **II**, მაგრამ პატრიარქმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და არ ეახლა პრეზიდენტს. მაშინ, პრეზიდენტმა თავად

აახლა თავისი „დესპანები“ პატრიარქს, მაგრამ მან, ავადმყოფობის გამეორებითი მომიზეზებით, უარი თქვა მათთან შეხვედრაზეც. ეს არ იყო უარი ეკლესიის პოლიტიკაში ჩარევის გამო, არამედ, – უარი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური კურსის მხარდაჭერაზე. სამაგიეროდ, პატრიარქი საგანგებო მისიით მიდის „კგბ“-ს ციხეში ჯაბა იოსელიანთან და ვითარცა პეტრე მოციქული შთაგონებს მას: „თქვენ სჭირდებით საქართველოს!“ ციხიდან გამოშვებულს კი გულითად შეხვედრას უწყობს საპატრიარქოში და შემდეგაც ხშირად უმართავს ნადიმს. პატივისცემისა და კეთილგანწყობის ნიშნად პატიჟებს ჯაბას ყველა საეკლესიო დღესასწაულებზე, უწონებს მას შევარდნაძის ჩამოყვანას და ა.შ.

ყოფილი ოპოზიციონერი მწერალი ნოდარ კობერიძე წერილში „სამოქალაქო ომი – აპოკალიფსი საქართველოსთვის“ წერს: „...პირველი გასროლის შემდეგ იყო თუ არა მემილიონედი შანსი სისხლისღვრის შეჩერებისა?... შეიძლებოდა და ეს ეკლესიის წინამძღვარს უნდა ეტვირთა... პირველი ბზარი ხალხსა და პატრიარქს შორის 9 აპრილის ღამეს გაჩნდა, როცა პატრიარქმა ბოლომდე არ უთხრა ხალხს, რაც მან იცოდა, ხოლო დარბევის დროს, იმის მაგივრად, თავის სამწყსოსთან ერთად შეხვედროდა განსაცდელს – გაუჩინარდა. არადა, თუ მწყემსი ხარ შენი ხალხისა – არ უნდა მიატოვო იგი... საქართველოს პატრიარქი 22 დეკემბერს მომაკვდავიც რომ ყოფილიყო, ჯვრით შემართული, რუსთაველის პროსპექტის შუაგულში უნდა დამდგარიყო. ნეიტრალიტეტი უნდა დაეცვა... აემოქმედებინა ის წიგნი, რომელშიც მოხვედრილ ქართველის მკვლელს სამარადისო წყევლა არ ასცდებოდა ...“

მწერალი კობერიძე, უთუოდ გულისხმობს პატრიარქ ილია II-ის 1990 წლის 28 ოქტომბრის ამ განჩინებას: **„საგანგებო ბრძანება, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ვბრძანებ: დღეიდან ყოველი ქართველი ადამიანის მკვლელი, მიუხედავად მსხვერპლის (მოკლულის) დანაშაულისა ან უდანაშაულობისა, გამოცხადდეს ქართველი ერის მტრად. მკვლელის სახელი და გვარი შეტანილ იქნას საპატრიარქოს სპეციალურ წიგნში და გადაეცეს თაობიდან თაობას, როგორც სამარცხვინო და დასაგმობი. საგანგებო ბრძანება ესე მიღებულია, რათა საქართველოში იქნას თავიდან აცილებული უმძიმესი ცოდვა და დანაშაული ღვთისა და ერის წინაშე – ძმათა კვლა.“**

პატრიარქის ამ განჩინებამ ერში გააღვივა იმედი, აწ უკვე მშვიდობიანობის სუფევისა, მაგრამ ეს განჩინება აღმოჩნდა, უფრო, ეროვნული ხელისუფლებისადმი მიმართული, რათა მას არ გამოეყენებინა ძალა მო-

სალოდნელ გადატრიალებაში, არ დაეცვა მონაპოვარი. ამადაც, ამ ბრძანება-განჩინებამ, შეიძლება ითქვას, რომ თავისი მისია შეასრულა. ხოლო, 1992 წელს, როდესაც ხუნტამ შეიარაღებითა და სისხლისღვრით დაამხო ეროვნული ხელისუფლება, პატრიარქმა გააუქმა განჩინება.

პატრიარქის გულგრილი და საეჭვო დამოკიდებულების გამო, ეკლესიებს მრავალი წლით განერიდა მრევლი და ეკლესიები კომუნისტური ხანის მდგომარეობში აღმოჩნდა.

მამა ვახტანგ მარგიანს მოვუსმინოთ: „ჰაუბიცები შემოყვანილი ჰყავდათ ქაშუეთის ეკლესიაში და ინტენსიური სროლები უკვე მიმდინარეობდა. სიონის საკურთხეველში უკვე მესმოდა ხმა... მე ვარ ცოცხალი მოწმე... იმ დღეს ილია II არ მოვიდა წირვაზე... წირვა დამთავრებული იყო, როცა მოვიდნენ გამსახურდიას მთავრობის წარმომადგენლები... დიაკონმა ლევან რცხილაძემ უშვერი სიტყვებით და ფიზიკური შეურაცხყოფით გაყარა ეს ადამიანები... 6 იანვარს გამსახურდია უკვე წავიდა... შაბათს, 6 იანვარს წავედი, რათა მიმეღო მონაწილეობა საშობაო წირვა-ლოცვაში. მოვიდა ილია II ძალიან კარგ ხასიათზე სამღვდელოებასთან ერთად, მაგრამ სიონს აშკარად დაეტყო ხალხის ნაკლებობა... 7 იანვარს ილია II დამპატიჟა ბანკეტზე... ბანკეტი ჩატარდა, მაგრამ მათთვის სულ არ იყო მნიშვნელოვანი შობის დღესასწაული... თამადები იყვნენ... დიაკონი ლევან რცხილაძე და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელ დათუაშვილი... ილია II ყველა ულოცავდა გამარჯვებას, ვინაიდან ილია მეორის ლოცვით იყო, რომ განიდევნა გამსახურდია საქართველოდან“.

1992 წლის ხუნტის პარლამენტის პირველივე სხდომაზე წითელი ინტელიგენციის წარმომადგენელმა ნიკო ჭავჭავაძემ სიტყვით გამოსვლა სთხოვა კათოლიკოს პატრიარქს ილია მეორეს, რომელიც ტრიბუნიდან, გაბადრული სახით, ასე მიესალმა ხუნტის პარლამენტარებს: „პატივცემულო დეპუტატებო, მე მინდა, კიდევ ამას დავუმატო **„პატივცემულო დემოკრატებო“... მე მინდა მოგილოცოთ აი ეს ბედნიერი დღე და გისურვოთ დიდი წარმატებები; თქვენ იტვირთეთ ერის ჯვარი და ერის ტკივილი...“**

პატრიარქი ილია II შესტრფის და შესციცინებს შევარდნაძეს და ჯაბას, ორივეს ქვეყნისთვის საჭირო პირებად მოიხსენიებს და შევარდნაძეს არ აძლევს უფლებას, გადადგეს. ხოლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კი პირქუშად უმზერს, არ იკარებს და არც თავად ეკარება.

სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ იატაკქვეშა გაზეთმა „ქართულმა აზრმა“ დაბეჭდა ფურცლები სათაურით: „ვინ ებრძვის საქართველოს დამოუკიდებლობას!!!“ რომელშიც გამოქვეყნებული იყო КГБ-ს კართოტეკები, საიდანაც ცნობილი გახდა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ერისკაცობაში ირაკლი შიოლაშვილი, 1962 წლის 10 იანვრიდან ყოფილა КГВ-ს აგენტი ფსევდონიმით „ივერიელი“. ამავე არალეგალური ფურცლებიდან ვგებულობთ ერთ-ერთი აგრესიული ოპოზიციონერის, ყოფილი დისიდენტის, პროფესორ გურამ მამულიას შესახებაც, რომელიც თავგამოდებული იბრძოდა ე.წ. თურქი-მესხების (რომელთა პროცენტული უმრავლესობა ეთნიურად და რელიგიურად თურქები არიან) საქართველოში რეპატრიაციისათვის, იგიც, 1962 წლიდან КГБ-ს აგენტი ყოფილა, რომლისთვისაც ფსევდონიმად, რატომღაც „სალაძე“ მიუნიჭებიათ.



Псевдоним „ИВЕРИЕЛИ

1. Фам. ЦИНОПАЦИВИПИ № 13565 № _____
(личн. дела) (архива)

2. Имя ИРАКЛИЙ

3. Отч. ГЕОРГИЕВИЧ

Категория агент

Когда завербован 10.7 1952 г.

4. Год рожд. 1933 5. Место рожд _____
г. Ордженикидзе

Кем завербован Шинкарев
(фамилия)

6. Адрес Тбилиси пос. ИРЗ
1 хбаулы 1Х переулок д.

„5" отдел „____" отделение
КГБ ГССР
(орган)

7. Место работы и должность монах
Грузинской православной церкви

Оформить личное дело и взять на учет
Нач. 5 отдела КГБ ГССР
Верховный совет
(подпись)
(Гунина)
(фамилия)

8. Партийность б/п

9. Нац. грузин 10. Гражд. СССР

11. Образование высшее-духовное

Карточка „псевдоним" ф. № 3-а

იქვეა, აგრეთვე, ზვიადის დაუძინებელი და პირაქაფებული მოწინააღმდეგის რამაზ კლიმიაშვილის კართოტეკაც ფსევდონიმით-"საშა". ხოლო, ეროვნული ხელისუფლების ერთ-ერთი შეთქმული წევრის, პროფესორ ლევან ალექსიძის ფსევდონიმი კი „ანდრეევი" ყოფილა და იგიც, 1962 წელს გადაუბირებიათ.



СОВ. СЕКРЕТНО

	Псевдоним "САПАДЗЕ"
1. Фам. МАМУЛИЯ	№ 7386 № 29355
2. Имя ГУРАМ	(лич дела) (архива)
3. Отч. САМСОНОВИЧ	Категория АГЕНТ
4. Год рожд. 1925. Место рожд	Когда завербовали 9.05.1962
г. ТБИЛИСИ	Кем завербовали ХОДЖАВА
6. Адресс г. Тбилиси	" 2 " отдел " 1с" отделение
ул. Ираклия 2, дом 13	орган КГБ ГССР
7. Место работы и должность	Оформить личное дело и
сотрудник института истории этнографии и археологии	взять на учет
8. Партийность член КПСС	Нач 2 отдела КГБ ГССР
9. Нац грузин 10.Гражд СССР	подпись
11. Образование высшее	фамилия ДЖОРБЕНАДЗЕ

СОВ. СЕКРЕТНО

	Псевдоним "АНДРЕЕВ"
1. Фам. АЛЕКСИДЗЕ	№ 767 № 1652-гозд.
2. Имя ЛЕВАН	(лич дела) (архива)
3. Отч. АНДРЕЕВИЧ	Категория АГЕНТ
4. Год рожд. 1926 5. Место рожд Тби..иси	Когда завербовали 30 11 1962
	Кем завербовали ЧУБИНИДЗЕ
6. Адресс просп Чавчавадзе	" 1 " отдел " 1 " отделение
62	орган КГБ ГССР
7. Место работы и должность	Оформить личное дело и
ТГУ зав кэфедрой	взять на учет
8. Партийность член КПСС	Нач 1 отдела КГБ ГССР
9. Нац грузин 10.Гражд СССР	подпись
11. Образование высшее	фамилия АСАТИАНИ

СОВ. СЕКРЕТНО

	Псевдоним САША
1. Фам. КЛИМИАШВИЛИ	№ 11678 № 28240
2. Имя РАМАЗ	(лич дела) (архива)
3. Отч. СОПРОМОВИЧ	Категория АГЕНТ
4. Год рожд. – 5. Место рожд	Когда завербовали –
	Кем завербовали –
6. Адресс –	" 5 " отдел " " отделение
	орган КГБ
7. Место работы и должность	Оформить личное дело и
–	взять на учет
8. Партийность –	Нач отдела КГБ ГССР
9. Нац 10.Гражд –	
11. Образование –	фамилия

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, არც მანამდე, ადრეულ წლებში იყო კეთილგანწყობილი კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას დისიდენტი ძისადმი, რაზეც ნათლად მეტყველებს 1983 წელს მთავრობაში გაგზავნილი მისი დეპეშის ტექსტი (იხ. მომდევნო გვერდზე):

სრულიად
საქართველოს

კათოლიკოს-
-პატრიარქი

380005, თბილისი-5, სიონის 4, ტელ. 99-69-30

№223
28.06.83.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან
არსებული რელიგიის საქმეთა საბჭის
რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში
ძიელ ბალიას ამ მისამართს

მოგახსენებთ, რომ მოქალაქე ბ.კ. გამსახურდია იღებს მოქმედებას, რომელიც არ შეეფერება საბჭოთა მოქალაქეს. იგი ლანძღავს საბჭოთა ხელისუფლებას და ეკლესიას, რაც დაუშვებელია სსრკ კონსტიტუციით. ამასთან ერთად წარმოგიდგენთ მის მიერ გამოგზავნილი დეპეშის ასლს.

გთხოვთ მიიღოთ შესაფერისი ზომები მსგავსი მოქმედებების აღსაკვეთად.

დანართი: დეპეშის ასლი.

ქართველთა-პატრიარქ ილია მეორის მიერ ზვიად გამსახურდიას დეპეშის პასუხად რელიგიის საქმეთა საბჭოში გაგზავნილი ნერილი

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

პატრიარქის 1992 და 1993 წლების საშობაო ეპისტოლეებში, აშკარად გამოსჭვივის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასადმი მისი უარყოფითი დამოკიდებულება და ბრალის სიმძიმის მხოლოდ მასზე დაკისრება (იხ. გვ. 268-272).

აფხაზეთის ავანტიურისტული ომი და შევარდნაძის მიერ აფხაზეთის ჩაბარება

აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკურად დარეგულირების მიზნით, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ, იმთავითვე შეიმუშავა კომპრომისული საარჩევნო კანონი აფხაზეთში. თუმცა მიღებულ კანონს მაშინვე „აპარტეიდული კანონი“ უწოდეს პრეზიდენტის რადიკალურმა ოპოზიციამ და ასეთად მოიხსენია იგი 2013 წელსაც დევნილთა კავშირის თავმჯდომარემ (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე) ლონდერ ცაავამ. იგი უფრო შორს წავიდა და აფხაზეთის ომი, სულაც ამ კანონის მიღებას გადააბრალა. კომუნისტი ფუნქციონერის ლონდერ ცაავას ამ უსამართლო ბრალდებას დეტალური პასუხი გასცა დისიდენტმა, საქართველოს უზენაესი საბჭოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დღემდე მოქმედმა დეპუტატმა ნუგზარ მგალობლიშვილმა; საქმე იმაში გახლდათ, რომ კანონის მიღების პერიოდისათვის, აფხაზეთში სეპარატიზმი, იდეოლოგიურად და ორგანიზაციულად უკვე ჩამოყალიბებული იყო ბლოკ „სოიუზის“ სახით, რაც 1988 წელს „ლიხნის წერილის“ შექმნასა და 1989 წლის 15 ივლისს სისხლიანი კონფლიქტის პროვოცირებაში გამოიხატა.

უნდა ითქვას, რომ ე.წ. ლიხნის წერილს, აფხაზეთის ინტელიგენციის ყველა წარმომადგენელი არ უჭერდა მხარს. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა აფხაზი მწერლის, ფაზილ ისკანდერის განცხადება „ლიხნის წერილთან“ დაკავშირებით:



„ლიტერატურული საქართველო“-ს
რედაქციას

ვთხოვთ, გამოაქვეყნოთ ტექსტი დეპეშისა, რომელიც გავუგზავნე სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობის პრეზიდიუმს:

პატივცემულო ამხანაგებო! სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო ვერ დავესწარი ბოლო სხდომებს. მითქმა-მოთქმის თავიდან ასაცილებლად, აფხაზეთის დელეგაციის წარმომადგენლის სიტყვის შემდეგ, მინდა განვაცხადო — ღრმად პრინციპული მოსაზრებებით, მე ხელი არ მომიწერია ლიხნის მოწოდებაზე აფხაზეთის რესპუბლიკის გამოყოფის შესახებ. ხალხთა განმაცალკევებელი იდეები ყოველთვის დამღუპველია ამ ხალხთა ბედისთვის. მითიურ დამოუკიდებლობაზე ილუზიების თესვა კი არ არის საჭირო, არამედ დაზუსტება და გაღრმავება ჭეშმარიტი ავტონომიისა, მუხლჩაუხრელი შრომა და ხულიერი ვაჟკაცობა. გთხოვთ, ყრილობაზე წაიკითხოთ ჩემი განცხადება.

სახ[illegible]ო დეპუტატი აფხაზეთის ასსრ-დან, მწერალი

ფაზილ ისკანდერი.

„ლიტერატურული საქართველო“
1989 ნ 9 ივნისი

კონფლიქტის ესკალაცია კი მაშინ, **მერაბ კოსტავას** ძალისხმევით იქნა აცილებული. კონფედერანტთა ყრილობები და მათი თარეში, რუს რეაქციონერებთან ერთად, უკიდურესად ძაბავდა ვითარებას. აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ მიიღო „აფხაზეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარაცია“ და დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“. ერთ მუშტად შეკრული „აიდგილარა“, „სლოვიანსკი დომ“, „კრუნკი“, „აფხაზეთის დემოკრატიული პარტია“ და „ლდპრ“ (ჟირინოვსკის პარტია) ერთიან საარჩევნო ბლოკად – „სოიუზად“ ჩამოყალიბდა და მოიცვა აფხაზეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი. ქართველები კი უმცირესობაში აღმოჩნდნენ (45% – 75%). აფხაზების უპირატეს პროცენტულ მაჩვენებელს, ფაქტიურად ამყარებდა საქართველოს პოლიტიკური პარტიების აფხაზეთის ფილიალებში გაწევრიანებულ ოპოზიციონერ ქართველთა (კომუნისტები და სხვ.) ადგილობრივი რაოდენობაც. ეს კი ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ეთნოკონფლიქტის

გასაღვივებლად და რაც მოგვიანებით ეფექტურად იქნა კიდეც გამოყენებული საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

ასეთი აგრესიული ურთიერთდაპირისპირების ფონზე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების ბრძნულმა და პრაგმატულმა პოლიტიკამ გახადა შესაძლებელი, შუამავლის გარეშე, ემუშავათ აფხაზურ მხარესთან საარჩევნო კანონზე(ლევან ალექსიძე) და აფხაზეთის მკვიდრ ნუგზარ მგალობლიშვილის ნდობით. მნიშვნელოვანია, რომ აფხაზეთის ამომრჩეველთა სრული რაოდენობა იმ დროისათვის გახლდათ 315054, რომელთაგან ქართველი მხოლოდ 143921 იყო და ამ რაოდენობის ქართველთა 2/3 გალისა და გულრიფშის რაიონებში იყვნენ განსახლებულნი. ანუ, ოკუპანტი საბჭოთა რუსეთის სტრატეგიული მრავალწლიანი პოლიტიკით, დემოგრაფიული სურათი იმ პერიოდისათვის, აფხაზეთში, უკვე მნიშვნელოვნად იყო შეცვლილი; ქართველები უმრავლესობას (43%) მხოლოდ აფხაზებთან წარმოადგენდნენ (18%) და უმცირესობას – მთელ რუსულენოვან მოსახლეობასთან (რუსები, სომხები, ბერძნები...), რომლებმაც საბჭოთა რუსეთის მიერ დანიშნულ რეფერენდუმში ხმა მისცეს სსრკ-ს შენარჩუნებას.

აფხაზეთში არახელსაყრელი დემოგრაფიული მდგომარეობის გამო საქართველოს უზენაესი საბჭოს ორი დეპუტატის არჩევა ვერ მოხერხდა და აფხაზეთის ორი სადეპუტატო მანდატის გაუქმების იძულებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

ამგვარ კრიტიკულ და უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებაში, მაინც მიღწეულ იქნა კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება **ორ უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ ცვლილებასთან ერთად!**

1. საქართველოს კონსტიტუციის 98-ე მუხლს დაემატა: „კანონები და სხვა აქტები აფხაზეთის ასსრ სამართლებრივი სტატუსის საკითხებზე მიიღება უმაღლესი საბჭოს რაოდენობის 2/3 ხმებით“.

2. „აფხაზეთის ასსრ საყოველთაო სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) შესახებ“ კანონის მ-5 მუხლის მე-3 ნაწილად დაემატა: გადაწყვეტილება რეფერენდუმის ჩატარების შესახებ იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია აფხაზეთის კონსტიტუციის ცვლილებასთან, შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საერთო რაოდენობის 2/3 ხმებით“.

ეს „კომპრომისული“ კანონი, თავისი ქვოტური წარმომადგენლობით 28- 26-11 (28 მანდატი აფხაზებს, 26 – ქართველებს და 11 – სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს), **რაც მთავარია, არ ქმნიდა რეფერენდუმის ჩატარების შესაძლებლობას აფხაზეთის საქართველოდან გა-**

მოყოფის თაობაზე (11-ივე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომც მიმხრობოდნენ აფხაზებს, ან თუნდაც ქართველებს, ხმათა საჭირო რაოდენობის 2/3-ს მაინც ვერცერთი მხარე ვერ აგროვებდა). ამდენად, ეს ყბადაღებული „კომპრომისი“, არ წარმოადგენდა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისთვის საფრთხის შემქმნელ ფაქტორს. აფხაზეთის მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება მოსამართლე-პროკურორიანად ქართველების ხელში რჩებოდა. დიპლომატიური კომპრომისი, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტთან ერთად, დღემდე ხელს უწყობს აფხაზებთან კავშირურთიერთობისა და ნდობის ფაქტორის აღდგენას. ზვიად გამსახურდიამ, როგორც შორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსმა, მის მიერ მიღებული „კომპრომისული“ (რეალურად კი, დიპლომატიური) კანონით **სამერმისო** იურიდიული და სამართლებრივი პირობა შექმნა, კერძოდ:

სწორედ, კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებისა და ამ კანონის ძალით შეიქმნა სრული გარანტია აფხაზეთის შენარჩუნების! ეს კანონი, მომავალშიც აჩენს პერსპექტივას აფხაზეთის საკითხის პოლიტიკურად გადაწყვეტის.

რუსეთის სტრატეგიული გეგმით საქართველოში გახორციელებულ სახელმწიფო გადატრიალებას, როგორც გათვალისწინებული იყო, მოჰყვა საქართველოს ტერიტორიული დაქუცმაცება. „ნუთუ, ვერ ხედავთ, როგორ ჰყიდის ხუნტა ყოველ ნაბიჯზე საქართველოს ინტერესებს?... ნუთუ არ გებადებათ კითხვა, რატომ ვერ გაბედეს ჩემს დროს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება შიდა ქართლის მთელ ტერიტორიაზე? ვინ და რატომ გაათავისუფლა ციხიდან ქართველი ხალხის მოსისხლე მტერი კულუმბეგოვი? ვისი გამგებლობის დროს შეიქმნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა? რომელსაც მოლაპარაკებას ეხვეწება შევარდნაძე“ და ა.შ. წერდა ქართველი გვარდიელებისადმი მიმართვაში დევნილობაში მყოფი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გროზნოდან არძინბასადმი გაგზავნილ დეპეშაში კატეგორიულად მოითხოვა უზენაესი საბჭოს სესიის ხელახალი მოწვევა, 1925 წლის კონსტიტუციის გაუქმება და 1978 წ. კონსტიტუციის აღდგენა. მიმართვაში „ქართველი ერისადმი, აფხაზეთში დისლოცირებული ყველა ქართველი მეომრისადმი“ პრეზიდენტი წერდა: „მე მოვუწოდებ აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებულ ყველა ქართველ მებრძოლსა და მეთაურს, სრულიად საქართველოს მოსახლეობას: არ დაემორჩილოთ ე. შევარდნაძისა და მისი კომუნისტური ხუნტის ბრძანებებს (იგულისხმება რეგულარული ბრძანებები უკან დახევის შესახებ – **ლ.ც.**), არ დათმოთ აფხაზეთის, – ძირძველი ქართული მიწის – არც

ერთი გოჯი, არ ჩააბაროთ მტერს უკვე მოპოვებული პოზიციები, აღადგინეთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, გახსოვდეთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის საზღვარი მდინარე ფსოუზე გადის!“

მაგრამ, ელცინ-შევარდნაძის მზაკვრულ გეგმაში ქართველების მიერ აფხაზეთის ომის მოგება არ შედიოდა, ავანტიურისტულად წამოწყებული ომი, სწორედ აფხაზეთის მოწყვეტით უნდა დასრულებულიყო. 1993 წლის აგვისტოს ბოლოს, შევარდნაძემ, სოხუმში მოტყუებით დააბრუნა დევნილი ქართული მოსახლეობა, სტუდენტები – იმედიანი პირობით: „სოხუმი ისეა გამაგრებული, ბუზიც ვერ შეფრინდება“ო და სწავლა დაიწყო 1 სექტემბერს. მაშინ, როცა დანარჩენ საქართველოში სასწავლო პროცესის დაწყების თარიღად 14 სექტემბერი იყო დადგენილი.

1993 წლის 27 ივლისს, სოჭში, ე. შევარდნაძის თანხმობით, ვახტანგ გოგუაძემ და სოკრატ ჯინჯოლიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტას და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაყვანას აფხაზეთის ტერიტორიიდან. ამ ხელშეკრულებით სახელმწიფო საბჭოს მაშინდელმა მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ აიღო ვალდებულება აფხაზეთიდან არტილერიის, მძიმე ტექნიკისა და ცოცხალი ძალის გამოსაყვანად, მოხდა ქართველი მოსახლეობის განიარაღება და ქართველების მიერ დანაღმული ტერიტორიების განნაღმვაც. 27 ივლისის ამ ე.წ. „სამშვიდობო ხელშეკრულების“ შემდეგ აფხაზეთში, თითქოს მართლაც დამყარდა მშვიდობა, მაგრამ ეს დროებითი, ილუზიური, მყიფე მშვიდობა გახლდათ. 27 ივლისის ხელშეკრულების გარანტი არ იყო რუსეთი, არამედ – მხოლოდ ხელმომწერი მხარეები (გოგუაძე-ჯინჯოლია), ხოლო რუსეთი კი კვლავაც ჩვეულ ამპლუაში რჩებოდა – შუამავალს წარმოადგენდა. ანუ, აფხაზეთში, რუსეთმა, ამ „სამმხრივ ხელშეკრულებაზე“ შევარდნაძის დათანხმებით, საქართველოში ცხინვალის ვარიანტი გაიმეორა.

1993 წლის 3 სექტემბერს, მოსკოვში, ელცინ-შევარდნაძეს შორის საიდუმლოდ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა გაგრის ზონიდან ქართველთა სამხედრო ტექნიკისა და მეომრების გამოყვანა, რასაც მოჰყვა გაგრა-ლესელიძის ჩაბარება და ქართველთა გენოციდი.

შევარდნაძესთან, აფხაზეთის ომში, გია ყარყარაშვილის საიდუმლო კავშირებზე საკმაოდ ვრცლად წერს ჯაბა იოსელიანი თავის წიგნში „სამი განზომილება“. ყარყარაშვილი, ფაქტიურად, ინდიფერენტულია აფხაზეთის ომში, საეჭვოდ პასიურობს და მხოლოდ შევარდნაძესთან კონტაქტობს. ეშერის ლაბორატორიაზე შეტევაც ჩაიფუშა. შევარდნაძე ამბობს, რომ ელცინმა დაურეკა და ლაბორატორიასთან მიახლოება და წინსვლა აუკრძალა. ყარყარაშვილი გაგრაშიც მაშინ ჩადის, როდესაც გაგრა უკვე დაკარგულია. ძველ გაგრაში გზა უნდა აეფეთქებინათ და შესასვლელები ჩაეხერგათ, მაგრამ ეს გეგმაც ჩაიფუშა, არ შესრულდა. ყარყარაშვილი, აფხაზეთის ომისგან თითქმის მოღალატურად განდგომილია. მას რაციით ეძებენ, მისგან დახმარების მომლოდინენი, მაგრამ იმალება. გაგრის ჩაბარების შემდგომ, ყარყარაშვილი, ერთთვიან შვებულებას იღებს და წყალტუბოს კომფორტულ სამხედრო სანატორიუმში ისვენებს. კიტოვანი და ყარყარაშვილი შევარდნაძის დავალებით მოქმედებენ და მთელი ომის განმავლობაში პასიურობენ. ოჩამჩირის ფრონტზე, ყარყარაშვილის მომლოდინე მებრძოლები დაღალატებულნი აღმოჩნდნენ; ყარყარაშვილმა, თავისი მებრძოლები, ოჩამჩირის ნაცვლად, საწინაღმდეგო მხარეს – არმიანსკაიასკენ ატარა. იერიში ვერ გახორციელდა. აფხაზეთის ომში მოწამეობრივად იღუპება გია ყარყარაშვილის ძმა.

გ.ყარყარაშვილი, პარლამენტის შენობის შტურმის დროს, 1992 წლის იანვარი.

ამ ფოტოზე, გია ყარყარაშვილი აფხაზეთის ომში არ გეგონოთ. ასე შემართულად და მიზანსწრაფულად იგი თბილისში, მთავრობის სახლის შეტევაზე მიემართება, რათა თავისი რაზმელებით დაამხოს ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობა. თბილისის ტრასებზე და ქალაქშიც

კი, თუ სადმე მოტაცებული მანქანაა, ყველა გია ყარყარაშვილის მამის ავტოფარეხში იყრის თავს.

ზუგდიდში, ხუნტის ჯარების პირველად შესვლის დღეს, მათ წინააღმდეგ შეკრებილ მოსახლეობას, ყარყარაშვილი არწმუნებდა: „ხალხო, ამბობენ, რომ ჩვენ ედუარდ შევარდნაძის ჩამოყვანას ვაპირებთ. არ დაიჯეროთ, რომ ეს სიმართლეა. თუ საქართველოში შევარდნაძეს ჩამოიყვანენ, მას პირველი მე ვესვრი ტყვიას“. ამ სიტყვების ავტორი, ედუარდ შევარდნაძემ, ჩამოსვლისთანავე თავდაცვის მინისტრად დანიშნა. შევარდნაძის რჩეული ე.წ. თავდაცვის მინისტრი კი აფხაზეთისა და სამეგრელოს ომში, შევარდნაძის მოკავშირე იყო (იხ. ფოტო).

აფხაზეთის ომში ყარყარაშვილი, თავისი 200-კაციანი შეიარაღებული რაზმით ჩაბმის პირობას დებს, მაგრამ პირობა-პირობად რჩება, ყარყარაშვილი, დროულად, არსად ჩნდება.

16 სექტემბერს აფსუა სეპარატისტებმა ომი განაახლეს, რასაც მოჰყვა დაბრუნებული ქართველების (ბავშვების) ხოცვა-ჟლეტა. შევარდნაძემ დაბრუნებულ მოსახლეობას არ მოუწოდა კვლავ დაეტოვებინათ სოხუმი. განახლებული ომი კი 27 სექტემბერს სოხუმის ჩაბარებით დასრულდა.



...მე ზვიადისტებს ვესროდი...

აცხადებს ჟურნალისტ ვლადიმერ სოსნიცკისთვის მიცემულ ინტერვიუში პეტერბურგელი სპორტსმენი და სნაიპერი - 26 წლის სვეტლანა, რომელიც დსთ-ს ტერიტორიაზე მიმდინარე თითქმის ყველა ომში მონაწილეობდა. ახლა იგი ტაჯიკეთშია.

სპორტულ კლუბში "სპარტაკი" ერთმა გოგონამ ტელეფონის ნომერი მიმცა და მირჩია, დამერეკა. ერთი კვირის შემდეგ მე უკვე ყარაბაღში ვიყავი. სამ დღეში აკეთვილ სნაპერის



რუსი სნაიპერის აღიარება



გაზეთი "ტრუდ-7", №82, 1996

გაზეთი "თავისუფალი საქართველო" №20, 4-10 / VI 1996წ.

სოხუმის დაცემის შემდეგ კი დევნილებს ჭუბერის გოლგოთურ უღელტეხილისაკენ მიუთითა, რომლის გზა, ერთი თვით ადრე, შევარდნაძის ვერაგული გეგმით საგანგებოდ იქნა გაჭრილი მისივე სამსახურების მიერ. ჭუბერის თოვლიან გზაზე ულმობლად ეწამა და დაიღუპა მრავალი დევნილი.

ზვიადი განდევნილია! საქართველოდ ესენგ-ში შეთრეულია!! აფხაზეთი ჩაბარებულიااااااა!!! – ბედნიერი კოლაბორაციონისტები. 1993 წელი.

სოჭის სამმხრივ ხელშეკრულებაზე, ანუ აფხაზეთის უომრად ჩაბარებაზე შეთანხმება ვლადისლავ არძინბას, ბორის ელცინსა და ე. შევარდნაძეს შორის.

1994 წლის 3 თებერვალს საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, რომელმაც შევარდნაძესთან ხელი მოაწერა სამშვიდობო დოკუმენტს. 6 თებერვალს კი აფხაზებმა დაარბიეს გალში დაბრუნებული ქართველები, დახვრიტეს მრავალი და გამოდევნეს 4 000 ქართველი. ესეც მორიგი „სამშვიდობო ხელშეკრულების“ შედეგი!

1998 წლის მაისში, შევარდნაძემ კვლავ მოტყუებით დააბრუნა ქართული მოსახლეობა გალში. აფხაზებმა 20 მაისს დაიწყეს შეიარაღებული თავდასხმები დაბრუნებულ ქართველებზე. მიუხედავად ამისა, შევარდნაძის თავდაცვის მინისტრმა **დავით თევზაძემ,** 26 მაისს გალში, უპასუხისმგებლოდ დაქადნებული „მარულა“ მაინც მოაწყო. 27 მაისს აფხაზებმა დახოცეს და გადაწვეს ქართველთა სახლები. გადარჩენილი ქართველები კი სრულად გამოდევნეს.

აფხაზეთის ომი **შევარდნაძის, კიტოვანისა და ყარყარაშვილის** ავანტიურა იყო. კიტოვანი და ყარყარაშვილი იკვეხნიდნენ, რომ ისინი „დალევდნენ წყალს მდინარე ფსოუზე“. შევარდნაძის თავდაცვის მინისტრი გია ყარყარაშვილი 1992 წლის აგვისტოში, ომის დაწყებამდე, სატელევიზიო

გამოსვლებით იმუქრებოდა აფხაზების მისამართით: „მე შევარდნაძემ დამავალა, რომ ნებისმიერ ფასად აღვადგინო წესრიგი და ამისათვის თუ დაიხოცება 100000 ქართველი, სამაგიეროდ თქვენის მხრიდან განადგურებული იქნება ყველა – 97000 აფხაზი“ .

აფხაზეთის ომში, ძირითადად ადგილი ჰქონდა თბილისიდან ჩასული ე.წ. მეომრების მხრიდან მოროდიორობას, რაზედაც აღშფოთებას გამოთქვამდა სამეგრელოს ბატალიონი. ჯანსუღ ჩარკვიანმა პარლამენტის სესიის ერთ-ერთი სხდომაზე ასე აგდებით უპასუხა სამეგრელოს ბატალიონს: „ვინ ჰკითხავს მეგრელებს, ჩვენ სოხუმში საომრად მივდივართ, თუ საქურდალად“!

თენგიზ სიგუა აფხაზეთის ომის წაგებაში შევარდნაძეს ადანაშაულებდა: „ჩვენი გენერალიტეტი და სამხედროები პირდაპირ თხოვდნენ შევარდნაძეს, მოგვეცით უფლება, პირდაპირ წავალთ წინ და ერთ დღეში გავალთ ფსოუზეო. შევარდნაძემ ამის უფლება არ მისცა“, არამედ, „შევარდნაძემ... უფლება მისცა რუსეთის თავდაცვის მინისტრ გენერალ გრაჩოვს, რომ განჯიდან, აზერბაიჯანიდან შემოეყვანა ის ავადსახსენებელი 345-ე პოლკი... გუდაუთაში... ეს ის პოლკია, რომელიც შემდგომში, მთელი აფხაზეთის ომის დროს ყველაზე დიდ წინააღმდეგობას გვიწევდა. სწორედ ეს პოლკია თბილისში ნამყოფი 1989 წლის აპრილში... მეორე დანაშაული, ვინ მისცა შევარდნაძეს უფლება, რომ სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება ერთპიროვნულად შეეცვალა და უბრძანა ყარყარაშვილს ჯარები შეეჩერებინა სოხუმში?“ მკვახედ კითხულობდა სიგუა.

ასევე უბრძანა შევარდნაძემ, გვარდიის სარდლის მოადგილე გია ყარყარაშვილს (შემდგომში შევარდნაძის თავდაცვის მინისტრი), სამაჩაბლოში მოპოვებული პოზიციებიდან უკან დახევა და საბოლოოდ, ტერიტორიის დატოვება.

ყარყარაშვილს შევარდნაძისადმი მონური ერთგულება არ დაუფასდა; შევარდნაძემ, მოგვიანებით მისი ფიზიკურად მოცილებაც განიზრახა და ყარყარაშვილს ორჯერ მოუწყვეს ტერაქტი. ყარყარაშვილი ორჯერვე გადარჩა, მაგრამ მეორე ტერაქტის შედეგად იგი ინვალიდის ეტლს სამუდამოდ მიეჯაჭვა.

ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ავანტიურისტულ ომებში შევარდნაძის დანაშაულობათა ნუსხა გრძელზე-გრძელია და მის გამოძიებას, ჯერ სამსახურეობრივად, ხოლო შემდგომ ფიზიკურადაც შეეწირა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე ალექსანდრე **შუშანაშვილი**. ხოლო, გაგრის ტრაგედიის საყოველთაო ღალატით ახსნას,

გაგრის სამხედრო შენაერთის ხელმძღვანელის, პოლკოვნიკ **მიხეილ მარინაშვილის** გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალება მოჰყვა.

ელცინ-შევარდნაძის საიდუმლო გარიგება აფხაზეთის ჩაბარების შესახებ, ომის ბოლო ფაზაში საჩინო გახდა. გაზეთ „ახალი ვერსიის“ ცნობით „სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, გაგრა-ლესელიძის დაცემის შემდეგ, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავამ... ერთ-ერთ მაღალჩინოსანთან საუბრისას აღნიშნა: „შევარდნაძე, მგონი აფხაზეთის ჩაბარებას აპირებსო“.

ჟიული შარტავას, სოხუმის დაცემის დღესაც კი (27 სექტემბერი) არ დაუტოვებია მინისტრთა საბჭოს შენობა, რომელსაც გამარჯვებულმა აფხაზმა სეპარატისტებმა ალყა შემოარტყეს, შარტავა ეზოში ჩამოიყვანეს და დახვრიტეს. დახვრიტეს შარტავას შეიარაღებული მცველებიც.

აფხაზეთის ომში, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბრძანებით, მთელი თავისი ძალებით ჩართული იყო კანონიერი ხელისუფლების ეროვნული გვარდია, მაგრამ ე. შევარდნაძის მტრული გეგმით ამ ომში უნდა მომხდარიყო მათი განადგურება. ვახტანგ (ლოთი) ქობალიას თქმით „ჩვენი განადგურების გეგმის შესახებ, ჟიულიმ, ჯერ კიდევ აფხაზეთში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნამდე მაცნობა. გვარებსაც ასახელებდა. უშიშროებაში იყო ვიღაც პოლკოვნიკი ნოზაძე, რომლის ხელმძღვანელობით ჩვენი განადგურება იგეგმებოდა“.

შარტავა უშუალო მოწმე და თვითმხილველი გახლდათ აფხაზეთის ომის შეთქმულების. ყოველივეს გამო იგი, შევარდნაძისთვის, მიუღებელ ფიგურად იქცა.

1993 წლის 24 სექტემბერს აფხაზეთის გადასარჩენად დაბრუნებულმა პრეზიდენტმა გამსახურდიამ გამოაცხადა სრული და საყოველთაო მობილიზაცია, რაც არ გამოუცხადებია შევარდნაძეს. არამედ, ომის ერთწლიან პერიოდში, დანარჩენ საქართველოსა და თბილისში, სამოქალაქო ცხოვრება ჩვეულ რიტმში მიმდინარეობდა. აფხაზეთიდან დევნილი ისტორიკოსის ჯემალ გამახარიას ცნობით, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 1993 წ. 26 სექტემბერს ხელი მოაწერა ბრძანებას ერთიანი სარდლობის შექმნისა და მძლავრი შეტევითი ოპერაციების გახორციელების შესახებ, რომელიც მოიწონეს უკანონო ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფმა სამხედროებმაც. 1993 წ. 27 სექტემბერს ე. შევარდნაძე აბარებს სოხუმს

და ერთდროულად აკეთებს მოღალატურ განცხადებას: საქართველო დამარცხდა უთანასწორო ძალებთან ომში... ფაქტობრივად საქართველომ დაიჩოქა. როდესაც შევარდნაძე ამ სამარცხვინო განცხადებას აკეთებდა, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრე ძალები, ჯერ კიდევ სოხუმის შემოგარენში იმყოფებოდნენ. ქართველებს ეკავათ გულრიფში, ოჩამჩირე, გალი.

ისტორიკოს თეიმურაზ მიბჩუანის შეფასებით, აფხაზეთის ომის სისასტიკე აღემატებოდა ფაშისტურ დანაშაულს. აფხაზებმა დაიწყეს ქართველთა ხოცვა-ჟლეტა, წამება, ნამუსის ახდა, ეთნოწმენდა და გენოციდი. თავდაპირველად მათი სადიზმისა და ფაშისტური აგრესიის მსხვერპლად იქცნენ გაგრისა და გუდაუთის ქართველები. სოფელ ეშერაში აფხაზებმა წისქვილკომბინატის მუშას, საკუთარი ხელით მისი სიმაღლის ორმო გაათხრევინეს, კბილები და ფრჩხილები დააძვრეს, ცოცხლად ჩამარხეს, ცალი ხელი კი მიწის ზემოთ აღმართული დაუტოვეს, აფხაზური დროშის სიმბოლოს დარად. მეორე ქართველს ვენები გადაუჭრეს, მისი სისხლი ჭიქებით მიირთვეს, შემდეგ კი სოხუმში გაუშვეს, რათა ყველასთვის ეთქვა, თუ როგორ სვამენ აფხაზები ქართველების სისხლს... ეშერის სამხედრო შტაბში ტყვე ქართველებს ცხვირ-პირს ან ხელ-ფეხს აჭრიდნენ და ისე უშვებდნენ. ერთი მცირეწლოვანი გოგონა მხეცურად გააუპატიურეს, ჭკუიდან შეშლილი დედა კი ცოცხალი დატოვეს. ათასამდე ქართველი, აფხაზებმა, გაგრის სტადიონზე შერეკეს და ამოხოცეს. შემდეგ თავები წააჭრეს და მით ფეხბურთს თამაშობდნენ (1992 წლის 2 ოქტომბერი)...

რომ არა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლა, დიდი ალბათობით, აფხაზეთის ომი უფრო დიდხანს გაგრძელდებოდა და მეტ ქართველს შეიწირავდა, როგორც მებრძოლების ასევე მოსახლეობის მხრიდან. რუსეთის „კგბ“-სა და „გრუ“-ს წლების განმავლობაში ზედმიწევნით ზუსტად ჰქონდა შესწავლილი დისიდენტ ზვიად გამსახურდიას ფსიქო-ტიპი, აფხაზეთის ომის გაჩაღებისას მათ ექნებოდათ ადექვატური მოლოდინი, რომ თავისი ქვეყნის გულმხურვალე პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია შორიდან მაყურებელი ვერ იქნებოდა თავისი ქვეყნის ტერიტორიული რღვევისა და იგი აუცილებლად დაბრუნდებოდა საქართველოში, რაც მოხდა კიდეც! ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლამ შეამოკლა ომის ხანგრძლივობა და შესაბამისად, შეამცირა მსხვერპლიც.

საქართველოს ლეგიტიმურ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, რუსულმა და აფხაზურმა მხარეებმა, შესთავაზეს აფხაზეთის დამოუკიდე-

ბლობის ცნობის სანაცვლოდ, ფიზიკური ხელშეუხებლობა და უსაფრთხოება, რაზეც ზვიადმა კატეგორიული უარით უპასუხა.

პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, საკუთარი თვითშეწირვით, აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის ისტორიული უწყვეტობა, სამერმისოდ, ლეგიტიმურად უზრუნველყო. ზვიად გამსახურდიას, კავკასიური ერთიანობა, სომხეთის აუცილებელი ჩართულობით ესახებოდა. 1991 წლის 27 ივნისს, სომეხი ეროვნების ჟურნალისტ გ. კარაპეტიანთან ინტერვიუში, ზვიადმა განაცხადა: „თუ კავკასია **მთლიანად** არ გამოეყო იმპერიას, მეზობელ რესპუბლიკებს შორის არანაირი პოზიტიური პროცესი არ დაიწყება“. ეს გახლდათ ზვიადის პოლიტიკური გზავნილი სომეხი მთავრობისა და სომეხი ერისადმი.

აფხაზეთში ომის ავანტიურისტული გაჩაღება მიზნად ისახავდა კავკასიური ერთიანობის იდეის დასამარებასა და საქართველო-ჩეჩნეთს შორის დაპირისპირების წარმოქმნას. რუსეთის მიერ ჩეჩენ კონფედერანტების შემოგზავნა ქართველთა წინააღმდეგ ამ გეგმის შემადგენელი ნაწილი გახლდათ, რაც ბრალდებოდა გროზნოში იძულებით დევნილობაში მყოფ საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას. ეს გახლდათ რუსეთის იმპერიის მიერ ერთდროულად და უნისონში წარმოებული იდეოლოგიური და საინფორმაციო ომი ერთიანი კავკასიური სახლის იდეის მამამთავრის ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ზვიად გამსახურდია კი ირწმუნებოდა: „მე არავითარი ურთიერთობა არა მაქვს ამ კონფედერაციასთან და მათი დამოკიდებულება ჩემდამი გამოხატულია კონფედერაციის პრეზიდენტის შანიბოვის განცხადებაში, რომელმაც აღნიშნა, რომ კონფედერაცია არ ენდობა გამსახურდიასო, იგი უფრო მეტად ენდობაო სიგუას, კიტოვანს და სხვებს, რაც გამოქვეყნდა „ნეზავისიმაია გაზეტაში“ და „იბერია სპექტრში“. ხოლო ჩეჩნების აფხაზეთში შემოგზავნასთან დაკავშირებით 1993 წლის 7 ივნისის მიმართვაში პრეზიდენტი გამსახურდია აცხადებდა: „... ჩემი დისკრედიტაციის მიზნით, შევარდნაძე და მისი მაფიოზურ-კომუნისტური ხუნტა ავრცელებდა ჭორებს, თითქოს აფხაზეთში მე შემოვიყვანე ჩეჩენი მეომრები... ომის დაწყებისთანავე ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა განაცხადა, რომ ჩეჩნეთის არმიის, არც ერთი ჯარისკაცი არ იბრძოლებს აფხაზეთში, მაგრამ იმპერიის აგენტურამ ე.წ. კონფედერაციამ გაგზავნა აფხაზეთში თავისი მოხალისეები, რომლებიც დუდაევს არ ემორჩილებოდნენ (დღეს, როდესაც კონფედერაციის ავტორიტეტი დაეცა, დუდაევმა მიაღწია მათ გამოყვანას აფხაზეთიდან), ხუნტამ კი შეთითხნა ყალბი მიმართვები, ვითომდაც ჩემი სახელით დაამონტაჟა ყალბი

„სატელეფონო საუბრები“... ჩემი ხმის მიბაძვით, რათა ქართველი ხალხი დაერწმუნებინათ, თითქოს მე ვხელმძღვანელობდი ჩეჩნებს“.

მაშინდელმა საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელმა, ზვიად გამსახურდიასთან რადიკალურად დაპირისპირებულმა ოპოზიციონერმა ირაკლი ბათიაშვილმა, პოსტიდან გადადგომის შემდგომ აღიარა, რომ ზვიად გამსახურდიას ხმის წაბაძვით ტელევიზიებით გავრცელებული ზემოხსენებული „მიმართვა“ ყალბი იყო და იგი რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ვრცელდებოდაო.

ცნობისათვის: 2004 წლის 19 აგვისტოს, ჩეჩნეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა, სატელევიზიო მიმართვით, საჯარო ბოდიში მოუხადა ქართველ ერს, აფხაზეთის ომში ჩეჩენი კონფედერანტების მონაწილეობის გამო.

დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალებით, რუსეთმა, ისევე როგორც 1921 წელს, მოახდინა საქართველოს ხელახალი ანექსია. ოპოზიციას, რომელთა შორის უმრავლესობა წიგნიერი და განათლებული იყო, ისტორიის მაგალითზე არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა და არ გაეთვალისწინებინა, რომ შინააშლილობითა და დესტაბილიზაციით კვლავ გარეშე მტერი ისარგებლებდა, როგორც თუნდაც მე-17 საუკუნეში, როდესაც ანალოგიურ ვითარებაში, ოსმალებმა მოგვწყვიტეს სამხრეთ საქართველო, ხოლო მის განაპირა კუთხეებში საკუთარი რელიგია გააბატონეს.

ამგვარად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა შიდა ქართლისა და აფხაზეთ-კოდორის (შევარდნაძე-სააკაშვილი) ტერიტორიების ჩაბარებით, არის პირდაპირი შედეგი დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების, რასაც უმალ მოჰყვა ჩვენი ქვეყნის გლობალური კატასტროფა, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული. მიზანმიმართული ანტიეროვნულ-ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკით დაიწყო ქვეყნის დემოგრაფიული მაჩვენებლის კატასტროფული ვარდნა რაც სახელმწიფო დივერსიად და გენოციდად უნდა შეფასდეს. მთელ საქართველოს მეტასტაზებივით მოედო სხადასხვა რელიგიური სექტები, რითაც ღია და პირდაპირი ბრძოლა გამოუცხადეს სახელმწიფოს მართლმადიდებლურ რელიგიას.

საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებულ შეთქმულებაზე საქართველოს შინაური მტრების მხრიდან ნათლად მეტყველებს დოკუმენტიც, რომელიც შევარდნაძის მიერაა შექმნილი და ხელმოწერილი 1996 წელს (დოკუმენტის პირველი გამოქვეყნების წყარო – გაზეთი „ახალი ერა“).

ამ საიდუმლო წერილის ადრესატი გახლავთ შევარდნაძის ელჩი რუსეთში **ვაჟა ლორთქიფანიძე**. 1998-2000 წლებში ვაჟა ლორთქიფანიძე გახლდათ შევარდნაძის სახელმწიფო მინისტრი. მანამდე კი, კომუნისტი და სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ხოლო აწგარდაცვლილი ბერეზოვსკი 1996 წელს გახლდათ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე და კურირებდა აფხაზეთის საკითხს. ამ დოკუმენტიდან ნათლად ჩანს შევარდნაძის რეალური პოლიტიკა აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან მიმართებაში, რაშიც შევარდნაძის მიერ დაკისრებული ფუნქციები ჰქონდათ „შევარდნაძის ოპოზიციონერად“ გარდაქმნილ **ირ.სარიშვილს, ირ. ბათიაშვილს, შალვა ნათელაშვილს...** ნათელაშვილი 1995-96 წლებში ბათუმში ასლან აბაშიძის ფრთას წარმოადგენდა და როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა „ჩანერგილი“ იყო „ბათუმის საკითხის“ შემდგომი გააქტიურებისათვის. წერილის ბოლოში ნახსენებ სერგეი (ბაღაბში) და ლუდვიგთან (ჩიბიროვი) შეხვედრები („საიდუმლო სერობა“) მოსკოვში ხდებოდა „მხატვარ“ ზურაბ წერეთლის სახლში, რომლის სრულ ინფორმირებას, დოკუმენტის მიხედვით, საჭიროდ არ მიიჩნევს შევარდნაძე (იხ. მომდევნო გვერდზე).

საქართველოს პრეზიდენტი

ბ-ნო ეიგელ!

გადაეცით ჩემი გულწრფელი მოკითხვა და დიდი მადლობა ბ-ნ ბერეზოვსკის მისი კეთილი ინიციატივისათვის. მეგონა, რომ იგი მომავალი საუკუნის პოლიტიკაში ერთ-ერთი დიდი ფიგურა იქნება.

რაც შეეხება ბათუმის, გალიხა და კოდორის საკითხები განეიხილოთ უფრო გვიან, მას შემდეგ, რაც აეტონომიებში საარჩევნო კამპანიები ჩატარდება. ჩვენ იძულებული ვიქნებით ფორმალურად უარყოფითი რეაგირება მოვახდინოთ ამ ფაქტებზე, სინამდვილეში კი იგი გარდაუვალია ნებისმიერი სახელმწიფო წარმონაქმნისათვის. ასეთია ჩვენი პოზიცია. გამომდინარე „ფერმანული" ვარიანტიდან. ამასთან უნდა დარწმუნდნენ ჩვენი მეგობრები, რომ საბოლოოდ (ხელშეკრულებასე) ურთიერთობებზე უარს ვერ ეტყვით, მაგრამ ხალხს შეშფოთებას დრო სჭირდება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩეჩნეთის ფაქტორსაც. დადებითი საერთაშორისო რეზონანსის (ამ ვარიანტით) უზრუნველსაყოფად იცი რომ კარგა ხანია მუშაობენ: დასავლეთთან სიონისტური მიმართულებით ნ. ლეკიშვილი და ე. რჩეულიშვილი, გრიგორიანული მიმართულებით ზ. ეკანია, ი. სარიშვილი და ტყონია, კაკაბაძეებთან ი. ბათიაშვილი, შ. ნათელაშვილი და მ. არეშიძე. საჭიროა მათი დაკავშირება ბერეზოვსკისთან.

ბ-ნ სერგეისა და ლუდვიგს თემოსთან ერთად ვაცანით ჩემი პოზიცია. სასურველია მასპინძელმა მხარემ ნაკლებად იცოდნენ ამ შეთანხმებათა შესახებ, მ. შ. განსაკუთრებით ჩვენმა „მხატვარმა".

რუსეთის ემისარი და საქართველოს მოსისხლე მტერი ე. შევარდნაძე, პოსტიდან გადაყენებისა და ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდგომაც, უკვე კრწანისის რეზიდენციის სავანიდან გაკეთებული განცხადებებით ცდილობდა, ქართველი ერი შეეგუებინა საქართველოს ტერიტორიების მისივე ღალატით მოწყვეტას; იგი თავისი პროპაგანდისტული მედეა-საშუალებებით ამგვარ კაპიტულანტურ მოწოდებებს აკეთებდა: „აფხაზეთი ვერასდროს გახდება საქართველოს ჩვეულებრივი რეგიონი და ვერ დაბრუნდება საქართველოს შემადგენლობაში, ორი რესპუბლიკის ხალხებს კი შანსი აქვთ, რომ მშვიდობიანობას მაინც მიაღწიონ!“

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი კაპიტულანტური პოლიტიკის ღიად გამტარებელმა შევარდნაძემ, 1997 წლის 14 აგვისტოს ვლადისლავ არძინბა თბილისში ჩამოიყვანა.

სეპარატისტი ლიდერის, არძინბას საქართველოს დედაქალაქში ჩამოყვანას ჩვენი უკიდურესი აღშფოთება მოჰყვა:

არძინბასა და შევარდნაძეს თავხედობას ძვირად დავუსვამთ!

14 აგვისტოს, პრიმაკოვის თანხლებით არძინბას თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს ზვიად განმათავისუფლებლის პარტიამ საგენტოების საშუალებით შეეცადეთ გამოგვეხატა ჩვენი აღშფოთება და გაგვეგრძელებინა სიტყვიერი პროტესტი, მაგრამ მთავრობის პოლიტიკური კურსის მხარდამჭერმა, ე.წ. თავისუფალმა გაზეთებმა და ტელეკომპანიებმა არ გამოაქვეყნეს ჩვენი საპროტესტო განცხადება ამ აღმაშფოთებლად თავხედურ ვიზიტთან დაკავშირებით. ე.წ. თავისუფალ გაზეთებში და შესაბამისად ტელეკომპანიებშიც მონოტონურად ქვეყნდებოდა მხოლოდ სამთავრობო პოლიტიკური ორგანიზაციების — მოქალაქეთა კავშირისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთა აზრი და სავსებით იგნორირებული იყო ოპოზიციის შეფასება.

ეს ფაქტი კარგად მეტყველებს შევარდნაძის ანტიდემოკრატიულ, დიქტატორულ მმართველობაზე, ცენზურის ინსტიტუტების არსებობაზე, რაზედაც ვაცხადებთ პროტესტს.

იმის გამო, რომ აგვისტოს თვეში ქალაქიდან გასულია სრულიად საქართველოს ზვიად განმათავი-სუფლებლის პარტიის მებრძოლი ბირთვი, ჩვენ ვერ შევძელით ქუჩაში საპროტესტო აქციის მოწყობა არძინბა-პრიმაკოვთან შევარდნაძის კაპიტულანტური მოლაპარაკებების წინააღმდეგ.

გამოვთქვამთ აღშფოთებას ყველა ე.წ. ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც ქართველი ერის ღირსების შემლახველ ამ ვიზიტსაც სრული უმოქმედობით შეხვდნენ. მაშინ, როცა ჩვენ თხუთმეტიოდე კაცსღა ვნატრობდით, რომ მთავრობის სასახლესთან პიკეტი მაინც მოგვეწყო, მავანი „ეროვნულ-პოლიტიკური“ ორგანიზაციები იმ დღეს, ორჯერ მეტი შემადგენლობით, შიდაპარტიულ სტრუქტურებზე კრებებს ატარებდნენ და პრესკონფერენციებს მართავდნენ ხელისუფლებაში მოსვლის რწმენით.

ვაი ამგვარ ოპოზიციას და მათ მოიმედე საქართველოსაც!

1997 წლის 14 აგვისტომ ნათლად დაგვანახა საჭურისი და გადედლებული საქართველოს სავალალო სახე. ამ მწარე სინამდვილიდან გამომდინარე, სრულიად საქართველოს ზვიად განმათავისუფლებლის პარტია სექტემბერში გააკეთებს განცხადებას, რითაც ალიყურს უთავაზებს ქართველ მამაკაცთ. იქნებ სირცხვილით გაისარჯონ!

ჩვენ კი ვპირდებით შევარდნაძეს, რომ ძვირად დავუსვამთ ქართველი ერის ცრემლსა და სისხლზე ავბედით ხარხარს: სექტემბრის შუა რიცხვებიდან წამოვიწყებთ საპროტესტო აქციებს მისი გადადგომის მოთხოვნით.

სრულიად საქართველოს ზვიად განმათავისუფლებლის პარტია

1997 წლის 19-25 აგვისტო № 34 (158) 5

„ასავალ-დასავალი“

ჩვენი ქადილის გასახორციელებლად, იძულებული გავხვდით დავლოდებოდით სექტემბერს და 24 სექტემბრისთვის დავგეგმეთ საპროტესტო მიტინგი სახელმწიფო უნივერსიტეტთან შევარდნაძის კაპიტულანტური პოლიტიკის წინააღმდეგ. მიტინგზე გამოვიტანეთ ლოზუნგები: „ძირს შევარდნაძის ანტიეროვნული მმართველობა!“ „სტუდენტებო, მოითხოვეთ საქართველოს სამარცხვინო, კაპიტულანტური ხელისუფლების გადადგომა!“

მიტინგს ემატებოდნენ სტუდენტები, რის გამოც შევარდნაძის რეჟიმის მიერ ჩვენი მიტინგი დარბეულ იქნა, ხოლო პარტიის ლიდერები დაგვაპატიმრეს და 1-1,5 წლით პატიმრობა მოგვისაჯეს. საპატიმროში კი ჩვენს მიმართ ხორციელდებოდა ფიზიკური ძალადობები.

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 19 ნოემბერი, 1997 №319 (725) ფასი: 35 თეთრი

პრინცესა დაიანას მცველმა კატასტროფის დეტალები გაიხსენა გვ.9

ტელევიზიის პროგრამა გვ. 13

პოროსკოპი გვ.13

რა გელის დღეს

ქროსოორდი გვ.12,13

ლეონა ცომაია და თამილა ნიკოლაძე

მდგომარეობა სასამართლოში

ბადრაგის უხეშობის შედეგად ლეილა ცომაიამ სკამს დაარტყა თავი

განმსჯელები ზურგით სასამართლოსკენ

გუშინ ვაკის რაიონის სასამართლოში მისული ჟურნალისტები და ადვოკატებიც, რომელნიც „ზეიად განმათავისუფლებლის“ პარტიის თავმჯდომარის, ლეილა ცომაიასა და ამავე პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრის, თამილა ნიკოლაძის პროცესზე დასასწრებად გამოცხადდნენ, პროცესის დაწყების წინ, ადვოკატებმა ბადრაგის კოჯოლმა შეურა — დარბაზში ბადრაგება განსასჯელები ძალის შეზოიეენა.

შემოდგომისთანავე განსასჯელებმა ცომაიამ და ნიკოლაძემ ბოდიში მოიხადეს დასმენრე საზოგადოებას და ზურგი შეაქციეს სასამართლოს შემადგენლობას. საერო ხმაურში მათ ყვირილი მიანდეთინეს ხმა ჟურნალისტებს, რომ არ სცენობენ დღევანდელი ხელისფფლების მიერ დარბაზნელ სასამართლოს და რომ ბადრაგმა „წინლის ეკრით“ ითქეეა ისინი, ‘სასამართლოს დარბაზში შესულიყვნენ. შემდეგ განსასჯელებმა პროცესის დანესებამდე გინცხადების გაკეთების უფლება მოითხოეეს, რაზეც სასამართლოს თავმჯდომარემ, ზაურ მენთეშაშ მჭკეცე უარი დაპროტესტი მოიღეს — როდის იყო, საკრთველოში ეკალი ზურგშეცეული ტყაბრენოდა ხალხსო. ამას რეპლიკა მოაყვა დარბაზიდან — როდის იყო, საკრთველოში ეკლეს „ავტორიტეტიო“ სეემდენო. მოსამართლემ ნეკრიეისაენ მოუნოდა დარბაზს

ეკიერეტელი მე2 გვერდზე

„ლეილა ცომაიას მიტინგის დარბევისას კონსტიტუციური მოთხოვნები დაცული იყო“

ასე ფიქრობს პროკურორი

გვერდი 5

შევარდნაძის ხუნტისტური სასამართლოს მიმართ, სრული უპატივცემულობის ნიშნად, ჩვენ – პოლიტპატიმარი ქალები – თამილა ნიკოლაძე და მე, ზურგით დავდექით სასამართლო კოლეგიისაგან. პროტესტის ნიშნად ჩვენ, არც სასამართლო პროცესებზე გავდიოდით ნებით და ბადრაგებს ძალის გამოყენებით გავყავდით საკნიდან. შევარდნაძემ ერთ ნიშანდობლივ ცინიკურ ხერხსაც მიმართა – მოსამართლედ, სწორედ აფხაზეთიდან დევნილი, ანზორ მებონია დაგვინიშნა. განაჩენის გამოცხადების პროცესზე დასწრებაზე კი ჩვენ კატეგორიული უარი განვაცხადეთ და მოგვიანებით, მოსამართლე მებონიამ ციხეში წაგვიკითხა განაჩენი. განაჩენის მოსმენისას, „ზვიად განმათავისუფლებლის პარ-

ტიის“ პოლიტმდივანმა თამილა ნიკოლაძემ, მოსამართლეს, ნიშნისგებით მიმართა: „აი, ახლა კი ნამდვილად დაბრუნდებით აფხაზეთში!“, რაზეც მოსამართლე უხერხულად შეიშმუშნა. ჩვენი მკვეთრი პროტესტებით შეწუხებულმა მოსამართლე ზაურ მებონიამ, განაჩენის წაკითხვის შემდგომ, ხვნეშით აღმოთქვა: „პროცესები კი არა, მიტინგები იყო“-ვო.

შევარდნაძის უზურპატორულ ხელისუფლებას კანონიერი ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერი 500-მდე პოლიტპატიმარი და სამხედრო ტყვე ჰყავდა გამომწყვდეული ციხეებში. სასამართლოების მიმართ პროტესტს, აგრეთვე ამ პატიმართა ნაწილიც გამოხატავდა სხვადასხვა ფორმით: ადმინისტრაციისადმი დაუმორჩილებლობით, შიმშილობის გამოცხადებით, პირის ამოკერვით, საწოლის რკინის მჭიდებზე ჯაჭვებით მიბმით და სასამართლო პროცესებზე ჩოხებით წარდგომით.

2000 წლის 12 ივლისს, შევარდნაძის სახელმწიფო მინისტრმა **გიორგი არსენიშვილმა**, სოხუმში ვიზიტისას, ვლადისლავ არძინბასთან ხელი მოაწერა კაპიტულანტურ შეთანხმებას „ძალის გამოუყენებლობის შესახებ“.

შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებები, შოკისმომგვრელ ულმობელ პოლიტიკას ატარებდნენ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით დევნილთა (ე.წ. ლტოლვილების) მიმართ; შევარდნაძე-სააკაშვილი, მათ მიერ შექმნილი „ლტოლვილთა და განსახლების“ სამინისტროს მეშვეობით, სისტემატურად ასახლებდნენ დევნილებს ერთი ადგილიდან სხვადასხვა ადგილებში, პოლიციის ძალებით. ხოლო, ვინც არ ემორჩილებოდა, მათ ფანჯრებიდან უყრიდნენ ავეჯს და ხელკეტებით სასტიკად სცემდნენ. მათ ტირანულ რეჟიმს ფიზიკურად შეეწირა (გულის შეტევითა და ინსულტით) მრავალი დევნილი, ბავშვებს ფსიქიკა შეერყათ. საკუთარმა ხელისუფლებებმაც კი ნამდვილი დაუნდობელი ომი გამოუცხადეს აფახაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გადარჩენილ ქართველებს.

1996 წლის 20 აპრილს, შევარდნაძის ხელისუფლებამ, დივერსიული აქტი განახორციელა, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე სასტუმრო „აფხაზეთში“ ჩასახლებულ, ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა მიმართ. მოულოდნელად გაჩენილი ხანძრის შედეგად დაიღუპა 7 დევნილი, დაშავდა და დასახიჩრდა 50. 23 აპრილს, ხელისუფლების დივერსანტებმა ხანძარი, ვაგზლის მოედანზე მდებარე სასტუმრო „კოლხეთშიც“ გააჩინეს, რის შედეგადაც დაიღუპა 7 დევნილი, დაშავდა და დასახიჩრდა 30. ხელისუფლებას სასტუმროების გაყიდვა სურდა და ზოგადად მძიმე ტვირთად აწვა დევნილები, ვისზედაც მიზერულ დახმარებას გასცემდნენ.

შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებას, არანაირი პასუხისმგებლობა არ აუღია იძულებით დევნილთა ნორმალურ სოციალურ უზრუნველყოფაზე და მათ მხოლოდ მიზერულ დახმარებას აძლევდნენ. ხელისუფლებიდან მიყენებული სისტემური მორალური და ფიზიკური სტრესებით, შიმშილითა და ავადმყოფობით დევნილთა დიდი ნაწილი გარდაიცვალა, ოდნავ შეძლებულმა ნაწილმა კი საქართველოდან წასვლით უშველა თავს.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭო კი სრულიად უუფლებ-უუნარო აღმოჩნდა დევნილების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებში; თვით დევნილი აფხაზეთის უმაღლესის საბჭოც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა და თავადაც მძიმე ტვირთად აწვნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. ამგვარ დისკრიმინირებულ პოლიტიკურ რეალობაში, შეზღუდული იყო მათი ქმედითუანრიანობაც და მხოლოდ მორალურ თანადგომას თუ გამოხატავდნენ დევნილების რეპრესიული პოლიტიკის მიმართ.

ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების პირობებში, მართალია თავად დევნილების მიმართ დამოკიდებულება, შედარებით ლიბერალური და მზრუნველობითი გახდა (მათთვის არსებული საცხოვრისების დაკანონება და ახალი ბინების გადაცემის საჩვენებელი პრეცენდენტების შექმნა), მაგრამ აფხაზეთის ტერიტორიალურ საკითხზე პოლიტიკურ მიდგომებში, მათი მხრიდანაც თავი იჩინა კაპიტულანტურმა პოზიციამ; ივანიშვილის ხელისუფლება იზიარებს ექსპერტ მამუკა არეშიძისა და „რესპუბლიკელების“ (ბერძენიშვილები, ვ. ხმალაძე, უსუფაშვილ-ხიდაშელი...) მოსაზრებას აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ საქართველოს მხრიდან; ივანიშვილის მთავრობა, ამ მიმართულებით აქტიურად ალაპარაკდა რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნაზე, საერთაშორისო დოკუმენტებიდან სტატუს-ქვო „ოკუპაციის“ ამოღებასა და „კანონის ოკუპაციის შესახებ“ გაუქმებაზე. ჰქონდა მცდელობა, მიხეილ სააკაშვილის მიერ გახსნილი რუსეთის ოკუპაციის მუზეუმის გაუქმების...

ივანიშვილის მთავრობამ უარი განაცხადა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საკითხებზე მოლაპარაკებებში უცხოელი დამკვირვებლების ჩართვაზე და ეს დიალოგი მხოლოდ აბაშიძე-კარასინის ფორმატში მოაქცია. ივანიშვილის მთავრობა, აგრეთვე იოლად დათანხმა რუსეთს სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოდ ჩატარებასა და მასში მონაწილეობაზეც. ივანიშვილის მთავრობამ რუსეთთან დაიწყო დიალოგი აფხაზეთთან და ცხინვალთან კონფედერაციულ ხელშეკრულებაზეც აფხაზეთის მთავრობისა (ვახტანგ ყოლბაია) და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ჩართულობით.

თუმცა, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში პრო-პატრიოტული პოლიტიკური ორიენტაციის დეპუტატები (ჯემალ გამახარია, ნუგზარ მგალობლიშვილი, აკაკი გასვიანი...) არ ეთანხმებიან მთავრობის კურსს და დამოუკიდებლად მოქმედებენ ქართველთა გენოციდის შესახებ წიგნებისა და საინფორ-მაციო ბუკლეტების გამოცემითა და მისი გავრცელებით საერთაშორი-სო დიპლომატიურ წრეებში და თვით მოსკოვშიც კი, სადაც აკადემიურ წრეებთან, კულტურის დარგის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ატარებენ ლექცია-სემინარებს რუსეთის ოკუპაციაზე და ქართველთა გენოციდზე აფხაზეთში. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შემადგენელი დეპუტატების ასაკი, დღეს უკვე კრიტიკულ ზღვარსაა მიღწეული. ყვე-ლა ამ პრობლემის გამო აფხაზეთიდან დევნილი პოლიტიკური ოპოზი-ციისაგან შექმნილი ორგანიზაცია „დაბრუნება“, საპროტესტო მიტინგე-ბით მოითხოვს აფხაზეთის პრო-კომუნისტური მთავრობის გადადგომასა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ახალი არჩევნების ჩატარებას. ეს მოთხოვნა პოლიტიკურად სრულიად გამართლებულია, რომ არა მისი ლე-გიტიმაციის უმთავრესი საკითხი; აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნე-ბი უნდა ჩატარდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე და არა ამ ტერიტორიის გარეშე – თბილისსა და დანარჩენ საქართველოში.

ამ ხისტი პოლიტიკური ჩიხიდან გამოსავალი, დღესდღეობით კი, უბრალოდ არ იკვეთება!

არსებული, აფხაზეთის 1990 წლის უმაღლესი საბჭო, ლეგიტიმაციის ამოწურვის ვადებს(გადარჩევას) აღარ ექვემდებარება და მას განლევა, მხოლოდ ბუნებრივი სასიცოცხლო რესურსის ამოწურვის შემთხვევაში თუ ემუქრება...

მომდევნო გვერდზე იხილეთ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუ-ტატთა ასაკის შკალა 2018 წლის მონაცემებით.

		C	D	E
3		აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი		
4		საბჭოს დეპუტატები		
5				ასაკი
6	1	აკაკი გასვიანი	1/23/1938	80
7	2	ელგუჯა გვაზავა	2/22/1952	66
8	3	დავით გვაძაბია	2/24/1945	73
9	4	ჯემალ გამახარია	1/10/1949	69
10	5	ვახტანგ კაჭარავა	4/6/1948	70
11	6	მურმან კვარაცხელია	10/7/1952	66
12	7	გივი ლომინაძე	4/10/1940	78
13	8	თემურ ლორთქიფანიძე	1/10/1949	69
14	9	ნაპოლეონ მესხია	5/28/1938	80
15	10	ნუგზარ მგალობლიშვილი	3/7/1948	70
16	11	თეიმურაზ მჟავია	1/5/1952	
17	12	ოლღა ნაგარნინა	7/23/1946	72
18	13	ჯემალ საჯაია	3/23/1947	71
19	14	რაისა ქარაია	1/2/1940	78
20	15	როსტომ შამუგია	12/12/1949	69
21	16	რუდიკ ცატავა	1/1/1946	72
22	17	ანზორ წოწონავა	3/20/1939	79
23	18	შოთა ხეცურიანი	5/10/1929	89
24	19	თამაზ ხუბუა	6/26/1952	66
25	20	ზურაბ ჯგუბურია	10/1/1952	66

ასლანი

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებაში მოსულ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი“ საქართველოს დღის წესრიგში ბუნებრივად დადგა ავტონომიებში (აფხაზეთში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში-შუა ქართლი) საბჭოური ხელისუფლების ცვლილების საკითხი და მათ შორის აჭარაშიც. ეროვნული მთავრობის შემდგომი მიზანი იყო, ეტაპობრივად, კონსტიტუციის ხავერდოვანი ცვლილების გზით შეეცვალა ავტონომიების საბჭოურ-იმპერიალისტური სტატუს-ქვოც, რისთვისაც მას, ავტონომიის თავკაცებად სჭირდებოდა პრო-ქართულად მოაზროვნე პოლიტიკოსები. ავტონომიის ლიდერების წარდგენა კი უნდა მომხდარიყო ავტონომიებში ჩატარებულ არჩევნებში გამარჯვებული დეპუტატებიდან.

სანამ ავტონომიების ახალი ლიდერების საკითხს განვიხილავდეთ, მცირე ისტორიულ ექსკურსს გავაკეთებთ საქართველოს ტერიტორიაზე ავტონომიების წარმოქმნის შესახებ; 1921 წლიდან ლენინ-სტალინმა დაიწყო საქართველოს ტერიტორიების გაჩუქება, ხოლო დარჩენილი ნაწილის, ავტონომიებად ჩეხვა; 1921 წლის 16 მარტს (რუსეთ-თურქეთის ყარსის ხელშეკრულებით) ლენინ-სტალინმა თურქეთს გადასცა ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (მაჭახელა, ბორჩხა, მაკრიალი), აგრეთვე ართვინისა და არდაგანის ოლქები. 1921 წელს, სტალინმა და ორჯონიკიძემ სომხეთს გადასცეს ლორე-ალავერდის მხარე. 1922 წელს აზერბაიჯანს გადასცეს ზაქათალის ოლქი (ისტორიული საინგილო), გარეჯის ველი და ყარაიაზის სექტორი, ელდარის ველი. რუსეთს გადაეცა სოჭის მხარე და აფხაზეთის კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი – პილენკოვო. 1921 წლის 21 მაისის დადგენილებით ლენინმა, სტალინმა და ორჯონიკიძემ, აფხაზეთი სავსებით ჩამოაცილეს საქართველოს და დამოუკიდებელ სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადეს. თუმცა, ამავე წლის 16 დეკემბრის ხელახალი განკარგულებით, აფხაზეთი, ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით, კვლავ შეიყვანეს საქართველოს შემადგენლობაში. ასევე, აჭარასაც მიენიჭა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი რელიგიური ნიშნით მოსკოვ-ანკარას გარიგებით.

ზემო ქართლისა და ისტორიული დვალეთის მიწა-წყალზე, 1921 წლის 6-8 სექტემბერს შექმნეს „სამხრეთ ოსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“ საქართველოსთან ფედერაციული ურთიერთობით. მაშინ, როცა იქ თითო-ოროლა ოსური ოჯახიღა იყო დარჩენილი; 1920 წლის ოსების აჯანყების ჩახშობის შემდეგ, რომლებიც მოითხოვდნენ ამ მხა-

რის საქართველოდან ჩამოცილებასა და რუსეთთან შეერთებას, მათი უმრავლესობა ჩრდილოეთ ოსეთში იყო გადახვეწილი. 1924 წელს შეიქმნა „ჩრდილო ოსეთის“ ავტონომიური ოლქიც. 1925 წლის იანვარში, ჩრდ. ოსეთის საბჭოების პირველ ყრილობაზე დაისვა საკითხი ორი ოსეთის გაერთიანების შესახებ, მაგრამ ვინაიდან ეს გაერთიანება საქართველოს ფარგლებში უნდა მომხდარიყო, რუსეთი კარგავდა ჩრდილო ოსეთის ტერიტორიას. მოსკოვმა, ამგვარ რეალობაში მხარი არ დაუჭირა ორი ოსეთის გაერთიანებას და მხოლოდ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნით დაკმაყოფილდა **(მიხეილ მჭედლიშვილი)**.

საქართველოს ისედაც მცირე მიწა-წყალზე ავტონომიური ერთეულების შექმნა იყო იმპერიალისტური რუსეთის სამსახურში მყოფი სტალინ-ორჯონიკიძის „შორსგამიზნული აქცია, საქართველოს დამოუკიდებლობის მოსალოდნელი აღდგენის საპირისპიროდ და ეროვნული დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მას ხანგრძლივმოქმედი ნაღმის დანიშნულება ჰქონდა“ (აკაკი სურგულაძე).

1991 წლის იანვარში კი, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტს, ჯერ კიდევ ინარჩუნებდა კომუნისტი ლიდერი თენგიზ ხახვა. ზვიად გამსახურდიამ, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობა, თავდაპირველად ყოფილ დისიდენტს, „მრგვალი მაგიდის“ რეგიონალური ორგანიზაციის სპიკერსა და ეროვნული გვარდიის შემქმნელს აჭარაში, **ნოდარ იმნაძეს** შესთავაზა, მაგრამ იმნაძემ, იმხანად, რატომღაც არ მოისურვა პირველკაცობა. იმნაძემ და გამსახურდიამ განიხილეს **როსტომ დოლიძის** კანდიდატურა, რომელიც ბათუმის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე და ავტონომიის უზენაესი საბჭოს დეპუტატიც იყო. თითქოს წინ არაფერი ედგა პრეზიდიუმის სხდომაზე რ. დოლიძის კანდიდატურის დაყენებას, მაგრამ სხდომის დაწყებამდე, ზვიად გამსახურდიას **თემურ ქორიძემ** შეაცვლევინა გადაწყვეტილება და ასლან აბაშიძის კანდიდატურა დააყენებინა. თემურ ქორიძეს მანამდედაც ჰქონდა საუბარი ზვიადთან ასლან აბაშიძის შესახებ და იგი მემედ აბაშიძის შვილიშვილობით დაინტერესა. ქორიძემ კიდევ რამდენჯერმე შეახვედრა ასლანი ზვიადს. ასლან აბაშიძის რეკომენდატორები, ზვიადთან, მურმან ომანიძე და აკაკი ასათიანიც იყვნენ. მემედ აბაშიძე ზვიადისთვის დიდ ისტორიულ ფიგურას წარმოადგენდა და ამ გენეტიკური ნიშნით ზვიადმა არჩევანი, საბოლოოდ, ასლანზე გააკეთა. ასლან აბაშიძის უზენასი საბჭოს თავმჯდომარეობის მომხრე ნოდარ იმნაძეც იყო, იგი იმხანად დადებით განწყობას ავლენდა ასლანის მიმართ. ასლანსა და ნოდარ იმნაძეს შორის ურთიერთობა მხოლოდ შემდეგ, 22-23 აპრილს დაიძაბა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ასლან აბაშიძესთან წინასწარ გასაუბრებაში, ზვიადმა თითქოს მისგან მიიღო თანხმობა აჭარის ავტონომიის გაუქმებაზე, რაც გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა ზვიადის არჩევანში. ზვიადი პერსპექტიულ ჭრილში განიხილავდა აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხს და იმედოვნებდა, რომ ეს ბიძგის მიმცემი იქნებოდა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ხელმძღვანელებისათვის ან, საწყის ეტაპზე შეასუსტებდა მაინც მათ მმართველობას.

აჭარის ავტონომიის გაუქმების აქტიური მხარდამჭერ-ინიციატორი გახლდათ ბათუმის პრეფექტი **ტარიელ ფუტკარაძეც**, რომელმაც, ასლან აბაშიძის გვერდის ავლით, თბილისში ჩაიტანა 256 ხელმოწერა ავტონომიის გაუქმების მოთხოვნის შესახებ. მოთხოვნას ხელს აწერდნენ ადგილობრივი საბჭოების (საკრებულოების) დეპუტატები, პრეფექტები, სხვა ხელმძღვანელი თანამდებობის პირები და ადგილობრივი პოლიტიკური ორგანიზაციების ცნობილი წარმომადგენლები, რომლებიც ამ მოთხოვნით მიტინგებს მართავდნენ ქობულეთსა და ბათუმში (ფოტოზე, მიტინგის ორგანიზატორი და ლიდერი უჩა ოქროპორიძე, მიკროფონით ხელში).

1991 წლის 14 მარტს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ასლან აბაშიძე, ხოლო მის მოადგილედ კი, ნოდარ იმნაძე. ასლან აბაშიძემ, აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნები, 31 მარტიდან 28 აპრილს გადაიტანა.

30 აპრილს, ასლან აბაშიძემ, ნოდარ იმნაძესთან მწვავე კონფლიქტში იარაღი გამოიყენა, საკუთარ კაბინეტში ესროლა, კაბინეტის გარეთაც

(მცველთან ერთად) დაედევნა და რამდენიმე ტყვიით დაცხრილა დაჭრილი იმნაძე. ასლანმა იმნაძის ხილული სიკვდილი არ იკმარა და ველური გავეშებით, მიცვალებულს, ფეხებითაც შესდგა. კაბინეტში, მაშინ ასლანთან ერთად, მურმან ომანიძეც იმყოფებოდა.

საქმე იმაში გახლდათ, რომ ნოდარ იმნაძე ასლანს კაბინეტში შეუვარდა სიტყვებით: „სამშობლოს ღალატს არავის ვაპატიებ“-ო.

და, რაში მდგომარეობდა ასლანის ღალატი?

ასლან აბაშიძემ, 22-23 აპრილს, ბათუმში, ორგანიზება გაუკეთა უხუცესი, ფუნდამენტალისტი მუსლიმების ჩამოყვანას ზემო აჭარის სოფლებიდან, რითაც იგი შეეცადა მუსლიმი და ქრისტიანი ქართველების დაპირისპირებას. მის მიერ ორგანიზებულ ამ მრავალრიცხოვან პროვოკაციულ მიტინგზე ასლანმა მათ მიმართა: „აჭარლებს „თათრებს“ გეძახიან... აჭარის ავტონომიის საკითხს გადაწყვეტს აჭარის მოსახლეობა... აჭარაში არავითარი რეფერენდუმი არ ჩატარდება აჭარის ავტონომიის გაუქმების შესახებ“. ხოლო მუსლიმ აჭარლებს შეჰპირდა, რომ თქვენ გექნებათ საკუთარი დროშა, საკუთარი გერბი და მეტი მეჩეთებიო. ამ დაძაბულ მიტინგს თავი გაარიდა აჭარის ავტონომიის გაუქმების ერთ-ერთმა ინიციატორმა ტარიელ ფუტკარაძემ და იგი დროებით გაეცალა ბათუმს.

1991 წლის 26 მაისს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დღეს, აჭარაში (ზვიადთან, ასლანის მიერ დადებული წინასწარი პირობის — ფიცის თანახმად) კი პარალელურად, უნდა ჩატარებულიყო რეფერენდუმი აჭარის ავტონომიის გაუქმების შესახებ. აჭარის, აწუკვე, უზენაესი საბჭოს დროებითმა თავმჯდომარემ კი დაარღვია პირობა და 22 აპრილს მოაწყო ზემოხსენებული დიდი მიტინგი. ასლანმა უმალ გამოიყენა საკუთარი თანამდებობრივი სტატუსი და პოზიციურად დაუპირისპირდა ცენტრალურ ხელისუფლებას. ჩვენს მიერ ხსენებულ მიტინგზე ნოდარ იმნაძეც იმყოფებოდა (იხ. ფოტოზე მარჯვნივ კუთხეში).

ამ მიტინგზე, თავად მოისმინა ნოდარ იმნაძემ ასლანის ზემოციტირებული მოღალატური სიტყვები; ასლანი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფებზე აკეთებდა აქცენტებს (მიზანმიმართულად აჟიტირებდა) და მით იყოლიებდა ჩამოყვანილ მუსლიმებს. მთელი კვირის განმავლობაში ბათუმში მდგომარეობა კრიტიკულად დაიძაბა. იმნაძე მიხვდა, რომ ასლანის სახით საქართველოს ვერაგი მოშუღარი მტერი მოევლინა და მას მხოლოდ იარაღის ძალით თუ ააცილებდა საქართველოს. იმნაძის ემოციური რეაქცია აღვსილი იყო პატრიოტიზმის გმირული სულისკვეთებით და მისი დისიდენტური წარსულის გამოძახილს წარმოადგენდა. თუმცა ცხადია, რომ აცდენილი იყო მის ახალ რეალურ, პოლიტიკური თანადებობრივი სტატუსით განსაზღვრულ ჩარჩოს...

ნოდარ იმნაძესთან დაძაბულობის, კონფლიქტისა და მკვლელობის გამო არჩევნების თარიღი კვლავ გადაიწია და საბოლოოდ იგი ივლისში ჩატარდა. ღია კენჭისყრით, როსტომ დოლიძესა და ასლან აბაშიძეს შორის, უზენაესმა საბჭომ, **მხოლოდ** ერთი ხმის უპირატესობით, ასლან აბაშიძე აირჩია. ის ერთი გადამწყვეტი – „უპირატესი ხმა“ – კი კომუნისტ თენგიზ ხახვასი იყო.

შეეძლო თუ არა ზვიადს ასლანის კანდიდატურის შეცვლა 22 აპრილის პროვოკაციული აქციის შემდეგ? არ შეეძლო! ასლანი უკვე დანიშნული იყო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად და 22-23 აპრილის კრიტიკულად დაძაბული ვითარების ფონზე, მისი შეცვლა, მუსლიმი მოსახლეობის კიდევ მეტ ეგზალტაციას გამოიწვევდა, რაშიც წააქეზებდნენ თურქეთი და რუსეთი. ზვიადმა, საომარი ვითარების

პროვოცირების ნაცვლად, ასლანის დატოვება და აჭარაზე კონტროლის გამკაცრება არჩია. უნიტარული მმართველობით კი შეინარჩუნა სიმშვიდე აჭარაში.

სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, განსაკუთრებული სიფრთხილე, ულმობლად მოკლული თანამებრძოლი დისიდენტის ნოდარ იმნაძის მიმართაც გამოიჩინა; მაქსიმალურად შეეცადა ჩაექრო მღელვარება და ხმაური მკვლელობის დრამატულ ფაქტზე, რამაც გარდაცვლილის ოჯახის უკმაყოფილობა გამოიწვია. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ნოდარ იმნაძე პატივით იქნა დაკრძალული თბილისის საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე. დაკრძალვისა და სასაფლაოს თეთრი მარმარილოთი მოწყობის ხარჯები ზვიადმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიღო.

ასლან აბაშიძე, არც შემდგომ ერთგულებდა დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას; იგი მოღალატურ თავშეკავებასა და დუმილს იჩენდა სამხედრო გადატრიალების პროცესებისადმი. მან, ცენტრალური ხელისუფლებისადმი მხარდამჭერი პოლიტიკური განცხადებების ნაცვლად, ჩაურევლობის პოლიტიკა არჩია. ქვემომოცემულ ფოტოზე აღბეჭდილია ორი ლიდერის სახასიათო შტრიხი; ზვიადი – წრფელი და მართალი მზერით, ხოლო ასლანი – საკუთარ შავ-ბნელ ზრახვებში ჩანთქმული.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, ასლან აბაშიძის შეთქმულებასა და სამხედრო გადატრიალებაში წვლილს მოწმობს ჯაბა იოსელიანიც თავის წიგნში „სამი განზომილება“, რომ ასლანი იარაღით ამარაგებდა მას და რომ ასლანი გახარებულია შევარდნაძის ჩამოყვანით, რის ჯილდოდაც ასლანი ავტომატს ჩუქნის ჯაბას და მეფურ პურ-მარილსაც უშლის. ჯაბაც, თავის მხრივ მადლობას უხდის ასლანს 400 ავტომატისა და ყუმბარმტყორცნების მიწოდებაში: „პირდაპირ სულზე მოგვისწროო“. ეს, ზვიადის წინააღმდეგ, მაგრამ ასლანი ასეთი საიმედო პარტნიორი როდია აფსუა სეპარატისტების წინააღმდეგ შევარდნაძის ხელისუფლების მიერ წარმოებულ ომში; ასლანი კი ჰპირდება ჯაბას 100 ავტომატს, მაგრამ იმ მცირე რაოდენობის შეიარაღებასაც აღარ აძლევს მას.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ოპოზიციონერი ჟურნალისტი (უპატრონოთა თავშესაფარში გარდაიცვალა) **კლარა აბრამია** თავის გაზეთში „თუთარჩელა“, გვაუწყებს: „მაქვს ინფორმაცია ბათუმიდან, რომ სწორედ ძმები ასანიძეები (ერთი ბათუმის ციხეში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა – **ლ.ც.**) არიან საქმის კურსში დეტალურად, რამდენჯერ ჩავიდა ასლან აბაშიძე გუდაუთასა და სოხუმში არძინბასთან ომის დროს, თუ ომის დამთავრებისთანავე. რა ტვირთი იგზავნებოდა ბათუმიდან ზღვით სეპარატისტების დასახმარებლად. თენგიზ ასანიძემ ზუსტად იცის ჟიული შარტავას დაღუპვის დეტალები – ვის, როგორ და რანაირად შესთავაზა ასლან აბაშიძემ შარტავას გაქრობის გეგმა. აბაშიძეს ამიტომაც ავადმყოფურად ეშინია ასანიძეების, არ გათქვან საიდუმლო და ამიტომაც ჰყავს გამომწყვდეული ჯურღმულში“.

აფხაზეთიდან დევნილმა საქართველოს პარლამენტის წევრებმა გენო კალანდიამ, დიმა ჯაიანმა, ჯანო ჯანელიძემ (აფხაზეთის განათლების მინისტრი) და სხვებმა, ასლან აბაშიძე არაერთხელ ამხილეს და დაადანაშაულეს აფხაზ სეპარატისტებთან კავშირში და მათთვის სამხედრო საბრძოლო ტექნიკის გაგზავნაში აფხაზეთის ომის დროს.

დამხობილი და საქართველოდან განდევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია 1992 წლის 17 მარტს, გროზნოდან სპეციალურ მიმართვას აკეთებს აჭარის მოსახლეობისადმი, რომელშიც ასლან აბაშიძეზე ამბობს, რომ „თუ იგი არ უერთგულებს საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას და გადავა უკანონო თვითმარქვია ხელისუფლების მხარეზე, მოღალატე შევარდნაძის მხარეზე, იგი დაკარგავს სრულიად საქართველოს მხარდაჭერას, ჩემს მხარდაჭერას და ნდობას. დღეს ასლან აბაშიძე დილემის წინაშე დგას. მე მოგიწოდებთ დაეხმაროთ მას, რათა გააკეთოს სწორი

არჩევანი, ამოუდგეს მხარში საქართველოს კანონიერ პარლამენტს და პრეზიდენტს, რათა მოღალატის სახელი არ დაიმკვიდროს ისტორიაში“.

ამ მიმართვამდე 4 დღით ადრე გამოქვეყნდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება გადატრიალების შეფასების შესახებ. ამ დადგენილების მე-3 პუნქტი კი არის ის სამართლებრივი, ფუნდამენტური ბაზისი, რომელიც მომავალში შესაძლებელს ხდის (ლეგიტიმაციის ხანგრძლივი წყვეტის მიუხედავად) აღდგეს და დაფუძნდეს, კანონიერი ეროვნული ხელისუფლება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

1992 წლის 13 მარტის

დადგენილება

1991 წლის 22 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკაში მომხდარი მოვლენების პოლიტიკური შეფასების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. 1991 წლის დეკემბრისა და 1992 წლის იანვრის მოვლენები, რომლებიც მოხდა საქართველოში, კვალიფიცირებულ იქნეს როგორც სახელმწიფო გადატრიალება;
2. არაკანონიერი ხელისუფლების სტრუქტურების — „სამხედრო საბჭო“ და ა. შ. შექმნა კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ხელისუფლების უზურპაცია;
3. ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის, პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ;
4. სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორების მოქმედება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც საქმიანობის ღალატი;
5. საქართველოს მოსახლეობას მოვუწოდებთ უკანონო ხელისუფლების დაუმორჩილებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, გროზნოდან მოუწოდებდა ასლან აბაშიძეს არ მიეღო მონაწილეობა, ხუნტის არც საპარალენტო და არც საპრეზიდენტო არჩევნებში, არ დაეყენებინა თავისი კანდიდატურა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში, არ დათანხმებულიყო შევარდნაძეს არც პრემიერ-მინისტრობის პოსტზე, რის წინაშეც მაცდურად აყენებდა მას შევარდნაძე.

შევარდნაძემ, მოგვიანებით (1996 წელს), თავად გაამჟღავნა ასლანიც და პუტჩში მონაწილე სხვა კონდოტიერებიც მასთან ალიანსში: „მოსკოვში, სადაც მაშინ მე მშვიდად და უჭირველად ვცხოვრობდი, თვით გადატრიალების ორგანიზატორებიც ჩამოდიოდნენ. მათ შორის: ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, შემდეგ კი აჭარის დღევანდელი ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე. ისინი უბრალოდ კი არ მეხვეწებოდნენ, არამედ მოითხოვდნენ საქართველოში ჩემს ჩამოსვლას“. ასლან აბაშიძის მოსკოვში, შევარდნაძესთან ჩასვლა, სატელევიზიო გამოსვლაში დაადასტურა პუტჩისტმა პროფესორმა, ყოფილმა დისიდენტმა გურამ მამულიამაც, ვალერი კვარაცხელიამ და ირაკლი მელაშვილმაც, რომელთა ნათქვამი იუთუბზე ამ ლინკით იდო https://www.youtube.com/watch?v=JpV4NNbK-Mh4&feature=relmfu. ვიდეო ამჟამად წაშლილია, რაზეც უთუოდ მოსკოვის კგბ იზრუნა, ასლანის თხოვნით, შევარდნაძის გარდაცვალების შემდგომ.

ნიშანდობლივია, რომ 1995 წელს რუსეთის პრეზიდენტმა ელცინმა, ასლან აბაშიძე მეგობრობის ორდენით დააჯილდოვა, ხოლო დაჯილდოვების ბრძანებულებაში ა. აბაშიძე მოხსენიებულია სამხედრო ტიტულით – გენერალ-ლეიტენანტი (უთუოდ, რუსეთის).

ჯაბა იოსელიანმა, ასლანთან გარიგების შედეგად, არ შეიყვანა ხუნტის შეიარაღებული ძალები აჭარაში. სანაცვლოდ, ასლანმა, ისინი ავტომატებითა და ბეტეერებით მოამარაგა. არსებობს ასლანის მიერ „მხედრიონის“ იარაღით მომარაგების ოფიციალური ვიდეოც, რომელიც გადაიცემოდა ტელევიზიით. 1993 წლის სექტემბერ-დეკემბერში, საქართველოში დაბრუნებულ ზვიად გამსახურდიას შეიარაღებულ მებრძოლებს, სწორედ ასლანის ბეტეერებითა და ავტომატებით ცხრილავდნენ დაფნარსა და სამეგრელოშიც. შეიარაღებას, ასლანი, აჭარაში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზიდან იღებდა. დაბრუნებულ პრეზიდენტ გამსახურდიასთან კი ასლანი, არანაირ კონტაქტზე არ გადიოდა.

1996 წლის 6 მაისს, საქართველოს ტელევიზიის I არხით (21 სთ. 30 წთ.-ზე), ასლან აბაშიძემ, სააგენტო „იბერიას“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომ „თუ უახლოეს ხანში არ იქნება განსაზღვრული აჭარის სტატუსი, როგორც სუვერენული საპრეზიდენტო რესპუბლიკისა სა-

ქართველოს შემადგენლობაში, იგი არ შეუწყობს ხელს კასპიის ნავთობის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირების გეგმას“ – ბრძანა, რომ ეგ ჩემი მიზანი არ გახლავთ, არამედ „ეს საკითხი, 1994 წელს ჩემთან შეხვედრისას, მაშინდელმა სახელმწიფო მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ დასვა განხილვის წესით: „ხომ არ აჯობებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შეცვლა **აჭარის რესპუბლიკად“**, რაზეც მე კატეგორიული უარით ვუპასუხეო.

საინფორმაციო სააგენტო „იბერიამ“ დამაჯერებელი პასუხი გასცა ასლან აბაშიძის უარყოფას აჭარის სტატუსის შეცვლის ულტიმატუმის თაობაზე და მისი გამოვლენა დროს მიანდო. დრომ კი ნამდვილად გამოავლინა ასლანის ამგვარი სეპარატისტული მცდელობები.

1994 წლიდან, ასლან აბაშიძე, საკუთარი საპარლამენტო ბლოკით „აღორძინება“, საქართველოს პარლამენტის წინაშე პერმანენტულად აყენებდა მოთხოვნას „თავისუფალი ეკონომიკური ზონის“ შესახებ (თეზი).

2000 წლის თებერვალში ასლანის საკრებულომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო კანონში“ ძირეული ცვლილებები შეიტანა, ხოლო ცვლილებით ვარიანტს დიდხანს უმალავდნენ ცენტრალურ ხელისუფლებასა და მასმედიას. როგორც მოგვიანებით გაირკვა, შეცვლილი კონსტიტუციის რუსული თარგმანი, თავდაპირველად გაიგზავნა კრემლში და ასლანი მათი რეაქციის მოლოდინში ახანებდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის კონსტიტუციის ახალი ვარიანტის წარდგენას; ვინძლო, შენიშვნებითა და შესწორებებით დაბრუნებულიყო „კონსტიტუცია“ კრემლიდან. რაღაც მაქმანებით გაზეთმა „ალიამ“ მოიპოვა კონსტიტუციის რუსული ვარიანტი და მისმა კორესპონდენტმა ქეთი ხატიაშვილმა გაზეთში გაასაჯაროვა იგი. კონსტიტუციის იურიდიული შეფასება კი ზურაბ ადეიშვილის კომენტარებით მოახდინა. ასლანის მიერ კონსტიტუციის ახალი ვარიანტის გასაიდუმლოებამ პოლიტიკურ წრეებში და ერის გონიერ ნაწილშიც წარმოშვა მითქმა-მოთქმა აჭარის სტატუსისა და საპრეზიდენტო მმართველობის შესაძლო ჩანაწერის შესახებ. აკი, ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ შევარდნაძის საიდუმლო წერილში, აჭარაშიც საპრეზიდენტო არჩევნებზეა ლაპარაკი. საბედნიეროდ, ეს ეჭვები ამ ეტაპზე არ გამართლდა, მაგრამ ზურაბ ადეიშვილის შეფასებით, კონსტიტუციის ძირეული ცვლილებები ამგვარი პერსპექტივისკენ იყო მიმართული. „კონსტიტუციაში“ ჩადებული იყო ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობაც, რაც ასლანის შვილზე – გიორგიზე იყო გათვლილი. აკი, ბათუმის მერის პოლიტიკურ თანამდებობაზე აღაზევა ასლანმა თავისი ძე. საბოლოოდ კი „აჭარის კონსტიტუციის“ ცვლილები-

თი ვარიანტი მხოლოდ მას შემდეგ გამოუგზავნა ასლანმა ცენტრალურ ხელისუფლებას, როცა დოკუმენტი რეგიონალურ გაზეთ „აჭარაში“ გამოქვეყნდა.

ამგვარი დამოკიდებულების (არაღიარების) ნაწილი გახლდათ ასლანის მხრიდან რუსეთსა და თურქეთში მისი გახშირებული ვიზიტები, მაშინ როცა იგი საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის სხდომებს არასოდეს ესწრებოდა. თბილისში ჩამოუსვლელობას, იგი „ტერაქტის მოწყობის“ შიშით ხსნიდა. თითქოს, ამგვარი გეგმა-სურვილის შემთხვევაში, საქართველოს შესაბამისი სამსახურები, საქართველოს ფარგლებს გარეთ ვერ შეძლებდნენ მის ლიკვიდაციას.

2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, 23 თებერვალს, შევარდნაძე საიდუმლო ვიზიტით ჩავიდა აჭარაში და 5-საათიანი საიდუმლო მოლაპარაკება აწარმოა ასლანთან ერთი-ერთზე. თუ რაზე გაურიგდა, შევარდნაძე ასლანს, საპრეზიდენტო არჩევნებში სრული მხარდაჭერის სანაცვლოდ, მალე გამოვლინდა...

2000 წლის 9 აპრილის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში ასლან აბაშიძემ, არჩევნებამდე ორი დღით ადრე მოხსნა თავისი კანდიდატურა შევარდნაძის სასარგებლოდ და მის მომხრეებს მოუწოდა ხმა შევარდნაძეს მისცენ.

2000 წლის 13 სექტემბერს, საქართველოში ვიზიტისას რუსმა გენერალმა ტროშევმა, აჭარის ლიდერთან პირისპირ განაცხადა: „მე სომხეთიდან, საქართველოს გავლით ჩამოვედი აჭარაში“. ტროშევის ამ თავხედურ განაცხადს, არც ასლანისა და არც ცენტრალური ხელისუფლების არცერთი უწყების, დიპლომატიური კორპუსის მხრიდან რეაქცია-პასუხი არ მოჰყოლია. არამედ, მხოლოდ, პრესის ჟურნალისტების მხრიდან მოჰყვა.

2001 წლის 19 მარტს, შევარდნაძის პარლამენტის სპიკერი ზურაბ ჟვანია ჩავიდა ბათუმში და ასლანს შეპირდა „აჭარის თავისუფალი ეკონომიკური ზონის“ შესახებ კანონის პარლამენტში მიღებას. სანაცვლოდ, ასლანი ცენტრალურ ხელისუფლებას პირდებოდა, რომ არ ითანამშრომლებდა ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან და კომუნისტებთან.

2001 წლის ივნისში, რუსეთის ელჩმა სტანკევიჩმა და აჭარის წარმომადგენელმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა საქართველოს ხელისუფლების წინაშე დასვეს საკითხი აჭარაში რუსეთის საკონსულოს გახსნის შესახებ. აღნიშნული ინიციატივა სრულიად კანონიერად მიიჩნია საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ. შევარდნაძის პოლიტიკური ნებით, თბილისში წლების განმავლობაში მოქმედებდა აჭარის

წარმომადგენლობა თბილისის მაშინდელი მერიის მიმდებარედ (გალაკტიონის ქუჩაზე) ჰამლეტ ჭიპაშვილის „კონსულობით“.

2001 წლის 8 ივნისს, ხობში შედგა ე.წ. საკოორდინაციო საბჭოს გაფართოებული შეკრება „აღორძინების კავშირის“ სამეგრელოს ორგანიზაციის ლიდერის რომან მელიასა და ალექსანდრე ჭაჭიას ორგანიზატორობით. შეკრებას ესწრებოდნენ პარლამენტარები ფრიდონ ინჯია და „აღორძინების“ ერთერთი ლიდერი ჯემალ გოგიტიძე. შეკრებაზე გაიჟღერა „სამეგრელოს ავტონომიის“ შექმნის იდეამ, რასაც თანაუგრძნო ჯ. გოგიტიძემ (2001 წ. 8 ივნისის ტელეკომპანია „კავკასიის“ ინფორმაცია), ოღონდ ამ საკითხის წამოწევა ჯერ ნაადრევად მიიჩნია. კერძოდ თქვა, რომ „მათ სრული უფლება აქვთ იფიქრონ კეთილდღეობისთვის“.

2001 წლის 6 ივლისს, ასლან აბაშიძის ბლოკმა „აღორძინებამ“ საქართველოს პარლამენტში გააჟღერა აზრი, აჭარაში თვითმმართველობის არჩევნების, ცენტრისაგან დამოუკიდებლად ჩატარების შესახებ. ხოლო 7 ივლისს ძირეული ცვლილებები შეიტანეს აჭარის კონსტიტუციაში, რაც ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად ამცნო ხალხს „აღორძინების“ ახალგაზრდა ლიდერმა **გიორგი თარგამაძემ** და თან დასძინა, რომ აჭარის კონსტიტუცია სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციასთანო.

აჭარის კონსტიტუციური ცვლილებით აჭარის უზენაესი საბჭო გარდაიქმნა ორ პალატიან პარლამენტად, ხოლო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ნაცვლად შემოიღეს ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის თანამდებობა. იმავე დღეს გადააყენეს აჭარის გენერალური პროკურორიც. 9 ივლისს, ორშაბათობების ბრიფინგზე ე. შევარდნაძემ ლოიალური შეფასება მისცა აჭარის ეზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებებს და თავი იმართლა, რომ არცერთი საკითხი ჩემთან შეთანხმებული არ ყოფილაო.

2001 წლის 3 ივლისს, აჭარაში გაიხსნა ხაზინის ფილიალი, რაც ავტონომიის ეკონომიკური დამოუკიდებლობისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი გახლდათ.

2001 წლის 28 აგვისტოს, აჭარაში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ნაწილები, მთელი სამხედრო ტექნიკით, გენერალ ვიაჩესლავ ბორისოვის მეთაურობით, ბათუმიდან ქობულეთში გადაადგილდნენ და რუსეთის სამხედრო დროშა აღმართეს. დისლოკაციის შეცვლის ადგილი

არ ყოფილა შეთანხმებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან, თუმცა შევარდნაძის მთავრობას, არც ამ გამოწვევაზე ჰქონია რაიმე რეაქცია.

2001 წლის 2 ოქტომბერს, ტელეკომპანია „აჭარის“ ღამის საინფორმაციო გამოშვებაში, ა. აბაშიძემ განაცხადა, რომ „1993 წელს, მე წერილი მივწერე ჯოხარ დუდაევს, იქნებ დაითანხმოთ გამსახურდია, რომ არ დაბრუნდეს საქართველოში. ჩემი ამგვარი თხოვნა განპირობებული იყო ახალი სამოქალაქო **(?! – ლ. ც.)** ომის შიშით“. ამ გამოსვლაში მან, საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობაში არ დაადანაშაულა შევარდნაძე, არამედ განაცხადა, რომ „ჩვენ ყველანი ვართ დამნაშავე“-ო.

2001 წლის 8-11 ოქტომბერს, რუსმა სამხედრო თვითმფრინავებმა დაბომბეს კოდორის ხეობა. კოდორის ხეობასთან ჩამოგდებულ გაეროს მისიის თვითმფრინავში დაიღუპა მისიის 8 წევრი და ერთი ქართველი თარჯიმანი ლალი ხვიჩია. ამ დაბომბვების დროს რუსეთში მყოფ ასლან აბაშიძეს, არც ვიზიტი შეუწყვეტია და არც საყვედური დაცდენია რუსეთის აგრესიის მიმართ.

2001 წლის 11 ოქტომბრის პარლამენტის სხდომაზე ბლოკ „აღორძინების“ დეპუტატებმა და მოქკავშირული უმრავლესობის დიდმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირეს აფხაზეთის ტერიტორიიდან რუსი „სამშვიდობო“ შენაერთების გაყვანასა და საქართველოს „სნგ“-დან გამოსვლის საკითხს.

2001 წლის 3 ნოემბრის ადგილობრივ არჩევნებში, ვაკის რაიონში, ასლან აბაშიძემ და ე. შევარდნაძემ მხარი ირინა სარიშვილის კანდიდატურას დაუჭირეს.

2001 წლის 13 ნოემბერს, აჭარაში ჩამოსულმა რუსეთის მრავალრიცხოვანმა სამთავრობო დელეგაციამ, ასლან აბაშიძე პრეზიდენტად მოიხსენია და ხელშეკრულებები დადო, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფო სუბიექტთან. საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას არანაირი რეაქცია არ გამოუხატავს ამ ანტისახელმწიფოებრივ ფაქტზე.

ასლანი მუდამ მჭიდრო კავშირ-ურთიერთობაში იყო აჭარაში დისლოცირებულ რუსეთის სამხედრო ბაზის გენერლებთან.1999 წლის არჩევნებში, რუსეთის მე-12 სამხედრო ბაზის ხელმძღვანელმა ვიაჩესლავ ბორისოვმა, ასლან აბაშიძესა და მის პარტიას – „აღორძინებას“ ღიად დაუჭირა მხარი, რამაც შევარდნაძის გუნდის ახალგაზრდული ფრთის (სააკაშვილი, ბოკერია, ბარამიძე...)უკმაყოფილება გამოიწვია და რუსი გენერლის საქართველოდან გაწვევა მოითხოვეს. მოგვიანებით კი, ხელისუფლების სათავეში მოსულმა სააკაშვილმა, გენერალი ბორისოვი პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა და ქვეყნიდან გააძევა.

ასლანმა, რუსეთის პოლიტ-ელიტიდან და სამხედრო ბაზებიდან გამაგრებული ზურგით, ჩოლოქზე ტრანსპორტით გადაადგილება შეზღუდა და გამშვები პუნქტი დააყენა, რითაც მან ფაქტობრივად, აჭარა გამოყო საქართველოს ცენტრალური მმართველობიდან. ამ მრავალწლიანმა, დეფაქტო სადემარკაციო პუნქტმა, თავისუფალი გადაადგილებები შეუზღუდა დანარჩენ საქართველოს მოსახლეობას, ჩოლოქი-ბათუმის სარკინიგზო მონაკვეთზეც კონტროლდებოდნენ მატარებლის მგზავრები, ყოველივეზე კი თვალს ხუჭავდა ე. შევარდნაძე.

2002 წლის 10 სექტემბერს, ასლან აბაშიძემ, მოსკოვში თავდაცვის მინისტრთან შეხვედრისას განაცხადა, რომ „საქართველოში მყოფი რუსეთის სამხედრო ძალები, უცხო ქვეყნის ძალები არ არის“.

2003 წლის 25 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა, ოპოზიციის ინიციატივით მიიღო დადგენილება, საქართველოს „სნგ“-დან გამოსვლის, რუსეთის სამხედრო ბაზებისა და ე.წ. „სამშვიდობოების“ გაყვანის თაობაზე. დადგენილებას მხარი არ დაუჭირეს „აღორძინებისა“ (ჯემალ გოგიტიძე) და „სოციალისტების“ (ვახტანგ რჩეულიშვილი) წარმომადგენლებმა.

2003 წლის 6 ნოემბერს, ასლან აბაშიძემ, თბილისსა და დანარჩენ რაიონებში, სააკაშვილის ლიდერობით დაწყებული საპროტესტო გამოსვლების (2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბების გამო) ვითარებაში მოიწვია სენატი და ცვლილებები შეიტანა აჭარის კონსტიტუციაში. ფორსირებული ცვლილებებით აჭარის მეთაურს გაუფართოვდა უფლებები და სტატუსი; იგი იქცა სახელმწიფოს უმაღლეს სახელისუფლო, სამხედრო და პოლიტიკურ პირად, გახდა მთავარსარდალი. ასლანს მიეცა საკუთარი სამხედრო შენაერთების, ჯარის შექმნისა და სამხედრო წოდებების მინიჭების უფლებამოსილება. 8 ნოემბერს 3 საათზე, თბილისში, თავისუფლების მოედანზე სააკაშვილმა უფრო გრანდიოზული საპროტესტო მიტინგი ჩაატარა. 9 ნოემბერს, შევარდნაძე გაემგზავრა აჭარაში და ერთი-ერთზე, დახურულ კარს მიღმა ელაპარაკა ასლანს. 10 ნოემბერს ასლანი მოულოდნელად გაემგზავრა სომხეთში და საიდუმლო მოლაპარაკება აწარმოა პრეზიდენტ კოჩარიანთან. სომხეთის სახელმწიფო ტელევიზიით გადაიცა, რომ „სომხეთში ჩამოვიდა სუვერენული აჭარის მეთაური ასლან აბაშიძე.“ სომხეთში იმავე დღეს მოსკოვიდან ჩავიდა რუსეთის თავდაცვის მინისტრი იგორ ივანოვიც. 11 ნოემბერს ღამით ასლან აბაშიძე ჩავიდა აზერბაიჯანში და შეხვდა პრეზიდენტ ილხამ ალიევს დახურულ კარს მიღმა. 13 ნოემბერს ასლანი აზერბაიჯანიდან გაემგზავრა მოსკოვში.

თბილისში, საპროტესტო მიტინგები, შევარდნაძის გადადგომით არ წყდებოდა და უფრო მასობრივი ხდებოდა. მიტინგების ტალღამ საქარ-

თველოს რაიონებიც მოიცვა. პარალელურად, შევარდნაძის მხარდამჭერ მიტინგებს პარლამენტთან აწყობდა ასლანის ბლოკი „აღორძინება“ ჯემალ გოგიტიძის ლიდერობით, რომლებსაც მხარს უჭერდა მანანა არჩვაძის „მრგვალი მაგიდა“, ირინა სარიშვილი და გურამ შარაძე.

ეს ფოტო, 2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდისაა. „აღორძინების“ ლიდერი ჯემალ გოგიტიძე ღიად, ჟურნალისტების თანხლებით, „კოლხურ კოშკში“ სტუმრობს თავის მოკავშირე მანანა არჩვაძეს პოლიტიკური კონსულტაციებისთვის.

სააკაშვილის მხარდამჭერებმა პარლამენტის წინამდებარე ტერიტორიიდან გარეკეს აჭარიდან ჩამოყვანილი ასლანის მომხრეები. შევარდნაძის მთავრობის წევრთა უმრავლესობამ გადადგომა გამოაცხადა.

22 ნოემბერს გვიან ღამით თბილისში ჩამოფრინდა იგორ ივანოვი, შეხვდა ოპოზიციის ლიდერებს და პარლამენტთანაც გამოვიდა სიტყვით. 23 ნოემბერს სააკაშვილი და თავისი მრავალრიცხოვანი მომხრეები, ვარდებით ხელში შეიჭრნენ პარლამენტის დარბაზში; შეშფოთებული შევარდნაძე, საკუთარმა დაცვამ სირბილით გაიყვანა დარბაზიდან. შევარდნაძემ 23 ნოემბერს გადადგომა გამოაცხადა.

2003 წლის 23 ნოემბერი, საქართველოს უახლეს ისტორიაში შევიდა ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ სახელით. 23 ნოემბერს ღამით იგორ ივანოვი აჭარაში გაემგზავრა. ასლან აბაშიძემ 24 ნოემბერს დახურა სარკინიგზო მიმოსვლა თბილისთან, წინა დღით კი აჭარაში საგანგებო ვითარება გამოაცხადა და დაკეტა საზღვრები. 24-25 ნოემბერს, აბაშიძემ განაცხადა, რომ არ სცნობს ოპოზიციის (სააკაშვილ- ჟვანია-ბურჯანაძის) ხელისუფლებას და ბოიკოტს უცხადებს მათ მიერ დანიშნულ არჩევნებს. იმ ღამესვე ასლანი კვლავ მოსკოვში გადაფრინდა და ელაპარაკა ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის თვითმარქვია პრეზიდენტებს, ხოლო რუსეთის პრემიერისაგან მოითხოვა აჭარასთან რუსეთის სავიზო რეჟიმის შერბილება (რუსეთმა, საქართველოსთან, სავიზო რეჟიმი დააწესა 2000 წლის დეკემბერში). 26 ნოემბერს, ოპოზიციამ, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად მიხეილ სააკაშვილი დაასახელა. რუსეთ-

მა გაითვალისწინა რა ასლან აბაშიძის თხოვნა, 9 დეკემბერს გაამარტივა სავიზო რეჟიმი აჭარასთან, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ აჭარის მაცხოვრებლები, პირდაპირ რუსეთის აეროპორტში მიიღებდნენ ვიზებს. 28 დეკემბერს, ასლან აბაშიძემ ოფიციალურად განაცხადა, რომ აჭარა მონაწილეობას მიიღებს 2004 წლის 4 იანვრის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში. მის ამგვარ გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ამერიკის ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა.

2003 წლის დეკემბრის მოვლენებმა და ცენტრალური ხელისუფლების ცვლილებებმა, აჭარასაც შეუქმნა საფრთხე; ასლანი ყველა რესურსით ცდილობდა წლობით მიღწეული მდგომარეობის შენარჩუნებას; იმისათვის, რომ ცენტრალური ხელისუფლების ცვლილებები ოდნავადაც არ შეხებოდა აჭარას, ასლანმა 2004 წლის გაზაფხულზე, მდინარე ჩოლოქსა და ქაქუთზე არსებული ხიდები ააფეთქა და დაბა ჩაქვში ზღვის სანაპიროც დანაღმა, რაშიც მას რუსეთის სამხედრო ბაზის მეომრებიც ეხმარებოდნენ.

2004 წლის 4 იანვრის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა მიხეილ სააკაშვილმა, რომელსაც ხმა ზვიად გამსახურდიას მომხრე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესმა უმრავლესობამაც მისცა, როგორც შევარდნაძის ხუნტისტური ხელისუფლების დამამხობელს.

2004 წლის 24 იანვარს, ჩოლოქზე აღებულ იქნა ბლოკ-პოსტები (ბეტონის ხერგილები). 25 იანვარს, საპრეზიდენტო ინაგურაციის დღეს, დილის 9 საათზე, სააკაშვილმა სამხედრო აღლუმი, ჯერ მიიღო ბათუმში, შემდეგ ფოთში და ბოლოს – 3 საათზე, თბილისში.

2004 წლის 14 მარტს, პრეზიდენტი სააკაშვილი ჩოლოქზე აღარ გააატარეს ასლან აბაშიძის შეიარაღებულმა ძალებმა. ჩოლოქის გამშვები პუნქტი, საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ კვლავ აღადგინა რა, აბაშიძემ. სააკაშვილი იძულებული გახდა დაბრუნებულიყო ფოთში, სადაც მოიწვია მთავრობის სხდომა და გამოაცხადა „ანტიკრიზისული ცენტრის“ შექმნა. ცენტრის ხელმძღვანელად კი დანიშნა პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია. „ანტიკრიზისულმა ცენტრმა“ უმალ მიიღო ბათუმის საყოველთაო ბლოკადის გადაწყვეტილება. ჩაიკეტა სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო საზღვრები. საყოველთაო ბლოკადას, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ გაუძლო აჭარამ და ორმხრივი მოლაპარაკების შედეგად, სააკაშვილმა ბლოკადა მოხსნა 18 მარტს. ასლანმა უკან დაიხია და განაცხადა, რომ 28 მარტს ადგილობრივი არჩევნები აჭარაშიც ჩატარდება.

2004 წლის 6 აპრილს, სააკაშვილმა, აჭარის უზენაესი საბჭოს კოორდინატორად დანიშნა რკინიგზის დეპარტამენტის უფროსი ლევან ვარშალომიძე, ხოლო ბათუმის მერად, ყოფილი პოლიტპატიმარი თენგიზ ასანიძე.

2004 წლის 6 მაისს, სააკაშვილმა თავისი სახელისუფლო ძალებით მაინც შეაღწია აჭარაში და აღადგინა კონსტიტუციური წესრიგი. ასლანი აჭარიდან მოსკოვში, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივან იგორ ივანოვთან გაიქცა. მოსკოვის მაშინდელმა მერმა იური ლუჟკოვმა ასლანს შოკოლადის საწარმო მისცა და დღემდე ბედნიერად ცხოვრობს რუსეთში; დაქვრივებულმა ასლანმა მოსკოველი ახალგაზრდა გოგო შეირთო ცოლად, ვისგანაც მოხუცებულობის ასაკში (78 წლის) ვაჟიშვილიც კი ეყოლა.

ასე დასრულდა „ასლან-ფაშას“ 13-წლიანი ფეოდალური მმართველობა აჭარაში.

ყარსის ხელშეკრულების ძალმოსილების საკითხი

1992 წლის 30 ივლისს, ე. შევარდნაძემ კიდევ ერთი მოღალატური აქტი გააფორმა თურქეთთან ყარსის ხელშეკრულების აღიარების შესახებ. რადგან, ყარსის ხელშეკრულება, უშუალოდ აჭარის ავტონომიის საკითხს უკავშირდება, მოვალედ ვთვლით თავს, მასზეც შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება;

1992 წლის 30 ივლისის ხელშეკრულებას, თურქეთის პრეზიდენტ სულეიმან დემირელთან, შევარდნაძემ, თუმცა 10 წლის ვადით მოაწერა ხელი, მაგრამ ვადის გასვლის შემდგომ, ყოველ ჯერზე, 5 წლიანი გაგრძელებების პირობით, რაც ფაქტიურად უვადო ძალმოსილების ხელშეკრულებად მოიაზრება. თავად, 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ძირითად ხელშეკრულებას, 100 წლიანი მოქმედების პირობითი ვადა 2021 წელს გასდის. „პირობითს“ ვამბობთ, რადგან ყარსის ხელშეკრულებაში, იმთავითვე არანაირი ვადა არ ყოფილა განსაზღვრული. ხელშეკრულებების 100 წლიანი ვადა, დაუწერელი პირობაა დიპლომატიაში, რასაც დრო და სისტემათა ფორმაცია, ბუნებრივად, ძალადაკარგულ დოკუმენტად აქცევს. სუბიექტურია მოსაზრება, რომ, თითქოს „ეს, ის ხელშეკრულებაა, რომელიც არავითარი ვადით არ იზღუდება“ (*ჰამლეტ ჭიპაშვილი).*

ყარსის ხელშეკრულება, 1944-45 წლებამდეც მივიწყებული იყო და არც 1944-45 წლების შემდგომაც გამხდარა დიდად აქტუალური. 1944-45 წლებში კი, სტალინმა გაიხსენა იგი და საგარეო საქმეთა მინისტრ

ვიაჩესლავ მოლოტოვს დაავალა გადაეხედა ხელშეკრულებისთვის, მისი შეცვლის მიზნით. სტალინის უკმაყოფილებას იწვევდა სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიების დიდი დანაკლისი ამ ხელშეკრულებით(ხელშეკრულება ლენინსა და მუსტაფა ქემალს შორის გაფორმდა. კრემლი თურქეთს, აღმოსავლეთში თავის მნიშვნელოვან რევოლუციურ მოკავშირედ მიიჩნევდა.). მოლოტოვმა თურქეთის ელჩს გადასცა ნოტა ტერიტორიული პრეტენზიებით და სიტყვიერად განუცხადა, რომ სსრკ ცალმხრივად გამოდიოდა ხელშეკრულებიდან. საბჭოთა დელეგაციამ პოტსდამის კონფერენციაზეც გააჟღერა ყარსის ხელშეკრულების შესახებ 1945 წელს, მაგრამ წაყრუებულ იქნა.

ასლან აბაშიძისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ყარსის ხელშეკრულება, რომელიც გახლდათ საფუძველი აჭარის ავტონომიის სტატუსის, რაც უზუნველყოფდა აჭარის მეთაურის პოლიტიკურ თანამდბობას.

ყარსის ხელშეკრულების მეხუთე მუხლში ჩაწერილია:

„თურქეთი თანხმდება დაუთმოს საქართველოს სიუზერენიტეტი ქალაქსა და ნავსადგურ ბათუმსა და ტერიტორიაზე, რომელიც ამ ხელშეკრულების IV მუხლით მითითებული საზღვრის ჩრდილოეთით ძევს და შეადგენს ბათუმის ოლქის ნაწილს, იმ პირობით, რომ: 1. მოსახლეობა ამ ადგილებისა, რომლებიც ამ მუხლშია მითითებული, ისარგებლებს ფართო ადგილობრივი ავტონომიით, ადმინისტრაციული თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს თითოეული თემისთვის მის კულტურულ და რელიგიურ უფლებებს და მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა დაადგინოს მითითებულ ადგილებზე მიწის კანონი, რომელიც შეესატყვისება მის„სურვილებს“. 2. თურქეთისთვის უზრუნველყოფილი იქნება ყოველგვარი საქონლის თავისუფალი ტრანზიტი, რომელიც გაიგზავნება თურქეთში და თურქეთიდან, ბათუმის ნავსადგურის გავლით, უბაჟოდ, რაიმე შეფერხების გარეშე და ყოველგვარი გადასახადით მათ დაუბეგრავად, თურქეთისთვის ბათუმის ნავსადგურის სარგებლობის უზრუნველყოფით ამაზე სპეციალური გამოსაღებების გადაუხდელად“.

შევარდნაძემ კი, თავისი მოღალატური აქტივობით, ახალი სასიცოცხლო ძალა შესძინა 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის, ამ ბუნებრივად კვდომად ხელშეკრულებას, რაც ასლან აბაშიძესა და მის მრჩეველ, ჰამლეტ ჭიპაშვილს შორის ერთობლივი მოლაპარაკების შედეგი იყო; 1992 წლის 30 ივლისის ფართომასშტაბიან „საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობის და კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულების“ პრეამბულაში ჩაიწერა: **„მხარეები აცხადებენ, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ**

ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის შეთანხმებით. მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის. მხარეები აღნიშნული შეთანხმების დებულებებს დაიცავენ თავიანთი კანონმდებლობის, არსებული პრაქტიკის და მათი საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით".

ყარსის ხელშეკრულების არაძალმოსილებაზე საუბრობდნენ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირის" რეფორმატორული ფრთის ახალგაზრდა, 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებით მოსული დეპუტატებიც და აჭარის ავტონომიის გაუქმების სურვილს ხმამაღლა გამოთქვამდნენ (რეზო ადამია, კახა ჩიტაია, მიხეილ სააკაშვილი...).

საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი ბიძინა სავანელის ავტორიტეტული დასკვნით:

„1. ყარსის ხელშეკრულება დაიდო 1921 წლის 26 სექტემბერს *(ბ-ნ ბ. სავანელი, ხელშეკრულების დადების თარიღს, ხელშეკრულებაზე მოსალაპარაკებლად ჩასვლის დღიდან მოიხსენიებს — ლ.ც.)*, **ანუ მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია და ანექსია! დაპყრობილი ქვეყნის მთავრობის მიერ ხელმოწერილ ნებისმიერ აქტს საერთაშორისო სამართლის ძალა არ აქვს, რადგან ასეთი მთავრობა იმთავითვე ლეგიტიმური არ იყო. 2. ასევე არავითარი იურიდიული ძალა არ აქვს დამპყრობელი ქვეყნის მთავრობის, ანუ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს სამ ავტონომიად დანაწევრებას, სოჭის რაიონის – რუსეთისათვის; კახის, ბელაქანის, საინგილოს – აზერბაიჯანისთვის; და ლორესა და ტაშირის – სომხეთისათვის მიერთებას!"**

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თანამედროვე მკითხველისთვის იმის შეხსენება, თუ ვინ წარმოადგენდა საქართველოს ოფიციალურ დელეგაციას 1921 წლის 26 სექტემბერს ყარსის რკინიგზის სადგურზე ჩასულთაგან; ესენი იყვნენ: საქართველოს სრ რევკომის პრეზიდიუმის წევრი, სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი **შალვა ელიავა;** საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი **ალექსანდრე სვანიძე,** დელეგაციის მრჩეველი სასაზღვრო ტერიტორიულ საკითხებში **პავლე ინგოროყვა;** უნდა ითქვას, რომ ქართული დელეგაცია უკმაყოფილო იყო ყარსის ხელშეკრულების პირობებით და მათ, კონფერენციის დაწყებისთანავე, თურქებს, ორადგაყოფილი სარფის მთლიანად საქართველოსთვის გადმოცემა მოსთხოვეს, რაზეც ცხარე კამათიც გაიმართა. დოკუმენტის რატიფიცირების დროს (1922 წ. 14 აპრილი) სესიაზე განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება; შალვა ელიავამ ცაკ-ის წევრებს მოუწოდა მხარი დაეჭირათ ხელშეკრულების რატიფიცირებისთვის. აჭარის წარ-

მომადგენლებმა თოდრიამ და ხიმშიაშვილმაც უარყოფითად შეაფასეს აჭარის სამხრეთი ნაწილის თურქეთისათვის გადაცემა.

ახლა, მოკლედ, ყარსის ხელშეკრულების წინა მდგომარეობამდელი ვითარება გავიხსენოთ; ბათუმსა და ართვინს, ჯერ ოსმალები (ბრესტის 1918 წლის ზავის შედეგად), ოსმალეთის დამარცხების შემდგომ კი(მუდროსის 1918 წლის ზავით), ბრიტანელები დაეუფლნენ, არტაანი კი **პროთურქული ელემენტებისაგან ჩამოყალიბებულმა თვითმარქვია ე. წ. ყარსის რესპუბლიკამ** ჩაიგდო ხელში. საქართველოს მთავრობის დიპლომატიისა და ქართული შეიარაღებული ძალებით საქართველოს სახელმწიფო საზღვარი თურქეთთან საკმაოდ სწრაფად აღდგა; აი, ასეთი მდგომარეობა ჰქონდა საქართველოს 1920 წლის შემოდგომაზე, როცა კომუნისტური რუსეთისა და ქემალისტურმა თურქეთის მთავრობებმა ერთმანეთს დახმარების ხელი გაუწოდეს; იმ პერიოდში ვლადიმერ ლენინი და მუსტაფა ქემალი, ორივე ევროპულ ინტერვენციას ებრძოდა. ანტანტა, მოსკოვსა და ანგორას (ანკარას), მტრად მიაჩნდათ. სულ **სხვაგვარი იყო საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია – მკვეთრად გამოხატული დასავლური ვექტორით.** ქემალისტები და კომუნისტები ქართველ სოციალ-დემოკრატებს ეჭვით უყურებდნენ და თბილისის დიპლომატია აშკარად არ მოსწონდათ....

არსებობს მოსაზრება, ყარსის ხელშეკრულების ცალმხრივად დენონსაციის შეუძლებლობის შესახებ (ჰამლეტ ჭიპაშვილი, სიმონ კილაძე...), რადგან საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, დოკუმენტში, ერთი მხარის სტატუსით სარგებლობენ. აგრეთვე, სანამ არსებობს მოსკოვის, რუსეთ-თურქეთის მეგობრობის ხელშეკრულება (1921 წლის 16 მარტი და სწორედ ამ ხელშეკრულების „პირმშოს“ წარმოადგენს ყარსის ხელშეკრულება), იარსებებს ყარსის დოკუმენტის პირობებიც.

მიუხედავად, ზემომოტანილი მოსაზრებისა, მაინც შესაძლებელია ბრძოლა მისი დენონსაციისათვის.

ყარსის ხელშეკრულების დამცველ მამებს ვუსვამთ კითხვას: ვინ მოაწერა ხელი ყარსის ხელშეკრულებას, ჟორდანიას ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ თუ კრემლმა, რომელსაც საქართველოს დაპყრობა, იურიდიულად ჯერაც არ ჰქონდა გაფორმებული? მითუმეტეს, როდესაც, თვით რუსეთის ლეგიტიმაციასაც კი, მაშინ ინგლისიც არ ცნობდა? ყარსის ხელშეკრულება ძალადაკარგულია ხელმოწერის დღიდან და აი რატომ: 1. ხელშეკრულებაზე საქართველოს ხელი არ მოუწერია, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას. 2. ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროს თურქეთში ორხელისუფლებიანობა იყო, სულთნისა და ათათურქის. ათა-

თურქს კი ევროპა არ ცნობდა. 3. ყარსის ხელშეკრულებაში მოხსენიებულ თურქულ ტერიტორიებს საფუძვლად უდევს ოსმალეთის დიდი კრების მიერ განსაზღვრული ტერიტორიები, რომელშიც ართვინი და მიმდებარე ტერიტორიები არ შედიოდა.

ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობა, მოითხოვდა რა აჭარის ავტონომიის გაუქმებას, ხელმძღვანელობდა ახალი ისტორიული რეალობით; კერძოდ, 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულება დაიდო ოსმალეთის იმპერიასა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის, ხოლო რატიფიკაციის დროს (1921 წლის 20 ივლისს) იყო საბჭოთა კავშირში შემავალი საბჭოთა რესპუბლიკა. ვინაიდან, არსებულ ისტორიულ ვითარებაში, აღარც ერთი პოლიტიკური სუბიექტი არ არსებობდა, ხელშეკრულებას, ავტომატურად ძალადაკარგულად მიიჩნევდა. **პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლება, არც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და არც საბჭოთა კავშირში შემავალ საბჭოთა რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეს არ წარმოადგენდა.**

შევარდნაძე-დემირელს შორის დადებული 1992 წლის 30 ივლისის ხელშეკრულება, შესაბამისი აქტით ბათილად გამოაცხადა ზვიად გამსახურდიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ (დადგენილება იხ. ქვემოთ), რითაც მკვეთრი პასუხი გაეცა ჰამლეტ ჭიპაშვილის რუტინულ კითხვას: „დავუშვათ (თუმცა დაშვება აბსურდის ტოლფასია) ყველა ჩამოთვლილი ვარიანტი გამართლდა და ხელშეკრულება (ყარსის – **ლ.ც.**) მართლაც ისტორიას ჩაბარდა, რა ვუყოთ 1992 წლის 30 ივლისის ფართომასშტაბიან „საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობის და კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულობას“?

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკებისა და ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობასთან, რუსეთის ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მონაწილეობით დადებული **1921 წლის 13 ოქტომბერს** და საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ **1992 წლის 30 ივლისს გაფორმებული ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულებების ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ცნობის შესახებ.** ....1. ქართული მხარე ცნობს ბათილად, იურიდიული ძალის არმქონედ

სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების არალეგიტიმური მთავრობების მიერ ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობასთან რუსეთის მონაწილეობით დადებულ 1921 წლის 13 ოქტომბრის არალეგიტიმურ, არაკონსტიტუციურ ხელშეკრულებას და ყოველგვარ ვალდებულებას იხსნის მის შესრულებაზე; 2. საქართველოს რესპუბლიკის არალეგიტიმური მთავრობისა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის **1992 წლის 30 ივლისის ხელშეკრულება გამოცხადდეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ**, როგორც ანტიკონსტიტუციური აქტი; 3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტისა და ამავე წლის 17–18 აგვისტოს დადგენილებებიდან, 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, რომლის საფუძველზეც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია განისაზღვროს 1918 წლის 26 მაისის მდგომარეობით, რომელიც აღიარებულია ერთა ლიგის მიერ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო,
თბილისი, 2005 წლის 21 ოქტომბერი.

სხვა მოსაზრება

ყარსის ხელშეკრულების „საიდუმლო“

14 ივლისი 2018

მაშ ასე, იცოდეთ, რომ ხელშეკრულებაში ერთი სიტყვითაც კი, არ არის დაშვებული თურქეთის მიერ აჭარის მისაკუთრების რაიმე ფორმა. არც რაიმე პირობაა დათქმული, რომლის დარღვევის შემთხვევაში თურქეთს უფლება აქვს აჭარა მიიერთოს. პირიქით, 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებით, თურქეთმა საქართველოს სუზერენიტეტი აღიარა აჭარაზე. ანუ აღიარა საქართველოს სრული იურისდიქცია ბათუმსა და მის ოლქზე. რუსული პროპაგანდა კი, ქართული საზოგადოების დასაშინებლად, წლების მანძილზე საფრთხობელას მსგავსად 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებას იყენებს. კრემლი მუდმივად იმეორებს, რომ ყარსის ხელშეკრულება, თურქეთს, ბათუმისა და მთლიანად აჭარის რეგიონის მიერთების საშუალებას აძლევს და თუ არა რუსეთი, თურქები ადვილად გადაყლაპავდნენ მთელ აჭარას. არადა, ყარსის ხელშეკრულებაში მსგავსი არაფერი წერია და ეს მხოლოდ რუსული პროპაგანდის მიერ მოგონილი მორიგი ტყუილია. რუსული ტყუილის გამოაშკარავება, მარტივად თავად ხელშეკრულების ტექსტის მეშვეო-

ბით შეიძლება. რა წერია ყარსის ხელშეკრულებაში, რომელიც 1921 წლის 13 ოქტომბერს დაიდო?

რუსეთის შუამავლობით, ხელშეკრულებას ერთის მხრივ ხელს აწერენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მთავრობები (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) და მეორეს მხრივ თურქეთი. ეს ხელშეკრულება, 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის დადებულ შეთანხმებას იმეორებდა, რომელიც ამიერკავკასიაში გავლენის სფეროების განსაზღვრას ეხებოდა. 16 მარტის შეთანხმების ხელმოწერამდე, საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის, ამ თემაზე მოლაპარაკება რამდენიმე თვე მიმდინარეობდა. ანუ, საბჭოთა რუსეთი წინასწარ, საქართველოს ოკუპაციამდე გაურიგდა თურქეთს საქართველოს ტერიტორიის გადანაწილებაზე.

მეექვსე მუხლი, რომელიც უშუალოდ ეხება საქართველოს: „თურქეთი თანხმდება საქართველოს დაუთმოს სუზერენიტეტი ქალაქ ბათუმზე და ბათუმის ნავსადგურზე და იმ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლში მითითებული საზღვრის ჩრდილოეთით და შეადგენს ბათუმის ოლქის შემადგენელ ნაწილს, შემდეგი პირობით:

1. ამ ადგილის მოსახლეობა, რომელიც მითითებულია ამ მუხლში, ისარგებლებს ფართო ადგილობრივი ავტონომიით, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული თემის კულტურულ და რელიგიურ უფლებებს და მოსახლეობას უფლება ექნება შემოიღოს მიწის კანონი საკუთრი შეხედულების მიხედვით;

2. თურქეთს გარანტირებული ექნება ბათუმის ნავსადგურში თავისუფალი სატრანზიტო მოძრაობა სხვადასხვა ტვირთებზე, რომლებიც იგზავნება თურქეთში, ან პირიქით, ყოველგვარი შეფერხების, ბაჟისა და სხვადასხვა გადასახადების გადახდის გარეშე.

მეშვიდე და მერვე მუხლში, საუბარი ეხება სასაზღვრო ზონაში მცხოვრები მოქალაქეებისთვის გამარტივებულ სასაზღვრო მიმოსვლას და საძოვრებზე საქონლის შეუფერხებელ გატარებას ორივე მხარეს. სულ ეს არის. ხელშეკრულებაში ერთი სიტყვითაც კი არ არის დაშვებული თურქეთის მიერ აჭარის მისაკუთრების რაიმე ფორმა. არც რაიმე პირობაა დათქმული, რომლის დარღვევის შემთხვევაში თურქეთს უფლება აქვს აჭარა მიიერთოს.

წყარო: *https://www.infoarmy.ge/ge/news/19/yarsis-khelshekrulebis-saiduml*

„სამოქალაქო ომად“ შერაცხული ინტერვენცია

რუსეთის სატრაპი ე.შევარდნაძე, ცდილობდა რა დაეფარა ან შეენიღბა თავისი სახელმწიფოებრივი დანაშაული ერისა და ქვეყნის წინაშე, დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებას „სამოქალაქო ომად“ რაცხდა. იყო თუ არა 1991-92 წ.წ. „სამოქალაქო ომი“ ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამდე კი მოკლედ შევეხებით გადატრიალების შემდგომ პერიოდს.

კანონიერი ეროვნული ხელისუფლების დამხობის უმალ, მთელ საქართველოში დაიწყო ხუნტის ხელისუფლების, ანუ წითელი დემოკრატების წინააღმდეგ საერთო სახალხო აჯანყებები და საპროტესტო გამოსვლები. ხუნტის ლიდერები: იოსელიანი, კიტოვანი, ყარყარაშვილი ხვრეტდნენ ყველა საპროტესტო მიტინგებს. იოსელიანი სპეციალური განცხადებითაც დეკლარირებდა:

21—27 МАЯ 1992 Г. **№ 44**

გაფრთხილება!

ყველა უკანონო მიტინგი იქნება დარბეული, ვინც წინააღმდეგობას გაგვიწევს — ტყვიას ვესვრით!

ჯაბა იოსელიანი,

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

გაზეთი „დრონი“.

პროტესტმა, ძირითადად, სამეგრელოს მხარე მოიცვა. დაუმორჩილებლობა და მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლები იმართებოდა გროზნოდან პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ, რაც მოტივირებული იყო მტრის კლანჭებიდან ქვეყნის გამოხსნითა და ტოტალური ეროვნული კატასტროფის თავიდან აცილებით. პოლიტიკური და შეიარაღებული დაუმორჩილებლობის ცენტრი გახდა ქ. ზუგდიდი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვახტანგ (ლოთი) ქობალია. შეიარაღებულ დაუმორჩილებლობაში, გარდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისა, მონაწილეობდნენ მეომრები თბილისიდან, კასპიდან, თელავიდან, ყვარლიდან, გურჯაანიდან, თიანეთიდან, მცხეთიდან, გორიდან... საქართველოს ყველა რაიონიდან. სახალხო აჯანყე-

ბას ხუნტისტი უზურპატორები ბანდიტურ-ტერორისტულ დაჯგუფებად მოიხსენიებდნენ, რათა ამგვარი კვალიფიკაციით გაემართლებინათ ეგზეკუციები და სამხედრო ლაშქრობები სამეგრელოს მოსახლეობის წინააღმდეგ. ხუნტა – იოსელიანის, ყარყარაშვილის, კიტოვანის შეიარაღებული ძალებით და სამოქალაქო დაჯგუფება „თბილისელებით“, ლაშქრავდა რა სამეგრელოს რაიონებს, თავს ესხმოდა მშვიდობიან მოსახლეობასაც, იჭრებოდნენ სამშობიარო და სამკურნალო დაწესებულებებშიც. ისინი ძარცვავდნენ ხალხს, აუპატიურებდნენ, უჩანაგებდნენ ოჯახურ მეურნეობებს, აწამებდნენ და კლავდნენ ოჯახის წევრებს. ჯაბა იოსელიანი არ მალავდა სიძულვილს მეგრელების მიმართ და ხმამაღლა აცხადებდა:“მეგრელები უნდა ამოწყვიტო და ამ მიწაზე სხვები დაასახლო!“ იოსელიანის მარჯვენა ხელი, თადარიგის პოლკოვნიკი დოდო გუგეშაშვილი, ტოლს არ უდებდა მამაკაც მებრძოლებს სამეგრელოს აწიოკებასა და დალაშქვრაში. ჯაბა იოსელიანის განკარგულებით გუგეშაშვილმა და მისმა რაზმმა მთლიანად გადაწვეს სამეგრელოს სოფლები დარჩელი და ბედია, ამოხოცეს მოსახლეობის ნაწილი, რის გამოც მათ უზენაესმა სასამართლომ 1995 წელს 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ჯაბა იოსელიანი და დოდო გუგეშაშვილი, 5 წელიწადში, შევარდნაძის შეწყალების აქტით გათავისუფლდნენ პატიმრობიდან.

სამეგრელოს დამსჯელ ოპერაციებში, შევარდნაძის თხოვნით, აგრეთვე მონაწილეობდნენ რუსეთის ჯარები; ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 5 ვეტმფრენი, 1992 წლის 6 ივლისს თავს დაესხა წალენჯიხის მოსახლეობას და ჰაერიდან დაცხრილა აღნიშნული სოფელი, რომლის მოსახლეობა, შეიარაღებული წინააღმდეგობით თავს იცავდა ხუნტის აგრესიისაგან. შევარდნაძემ, რუსეთის ჯარითა და „მხედრიონის“ ბანდებით, გააჩაღა ომი საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ მათ დასაჩოქებლად, რამაც იმსხვერპლა მრავალი მოსახლე, დაიბომბა სკოლები, გადაიწვა სოფლები. ეს იყო ნამდვილი სისხლიანი ტერორი და გენოციდი სამეგრელოს მოსახლეობისა. „მხედრიონი“, გარდა მკვლელობებისა, ძარცვავდა სამეგრელოს სოფლებს. სამეგრელოს მოსახლეობამ დაიწყო სოფლების დატოვება მოხუცებითა და მცირეწლოვანი ბავშვებით.

რუსეთის სახელმწიფოს ტელეკომპანია „ოსტანკინო“, დასავლეთ საქართველოში ამიერკავკასიის ჯარის მონაწილეობას ხსნიდა ლოკალური კონფლიქტის დარეგულირების აუცილებლობით, რომლის გამღვივებლად ჩეჩნეთში მყოფ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ასახელებდა. ზვიად გამსახურდია, საპროტესტო განცხადებებით პასუხობდა კრემლს სამხედრო აგრესიის წარმოებისა და დეზინფორმაციების გავრცელებისათვის და მოითხოვდა სამხედრო აგრესიის შეწყვეტას.

გია ჭანტურია უპატაკებდა მოსკოვს: „ცხენისწყალი გადავლახეთ და მალე ზუგდიდსაც ავიღებთ“. ჟურნალისტებისათვის სპეციალურად გამართული პრეს-კონფერენცია მოსკოვში 1992 წლის იანვარში.

სამეგრელოს ეგზეკუციებში, ოჯახებში შეჭრასა, გაუპატიურებასა და მკვლელობებში მონაწილეობდა თენგიზ კიტოვანის გვარდიელებიც, რომლის წევრი გახლდათ კიტოვანის ბიძაშვილი – **ვალერი (ოქრო) კიტოვანი**, მცხოვრები თბილისში, მაჩაბლის ქ. №11-ში. სამეგრელოს ომიდან დაბრუნებული იგი სიამოვნებით იკვეხნიდა მეგრელების ხოცვასა და გაუპატიურებას.

სამეგრელოს, ურჯულო გარეშე მტერივით მოოხრებას, ნიშნისგებით ამართლებდა შევარდნაძე: „სწორია, რომ შევედით სამეგრელოში. ეს ჩვენ ადრე უნდა გაგვეკეთებინა. ყველამ უნდა მიიღოს საკადრისი პასუხი, ჩვენ უნდა გავანადგუროთ პროვინციული ფაშიზმი და განვახორციელეთ კიდეც. როდესაც ბოროტ ძალას ებრძვი, ზედმეტია წუწუნი გაუპატიურებაზე და მსხვერპლზე, მე მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამ ოპერაციაში მონაწილეობა მიიღო“.

1992 წლის 6 ივლისს „მხედრიონელებმა“ წალენჯიხის სკოლა-ინტერნატზე თავდასხმის დროს დახვრიტეს: გულად ღვინჯილია, როინ დარსანია, ვახტანგ ქანთარია, ნუგზარ ძვაბავა, ჯემალ კარტოზია, ბიჭუნა შენგელია, პავლუშა გაბედავა, გოჩა ლომია და ონისე შონია. ზუგდიდის ცენტრში დედის თვალწინ დახვრიტეს ახალგაზრდა არქიტექტორი გოჩა ჯიქია, რომელიც დედის ერთადერთი შვილი გახლდათ.

მეგრელი შაოსანი დედები, 1993 წელი

სამეგრელოს ასაკლებად თბილისიდან მიმავალი „მხედრიონელები“ გზად მანქანებში მიიმღეროდნენ: „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა, ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდა“.

ხობის გამგებელმა (მილიციის გენერალი) **თემურ გერგაიამ,** „მხედრიონელებს“, მხატვარი ვახტანგ ნოდია ხობში შეაპყრობინა. ზვიად გამსახურდიას მხატვრული ტილოს შექმნისთვის მას მკლავი დაუჩეხეს. ნაწამებ მხატვარს კი, თავად გერგაიამ, წიხლი ჰკრა და ხობის ამომშრალ აუზში თავით გადააგდო, სადაც მხატვარს მოწამეობრივად აღმოხდა სული.

სამეგრელოს ასაკლებად (გარდა „მხედრიონელებისა“ და „თბილისელებისა“), პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობისა და საქართველოდან განდევნისთანავე, დაიძრა კიტოვანისა და ყარყარაშვილის შენაერთები. ყარყარაშვილმა, ზუგდიდში კომენდანტის საათი გამოაცხადა. მისი კომენდანტობის დროს დახვრიტეს, სწორედ 24 წლის **გოჩა ჯიქია** მოშვებული წვერის გამო. მას შემდეგ, ყარყარაშვილი კიდევ ორჯერ ჩავიდა სამეგრელოში, რათა საბოლოოდ მიწასთან გაესწორებია სამეგრელო. ამ პერიოდში ვრცელდებოდა მათ მიერ გადმოცემული ინფორმაციები ხუნტის ტელევიზიით: „ავიღეთ აბაშა“, „ავიღეთ სენაკი“, ავიღეთ ხობი“... მაგრამ მესამე ლაშქრობის დროს, ყარყარაშვილი ტყვედ აიყვანეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა. ტყვე ყარყარაშვილი, ლოთი ქობალიას მიერ მალევე იქნა გათავისუფლებული.

1993 წლის 18 ოქტომბერს, ქუთაისის მერის **თემურ შაშიაშვილის** ისტერიული მოხმობის შედეგად, ჯაბა იოსელიანი, თავისი შეიარაღებული „მხედრიონით“ შევიდა ქუთაისში. თემურ შაშიაშვილის ისტერიკების მიზეზი გახდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გვარდიის გუბისწყალთან მიახლოება. მრავალჯერადი სატელევიზიო გამოსვლებით, შაშიაშვილი მოუწოდებდა ცენტრალურ ხელისუფლებას ქუთაისის დაცვასა და გამაგრებას. გუბისწყალთან, პრეზიდენტის გვარდიამ უკან დაიხია, თუმცა სახელისუფლო ჯარები მაინც ახორციელებდნენ საბრძოლო დარტყმებს სამტრედიისა და სამეგრელოს მიმართულებით. გაჩნდა მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.

1993 წლის 7 ნოემბერს, ზუგდიდში, შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა კვირაიამ, ნასვამ მდგომარეობაში, შევარდნაძის თანდასწრებით (“მოროდიორობის“ ცრუ ბრალდებით), ხელის ტყვიამფრქვევით დახვრიტა მიწაზე განრთხმული ექვსი უდანაშაულო ახალგაზრდა (ერთი მათგანი, გვარად ჩაჩანიძე გადარჩა, მაგრამ დაჭრილი ჩაჩანიძე კვირაიამ, სწორი ჩვენების მიცემის გამო მალევე დააპატიმრა და მას 9 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს). ეს ახალგაზრდები(მათ შორის, ერთი 16 წლის, რომელიც

ეხვეწებოდა: „მე უდანაშაულო ვარ, ბიძია, არ მომკლაო“) სხვადასხვა ადგილებიდან (სახლებიდან) გამოიყვანეს. მათი საჯარო მკვლელობით, კვირაიამ, მოსახლეობის დაშინების მიზნით, ზუგდიდის ცენტრში საჩვენებელი დახვრეტა მოაწყო. ამ ფაქტის გამო დეპუტატმა თორნიკე ფიფიამ, ხმაურიანი პროტესტით დატოვა პარლამენტი; იგი 1992-95 წ.წ. პარლამენტში, მართალია წერეთლის „ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის“ სიით იყო მოხვედრილი, მაგრამ ზვიადის ხელისუფლების სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეობა არ მიუღია; იგი, ზვიადისა და მერაბის ყოფილ თანამებრძოლად თვლიდა თავს, თუმცა ზვიადის ხელისუფლების ოპონენტი კი იყო. თორნიკე ფიფია გახლდათ ძმა სახელმწიფო მეთაურის, შევარდნაძის აპარატის რეგიონალური მართვის უფროსის, თემურ ფიფიასი (თსუ-ს ლექტორი), რომელიც მკვეთრად იყო დაპირისპირებული ზვიად გამსახურდიასთან. მისი ძმის მიერ პარლამენტის პროტესტით დატოვებამ საფრთხე შეუქმნა მის თანამდებობას.

შევარდნაძის, აწ უკვე უშიშროების მინისტრი შოთა კვირაია, 1997 წელს კიდევ ერთ „სკანდალში“ გაეხვა; იგი, გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორის, **ნოდარ გრიგალაშვილის** მიერ, მისი სატელეფონო საუბრების მოსმენებში იქნა მხილებული, რაზედაც შევარდნაძის რეაქცია ასეთი იყო: „არ არსებობს იმაზე უფრო ამაზრზენი მოვლენა, ვიდრე სატელეფონო საუბრების მოსმენაა“. შევარდნაძის ამგვარმა განცხადებამ ცხადჰყო, რომ კვირაია განწირული იყო.

უშიშროების მინისტრ კვირაიას დასაცავად აღდგა ცნობილი წითელი ინტელიგენცია, რომლებმაც კოლექტიური წერილით მიმართეს შევარდნაძეს, რითაც თითოეულმა მათგანმა საჯარო თვითლუსტრირება მოახდინა. კვირაიას ქება-დიდების შემცველი ვრცელი წერილიდან, შევარდნაძისადმი, ორ ამონარიდს მოვიყვანთ მხოლოდ: „ბატონო პრეზიდენტო... ამ ბოლო დროს პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებებით ხშირად ლანძღავენ ხელმძღვანელ მუშაკებს. სადღეისოდ მიზანში ამოიღეს ბატონი შოთა კვირაია“... „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბატონი შოთა კვირაიას წინააღმდეგ მიმართული კამპანია, რასაც უდიდესი მონდომებითა და ენთუზიაზმით ეწევიან, გამიზნულია ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ... შეულახონ ავტორიტეტი ბატონ შოთა კვირაიასა და მთელ სამინისტროს“... გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ ამ მიმართვას ხელს აწერენ:

ჭაბუა ამირეჯიბი – მწერალი
ვალერი ასათიანი – კულტურის მინისტრი
რევაზ ამაშუკელი – პოეტი
კახი ასათიანი – სპორტისა და ტურიზმის დეპ.თავ-რე

ვაჟა აზარაშვილი – კომპოზიტორი
ნანი ბრეგვაძე – საქ. სახ. არტისტი
ნატალია ბურმისტროვა – საქ. სახ. არტისტი
კოტე მახარაძე – საქ. სახ. არტისტი
სოფიკო ჭიაურელი – საქ. სახ. არტისტი
ნოდარ მგალობლიშვილი – საქ. სახ. არტისტი
გურანდა გაბუნია – საქ. სახ. არტისტი
არჩილ სულაკაური – მწერალი, ჟურნალ „მნათობის" რედ.
შოთა ნიშნიანიძე – პოეტი
გურამ ფანჯიკიძე – მწერალი, მწერალთა კავშირის თავ-რე
რამაზ ხუროძე – ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი
ნაპოლეონ ქარქაშაძე – აგრარული უნივერსიტეტის რექტორი
რამაზ ჩხიკვაძე – საქ.სახ.არტისტი
ვახტანგ სართანია – სულხან-საბას სახ.პედ.ინსტ. რექტორი
ნ. გიორგობიანი – სომხური თეატრის დირექტორი
გ. პაქსაძე – გრიბოედოვის თეატრის დირექტორი
გიორგი ქავთარაძე – გრიბოედოვის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი
მერაბ ჟორდანია – ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი
დავით ყიფიანი – ფეხბურთელთა ერ.ნაკრების მთ. მრწვთნელი
ჯანსუღ ჩარკვიანი – პოეტი
ირაკლი ჭუმბურიძე – კარდიოლოგი, აკადემიკოსი

კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, შოთა კვირაიას დასაცავი მიმართვის შემდგენელი **ჯანსუღ ჩარკვიანი** იყო. ჯანსუღმა, გაზეთში გამოქვეყნებამდე, წინასწარ გააცნო ტექსტი და ხელმოწერებიც უშიშროების მინისტრ შოთა კვირაიას. აკი, მწერალთა კავშირის წევრთა შორის ჩარკვიანს, ტრანსფორმირებული სახელით **ჯანსუ(ღ)კით** მოიხსენიებდნენ, ისევე, როგორც მეორე პოეტ რეზოს, გვარით **ამა(შ)სუკელით.**

სისასტიკე და ეგზეკუციები კი კიდევ უფრო ამძაფრებდა სამეგრელოს მოსახლეობის სიძულვილს შევარდნაძის ხუნტისტური ხელისუფლების მიმართ. სამეგრელოს აჯანყების პარალელურად – კანონიერი ხელისუფლების აღდგენისა და ხუნტის გადადგომის მოთხოვნით – საპროტესტო მასობრივი გამოსვლები იმართებოდა საქართველოს მსხვილ ქალაქებში: თბილისში, გორში, ყვარელში, რუსთავში, გურჯაანში, თელავში, ქუთაისში, სამტრედიაში, ოზურგეთში, ბათუმში, აბაშაში, ფოთში, ზუგდიდში, სოხუმში. მშვიდობიან საპროტესტო გამოსვლებს ყველგან იარაღით ახშობდა ხუნტა. მიტინგების ორგანიზატორებს კი აპატიმრებდნენ. ხოლო, დაპატიმრებულთა ოჯახის წინააღმდეგ ახორციელებდნენ რეპრესიებ-

სა და ტერორს; მათ ათავისუფლებდნენ სამსახურებიდან, ართმევდნენ მიწის ნაკვეთებს, დევნიდნენ ბაზრებიდან.

მიუხედავად ყველაფრისა, ქართველი ერი – მისი უდიდესი უმრავლესობა არ ურიგდებოდა და არ ეპუებოდა შევარდნაძის ხუნტისტურ-ანტიეროვნულ ხელისუფლებას და კვლავაც განაგრძობდა ბრძოლას კანონიერი ეროვნული ხელისუფლების აღდგენისთვის. 1992-93 წ.წ. აჯანყება და მასობრივი საპროტესტო გამოსვლები, საბოლოოდ, სისხლში იქნა ჩახშობილი. ქვეყანაში გაჩნდნენ სამხედრო ტყვეები და პოლიტპატიმრები, რომლებსაც, შევარდნაძის რეპრესიული რეჟიმი ციხეებში აწამებდა. ზოგიერთ მათგანს ციხეებში წამებით ამოხადეს სული. ხოლო, მოკლულ პატიმრებს კი ოჯახებს იმ პირობით ატანდნენ, თუ მდუმარედ და მალევე დამარხავდნენ პატრონები.

როდესაც რეალური გახდა საფრთხე აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან მოწყვეტისა და СНГ-ში შეყვანით საქართველოს სრული დამოუკიდებლობის დაკარგვის, 1993 წლის 24 სექტემბერს, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, საქართველოში დაბრუნდა. კრემლისათვის ძნელი მისახვედრი არ იყო ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნების მიზანი.

ამ ფაქტით შეშფოთებულმა კრემლმა გააძლიერა სამხედრო დახმარება შევარდნაძის ხელისუფლებისათვის. შეშფოთებულმა ვაშინგტონმა სახელმწიფო მდივანი ქრისტოფერი სასწრაფოდ და საგანგებოდ აფრინა მოსკოვში, რათა მიეღოთ გარანტია, რომ რუსეთის არმია ნამდვილად დაიცავდა შევარდნაძეს. ამერიკელი გოლცი წერს: „მე დავუკავშირდი თბილისს და მაქვს ინფორმაცია, რომ რუსული ჯარები, არათუ შევიდნენ, არამედ უტევენ კიდევაც ტანკებით გამსახურდიას მომხრეებს“.

საქართველოს დევნილი პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი გაზეთ „ალიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში ვრცლად განიხილავს რა „სამოქალაქო ომისა“ და პრეზიდენტ გამსახურდიას დაბრუნების თემას, დაწვრილებით ჩამოთვლის, თუ რა სიმძლავრის რუსული შენაერთები უტევდნენ მათ: „ეს იყო რუსეთისა და უკრაინის გაერთიანებული სამხედრო ფლოტი ადმირალ ბალტინის მეთაურობით: სამი ფრეგატი – ფლოტის ფლაგმანი „ოლშანსკი“, „კუნიკოვი“ და „69“; ორი მოიერიშე – „პიტლოვი“ და „სდერჟანნი“, ორი „ესმინეცი“ და სამი სადესანტო ხომალდი... საინტერვენციო ფლოტის სადესანტო ხომალდებმა ფოთსა და ანაკლიაში გადმოსხეს 40 ერთეული ჯავშანტექნიკით გაძლიერებული საზღვაო ქვეითი ჯარის ორი ბატალიონი... გადმოსროლილი იყო 40-მდე უახლესი მძიმე ტექნიკა საქართველოში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზებიდან.

სამხედრო ტაქტიკურ ოპერაციებს კი ახორციელებდა რუსეთიდან ავიაციის დესანტირებული „ძერჟინსკის დივიზიის“ პოლკი 1200 მებრძოლით. სამხედრო ოპერაციებში... მონაწილეობდა, აგრეთვე სომხეთიც“.

ზვიად გამსახურდიასა და მისი მომხრეების გასანადგურებლად რუსეთის სამხედრო დახმარებას მოწმობს ჯაბა იოსელიანიც, რომ სოხუმის ჩაბარების შემდეგ შევარდნაძე, ვიცე-პრემიერ **ავთანდილ მარგიანთან** და მთელ მინისტრებთან ერთად ჩადის ქუთაისში, სადაც ხვდება რუს ადმირალ ედუარდ ბალტინს, უთანხმდება, რომ ბალტინი ფოთში შემოიყვანს სამხედრო გემებს. შევარდნაძე საქმიან ურთიერთობებს ამყარებს რუსებთან, უკრაინელებთან, სომხებთან. რუსები ჰპირდებიან, რომ მისცემენ ტანკებს თავისი ეკიპაჟებით. მობილიზაციას უკეთებს ყველა უწყების ხელმძღვანელს და აყენებს ლოზუნგს „ყველაფერი ომისათვის!“ რაც გულისხმობს ომს ზვიად გამსახურდიასა და მისი მთავრობის წინააღმდეგ, ვინაიდან, აფხაზეთის ომი, ამ დროისათვის დამთავრებული იყო.

2002 წელს პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ედუარდ ბალტინი იხსენებს: „...სევასტოპოლში გამოჩნდა შევარდნაძის ნდობით აღჭურვილი პირი ლეონარდო დევდარიანი, რომელმაც გამსახურდიასაგან საქართველოს გათავისუფლება ითხოვა... ვურეკავ ლეონიდ კრავჩუკს (უკრაინის მაშინდელი პრეზიდენტი)... ვიცოდი, რომ ელცინს ვერ დავურეკავდი, ამიტომაც პატაკი პავლე გრაჩოვს ჩავაბარე... არმადით გამოვცხადდი 4 ნოემბერს ფოთში... 30 წუთში დავიკავეთ ფოთი... ზვიადისტები დაბნეული იყვნენ და გარბოდნენ... შემდეგ ჯავშანტექნიკა შეიჭრა სენაკის აეროპორტში. ერთ კვირაში მივედით ენგურამდე. სადაც შევდიოდით, ყველგან შევარდნაძის ხელისუფლება ცხადდებოდა... ძალიან დაგვეხმარა ქართული ტელევიზია და რადიო... ისინი მოსახლეობას მორჩილებისაკენ მოუწოდებდნენ... მე მთხოვდნენ მივსულიყავი ქუთაისში, თბილისში, მაგრამ ხომ არ შემეძლო არასანქცირებულად მეომა მთელ კავკასიაში?... მაშინდელი ჩვენი ხელისუფლების სურვილი რომ ყოფილიყო, ფოთი მთლიანად ჩვენი გახდებოდა... ქართველები პირდაპირ მაბარებდნენ ფოთს და ითხოვდნენ, რომ იქ ფლოტი მუდმივი ბაზირებით დაბრუნებულიყო. შევარდნაძემ ოთხი ოთხმოცბინიანი საცხოვრებელი კორპუსი მიჩვენა... რათა იქ ოფიცრები და მიჩმანები ჩასახლებულიყვნენ...“

ცნობილი ქართველი მოჭადრაკე **ნონა გაფრინდაშვილი,** სხვადასხვა გაზეთებში(„საერთო გაზეთი“, „ასავალ-დასავალი“, „ქრონიკა“), მხილებულ იქნა ადმირალ ბალტინთან თანამშრომლობაში და ფულად გარიგებაში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. კერძოდ, რომ სწორედ ნონა გაფრინდაშვილმა, ე. შევარდნაძის დავალებით ჩაუტანა ფოთში ბალტინს 250 მი-

ლიონი დოლარი 1993 წლის ოქტომბერს ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ საბრძოლველად. პირველ ამგვარი პუბლიკაციის ავტორს, მწერალ ნოდარ კობერიძეს, გაფრინდაშვილი, „ცილისწამებისათვის“ სასამართლოთი დაემუქრა, რისთვისაც მან ადვოკატად არჩილ კბილაშვილი (შემდგომში „ოცნების“ პროკურორი) დაიქირავა, მაგრამ კბილაშვილსა და ნოდარ კობერიძეს შორის საუბრის შემდგომ ისინი იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ სასამართლოში უპერსპექტივო დავაზე და ეს მხოლოდ საგაზეთო მუქარად დარჩა.

ახლა – მოკლედ ისიც ნათელვყოთ, თუ რატომ იყო პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია რუსეთ-ამერიკისათვის ესოდენ მიუღებელი. თუმცა, აშშ-ს კონგრესში არსებობდა სენატორ ჯონ მაკ-კეინის ჯგუფი, რომლებიც სოლიდარული იყვნენ ზვიად გამსახურდიას მიმართ. ვაშინგტონის კაპიტოლიუმზე მათ, საქართველოს სახელმწიფო დროშაც კი აღმართეს, პრეზიდენტ გამსახურდიას მხარდასაჭერად.

1989 წლის 2-3 დეკემბრის მალტის საიდუმლო პაქტით აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უფროსი) და სსრკ-ს უმაღლესი ხელისუფალი მიხეილ გორბაჩოვი გარიგდნენ რა „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შემოღებაზე, შეთანხმდნენ: სსრკ-ს მხრიდან აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიების დათმობის სანაცვლოდ, დამოუკიდებლობის მოსურნე რესპუბლიკების მიმართ, კრემლის მხრიდან სამხედრო ძალის გამოყენების შემთხვევაში, ამერიკა არ ჩაერეოდა. ამერიკას, ცხადია, რომ ჩვეული ძველი ინერციით უფრო ეადვილებოდა ერთიან საბჭოთა სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობა, ვიდრე სრულიად ახალ პოლიტიკურ რეალობასთან შეგუება – 14 დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულთან, დიპლომატიური კავშირები, ცალ-ცალკე. ყოველივე აქედან გამომდინარე, კიევში ვიზიტისას, უფროსმა ჯორჯ ბუშმა ღიად და დაუფარავად განაცხადა, რომ „ამერიკელები მხარს არ დაუჭერენ მათ, ვისაც სურთ დამოუკიდებლობა!“ საკუთრივ ზვიად გამსახურდიას კი ასეთი შეფასება მისცა: „ეს არის კაცი, რომელიც მიცურავს დინების საწინააღმდეგოდ... ის უნდა მიჰყვეს დინებას და გაიგოს, რა ხდება მსოფლიოში“. ანუ, პირდაპირ მიუთითა ერთგვაროვანი „ახალი მსოფლიო წესრიგისკენ“, რომელსაც, სწორედაც რომ, თავისი მსოფლმხედველობითა და იდეურ-პოლიტიკური მრწამსით მედგრად უპირისპირდებოდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, თავისუფლებისმოსურნე ქართველ ერთან ერთად. ეს კი აშფოთებდა და აღელვებდა მოსკოვსა და ვაშინგტონს. ნიშანდობლივი და მეტყველი ფაქტია, რომ უფროსი ჯორჯ ბუში ერთადერთი პრეზიდენტი იყო, ამერიკისა და მსოფლიო პრეზიდენტთაგან, რომელსაც წარსულში (1976 წელს) ცერეუ-ს დირექტორის მაღალი თანამდებობა ეკავა.... ამადაც – „თუ საქართველო გავა საბჭოთა კავშირიდან – იგი გავა აფხაზეთისა

და სამხრეთ ოსეთის გარეშე!“ – ისმოდა გორბაჩოვის მუქარა-ვერდიქტიც ურჩი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მისამართით.

ამერიკის მოქალაქე 1971 წლიდან, ინდიანას შტატის უნივერსიტეტის პროფესორი დოდონა კიზირია ასკვნის, რომ: "რუსეთისათვის და ამერიკისთვის მთავარი ხელისშემშლელი გარემოება გახლდათ ქართველთა უდიდესი ერთსულოვნება ეროვნული იდეის, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ეროვნული აღორძინების ირგვლივ. საჭირო იყო ამ იდეის ჩაკვლა, საზოგადოების გახლეჩა... საჭირო იყო ქართველი ერი მოეცვა სრულ სასოწარკვეთას, ანუ თავს უნდა დატყდომოდა ისეთი ტრაგედია, რომელიც საბოლოოდ გატეხდა მის სულისკვეთებას. ეს ტრაგედიაც მალე მოვიდა ჯერ თბილისის, შემდეგ აფხაზეთის ომების სახით, რომელმაც შეიწირა ქართველების სულიერი, ზნეობრივი, ფიზიკური ენერგია და რესურსი".

ამ სტრატეგიული გეგმის რეალიზაციისათვის, იმ პერიოდის ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ისტებლიშმენტსა და რუსეთს, საქართველოში სჭირდებოდა ისეთი სასურველი სახელმწიფო მეთაურის დასმა, როგორიც იყო ე. შევარდნაძე.

და აი, 1992 წლის 7 მარტს შევარდნაძე დაფრინდა თბილისის აეროპორტში, რომელსაც თან ახლდნენ, მოსკოვში, შევარდნაძის ჩამოყვანის საგანგებო მისიით მივლინებული ჟურნალისტი ვალერი კვარაცხელია და ადვოკატი ქართლოს ღარიბაშვილი. შევარდნაძეს აეროპორტში პირგაბადრული დახვდნენ: **სოფიკო ჭიაურელი, კოტე მახარაძე, გიგა ლორთქიფანიძე, გოგა ხაინდრავა, ოთარ მეღვინეთუხუცესი, მერაბ კოკოჩაშვილი, გოგი ქავთარაძე, რეზო ჩხეიძე, ელდარ შენგელაია, გრიგოლ ონიანი, ნოდარ ლომოური, ლევან სანიკიძე, რომან გვენცაძე, თენგიზ ეპიტაშვილი** (საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოფიცერი, შემდგომში — შევარდნაძის საქართველოს სასაზღვრო ჯარების მთავარი შტაბის უფროსი), **ჯაბა იოსელიანი, გია ჭანტურია, ავთანდილ მარგიანი, კოტე გაბაშვილი, ვაჟა ადამია, ჯანსუღ ჩარკვიანი...** სწორედ მათ მიმართა შევარდნაძემ აეროპორტში მადლობის სიტყვით: „მადლობა ინტელიგენციას, რომელიც გამოფხიზლდა, მართალია გვიან და მიხვდა... და იარაღი აიღო ხელში დიქტატურის დასამხობად“.

შევარდნაძის მადლიერებას მოგვიანებით გამოეხმაურა მწერალი რეზო მიშველაძე, რომელმაც დაადასტურა, რომ ინტელიგენციას და ზოგიერთ

მწერალს იარაღი ეჭირა ზვიადის დასამხობადო: „ბატონი ედუარდი მართალი იყო იმაში, რომ რამდენიმე ინტელიგენტმა მართლაც აიღო ხელში იარაღი... რუსთაველის პროსპექტზე, სიგუასა და კიტოვანის გვერდით, რამდენიმე მწერალი იმყოფებოდა და ერთად უშენდნენ ცეცხლს პარლამენტის შენობას და საქართველოს პრეზიდენტს... ზოგიერთმა მწერლუკამ ეს ფაქტი თვითონვე აღიარა“. თავად რეზო მიშველაძეს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასადმი, დასაწყისში, ნეიტრალური პოზიცია ეკავა და ხმას არ უწყობდა „რევოლუციონერ“ მწერლებს, მაგრამ როდესაც სამხედრო გადატრიალებამ პიკს მიაღწია, იგიც შეუერთდა მათ რიგებს ზვიადის მისამართით „დიქტატორ-სატანას“ ძახილით.

1991 წლის 16 ოქტომბერს, დილის 3 საათზე, მწერალთა კავშირის სასახლეს ავტომატის ტყვიები დაუშინეს „მხედრიონელებმა“, რაც მისი თავმჯდომარის მუხრან მაჭავარიანის წინააღმდეგ მიმართული ქმედება იყო. 1991 წლის 19 ოქტომბერს, ოპოზიციონერმა მწერლებმა, ლონდონში მიმართვა გაუგზავნეს საერთაშორისო პენ-კლუბის პრეზიდენტს დ. კონრადს, რომელშიც ისინი თხოვდნენ მას, მიიღონ ქართველი მწერლები მწერალთა საერთაშორისო შემადგენლობაში, რადგან „ჩვენს ქვეყანაში დრამატული მოვლენები ხდება. ქართველ მწერალთა ერთგულება დემოკრატიის იდეალებისადმი სასტიკ დევნას განიცდის“.

მიმართვას ხელს აწერდნენ:

ჭაბუა ამირეჯიბი
გრიგოლ აბაშიძე
დათო მაღრაძე
ჯანსუღ ჩარკვიანი
მორის ფოცხიშვილი
გიგი სულაკაური
ვაჟა გიგაშვილი
ირაკლი სამსონაძე
არჩილ სულაკაური
ნუგზარ შატაიძე
თამაზ კვაჭანტირაძე
აკაკი ვასაძე
ჯემალ ქარჩხაძე
ლაშა თაბუკაშვილი
გურამ გეგეშიძე
გურამ დოჩანაშვილი
ირაკლი აბაშიძე
თენგიზ ბუაჩიძე
თამაზ წივწივაძე
გურამ ფანჯიკიძე
კობა იმედაშვილი
რეზო ამაშუკელი
რომან მიმინოშვილი

ქვემოთ იხილეთ ამ „სახელოვან“ მწერალთა ტექსტი ფაქსიმილეებით გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“.

ლიტერატურული საქართველო

ჩვენი სატკივარი საშშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის უოველკვირეული გაზეთი

ასარსებული, № 49 (ანუ) გაზეთისაბს 41-ე წელი: „ დეკემბერი, 1991 წ. ფასი 40 კაპ.

დოკუმენტები მეტყველებენ

საბჭოთა ნომენკლატურულმა მწერალმა რეზო ამაშუკელმა, 1978 წელს, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ სტატია, სათაურით „ღამურები“ გამოაქვეყნა, რაშიც იგი გულისწყრომას გამოხატავდა დისიდენტების მიმართ:

„კოსტავა და გამსახურდია, სოციალისტურ სამშობლოს ლანძღავენ რადიო „ამერიკის ხმასა“ და „თავისუფლებაში“ო.

ამაშუკელის ამ პასკვილს, დისიდენტებმა, დისიდენტურ ჟურნალში ლექსით უპასუხეს:

„სხვის სამრეკლოზე შეკიდულო, მართლაც, ღამურა,
შურმა და მტრობამ შენი გული სულ მთლად გამურა,
ამხანაგები დააბეზღე მდივნობის ეშხით,
მაგ სავარძელში დღეს იხრწნება ეგ შენი ლეში!
გეგონა ლექსი გქონდა გულის ამაჩუყელი,
გმობს შენს საქციელს ყველა ნაღდი ამაშუკელი!“

დისიდენტების მიერ რეზო ამაშუკელისადმი 1978 წელს „მიძღვნილი“ ეს ლექსი პირველად გამოაქვეყნა „ნიუპოსტმა“ 2017 წლის 15 აგვისტოს.

ამ „სახელოვანმა“ მწერლებმა, 1992 წლის ივლისში, განცხადებით, კიდევ ერთხელ მიმართეს საერთაშორისო პენ-კლუბს, რომლებსაც ამცნობდნენ: „...საქართველოდან გაძევებულ ექსპრეზიდენტ გამსახურდიას ბრალად ედება არამარტო ხელისუფლების უზურპაცია, სამოქალაქო ომის გაჩაღების მცდელობა, არამედ ხაზინის ქურდობაც, მილიონობით თანხის, მათ შორის უცხოური ვალუტის მითვისება. მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება დივერსიული აქტები – ხიდების, გვირაბების აფეთქება, ლიანდაგების აყრა, გზების ბლოკირება... გამსახურდიასა და მის მომხრეთა ხელით ხორციელდება ტერორისტული აქტებიც. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია უკანასკნელ დღეებში... ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ბატონ სანდრო კავსაძის დატყვევება...“

სანდრო კავსაძის ე.წ. დატყვევება გააპროტესტა აგრეთვე, ზვიადის ეროვნული ხელისუფლების ოპოზიციონერმა, ფსევდო-ეროვნულმა გიორგი კერვალიშვილმაც (იხ. მისი განცხადების სკანერი გაზ. – საქართველოს რესპუბლიკა“, 17 ივლისი, 1992 წ.).

პროტესტს ვაცხადებთ!

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის გამგეობის განცხადება

ამა წლის 9 ივლისს წალენჯიხის რაიონში უცნობმა პირებმა დაატყვევეს და მძევლად აიყვანეს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილე, ერთაშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი ალექსანდრე კავსაძე.

ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ და ვგმობთ ზემოთ აღნიშნულ ფაქტს, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს **იგი. ყოველი** პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების დაცვა უშუალოდ დაკავშირებულია მისი და ერის სასიცოცხლო ინტერესებთან.

ამჟამად აუცილებელია გამოირიცხოს როგორც ცალკეული პიროვნების, ასევე ნებისმიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანების მიმართ ძალადობა და დაცულ იქნეს პოლიტიკური ავანტიურიზმის ნებისმიერი გამოვლინებისაგან ყოველი მოქალაქის უფლებები.

გიორგი კერვალიშვილი,
ასოციაციის პრეზიდენტი.

სახელმწიფო ტელევიზიაში, კიტოვანის გვარდიელებსა და გელა ლანჩავასთან ერთად **(აგრეთვე, შალვა ნათელაშვილი),** შეიჭრნენ „დემოკრატი“ რევოლუციონერი მწერლები: **ჭაბუა ამირეჯიბი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, გურამ ფანჯიკიძე, ლევან ღვინჯილია, დავით მჭედლური, გურამ გეგეშიძე, ჯუმბერ თითმერია, მიხეილ ქურდიანის „დემოგრაფიული საზოგადოების“ აქტივისტი ილია ბეგიაშვილი (პოეტი).**

მწერლების აგრესიის გამო, მწერალთა კავშირის შენობაზე გაჩნდა წარწერა „საქართველოს მოძულეთა კავშირი“, ხოლო მოგვიანებით ამგვარი მწერლები სამარცხვინო ბოძზეც იქნენ გაკრულნი, მოზრდილი, თუმცა არასრული სიით (იხ. ფოტოები). გამოტანილ იქნა პლაკატები წარწერით: „ზიზღი, ძმათამკვლელ ომის წამქეზებელ ვაი-მწერლებს!“ და სხვ. ეს იყო სიტყვიერი ამბოხი მკითხველებისა მათი საყვარელი მწერლების წინააღმდეგ, რამეთუ ერთბაშად გაქრა ის შარავანდედი, რომელიც ემოსა ამ ცნობილ მწერლებს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უშიშროების მინისტრმა იგორ გიორგაძემ თავისთან შეხვედრაზე მიიწვია მწერალთა დიდი ჯგუფი, რომლის სათავეში, ცნობილი პოეტი, **მურმან ლებანიძე**

გახლდათ. ახალგაზრდობაში მილიციელად ნამუშევარი. იქ კი დიდხანს ესაუბრნენ მათ, საუბრის შინაარსი საზოგადოებისათვის უცნობი დარჩა.

ამ საიდუმლო შეხვედრამ მალევე ჰპოვა გამოძახილი მათ ქმედებებში; უშიშროების მიერ დაინსტრუქტაჟებული სამკაციანი ჯგუფები მიდიოდნენ წარმოება-დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში და ეწეოდნენ შევარდნაძის ხელისუფლების პროპაგანდას, აძაგებდნენ დამხობილ პრეზიდენტს, ამართლებდნენ სამხედრო გადატრიალებას და თვით მანიფესტაციების დახვრეტებსაც, ეგზეკუციებსაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა თუ რაიონებში, განსაკუთრებით კი, სამეგრელოში. ეს შევარდნაძის კარის მწერლები გამოდიოდნენ რადიოთი, ტელევიზიით და მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას სამეგრელოს წინააღმდეგ გალაშქრებისაკენ მოუწოდებდნენ. მურმან ლებანიძემ, მეგრელთმოძულეობით, თავი ლექსებითაც კი გამოიჩინა.

მურმან ლებანიძემ, მეგრელთ-ფობიობით, ცოტნე დადიანსაც კი *(„..დადიანი ცოტნე, კაცი პატიოსანი და სათნოებიანი და ბრძოლათა შინა სახელოვანი...“ — ჟამთაღმწერელი)* ანთხია გესლი ამ თავის ლექსში:

ცოტნე – გამყიდველს
ხომ არ წამოხვალ შენ ჩვენთან ომში?
იქ, ჩვენ ტაბლასთან, ანაზდად გკითხეს,
ფუჰ, აგვერიე კამბეჩი ლომში და...
ჩვენს საძმოში ჩაგრიცხეთ იმ დღეს.
კაცად გიცანით გაგნათლეთ ტომში,
გატეხე პური, ასწიე ჭიქაც.
მართალი იყო ერთი სპა ორში.
შენ – კუდს იქნევდი აქაც და იქაც.
სველი გაქვს ლანჩა სიგლახის ტბორში, -
სხვაგვარად მიდის: აწ შენი გზები
იუდას ვერცხლი მოგართვეს ხონჩით,
შუა ჩამოდის მდინარე – მოვრჩით,
ჩატეხილია ბურჯები ხიდის!

მურმან ლებანიძე

1992 წლის 25 მარტს, ჭადრაკის სასახლეში ჩატარებულმა მწერალთა ყრილობამ, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან გადააყენა მუხრან მაჭავარიანი. მკითხველებმა, ჭადრაკის სასახლის პარკში, პროტესტის ნიშნად დაწვეს გადატრიალებაში მონაწილე მწერლების წიგნები. გოგა ხაინდრავამ,

დასაწვავად მიტანილ წიგნებში, ვერაგული განზრახვით ჩადო „ვეფხისტყაოსანიც“ და მალე პროვოკაციული ხმაური ატეხა „მომხდარ ფაქტზე“.



კომუნისტი მწერლები სრულ მხარდაჭერას უცხადებდნენ ედუარდ შევარდნაძეს. გურამ ფანჯიკიძე, თამაზ წივწივაძე, კობა იმედაშვილი, რევაზ ჯაფარიძე, იზა ორჯონიკიძე, ჯუმბერ თითმერია, ელგუჯა მაღრაძე... კიდევ უფრო მძაფრი რეპრესიებისაკენ მოუწოდებდნენ შევარდნაძეს ზვიადის მომხრეთა წინააღმდეგ. ამგვარი მტრული დამოკიდებულების გამო, ცნობილი მწერლების, მსახიობებისა და მეცნიერების მიმართ ხალხში გაჩნდა აგრესია და ისინი, მრავალი წლის განმავლობაში, ქუჩაში თავისუფლად სიარულს უფრთხოდნენ, რათა პატრიოტი თანამემამულეებისაგან „მოღალატე“ და „სისხლიანის“ ეპითეტები არ მიეღოთ. მწერლებმა და კულტურის მუშაკებმა, რომ თითქმის სრულად დაკარგეს ხალხის სიყვარული და ავტორიტეტი, ყველაზე ნათლად ვლინდებოდა მათი გარდაცვალების დღეებში, როცა მათ ცხედარს, პანთეონამდე, მხოლოდ ოჯახის წევრები და ახლობლები მიაცილებდნენ; აკაკი ბაქრაძის, მურმან ლებანიძის, კიტა ბუაჩიძის და კოტე მახარაძის კუბოს სულ რამდენიმე ათეული ადამიანი მიჰყვებოდა...

ჯანსუღ ღვინჯილიას, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, დიდი ამაგი დასდო – სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით საზღვარგარეთ გაამგზავრა გულის მძიმე ოპერაციის გასაკეთებლად და როცა მოღონიერდა, ისიც ხუნტის მწერლების ავანგარდში ჩადგა...

რევაზ ჯაფარიძე, 1977 წელს, ზვიადის მწერალთა კავშირიდან გარიცხვას კენჭისყრის გარეშე, დაჩქარებული წესით ითხოვდა.

ჯანსუღ ჩარკვიანმა, ზვიად გამსახურდიას საქართველოში ჩამოსვლებისა და მთაწმინდაზე დაკრძალვის შემდგომ, ტელევიზიებით დაიწყო ფარისევლური კვეხნა, რომ თითქოს მან, ერთადერთმა არ დაუჭირა მხარი 1977 წლის 1 აპრილს, საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე, ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვას. სინამდვილეში კი იგი ამ სხდომას საერთოდ არ ესწრებოდა იმ „საპატიო“ მიზეზით, რომ მოსკოვში ბრძანდებოდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ სოსო სიგუას თქმით, ზვიადის მწერალთა კავშირიდან გარიცხვის სხდომას, პრეზიდიუმის წევრებიდან, აგრეთვე, საპატიო მიზეზით, არ ესწრებოდა მუხრან მაჭავარიანიც. იმის დასტურად, რომ ჩარკვიანი საერთოდ არ ესწრებოდა ამ სამსჯავრო სხდომას, მოგვყავს ვახტანგ გურგენიძის მიერ 1996 წელს პრესაში გამოქვეყნებული მწერალთა კავშირის ხსენებული სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, სადაც არანაირად არ ფიგურირებს და არც იხსენიება ჯანსუღ ჩარკვიანი. ვნახოთ ამ სხდომის დასკვნითი ნაწილი;

სხდომის თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე: „ვინ არის მომხრე გაირიცხოს, გთხოვთ ასწიოთ ხელი. გთხოვთ დაუშვათ. ვინ არის წინააღმდეგი? **არავინ** *(ხაზგასმა ჩემია — ლ.ც.).* თავი ვინ შეიკავა? **არავინ** *(ხაზგასმა აქაც ჩემია — ლ.ც.).* მაშასადამე, გადაწყვეტილება მიღებულია **ერთხმად** *(ხაზგასმა აქაც ჩემია — ლ.ც.).*

ის მითიც, რომ, თითქოს, ჯანსუღმა შეგნებულად აარიდა თავი ზვიადის მწერალთა კავშირიდან გარიცხვის სხდომას და არ დაესწრო, ამის პასუხად კვლავ ბატონ სოსო სიგუას მოვიშველიებთ: „მაშინ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრების მხრიდან სხდომაზე არ დასწრება, საპატიო მიზეზის გარეშე, თანამდებობის დაკარგვას ნიშნავდა“.

ასე, რომ, ეს მითიც, ჩარკვიანების მიერაა შეთხზული.

სამწუხაროა, რომ კოლაბორაციონისტი მწერლების მხარეს, პუტჩის დღეებში, მწერალი და რეჟისორი **გოდერძი ჩოხელიც** აღმოჩნდა, მაგრამ მოგვიანებით მან წრფელი წუხილით მოინანია თავისი შეცდომა:“... ზვიადს, მართლაც ურწმუნო, არაქრისტიანი ქართველები ეომებოდნენ. ზვიადს, როგორი შეცდომაც უნდა დაეშვა, მხარი მაინც უნდა დაგვეჭირა, ჩვენ კი ურწმუნოდ მოვიქეცით“, თქვა გოდერძი ჩოხელმა ჟურნალ „სარკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და ზვიადის გარდაცვალების შესახებ წინასწარი ხილვებიც გაიხსენა.

ცხადია, იყვნენ მწერლები, რომლებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, საქართველოს სუვერენიტეტის გარანტს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას:

მუხრან მაჭავარიანი
ალექსანდრე ბარამიძე
აკაკი სურგულაძე
სარგის ცაიშვილი
ელიზბარ ჯაველიძე
სოსო სიგუა
ნოდარ წულეისკირი
ოთარ ჩხეიძე
თემურ ქორიძე
გურამ პეტრიაშვილი
სერგეი სერებრიაკოვი
ბელა შალვაშვილი
ნოდარ ჯალაღონია
ნომადი ბართაია
მაკა ჯოხაძე
გივი ძნელაძე
ბერდია ბერიაშვილი (მოკლეს)
ოთარ შალამბერიძე
ბადრი გუგუშვილი (თავი მოიკლა)
თინათინ მღვდლიაშვილი
ეკა ბჟალავა
ლეილა მესხი
დილარ ივარდავა
ამირან კალაძე (მოკლეს)
ვაჟა ხორნაული

ენვერ ნიჟარაძე
აპოლონ ადონია
მიხეილ ჩაჩუა
თემურ ჩალაბაშვილი
მიხეილ ღანიშაშვილი
მარინა ხმალაძე
ედემ კვირტია
ჯემალ დავლიანიძე
თამთა ცეცაძე
მერაბ მეტრეველი
მერაბ ელიოზიშვილი
ომარ გოჩელაშვილი...
ირინე ტალიაშვილი
ჯემალ შონია
ზაურ მოლაშხია
ლამზირა ფირცხალავა
მზისო ნავროზაშვილი
მარინა თექთუმანიძე

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მსასოებელი გახლდათ სრულიად ახალგაზრდა პოეტი **ტატო (რატი) ნინუაც.** პარლამენტის გვერდით მდებარე პირველი კლასიკური გიმნაზიის მოსწავლე ტატო, აქტიურად ჩაერთო 9 აპრილისა და შემდგომ აგორებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ზვიადსა და მერაბს ლექსებიც უძღვნა. **ტატო ნინუამ** ძალზედ მტკივნეულად განიცადა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობა, კლასიკური გიმნაზიისა და პარლამენტის შენობის გადაწვა, რასაც მძაფრი ლექსი უძღვნა სათაურით „გადამწვარი ღრუბლები". ამ ლექსში, შექმნილი პოლიტიკური ვითარება, ასოცირებულია ილიას იდეურ მკვლელობასთან, ხოლო ზვიადის ახალწლის ღამის მკვლელობას კი ამგვარად გამოეხმაურა იგი: „ყოველ ახალ წელს ჩემს ნაძვის ხეზე სათამაშოებს შორის ერთი ჰკიდია ცრემლი". **ტატო ნინუამ, 23 წლის ასაკში,** უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, უიმედობით შეპყრობილმა თოფით მოისწრაფა ჟამი და დატოვა დიდებული ლექსების წიგნი 9 აპრილსა და სამშობლოზე, სიყვარულზე.

ერთად წავიკითხოთ ტატო (რატი) ნინუასეული 9 აპრილის მხატვრული გააზრება:

„გამხდარი ქუჩა წყლიან თვალებს ხმაურით ახელს,
ქალაქს სველ მკლავზე ასვენია ზეცის სიმშვიდე,
ჩუმი ტკივილით იმეორებს აპრილის სახელს
და თეთრ სულს უწვდის ასაკენკად პატარა ჩიტებს..."

ხოლო, თუ როგორ განიცადა მან პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობა, ნათლად ჩანს მის ამ ლექსშიც:

გადამწვარი ღრუბლები

გუშინ მეორედ მოკლეს ილია,
მოკლეს ილია კედლებთან, სადაც
ის გაიზარდა და გაილია
ლამპრად, სანთელად, საკმევლად, დარდად...
მას გაუგმირეს მეორედ შუბლი,
მას განივთებულს სხეულში ძეგლის,
ის იდგა სკოლის – გადამწვარ ღრუბლის
ფონზე და ელდა, ვით წვერი ეკლის
გულს უჩხვლეტავდა ელვების ქუფრით.
შესარიგებლად ის ჩადგა შუა –
ახლა ყოველი ქართლის შვილია –
შუბლში ესროლეს მას და ქაშუეთს,
მეორედ მოკლეს გუშინ ილია...
ძეგლი ბედნიერ უფლისწულისა
შემოიძარცვა კვარცხლბეკზე მდგარი,
ღაღადებს ოდენ ფერფლი გულისა,
რეკს სამრეკლოდან მამულის ზარი:
დაიზრდებიან ლეკვები ალგეთს,
ისევ აღდგება ივერთ დიდება,
ამაყი სისხლი არწივის მართვეს
ამაყ ძარღვებში აუყივდება...
კვლავ იხმიანებს რუსთველის სული,
და გაგმირული ილიას ქნარი,
გალაკტიონი – ცამდე ასული,
ბუბუნი ვაჟას მთისა და ხარის.
მზეჭაბუკნი და ამირანები,
დამწვარნი ქართლის ამომავალ მზით,
ღვთიურ მირონში განაბანები
ერს გაათბობენ ცეცხლით ანაგზით.
და ეღირსება წყალობა უფლის
ხალხს, ვისაც ასე უმღერა შოთამ,
ილიას ეკლით მოსილი შუბლი
გადაგვატარებს მძიმე გოლგოთას...

1991 წ. 22 დეკემბერი — 1992 წლის 10 იანვარი.

ახალგაზრდა პოეტ ტატო (რატი) ნინუას მერაბ კოსტავასთვისაც მიძღვნილი აქვს ლექსი.

10 მარტს შევარდნაძე მივიდა უნივერსიტეტში სტუდენტ ახალგაზრდობასთან შესახვედრად, მაგრამ მას სიტყვის თქმის შესაძლებლო-

ბა არ მისცეს აქტიურმა სტუდენტებმა **გოჩა კელენჯერიძემ** და სხვამ. გოჩა კელენჯერიძეს დარბაზიდან მიკროფონით, შევარდნაძის სასარგებლოდ, ცხარე ოპონირება გაუწია სტუდენტმა **გიორგი მაისურაძემ** და სხვ. გიორგი მაისურაძის გამოსვლაში იმთავითვე გამომჟღავნდა ზიზღი და მიუღებლობა ყოველგვარი ეროვნული ფასეულობებისა და მართლმადიდებლობისადმიც. პროფესორი **თენგიზ კიკაჩეიშვილი** ტრიბუნაზე ავიდა და შევარდნაძეს მღელვარე პროტესტით მიმართა: „სადაც თქვენ ხართ, იქ ჩემი ადგილი არ არის“ და დატოვა დარბაზი. ხმაურიანი შეხვედრა ჩაიშალა და რექტორატმა შევარდნაძე დაცვით გაიყვანა თსუ-დან.

სტუდენტებთან შეხვედრის კრახის შემდგომ, შევარდნაძეს ერთი თვე დასჭირდა, რათა განეხორციელებინა სხვა შეხვედრები და იგი 10 აპრილს მწერალთა კავშირში მივიდა. იქ მას დახვდნენ ნომენკლატურული მწერლები, რომლებმაც თანადგომა აღუთქვეს მას. **რეზო ჯაფარიძემ, კობა იმედაშვილმა, თამაზ წივწივაძემ**... მოსთხოვეს შევარდნაძეს სახელმწიფო საბჭოს უფრო ეფექტური მოქმედება და კომენდანტის საათის გაგრძელება, რაზედაც სიამოვნებით დათანხმდა შევარდნაძე. სატელევიზიო მიმართვით იგივე მოითხოვა **აკაკი ბაქრაძემაც**; კომენდანტის საათის გაგრძელება კი ნიშნავდა კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მიტინგების შეიარაღებული გზით აღკვეთას...

შევარდნაძის ჩამოსვლისთანავე შეიქმნა ე.წ. სახელმწიფო საბჭო ედუარდ შევარდნაძის, თენგიზ კიტოვანის, ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ სიგუას შემადგენლობით, რომლებმაც დაიწყეს სახელმწიფო ქონების ხარბად ძარცვა; თენგიზ სიგუა თავად იქცა „პრივატიზაციის“ კანონშემოქმედად (რასაც ხალხმა უმალ უწოდა „პრიხვატიზაცია“) და სერიული დადგენილებების გამოცემით მიზერულ ფასად გაყიდა მრავალმილიონიანი საწარმო-დაწესებულებები და ქარხნები; ასე.მაგალითად: 1992 წლის 30 აპრილს, თენგიზ სიგუას „მთავრობამ“ მიიღო დადგენილება №482 „სახელმწიფო გაერთიანება „საქკურორტმშენის“ საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროსთვის გადაცემის შესახებ“. ამგვარი დადგენილებებით, პუტჩისტებისათვის, მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა სახელმწიფო დაწესებულების, ორგანიზაციებისა და ქარხნების კარი გაიხსნა ლეგალური ყაჩაღობისათვის. 1998 წლის 15 ივლისს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული დადგენილება არაკონსტიტუციურად გამოაცხადა, მაგრამ ამ დადგენილებას თავისი შავი საქმე უკვე შესრულებული ჰქონდა; საქართველო და მისი მოსახლეობა სიღატაკის უფსკრულში ჩავარდა, რომლიდანაც ამოყვანა, არცერთ პოსტ-შევარდნაძისტულ ხელისუფლებას არ უცდია, არამედ, ინერციით გააგრძელეს.

ქვეყანაში დაიწყო, ლუკმა-პურის მაძიებელთა აქტიური შიდა და საზღვარგარეთ მიგრაციის კატასტროფული პროცესი.

საქართველოში ჩამონერგვისთანავე, შევარდნაძე, აგრეთვე შეუდგა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ფორსირებულ რღვევას. ამ მიზნით, ცხინვალის მიმართულებით, შევარდნაძის განკარგულებით მოხდა უმუხტო ჭურვების ზარბაზნებით გასროლა. ამ პროვოკაციულ გასროლებს (როგორც მოსალოდნელი იყო) კონფლიქტის ზონაში მოჰყვა შეიარაღებული დაპირისპირების ესკალაცია. შეიარაღებული დაპირისპირების ჩასაქრობად კი, შევარდნაძემ, დახმარება რუსეთს თხოვა. ამ მიზნით, 1992 წლის 24 ივნისს დაიგეგმა ოთხმხრივი ოფიციალური შეხვედრა დაგომისში, რომელსაც ესწრებოდნენ ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის უმაღლესი ხელისუფალნი. ამ ოთხმხრივ შეხვედრაზე, შევარდნაძე მოღალატურად გაურიგდა ელცინს ცხინვალის რეგიონში რუსი „სამშვიდობოების“ შემოყვანასა და მათი მეშვეობით ე.წ. „სამშვიდობო დერეფნის“ შექმნის თაობაზე. დაგომისის ამ ხელშეკრულების საფუძველზე 14 ივლისს რუსეთის „სამშვიდობო ჯარები“ შევიდნენ ცხინვალის რეგიონში და შეიქმნა ე.წ. „სამშვიდობო დერეფანი“.

დაგომისის ამ ხელშეკრულებით, შევარდნაძემ, შიდა ქართლი ფაქტობრივად უომრად მოწყვიტა საქართველოს. თუმცა, იმ დროისთვის, ქართულმა გვარდიამ ამ მხარის ქართულ მოსახლეობასთან ერთად, რუსი „მშვიდობისმყოფელების“ შემოსვლამდე უკვე შეძლო ოსთა შეიარაღებული წინააღმდეგობის დაძლევა – ცხინვალის გათავისუფლება ოსი ექსტრემისტებისაგან და მთელს მხარეში კონფლიქტამდელი წესრიგის აღდგენა; შევარდნაძემ განაიარაღა ქართული გვარდია და ქართული მოსახლეობაც. ამ ვითარებით ისარგებლეს ოსმა ექსტრემისტებმა და მათ იერიში მიიტანეს განიარაღებულ ქართველებზე, რომელთა ნაწილი ულმობლად დახოცეს, ხოლო გადარჩენილები კი სრულად გამოდევნეს.

შიდა ქართლის საქართველოს შემადგენლობიდან მოწყვეტისთანავე, ჯერი აფხაზეთის ავტონომიაზე მიდგა; თვენახევარში, შევარდნაძემ, იგივე მიზნით წამოიწყო ავანტიურისტული ომი აფხაზებთან, რაც, ერთ წელიწადში აფხაზეთის ჩაბარებით დაასრულა. შიდა ქართლისა და აფხაზეთის ავანტიურა, გარდა ტერიტორიული მოწყვეტისა, მიზნად ისახავდა, აგრეთვე ქართული გენოფონდის მნიშვნელოვნად შემცირებასაც. ექვსჯერადი ლაშქრობა სამეგრელოშიც ქართველთა გენოციდის გეგმიური ნაწილი გახლდათ.

შევარდნაძის მოღალატური გეგმით, თითქმის აღარ ვრცელდებოდა საქართველოს იურისდიქცია აჭარაში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო

ქართლშიც. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაშლა-დაქუცმაცების წინასწარშემუშავებულ გეგმაზე მეტყველებს შევარდნაძის ზემოხსენებული საიდუმლო წერილი მოსკოვში საქართველოს ელჩის **ვაჟა ლორთქიფანიძისადმი**: *„რაც შეეხება ბათუმის, გალისა და კოდორის საკითხები განვიხილოთ უფრო გვიან, მას შემდეგ, რაც ავტონომიებში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ჩვენ იძულებული ვიქნებით ფორმალურად უარყოფითი რეაგირება მოვახდინოთ ამ ფაქტებზე, სინამდვილეში კი იგი გარდაუვალია... ასეთია ჩვენი პოზიცია, გამომდინარე „გერმანული“ ვარიანტიდან“.*

საქართველოს ეროვნული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მრავალჯერადი მიმართვებით, ამაოდ ცდილობდა მიეპყრო მსოფლიოს სახელმწიფოებისა თუ მთავრობების ყურადღება საქართველოში მიმდინარე ანტისახელმწიფოებრივ და უკანონო პროცესებზე. მათი მხრიდან კი ადგილი ჰქონდა სრულ წაყრუებას საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პრობლემებისადმი, რითაც აშკარად გამოიკვეთა ამერიკისა და გაეროს მხარდაჭერა რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკისადმი.

ჩვენს მიერ ზემოაღწერილი ვითარება ცხადჰყოფს, რომ საქართველოში 1991-93 წლებში არავითარი „სამოქალაქო ომი“ არ ყოფილა, არამედ იყო პირდაპირი ინტერვენცია, მიმართული ჩვენი ქვეყნის ეროვნული პრეზიდენტისა და მისი ლიდერობით მოპოვებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, საქართველოს ტერიტორიის დასაშლელად.

„სამოქალაქო ომის“ არსი, კლასიკური გაგებით, ქვეყნის შიგნით მყოფ მხარეთა შეიარაღებულ დაპირისპირებაში მდგომარეობს, რომელშიც არანაირად არ მონაწილეობს უცხო ქვეყნის ძალები. ჩვენს სინამდვილეში კი 1991-93 წლებში ადგილი ჰქონდა, სწორედ უცხო და გარეშე ძალების ფარულ თუ აშკარა მონაწილეობას კანონიერი ეროვნული ხელისუფლების დამხობაში. ხოლო, ქართველი კოლაბორაციონისტი პოლიტიკური ძალები, აგენტურულ წითელ ინტელიგენციასთან ერთად, გარეშე მტრების საყრდენ ძალებს წარმოადგენდნენ.

რუსეთის სამხედრო რესურსით, საქართველოში მეორედ დაამხეს კანონიერი ეროვნული ხელისუფლება და მოახდინეს საქართველოს რესპუბლიკის მეორე ანექსია, ხოლო პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, 1993 წლის 31 დეკემბერს, საიდუმლო ვითარებაში მოკლეს. ეროვნული ხელისუფლების გადარჩენილ წევრთა უმრავლესობა იძულებული გახდა ემიგრაციაში გახიზნულიყო. შევარდნაძის ხუნტისტურმა ხელისუფლებამ, სამეგრელოს აჯანყებულების დიდი ნაწილი გაანადგურა, ნაწილი დააპატიმრა, გაქცეულმა ნაწილმა კი თავი ტყეს შეაფარა. გვარდიის პოლკოვნიკმა ვახ-

ტანგ (ლოთი) ქობალიამ, 6 ნოემბერს (ორი თვით ადრე) მიატოვა ალყაშემორტყმული და დევნილი პრეზიდენტი და აფხაზეთის გავლით უკრაინაში გაიქცა. უკრაინაში კი, ქობალია სუდზალის კგბ-ს გასაიდუმლოვებულ ბაზაზე დააპატიმრეს საქართველოს უშიშროების სამსახურებმა და საქართველოში ჩამოიყვანეს. ნიშანდობლივია, რომ იმ დროს სუდზალის გასაიდუმლოვებულ ბაზას იგორ გიორგაძე ხელმძღვანელობდა.

ვახტანგ ქობალია 10-წლიანი პატიმრობიდან (მას ბრალად ედებოდა ჟურნალისტ დათო ბოლქვაძის მკვლელობა ხობში 1993 წლის 27 ნოემბერს, სამხედრო ტყვეების დახვრეტა და სამშობლოს ღალატი, რის გამოც მას დახვრეტა მიუსჯეს, რაც შემდგომ 20 წლით პატიმრობით შეუცვალეს) გაპრეზიდენტებულმა სააკაშვილმა 2004 წლის მაისში შეწყალების აქტით გაათავისუფლა.

ლოთი ქობალია, გროზნოში სისტემატურად უთვლიდა პრეზიდენტ გამსახურდიას, რომ დაბრუნებულიყო საქართველოში. უქმნიდა ილუზიას, რომ თითქოს მას უკვე მრავალრიცხოვანი და კარგად გაწვრთნილ-აღჭურვილი არმია ჰყავს, რითაც თავისუფლად შესძლებს დაამარცხოს ხუნტა და აღადგინოს კანონიერი ხელისუფლება რესპუბლიკაში. ყვედრიდა, რომ პრეზიდენტის ჩამოუსვლელობა ახდენს მისი არმიის დემორალიზებას და ა.შ.

საქართველოში დაბრუნებული პრეზიდენტი კი, რეალურად არსებული ვითარების გამო, ძალიან მალე სრულიად გაწბილებული დარჩა და პასუხს სთხოვდა ქობალიას ცრუ ინფორმაციების მიწოდებისთვის: „სად არის შენი მრავალათასიანი არმია? სად არის შენი ასამდე ტანკი და შეიარაღება?!“ ქობალია, ჩამოსული პრეზიდენტის მოტყუებასაც აგრძელებდა და არ ასრულებდა მის ბრძანებებს ქუთაისსა და თბილისისკენ წინსვლის შესახებ და სულ სხვა მიმართულებით მიჰყავდა გვარდია, სოსო ჟღენტის, ზვიად ძიძიგურის, ჯამბულ ბოკუჩავასა და გურამ ლაკიასთან ერთად.

ვახტანგ (ლოთი) ქობალია, უნდობლობის გამო, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, **ბადრი ზარანდიათი** შეცვალა და იგი დანიშნა ზუგდიდის სამხედრო კომენდანტად, მაგრამ ზარანდიაც უშიშროების მიერ გადაბირებული აღმოჩნდა და იგი გენერალ **გია გულუას** მოკავშირედ იქცა; გია გულუამ ზარანდიას ზვიადის მოკვლაც კი დაავალა, თუმცა პრეზიდენტის მკვლელობა უშუალოდ ზარანდიას არ ჩაუდენია. დიდი ხნის შემდეგ უფრო ნათლად გამოჩნდა ბადრი ზარანდიას კავშირები ხუნტასთან; 2001 წლის 17 ოქტომბერს, ჯაბა იოსელიანის „მხედრიონი“ და ზარანდიას მებრძოლები გაერთიანდნენ და შექმნეს „სრულიად საქართველოს პატრიოტთა კავშირი“. 2003 წლის 8 იანვარს, ზუგდიდის ცენტრში მდებარე კაფეში, დაუდგენელმა პირებმა, გარედან სროლით ჩაცხრილეს 35 წლის ბადრი ზარანდია.

რუსეთუმე ქობალია და ლაკია კი სამეგრელოს ავტონომიის ვერაგული ჩანაფიქრის მიხედვით მოქმედებდნენ; მათ ინტერესებში არაფრით შედიოდა დევნილობიდან დაბრუნებული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თბილისში ჩასვლა და სრულიად საქართველოში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა, არამედ, მათი მიზანი იყო ზვიადი ჩაეკეტათ ზუგდიდში და სამეგრელოს ავტონომიის პრეზიდენტად ექციათ იგი. „სამეგრელოს ავტონომიის“ ფარული და საიდუმლო მოკავშირე, უზენაესი საბჭოს დეპუტატი ვალტერ შურღაიაც გახლდათ. ეს კი იმპერიული რუსეთის საბჭოურ ოცნებას და სტრატეგიულ გეგმას წარმოადგენდა. ვ. ქობალიამ 6 ნოემბერს დატოვა ზუგდიდი და აფხაზეთის გავლით უკრაინაში გაიპარა, სადაც იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რამდენიმე თვე იმყოფებოდა სუდზალის სპეციალური მომზადების ბაზაზე, რომელიც იგორ გიორგაძისა იყო. ქობალიასგან ნაღალატევ-მიტოვებული პრეზიდენტი კი, დეკემბრის ბოლომდე, მოწამეობრივად ცდილობდა სიცოცხლის გადარჩენას და შეიარაღებული მდევრებისგან თავის დაღწევას.

ვ. ქობალია, ჯამბულ ბოკუჩავა

ანალოგიური ვერაგული გეგმით მოქმედებდა **ზვიად ძიძიგურიც** თავისი შეიარაღებული ბატალიონით, რომელმაც, ყველასაგან დაუკითხავად, თავისი არცთუ მცირერიცხოვანი რაზმი, ხონში შეიყვანა, სადაც სრულად ჩააბარა ხუნტას იარაღი და სამხედრო ტექნიკაც. იგი, ეროვნულ მოძრაობაში გადმობარგებული ყოფილი „მხედრიონელი“ გახლდათ და ჯაბასთან ერთად მხიარულად ილხენდა ხოლმე სუფრებზე (იხ. ფოტო).

მარცხნიდან — ჯ. იოსელიანი, ვანის პრეფექტი ვალერი ფერაძე, ზ. ძიძიგური, დ. ბერძენიშვილი...

ასე დასრულდა საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თავგანწირული ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. მოღალატე პრეფექტებისა და შეთქმულ თანაგუნდელთა გარემოცვაში.

მიუხედავად ასეთი უმძიმესი კრახისა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას არ შეუწყვეტია ბრძოლა შევარდნაძის ხუნტისტური და ანტისახელმწიფოებრივი ხელისუფლების წინააღმდეგ; გრძელდებოდა პერმანენტული საპროტესტო აქციები. ყოველი წლის 31 მარტს, 9 აპრილს, 27 სექტემბერსა, 28 ოქტომბერს, 22 დეკემბერსა და 6 იანვარს ეწყობოდა მძლავრი და მრავალრიცხოვანი საპროტესტო გამოსვლები შევარდნაძის პოლიციურ-დიქტატორული რეჟიმისადმი შეურიგებლობის მუხტით. ყოველი საპროტესტო მიტინგი თუ მანიფესტაცია სასტიკად ირბეოდა რეჟიმის მსახურ სპეცბრიგადების მხრიდან, რომელსაც, უშიშროებასთან ერთად, პოლიციის სამმართველოს მაღალი თანამდებობის პირები – **დავით ზეიკიძე, სოსო ალავიძე, დემურ მიქაძე, ალეკო მიქაბერიძე, მიხეილ (მიშა) სალაძე, ვალერი კაციტაძე, ელგუჯა ჯამბურია, გია სალუქვაძე, მიშა გიორგაძე, თემურ მღებრიშვილი...** – არბევდნენ. ისინი იჭერდნენ და სხვადასხვა ვადით საპყრობილეში სვამდნენ აქციის ლიდერებს, აქტივისტებს. ამგვარი რეპრესიების მძვინვარების პირობებში

შესამჩნევად შეთხელდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი რაოდენობა, ბევრი მათგანი საზღვარგარეთ გაიხიზნა.

მიუხედავად სიმცირისა, ეროვნული მოძრაობის დარჩენილი ნაწილი თბილისში მაინც შეუპოვრად გამოდიოდა შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით, ჯანდაცვის ანტიჰუმანური რეფორმის, ანტისახელმწიფოებრივი მიწის კანონის მიღებისა თუ ანტიმართლმადიდებლური რელიგიური სექტების მომრავლების წინააღმდეგ. არ ყოფილა წყვეტა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრძოლაში, ვიდრე შევარდნაძის გადადგომამდე (2003 წლის დეკემბერი). შევარდნაძის რეჟიმის ციხეებში ეწამებოდნენ პოლიტპატიმრები და სამხედრო ტყვეები, გაჩნდა კატეგორია – სინდისის პატიმრები.

ე. შევარდნაძემ, 1992 წლის 11 ოქტომბრის ე.წ. „იმედის“ არჩევნების გაყალბების გზით შეძლო რა ხელისუფლების სათავეში მოქცევა, სახელისუფლო ლეგიტიმაციის გამყარების მიზნით, 1995 წლის 5 ნოემბრის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ერთდროულად დანიშნა. შევარდნაძე თვალნათლივ ხედავდა ხალხის უარყოფით დამოკიდებულებას საკუთარი („მოქალაქეთა კავშირი“) ხელისუფლების მიმართ; ამ ხნის განმავლობაში მათ, ვერაფრით მიაღწიეს ხალხის ნდობის მოპოვებას. 5 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი იყარეს და ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ: ედუარდ შევარდნაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, აკაკი ბაქრაძე, ქართლოს ღარიბაშვილი, პანტელეიმონ გიორგაძე, როინ ლიპარტელიანი.

პროპორციული არჩევნების (საარჩევნო ქვოტა – 5%) სიით კი კენჭს იყრიდნენ: საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ბლოკი „XXI საუკუნე – კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება“, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ და სხვ.

საპრეზიდენტო კენჭისყრის შედეგები ასეთი იყო:

ედუარდ შევარდნაძე – 74,12%
ჯუმბერ პატიაშვილი – 19,52%
აკაკი ბაქრაძე – 1,46%
ქართლოს ღარიბაშვილი – 0,53%
პანტელეიმონ გიორგაძე – 0,49%
როინ ლიპარტელიანი – 0, 39%

5 ნოემბრის პროპორციული არჩევნების სიით კი, „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“ (სმკ), მმართველი პარტია გახდა (23, 62%). პარლამენტში მოხვდნენ ზურაბ ჟვანია, ნინო ბურჯანაძე, მიხეილ სააკაშვილი, კობა დავითაშილი, ვახტანგ რჩეულიშვილი, ივანე კილურაძე (საარჩევნო კომისიის

თავმჯდომარე), ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო მიშველაძე, იზა ორჯონიკიძე და სხვ. არჩევნები ამჯერადაც გაყალბდა და თანაც, უპრეცენდენტოდ! შეიარაღებული საზოგადოება „თბილისელის“ ყოფილი პრეზიდენტი ჯანსუღ ჩარკვიანი, პარლამენტში ედუარდ შევარდნაძეს, „ურჩი მეგრელების გონზე მოსაყვანად“ ხელახალი ეგზეკუციისაკენ მოუწოდებდა.



ხუნტის პარლამენტის პირველი სხდომა

არჩევნების შედეგებით აღშფოთებულმა, გაზეთ „იბერია-სპექტრის“ რედაქტორმა **ირაკლი გოცირიძემ**, გლოვის ნიშნად, არაორდინალური პროტესტი გამოხატა: „მე ვაფრიალებ შავ ცხვირსახოცს იმის ნიშნად, რომ ძალაუფლება კვლავ ხელში აიღო საბჭოთა კომუნისტურმა მაფიამ. ხელისუფლებამ გამოიყენა ყოვლად უკადრისი ხერხები; იყო ზეწოლის, იარაღით დაშინებისა და სხვა აღმაშფოთებელი ფაქტები. მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც იტანს ამ უკანონობას, აქედან გამომდინარე მე ვაკეთებ დასკვნას, რომ ყველა ჩვენი უბედურების სათავე არის დღევანდელი საზოგადოებრიობის უკიდურესი კონფორმიზმი და შემგუებლობა ყველას და ყველაფრის მიმართ. ჩვენ სხვა მთავრობას არც ვიმსახურებთ, რადგან უღირსი საზოგადოება გვყავს. მე დღეს ვაცხადებ, რომ ჩემი გაზეთი „იბერია-სპექტრი“ აღარ გამოვა. მისი გამოცემა შეწყდება იმიტომ, რომ რაც მასში იბეჭდებოდა და რასაც უბრალო ხალხი წერდა, ეს მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. ქართული საზოგადოებრიობა, ეტყობა, არ არის ღირსი, რომ ეს გაზეთი გამოდიოდეს!“

ხუნტისტური ხელისუფლების ეს ყველაზე პოპულარული ოპოზიციური გაზეთი, რომელსაც კითხულობდა, როგორც ხელისუფლების მომხრე, ასევე მოწინააღმდეგე საზოგადოება, ვერ დახურეს ვერანაირი რეპრესიული მანქანით: ვერც რედაქციის მრავალჯერადი შეიარაღებული დარბევით, ვერც რედაქტორის დაპატიმრებით და წამებებით, ვერც რედაქტორის შვილის ხეზე ჩამოხრჩობით (მოგვიანებით, ბატონ გოცირიძეს, მოსკოვში მეორე ვაჟიშვილიც მოუკლეს), ვერც მუქარებით და შეურაცხყოფებით. ხუნტის ერთ-ერთ „რუპორ“-შეურაცხმყოფელ ჯანსუღ ჩარკვიანს კი ირაკლი გოცირიძემ, ასეთი რეპლიკით უპასუხა:



ჯანსულ ჩარკვიანს

ხომ კაცით მეც და ვთელმა ჩვენმა საზოგადოებამაც, რა ბოლმიანი და ყველასადმი სიძულვილით გატენილი კაცი ხარ, მაინც არ მეგონა, ისე დაგიბინდდებოდა გონება, რომ გუშინ საქართველოს რესპუბლიკაში ამგვარ წერილს გამოაქვეყნებდი. როგორ გგონია, მე და ჩემს გაზეთს მოეცხო შენგან ნასროლი ტალახი? ან წერილის ავტორს? არა - თავად შენ!

რატომ აძულებ ხალხს თავს! როცა ვბერდებით - უნდა ვბრძენდებოდეთ. და არა პირიქით

ირაპლი გოცირიძე

და, მრავალტირაჟიანი ოპოზიციური გაზეთი „იბერია-სპექტრი“, რომლიდანაც ყველაზე მძლავრად რეკდა სიმართლის ხმა, დაიხურა!

ჯანსუღ ჩარკვიანი, თავისი მგზნებარე სიტყვებით, ტრიბუნებზე და მიტინგების გარდა, ჟურნალ-გაზეთებშიც სისტემატურად ბეჭდავდა ეროვნული ხელისუფლების სიძულვილით გაჟღენთილ სტატიებს. მისი სიძულვილი და შეურიგებლობა დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტისადმი იქამდეც მიდიოდა, რომ ზვიად გამსახურდიას უმაღლეს სახელისუფლო სტატუსს – პრეზიდენტს, ბრჭყალებში სვამდა და ატრიზავებდა. სამაგიეროდ, ზვიადზე აღმატების ჟინით, თავად რიხით იკვეხნიდა, რომ მე ვიბრძოდი „მთავლიტში“, ვიბრძოდი „ცეკაში“ო და ასეთი მანიაკალური ბაქი-ბუქით ეწეოდა თვითგანდიდებას. ზვიადს კი „ბუნკერში ჩამძვრალ „პრეზიდენტად“, „შერეკილად“ და „ფაშისტ-ფიურერად“ მოიხსენიებდა, ხოლო გაზეთ „იბერია-სპექტრს“ კი, „იმპერია-სპექტრად“.

ჩარკვიანის ცილისწამების სერიალიდანაა გაზეთით გავრცელებული ჭორი, რომ თითქოს, ზვიადს 9 აპრილის მცირე მსხვერპლთა გამო უკმაყოფილოდ უთქვამს: „ნუთუ, ოც კაცზე მეტი არ დახოცილა? ამაზე ატყდა ამდენი ვაი-უშველებელი“ო? 1993 წელს, სახელმწიფო ტელევიზიით ჯანსუღ ჩარკვიანმა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ სასკოლო პროგრამიდან ამოღება მოითხოვა:“ჭიაბერ ერისთავის მოწამვლა კათოლიკოსის მიერ, მოზარდებში სულიერ გადაგვარებას იწვევს“ო. მისი ეს განცხადებაც ზვიადის სიძულვილით იყო ნასაზრდოები. ვისაც არ ახსოვს, შეუძლია სახელმწიფო ტელევიზიაში მოიპოვოს ჯანსუღ ჩარკვიანის მუდარა შევარდნაძისადმი: „არ გადადგეთ, თორემ დავიღუპებით!“. დაღუპვაში, ხუნტის მხარდამჭერ ინტელიგენციას გულისხმობდა, ცხადია, და არა, საქართველოს.

შევარდნაძე კი, ხომ „გადადგომის“ ფარსის დადგმის დიდოსტატი იყო, რასაც თავადაც ადასტურებს; 1996 წელს უცხოელ კორესპონდენტ **ტელერამასთან** ინტერვიუში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან, 1992 წლის აგვისტოს პუტჩის წინ გადადგომის შესახებ, შევარდნაძე აცხადებს: „ჩემი გადადგომა, გორბაჩოვის წინააღმდეგ მიმართულ პუტჩს, რომ უსწრებდა წინ, სკანდალის გამოწვევას ისახავდა მიზნად“.

ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც კარიერიზმი და სახელისუფლო ჟინი, ყმაწვილობიდან ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი, მიუხედავად ხალხის გამოხატული სიძულვილისა, არა და არ თმობდა საპრეზიდენტო სავარძელს; 2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, ამ „თეთრმა მელამ“ აამოქმედა წითელი ინტელიგენცია, რომელთა ხელმოწერებითაც შეიქმნა მისდამი წერილობითი ულტიმატუმი, რათა შევარდნაძემ კენჭი იყაროს 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებშიც. შევარდნაძის მხრიდან, საპრეზიდენტო არჩევნების 9 აპრილს დანიშვნაც, ცინიზმის

გამოხატულებაც გახლდათ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წითელი ინტელიგენციის „ულტიმატუმს“ ედუარდ შევარდნაძისადმი ხელს აწერდნენ:

ელგუჯა მეძმარიაშვილი
ევგენი ხარაძე
ალბერტ თავხელიძე
ჭაბუა ამირეჯიბი
მერაბ ბერძენიშვილი
ოთარ იოსელიანი
რეზო გაბრიაძე
ნონა გაფრინდაშვილი
გია ყანჩელი
ნანი ბრეგვაძე
ჯანსუღ კახიძე
მარიკა ლორთქიფანიძე
ზურაბ წერეთელი

ამ „ულტიმატუმის“ ძალით, უზურპატორმა ე. შევარდნაძემ მესამედაც იპყრა ხელთ საქართველოს სახელისუფლო საჭე;

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში, 2000 წლის 9 აპრილის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები შეფასდა, როგორც ყველაზე არადემოკრატიული, რითაც ეჭვის ქვეშ დაყენდა არჩევნების შედეგი – ე. შევარდნაძის 78%-ით არჩევა. 2000 წლის 14 აპრილს გაზეთ „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა წერილი აღნიშნული არჩევნების ტოტალური გაყალბების შესახებ.

ამერიკის პოლიტიკური წრეების ამგვარი შეფასება განაპირობა, ჩვენს მიერ 2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტირების აქტიურმა პროპაგანდამ; ბოიკოტის რეალური გახორციელების მიზნით, ზვიად განმათავისუფლებლის პარტიამ ორგანიზება გაუკეთა არასაპარლამენტო ოპოზიციის კონსოლიდაციას (შალვა ნათელაშვილი, ბესო ჯუღელი, ირაკლი წერეთელი, ნოდარ ნათაძე, თამარ ჩხეიძე, გურამ გოგბაიძე, გია გაჩეჩილაძე, ლუიზა შაკიაშვილი...). შევიმუშავეთ ერთიანი სამოქმედო გეგმა, არალეგალურად დავბეჭდეთ ასიათასობით პროკლამაცია აქტიური ბოიკოტის მოწოდებით და გავავრცელეთ მთელი საქართველოს მასშტაბით. ბოიკოტის კამპანიასა და პროკლამაციების გავრცელებაში, ჩვენთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ეთერ მგალობლიშვილიც.

„ლეიბორისტები“ და ბესო ჯუღელის პარტიელები, ყველა ამ საჭირო საქმიანობაში შესამჩნევად ითრევდნენ ფეხს, მაგრამ კონსოლიდირებუ-

ლი პოლიტიკური ძალები, თითქმის საკმარისი ვიყავით და პოლიტიკურ ამოცანას შთამბეჭდავი წარმატებით გავართვით თავი, რის შედეგადაც 2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტი რეალურად გახორციელდა, რასაც ცხადჰყოფდა საარჩევნო უბნების შესამჩნევი სიცარიელე არჩევნების დღეს. მიუხედავად ამგვარი სურათისა, ედუარდ შევარდნაძემ, ჩვეული მეთოდებით ტოტალურად გააყალბა არჩევნები და „მიღებული ხმების“ 78% (?!) დაიწერა, რაზეც ზოგიერთმა უცხოელმა დამკვირვებელმა, შესაბამის ოქმს, ხელი არ მოაწერა.

ჩვენ ხელთ გვქონდა სურათი და სრული პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძველიც საერთაშორისო „სკანდალის“ ატეხვისა და ეროვნული პროტესტის აზვირთებისათვის, მაგრამ შალვა ნათელაშვილმა და ბესო ჯუღელმა მხარი არ დაგვიჭირეს და არც ხელი მოგვიწერეს სათანადო დოკუმენტზე. არადა, გვეძლეოდა სრული შესაძლებლობა (როცა შევარდნაძე უკვე მოყირჭებული ჰყავდა თვით რუსეთსაც და მისი ფიზიკური განადგურების მიზნით ორჯერ ტერაქტიც კი მოუწყვეს) შევარდნაძის მმართველობა 2000 წელსვე დაგვესრულებინა, რაც უდაოდ მკვეთრად შეცვლიდა პოლიტიკურ კლიმატს სახელმწიფოში და, მომავალ სახელისუფლო სპექტრსაც.

რომ არა ახალგაზრდა ამბიციური პოლიტიკოსი მიხეილ სააკაშვილი (2003 წლის ნოემბერ-დეკემბერი), ღრმად მოხუც შევარდნაძეს, 2014 წლის 9 ივლისსაც, პრეზიდენტის სავარძელში აღმოხდებოდა სული.

გოჩა ესებუასა და აკაკი ელიავას მკვლელობა

1998 წლის 19 თებერვალს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული გვარდიის წევრებმა, გოჩა ესებუას ხელმძღვანელობით, ზუგდიდში მძევლად აიყვანეს გაეროს მისიის ოთხი წარმომადგენელი და ჯიხაშკარში გამაგრდნენ. ეს გვარდიელები, ხუთი წლის განმავლობაში, შევარდნაძის ხუნტისტური ხელისუფლებისადმი შეურიგებლობისა და მიუმხრობლობის ნიშნად, ტყეში იყვნენ გახიზნულნი და მოწამეობრივად ცხოვრობდნენ. ეროვნული გვარდიის წევრებმა შევარდნაძეს შემდეგი მოთხოვნები წაუყენეს: ფაქტობრივი ხელისუფლება დამსხდარიყო მოლაპარაკების მაგიდასთან ზვიად გამსახურდიას კანონიერ ხელისუფლებასთან, საქართველოს მთელ ტერიტორიიდან უპირობოდ გაეყვანათ რუსეთის საოკუპაციო ჯარი, გაეთავისუფლებინათ პოლიტპატიმრები და სამხედრო ტყვეები.

გოჩა ესებუასა და მისი ჯგუფის მოთხოვნებს ეთანხმებოდნენ გაეროს მძევლები, რომლებსაც, გამტაცებლები, სტუმრების პატივით ეპყრობოდნენ. გოჩა ესებუა მსოფლიოს გასაგონად ამაყად აცხადებდა, რომ იგი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ჯარისკაცი იყო და რომ მსოფლიოს ყურადღების მისაქცევად იძულებული გახდა მძევლად აეყვანა გაეროს წარმომადგენლები. მართალია ესებუას მოთხოვნის პირველი პუნქტი დაკმაყოფილდა – შევარდნაძე ფორმალურად დაჯდა კანონიერი ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებთან **(ნემო ბურჭულაძე, ლია ანდღულაძე, გოგი ოჩიაური, ირაკლი ჩხეიძე...),** მაგრამ საქმე ამაზე წინ არ წასულა.

ისტორიისათვის, ვფიქრობთ, შთამბეჭდავია ამ გახმაურებული შეხვედრის ერთი ეპიზოდი; უზენაესი საბჭოს დეპუტატმა და ეროვნული მთავრობის განათლების მინიტრმა ლია ანდღულაძემ, ამ შეხვედრაზე ხელი არ ჩამოართვა ე. შევარდნაძეს და მის გაწვდილ ხელს მწყრალი განმარტება შეაგება: „მე არ ჩამოგართმევთ იმ ხელზე ჩემს ხელს, რომლითაც დაგვამხეთ და რომლითაც თქვენ ჩვენი ერის სისხლი დაღვარეთ. მე მხოლოდ შექმნილმა ვითარებამ მომიყვანა აქ, რომ კვლავ არ დაიღვაროს სისხლი...“

ლია ანდღულაძის პიროვნების წარმოსაჩენად ერთ ისტორიულ ფაქტსაც გავიხსენებ; როდესაც **პავლე ინგოროყვას** დიდუბის პანთეონისკენ მიასვენებდნენ (1983 წ. 23 ნოემბერი), ქაშუეთთან, ამ მომცრო ტანის სიფრიფანა ქალბატონს აღეძრა ძალუმი სურვილი, თვითონაც მხრებით შეხიდებოდა კუბოს და ამ მდაბალი თხოვნით ზვიადს მიეახლა. მხარზე კუბოშედგმულმა ზვიადმა ძლივს გაიგონა ლიას ჩურჩული, დაიხარა და ჩურჩულითვე მიუგო: ქალბატონებისთვის, ჩვენთან ეს მისაღები არ არისო. თუმცა, უმალ იგრძნო პატრიოტი თანამებრძოლი ქალის გულისმიერი წადილი და მხოლოდ ერთი წუთით ჩაინაცვლა იგი....

შევარდნაძემ კი მოატყუა ეროვნული ხელისუფლების ზემომოხსენიებული წარმომადგენლობა, რომ მძევლების უვნებლად გათავისუფლების შემთხვევაში, გამტაცებლებს ხელს არ ახლებდა! მძევლების მშვიდობიანად გათავისუფლების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ გამტაცებელთაგან 13 ნებაყოფლობით ჩაბარდა პოლიციას, შევარდნაძემ გოჩა ესებუასა და მისი ჯგუფის დანარჩენი წევრების დაპატიმრებაც სცადა, თუმცა მაშინვე ვერ მოიხელთეს. 1998 წლის 31 მარტს, პოლიციამ ალყა შემოარტყა გოჩა ესებუას სამალავს სოფელ ონორიაში და მოკლეს იგი, მისი წევრები კი დააპატიმრეს. ესებუების ოჯახიდან გოჩა მეორე მსხვერპლი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის, კანონიერებისა და სამართლიანობის

დაცვისათვის ბრძოლაში; გოჩას უფროსი ძმა გია ესებუა 1991 წლის 23 დეკემბერს მთავრობის სასახლის დაცვის დროს დაიღუპა. ამ გვარის მესამე წარმომადგენელიც გელა ესებუაც 1991 წლის 27 დეკემბერს მოკლეს მთავრობის სასახლესთან.

გოჩა ესებუას მკვლელობას, წინ უძღოდა დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის ავთანდილ იოსელიანის ინტერვიუ კორესპონდენტ ბონდო გულიაშვილთან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, სადაც მან ფაქტიურად გაახმოვანა გოჩა ესებუას მკვლელობის გეგმა: „გოჩა ესებუას, თავად ტერაქტის ორგანიზატორები არ აცოცხლებენ“ო. ამ ინტერვიუდან ორი დღის შემდეგ, 31 მარტს გოჩა ესებუა მოკლეს. თარიღის დამთხვევაც, შესაძლოა ერთგვარი ცინიზმის გამოხატულება და ნიშნისგების ჟესტიც იყო უზურპატორი ხელისუფლების მხრიდან...

1998 წლის 19 ოქტომბერს, შევარდნაძის ანტიეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება მოაწყო სენაკის სამხედრო შენაერთმა აკაკი ელიავას მეთაურობით. აჯანყებულები, ტანკებითა და სამხედრო არსენალით სენაკიდან ქუთაისისაკენ დაიძრნენ და გუბისწყალთან იძულებით შეჩერდნენ. სენაკში, დისლოკაციის ადგილზე დაბრუნებული ელიავა და მისი რაზმის რამდენიმე წევრი გაიქცა, ხოლო ორმოცდაათამდე „ზვიადისტი“ გვარდიელი დააპატიმრეს. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული გვარდიის პოლკოვნიკი აკაკი ელიავა, შევარდნაძემ 1996 წელს შეირიგა, რის შემდეგაც იგი სენაკის ბატალიონის მეთაურად დანიშნა. ორჯერ გადაბირებული ელიავა, როგორც გამოჩნდა სულაც არ ემხრობოდა შევარდნაძეს, არამედ, შერიგების ინსცენირებით, მისთვის და მისი თანამებრძოლებისთვის უსაფრთხოების გარანტიას იქმნიდა მხოლოდ.

19 ოქტომბრის სამხედრო აჯანყების მიზეზი დიდხანს გასაიდუმლოვებული იყო. გაურკვევლობას ნათელი მოჰფინა 1999 წლის იანვარში „მებრძოლი საქართველოს პატრიოტი შვილების“ სახელით ეროვნული მოძრაობის გაზეთებში („ჭყონდიდელსა“ და „თვალთაიში“) გამოქვეყნებულმა წერილმა, რომელშიც მებრძოლები წერდნენ:

„...1998 წლის 24 ოქტომბერს ზუგდიდში უნდა გამართულიყო მიტინგი, სადაც სამეგრელო გამოცხადდებოდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. მიტინგის ორგანიზატორი გახლდათ სამეგრელოს გუბერნატორი **ბონდო ჯიქია**, რომელიც უშუალოდ შევარდნაძის დავალებას ასრულებდა. სამეგრელოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაიწყებოდა სამოქალაქო ომი სამეგრელოსა და დანარჩენ საქართველოს შორის, რისთვისაც შევარდნაძეს წინასწარ შეყვანილი ჰყავდა ორი ათასამდე ჯარისკაცი ზუგდიდში, რომლებიც ვითომ დაუპირისპირდებოდნენ შევარდნაძის ხროვას... საჭირო გახდა სასწრაფო მოქმედება, შეიკრიბა საქართველოს ჭეშმარიტი მამულიშვილები. ქ. სენაკში შემუშავებული იქნა გეგმა, თუ როგორ გვემოქმედა საქართველოს გადასარჩენად...

სენაკში ჩამოვიდნენ კანონიერი უზენაესი საბჭოს დეპუტატები (მათი ერთი ჯგუფი) ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარედან. შემუშავებული გეგმა მოწონებულ იქნა და დავირაზმეთ ეროვნული გვარდიის პოლკოვნიკ აკაკი ელიავას გარშემო. ამავე დროს დაიწყო მოლაპარაკება სამეგრელოში დისლოცირებული სამხედრო ნაწილის მეთაურებთან. რამდენიმე მეთაურმა პირდაპირ განაცხადა, რომ ისინი ელოდებოდნენ ბრძანებას – რათა მიწასთან გაესწორებინათ სამეგრელო. მათი ნათქვამი ჩაწერილია და თავის დროზე გამოქვეყნდება მათი გვარები, ბევრმა თავი შეიკავა, ხოლო რამდენიმე მეთაური დახმარებას დაგვპირდა...

1998 წლის 18 ოქტომბერს მივიღეთ ინფორმაცია მიტინგის თარიღის უკან გადაწევის შესახებ. ზუგდიდში ჩამოვიდა რამდენიმე პიროვნება, ვითომ ზვიადისტები, რომლებიც წაიყვანდნენ მიტინგს. ბ-ნ აკაკი ელიავა კი იძულებული გახდა დაეწყო სასწრაფო მოქმედება და 1998 წლის 19 ოქტომბერს, ღამის 2 საათზე თავისი ბატალიონით განაიარაღა სენაკში დისლოცირებული ჯარის ნაწილი, რომელიც მზად იყო სამეგრელოს ასაოხრებლად. ხელთ იგდო ორმოცამდე მძიმე ტექნიკა და წამოვიდა სენაკი-მარტვილი-ხონის მიმართულებით ქ. ქუთაისისკენ... მასთან მოსალაპარაკებლად მივიდნენ იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი და უშიშროების მინისტრი გახოკიძე. დაიწყო მოლაპარაკება, რათა ზუგდიდიდან გაეყვანათ შევარდნაძის ჯარი და არ გამართულიყო მიტინგი...

...სამშობლოს ერთიანობის დასაცავად მუდამ შემართული კოლხები არ დაუშვებენ საქართველოს დაშლას, არ ეღირსება შევარდნაძეს თავისი გეგმის განხორციელება სამეგრელოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ... დღეს აკაკი ელიავამ იხსნა საქართველო საბოლოო განადგურებისაგან, მაგრამ ეს ხვალ ისევ მოსალოდნელია“...

საქართველოს კუთხეებად დაშლა-დაქუცმაცების მცდელობა-სტრატეგია, მისი შექმნის დღიდან ჰქონდა რუსეთის იმპერიას. ხოლო კანონიერი ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და სამეგრელოს ეგზეკუციების პერიოდში, 1992-94 წლებში, ხუნტის თვითმფრინავებიდან სამეგრელოს მთელ ტერიტორიაზე იყრებოდა პროკლამაციები მეგრული სეპარატიზმის გაღვივების შინაარსით. სამეგრელოს მრავალჯერადი ეგზეკუციები და დალაშქვრაც ამ იმპერიული გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო, რაც მიზნად ისახავდა მეგრელების რადიკალური პროტესტის გამოწვევას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისადმი. მეგრელი ქალების, ცოლების გაუპატიურებები, სადისტური მკვლელობები (მათ შორის ფეხმძიმე ქალების), მოკლული ახალგაზრდების ქუჩებში ღორების საჯიჯგნად დატოვება და პატრონებისთვის მათი დაკრძალვის უფლების აღკვეთა, საცხოვრებელი სახლების გადაწვა... ყოველივე, უკიდურეს პროტესტს, განსაკუთრებით შეიარაღებულ მებრძოლებში იწვევდა: „ჩვენ ავიღებთ ხელში იარაღს, როგორც მეგრელები, ბოდიშს მოვუხდით პატრიოტ ქართველებს და იძულებულნი ვიქნებით, სამეგრელო გავიყვანოთ განზე დანარჩენი საქართველსგან!“ აცხადებდნენ აკაკი ელიავა და მისი მებრძოლები, შეიარაღებულ დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ შევარდნაძის ანტიეროვნულ ხუნტისტურ ხელისუფლებას და მოითხოვდნენ საოკუპაციო (მათ შორის საქართველოს) ჯარების გაყვანას სამეგრელოს მთელს ტერიტორიიდან.

ელიავას დაჯგუფება არ ეთანხმებოდა და არც ენდობოდა ცნობილ პოლიტოლოგ სეპარატისტს **ალექსანდრე ჭაჭიას.** რუსეთის იმპერიის ქართველი ემისარი ალექსანდრე ჭაჭია, მის მიერ დაფუძნებული სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ს მეშვეობით დღემდე საიდუმლოდ მუშაობს ამ გეგმაზე პროპაგანდისტული გაზეთების („ტორონჯი“, „ქალდეა“, „ილორი“, „საქართველო და მსოფლიო“...) გამოცემით, რომელიც რუსეთიდან ფინანსდება და უფასოდ ვრცელდება სამეგრელოში. ხოლო, სამეგრელოს განათლების ცენტრის „კოლხიდას“ ხელმძღვანელი იური ღვინჯილია გამოსცემს მეგრულენოვან გაზეთს სახელწოდებით „შურობუმუ“, რაც „უთქმელს“

ნიშნავს და რომელიც ასევე რუსეთიდან ფინანსდება და ასევე გაჟღენთილია სეპარატისტული სულისკვეთებით.

ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ გამომცემელ-დამფინანსებელიც, მოსკოვიდან, ალექსანდრე ჭაჭია გახლავთ. რუსეთის იმპერიული სტრატეგიული გეგმისადმი ესოდენი ღვაწლისთვის, პუტინმა, 2014 წლის თებერვალში, ალექსანდრე ჭაჭია, სახელმწიფო ღირსების ორდენით დააჯილდოვა. ჭაჭიას საგამომცემლო ორგანოებთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ უზენაესი საბჭოს დეპუტატები **თემურ ქორიძე** და **თენგიზ კუბლაშვილი**. გაზეთის პროპაგანდისტული ვებგვერდი კი, იმპერიალისტური რუსეთის სატელიტი, არნოლდ ხიდირბეგაშვილის სააგენტო, „საქინფორმი“ გახლავთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გუბისწყალთან შეჩერებულმა ელიავამ, ხელისუფალთაგან პირობის მიღების შემდგომ რამდენიმე მებრძოლით მიმალვა შეძლო. შევარდნაძის უშიშროებამ და პოლიციამ ელიავაზე სამეგრელოს ტყეებში ნადირობა დაიწყო. 1999 წლის 18 თებერვალს „მოამბეში“ საქართველოს მოსახლეობას მოასმენინეს, ვითომ ელიავას მუქარა, რომ იგი აიღებდა ფოთს და განახორციელებდა სამხედრო ოპერაციას ფოთზე თუ ხელისუფლება არ გაათავისუფლებდა 1998 წლის 19 ოქტომბერს სენაკის აჯანყების გამო დაპატიმრებულ სამხედროებს. ზუგდიდელმა ტელემაყურებლებმა, მუქარის გამხმოვანებელში ელიავას ხმა ვერ შეიცნეს, მისი სახელით ლაპარაკობდა სხვა მეგრელი. ამ ამბების შემდგომ, შევარდნაძემ, ელიავა თითქოს კვლავ შეირიგა და რამდენიმე თვის განმავლობაში იგი თავისუფლად გადაადგილდებოდა თბილისისაკენ. ერთ-ერთი ასეთი „უსაფრთხო“ გადაადგილების დროს, 2000 წლის 9 ივლისს, მცხეთიდან მანქანით მიმავალი ელიავა ზესტაფონში დააკავეს. დაკავების ოპერაცია განახორციელა თბილისიდან წინასწარ ჩასულმა უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის სპეცჯგუფმა **რუბენ ასანიძისა** და **ლევან კენჭაძის** ხელმძღვანელობით (შსს მინისტრი კახა თარგამაძე, უშიშროების მინისტრი ვახტანგ ქუთათელაძე). რამდენიმე საათიანი დაკავების შემდეგ ელიავა და მისი თანმხლები პირები, თითქოს გაათავისუფლეს, მაგრამ მანქანაში ჩაჯდომისას ელიავა ზურგიდან დაცხრილეს. მასთან ერთად მოკლეს მისი თანმხლები, გალის პარტიზანული ჯგუფის მეთაური და 19 ოქტომბრის სამხედრო აჯანყების მონაწილე გოჩა გვილავაც.

აკაკი ელიავასა და გოჩა გვილავას ფიზიკურ ლიკვიდაციაში პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება ედუარდ შევარდნაძეს, მაშინდელ უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს **ვახტანგ ქუთათელაძეს და კახა თარგამაძეს, უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროს ლევან კენჭაძეს, იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროს რუბენ ასანიძეს, აგრეთვე, ჯემალ გახოკიძეს,** რომელიც იმ დროისათვის უშიშროების მინისტრის მაღალი პოსტიდან, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის თანამდებობაზე იყო ჩამოქვეითებული. ეს კობრას სახიანი უშიშროების ნამინისტრალი გახოკიძე, 2010 წელს, საკუთარის სიძის (დის ქმრის) მკვლელობის შეკვეთაში იქნა მხილებული, თუმცა პასუხისმგებლობაში არ მიუციათ. იგი, დღემდე, ტექნიკური უნივერსიტეტის მმართველთა საბჭოშია.

აკაკი ელიავას მკვლელი, უშიშროების სპეცნაზის ხელმძღვანელი ლევან კენჭაძე 2004 წლის 29 აპრილს სულ სხვა ბრალდებით დააპატიმრეს – მას ბრალად, პანკისში, იარაღის უკანონოდ გაყიდვა წაუყენეს. 20 ივლისს ლევან კენჭაძეს, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამოერთვა უკანონოდ შეძენილი ქონება. 2005 წლის აპრილში მას 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

გოჩა ესებუას ლიკვიდაციის ოპერაციაც, აგრეთვე, ე. შევარდნაძის, ჯემალ გახოკიძისა და კახა თარგამაძის კისერზეა, რომელთა მოკავშირეს წარმოადგენდა სამეგრელოს გუბერნატორი (2017-2018 წ.წ.) ლევან შონია.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა

1993 წლის 18 ოქტომბერს, ირინა სარიშვილი, ზვიადის მოძულეთა ელიტის თავყრილობაზე, ფილარმონიის დარბაზში, გამოდის სიტყვით: „მე, როდესაც გუშინ ბატონი რეზო ამაშუკელის გამოსვლა მოვისმინე ტელევიზიით ამ შეკრებასთან დაკავშირებით, უნდა გითხრათ, რომ ბატონო რეზო, **პირველად** გამაღიზიანა თქვენმა ნათქვამმა, რომ ხვალ ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათო. ჩვენ წელიწადნახევარია ვამბობთ, რომ ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და ასე გადაწყდება თითქოს ყველაფერი. ჩვენ ვნახეთ, რომ ეს ასე არ არის და ის საფრთხობელა, რომელიც წელიწადზე ცოტა ნაკლები პრეზიდენტად იყო და მერე გროზნოში გავუშვით და სხვათაშორის, ის პირები არანაკლებ პასუხისმგებლები არიან დღეს, ვინც ის ცოცხალი გაუშვა *(დარბაზში მქუხარე ტაში)*, მაპატიოს ღმერთმა ამას რომ ვამბობ და ახლა ყველაზე

ისეთ დროს, როდესაც სოხუმი დაცემულია და დასავლეთ საქართველოს პრობლემა დგას მთლიანად, ეს ჩვენი საფრთხობელა კვლავ მოიწევს თბილისისკენ... ასეთი ადამიანი, მე იმდენი შეურაცხყოფები მაქვს მის მიმართ ნათქვამი, რომ არ მინდა ახლა ტაშის დაკვრის გულისთვის ვიხმარო ის სიტყვები „მანიაკი“, „პათოლოგი“ და ა.შ. ვიცით ყველამ ვისთანაც გვაქვს საქმე. ჩვენი და ყველას, თვითეული ჩვენთაგანის სირცხვილია, ჯერ ის რომ ეს ადამიანი პრეზიდენტი გახდა და დღეს კიდევ მიწაზე დადის და ჩამოვიდა აქ და კიდევ რაღაც მუქარებს გზავნის... მე უბრალოდ ვთვლი, ბატონო რეზო, რომ დღეს, ამ შეხვედრაზე, არც სნგ-ს კრიტიკის და არც სნგ-ს ქების დრო არ არის. დღეს ჩვენ აქ სულ სხვა რამეზე უნდა ვილაპარაკოთ (*ტაში*). თვითონ ბატონმა ედუარდმა დღეს ბრძანა თავის რადიო-გამოსვლაში, რომ მან გააკეთა განცხადება სნგ-ში შესვლის თაობაზე, მთავრობა ერთსულოვანია ამ საკითხთან დაკავშირებით, ვინც უშლიდა ხელს ერთსულოვნებაში ის აღარ არის ამ მთავრობაში (*თავის გადადგომას გულისხმობს* – **ლ.ც.**), ამიტომ რუსეთისთვის ეს აბსოლუტურად საკმარისია იმისათვის, რომ რაღაც დავინახოთ ან არ დავინახოთ, რომ ჩვენ სნგ-ში შესვლით ან არშესვლით, რაღაც პრობლემას მოვაგვარებთ. რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას, მე როგორც მესმის, მე ასე მესმის: სანამ ზვიად გამსახურდიას პრობლემა არსებობს საქართველოში, არც სნგ-ში შესვლით, არც სნგ-ში შეუსვლელობით, არც ევროგაერთიანებაში შესვლით და ამერიკის შტატადაც რომ მიგვიღონ, არაფერი საქართველოს არ ეშველება... ნება მიბოძეთ კატეგორიულად არ დავეთანხმო, სახელმწიფო მეთაურს, რომელმაც თავის ინტერვიუში გუშინ ბრძანა, რომ „მოვიდა დრო, რომ ზვიად გამსახურდიას საკადრისი პასუხი გაეცეს და მას გროზნოში ელოდებიან“. არა, ბატონო ედუარდ, **არ შეიძლება ზვიად გამსახურდიას გაშვება გროზნოში** *(მქუხარე ტაში).* ზვიად გამსახურდია, როგორც თავისი ერის შვილი, თუნდაც როგორც თავისი ერის სირცხვილი, უნდა დარჩეს, რა თქმა უნდა სახეცვლილი მდგომარეობით აქ, საქართველოში და მაშინ უნდა ვილაპარაკოთ ჩვენ საქართველოს გადარჩენაზე, მადლობთ!“ *(მქუხარე ტაში).*

ირინა სარიშვილის ეს იმპერატიული მოთხოვნა, საკუთარი ყურებით მოისმინა, დარბაზში მჯდომმა ედუარდ შევარდნაძემაც, რომელსაც, ზვიად გამსახურდიას ლიკვიდირების სხვა გეგმა-ჩანაფიქრი ჰქონია შემუშა-

ვებული. ოღონდ, არა საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ ჩეჩნეთის. უთუოდ ამაზე მიანიშნებს სარიშვილის მიერ ციტირებული შევარდნაძის გამოსვლის ტექსტი: **„მოვიდა დრო, რომ ზვიად გამსახურდიას საკადრისი პასუხი გაეცეს და მას გროზნოში ელოდებიან“.** სარიშვილს კი ეჩქარება, რაც შეიძლება სწრაფად ნახოს ზვიადი „სახეცვლილ მდგომარეობაში“ (მოკლული), ვინძლო გროზნოში ვერ მოხერხდეს ეს. აკი, ერთხელ სცადეს, შევარდნაძის სპეცსამსახურებმა, ზვიადის გროზნოს რეზიდენციაში გალავნიდან შეღწევა, მაგრამ შემჩნეულ და მოგერიებულ იქნენ ჩეჩენი სპეცრაზმელების მიერ.

1993 წლის 18 ოქტომბერს, ფილარმონიაში შეკრების ზემომოტანილი ვიდეო-ჩანაწერი, ინტერნეტში, 2016 წლის ოქტომბრის დასაწყისში გავრცელდა, რასაც მალევე სარიშვილის ვრცელი „მონანიების“ ტექსტი მოჰყვა facebook-ის საკუთარ გვერდზე: „უმძიმესი სანახავია ჩემთვის. იმდენად მძიმე რომ ეს დღეები პარალიზებული ვარ... ამ გამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე გადავდექი ვიცე–პრემიერობიდან შევარდნაძის მიერ დსთ–თან მიერთების გადაწყვეტილების პროტესტის ნიშნად... სხვებზე მეტად მე თვითონ ვარ შეძრწუნებული და არც ვიცი როგორ, რა სიტყვებით გამოვხატო ჩემი სინანული. ამას თავის გასამართლებლად არ ვამბობ – ჩემ სიტყვებს არანაირი გამართლება არა აქვს – ამას ვამბობ მხოლოდ იმიტომ რომ ეხლა მაინც მივხვდეთ რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება... ეს არ მახსოვდა და ამან ჩემზე ისე იმოქმედა რომ წარმომიდგენია სხვას რა მოუვიდოდა, განსაკუთრებით ზვიადის მომხრე ჩემს მეგობრებს, ვინც დღეს თანამოაზრეები ვართ დღევანდელ სიტუაციაში...“ და ა.შ.

ფარისეველი პოლიტიკანის, ირინა სარიშვილის, სნგ-ში (დსთ) შესვლის გამო პოსტიდან გადადგომა გია ჭანტურიას ძალდატანებით მოხდა; დრომ ნათლად გამოავლინა მისი რეალური სახეც და პოლიტიკური ორიენტაციაც, რის გამოც იგი ედპ-დან გარიცხეს. გია ჭანტურიას ვერაგული მკვლელობაც, იგორ გიორგაძესთან მისი მოღალატური მოკავშირეობით, „ნასედკობით“ გახორციელდა.

რამდენჯერაც უნდა იმართლოს თავი ირინა სარიშვილმა, ფაქტია რომ, ე. შევარდნაძის მხრიდან, მისი შეგონება-რეკომენდაცია, ზვიად გამსახურდიას საქართველოდან ცოცხლად არ გაშვების თაობაზე, შესმენილ იქნა!

იმპერიალისტური რუსეთის სატელიტური პარტიის „იმედის“ თავმჯდომარე, ირინა სარიშვილი, 2007 წლის 5 თებერვალს, სადახლოს საბაჟოსთან დააკავეს, რომელიც მინსკიდან ჩავიდა სომხეთში და იქედან ტაქსით მოდიოდა თბილისისკენ. სარიშვილს აღმოაჩნდა 60 გრამი ოქრო, 58 ათასი დოლარი, რუსული ფული და ევროები.

„გია ჭანტურია კისრულობს ედპ-ს ორასკაციანი რაზმის შეკრებას და დასავლეთ საქართველოში გაგზავნას. ოღონდ იარაღს თხოულობს... ვაძლევ 100 ახალთახალ ავტომატს თავისი ტყვია-წამლით.... დათო მაღრაძე ინტელიგენციაში ფულს აგროვებს იარაღისა და სხვა დანიშნულებისათვის“, აღწერს ჯაბა იოსელიანი.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიაზე „ნადირობა“ სამეგრელოს ტყეებში, უშუალოდ რუსი სამხედრო მაღალჩინოსნებისა და შევარდნაძე-კვირაია-მარგიანის კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს. ქვემოთა ფოტოზე ისინი სწორედ რუს სამხედროსთან არიან წარმოდგენილი შეთქმული სახეებით.

პრეზიდენტის დევნილობა სამეგრელოს სოფლებსა და ტყეებში იწყება 1993 წლის 1 დეკემბრიდან და მისი თავშესაფრის ძიების გოლგოთური მარშრუტი ასეთია: ხუბერის ტყე, ლაკადას მთებში ჭყებზენის ტყე, ქართლაშის მაღლობზე მწყემსის ქოხი... ჩქვალერის ტყე – ვანიჩკა ფიფიას ქოხი.

სენაკში (კოსტავას ქ. №11), ნაზი ხახუბიასა და გერმანე კუპრეიშვილის ოჯახში ზვიადი ერთი კვირით იყო შეფარებული.

1993 წ. 6-7 ნოემბერი ზუგდიდის დატოვება. მანამდე ზვიად გამსახურდია ცხოვრობდა სოფელ ოდიშში ჯერ ლოთი ქობალიას სახლში და მერე ზუგდიდში ემილიო პირველის სახლში.

სოფელი ილორი, ტუჟბების ოჯახი, დაახლოებით ერთი კვირა და ისევ სამეგრელოში იძულებით გადმოსვლა.

13 ნოემბერს გადმოდიან ენგურზე სოფელ რიყესთან. ერთი დღე ელოდებიან გურამ აბსანძეს, რომელიც აღარ გამოჩნდა.

13-14 ნოემბერი ენგურის ხეობა, ხუბერი, ხოკოს უღელტეხილზე ტყეში მდებარე განმარტოებულ „ფინურ“ სახლში ღამისთევით. ორი დღე.

15-17 ნოემბერი, სოფელი ჩქვალერი, ჯუმბერ ფიფიასთან ერთი დღე. იმავე სოფელში რაულ ფიფიასთან 1 დღე. ისევ ჩქვალერი, პალადინ და ფლორა ქარდავებთან 1 დღე, სადაც თავს ესხმიან.

17-23 ნოემბერი, ლაკადის ხეობა, ქართლაშის მთა, ვანიჩკა ფიფიას მწყემსების ქოხი ერთი კვირა, შემდგომ გადასვლა მდინარე მაგანაზე და ენგურზე.

23-30 ნოემბერი, სოფელი მუჟავა ოთარ და ვახო არქანიების სახლი. შემდეგ მუჟავა, ბადრი ზარანდიას პარტიზანული ბანაკი „ჩვინარე“ – 6-7 დღე. შემდგომ ჭყებზენის მთა, ისევ მწყემსების კარავი მუჟავაში.

1-4 დეკემბერი, სოფ. მუჟავა, – ზაურ ანთიას სახლი.

4-5 დეკემბერი, სოფ. ფახულანი, – გულიკო გუჩუას სახლი.

5-6 დეკემბერი, სოფ. ლია-პალური, – გივი პაჭკორიას სახლი.

6 დეკემბერი, სოფელი ლია –, ჩიგო გუჩუას სახლი.

6-9 დეკემბერი, სოფელი ჩხორია – გურამ სამუშიას სახლი.

10-11 დეკემბერი, სოფ. ზედა ეწერი – პალმირო თორდიას სახლი.

11-12 დეკემბერი, სოფელი ლია, – გურამ სამუშიას სახლი (ეს მეორე გურამ სამუშიაა)

12 დეკემბერი, სოფელი ნაცატუ – გიული გაბედავას სახლი.

13 დეკემბერი სოფელი ბაში, – კოკი ლაშხიას სახლი.

13-14 დეკემბერი სოფელი ობუჯი – ჰამანდა მესხიას სახლი.

14-19 დეკემბერი სოფ. ჯაღრა – ანზორ მებონიას სახლი.

19- 22 დეკემბერი, სოფელი ჩქვალერი, – რაულ ფიფიას სახლი.

22-28 დეკემბერი სოფ. ჯიხაშკარი – ჯონსონ კვარაცხელიას სახლი.

28-31 დეკემბერი ძველი ხიბულა – კარლო და ლუდმილა ღურწკაიების სახლი.

ქვემოწარმოდგენილ ფოტოზე ბადრი ზარანდიას ბანაკია მუჟავაში (წალენჯიხა), ჩვინარედ წოდებული ადგილი, სადაც ერთი კვირა თავს აფარებდა ზვიადი თავისი გარემოცვით. აქედან კი მათ მოუწიათ ჭყებზენის ტყეში ასვლა შექმნილი არასანდო ვითარების გამო. ზვიადისა და მისი გარემოცვის ჭყებზენის ტყეში ასვლიდან, რამდენიმე საათში იკარგებიან პრეზიდენტის ერთგული ახალგაზრდა მცველები: ვაჟა ჭინჭარაული და ირაკლი გოგაძე. ცოცხლად დარჩენილი მცველებიდან არავინ ამბობს, ვინ ჩამოაცილა გოგაძე და ჭინჭარაული პრეზიდენტის დაცვას და რატომ არ (თუ ვერ) აყვნენ ისინი ჭყებზენის ტყეში პრეზიდენტს, სადაც მან, გარემოცვის თანხლებით, ერთი კვირა დაჰყო. გოგაძისა და ჭინჭარაულის

გაუჩინარება უკავშირდება კრიმინალური წარსულის მქონე, ვინმე „ჭუმინას“, რომელმაც, თითქოს ცხენებით გაუწია მეგზურობა ამ ახალგაზრდა მცველებს იმერეთის ბატალიონთან შესაერთებლად სოფელ ნაკიფუს ულურიის დასახლებაში. აქ, ახალგაზრდა მცველები, გოგაძე და ჭინჭარაული გრამიტონ კვარაცხელიას მიტოვებულ სახლში დაბინავებულან. ღამით ეზოში სპეცნაზი შეჭრილა და ყუმბარებისა და ავტომატების სროლით გადაუბუგავთ სახლი. დილით, სოფლელებს ძლივს გაუბედავთ თავდასხმის ადგილზე მისვლა, სადაც დანახშირებული სახლი და ორი გვამი უნახავთ. სწორედ ეს გარდაცვლილები უნდა ყოფილიყვნენ პრეზიდენტის ერთგული მცველები, ჭინჭარაული და გოგაძე. დანახშირებული გვამები, 1993 წლიდან დღემდე ინახება სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მაცივრებში, რაზეც გამოძიება არ დაწყებულა.

ქვემოთა ფოტოზე, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, თავისი გარემოცვითა(მარნეულის პრეფექტი ვალერი გაბელია...) და მცველებით წალენჯიხის რაიონის სოფელ სქურის ტყეში გადაადგილდება. პრეზიდენტის მარცხენა მხართან, სათვალითა და წვერით მისი უერთგულესი მცველი ვაჟა ჭინჭარაულია და ირაკლი გოგაძეც, სადღაც მათ შორის უნდა იყოს...

ქვემოთ კი ვანო (ვანიჩკა) ფიფიას ფარდულია ჩქვალერის ტყეში (წალენჯიხა), სადაც მწყემს ვანიჩკა ფიფიას შეფარებული ჰყავდა ზვიადი, ბესარიონი და რამდენიმე მცველი...

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სოფლიდან სოფელში გადაადგილება უწევდა ღამით ფეხით, ტრაქტორით და ურმითაც. ეს გახლავთ მამუკა კვარაცხელიას ურემი, რომლითაც ზუგდიდის სოფ.ნაცატუდან წალენჯიხის ს.ობუჯში გადაადგილდა ზვიადი...

ჩვენ თავად მოვიარეთ სამეგრელოს ის სოფლები, ტყე-ღრეები და მდინარეები, სადაც გოლგოთის გზა განვლო დევნილმა პრეზიდენტმა, რომელსაც უმძიმეს პირობებში უწევდა ყოფა. ეს მდინარე მაგანაა ლაკადას ხეობაში, რომელიც ცივ დეკემბერში გადაცურა ზვიად გამსახურდიამ თანმხლებ პირებთან ერთად.

ქვემოთა ფოტოზე ჩემს უკან, ზევით ჭყებზენის ტყეა, სადაც რამდენიმე დღე კარავში ცხოვრობდა პრეზიდენტი.

იგორ გიორგაძის, გია გულუას, ავთანდილ იოსელიანის, ჯაბა იოსელიანის შეიარაღებული მდევრები, მათი სამიზნე პრეზიდენტისაგან, თანდათანობით ახდენდნენ მთავრობისა და დაცვის წევრების ჩამოცილებას. საბოლოოდ მათ, დევნილი პრეზიდენტის გარემოცვა, სამ კაცამდე (ბესარიონ გუგუშვილი, რობინზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე) დაიყვანეს. სამეგრელოში გავრცელებული ინფორმაციით, ტყვია, აფხაზეთის უშიშროებაში გამოწვრთნილ ქილერს, **გია მხეიძეს** ასროლინეს.

აფხაზეთის უშიშროების თავმჯდომარე, იმხანად, ავთანდილ იოსელიანი გახლდათ, რომელიც მოგვიანებით უტიფრად განაცხადებს: 31 დეკემბერს, ზვიად გამსახურდიას ხიბულაში თვითმკვლელობით სიკვდილი, ჩვენ, ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტმა ზელიმხან იანდარბიევმა შეგვატყობინა 5 იანვარსო.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის“ შესახებ ინფორმაციის ცოლ-შვილთან ჩასატანად, გროზნოში, 1994 წლის 5 იანვარს,

ბესარიონ გუგუშვილის მიერ წარგზავნილ იქნენ პრეზიდენტის მცველები: **ზაზა ბურჯანაძე, ბაჩუკი გვანცელაძე** და **გოჩა კეკენაძე**. თავად გუგუშვილი კი, რობინზონ მარგველანთან ერთად, მოგვიანებით ჩავიდა.

პრემიერი ბესარიონ გუგუშვილი, რამდენიმე წლის შემდგომ (2010 წ.) საეჭვო დაჟინებით გვიმხელს: „ოჯახის მიერ დადებული პირობის თანახმად, რომელსაც, მაგალითად ახმოვანებს, ზ. გამსახურდიას გროზნოში გადასვენების საერთაშორისო(!) კომისიის თავმჯდომარე, ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტი ზელიმხან იანდარბიევი თბილისში მიცემულ საჯარო ინტერვიუში – გამსახურდიას ოჯახი უნდა ყოფილიყო, ზვიად გამსახურდიას **თვითმკვლელობის გარანტი და მცველი!** *(ხასგასმა ჩვენია — ლ.ც.)* ანუ, გამსახურდიას ოჯახს არასოდეს უნდა წამოეყენებინა სხვა ვერსია, გარდა თვითმკვლელობისა და ყოველთვის უნდა დაეცვა, სწორედ და ზუსტად, თვითმკვლელობის ვერსია!“

1998 წლის 10 თებერვალს, მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, ე. შევარდნაძემ, ფრიად საგულისხმო და ნიშანდობლივი სიტყვა წარმოთქვა: „პინოჩეტს, აყვავებული სახელმწიფოსკენ მიმავალი გზა რომ აერჩია, **ალიენდე უნდა მოეკლა და ის ხალხი გაენადგურებინა,** ვისაც დემოკრატიისაკენ მიჰყავდა ქვეყანა“. ამ (*ლიტერატურული ფრაზეოლოგიით რომ ვთქვათ)* რემინისცენციით, ე. შევარდნაძემ, ხელისუფლების უზურპაციისათვის, სავსებით გამართლებულად მიიჩნია, მისი თანამედროვე – უსასტიკესი დიქტატორის – ავგუსტო პინოჩეტის (1915-2006 წ.წ.) წამბაძველობა... და მოკლა ზვიად გამსახურდია

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სავარაუდო მკვლელი, ავთანდილ იოსელიანის სპეცნაზელი **გია მხეიძე,** 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, ჯიხაშკარის №79 უბნის დამრბევად მოევლინა საზოგადოებას. საერთაშორისო დამკვირვებლების ზეწოლით იგი დაპატიმრებული იქნა, თუმცა მალევე გაათავისუფლეს; გამოვლინდა, რომ პრეზიდენტის სავარაუდო მკვლელი გია მხეიძე „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საიდუმლო სპეცსამსახურის მოქმედი თანამშრომელიც იყო. ხოლო, როგორც მოქმედი სპეცნაზელი, ამ საარჩევნო უბანზე, „ნაციონალების“ ხმების უპირატესობის გამო, შეგზავნილ იქნა უბნის დასარბევად. სპეცნაზელმა გ. მხეიძემ პირნათლად შეასრულა რა ეს დავალებაც, ამ უბანზე არჩევნების მეორე ტურის ჩატარების აუცილებლობა შექმნა. ამგვარმა ლუსტრირებამ, ნათლად დაგვანახა, რომ ჩვენს მიერ, „ოცნების“ ხელისუფლების პროკურატურაში (მანამდე „ნაციონალების“ ხელისუფლების პროკურატურაშიც) შეტანილ განცხადებას, პრეზიდენტის მკვლელობის გამოძიების შესახებ, თუ რატომ არ იძიებდა, არც ივანიშვილისეული „ოცნების“ ხელისუფლება და მასაც თაროზე ჰქონდა შემოდებული.

პრეზიდენტის მკვლელთა ვინაობასთან და ადგილთან დაკავშირებით არსებობს სხვა ვერსიაც;

2018 წლის 3 მარტს, რუსთავი-2-ის გადაცემა „პოსტ-კრიპტუმში“, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადმა მცველმა **ბადრი გოგოლაშვილმა** განაცხადა, რომ: „ზვიად გამსახურდია სოფელ ძველ ხიბულაში, კარლო ღურწკაიას სახლში უკვე მოკლული მიიყვანეს და თვითმკვლელობის ინსცენირება მოახდინეს. მკვლელობა მაშინ მოხდა, როდესაც ზვიად გამსახურდია, ბესარიონ გუგუშვილთან და დაცვის ორ წევრთან ერთად სოფელ ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულაში მიდიოდა“. მართალია გოგოლაშვილი იმ დროს გროზნოში იმყოფებოდა, მაგრამ მისი თქმით მან მკვლელობის დეტალები პატიმარ მღვდელ ბასილ მკალავიშვილისგან გაიგო. ბასილ მკალავიშვილი ადასტურებს, რომ ციხეში პატიმარი გიორგაძე მისი თანამოსაკნე იყო, რომელმაც უთხრა, რომ პირველი პრეზიდენტის მკვლელობას თავად ესწრებოდა.

2016 წელს გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის“ (N19) მიცემულ ინტერვიუში მამა ბასილ მკალავიშვილი კი პატიმარ გიორგაძის ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ „ზვიად გამსახურდია, ჯერ მანქანიდან გადმოიყვანეს, სასტიკად აწამეს, შემდეგ სენაკის აეროპორტიდან თბილისში ჩააფრინეს. შევარდნაძე ორჯერ შეხვდა და რომ ვერაფერზე დაითანხმეს, გია გულუამ და შოთა კვირაიამ, შევარდნაძის თანდასწრებით, 1993 წლის 28 დეკემბერს, თვითმფრინავშივე გამოასალმეს სიცოცხლეს მორწმუნე ქრისტიანი პრეზიდენტი“.

ეს გახლავთ ღურწკაიების ავადსახსენებელი სახლი – ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში, მოგვიანებით მეორე დანაშაულიც მოხდა, მათმა ვაჟიშვილმა მეზობლის ბიჭი მოკლა, რომელიც სახლში შეუვარდა და სოფელმა ღურწკაიებს სახლ-კარი დაურბიეს, ეზო მოურღვიეს და ასე გავერანებულია დღეს ღურწკაიების სახლ-კარი. ღურწკაიები ამავე სოფლის – ახალ ხიბულაში გადასახლდნენ... ღურწკაიებს ეყოლათ გოგონა ხბოს ტანით...

ხიბულადან, ზვიადი, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში ტრაქტორით გადაასვენეს და ჯონსონ კვარაცხელიას ყანაში დაკრძალეს, სადაც იგი 9 თუ 10 თებერვლამდე იყო დასაფლავებული. უზუსტობა და მცდარია პროფესორ გურამ შარაძესთან მოყვანილი ინფორმაცია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თავდაპირველი დაკრძალვის ადგილის შესახებ. კერძოდ, ბატონი შარაძის უდაოდ მნიშვნელოვან ბროშურაში **„ზვიად გამსახურდას სიკვდილი და დასაფლავება“,** ზუგდიდელი გლეხი და ზუგდიდელი საქართველოს პარლამენტის წევრი გურამ შელია, ამბობენ, რომ თითქოს ზვიადი პირველად დაკრძალული იყო სოფელ ჯაღრაში (გვ.50-51). ზვიადი ნამდვილად იყო თავშეფარებული წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯაღრაში ანზორ მებონიას ოჯახში 14-დან 19 დეკემბრამდე.

ამ ფოტოზე, ჩვენ სწორედ ამ მებონიების ეზოში ვიმყოფებით და ჩვენს უკან დგას მათი მოკრძალებული სახლი, სადაც მზრუნველობა გაუწიეს დევნილ პრეზიდენტს. მაგრამ, პრეზიდენტი ამ სოფელში არ ყოფილა დაკრძალული.

ჯიხაშკარელმა ჯონსონ კვარაცხელიების ოჯახმა კი, დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის პირველად საფლავზე, საკუთარი ხარჯებით ააგო მარმარილოს ჯვარი და დღემდე იგი ძეგლივით შემონახულ-დაცული აქვთ საკუთარ ეზოში, სადაც ზვიადს პატივს მიაგებენ-ხოლმე ოჯახი და ჯიხაშკარელები. შეიძლება ითქვას, რომ ჯონსონ კვარაცხელიების პატრიოტული ჟესტით, აღსრულდა მაშინდელი პარლამენტარის გურამ შელიას სურვილიც, აღემართათ მემორიალი პრეზიდენტის პირველად საფლავზე. ოღონდ აღიმართა, არა ჯაღრაში, არამედ მის ნამდვილ პირველად განსასვენებელ ჯიხაშკარში...

პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, საბოლოოდ, იმავე სოფელში ვალიკო ზარანდიას სახლში ურმით გადაასვენეს და მისივე თავლაში, საიდუმლო ვითარებაში იქნა დაკრძალული. 10-დან 12 თებერვლამდე ვალიკო ზარანდიას სახლის მეორე სართულზე დასვენებულ ზვიადის ცხედარს ექსპერტიზას უტარებდნენ უშიშროების თანამშრომლები და საქართველოს მთავარი პათოლოგანატომი, აკადემიკოსი თამარ დეკანოიძე, რაც ოფიციალურად არ ხმაურდებოდა...

მისი თავლიდან ამოსვენებისა და გროზნოში გადასვენების შემდგომ, ვალიკო ზარანდია მალევე დააპატიმრეს და მას ცემაში ამოხადეს სული. თუმცა, ვიცე-პრემიერ ავთანდილ მარგიანის მიერ, ვალიკო ზარანდიასათვის მიცემული იყო საჯარო პირობა, რომ მას არავინ შეეხებოდა და მის სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ დაემუქრებოდა. 2003 წლის 21 ივნისს, ზუგდიდში, მანქანაში ჩაცხრილეს ვალიკო ზარანდიას შვილები, მანუჩარ და ბეჟან ზარანდიები და მამუკა გვაზავა.

ძალზე დიდი დაგვიანებით (2007 წელს) ჩატარებულ როსტოვის ექსპერტიზის დასკვნაში ვკითხულობთ: „ტყვიის მოძრაობის მიმართულებაა მარჯვნიდან მარცხნივ, რამდენადმე ზემოდან ქვემოთ, რამდენადმე წინიდან უკან, რაზეც მიუთითებს შემავალი და გამომავალი ხვრელები. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ავტომატური პისტოლეტის „სტეჩკინის“ (რომლის წონა დამუხტულ მდგომარეობაში 1420 გრამია), ხელში დაჭერა თვითმკვლელობის მიზნით, ლულით, 100– 200 მილიმეტრის მანძილზე და ისე, რომ ტყვიის მიმართულება იყოს მარჯვნიდან მარცხნივ, რამდენადმე ზემოდან ქვემოთ, რამდენადმე წინიდან უკან, ფიზიკურად შეუძლებელია“. როსტოვის საექსპერტო დასკვნაში ვკითხულობთ, აგრეთვე გარდაცვლილის ძვლების მრავალი მოტეხილობის შესახებ. რაც ბადებს გონივრულ ეჭვს, რომ დატყვევებულ პრეზიდენტს, სპეცსამსახურის თანამშრომლები, ჯერ ფიზიკურად გაუსწორდნენ და შემდგომ მოკლეს.

ჩვენ, ახალ ხიბულაში ვესტუმრეთ მამა-შვილ ღურწკაიებს და გამოვკითხეთ ისინი. მათი მონაყოლი არ იყო გულწრფელი და საუბარში დავატყვეთ, რომ ისინი მთავარ სიმართლეს მალავდნენ. აშკარად ეტყობოდათ, რომ სპეცსამსახურების მიერ პერმანენტული ზეწოლისა და დამუშავების ქვეშ იმყოფებოდნენ...

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შეთქმულებაში, ერთობ საეჭვოდ ფიგურირებენ ძმები ჩუხუები (ანატოლი და ზაური). სწორედ ეს ძმები მივიდნენ ჯონსონ კვარაცხელიასთან დაბინავებულ პრეზიდენტთან 1993 წლის 28 დეკემბერს ჯიხაშკარში, რომლებმაც ამცნეს, რომ ამ სახლში თქვენი ადგილ-სამყოფელი უშიშროებისთვის ცნობილია და სასწრაფოდ უნდა გამოიცვალოთ ადგილიო. ძმებმა ჩუხუებმა თავად გადაიყვანეს პრეზიდენტი და პრემიერი გუგუშვილი „უსაფრთხოდ“ დასახელებულ ღურწკაიების სახლში, დაცვის წევრების გარეშე, ყველანი იქ ვერ დაეტევითო და მხოლოდ რობინზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე იახლეს. ძველ ხიბულაში, ღურწკაიების სახლშიც, უკანასკნელ დღეებში (28-31 დეკემბერი), პრეზიდენტს მხოლოდ ეს ძმები, ჩუხუები აკითხავდნენ. კარლო ღურწკაიას თქმით, მის სახლში ტყვიის გასროლამდე, სწორედ ძმები ჩუხუები სტუმრობდნენ და მათი წასვლის შემდეგ მალევე მოხდა ის საშინელი გასროლაც. შევარდნაძის ხუნტისტურმა ხელისუფლებამ კი, 1994 წლის 5 იანვარს, გაავრცელა ოფიციალური ინფორმაცია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ ზვიადის გარემოცვის -გუგუშვილის, მარგველანისა და გვანცელაძის ინფორმაციაზე დაყრდნობით.

საზღვარგარეთ ემიგრირებული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარემოცვა – ბესარიონ გუგუშვილი, რობინზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე – ბოლომდე მტკიცედ ადასტურებენ ზვიადის „თვითმკვლელობის ფაქტს“.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზვიადის, საბოლოო – სამკაციანი გარემოცვა, სანდოობის მაღალი ხარისხით იქნა შერჩეული შევარდნაძისა და რუსეთის სპეცსამსახურების მიერ!

ხოლო, პრეზიდენტის დაცვის დანარჩენმა წევრებმა, გამოიჩინეს სრული უპასუხისმგებლობა, ბოთეობა, ან ისინიც მოსყიდულები იყვნენ, უკრიტიკოდ და მორჩილად დანებდნენ რა პრეზიდენტისგან მათ ჩამოცილებას.

ერთობ ბუნდოვანია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ექთნების: **თამარ გიორგობიანის, თამარ ძნელაძისა** და აგრეთვე, ჟურნალისტ **თამილა ლომიშვილის** ფუნქცია პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვაში; როდის დაშორდნენ ზემოხსენებული ექთნები პრეზიდენტს და ვისი მითითებით. არ არის გამორიცხული, მათი როლიც, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შეთქმულებასა და ღალატში...

ექიმმა დავით ჯალაღონიამ, რომელმაც ბალზამირება გაუკეთა პრეზიდენტის ცხედარს, სამივე გარემოცვის წინაშე კომპეტენტურად განაცხადა, რომ ჭრილობები (ორი ჭრილობა) თვითმკვლელობის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა, რაზეც პრემიერმა გუგუშვილმა უკმეხად უპასუხა, რომ ეს მისი საქმე არ არის!

ნიშანდობლივია, რომ პრეზიდენტის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებული თითქმის ყველა ადამიანი, უახლოეს წლებში საეჭვოდ დაიღუპა: ლუდმილა ღურწკაია, არსენ მესხია, ჯონსონ კვარაცხელია, თავად ექიმი დავით ჯალაღონიაც...

ზვიადის საფლავის ეგსჰუმაცია ჯიხაშკარში, ვალიკო ზარანდიას სადურგლოდან 1994 წლის 17 თებერვალს მოხდა, საიდანაც სენაკის აეროდრომში იქნა გადაყვანილი, ხოლო სენაკიდან კი ტუ-134-ით გადასვენებულ იქნა ჩეჩნეთში, ვიცე-პრეზიდენტ ზელიმხან იანდარბიევის ხელმძღვანელობით. გროზნოში, ზვიად გამსახურდიასათვის გამოყოფილ სამთავრობო რეზიდენციის დიდ დარბაზში, მთელი კვირის განმავლობაში იმართებოდა მრავალრიცხოვანი სამოქალაქო პანაშვიდები ინგუშეთიდან და ყაბარდო-ბალყარეთიდან, ყაზბეგიდან ჩამოსულებით.

ზარანდიას სადურგლოში, კლდოვანი ქვის შავი მარმარილოს ნატეხზე ამოკვეთილია წარწერა მერაბ კოსტავას ლექსიდან „შენი სამშობლო არის სულეთი...“

ვალიკო ზარანდიას სახლის ფოტო, საინტერესოა იმ მხრივ, თუ როგორი სპეცშერჩევით იქნა მასზე არჩევანი გაკეთებული (იხ. ფოტოები გვ 215-ზე);

ჯიხაშკარი მაღალმთიანი სოფელია და ზარანდიების სახლის გარშემო, ერთი კილომეტრის რადიუსში, მოსახლეობა არ არის. სახლს კი არა აქვს მეორე სართულზე ასასვლელი გარეთა კიბე არცერთი მხრიდან (არც უკნიდან). მხოლოდ პირველი სართულის შიდა უკანა ოთახიდან მიდგმული აქვს საცალფეხო კიბე, რომელზეც მიცვალებულის საკაცით ატანა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, პრეზიდენტის ცხედრის ატანა მოხდა გვერდითი ფანჯრიდან. ყველაფერი კი მაქსიმალური უსაფრთხოების მიზნით კეთდებოდა, რათა ეჭვის საფუძველი მაქსიმალურად გამორიცხულიყო. ზარანდიების სახლი, როგორც გარეგანი მდგომარეობით (ვიზუალი), ასევე ქუჩაში შემთხვევით გავლილი თანასოფლელისთვისაც ამგვარ პირობას აკმაყოფილებდა.

ცხედრის **გარეგნული დათვალიერება,** შიდა საცალფეხო კიბით, ორჯერ მოხდა თბილისიდან ჩასული ექსპერტ-კრიმინალისტების მიერ (თამარ დეკანოსიძე, ლევან ჩაჩუა, პათოლოგ-ანატომი რევაზ კაპანაძე და სხვ. დეკანოსიძე ყბის ქვემოთ მეორე სავარაუდო ჭრილობამ დააეჭვა...).

გარდაცვლილი პრეზიდენტის ერთ-ერთი მცველის მ. ჭიჭინავას თქმით, მისი განბანა-გაპატიოსნების დროს სხეულზე შეამჩნია ლურჯი ზოლები, რაც შეიძლება მოწამვლით ყოფილიყო გამოწვეულიო. პრეზიდენტის სიცოცხლეში მოწამვლის ჩივილებს ადასტურებენ სხვა მცველებიც და პრეზიდენტის ქვრივმაც არაერთხელ განაცხადა, რომ ზვიადს წამლავდნენო. ამ ბოროტგანზრახულ მავნებლობაზე კი მხოლოდ, პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვას თუ მიუწვდებოდა ხელი...

გროზნოში ჩასვენებულ საქართველოს პრეზიდენტს რუსულ მართლმადიდებლურ ტაძარში წესი აუგო ადგილობრივმა მღვდელმსახურმა მამა პეტრემ. უზენაესი საბჭოს დეპუტატის **ბეჟან ჯავახიას** გადმოცემით, ჩვენი პრეზიდენტისათვის წესის აგების დროს, კვირა დღის წირვა ტარდებოდა და ტაძარში უამრავი ხალხი ესწრებოდა. „ჩვენთან მოვიდა ერთ-ერთი რუსი მრევლთაგანი და პატიება გვთხოვა რუსი ერის სახელით: „გვაპატიეთ, ჩვენ ვართ მისი მკვლელებიო“. ტაძრის მსახურები დიდი პატივისცემით იხსენიებდნენ ზვიად გამსახურდიას, რომელიც ამ ტაძარში ესწრებოდა ხოლმე წირვებსო. ბეჟან ჯავახიას მონაყოლიდან

ცნობილი ხდება აგრეთვე, რომ ჯოხარ დუდაევის ერთ-ერთ წარმომადგენელს ჰქონდა იდეა, რომ ზვიადი დაეკრძალათ გროზნოს ცენტრალურ – მანსურის მოედანზე, როგორც ერთიანი კავკასიისა და თავისუფლების სიმბოლო... ბეჟან ჯავახიასავე გადმოცემით, აეროპორტში ჩამოსვენებული ზვიადი, პირდაპირ გროზნოს საავადმყოფოში გადაასვენეს იქვე დახვედრილი იქაური ექიმის თანხლებით, სადაც ვიმედოვნებდით, რომ ჩაუტარდებოდა ექსპერტიზაო, მაგრამ უარი უთხრესო...

ზვიად გამსახურდიასათვის გროზნოში გამოყოფილ სამთავრობო რეზიდენციის დიდ დარბაზში, მთელი კვირის განმავლობაში იმართებოდა მრავალრიცხოვანი სამოქალაქო პანაშვიდები ინგუშეთიდან და ყაბარდო-ბალყარეთიდან, ყაზბეგიდან ჩამოსულებით. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, ჩეჩნეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა, 1994 წლის 23 თებერვალს, სამხედრო პატივით გადაასვენა თავისი რეზიდენციის მარმარილოს დარბაზში. დუდაევმა, თარიღი – 23 თებერვალი, საგანგებოდ დაამთხვია ვაინახი (ჩეჩენი და ინგუში) ხალხის, რუსეთის მიერ, კავკასიიდან დეპორტაციის 50 წლისთავს. 24 თებერვალს კი, სამხედრო პატივითვე დაკრძალა გროზნოს რეზიდენციის წინ, იქ სადაც ორი წელი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა საქართველოდან დევნილი პრეზიდენტი. მეუფე ამბროსი ქათამაძისა და მღვდლის კონსტანტინეს (კოღუაშვილი) მიერ გადახდილ იქნა სამგლოვიარო პანაშვიდები. გამოსათხოვარ სიტყვაში ჯოხარ დუდაევმა, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით თქვა, რომ „იგი ნებაყოფლობით წავიდა ამქვეყნიერი ცხოვრებიდან“-ო, რაც თვითმკვლელობის ოფიციალური ვერსიის პერიფრაზი გახლდათ. გარდაცვლილ საქართველოს პრეზიდენტს კი, არც საქართველოში და არც ჩეჩნეთში ჩატარებია ექსპერტიზა. დუდაევი, ვფიქრობთ, დაეყრდნო ბესარიონ გუგუშვილის ინფორმაციას და არ ჰქონდა საკმარისი დრო კრიტიკულად მისდგომოდა ზვიადის გარდაცვალების გარემოებებს. თუმცა მას, როგორც უმაღლეს ხელისუფალსა და პოლიტიკურ პირს, ჰქონდა ვალდებულება, საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და დაგენილი პროტოკოლის მიხედვით ემოქმედა...

ფოტოზე, გროზნოს მარმარილოს სასახლეში ზვიადის საპატიო ყარაულში, მკლავზე სამგლოვიარო ლენტებით დგანან: ვახტანგ ბოჭორიშვილი, ნოდარ ჯალალონია, გურამ შარაძე, სოსო სიგუა.

საქართველოს პრეზიდენტის დაკრძალვას გროზნოში 2 ათასამდე ჩასული ქართველი დაესწრო, მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძის ხუნტამ ყველა ღონეს მიმართა, რათა დაებრკოლებინა წამსვლელები; დედაქალაქში, მთელი კვირის განმავლობაში გათიშული იყო ელექტრო-ენერგია, წყალი, გაზის მიწოდება, აეროპორტამდე არ მოძრაობდა ავტობუსები და ეკლესიებშიც კი, იმ ხნის განმავლობაში მაქსიმალურად შეზღუდეს სანთლების გაყიდვა, სულზე, მხოლოდ, თითო სანთელს იძლეოდნენ მესანთლეები. მთელი კვირის განმავლობაში დავრბოდით ეკლესიებში, რათა საჭირო რაოდენობის სანთლები შეგვეგროვებინა გროზნოში წასაღებად. ძალიან მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ ქართველმა ერმა უნდა იცოდეს ეკლესიის იერარქიის მაშინდელი დამოკიდებულება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართ;

იმხანად, პატრიარქის რეზიდენცია სიონის ეკლესიის გვერდით მდებარეობდა. მე და ჩემი მეგობრები მივედით პატრიარქის რეზიდენციასთან, რათა გვეთხოვა 300 სანთლის შესყიდვის უფლება გროზნოში წასაღებად. პატრიარქმა, ერთი საათის ლოდინის მიუხედავად, არ მიგვიღო. შევბრუნდით სიონის ეკლესიაში და ეპისკოპოსს (გვარი არ მახსოვს) ვთხოვეთ, იქნებ ეთხოვა პატრიარქისთვის, რომ ამ განსაკუთრებული ვითარებისთვის დაეშვათ ჩვენთვის სანთლების შესყიდვის უფლება. ეპისკოპოსი, ყოყმანის მიუხედავად, მაინც წავიდა რეზიდენციაში, მაგრამ საათნახევრის გასვლის შემდგომ მივხვდით, რომ ამაოდ ველოდით.

ჩვენ, სხვადასხვა ეკლესიებში სულ სამოცდაათამდე სანთლის შეგროვება და წაღება შევძელით (ღმერთმა ყველას შეუნდოს...).

ჩვენი, პრეზიდენტზე მგლოვიარე ქართველების, არც გროზნოში გაფრენა და არც დაბრუნება იყო უსაფრთხო; შევარდნაძის ხუნტისტური რეჟიმის სპეცსამსახურები, აეროპორტში აღრიცხავდა და უთვალთვალებდა ყველა ჩვენგანს. იყვნენ ადამიანები, რომლებიც რიგი მიზეზების გამო ვერ მოდიოდნენ დაკრძალვაზე გროზნოში, მაგრამ წამსვლელებს, საკუთარი მანქანებით აეროპორტში მიყვანა შემოგვთავაზეს, გაცილება და ყვავილების კალათების უსაფრთხოდ მიტანა ტრაპამდე მათ უზრუნველყვეს. როცა გროზნოდან დავბრუნდით, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შევარდნაძის უშიშროებამ გზაზე სდია მათ და თითოეულ მათგანს ფიზიკურად სასტიკად გაუსწორდნენ. ხოლო ჩვენ, დაბრუნებულებს, უშიშროების მთელი ბრიგადები დაგხვდა აეროპორტთან, რომლებიც გვთავაზობდნენ თავიანთი მანქანებით სახლებში უფასოდ მიყვანას. დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ რომელიმე მათგანი არ შეეტყუებინათ უშიშროების მანქანებში. მე ამ რეისის სამგლოვიარო დელეგაციის ხელმძღვანელი

გახლდით და მქონდა მორალური ვალდებულება, თანმხლები პირების, ოჯახებში უსაფრთხოდ დაბრუნებისა, უშიშროება კი პირდაპირ ნადირობდა ჩვენზე...

მსოფლიო ისტორიაში ცნობილი გმირების ტრაგიკულ ბედისწერას თუ განვაზოგადებთ ზვიად გამსახურდიაზე და აქსიომატურ პირობადაც თუ მივიღებთ კლასიკოსი კონსტანტინეს იმ სენტენციას, რომ **„ყოველი გმირი, ბოლოს და ბოლოს, უნდა დამარცხდეს“,** ისტორიულ კანონზომიერებად უნდა მივიღოთ ზვიადის აღსასრულიც. უახლეს ისტორიაში დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის მძიმე დოკუმენტად რჩება, აგრეთვე მის გარდაცვალებასთან დაკავშირებული შეთქმულების

„ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა“

„ერთის მხრივ, ჩვენს — ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის მოწმეებსა და მეორე მხრივ, ზვიად გამსახურდიას ოჯახს შორის, მისი ქვრივის მანანა არჩვაძის სახით, საერთაშორისო შუამავალთა მონაწილეობით და მოწმეობით მოხდა ქვემეორე შეთანხმება და გარიგება ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობით სიკვდილის შესახებ.

„ზვიად გამსახურდიას ოჯახი, მისი ქვრივის სახით, არასოდეს არ წამოაყენებს რაიმე სხვა ვერსიას ზვიად გამსახურდიას სიკვდილის შესახებ, გარდა თვითმკვლელობისა. ხოლო ჩვენ, ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის მოწმეები არ მოვითხოვთ ცხედრის მიმართ სასამართლო — სამედიცინო ექსპერტიზას, არც ჩეჩნეთში და არც საქართველოში და არ მივიღებთ მონაწილეობას ამასთან დაკავშირებულ არავითარ გამოძიებაში;

პრეზიდენტის ოჯახის მოთხოვნა: ოჯახის წევრები და სიკვდილის მოწმეები კატეგორიულად უარს ამბობენ გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებულ გამოძიებასა თუ რაიმე გამოკვლევაში მონაწილეობაზე.

პრეზიდენტ გამსახურდიას ოჯახი კატეგორიულად უარს ამბობს, რომ გარდაცვლილის ცხედარი გაკვეთონ, გამოიკვლიონ ან განახორციელონ, რაიმე სხვა მოქმედება, გარდა უშუალოდ ადგილზე ამოცნობისა.“

ზემომოყვანილი „ხელშეკრულების“ დადების მთავარი ინიციატორი ბ-ნ ბესარიონ გუგუშვილი აცხადებს: *„ეს საერთაშორისო დონეზე მიღებული და დაფიქსირებული ხელშეკრულებაა და ამ ხელშეკრულების*

დამრღვევი მხარე, თუ სასამართლო არსებობს, ან იარსებებს, უნდა დაისაჯოს... სწორედ ამ ხელშეკრულების არსებობის გამო და მის შესაბამისად, ზვიად გამსახურდიას დაღუპვისა და მით უმეტეს, ფიზიკური ლიკვიდაციის შესახებ ვერავითარი გამოძიება და გამოკვლევა ვერა და არ ჩატარდება! შეუძლებელია!"

გარდა იმისა, რომ დოკუმენტებში გაცხადებული *„საერთაშორისო შუამავალთა მონაწილეობა"* ბუნდოვანი და გაურკვეველია კონკრეტულ პირთა დასახელების გარეშე, ეს ერთობ საეჭვო ორივე დოკუმენტი, ჩვენი თვალსაზრით, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებსაც შეიცავს და მთავარ სამხილს უნდა წარმოადგენდეს ბესარიონ გუგუშვილის მიმართ.

გროზნოში შედგენილი „მოთხოვნების" დოკუმენტი

«1. მოგვეცეს გარანტიები დაუბრკოლებლად და დაუყოვნებლივ ცხედრის გადასასვენებლად ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სადაც დროებით ცხოვრობს მიცვალებულის ოჯახი.

2. მოგვეცეს გარანტიები ხელშეუხებლობისა და საქართველოდან დაუბრკოლებლად გასვლისა ოჯახის წევრების, სიკვდილის თვითმხილველებისა და სხვა პირებისა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ცხედრის გადასვენებაში.

3. ოჯახის წევრები და სიკვდილის თვითმხილველები კატეგორიულ უარს აცხადებენ პრეზიდენტ გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებით რაიმე გამოძიებაში მონაწილეობის მიღებაზე.

4. პრეზიდენტ გამსახურდიას ოჯახი კატეგორიულ უარს ამბობს მიცვალებულის ცხედრის გაკვეთაზე, გამოკვლევაზე ან სხვა რაიმე მოქმედებაზე, გარდა გამოცნობისა, უშუალოდ ცხედრის ადგილსამყოფელზე.

5. მიცვალებულის ოჯახი მოითხოვს შეიქმნას საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ზემოდასახელებულ მოთხოვნათა შესრულებაზე მეთვალყურეობას.

ოჯახი მოითხოვს ზემოთაღნიშნულ მოთხოვნათა უმოკლეს ვადაში განხორციელებას.

მანანა არჩვაძე — გამსახურდია, 13.1.1994'".

არსებობს, აგრეთვე დეპეშის ტექსტი ქ-ნ მანანა არჩვაძე – გამსახურდიასი ჯოხარ დუდაევისადმი, რომელშიც ქ-ნ მანანა გამოხატავს

ნება-სურვილს, რომ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დაიკრძალოს გროზნოში.

Я, Манана Арчвадзе-Гамсахурдиа, супруга Президента Грузии Звиада Гамсахурдиа, трагически погибшего на территории западной Грузии 31 декабря 1993 года, выражая волю всей семьи покойного Президента, заявляю желание, чтобы тело Президента было предано земле на территории Чеченской Республики, где семья Президента проживает в изгнании в течении двух последних лет.

7 января 1994 г. Манана Арчвадзе-Гамсахурдиа, супруга Президента Грузии

М. Арчвадзе - Гамсахурдиа

ზვიადის საქართველოში დაკრძალვაზე შევარდნაძის ოფიციალური უარის პასუხად „იმელის“ შენობის (მაშინდელი პარლამენტის) წინ დაიწყო ეროვნული მოძრაობის შიმშილობის აქცია პრეზიდენტის საქართველოში დაკრძალვის მოთხოვნით, რაც შევარდნაძის სპეცნაზელების მიერ დარბეულ იქნა. ე. შევარდნაძეს, ჯ. იოსელიანსა და თ. კიტოვანს არ სურდათ ზვიადის საქართველოში დაკრძალვაც კი. შევარდნაძის ხუნტამ საპროტესტო აქციის მონაწილეები განდევნა „იმელის“ პარლამენტის ტერიტორიიდან, შემდეგ სდიეს ქუჩებში და „ომონის“ სპეცმანქანებში შერეკეს. პროფესორ გურამ შარაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაკრძალვის მოთხოვნისთვის დარბეულ-დაკავებული ერონული ძალების მხარ დასაჭერად, იგი „ომონის“ რაფში საკუთარი ნებით შევიდა და დაკავებულთა ბედი გაიზიარა.

შევარდნაძის ხუნტისტური რეჟიმის მიერ სიცოცხლეში დევნილი პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, სიკვდილშიც კი დევნილად იქცა.

პრეზიდენტ ზავიად გამსახურდიას გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე ხალხმა „კოლხურ კოშკში“ უწყვეტ ნაკადად

იწყო დენა.

მეორე დღეს, „კოლხურ კოშკში“ შეკრებილმა ეროვნულმა მოძრაობამ მიიღო გადაწყვეტილება ხუნტის მერიაში შეეტანათ განცხადება სამდღიანი სამგლოვიარო მიტინგის მოთხოვნით მთავრობის სახლთან. ვინაიდან ხუნტის ხელისუფლებისგან მოსალოდნელი იყო მიტინგის ძალისმიერი მეთოდებით აღკვეთა, ორგანიზატორებმა საგანგებო მიწვევა-შეტყობინება გავუგზავნეთ საქართველოში აკრედიტირებულ ამერიკის, გერმანიის, რუსეთისა და თურქეთის საელჩოებს, რათა დაკვირვება ეწარმოებინათ სამგლოვიარო მიტინგების მსვლელობაზე (იხ. ფოტოები და დოკუმენტები).

ქალაქ თბილისის მერია

თავისუფლების მოედანი, 2
საფ. ინდექსი 380007, ტელეგრ. თბილისი, 7
ტელეფონი, 99-65-60

თარიღი 18.01.94 № 4-108

№ ..... ზე .....

მოქ.მოქ. ლ.ცომაიას, ე.ხერხეულიძეს,
გ.კალანდიას, ლ.ბერუაშვილს,
ა.ფავფავაძეს, კ.მიგინეიშვილს

»საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ» – საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1993 წლის 14 სექტემბრის № 166 გრძანებულების მეხუთე პუნქტის შესაბამისად, დროებითი საგანგებო წესების პერიოდში აკრძალულია »მიტინგების, დემონსტრაციების, გაფიცვებისა და სხვა აქციების მოწყობა».

ასეთ პირობებში მოქალაქეთა ჯგუფის თხოვნა საქართველოს ექს.პრეზიდენტის ზ.გამსახურდიას დაღუპვის ფაქტთან დაკავშირებით მთავრობის სახლთან სამდღიანი სამგლოვიარო მიტინგის მოწყობის თაობაზე კანონის შეუსაბამოა.

მიუხედავად ამისა, ქალაქის მერია მზადაა დაუბრუნდეს ექსპრეზიდენტის უშუალოდ დაკრძალვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხის განხილვას.

ქ.თბილისის ვიცე-მერი,
მუნიციპალიტეტის პრემიერ-მინისტრი კონსტანტინე კაპანაძე

თბილისის მერს ნ. ღ ე კ ი შ ვ ი ლ ს

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

12.01.94წ.

ინფორმაციას ეცნობეთ, რომ მიმდინარე წლის 15 იანვარს, 14 საათზე, მთავრობის სასახლეში წინ ვიწყებთ საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას დალუპვის ფაქტთან დაკავშირებულ სამგლოვიარო მიტინგებს, რომელიც გაგრძელდება სამი დღე (18 იანვრამდე) სამსაათიანი განსაზღვრული დროით ყოველ დღე.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ უზრუნველყოფთ სამგლოვიარო მიტინგების მშვიდობიან ჩატარებას.

საქართველოს დისიდენტური მოძრაობის სახელით –

ლეილა ცომაია

12.I. 94წ.

ხუნტის მერიამ და საკრებულომ (ნიკო ლეკიშვილი, კონსტანტინე კაპანაძე, შალვა ობგაიძე, კოტე გაბაშვილი, ზაზა შენგელია), მიტინგის ნებართვის ნაცვლად, მთავრობის სახლის წინ, სამი დღის განმავლობაში (15-18 იანვარი), ბეტეერები და სპეცნაზი ჩააყენა და მომიტინგეებს, შეკრებისა და ახლოს მისვლის საშუალება არ მოგვცეს. ამასთანავე, წინა ღამით, მიტინგის ორგანიზატორების სახლებში დაიწყეს შეჭრა. მიტინგის დღეს, 15 იანვარს დააკავეს 80 ადამიანი. 16 იანვარს „კოლხურ კოშკში“ შეკრებილებმა მივიღეთ საგანგებო „რეზოლუცია“ ხუნტის მეთაურის ე. შევარდნაძისა და ოთარ ფაცაციას (მთავრობის ფაქტიური თავ-რე) მიმართ, რომელშიც პირველ მოთხოვნად გაჟღერებულ იქნა დაღუპული პრეზიდენტის საქართველოში დაკრძალვა. ხოლო, თუ პრეზიდენტის ქვრივი მოითხოვდა მის ჩეჩნეთში გადასვენებას, მისცემოდა მას ცხედრის მშვიდობიანად გადასვენების გარანტიები.

„რეზოლუციაში“, აგრეთვე დაგმობილ იქნა 15 იანვრის მიტინგის დარბევა (იხ. დოკუმენტები).

საქართველოს სახელმწიფოს ფაქტიურ მეთაურს

ე. შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე ს

საქართველოს მთავრობის ფაქტიურ თავმჯდომარეს

ო. ფ ა ცა ც ი ა ს

მომიტინგეთა რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

სრულიად საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას საეჭვო ვითარებაში დაღუპვის გამო, რასაც ადასტურებს პრეზიდენტის მეუღლე მანანა არჩვაძე-გამსახურდია და საქართველოს ფაქტიური ხელისუფლებაც, 1994 წლის 16 იანვრის მრავალათასიანი მიტინგის მონაწილენი მოვითხოვთ:

1. სრულიად საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას ცხედრის სამშობლოში დაკრძალვას. თუკი დადასტურდა მისი დაღუპვა.

P.S. თუკი პრეზიდენტის მეუღლის კატეგორიული მოთხოვნაა, რომ ცხედარი გადასვენებულ და დროებით დაკრძალულ იქნას გრუზნოში, სადაც დევნილობაში იმყოფება პრეზიდენტის ოჯახი, მაშინ ჩვენც ვუერთდებით მანანა არჩვაძე-გამსახურდიას სურვილს და საქართველოს ფაქტიური ხელისუფლებისაგან მოვითხოვთ დაღუპულის ოჯახს მიეცეს იურიდიული გარანტიები ცხედრის მშვიდობიანი გადასვენებისა და გარანტიები ხელისუფლების მხრიდან გაცხადდეს ~~XXXXXXX~~ ოფიციალურად, გამოქვეყნდეს პრესაში.

2. 1994 წლის 16 იანვრის მიტინგის მონაწილენი, აგრეთვე გამოვთქვამთ ჩვენს აღშფოთებასა და პროტესტს მთავრობის სასახლის წინ დაგეგმილი 15 იანვრის სამგლოვიარო მიტინგის ძალისმიერი მეთოდებით დარბევისგან, რაც წარმოადგენს ადამიანის უფლების ველურად ჩაქოლვის უპრეცედენტო ფაქტს და დასტურს იმისა, რომ შევარდნაძის ტირანული რეჟიმის მძვინვარების პერიოდში ქართველ ხალხს წართმეული ~~XXXX~~ (აკრძალული) აქვს ამქვეყნად ყველაზე ბუნებრივი _ გლოვის უფლებაც.

მომიტინგეთა უკანონოდ დაკავების (დაკავებულ იქნა 80-მდე კაცი)

რეზოლუცია მიღებულია ერთხმად
მრავალათასიან მომიტინგეთა მიერ
და დადასტურებულია ხელის აწევით

1994 წ. 16 იანვარი
კოლხური კოშკი.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ბატონ

კ ე ნ ტ ბ რ ა უ ნ ს

გერმანიის სახელმწიფოს ელჩს ბატონ

გ ი უ ნ ტ ე რ დ ა ლ ვ ი ც ს

რუსეთის ელჩს ბატონ ა რ კ ა დ ი ზ ე მ ს კ ი ს

თ უ რ ქ ე თ ი ს ელჩს ბატონ .....

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის I5 იანვარს, I4 საათზე, მთავრობის სასახლის წინ ვიწყებთ სრულიად საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას დაღუპვის ფაქტთან დაკავშირებულ სამგლოვიარო მიტინგებს, რომელიც გაგრძელდება სამი დღე (I8 იანვრამდე) სამსაათიანი განსაზღვრული დროით ყოველ დღე.

გამოთქვამთ რწმენას, რომ გაიზიარებთ ქართველი ერის უდიდეს მწუხარებას და თქვენს ყურადღებას მოაპყრობთ საქართველოს პირველი პრეზიდენტის სამგლოვიარო მიტინგებს, რითაც გარკვეულწილად გვექნება გარანტია მიტინგების მშვიდობიანად ჩატარებისა.

საქართველოს დისიდენტური მოძრაობის სახელით –

ლეილა ცომაია

I2.I.94 წ.

ლ. ცომაია

ხუნტის რეჟიმის რეპრესიული პოლიტიკის მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობაში არ წყდებოდა მღელვარება და პროტესტი პრეზიდენტის გარდაცვალების გამო, რომლის ბუნებრივი სიკვდილის, მითუმეტეს, „თვითმკვლელობის“ ვერსიისა, არავის სჯეროდა. ქართველი ერის მზრუნველი ყურადღება დღენიადაგ მიპყრობილი იყო სამეგრელოსაკენ, საიდანაც პრეზიდენტის გარემოცვისაგან მოდიოდა დამაიმედებელი ინფორმაციები მისი

უსაფრთხოებისა და კარგადყოფნობის შესახებ. თუ პრეზიდენტის ჯანმრთელობა (მოწამვლა, დეპრესია) მძიმე იყო, გუგუშვილს უნდა მიემართა საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციებისათვის. პრემიერ-მინისტრ ბესარიონ გუგუშვილსა და პრეზიდენტის დაცვას, ჰქონდათ მაღალი ვალდებულება გაევრცელებინათ ოფიციალური ინფორმაციები მათ რეალურ (საფრთხისშემცველ) მდგომარეობაზე. მართალია, საველე პირობები, იოლად არ იძლეოდა ამის შესაძლებლობას, მაგრამ გუგუშვილის პოლიტიკური ნების შემთხვევაში, არაფერი იყო შეუძლებელი; თუნდაც, ზეპირი ინფორმაციის მიწვდენა ეროვნული მთავრობის მომხრე ჟურნალისტთა კორპუსისა და უფლებათა დაცვის ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის.

სამგლოვიარო მიტინგი კოლხურ კოშკში: გურამ შარაძე, ლეილა ცომაია, კლარა შედანია... 1994 წ. 10 იანვარი.

სრულიად დაუჯერებელია, რომ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია თავადაც არ ცდილა ოფიციალურ საგანგებო მიმართვებს მსოფლიოს პოლიტიკური წრეების, დიპლომატებისა და ჟურნალისტებისათვის, ქართველი ერისათვის დევნილი ეროვნული მთავრობის უკანასკნელი დღეების შესახებ.

ამგვარმა საინფორმაციო ვაკუუმმა განაპირობა სრული უნდობლობა და ეჭვი ხუნტის ხელისუფლებისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი სამკაციანი გარემოცვის მიერ გავრცელებული ინფორმაციისადმი პრეზიდენტის თვითმკვლელობის შესახებ.

მალე, ხუნტამ გაასაიდუმლოვა პრეზიდენტის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილი და ამ საბურველით ხალხში ფარულად გაავრცელა

ხმები ზვიადის სიცოცხლის შესახებ: „ცოცხლია და გამოჩნდება“ო. გულუბრყვილო ხალხის მასებში, ზვიადის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ამუშავდა „მჯერა-არმჯერას“ სინდრომი, რამაც შეანელა საპროტესტო ტალღა. ამიერიდან, ზვიადის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, მითით შეიმოსა. 1993 წლიდან შექმნილი მითი ზვიადის სიცოცხლის შესახებ, დღემდე მოქმედებს და ზვიადს, 2018 წელსაც, ათონის მთიდან ელოდება ეროვნული მოძრაობის ნაწილი.

ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა, 1994 წლიდან 2018 წლამდე, არაერთხელ მივმართეთ საქართველოს პროკურატურას განცხადებებით პრეზიდენტის მკვლელობის გამოძიების შესახებ და მიტინგებიც მოვაწყვეთ პროკურატურასთან. პროკურატურამ, თუმცა გამოძიება დაიწყო, მაგრამ საქმე ბოლომდე დღემდე არ არის მიყვანილი, რადგან არ არსებობს საამისო პოლიტიკური ნება ხელისუფლების მხრიდან.

ზვიად გამსახურდია, თავგანწირული მამულიშვილობით, მასზე შექმნილი ლეგენდებითა თუ მითებით საოცრად ჰგავს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის შეუპოვარ მებრძოლს ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც 60 წელი ეომა ოკუპანტ რუსეთს. ერეკლე მეორის მეთექვსმეტე შვილის (მესამე ცოლის, დარეჯანისგან), ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი, თითქმის მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე ისტორიაში მიჩქმალულ იყო. ასევე, 90-იანი წლებიდან, ზვიად გამსახურდიას სახელიც მიჩქმალულია ოფიციალურ ისტორიაში და მეტწილად მას მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენიებენ. ალექსანდრე ბატონიშვილს, ისევე როგორც ზვიადს, ჩრდილო კავკასიაში – დაღესტანში მოუწია გაქცევა. ალექსანდრე ბატონიშვილის მოწაფე გახლდათ კავკასიის გმირი შამილი, ისევე როგორც ზვიადისა – ჯოხარ დუდაევი. ალექსანდრე ბატონიშვილი 74 წლის ასაკში გარდაიცვალა (თეირანში და დაკრძალულია იქვე). მისი გარდაცვალება არ სჯეროდა ქართველ ხალხს და ათეული წლის განმავლობაში ელოდა მას (დ. 1770 – გ. 1844). ზვიადი მოკლეს 53 წლის ასაკში და მას დღემდე იმედით ელოდება ქართველი ერი. ზვიადიც, ალექსანდრე ბატონიშვილივით, 12 წლის ასაკიდან იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია ბრძოლა იმპერიალისტური რუსეთის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ 1918-21 წლების საქართველოს დამოუკიდებლობისა და 1990-92 წლების დამოუკიდებლობის პოლიტიკური ბედისწერა ბევრად ჰგავს ერთმანეთს იმპერიალისტური რუსეთის აგრესიით, ნოე ჟორდანიას პირველ პრეზიდენტად მოხსენიება უმართებულოა და არც, როგორც პოლიტიკური ფიგურა, თავისი ბიოგრაფიით უტოლდება ზვიად გამსახურდიას.

ლევილში (საფრანგეთი) დაკრძალულ ნოე ჟორდანიას საფლავის მონუმენტურ მარმარილოს ამშვენებს, ეროვნულ დროშების არშიაში ჩასმული ჟორდანიას ფოტო, ოქროსასოებიანი ორენოვანი წარწერით: „**საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი**“.

სოციალ-დემოკრატ ნოე ჟორდანიას პოლიტიკურ მიზანს კი არასოდეს წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობა, არამედ მთელი მისი მრწამსით იგი რუსეთის ქვეშევრდომობის მომხრე გახლდათ. ჟორდანია, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ემტერებოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მამულიშვილებს და მათ იდეურ მამას – ილია ჭავჭავაძეს. იგი თავისი პოლიტიკური მრწამსით 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გულმხურვალე მოკავშირე გახლდათ და მხოლოდ რუს სოციალ-დემოკრატებთან მჭიდრო კავშირში ესახებოდა საქართველოს მომავალი. 1918 წლის 26 მაისს, ჟორდანიასა და მისი მთავრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება შექმნილი პოლიტიკური ვითარებით იყო განპირობებული და იძულებით აუცილებლობას წარმოადგენდა ბოლშევიკური ოქტომბრის რევოლუციის შედეგით. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი თავმჯდომარე ჟორდანია იტოვებდა იმედს, რომ რუსეთის ხელისუფლებაში კვლავ დაბრუნდებოდნენ მენშევიკი სოციალ-დემოკრატები და ამ შემთხვევაში საქართველო უარს იტყოდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე.

უნდა ითქვას ისიც, რომ 1918 წლის 26 მაისს, **ეროვნულ საბჭოს,** პირველ თავმჯდომარედ არ აურჩევია ჟორდანია, არამედ ნოე რამიშვილი აირჩია. ერთი თვის შემდეგ (24 ივნისს), ნოე ჟორდანიამ იძულებით ათქმევინა უარი ნოე რამიშვილს მთავრობის თავმჯდომარეობაზე, რაშიც მან ვალიკო ჯუღელის გვარდიელები მოიშველია. მხოლოდ ამ გზით მოიპოვა ნოე ჟორდანიამ მთავრობის თავმჯდომარის მაღალი თანამდებობა. ნოე რამიშვილი კი ბასრი კრიტიკით წერდა: „ორ წელზე მეტია, რაც რუსეთი ხმლითა და მახვილით შემოიჭრა საქართველოში და დაამხო დემოკრატიული რესპუბლიკა“.

ამგვარად, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი და სწორუპოვარი პრეზიდენტი მხოლოდ ზვიად გამსახურდია გახლდათ.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქართველოში გადმოსვენების საკითხი პირველად, ხუნტის პარლამენტში, 1999 წელს თენგიზ სიგუამ(?!) დააყენა. ამ ქვაბავაზაკის მხრიდან, იყო თუ არა ეს ჟესტი სულგრძელობის, მიმტევებლობისა თუ სინანულის კომპენსირება, ძნელი სათქმელია. მის წინადადებას აქტიურად გამოეხმაურა ასლან აბაშიძეც. აღმოჩნდა რომ, აღარც შევარდნაძე იყო წინააღმდეგი. ხუნტის ხელისუფლების ინიციატივას თავისებურად უპასუხა 1997 წლიდან საქართველოში დაბრუნებულმა პრეზიდენტის ქვრივმა:"ეს საკითხი ზვიად გამსახურდიას ოჯახის გადასაწყვეტიაო". ქალბატონი მანანას პასუხს ჩვენი საგაზეთო რეპლიკა მოჰყვა (იხ. გვ. 234).

ფოტოებზე ჩანს იავარქმნილი ზვიადის გროზნოს სასახლე და მის წინ ზვიადის საფლავიც. ხოლო მეორე ფოტოზე სასახლის იმჟამდელი მდგომარეობა...

იმპერიალისტური რუსეთის მიერ მოოხრებულ და ომის გრიგალგადავლილ გროზნოში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საფლავის მდგომარეობა უნუგეშო იყო და მისი მონახულებაც ვერ ხერხდებოდა, რაც ამძაფრებდა ჩვენს ვარამს.

კიბის მოაჯირის ქვემოთ, ჯვარაღმართული ზვიადის საფლავი

ზვიად გამსახურდიას გადმოსვენება, არც მარტოოდენ მისი ოჯახის გადასაწყვეტია!

აღმაშფოთებელი ცინიზმია, მაგრამ ფაქტია, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქართველოში გადმოსვენების საკითხი პირველად თენგიზ სიგუამ დააყენა ხუნტისტურ პარლამენტში. მოგვიანებით იგივე წინადადება, უფრო ხმაურიანად, ასლან აბაშიძემაც წამოაყენა. წლევანდელ საიუბილეო წელს ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან უფრო და უფრო აქტიურად ისმის ზვიად გამსახურდიას გადმოსვენების საკითხი. წინააღმდეგი არც ედუარდ შევარდნაძეა, რამეთუ დღეს ეს მის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის წარმოებულ „დიდი შერიგების" პოლიტიკას სჭირდება.

იმდენად, რამდენადაც დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის გადმოსვენების საკითხი ისტორიულ-პოლიტიკური აქტია, ერთობ ბუნდოვნად მოსჩანს პრეზიდენტის ქვრივის, ქალბატონ მანანა არჩვაძის პოზიცია, რომელიც აცხადებს, რომ „ეს საკითხი ზვიად გამსახურდიას ოჯახის გადასაწყვეტია, მათი პრეროგატივაა".

სრულიად საქართველოს ზვიად განმათავისუფლებლის პარტიელებს მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ნეშტის ჩეჩნეთიდან საქართველოში გადმოსვენების საკითხი ერთობლივად უნდა გადაწყვიტონ: 1993 წლის 2 სექტემბრის შემადგენლობის საქართველოს მთელმა უზენაესმა საბჭომ და ეროვნულმა მთავრობამ ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და ოჯახის წევრებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე უკანონო ხუნტისტური ხელისუფლების გადაყენების შემდგომ, რათა შეიქმნას სრულყოფილი პირობები მისი პრეზიდენტის პატივით დაკრძალვისთვის.

ამ აუცილებლობიდან გამომდინარე, მოვითხოვთ ყველა რანგის პოლიტიკოსებისგან — შეწყვიტონ დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ნეშტით სპეკულირება.

1999 წლის 28 მარტი.

სრულიად საქართველოს ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის სახელით — თავმჯდომარე ლეილა ცომაია

გაზ. „ლელა", №3-11
29 მარტი, 1999 წ.

2001 წელს, საქართველოს პარლამენტის ინიციატივით მიღებული დადგენილების საფუძველზე, გაიგზავნა მიმართვა გენერალურ პროკურორ გია მეფარიშვილის სახელზე, ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვის თაობაზე. ხოლო შემდგომ, სასამართლო წესით განხილვის შესახებ, გარდაცვლილი პრეზიდენტის რეაბილიტაციისა და შერიგების პროცესის წარმართვის მიზნით. აღნიშნულ ინფორმაციას უმალ გამოეხმაურნენ ხუნტის ავანგარდში მდგარი მწერლები და კულტურის მუშაკები: **ჭაბუა ამირეჯიბი, ვიქტორ რცხილაძე, ემზარ კვიტაიშვილი, გურამ ბენაშვილი, მანანა გიგინეიშვილი, ნოდარ ლომოური, თემო გოცაძე, ჯუმბერ თითმერია, თამაზ კვაჭანტირაძე.** გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გაგზავნილ წერილში, ისინი შეშფოთებას გამოთქვამდნენ ზვიად გამსაურდიას შესაძლო რეაბილიტაციასთან დაკავშირებით და ასეთ შემთხვევაში ასკვნიდნენ, რომ „საზოგადოებრივი სიმშვიდის ნაცვლად ჩვენ მივდივართ ქაოსისა და ანარქიისაკენ". ისინი შეაგონებდნენ პროკურორს, რომ კიტოვანის 200 გვარდიელი ვერ დაამხობდა ზვიადის ხელისუფლებას „თუკი მათ არ

ექნებოდათ საზოგადოების ფართო მხარდაჭერა“, ანუ, მომხდარი, ნამდვილი „სახალხო რევოლუცია“ იყოვო.

ზემოხსენებულ განცხადებაზე ხელმოწერა, უბრალოდ დაუგვიანდა „წითელ დისიდენტ“ **ვიქტორ რცხილაძეს,** რაზეც მან ხმამაღალი სინანული გამოთქვა: *„ვწუხვარ რომ გულისტკივილით არ მივმართე 2001 წელს გენერალურ პროკურატურას, რომ არ დაეშვათ ზვიად გამსახურდიას გამართლება („რეაბილიტაცია“). იხილეთ „საქართველოს რესპუბლიკა „ 2001 წლის 29 ივნისი, სადაც განცხადებას, ჩემს გარდა, ხელს მეგობარი ლიტერატორები აწერენო“.*

მიხეილ სააკაშვილმა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გამოსცა ეროვნული თანხმობის დეკლარაცია, რასაც გთავაზობთ სრულად:

ეროვნული თანხმობის დეკლარაცია

2004 წლის 4 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნებით დასრულდა თავისუფლებისა და სამოქალაქო უფლებების დაცვისთვის სახალხო ბრძოლის მნიშვნელოვანი ეტაპი.

პირველად, უკანასკნელი თორმეტი წლის განმავლობაში, შესაძლებელი გახდა სახელმწიფოებრიობის, კანონიერებისა და სამართლიანობისთვის ბრძოლაში 1991-92 წლების ტრაგიკული მოვლენების შედეგად დაპირისპირებული მხარეების ერთად დადგომა. ქართველმა ერმა, საქართველოს მოსახლეობამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მზად არის დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელად.

მჯერა, რომ საქართველოში იწყება განახლებისა და ჭეშმარიტად დემოკრატიული განვითარების ახალი ერა. 1990 წლის 28 ოქტომბერის საყოველთაო დემოკრატიული არჩევნებით არჩეული ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები და 2003 წლის ნოემბრის რევოლუციითა და 2004 წლის 4 იანვრის არჩევნებით სახელმწიფოს სათავეში მოსული ხელისუფლება, ერთობლივი მიზნისა და ინტერესების შეგნებით, ვაქვეყნებთ მემორანდუმს, რათა საბოლოოდ აღმოიფხვრას 1991-92 წლების მოვლენებით გამოწვეული დაპირისპირება და მიღწეული იქნას ეროვნული თანხმობა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და მშვიდობიანი საზოგადოებრივი თანაცხოვრების პრინციპებზე.

მიმაჩნია, რომ 1991-92 წლების მიჯნაზე საქართველოს წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება, როცა შინაგანმა და გარეგანმა ანტიეროვნულმა ძალებმა მოაწყვეს სამხედრო სახელმწიფო გადატრიალება, როგორც ის კვალიფიცირებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 13 მარტის დადგენილებაში, ხოლო საქართველოს პარლამენტის 2000

წლის 20 აპრილის დადგენილებით, შეფასებულია, როგორც კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამოქალაქო კონფრონტაცია. ეს იყო კომუნისტურ-ნომენკლატურული რევანში.

საქართველოს ახალი ხელისუფლება ქართველ ხალხს აღუთქვამს, რომ შექმნის სამართლებრივ ბაზას, შიდა კონფლიქტებისა და ხელისუფლებისთვის ბრძოლის საქმეში უცხო ქვეყნის ჯარის გამოყენების იდეოლოგიისა და საქმიანობის ამოსაძირკვად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა არც მომავალში იქნება დაზღვეული ამგვარი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებისაგან. ასეთია იმ ხალხის ნება, რომელიც თავისუფლების სადარაჯოზე ურყევად იდგა მთავრობის სახლის წინ და სიცოცხლის ფასად დაიცვა საკუთარი ღირსება.

ეროვნული თანხმობის პრინციპებიდან და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლად მიმაჩნია:

მიეცეს პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება 1991-92 წლების მოვლენებს;

სრულად წარმოჩინდეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას როლი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასა და დემოკრატიზმის დამკვიდრებაში. შემუშავდეს და განხორციელდეს მისი სახელის უკვდავსაყოფი ღონისძიებები;

გამოცხადდეს ამნისტია 1991-92 წლების მოვლენების მიზეზებით, შევარდნაძის ხელისუფლებასთან პოლიტიკური შეუთავსებლობის ნიადაგზე დაპირისპირებულთა, პატიმართა და ძებნილთა მიმართ;

ეროვნული თანხმობის პროცესის, თანხმობის კომისიის საქმიანობის გავრცელება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემებზე, ქვეყანაში ერთიანი სამართლებრივი სივრცის აღდგენის საკითხებზე;

შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები ამ დეკლარაციით განსაზღვრული საკითხების რეალიზებისათვის.

როგორც 23 ნოებრის მოვლენებმა, ისე 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებმა მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ ქართველმა ხალხმა უკვე მერამდენედ გაუძლო ისტორიის ულმობელ გამოცდას, შეინარჩუნა ეროვნული ღირსება და დაამტკიცა, რომ მზად არის მომავალშიც შინაგანი მდგრადობით ზიდოს ეროვნული და საკაცობრიო ფასეულობათა ტვირთი. ამიტომ არსებობს ყოველნაირი მორალური და კანონიერი საფუძველი, ერთად, კონსოლიდირებულად, თანხმობით განვამტკიცოთ დემოკრატიული სისტემა, დავიცვათ თითოეული მოქალაქის უფლება, აღვადგინოთ კანონის უზენაესობა ყველგან, ყველა მიმართულებით, გავყვეთ იმ კურსს,

რომელიც არჩეული გვქონდა დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი დღეებიდანვე და ავაშენოთ ახალი, ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფო.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი
თბილისი, 30.01. 2004

ეს კი გახლავთ 2000 წლის 20 აპრილის პარლამენტის დადგენილება.

საქართველოს პარლამენტი

დადგენილება

1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი მიესალმება და მხარს უჭერს საქართველოს პრეზიდენტის ძალისხმევას სამოქალაქო დაპირისპირების დასრულების, მისი შედეგების აღმოფხვრის, ეროვნული თანხმობის პროცესი დაწყების და იმ პირთა სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების შესახებ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან 1991-1992 წლების ტრაგიკული მოვლენების შედეგად გამოწვეული კონფრონტაციის პერიოდში ჩადენილი ქმედებების გამო.

1991 წელს საქართველოში დაიწყო დაპირისპირება, რაც მოჰყვა კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამოქალაქო კონფლიქტი.

მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ პერიოდში საქართველოს მოსახლეობამ მრავალჯერ გამოხატა თავისი ნება დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების გზით, 1991-1992 წლებში საქართველოში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების პოლიტიკური შედეგები დღემდე არ არის აღმოფხვრილი, რაც ხელს უშლის ქვეყნის სულიერ ერთიანობას და სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესს.

საქართველოს პარლამენტი 1991-1992 წლებში დაწყებულ სამოქალაქო დაპირისპირებას განიხილავს როგორც საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ პერიოდს, როცა ერთმანეთს გადაეკიდა ურთულესი და ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკურ-სამართლებრივი პრობლემები.

საქართველოს პარლამენტი პატივს მიაგებს ძმათა შორის შეიარაღებული დაპირისპირებისას დაღუპულთა ხსოვნას, რომლებიც საშობლოსათვის იბრძოდნენ მიუხედავად პოლიტიკური ძრწამსისა და მოუწოდებს საქართველოს ყველა მოქალაქეს, ერთხელ და საუდამოდ წერტილი დაესვას სამოქალაქო კონფრონტაციას.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაგმობილ იქნეს სახელმწიფოში პოლიტიკური პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრა და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის ყოველგვარი მცდელობა.

2. ეთხოვოს საქართველოს გენერალურ პროკურატურას:

ა) ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით 2000 წლის 1 ივლისამდე განიხილოს და გადაწყვიტოს განსასჯელთა და საქართველოში თუ მის გარეთ მყოფი ყველა იმ პირის სისხლის სამართლებრივი დევნის საკითხები, რომლებიც პასუხისგებაში არიან მიცემულნი 1991-1992 წლებიდან დღემდე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

ბ) 2000 წლის 10 ივლისამდე უზრუნველყოს იმ პირთა სიის გამოქვეყნება, რომელთა მიმართ მიღებული იქნება გადაწყვეტილება სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე უარის თქმის შესახებ.

3. საქართველოს პარლამენტმა მომდინარე წლის 20 მაისამდე შექმნას „ეროვნული თანხმობის" დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული თანხმობის პროცესის გაგრძელებას, სამოქალაქო დაპირისპირების დასრულებას ამ დადგენილებაში ასახული მოთხოვნების, პრინციპების და სულისკვეთების გათვალისწინებით.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია
თბილისი
2000 წლის 20 აპრილი

2004 წელს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა შექმნა 1991-1993 წლებში ხელისუფლების უკანონოდ შეცვლასთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი კომისია (იხ. დოკუმენტი)



საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

№ 174 2004 წლის 21 ოქტომბერი ქ. თბილისი

1991-1993 წლებში ხელისუფლების უკანონოდ შეცვლასთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ

„საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 14 ოქტომბრის N60 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მუ-7 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად:

შეიქმნის საქართველოში 1991-1993 წლებში განხორციელებული ძალადობრივი ხელისუფლების შეცვლად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული უარყოფის, ნარკოტიკების და თანამდევი (1991-2003 წლებში მოხმარები და სხვ.) მოვლენების შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ივანე მურაბიშვილი - საქართველოს პრეზიდენტის თანამშრომელი ეროვნული უშიშროების საკითხებში - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, კომისიის თავმჯდომარე

შურაბ ადეიშვილი - საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი

ირაკლი ოქრუაშვილი - საქართველოს გენერალური პროკურორი

გიორგი ანდრაძე - საქართველოს საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი

მანანა არველაძე

გამსახურდია - კომისიის წევრი

ტარიელ უუგაკარაძე - კომისიის წევრი

მანანა გაბაძე - კომისიის წევრი

მერაბ რაფავა - კომისიის წევრი.

მიხეილ სააკაშვილი

თუმცა, ამ განკარგულებამ სათანადოდ ვერ იმუშავა და ვერ დადო ვერანაირი შედეგი; იგი, მხოლოდ, სააკაშვილის კეთილი ნების დეკლარაციის დონეზე დარჩა.

მიხეილ სააკაშვილის პარლამენტმა სამართლებრივი შეფასება მისცა დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალებას შესაბამისი დადგენილების აქტით (იხ. ქვემოთ).

საქართველოს პარლამენტის დადგენილება 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ

საქართველოს პარლამენტი მიესალმება საქართველოში მიმდინარე ეროვნული თანხმობის პროცესს და მიიჩნევს, რომ უახლესი ისტორიის სწორი და პირუთვნელი სამართლებრივი შეფასება აუცილებელია ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტი კვლავ ადასტურებს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობას სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. შესაბამისად გადაისინჯოს სისხლის სამართლის საქმეები იმ პირთა მიმართ, რომელთა ბრალდება ემყარებოდა მითითებულ სახელისუფლებო სტრუქტურებში მათ მონაწილეობას და მათ პოლიტიკურ მრწამსს.

2. დაიგმოს 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე მ. მაჭავარიანი
თბილისი,
2005 წლის 11 მარტი.
№1104–Iს

სააკაშვილი, ახალბედა პოლიტიკოსობისას, თვითონაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ოპოზიციას წარმოადგენდა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის საზიანოდაც ძალზედ მძიმე განცხადებებიც აქვს გაკეთებული. აი, თუნდაც ეს ორი განცხადება რად ღირს!

"...არსებობს ორი კონსტიტუციური გამოსავალი. პირველი, ეს არის ორპალატიანი პარლამენტის შექმნა და საქართველოს ფედერალურ სახელმწიფოდ გარდაქმნა. ეს ძალზე რთული პროცესია უახლოეს მომავალში ამ საკითხის გადაწყვეტა მეტად სათუოა. მეორე გამოსავალია საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობისთვის ავტონომიის მინიჭება. ლაპარაკია საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებულ კულტურულ ავტონომიაზე. ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებმა ყველა ეროვნულმა უმცირესობამ, რომლის რიცხვი აღემატება ვთქვათ ოც ათასს,უნდა აირჩიოს ეროვნულ-კულტურული ორგანო – ეროვნული

საბჭო.ეროვნული საბჭო იქნება ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელის საქართველოს ცენტრალურ სამმართველო სტრუქტურებში...“ *მიხეილ სააკაშვილი,“ქარტია-91“-ის ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომისიის წევრი.*

1992 წელს, პოლონურ ჟურნალ „ვპროსტში“ გამოქვეყნდა სტატია მარია გრიჟაკის ავტორობით „კავკასიელი ჰუსეინი“ მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუდან, სადაც იგი აცხადებს: „გამსახურდიამ დაიწყო როგორც დისიდენტმა და დაასრულა როგორც ტირანმა, ის სადამ ჰუსეინს ჰგავს“, მიხეილ სააკაშვილი იმ პერიოდში მუშაობდა ადამიანის უფლებათა ნორვეგიულ ინსტიტუტში ოსლოში.

Gamsahurdia wezwał naród amerykański do rezygnacji ze swego „niegodziwego prezydenta" George'a Busha

Kaukaski Husajn

wprost 38

WSCHODNIE PUZZLE

Rozmowa z ALAINEM BESANCONEM, francuskim filozofem

„Całym sercem jestem za odzyskaniem dawnego Królestwa Polski i Litwy, oczywiście w formie nowoczesnego państwa"

wprost 39

მიუხედავად ყოველივე ამისა, სააკაშვილი, შევარდნაძე-ივანიშვილის ხელისუფლებების ფონზე, მაინც რჩება ერთადერთ პრეზიდენტად, რომელმაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტები განახორციელა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და მისი ეროვნული ხელისუფლების მიმართ, რასაც ქვემოთ ჩამოვთვლით.

სააკაშვილის მიერ განხორციელებული აქტები:

სააკაშვილმა 2004 წლის 30 იანვარს მიიღო ეროვნული თანხმობის დეკლარაცია, რომლის ძალითაც ტყიდან სრულად გამოვიდნენ

ზვიად გამსახურდიას გვარდიის პარტიზანები და პატიმრობიდან გათავისუფლდნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრე პოლიტპატიმრები. დეკლარაციაში ზვიადის დამხობა შეფასებულია კომუნისტურ-ნომენკლატურულ რევანშად და გამოხატულია ნება „მიეცეს პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება 1991-92 წლების მოვლენებს“;

სააკაშვილმა 2004 წლის 21 თებერვალს გამოსცა „განკარგულება №174 1991-93 წლებში ხელისუფლების უკანონოდ შეცვლასთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“, რომელშიც ჩაიწერა „საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის...“ შემსწავლელი კომისია ვანო მერაბიშვილის თავმჯდომარეობით, რომელშიც შეყვანილ იქნენ უზ.საბჭოს დეპუტატები და მანანა არჩვაძე.

სააკაშვილმა ჩამოასვენა სიკვდილშიც დევნილი პირველი პრეზიდენტი საქართველოში 2007 წლის 28 მარტს.

სააკაშვილმა დაკრძალა ზვიადი მთაწმინდის პანთეონში და მარმარილოს ნაგებობით კეთილმოაწყო საფლავი სააკაშვილის მერიამ.

მიხეილ სააკაშვილის მიერ 2004 წელი გამოცხადდა ზვიად გამსახურდიას წლად და მისი დაბადების დღე პირველად აღინიშნა სახელმწიფო დონეზე.

მიხეილ სააკაშვილის პარლამენტმა 2005 წლის 11 მარტს გამოსცა დადგენილება 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების დაგმობის შესახებ.

სააკაშვილის 2010 წლის 21 ივლისის პარლამენტის დადგენილებაში „საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შესახებ“, ჩაიწერა: *„1990-იან წლებში რუსეთის ფედერაციამ მოახდინა შეიარაღებული კონფლიქტების ინსპირირება საქართველოს ტერიტორიაზე“.*

სააკაშვილის პარლამენტმა 2011 წელს შექმნა „ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების დამდგენი საპარლამენტო კომისია“, პარლამენტარ კონსტანტინე გამსახურდიას თავმჯდომარეობით და გამოკვლეული მასალები გადაეგზავნა პროკურატურას. კონსტანტინე გამსახურდიას პარლამენტარობაც, სააკაშვილის კეთილი ნების გამოხატულება იყო.

სააკაშვილმა მდინარე მტკვრის მთავარ სანაპიროს (გორგასლის ქუჩის) უწოდა ზვიად გამსახურდიას სანაპირო.

სააკაშვილმა 2013 წლის 26 ოქტომბერს მისი საპრეზიდენტო 10-წლიანი ვადის გასვლის მიჯნაზე, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, სხვა მამულიშვილებთან ერთად (გენერალ მაზნიაშვილს,

გრიგოლ ფერაძეს, ამბროსი ხელაიას, მიხაკო წერეთელს, ექვთიმე თაყაიშვილს), ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა. რის შესახებაც განცხადება სააკაშვილმა სოფელ ქვემო ალვანში გააკეთა: „მივიღე გადაწყვეტილება, ეროვნული გმირის წოდება მივანიჭო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას – როცა არავის ახსოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა, ზვიად გამსახურდია იყო ის, ვინც იყო ამ ეროვნული ჩირაღდნის მატარებელი. ის იყო მაშინდელი საქართველოს სიმბოლო, 90-იანი წლების დასაწყისის. მივიღე გადაწყვეტილება, ეროვნული გმირის წოდება მიენიჭოს მერაბ კოსტავასაც, რომელიც ზვიად გამსახურდიასთან ერთად იყო ამ იდეის მატარებელი – ის ერთი წამით არ შეტოკებულა, ერთი წამით არ დათანხმებია არანაირ თანამშრომლობას მჩაგვრელებთან“, – განაცხადა მან“.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტისათვის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების ინიციატივა, პირველად, სააკაშვილის ხელისუფლების საკრებულოში გაჟღერდა და არ არის გამორიცხული, რომ დასცლოდათ, საკითხი ზვიად გამსახურდიას სახელის სასაგრებლოდ გადაწყვეტილიყო, თუმცა იქაც მრავლად იყვნენ მოწინააღმდეგეები.

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 2014 წლის 31 მარტს დაარსა ზვიადის სტიპენდია ივ. ჯავახიშვილის ფილოლოგიის ფაკულტეტის საუკეთესო სტუდენტებისათვის.

გამოვლენინ იქნენ პირველი სტიპენდიანტებიც: მარიამ მათიაშვილი, მაგული ღამბაშიძე, ლევან ბებურიშვილი.

ეს აქტები მხოლოდ შედარებისათვის მოვიყვანეთ შევარდნაძე-ივანიშვილის პოლიტიკური ანტიპატიის ფონზე, რომლებმაც, არამცთუ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელი, არამედ მისი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი პერიოდიც კი, სრულად ამოაგდეს სახელმწიფო საქართველოს უახლესი ისტორიიდან. თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ **ე. შევარდნაძემ, გარდაცვლილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ოჯახის მიმართ, 2002 წლის 31 მარტს გამოსცა სოციალური უზრუნველყოფის ბრძანებულებულება (იხ. მომდევნო გვერდზე), რომელიც ქაღალდზე დაწერილი თამასუქი აღმოჩნდა...**

დეპოზიტიდან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ოჯახს 130 000 ლარი გადაეცემა

საქართველოს ახალი მთავრობის ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის 21 იანვრის განცხადებით, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ოჯახს, 2002 წელს მიღებული კანონის გათვალისწინებით, 130 000 ლარი გადაერიცხება. მისივე თქმით, ეს თანხა 2003 წლის ბიუჯეტში იყო გაწერილი, მაგრამ ფინანსური კრიზისის გამო ვერ მოხერხდა მისი გადახდა. 2012 წლის დეკემბერში, ქალბატონ მანანა არჩვაძე- გამსახურდიამ ფინანსთა სამინისტროს მოგვმართა განცხადებით კუთვნილი თანხის გადაცემასთან დაკავშირებით. 2013 წლის ბიუჯეტში ჩვენ შევიტანეთ აღნიშნული დავალიანება და ახლა სმენას ველოდებით. ეს ფაქტი ბატონ ბიძინა ივანიშვილის მთავრობის მიერ.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 78, ქუთაისი, 31 მარტი, 2002 წელი.

დოკუმენტი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება 139

2002 წლის 28 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას ხსოვნის უკვდავყოფისა და მისი ოჯახის წევრთა სოციალური და სხვა გარანტიებით უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხსოვნის უკვდავყოფისა და მისი ოჯახის წევრთა უსაშიროესის სათანადო სანაცვლოდ, ცხოვრებისა და საქმიანობის დიდსულოვანი პატრიოტული უზრუნველყოფის მიზნით:

1. საქართველოს მთავრობა, კანონმდებლობისა და საოჯახო დავის სამსახურთან (ა. გამყრელიძე) ერთ ერეში ეშრომელთა „საქართველოს პრეზიდენტის და მისი ოჯახის წევრთა საოჯახო და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება და საქართველოს მთავრობის სხდომაზე წარმოდგენა.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ბ. ნოდიაშვილი) სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად დადგინოს და უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლისათვის გამოსაყენებელი ტრანსპორტი ფარეულებში, სახელმწიფო ხარჯზე, ავარიული ხარჯებისა და სამსახურებრივი გრანსპორტი მომსახურების ეფექტით, ადრევე ნებადართული მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

3. საქართველოს მთავრობა, კანონმდებლობისა და საოჯახო დავის სამინისტრომ:

ა) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლეს დიპლომის ყოველთვიური საოჯახო გასაცემელი, რომლის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს პრეზიდენტისათვის დადგენილ თანამდებობრივ სარგოს;

ბ) უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლის ეკონომ სამედიცინო მომსახურება საქართველოს ტერიტორიაზე.

4. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლეს უფლება ეძლევა ინარგებლოს:

ა) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეროვნული ბანკიდან სახელმწიფო დაფით;

ბ) საქართველოს ავიალინიის სამოგზაურო გასახელოთი (VIP-2) სახელმწიფოს ხარჯზე.

5. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლეს ეძლევა დასაქმებულად ბანკირი, რომელიც ასრულებს ოჯახის საქმეებს.

6. ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული გარანტიებს ეძლევა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას ოჯახის წევრებს საქართველოს კანონმდებლობით შეძლება დაწესებული სხვა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებიც.

7. ეთანხმოს ქ. თბილისის მერიას კანონმდებლობით დადგენილი წესით განთავსების და გადაწყვეტის ქ. თბილისის ეროვნული ქონებათან ერთად გამსახურდიას სახელის მინიჭების საკითხი.

8. საქართველოს მშრომელთა და უმუშევრობის სამინისტროს (ბ.ბერეკეთი) ორ თვეში წარმოადგინოს წინადადებები ქ. თბილისში განთავსებული „ეროვნული კოშკი“ საპროექტო და ძიებითი სამუშაოების განხორციელების შესახებ.

9. 2002 წელს ამ ბრძანებულების შესასრულებლად საჭირო ხარჯების დაგეგმვისა განხორციელდეს საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან.

10. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ამ ბრძანებულების შესასრულებლად საჭირო ხარჯები ეთანხმებოდეს საქართველოს 2003 და მომდევნო წლების სახელმწიფო ბიუჯეტების კანონპროექტებში.

11. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ა. შენგელაიშვილი), მთავრობა, კანონმდებლობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ: გრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ (ბ. ადეიშვილი), სახელმწიფო დაფის სპეციალურმა სამსახურმა (ს. პაპიაშვილი), სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურმა (ალიფრიდე) უზრუნველყონ ამ ბრძანებულების მოთხოვნების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებათა დროულად განხორციელება.

12. ამ ბრძანებულების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ა. ჯორბენაძემ.

ედუარდ შევარდნაძე.

ბიძინა ივანიშვილის მთავრობის ფინანსთთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა 2013 წლის 21 იანვარს განაცხადა, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ოჯახს, 2002 წელს მიღებული კანონის გათვალისწინებით, 130 000 ლარი გადაერიცხება. მისივე თქმით, ეს თანხა 2003 წლის ბიუჯეტში იყო გაწერილი, მაგრამ ფინანსური კრიზისის გამო ვერ მოხერხდა მისი გადახდა: „2012 წლის დეკემბერში, ქალბატონ მანანა არჩვაძე- გამსახურდიამ ფინანსთა სამინისტროს მოგვმართა განცხადებით კუთვნილი თანხის გადაცემასთან დაკავშირებით. 2013 წლის ბიუჯეტში ჩვენ შევიტანეთ აღნიშნული დავალიანება და ახლა

საშუალება გვაქვს გავცეთ იგი“ — განაცხადა ხადურმა. 2002 წელს ე. შევარდნაძის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, მხოლოდ 11 წლის შემდგომ მოხდა მისი რეალური აღსრულება პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მთავრობის მიერ. ამასთანავე, ამავე მთავრობის მიერ, 2013 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება **საქართველოს პირველი პრეზიდენტის ოჯახისთვის, წყნეთში სიმბოლურ ფასად,** – 4500 კვ/მ მიწის ნაკვეთისა და აგარაკის გადაცემის თაობაზე. მანანა არჩვაძე-გამსახურდიას გამოეყო ახალი ბრონირებული მანქანა მძღოლით და დაცვა.

საფლავშიც წამეგული...

ზვიად გამსახურდია, მსოფლიო ისტორიაში, ერთადერთი პრეზიდენტი და საზოგადო მოღვაწე მამულიშვილია, რომლის წამებულმა სხეულმა, ვერც მშობლიურ და ვერც უცხო მიწაშიც ჰპოვა მშვიდი განსასვენებელი; ნიკოლოზ ბარათაშვილი სამჯერ დაკრძალეს, იგი განჯიდან, ჯერ დიდუბის პანთეონში იქნა გადასვენებული, შემდეგ კი მთაწმინდის პანთეონში. ზვიადის წამებულ სხეულს კი ხუთჯერ გაუთხარეს საფლავი. გროზნოშიც კი, იმპერიალისტური რუსეთის მიერ წარმოებული ომის გამო, მეორედ მოხდა მისი საფლავის ადგილის გამოცვლა. საბოლოოდ კი, მთაწმინდაზე, მან მეხუთედ ჰპოვა ძვალთშესალაგი. თუმცა ზვიადს, მდევარი ბედი აქაც ეწია; 2010 წლის 17 თებერვალს, ქართველი ერი შემაძრწუნებელი ფაქტის მოწმე გახდა; ბარებითა და ნიჩბებით აღჭურვილი უგუნური ბრბო, გავეშებით დააბოტებდა, ისედაც მრავალგზის ნაწამებ ზვიადის ძვლებზე და მთაწმინდის სავანიდანაც კი მის მეექვსედ ამოთხრას ლამობდა...

ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის განცხადება

ზვიად განმათავისუფლებლის პარტია გამოთქვამს შეშფოთებას საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის საფლავის ხელყოფისა და ადგილ-სამყოფელის ერთპიროვნულად შეცვლის მცდელობის გამო, რაც საეჭვოდ დაემთხვა გარდაცვლილი პრეზიდენტის შვილების (კონსტანტინესა და გიორგის) საქართველოში არყოფნას, ხოლო ცოტნეს უკანონო პატიმრობაში ყოფნას.

პრეზიდენტის ქვრივის მანანა არჩვაძის 17 თებერვლის თვითნებურ ქმედებას ვაფასებთ ვანდალიზმად და კიდევ ერთხელ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს, სა-

ქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ გმირს ზვიად გამსახურდიას, 2007 წლის 1 აპრილს ერმაც, ბერმაც და საკუთარმა შვილებმაც სრულიად სამართლიანად და დამსახურებულად მიუჩინეს ღირსეული ადგილი საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში და ამ ერთსულოვანი გადაწყვეტილების შეცვლის უფლება არა აქვს თვით პრეზიდენტის ქვრივსაც და წარმოადგენს უკანონო ქმედებას.

მოვითხოვთ ყველა პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუციებისაგან, საიმედოდ დაიცვან საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სამუდამო განსასვენებელი და მთაწმინდის პანთეონში უზრუნველყონ მისი საფლავის უსაფრთხოება. ხოლო ქალბატონ მანანა არჩვაძის მომხრეებს კი მოვუწოდებთ, სრულად გააცნობიერონ მომხდარი და ნუღარ მიიღებენ მონაწილეობას მსგავს მწვალებლურ, ვანდალურ და სამარცხვინო აქტში.

პარტიის თავმჯდომარე

ლეილა ცომაია

2010 წლის 18 თებერვალი. თბილისი.

ზვიადის საფლავისადმი ამგვარივე ვანდალურ ქმედებად უნდა შეფასდეს 1997 წელს ჯიხაშკარშიც მომხდარი ფაქტი; ჯიხაშკარელებმა გადაწყვიტეს, რეფერენდუმისა და პრეზიდენტის დაბადების დღეს, 31 მარტს, ზვიადის დროებით საფლავზე დაედგათ მემორიალური დაფა წარწერით: „აქ განისვენებდა საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია“. ავტობუსი, რომლითაც მიჰქონდათ მემორიალი, გააჩერეს პოლიციის თანამშრომლებმა, აქტივისტები გადმოსხეს და მემორიალით ხელში წაიყვანეს სამმართველოში, სადაც დაამსხვრიეს ღირსსახსოვარი მარმარილო და პიროვნებებს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფები. ეს ვანდალიზმი გახორციელდა ზუგდიდის მერის ბონდო ჯიქიასა და სამხარეო პოლიციის სამმართველოს უფროსის ზვიად მანიას მიერ, რითაც დიდად აამეს შევარდნაძეს.

ზვიადს, მოსკოვის ლეფორტოვის ციხეში ლევ ტოლსტოიზე დაწერილ სტატიაში (სათაურით – „უდაბნოსა და უდაბნოს შორის“) აქვს ასეთი ჩანაწერი: „დიდი ადამიანები იმითაც გამოირჩევიან, რომ მათში ეპოქის ტრაგედია, ცხოვრებისეულ, პირად ტრაგედიად გარდაისახება ხოლმე. ხშირად მათშივე ისახება მთელი სიდიადე და ბიწიერება დროისა, რომელშიც ისინი ცხოვრობენ“.

ზვიადმა საკუთარი გულით და მხრებით ზიდა (ილიას შემდეგ) მე-20 საუკუნის ბოლშევიკური ტერორისა და რუსეთის იმპერიალისტური ხუნ-

დები, რომლის მსხვრევას იგი ულმობელი და მოწამოებრივი სიცოცხლით შეეწირა, რაშიც ლომის წილი უდევთ ჩვენს თანამემამულე – ქართველ კოლაბორაციონისტებსაც. მათმა ღალატმა, ორგულობამ და ქვებუდნობამ ტოტალური კატასტროფა მოუტანა ჩვენს დედა-სამშობლოს, რის შედეგებსაც ათეული წლების განმავლობაში იმკის საქართველო და ქართველი ერი.

ეს გახლავთ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი ფოტო, რომლის გამომეტყველებაშიც ასახულია უმძაფრესი ჭმუნვა და ტრაგიზმი მისი სათაყვანებელი სამშობლოს შემდგომი ბედის გამო.



ნოდარ წულეისკირის ავი წინათგრძნობა ზვიადის მკვლელობაზე...

ამონარდი წერილიდან "ლიტერატურული მონანიება." 1990



"ზვიად გამსახურდია იშვიათი შესაძლებლობების და უნარის ადამიანია, თავის ნიჭსა და უნარს მარნეულის რაიონის დასალაგებლად არ უნდა ვაფლანგვინებდეთ მას. „არ უნდა ვაფლანგვინებდეთო" რას მიქვიან! თურმე შეიძლება ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური იზოლაცია, თუ ზვიად გამსახურდია ჩამოშორდება ეროვნულ მოძრაობას, განაწყენებული პარტიები, ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლები გაერთიანდებიან და ეროვნული მოძრაობაც უკეთ წარიმართებაო.

ჯერ ცალ-ცალკე, უწყინრად თავისთვის ფიქრობდნენ თურმე, შემდეგ თანდათან ეს აზრი აგორდა, აზვავდა, იქუხა და საქმე იქამდე მივიდა, რომ თურმე შეიძლება არამც თუ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ იზოლაციაზე იფიქრო, არამედ შეიძლება მისი სულ მთლად ჩამოშორება გზიდან, ე.ი. შეიძლება მისი მოკვლა!

ეს უკვე აღემატება ყველაფერს, ეს არის ის დრო და ის წამი, როცა საქართველოს გამოთაყვანების და გამოლენჩების წამი დგება. ეს გახლავთ წიწამურის წამები, ის წამები, როცა ილიას შუბლს ტყვია მოხვდება, ხოლო იმ დროს დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: ქართველი ერი ჭკუაზე არ იყო, ის იყო სულ მთლად გამოთაყვანებული და გამოლენჩებული. ხოლო ეს „გამოლენჩების" და „გამოთაყვანების" წამები უცებ არ დამდგარა, იგი წლების განმავლობაში ნელ-ნელა შემზადდა. ხალხი „სოციალისტებით" (იმდროინდელი ტერმინია!) გამოაპენტერეს, თითქმის ყოველ დღე უკიჟინებდნენ: „ილია გლეხების მყვლეფელია!" „ილია მთავრობის ყურმოჭრილი მონაა!" „ილია მდიდართა ინტერესების დამცველი," „ილია სოციალ – დემოკრატების მტერი." „ჩვენ არა გვგონია, – წერდა ფილიპე მახარაძე თავისივე ჟურნალ „მოგზაურში" – საქართველოს მიწაზე მოიძებნებოდეს მეორე ასეთი სასტიკი მემამულე, რომელსაც ასე ულმობლად მიყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა."

აი, ასე მზადდებოდა ილიას მკვლელობა, მთელ ამ პროცესს წვრილად აღწერს ვახტანგ გურგენიძე და ასკვნის: ფილიპე მახარაძის ეს წერილი

გადაიქცა ილია ჭავჭავაძის სასიკვდილო – საბრალდებო დასკვნად და მოწოდებად გაუნათლებელ და უმეცარ ხალხისდამი, სისრულეში მოეყვანათ განაჩენი – სიკვდილით გასწორებოდნენ მათთვის ყველაზე საზიზღარ თავადს – ილია ჭავჭავაძეს.

ზვიად გამსახურდიას ჩემი ხოტბა არ სჭირდება, არც ჩემი დაცვა. მას მისი გუშინდელი მეგობრები ტყვიას არ ესვრიან, ეს ნათელია, ამას მტკიცება არ სჭირდება. ისინი ისევ შერიგდებიან, როგორც წაეკიდნენ. კალამი ავიღე სხვა რამის გამო. წიწამურის ტყვია, ვაი თუ მაინც გავარდეს, ისვრის მეოთხე, მეხუთე ძალა და დაბრალდება „ოხრანკას“ ან თუ გნებავთ, ბრუტოსს, და გვიან იქნება თითზე კბენანი. ამიტომ დღეს, ჩემი აზრით, საჭიროა არ ვიკადროთ ის (თუნდაც ჩვენდა უნებურად!) რაც არ არის საკადრისი. გუშინ ზვიად გამსახურდიას ვეძახდით ეროვნული მოძრობის პატრიარქს, დღეს სხვას ვეძახით. ზოგი იქამდეც მიდის – ტირანს, დიქტატორს, სუკის აგენტსაც კი უწოდებს, თან დაბეჯითებით გვიმტკიცებს, აგენტიაო. არ შეიძლება ეს, დაუშვებელია, საშიშია!

მერე თქვენ თვითონ ინანებთ. მე, მეტის, არაფრის გაკეთება შემიძლია, სხვათაშორის აი, ასეთი ცარიელი სიტყვებიც კი არავის უთქვამს ილია ჭავჭავაძის დასაცავად, თუმცა იმ დროს მოღვაწეობდნენ სწორედ ერის საუკეთესო შვილები. იმიტომ კი არა, რომ ვერ ბედავდნენ ასეთი სიტყვების დაწერას ან ილიას არ თანაუგრძნობდნენ, არა, უბრალოდ არ ელოდნენ, ერთი წამითაც კი აღარ უშვებდნენ იმას, რომ ილია ჭავჭავაძეს ვინმე ტყვიას ესროდა საქართველოში. ესროლეს. ესროლეს იმიტომ, რომ საზოგადოებრივმა აზრმა, პრესამ შეამზადა ნიადაგი – პირდაპირ „შექმნა“ ბერბიჭაშვილი. ბერბიჭაშვილი კი სამარეში ისე ჩავიდა, ვერაფრით გაიაზრა, ვერ ჩაწვდა რა ჩაიდინა, ფრიად გაკვირვებული იყო – პენსიას რატომ არ მიმატებთ, მე ხომ პარტიის საქმე გავაკეთე, მჩაგვრელი, მყვლეფელი მემამულე ხალხს მოვაშორეო. ახალი ბერბიჭაშვილების გაჩენა ჩვენში სულაც არ არის მოულოდნელი.

სამწუხაროდ, ზოგს ანბანური ჭეშმარიტება არ ესმის – თავი დავანებოთ ზვიად გამსახურდიას, კონსტანტინე გამსახურდიას ეზოში ბომბი არ უნდა ჩააგდო, არც მომწამვლელი ნივთიერების შესხმა შეიძლება იქ. ვთქვათ ფილიპე მახარაძემ დაგავალა, შენ ხომ ბერბიჭაშვილი არ ხარ! დიდი ხნის წინათ საქართველოს დაემუქრა ქოლერის ეპიდემია. ტელევიზიით გამოვიდა ჯანმრთელობის დაცვის მაშინდელი მინისტრი ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილი და ხალხს მოუწოდა, ჭამის წინ ხელი დაიბანეთო. ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, როგორ თუ მინისტრი ქართველ ხალხს უბედავს ასწავლოს ყოფის ანბანური წესი, რუსთაველის საქართველოს

ხელ-პირის დაბანას ასწავლის-მეთქი. ჩემდა გასაოცრად პატივცემული ბოჭორიშვილი მართალი აღმოჩნდა, თურმე ამგვარი სწავლება საჭირო ყოფილა: ჭამის წინ ხელი უნდა დაიბანო, უნდა ჩააფურთხო საფურთხელში, ქალს წიხლი არ უნდა ამოარტყა, რუსთაველის გამზირზე სროლა არ უნდა ატეხო! გამსახურდიას ეზოში ბომბი არ უნდა შეაგდო და ასე შემდეგ.

ზვიად გამსახურდიას დღეს უფრო მეტი ადამიანი ამოუდგა გვერდში, ვიდრე ადრე ედგა, ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიაზრდება თანდათან, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მის გვერდით მთელი საქართველო უნდა იდგეს. როცა ზ. გამსახურდიას ვაქებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვაძაგებ რომელიმე სხვა ეროვნულ მოღვაწეს (გვარებს განგებ არ ვასახელებ, – ისინი ბევრნი არიან!) ან რომელიმე პარტიის მოღვაწეობა არ მომწონს. არა, ვისაც რა შეუძლია, იმას აკეთებს. რა საკვირველია, ფიქრადაც არა მაქვს დავამცირო მათი ღვაწლი და დამსახურება საქართველოს წინაშე, თავისუფლებისთვის მათი ბრძოლა, საბჭოთა კატორღებში თავს გადამხდარი მათი ტანჯვა-წამება გავაიაფო ან გავაუფასურო, ქართველი ერის გამოღვიძებაში მათ ელვარე მოღვაწეობას ჩრდილი მივაყენო, – ღმერთმა დამიფაროს!

რა დამავიწყებს 14 აპრილს, 9 აპრილს, მოშიმშილეთა გევრდით გატარებულ ნოემბრის სუსხიან ღამეებსაც... ამ დიადი დღეების შემოქმედთ, მე რომ დავივიწყო, ამას ერი არ დაუვიწყებს, ეს უკვე ისტორიაა. მაგრამ მე მინდა ყველა ეროვნული მოღვაწე დავინახო ერთად ისე, როგორც 9 აპრილის ღამეს ვიხილეთ, ერთმანეთის გვერდით, მთელ ქართველ ერთან. აი, ასეთი ერთიანობა გვჭირდება დღეს."

რა იყო ეს, თუ არა მამულიშვილისა და მწერლის ავი წინათგრძნობა ზვიად გამსახურდიას მკვლელობაზე, ჯერ კიდევ 1990 წელს, როდესაც ზვიადი, ჯერაც, ეროვნულ მოძრაობას წარმოადგენდა?...

ვაი, რომ ახდა ნოდარ წულეისკირის წინასწარმეტყველური გულისკრთომა... ***(ლ.ც.).***

გაზეთი „განმათავისუფლებელი", №45, 2015

წყარო: https://lessonsgeo.wordpress.com

ვისი ზეგავლენით თქვა უარი კათოლიკოს–პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძრის ეზოში პრეზიდენტ გამსახურდიას დაკრძალვაზე

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ქვრივის, ქალბატონ მანანა არჩვაძის დაჟინებული თხოვნით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, თითქმის მიიღო გადაწყვეტილება დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის სამების საკათედრო ტაძრის ეზოში დაკრძალვის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, ზვიად გამსახურდიას ზოგიერთმა თანამებრძოლმა ვიცოდით, რომ სამების ტაძრის ელიას მთაზე აგების იდეა და უდიდესი სურვილი დისიდენტობაშივე გააჩნდა ზვიადს და მე, ამის შესახებ, გაზეთ „პრეზიდენტისთვის“ მიცემული ინტერვიუთაც ვაუწყე ჩვენს თანამედროვე საზოგადოებას (იხ. 29 ნოემბერი – 12 დეკემბერი, 2004წ.), – პირადად მაინც არ ვიწონებდი სამების ეზოში მისი დაკრძალვის გადაწყვეტილებას.

ჩემი კატეგორიული წინააღმდეგობა მოტივირებული იყო შევარდნაძის ფაქტორით, რომლის სახელმწიფო მეთაურობის დროსაც დაიწყო სამების ტაძრის მშენებლობა და რომელსაც პატრიარქმა საძირკვლის ჩასხმის პროცესშივე აღუთქვა, რომ გარდაცვალების შემთხვევაში, ამ ტაძარში დაკრძალავდა.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაკრძალვის გადაწყვეტილების თანადროულად, საპატრირიარქოს მხრიდან, აქცენტები ზემოხსენებულ წინაპირობაზეც კეთდებოდა, რითაც, სამომავლოდ, საფუძველი ეყრებოდა დიდ ისტორიულ უსამართლობას; – საქართველოსთვის თავგანწირულ გმირ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მსგავსად, წმიდა სამების საკათედრო ტაძრის განსპექტაკებულ ადგილას, დასაფლავების თანაბარი პატივი უნდა რგებოდა საქართველოს დამანგრეველსა და მტერს, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის განმკარგულებელს (დამკვეთი რუსეთი იყო)

ედუარდ–ბოროტ შევარდნაძეს.

ამგვარი ცინიზმისა და უხერხულობის თავიდან აცილების, თითქოს არავითარი პერსპექტივა არ ჩანდა, რომ არა ერთი სატელეფონო ზარი, რომელიც იმ ცხარე აჟიოტაჟის დროს დაირეკა ჩემთან. იგი, ზვიადისა და მერაბის თანამებრძოლ დისიდენტს და მრავალგზის პოლიტპატიმარ ვალენტინა ფაილოძეს ეკუთვნოდა.

ვალენტინა ფაილოძე, რიგი დისიდენტების მსგავსად, 1980–იანი წლების მიწურულიდან მტრად იყო მოკიდებული ზვიადს და დღემდეც ამგვარ განწყობას ინარჩუნებს. ჩემთან სატელეფონო საუბარში მან უკიდურესი აღშფოთება გამოთქვა ზვიადის სამებაში დაკრძალვასთან დაკავშირებით:

– ლეილა, თქვენ გინდათ, როგორც „წამებული და წმინდანი“ ისე დაკრძალოთ იგი სამებაში? – აგრესიით ჩამეკითხა და უმალ მივხვდი, როგორ უნდა მესაუბრა მასთან, ანუ, როგორ გამომეყენებინა მისი „კოზირი“ ამ უსაშველო ვითარებაში.

– დიახ, სწორედ სამებაში უნდა დაიკრძალოს და უახლოეს მომავალში წმინდანადაც შეირაცხოს.

– ვერ ეღირსებით, ვერასოდეს! ახლავე დავურეკავ პატრიარქს და მივალ კიდეც! ერთი გაბედოს და დაკრძალოს!...

ამგვარი ქადილით ვალენტინამ ყურმილი დამიხეთქა და მე მყისიერად გამიჩნდა იმედი, რომ ვალენტინას ზვიადისადმი სიძულვილი, ამჯერად ნამდვილად სასიკეთოდ წაგვადგებოდა.

ვალენტინა ფაილოძე გახლდათ სიონის ეკლესიის მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელი 1960-70–იან წლებში. მას დიდი წვლილი მიუძღვის ეკლესიური სიწმინდეების დაცვაში, რასთან დაკავშირებითაც ხშირი დაპირისპირებები უწევდა პატრიარქებთან. კათოლიკოს–პატრიარქს ილია II–საც მასთან დაძაბული ურთიერთობების მრავალწლიანი ბატალიები აქვს გამოვლილი და ზედმიწევნით ზუსტად იცნობს მის საბრძოლო პოტენციალს. ამის გათვალისწინებით, დაბრძენებული და ასაკით დამძიმებული პატრიარქი, დღესაც არამც და არამც არ ინებებდა სახიფათო დაპირისპირების განახლებას ვალენტინა ფაილოძესთან. ფაქტია, რომ ჩემთან ვალენტინას სატელეფონო შეხლა–შემოხლისა და ქადილის შემდგომ, მესამე დღეს, კათოლიკოს–პატრიარქმა, თავისი წარმომადგენლის პირით დიპლომატიურად თქვა უარი სამების საკათედრო ტაძრის ეზოს, სახელმწიფო მოღვაწეთა პანთეონად გადაქცევის თაობაზე.

უთუოდ, აქვეა საჭირო, ორიოდ სიტყვით გავარკვიოთ მკითხველი ფაილოძის სიძულვილის მიზეზში ზვიადის მიმართ; ვალენტინას აგრესია და სიძულვილი (სხვა ცნობილი დისიდენტების მსგავსად) მოტივირებუ-

ლი იყო პირველობის ამბიციით; იგი თვლიდა, რომ პირველმა მან დაიწყო საქართველოში ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობა. ზვიადი და მერაბი კი მხოლოდ მისი მოწაფეები, მიმდევრები იყვნენ, რის საქვეყნო აღიარებასაც მოითხოვდა იგი ჩვენგან.

ვ. ფაილოძეს, უდავოდ, დიდი წვლილი აქვს შეტანილი ეკლესიის დაცვისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მაგრამ მისი წვლილი, არც უახლოვდება და, მითუმეტეს, არ აღემატება ზვიად გამსახურდიას წვლილს.

ლეილა ცომაია
გაზეთი „განმათავისუფლებელი“ N13, 2007 წლის აპრილი.

ვალენტინა ფაილოძე 2010 წლის 13 დეკემბერს გარდაიცვალა, იგი საპატრიარქოს თანამშრომელი იყო და 1977 წლიდან 1988 წლების პერიოდ-ში, საერთო ჯამში 12 წლიანი პატიმრობები ჰქონდა მოხდილი რუსეთის ციხის ჯუღმულებში.

ქვემოთ გთავაზობთ ვალენტინა ფაილოძის დისიდენტობის დროინდელ ერთ-ერთ დოკუმენტს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დავით V-ს

ასლი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

დიდის აღშფოთებით შევიტყვეთ, რომ თქვენ, ა.წ. 10 ივნისს, მამადავითობას, მიტროპოლიტად აკურთხეთ "ეპიკოპოსი" გაიოზი, რომელიც თავისი უმსგავსო საქციელით სახელს უტეხდა და უტეხს ქართულ ეკლესას. არა მარტო მრევლისათვის, არამედ მილიციისა და პროკურატურის ორგანოებისთვისაც კარგად ცნობილია მისი მამათმავლობა, მძარცველობა და სხვა მრავალი დანაშაულებრივი ქმედებანი. ყველასათვის ცნობილია, რომ იგი არის აგრეთვე უშიშროების კომიტეტის აგენტი, ხოლო საიდუმლო პოლიციის აგენტობა დაუშვებელია სამღვდელო პირისთვის, ეს ძირითადად ეწინააღმდეგება ჩვენი მაცხოვრის, ქრისტეს მოძღვრების არსს.

გაიოზის მონაწილეობა საპატრიარქოს ძარცვაში 1972 წელს დაამტკიცა კიროვის რაიონის პროკურორის თანაშემწემ დავით ქორიძემ, მის მამათმავლობას და ქურდობას ადასტურებენ აგრეთვე ქალაქის მილიციის სამმართველოს გამომძიებელი სილაგაძე, თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურორი ლ. საძაგლიშვილი, რომელმაც ამას წინათ მოითხოვა კიდეც მისი დაპატიმრების ორდერი, მაგრამ "ძლიერნი ამა ქვეყნისანი" გაოზის მფარველნი და მისგან უხვი ძღვენით მომადლიერებულნი ხელს აფარე-

ბენ მას. მაგრამ "არა არს დაფარული, რომელი არა გამოვლინდეს" (მათე 10.26) და როგორც უფალი იტყვის "ჩემი არს შურისგება და მე მივაგო". (რომ. 12.19) გაიოზი ადრე თუ გვიან დაისჯება თავის ყველა დამქაშებთან ერთად. თქვენ კი უფალი და ერი არ გაპატიებთ ბოროტმოქმედთა გამრავლებას საქართველოს ეკლესიის წიაღში, აგრეთვე იმას, რომ თქვენ დაუშვით „ბილწი იგი მოოხრებისაჲ წმინდასა მას ადგილსა" (მათე 24.26).

ვაცხადებთ პროტესტს გაიოზის კურთხევის წინააღმდეგ და მოვითხოვთ მის გაკრეჭას და განკვეთას როგორც უღირსი სამღვდელო პირისას.

ზვიად გამსახურდია
მერაბ კოსტავა
ვალენტინა ფაილოძე
სულიკო კაჭარავა
2. VII. 76
სცსა, ფონდი 1980

ინტერვიუები პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაკრძალვის ადგილთან დაკავშირებით ტელეკომპანიებზე: „რუსთავი -2", „იმედი", 2007 წლის 6 მარტი

საპატრიარქოს პოზიცია: „...მისი განსასვენებლის განსაზღვრა აუცილებლად შეთანხმებული უნდა იყვეს სახელმწიფოს პირველ პირთან, სახელმწიფოს პრეზიდენტთან ბატონ მიხეილ სააკაშვილთან. რაც შეეხება მის საბოლოო განსასვენებელს, საპატრიარქო თვლის, რომ აუცილებელის გამოყოფილ იქნეს სპეციალური ადგილი სამების საკათედრო ტაძრის ეზოში, სადაც გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები იქნებიან დაკრძალულნი".

მამანა არჩვაძე-*გამსახურდია:* „ზვიად გამსახურდია დაიკრძალება „სამების" ტაძრის ტერიტორიაზე. არავის არა აქვს უფლება დააყენოს თავი გიორგი და ცოტნე გამსახურდიებისა და მანანა არჩვაძის წინ! მათი ყეფა ამაოა, მაპატიეთ ამ გამოთქმისთვის, მაგრამ ეს გამოთქმა ზუსტად შეესაბამება მათ ქცევას, „ძაღლი ჰყეფს, ქარავანი მიდის". ასე, რომ ოჯახის გადაწყვეტილება იქნება აბსოლუტურად ურყევი (პროგრამა „კურიერი").

ამავე საინფორმაცი პროგრამით გადაიცა ქ-ნ მანანასა და ცოტნეს მადლობა, რუსეთის პრეზიდენტ პუტინისა და ჩეჩნეთის დანიშნულ პრეზიდენტ რამაზან კადიროვისადმი, ზვიადის საფლავის აღმოჩანისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებაზე.

კონსტანტინე ზ. გამსახურდია: ზვიად გამსახურდია უნდა დაიკრძალოს მთაწმინდაზე, ვინაიდან იქ დასაფლავებულნი არიან ზვიად გამსახურდიას საყვარელი გმირები: ილია ჭავჭავაძე და ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ასევე მისი სულიერი ძმა მერაბ კოსტავა. ჯერ ერთი, გაურკვეველია, სამებაში სად უნდა აშენდეს ეს პანთეონი, ასევე გაურკვეველია, ხომ არ დაიკრძალება იქ ედუარდ შევარდნაძე და თუ ედუარდ შევარდნაძე დაიკრძალება იქ, ეს იქნება ზუსტად იგივე მოდელი, რაც იყო მთაწმინდაზე, სამწუხაროდ საბჭოთა პერიოდში, როდესაც ილია ჭავჭავაძის გვერდით, მისი მკვლელი ფილიპე მახარაძე იყო დაკრძალული. მე ამას არ დავუშვებ!"

მიხეილ სააკაშვილი (იაპონიიდან): „ესეთ საკითხებზე, მე ვფიქრობ, რომ უხერხულიც არის, რომ პრეზიდენტი ერთპიროვნულად იღებდეს გადაწყვეტილებას. ჩვენ ტექნიკურად ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ყველა საკითხი გადაწყვეტილი იყოს. ახლა არსებობს სამთავრობო კომისიები, სამთავრობო კომისია დაჯდეს, ყველას აზრი გაითვალისწინოს და მიიღოს ადამიანური, სწორი გადაწყვეტილება. მე ვფიქრობ, ეს არის საერთო საკითხი, მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის დიდი პოლიტიკური გარჩევების თემა, ნამდვილად!" (2017 წლის 9 მარტი).

ბესარიონ გუგუშვილი (ფინეთიდან): „დაამხეს კონსტიტუცია, დაამხეს პარლამენტი, დაამხეს პრეზიდენტი, დაამხეს ყველა არჩევითი ორგანო, ამით სახელმწიფო მოსპეს. ამ ელემენტების გარეშე სახელმწიფო არ არსებობს, მათ ეროვნულ საფუძვლებზე აგებული სახელმწიფო მოსპეს. მას მერე ზვიად გამსახურდია, ბესარიონ გუგუშვილი და ის ასიათასობით კაცი იბრძოდა იმ ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის. და იმის გამო, რომ დაამხეს და მოსპეს ქართული სახელმწიფო, არავინ პასუხი არ აგო, არც მაშინ, არც მას მერე, არც დღეს. სააკაშვილის დეკლარაციაში წერია, რომ გადატრიალება მოახდინეს ანტიეროვნულმა ძალებმა, შინაგანმა და გარეგანმა. ამას აღსრულება უნდა. სიტყვის რახა-რუხი კი არ უნდა იყოს. სანამ ამას არ მიეცემა შესაბამისი შეფასება, არ დაისჯება ის პირები და ორგანიზაციები, ვინც დაამხო ქართული სახელმწიფო, მანამდე არსებული სახელმწიფო ვერ იქნება უფლება-მონაცვლე ზვიად გამსახურდიას დროინდელი ეროვნული სახელმწიფოსი. დღეს, ეს ორი, სხვადასხვა სახელმწიფოა. ჩვენ ვცანით ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა, ცნობენ ესენი ჩეჩნეთის დამოუკიდებლობას? აი, ამაშია საქმე, ამის თქმა არავის არ უნდა. დაიღუპა სახელმწიფო და იმ სახელმწიფოს პრეზიდენტი ისე ჩაჰყვა უფსკრულში მას, როგორც გემის კაპიტანი ჩაჰყვება ჩაძირულ გემს. პატიოსანი გემის კაპიტანი, გარეწარი კი არა, რომელიც ომს წამოიწყებს და მერე ომიდან გამოიქცევა და მთელ ტერიტორიებს ვიღაცას ჩააბარებს იმისთვის, რომ მერე 15 წელიწადი ძარცვოს ქვეყანა... ომს რომ დაიწყებს სახელმწი-

ფოს მეთაური და მთავარსარდალი დამარცხდება, დამეთანხმებით, რომ მთავარსარდალს სიცოცხლის უფლება არა აქვს; ის უნდა დაიღუპოს იმ სახელმწიფოსთან ერთად. ზვიად გამსახურდიამ ერს მისცა მაგალითი. ასე მოიქცა ჯოხარ დუდაევი, მასხადოვი და ა.შ. და არ ჩაბარებიან რაღაც ტრიბუნალს, საცა მათ გაასამართლებდნენ...

ინგა გრიგოლია: *„ანუ, თქვენ ამბობთ, რომ ეს იყო თვითმკვლელობა?“...*

ბესარიონ გუგუშვილი: „მე კი არ ვამბობ, მე იმას ვამბობ, რაც ვნახე... არსებულ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, ზვიად გამსახურდიას დასაფლავებას მოჰკიდოს ხელი. ეს არის მტრული სახელმწიფო ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მიმართ, ეს ანტიეროვნული სახელმწიფოა. ზვიად გამსახურდია უნდა გადაასვენოს ხალხმა... და არ არის საჭირო ამ პროცესში სახელმწიფოს ჩართვა... ბოლო მომენტში ზვიად გამსახურდიას გვერდით ვიყავი მხოლოდ მე, სხვა არავინ არ ყოფილა, არავინ!... ჩემსა და მანანას შორის გაფორმდა წერილობითი ხელშეკრულება, რომ არავინ არ მიიღებს არავითარ გამოძიებაში მონაწილეობას და არავითარი გამოძიება არ ჩატარდება. ეს ხელშეკრულება გამოქვეყნებულია!“

თენგიზ კიტოვანი: „ზვიად გამსახურდია იყო იარაღით მოკლული. მე ბევრჯერ დავსვი ეს საკითხი და ვადებ კვირაიას ხელს...“ *(2007 წლის 9 მარტი, ტელეკომპანია „იმედი“).*

მკითხველნი, ალბათ მიაქცევდით ყურადღებას ბესარიონ გუგუშვილის მიმოტანჯულ ვრცელ ინტერვიუს, რომელმაც გრიგოლიას კითხვის მხოლოდ მეორე ნაწილში გასცა არაპირდაპირი, დემაგოგიური პასუხი და მასშიც რეკს შიში, სახელმწიფოს მხრიდან, ზვიად გამსახურდიას ცხედრის ექსპერტიზის შესაძლო ჩატარების გამო, რისგანაც, ***ამჯერადაც,*** *მანანა არჩვაძის კატეგორიულმა უარმა იხსნა იგი... (**ლ.ც.**).*

შევარდნაძე საქართველოდან გაიპარა



საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ნეშტის იჩქერიიდან საქართველოში გადმოსვენებამდე რამდენიმე დღით ადრე, უზურპატორი შევარდნაძე საქართველოდან გაიპარა; იგი, გერმანიაში, თავისი კოლეგისა და მეგობრის, გერმანიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის ჰანც დიტრიხ გენშერის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით 25 მარტს გაემგზავრა და უკან 28 მარტს უნდა დაბრუნებულიყო.

შევარდნაძის მემკვიდრე სააკაშვილის ხელისუფლება, რომელმაც შევარდნაძის გერმანიაში გამგზავრება უზრუნველყო, ამასთან დაკავშირებით არანაირ ინფორმაციას არ ახმაურებდა. მოვლენის ამგვარი გასაიდუმლოების თუნდაც ეს ფაქტიც, აშკარად მეტყველებს სააკაშვილის მზრუნველ დამოკიდებულებაზე თავისი პოლიტიკური მამისა თუ კუმირის მიმართ, რომელიც მან ასე საიდუმლოდ გაარიდა 31 მარტისა და 1 აპრილის მოსალოდნელ ექსცესებს.

ნიშანდობლივია, რომ ედუარდ შევარდნაძე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ნეშტის საქართველოში ჩამოსვენებისა და დაკრძალვის შემდგომაც აგრძელებს ყოფნას გერმანიაში. ალბათ, იმის ლოდინში, როდის განელდება, ზვიად გამსახურდიას ჩამოსვენებით განახლებული დიდი მწუხარება და პროტესტი მის წინააღმდეგ.

რა საშინელი დანაშაულის გამჟღავნების ეშინიათ მანანა არჩევაძესა და ბესარიონ გუგუშვილს?

2007 წლის 28 მარტს, სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც დევნილი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ნეშტი საქართველოში ჩამოასვენეს. მანამდე კი, პირველადი დაკრძალვის ადგილზე გროზნოს რუსული ხელისუფლების მიერ „აღმოჩენილი“ ქართველი პრეზიდენტის ნეშტი, ექსპერტიზისათვის, როსტოვში გადაასვენეს. როსტოვში, რუსეთის მხარის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზაში არ იქნა ჩართული, არც საერთაშორისო ექსპერტები და არცთუ ქართველი სპეციალისტები. დღემდე, საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ერისათვის უცნობია რუსი ექსპერტების დასკვნა; რუსეთის მთავრობა თავს ვალდებულად არ თვლის საქართველოს მთავრობას ოფიციალურად გადმოუგზავნოს ჩატარებული ექსპერტიზის დოკუმენტი, არამედ, მისი დამოუკიდებლად მოპოვებისათვის, ჩეჩნეთის ხელისუფლებისაკენ უთითებს.

თავხედობა და ცინიზმი ამაზე შორს ვერ წავა! ფაქტია, რომ პრეზიდენტის გადმოსვენების ტრაგიკული ისტორიული მოვლენის დროსაც, ინერციით გაგრძელდა 1991-93 წლებში დაწყებული შეთქმულება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. შეთქმულების მასიური ჯაჭვი არ გაწყვეტილა ამ წლების შიგნით არსებულ პერიოდშიც. ამჯერად, შეთქმულების ბირთვად, პერსონალურად გამოყენებულ იქნენ გარდაცვლილი პრეზიდენტის ოჯახის წევრები. ამ ანგარიშგასანევი ფარით, რუსეთის მთავრობა, შეეცადა საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და ქართველი საზოგადოების დამუნათებას.

ამგვარად, მოხდა რა ჩვენი სრული „განიარაღება“ და იგნორირება, უძლური აღმოვჩნდით, რაიმე სახით მაინც აღვდგომოდით წინ ამ დანაშაულებრივ პრეცენდენტს; დაკრძალვისა და გლოვის განსაკუთრებულ პროცესებს ბუნებრივად შეერწყა ტრადიციული ქართული მენტალობა, რამაც, აგრეთვე რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ იმუშავა. ამ პროცესებიდან, ქალბატონ კატეგორიული განაცხადით, გამოირიცხა და ლამის, კინაღამ, სრულიად გამოირიყა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უფროსი შვილი კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია.

არავისთვის საკამათო არ უნდა იყოს, რომ რუსეთი, რომელსაც დღემდე არ უთქვამს უარი თავის იმპერიალისტურ ზრახვებზე, არც დღეს იქნებოდა მოსურნე, სათანადო ღირსებითა და პატივით გადმოესვენებინათ და დაეკრძალათ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი;

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტის რანგში დაკრძალვა კატეგორიულად არ სურდა, არც მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც თავისი პოლიტიკური დეკლარაციებიდან უაპელაციოდ ამოაგდო დამოუკიდებელი საქართველოს 1990-93 წ.წ. ბრწყინვალე და სახელმწიფოებრივად უმნიშვნელოვანესი პერიოდი.

ასეთი რეალიების ფონზე ძნელი წარმოსადგენია, რაიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური დივიდენდები მოუტანოს სააკაშვილს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გადმოსვენების აქტივმა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი „პატრიოტულ-კეთილშობილური“ აქტი, პოლიტიკურ დივიდენდებზეცაა გათვლილი. თუ მოვლენას დიდი პოლიტიკის რაკურსით შევხედავთ – ზვიად გამსახურდიას საფლავის არსებობა იჩქერიის მიწაზე, შეიხ მანსურსა და ჯოჰარ დუდაევთან ერთად, აცოცხლებდა და უკვდავს ჰყოფდა კავკასიის გაერთიანების უმძლავრეს იდეას, რაც მოსვენებას უკარგავდა რუსეთს. და აი, პუტინის რუსეთმა, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გადასვენების გადაწყვეტილება მიიღო.

მაშინ, როცა დამოუკიდებელი იჩქერიის ეროვნული მთავრობის წარმომადგენლები (ახმედ ზაკაევი და სხვ.) საგულდაგულოდ (კვალის აბნევით) ასაიდუმლოებდნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საფლავის „ახალ“ ადგილს (რაც ნასულდგმულევი იყო კავკასიის ერთიანობის უკვდავი იდეით), რუსეთის მიერ დანიშნული „ჩეჩნეთის პრეზიდენტის“ რაზმან კადიროვის მიერ, ფორსირებულ რეჟიმში აღმოჩენილ იქნა ზვიად გამსახურდიას საფლავი. ნეშტის იდენტიფიკაციის მიზნით, მოსკოვიდან ჩაიყვანეს ბატონი ზვიადის შუათანა ვაჟი ცოტნე გამსახურდია, რომელიც ბოლო ერთი წელია, რაც საცხოვრებლად დაბრუნდა მოსკოვში. ცოტნემ, ოკუპირებული ჩეჩნეთიდან მადლობა გადაუხადა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს საფლავის აღმოჩენისათვის. ცოტნემ, სამადლობელი სიტყვები პრეზიდენტ პუტინის მისამართით, არც ლარსთან დაიშურა და სრული ნდობა გამოუცხადა რუსების მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას; მან კიდევ ერთხელ თქვა უარი ექსპერტიზის საქართველოში ჩატარებაზე საერთაშორისო ექსპერტების თანამონაწილეობით, რამაც ქართველი ერის თვალში კიდევ უფრო გაზარდა კითხვების რაოდენობა.

რეანომობილს, რომელშიც ესვენა პრეზიდენტის ნეშტი, უკვე ლარსიდან პირადად მართავდა გიორგი გამსახურდია, გვერდით კი ეჯდა ცოტნე.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლების მხრიდან არ ცხადდებოდა ზუსტი დრო პრეზიდენტის ნეშტის გადმოსვენების შესახებ, დაქირავებული სამარშრუტო ტაქსებითა და მსუბუქი ავტომანქანებით, ლარსისაკენ მაინც უამრავი ადამიანი დაიძრა. მიუხედავად, მარტის ჭირვეული ამინდის და გამჭოლი სიცივისა, ლარსთან მაინც უამრავმა ქა-

რთველმა მოიყარა თავი. ყაზბეგიდან თბილისის გზებზეც, მოსახლეობა სანთლებით ხელში ღამით მრავალი საათი ელოდა თავის პრეზიდენტს.

მიუხედავად, ხალხის ამგვარი მოწამეობრივი დგომა-ლოდინისა, რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებისაგან დაინსტრუქტაჟებულმა ცოტნე და გიორგიმ, ხალხს არ მისცა საშუალება თვალი მაინც შეევლოთ პრეზიდენტისჩასასვენებელისთვის, არამედ მაქსიმალური სიჩქარით გამოაქროლეს ნეშტი თბილისისაკენ, რითაც სრული უპატივცემულობა გამოხატეს გულწრფელი და პატრიოტი ხალხის მიმართ; მათ ფაქტიურად გამოიტაცეს ნეშტი და ჩასული ხალხის მანქანებსაც კი იმდენად გაუსწრეს, რომ ისინი გზის ვერცერთ მონაკვეთზე დაეწივნენ მათ.

ჩვენთვის დღემდე აუხსნელი დარჩა, თუ რა განსაკუთრებული პატივისცემისათვის გადაუხადა მადლობა ცოტნემ რუსეთის პრეზიდენტსა და მის ხელისუფლებას, როცა ჩვენი პრეზიდენტის ნეშტი არ იქნა გადმოსვენებული თვითმფრინავით და არც-თუ უმოკლესი გზით როსტოვიდან, არამედ – ლარსით და ისიც უბრალო რეანომობილით.

ცოტნეს მადლობებმა რუსეთის ხელისუფლების მიმართ და მისმა პოლიტიკურმა განცხადებამაც, რომ: „ვიმედოვნებ, ამ გადმოსვენების შემდგომ ჩამოყალიბდება ნორმალური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის“, ჩვენში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

როცა გაჩნდა შანსი ამგვარი ისტორიული მნიშვნელობის საკითხი საქართველოს ხელისუფლების ღირსების საქმედ ქცეულიყო, ამის ნაცვლად, გათამაშდა ფარსი სააკაშვილის, მანანა არჩვაძისა და რუსეთის ხელისუფალთა შორის ინტერესების თანხვდენით – არ შემდგარიყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ობიექტური და კვალიფიციური გამოძიება და არცთუ მისი პრეზიდენტის პატივით დაკრძალვა. შესაბამისად, გადმოსვენების მოვლენაც დაკნინებულ-გაუბრალოებულ იქნა, – ნეშტს, ლარსთან, დახვდა არა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი (დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ნოღაიდელი) და არცთუ დედაქალაქის მერი გ. უგულავა, არამედ, ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის (?) უფროსი კობა სუბელიანი.

ჯერ კიდევ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკურ ლიკვიდაციამდე საზოგადოებაში არსებობდა ეჭვი და უნდობლობა პრეზიდენტის გარემოცვისა და მისი მეუღლის მანანა არჩვაძის მიმართ. ამგვარი დამოკიდებულება სულ უფრო გააღრმავა პრემიერ-მინისტრ ბესარიონ გუგუშვილისა და მანანა არჩვაძის უკანასკნელი წლების საჯარო (ელექტრონული და ბეჭდვითი მედიით) გამოსვლებმა.

მანანა არჩვაძის მიმართებები, ერთის მხრივ რუსეთისა და საქართველოს (შევარდნაძის) ხელისუფლების, ხოლო მეორეს მხრივ, რეპრესირე-

ბული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ ერთნაირად შოკის მომგვრელი იყო. შოკის მომგვრელი იყო, აგრეთვე, მანანა არჩვაძის მხრიდან, პრეზიდენტის საიდუმლო ვითარებაში დაღუპვის თანადროულად:

1. პრეზიდენტის ცხედრის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე კატეგორიული უარი.

2. პრეზიდენტის არქივის (მათ შორის, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის) „დაკარგვა-გატაცების“ შესახებ უპასუხისმგებლო განცხადება.

3. ჩეჩნეთიდან, იმპერიალისტური რუსეთის დედაქალაქ, მოსკოვისათვის თავის შეფარება.

4. მოსკოვიდან, მრავალწლიანი ცხოვრების შემდეგ, შევარდნაძის საქართველოში დაბრუნება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მტრად მოვლინება, მისი დაშლა-დანაწევრება და ტერორი.

5. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელისუფლო ბლოკის „მრგვალი მაგიდის“ სრული უზურპაცია, პრეზიდიუმის დაშლა და უზენაესი საბჭოს დეპუტატების დევნა-დისკრედიტაცია.

6. ფარული კავშირები შევარდნაძის ხელისუფლებასთან.

პირველად 2005 წელს გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე და 2007 წელს ტელეკომპანია „იმედით“ ბესარიონ გუგუშვილმა გაამჟღავნა მანანა არჩვაძისა და მას შორის დადებული ე.წ. „შეთანხმება-გარიგების აქტის“ არსებობა. ამ იდუმალებით მოცული აქტის წაკითხვა აღგვიძრავს ფიქრს გუგუშვილ-არჩვაძის შესაძლო შეთქმულების შესახებ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ.

გვერწმუნეთ, ჩვენ ნამდვილად არ გვეადვილება, არამედ უაღრესად გვიმძიმს ამ სტრიქონების დაწერა.

პრეზიდენტ გამსახურდიას ოჯახის კატეგორიული უარი, ცხედრის გაკვეთა-გამოიკვლევა-ექსპერტიზაზე, არაორაზროვნად, გასაგებს ხდის მანანა არჩვაძის საქციელს; მან მტკიცედ დაიცვა გუგუშვილთან „ხელშეკრულებით“ დადებული პირობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბესარიონ გუგუშვილი, რომელიც ფინეთიდან ადევნებდა თვალ-ყურს პრეზიდენტის გადმოსვენების პროცესებს, მას ამავე დოკუმენტის ძალით სასამართლოში უჩივლებდა, რაზეც პირდაპირ და იმპერატიულად მიანიშნებს კიდეც გუგუშვილი: „ეს საერთაშორისო დონეზე მიღებული და დაფიქსირებული ხელშეკრულებაა და ამ ხელშეკრულების დამრღვევი მხარე, თუ სასამართლო არსებობს, ან იარსებებს, უნდა დაისაჯოს.

ზემომოყვანილი „ხელშეკრულების“ დადების ინიციატორი თავად ბესარიონ გუგუშვილი ყოფილა და იგი დაბეჯითებით აცხადებს: „სწორედ ამ ხელშეკრულების არსებობის გამო და მის შესაბამისად, ზვიად გამსახურ-

დიას დაღუპვისა და მითუმეტეს, ფიზიკური ლიკვიდაციის შესახებ ვერავითარი გამოძიება და გამოკვლევა ვერა და არ ჩატარდება! შეუძლებელია!“

ასე დაიგულა ქუდში საკუთარი ცოდვილი თავი ბესარიონ გუგუშვილმა, რომელიც, აგრეთვე ამბობს, რომ „ტყვიაც ბევრი ეძებს, მაგრამ ვერ იპოვეს (გილზა კი იპოვეს)... მე მაინც სუბიექტურად მგონია, რომ ტყვია გარეთ არ გამოსულა და იგი თავის ქალაში ჩარჩა“.

საინტერესოა, რატომ არ აწამებს თუნდაც ეს აზრი ბატონ გუგუშვილს და თუნდაც ტყვიის თავის ქალაში პოვნის მიზნით, რატომ არ მოითხოვს ექსპერიტიზის ჩატარებას?

ჩვენ, დღეს მაინც ღირსეული და სამართლებრივი ხელისუფლება რომ გვყავდეს, გუგუშვილის ამ ვრცელი წერილის საფუძველზეც დაინტერესდებოდა პროკურატურა და მრავალი კითხვები აღეძვრებოდა მის მიმართ.

პრეზიდენტის ქვრივის მანანა არჩვაძის და ბესარიონ გუგუშვილის ყველა საჯარო გამოსვლაში აშკარად კრთება თანამდევი ფარული შიში, რაც მათ აიძულებთ კატეგორიული უარი თქვან ექსპერტიზასა და გამოძიების ჩატარებაზე.

გაზეთ „ასავალ-დასავალში“ ბატონი გუგუშვილი წერს: „ყველა თანმხლების თანდასწრებით ზვიადის წარმოთქმული ასეთი სიტყვებიც კარგად მახსოვს: „არსებობს ისეთი საწამლავებიც, რომლებიც რამდენიმე თვის შემდეგ იწყებს მოქმედებას“. თუ ეს სიტყვები ნამდვილად პრეზიდენტმა თქვა, მაშინ ჩნდება კითხვა, რაზე და ვისზე მიანიშნა მოწამვლის ტკივილებით გაწამებულმა პრეზიდენტმა? რამდენი თვის წინ მოწამლეს იგი და სად? გროზნოში თუ საქართველოში ჩამოსვლისას?

დღეს პრეზიდენტის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ ახლა, 11 წლის შემდეგ ჩატარებული ექსპერტიზა ბევრს ვერაფერს გვეტყვის. იქნებ, ასეც არის და იქნებ ამიტომაც დახანდა ნეშტის გადმოსვენებაც, მაგრამ ჩვენ, ქართველ საზოგადოებას გვაინტერესებს პროფესიონალ საერთაშორისო ექსპერტთა კომპენტენტური აზრი და პასუხი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებით.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მანანა არჩვაძეს, რომელმაც, ფრიად საეჭვო მიზეზებით კატეგორიული უარი თქვა პირველ და უკანასკნელ კომპენტენტურ ექსპერტიზაზეც, ხოლო როსტოვის ექსპერტიზის ოფიციალური დოკუმენტის დედანი გამქრალია!

ლეილა ცომაია

მასალა, მცირედი შემოკლებებითა გადმობეჭდილია

გაზეთიდან „განმათავისუფლელი“, 2007 წლის აპრილი, №13.

პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატები – 1991-1992 წ.წ.

1. აბაკელია ვაჟა ბორისის ძე
2. აბესაძე ბეჟან გოგიტას ძე
3. აბზიანიძე შალვა გიორგის ძე
4. ადამია ვაჟა გიორგის ძე
5. ალექსიძე ლევან ანდრიას ძე
6. ანდღულაძე ლია ნიკოლოზის ასული
7. არაბული ალექსი დავითის ძე
8. არევაძე დავით ბიკენტის ძე
9. ასათიანი აკაკი თორნიკეს ძე
10. ასათიანი ლევან დიმიტრის ძე
11. აფაქიძე ანდრია მელიტონის ძე
12. აფრასიძე ბიმურზა გერმანეს ძე
13. ახვლედიანი ალექსანდრე ზურაბის ძე
14. ახმეტელი ლევანი
15. ბალარჯიშვილი მერაბ დავითის ძე
16. ბარათაშვილი იოსებ ზურაბის ძე
17. ბარათაშვილი პაატა როსტომის ძე
18. ბარამიძე თენგიზ ნესტორის ძე
19. ბერძენიშვილი დავით ვალერიანის ძე
20. ბეჟაშვილი თენგიზ ამირანის ძე
21. ბიბინეიშვილი ბესარიონ ილიას ძე
22. ბობოხიძე აკაკი ივანეს ძე
23. ბოკუჩავა ზვიადი მიხეილის ძე
24. ბურკაძე იური გიორგის ძე
25. ბურჭულაძე ნემო პიერის ძე
26. გაბაშვილი მანანა ვალერიანის ასული
27. გამსახურდია ზვიად კონსტანტინეს ძე
28. გამყრელიძე თამაზ ვალერიანის ძე
29. გასანოვი აკიფ ანვერ ოღლი
30. გაფრინდაშვილი შოთა შოთას ძე

31. გაჩეჩილაძე გივი სერგოს ძე
32. გელანტია ტარიელ ამირანის ძე
33. გვანცელაძე თეიმურაზ იონას ძე
34. გველესიანი თამაზ გურამის ძე
35. გვერდწითელი გურამ ესტატეს ძე
36. გიგოლაშვილი ზურაბ ვახტანგის ძე
37. გიორგობიანი ბიძინა გოდერძის ძე
38. გოგაძე დავით გურამის ძე
39. გოგუაძე ემზარ გიორგის ძე
40. გოლეთიანი გივი აბესალომის ძე
41. გოლეთიანი ჯემალ აკაკის ძე
42. გონაშვილი ბეჟან ბიძინას ძე
43. გოცირიძე რომან რაჟდენის ძე
44. გუგუშვილი თამაზ ვალერიანის ძე
45. გუგუშვილი ეთერ ნიკოლოზის ასული
46. გულბანი გიორგი გელას ძე
47. გულუა ბაკურ დავითის ძე
48. გუმბარიძე გივი გრიგოლის ძე
49. გურგენიძე ვაჟა გივის ძე
50. გუჩუა ზურაბ შალვას ძე
51. გუჯაბიძე გურამ ალექსანდრეს ძე
52. დანგაძე ბიძინა შოთას ძე
53. დევნოზაშვილი ზაქარია შოთას ძე
54. დეკანოსიძე თამარ ივანეს ასული
55. დვალიშვილი დემურ ნოეს ძე
56. დვალიშვილი მალხაზ იოსების ძე
57. დიაკონიძე ფირუზ ვლადიმერის ძე
58. დიასამიძე თამაზ ახმედის ძე
59. დიხამინჯია თენგიზ დავითის ძე
60. დოგუხოვი პავლე ვასილის ძე
61. დომუხოვსკი ვიქტორ პეტრეს ძე
62. ელოშვილი ომარ ილიას ძე

63. ვარძელაშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე
64. ზვიადაძე სალომე ზურაბის ასული
65. თალაკვაძე გივი მოსეს ძე
66. თაქთაქიშვილი გივი ჩიტოს ძე
67. თომაძე მაია პეტრეს ასული
68. თოიძე პაატა ავთანდილის ძე
69. თუშმალიშვილი მედეა მირიანის ასული
70. იმერლიშვილი გივი გრამიტონის ძე
71. იმნაძე ავთანდილ პროკოფის ძე
72. იმნაძე ნოდარ ტარიელის ძე
73. ინასარიძე ხვედრი ნიკოლოზის ძე
74. ინგოროყვა ანტონ ვლადიმერის ძე
75. იონათამიშვილი ჯემალ სულიკოს ძე
76. იოსელიანი რამაზ ოტიას ძე
77. ისაკაძე გრიგოლ (გურამ) ეფრემის ძე
78. კავსაძე ალექსანდრე ირაკლის ძე
79. კალაძე ამირან სერგოს ძე
80. კანდელაკი ზურაბ კონსტანტინეს ძე
81. კანკავა გურამ ისაიას ძე
82. კაპანაძე კონსტანტინე ვახტანგის ძე
83. კასრაძე სოსო ვახტანგის ძე
84. კაცაძე ლია გიორგის ასული
85. კახიანი ზაზა ნიკოლოზის ძე
86. კემულარია რევაზ ამირანის ძე
87. კეშელავა ვარლამ ვარლამის ძე
88. კვანჭილაშვილი მალხაზ ტარიელის ძე
89. კვაჭაძე ნუგზარ აქვსენტის ძე
90. კვეტენაძე ავთანდილ ალექსანდრეს ძე
91. კვიციანი კანდიდ აკაკის ძე
92. კიკნაძე მერაბ შალვას ძე
93. კილასონია ნიკოლოზ არჩილის ძე
94. კიტოვანი თენგიზ კალისტრატეს ძე

95. კობაძე აკაკი ზურაბის ძე
96. კობერიძე გელა ელიზბარის ძე
97. კონცელიძე რესან ხასანის ძე
98. კორძაძე გაიოზ ბენოს ძე
99. კოსტავა ზაურ ჟერლოს ძე
100. კოღუაშვილი პაატა პეტრეს ძე
101. კუბლაშვილი თენგიზ პიმენის ძე
102. კუდბა ანზორ ისმაილის ძე
103. კუპრეიშვილი დავით ბიჭიკოს ძე
104. ლეკიშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე
105. ლობჟანიძე გივი შალვას ძე
106. ლორთქიფანიძე თემურ სერგოს ძე
107. ლორთქიფანიძე როსტომ ვასილის ძე
108. მამალაძე ნუგზარ გრიგოლის ძე
109. მამულაძე ნოშრევან მახმუდის ძე
110. მამფორია თენგიზ სერგოს ძე
111. მარგიანი ავთანდილ ანტონის ძე
112. მარგიანი გრიგოლ ნიკოლოზის ძე
113. მარჯანიშვილი გიორგი გივის ძე
114. მასხარაშვილი ირაკლი სიმონის ძე
115. მაქაცარია გურამ შალვას ძე
116. მაჭავარიანი არჩილ ოთარის ძე
117. მაჭავარიანი მაია ვლადიმერის ასული
118. მაჭავარიანი მუხრან ივანეს ძე
119. მაყაშვილი მიხეილ დიმიტრის ძე
120. მგალობლიშვილი ნუგზარ პეტრეს ძე
121. მდინარაძე თემურ დავითის ძე
122. მელაძე ალიკო (ალბერტი) შალვას ძე
123. მელაშვილი ირაკლი თენგიზის ძე
124. მემარნიშვილი როდენ ბენიამინის ძე
125. მეტრეველი როინ ვიქტორის ძე
126. მეუნარგია ვახტანგ ვალერიანის ძე

127. მინდიაშვილი არჩილ გურამის ძე
128. მირიანაშვილი მირიან შოთას ძე
129. მირცხულავა ვლადიმერ ამბროსის ძე
130. მოლოდინაშვილი ნუგზარ არჩილის ძე
131. მჟავია თემურ ვალერიანის ძე
132. ნადარეიშვილი ზვიად გიორგის ძე
133. ნადარეიშვილი თამაზ ვლადიმერის ძე
134. ნათაძე მაია რევაზის ასული
135. ნათაძე ნოდარ რევაზის ძე
136. ნარმანია იგორ შალვას ძე
137. ნინიძე თევდორე გიორგის ძე
138. ნონიაშვილი ნოდარ გიორგის ძე
139. ობგაძე თამაზ აბესალომის ძე
140. ოდიშარია არჩილ ვარლამის ძე
141. ოჩიაური გიორგი ალექსის ძე
142. პაატაშვილი თედო შალვას ძე
143. პავშენცევი ალექსანდრე იურის ძე
144. პაპუნიძე გურამ რაფიელის ძე
145. პეტრიაშვილი გურამ (სიმონ) მელენტის ძე
146. პეტრიაშვილი რობერტ მელენტის ძე
147. პოპიაშვილი ავთანდილ დიმიტრის ძე
148. ჟორჟოლიანი თამაზ ომარის ძე
149. ჟღენტი ალექსანდრე დავითის ძე
150. რიგვავა სერგო ტარასის ძე
151. რცხილაძე ავთანდილ ფარნაოზის ძე
152. საკანდელიძე ანზორ ალექსანდრეს ძე
153. სალუქვაძე მინდია ევგენის ძე
154. სანებლიძე ნიკოლოზ ჯემის ძე
155. სანიკიძე გუბაზ ლევანის ძე
156. სანიკიძე ზურაბ ტიტეს ძე
157. საყვარელიძე ავთანდილ პეტრეს ძე
158. საყვარელიძე მერაბ ვლადიმერის ძე

159. საჯაია ნუგზარ რაჯდენის ძე
160. საჯაია ჯემალ ბიქტორის ძე
161. სილაგაძე აპოლონ აპოლონის ძე
162. სიჭინავა ანზორ ვალერიანის ძე
163. სუბელიანი გია ანზორის ძე
164. სურმანიძე რამაზ დურსუნის ძე
165. ტაბიძე დავით მარლენის ძე
166. ტალიაშვილი ირინე ილიას ასული
167. ტურაშვილი ივანე (უშანგი) თედოს ძე
168. ტუხაშვილი ლოვარდ ვასილის ძე
169. უგრეხელიძე მინდია გურამის ძე
170. ურიათმყოფელი გივი თემიკოს ძე
171. ურიდია მერაბ ბორისის ძე
172. ფაჩუაშვილი ჯეირან ნიკოლოზის ძე
173. ფიდანიანი მამიკონ გევორქის ძე
174. ფიროსმანიშვილი დალი სარდიონის ასული
175. ფირცხალაიშვილი გია გოდერძის ძე
176. ფრანგიშვილი ივერი ვარლამის ძე
177. ფუტკარაძე ტარიელ ალექსანდრეს ძე
178. ფხალაძე ვიქტორ კალისტრატეს ძე
179. ქავთარაძე გიორგი გიორგის ძე
180. ქაშაკაშვილი გურამ ვენედიქტეს ძე
181. ქიტიაშვილი შოთა ნიკოლოზის ძე
182. ქებურია დიმიტრი გიორგის ძე
183. ქობალია ზაურ დავითის ძე
184. ქობულაშვილი ალექსანდრე (ალიკო) გიორგის ძე
185. ქორიძე თეიმურაზ აკაკის ძე
186. ქუთათელაძე ბესიკ თენგიზის ძე
187. ქუთელია ნათელა სამსონის ასული
188. ღონღაძე რუსლან გიორგის ძე
189. ყაველაშვილი ეთერ გრიგოლის ასული
190. ყრუაშვილი ანრი ილიას ძე

191. ყურაშვილი თამაზ პიმენის ძე
192. შავთვალაძე ნუგზარ მიხეილის ძე
193. შაიშმელაშვილი გიორგი მიხეილის ძე
194. შანიძე მზექალა აკაკის ასელი
195. შარიქაძე ვალერიან აკაკის ძე
196. შიშიაშვილი თეიმურაზ გივის ძე
197. შენგელაია ელდარ ნიკოლოზის ძე
198. შონია ჯემალ ბიქტორის ძე
199. შურღაია ვალტერ გრიგოლის ძე
200. შუშანაშვილი ალექსანდრე ამირანის ძე
201. ჩაფიჩაძე კუკური ასტიონის ძე
202. ჩაჩავა თენგიზ ნიკოლოზის ძე
203. ჩიტლოვი ფოტი სამსინის ძე
204. ჩიქავა გოგი გიორგის ძე
205. ჩიქავა ლეო ლეონტის ძე
206. ჩოლოყაშვილი ბიძინა კონსტანტინეს ძე
207. ჩორგოლაშვილი გელა არტემის ძე
208. ჩხეიძე პაატა ავთნდილის ძე
209. ცაგარეიშვილი ვახტანგ შალვას ძე
210. ცომაია შალვა გოგლას ძე
211. ცოფურაშვილი ვლადიმერ (ლადო) ვასილის ძე
212. ცხომელიძე რომან რეზმანის ძე
213. ძიძიგური აკაკი ვარლამის ძე
214. ძიძიგური ზვიად ვალიკოს ძე
215. ძოძუაშვილი მანანა გრიგოლის ასული
216. ძოწენიძე ზურაბ გიორგის ძე
217. წითლანაძე გიორგი იაკობის ძე
218. წიკლაური მირიან სერგოს ძე
219. წიკლაური შალვა გაბრიელის ძე
220. წინწილაშვილი შალვა ავთნდილის ძე
221. წიქარიძე ზურაბ ნიკოლოზის ძე
222. წულეისკირი ნოდარ ალექსანდრეს ძე

223. ჭითავა ვახტანგ ამირანის ძე
224. ჭითანავა ნოდარ ამბროსის ძე
225. ჭილაშვილი ლევან ალექსანდრეს ძე
226. ხაბულიანი დილარი მიხეილის ძე
227. ხავთასი გია გრიგოლის ძე
228. ხანიშვილი ტრისტან სილომონის ძე
229. ხარატიშვილი გურამ ლევანის ძე
230. ხარაძე ევგენი კირილეს ძე
231. ხახვა თენგიზ სულეიმანის ძე
232. ხაჭაპურიძე ნიკოლოზ არჩილის ძე
233. ხონელიძე გიორგი იოსების ძე
234. ხოშტარია გიორგი მეთოდეს ძე
235. ხუციშვილი მალხაზ ვახტანგის ძე
236. ჯავახია ბეჟან აპოლონის ძე
237. ჯავახისვილი ნინო ალექსანდრეს ასული
238. ჯანბერიძე ნოდარ შალვას ძე
239. ჯანელიძე თეიმურაზ არჩილის ძე
240. ჯანელიძე ედუარდ არჩილის ძე
241. ჯანელიძე თამაზ ბესარიონის ძე
242. ჯანჯულია ედიშერ კალისტრატეს ძე
243. ჯაფარიძე ბადრი გივის ძე
244. ჯაფარიძე ბუხულა მერაბის ძე
245. ჯაში ვიტალი ნიკოლოზის ძე
246. ჯიქია ბონდო სერაპიონის ძე
247. ჯოლოგუა ვლადიმერ ეროდიონის ძე
248. ჯორჯიაშვილი მიხეილ სიმონის ძე

წყარო: *http://www.parliament.ge*

საშობაო ეპისტოლე

საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა ერთგულ, ღვთივკურთხეულ შვილს:

ქრისტესმიერ საყვარელნო ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, დანო და ძმანო, ღვთისმშობლის საფარველით დაცული ღვთივკურთხეული ივერიის მკვიდრნო, უცხოეთში მცხოვრებო თანამემამულენო. მოგვეახლა ბრწყინვალე დღესასწაული ქრისტეს შობისა, მაგრამ ამ დიდებულ ზეიმს საქართველო სევდიანი ხვდება.

ძმათა სისხლისღვრით გამოწვეული ტკივილი ბოლომდე გაცნობიერებული არც არის. ტრაგედია მოხდა, მაგრამ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელ სწორ გზას ვერ ვიპოვით, თუ მოვლენებს მიუკერძოებლად არ გავაანალიზებთ და ყველასთვის სამწუხარო შედეგის მიზეზებს არ აღმოვფხვრით.

საქართველოს ისტორიაში მოხდა მეტად სავალალო ფაქტი: ერი დაიყო. ქალაქებსა და სოფლებში, სამსახურებში მოსახლეობა დაუპირისპირდა ერთმანეთს: დაუპირისპირდნენ თაობები, ოჯახის წევრები...

შექმნილმა მდგომარეობამ იმდენად იმოქმედა ხალხის ფსიქიკაზე, რომ მასა ეგზალტირებული და არაწმიდა ძალის მიერ ადვილად სამართავი გახდა.

ადამიანები გაბოროტდნენ, გახშირდა ცილისწამება, მკვლელობა, კიდევ უფრო დაეცა ზნეობა, დადგა ჟამი განუკითხაობისა.

მოსახლეობის ნაწილის გაღიზიანება გამოვლინდა ეკლესიის მიმართაც. იმის ნაცვლად, რომ ეკლესია თვითონ დაეცვათ პოლიტიკისაგან და ამ მძიმე ჟამს ერის ერთობის, მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის აღევლინათ გულმხურვალე ლოცვა ღვთისადმი, მას დაპირისპირებულ მხარეთა შორის არჩევანის გაკეთება მოსთხოვეს.

განა შეიძლება, ეკლესია დადგეს პოლიტიკის გამო ორად გახლეჩილი ერის რომელიმე მხარეს და თავისი მხარდაჭერით მისცეს მორალური უფლება ერის ერთ ნაწილს მეორის გასანადგურებლად?

ჩვენს წინ რომ უცხო მტერი ყოფილიყო, პირველნი შევეგებებოდით მას, მაგრამ ჩვენს საწმყსოში, ჩვენს შვილებს შორის არჩევანის გაკეთების უფლება არ გვქონდა.

განა ზნეობრივია, დედამ განასხვავოს შვილები ერთმანეთისგან, თუ ყველა ღონე უნდა იხმაროს ძმათა შორის შუღლის დასაცხრობად?

ეკლესიამაც, ვიდრე იყო ამის შესაძლებლობა, არაერთხელ სცადა დაპირისპირებულ მხარეთა შერიგება და მათ შორის არსებული პრობლემების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტა.

მიუხედავად იმისა, რომ საპატრიარქოში გამართულმა ადრინდელმა შეხვედრებმა ნაყოფი არ გამოიღო, ეკლესია მზად იყო და გამოთქვა სურვილი, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, 21 დეკემბერს კვლავ მოლაპარაკებისთვის ეხმო ორივე მხარის წარმომადგენლებისთვის, მაგრამ ეს წინადადება არ იქნა მიღებული... და ჩვენ დაგვრჩა ერთადერთი საშუალება მოქმედებისა – ლოცვა; რაც დიდი სასოებით აღევლინებოდა ჩვენს ტაძრებში.

ლოცვას რომ უდიდესი ძალა აქვს, იცის ყველა ჭეშმარიტმა მორწმუნემ; რწმენით აღვლენილი სავედრებელი ყოვლისშემძლეა. თვით უფალი ბრძანებს: **„უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ და არა შეორგულდეთ... ჰრქუათ თუ მთასა ამას: აღიფხუერ ამიერ და შთავარდი ზღუასა! – იყოს ეგრე. და ყოველსა რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქუენ“** (მათე 21,21).

ამ განსაცდელის ჟამს ჩვენმა ხალხმა სწორედ ლოცვა დაივიწყა, აუმღვრეველი გულით ლოცვა. დაივიწყა, რომ ღვთის ხელშია ყოველი, რომ **„არა ცხონდების მეფე მრავლითა ძალითა თუისითა და გმირი არა განერეს სიმრავლითა ძალისა მისისათა“** (ფსალმუნი 32,16) და რომ მხოლოდ **„უფალი არს ძალ ერისა თვისისა“**. **„მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისუენო თქვენ“** – ბრძანებს მაცხოვარი.

ახლახანს მომხდარი მოვლენები მიგვანიშნებენ, რომ იწყება ჩვენი განწმენდა მწუხარებისა და ტანჯვის გზით. მაგრამ ეს პროცესი ხალხში ჯერ კიდევ გაუცნობიერებლად მიმდინარეობს. საჭიროა მეტი სულიერება, მეტი გულისხმისყოფა.

ადამიანები იბადებიან, კვდებიან, მათი სიცოცხლე ქრება ჩვენს თვალწინ... ჩვენი შინაგანი სამყარო კი უგრძნო რჩება, თითქოს ეს ყველაფერი სხვაგან ხდებოდეს. არასწორად ვფიქრობთ წუთისოფელზე, მარადიულ ცხოვრებაზე; გვავიწყდება, რომ გარდაცვალება არ ნიშნავს სულის სიკვდილს, არამედ – მის მეორედ დაბადებას, სულის განთავისუფლებას გვამის სიმძიმისაგან. და ვიდრე ჩამოკრავს საბედისწერო წუთი გარდაცვალებისა, უნდა ვიზრუნოთ განწმენდაზე, შინაგან ფერისცვალებაზე.

მძიმეა ჩვენი ცხოვრება. უღმრთოების მრავალწლიანმა უღელმა უკიდურესად გამოფიტა ერის სასიცოცხლო ძალები. ხალხის ზნეობრივი დაუძლურების მიზეზი ღვთის მადლისა და ეკლესიური ცხოვრებისაგან დაცილებაა, ანუ მოშორება იმ საყრდენისა, რომლის დახმარებითაც სწორად უნდა გვეცხოვრა. სამოცდაათწლიანმა ბატონობამ თავისი დაღი დაასვა ჩვენს სულს; მაგრამ მართალნი არ ვიქნებით, თუ პასუხისმგე-

ბლობას მოვიხსნით და ქრისტიანობისაგან ჩვენს განდგომას მხოლოდ ძალმომრეობით ავხსნით.

რატომ იყო, რომ წარსულში, არანაკლები შეჭირვების ჟამს, სარწმუნოების შეცვლა იშვიათობას წარმოადგენდა, ახლა კი მოწამებრივი ღვაწლის მტვირთველნი ერთეულებიღა დარჩნენ.

რა არის მიზეზი ამისა? – ისევ და ისევ ეკლესიისაგან განდგომა. ეს სენი საერთო საკაცობრიოა. მეოცე საუკუნეში მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფმა აღმავლობამ ადამიანი აღავსო ამპარტავნებით და გაუჩინა ცრუ ილუზია იმისა, რომ იგი საკუთარი გონებითა და ძალით შეძლებდა ნამდვილად ბედნიერი ცხოვრების მოწყობას. ღვთისა და ეკლესიის მორჩილება „უმწიფარი“ კაცობრიობის ისტორიულ ეტაპად იქნა განხილული, მაგრამ მოჩვენებითი „სრულწლოვანება“ საბედისწერო აღმოჩნდა. საკუთარ თავს მინდობილი კაციბრიობა მოსწყდა ღმერთს და ბოროტის ბადეში გაეხვია. უტყუარი ნიშანი ამისა თანამედროვე ადამიანის ზნეობრივი დაცემა და გადაგვარებაა.

დღეს ბევრს ჰგონია, რომ იგი მორწმუნე ქრისტიანია, მაგრამ სცდება. პიროვნებისათვის დამახასიათებელ რელიგიურ გრძნობას ისინი ხშირად რწმენად მიიჩნევენ. სინამდვილეში კი, რელიგიური გრძნობა არის მხოლოდ ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ღვთის შემეცნებისა. ნამდვილი რწმენა კი შედეგია ამა თუ იმ პიროვნებაში ღვთის განცხადებისა და მისი სრულყოფა სარწმუნოებრივი ცხოვრებით ხდება.

ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე ცალკეულ ადამიანს თუ ერს თვით ღმერთმა დაუდგინა მეგზურად და მასწავლებლად ეკლესია, – „სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“, უძლურება ბოროტისა, რამეთუ იგია შეურყვნელი დამცველი ღვთის სიბრძნისა. უფალი ბრძანებს: **„კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“** (მათე 15,9).

სამწუხაროდ, არაეკლესიური სულისკვეთების სენი ჯერ კიდევ ძალიან ღრმად ყოფილა ჩვენში ფესვგამდგარი.

უპირველეს ყოვლისა, ეს უნდა გააცნობიეროს ინტელიგენციამ, რადგან იგია ერის მოაზროვნე და წარმმართველი ძალა. ინტელიგენცია ჭეშმარიტების შეცნობაში უნდა დაეხმაროს ხალხს, მაგრამ როგორ შეძლებს იგი ამას, თუ თავად იქნება მოწყვეტილი ღვთაებრივი სიბრძნის წყაროს – ეკლესიას? ეკლესიის გარეშე იგი მხოლოდ კაცობრივი გონების ნაყოფს გამოიღებს და ამით გაუცნობიერებლად ზიანს მოუტანს ხალხს. მათ მსგავსთა მიმართ ბრძანებს უფალი: **„ამაოდ მმსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურებასა და მცნებასა კაცთასა“** (მათე 15,9).

ინტელიგენცია უნდა იქცეს მრევლის იმ რჩეულ ნაწილად, რომელიც, ვითარცა ანთებული სანთელი, წყვდიადში მყოფ ერს ღვთისაკენ მიმავალ გზას გაუნათებს.

ხალხი სულიერად დასაპურებელია და პურის მიმწოდებელი ხელი არ გვყოფნის. **„სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი – მცირედ“**. შევსთხოვთ უფალს, რათა **„გამოავლინნეს მოქმედნი სამკალსა თჳსსა“** (მათე 9,37-38).

მთავარი მიზეზი ეკლესიისგან ხალხის მოწყვეტისა მაინც ამპარტავნება იყო. დღესაც ეს ცოდვა გვღუპავს. ამპარტავნების გამო ვისჯებით. უფალი გვწვრთნის, რათა დამდაბლებულნი ღვთისსათნო გზაზე დავდგეთ და მოვიპოვოთ მადლი წინაშე მისსა.

სიმდაბლის საოცარი მაგალითი თვით იესო ქრისტემ მოგვცა. უფალი, რომელსაც ელოდა მთელი კაცობრიობა და რომლის შესახებაც წერდნენ წინასწარმეტყველნი, ყოვლად შეუმჩნეველი საოცარი სიმდაბლით მოევლინა ამ ქვეყანას.

„იმ დროის გავლენიანი საზოგადოება ფუფუნებითა და სიმდიდრით იყო გალაღებული. ქრისტეს შობისთვის კი მრავალრიცხოვან სასახლეებსა და შენობათა შორის ერთი უბრალო ღარიბული სახლიც კი არ მოიძებნა, იგი დაიბადა ბეთლემის გამოქვაბულში, იქ, სადაც მწყემსები უამინდობისას საქონელს აფარებდნენ.

ამ დიდი საიდუმლოს აღსრულებისათვის ეს გამოქვაბული და ბაგა უფრო სასურველი და წმინდა აღმოჩნდა, ვიდრე მსოფლიოს ყველა სასახლე და სამეფო პალატი.

საოცარია, პირველმხილველნიც განხორციელებული მაცხოვრისა იყვნენ უბრალო მწყემსები და არა განმგებელნი ქვეყნისა ანდა სხვა მაღალი თანამდებობის პირნი; მწყემსები, რომელთა ყველაზე დიდი სიმდიდრე მათი სუფთა, წრფელი გული იყო.

იესო ქრისტეს განმაცვიფრებელ თავმდაბლობაშია სწორედ მისი ღვთაებრივი სიდიადე.

მშვენივრად სწერს წმინდა იოანე დამასკელი: „კურთხევითა ღვთისა და მამისა მხოლოდშობილმა ძემ – სიტყვამ ღვთისა და თავად ღმერთმა... ერთარსმა მამისა და სულისა წმიდისა, მარადიულმან და დაუსაბამომან მოდრიკნა ცანი და გარდამოხდა; მიუწვდომელი სიდიადი თვისი მიუწვდომლად დაამდაბლა და მიეახლა თავის მონებს გამოუთქმელი და გასაოცარი მოწყალებით. სრული ღმერთი იქმნა სრულ კაცად, რათა ეწამლა ჩვენი ურჩობის ცოდვისათვის და ქცეულიყო მაგალითად მორჩილებისა, მორჩილებისა, რომლის გარეშეც შეუძლებელია გადარჩენა“.

ქრისტეს შობა არის ადამიანის ხელახალი დაბადება არა ყოვლისშემძლეობით, არამედ მსხვერპლშეწირული სიყვარულით (სერგი ბულგაკოვი).

შობა ქრისტესი არის საიდუმლო ღვთის განხორციელებისა. ძე ღვთისა მოგვევლინა ძედ კაცისა, რათა დაცემულნი ცამდე ავემაღლებინეთ. ყოვლის შემოქმედმა თავი დაუმორჩილა სჯულის კანონის ყველა მოთხოვნას, გამოგვისყიდა კანონით გასამართლებულნი, მოგვიხსნა ბეჭედი განდევნილისა და გვქმნა შვილად ღვთისა.

მან არასწორი განვითარება კაცობრიობისა შეცვალა ახლით. სამყაროს მიზიდულობის ცენტრი, ცოდვის შედეგად ღმერთს მოწყვეტილი, თავის ძველ ადგილს დაუბრუნდა და მოდგმა ყოველი და ჟამი ყოველი მოიცვა, რათა მსოფლიოსათვის მოეტანა ნამდვილი თავისუფლება და ჭეშმარიტი სიყვარული და ეჩვენებინა გზა განღმრთობისა.

დღეს უფალი თვითეულ ჩვენგანს მიმართავს წმინდა ესაია წინასწარმეტყველის სიტყვებით: **„განიბანეთ, განიწმინდეთ, ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა. სიკეთის ქმნა ისწავლეთ, ეძიეთ სამართალი, შეეწიეთ ჩაგრულს, განიკითხეთ ობოლი, ქვრივს გამოესარჩლეთ. მერე მოდით და ცილობა ვყოთ, ამბობს უფალი: მეწამულიც რომ იყოს თქვენი ცოდვები, თოვლივით განსპეტაკდება, ჭიაფერივით წითელიც რომ იყოს, მატყლის ფთილასავით გახდება. თუ მორჩილნი იქნებით და გამგონენი, მიწის დოვლათს შეჭამთ; თუ განდგებით და გაურჩდებით, მახვილი შეგჭამთ!“** (ესაია 1,16-20).

ძმანო და დანო ჩემნო, შევსთხოვოთ ახლადშობილ უფალს, იესო ქრისტეს, მოამზადოს ჩვენი გულები სულიერი ფერისცვალებისათვის, მოგვცეს მადლი სიმდაბლისა და მორჩილებისა, ცოდვათა მიტევებისა, მადლი სიყვარულისა და მშვიდობისა, სული ერთობისა, რათა ვიყოთ ღვთის ნების აღმსრულებელნი, ძედ მისად ვიწოდოთ და ურცხვენელად ვთქვათ **„მამაო ჩვენო... იყავნ ნება შენი...“**

კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს და დამდეგ ახალ წელს.

გიხაროდეთ, უფალი ჩვენთან არს.

ქრისტეს შობა,
თბილისი.
1992 წელი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
„ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ტომი I, თბილისი, 1997 წ.

პუტჩისტების გამონათქვამები

სანამ უშუალოდ გავიხსენებთ 1991-92-93 წწ. ამბებს თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები ჩვენს ქვეყანაში და ვინ იყვნენ მთავარი იდეოლოგ-დამგეგმავები და აღმსრულებლები ამ უბინძურესი აქტისა, მანამდე ამ ვაიქართველთა ფრაზებით „დავტკბეთ“:

გაზეთი „იბერია-სპექტრი“ (21-27 მაისი 1992 წელი): „გაფრთხილება: ყველა უკანონო მიტინგი იქნება დარბეული, ვინც წინააღმდეგობას გაგვიწევს ტყვიას ვესვრით“, **ჯაბა იოსელიანი.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (1, 1992 წლის იანვარი), საუბრობენ **კიტოვანი და იოსელიანი:** „-სიკვდილი თქვენ, ხელისუფლება – ჩვენ!“

გაზეთი „აღდგომა“ (2 1992 წლის 3.10), **ჯაბა იოსელიანი:** „მეგრელები უნდა ამოწყვიტო და ამ მიწაზე სხვები დაასახლო“. იოსელიანი ინტერვიუს აძლევს არკადი დუბინოვს - 1992 წ. (სიტყვა შეასრულა–ააოხრა კიდეც... ახლა, „მოვალეობამოხდილი, მშვიდად განისვენებს დიდუბის პანთეონში)

გაზეთი „დრო“(45, 1997 წ.), **მამუკა გიორგაძე:** „ვინ თქვა, რომ ედპ-ს წევრები დეკემბერ-იანვარში არ ომობდნენ?“

„ჩვენ ვართ მე-20 საუკუნის ქართველი მაძინისტები, ვიცით, რომ ვივლით მხოლოდ პოლიტიკური გზით და შეცდომას ვერ დავუშვებთ, იმიტომ რომ მართალნი ვართ ღვთისა და ერის წინაშე. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ თამაშობს ხალხის გრძნობებზე. ჩვენ ბრბოს ვაქცევთ ხალხად...“ (**გ. ჭანტურია**, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 18.X.89წ.)

1992წ. 20-26 აგვისტო, გაზეთი „იბერია-სპექტრი“:

ნოდარ ლომოური: „დღეს საკითხი ასე უნდა დაისვას: „ბანდიტები საბოლოოდ უნდა განადგურდნენ.“

ლუიზა შაკიაშვილი: „მოგიწოდებთ ყველას გვერდში ამოგვიდგეთ... დრო აღარ ითმენს, სატანას ცეცხლითა და მახვილით უნდა გავუსწორდეთ.“

ელდარ შენგელაია: „ბანდიტები უნდა მოშორდნენ საქართველოს, როგორც შავი ჭირი“.

მზექალა შანიძე: „ისინი უნდა მოისპონ, როგორც კუთხეში მომწყვდეული ვირთხები“.

ირინა სარიშვილი: „დღეს ის ვითარებაა, როდესაც ყველა აღშფოთებულია და მომხრეა, რომ ეს ბანდიტური ჯგუფები საბოლოოდ აილაგმოს“.

„დემოკრატები“ ბანდიტურ ჯგუფებში გულისხმობენ მოსახლეობის 87% კანონიერი ეროვნული ხელისუფლების ამომრჩევლებს!

ირინა სარიშვილს გამართლებულად მიაჩნია მიტინგების დარბევა, ვინაიდან ის დესტაბილიზაციის მთავარი წყაროა, მისი თქმით „ვინც დასარბევია, უნდა დაირბეს“. (გაზ. „7 დღე“ 16-22 აპრილი, 1993წ. 14)

ელდარ შენგელაია: „თქვენ ახალგაზრდები ხართ და თქვენ ვიღაც ძალიან ცუდ გზაზე გკრავთ ხელს, გამოდითო... სადაც ზვიადი გავუშვით, იქ გაგიშვებთ თქვენც.. გამოდით ქუჩაში... გამოვალთ ქუჩაში – რომ ყვირიხართ, გამოდით ქუჩაში.. გვაშინებთ?.“ (გაზეთი „სტუდენტური პაემანი“ 9(14) 05.12.1996).

ირაკლი წერეთელი: „ზვიად გამსახურდიას განთავისუფლებული საქართველო ჩვენ არ გვინდა.“ (გაზ. „თვალთაი“, 22-28 ნოემბერი, 1996 წ.).

აი, კიდევ რას აცხადებს **გიორგი ჭანტურია** (გაზ.“ქართული ქრონიკა“,VIII.90): „ჩვენ დუმილი არ ძალგვიძს მხოლოდ იმის გამო, რომ ვხედავთ: შევარდნაძე-გამსახურდიას ალიანსმა საქართველო შესაძლოა დაღუპვამდე მიიყვანოს... რაც შემეხება მე, ღმერთია მოწამე და ჩემი მეგობრები, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ საერთოდ ვაპირებ აქტიური პოლიტიკისათვის თავის დანებებას.“

დღეს უკვე ყველამ იცის, ვინც იყო და არის ალიანსში შევარდნაძესთან.

ახლა, რას ბრძანებდა **ჯანსუღ ჩარკვიანი**: „სწორედ აქ მინდა ვთქვა: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ხაზი ემთხვევა გარდაქმნის დევიზს, ნათქვამია: „მეტი სოციალიზმი, მეტი საჯაროობა, მეტი სინათლე, სწორედ ამ სინათლით ცდილობს რესპუბლიკა თავისი სიტყვის თქმას ერთა დიდ საძმოში.“ (ჯ. ჩარკვიანი, „კომუნისტი“, 23.988).

რა სიტყვაც თქვეს „კომუსნიტებმა“, ყველას კარგად მოეხსენება.

ისევ ჩარკვიანი: „მე მაქვს იმის უფლება, რომ არ მომწონდეს ზვიად გამსახურდიას საქართველო.“ (ჯ.ჩარკვიანი, „განათლება“, 25.IX.91 წ.)

მას ერთა დიდ საძმოში უნდოდა დარჩენა!

ირაკლი შენგელაია: „ამ ეტაპზე, მიუხედავად პროგრამული განსხვავებისა, აზრთა პლურალიზმისა და პოზიციის, მოხდა გარკვეული შეთანხმება ოპოზიციურ პარტიებს შორის. ჩვენი მთავარი მიზანია პრეზიდენტის გადადგომა.“ („განათლება“, 18.IX/90).

მათ სურდათ მოესპოთ საქართველოს 1991 წლის 9 აპრილს აღდგენილი დამოუკიდებლობა.

ელდარ შენგელაია: „ჩემი აზრით, ოპოზიციას უნდა ეყოს გონიერება, რომ დღევანდელი მდგომარეობა შევინარჩუნოთ. გარკვეული დაპირისპირების არსებობა აუცილებელია...“ („დრონი“, 4.X.91).

ირაკლი წერეთელი: „პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა

უნდა მიიღონ მტკიცე გადაწყვეტილება, გვარდიელებსა და ნებისმიერ შეიარაღებულ ძალას უნდა მოუწოდონ, რომ გამსახურდია იარაღის ძალით იქნეს გადაყენებული... მე და ჩემს პარტიას მიღებული გვაქვს ასეთი გადაწყვეტილება – ან ჩვენ ვიქნებით საქართველოში ან გამსახურდია იქნება, ან ჩვენ დავიხოცებით, ან ის, რადაც უნდა დაჯდეს ეს... ჩემი აზრით, ეს არის აუცილებელი, რომ გამსახურდია იქნეს ჩამოგდებული. ამაზე ორი აზრი არ არსებობს! („სოფლის ცხოვრება", 25.IX.91).

„პრეზიდენტის მმართველობის დღეები დათვლილია." (**ირ.სარიშვილი**, დრონი, 27.X.91).

რ. მიშველაძე: „ბ-ნი ედუარდი მართალი იყო იმაში, რომ რამდენიმე ინტელიგენტმა მართლაც აიღო ხელში იარაღი." (გაზ.,"დრო",40,1997).

თამაზ კვაჭანტირაძე: „საარჩევნო კამპანიის დროს განვაცხადე: მე არ ვიბრძვი პრეზიდენტობისათვის, მე ვებრძვი პრეზიდენტობას." („ახალგაზრდა ივერიელი", 28.IX.91).

ვალერიან ადვაძე: „მე და ჩემმა კოლეგებმა საპრეზიდენტო არჩევნების წინ დიდხანს ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, რომ საჭირო იყო სხვა კანდიდატი და მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდით, ვერ გავიდოდით... მაინც უნდა დავპირისპირებოდით, არა მარტო მე, არამედ რაც შეიძლება მეტი კანდიდატი მაინც, რათა რაც შეიძლება მეტი პროცენტი წაგვერთმია მისთვის..." („ახალგაზრდა ივერიელი", 28.IX.91).

თენგიზ სიგუა: „თქვენ ეჭვი გამოთქვით, რომ გამსახურდია ალიანსში იყო „გკჩპ" პუტჩისტებთან? – მე ამას არ ვამტკიცებ, მტკიცებას საბუთი უნდა. ამიტომაცაა, რომ ჩვენ დღემდე ოფიციალურად არ დაგვიწერია ეს ვერსია. ველოდებით იანაევის ოქმის გამოქვეყნებას." („დედამიწა", 26.IX.91)

რუსი დისიდენტების გამონათქვამები გამსახურდიაზე

ეს იმ მატრაბაზთა, გონდაბინდულთა და სულგაყიდულთა საყურადღებოდ, ვინც მასხრად იგდებს ჩვენს ეროვნულ გმირებს, ვინც შეურაცხჰყოფს მათ სახელებს, ვისთვისაც სამშობლო და მისთვის ზვარაკად შეწირული შვილები საქილიკო და სალაზღანდარო გამხდარა, ვინც დღემდე ანთხევს ბოღმასა და გესლს!

გეშინოდეთ უფლისა და მომავალი თაობისა!

ყური დაუგდეთ ქვებუდანნო დისიდენტი ქალბატონის ამ გულიდან ამოსულ ტკივილს:

“ მისი განსაკუთრებული მისიის შეცნობა მხოლოდ მას შესწევს, ვისაც აქვს უნარი წმიდა ჯვრის ენით უთქმელი საიდუმლოს შეცნობისა...

ჩემთვის საქართველო როგორც ქვეყანა, არ იარსებებს მანამდე, სანამ იქ კანონიერება არ აღსდგება“. ***ადელა ნადეინოვიჩი***

„მიმაჩნია, რომ როგორც ეროვნულ მოღვაწეს, ზვიად გამსახურდიას დიდი დამსახურება მიუძღვის თავისი ქვეყნის წინაშე. ის იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი და თავდაუზოგავად იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. მე მასთან ხშირად მქონია კამათი, მაგრამ უდავოა, რომ ზვიად გამსახურდია იყო დიდი საზოგადო მოღვაწე. ხოლო როგორც პოლიტიკოსი, იგი შევარდნაძეზე ნაკლები ნამდვილად არ არის, მისი პოლიტიკა გაცილებით უფრო ზნეობრივი იყო როგორც მცირე ერების, ისე ზოგადად ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ასე ვაფასებ მე ზვიად გამსახურდიას.

გამსახურდია ისტორიული პიროვნებაა და სამუდამოდ დარჩება ისტორიაში“.

იური ორლოვი

ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციის საპატიო თავმჯდომარე, აშშ.

„რუსსკაია მისლ“. პარიზი

1978 წელს საბჭთა დისიდენტური მოძრაობის მეორე თვალსაჩინო მოღვაწე პეტრე გრიგორენკო ხაზგასმით მიუთითებდა: „მჯერა დადგება დრო, როდესაც ქართველი ხალხი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თავის უდიდეს ეროვნულ გმირებად შერაცხავს“. (ემიგრანტული ჟურნალი „თავისუფალი ტრიბუნა“. 21 1978).

„ვითარებათა გამო 70-80 წლებში მე „ვკურირებდი“ საქართველოს. ჩვენგან გადიოდა საქართველოში ე. შევარდნეძის მდივნობის ჟამს უკანონობისა და რეპრესიების შესახებ ინფორმაციის დიდი ნაწილი...

ინფორმაციის გაფორმებასა და საერთაშორისო სამართალდამცავ ორგანიზაციებში მის გადაცემას მე და ჩემი მოსკოველი კოლეგები მუდამ ზვიად გამსახურდიას დახმარებით ვახერხებდით... ზვიადი იყო ერთად ერთი ძაფი, რომელიც გამოფხიზლების გზაზე მდგარ საქართველოსთან გვაკავშირებდა...

იგი მუდამ ებრძოდა ე. შევარდნაძესა და მის ხელისუფლებას ეკლესიის სიწმინდეების დასაცავად, საქართველოს სუვერენიტეტისა და თავისუფლებისათვის...

დილის ლოცვისას მუდამ შვესთხოვ ღვთისმშობელს, რათა სულიერი სიმხნევა არ მოაკლოს ბოროტ ძალთა მიერ თავით ფეხებამდე ცილნაწამებ ჩემ ტანჯულ მეგობარს, მონას ღვთისას ზვიადს, რომელსაც 28 წელია ვიცნობ.

მისი განსაკუთრებული მისიის შეცნობა მხოლოდ მას შესწევს, ვისაც აქვს უნარი წმიდა ჯვრის ენით უთქმელი საიდუმლოს შეცნობისა...

ჩემთვის საქართველო, როგორც ქვეყანა, არ იარსებებს, სანამ იქ კანონიერება არ აღსდგება“.

ადელა ნადეინოვიჩი

გულაგის ყოფილი პატიმარი, რუსეთის ადამიანის უფლებათა დამცავი მოძრაობის თავლსაჩინო წარმომადგენელი, მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის წევრი.

„ზვიად გამსახურდია არის ტრაგიკული პიროვნება, იგი საქართველოში მოვიდა მისი ისტორიის, ალბათ ყველაზე ტრაგიკულ მომენტში და მოვიდა ოქროს საუკუნიდან, სადაც მას თეოლოგსა და მოაზროვნეს შესაფერისი ადგილი ეჭირა თამარ მეფის ბრწყინვალე სასახლის ფილოსოფიურ დისპუტებზე. მაგრამ იგი დაიბადა სისხლიან XX საუკუნეში, როცა შინაგანად აფეთქებული დროთა კავშირი დაირღვა.

ქართველი ჰამლეტი მოწოდებული იყო აღედგინა იგი, მაგრამ ეს მისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა, როგორც მისი წინამორბედი დანიის პრინცისათვის.

ხალხის რჩეული, საქართველოს რჩეული მზად იყო ემსახურა მისთვის, როგორც რაინდს, მაგრამ იგი არასოდეს ყოფილა პოლიტიკოსი

თანამედროვე გაგებით და პოლიტიკა მას ესმოდა, როგორც დისპუტი ჭეშმარიტების დასადგენად. მისი მოწინააღმდეგები იყვნენ პროფესიონალი ჯალათები.

მისი პრეზიდენტობის გზა ცნობილია – ეს არის გოლგოთისაკენ აღმავალი გზა!

პრეზიდენტი დისიდენტი, როგორც მას ხშირად უწოდებენ, იქცა პრეზიდენტ – მოწამედ!

საერთოდ, მასში იყო რაღაც ქრისტიანი მოწამისა და სხვა დროს რომ ეცხოვრა გახდებოდა კიდეც რწმენის მოღვაწე.“

Телевная Н. М.

Почва и судьбы «Свободная газета» (Москва, 1999)

საინტერესოა კავკასიის თავისუფლებისათვის მებრძოლი რაინდის, გმირი ინგუში ხალხის შვილის, ცნობილი დისიდენტისა და უფლებეთა დამცველის ბატონ ისა ქაძოევის მოსმენა:

„ზვიად გამსახურდიას სიკვდილით მთავრდება დისიდენტური სუფთა, რომანტიკული ეტაპი კავკასიის ჩაგრულ ხალხთა თავისუფლების მოძრაობისა.

ზვიადი მარადისობაში გადავიდა, თანამემამულეებს დაუტოვა რა თავისი მოძღვრება - ზვიადიზმი - საქართველოს სრული უფლებების აღდგენისათვის. ქედმოუხრელი ბრძოლის მოძღვრება, მოძღვრება აგებული ოთხ დედაბოძზე:

1. **ქართველი ხალხის დაბრუნება ღმერთთან;**
2. **დაბრუნება წინაპართა ტრადიციებზე;**
3. **პოლიტიკურად და ეკონომიურად ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა;**
4. **კავკასიელ ხალხთა ძმობა, საერთო კავკასიური სახლის შექმნა კავკასიის ყველა ხალხისათვის.**

აი, ის დოქტრინა, რომელიც გაუნათებს გზას მომავალ პატრიოტებს საქართველოს თავისუფლებისათვის, სრულიად კავკასიის თავისუფლებისათვის.

ღმერთი იყოს მათი შემწე! დაე, მათი ხვედრი იყოს წარმატებული და საბედნიერო, ვიდრე ჩვენია!

არა! ზვიად გამსახურდიას იდეაზე ჯვარის დასმა არ გამოუვათ! ზვიადი დაიღუპა ფიზიკურად, იდეა ზვიადისა კი იცოცხლებს!“

„იგი კეთილშობილია, ალალი, წმინდა და განასახიერებს სიბრძნეს, მწერლის ნიჭს და სიმტკიცეს ბავშვურად გულუბრყვილო მარტვილისა,

იგი მთელი სიცოცხლე ებრძოდა კომუნიზმსა და მისგან ათავისუფლებდა თავის პატარა ქვეყანას. იგი მარად დისიდენტია, რომელმაც გადაიტანა ციხეც, წამებაც და კატორღაც. იგი ალმოდებულ გემზე კაპიტნად რჩება და ურჩევნია ჩაიძიროს, ვიდრე ალამი დაუშვას, ესაა ზვიად გამსახურდია – ქართული სიბრძნის და ღირსების სიმბოლო“.

ვალერია ნოვოდვორსკაია

რუსეთის დემოკრატიული პარტიის ლიდერი

მარგარეტ თეთჩერი, იგივე „რკინის ლედი“ ასე ახასიათებს ზვიად გამსახურდიას: „ასეთი პრეზიდენტი ნებისმიერ ქვეყანას დაამშვენებდა“.

ვლაცლავ ჰაველმა – აღმოსავლეთ ევროპის დისიდენტთა ლიდერმა განაცხადა ზვიად გამდახურდიაზე, რომ საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ, ზვიად გამსახურდიამ გადამწყვეტი როლი შეასრულეს აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა რესპუბლიკების გათავისუფლებაში.

უახლესი ისტორია

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები, რომლებიც 1992 წელს ღიად შევიდნენ ხუნტის ე. წ. სახელმწიფო საბჭოში:

1. რომან გოცირიძე
2. ელდარ შენგელაია
3. პაატა კოღუაშვილი
4. აკაკი ბობოხიძე
5. დავით ბერძენიშვილი
6. თამაზ დიასამიძე
7. რუსლან ღონღაძე
8. თედო პაატაშვილი
9. დავით კუპრეიშვილი
10. ირაკლი მელაშვილი

იყვნენ დეპუტატები, რომლებიც მალულად თანამშრომლობდნენ ხუნტისტურ სახელმწიფო საბჭოსთან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა ერთი ნაწილის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წლის ნოემბრიდან დესტრუქციული ძალები აწყობენ სხვადასხვა სახის მადესტაბილიზირებელ, ტერორისტულ აქტებს. რაც მიმართულია მრავალპარტიული, დემოკრატიული წესით არჩეული სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების ძალადობით დამხობისაკენ. კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ე. წ. ოპოზიციური ძალების მოქმედებებმა ვითარება განსაკუთრებით დაძაბა 1991 წლის 4–5 ოქტომბერს, ხოლო 1991 წლის 22 დეკემბრიდან საქართველოში მიმდინარეობს სახელმწიფო გადატრიალების შეიარაღებული მცდელობა.

ასეთ ვითარებაში, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არაერთხელ მოუწო-

და დეპუტატებს, რათა გამოცხადებულიყვნენ უზენაეს საბჭოში და აღესრულებინათ თავიანთი სადეპუტატო, მოქალაქეობრივი და მამულიშვილური ვალი. დეპუტატთა ერთი ნაწილი, არც ერთხელ არ გამოცხადებულა სამუშაო ადგილზე, ხოლო ზოგიერთი მათგანი მონაწილეობს, ან ხელს უწყობს და ცდილობს გაამართლოს პუტჩისტთა ანტისახელმწიფოებრივი, დანაშაულებრივი ქმედება.

აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 27 დეკემბრის კანონის მე–6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ვინაიდან დეპუტატთა ნაწილი პრაქტიკულად არ მონაწილეობს უზენაესი საბჭოსა და მისი ორგანოების მუშაობაში საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში, უფლებამოსილება შეუჩერდეთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ქვემოთ ჩამოთვლილ წევრებს:

	მანდატის ნომერი
1. რომან გოცირიძეს	№5
2. ნოდარ ნათაძეს	№9
3. ელდარ შენგელაიას	№21
4. გელა ჩორგოლაშვილს	№23
5. პაატა კოღუაშვილს	№38
6. გივი ლობჟანიძეს	№58
7. მერაბ ბალარჯიშვილს	№60
8. დავით არევაძეს	№63
9. გივი ურიადმყოფელს	№64
10. მალხაზ დვალიშვილს	№69
11. ანზორ საკანდელიძეს	№73
12. ავთანდილ იმნაძეს	№74
13. ბეჟან აბესაძეს	№75
14. აკაკი ბობოხიძეს	№80
15. ანზორ სიჭინავას	№95
16. გია სუბელიანს	№109
17. დავით ბერძენიშვილს	№112
18. თამაზ დიასამიძეს	№113
19. ნოშრევან მუმლაძეს	№120
20. ვაჟა ადამიას	№122
21. რუსლან ღონღაძეს	№127

22. თედო პაატაშვილს №129
23. დავით კუპრეიშვილს №134
24. თენგიზ დიხამინჯიას №137
25. მერაბ ურიდიას №138
26. ირაკლი მელაშვილს №145
27. მალხაზ კვანჭილაშვილს №151
28. ხვედრი ინასარიძეს №159
29. სალომე ზვიადაძეს №174
30. გელა კობერიძეს №176
31. თამაზ ობგაძეს №177
32. ეთერ ყაველაშვილს №178
33. ავთანდილ პოპიაშვილს №182
34. ანზორ კუდბას №183
35. ნუგზარ კვაჭაძეს №184
36. მაია ნათაძეს №187

2. საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას შეისწავლოს უზენაესი საბჭოს ზემო აღნიშნულ წევრთა მოქმედება და საქმიანობა.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ერთი თვის ვადაში მოამზადოს უზენაესი საბჭოს სხდომისათვის ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით დადგენილების ძალაში მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე
ქ. თბილისი 30 დეკემბერი 1991 წელი .

გაზეთი „ქუთაისი“ №2 (17451), 1992 წ. 2 იანვარი.

რუსეთის მეხუთე კოლონის პოლიტ-ლიდერები
და მათი ჭანჭიკები:

1. ნინო ბურჯანაძე
2. ზურაბ ნოღაიდელი
3. ირინა სარიშვილი
4. გია ჟორჟოლიანი
5. თემურ ჟორჟოლიანი
6. ნესტან კირთაძე
7. გიორგი მარგველაშვილი
8. ირაკლი ბათიაშვილი
9. ნონა გაფრინდაშვილი
10. შალვა ობგაიძე
11. ელიზბარ ჯაველიძე
12. აკაკი ასათიანი
13. ვალერი გელბახიანი
14. ირაკლი ოქრუაშვილი
15. მალხაზ გულაშვილი
16. კახა კუკავა
17. ალექსანდრე შალამბერეიძე
18. კობა დავითაშვილი
19. პეტრე მამრაძე
20. გია თორთლაძე
21. ლევან გაჩეჩილაძე
22. კოკა გუნცაძე
23. გიორგი კობახიძე
24. სოსო ჯაჭვლიანი
25. ნანა დევდარიანი
26. ჯონდი ბაღათურია
27. გიორგი თარგამაძე
28. ლევან ვეფხვაძე
29. ნიკა ლილუაშვილი
30. ბაჩუკი ქარდავა
31. პაატა დავითაია
32. დიმიტრი ლორთქიფანიძე
33. შალვა ნათელაშვილი
34. ვალერი კვარაცხელია
35. თეიმურაზ შაშიაშვილი
36. გიორგი ხაინდრავა
37. ბორის კაკუბავა
38. ზვიად ძიძიგური
39. ზაზა აბაშიძე
40. ბიძინა გუჯაბიძე
41. გულბაათ რცხილაძე
42. ვაჟა ლორთქიფანიძე
43. დემურ გიორხელიძე
44. ნანა კაკაბაძე
45. ირმა ინაშვილი
46. დავით თარხან-მოურავი
47. მერაბ ბლადაძე
48. ანზორ აბრალავა
49. სერგო ჯავახაძე
50. მელორ ვაჩნაძე
51. კობა ნარჩემაშვილი
52. ვასილ მაღლაფერიძე
53. გიორგი შენგელაია
54. ივლიანე ხაინდრავა
55. ადა მარშანია
56. ელდარ შენგელაია
57. ჯუმბერ კირვალიძე
58. ნუკრი ქანთარია...

ჭანჭიკები:

1. სანდრო ბრეგაძე
2. სოსო მანჯავიძე
3. ავთანდილ დავითაია
4. გიორგი უძილაური
5. ზაზა დავითაია

6. ირაკლი ყიფიანი
7. ჯაბა ჯიშკარიანი
8. კონსტანტინე ჩიკვილაძე
9. გია ყრუაშვილი
10. ლალი აფციაური
11. შოთა აფხაიძე
12. ვახტანგ-ლოთი ქობალია
13. ვახუშტი ფარცვანია
14. ლადო სადღობელაშვილი
15. დავით ფაცაცია
16. ლევან ჩაჩუა
17. დავით გიორგობიანი
18. გოჩა გვასალია...

(არასრული სია)

ᲮᲣᲜᲢᲐ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობა
სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი

ედუარდ შევარდნაძე – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე;

ჯაბა იოსელიანი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დრამატურგი, დოქტორი, პროფესორი;

თენგიზ სიგუა – საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

თენგიზ კიტოვანი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე:

ვახტანგ გოგუაძე – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ირაკლი ანდრიაძე – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს საქმეთა მმართველი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი;

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრები:

ვალერიან ადვაძე – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის თავმჯდომარე;

ლევან ალექსიძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი;

მერაბ ალექსიძე – გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;

ჭაბუა ამირეჯიბი – მწერალი, ამერიკა-საქართველოს ერთობლივი საწარმო "ისრის" გენერალური დირექტორი,ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის წევრი;

ჯემალ აჯიაშვილი – მთავარი მთარგმნელობითი ცენტრის უფროსი მეცნიერი, რედაქტორი, მწერალი;

ირაკლი ბათიაშვილი – ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

აკაკი ბაქრაძე – მწერალი, ლიტერატორი;

გურამ ბერიშვილი – კიბერნეტიკის ინსტიტუტის მოდელირების განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკური პარტიის წევრი;

დავით ბერძენიშვილი –ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, რესპუბლიკური პარტიის წევრი;

იგორ ბოგომოლოვი – მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა შემსწავლელი ცენტრის განყოფილების გამგე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

კოტე გაბაშვილი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი;

თამაზ გამყრელიძე – აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი,საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;

გურამ გეგეშიძე – მწერალი, რუსთაველის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი;

ნაირა გელაშვილი – მწერალი, კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის დირექტორი;

არჩილ გოგელია – დამოუკიდებელ გაზეთ „დრონის" მთავარი რედაქტორი;

ვასილ გოცირიძე – ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმის განყოფიელბის გამგე, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე;

რომან გოცირიძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის კათედრის დოცენტი;

გურამ თევზაძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი;

ალექსანდრე კავსაძე – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე;

თამაზ კვაჭარნტირაძე –ჟურნალ "ბალავარის" მთავარი რედაქტორი, სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი;

პაატა კოღუაშვილი – საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

რაულ კუპრავა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრო-სამედიცინო აპარატურის კათედრის დოცენტი, ტექნიკურ მეცნიე-

რებათა დოქტორი, პროფესორი;

დავით კუპრეიშვილი – მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი;

ოთარ ლითანიშვილი – ქალაქ თბილიისის მერი;

ნოდარ ლომოური – აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

მირზა მაშოვი – ტელე-რადიო დეპარტამენტის რედაქტორი, რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული აზერბაიჯანული ასოციაციის პასუხისმგებელი მდივანი;

ლევან მესხი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბირთვული-ფიზიკის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი;

ზურაბ მურვანიძე – თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ნეიროქირურგიის კათედრის ასისტენტი;

გურამ მუჩაიძე – სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე;

მიხეილ ნანეიშვილი – ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ლიბერალურ დემოკრატიული ეროვნული კავშირის თავმჯდომარე;

თევდორე ნინიძე – ჟურნალ "სამართლის" რედაქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი;

თემურ ნერგაძე – ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი;

იზა ორჯონიკიძე – ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმის დირექტორი, პოეტი;

თედო პაატაშვილი – ინჟინერ-ფიზიკოსი, "ქარტია-91" თავმჯდომარე;

დავით პატარაია – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი;

ზურაბ ჟვანია – მწვანეთა პარტიის სპიკერი;

თეიმურაზ ჟორჟოლიანი – მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე;

ვიქტორ რცხილაძე – ჟურნალ "რელიგიის" რედაქტორი;

ირინა სარიშვილი – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრეს-მდივანი;

ფრიდონ საყვარელიძე –ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის ასისტენტი, "დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის" წევრი;

გიორგი სიგუა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის კათედრის მეცნიერი თანამშრომელი;

თემურ ფიფია – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის

ფაკულტეტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

თორნიკე ფიფია – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ინჟინერ-ფიზიკოსი;

ირაკლი ქადაგიშვილი – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე;

ლანა ღოღობერიძე – კინორეჟისორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი;

რევაზ შავიშვილი – გეოფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, "დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის" თავმჯდომარე;

ლუიზა შაკიაშვილი – ტელე-რადიო დეპარტამენტის რეჟისორი;

თეიმურაზ შაშიაშვილი- დროებით უმუშევარი;

გივი შაჰნაზარი – მწერალთა კავშირის მთავარი მთარგმნელობითი ცენტრ "ხომლის" უფროსი მეცნიერი რედაქტორი

გიორგი შენგელაია – კინორეჟისორი;

ელდარ შენგელაია – კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე, კინორეჟისორი;

ჯანსუღ ჩარკვიანი – ჟურნალ "დროშის" მთავარი რედაქტორი;

თამარ ჩხეიძე – საქართველოს სახელმწიფო არქივის მეცნიერი თანამშრომელი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი;

ვახტანგ ძაბირაძე – რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე;

ნიკო ჭავჭავაძე – ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, დოქტორი, პროფესორი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი;

გიორგი ხაინდრავა – კინოოპერატორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ტმს"-ის სამხატვრო ხელმძღვანელი;

ივლიანე ხაინდრავა – ერთობლივი საწარმოო "უნიფარმის" განყოფილების გამგე, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის მოადგილე;

ვახტანგ ხმალაძე – ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, "დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის" თავმჯდომარის მოადგილე

ალექსანდრე ჯავახიშვილი – ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის დირექციის მრჩეველი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი;

თამაზ ჯანელიძე – კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;

ავთანდილ სილაგაძე – კონტროლის პალატის თავმჯდომარე;
რუსუდან ბერიძე;
აკაკი ბობოხიძე – რესპუბლიკური პარტიის წევრი;
თამაზ დიასამიძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკური პარტიის წევრი;
ვალერიან ვაშაკიძე;
ოლღა თედეევა;
ზურაბ კიკნაძე;
რამაზ კლიმიაშვილი;
გიორგი კობახიძე – ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის წევრი;
ადა მარშანია – რესპუბლიკური პარტიის წევრი;
ირაკლი მელაშვილი – „ქარტია – 91– ის“ წევრი;
რუსლან მიქაბერიძე;
დავით ტურაშვილი;
რუსლან ღონღაძე – ეროვნული ფრონტი– რადიკალური კავშირის წევრი;
რევაზ ჩხეიძე – კინოკორპორაციის პრეზიდენტი;
გრიგოლ (გოჩა) ჯოჯუა – მონარქისტულ– კონსერვატიული პარტიის წევრი;
ნონა კენჭუაშვილი – „ღვთისშვილთა“ კავშირის თანაპრეზიდენტი;
ალექსანდრე ბერიძე – ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
ივანე (მამუკა) გიორგაძე – ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის წევრი, ეროვნული კონგრესის წევრი;
დემურ დვალიშვილი – „მრეწვმშენბანკის“ თავმჯდომარის მოადგილე;
გრიგოლ (გიგა) ლორთქიფანიძე – თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე;
მერი მარკოზია – ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი, ეროვნული კონგრესის წევრი;
რომან მიმინოშვილი – ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი;
გია ჟორჟოლიანი;
ვახტანგ ტალახაძე – ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის წევრი;
ირაკლი ტუღუში – დამოუკიდებელი პროფესიული კავშირებისკონ-ფედერაციის თავმჯდომარე;
ვანო ხუხუნაიშვილი – ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის წევრი;

დიმიტრი ჩიტლოვი – უზენაესი სასამართლოს წევრი;

თენგიზ ასანიძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი;

თამაზ ტუნაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი;

თემურ ჩოქაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი;

ირაკლი ანდრიაძე – სახელმწიფოს საბჭოს საქმეთა მმართველი.

(სია შედგენილია „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებულის“ I და II ტომების მიხედვით. რედაქტორი დავით უსუფაშვილი. 1995 წ.)

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს შექმნისა და სამხედრო საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევამდე, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების, სამოქალაქო თანხმობისა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის, ეკონომიური რეფორმების ქმედითობისა და მათი უსწრაფესი განხორციელების, მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების მიზნით სამხედრო საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევამდე კანონშემოქმედებითი, განმკარგულებელი და მაკონტროლებელი ფუნქციების განხორციელების მიზნით შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან არსებული პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს წევრების, საზოგადოებრიობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის გათვალისწინებით.

3. გამოქვეყნდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობა.

4. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო

თენგიზ კიტოვანი; ჯაბა იოსელიანი

თბილისი. 10 მარტი 1992 წელი.

***

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ედუარდ შევარდნაძე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ.

2. დამტკიცდეს ჯაბა იოსელიანი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

3. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა, ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო
თბილისი. 10 მარტი 1992 წელი.

გაზეთი '' ***Свободная Грузия***''
12 მარტი 1992 წელი, 35 (295) .

ხუნტის პარლამენტარები (1992-1995 წ.წ.)

1. აბაშიძე ასლან
2. აბალაკი გივი
3. აბესაძე ინგუშა
4. აბულაძე თენგიზი
5. ადამია ვაჟა
6. ადამია რევაზი
7. ადამია ჯემალი
8. ადვაძე ვალერიანი
9. ალეხსანიანი ფერდინანდი
10. ამირეჯიბი მზეჭაბუკი (ჭაბუა)
11. ანდრიაძე ზურაბი
12. ანდრიაძე ირაკლი
13. არველაძე ტახირი
14. ასათიანი აკაკი
15. ასათიანი ვალერიანი
16. ასათიანი ვახტანგი
17. ახმეტელი გიორგი (ცეზარი)
18. აჯიაშვილი სიმონი (ჯემალი)
19. ბალაშვილი ვლადიმერი
20. ბალიაშვილი ივანე
21. ბარამიძე გიორგი
22. ბარამიძე მალხაზი
23. ბასილია თეიმურაზი
24. ბაშალეიშვილი დავითი
25. ბახტაძე დემური
26. ბეგიაშვილი ვახტანგი
27. ბერიანიძე შალვა
28. ბერიშვილი გურამი
29. ბერიძე ალექსანდრე
30. ბერიძე კონსტანტინე
31. ბერიძე რუსუდანი
32. ბერიძე ჯემალი
33. ბერძენიშვილი დავითი
34. ბობოხიძე აკაკი
35. ბრეგაძე აკაკი
36. ბუაჩიძე თენგიზი
37. ბუზალაძე ვასილი
38. გაბაშვილი კონსტანტინე
39. გაზდელიანი თენგიზი
40. გამყრელიძე თამაზი
41. გაჩეჩილაძე გიორგი
42. გელაძე ავთანდილი
43. გელაძე ვაჟა
44. გელოვანი თენგიზი
45. გეწაძე გურამი
46. გვაზავა ელგუჯა
47. გვერდწითელი მიხეილი
48. გიგინეიშვილი მანანა
49. გიორგაძე ივანე (მამუკა)
50. გიორგაძე ნოდარი
51. გიორგაძე პანტელეიმონი
52. გოგია ზურაბი
53. გოგუაძე ვახტანგი
54. გოდერძიშვილი გელა
55. გონაშვილი ნიკოლოზი
56. გორგოძე ჯემალი
57. გოცირიძე ვასილი
58. გუგუნავა ალექსანდრე
59. გოცირიძე რომანი
60. გულუა ბაკური
61. დევდარიანი ნანა
62. დვალიშვილი მალხაზი
63. დიასამიძე თამაზი
64. დიხამინჯია თენგიზი
65. დოლიძე როსტომი
66. დოლმაზაშვილი ავთანდილი

67. ელოშვილი ომარი
68. ენუქიძე ზაზა
69. ვარდოსანიძე ლევანი
70. ვაშაკიძე ვალერიანი
71. ველიჯანაშვილი გოდერძი
72. ვეფხვაძე ნოდარი
73. ზანკალიანი მურთაზი
74. ზუკბაია ოთარი
75. ზუმბაძე გიორგი
76. თავართქილაძე ანზორი
77. თირქია ლედი
78. თუმანიშვილი გრიგოლი
79. იაკობიძე ვაჟა
80. ინჯია დავითი
81. იორამაშვილი გივი
82. იოსელიანი არჩილი
83. იოსელიანი ჯაბა
84. კავსაძე ალექსანდრე
85. კაკუბავა ბორისი
86. კაკიაშვილი ნუგზარი
87. კალანდაძე თენგიზი
88. კალანდია გენო
89. კალაძე რობინზონი
90. კახაძე კახაბერი
91. კეკელია შალვა
92. კენჭუაშვილი ნანა
93. კვანჭილაშვილი მალხაზი
94. კვარაცხელია ვალერი
95. კვაჭაძე ნუგზარი
96. კიკაბიძე კობა
97. კიკნაძე გიორგი
98. კილაძე ანზორი
99. კირთაძე ნესტანი
100. კიტოვანი თენგიზი
101. კობაიძე ალექსი
102. კობახიძე გიორგი
103. კობერიძე გელა
104. კობერიძე ნუგზარი
105. კოვზირიძე დავითი
106. კოზმანიშვილი აპოლონი
107. კოპალეიშვილი თეიმურაზი
108. კორძაძე გაიოზი
109. კოღუაშვილი პაატა
110. კოხია ოთარი
111. კოხრეიძე ნოდარი
112. კუპრავა რაული
113. კუპრეიშვილი დავითი
114. კურტანიძე ჯუმბერი
115. ყ(კ)ოლბაია ვახტანგი
116. ლეკიშვილი ნიკოლოზი
117. ლითანიშვილი ოთარი
118. ლიპარტელიანი როინი
119. ლობჟანიძე გივი
120. ლოლაძე ანდრო
121. ლომინაძე გივი
122. ლომსაძე ბორისი
123. ლორთქიფანიძე გრიგოლი (გიგა)
124. ლორთქიფანიძე როზა
125. ლორთქიფანიძე ვიქტორი
126. მამალაძე ლევანი
127. მამრაძე პეტრე
128. მამულია გურამი
129. მანძულაშვილი მიხეილი
130. მარგიანი ავთანდილი
131. მარშანია ადა
132. მახალდიანი სოსო
133. მგელიაშვილი თეიმურაზი
134. მდინარაძე თემური
135. მეგუთნიშვილი სოსო
136. მელაშვილი ირაკლი
137. მელია რომანი
138. მელიქიშვილი დავითი
139. მელქაძე ზურაბი

140. მელქაძე ოთარი
141. მესხი ლევანი
142. მეტრეველი მერაბი
143. მიმინოშვილი რომანი
144. მიხანაშვილი ნუგზარი
145. მურვანიძე ზურაბი
146. მუსელიანი ვახტანგი
147. მუჩაიძე გურამი
148. მჭედლიძე მიხეილი
149. ნადარაია ამირანი
150. ნადარაია ნუგზარი
151. ნადარეიშვილი თამაზი
152. ნათაძე ნოდარი
153. ნათელაშვილი შალვა
154. ნაკაშიძე ბადრი
155. ნანეიშვილი მიხეილი
156. ნიკოლაიშვილი გელა
157. ნოღაიდელი ზურაბი
158. ობგაძე თამაზი
159. ოთარაშვილი ვაჟა
160. ომანიძე მურმანი
161. ორჯონიკიძე იზა
162. პაატაშვილი თედო
163. პაიჭაძე დავითი
164. პატიაშვილი ჯუმბერი
165. ჟვანია ზურაბი
166. ჟორჟოლიანი გიორგი
167. ჟორჟოლიანი თეიმურაზი
168. ჟღენტი მამული
169. რივკინი მარკი
170. როგავა გაიოზი
171. რუხაძე სერგო
172. რჩეულიშვილი ვახტანგი
173. სალია კონსტანტინე
174. სანადირაძე გურამი
175. სარიშვილი-ჭანტურია ირინა
176. საყვარელიძე რამაზი
177. საყვარელიძე ფრიდონი
178. საჯაია ჯემალი
179. სიგუა თენგიზი
180. სიხარულიძე ზაზა
181. სნხჩიანი ზორა
182. სუმბათაშვილი თეიმურაზი
183. სხირტლაძე როსტომი
184. ტაკიძე ამირანი
185. ტალახაძე ვახტანგი
186. ტყებუჩავა ავთანდილი
187. ურიდია მერაბი
188. უსტიაშვილი გურამი
189. ფაღავა ასლანი
190. ფაჩუაშვილი ბესარიონი
191. ფაცაცია გერმანე
192. ფაცაცია ოთარი
193. ფენდერავა არნოლდი
194. ფრუიძე ლევანი
195. ფიფია თორნიკე
196. ქადაგიძე დავითი
197. ქადაგიშვილი ირაკლი
198. ქარცივაძე ნოდარი
199. ქაშაკაშვილი ამირანი
200. ქაჯაია მერაბი
201. ქველაძე ზურაბი
202. ქვლივიძე გელა
203. ღარიბაშვილი ქართლოსი
204. ღოღობერიძე ლანა
205. ყორანაშვილი გურამი
206. შავიშვილი რევაზი
207. შაიშმელაშვილი გიორგი
208. შაკიაშვილი ლუიზა
209. შარტავა ჟიული
210. შაშიაშვილი თეიმურაზი
211. შევარდნაძე ედუარდი
212. შენგელაია ელდარი
213. შელია გურამი

214. შენგელაია ირაკლი
215. შენგელია ზურაბი
216. ცივაძე დავითი
217. ცინდელიანი ლია
218. ცინცაძე თამაზი
219. ციციშვილი ჯიმშერი
220. ციხელაშვილი ტარიელი
221. ციხისთავი გია
222. ცუცხვაშვილი გია
223. ჩაკვეტაძე მურთაზი
224. ჩარკვიანი ჯანსუღი
225. ჩარქსელიანი ანზორი
226. ჩახვაძე გურამი
227. ჩიტლოვი დიმიტრი
228. ჩხეიძე თამარი
229. ჩხეიძე პაატა
230. ჩხენკელი მიხეილი
231. ძაბირაძე ვახტანგი
232. ძაგნიძე შოთა
233. წერეთელი ზურაბი
234. წერეთელი ირაკლი
235. წითლანაძე გიორგი
236. წიკლაური მევლუდი
237. წოწონავა ანზორი
238. წულაია გიორგი
239. ჭავჭავაძე ნიკოლოზი
240. ჭანტურია ვალერი
241. ჭეიშვილი რევაზი
242. ჭელიძე დავითი
243. ჭელიძე ივერი
244. ჭინჭარაული გიორგი
245. ხავთასი გია
246. ხაინდრავა ივლიანე
247. ხარატიშვილი იოსები
248. ხაჭაპურიძე ვაჟა
249. ხვედელიძე გივი
250. ხიდაშელი გიორგი
251. ხიზანიშვილი რამაზი
252. ხმალაძე ვახტანგი
253. ხომერიკი ვასილი
254. ხურციძე ბეჟანი
255. ხუციშვილი ომარი
256. ხუხუნაიშვილი ვანო
257. ჯიბუტი მიხეილი
258. ჯაფარიძე რევაზი
259. ჯეირანაშვილი ნიაზი
260. ჯიბლაძე ალექსანდრე
261. ჯიქია ალექსანდრე
262. ჯოჯუა გრიგოლი

სამხედრო გადატრიალების შედეგად შექმნილი თ. სიგუას მთავრობის პოლიტიკური „საკონსულტაციო საბჭოს“ სია

ვაჟა ადამია,
ლევან ალექსიძე,
მერაბ ალექსიძე,
აკაკი ასათიანი,
ირაკლი ბათიაშვილი,
აკაკი ბაქრაძე,
დავით ბერძენიშვილი,
კონსტანტინე გაბაშვილი,
თამაზ გამყრელიძე,
გურამ გეგეშიძე,
არჩილ გოგელია,
რომან გოცირიძე,
გურამ თევზაძე,
ჯაბა იოსელიანი,
ალექსანდრე კავსაძე,
თამაზ კვაჭანტირაძე,
თენგიზ კიტოვანი,
დავით კუპრეიშვილი,
ნოდარ ლომოური,
გიორგი მაისურაძე,
ნოდარ ნათაძე,
მიხეილ ნანეიშვილი,
თედო ნინიძე,
თედო პაატაშვილი,
ზურაბ ჟვანია,
თეიმურაზ ჟორჟოლიანი,
თეიმურაზ ფიფია,
რევაზ შავიშვილი,
თეიმურაზ შაშიაშვილი,
გიორგი შენგელაია,
ელდარ შენგელაია,
ირაკლი შენგელია,
თამარ ჩხეიძე,
ირაკლი წერეთელი,
გიორგი ჭანტურია,
გიორგი ხაინდრავა,
ივლიანე ხაინდრავა,
თამაზ ჯანელიძე.

დიდუბის პანთეონიდან ჯაბა იოსელიანის ამოთხრის მცდელობა

„კრიმინალური ინტელიგენციის“ ტიპიური სახე და ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ სამხედრო გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორი ჯაბა იოსელიანი, 77 წლის ასაკში, 2003 წლის 4 მარტს ინსულტით გარდაიცვალა. ხუნტის მეთაურმა ედუარდ შვარდნაძემ და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II, ჯაბას, დიდუბის პანთეონში მიუჩინეს სამუდამო განსასვენებელი. ქართველი ერის ღირსეული უმრავლესობა იმთავითვე უკმაყოფილოდ შეხვდა ხუნტის ხელისუფლებისა და საპატრიარქოს უმართებულო გადაწყვეტილებას, ხოლო ეროვნულმა მოძრაობამ მრავალჯერადი მიტინგებით გააპროტესტა ისტორიული სამართლიანობის გამრუდების მორიგი აქტი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არასოდეს შეგუებია ჯაბა იოსელიანის დიდუბის პანთეონში დაკრძალვის პატივს და პოსტშევარდნაძისტულ ხელისუფლებაშიც აგზავნიდა პეტიციებს მისი პანთეონიდან გადასვენების მოთხოვნით.

2012 წლის 6 იანვარს კი, ნიშანდობლივ თარიღს და ნიშანდობლივ დროს (6 იანვრს, ალიონზე) ჯაბა იოსელიანის საფლავის ამოთხრის იმიტაცია მოხდა, რაც ერის სამართლიანი პროტესტის კიდევ ერთი გამოვლინება გახლდათ. ჯ. იოსელიანის საფლავის „ამომთხრელი,“ გერმანიიდან საგანგებოდ ჩამოსული ემიგრანტი მიხეილ ჯაფარიძე აღმოჩნდა. მიხეილ ჯაფარიძემ, რამოდენიმე დღის სკანდალური მითქმა-მოთქმის შემდგომ, თავად გაავრცელა აღიარებითი ვიდეომიმართვა (2012 წ. 15 იანვარი), რითაც დაადასტურა, რომ სწორედ ამ მიზნით ჩამოვიდა იგი გერმანიიდან, რათა საზოგადოებაში გაეღვივებინა პროტესტის მუხტი ჯაბა იოსელიანის პანთეონში განსვენების წინააღმდეგ, რის ნიშნადაც საველე ბარით მოჩიჩქნა საფლავი, ხოლო საფლავის ქვაზე დაალაგა 1991-92 წლების სამხედრო გადატრიალებისა და სისხლიანი ხელების ამსახველი ფოტომასალები.

მიხეილ ჯაფარიძისავე ორგანიზებით ინტერნეტში შედგა საინიციატივო ჯგუფიც სახელწოდებით: **„გადავასვენოთ ჯაბა იოსელიანი.“** ამ მოთხოვნით შეგროვდა დიდძალი ხელმოწერები, რაც შეტანილ იქნა მთავრობის შესაბამის ინსტანციებში. კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ, რომელიც თავის ძმასთან ერთად ყოფილი „მხედრიონელი“ გახლდათ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯაბას გადასვენების აქტივისტები საკრებულოში გადაამისამართა, საკრებულომ – მერიაში, სადაც „დაკონსერვდა“.

ჯაბას ამოთხრის მცდელობამ „მხედრიონელების“ გულისწყრომა გამოიწვია და რამდენიმე კვირის განმავლობაში სადღეღამისო მორიგეობაც კი დააწესეს მის საფლავთან დოდო გუგეშაშვილის განკარგულებით.

მას შემდეგ, სხვა პიროვნებებმაც არაერთხელ სცადეს ჯაბას დიდუბის პანთეონიდან გადასვენება; ახალგაზრდა რეჟისორმა და ჟურნალისტმა ზაზა სვანაძემ, 2013 წელს ორჯერ გამოხატა პროტესტი ჯაბას საფლავზე ავტომატის დადებითა და სისხლიანი ხელების გამოსახვით, რითაც შეეცადა მიექცია მთავრობის ყურადღება.

2017 წლის 7 სექტემბერს, უცნობმა პირებმა, ჯაბას საფლავზე დატოვეს წარწერა: „გადამასვენეთ!!!“

საქართველოს
ზვიად განმათავისუფლებლის პარტია
ZVIAD LIBERATOR'S PARTY OF THE GEORGIA
თბილისი, 380005, ლეონიძის ქ. 8 ტელ: 92 36 35; მობილ: 8 51 92 36 55
TBILISI, 380005, LEONIDZE STR. 8 TEL: 92 36 55; Mobil: 8 51 92 36 55

№_____ _____

ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის
განცხადება!

facebook.-ზე იდება მრავალი სტატუსი დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და მისი ეროვნული ხელისუფლების ნეგატიური შეფასებებით, რითაც მიზანმიმართულად გრძელდება ამ ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლების დისკრედიტაცია, ხოლო უზენაესი საბჭოს დეპუტატები, ეროვნული მთავრობის წევრები და თვით ეროვნული მოძრაობის უდიდესი არმია დუმს ამ უბინძურეს კამპანიაზე, რამეთუ ისინი (მათი უდიდესი ნაწილი) გახდნენ რენეგატები და გადაბარგდ-გადანაწილდნენ შევარდნაძე-სააკაშვილ-ივანიშვილის ბანაკში და აღარ აღელვებთ ჭეშმარიტი ფასეულობების შერყვნა, არ გააჩნიათ ამ ფასეულობების დაცვის ნება. ეს რენეგატი კატეგორია ყოფილი ეროვნულებისა იმდენად ინდიფერენტული გახდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მონაპოვრების მიჩქმალვა-გაუფასურების მიმართ, რომ ჩვენს მიერ **facebook**-ზე დადებულ საპოლემიკო სტატუსებზეც კი აღარ აფიქსირებენ თავიანთ მოწონებას, ამით მაინც რომ გამოგვიცხადონ თანადგომა საინფორმაციო ბრძოლაში.

ზვიად განმათავისუფლებლის პარტია ამგვარ საქციელს ყოფილი ეროვნულების მხრიდან აფასებს იდეური ღირებულებებისა და მრწამსის ღალატად და განდგომად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისგან!

ღმერთი არს ჩვენთან და იგია თანამდევი ჩვენს განუხრელ პოლიტიკური ბრძოლის გზაზე!



გაუმარჯოს ილიას,ზვიადისა და მერაბის გზას! ჩვენ ამ გზიდან ვერავინ გადაგვახვევინებს!

პარტიის თავმჯდომარე
ლეილა ცომაია, 2014 წლის 13 სექტემბერი.

კვლავ ყალბისმძღნელების შესახებ



Facebook-ზე არაერთხელ დავდევი ლაკონური განცხადება ინტერნეტში არსებული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ე. წ. გვერდების შესახებ, რომელიც ეკუთვნის ბესარიონ გუგუშვილს. ამასთან დაკავშირებული ყოველი ჩემი განცხადება წაშლილი იქნა ჩემი გვერდიდან ბესარიონ გუგუშვილის მიერ, რომელიც საამისოდ კარგად ფლობს უშიშროების ტექნოლოგიებს.

ამიტომ იძულებული ვარ განმეორებით გაგაფრთხილოთ, რომ გარდა ერთი გვერდისა ზვიად გამსახურდიასი (რომელიც ეკუთვნის პრეზიდენტის ქვრივს ქ-ნ მანანა არჩვაძეს) ყველა არის ყალბი და ანტიზვიადისტური!

მეგობრებო, ინტერნეტ სივრცეში შექმნილია 10-მდე გვერდი, ვითომცდა ზვიად გამსახურდიასი, რომელიც თავად პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კომპრომენტირებას ემსახურება. ჩვენი ვარაუდით ამ გვერდის შემქმნელია ფინეთში ემიგრირებული, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შეთქმულებაში მონაწილე ბესარიონ გუგუშვილი. ზოგიერთი გაუთვითცნობიერებელი პატრიოტი, ზვიადის სახელის გამო, იწონებს ამ გვერდს, რომელიც რეალურად ანტიზვიადისტურია.

მოგიწოდებთ გააუქმოთ თქვენი უნებლიე მოწონებები მსგავს გვერდებზე!

https://www.facebook.com/pages/Zviad-Gamsakhurdia-zviad-konstantines-Ze-gamsaxurdia

წიგნის ავტორისაგან

შესაძლოა მავანს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ჩემეული შეფასების ობიექტურობასთან დაკავშირებით, გაუჩნდეს აზრი, რომ მე, როგორც მისი უკანასკნელი პერიოდის თანამებრძოლი(1986-90ნ.წ.), არა ვარ თავისუფალი სუბიექტივიზმისაგან. მითუმეტეს, ჩემს ოპონენტებში არსებობს მცდარი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მე, თითქოს ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლების რომელიღაც სტრუქტურაში ვმსახურობდი; შევარდნაძის პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ელენე თევდორაძის მიერ 1997 წელს, ჩემს პოლიტპატიმრობასთან დაკავშირებით გაკეთდა ხმამაღალი განცხადება, რომ მე ორთაჭალის გმირთა მემორიალზე წავაწერე: „ჩვენ დავბრუნდებით!“

პატიმრობიდან გათავისუფლების შემდგომ მე დავურეკე ქალბატონ ელენე თევდორაძეს და ვკითხე, თუ რაზე გააკეთა მან მინიშნება თავის განცხადებაში, რაზეც უყოყმანოდ მიპასუხა, რომ თქვენ აპირებდით ხელისუფლებაში დაბრუნებასო. ქალბატონ ელენეს განვუმარტე, რომ მე არ ვყოფილვარ ეროვნული ხელისუფლების არცერთ რგოლში (არც საკრებულოს, არც უზენაესი საბჭოს, არც მთავრობის და არც რომელიმე ადმინისტრაციულ სტრუქტურაში)-მეთქი. „მაშ, რას გვებრძვიო“?! — ფრიად გაკვირვებულმა შემომიბრუნა კითხვა.

ხოლო, სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომმა, ბატონმა თემურ ხუროძემ, როდესაც უზენაესი საბჭოს დეპუტატთა სიები გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, თსუ-ს დერეფანში შეხვედრისას მკითხა: „თქვენ გამორჩენილი ხართ სიიდან?“ რაზეც გულწრფელად ვუპასუხე, რომ „მე ხელისუფლებაში მოსასვლელად კი არა, ჩემი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ვიბრძოდი მხოლოდ და მას ზვიად გამსახურდია გამოაცხადებს-მეთქი“.

და მე, ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მოსვლისთანავე, უპრეტენზიოდ გავდექი განზე და ჩრდილში განვმარტოვდი.

იყო მცდელობები, ჩემი ერთგულება ზვიადისადმი პიროვნული სიმპატიებითაც აეხსნათ და გაზეთ „ალიასა“ და „ახალ თაობაშიც“ ლირიული ჭორიც კი დაწერეს; შეიქმნა მხატვრულ-დოკუმენტური რომანიც დიდი მწერლის ბატონი ოთარ ჩხეიძეის წიგნისა „ბერმუდის სამკუთხედი“, რომელშიც იუმორისტულ სტილში პასაჟებად კრთის ამგვარი მოარული ქალაქური „ამბები“.

ჩემი ურთიერთობა, ზვიადთანაც და მერაბთანაც მხოლოდ იდეური ფასეულებებითა და ღირებულებებისადმი ერთგულებით იყო გამსჭვალული და ეს ტიტანები, ჩემს გულში დღემდე დარჩნენ სრულქმნილ რაინდებად.

ჩემი გულისწადილი იყო, დამეწერა პირუთვნელი სიმართლე, ჩემი ეპოქის უახლეს ისტორიაზე და თუ რამდენად ობიექტურად ავსახე იგი, მკითხველმა განსაჯოს, თუმცა კი მოველი, რომ სუბიექტური მკითხველის სამსჯავროც, ჩემს მიმართ, იქნება ულმობელი...

ამ მძიმე და ტრაგიკული უახლესი ისტორიის წერისას, ერთობ ძნელი აღმოჩნდა ჩემთვის, ბიბლიური შეგონების გათავისება: „არა ამხილო უკეთურნი, რათა არა მოგიძულონ შენ, არამედ — ბრძენნი“.

მე კი ამგვარი გულსავსე გრძნობით გავასრულე ჩემი ნაშრომი: „ვინც მიყვარს, მას ვამხილებ...“ (გამოცხ. იოანე ღვთისმეტყველისა, თავი მესამე).

შენდობას ვთხოვ ყველას, რამეთუ მძიმე იყო ხვედრი ჩემიც...

პუბლიცისტიკა

არქივიდან – დაუბეჭდავი

ნეოსტალინელები

9 აპრილის ვანდალური აქტი, თავისი სისატიკით, წარმოადგენს ნეოსტალინიზმს საქართველოში. იმ სტალინიზმს, რომელსაც, თითქოს, ასე აღშფოთებით გმობს საბჭოთა რუსეთი, მაგრამ, როგორც დავრწმუნდით, გმობს სიტყვიერად, ხოლო საქმით კი კვლავ აპრობირებული პრაქტიკით მიმართავს სტალინურ რეპრესიებს. ხოლო, იოტისოდენა დანაშაულსაც არ გრძნობს ჩადენილი ბოროტმოქმედების მიმართ. ამ განცხადების საფუძველს მაძლევს ის ფაქტი, რომ ჯერჯერობით, არც ერთ ოფიციალურ პირს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფარისევლურ წუხილს) მონანიებით არ უღიარებია თავისი დანაშაულებრივი წვლილი 9 აპრილის ტრაგედიაში. არც ბატონი გორბაჩოვის მიმართვა „საქართველოს კომუნისტებისადმი და ყველა მშრომელებისადმი“ შეიცავს ამგვარ თვითკრიტიკას, არამედ, პირიქით...

ჩვენ, ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე დანაშაულებრივ სახელმწიფოში გვიხდებოდა თანაცხოვრება. დღეს, კომპარტიის ლიდერები, მსოფლიოს წინაშე, თითქოს ესწრაფვიან სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას, მაგრამ 9 აპრილის ტრაგედია, ვერაფრით იქნება ამის დასტური.

საბჭოთა ხალხმა, მუხანათური თავდასხმისათვის ფაშისტები უწოდა გერმანელებს (კაცობრიობის მაშინდელ მტრებს). დღეს კი ჩვენ, მუხანათურად (წინასწარი გაფრთხილების გარეშე) ალყაში მოგვაქცია და თავს დაგვესხა ჩვენი „უფროსი ძმის“ – რუსეთის წითელი არმია. მსოფლიოში ამ უპრეცენდენტო ფაქტს, საერთაშორისო მასშტაბით უნდა მიეცეს სათანადო კვალიფიკაცია და ვიმედოვნებთ, რომ აუცილებლად მიეცემა.

სამოცდაათი წლის განმავლობაში, საბჭოთა ადამიანებს ურცხვად არწმუნებდნენ, რომ „ჩვენ ყველაზე ჰუმანურ და ყველაზე სამართლიან სახელმწიფოში ვცხოვრობთ“. გაცვდა ტყუილი და გაწამდა სული ტოტალიტარიზმის წნეხის ქვეშ. მოთმინების ფიალა აივსო. უსამართლობის გრძნობით დასნებოვნებულ გულზე კვლავ უღვთოდ გვაბიჯებენ ფეხს, სულში გვაფურთხებენ – გვაბრალებენ აგრესიულ ქმედებებს და უკეთურ ზრახვებს. ჩვენი ბრძოლის გზა კი მხოლოდ მშვიდობიანია, ხოლო მიზანი კი სამართლიანი – წარმოვადგენდეთ დამოუკიდებელ და თავისუფალ ერს.

ჩვენ გვაფიქრებს იდენტობა ბატონ გორბაჩოვისა და ბატონ პატიაშვილის ჩვენდამი წაყენებული ბრალდებებისა, რომლებიც „ანტისაბჭოურ“ ლოზუნგებად ასახელებენ ჩვენს მიერ „საქართველოს დამოუკიდებლობის“ კონსტიტუციურ მოთხოვნას. ჩვენ არ გავკადნიერდებით და არ ვთხოვთ მათ ჩაიხედონ კონსტიტუციაში და კანონთა კრებულებში, მაგრამ ფრიად გაოცებულნი კი ვკითხულობთ: კი მაგრამ, კანონები? კონსტიტუცია? მაშ, ანტისაბჭოური ყოფილა მთელი კონსტიტუცია.

ამგვარმა უმართებულო ბრალდებების რიგმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ საბჭოეთში ცალკე დგას კონსტიტუცია და ცალკე ხალხი, წართმეული უფლებებით, რომ არსებული კონსტიტუცია საზღვარგარეთისათვის საჩვენებელი კონსტიტუციაა და ჩვენ კი (მოქალაქეებს) უფლებები არა გვაქვს მასზე.

ყოველივე ამის შემდეგ, რაც ჩვენი კანონიერი მოთხოვნების გამო, თავს დაგვატეხეს მომხვდურებმა, ჩვენ აღარ გვწამს „გარდაქმნისა და დემოკრატიის“. ჩვენთვის ეს სიტყვები დღეს უკვე საზარელ სიყალბედ და გამაღიზიანებელ ფაქტორად იქცა. ჩვენ ვერ ვიწამებთ გარდაქმნასა და დემოკრატიას მანამ, სანამ სრული სახით არ იქნება აღდგენილი სიმართლე, სანამ, განურჩევლად რანგისა და თანამდებობისა, საკადრისი არ მიეზღვება მკვლელებს.

ბატონმა გივი გუმბარიძემ, ამა წლის 22 აპრილს გამართულ თბილისის საქალაქო კომიტეტის თათბირზე აღიარა თავისი წვლილი 9 აპრილს საგანგებო წესების შემოღების საკითხში, რისი გადაწყვეტილებაც მიიღო ცენტრალური კომიტეტის 8 აპრილის პარტიული აქტივის კრებამ, რომლის მუშაობაშიც, 16 წევრიდან, ბატონი გივი გუმბარიძეც იღებდა მონაწილეობას. მართალია ბატონი გივი ბრძანებს, რომ „პირადად ჩემთვისაც, კონკრეტულად არ იყო ცნობილი ამ ღონისძიების კონკრეტული გახორციელების გეგმა, დრო, ფორმები და საშუალებებიო“ (გაზ. „თბილისი“, 1989 წ. 25 აპრილი), მაგრამ მიგვაჩნია, რომ ასეთი განცხადება მას არ უხსნის პასუხისმგებლობას მომხდარ დანაშაულზე. უფრო მეტიც: ზემომოტანილი განცხადების სიყალბე დაადასტურა ბატონ პატიაშვილის გამოსვლამ დეპუტატთა პირველ ყრილობაზე, სადაც მან თქვა, რომ „... იმავე შვიდ აპრილს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ გუმბარიძემ შემატყობინა, რომ ესაუბრა ცენტრს და თბილისში ჩამოდის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარების რაზმი“.

ბატონ გივი გუმბარიძის სიტყვების მთელი სიყალბე დაადასტურა, აგრეთვე, ავადსახსენებელმა როდიონოვმაც იმავე ყრილობაზე: „ამ მოვ-

ლენების დროს კი ამხანაგ გუმბარიძეს ეკავა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი და იყო ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი. მაშ, ვისთან უნდა იმუშაო, ვინ იტყვის აქ სიმართლეს? ყოფილი ხელმძღვანელები დუმან, ახლებმა ყველაფერზე უარი თქვეს...“ (გაზ. „კომუნისტი“, 1 ივნისი, 1989 წ.).

საკვირველია, რომ კვლავ გრძელდება ყალბი რიტორიკა მიმდინარე მოვლენებზე. პოლიტბიურომ მოუწონა და კომუნისტურ ღირსებად ჩაუთვალა ბატონ პატიაშვილს გადადგომის გადაწყვეტილება, როცა იგი თვითონ არ მისულა ამ აუცილებელ გადაწყვეტილებამდე, არამედ იგი აიძულეს გადამდგარიყო; მას მოსთხოვეს გადადგომა საქართველოს ინტელიგენციამ, ქართველმა დეპუტატებმა და ქართველმა საზოგადოებრიობამ, სტუდენტობამ. თვით ბატონმა პატიაშვილმა კი, აკადემიაში შეხვედრის დროს, ამ დრამატულ (გადადგომის) გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (არ ეთმობოდა რა სავარძელი) სინანულით აღნიშნა: „მე მივდივარ მაშინ, როცა ვგრძნობ, რომ რაღაცის გაკეთება შემიძლიაო“, მაშინ როცა მას 4 წლის განმავლობაში სრული შესაძლებლობა ჰქონდა საქმით დაემტკიცებინა თავისი ერის სიყვარული, ჰუმანიზმი და პატრიოტიზმი. ბატონი პატიაშვილის სიტყვები და ხალხის ლოგიკური მოთხოვნაც მოისმინა ბატონმა შევარდნაძემ, მაგრამ მან მაინც, რატომღაც ასეთი რიტორიკული კომენტარი გაუკეთა ამ ფაქტს: „საბჭოთა მთავრობის ისტორიაში თითქმის არ არსებობს გადადგომის ფაქტი“. მან ამგვარი ნაბიჯი ღირსებად ჩაუთვალა პატიაშვილს, რომელსაც თავის დანაშაულებრივ წვლილზე მონანიებაც არ გამოუთქვამს, არამედ მან განაცხადა: „მე ჩემი სინდისის წინაშე მართალი ვარო“, რაშიც, ცხადია, პარტიულ სინდისს გულისხმობდა და არა, მორალურ-ზნეობრივს.

ვკითხულობთ ცენტრალურ პრესას, ვუსმენთ „ვრემიას“, ოფიციალურ პირთა გამოსვლებს და სამართლიანობის აღდგენის, ჭეშმარიტების დადგენის ყოველგვარი იმედი გვეკარგება. ცილისმწამებლური ბრალდებებით და ურცხვი ინტრიგით კვლავ და კვლავ ცდილობენ ჩადენილი ბოროტმოქმედებების გამართლებას. თავიანთი უკეთური მიზნის მისაღწევად, რას არ გვაბრალებენ: ანტისაბჭოურ ლოზუნგებს, ანტირუსულ განწყობებს, ეროვნებათაშორის შუღლის თესვას და პატრიარქის ჩვენს მიერ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც.

პირიქით კი იყო: როცა აგრესორებმა მომიტინგეებს შორის დაინახეს პატრიარქი, ერთ-ერთმა მეთაურთაგანმა ჯარისკაცებს ბრძანებით შეუძახა: „ეი, პოპ, ბეიტე ეგო!“ რის შემდეგაც ჯარისკაცები პატრიარქისკენ დაიძრნენ. პატრიარქის გაყვანა ქართველმა მილიციელებმა მოასწრეს.

ამის თვითმხილველი და გამგონეც თავად გახლავართ და სხვა შემსწრენიც ჰყვებიან.

რაც შეეხება პატრიარქის მოწოდებას დაშლის თაობაზე, პატრიარქმა სიტყვის დასაწყისშივე ბრძანა: „მე მთავრობას არ გამოვუგზავნივარ, არამედ ჩემმა მღვდლებმა შემატყობინეს, რომ ქალაქში უკვე შემოსულია ჯარი და ყოველ წუთს მოსალოდნელია მათი აქ შემოსვლა და მოგიწოდებთ გადავინაცვლოთ ქაშუეთისა და სიონის ეკლესიებში“, რაზეც პატრიარქმა მიიღო ქართველი ერის ერთხმიანი და ერთსულოვანი პასუხი: „არა!“ და ეს, არამც და არამც არ იყო ქართველი ერის უპატივცემულობის გამოვლინება თავისი სულიერი მამისადმი, არამედ იქ, იმ დროს ისეთი ამაღლებული განწყობა სუფევდა, რომ თვით რომელიმე ლიდერთაგანს, თუნდაც გამსახურდიასა და კოსტავას, რომ მოეწოდებინა თვითდაშლისაკენ, ხალხი, არც ამგვარ მოწოდებას მიიღებდა და არ დაიშლებოდა.

ქართველი ერის იმღამინდელი ერთსულოვნება და სულიერი სიმტკიცე, უთუოდ იგრძნო პატრიარქმა, რომელსაც თურმე გამოძახილი უპოვია მის წირვაში, რომელიც მას მეორე დღეს სიონის ტაძარში ჩაუტარებია. მე, სამწუხაროდ, არ შემეძლო მეორე დღეს ეკლესიაში წავსულიყავი, რადგან ფიზიკურად ნაცემი და სულიერად განადგურებულ-ნაგვემი უსასოოდ ვეგდე საწოლში. პატრიარქს კი უთქვამს შემდეგი: „ქართველი ერი ისეთი ამაღლებული არ იქნებოდა ჩემს თვალში, როგორიც დღეს არის, ჩემს მოწოდებაზე რომ დაშლილიყოვო“ და რწმენით დაუძენია, რომ ასეთი სულმტკიცე ერი ღირსია თავისუფლებისაო.

მე არ ვიცი, სიმართლის რამდენ მარცვალს შეიცავს ეს მონაყოლი, მაგრამ ვფიქრობ, პატრიარქმა აუცილებლად უნდა მისცეს განმარტება პრესასა და ტელევიზიას მის ირგვლივ აგორებულ ტყუილ-მართალზე. აგრეთვე, ერთი სპეციალური გადაცემა უნდა მოეწყოს საკავშირო ტელევიზიისთვისაც. საკავშირო პრესა და ოფიციალური პირნი ეწევიან პოლიტიკურ სპეკულაციას საქართველოს პატრიარქის სახელით, პატრიარქი ამის საჭიროებას, ალბათ თვითონაც გრძნობს და უმორჩილესად ვთხოვთ მას, თუ მართალია, დაადასტუროს სიონის ფაქტიც.

ჯარისკაცები, რა თქმა უნდა, ბრძანებისამებრ მოქმედებდნენ, როცა ორლესულ ბარებს, გაზებსა და მომწამვლელ ქიმიურ ნივთიერებებს იყენებდნენ ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ვინ შთააგონა მათ ის სიტყვები, რისი თანხლებითაც გვისწორდებოდნენ? როგორ ერთბაშად დაიმსახვრა ჩვენი რწმენა „სამართლიან“ და „მშვიდობიან“ საბჭოთა არმიაზე, რომლის ნაწილსაც ჩვენი ქართველი ჯარისკაცებიც შეადგენენ. ახლა კი ისინი ჩვენს თვალწინ წარმოჩინდნენ, როგორც შეუწყნარებელი მკვლელე-

ბი, როგორც აგრესორები. სხვა ეპითეტს მათ ვერ შევუფარდებ, როცა, თურმე, ერთი ფეხმძიმე ქალი (ალბათ, ელისო ჭიპაშვილი) ევედრებოდა მათ „ფეხმძიმე ვარ, ნუ მომკლავთ“-ო, ჯარისკაცებმა უფრო გაავებით დაუწყეს ჩეხვა ცინიკური შეძახილებით: „ახ, ბერემენა? ვოტ ტებე ბერემენა! ვოტ...!“

სატელევიზიო გადაცემა „მოამბეში“ მოწვეულმა ჩვენმა იურისტებმა გამყრელიძემ და ლილუაშვილმა განმარტეს, რომ როგორც ჯარების უფროსს არა აქვს უკანონო ბრძანებების გაცემის უფლება, ასევე, არც ჯარისკაცებს აქვთ ამგვარი უკანონო ბრძანებების აღსრულების უფლებაო და მოცემულ შემთხვევაში ორივე მხარე ერთნაირად ისჯება, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენიო.

ჩვენი სახელმწიფო ერთადერთი პარადოქსალური სახელმწიფოა, სადაც რაგინდარა ჯურის დამნაშავეებს გარანტირებული აქვთ თავისუფლება, ხოლო უდანაშაულო ადამიანები ციხის ბნელ და ნესტიან დილეგებში იტანჯებიან.

დღემდე ვერ მივმხდარვარ, რაში მდგომარეობს ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, გია ჭანტურაისა და ირაკლი წერეთლის დანაშაული, როცა მკვლელები კვლავ თავისუფლები არიან და თანამდებობებზეც სხედან? როცა ამ ლიდერთა მთელი „დანაშაული“ მხოლოდ ის არის, რომ მათაც იწამეს ყბადაღებული გარდაქმნისა და დემოკრატიის, დაიჯერეს, რომ „გარდაქმნილი“ მთავრობა ორლესულ ნიჩბებს არ აღმართავდა მშვიდობიანი დემონსტრაციის დასაშლელად.

ყალბია მათ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის“ თაობაზე, რადგან საზოგადოებრივი წესრიგი მათ არ დაურღვევიათ და არც შეეძლოთ დაერღვიათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი მიტინგს წარმართავდნენ მთავრობის სახლის მაღლივი საფეხურებიდან, ხოლო ტრანსპორტისა და მოქალაქეების სავალ გზასა და ტროტუარებზე ვიდექით ჩვენ, ათასობით ადამიანი, რომლებიც საკუთარი ნებით მივედით იქ. ხოლო, ლიდერები კი, პირველ დღეებში, ხმის ჩახლეჩამდე მოგვიწოდებდნენ – არ გადაგვეკეტა სატრანსპორტო გზა. შემდგომ დღეებში ამ მოწოდებამ აზრი დაკარგა, მომიტინგეების მოზღვავების გამო.

ამგვარად, „საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებად“ უნდა ჩავითვალოთ ჩვენ, ხალხი და არა, არაფორმალურ ორგანიზაციათა ლიდერები. თუმცა ჯერ, როგორც იუწყებიან, მიმდინარეობს გამოძიება და მათი ეს ბრალდება დამტკიცებული არ არის და შესაძლოა მოეხსნათ კიდეც. საკითხავია: რატომ არ არის წინასწარ პატიმრობაში აყვანილი თუნდაც

ერთი თანამდებობის პირი, მაშინ როცა მათი დანაშაულობანი სახეზეა და თითქმის ფაქტადაა ცნობილი?

საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდა 5 მაისის ქალთა მიტინგის შესახებ. ეს გახლდათ პირველი მასობრივი ქალთა მღელვარე მანიფესტაცია. მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრობა, ოდითგანვე დიდ მისიას აკისრებდა საქართველოს ქალებს და მათაც ღირსეულად უტვირთიათ ეს ღვთიური თუ ისტორიული მისიები. ნიშანდობლივია 5 მაისის ქალთა მანიფესტაციაც. ნუ დავიმშვიდებთ თავს მამაკაც ლიდერების ციხეებში იზოლაციით. გახსოვდეთ: მანდილთან ერთად, ქართველ ქალებს ხმლისა და დროშის ჭერაც ხელგვეწიფება. არ არსებობს ძალა, რომელიც ჩვენში მიმდინარე ეროვნულ მოძრაობებს შეაჩერებს. ჩვენ უკვე ვეღარ შევეგუებით სოციალისტურ შირმებს, კომუნისტურ ნიღბებს, ტოტალურ სიცრუესა და ორპირობებს. ჩვენ აღარ დავმორჩილდებით პირველყოფილ ტოტალიტარიზმს, რაც მოუთმენელია დემოკრატიზმში და ყოვლად შეურაცხმყოფელია ცივლიზებული ერებისათვის.

როცა ჩვენს კონსტიტუციურ მოთხოვნას, ანტისაბჭოურად რაცხავენ, როცა ცილს გვწამებენ, როცა შურისგებით გვისწორდებიან („ზა სტალინუ!“), როცა ქალებს შეგნებულად გვკლავენ („ჩტობ ნი რაჟალი“), როცა თავისუფლების სურვილისათვის ბარბაროსულად გვჩეხავენ („სვაბოდუ ზახატელი...“), ჩვენ უფრო სულმწარედ და აუცილებლობის სიმტკიცით ვშლით ლოზუნგს: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“

ლეილა ცომაია
1989 წლის 6 მაისი

*ამ წერილის ჰონორარი (თუ იგი დაიბეჭდა), მსურს გადავრიცხო „9 აპრილის“ მემორიალის ასაგებ ფონდში (არ დამიბეჭდეს — **ლ. ც.**).*

გაზ. „განმათავისუფლებელი“, №56, 2018წ.

სიძულვილიდან სიყვარულამდე

ალბათ, არც ერთ პოლიტიკურ მოღვაწეს წილად არ ხვდენია ისეთ უკიდურეს სიძულვილისა და სიყვარულის ატმოსფეროში მოღვაწეობა, როგორც ბატონ ზვიად გამსახურდიას ხვდა. ამგვარ უკიდურესობათა გამოვლინებანი კი იმის დასტურია, რომ ქართველები ბუნებით მაქსიმალისტები ვართ, მაქსიმალისტია თვით ჩვენი პრეზიდენტიც.

ვისაც კი მასთან უმოღვაწია, არ შეიძლება არ ეგრძნო მასში სამშობლოსადმი მაქსიმალური სიყვარული და მაქსიმალური ღვაწლი. იგი ამ გრძნობის, თუნდაც წუთიერ მოდუნებას ვერავის პატიობს, ღალატად უთვლის. მკაცრია მისეული შეფასება? გეთანხმებით, მაგრამ ასეთია მისი კრიტერიუმი უპირველეს ყოვლისასთან დამოკიდებულებაში. უცხოა მისთვის კონიუნქტურა და პრაგმატიზმი, უჩნდება ეჭვი... ამიტომაც ჭირდა და ჭირს მასთან ურთიერთობები და, თანამებრძოლებიდან, ალბათ ამიტომაც მხოლოდ მერაბ კოსტავა შემორჩა, როგორც ღირსი რაინდი.

დიახ, ზემოხსენებული მაქსიმალიზმის გამო ჭირს ბატონ ზვიადთან თანამშრომლობა. ამ ძნელ გამოცდას მხოლოდ მერაბივით ღირსეულნი გაუძლებენ. და თუ პარლამენტში არ აღმოჩნდნენ ასეთნი, მაშინ იგი კენტად შემორჩება პარლამენტს და მარტო ზიდავს სიზიპეს ტვირთს. ამის მოწმენი გავხდებით. მისი ჯადო-ძალა, ღვთაებრივი ხატის – დედა-სამშობლოს ზნეკეთილ, გულწრფელ სიყვარულშია და ამაოდ დაგისახავთ მიზნად მისი დამარცხება.

„მე ზვიადის განთავისუფლებული საქართველო არ მსურს!“ „მე გამსახურდიას საქართველოში არ ვიცხოვრებ!“ „ძირს დიქტატორი!“, „ძირს ფაშისტური დიქტატურა!“ აი ოპოზიციონერთა ლოზუნგები, რომლითაც იბრძვიან. მხოლოდღა პარადოქსალური ფაქტია, რომ ასეთი ლოზუნგებისა და უკანონო ქმედებებისდა მიუხედავად, როგორღაც მაინც უვნებლად თანაცხოვრობენ ჩვენს გვერდით, თითქოს, ქართველი ერის უდიდესი ნაწილი უწიგნურ-გაუნათლებლები ვიყოთ, რომ არ ვიცოდეთ, თუ როგორია ფაშიზმი, რა არის დიქტატურა და რის დაშვებებს ითვალისწინებს დემოკრატია.

ცნობილია, რომ ზემოციტირებულ ლოზუნგებს საკმაო მხარდამჭერი გამოუჩნდა ჩვენს საზოგადოებრიობაში. მათ შორის, ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი. მე მინდა გავიმეორო, რომ ისინი ყველანი ორდე-

ნოსანი, კორუმპირებული ან კარიერისტი ინტელიგენტები არიან, მაგრამ მათ წარსულ ცხოვრებაში კი ნამდვილად აღინიშნებოდა, ნიჰილიზმი და ინდიფერენტიზმი თუ არა, კომპრომისი მაინც **სოციალური საკითხების** გამო, თუმცა ეს სულაც არ გამორიცხავს, რომ ისინი პატიოსანი ადამიანები არიან და გულწრფელად სჯერათ, რომ დემოკრატიისთვის იბრძვიან. სამწუხარო და გულსატკენი ის არის მხოლოდ, რომ ამ ბრძოლაში შეიარაღებულ ოპოზიციას კი არ გაემიჯნენ, არამედ თავიანთი თანადგომით ერთგვარად წააქეზეს კიდეც ისინი.

ამდენად, ინტელიგენციის ნაწილმა მეტად საეჭვო მდგომარეობაში ჩაიყენა თავი და ამით, ფაქტიურად გაწირა დემოკრატიის იდეალი და თვით საქართველოს თავისუფლების იდეაც. პოლიტიკურ ავანტიურებში გაუწაფავი ინტელიგენცია აღმოჩნდა რა იარაღი შეიარაღებული ოპოზიციის ხელში, მათი თანადგომა ავანტიურისტული მიზნებისათვის გამოიყენეს. სახეზეა სავალალო შედეგები...

ინტელიგენციის ოპოზიციონერობა გარკვეულ წილად განსაზღვრა, აგრეთვე მარქსისტულმა ცნობიერებამ, რაზეც ამომწურავად იყო საუბარი ქალბატონ ნინო გველესიანის აკადემიურ წერილში „ისევ ერის მოყვარული გული გერჩიოთ“ („თბილისი“, 8 ოქტომბერი, 1991 წ.) და მე საუბარს აღარ გავაგრძელებ. დავძენ მხოლოდ ერთს: ასეთი ცნობიერების პიროვნებებისათვის მეტად ძნელი აღმოჩნდა ეროვნულ ცნობიერებაზე გადართვა, რაც პოლიტიკური პროცესების ელვისებურმა განვითარებამ განაპირობა.

ეს, რაც შეეხება ცნობიერების ფაქტორს, რომელიც პიკანტურ პრობლემად მოჩანს, სულმდაბალ შურის ფაქტორის ფონზე, რომელიც მისი გენეზისის გამო ყოველთვის წარმოადგენდა ჩვენი ეროვნული ტრაგედიების მიზეზთა მიზეზს. დიახ, ჩვენში ყოველთვის მძვინვარებდა შური. მძვინვარებს დღესაც და ამკვიდრებს აგრესიას.

სწორედ აგრესია წარმართავს მავანი ინტელიგენტის ქმედებას, რომელიც გუშინ ჩამოვიდა სოფლიდან და დღეს უკვე, რატომღაც თბილისელად (ქალაქელად) მოაქვს თავი. არადა, ცნობილია, რომ ქალაქელად მესამე თაობა ითვლება მხოლოდ. „სუნიანი ნახირი“, „გონდაბნელებული მასა“, „ბრბო“, „უვიცი სოფლელები“ და კიდევ ვინ იცის, როგორი ეპითეტებით „ამკობენ“ ალალ და გულმართალ სოფლელთ. და ამით (უპირველესად) თავიანთ უკიდურეს პროვინციალიზმს ამჟღავნებენ. უფრო მეტიც – ეს გაქალაქებული სოფლელები იმდენად გაკადნიერდნენ, რომ თავიანთი კუთხის – ოდიშელ ხალხს, ახალგაზრდული გაზეთის ფურცლებიდან ასე მოძღვრავენ: „... სანამ თქვენი თვალით არ დაინახავთ, საითკენაა ჭეშ-

მარიტება, პოზიციას ნუ გამოკვეთავთო“, რითაც არაობიექტურობაში დებენ ბრალს. თითქოს, იმისათვის რომ სწორად შეაფასო პრეზიდენტის საქმიანობა (მოვლენები), ქალაქში ცხოვრებაა აუცილებელი. სოფლიდან, სულ რაღაც ათასიოდე კილომეტრის მანძილიდან ვერ დაინახვება. მაშ, საკვირველია, როგორღა ხედავენ ისინი ასიათასობით კილომეტრით დაშორებული ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს, რომ წერენ: „არ გვეგულება შეგნებული ქართველი, რომელსაც თავისი პატარა ქვეყნის მომავალი ავსტრიის, შვეიცარიის, სკანდინავიის დარად არ ეოცნებებაო“, ვენდოთ?

არა, ბატონებო, ასე ხელწამოსაკრავი არ გახლავთ სოფლელი.

„სოფლელი ბრძენიაო“, უთქვამთ და ჭეშმარიტად! თქვენ კი დემაგოგიით ვერ **გაასულელებთ** მათ, უცდომელია სოფლელის ალღო. ამგვარმა ალღომ ააწევინა ჩვენს ბრძენ სოფლელებს დიადი ლოზუნგი: „საქართველო მარტო თბილისი არ არის“, რომელიც ქალაქელების პარტიკულარულ ლოზუნგს დაუპირისპირეს და მით ჩაშალეს თბილისისათვის პროვინციების ჩამოცილების მავნე მცდელობა.

1983-89 წლებში, როდესაც ყველანი ერთად წარმოვადგენდით ეროვნულ მოძრაობას, თავად ჩავდიოდით დღეს ასე აუგადხსენებულ სოფლებში (რაიონებში) და იქაურ მშრომელებს ხმისჩახლეჩამდე მოვუწოდებდით წამოსულიყვნენ თბილისს და შეერთებოდნენ საპროტესტო აქციებს მთავრობის სასახლესთან. შემდეგ იგივე პარტიის ლიდერები, მთავრობის სასახლესთან ზარ-ზეიმით აცხადებდნენ, რომ ამა და ამ რაიონებიდან თბილისისაკენ დაიძრა ორასკაციანი, სამასკაციანი და ა. შ. კოლონა, რაც ჩვენ ძალას გვმატებდა. თბილისის ფაბრიკა-ქარხნებიდანაც გამოგვყავდა ხალხი და მათ მთავრობის სასახლისაკენ ორგანიზებულად მოვუძღოდით. დღეს რატომ იქცა მსგავსი აქციები დაცინვის საგნად? გამსახურდიამ სოფელი ქალაქს დაუპირისპირაო, გაჰყვირიან ოპოზიციონერთა მიტინგებზე და ზოგიერთი ვაიინტელიგენტის პირად საუბარშიც გაიგონებთ მსგავს უმართებულო ბრალდებებს, მაშინ როცა თავად დაუპირისპიდნენ სოფლელებს: „აქ რას ჩამოდიხართ, დღეში ორმოცდაათ მანეთს გაძლევენ აქ დგომის საფასურად, დაეტიეთ თქვენს სოფლებში“ და კიდევ ვინ იცის, როგორი უხამსი ცილისწამებები აკადრეს გულწრფელ და პატიოსან ხალხს და რომ ვერაფრით უკუაქციეს, კვლავ ჩვეულ დემაგოგიას მიმართეს: ხალხი კი არ უნდა იცავდეს პრეზიდენტს, პრეზიდენტი უნდა იცავდეს ხალხსო.

დიახ, ხალხს პრეზიდენტი უნდა იცავდეს, მაგრამ, ხალხიც უნდა იცავდეს პრეზიდენტს. და ეს, ასეც უნდა იყოს.

მაინც, ვინა ვართ ეს „ქალაქელები“? ჩემსავით მიწას გამოქცეული იგ-

ივე სოფლელები. ქალაქელების ფუქსავატურ პატრიოტიზმს ვერაფრით შეედრება სოფლელების ძარღვიანი და ლაღი პატრიოტიზმი. „რად მინდა პრეზიდენტის მოწოდება, თუ ქალაქში სიმშვიდე არ არის, სოფელში რა გამაჩერებსო“, ასე მარტივად გამოხატა თავისი პატრიოტობა, ჩემთან საუბარში ერთ-ერთმა სოფლელთაგანმა.

დიახ, ასეა და ასე ვიქცეოდით ჩვენც, 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობა, როცა უყოყმანოდ ჩავდიოდით ყველგან, ყველა რეგიონში, სადაც კი საქართველოს უჭირდა. და არსად არ მიგრძვნია თავი ჩასულად. ერთხელ კი გვაკადრეს, ლენინის ძეგლის ჩამოსაგდებად ბათუმში ჩასულთ საოლქო კომიტეტის პარტოკრატიამ: „თქვენ აქ ჩამოსულები ხართ და ვინ გეკითხებათ ჩვენთან ძეგლის ჩამოგდებასო“.

დიახ, „ჩამოსულები ხართო“, გვაკადრეს კომუნისტებმა და დღესაც იგივეს უკიჟინებენ, კომუნისტური იდეოლოგიის მატარებელი „დემოკრატი ინტელიგენტები“ სოფლელ ხალხს.

ტელევიზიასთან, სადაც ეს ამპარტავანი ინტელიგენტები (ქალაქელები) იდგნენ, სულ სამიოდეჯერ მივედი და, ჩემი პოზიციის გამჟღავნებისთვის, თოფის ლულა მომაბიჯინეს შუბლზე: „ქალები, პირველ რიგში ქალებს უნდა გაგიხვრიტოთ შუბლიო“, შემომსისინა ცხრამეტიოდე წლის ყმაწვილმა კაცმა სიძულვილით. თამარ მეფის, ქეთევან წამებულის, მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში, სადაც არც ის არის ალბათ შემთხვევითი, რომ სწორედ ქალმა, წმინდა ნინომ მოაქცია სრულიად ქართველნი მართლმორწმუნე ქრისტიანად.

ჩავუღრმავდეთ ამ ნიშანდებებს.

მოთხოვნები კი, რომელიც გაფიცულ ტელეჟურნალისტებს ჰქონდათ, შეიძლება ითქვას, სამართლიანი მოთხოვნები იყო (გარდა პოლიტიკური მოთხოვნებისა), მაგრამ ერთი კითხვა მაინც მაწუხებს: კომუნისტური რეჟიმის დროს, როდესაც ისინი, პირდაპირი გაგებით პარტიულ მუშაკებად იყვნენ ქცეულნი, რატომ მაშინ არ იმაღლებდნენ ხმას თავიანთი პროფესიული უფლებების დასაცავად? დღეს რომ ასე ერთთავად გაგულადებულან, თანაც „ფაშიზმისა და დიქტატურის“ პერიოდში? იგივე კითხვები მიტრიალებს ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლების მისამართითაც, რომლებიც სულ სამიოდე წლის წინ, არამცთუ იფიცებოდნენ ან მანიფესტაციებში იღებდნენ მონაწილეობას, არამედ თვით პეტიციებზეც კი ვერ ბედავდნენ ხელის მოწერას.

თურმე რამდენი „გმირი“ გვყოლია, წლების განმავლობაში რომ ვუხმობდით და არ ჩნდებოდნენ...

ჩემთვის, აბსოლუტურად მიუღებელია საპარლამენტო ოპოზიციის

საქციელი, რაც ბადებს აზრს ქუჩის ოპოზიციასთან ალიანსისა.

თუ ქუჩის ოპოზიციისა და პარლამენტის ოპოზიციის ერთდროული იერიში უბრალო თანხვდენაა, მაშინ ჭკვიან და პატრიოტ პარლამენტარებს აუცილებლად მხედველობაში უნდა მიეღოთ და თავიანთი დემარშებისათვის უფრო სტაბილური დრო შეერჩიათ, ან სულაც დაესწროთ მოვლენებისთვის, რაც სავსებით გამორიცხავდა ეჭვის ფაქტორს. დეპუტატებად არჩევით ჩვენ მათ ასპარეზი მივეცით უზენაეს საბჭოში ცივილიზებულად ბრძოლის, რამეთუ ქუჩამ, 1990 წლის 28 ოქტომბრისათვის, სავსებით ამოწურა თავისი ფუნქცია.

მავანთა პიროვნული თუ პოლიტიკური ამბიციების მიზეზით, საქართველოში დღეს, ძმათა სისხლი იღვრება. გაღებულია სულისშემძვრელი მსხვერპლი ძმათა შესარიგებლად, გია აბესაძის მოწამეობრივი თვითმკვლელობის ფასად. ნიშანდობლივია, რომ მან თავი ოპოზიციის აქციის მიდამოებში დაიწვა (ე. დ. პ. შტაბბინის წინ), რითაც მისახვედრი გახადა თავისი მოწოდების აქცენტი.

პიროვნება, რომელსაც ასეთი მაღალი მოქალაქეობრივი მრწამსი გააჩნია, შემთხვევით არაფერს ჩადის, მას თვით ნიუანსიც გათვალისწინებული აქვს.

ამას შეგნება უნდა!

ჩვენც შევიგნოთ! რითაც ლახვარს ჩავცემთ და საბოლოოდ დავამარცხებთ კრემლის „დიდი კეტის პოლიტიკას“ საქართველოში.

ლეილა ცომაია

22 ნოემბერი, 1991 წელი. გაზ. „თბილისი“, №215

მძულვეგელნი

სიძულვილი პარაფსიქოლოგიური მოვლენაა და ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს, გონებასა და სულს ძნელად თუ გაუნათებ. ამ გრძნობით გაჟღენთილი ადამის ძე გონწალეკილი, გააფთრებული მოარღვევს სიძულვილის ბობოქარ მორევს და ლამობს ამ მორევში დანთქას მისი სულიერი მზერის დამაბრმავებელი ნათელი – სიმართლე.

ამ ცნობამიხდილ წადილს შეჩერება (შეკავება) სჭირდება.

იგი მწვალებელთა, ინტრიგანთა, მოშურნეთა, ცუდმედიდთა, სულმდაბალ და გულნამცეცათა მზვაობით აზვირთებული მორევია, რომელიც შმორიანად მობორგავს ჩვენში 1991 წლის 22 დეკემბრიდან დღემდე.

და მზვაობს მოძულეთა ლაშქარი.

– ...ყველანი უნდა დაიჭირონ! ყველა მიტინგი უნდა დაირბეს! ზვიადისტები უნდა დაიხვრიტონ!... მოღალატე მეგრელებს საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს!... ვინ ეკითხება წვრილფეხობას!... ჩვენ, ქალაქელები!... –

ამპარტავნულად გაჰყვირიან ტრიბუნიდან, პრესის ფურცლებიდან, რადიოდან, ტელევიზიიდან იდე-ფიქსით შეპყრობილი პატივმოყვარე გვამები.

ჩვენი მოთმინება კი მრავალგზის გამოიცადა ამ მოძულეთა ლაშქრის ზღვარდაუდებელ ლანძღვასა და ცილისწამებაში, რეპრესიებში, რბევებში, დახვრეტებში. გამოიწრთო პოლიტიკურ ბრძოლებში, თუმცა შეჭირდა სული პერმანენტულ ისტერიულ ყოფაში. ძნელია, ამგვარ განუკითხავ ვითარებაში შეინარჩუნო მოთმინება და არ წაგლეკოს უსამართლობით დაგროვილმა რისხვამ. არ გადასცდე კეთილგონიერების ზღვარს და შენც არ იქცე ღმერთგანდგომილთა სატანის მოდგმად. ჩვენ, ქრისტიანულმა მოთმინებამ და შემწყნარებლობამ აგვამაღლა მოძულეთა ზედა. ჩვენ, მხილების გარდა, სხვა იარაღი ხელთ არ აგვიღია. თუმცა, მოძალადე ხელისუფალნი, კვლავ და კვლავ, ძალისმიერი მეთოდებით გვებრძვიან. უიარაღო ხალხის წინაშე იარაღს კი ცვედანნი და მტყუარნი იღებენ ხელთ.

ჩვენ კი მართალნი ვართ!

და მით, უძლეველნი!

იცის ეგ ხუნტამ, რომლებიც, სახიერებით იმასა ჰგვანან (მკვლელთა და ყაჩაღთ), ვისაც ნამდვილად წარმოადგენენ. ამ ამღვრეულ იერ-სახეს (აურას) არაფერი ეშველება, ამაოა გზის ჩვენებაც ეკლესიისკენ, თუმცა იქაც სატანები დაბუდებულან, სადაც მკვლელებმაც თავაწეულად

შეაბიჯეს, დიდი სანთლებით, ხატების წინ ფარისევლურად ჩამოდგნენ და კოკობზიკობენ. ამგვარი მოჩვენებითი მორწმუნენი, საპატრიარქომ უფრო მხურვალედ ჩაიკრა გულში, ყველა ეკლესიის კარი ფართოდ გაუღო და უმეტესი პატივითაც მიიღო. არა, როგორც ძე შეცდომილნი, არამედ, ზვიადიზე უფრო საყვარელნი.

ასე იქცა ეკლესია – საუფლო სახლიც „ელიტარულ“ დარბაზად, სადაც უწმინდურთ ეალერსებიან, ენას უჩლექენ, ზიარებასაც, მოუნანიებლად და წესისმიერი, კანონიკური ლოცვანის გარეშე აძლევენ.

მე კი, რომელიც, ჯერ კიდევ მაშინ ვიყავი ეკლესიური მორწმუნე, როდესაც დღევანდელი მღვდლების ნაწილი ათეისტები იყვნენ, სამხედრო გადატრიალების შემდგომ, სიონის ეკლესიაში, არცერთმა მღვდელმა არ მაზიარა და ეკლესიიდან გამომაგდეს; იქ უკვე ხუნტა ბოგინობდა, როგორც მრევლში, ასევე მღვდელმსახურებში და აგრესიას ავლენდნენ. მე ათი წლით განვეშორე ეკლესიას. ეკლესიას განეშორა მისი ნამდვილმორწმუნე მრევლი. უფრორე იმიტომაც, რომ მღვდელმთავრებმა, დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების დროს, ეკლესიები, კაცთაკვლის სამიზნეებად და იარაღის საწყობებად აქციეს (ქაშუეთის ეკლესია, წმ. პანტელეიმონის ეკლესია, ორთაჭალის წმ. ბარბარეს ეკლესია). ამ საშინელმა მოვლენებმა გამოიწვია ჭეშმარიტ მორწმუნეთა განრიდება ეკლესიების ქვაბავაზაკ ღვთის მსახურთაგან. ვიმედოვნებ, ჭეშმარიტი მორწმუნენი ვიპოვნით ძალას საკუთარ სულში და კვლავ დავუბრუნდებით დედა-ეკლესიებს. საპატრიარქოსა და სამღვდელოებას, არ გავაიგივებთ ღვთის სახლთან.

იმგვარი ტლუ კაცისაგან, როგორიც ქალაქის მილიციის უფროსი **დავით ზეიკიძეა**, არაფერი უნდა გაგვიკვირდეს; მას, თავის სამსახურეობრივ მოვალეობად, მტკიცედ დაუსახავს საკუთარი ხალხის ჯალათად ყოფნა და ლექსიკონიც შესაბამისი გააჩნია: „...არ დავუშვებ! დავარბევ! სასტიკად გავუსწორდები, იარაღსაც გამოვიყენებ!“ და ამ ყველაფერს... „ზვიადისტების“ წინააღმდეგ, როდესაც კრიმინალი „ყვავის“ დედაქალაქში.

ეს, 30-იანი წლების ტიპიური ჩეკისტთაგანი, რომელსაც გარეგნობაც და ჩაცმულობაც (უკეთურად შავგრემანი, ავად აჭრილი, მოწრიალე წვრილი თვალებით და თითქმის უნიფორმად ქცეული შავი პერანგით) დამახასიათებელი აქვს, სიამოვნებით ახორციელებს რბევას და რეპრესიებს ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერი სტუდენტი ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის წინააღმდეგ. ზეიკიძეს, დირიჟორ-განმკარგულებელიც ხომ სტალინ-ბერიას მემკვიდრე შევარდნაძე ჰყავს. აკი, შევარდნაძემ, დასახმარებლად, უკრაინიდან მოუხმო კიდეც ბერიას აჩრდილს – მისი

ვაჟიშვილის სახით, რომელიც სახელმწიფო ტელევიზიით შევარდნაძის ქება-დიდებით „გვმოძღვრავს“.

შევარდნაძისეულ ულტრა-ფაშისტურ რეჟიმს უნდა ვებრძოლოთ და არ-ამც და არამც, თუნდაც იძულებითი მორჩილებით, ხელი არ უნდა შევუწყოთ მის დამკვიდრებას. ამიტომაც გვიწევს პლაკატებით შეხლა შევარდნაძის ტი-რანულ რეჟიმთან. ამიტომაც ხშირად წააწყდებით სტუდენტ გოგონებთან და ქალბატონებთან შერკინებულ მილიციის სამმართველოს, მხედრიონისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შეიარაღებულ ოტროველა კაცებს. რაღა თქმა უნდა, რომ ამგვარი უთანასწორო ბრძოლა, ყოველთვის ხუნტის ხელისუფლების გამარჯვებით გვირგვინდება. ძალადობა ხომ, შევარდნაძის ძალაუფლების შენარჩუნების ერთადერთი გარანტია.

უჭირს სახელმწიფო მეთაურს, უჭირს პარლამენტშიც და პარლა-მენტის გარეთაც. ეკონომიურად და პოლიტიკურად აგრერიგად დაუ-ძლურებულ სახელმწიფოში, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაო-ბასაც, თითქოს, ბრძოლის უნარი აღარ უნდა შერჩეს, მაგრამ დიდი და მოუღლელი ყოფილა სიმართლის ძალა. და ვიბრძვით კანონიერებისა და სამართლიანობისათვის, დემოკრატიისათვის. სახელმწიფო მეთაური კი მრისხანებს ჩვენით შექმნილ პოლიტიკურ დესტაბილიზაციაზე და ქვეყა-ნაში გამრავლებულ კრიმინალზეც: „ეს მტრობაა! ეს საკუთარი ერის და სამშობლოს ღალატია!... სად გაგონილა, რომ სატვირთო მატარებლებს ძარცვავდნენ, ელექტრო ბოძებიდან სპილენძის მავთულებს ხსნიდნენ, ნავთობის მილებს ბურღავდნენ, სად? სად?!...“

სად და იმ სახელმწიფოში, რომელსაც ანტიხალხურ-ანტიეროვნული ხუნტის მთავრობა მართავს, სადაც ხალხს სიღატაკისთვის გასწირავენ და შიმშილით კლავენ. ღირსებაწართმეული კაცისათვის ზნეობრივი კრიტე-რიუმები აღარ არსებობს. „პატიოსნება“, „ზნეობა და მორალი“, როგორც კრიტერიუმი, ქრება და ეს ნორმები მხოლოდ ცარიელ სიტყვებად იქცევა!

თქვენ, ბატონო ხუნტის მეთაურო, ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან გააჩაღეთ სასოწარმკვეთი პროპაგანდა, რომ ჩვენ არაფერი არ გვაქვს, არანაირი რესურსი არ გაგვაჩნია, რათა თავი ვირჩინოთ, რომ ჩვენ სხვა ქვეყნის დახმარების გარეშე შიმშილით ამოვწყდებით, დავიღუპებით, რადგან არაფერი, სულ არაფერი გაგვაჩნია. მანამდე, ბუნებრივი რე-სურსებით საკმაოდ მდიდარი რესპუბლიკა საქართველო, თქვენს ხელში უცებ იქცა ყველაზე ღატაკ რესპუბლიკად. ამგვარმა მეთოდურმა პროპა-განდამ თავისი უკეთური საქმე უკვე გააკეთა: ქართველმა კაცმა დაკარ-გა იმედი, საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების რწმენა. უსასოობი-სა და უძლურობის გრძნობა დაეუფლა, გული აუცრუვდა. თქვენ, ხალხს,

შრომის შესაძლებლობები მოუსპეთ, სამშობლო გაუპარტახეთ და მოუოხრეთ. გაუძარცვეთ და დაუხურეთ საწარმოები და ქარხნები. უიმედობაში ჩავარდნილ ხალხს თქვენ, ორადორი გზა დაუტოვეთ: ქურდობა-ყაჩაღობა და მათხოვრობა. მიზანი ნათელია, ხალხის უკიდურეს სიღატაკეში ჩავარდნით, თქვენ გსურთ, ხალხს რუსეთთან ყოფნით დაუსახოთ თვითგადარჩენის ერთადერთი გზა. თქვენი მისიაც აღსრულებული იქნება! მამა-მარჩენალის იმიჯსაც იქმნით:

– მე მაძლევენ, რათა გამოგკვებოთ... – აყვედრით ხალხს მათხოვრულ ყოფას. თქვენ, სულიერებისა და რწმენის დამანგრეველი საბჭოური ტიპის იდეოლოგიური მანქანა, მთელი სიმძლავრით აამუშავეთ.

ამგვარი საბჭოური ტიპის იდეოლოგიური მანქანის მესაჭე ე. შევარდნაძე, თვით იმ დროსაც კი, როდესაც აფხაზეთის ომში სისხლისაგან იწრიტება საქართველო, საკუთარი უბადრუკი ხელისუფლების შენარჩუნებას ცდილობს სამტრედიაში, სენაკში, ფოთში, ჩოხატაურში და ა.შ. და ქადილით აცხადებს, რომ საკმარისი ძალები გააჩნია, რათა საკადრისად გაუსწორდნენ „მომხდურთ“(რომელშიც მხოლოდ ეროვნულ ძალებს გულისხმობს). იგი მეორე ფრონტს ხსნის სამეგრელოში და ქვეყანას სამოქალაქო ომისაკენ მიაქანებს. „რა ვქნა, მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღოვო“, თავს იმართლებს. და, როგორ მოლაპარაკებას სთავაზობდა ხელისუფლების უზურპატორი და სამხედრო გადტრიალების მომწყობი შევარდნაძე კანონიერი ხელისუფლების დამცველებს? აბსოლუტურად ცალმხრივს, რომელშიც მხოლოდ მისი ინტერესები უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. თუ ამგვარ „მოლაპარაკებაზე“ არ თანხმდება კანონიერებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი მეამბოხე მხარე, იგი მტერია და მტრულად უნდა გაუსწორდე. ასეთია მოძალადე ხელისუფლების ლოგიკა, რომელშიც სამართლიანობისა და დემოკრატიულობის ნატამალი არ დევს.

საოცარია ისიც, რომ ამგვარ ულოგიკო მოთხოვნაში, შევარდნაძე, ერთი მუჭა, ოდენ ფილარმონიის დარბაზის დამტევ თანამოაზრეებს ეყრდნობა მხოლოდ. გამჭრიახი და რუსეთის მოიმედე პოლიტიკოსი იხტიბარს მაინც არ იტეხს და ფილარმონიის ტაკიმასხრული ტრიბუნიდან უტრირებს: „თბილისი საქართველოა და საქართველო თბილისია“. ფილარმონიის ტრიბუნიდან გადმოსროლილი ამ სიტყვებით კი მან, უნებლიედ, შემოსაზღვრა მისი იურისდიქციის ფაქტობრივი არეალი და თბილისს, როგორც ხავსს ისე ჩაეჭიდა.

მაგრამ, არის კი თბილისიც მისი დასაყრდენი? ცხადია, არა! და ამაშიც უმალ დარწმუნდება (უკვე დარწმუნებულიც არის), როგორც კი იტყვის უარს საკუთარი მმართველობის დიქტატორულ რეჟიმზე და მიტინგების,

მანიფესტაციებისა და საინფორმაციო არხების მცირე თავისუფლებას მაინც გამოაცხადებს.

1993 წლის 14 სექტემბერი გახლდათ ე. წ. სახელმწიფო მეთაურისა და მისი გუნდის (საპატრიარქოს ჩათვლით) აგონიურ მდგომარეობაში ყოფნის ყველაზე თვალსაჩინოდ შემზარავი დღე, აპოთეოზი უკანასკნელი მასობრივი სცენისა. შევარდნაძის რეზიდენციის იმელის შენობასთან, ხუნტის ჟურნალისტების მიერ მოხმობილი ხალხის, დაახლოებით 500-მდე მასა, ისტერიული მუდარით შესთხოვდა შევარდნაძეს, არ გადამდგარიყო და უკან წაეღო გაბრაზებულ გულზე მიღებული გადაწყვეტილება. ასეთივე ისტერიული ვითარება იყო ხუნტის პარლამენტშიც – დაბნეულ-შეშფოთებული პარლამენტარები და მთავრობის წევრები სასოწარკვეთილ სახეებს ვერ მალავდნენ; ხალხის შურისძიების შიშით შეპყრობილნი, იგივეს ემუდარებოდნენ მათ მფარველ შევარდნაძეს, არ გადამდგარიყო. "იმელში" მალე პატრიარქი ილია მეორეც გაჩნდა, რომელმაც, შევარდნაძეს, უკან წააღებინა გადადგომის გადაწყვეტილება. შევარდნაძე კი, ლამის ხატზე დაფიცებით იქადნიდან, რომ გადაწყვეტილებას არ შეცვლიდა, არ ალოკავდა თავის გადაფურთხებულს.

და აი, ეგზალტირებული დაჩოქილი მასის წინაშე, შევარდნაძემ, თავისი გადაფურთხებული ალოკა!

ამ უღირსებო აქტით, კმაყოფილი და ბედნიერი დარჩნენ, თვით შევარდნაძე, პატრიარქი, პარლამენტისა და მთავრობის წევრებიც, რომელთა შორის განსაკუთრებით აქტიურობდა, შევარდნაძის ფავორიტი ირაკლი ბათიაშვილი. ხოლო დაჩოქილ მასაში კი – მწერლუკები: **ჯუმბერ თითმერია, ზურაბ თორია (მეუღლითურთ, იზოლდა ჭილაძე), ციალა არდაშელია...** 500-მდე უღირსებო კოლაბორაციონისტი.

ეს სირცხვილი, ქართველი ერის უახლეს ისტორიაში, მღაღადებლად დარჩება და ვეღარაფერი წაშლის მას.

ფურთხის ალოკვისა და მუხლზე დაცემის ამაზრზენი სცენით დაგვირგვინდა რუსეთის ემისარ ედუარდ შევარდნაძის ფარისევლური განცხადება „გადადგომის" შესახებ 1993 წლი 14 სექტემბერს.

ამ რენეგატებმა, ზვიად გამსახურდიასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიძულვილით, შევარდნაძეს კიდევ 10 წლით გაუხანგრძლივეს ხელისუფლებაში ყოფნა, რის შედეგადაც მივიღეთ სრულიად მოოხრებული, ტერიტორიებდაკარგული, დამცრობილი და განადგურებული საქართველო.

ლეილა ცომაია
1993 წლის 20 სექტემბერი

ზიზღი შევარდნაძის საქართველოს ანუ ეს ჩემი საქართველო არ არის!

არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ძნელია განსაზღვრა, თუ როდის მოეღება ბოლო მანქურთი შევარდნაძის მტარვალურ ბატონობას საქართველოში. ერთი რამ კი შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, – მაშინ, როდესაც იგი რუსეთის იმპერიულ გეგმებს სრულად და პირნათლად აღასრულებს (განახორციელებს). დასტურ, თავისი ვერაგი და ცბიერი პოლიტიკით, იგი უფრო პირწმინდად ანგრევს და მუსრავს საქართველოს, ვიდრე ამას, ხანგრძლივი და სასტიკი ომებით შეძლებდა უცხო თუ გარეშე მტერი.

საქართველოს ისტორიაში იშვიათია მსგავსი პოლიტიკური მოღვაწე(სტალინ-ბერია-ორჯონიკიძის გარდა), რომელსაც ასე ვერანად და პარტახად შეექმნას საკუთარი სამშობლო, გაესხვისებინოს მიწები, მეთოდურად გაერყვნას და დამნაშავეებად ექციოს თითქმის მთელი საზოგადოება, ტერორითა და ეკონომიური სიდუხჭირით დაეთრგუნ-დაეჩაჩანაკებინოს თავისი ხალხი.

ქართველი ხალხი, თავდაპირველად განაჯგონა (საბა) „დიდი პოლიტიკოსის“ მოჩვენებითმა ბრწყინვალებამ და ახლა, გაწბილებული, სასოწარკვეთით გოდებს, სულს ღაფავს.

ხალხი „დიდ ბავშვთა“ კრებულია – მალემრწმენი და გულუბრყვილო. და მაინც:

ხალხი ყოველთვის მართალია!

მართალია, როცა აბნევენ.

მართალია, როცა ატყუებენ.

მართალია, როდესაც დუმს.

მართალია, როდესაც ყვირის.

ხალხი ყველასთან მართალია! მართალია და ტრაგიკული.

ასე უღირსებოდ მიწაზე განრთხმული საქართველო და ქართველი ერი იშვიათად ახსოვს ისტორიას.

ეს, შევარდნაძის „გმირული“ (ნათლიმამურად, როგორც შერაცხა პატრიარქმა) ღვაწლის შედეგია, მისი პროვინციული ტირანიის ნაყოფია. და მაინც უსაზღვროა მისი უტიფარ ცინიზმამდე დასული ფარისევლობა და ცბიერება, რაც სატანასთან აახლოებს, მაგრამ კი შორს დგას სატანური დახვეწილობისაგან;

შიშველია და შემზარავი შევარდნაძის სივერაგე.

ბუნებაში ჩნდებიან ადამიანები, ვისთვისაც ბოროტის ქმნა, სისასტიკე და აგრესია ცხოვრების წესი და ნორმაა, მისი სულიერი მოთხოვნილებაა. შევარდნაძის პერსონის განხილვისას, სწორედ ამგვარ ანომალიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და ამიტომაც უპერსპექტივოა მასთან ცივილიზებული მეთოდებით (მიტინგები, მანიფესტაციები, გაფიცვები) ბრძოლა, მაგრამ მას ვერც შეიარაღებული დაპირისპირებით მოიცილებ. იგი თვით კლასიკურ რევოლუციასაც, მთელი სისასტიკით ჩაახშობს სისხლში, რამეთუ მისთვის, კარიერა, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. ერთადერთი უნეტარესი და უმაღლესი წადილია, ხატია მისთვის რკინის სავარძელი.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ შევარდნაძის ნებაყოფლობითი წასვლის შესახებ, მაგრამ მერწმუნეთ, ეს რომც ახდეს, იგი, საქართველოს, არც შორეთიდან მოასვენებს (რისი მწარე მაგალითები ჩვენ გვაქვს). შევარდნაძე არ დაუშვებს პოლიტიკურ გვამ-ლეშად ქცევას. იგი ბოლომდე იღვაწებს, რათა დაუმტკიცოს ჩრდილოეთსაც და მასონურ პოლიტიკურ სამყაროსაც ერთგულება. ერთგულების დადასტურების რეალური შანსი და პოლიტიკური ასპარეზიც კი მას მხოლოდ საკუთარ სამშობლოში – საქართველოში გააჩნია. ამ „ქართველურ უფლებას“ იგი ყოველთვის გამოიყენებს. „ქართველური უფლებით“ დაბრუნდა იგი საქართველოში, „ქართველური უფლებით ზრუნავს“ იგი საქართველოზე, როგორც ხშირად აცხადებს ხოლმე როყიო, ანუ მაღალი და უშნო ხმით.

იმ სახელმწიფოში, რომელშიც ბერბიჭაშვილები, ერის მამებს და თავდადებულ პატრიოტებს ტყვიებს ესვრიან, წამებით კლავენ – მოღალატეთა გასაგმირადაც უნდა აღიმართოს მეამბოხე სულის მარჯვენა.

სხვა გზა, ბოროტისა და მოსისხარი მტრის დასამარცხებლად, არ არის! სხვაგვარად ვერ გადავრჩებით!

შევარდნაძის მტარვალურმა რეჟიმმა, ერის თავისუფლების უბიწო სწრაფვა წუმპეში ჩანთქა. ქილიკითა და გატრიზავებით შებილწა ჩვენი უზენაესი იდეალი. ერი გახლიჩა, კუთხე – კუთხეებს გადაჰკიდა, გენოციდი მოუწყო ქართველთ. ემიგრანტებად, ლტოლვილ-დევნილად აქცია ხალხი. შარა-ქუჩებში მათხოვრად ან ჩარჩებად დასხა. დათრგუნა ჩვენი ამაყი გენი, დააძაბუნა. კვლავაც მონობით დაგვამცირა. ქართველთა სულში გენეტიკური სილაღე ჩაკლა, გაგვაუცხოვა. აპათიამ დაგვრია ხელი, გავოგნებულვართ!

ერთადერთი, ვისაც შეეძლო შევარდნაძის ბოროტი ნების დაძლევა – ზვიად გამსახურდია გახლდათ. ამიტომაც მოაკვლევინა. თუმცა, უმალ, უცოდველივით განაცხადა: „მე არ მინდა მომავალმა თაობებმა,

ზვიად გამსახურდიას სიკვდილი დამაბრალოს“. მაგრამ ისტორია, ცხადია, პროკურატურა არ არის, დანაშაულის დაფარვა რომ შეძლო. შევარდნაძე, ისტორიის განაჩენისა და თაობების რისხვას, თვით სიკვდილითაც ვერ აიცილებს.

„ზვიადისტებმა“ იმთავითვე უწყოდნენ, თუ რა უბედურებას მოუტანდა შევარდნაძის მმართველობა საქართველოს. ამიტომაც იყვნენ კატეგორიული წინააღმდეგნი მისი საქართველოში დაბრუნების. ამიტომაც გამოუცხადეს მის საარჩევნო ფარსს „იმედის არჩევნებს“ ბოიკოტი. თუმცა, ქართველი ერის ხმა, შევარდნაძის ხუნტისტური რეჟიმის მიერ, იარაღის ჟღარუნში იქნა ჩახშობილი.

დღეს, პოპულარული ინტელიგენცია და ჭკუასუსტი პოლიტიკანები, როდესაც ქვეყანა უკვე დააქციეს შურით აღძრული სიძულვილით, „შეცდომების გამოსასყიდად“ ახალი ბრძოლისათვის ემზადებიან და მხარდაჭერას გვთხოვენ შეუმცდართ. სხვისი არ ვიცი, მე კი ნამდვილად ვერ ვენდობი მათ და არ მსურს ისინი კვლავ ხელისუფლებაში ვიხილო.

შევარდნაძემ კი, როგორც ვვარაუდობდით, ქვეყანა ნამდვილად დააქცია და კვლავ უარესი გველის. შევარდნაძის ძალისხმევით, საქართველოს კატასტროფა გარდაუვალია, რასაც არ შეიძლება არ ჭვრეტდნენ ჩვენი მოაზროვნე ინდივიდები, მაგრამ კომფორმისტულად დუმან. ნაკლებად ან თითქმის არ რეაგირებენ პოლიტიკური პარტიებიც, რაც მათ საჭურისობაზე მეტყველებს. შეთქმულივით დუმს ინტელიგენციაც, დუმს სტუდენტობაც, რაც ორივე ფენის დენაციონალიზაციის მანიშნებელი სიმპტომია.

სხვაგვარად გაუგებარია დუმილი!

არ შეიძლება, სამშობლო, ფიზიოლოგიური ტკივილივით, დროებით ან პერიოდულად გვტკივოდეს. სამშობლოს ტკივილი სულისმიერი ტკივილია და იგი დღენიადაგ უნდა გვაკრთობდეს, გვაწუხებდეს. დღევანდელი და მომავლის საქართველოს შემყურე ქართველი ერი ერთიანად უნდა ბობოქრობდეს და არკი უნდა ეგუებოდეს თვითკვდომას, მონობას, შიმშილს. ყოვლად გაუმართლებელია ლეთარგიული ძილი და ცვედანური შიში. იგი უნდა დავძლიოთ ჩვენში მამულის გადასარჩენად! მე მხოლოდ ასეთი ფხიზელი და ენერგიული საქართველო მწამს და ისტორიულადაც მხოლოდ ამგვარი საქართველო ვიცი!

დღეს კი რა ხდება! ეროვნული მოძრაობის საეჭვო ლიდერები სიმართლეს უმალავენ ხალხს, რათა არ მოხდეს მათი აზვირთება. ამ განზრახვით აფუჩეჩებენ პრეზიდენტის მკვლელობის ფაქტსაც, რითაც აშკარად გრძელდება შეთქმულება ზვიადის წინააღმდეგ მისი სიკვდილის შემდეგაც.

ზვიად გამსახურდია კი იმიტომ წავიდა გმირულ თვითშეწირვაზე (რუსეთის სპეცნაზების ალყაში მოქცეული პრეზიდენტი მრავალგზის ცდილა ალყიდან გასვლას), რომ, რაკი მარტო ვერ უმკლავდებოდა ძლიერ მტერს, გამოეფხიზლებინა ქართველი ერი და ერთიანად დაერაზმა ულმობელი მტრის წინააღმდეგ.

ამგვარი და მხოლოდ ამგვარი ჯანსაღი რეაქცია უნდა გამოეწვია ჩვენში პრეზიდენტის მკვლელობას, მაგრამ როგორც კი ამ სულისკვეთებით დავაპირეთ მიტინგებისა და მანიფესტაციების წარმართვა, უმალ გამოჩნდნენ ახალ გამომცხვარი პოლიტიკური ლიდერები და ხელში აიღეს ეროვნული მოძრაობის სადავეები. მათ კი, მიტინგები, ხელისუფლებისათვის სასურველ კალაპოტში მოაქციეს. – ქუჩიდან, პარკებსა და სკვერებში გადაიტანეს. პარალელურად, უშიშროების სამსახურებმა დაიწყეს ხალხის დაბნევა-გაორება ზვიადის სიცოცხლის შესახებ ჭორების აქტიური გავრცელებით, რასაც ავითარებდნენ ეროვნულ მოძრაობაში შემოგზავნილი და ათქვეფილი თავისივე აგენტურების მეშვეობით. საამური ჭორი კი, მწუხარ გულზე, მალამოდ ეცხებოდა გულუბრყვილო მასებს. მათი საპროტესტო განწყობა, როგორც წინასწარ იყო გათვლილი, ხელისუფლებისათვის სასურველ განელებამდე დავიდა.

ჩვენს თვალწინ მოხდა, თავზარდამცემი ეროვნული ტრაგედიის განელება და საბოლოოდ კი გაციება.

აშკარად შეიქმნა სავალალო სურათი, მერაბ-ზვიადისეული ჭეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცრუ მოძრაობად გარდასახვის. დღემდე გრძელდება მანიპეულირება პრეზიდენტის სიცოცხლის თემით. „იგი მოვა (გამოჩნდება) და გააგრძელებს...“

ამაზრზენი მკრეხელური მოლოდინია!

ამგვარ „ეროვნულ-განმათავისუფლებელ ლიდერებს“ არაფერი აქვთ საერთო მერაბ-ზვიადისეულ იდეალებთან. ისინი, ყველანი ედუარდ შევარდნაძის კლონები არიან! ფურთხილოკიების, მუხლიჩოქიების და ფარისევლების საქართველოს კი, დავითისეულ, თამარისეულ, ილიასეულ, ზვიადისეულ საქართველოდ ვერ ვაღიარებ. ეს შევარდნაძის საქართველოა და ზიზღი, ასეთ საქართველოს!

ეს ჩემი საქართველო არ არის!

მე მრწამს, რომ ზვიად-მერაბისეული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა შეინარჩუნებს მისეულ სიწმინდესა და შემართებას, გმირულ სულს, რომელსაც ის ერთწლიანი საქართველოს თავისუფლება აღანთებს და უჩირაღდნებს, კვლავაც დარაზმავს. ქართველთა ბრძოლის მარადიულ ჟინში, იდუმალ ლიბოდ, დევს თავისუფლების უკვდავი რწმენა.

ედუარდ-ბოროტს და მის შავ-ბნელ ინტელიგენციას საქართველოს უახლესი ისტორიიდან სურთ ამოშანთონ 9 აპრილი – დასაბამი საქართველოს დამოუკიდებლობისა, რითაც შედუღაბდა ერი.

ამადაც არის ზვიად გამსახურდია, თვით სიკვდილითაც უძლეველი. ამიტომაც არის მისი წელიწადნახევრიანი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა – მთელი ეპოქა.

ამიტომ, ვაშა ზვიადის საქართველოს!

მე ამ საქართველოსთვის ვიბრძოლებ!

ლეილა ცომაია
1994 წლის 15 აგვისტო

ზვიად გამსახურდია ეროვნული მოძრაობის ჩრდილოვანი მხარეა?!

ისტორიული ანალიზი უაღრესად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. ამ მისიის აღმსრულებელი სუბიექტივიზმისა და მიკერძოებისგან მაინც უნდა იყოს განწმენდილი, რასაც სამწუხაროდ ვერ ვიტყვით ვახტანგ ძაბირაძეზე, გაზეთ „ახალ საქართველოში“ დაბეჭდილი სერიული წერილების მიხედვით (დასაწყისი №29, 1998 წ.). ჩვენც კარგად ვუწყით, რომ მსგავსი ხასიათის, ვერც ერთი ავტორის ნაშრომი ვერ იქნება სრულყოფილი, მაგრამ როდესაც ყოველი სტრიქონიდან ჟონავს პიროვნული სიძულვილი ეროვნული მოძრაობის თავკაცების მიმართ, ძნელია ენდო ავტორს.

ვ. ძაბირაძე, წარმოადგენს რა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას, ეროვნული მოძრაობის ისტორიას მთლიანად ამ საზოგადოების ჩარჩოში მიმოიხილავს და „ეროვნული მოძრაობის შუქ-ჩრდილებსაც“ ხსენებული საზოგადოების ფონზე წარმოაჩენს. მისი სუბიექტური მოსაზრებით კი ეროვნული მოძრაობის შუქიანი, ანუ ნათელი მხარე ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაა, ხოლო ჩრდილოვანი, ანუ ბნელი მხარე, ზვიად გამსახურდიას მოძრაობა.

თავი დავანებოთ იმას, რომ ჩვეულებრივ, ეროვნული მოძრაობის დინამიზმი იდენტურია ქვეყნის გეოგრაფიული საზღვრების (და ასეთიც იყო იგი ჩვენს სინამდვილეში, რომელმაც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ლიდერობით მოიცვა სრულიად საქართველო) და არ განისაზღვრება ერთი რომელიმე კონკრეტული ორგანიზაციის ქმედებით. არც ორგანიზაციის ლეგალურობა არის ის პრიორიტეტი, მაგალითის ძალას რომ ანიჭებდეს მას. ამდენად, ძაბირაძის ხმამაღალი განცხადება: „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება პირველი ლეგალური ორგანიზაცია იყოვო“, ინფორმაციულ ცოდნას თუ შეგვივსებს მხოლოდ.

„ეროვნული მოძრაობის შუქ-ჩრდილების“ უკვე გამოქვეყნებულ სერიალებში აშკარად გამჟღავნებული არაკეთილგანწყობის გამო კი, მთლად

გულწრფელად არ გვეჩვენება ძაბირაძის გაკვირვება იმის შესახებ, რომ პირველ ლეგალურ ეროვნული საზოგადოების (ილ. ჭავჭავაძის საზოგადოების) აქტივისტთა სიაში არ ფიგურირებს ზვიად გამსახურდიაო („ახალი საქართველო“, №34. 1998 წ. შემდგომში მხოლოდ გაზეთის ნომრებს მივუთითებთ).

ის ხმაური, რაც ამ მოვლენას მოჰყვა, ძნელი დასაჯერებელია, არ მისწვდენოდა ძაბირაძის ყურს. საქმე იმაში გახლდათ, რომ ილ. ჭავჭავაძის საზოგადოების შექმნის იდეა, ეროვნულ მოძრაობაში, შემოიტანა გურამ მამულიამ, რომელმაც იდეა პირველად, გია ჭანტურიას გაანდო და ორივენი აქტიურად შეუდგნენ ამ იდეის რეალიზაციას: ისინი დაუკავშირდნენ ყველა ეროვნულ ძალას, გააცნეს ორგანიზაციის შექმნის იდეა და შესთავაზეს ორგანიზაციაში გაწევრიანება, ორგანიზაციაში ზვიად გამსახურდიას გაწევრიანების სურვილის გამოთქმის გამო, გია ჭანტურია, მოულოდნელად სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა გურამ მამულიას მხრიდან, რომელსაც მხარს უბამდნენ სხვა აქტივისტებიც. აქედან ჩაიდო პირველი განხეთქილების ვაშლი ეროვნულ მოძრაობაში, რაც საბედისწერო აღმოჩნდა მთელი შემდგომი ხანის ეროვნული მოძრაობისათვის.

თუ ვინ იყვნენ ამ „ეროვნული იდეის“ – ილ. ჭავჭავაძის საზოგადოების შექმნის ნამდვილი ავტორები, იგი მოგვიანებით გაცხადდა გურამ მამულიას აშკარა დესტრუქციული ქმდებებით.

კომუნისტურ რეჟიმს, „კგბ“-ს აგენტურული ქსელის მეშვეობით სურდა ზვიად გამსახურდია მოეწყვიტა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისაგან, რათა მათ მიერ ადვილად მართვადი ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის აშკარად სახიფათო ეროვნული მოძრაობა. ამიტომ იყო გურამ მამულია კატეგორიული წინააღმდეგი ილ.ჭავჭავაძის საზოგადოებაში ზვიად გამსახურდიას შეყვანისა. მამულიას, საზოგადოების გამგეობაში მხარი აუბეს იმ ძალებმა, რომლებიც ე. წ. „მონანიების“ გამო პიროვნულ დაპირისპირებაში იყვნენ ზვიად გამსახურდიასთან. მათი პიროვნული დაპირისპირება კი შესანიშნავად გამოიყენა „კგბ“-ემ თავისი სტრატეგიული მიზნებისათვის – ეროვნულ ძალებს შორის მტრობისა და შუღლის გასაღრმავებლად.

ზვიად გამსახურდიასადმი ამგვარი აგრესიული დამოკიდებულების გამო, ამ საზოგადოებაში შესვლაზე, თავდაპირველად უარს აცხადებდა მერაბ კოსტავაც. გურამ მამულიამ ორჯერ მეც შემომთავაზა საზოგადოებაში შესვლა. „ჯერ ზვიადი შეიყვანეთ და მე შემდგომ შემოვალ-მეთქი“, მივუგე. მოგვიანებით, წინადადება გამგეობის სხვა წევრებმაც შემომ-

თავაზეს, რომლებსაც, აგრეთვე იგივე გავუმეორე. მერაბი ძალზე ტრაგიკულად განიცდიდა ილ. ჭავჭავაძის საზოგადოებასა და ზვიად გამსახურდიას შორის დაპირისპირებას და როდესაც გარედან ვერაფერი გააწყო (მრავალჯერადი მცდელობის მიუხედავად), გამგეობის დაჟინებული თხოვნით საბოლოოდ დათანხმდა საზოგადოებაში შესვლაზე. „შევდივარ, რათა ზვიადის შეყვანა შევძლო“. გამენდო იგი.

მერაბი ციხიდან ახალგამოსული იყო და ეროვნული მოძრაობის მოცემულ წევრებს ნაკლებად ან სულ არ იცნობდა. მერაბი, არც ამ მოძრაობაში შექმნილ რთულ ვითარებას იცნობდა, გაცილებით დახვეწილად რომ აებურდა საიდუმლო სამსახურებს. მერაბის წასვლის მერმე, რამდენიმე საათში ზვიადიც მოვიდა ჩემთან ღრმად ჩაფიქრებული და თითქოს ნაღვლიანიც. „იცი?“ მკითხა თავჩაქინდრულმა, „იყო“-მეთქი მეც მოკლედ ვუთხარი, უხალისოდ. მერაბის გულწრფელობაში, ცხადია, ეჭვი არცერთს გვეპარებოდა, მაგრამ ორივეს რაღაცის გვეშინოდა. თითო სიტყვის (კითხვა-პასუხის) მეტი ერთმანეთისთვის არაფერი გვითქვამს, უნივერსიტეტში გასავრცელებელი მასალები დამიტოვა და მალე წავიდა დამძიმებული. ვხვდები, ამ საპოლემიკო წერილში, უჩვეულოდ ლირიული ნოტი გამეპარა, მაგრამ ზვიად-მერაბის ტანდემი უნებურად იწვევს ამ ნოტს და სხვებისგან გულწრფელად მიკვირს, წამახული კალმით რომ წერენ მათი ურთიერთობის შესახებ.

ილ. ჭავჭავაძის საზოგადოებაში მერაბ კოსტავას შესვლას, საზოგადოების შიგნით, „კგბ“-სა და ეროვნულ ძალთა ინტერესების მკვეთრი შეჯახება მოჰყვა, რამაც, საბოლოოდ, საზოგადოების გახლეჩა გამოიწვია.

1988 წლის მარტის თვეში(ზვიადის საპროტესტო შიმშილობის პერიოდში) ილ. ჭავჭავაძის საზოგადოებაში არსებული დაპირისპირების გამო, ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრები, ქავთარაძის ქუჩაზე ირ. წერეთლის ბინაში შევიკრიბეთ, სადაც მწვავე შეხლა-შემოხლის შემდგომ (მდგომარეობას საგანგებოდ ძაბავდა ლევან ღვინჯილია, რის გამოც მერაბ კოსტავასაგან მკაცრი შენიშვნა მიიღო: „შენ, რატომ აქტიურობ?!“) საზოგადოებიდან გასვლა გამოაცხადეს გია ჭანტურიამ და მერაბ კოსტავამ. გია ჭანტურიამ, როგორც ამ საზოგადოების შექმნის ორგანიზატორმა, მამულიას, ჩხეიძეს, წერეთელსა და სხვებს გარკვევით განუცხადა, რომ საზოგადოებიდან გადიოდა ილ. ჭავჭავაძის საზოგადოების სახელით, რის შემდგომაც ირინა სარიშვილსა და რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად დატოვა შეკრება.

მამულიასა და წერეთელთან რამდენიმე წუთიანი სიტყვიერი შეხლა-შემოხლის შემდგომ, მერაბ კოსტავამ და მეც, სტუდენტურ ჯგუფთან

(მაკო ჯანჯიბუხაშვილი და სხვა) ერთად დავტოვეთ შეკრება. ვაზუსტებ: მე სხდომას ვესწრებოდი, როგორც დისიდენტი, ეროვნული მოძრაობის წევრი და არა, რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის. გია ჭანტურიას მუქარა, რომ იგი საზოგადოებიდან გადიოდა საზოგადოების სახელით ნიშნავდა, რომ იგი ქმნიდა პარალელურ ორგანიზაციას. ამ დაპირისპირებაში ბუნებრივად იმოქმედა ზვიად გამსახურდიას ფაქტორმა, რასაც ხელოვნურად შეუწყვეს ხელი ამ საზოგადოების გამგეობის წევრებმა ზვიად გამსახურდიას აშკარა იგნორირებით.

გურამ მამულია, როგორც დისიდენტი, ხოლო ეროვნული ხელისუფლების იარაღით დამხობის შემდგომ, ხუნტის პარლამენტის წევრი, აქტიურად ლობირებდა საბჭოთა პერიოდში დეპორტირებულ „თურქი მესხების“ რეპატრიაციას (სამშობლო-საქართველოში დაბრუნების საკითხს). ეს კი, ნამდვილად არ გახლდათ მარტივად გადასაწყვეტი საკითხი და თანამდევი მოვლენებით საკმაოდ რთულ და პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა, რასაც არ ითვალისწინებდა გურამ მამულია. მისი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, „თურქი მესხების“ ჩამოსახლების საკითხიდან ჩამოცილება კატეგორიულად მოითხოვა სამცხე-ჯავახეთის ინტელიგენციის საკმაოდ მოზრდილმა ჯგუფმა (იხ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 14-20 ივლისი, 2000 წელი). ისინი აღწერდნენ რა მესხეთში თურქების ცხოვრების პერიოდს, 1800-1919 წლებში, ჩამოთვლიდნენ სოფლებსა და დასახლებებს ადიგენის რაიონისას, სადაც ე.წ. თურქმა მესხებმა დაანგრიეს IV-XI საუკუნის 44-ზე მეტი მართლმადიდებლური ეკლესია. ეკლესიებიდან გაზიდული ქვები კი საკუთარი სახლების მშენებლობებისთვის გამოიყენეს, ზოგიერთი მართლმადიდებლური ეკლესიების ნანგრევებზე კი მეჩეთების მშენებლობები წამოიწყეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამცხე-ჯავახეთის ინტელიგენცია შევარდნაძის ხელისუფლებისაგან მოითხოვდა: **1. გამოიყვანონ კომისიის შემადგენლობიდან გ. მამულია და ჩამოაცილონ ამ მიმართულებით ყოველგვარ საქმიანობას, როგორც ცალმხრივად დაინტერესებული და მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობისათვის მეტისმეტად არასაიმედო პიროვნება“;**



იმ პიროვნებებმა(გურამ მამულიამ და სხვებმა), რომლებმაც ზვიად გამსახურდიას მოკვეთის საბაბად მისი „მონანიება“ გამოიყენეს, სერბსკის კლინიკის გამოუვლელად, თავისუფლებაში მყოფებმა მოინანიეს თავიანთი წარსული საქმიანობა 1987 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი გაგზავნილ განცხადებაში, რაშიც ისინი ფიცს აღავლენდნენ ხელისუფლებისადმი: „უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი საზოგადოების მიზნები არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მიერ აღებულ კურსს, ჩვენი ამოცანები ჩვენი ერის უფლებების დაცვა და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-გაფრთხილებაა“.

ხსენებული მიმართვის ტექსტი ვ. ძაბირაძემაც გამოაქვეყნა ჩვენს მიერ განსახილველ წერილში (№34/, მე-4 სვეტი). ამ კოლექტიური აღიარებით ილ. ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობა და წევრები რეგისტრაციას სთხოვენ ხელისუფლებას. განცხადების ტექსტი არაფრით განსხვავდება ზვიად გამსახურდიას ე.წ. აღიარება-მონანიებისაგან. შედარებისათვის მომყავს მერაბ კოსტავას განცხადების ტექსტი კუპიურებით: „სასამართლოზე ზ. გამსახურდიას არ დაუგმია და არც მოუნანიებია თავისი ძირითადი საქმიანობა ეროვნული და ჰუმანიტარული ხასიათისა, რაც გამოიხატებოდა მის წერილებში საქართველოს ეკლესიის მდგომარე-

ობის შესახებ, კულტურის ძეგლთა შესახებ, ქართული ენის მდგომარეობის შესახებ...“

ბარემ აქვე გაგაცნობთ განცხადების იმ ნაწილსაც, რომელშიც მერაბ კოსტავა გამოხატავს თავის პირუთვნელ დამოკიდებულებას ზვიად გამსახურდიას ე. წ. მონანიებაზე: „ზვიად გამსახურდიას ნაბიჯს და პოზიციას მე არა მარტო ვამართლებ, არამედ აუცილებლად მიმაჩნია იმ სიტუაციის შესაბამისად. ასევე სწორად მიმაჩნია ჩემი პოზიცია, იმავე მიზნებიდან გამომდინარე... ერისა და სიმართლისათვის საკუთარი სიცოცხლის გამწირავმა ახლა თავისი თავმოყვარეობაც დასდო სასწორზე, რაც პირველ მსხვერპლზე უარესია...“

დიახ, ის პიროვნებები, რომლებიც დღემდე უკიჟინებენ „მონანიებას“ ზვიად გამსახურდიას, თავად გახლავან მონანიებულნი. აღარაფერს ვამბობ პატიმრობაში ყოფნის დროს, მათი ციხის სამეურნეო ნაწილში და ბიბლიოთეკაში მუშაობის შესახებ, რაც ციხის ადმინისტრაციასთან პირდაპირი თანამშრომლობით მიიღწევა.

ერისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ზვიად გამსახურდიას ფაქტიური მონანიება, ყველა ფენის წარმომადგენლისთვის, თითქოს გასაგები უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამგვარი მაღალპოლიტიკური მიდგომა სავსებით უცხო აღმოჩნდა ინტრიგან-მოშუღარი ფსევდო-დისიდენტებისათვის, რომლებიც ხელისუფლების მხარდამხარ იღვწოდნენ ზვიადთან მერაბის დაპირისპირებასა და ჩამოშორებისათვის.

ზვიადს თავად სურდა შესულიყო ილ. ჭავჭავაძის საზოგადოებაში, რათა ამით განემუხტა დაძაბული სიტუაცია და ერთიანობისთვისაც მიეღწია. გავიხსენოთ, თუნდაც სახალხო ფრონტის დამფუძნებელი კონფერენცია ფილარმონიაში, სადაც უკიდურესად დაიძაბა ვითარება თავმჯდომარედ ზვიად გამსახურდიას დასახელების გამო. დაძაბულობა თავად ზვიად გამსახურდიამ განმუხტა თავმჯდომარეობაზე კეთილი ნების უარის თქმით.

ე. წ. ეროვნული ორგანიზაციების შექმნით (ილ. ჭავჭავაძის საზოგადოება, სახალხო ფრონტი) ხელისუფლებას სურდა ყველა ეროვნული ძალის ამ ორგანიზაციებში თავმოყრა და ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ძალების გარეშე დატოვება – „განიარაღება“, ხოლო „მონანიების“ მონოტონური შეხსენებით – მისი სურვილით მოკვეთა ეროვნული მოძრაობიდან. ჯაბა იოსელიანის მიერ მოგვიანებით დეკლარირებული ფორმულა: „ყველას მინუს ერთი!“ „კგბ“-ს სპეცკაბინეტებში, როგორც ჩანს, იმ პერიოდში შემუშავდა, მაგრამ მან დღემდე ვერ იმუშავა: ზვიად გამ-

სახურდია, ფიზიკური ლიკვიდაციის მიუხედავად, ეროვნული მოძრაობის დროშად და იდეად იქცა.

ეროვნულ მოძრაობაში წარმოქმნილ განხეთქილების ჭეშმარიტ მიზეზს კი შური წარმოადგენდა, რაც ზვიად გამსახურდიას პიროვნული ეფექტით იყო განპირობებული. მოშურნეებმა, ქვეყნის სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ინტერესებს, პირველობისთვის ბრძოლა ანაცვალეს.

ძაბირაძე სრულიად უმართებულოდ აყენებს ეჭვქვეშ მთავრობის სასახლიდან საბჭოთა დროშის ჩამომგდების ვინაობას, სქოლიოში კი აღნიშნავს იმ კაცის გვარი არ მახსოვსო (№37).

10 წელი გავიდა მთავრობის სასახლიდან სსრკ წითელი დროშის ჩამოგდებიდან და ნამდვილად დიდი უსამართლობაა, რომ ქართველმა საზოგადოებრიობამ დღემდე არ იცის იმ ისტორიული პირის ვინაობა: 1988 წლის 25 ნოემბერს, საბჭოთა საქართველოს მთავრობის სასახლიდან, 19 სთ. და 30 წთ-ზე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების წითელი დროშა 31 წლის გაბრიელ (გაბურ) ისაკაძემ ჩამოაგდო. იგი, მწერალ ქიშვარდ ისაკაძის ვაჟიშვილი გახლდათ.

გაბრიელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მანამდე უჩინარი წევრი იყო. გამორჩეულად ლამაზი, წარმოსადეგი, თხემით ტერფამდე ვაჟკაცი. მთავრობის სასახლესთან გამართულ მიტინგებზე, მერაბისა და ზვიადის ანტიიმპერიული გამოსვლებით შთაგონებულმა გაბრიელმა, მთელი კვირა ამუშავა გონებაში დროშის ჩამოგდების გეგმა, არავის გაენდო, ვინძლო საიდუმლო განზრახვა არ გაცემულიყო და მის აღსრულებაში ხელი არ შეშლოდა. 25 ნოემბერს, 19 საათზე, გულადი ვაჟკაცი, ფრთხილი ნაბიჯებით მარტო შევიდა მთავრობის სასახლეში. გონივრულად დაზვერა სასახლის შიდა ინტერიერი და სახურავზე ასასვლელი შიდა პერიმეტრი. და საძულველი იმპერიალისტების დროშა ჩამოაგდო. გაბრიელი სახურავზევე დააკავეს. საბჭოთა პროკურატურამ მისი საქციელი ბოროტ ხულიგნობად და სახელმწიფო დროშის შებღალვად დააკვალიფიცირა და საქმეც აღძრა. მილიციის სამმართველოში ფიზიკური წამებების შემდგომ, გაბრიელ ისაკაძე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, რათა კომუნისტურ ხელისუფლებას, კრემლის მამების წინაშე თავი ემართლებინა, რომ საქართველოს მთავრობის სასახლიდან წითელი დროშა პოლიტიკური პროტესტის ნიშნად კი არ ჩამოაგდეს, არამედ ფსიქიურად დაავადებულმა ჩამოხსნაო.

გაბრიელ ისაკაძე, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სასტიკი ცემისა და გამოსათაყვანებელი წამლების გაკეთების მიუხედავად, თუმცა დაძაბუნებული, მაგრამ მაინც საღ გონებაზე იყო. მშობლების დროული და

ენერგიული ჩარევის შედეგად, ფსიქიატრებმა ვერ მოასწრეს მისი შეურაცხადობის დამტკიცება – თვენახევრის წამების შემდგომ იგი ციხეში გადაიყვანეს, სადაც აგრეთვე გააგრძელეს მისი ფიზიკური წამება.

გაბრიელ ისაკაძეს, საბჭოთა კანონმდებლებმა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ მერაბ კოსტავას მიერ შედგენილ პეტიციაზე მრავალათასიანი ხელმოწერებისა და ქართველი მწერლების შუამდგომლობით, დარჩენილი ორი წელი პირობითი სასჯელით შეუცვალეს; ხელისუფლების დათმობა, გარკვეულწილად, ეროვნული მოძრაობის მომძლავრების პერიოდითაც იყო განპირობებული.

გაბრიელი მორწმუნე და მართლმადიდებლობის თავგამოდებული დამცველიც იყო. იგი პატიმრობაში იცავდა მარხვებს, ლოცულობდა და რელიგიურად სხვა პატიმრებსაც ანათლებდა.

პატიმრობიდან გამოსულმა გაბრიელ ისაკაძემ დაარსა „ქართველთა სულიერი ერთიანობის განმამტკიცებელი დასი „რწმენა“, რითაც დაიწყო აქტიური ბრძოლა ყოველგვარი სექტების წინააღმდეგ. იეღოველებთან ბრძოლა კი მას, ლამის სიცოცხლის ფასად დაუჯდა – იეღოველების ქომაგმა და საიდუმლო მფარველმა „კგბ“-ს თანამშრომლებმა იგი მოტყუებით ჩასვეს მანქანაში და ლისის ტბაზე მუცლის არეში სასიკვდილოდ დაჭრეს.

გაბრიელ ისაკაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დაწერილი, ფუნაგორისტისა და პამფლეტისტის, ქიშვარდ ისაკაძის წიგნი („ჩემი შვილი გაბრიელი“, თბილისი, 1997 წელი.) იწყება მუხრან მაჭავარიანის შეფასებით: „აფერუმ, – გაბრო შემართებას შენსას!“.

გაბრიელ ისაკაძეზე ასე ვრცლად იმიტომ ვწერთ, რომ მართლაც იამაყოს ჩვენმა ერმა მისით და უცოდინრობით, კვლავაც ეჭქვეშ არ დააყენოს მისი პიროვნება. ეს მიუტევებელი მკრეხელობა იქნება!

მაშინ სიკვდილს ღვთის შეწევნით გადარჩენილი გაბრიელი, ეროვნული ხელისუფლების არჩევისთანავე გვარდიაში შევიდა და სპეციალობით ეკონომისტი, ბოლომდე ეროვნული გვარდიის რიგითი ჯარისკაცი გახდა. 1993 წლის 24 სექტემბერს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნებისთანავე , გაბრიელი. უყოყმანოდ გაეშურა სამეგრელოსკენ. 31 დეკემბერს კი, ზუგდიდიდან, ახალი წლის შესახვედრად ოჯახში დაბრუნებული, საბურთალოს რაიონის მილიციელებმა ტყვის ჯერითა და ცინიზმით დაცხრილეს მისსავე ეზოში (ვაზისუბნის ქ. 24). „ეგ ის ბიჭია, მთავრობის სასახლიდან ორჯონიკიძის ატანილი დროშა რომ ჩამოაგდო“, უთქვამს ერთ-ერთ მიმხვდურ მილიციელს, რომლებიც აქ გაბრიელის მოსაკლავად, სწორედ ორჯონიკიძის გვარის წარმომადგენელმა, საბურ-

თალოს რაიონის მილიციის უფროსმა ელგუჯა ორჯონიკიძემ წარმოგზავნა.

ნიშანდობლივია, რომ გაბრიელ ისაკაძე, როგორც ფიცგაუტეხელი გვარდიელი, საქართველოს ჯალათებმა 1993 წლის 31 დეკემბერს მოკლეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციამდე ორი საათით ადრე.



გაბრიელის პორტრეტი
მხატვარი ბორის ჯამარაული

გაბრიელ ისაკაძე იმპერიაზე მარტოხელად ამხედრებული ახალი გმირია საქართველოს უახლეს ისტორიაში. დროა, სათანადო პატივი და ადგილიც დავუმკვიდროთ საქართველოს დამოუკიდებლობის, კანონიერებისა და სამართლიანობისათვის შეწირულ გმირს, რომელმაც ერთგულებისა და თავგანწირვის ნათელი მაგალითი მისცა ქართველ ერს. ახალგაზრდა კაცმა, სამშობლოსაც სამი შვილი დაუტოვა. იგი 35 წლისა მოკლეს.

ვ. ძაბირაძე იხსენებს სკანდალურ ცილისწამებას ილ. ჭავჭავაძის საზოგადოების წევრ ზაქარია ლაშქარაშვილზე, რომლის შესახებაც ზვიად გამსახურდიამ, თითქოს საფრანგეთში მაკომპრომენტირებელი ინფორმაცია გაავრცელა. ამის დასტურად ძაბირაძე იმოწმებს მერაბ კოსტავას წერილს ბატონ გიორგი წერეთლისადმი პარიზში, რაშიც მერაბი ბატონ გიორგის სთხოვს: „... მაცნობეთ, მართლა შემოთვალეს საქართველოდან ზაქარია ლაშქარაშვილზე (სადაც იგი ემიგრირებული იყო – *ლ. ც.*), რომ ის უშიშროების კომიტეტის აგენტია და თუ შემოთვალეს, ვინ ჩაიდინა ამგვარი რამ?“ მერაბის ეს წერილი ჩემთვისაც ცნობილია და ისიც ცნობილია, რომ მერაბს საფრანგეთიდან ბატონ გიორგი წერეთლისაგან დამადასტურებელი არანაირი პასუხი არ მიუღია.

თავად ზვიად გამსახურდია კი, თუმცა ოფიციოზისა და ეროვნული მოძრაობის წევრების მხრიდანაც გახვეული იყო ცილისწამების კორიანტელში, მაინც მტკივნეულად განიცდიდა ხოლმე ახალ ცილისწამებებს, რამეთუ იგი გარკვეულწილად ხელს უშლიდა ეროვნულ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში. დარწმუნებული ვარ, ლაშქარაშვილზე ის ბოროტი ცილისწამება თუ დეზინფორმაციაც უშიშროებამ გაავრცელა ჭავჭავაძის

საზოგადოებასა და გამსახურდიას შორის დაპირისპირებისა და მტრობის გასაღრმავებლად.

ჩემს არქივში ინახება ამ სკანდალურ ინფორმაციასთან დაკავშირებული ერთი დოკუმენტი, რომელიც დაბეჭდილია სწორედ იმ ყბადაღებულ შრიალა თეთრ ფურცელზე, რაზეც დღემდე ბოროტად ქილიკობენ ზვიადთან დაპირისპირებული დისიდენტები: „გამსახურდია, პროკლამაციებს სპეციალურად ბეჭდავდა შრიალა ქაღალდზე, რომელიც სიონში გასავრცელებლად მოჰქონდა და თან, ჯიბიდან ამოღების დროს, მისი შრიალით „კგბ“-ს ყურადღებას იპყრობდაო“. ამ ე. წ. შრიალა ქაღალდის მთელი „საიდუმლოება“ კი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ერთადერთი თხელი ქაღალდი იყო იმ პერიოდის პოლიგრაფიაში, რომელიც ზვიადს, ერთდროულად, ათი ეგზემპლარის გადაბეჭდვის საშუალებას აძლევდა, რაც შრომას უმსუბუქებდა.

ახლა კი, თავად დოკუმენტის შესახებ: იგი დათარიღებულია 1984 წლის 4 დეკემბრით და ხელმოწერილია ზვიად გამსახურდიას მიერ. ამ დოკუმენტით იგი გამოხატავს რა აღშფოთებას და პროტესტს ჟურნალ „ივერიის“ მე-8 ნომერში გამოქვეყნებული დეზინფორმაციის გამო, წერს: „პროვოკაციული ბრალდება იმის შესახებ, თითქოს მე და ჩემმა მეუღლემ ყოფილ პოლიტპატიმარს, ამჟამად საფრანგეთში მყოფ ზაქარია ლაშქარაშვილს დავაბრალეთ სუკ-ის აგენტობა, რასაც ვერ დაადასტურებს ვერც ერთი მოწმე, ვინაიდან ასეთი რამ არ მომხდარა. განცვიფრებას იწვევს ის ფაქტი, რომ იქვე გამოქვეყნებულია კოლექტიური წერილი, სადაც ზ. ლაშქარაშვილს „ჩემგან იცავენ“ სხვა პირებიც, რომელთაც არავითარი საბუთი არ გააჩნიათ იმისა, რომ ხსენებული „ჟურნალის“ მიერ შეთითხნილი ჭორი ოდნავ მაინც შეესაბამება სიმართლეს.

ამ ე. წ. ჟურნალის მესვეურნი შეგნებულად ჩქმალავენ იმ ფაქტსაც, რომ როდესაც ზ. ლაშქარაშვილი პატიმრობაში იმყოფებოდა, არავინ იცავდა მას ჩემს გარდა, არავინ იბრძოდა მის გასათავისუფლებლად. სად ბრძანდებოდნენ ისინი მაშინ, როდესაც მე, იმ შავბნელ პერიოდში საზღვარგარეთ გავაგზავნე მისი საბრალდებო დასკვნა სასამართლოს განაჩენითურთ და ყველა ზომები მივიღე იმისთვის, რომ მსოფლიო საზოგადოებას ლონდონის „საერთაშორისო ამინისტიას“ დაეცვა იგი? დღეს კი, სოროებიდან გამომძვრალნი, ურცხვად იყენებენ მის სახელს ჩემს წინააღმდეგ, რითაც საზოგადოებას თავგზას უბნევენ“.

ზვიად გამსახურდია, ამავე განცხადებაში ითხოვს, ილ. ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობამ, უახლოეს ხანში დაასახელოს თუნდაც ერთი მოწმე იმისა, რომ მან მართლაც უწოდა ზ. ლაშქარაშვილს სუკ-ის აგენ-

ტი, „წინააღმდეგ შემთხვევაში მე აღვძრავ მათ წინააღმდეგ ღირსების სასამართლოსო“, რომელიც მოგვიანებით შედგა კიდეც კოკა გაწერელიას ბინაში, რაზეც ძაბირაძეც ესწრებოდა.

ზემომოყვანილი განცხადება ზვიადს ჩემი სახლში არყოფნის დროს მოუტანია და ოჯახის წევრებისთვის დაუტოვებია თანდართული წერილით, რომელსაც ფაქსიმილეს სახით გთავაზობთ: „ლეილა, გთხოვ ეს განცხადება დაურიგო მათ, ვინც ხელი მოაწერეს ჯონის „დასაცავ“ წერილზე“. ზ.

უშიშროებას სახიფათო პრობლემებს უქმნიდა თავისი საზოგადოებრივი აგენტურების გამოააშკარავება-გაშიფრვა ზვიად გამსახურდიას მიერ (ცხადია, ამ სისტემაში მოკალათებული რომელიმე საიდუმლო პატრიოტი მუშაკის დახმარებით). უშიშროების სამსახურების ყოვლად არასამართლებრივი მუშაობის მეთოდების მიხედვით, სავსებით შესაძლებელია თეორიული დაშვება იმისა, რომ უშიშროება, გამსახურდიას სახელით, თავად ავრცელებდა ხმებს (ინფორმაციებს) ზოგიერთი მართალი და მოუსყიდველი პიროვნების აგენტობაზე 2 სტრატეგიული მიზნით: 1. შეესუსტებინა სანდოობა გამსახურდიას მიერ გამოაშკარავებული „სუკ“-ის აგენტების სიისა; 2. მოემრავლებინა მტრები გამსახურდიასათვის.

ძაბირაძის წერილის ყოველი სერიალიდან აშკარაა მცდელობა ზვიად გამსახურდიას პიროვნების შევრადნაძის პიროვნებასთან გათანაბრების და ამით ზვიად გამსახურდიას მიმართ ეჭვისა და უნდობლობის დათესვის, რის ერთ-ერთ მცდელობას წარმოადგენს „ახალი საქართველოს“ №31-ის სქოლიოში გაცხადებული „საიდუმლოება“: „... გასაგები მიზეზების გამო, არც ზ. გამსახურდიას და არც ე. შევარდნაძეს ხელს არ აძლევდათ ლუსტრაციის კანონის მიღებაო“.

ის ფაქტი, რომ სუვერენიტეტის დეკლარაციასთან ერთად, ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, პირველ რიგში მიიღეს ლუსტრაციის კანონი, საქართველოს მაგალითად ვერ გამოდგება იმ სამარცხვინო მიზეზის გამო, რომ საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებას მტრულად არ შეხვედრია და იარაღით არ დაპირისპირებია იმ ქვეყნების ეროვნული ძალები და ინტელიგენცია, საქართველოს მსგავსად, მაშინ როცა დამოუკიდებლობის აქტი უნდა ქცეულიყო დიდი ეროვნული შერიგების აქტად. სახიფათო შიდა დაპირისპირებამ კი, ზვიად გამსახურდიას საშუალება მოუსპო ლუსტრაციისა და სხვა მსგავსი კანონების მიღების და მან, თავისი პრეზიდენტობის უმოკლესი პერიოდი სტრატეგიული მნიშვნელობის კანონების მიღებასა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას მოანდომა. ამასთანავე, მისი პირადი ინიციატივით, უზენაესმა საბჭომ მიიღო ლუს-

ტრაციის კანონის თითქმის ტოლფასი გადაწყვეტილება „სუკის“ არქივების გახსნის შესახებ, მაგრამ გაირკვა, რომ არქივი სმოლენსკში იყო გატანილი გუმბარიძის დროს.

ძაბირაძე, გაზეთის მომდევნო ნომერშიც დიდ ადგილს უთმობს ზ. ლაშქარაშვილს, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის თითქმის სრულებით უცნობი პიროვნებაა და არც ეროვნულ მოძრაობაში წარმოადგენს ესოდენ განსაკუთრებულ ფიგურას, მაგრამ ძაბირაძეს მისი წამოწევა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ სჭირდება.

ილ. ჭავჭავაძის საზოგადოების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულ ლაშქარაშვილის „დასაცავ“ იმ ზემოხსენებულ განცხადებას თავად ძაბირაძეც აწერს ხელს, რომელიც „ივერიის“ მე-8 ნომერშია გამოქვეყნებული და რომელშიც, ზვიად გამსახურდია პირდაპირაა დადანაშაულებული ლაშქარაშვილის აგენტად გამოცხადებაში. „ღირსების სასამართლოზე“, ზვიად გამსახურდიამ კვლავ დაადასტურა, რომ მას მსგავსი ინფორმაცია ლაშქარაშვილზე არ გაუვრცელებია, მაგრამ ვერც ამ პირდაპირმა განმარტებამ აღმოფხვრა მიზანდასახული მტრობა მის წინააღმდეგ. დაე, მიუკერძოებელმა მკითხველმა განსაჯოს, ვის აძლევდა ხელს იგი.

ძაბირაძე აქვე ეხება რა აფხაზეთის საკითხს ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად, წერილის სქოლიოში აცხადებს: „... იმ აზრამდე მივდივარ, რომ საქართველოს ყველა ხელისუფლება – კომუნისტურიც, ეროვნულიც და დღევანდელიც, აფხაზური პრობლემის მოგვარებას მხოლოდ მოსკოვური მოდელით ცდილობდნენო“ (№38, სქოლიო 3). ძაბირაძე, ასევე ჩვენდა გასაკვირად არ ახსენებს 1992-95 წლების ხუნტისტურ ხელისუფლებას, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელიც (დეპუტატი) თავად ბრძანდებოდა და რომლის დროსაც მიმდინარეობდა ომი აფხაზეთში, ხოლო თბილისში, მისი ხელისუფლების მიერ მოწყობილი შოუ-კონცერტები და სახალხო სეირნობები იმართებოდა.

დავიწყოთ იმით, რომ 1992-1995 წლების ხუნტისტურ ხელისუფლებას, საქართველოს ისტორიიდან ვერავინ ამოაგდებს, ვერ ამოშლის, რომელშიც პირწმინდად იყო წარმოდგენილი ყველა ის „სახელოვანი“ ძალა (შეიარაღებული, იდეოლოგიური, აგენტურული), რომელმაც ეროვნული ხელისუფლება ძალადობით დაამხო (დღევანდელი ფაქტობრივი ხელისუფლებაც, შემადგენლობით – ნახევრად და სამართალმემკვიდრეობით – სრულად, ხუნტისტურია). 1992 წლის ხუნტისტურმა ხელისუფლებამ, რომლის სწორედ რომ თვალსაჩინო წარმომადგენელი ძაბირაძეც გახლდათ, აფხაზეთში ავანტიურისტულად წამოწყებული ომი, საყოველთაო

მობილიზაციის გამოცხადების გარეშე აწარმოა და დასრულდა კიდეც მოსკოვური მოდელით. 1992 წლის ხუნტისტურმა ხელისუფლებამ მოუხსნა რუსეთის ჯარს, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მიერ მინიჭებული საოკუპაციო ჯარის სტატუსი და მას სამშვიდობო ჯარის სტატუსი მიანიჭა. აღარაფერს ვამბობთ მთელ რიგ ანტიეროვნულ კანონებზე, რომელიც ხუნტისტურმა პარლამენტმა მიიღო.

აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტის ზვიად გამსახურდიასეული მოდელი კი მთლიანად ეროვნული იყო, რითაც შესძლო კიდეც მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება აფხაზეთში, რაც ხელს არაფრით აძლევდა რუსეთს.

ძაბირაძემ, ნაცვლად იმისა, აღიაროს, ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ტერიტორიების დაკარგვა, რომ კონსტიტუციური ეროვნული ხელისუფლების დამხობის პირდაპირი შედეგი იყო, ცილისწამებასა და გაღმა შედავების პოლიტიკას მიმართავს.

ზვიად გამსახურდიამ, გროზნოდან არძინბასადმი გამოგზავნილ დეპეშაში კატეგორიულად მოითხოვა უზენაესი საბჭოს სესიის სასწრაფოდ მოწვევა და 1925 წლის კონსტიტუციის გაუქმება, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსისა და 1978 წლის კონსტიტუციის აღდგენა (იხ. 1992 წლის 21 აგვისტოს დეპეშის ტექსტი).

ყოველივეს ფონზე ჩვენთვის სრულიად გაუგებარია აფხაზური პრობლემის მოგვარების რა მოსკოვურ მოდელს გულისხმობს ძაბირაძე (უნდა დაეკონკრეტებინა). თუ იგი ეროვნული ხელისუფლების მიერ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედებაში დატოვებას გულისხმობს, უნდა მოვახსენოთ, რომ ცდება, რამეთუ არსებული კონსტიტუცია იმ დროისათვის წარმოადგენდა ერთადერთ დამცავ იურიდიულ მექანიზმს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გაუქმების გამო რუსეთისათვის №2 ამოცანა იყო ამ დამცავი მექანიზმების მოშლა იმპერიული გეგმის განხორციელებისათვის. ამადაც, კანონიერი ეროვნული ხელისუფლების დამხობის, ანუ №1 ამოცანის წარმატებით გადაჭრისთანავე, იგი უმალ მეორე ამოცანის გადაჭრას შეუდგა – მისი ემისრების (კიტოვანი, სიგუა, იოსელიანი), ხუნტისტური ხელისუფლების ხელით შეაჩერა საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია, რითაც მოშალა ტერიტორიული მთლიანობის დაცვის იურიდიული მექანიზმი.

ვ. ძაბირაძე ვრცლად მიმოიხილავს (№38,39) ილ. ჭავჭავაძის საზოგადოების მიერ აფხაზეთის საკითხზე დაწყებულ 1989 წლის 4-9 აპრილის საპროტესტო აქციებს მთავრობის სასახლესთან, საიდანაც ზვიადმა

და მერაბმა, ჭანტურიასა და წერეთელთან შეთანხმებით ოპერატიულად მოხსნა სახიფათო ანტიაფხაზური პათოსი და შიმშილობის აქცია საქართველოს დამოუკიდებლობის სტრატეგიულ მოთხოვნებში გადაზარდა, რითაც პერსპექტივაში უზრუნველყო აფხაზური პრობლემის დარეგულირება. ესეც ამ მახრჩობელა პრობლემის ქართული მოდელით გადაწყვეტა გახლდათ. რომ არა ამგვარი გონივრული გადაწყვეტა, ჩვენ აფხაზეთის ომს 1989 წლის აპრილში მივიღებდით და იგი მთლიანად ეროვნულ მოძრაობას და მის ლიდერებს დაბრალდებოდათ.

ძაბირაძე, აპრილის იმ მღელვარე დღეებში აღწერს რა საყოველთაო გაფიცვების ტალღას, მასში მხოლოდ თავისი საზოგადოების როლს წარმოაჩენს, მაშინ როცა გაფიცვების ტალღის მთავარ მამოძრავებელ ძალას ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა წარმოადგენდნენ, ხოლო დანარჩენი პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერები კი – დამხმარე ძალას, მაგრამ მათ თანამებრძოლობის სტატუსი როდი აკმაყოფილებდათ, ამჯერად რომ დაკმაყოფილებულიყვნენ? ამიტომაც ცდილობენ დღესაც, თავი ეროვნული მოძრაობის წარმმართველებად წარმოგვიდგინონ. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ისმის ლოგიკური კითხვა: თუ ისინი ეროვნული მოძრაობის წარმმართველები ანუ ლიდერები არიან, მაშინ დღეს რატომ არ იბრძვიან? სად გაქრნენ? სად შეიყუჟნენ? თუ საბრძოლო არაფერია? იქნებ ამადაც დამჯდარა ამ დალაგებულ და ბედნიერ ქვეყანაში ვალმოხდილი ვახტანგ ძაბირაძე და დამაშვრალი პენსიონერივით მემუარების მსგავს წერილებსა სწერს და მთლად ი. ჭავჭავაძის საზოგადოების მეტრით ზომავს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას?

ხიბლში ჩავარდნილმა ძაბირაძემ, ვერც კი იგრძნო უნებლიედ, როგორ გამოააშკარავა საკუთარი საზოგადოების მაკომპრომენტირებელი ფიცი: „ჩვენი კურსი არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს კურსსო“, ხოლო, 9 აპრილის დღეებში, რუსული სამხედრო ტექნიკის დემონსტრირებით დამფრთხალ გამგეობის წევრებს, თურმე გადაუწყვეტიათ მიტინგიდან მოეხსნათ სსრკ-დან საქართველოს გამოყოფის მოთხოვნა და კვლავ აფხაზეთის საკითხს დაბრუნებოდნენ, რისთვისაც მათ სპეციალური მიმართვის ტექსტიც შეუმუშავებიათ (იხ. „ახალი საქართველო“ №40), ოღონდ მომიტინგეთა შორის გავრცელება ვერ მოუსწრიათ.

ვ. ძაბირაძის დისიდენტობა (ისევე, როგორც თეიმურაზ ჭანტურიშვილისა) ამჟამინდელი წერილებიდან შევიტყვე და ბუნებრივია, დიდი სურვილი მაქვს შევივსო ინფორმაციული ვაკუუმი მისი დისიდენტური მოღვაწეობის შესახებ, რაშიც, დარწმუნებული ვარ გამოვხატავ მკითხველთა უდიდესი ნაწილის სურვილსაც. მითუმეტეს, როცა ასე უმოწყალოდ გვაიძულებს

მისი მრავალსერიული წერილების კითხვას, რომლის დასრულების მოლოდინი, გასულ წელს აშკარად გაგვიცრუვდა. ამასთანავე, რამდენადაც თავად ძაბირაძის დიალოგიდანაც ირკვევა, თვით ზვიად გამსახურდიასაც კი არ ჰქონია მთლად ნათელი წარმოდგენა მისი პატიმრობის მიზეზების შესახებ, რამეთუ თვითდაჯერებით უკითხავს მისთვის: „აი, თქვენ ხომ იცნობთ გინზბურგსო? მე ვუპასუხე, რომ გინზბურგს არ ვიცნობდი, – აბა, რისთვის იჯექი? – გაუკვირდა...“ მოგვითხრობს ძაბირაძე (№37).

ბატონი ზვიადი, ძაბირაძეს, როგორც ჩანს მოსკოველ დისიდენტ, აკადემიკოს ალექსანდრ გინზბურგზე ეკითხებოდა (იყო, აგრეთვე მეორე გინზბურგი – არინე, ისიც დისიდენტი), რომლებთანაც ბატონ ზვიადს მჭიდრო იატაკქვეშა ურთიერთობა ჰქონდა, განსაკუთრებით აქტიური ურთიერთობა – ბატონ ალექსანდრთან).

საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ დისიდენტებზე ინფორმაცია იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც ვიცით, რომ დისიდენტები არაერთგვაროვნები იყვნენ. იყვნენ ძლიერებიც და სუსტებიც, რომლებმაც ციხეებში ვერ გაუძლეს სახელმწიფო უშიშროების მარწუხებს, რის გამოც გატყდნენ და პოზიციურად დაიხიეს, ციხიდან გამოსულები კი, ზოგი მკვეთრად გაემიჯნა ეროვნულ მოძრაობას, ზოგი დაუპირისპირდა. ამიტომაც, საქართველოს ჰელსინკის, არცთუ ისე მრავალრიცხოვანი ჯგუფიდან, ეროვნულ მოძრაობას (როგორც თავად ძაბირაძეც აღიარებს) სწორუპოვარ მებრძოლ რაინდებად მხოლოდ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა შემორჩნენ.

არასრულფასოვან, ფსევდო-დისიდენტთა არსებობამ მძიმე დაღი დაასვა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, წარმოშვა სრულფასოვანთა მიმართ დაპირისპირების სინდრომი. ზვიად გამსახურდიას ფიქტიური მონანიება მათთვის საბაბი იყო, მიზეზს კი შური წარმოადგენდა. ეს იყო არასრულფასოვანთა ბრძოლა სრულფასოვანთა წინააღმდეგ, დამუხტული შურის ენერგიით.

ზვიად გამსახურდია დაამხეს და განდევნეს საქართველოდან. ხუნტამ გაიმარჯვა. გაიმარჯვეს ფსევდო-დისიდენტებმაც. მათ გაიმარჯვეს გამსახურდიას სიცოცხლეზეც (ისევე, როგორც კოსტავას სიცოცხლეზე), იგი ვერაგულად და მოწამეობრივად მოკლეს, მაგრამ მტრები მაინც არ ცხრებიან, რატომ? ზვიად გამსახურდია იქცა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშად (როგორც მანამდე ილია ჭავჭავაძე), იდეად, საერო აღმსარებლობად, სამშობლოსადმი თავდადების ეტალონად, რაც საბრძოლველად აღანთებს მასებს.

მაშასადამე, საქართველოს გარეშე და შინაურმა მტრებმა, ზვიად გამსახურდია ვერ მოკლეს! და იწყეს გამოჩხრეკა „ყოფილი დისიდენტების“, რომლებიც „უტყუარი ფაქტებით დაამტკიცებენ“ ზვიად გამსახურდიას „მშიშარობას, დამსმენობას, პოლიტიკურ უმწიფრობას, ცილისმწამებლობას, რუსეთის აგენტობას“. ამ კამპანიაში ჩართეს ყოფილი დისიდენტი ვიქტორ რცხილაძეც, რომელიც „ღირსებით“ იკვეხნის რომ ოცი წლის განმავლობაში დუმდა, ზვიადის სიცოცხლეში, რაც არ უთქვამს, ახლა ამბობს! (ვითომ, მართლა ღირსეული საქციელია?) (№40).

ზემოთ, დისიდენტების სხვადასხვა კატეგორია ვახსენე და შეგნებულად ავუარე გვერდი საჩოთირო მესამე კატეგორიას, რომლებიც სულაც „კგბ“-ს შეეკრნენ ან ხელისუფლებამ გადაიბირა და თავის სტრუქტურებში ჩასვა. ამ საჩოთირო კატეგორიას, არც ახლა დავაკონკრეტებ, უბრალოდ გავაგრძელებ საუბარს ვიქტორ რცხილაძეზე.

დიახ, ზვიადისა და მერაბის თანამებრძოლი ვიქტორ რცხილაძე, ზვიადის სიძულვილით გამოწვეულ შხამსა და ბალღამს, გულში 20 წელი ინახავდა, თურმე „თბილისური ტრადიციითა“ და ბიბლიური „არა განსაჯოს“ პრინციპით. ამ პრინციპებს, ოღონდ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის შემდგომ უღალატა და იძრო მახვილი ლიკვიდირებული ლიდერისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ, თანაც ცდილობს მკითხველი და კრიტიკოსი როსტომ ჩხეიძეც დაარწმუნოს თავის უშიშარ ბუნებაში: „სჯობდა გაეკითხა და გაეგო (როსტომ ჩხეიძეს – ლ. ც.), რომ არც ისე ადვილად დასაშინებელი კაცი გახლავართო“.

ისეთი სერიოზული მკვლევარი, როგორიც ახალგაზრდა დოქტორი როსტომ ჩხეიძეა, საფუძვლიანი შესწავლისა და უტყუარი ინფორმაციების მოპოვების გარეშე, მასზე საწერად კალამს ნამდვილად არ აიღებდა. ვ. რცხილაძის გულდედლობის შესახებ მეც საკმარისი ინფორმაცია გამაჩნია (მაგალითად, როგორი იყო მისი რეაქცია, როდესაც იგი მთაწმინდის რაიონის მილიციაში, სხვა დისიდენტებთან ერთად პირველად მოხვდა...), მაგრამ ამჯერად არ დავაკონკრეტებ. ჰოდა ახლა, ვ. რცხილაძე თავმომწონედ უგებს ნიშნს ქვეყნისა და ერისათვის თავშეწირულ პრეზიდენტს: მე დამაფასეს, ჯერ „ეროვნული კონგრესის წევრი ვიყავი“, შემდგომ კი „სახელმწიფო საბჭოშიც მიმიწვიესო“.

ბატონო ვიქტორ, უფრო სარწმუნო, თქვენი ვინაობისა და რაობის შესახებ ჩვენ რა უნდა გვეთქვა? ადგილნი თქვენნი თავადვე ღაღადებენ.

ვ. რცხილაძე, რომელიც ბატონ როსტომ ჩხეიძესთან პოლემიკაში ფსევდო-დისიდენტ თ. ჭანტურიშვილის დასაცავად ჩაება, წუხს: „ჭანტურიშვილსა და როსტომ ჩხეიძეს შორის პოლემიკა აკადემიურ ჩარჩოს

სცილდებაო“, თუმცა თავად, ზვიად გამსახურდიას მიმართ სულაც არ ახსენდება „აკადემიური ჩარჩო“. „სულ გაუფრენია, საწყალს... საქართველოდან მისი გაქცევის შემდგომ, მე „სახელმწიფო საბჭოში“ მიმიწვიეს, თვითონ კი დამცირებული სხვისი ხელის შემყურედ დარჩა, ჰოდა უსაქმოდ დარჩენილმა...“

დამეთანხმებით, კულტურული და განსწავლული პიროვნება, ეროვნული მოძრაობის პატრიარქსა და რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტზე, რომელიც იარაღით დაამხეს და მოკლეს, ასე ცინიზმითა და ქილიკით არ ილაპარაკებს.

ახლა ვნახოთ, როგორ განიხილავს იგი ზვიად გამსახურდიას დიდსულოვან დუმილს მის შესახებ: „... კარგად იცოდა, რომ თუ არ მომკლავდნენ, მას აუცილებლად პასუხს გავცემდი და მას კი ამ პასუხის ეშინოდა და იგი არაფრად აწყობდაო“. ზვიად გამსახურდია ვიქტორ რცხილაძის ხსენებას უკრძალავდა, თურმე „მის დამქაშებს“ (ესეც რცხილაძისეული აკადემიური სტილია) და ისინიც „მხოლოდ ზვიად-მერაბს გაიძახოდნენო“.

აი, სწორედ ამიტომ, „ვინც თავისი ადგილი არ იცის და ნამეტანს ეპოტინება“, აიძულებენ როსტომ ჩხეიძის მამხილებელი მასალები დაუდოს წინ, რათა თავისი რეალური სახე და ადგილი დაანახოს. ციტირებული ტექსტიდან ხომ აშკარაა, რომ ვ. რცხილაძე ზვიადს და მერაბს უტოლებდა თავს და თუ ხალხიც ამგვარად არ აღიარებდა მას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ, თურმე, ზვიადი უკრძალავდა!

თანაგრძნობამ გული ამიჩუყა და კალამი დამიჩლუნგა ასე უსამართლოდ დაჩაგრულ-დაჩრდილული ვიქტორ რცხილაძის მიმართ. რაკი ქალური გულაჩუყება დავძლიე, სხვა პასაჟზე გადავინაცვლებ. მე თქვენ გეტყვით, ცოტაა თუ რა, ამგვარი პასაჟები მის პასკვილში.

ვ. რცხილაძეს სამზეოზე გამოაქვს ფიცშემტკიცული თანამებრძოლებისა და ქრისტესმიერი ძმების ერთი წაკინკლავების ეპიზოდი, რითაც რცხილაძე უმალ თავის ქონდრისკაცობას უფრო ავლენს, ვიდრე მათ მეგობრობას აყენებს ჩრდილს. დანამდვილებით ვიცი, მერაბი რომ ცოცხალი იყოს, რცხილაძეს ამის თქმის უფლებას არ მისცემდა. ამიტომაც დუმდა ოცი წელი იგი და მხოლოდ ზვიადისა და მერაბის ფიზიკური განადგურების შემდეგ წერამ აიტანა. მერაბმა კი დაგვიტოვა ზვიადთან შეურყეველი მეგობრობის მღაღადებელი ლექსი „ძმას ქრისტესმიერს“ და წერილობითი შეგონებები: „ჩვენს ურთიერთდაპირისპირებას ნურავინ ეცდება. ამაოდ ჩაივლიან ამგვარი მცდელობანი!“

მერაბი ღირსებით აღიარებდა ზვიადის პირველობას, მის უპირატესობას, ბოლომდე ენდობოდა მას, რაც დღემდე ვერ უპატიებიათ მოშურნ-

ეებს მისთვის და ამადაც ჩხრეკენ პიკანტური კინკლაობის ამბებს მათი მეგობრობის დასაჩრდილად.

ვ. რცხილაძე ცდილობს, პირადი ანგარიშსწორება, ზვიად გამსახურდიას მიმართ, ეროვნულ-პატრიოტული მოტივით შენიღბოს და ამ მიზნით, პასკვილში სრულიად უადგილოდ ჩრის ხუნტისტური ხელისუფლების მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციას აფხაზეთში ჩეჩენი მებრძოლების, ვითომცდა ზვიად გამსახურდიას მიერ გამოგზავნის შესახებ: „... ნეტავ... საქართველოს არ მოვლენოდა თავისი ჩრდილოკავკასიელებით კვლავ სისხლის საღვრელადო“, მოთქვამს დიდი პატრიოტივით და ამ „უტყუარი ალიბით“ იტოვებს უფლებას ოცწლიანი დუმილის დარღვევის, რასაც აგრეთვე როსტომ ჩხეიძის სინდისზე დებს: „ღმერთმა ხომ იცის, რომ არ ვაპირებდი ამ წერილის დაწერასაც, მაგრამ ბატონმა როსტომ ჩხეიძემ... მოახდინა ამის პროვოცირება, რაც ძალზე დასანანიაო“.

ვ. რცხილაძე არ ცხრება და აგრძელებს ზვიად გამსახურდიას „კომპრომატების“ წარმოჩენას: „... ჩვენი ჯგუფის წევრების გასაოცრად, ზ. გამსახურდიამ მწერალთა კავშირში უარყო რედაქტორობა მის მიერვე გამოცემულ ჟურნალებისაო“.

ბატონო ვიქტორ, ნუთუ ასე უცხო იყო თქვენთვის – „დისიდენტისთვის“ კონსპირაცია და ანონიმურობა? თქვენი ამგვარი მიამიტური გაოცება უეჭველად მარწმუნებს თქვენი „პატიოსანი აღიარებებითა და დასტურებით“, თუ როგორ უიოლებდით პროკურატურასა და კგბ-ს გამოძიების საქმეს. ზვიადს კი მაშინ მწერალთა კავშირში სასამართლო მოუწყვეს და სათანადო სასჯელიც გამოუტანეს – გარიცხეს მწერალთა კაშვირიდან. ზვიადი ამ „მწერალთა სასამართლოზეც“ კონსპირაციული სიმტკიცით იდგა.

ვ. რცხილაძის დაკითხვის ოქმები, რომელიც მის წერილში რუსულ ენაზევეა მოცემული, ზვიად გამსახურდიას ავტობიოგრაფიულ წიგნში მაქვს წაკითხული და მასზე ყურადღებას აღარ შევაჩერებ.

რცხილაძეს შემდგომი მსჯელობა იქეთკენ მიჰყავს, თითქოს იგი ზვიადის „დასმენით“ დააპატიმრეს. მისი ამგვარი მსჯელობა კი, არც მეტი, არც ნაკლები ვარაუდებს ეყრდნობა: „... კაცი, რომელიც დაწერს, არც მე და არც მერაბს იგი არ დაგვიწერიაო („მარტიროლოგზე“), უკვე დიდი გამოთვლა აღარ იყო საჭირო, მიმხვდარიყვნენ, რომ იგი ჩემი დაწერილი იყო“. დიახ, ასე! რცხილაძეს რომ უსმინო, გამოძიებისთვის აღიარებები და ფაქტები კი არ არის საჭირო, არამედ საკმარისია ვარაუდები. რცხილაძე იმდენად დაინტერესებულია ზვიადის დისკრედიტაციით, რომ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებულ „ზვიადისტი ქალ-

ბატონის“ (ამგვარად მოიხსენიებს) წერილსაც კი თავისებურად კითხულობს: „გამსახურდიას ქვრივმა გროზნოდან მოსკოვშიც კი ამოყო თავი სუკ-ის გარკვეული მასალებითო“, გვამცნობდაო „ზვიადისტი ქალბატონი“ – წერს იგი. სინამდვილეში კი, ის „ზვიადისტი ქალბატონი“, „გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (№33) ლაპარაკობდა პრეზიდენტის პირად არქივზე და არა სუკ-ის არქივზე და ის ქალბატონი ბელა შალვაშვილი იყო.

„... სწორედ მძიმე პირობებმა გატეხეს კაცი. გთავაზობთ ერთ მცირე დოკუმენტს, სადაც კარგად ჩანს, თუ ჩემთან ერთად სხვასაც როგორ ასმენს ზ. გამსახურდია“, წერს რცხილაძე და „მცირე დოკუმენტის“ ნაცვლად, ზვიად გამსახურდიას საკმაოდ ვრცელ დაკითხვის ოქმს გვთავაზობს, რომელიც დათარიღებულია 1978 წლის 10 აპრილით. ეს ოქმი ჩვენთვის სრულიად უცნობია, რაც მთავარია, იგი უცნობია თვით მერაბ კოსტავასთვისაც, რომელიც 1987 წლის მაისში გავრცელებულ განცხადებაში დაბეჯითებით აცხადებს, რომ „... ზვიად გამსახურდიას არავინ დაუსახელებია დაკითხვებზე, მისი მიზეზით არავინ დაუბარებიათ უშიშროების კომიტეტში და არც გაუჩხრეკიათო“.

თუ მართლა არსებობდა 1978 წლის 10 აპრილით დათარიღებული ოქმი, რომელსაც რცხილაძე თავისი პასკვილის რომელიღაც სივრცეში გვაპარებს, იგი მერაბისთვისაც ცნობილი იქნებოდა (მე თქვენ გეტყვით და არ აჩვენებდნენ, გინდათ ციხეში და გინდაც გარეთ), რის შემდეგაც ასე დაბეჯითებით არ დაიწყებდა მტკიცებას, ზვიადს არავინ დაუსახელბიაო.

ავტობიოგრაფიულ წიგნში, ზვიად გამსახურდია კი, საქმე №131-ის დასაწყისში გვამცნობს (გვ. 63), რომ „საქმე“ დაიწყო 1977 წლის 7 აპრილს და დამთავრდა 1978 წლის 7 მარტსო. მაშასადამე, დაკითხვებიც ამ ვადებში უნდა დამთავრებულიყო და 10 აპრილს რა მოტივით უნდა განახლებულიყო? თუ, რაღაც მიზეზით მაინც განახლდა, მაშინ ამ მიზეზით მოტივირებული დოკუმენტიც (ახალ აღმოჩენილი გარემოებების) ხომ უნდა არსებობდეს? ამ „ოქმის“, ზვიადისა და მერაბის სიკვდილის შემდგომ გამოქვეყნებაც აღძრავს საკმარის ეჭვებს, რის გამოც იგი არ შეიძლება სერიოზულ სამხილად მივიჩნიოთ. ვიქტორ რცხილაძის წინააღმდეგ კი, ზვიად გამსახურდიას მხილებები მხოლოდ ფაქტებს ემყარება, რისთვისაც მკითხველს ვთხოვთ წაიკითხოს გამსახურდიას ავტობიოგრაფიული წიგნი „დამოუკიდებელი საქართველოსათვის“ (გვ. 63-69, რუსულ ენაზე).

ვიქტორ რცხილაძის ქადილი, რომ იგი არ ჩამოშორებია ეროვნულ მოძრაობას, რის გამოც მისი თანამშრომელი, თურმე „კგბ“-შიც დაუბარებიათ მასზე აგენტურული ცნობების მოსაპოვებლად, უსუსური მცდელობაა ეროვნული მოძრაობის კვლავ აქტიურ წევრად წარმოჩენისათვის.

მისი „დისიდენტობა“, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობაში თანამონაწილეობითა და „ხუნტის სახელმწიფო საბჭოში“ მიწვევით დაფასდა, რითაც მან (თ. ჭანტურიშვილის მსგავსად სახელმწიფო კანცელარიაში მუშაკობით) საკუთარი პიროვნების ლუსტრირება მოახდინა.

რცხილაძე აუბრალოებს რა ზვიად გამსახურდიას ფუნქციას რუს დისიდენტებთან კავშირში, წერს: „რუს დისიდენტებთან კავშირის დამყარებას, იქ ჩასვლა უნდოდა, რაც ზვიადს თავისი ფულის წყალობით დაუბრკოლებლად შეეძლო“. თითქოს, მარტო ჩასვლითა და ხელის ჩამორთმევით ამოიწურებოდა ზვიადის სახიფათო (და არა „დაუბრკოლებელი“) ვიზიტები მოსკოვში.

იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა გქონდეთ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ კავშირებზე რუს დისიდენტებთან, მოგაწვდით ამონარიდს კონსტანტნე გამსახურდიას (უმცროსი) წიგნიდან „დინების საწინააღმდეგოდ“ (უმცროს კონსტანტინეს ჩვენ ვიშველიებთ, როგორც ყველაზე ინფორმირებულ წყაროს): „... წარმოიდგინეთ გაოცება მოსკოველი დისიდენტებისა, როდესაც ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ჩემოდნებით ჩაჰქონდათ მათთვის „გულაგის არქიპელაგის“ ახლადდაბეჭდილი ეგზემპლარები. ამავე დროს თბილისში იბეჭდებოდა სახაროვისა და ამარლიკის ნაწარმოებები, სოლჟენიცინის ინტერვიუები, კრებული... დამყარდა, აგრეთვე კავშირები საზღვარგარეთ მყოფ სოლჟენიცინთან... დისიდენტ ვ. ბორისოვის შუამავლობით“ და სხვა. „ზვიად გამსახურდიას ხშირი სიარული და მოღვაწეობა მოსკოვში იყო მტერთან ბრძოლა თავისივე მეტროპოლიაში... დემიდოვის თქმისა არ იყოს, არც ერთ დისიდენტს, ყოფილ საბჭოთა კავშირში არ გაუკეთებია იმდენი რუსეთის გასათავისუფლებლად, ივანე მრისხანეს, პეტრე პირველის, ლენინის და სტალინის მემკვიდრეობისაგან, რამდენიც ზვიად გამსახურდიას“ (იგივე წიგნში, გვ. 46).

მოყვანილი ციტატები, ვფიქრობ, საკმარისად წარმოაჩენს ზვიად გამსახურდიას მოსკოვური ვიზიტების სტრატეგიულ მნიშვნელობას, რაც ვერ გაუცნობიერებია ვ. რცხილაძეს, ან განგებისად აუბრალოებს მას.

სავსებით ვიზიარებ რცხილაძის გაკვირვებას: „ახლა ციხეში, საკანში ტელევიზორს უდგამენ პატიმრებსო“.

ჩვენ, 90-იანი წლების პოლიტპატიმრები, ნამდვილად ვერ შევედრებით 70-იანი წლების პოლიტპატიმრებს, რომლებმაც სხვადასხვა ციხეებში (რუსეთის ციხეებშიც) უმძიმესი პირობები და ფიზიკური ზეწოლის უსასტიკესი მეთოდები გამოიარეს. და მაინც, მოაზროვნე პატიმრებისთვის (დისიდენტებისთვის) ყველაზე გულისდამლევი, ინფორმაციის ვაკუუმი

იყო, რაც პირადად ჩემს თავზეც გამოვცადე: იმის გამო, რომ ხუნტისტური რეჟიმისადმი დაუმორჩილებლობა პატიმრობაში გავაგრძელე, ციხის უფროსის სახელზე განცხადება არ დავწერე, რათა ოჯახის წევრთათვის ტელევიზორის შემოტანის ნებართვა მიეცათ, სიტყვიერი მოთხოვნით კი მის შემოტანას ვერ მივაღწიე.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს პატიმარი (პოლიტპატიმარი, მითუმეტეს) ისეთი დაუცველი აღარ არის, როგორიც წარსულში იყო, მასზე ფიზიკური ზეწოლები მაინც ხორციელდება, რის გამოც, არც დღევანდელი პატიმარია სახარბიელო მდგომარეობაში და ციხეც, დღემდე რჩება ველური კანონებითა და წესებით მოქმედ ყველაზე სასტიკ დაწესებულებად.

სხვისი არ ვიცი, მე კი ფრიად ცუდად მენიშნა ვიქტორ რცხილაძის „გახსენება". ხომ არ აპირებენ მავანნი „მძიმე არტილერიის" შემოყვანას თავწაცლილ და ისედაც დამანგრევლად დანაღმულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში? ამის მაუწყებელ საყვირად ხომ არ უნდა გვემცნოს, ოცწლიანი მდუმარების შემდეგომ, მისი თავის აღერება და ქადილი: „... სულაც არ მიმაჩნია, რომ ჩამოვცილდი ეროვნულ მოძრაობასო"?

გავასრულე რა პოლემიკა ვ. რცხილაძესთან, კვლავ ძაბირაძის წერილს ვუბრუნდები, რომლის ბეჭდვა, გრძელდება. კატეგორიულად ვერ დავეთანხმები ძაბირაძეს ეროვნული მოძრაობის ლიდერების, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიმართ წაყენებულ ბრალდებებში, რომელიც დასაწყისიდანვე ლაიტმოტივად მოსდევს მის წერილებს: „ვიცოდით, რომ იმპერია ინგრეოდა, ვიცოდით, რომ არ უნდა მოვყოლოდით მის ნანგრევებში... და მაინც „ყველაფერი ვიღონეთ" რომ ეს ქარბორბალა ჩვენს თავზე დატეხილიყოო".

იმპერიის ნგრევის ცრუ შეგრძნების მოლოდინი, ბარემ ნახევარი საუკუნე ჰქონდათ დამონებულ ერებს და თქვენ წარმოიდგინეთ თვით რუსი მოაზროვნეებსაც კი, მაგრამ საამისოდ, არც სოციალისტური სისტემის ლპობა და არც რევოლუციური ბიძგები (აჯანყებები) აღმოჩნდა საკმარისი. საჭირო იყო ერების პოლიტიკური ნების ერთსულოვანი გამოხატვა, რაც მიღწეულ იქნა მხოლოდ საქართველოს მაგალითზე ნოემბერ-აპრილის ეპოქალური საპროტესტო, მღელვარე აქციებით. რასაც, ვ. ძაბირაძე, ჩვენდაგასაკვირად, საქართველოს ეროვნული მოძრაობის მარცხად განიხილავს: „9 აპრილი იყო ქართველი ხალხის, ქართველი ერის დიდი სულიერი გამარჯვება და ამასთანავე ეროვნული მოძრაობის დიდი პოლიტიკური მარცხი".

დიახ, ზუსტად ასეთი ვერდიქტი გამოუტანა ყოფილმა „დისიდენტმა" 9 აპრილს.

ზვიად გამსახურდიას თქმით კი „9 აპრილის მსხვერპლად შეწირულთა სისხლი დაიღვარა არა მარტო საქართველოს კეთილდღეობისათვის, არამედ ქრისტიანული ზნეობის, ადამიანობის დასამკვიდრებლად პოლიტიკაში“.

9 აპრილის მნიშვნელობის ძაბირაძისეული გააზრება პოლიტიკური კაზუსია თვით აფხაზეთის საკითხით მანიპულირების ფონზეც. 9 აპრილი უდავოდ იყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მორალურ-პოლიტიკური გამარჯვება და იმპერიალისტური პოლიტიკის საქვეყნო მარცხი. ასევე უდავოდ მტკივნეულია მსხვერპლი, მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ მას მარტო ბრძოლის შედეგად არ ვიღებთ, არამედ მშვიდობიანობის შედეგადაც და გაცილებით მეტს.

სწორედ პოლიტიკური უმწიფრობა გახლდათ 9 აპრილის დამოუკიდებლობის მოთხოვნის აფხაზეთის საკითხით შეცვლა, რაც ნამდვილად დააჩქარებდა აფხაზეთის მოწყვეტას საქართველოს შემადგენლობიდან და რაც, როგორც ზემოთ ვთქვით, ეროვნული ძალებს დაბრალდებოდა. ეს კი, სწორედ მოსკოვის სცენარი და მოდელი იყო, რაც გონივრულად აიცილეს 9 აპრილის აქციის ლიდერებმა. ილ. ჭავჭავაძის საზოგადოებამ კი, ბოლოსდაბოლოს, თავი უნდა დაანებოს 9 აპრილის კრემლისეული გეზით შეფასებას (№41).

ზვიად-მერაბის ქრისტესმიერი ძმობისა და ავთანდილური მეგობრობისადმი ჩრდილის მიყენების საჩოთირო მცდელობები, ძაბირაძის წერილებშიც საკმაოდ იგრძნობა. „იქ უფრო კარგად ვიყავიო“, უთქვამს მისთვის ეროვნულ ძალებს შორის ქიშპითა და მტრობით შეჭირვებულ მერაბს, რაც ახალი იარაღი გამხდარა ძაბირაძის ხელში ზვიად გამსახურდიას, როგორც ყოველგვარი დაძაბულობისა და კონფლიქტის წყაროდ წარმოჩენით.

მერაბს მართლაც უშფოთებდა სულს ურთიერთდაპირისპირება და შუღლი, რაც ციხიდან გამოსულს დახვდა ეროვნულ მოძრაობაში. ამის გამო სულგამწარებულს ჩემთვისაც უთქვამს. „იქ უფრო კარგად ვიყავიო“ (ცხადია, ციხეს გულისხმობდა), მაგრამ მერაბი ამ უსაშველო დაპირისპირების მთავარ მიზეზად ზვიადს არ მიიჩნევდა, თუმცა მოშუღარი მხარე ძალზე ცდილობდა, დაერწმუნებინათ მერაბი ზვიადის მთავარ დამნაშავეობაში. როდესაც მერაბი თავად გაერკვა ვითარებაში და რამდენჯერმე სცადა დაპირისპირებულთა შერიგება, მძაფრ წინააღმდეგობას, სწორედ მეორე მხარისაგან წააწყდა. მათ, ყოველთვის პრინციპული სიკერპებით უკუაგდეს მერაბის მცდელობები დამსხდარიყვნენ პირისპირ, რაზეც ზვიადი ყოველთვის თანახმა იყო, მაგრამ ცალმხრივი სურვილით ურთიერთშერიგების საშური აქტი არ დგებოდა. მერაბი, თავის სიცოცხლე-

ში, ალბათ ამ ერთადერთ შემთხვევაში იყო უძლური. „მე წავალ! წავალ აქედან... შორს!“ ტრაგიზმით სავსემ გადაჭრით მითხრა.

ძაბირაძე, ასევე უმართებულოდ ცდილობს დაჩრდილოს და სულაც უკუაგდოს ზვიადის ღვაწლი მერაბ კოსტავას ეროვნულ გმირად დაკრძალვის ორგანიზებაში: „... მერაბი მაინც უჭირისუფლოდ დარჩენილი იყოო“ (№44, სქოლიო 2), ამბობს სიონის საკათედრო ტაძარში დასვენებულ მერაბზე. მერაბს კი ეთხოვებოდა სრულიად საქართველო და ეროვნული გმირის სათანადო პატივით მთაწმინდაზე დაკრძალულს, „უჭირისუფლოდ დარჩენილი“ ნამდვილად არ ეთქმოდა. ხოლო, თუ ვინმეს დააკლდა იგი, ყველაზე მეტად, სწორედ ზვიადს და ამას თავადაც იტყვის 1991 წლის 9 აპრილს გაზეთ „რესპუბლიკის“ კორესპონდენტთან საუბარში: „მერაბი რომ ცოცხალი ყოფილიყო, საქართველოში დღეს სულ სხვა ვითარება იქნებოდა. მერაბი ძალზე დააკლდა ეროვნულ მოძრაობას, მთელ საქართველოს და ყველაზე მეტად – მე. დიახ, ყველაზე მეტად – მე“.

ერთი იმათგანი მეცა ვარ, რომელმაც კარგად უწყის ზვიადის უსამანო ტრაგიკული განცდები ამ თავზარდამცემ ავტოკატასტროფასთან დაკავშირებით. „ჩამომაცილეს...“ თქვა ჩემთან გაყინული ხმით და მომავალი უბედურების უწყების ნიშნით. მის სახეზე მოლიცლიცე გასაიდუმლოებულ შიშს მზერა კრთომით მოვწყვიტე. მოგვიანებით მისი შიში მთელი სისრულით ახდა.

მერაბის მთაწმინდაზე ასვენება

დიახ, ზვიადი შორეთს გონებით სჭვრეტდა და მხიარული ამიტომაც არასოდეს მინახავს იგი.

გაზეთ „ახალ საქართველოს“ (40) „ალიადან“ გადმოუბეჭდავს თენგიზ სიგუას მუქარა: „ყველა ჭკვიანად იყოს, თორემ...“ მას აქვს იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ დეკემბრის ბოლოს გამსახურდია აქტიურად მუშაობდა საქართველოს დსთ-ში შესვლაზე“, რისთვისაც ზვიადს, სიგუას თქმით, ოფიციალურადაც კი მიუმართავს, თურმე აზერბაიჯანის მაშინდელ პრეზიდენტ მუთალიბოვისათვის, რათა ეშუამდგომლა ელცინთან საქართველოს ესნგ-ში გაწევრიანების თაობაზე.

პირწავარდნილი ავანტიურისტისა და მოუღლელი ცილისმწამებლის თენგიზ სიგუას ეს მორიგი ტყულიც, ცხადია, „იანაევის დაკითხვის ოქმის“ სერიალიდანაა და მას ისევე არ უწერია გამოქვეყნება, როგორც თავად იანაევის სენსაციურ ოქმს, რომლითაც მტკიცდებოდა თითქოს, ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერა მოსკოვის პუტჩისადმი.

ცნობილია, რომ ზვიად გამსახურდია გორბაჩოვისადმი, ელცინისადმი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის გაკეთებულ განცხადებებსა თუ უცხოელ ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუებში ხაზს უსვამდა და მკვეთრად გამოხატავდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვას.

აიაზ მუთალიბოვისადმი გაგზავნილი სამი ოფიციალური მიმართვიდან, ბოლო 1991 წლის 26 ნოემბრის მიმართვაში ბატონი ზვიადი კვლავაც უდასტურებს მას და ტერ-პეტროსიანს, რომ საქართველო იმყოფება „სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევის ზღურბლთან“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №233(253) 27 ნოემბერი, 1991). მუთალიბოვისადმი გაგზავნილი ამაზე გვიანი დოკუმენტი არ არსებობს. ახლა სრულად ვაქვეყნებ ზვიად გამსახურდიას უკანასკნელ ოფიციალურ მიმართვის ტექსტს ბორის ელცინისადმი:

მის აღმატებულებას ბატონ ბორის ელცინს, რუსეთის სფს რესპუბლიკის პრეზიდენტს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

ბელორუსიის რესპუბლიკის, რუსეთის სფს რესპუბლიკისა და უკრაინის 1991 წლის 8 დეკემბრის შეთანხმების შესაბამისად სსრ კავშირმა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა შეწყვიტა არსებობა. ამის საფუძველზე, ერთადერთ სამართლებრივ დოკუმენტად, რომელიც განსაზღვრავს რუსეთის სფს რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობას, უნდა მივიჩნიოთ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკა, საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკის უფლებამონაცვლეა, და რადგან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, 1991 წლის 31 მარტს გამართული რესპუბლიკური რეფერენდუმის შედეგების თანახმად. ეს ხელშეკრულება არ არის დენონსირებული არც რუსეთის სფს რესეპუბლიკის, არც საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესი ორგანოების მიერ.

მოგიწოდებთ, ჩვენი ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობა შეუსაბამოთ ზემოთ ნახსენებ ხელშეკრულებას რუსეთის სფს რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეთა 1991 წლის 23 მარტის ყაზბეგის შეხვედრის ოქმის სულისკვეთებით, რათა შესაძლებელი გახდეს ბოლო ათწლეულების პერიოდში წამოჭრილი საკითხების მოგვარება.

ღრმა პატივისცემით
ზვიად გამსახურდია
1991 წლის 10 დეკემბერი
(იხ.გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 13 დეკემბერი)

ისიც ხომ კარგად არის ცნობილი, რომ საქართველომ, ალმა-ატაში სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე 1991 წლის 20 დეკემბერს ხელი არ მოაწერა, რის გამოც, საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას საბოლოოდ გამოუტანა განაჩენი – რუსეთმა, 22 დეკემბერს დაიწყო შეიარაღებული სამხედრო კრიმინალური აგრესია, პუტჩი. საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც ორ კვირაში ამ ხელისუფლების დამხობით დასრულდა.

კვლავ ძაბირაძის არათანმიმდევრულ და მიმოტანჯულ თხრობას უნდა დავუბრუნდე, რითაც იგი „ეროვნული მოძრაობის შუქ-ჩრდილებს“ აღწერს და რაც, ილ. ჭავჭავაძის საზოგადოების ისტორია უფროა.

გაზეთის მე-40 ნომერში, ძაბირაძე, ვიქტორ რცხილაძის მსგავსად, „დოკუმენტურად ამტკიცებს“ ბატონ ზვიად გამსახურდიას ცილისმწამებლობას, რის დასტურადაც მოჰყავს წმ. ილია მართლისა და ილ. ჭავჭავაძის საზოგადოების იდენტური პოზიციების ამსახველი ციტატები გაზ. „ივერიიდან“, საქართველოში 1944 წელს დეპორტირებული ე. წ. თურქი-მესხების შესახებ. „29 ივლისს (1989 წლის)... კინოს სახლთან... სიტყვით გამოვიდა ბატონი ზვიად გამსახურდია და შეკრებილთ ამცნო, რომ თითქოს, სამტრედიის რაიონში შემოიჭრა უზბეკეთიდან ლტოლვილი თურქთა 100 ოჯახი“, რაშიც ბრალი დასდო ილია ჭავჭავაძის საზოგა-

დოებასო. მეორე დილით – 30-ში, იმავე კინოს სახლთან კვლავ წარსდგა შეკრებილთა წინაშე და წინა საღამოს მოწოდებულ ინფორმაციაში „მცირედი“ შესწორება შეიტანა... თურქები კი არ ყოფილან, არამედ ნაღდი ქართველებიო“.

რა ძნელი მისახვედრია, ბატონ ზვიადს, 29 ივლისს, **მიტინგის მსვლელობისას** მიაწოდეს მცდარი ინფორმაცია სამტრედიაში შემოსულთა შესახებ. მიტინგებზე კი ვრცელდებოდა მოწოდებული უახლესი ამბები რაიონებიდან. ზვიადმა მოგვიანებით დააზუსტა მომხდარი და მეორე დღეს, შეკრებილებს სწორედ დაზუსტებული ინფორმაცია მიაწოდა. ძაბირაძე ამ მაგალითით არ კმაყოფილდება და რიტორიკულ შეკითხვას სვამს: „ თვითონ ზ. გამსახურდიაც ხომ წლების მანძილზე და სულ ბოლო დრომდე ... მესხთა ჩამოსახლებას აქტიურად მოითხოვდა, რა ვქნათ ახლა ჩვენ, მტერი და მოღალატე ვუძახოთ ამისათვის?!“

ბატონო ვახტანგ, არ ვიცი რას ხედავთ მტრულს და მოღალატურს ზვიად გამსახურდიას მოთხოვნებში, რომელიც მესხთა (**<u>მესხთა,</u>** ბატონო ვახტანგ), ანუ დეპორტირებული ქართველების ჩამოსახლებას მოითხოვდა და არა – **დეპორტირებული თურქების.** ამიტომაც, როდესაც მიაწოდეს ინფორმაცია სამტრედიაში შემოჭრილი თურქების შესახებ, როგორც პატრიოტი და როგორც ერისკაცი აშეშფოთდა.

ამგვარად, ციტატების მანიპულირებით, ზვიად გამსახურდიას „ცილისმწამებლობისა და ახირებულობის“ დასამტკიცებლად, ნამდვილად უშედეგოდ გაისარჯეთ. დაუზუსტებელი, ანუ „ცხელი ინფორმაციების“ გავრცელება, თვით სახელმწიფო სტრუქტურებისთვისაც არ არის უცხო და მიტინგზე, რა ასეთ დიდ დანაშაულად ითვლება, რომ მასზე ზვიადის ახირებულობისა და ცილისმწამებლობის ხუხულა ააგოთ? მეორე დღეს ხომ პატიოსნად გამოასწორა შეცდომა და დაზუსტებული ცნობებით სრულყო ინფორმაცია? „ახლა რა შეიტყო ისეთი, დიამეტრალურად რომ შეიცვალა პოზიციაო?“ (№42) გაკვირვებას გამოთქვამთ. ის შეიტყო, ბატონო ვახტანგ, რომ თურქები კი არა, მესხები შემოსულან, **მესხები!** ვისი ჩამოსახლებისთვისაც თავადაც ნამდვილად იღვწოდა. თუ თქვენც გაიგივებული გყავთ დეპორტირებული თურქებიცა და მესხებიც – ეს თქვენი პრობლემაა!

ძაბირაძე, კვლავ გაზეთ „ივერიის“ პუბლიკაციაზე დაყრდნობით, იხსენებს **1989 წლის 15 ივლისის** პირველ სისხლიან შეტაკებას აფსუებსა და ქართველებს შორის, რომლის დროსაც დაიღუპა ილ. ჭავჭავაძის საზოგადოების სოხუმის გამგეობის წევრი ვოვა ვეკუაც. ვოვას დაკრძალვაზე, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებთან ერთად მეც გავემგზა-

ვრე სოხუმში, სადაც უკვე ცხადად იგრძნობოდა სახიფათო დაძაბულობა. კონფლიქტის გაღრმავება და ომის გაჩაღება, იმხანად, როგორც ძაბირაძეც აღნიშნავს, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ავტორიტეტისა და გონივრული მოქმედებით იქნა აცილებული.

დიახ, სწორედ მათ შეაჩერეს ეროვნული მოძრაობის მასობრივი სვლა თბილისიდან სოხუმისაკენ, რის გამოც ძაბირაძე წერს: „აფხაზეთის ომი რამდენიმე წლით გადაიდო“ (№42). საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო, რომ ზვიადს და მერაბს ომის გადადება კი არა, მისი საერთოდ აცილება სურდათ, რისთვისაც იღვწოდნენ კიდეც: პრეზიდენტობის დროს, ზვიად გამსახურდიამ იქ, დაძაბულობის სრულად განმუხტვას და საქართველოს იურისდიქციის განმტკიცებასაც მიაღწია. არძინბა, გასაქანს ვერ აძლევდა თავის სეპარატისტულ ზრახვებს.

აფხაზეთის ტერიტორიის დაკარგვისათვის, ფაქტობრივ ხელისუფლებასთან ერთად პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ ფსევდო-ეროვნულ ძალებსაც, რომლებიც იდეოლოგიურად და იარაღითაც იბრძოდნენ – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტის – ეროვნული ხელისუფლების დამხობისათვის. მათ, აგრეთვე უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა ცხინვალის დაკარგვისთვისაც და საერთოდ, ქვეყნის შემდგომი ტოტალური კატასტროფისთვის, რაც მათ უპასუხისმგებლო და დანაშაულებრივ ქმედებებს მოჰყვა. ყოველივე კი, მათი პროფანული პოლიტიკის კრახს წარმოადგენს, რის გამოც ისინი პოლიტიკიდან უნდა წავიდნენ!

ქართველ ერს, აფხაზეთი, მანამდე ისტორიულად დაუკარგეს იმ ინტერნაციონალისტმა წითელმა მეცნიერებმა, რომლებმაც, საბჭოთა პერიოდში დაწერეს საქართველოს ყალბი ისტორია, რითაც ეჭქვეშ დააყენეს, ამ რეგიონში, ქართველთა ავტოქტონურობისა და აბორიგენობის საკითხი და აფსუები აფხაზებთან გააიგივეს.

ძაბირაძე, თითქოს სხვათაშორის იხსენებს, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მიერ ჯაბა იოსელიანის დაპატიმრების ფაქტს: „... რუსის ჯარის გამოყენებით შავნაბადაზე დაარბია „მხედრიონი“, თავად ჯაბას კი, არამცთუ იარაღის გამოყენება უცდია, არამედ, დაპატიმრების მომლოდინე, არც მიმალულაო (№43).

საქართველოს მაოხრებელი, კრიმინალი „ინტელიგენტი“ ჯაბა იოსელიანი, ერთნაირად გააიდეალეს „წითელმა ინტელიგენციამ“ და ფსევდო-პატრიოტებმაც, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ფრთამ კარგად უწყოდა „მხედრიონის“ რუსეთის აგენტურული წარმომავლობა და მიზნებიც. კერძოდ, „მხედრიონი“ უნდა ქცეულიყო ეროვნული მოძრაობის დამთრგუნველ ძალად, რომელიც იარაღით აღუდგებოდა საქა-

რთველოს დამოუკიდებლობას. სწორედ ამის პირველი დემონსტრირება გახლდათ **1990 წლის 24 აპრილს ტერორისტული გასროლა იმელის შენობასთან ეროვნული ფორუმის მიმდინარეობის დროს,** რამაც გამოიწვია ფორუმის გახლეჩა. ზვიად გამსახურდიამ, კრემლიდან მომდინარე ამ პროვოკაციას უმალ აუღო ალღო და მკვეთრად გაემიჯნა აგენტურულ ძალებს – დატოვა ფორუმი. ფორუმი, ზვიადის ავტორიტეტით იქმნებოდა იმ პოლიტიკურ ბირთვად, სერიოზული შეშფოთების საფუძველს, დიახაც, რომ აძლევდა კრემლს. ეროვნული ფორუმი ყალიბდებოდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაკოორდინირებელ ხელმძღვანელობის ცენტრად, რომელსაც შემდგომში უნდა მოეწვია საყოველთაო ეროვნული ყრილობა და დაენიშნა გარდამავალი კოალიციური ხელისუფლების საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები. კრემლმა განიზრახა დაერტყა ამ ერთიან ძალასა და მის სტრატეგიულ გეგმებზე, რისთვისაც აამოქმედა მისი შეიარაღებული ბანდფორმირება „მხედრიონი“, რომელმაც 24 აპრილს ესროლა ფორუმს, რაც ეროვნული მოძრაობის განადგურების პირველი მცდელობა იყო. ფორუმის მიმდინარეობის დროს გასროლა, წარმოადგენდა გამიზნულ მცდელობას სამოქალაქო ომის პროვოცირებისა, რის გამოც კრემლს მიეცემოდა შესაძლებლობა საქართველოში საგანგებო მდგომარეობის შემოღების, რითაც დასაწყისშივე ჩაახშობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ზვიად გამსახურდიას შორსმჭვრეტელურმა გამიჯვნამ ეროვნული ფორუმისაგან ჩაშალა კრემლის ყველა მცდელობა, რამაც გაამწარა ფორუმის შიგნით არსებული აგენტურული ძალები და იწყეს ხმამაღალი და აშკარა ძაგება ზვიად გამსახურდიასი; ფორუმიდან გასვლის დემაგოგიური ბრალდებით, ზვიადის წინააღმდეგ ააგორეს დეზინფორმაციის ტალღა, რითაც დააბნიეს და გააორეს აპოლიტიკური მასის ნაწილი, მოახდინეს მათი დემორალიზება.

ზვიად გამსახურდიამ, ფორუმიდან გამოსულ ეროვნულ ძალებთან ერთად, **1990 წლის 7 მაისს შექმნა,** იმ დროისათვის უფრო საიმედოდ მობილური ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება **„მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“** – ბლოკი.

კრემლმა უფრო გააააქტიურა ბრძოლა ზვიად გამსახურდიას პარალიზების მიზნით და მას, შეიარაღებული „მხედრიონის“ გარდა, დაუპირისპირა ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციებიც. „მხედრიონი“ – რუსეთის სამხედრო ნაწილებიდან პირდაპირ „იტაცებდა“ სამხედრო ტექნიკას, რითაც საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიის პროვოცირებას ახდენდა. ასეთი აშკარად სახიფათო ვითარების

გამო. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იძულებული შეიქმნა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, შეემუშავებინა „მხედრიონის“ ლიდერების დაპატიმრების გეგმა, თუმცა, მანამდე, პრეზიდენტს ჰქონდა მცდელობა „მხედრიონთან“ მოლაპარაკებისა. ამ მისიით, მხედრიონის ლიდერ ჯაბა იოსელიანთან, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ წარგზავნა მღვდელი დეპუტატი არჩილ მინდიაშვილი, მაგრამ უშედეგოდ.

მიუხედავად იმისა, რომ „მხედრიონის“ ლიდერების დაკავების ოპერაცია შავნაბადაზე, მილიციელებმა უმსხვერპლოდ განახორციელეს – ოპოზიციონერები, მთელი ღამე მანქანებით დაძრწოდნენ თბილისის ქუჩებში და ხალხს ისტერიული ხმით ამცნობდნენ, რომ თითქოს ზვიად გამსახურდიამ 60-მდე „მხედრიონელი“ ჩაახოცია რუსის ჯარსო, რაც მტკნარი სიცრუე გახლდათ.

დღესაც ბოროტად ცდილობს ვ. ძაბირაძე, დაამკვიდროს ცილისმწამებლური ინფორმაცია, ზვიად გამსახურდიას მიერ, რუსის ჯარით „მხედრიონელების“ დარბევის შესახებ.

ძაბირაძე, **1989 წლის 23-24 ნოემბრის ცხინვალის მშვიდობიან** აქციებს, შემდგომი ეთნოკონფლიქტის წარმოშობისა და ტერიტორიის დაკარგვის საფუძვლად განიხილავს. ამიტომაც, თბილისის სპორტის სასახლიდან ცხინვალისაკენ ავტობუსებით მშვიდობიან მსვლელობას „ლაშქრობად“ ნათლავს: „ვერც მაშინ და ვერც დღეს, ამ აქციის მოწყობიდან 9 წლის შემდგომ, ვერ გამიგია რა მიზანს ისახავდა იგი, რისი მიღწევა სურდათ აქციის ორგანიზატორებს?“ (გაზეთის №45-ში) კითხულობს ძაბირაძე მაშინ, როცა პასუხი ესოდენ მარტივია: აქციის მიზანი ერთი მუჭა ოსების მიერ დაჩაგრულ-შევიწროვებული ქართველების დაცვა და თანადგომა იყო. ზუსტად ისეთივე, როგორიც მანამდე, თბილისის ეროვნული ძალების მიერ, სოხუმში მრავალჯერადი მიტინგების ჩატარება მკვიდრი ქართველების თანადგომისათვის.

ცხინვალის აქციის შემთხვევაშიც, საბჭოთა აგენტურების მხრიდან, ცხადია იყო მცდელობა მომიტინგე ქართველებისა და ოსების სისხლიანი დაპირისპირებისა, რაც ასევე გონივრულად იქნა აცილებული ზვიად გამსახურდიას მიერ. 23 ნოემბრის აქციისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ედპ-მ თავიდანვე დააფიქსირაო, ბრძანებს ძაბირაძე. იმ აქციის ერთ-ერთი მონაწილე მეცა ვარ და წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც ცხინვალის მისადგომთან, ჩვენს შორის გია ჭანტურია დავინახე, ირინა სარიშვილსა და ედპ-ს სხვა წევრებთან ერთად. მაშინ, გულუბრყვილოდ ვიფიქრე, ალბათ პოზიცია შეიცვალეს და გულმა აქეთ გამოუწიათ-მეთქი. „პოზიცია არ შემიცვლია, როგორც დამკვირვე-

ბელი ისე მოვედიო“, მითხრა გიამ და თვალებით ვიღაცას დაუწყო ძებნა. ირაკლის ვეძებო და, მე მისი ადგილი ზვიადთან მივუთითე.

ზვიად გამსახურდია, ავტობიოგრაფიულ წიგნში „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის“, რომელმაც მოსვენება დაუკარგა ცოდვილთა სულებს, გიას გამოჩენასთან დაკავშირებით წერს: „ხალხში გამოჩნდნენ გია ჭანტურია და ედპ-ს სხვა წევრები, რომლებიც, როგორც მათ თქვეს, მოვიდნენ დამკვირვებლებად. გამოჩნდა, აგრეთვე ყოფილი უშიშროების კომიტეტის უფროსი, ცკს პირველი მდივანი გუმბარიძე. გ. ჭანტურია კონფიდენციალურად ესაუბრა წერეთელს, რომელმაც მითხრა, რომ ჭანტურიამ ურჩია მას, წაგვერთმია იარაღი შინაგანი ჯარისათვის და განგვეხორციელებინა შეიარაღებული თავდასხმა ცხინვალზე. წერეთელი დარწმუნებული იყო, რომ ეს პროვოკაციული აზრი გუმბარიძისგან და კგბ-სგან მოდიოდა, რათა ვეიძულებინეთ დაგვეღვარა სისხლი. ჩვენ უარი ვთქვით შემოთავაზებულ გეგმაზე“ (გვ. 107).

როდესაც ცხინვალიდან ავტობუსებით ვბრუნდებოდით, ჩვენთან აღმოჩნდა ჭანტურიას ედპ-ს წევრი, რომელიც აღშფოთებას გამოთქვამდა ჩვენი უკან დაბრუნების გამო. უნდა გაგვერღვია ჯარისკაცების „კორდონი“ და შევჭრილიყავით ცხინვალშიო, იარაღიც უნდა წაგვერთმია მათთვისო. მე და ლუიზა შაკიაშვილი შევეცადეთ აგვეხსნა მისთვის, რომ ეს ჩვენი მხრიდან სახიფათო პროვოკაცია იქნებოდა, იგი კი უშვერი გინებით და ეგზალტირებული გამოხდომებით სხვა ავტობუსში გადავიდა.

ძაბირაძე გულმოდგინედ არის რა მოწადინებული დანაშაულებრივი კვალიფიკაცია მიანიჭოს ცხინვალის აქციას, წერს: „ეს აქცია ქართულ-ოსური კონფლიქტის უშუალო დეტონატორი აღმოჩნდაო“. აქციის მრავალრიცხოვნობა მიზნად ისახავდა მეორე მხარის ე. ი. ოსების დაშინებასო.

ოსების, დღემდე გულშემატკივარ ილ. ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობას, ჩვენც მათსავით საბჭოური ყაიდის ინტერნაციონალისტები რომ ვიყოთ, ადეკვატურ ბრალდებებს წავუყენებდით: თქვენს მიერ სოხუმში ჩატარებული მიტინგები ქართულ-აფსუური კონფლიქტის უშუალო დეტონატორი აღმოჩნდა და მიტინგის მრავალრიცხოვნობა აფსუების დაშინებას ისახავდა მიზნადო. მაგრამ ჩვენ, ცხადია, ამგვარ აპოლიტიკურ ნიშნისგებებს არ მივმართავთ, არამედ ცხინვალის მონაწილე ბატონ ნოდარ ნათაძის წერილის „რაც ვიცი“ („საქართველო“, №4, 1999 წ.) დეტალურ აღწერას მივაპყრობთ მკითხველის ყურადღებას: „ვერავითარი სიფრთხილე, ტაქტი, თავდაჭერა თუ თავშეკავება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი პარტიების მხრიდან ვერ შეაკავებდა და ვერ შეაჩერებდა ანტიქართული მოქმედების და ამ მოქმედებისათვის

მზადების იმ გეგმაზომიერ პროცესს, რომელსაც ზესახელმწიფო აფინანსებდა, ჭურვავდა და ორგანიზებდა“. უფრო ქვემოთ კი ნოდარ ნათაძე წერს: „დღეს ბევრი სიყალბე ვრცელდება იმის შესახებ, რომ თითქოს ქართველებსა და ოსებს შორის... 1989 წლის შემოდგომამდე კონფლიქტი არ იყო და იგი მხოლოდ 23 ნოემბერს ცხინვალში ჩატარებულმა მიტინგმა გამოიწვია. ეს არ არის მართალი... კონფლიქტი... ზაფხულის შუიდანვე უკვე იყო... ცნობილი იყო, რომ ოსები იარაღდებოდნენ და რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ... დარტყმა მზადდებოდა“. 1989 წლის 23 ნოემბრის მიტინგს, როგორც ნ. ნათაძე აღნიშნავს, უძღოდა 1989 წლის 8 ივლისის ანტიქართული მიტინგი ცხინვალში და ოსების მიზანმიმართული შეიარაღება.

1991 წლის აპრილში, გორბაჩოვი სატელეფონო საუბარში დაემუქრა ზვიად გამსახურდიას აფხაზეთსა და ოსეთში ვითარების გამწვავებით, თუ იგი ხელს არ მოაწერდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას.

ჩვენს გაკვირვებას იწვევს ილ. ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის მხრიდან დიდი პოლიტიკის მიტინგებზე დაყვანა. სამწუხაროა, რომ 10 წლის შემდგომაც არ შეცვლილა მათი დამოკიდებულება ზვიად გამსახურდიას პოლიტიკისა და მისი პიროვნების შეფასებისადმი. არადა, დღემდე განვითარებული შემდგომი მოვლენები, ნამდვილად იძლევა შეხედულებათა გადაფასების ნოყიერ საფუძველს და უფრო სწორი პოლიტიკური დასკვნების გამოტანის საშუალებას.

ძაბირაძე კრულვით მოიხსენიებს 1989 წელს, „რომელმაც ქართველ ხალხს მხოლოდ უბედურება და ტკივილი მოუტანა“ და რომელმაც დასაბამი მისცა ყველა შემდგომ უბედურებას.

1990 წელთან დაკავშირებით, ძაბირაძის აგრესიული განცდები ჩვენთვის ადვილად საცნაურია. 1989 წელი ჭეშმარიტად გახლავთ საქართველოს ორსაუკუნოვანი მონობის ისტორიაში მკვეთრი პოლიტიკური გარდატეხის წელი, რომელმაც უახლოეს მომავალში შვა, საბჭოთა კავშირის ისტორიაში უპრეცენდენტო საყოველთაო სახალხო დემოკრატიული არჩევნები და ეროვნული ხელისუფლება, რეფერენდუმი და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

ძაბირაძე ვერა და ვერ პატიობს ზვიად გამსახურდიას 1990 წლის 25 მარტის არჩევნების ბოიკოტირებას და გაზეთ „ახალი საქართველოს“ სამ ნომერს ამ აქტის განხილვას ანდომებს (№46,47,48). ამ არჩევნებთან დაკავშირებით იგი იხსენებს 2 თებერვალს, თამარ ჩხეიძის სახლთან მოწყობილ აქციას, რომლის მონაწილეები ჩხეიძეს მერაბ კოსტავას სიკვიდილთან აკავშირებდნენ, რის გამოც მის დაპატიმრებას მოითხოვდნენ.

ძაბირაძე აცხადებს, რომ ამ აქციით მათ, არჩევნების წინ, თამარ ჩხეიძის დაშინება და მისთვის უარყოფითი იმიჯის შექმნა უნდოდათო.

მართალი გითხრათ, აქამდე, ის აქცია ემოციური ხასიათისა მეგონა და ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნდა, თურმე – პოლიტიკური ყოფილა.

მაშინაც მიმაჩნდა და დღესაც ასევე მიმაჩნია, რომ 25 მარტის არჩევნები, როგორც საბჭოური, უნდა ჩაშლილიყო და ზვიად გამსახურდიამ, ამ შემთხვევაშიც, სავსებით სწორი გადაწყვეტილება მიიღო, ხოლო პარალელურად განაგრძო ბრძოლა უფრო ღირსეული არასაბჭოური არჩევნებისათვის: პერმანენტული პოლიტიკური აქციებით კომუნისტური ხელისუფლება აიძულა შეექმნა პირობები არჩევნებში რადიკალური ოპოზიციის მონაწილეობისათვის. მანამდე კი ხელისუფლება იღვწოდა, 25 მარტის არჩევნებით, ჩამოეყალიბებინა პატრიოტული შეფერილობის (და არა ეროვნული იდეისა და სულისკვეთების) პარლამენტი. ამგვარ „ხატად“ მათ ხალხს წარუდგინეს შემდეგი დეპუტატების კანდიდატები: **ნოდარ ნათაძე, დათო ტურაშვილი, თენგიზ კიკაჩეიშვილი, გუძა აფაქიძე, რევაზ ჯაფარიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ლია ბედოშვილი, ვახტანგ გოგუაძე, ვახტანგ კიკაბიძე** და სხვები.

12 მარტს გაზეთ „კომუნისტსა“ და „თბილისში“ უკვე გამოქვეყნდა რეგისტრაციაში გავლილი დეპუტატობის კანდიდატთა სიები. ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ შეაფასა ეროვნული ძალების მიერ საარჩევნოდ შექმნილი ელექტორატის პოლიტიკური განწყობა, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ 25 მარტის არჩევნები ჩაიშალა, ხელისუფლების საარჩევნო ფაცი-ფუცმა კრახი განიცადა.

ძაბირაძის მიერ მოხმობილი ბალტიისპირეთის მოდელი („სახალხო ფრონტის“ კანდიდატებით ხელისუფლებაში უმრავლესობის მოპოვების) საქართველოსთვის ყოვლად უპერსპექტივო გახლდათ იმ რეალობიდან გამომდინარე, რომ „ბალტიისპირეთში ამგვარ მოდელს შედეგი ჰქონდა ევროპასთან სიახლოვის გამო – ნუ დაგვავიწყდება, რომ ევროპა მას ეპყრობოდა, როგორც ღვიძლ შვილს, ხოლო საქართველოს – როგორც იძულებით ნაშვილებ გერს. გარდა ამისა, იქ არ ყოფილა ისეთი პოლარიზება კომუნისტებსა და არაკომუნისტებს შორის, როგორც საქართველოში“ (კონსტანტინე გამსახურდია „დინების საწინააღმდეგოდ“).

იდეათა და მრწამსთა პოლარიზებამ, მოგვიანებით, მაინც შეასრულა თავისი საბედისწერო როლი.

ამდენად, არჩევნების გადაწევით, როგორც ძაბირაძე წუხს (№46, მე-5 სვეტი) ჩვენ დრო კი არ დავკარგეთ, არამედ მოვიგეთ იმ თვალსაზრისით, რომ შეიქმნა პირობები არჩევნებში ეროვნულ-განმათავისუფლებე-

ლი მოძრაობის წარმომადგენელთა მონაწილეობისათვის. ჩვენს შორის უთანხმოების ინსპირირება კი არასოდეს უჭირდა კრემლს და არც არასოდეს გაუჭირდება ჩვენი მოშურნე ბუნების გამო.

ძაბირაძე 28 ოქტომბრის არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის სიით იყრიდა კენჭს, მანამ იგი ილ. ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი იყო, ახლახან კი „დასის“ წევრად მოგვევლინა. ეს ისე – მისი პოლიტიკური შტრიხისათვის. წერილში კი ძაბირაძე აგრძელებს: „ეროვნულმა ფორუმმა ლიტვის დამოუკიდებლობა ფიქციად გამოაცხადაო“. ლიტვის დამოუკიდებლობის ნაჩქარევმა გამოცხადებამ მართლაც ეჭვქვეშ დააყენა მისი საერთაშორისო აღიარების საკითხი და აი, რატომ: „მსოფლიო პოლიტიკა დამოუკიდებლად სცნობს ქვეყანას მხოლოდ შემდეგი პირობების იურიდიული და ფაქტიური შესრულების შემთხვევაში – ა) ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ აშკარად გამოხატული ნება; ბ) ქვეყნის ტერიტორიის იურიდიულად დადგენილი საზღვრები და გ) ქვეყნის დამოუკიდებელი მთავრობის სრული სუვერენიტეტი (კონტროლი) მის მთელ ტერიტორიაზე. ამ პირობათა შეუსრულებლობა ართულებს ლიტვის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ცნობას იმ სახელმწიფოებშიც კი, რომლებსაც ბალტიის ქვეყნები არასოდეს უღიარებიათ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში“, ნათქვამია „მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ კონცეფციაში“. ამიტომ იბრძოდა, ზვიად გამსახურდია, არჩევნებამდე პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძვლების შექმნისათვის.

ძაბირაძე მიზანდასახულად ცდილობს მცდარი, ნეგატიური წარმოდგენა შეუქმნას მომავალ თაობებს ზვიად გამსახურდიას პიროვნებაზე: „ზ. გამსახურდია „მხედრიონს“ მაშინ გაემიჯნა, როდესაც შეიქმნა მისი მხარდამჭერი, ასევე ნახევრად გასამხედროებული – „მ. კოსტავას საზოგადოება“. მხედრიონი თავის ამბიციებით და ლიდერით მისთვის უკვე ზედმეტი იყოო“ (№2(27) სქოლიო). ზვიად გამსახურდიას „მხედრიონთან“ გამიჯვნის ნამდვილს მიზეზს 1990 წლის 24 აპრილის სკანდალური ინციდენტი წარმოადგენდა (გასროლა იმელთან), რომლის მოხდენამდე, მერაბ კოსტავას საზოგადოება უკვე 3 თვის შექმნილი იყო (იგი დაფუძნდა 1990 წლის 19 იანვარს).

ძაბირაძის წერილები ქრონოლოგიური ხასიათისაა და ალბათ ამიტომაც ჩამორჩება დროს. მას არ სჯერა, რომ „საბჭოთა ჯარითა და აგენტურით სავსე ქვეყანაში შესაძლებელი გახდეს არასაბჭოური არჩევნების ჩატარება“. ამ იმედგადაწურული დასკვნის შემოთავაზების შემდგომ სქოლიო 2-ში იგი წერს: „მას შემდეგ საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა, არა ერთი არჩევნები ჩატარდა, მაგრამ თუ გულწრფელი ვიქნებით,

უნდა ვთქვათ, რომ არც ერთი ეს არჩევნები არ ყოფილა თავისუფალი და დემოკრატიულიო“ (№2(47). ასე ჯახირით მონაცვლეობს დროში ძაბირაძე და თავის შეფასებაში იქნებ გულწრფელიც არის, მაგრამ პოლიტიკური ხედვა და სამართლებრივი აღქმა აშკარად აკლია, თორემ ასეთ კაზუსს ნამდვილად არ შემოგვთავაზებდა – 28 ოქტომბრის არჩევნებს არ გააიგივებდა ხუნტის 11 ოქტომბრისა და 5 ნოემბრის არჩევნებთან. თუმცა, მისი ამგვარი არასამართლებრივი შეფასება გაზეთის მომდევნო ნომერში (№3(48) ხდება საცნაური: „პირადად ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა „საბჭოური“ დაერქმეოდა ამ არჩევნებს, თუ „არასაბჭოური“, მთავარი იყო მისი ჩატარების უზრუნველყოფა...“(სვეტი I).

დიახ, ჩვენ ზემოთ უსაფუძვლოდ არ დავეჭვებულვართ ძაბირაძის პოლიტიკურ სიღრმეში, რისი მიზეზითაც ვერ გაიაზრა მან რესპუბლიკისთვის, არჩევნების წინ სტატუს-ქვოს (საბჭოთა სოციალისტური) შეცვლის პოლიტიკურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც და ცინიკურ ხასიათზე დააყენა იგი: „ნეტარ არიან მორწმუნეები, რომელთაც სჯერათ, რომ სახელის გადარქმევით შესაძლებელია საგნის არსი და ბუნება შეიცვალოსო...“ (№2(47) მე-4 სვეტი).

ამ საკითხთან დაკავშირებით „მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ კონცეფციაში“ ვკითხულობთ: „... არასაბჭოური მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად საქართველოში უნდა არსებობდეს შესაბამისი პოლიტიკური სიტუაცია, რომლისთვისაც რამოდენიმე წინაპირობაა აუცილებელი: 1. საქართველომ უნდა შეიძინოს თავისი რეალური პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისი პოლიტიკური სტატუსი. ამისათვის საქართველოს უნდა შეეცვალოს შეიარაღებული აგრესიისა და ანექსიის შედეგად თავსმოხვეული უკანონო სახელი – **საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.**

2. ... ქვეყნის სახელწოდების შეცვლა (ბუნებრივია, შეიცვლება სახელმწიფო სიმბოლიკაც) ფაქტობრივად ნიშნავს გარდამავალი პერიოდის იურიდიულ დამტკიცებას, რადგან საქართველოს რესპუბლიკა – არასაბჭოთა და არასოციალისტური იურიდიულად ვეღარ ჩაითვლება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის შემდაგენლობაში მყოფად“.

ახლა იმის შესახებ, მართლა ჰქონდა თუ არა მნიშვნელობა, არჩევნები საბჭოური იქნებოდა, თუ არასაბჭოური. ამ უმნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებითაც იგივე „მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ კონცეფციაში“ ვკითხულობთ: „იმისათვის, რომ კანონიერად წარიმართოს საქართველოს გარდამავალი პერიოდი, აუცილებელია მისი კანონიერად დაწყება... ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია გარდამავალი ეტაპის აუცილებელ წერტი-

ლად გავიხადოთ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და 1921 წლის 27 იანვრის ერთა ლიგის გადაწყვეტილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო სუვერენად ცნობის შესახებ და არა საკავშირო თუ რესპუბლიკური კონსტიტუციების „კარგი“ თუ „ცუდი“ მუხლები... ამდენად, საქართველოს დღევანდელი უზენაესი საბჭო ვერაფრით ვერ იქნება საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების გამომხატველი. სწორედ ამიტომ სავსებით სამართლიანად ამბობს უარს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალური ფრთა არჩევნებში მონაწილეობაზე და არა ახირების გამო“.

ძაბირაძე ჩვეული ემოციური სიმძაფრით გმობს რადიკალური ოპოზიციის მიერ სამტრედიის რკინიგზის პიკეტირებას (№2(47), (48). რეალურად, ამ რადიკალურმა აქციამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საყოველთაო, არასაბჭოური, დემოკრატიული არჩევნების დანიშვნის საკითხში. აქედან გამომდინარე იმდენად დიდია სამტრედიის რკინიგზის აქციის პოლიტიკური მნიშვნელობა, გარდამავალი პერიოდის საფუძვლიანად მომზადების საკითხში, რომ ვერანაირი ეკონომიკური დროებითი თვითბლოკადა ვერ დაჩრდილავს მას. ან კი, მართლაც იმგვარად იყო საქმე, როგორც ძაბირაძე წარმოაჩენს? „ნამდვილი ეროვნული მოძრაობა“ სამტრედიაში პიკეტირებას უკეთებს რკინიგზას და ამით თავად უცხადებს ბლოკადას მოსკოვს და შემდეგ სქოლიოში (3) აგრძელებს: „...ანუ აკეთებენ იმას, რასაც რუსეთი მოიმოქმედებდა, თუ ჩვენ დამოუკიდებლობას, გამოვაცხადებდით“.

ოფიციოზს ხალხი შეცდომაში შეჰყავდა, როცა არწმუნებდა, რომ თითქოს „სამტრედიის აქციის“ ბრალი იყო საქართველოში საკვები პროდუქტებისა და ნავთობპროდუქტების დეფიციტი. რამდენი ხანია, რაც აქცია დამთავრდა, მაგრამ საქართველოში არც საკვები პროდუქტებია და არც ბენზინი. საოცარ ერთსულოვნებას იჩენენ „სამტრედიის აქციის“ შეფასებაში ოფიციოზი, საკოორდინაციო ცენტრი და ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი. ისინი ხელსაყრელ შემთხვევას არ უშვებენ, რომ აკრიტიკონ ეს აქცია; ოფიციოზის მხრიდან ეს კრიტიკა გასაგებია, მაგრამ საკოორდინაციო ცენტრის (ე. ი. ეროვნული ძალების) მხრიდან კი „სამტრედიის აქციის“ კრიტიკა, რბილად რომ ვთქვათ, პოლიტიკური სპეკულაციაა ქულების დაწერის მიზნით.

მაშინ, როდესაც საქართველოს ეროვნულ მოძრაობას სურს, რომ დე ფაქტოდ არსებულმა მთავრობამ დაარღვიოს ყოველგვარი სავაჭრო ურთიერთობა უკრაინასთან, ბელორუსიასთან და რუსეთის იმ ოლქებთან, რომლებმაც განიცადეს ჩერნობილის ზეგავლენა, ხდება პირიქით, მთავ-

რობა ერისაგან მალულად დებს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებებს ხსენებულ რესპუბლიკებთან. ჯერჯერობით ხელშეკრულება დაიდო რსფსრ და აზერბაიჯანთან. არ არის გამორიცხული, რომ ასეთივე ხელშეკრულება დაიდება უკრაინასთან, ბელორუსიასთან და ყველა სხვა რესპუბლიკებთან. ასე ამგვარად, ქართველი ერი გაებმება მონობის ახალ უღელში და გაგრძელდება მის მიმართ წარმოებული „ბიოლოგიური ომი". როგორც ვიცით, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული ბიოლოგიური ომი საქართველოს მიმართ დღემდე არ შეწყვეტილა და მის კატასტროფულ შედეგებსაც თანდათან უფრო მწვავედ ვიმკით სხვადასხვა დაავადებების გავრცელებით.

ძაბირაძე, ზემოგანხილული საკითხის ქვემოთ განიხილავს 1989 წლის 31 მაისის უნივერსიტეტის სტუდენტების შიმშილობის აქციასაც და ჩვეული გულმოდგინებით ეჭვქვეშ აყენებს სტუდენტების თავგანწირვასა და პატრიოტიზმს. აშკარად ჩანდა „ხელისუფლებაც დაინტერესებული იყო აქციის აგორებითო".

ჩვენ კი დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ 20 ივნისის სესიის მოწვევა ხელისუფლებას აიძულა 31 მაისს უნივერსიტეტში დაწყებულმა 5 სტუდენტის უვადო შიმშილობამ (ემზარ გოგუაძე და სხვ.), მთავრობის სასახლესთან „მრგვალი მაგიდის " წევრების შიმშილობამ და მოსკოვის ქართული სათვისტომოს წარმომადგენელთა შიმშილობის აქციამ „მზიურში". ამგვარი რადიკალური საპროტესტო აქციების ზეწოლით, **20 ივნისის სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღო მრავალპარტიული საარჩევნო კანონპროექტის ერთობლივად (ოპოზიციის თანამონაწილეობით) შემუშავების გადაწყვეტილება...** რითაც აშკარად უკმაყოფილოა ძაბირაძე და თავისებური დასკვნებიც გამოაქვს: „... ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საქართველოში ხელისუფლება უკვე აღარ არსებობს და ყველაფერს „მრგვალი მაგიდა" აკონტროლებს. იქნებ მოსკოვი შეეგუა საქართველოში ეროვნული ძალების გამარჯვებას?... იქნებ ჩვენთან ყველაფერი ისე მიდის, როგორც მას სურს?" ამ დამაინტრიგებელი კითხვით ამთავრებს წერილის ამ ნაწილს იგი (?2(47), მე-3 სვეტი).

დიახ, ძაბირაძეების თვალწინ დაუჯერებელი პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს: **ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალური ფრთა „მრგვალი მაგიდა" დღითი დღე მძლავრობს და ხელისუფლების მართვის სადავეებისკენაც ენერგიულად მიიწევს,** რისი ნამდვილობისაც ძაბირაძესა და მის ჯგუფს არ სჯერა, რადგან მათთვის უცხოა ამგვარი რადიკალიზმი და თავგანწირული შემართება, ისინი კი „ზომიერები" არიან და იმპერიული სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსს

არ ეწინააღმდეგებიან. მიუხედავად იმისა, რომ გორბაჩოვისეული პერესტროიკა უკვე თავის აქტიურ ფაზაშია, რაც თვით კრემლშიც აშკარად და სახიფათოდ კრიტიკულ სიტუაციას ხდის. რევოლუციური პროცესები მიმდინარეობს შუა აღმოსავლეთ ევროპაშიც, რუსეთი მთლიანად ჰკარგავს გავლენას ამ ქვეყნებზე, რითაც დასავლეთიც არსებითადაა დაინტერესებული. საქართველოსთვის ჯეროვნად, არც რუსეთს სცალია და არც დასავლეთს. ზვიად გამსახურდია ამ ვითარებაში, დროშიც და სივრცეშიც მაქსიმალურად ესწრაფვის „საშინაო" (რუსეთის) და საგარეო (ევროპის) ვითარება **საქართველოს სასიკეთოდ წარმართოს,** რაც განსაზღვრავს მის გააქტიურებას: წელიწადნახევრიანი პერმანენტული საპროტესტო აქციებით და ამ აქციებში თითქმის მთელი ქართველი ერის ჩართვით, ზვიადმა მიაღწია ადგილობრივი ხელისუფლების მნიშვნელოვნად დასუსტებას და მართვის სადავეების თითქმის თავის ხელში აღებას, რაც საბოლოოდ 28 ოქტომბრის საყოველთაო, სახალხო დემოკრატიული არჩევნებით დაგვირგვინდა.

დიახ, ზვიად გამსახურდიას ლიდერობით არსებობდა საქართველოში მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ანუ რადიკალური ოპოზიცია და არსებობდნენ ეროვნული იმპოტენტებიც, რომლებსაც აკრთობდათ რისკი, სამაგიეროდ ხელეწიფებოდათ სხვადასხვაგვარი ინტრიგები და ზურგში მახვილის ჩაცემა. ასეთებს, არც არასოდეს ეყოფათ ვაჟკაცობა აღიარონ ზვიად გამსახურდიას სიდიადე. ამ „პერსპექტივით", კვლავაც იქნება მცდელობები ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის რევიზიისა და უსამართლო კრიტიკის. ფსევდო-ეროვნული და საბჭოური ყაიდის ინტერნაციონალისტები დღემდე ვერ გრძნობენ დემოგრაფიული ექსპანსიის კატასტროფულ საფრთხეს და კვლავ დეპორტირებული <u>მესხეთელი თურქებით</u> (და არა, თურქი-მესხების) რეპატრიაციის ურაპატრიოტ იდეოლოგებად გვევლინებიან. ჩვენ, ცხადია, მათში არ ვგულისხმობთ მესხების იმ მცირე ნაწილს, რომელთა დაბრუნების მომხრე ვიყავით და ვიქნებით კვლავაც და შესაბამისადაც ვიღვაწებთ.

ილ.ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის სიძულვილი ზვიად გამსახურდიას მიმართ, კონდიციას აღწევს ტელევიზიით მისი ხშირი ხსენების გამოც, რასაც ოპოზიცია „რეკლამირებას ლანძღვით" უწოდებს და სპეციალური წერილით მიმართავენ ტელევიზიის თავმჯდომარე არჩილ გოგელიას: **„თუკი ხელისუფლება მართლა „ებრძვის" ზ. გამსახურდიას... და მისი მოკვლა უნდა, რა ისეთი მოუხელთებელი ფანტომასია ზვიად გამსახურდია? „სუკ"-ს, რომლისთვისაც მკვლელობა და ყოველგვარი**

ბნელი საქმიანობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით უბრალო ანა ბანაა, რა გაუხდა ერთი ხეირიანი ბომბის შოვნა...“ და ა. შ.

„კეთილმოსურნე პატრიოტებს“, რადგან ვერ მიმხვდარან, თუ რაში მდგომარეობდა ზვიად გამსახურდიას პირდაპირი ლიკვიდაციის სიძნელე, მოვახსენებ, რომ კგბ, არც არასოდეს ყოფილა ასეთი ხისტი მათთვის არასასურველ, ცნობილ პიროვნებებთან მიმართებაში. კგბ-მ თავისი დახვეწილი სივერაგე სავსებით დაადასტურა, ზვიად გამსახურდიას ერთ მივარდნილ-მიყრუებულ სოფელში (ჯიხაშკარში) ლიკვიდაციით, რითაც ალბათ, აწ მაინც, ფრიად კმაყოფილნი არიან ილ. ჭავჭავაძის გამგეობის წევრები. სულმნათი ილია ჭავჭავაძე კი, უთუოდ საფლავში ძრწის მისი სახელის გამო...

ძაბირაძე წერს რა ეროვნული მოძრაობის მიმართ ხელისუფლების პროვოკაციებზე, ასკვნის: პროვოკაციათა კასკადმა „ეროვნული მოძრაობა თითქმის ნულამდე დაიყვანაო“ (№3(48), სქოლიო 3), რასაც აგრეთვე ვერ გავიზიარებთ, რადგან ეროვნული მოძრაობის საგრძნობლად შეთხელება (და არამც და არამც ნულამდე დაყვანა) განაპირობა ხუნტისტურ-დიქტატორული რეჟიმის 7-წლიანმა პერმანენტულმა რეპრესიებმა, რამაც დათრგუნა და დაასუსტა მოძრაობა, მაგრამ ვერ ჩაკლა!

ზვიად განმათავისუფლებლები მარტო აღმოვჩნდით შევარდნაძის ანტიეროვნულ-კაპიტულანტური ხელისუფლების წინააღმდეგ 7-წლიან თავგანწირულ ბრძოლაში; ეროვნული მოძრაობიდან განდგომილთაგან, არავინ ცდილა ჩვენს სიტყვიერ დაცვასაც კი, არამედ – ხელისუფლებასთან ერთად განაგრძობდნენ იდეოლოგიურ ლაშქრობას ჩვენს წინააღმდეგ.

ძაბირაძე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კრიტიკის ერთადერთ არგუმენტად, ბოლომდე იყენებს რა ილ. ჭავჭავაძის საზოგადოების გაზეთ „ივერიას“ – „ახალი საქართველოს“ №4(49)-შიც განაგრძობს „ივერიის“ პუბლიკაციების ვრცლად გამოქვეყნებას, ანუ საკუთარი კუდის დამოწმებას ზვიად გამსახურდიას აგენტურული მოღვაწეობის „დასტურად“. ყურადსაღებია, რომ ძაბირაძის მიერ გამოქვეყნებულ „ივერიის“ პასკვილებს, როგორც წესი, არც ერთს ავტორი არა ჰყავს და ყველა ანონიმურია, მაგრამ ძაბირაძისათვის მათ მაინც მტკიცებულობის ძალა გააჩნია.

ალბათ, ანონიმურობის დამცავი მექანიზმით უნდა ავხსნათ, ფარული ავტორების აღვირახსნილი ქილიკი და ცილისწამებები ეროვნული მოძრაობის ყოველგვარ მიღწევასა და მონაპოვარზე. ძაბირაძისა და მისი ჯგუფისათვის, ეროვნული მოძრაობის ძალისხმევა, პათოსი და სულისკვეთება, კომედიის ჟანრად ქცეულა და მის მოგონებაზე დღესაც

ღიმილი ერევათ, თურმე! ლაპარაკია, 1990 წლის 17-18 აგვისტოს სსრ უზენაესი საბჭოს ისტორიულ სესიაზე, რომელიც აგრეთვე მოწვეულ იქნა ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთის ზეწოლით. „სესია კომიკურ სიტუაციაში მიმდინარეობდაო“, წერს ძაბირაძე, ხოლო მის მიერ გაზეთ „ივერიიდან“ მოყვანილ ციტატაში კი ვკითხულობთ: „შესანიშნავი რეჟისურა, ბრწყინვალე მსახიობები, დიდებული სპექტაკლი – ასე შეიძლება დავახასიათოთ 17-18 აგვისტოს თბილისში მიმდინარე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია“.

აშკარაა, „ზომიერებად“ მონათლული ცვედანი ოპოზიციისათვის ყოვლად უცხო და მიუღებელია საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის მუხტით და პროტესტის ნიშნით წარმართული პოლიტიკური აქციები. 1989-90 წელი, აკორდული 17-18 აგვისტოს დამაგვირგვინებელი აქციით, ჭეშმარიტად გახლდათ ქართველი ხალხის ეროვნული ენერგიის მორიგი სისხლსავსე დემონსტრირება, რაზეც ნათლად მეტყველებენ შემორჩენილი ვიდეო-კადრები და ძაბირაძეები ვერაფრით დაჩრდილავენ მას. და მაინც, რეალურად რა იყო 17-18 აგვისტოს სესიის მიმდინარეობის დროს მომიტინგეთა ესოდენი მღელვარების მიზეზი? ამის შესახებ სრულ ინფორმაციას გვაწვდის „მრგვალი მაგიდის“ მემორანდუმი: *„ხელისუფლებამ 17-18 აგვისტოს, სესიის მუშაობის დღეებში, კვლავ მიმართა მისთვის ჩვეულ, მაგრამ ამჯერად თავისი ხასიათით ყველაზე მზაკვრულ ხერხს: ფაქტიურად დაადგა ხალხისა და დემოკრატიის აშკარა ღალატის გზას, როდესაც სესიაზე შეეცადა დაერღვია ყველა ის არსებითი პუნქტი, რომელიც ერთობლივად იყო მიღებული საკონსულტაციო კომისიის მიერ გონივრული კომპრომისის საფუძველზე. თავისი ამ მოღალატური მოქმედებით მან კატასტროფის წინაშე დააყენა, როგორც საარჩევნო კანონის, ასევე მთლიანად ქართველი ხალხის ბედი. ხელისუფალთა ამგვარ ხრიკს დაუპირისპირდა ჩვენი ერის ნება და მაღალი პოლიტიკური შეგნება. ეს იყო ეროვნული ოპოზიციის დიდი ზნეობრივი და პოლიტიკური გამარჯვება. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქართველ ხალხს სურს და უნარიც შესწევს, ჩაატაროს ჭეშმარიტად დემოკრატიული, მრავალპარტიული და არასაბჭოური არჩევნები“.*

ახლა ვნახოთ, როგორ აღწერს ქვეყნის მომავლისათვის ესოდენ საციცოცხლო მნიშვნელობის სესიის მიმდინარეობას, ძაბირაძის ერთადერთი წერილობითი წყარო „ივერია“: „იყო აყალ-მაყალი, შეხლა-შემოხლა, გაწევ-გამოწევა, გაქცევ-გამოქცევა, ქვისა და ტალახის სროლა, მოკლედ, ხალხმა უდიდესი სიამოვნება მიიღო და, რაც მთავარია „ნამდვილი გამარჯვებაც“ იზეიმა“.

დიახ, შორიდან მაყურებელ და საეჭვოდ მშვიდ „ოპოზიციას“, მთავრობის სასახლის წინ მიმდინარე სისხლსავსე აქციებთან არაფერი აკავშირებდა; შესაბამისად, არც არაფერი დარჩენოდა, გარდა ქილიკისა. თავგანწირული მომიტინგენი კი ხელისუფლების თავხედური აქტით აღშფოთებულნი ლამის შეიჭრნენ მთავრობის სასახლეში. ამგვარი სახიფათო დაძაბულობა კვლავ ზვიად გამსახურდიამ განმუხტა დაპირებით, რომ იგი შეეცდებოდა მიეღწია სესიაზე გამოსვლისთვის, რითაც აიძულებდა ხელისუფლებას წინასწარი შეთანხმების შესრულებას. იმ მძლავრი, გადამწყვეტი აქციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე მეც ვარ და ეს ისტორიული დღე ღირსებით მავსებს.

ცნობილია, რომ ზვიად გამსახურდიამ ერთიანობის მიზნით, არჩევნებამდე, ბატონ აკაკი ბაქრაძესა და ბატონ ნოდარ ნათაძეს შესთავაზა ერთიანი ანტიკომუნისტური ბლოკის შექმნა, რაზეც მათ უარი განაცხადეს. ძაბირაძე კი წერს, თითქოს ამგვარი წინადადება თავად ნოდარ ნათაძემ და აკაკი ბაქრაძემ შესთავაზეს ბატონ ზვიადს, მაგრამ ეს იდეა „მრგვალმა მაგიდამ“ ჩაშალაო, რაც არასწორია!

№5(50)-ში, ძაბირაძე, ძირითადად ეხება კონგრესისა და უზენაესი საბჭოს არჩევნებს და ოპოზიციის მიერ დესტაბილიზაციის შექმნას, რაშიც აგრეთვე ეროვნულ ხელისუფლებას ადანაშაულებს და დაბეჯითებით ცდილობს, ზვიად გამსახურდია არაეროვნულ და აგენტურულ ძალად წარმოადგინოს. ამისათვის მას „მტკიცებულებად“ კვლავ ტელევიზიის „მხარდაჭერა“ მოჰყავს, რაც ზვიად გამსახურდიას ლანძღვა-განქიქებაში გამოიხატებოდა, მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, მათ ესეც შეშურებიათ და თავისებური შეფასებაც მიუციათ: **„რეკლამა ლანძღვით“.**

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ, ტელევიზიის მუშაკთა უკვე ნამდვილ ამხედრებას კი „ღრმად დაკვირვებული“ ძაბირაძე ამგვარად აფასებს: „ტელევიზიის მუშაკთა ერთი ნაწილის ქმედებას მაშინაც, როცა ისინი მხარს უჭერდნენ ზ. გამსახურდიას და მაშინაც, როცა ისინი ზ. გამსახურდიას დაუპირისპირდნენ, უხილავი დირიჟორის ხელი წარმართავდა“. ეს კი, ალბათ ის შემთხვევაა, როცა იმ „უხილავ დირიჟორს“ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება არ აწყობდა. მაშ, რიღასთვის მოიყვანა? იკითხავს ძაბირაძის ლოგიკის მიმდევარი, მაგრამ ვეჭვობ, თავად ძაბირაძეს, ამ ხისტ კითხვაზე რაიმე დამაჯერებელი პასუხი გააჩნდეს. მას მხოლოდ დამაინტრიგებელი სიუჟეტების შეთხზვა შეუძლია. მიზანს, ნაწილობრივ, ხომ მაინც აღწევს?...

ახლა კონგრესის ფუნქციაც გავარკვიოთ.

როგორც ვიცით, ზვიად გამსახურდიას, კონგრესის არჩევა, ყოვლად გაუმართლებლად მიაჩნდა მთელი რიგი პოლიტიკური და სამართლებრივი მოსაზრებების გამო: 1.საბჭოთა რეჟიმის პირობებში კონგრესის არჩევნები ვერ იქნებოდა ერთადერთი; 2.არაოფიციალურ კონგრესის არჩევნებში სათუო იყო მოსახლეობის უმრავლესობის მონაწილეობა, რის გამოც იგი ვერ იქნებოდა საყოველაო; 3.არაოფიციალური არჩევნები ვერ გახდებოდა საერთაშორისო სამართლის მქონე სუბიექტი.

ამგვარად, არაოფიციალური კონგრესის არჩევნები, მართალია იხსნიდა საბჭოურობის ლაქას, მაგრამ სამართალსუბიექტობის თვალსაზრისით ქმნიდა ვაკუუმს. ამიტომ, ზვიად გამსახურდიამ, არჩევნების ჩატარების ორი თეორიული (არაოფიციალური და ოფიციალური) შესაძლებლობიდან აირჩია პირველი – ოფიციალური არჩევნები და 28 ოქტომბრამდე, აგრეთვე იგიც, თითქმის სრულად განწმინდა საბჭოური ლაქებისაგან. კერძოდ; ეროვნული ძალების ზეწოლი შედეგად მოწვეულმა 1990 წლის 9 მარტის სესიამ გააუქმა ყველა მოქმედი ძირითადი საბჭოური ხელშეკრულება, აღიარა რა 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის ფაქტი, გააუქმა 1922 წლის 12 მარტის და 1924 წლის 24 მაისის სამოკავშირეო ხელშეკრულებები და სხვა.

ერისა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, დაპირისპირებულ ძალებს, თითქოს უარი უნდა ეთქვათ „კონგრესის“ არჩევნებზე და მონაწილეობა მიეღოთ 28 ოქტომბრის არჩევნებში, მაგრამ ეს დესტრუქციული ძალები, სრულად „ეროვნულ კონგრესში“ აღმოჩნდნენ. კონგრესში კი ამ მტრული ძალების მიერ აკუმულირება მოხდა შუღლისა და ნგრევის იმპულსის. ამგვარად დამუხტულმა „კონგრესმა“ კი, ეროვნული ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამხობით ამოწურა თავისი ფუნქცია და დაიშალა.

ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება კი სახალხო ხელისუფლება გახლდათ და იგი არ დაშორებია (არ მოწყვეტია) ხალხს. ზვიად გამსახურდია პოლიტიკური მრწამსით ქრისტიან-დემოკრატი იყო, რომელსაც მოუწია შეხლა სრულყოფილ ბოროტებასთან, რასაც საბოლოოდ გაეცალა იგი.

ჩემს გაკვირვებას იწვევს განსახილველი მასალის მოცულობა, რის ბეჭდვასაც ასე „გმირულად“ უძლებს საშუალო ფორმატის 16-გვერდიანი გაზეთი „ახალი საქართველო“, რომელმაც, ძაბირაძის წერილებს, ამ დროისათვის უკვე 20 ნომერი უძღვნა. აშკარაა, ავტორისათვის მასალა გაზეთის რედაქტორის მიერაა შეკვეთილი, რის გამოც, ზვიადის ხელი-

სუფლების მოძულე **გაზეთის რედაქტორმა ნოდარ გრიგალაშვილმა,** წინამდებარე პოლემიკის მასთან დაბეჭდვის საშუალება არ მომცა და გაზეთ „გაუხმაურებელ ფაქტებში“ მივიტანე.

„ახალი საქართველოს“ №6(51)-ში, ძაბირაძე განაგრძობს ეროვნული ხელისუფლების განქიქებას, წარმოაჩენს ეროვნული ხელისუფლების „დანაშაულებრივ“ როლს ოპოზიციასთან მიმართებაში, ქმნის ხელისუფლების დიქტატორულ სახეს. ამ მიზნით იგი ლაპარაკობს ხელისუფლების მიერ, ვითომცდა თავდასხმებზე ოპოზიციის მიმართ და „მხედრიონის“, ვითომცდა განადგურებაზე. „მხედრიონის“ განადგურება კი, პირდაპირი მნიშვნელობით თუ რომელი ხელისუფლების მიერ გახორციელდა (მათთვის მუსრის გავლებით: სადარბაზოებსა თუ ქუჩებში ძაღლებივით ჩახოცვით, სადალაქოებსა თუ მანქანებში აფეთქებებით, აფხაზეთის ომში ტყვიების ზურგში სროლით და ა. შ.), ეს დღევანდელმა საზოგადოებრიობამ ზედმიწევნით კარგად უწყის და ძაბირაძის უმისამართო ბრალდებები მათ მხოლოდ გააკვირვებს.

ჯაბა იოსელიანი ხანგრძლივ პატიმრობებში ჰყავდა კომუნისტურ ხელისუფლებას, ხანმოკლე პატიმრობაში ეროვნულ ხელისუფლებას, რომლის გათავისუფლებას თავადაც დიდსულოვნად აპირებდა დამოუკიდებლობის აქტების მიღების შემდგომ. პატიმრის ხვედრი, ჯაბა იოსელიანმა, თავად განიმზადა საკუთარი ცხოვრების წესით და როგორც დავრწმუნდით, მისთვის ციხე სულაც არ იყო ტრაგედია, არამედ ცხოვრების წესი. ჯაბა, უთუოდ, იმ დღის მთვარეზეა დაბადებული, რომლითაც ბედისწერად განესაზღვრა: „დაბადებული ყმაწვილი ფერმკრთალი და ქურდი გამოვიდეს“.

ეროვნული ხელისუფლება, დიახ, უარს ამბობდა „კრიმინალური ინტელიგენციისა“ და „აგენტურული ინტელიგენციის“ საზოგადოებაზე და აშენებდა ზნეკეთილ, განათლებულ, ღვთისმოსავ და ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალულ საზოგადოებას, როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობისა, და სახელმწიფოებრივი სიმტკიცის საიმედო სახეს და გარანტს.

ძაბირაძე განიხილავს უზენაესი საბჭოს სესიის მიერ საპრეზიდენტო თანამდებობის შემოღებისა და ამ თანამდებობაზე ბატონ ზვიად გამსახურდიას წარდგენის ფაქტს, რასთან დაკავშირებითაც აცხადებს, რომ „ამ ფაქტმა ახალი იმპულსი მისცა დაპირისპირებას ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და ძირითადად განსაზღვრა, საქართველოში, შემდგომში განვითარებული პოლიტიკური პროცესები, რადგან არ იყო არგუ-

მენტირებულად დასაბუთებული პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების აუცილებლობა (ხელისუფლებას ამისთვის თავი არ შეუწუხებიათ)".

რადგან „ოპოზიციამ" თავად ვერ გაანალიზა ახლადგამოცხადებული დამოუკიდებელი ქვეყნის სიმტკიცისათვის, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებას, თავად პრეზიდენტობის კანდიდატმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ შეიწუხა თავი და 1991 წლის 28 აპრილს, საქართველოს ტელევიზიით სავსებით სრულად და გასაგებად განმარტა, რომ **„არ მინდა ვტოვებდე შთაბეჭდილებას ისეთი ადამიანისას, რომლის ცხოვრების უმთავრესი მიზანი პრეზიდენტობაა. არასოდეს მქონია ასეთი მიზნები... კრემლს არ სურს საქართველოს ჰყავდეს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, ვინაიდან ეს განამტკიცებს საქართველოს პოზიციებს საერთაშორისო ასპარეზზე და დააჩქარებს საქართველოს ცნობას – დიპლომატიურ ცნობას მსოფლიოს სახელმწიფოების მიერ. აი, ამ მიზეზით ყოველგვარ ზომებს ღებულობენ, რომ არ დაუშვან საქართველოში ეს არჩევნები... საპრეზიდენტო არჩევნები იმდენადვე მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როგორც რეფერენდუმი და როგორც დამოუკიდებლობის დეკლარაცია".** ჭეშმარიტად! მაგრამ სურდათ კი საქართველოს შინაურ მტრებს, ოპოზიციას დამოუკიდებელი საქართველოს პოზიციების განმტკიცება საერთაშორისო ასპარეზზე და მისი დიპლომატიური ცნობა მსოფლიო სახელმწიფოების მიერ? არ სურდათ! ამიტომაც ქმნიდნენ დესტაბილიზაციას, ხელს უწყობდნენ და აქეზებდნენ კრიმინალს, აქტიურად ნერგავდნენ აზრს, რომ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პირობებში საქართველოს დამოუკიდებლობას არ სცნობს მსოფლიოს სახელმწიფოებიო. ასეთ ვითარებაში, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უკიდურესი ძალისხმევა დასჭირდა, რათა ქვეყანაში მიეღწია შედარებით სტაბილურობას, რომ დაწყებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის პროცესი, რაც დაიწყო კიდეც აგვისტოს თვიდან, რამაც განაპირობა კრემლის შეიარაღებული აგრესია საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიმართ, რომლის დასაყრდენს ქვეყნის შინაური მტრები, ანუ „ოპოზიციონერები" წარმოადგენდნენ.

ძაბირაძემ შეთხზა რა მითი ზვიად გამსახურდიას დიქტატორობის შესახებ, აგრეთვე ალოგიკურად მიიჩნევს „მრგვალი მაგიდელების" 9 აპრილის მოწოდებას ეროვნული დაუმორჩილებლობის შესახებ.

პრეზიდენტი გამსახურდია, იმავე სატელევიზიო გამოსვლაში ამ კრიტიკულ ფაქტსაც ეხება:

„..ჩვენი ოპონენტები ამბობენ, აგრეთვე, თითქოს ჩვენ ეროვნული დაუმორჩილებლობის გამოცხადებით თვითბლოკადას ვეწეოდეთ. ესეც

დემაგოგიური და პროვოკაციული განცხადებაა,მეგობრებო, ვინაიდან ცნობილია, თუ რა დიდ ზიანს აყენებს ჩვენს მიერ გამოცხადებული ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობა **უპირველეს ყოვლისა საბჭოთა ეკონომიკას,** რაზედაც მეტყველებს ის წერილები და დეპეშები, რომლებიც მოდის საქართველოში ცენტრიდან. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯომარის მოადგილის დოგუჟიევის ტელეგრამა, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა ეკონომიკას უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენმა რკინიგზელთა გაფიცვამ, დოგუჟიევი კატეგორიულად მოითხოვს ამ გაფიცვის შეწყვეტას. სხვადასხვა საწარმოებიდანაც მოდის დეპეშები. ყოველივე ეს გამოქვეყნდება პრესაში. მართალია, არც ის არ არის დასამალი, რომ ჩვენი ეკონომიკის ინტერესებიც ზიანდება, მაგრამ მსხვერპლის გარეშე თავისუფლება არავის მოუპოვებია. ამიტომ გთხოვთ ნუ აჰყვებით დემაგოგებს, კაპიტულანტების მოწოდებებს, რომ ხელი ავიღოთ ჩვენს ბრძოლაზე და დავნებდეთ კრემლს. ასე, რომ, აქ ელასტიურობის გამოვლინება და ყოველგვარი ლავირება მიგვიყვანს მხოლოდ ეროვნული ინტერესების ღალატამდე. ჩვენ არ ვაპირებთ გადავუხვიოთ იმ გეზს, რომელიც ავიღეთ დამოუკიდებელი საქართველოს აღორძინებისათვის ბრძოლაში“.

ოპოზიციონერებსა თუ ვერაგ დემაგოგებს, თავიანთი ინტრიგანული გამოხდომებით სურდათ, ჩვენი ბრძოლა როგორმე შეეფერხებინათ, მაგრამ, საბედნიეროდ, ჭეშმარიტი ეროვნული ძალების საღმა აზრმა და პოლიტიკურმა მიდგომებმა გაიმარჯვეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, მთლიანად, რადიკალური ოპოზიციის მონაპოვარია. რომ არა, რადიკალური ძალების მიზანდასახული ბრძოლა, იმპერიის მარწუხებისაგან საბოლოოდ ვერ გავთავისუფლდებოდით. უნდა ვიცოდეთ, რომ სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებთან მიმართებაში, ზომიერი მიდგომა უპერსპექტივო, არასერიოზული მიდგომაა და უნდა გამოირიცხოს.

ძაბირაძე ცრუობს, როდესაც წერს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში, ზვიად გამსახურდიას ალტერნატივად – ვალერიან ადვაძე, ნოდარ ნათაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, ყორღანაშვილი და ლიპარტელიანი – კენჭს მარტოოდენ იმისთვის იყრიდნენ, რომ საშუალება მისცემოდათ, საარჩევნო პერიოდში ტელევიზიით ესარგებლათ, რადგან მათ „დიქტატორი გამსახურდია“, სხვა შემთხვევაში ტელევიზიით გამოსვლის საშუალებას არ აძლევდაო. ამაშიც ცრუობთ, ბატონო ძაბირაძევ! თქვენს მიერ ხსენებული კანდიდატების უპირველესი მიზანი იყო, ის ათეული ხმები, რომლებიც მათ მოიპოვეს – დაეკლოთ გამსახურდიასათვის, ხოლო ტელევიზიით

მოეხდინათ მისი დისკრედიტაცია და გაეჩაღებინათ ინფორმაციული ომი მისი, როგორც რეალური საპრეზიდენტო კანდიდატის წინააღმდეგ.

თითქმის ქუჩაში დასახლებულ „ოპოზიციას“, მიტინგებითა თუ ოპოზიციური გაზეთებით სრული საშუალება ჰქონდათ (მათ მიტინგებს არავინ არბევდა) „მოსახლეობის ინფორმირების“, რეალურად კი – დეზინფორმირებისათვის და არც სატელევიზიო გამოსვლებითაც იყვნენ შეზღუდულები: „ოპოზიციის“ (მე მას შინაურ მტრებს ვუწოდებდი) რადიკალური განცხადებები, რომელიც ხშირად ხელისუფლების მიმართ ულტიმატუმს წარმოადგენდა, იბეჭდებოდა თვით სამთავრობო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაშიც“ (იხ. თვით ძაბირაძის მიერ დასახელებული „საქართველოს რესპუბლიკის“ 1991 წლის 1 ოქტომბრის გაზეთი).

ძაბირაძე გადაჭარბებულად წარმოადგენს ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტის უფლებებს, რის შესახებაც წერს, რომ თითქოს მის ხელში იყო „განუსაზღვრელი ძალაუფლება“ და რომ იგი, თითქოს „აბსოლუტური ძალაუფლებით აღჭურვილი პრეზიდენტი“ იყო.

მკითხველს ვთხოვთ წაიკითხოს 1991 წლის საქართველოს კონსტიტუცია 30 ოქტომბრის ცვლილებებითა და დამატებებით (თავი 13[1]) და 1996 წლის საქართველოს კონსტიტუცია (თავი მეხუთე), შეადაროს ეს თავები ერთმანეთს და დარწმუნდება, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, უკანონო პრეზიდენტ შევარდნაძესთან შედარებით, მეტად მოკრძალებული უფლებები ჰქონდა.

ძაბირაძის კრიტიკის ობიექტი, პრეზიდენტად კენჭისყრის უფლების კონსტიტუციური განსაზღვრაც გამხდარა, რაც შევარდნაძეზე იყო გათვლილიო. ჩვენის აზრით კი, 1991 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული პრეზიდენტად კენჭისყრის უფლების 5-წლიანი პერიოდი, სავსებით ნორმალური და დემოკრატიული იყო. თუ მასში ვერ ჯდებოდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე, სამაგიეროდ მან 1996 წლის კონსტიტუცია ხომ მთლიანად თავის მდგომარეობას მოარგო, როგორც განუსაზღვრელი ასაკობრივი ცენზით, ასევე საქართველოში ოდესმე ცხოვრების 15 წლიანი ვადით?

„ახალი საქართველოს“ ახალი ნომერიც შემომიტანეს და სულსწრაფად ძაბირაძის სტატიის ბოლო მინაწერს დავხედე, რომელიც კვლავ უმოწყალოდ მატყობინებდა: „გაგრძელება იქნებაო“. სიმწრით გავიფიქრე, რომ ავანტიურისტულად აღმოვჩნდი ჩათრეული ამ „მრავალკილომეტრიან“ პოლემიკაში, რის დასასრულთან კიდევ შორსა ვარ! ამ სერიალში კი (№7(52) მემუარისტი ძაბირაძე მოსკოვის პუტჩისა და თბილისის 2 სექტემბრის ამბებს ეხება და ზვიად გამსახურდია, ლამის 19 აგვის-

ტოს პუტჩის თანამზრახველად გამოჰყავს, რის დასტურადაც უთითებს 1991 წლის 1 ოქტომბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ „დოკუმენტს“ შავნაბადაზე „მხედრიონელების“ მიერ აღმოჩენილს – ზვიად გამსახურდიას მიერ, ვითომცდა იანაევისადმი გაგზავნილ „ხალხის მტრების დასახვრეტთა სიას“, რომელიც შესაბამის ბლანკიან ქაღალდზეა დაბეჭდილი რუსულ ენაზე. ძაბირაძემ შესანიშნავად იცის ამ დოკუმენტის სიყალბე, რაც მაშინდელი ოფიციალური ექსპერტიზის დასკვნითაც არის დადასტურებული, მაგრამ მაინც იხსენებს, ვინძლო კვლავ ააგოროს რისხვის ტალღა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. მისი ქრონოლოგიური ხასიათის „ისტორიული შრომა“ ხომ 1991-92 წლების სამხედრო გადატრიალების შეფასებისთვის იწერება, რისთვისაც ასე მიზანდასახულად ამუქებს გამსახურდიას „რეჟიმს“, რათა როგორმე გაამართლოს კანონიერი და ეროვნული ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობა. ასეთია ამოცანა – **დავალებაც ასეთია!**

გელა ლანჩავა კი არამცთუ დააწინაურეს, არამედ გენერლის წოდებაც მისცეს საკუთარი ხალხის ხოცვა-ჟლეტაში, რომელსაც რუსთაველზე ერთ-ერთი ჩვენი მიტინგის დარბევის დროს, მწარე ირონიით პირადად „მივულოცე“ ქართველთა სისხლით მიღებული გენერლის წოდება.

ზვიადი კი, ამაოდ, ევედრებოდა ოპოზიციას, ყოფილ თანამებრძოლებს: „გთხოვთ ვიპოვოთ ერთმანეთთან საერთო ენა. მე ბევრ თქვენთაგანთან მაკავშირებს წლების მეგობრობა და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ახლა დაპირისპირებული მხარეები ვართ, რაც მწყინს და მტანჯავს, გავიხსენოთ ის ყოველივე კეთილი, რაც ყოფილა ჩვენს შორის და რამაც გვაბრძოლა ამდენ ხანს საქართველოს კეთილდღეობისათვის. გავიხსენოთ უმძიმესი წუთები, რომლებიც ერთად გაგვიტარებია, მხარდამხარ ვყოფილვართ ჩვენ, ეროვნული მოძრაობის პერიოდში. მოდით ახლა ვიპოვოთ საერთო ენა, მოგიწოდებთ არა იმიტომ, რომ ვთქვათ მე მემუქრება რაიმე საფრთხე და ჩემს პოსტს... საქართველოა საფრთხის წინაშე, უდიდესი საფრთხის წინაშე... მოგიწოდებთ დიალოგისაკენ ყველა პრობლემაზე“ (პრეზიდენტის სიტყვა 1991 წლის 15 სექტემბრის უზენაესი საბჭოს სესიაზე).

მოსკოვიდან მართულ ოპოზიციას დიალოგი კატეგორიულად არ სურდა, არამედ იღვწოდნენ დაპირისპირებისა და დესტაბილიზაციის ესკალაციისათვის. პრეზიდენტი იძულებული შეიქმნა გაეცა განკარგულება აგენტურული ოპოზიციის დაპატიმრების თაობაზე, მაგრამ პრეზიდენტს არაფერი აკავშირებდა მათი დაპატიმრების მეთოდებთან: გია ჭანტურიას დაპატიმრებისათვის აფრენილი თვითმფრინავის მართლაცდა სახი-

ფათო და სკანდალური დასმის გეგმა თავდაცვის მინისტრის მოადგილე „ავღანელ“ ნოდარ გიორგაძეს ეკუთვნოდა, რომლის შეთქმულებაც მალევე გაცხადდა.

ჩვენ ვერ გავერკვიეთ, ძაბირაძე რატომ ნათლავს 16 სექტემბერს მოსკოვში ჭანტურიას გაფრენაის მცდელობას, ემიგრაციაში წასვლად, როცა თავად ჭანტურიას ამის შესახებ არავითარი ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. ამდენად უადგილოა ძაბირაძის დიდაქტიკა „...როცა მოწინააღმდეგე თუ მტერი თავისი ნება-სურვილით ტოვებდა ქვეყანას, რა აუცილებელი იყო მისი პატიმრობაში აყვანა?“ (№8(53). ჭანტურია, თუ რისთვის და ვისთან სტუმრობდა მოსკოვში, ეს ზედმიწევნით კარგად უწყოდა პრეზიდენტმა. შევარდნაძესთან ალიანსით გამოწვეული ჭანტურიას, ხაინდრავას და სხვათა დესტრუქციული ქმედებები აბრკოლებდა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას.

გია ჭანტურია ხშირად უვარდებოდა ხოლმე რედაქციებს და ახდენდა მათი მუშაობის ბლოკირებას საკუთარი პარტიის განცხადებების გამოქვეყნების მოთხოვნით (გაზ: „ახალგაზრდა ივერიელი“, „თბილისი“). გაზეთმა „ქართულმა ფილმმა“ არ გამომიქვეყნა თსუ-ს პრეს-კლუბის პოპულარული ლიდერის, დათო ტურაშვილის მამხილებელი წერილი და არც თავად პრეს-კლუბელებმა (დ. ტურაშვილმა, ფ. ჩიხრაძემ, თედო ისაკაძემ, ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა) გამომიქვეყნეს კრიტიკა რუსლან მიქაბერიძისადმი გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტურ გვერდში, მაგრამ, არც ერთი ფაქტის გამო ხმაური არ ამიტეხავს და არც მტრად მოვკიდებივარ მათ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის იმთავითვე ნათელი იყო ამ ფსევდო-პატრიოტების გეზი და ისიც, თუ როგორ იყვნენ მართულნი კომუნისტური ნომენკლატურის მხრიდან. აკი სულ მალე აშკარადაც ვიხილეთკიდეც ისინი კომუნისტების გვერდით (ვ. გოგუაძე, ა. მარგიანი, ვ. ადვაძე...). ჩვენ ტელევიზიასთან მაშინ მივედით, როცა დათო ტურაშვილმა თავისი ემოციური სიტყვა შემდეგი მოწოდებით დაამთავრა: **„... დღეს, სწორედ დღეს უნდა გამოჩნდეს ის ძალა, რომელიც შეძლებს დაამხოს გამსახურდიას დიქტატურა!“.** ეს ძალა, რამდენიმე საათში, კიტოვანის მძიმე ტექნიკის გრუხუნით ტელევიზიასთან შემოგრიალდა კიდეც. ტურაშვილის მოწოდებამ ჩვენში ბუნებრივი აღშფოთება გამოიწვია, რის პასუხადაც ორმა ყმაწვილმა მხრებიდან ავტომატები ჩამოიხსნეს და მე და ჩემს ულამაზეს მეგობარ რუსუდან ჩერქეზიშვილს (სამი ულამაზესი ვაჟიშვილის დედას) შუბლზე დაგვიმიზნეს სისინით: „როცა საძულველ გამსახურდიას დავამხობთ, მერე ყველა ზვიადისტ ქალს დაგივლით და შუბლებს გაგიხვრიტავთ“ო.

ღრმად ვარ დარწმუნებული, თუ ის ყმაწვილები შემდგომ თავად არ გახდნენ გონიერი მტრების მსხვერპლნი – დღეს ნანობენ იმ შიზოიდურ აგრესიას, ხელოვნურად რომ წარმოშვეს მათში და თავის ნებაზე მართეს ისინი.

ძაბირაძე, სხვადასხვაგვარი ვარიაციებით დაუსრულებლად აგრძელებს ზვიად გამსახურდიას დიქტატორობის თემას, რის გამოც იძულებული ვართ ჩვენც ვარიაციებითვე ვუპასუხოთ.

პრეზიდენტი შეიარაღებული დაპირისპირების თავიდან აცილებას ცდილობდა, რისთვისაც იგი საქართველოს მოსახლეობას მთავრობის სასახლესთან შესაკრებად იხმობდა. ძაბირაძის მიერ 1991 წლის 11 ნოემბერს გაზეთ „ივერიიდან“ ციტირებული დეზინფორმაცია „პრეზიდენტმა რაიონებიდან... ჩამოიყვანა და რუსთაველის პროსპექტზე შემოიკრიბა მხარდამჭერები, რომელნიც უკვე მერამდენედ დაუპირისპირა დედაქალაქის მოსახლეობას, შეიარაღებისა და ოპოზიციის ფიზიკური განადგურებისაკენ მოუწოდა“ – ოდნავადაც არ შეესაბამება სინამდვილეს. დედაქალაქის მოსახლეობის ოთხმოცი პროცენტი ხელისუფლებას უჭერდა მხარს და მთავრობის სასახლესთან იდგა, რომლებსაც ოპოზიცია თავად უპირისპირდებოდა. მსგავს კრიტიკულ სიტუაციაში ლიტვის ხელისუფლებამაც ანალოგიურ ხერხს მიმართა და ვილნიუსში, პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული ლიტვიელები 8 თვის განმავლობაში, 24 – საათიანი რეჟიმით იცავდნენ პარლამენტის შენობას და იქ იმპერიამ თავისი მიზანი ვერ განახორციელა. თბილისშიც, მთავრობის სასახლესთან დედაქალაქისა და რაიონების მოსახლეობა საკუთარი ნებით იდგა და ოპოზიციისაგან მოითხოვდნენ მიეცათ ხელისუფლებისათვის ნორმალური მუშაობის საშუალება. რესპუბლიკის მოედანზე მდგარი ერთი მუჭა ოპოზიცია, როგორც აღვნიშნეთ, უპირისპირდებოდა მათ, ეძახდნენ „სუნიანებს“, „ჩამოთრეულ სოფლელებს“ და ა. შ.

დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებულ აგენტურულ ოპოზიციას სათანადო მხარდაჭერა ჰქონდა მეტროპოლიისაგან: მოსკოვის გაზეთებში სულ უფრო ინტენსიურად იბეჭდებოდა წერილები ზვიად გამსახურდიას „დიქტატორობის“ შესახებ ქართველი თუ რუსი ავტორების მიერ (იხ. 1991 წლის სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბრის „პრავდა“, „ნეზავისიმაია გაზეტა“, „მეგაპოლის ექსპრესი“, „კომსომოლსკაია პრავდა“ და სხვა). ხოლო მოსკოვის ტელეარხები, საქართველოს მთავრობის სასახლესთან ხელისუფლების მხარდამჭერ მიტინგებს, ოპოზიციის მიტინგებად წარმოადგენდნენ, რაც გახლდათ ინფორმაციული ომი ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამასთანავე, მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიით თითქმის ყოველდღიურად გადმოიცემოდა ინფორმაციები საქართველოს ხელისუფლების მიერ ცხინვალის ვითომცდა ყოველდღიური დაბომბვის შესახებ. ამ მხრივ, არც შორეული საზღვარგარეთის პრესა და ტელევიზია აკლებდა ხელს (განსაკუთრებით აშშ-სა და გერმანიის). მზადდებოდა საერთაშორისო შეთქმულება დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ.

საქართველო, შევარდნაძის ანტიეროვნულ-აგენტურული მმართველობის ხელში, ტრანსნაციონალური კონცერნებისათვის იქცა ნავთობსადენ მილად, დერეფნად, ტრასად, რის შედეგადაც მდიდრდებოდა მხოლოდ ხელისუფლება, ხოლო ხალხი კვლავ ღატაკდებოდა და უიმედოდ იწირებოდა შიმშილით სიკვდილისათვის.

ბუნებრივია, საქართველოს ეროვნულ პრეზიდენტ ბატონ ზვიად გამსახურდიას თავისი ნასათუთარი სამშობლოსადმი ვერ ექნებოდა ასეთი უხეში მომხმარებლური და ვანდალური დამოკიდებულება რუსეთის, ამერიკის, გერმანიის, თურქეთის და სხვა უცხო სახელმწიფოების საამებლად, შევარდნაძის მსგავსად.

ჩვენთვის სავსებით გასაგებია ოპოზიციის სუბიექტივიზმი, ისინი ხომ გარეშე მტრების დასაყრდენები იყვნენ და ახლა სირაქლემის პოზაში დარჩენილები აკეთილშობილებენ „ოპოზიციას“: „...ბარიკადები იმელის შენობასთან იყო... მანქანების სავალ ნაწილზე. ეს „ბარიკადები“ ძალიან განსხვავდებოდა იმ „ბარიკადებისაგან“, რომლის შესახებაც წაგვიკითხავს ან გაგვიგონია, მისი გადალახვა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა“ და ა. შ. (ვ. ძაბირაძე, №3(54), სქოლიო 2). აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

პუტჩისტების აშკარად სახიფათო გააქტიურების ვითარებაში, ძაბირაძე, პრეზიდენტს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლებასაც უკრძალავს, პრეზიდიუმთან უნდა შეეთანხმებიათ, წერს პრეზიდიუმში მოკალათებული აგენტურული ძალების იმედით, რომელიც უეჭველად დაბლოკავდნენ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას. ყოველგვარი სამართლისა და კანონის გარეშე მოქმედი ოპოზიცია, პრეზიდენტს კანონის ზედმიწევნითი დაცვისაკენ მიუთითებს, თუმცა პრეზიდენტი სწორედ კანონით, კონსტიტუციით მოქმედებდა და ამ უფლებებსაც კი იგი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იყენებდა. ამის დასამტკიცებლად ვაქვეყნებთ პრეზიდენტის მიერ 1991 წლის 25 სექტემბერს საგანგებო წესების გამოცხადების პრეამბულას, რომელიც ნათლად ასახავს რეალურ ვითარებას: ***„იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში მიმდინარეობს***

სამხედრო და სამოქალაქო პუტჩი, შექმნილია ხუნტა, რომელსაც აქვს ძალა, ქალაქ თბილისში გააქტიურდნენ დესტრუქციული ძალები, რაც გამოიხატა უსანქციო მიტინგის მოწყობასა და კანონიერი ხელისუფლების ძალადური დამხობისათვის მოწოდებაში, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ბლოკირებასა და სახელმწიფო დაწესებულებების შენობების დაკავებაში, სამხედრო იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით შინაგან საქმეთა ორგანოებზე თავდასხმასა და სატრანსპორტო საშუალებების გატაცებაში, სავაჭრო და საზკვების ობიექტების ძარცვაში, მოქალაქეთა და მათი ავტომანქანების თვითნებურ დაკავებაში, ჩხრეკასა და ნივთების დათვალიერებაში“.

ასეთ ვითარებაში, ჰქონდა თუ არა რესპუბლიკის პრეზიდენტს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება, განსწავლულმა და პასუხისმგებლობის მქონე მკითხველმა თავად განსაჯოს.

ასეთივე ცრუ და ყალბი იყო „ოპოზიციის“ მიერ მსოფლიო მასშტაბით ატეხილი ისტერიკა თავისუფალი გაზეთების დახურვის, ტელევიზიის მონოპოლიზებისა და ვითომცდა ამ მიზეზით ტელევიზიის მუშაკთა გაფიცვის შესახებ.

ტელევიზიის აქციები ორგანიზებული იყო აგენტურული ოპოზიციის მიერ, აშკარა იყო გაფიცული ჟურნალისტების ალიანსი შეიარაღებულ ძალებთან. „დიქტატორი პრეზიდენტი გამსახურდია“, ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ ცდილობდა, კანონის თანახმად აელაგმა ოპოზიცია, არამედ სახელმწიფო ტელევიზიის შენობის წინ გაფიცული ჟურნალისტები კუთვნილ ხელფასსა და პრემიასაც ჩვეულებრივ იღებდნენ. შეიარაღებულ ოპოზიციას კი, იარაღის ნებაყოფლობითი დაყრისა და დაშლის შემთხვევაში, კვლავ და კვლავ ხელშეუხებლობის გარანტიებს პირდებოდა. მსგავსი ჰუმანურობისა და დემოკრატობის მაგალითს ვერ შეხვდებით, ვერც ერთი ქვეყნის ხელისუფალის მხრიდან, მაგრამ... „ძირს გამსახურდიას დიქტატურა!“ მაინც ხაოდა კრემლის მიერ მოსყიდული ოპოზიცია.

ზვიად გამსახურდიამ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი გაათავისუფლაო, ძაბირაძემ. მამუკა ფაჩუაშვილი, ეროვნულ ხელისუფლებამდე გაათავისუფლა რედაქტორობიდან ძაბირაძის კუმირმა ნოდარ ნათაძემაც. თავისი გაურკვეველი პროფილის გამო. ფაჩუაშვილს დღემდე ათავისუფლებენ რედაქტორობიდან, მაგრამ დიქტატურის მსხვერპლად არ აღიარებს მას ძაბირაძე.

1991 წლის „22 სექტემბრის დარბევა იმელის შენობასთან გახდა მიზეზი დედაქალაქში ეროვნული გვარდიის ჩამოსვლისა“, წერს ძაბირაძე (№9(54), მე-5 სვეტი). საინტერესოა ძაბირაძის პასუხი კითხვაზე: რომელი

ქვეყნის დემოკრატი პრეზიდენტი მოითმენს ოპოზიციის მიერ მთავრობის სასახლის თვეობით პარალიზებას, მის წინამდებარე პროსპექტზე ნაგვის ბარიკადებს, რაც საკმაოდ დიდხანს ითმინა „დიქტატორმა“ პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ? რომელმაც ხალხს (და არა სამართალდამცავებს, ან გვარდიას) მოუწოდა თავად გაესუფთავებინათ პროსპექტი, რასაც აგრესიული და აგენტურული ოპოზიცია ქვებისა და არმატურების სროლით შეხვდა. ამ ველურ ვაქჰანალიაში მათ მოკლეს ეროვნული ხელისუფლების მომხრე, 5 შვილის მამა. თვითმხილველები, მის მკვლელად იმელის აქციის მთავარ ლიდერს, ირაკლი წერეთელს ასახელებენ. ძაბირაძეს კი მაინც ჰყოფნის მოქალაქეობრივი სინდისი კრიმინალური ოპოზიცია დარბეულად წარმოადგინოს, რათა გაამართლოს მათი ტელევიზიასთან გადასვლა შეიარაღებული გვარდიის მფარველობის ქვეშ.

ძაბირაძე მიამიტურად ირწმუნება, რომ „ოპოზიციონერთა აქცია ტელევიზიასთან... აუცილებლად დასრულდებოდა“, რომ არა 4 ოქტომბრის ხელისუფლების თავდასხმა ზღვაზე დაბანაკებულ გვარდიელებზეო (10(56). ცხადია, ტელევიზიის აქციაც დასრულდებოდა თავისი ფუნქციის ამოწურვის შემდგომ (ყველაფერი ხომ დასრულებადია, თვით ხანგრძლივი ომებიც კი), მაგრამ ძაბირაძეს სურს მიჩქმალოს ოპოზიციის მამების – სიგუა, იოსელიანი, კიტოვანი, ჭანტურია – კავშირები მეტროპოლიასთან, კრემლთან. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ მთელი ოპოზიცია კრემლიდან იმართებოდა, მაგრამ ისინი მართვადი იყვნენ ზემოხსენებული აგენტურული ლიდერების მიერ.

1999 წლის 2 მარტს „სამეფო უბნის თეატრში“ სიტყვით გამოსულმა მხედრიონელმა **შაიშმელაშვილმა**, რომელსაც ასევე მხედრიონელი შვილი აფხაზეთში ზურგიდან მოუკლეს, დეკემბერ-იანვრის გადატრიალების გამო მწარე სინანულით განაცხადა: „ჩვენ მხედრიონელები უსინდისოდ მოგვატყუეს და გამოგვიყენეს“.

საქართველოს ფარგლებს გარედან დაინსტრუქტაჟებული ოპოზიცია უკან არ იხევდა და კანონიერ ხელისუფლებას ულიმატუმის ენით ელაპარაკებოდა. პრეზიდენტთან მიმართებაში, მათი მხრიდან სისტემატურად იჩენდა თავს ეთიკის პრობლემა, რის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს თავად ძაბირაძის მიერ ციტირებული განცხადებაც: „ხელისუფლებას მიეცა წინადადება ტელევიზიით გამოსულიყვნენ ბატონი ზვიად გამსახურდია და ბატონი თენგიზ სიგუა“ (№9(54). მე-4 სვეტი) და რადგან პრეზიდენტი ამგვარ თავხედურ ულტიმატუმს არ იღებს, ოპოზიციას თურმე სხვა გზა არ დარჩენია, გარდა ავტომატების აკაკანებისა. ასეთია ძაბირაძის ლოგიკა, რომელიც შეიარაღებული ოპოზიციის მხარდამხარ მოითხოვდა მთავ-

რობის სასახლის წინ „ბარიკადების“ (ავტობუსების ხერგილების) მოხსნას „კეთილშობილი“ განზრახვით, რაც პრეზიდენტის ფანჯრებზე პირველი ტყვიების დაშენით გამოიხატა.

მანამ კი საჭირო იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასგან დიქტატორის ხატის შექმნა, რაც ასე ეადვილება ძაბირაძეებს; 1991 წლის 4 ოქტომბრის ღამეს, მთავრობის სასახლესთან, მასობრივი არეულობისა და სროლების შესახებ იგი წერს: „... გავიგონე სროლის ხმა, ისროდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც შავი ტყავის პიჯაკი ეცვა, ისროდა ჰაერში პისტოლეტიდან... ხელისუფლება კი მთელი ძალით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ოპოზიციამ დაიწყო სროლა“ (№10(55), მე-3 სვეტი). პირდაპირ ვერა, მაგრამ ირიბად მაინც ხომ მიანიშნა ძაბირაძემ, რომ ხელისუფლებამ ისროლა? მაგრამ, რით ადასტურებს ძაბირაძე, რომ ის შავი ტყავის პიჯაკიანი კაცი ხელისუფლების წარმომადგენელი იყო? რით უნდა ვირწმუნოთ მარტოხელა მსროლელის ხელისუფლების წარმომადგენლობა? იქნებ იმ ღამის მსხვერპლის მიხედვით, რომელიც ხელისუფლების მომხრე გია ტეტელაშვილი იყო? იქნებ ამიტომაც არ ამხელს ძაბირაძე მოკლულის ვინაობას?

რადგან თავად ვარ თვითმხილველი 4-5 ოქტომბრის სისხლიანი ღამისა, ზუსტად შემიძლია აღვწერო რა მოხდა იმ ღამეს მთავრობის სასახლესთან: წერეთელი, თავისი შეიარაღებული ჯგუფით (იგი მათ საკუთარ მცველებს უწოდებდა), დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე მოადგა მთავრობის სასახლის ტერიტორიას და ისინი სამხატვრო გალერეასთან განლაგდნენ. მათმა შეიარაღებულმა მოსვლამ ხელისუფლების მომხრეთა შორის ჩოჩქოლი გამოიწვია. ხელისუფლების მომხრეებმა იარაღიანების წინ მრავალმწკრივიანი ცოცხალი კედელი აღმართეს, რათა მათთვის სასახლესთან მიახლოების საშუალება არ მიეცათ. ცოცხალმა მასიურმა ფარმა ოპოზიცია გააღიზიანა და დაიწყო ორმხრივი შელაპარაკებები, რაც ხელით ჯიკავში გადაიზარდა. გაჩაღდა ერთმანეთის მოტაცებები, რამაც ვითარება მეტად დაძაბა.

მოულოდნელად, წერეთლის ჯგუფიდან ავტომატიდან ჰაერში ისროლეს. „კიტოვანის მოხმობის ნიშნად ისვრიანო“, დაირხა ხმა და ვითარებაც აირ-დაირია.

ხელისუფლების მხრიდან მზადყოფნაში მოიყვანეს სახანძრო მანქანები ოპოზიციის გარეკვის მიზნით, რათა თავიდან აცილებულიყო სისხლისღვრა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ოპოზიციას ყველა სახანძრო მანქანა მწყობრიდან ჩუმად გამოეყვანა. ვიღაცამ ბრძანება გასცა, ოპოზიციის გასაფანტავად სახანძრო მანქანები მაინც დაეძრათ. მსხვერპლის თავ-

იდან ასაცილებლად სახანძრო მანქანები გამაფრთხილებელი სიგნალებით მთელი სისწრაფით დაძრეს. ოპოზიციამ დროებით უკან დაიხია. კიტოვანი არ ჩანდა. ოპოზიცია კიტოვანის მისამართით ხმამაღლა გულიანად იგინებოდა, „მოგვატყუა“ო. დაძაბულობის ერთმა ტალღამ გადაიარა და ის იყო მთავრობის სასახლესთან მიბრუნებას ვაპირებდით, რომ ოპოზიციის მხრიდან ხალხში სროლები დაიწყო. მე და ჩემი მეგობრები პირველი კლასიკური გიმნაზიის ეზოში, ილიასა და აკაკის ძეგლს ამოვეფარეთ, ზოგი პირდაპირ ასფალტზე გაწვა, ზოგი გარბოდა. სროლები რამდენიმე წუთი გაგრძელდა. გაჩდნენ დაჭრილები, რაც პანიკას აძლიერებდა, ვიღაცამ იყვირა: „მოკლეს! მკვდარია!“ სროლები წამოდგომის საშუალებას არ გვაძლევდა და როცა მიწყდა, იმ ადგილისაკენ გავექანეთ, სადაც მოკლული გვეგულებოდა, მაგრამ ჩვენს წინ მხოლოდ შედედებული სისხლის გუბე იყო. მოგვიანებით გავიგეთ, რომ მოეკლათ გია ტეტელაშვილი, ახალგაზრდა კაცი, ხოლო ჩემი ნაცნობებიდან დაეჭრათ უნივერსიტეტის მასწავლებლის ლია ფერაძის 16 წლის ვაჟი.

მსხვერპლთა და დაჭრილთა რაოდენობამ (სამოცამდე ასახელებდნენ) პრეზიდენტი აღაშფოთა, რასაც 8 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს სესიაზე მისი ცხარე გამოსვლა მოჰყვა. სწორედ, პრეზიდენტის ამ გამოსვლის კრიტიკით იწყებს ძაბირაძე თავისი მემუარების მორიგ სერიალს. ამ გამოსვლამ „განმსაზღვრელი როლი ითამაშა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არსებულ დაპირისპირებაში და ფაქტიურად მოსპო მშვიდობიანი თანაარსებობის ყოველგვარი რეალური შანსი“ (№11(56).

ძაბირაძის გულისწყრომას ხალხის მიმართ ოპოზიციის შეიარაღებული დაპირისპირება კი არ იწვევს, არამედ პრეზიდენტის სიტყვიერი რეაქცია მათ ქმედებაზე, რაც თავად სპობდა „მშვიდობიანი თანაარსებობის“ ყოველგვარ შანსს, მაგრამ ძაბირაძე მაინც პრეზიდენტს ამუნათებს.

1991 წლის 4-5 ოქტომბრის შეიარაღებული აგრესია ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციების მხრიდან იყო სწორედ სახელმწიფო გადატრიალების პირველი მცდელობა. მათ ზურგს უმაგრებდა თბილისის ზღვაზე დაბანაკებული კიტოვანის გვარდია, რომლის ჩამოსვლასაც ასე იმედით ელოდნენ, მაგრამ თუ რატომ დაარღვია კიტოვანმა მათთვის მიცემული პირობა, ვერ გეტყვით. ლოგიკასთან მწყრალად პრეზიდენტი კი არა, ძაბირაძე გახლავთ სწორედ, რომელიც ცდილობს თავისი არაკვალიფიციური მსჯელობებით გადატრიალების მცდელობის კვალიფიკაცია მოუხსნას 4-5 ოქტომბრის შეიარაღებულ დაპირისპირებას.

ძაბირაძის არაკვალიფიციურობის დასტურად შეგვიძლია, აგრეთვე წარმოვადგინოთ სქოლიო 1-ში დაბეჭდილი მსჯელობა: ეროვნულმა

გვარდიამ ტელე-რადიო დეპარტამენტის შენობა კი დაიკავა, მაგრამ კიტოვანმა და სიგუამ ტელევიზიით გამოსვლის საშუალება მაინც ვერ მოიპოვესო. თითქოს, ტელე-რადიო დეპარტამენტის შენობის იარაღით დაკავების ფაქტი თავისთავად არ იყოს პუტჩი. „ხელისუფლება გამალებით ამზადებდა ნიადაგს, როგორც საკანონმდებლო, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, უმცირესობის გასანადგურებლად“, ურცხვად გვარწმუნებს ძაბირაძე, როცა სახეზეა უმცირესობის მიერ უმრავლესობის (ხელისუფლების მომხრეთა) განადგურების ფაქტი.

ჰქონდა თუ არა, რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება, კანონის ძალით აელაგმა ოპოზიცია? ცხადია, ჰქონდა! „მაგრამ ეს იქნება დაკავშირებული სისხლის ღვრასთან და ჩვენ არ გვინდა ეს... ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ეს ადამიანები, საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციით, აქციებით, რომ დაყარონ იარაღი და დაუბრუნდნენ მშვიდობიან ცხოვრებას... ჩვენ მათ მივცემთ ხელშეუხებლობის შესაბამის გარანტიებს და გარკვეულ სტრუქტურებშიც მოვაქცევთ ამ დაჯგუფებებს“ (ფრაგმენტი 1991 წ. 15 ნოემბრის პრეზიდენტის სატელევიზიო გამოსვლიდან). აი ეს ჰუმანური მისია გააჩნდა სამთავრობო გაზეთებში საზოგადოების სხვადასხვა ფენის წერილებს და მთავრობის სასახლესთან გამართულ მიტინგებსაც, სადაც თავად ხალხი შეაგონებდა ოპოზიციას, გონს მოსულიყვნენ და ნუ ჩაიდენდნენ ღალატს.

ზემოციტირებულ 1991 წლის 15 ნოემბრის სატელელვიზიო გამოსვლაში პრეზიდენტი ცალსახად აცხადებს: „...ჩვენ ვიბრძვით დამოუკიდებლობისათვის და არ ვაწერთ ხელს ე. წ. სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე... ჩვენს მიმართ იყენებენ ყოველგვარ უღირს ხერხებს და მეთოდებს, რომ როგორმე გვაიძულონ ხელმოწერა... ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა ის, რომ არ წავიდეთ არავითარ კომპრომისზე, სანამ ცენტრი... არ ცნობს ჩვენს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. კომპრომისს არც შემდეგ ვაპირებთ... ე. წ. „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეა“... მიზნად ისახვს კონფედერაციის შექმნას და მის ცენტრად სოხუმის გამოცხადებას... ისეთი ომის მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას, როგორშიც ჩვენ ვართ, ასეთი ოპოზიცია დაღუპავს. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში მოქალაქეთა ჯგუფს, რომელიც ებრძვის ხელისუფლებას იარაღით და თანაც უშუალო კავშირი აქვს მტერთან და ამ მტრის ინსტრუქციებით მოქმედებს, ოპოზიცია არ ეწოდება, მეგობრებო. ამას ეწოდება – პირდაპირი გაგებით ღალატი და მოღალატეთა შეთქმულება... ოპოზიცია ეს არის განსხვავებული აზრის ადამიანთა დაპირისპირება ხელისუფლებასთან, რომელთა კრიტიკული მოსაზრებები დესტრუქცი-

ულ მიზნებს არ ატარებს... თვით რუსეთის ფედერაცია, რომელიც დიდი დემოკრატიული ლოზუნგებით გამოდის, მოგეხსენებათ როგორ გაუსწორდა პუტჩისტებს... ყველა ისინი დააპატიმრა, ნაწილმა თავი მოიკლა. ჩვენთან კი პუტჩი გრძელდება და აგრძელებს თავის დესტრუქციულ მოქმედებას...“

დიდი ჰუმანისტი და დემოკრატი პრეზიდენტი მაინც უარს ამბობს პუტჩისტების კანონის ძალით ალაგმვაზე, რამაც გაათამამა და უმეტესად გაათავხედა ისინი; მათ შექმნეს ყალბი „შავი სია“ (ვითომცდა პრეზიდენტის ხელმოწერით) დასახვრეტ პირთა შესახებ და მის ირგვლივ ისტერიული განგაშიც ატეხეს. გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე იმ „შავ სიებში“ დასახელებულ პირთა დაპატიმრებაზე უარის თქმის გამო გაათავისუფლა პრეზიდენტმაო – წერს ძაბირაძე, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. რაზმაძე, პრეზიდენტმა, შეიარაღებულ ოპოზიციასთან თანამშრომლობისა და შეთქმულების გამო გაათავისუფლა. მისი შეთქმულება სრულად გაცხადდა გადატრიალების უკანასკნელ დღეებში, როდესაც იგი ხუნტამ (სამხედრო საბჭომ) 3 იანვარს პროკურორის უფლებებში აღადგინა და რომლის სიტყვიერი სანქციით დაიხვრიტა ასეულათასიანი მშვიდობიანი მანიფესტაციები თბილისში 3 და 7 იანვარს, 2 თებერვალს, დახვრეტილთა უმრავლესობა სტუდენტები იყვნენ.

ხუნტის პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, სამხედრო საბჭოს წევრებთან – სიგუასა და კიტოვანთან ერთად – პრესკონფერენციებს აწყობდა და უცხოელ ჟურნალისტებთან უტიფრად უარყოფდა მიტინგების დახვრეტის ფაქტებს. რაზმაძე, ასევე უარყოფდა ვაგზლის შენობაში ხელისუფლების მომხრე მოშიმშილეთა დარბევისა და დაპატიმრების ფაქტებსაც.

„ვფიქრობ ხელისუფლებას საკმაოდ დიდი დრო (8 ოქტომბრიდან – 22 დეკემბრამდე) გააჩნდა იმისათვის, რომ დაპირისპირებულ ძალთა ბალანსი თავის სასარგებლოდ შეეცვალა“. ამგვარი სენტენციებით სურს ძაბირაძეს კვლავაც შენიღბოს ოპოზიციის კავშირები კრემლთან.

ვ. ძაბირაძე თავის მემუარებს სამხედრო გადატრიალების შეფასებით ასრულებს (ღმერთს მადლი!) და მხოლოდ ერთს ნანობს: „როდესაც ეროვნულმა გვარდიამ ტელევიზიის შენობა დაიკავა, იქიდან უნდა წამოვსულიყავი“ (№13(58). თითქოს ძაბირაძეს სხვა საიდუმლო კავშირი კი არ ჰქონია სიგუა-იოსელიან-კიტოვანთან, თითქოს, იგი და მისი თანამზრახველები, მთლად გვარდიის იმედით არ ბობოქრობდნენ და თითქოს შეიარაღებულ ოპოზიციას პირდაპირ არ მოუწოდებდნენ ხელისუფლების დამხობისაკენ. ხელისუფლება კი იმიტომ უნდა დაემხოთ, რომ, თურმე „ერთი წუთითაც არ ყოფილა დემოკრატია“ (საინტერესოა, მაშ, რო-

გორ გადარჩა?). მისთვის კი, როგორც ცივილიზებული პერსონისათვის „სრულიად მიუღებელი იყო კონცეფცია – ჯერ დამოუკიდებლობა და შემდეგ დემოკრატია“.

ბრმა და ყრუდქმნილი აგენტურული ოპოზიციის საპირისპიროდ, ვფიქრობთ, საკმარისი ფაქტები მოვიყვანეთ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დემოკრატობისა და ჰუმანურობის მაჩვენებლად (პრესის, სიტყვის, მიტინგების, მანიფესტაციების თავისუფლება და თვით შეიარაღებული თარეშიც), მაგრამ აგენტურულმა ოპოზიციამ , პრეზიდენტს, დღენიადაგ უნდა სწამოს ცილი, რათა ინსინუაციური ბრალდებით გაამართლოს მისი ძალადობით დამხობა და სისხლიანი ხელებიც კანონიერებისა და სამართლიანობის დამცველ ხელისუფლების მომხრეებს ამგვარად შეახოცონ: „სწორედ „სიბრმავემდე მისულ ერთგულთა“ და ოპოზიციის რადიკალური ნაწილის ურთიერთ უკომპრომისო დამოკიდებულებამ გამოიწვია დეკემბერ-იანვრის მოვლენები“, რომელშიც, თურმე არა არის რა, ძაბირაძეების დანაშაულებრივი წილი, რამეთუ იგი „ოპოზიციის რადიკალურ ნაწილში“ შეიარაღებულ ძალებს გულისხმობს.

აი, ამას ჰქვია „პოლიტიკური კვაჭობა“ სწორედ! – უმძიმესი დანაშაულიდან თავი მთლად უდანაშაულოდ დაიძვრინო.

ჩვენ ძაბირაძის „კვაჭობიდან“ მორალს არ გამოვიყვანთ და არც მის გულწრფელობაში შევიტანთ ეჭვს, რომელიც აცხადებს, რომ ჩემთვის უმთავრესი დემოკრატიაა და არა დამოუკიდებლობაო. აკი ჩვენც ვიცით, რომ მოლაყბე პოლიტიკან ძაბირაძეებს სულაც ფეხებზე ეკიდათ ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ახალშობილი დამოუკიდებელი ქვეყნის ხელისუფლებისაგან, რომელიც ეს-ეს არის დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამდა, უკვე სრულფასოვან დემოკრატიას მოითხოვდნენ, რომლის მშენებლობას, დასავლეთისა და ევროპის სახელმწიფოებმა, ასეული წლები მოანდომეს და ჯერაც ვერ მიუღწევიათ სრულყოფისათვის.

მკითხველს შევახსენებთ, რომ უზენაესი საბჭოს სესია ჩატარდა 1990 წლის 14 ნოემბერს (უზენაესი საბჭო აირჩა 28 ოქტომბერს). ამ დღიდან მოყოლებული, ვიდრე 1992 წლის 6 იანვრამდე, არ შეწყვეტილა აგენტურული ოპოზიციის თავდასხმები ეროვნულ ხელისუფლებაზე. ასეთ საომარ ვითარებაში კი, რაც შეძლო ეროვნულმა ხელისუფლებამ (რეფერენდუმი, დამოუკიდებლობის აღდგენა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმება, სეპარატისტული ომების თავიდან აცილება, მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაცია და ა. შ.), გმირული ძალისხმევის შედეგი იყო. ეროვნულმა ხელისუფლებამ, აგრეთვე შეიმუშავა ეკონომიკური

რეფორმების, პრივატიზაციის და კერძო საკუთრების კომპლექსური პროგრამა, რომლის ხორცშესხმას სჭირდებოდა პოლიტიკური სტაბილიზაცია.

პრივატიზაციის განხორციელებამდე საკუთარი ვალუტის შემოღება აუცილებელი იყო, რათა არ დარღვეულიყო პრივატიზაციით სარგებლობის თანაბარი პრინციპი: მისი სიკეთით თანაბრად ესარგებლა კერძო მყიდველსაც (რომელიც სახელმწიფოს ბიუჯეტში წარმოების ღირებულების სოლიდურ თანხას შეიტანდა) და გაყიდული ქონების საერთო მფლობელ-მეწილე ხალხსაც (რომელიც ბიუჯეტიდან სტაბილურად მიიღებდა საარსებო ფულს ხელფასების, სტიპენდიების, პენსიებისა თუ დახმარებების სახით), რითაც შენარჩუნდებოდა და განმტკიცდებოდა ბალანსი.

სახელმწიფოებრივი და ეროვნული სიმდიდრეებისადმი პრეზიდენტის დინჯ, თანმიმდევრულ და უაღრესად ფრთხილ დამოკიდებულებაში თავს იჩენდა უდიდესი პასუხისმგებლობისა და მამულიშვილური გრძნობა, რის გამოც იგი თვალში არ მოსდიოდა საქართველოზე თვალდადგმულ მტრებს.

სამხედრო გადატრიალების შეფასების მოთხოვნის ფონზე, გაზეთებში სულ უფრო ინტენსიურად იბეჭდება მსგავსი ტენდენციური მიმართულების წერილები, რითაც სირაქლემას პოზაში დარჩენილი ოპოზიცია ქმნის გადატრიალების გამართლების იდეოლოგიურ წანამძღვრებს. შეიარაღებულ გადატრიალებაში მონაწილე ინტელიგენცია, რადიოთი თუ ტელევიზიით, გადატრიალების „იძულებითი აუცილებლობის“ ახსნით გვმოძღვრავს, რაშიც თავს იჩენს მორალისა და სამართლის პრობლემა; სწავლულ ოპოზიციას უნდა მოეხსნებოდეს, რომ საყოველთაო სახალხო კენჭისყრით არჩეული კონსტიტუციური ხელისუფლების იარაღით დამხობა, ყველა სამართლით აკრძალული დანაშაულია და მისი გამართლების მოტივი (მიზეზი), უბრალოდ, არ არსებობს!

სრულიად საქართველოს ზვიად განმათავისუფლებლის პარტიამ, გადატრიალების შეფასებასთან დაკავშირებით, არაერთხელ ცალსახად გამოვთქვით ჩვენი პოზიცია და კვლავაც ვადასტურებთ, რომ: შევარდნაძესა და მის უკანონო პარლამენტს გადატრიალების შეფასების, არც სამართლებრივი, არც პოლიტიკური და არც მორალური უფლება არა აქვს, რამეთუ ფაქტობრივი ხელისუფლება თავად წარმოადგენს სამხედრო გადატრიალების იდეოლოგს, დამფინანსებელს და შემსრულებელსაც – ხუნტას!

ამ რეალობიდან გამომდინარე, გადატრიალება სამართლებრივად ვერ შეფასდება! არამედ, უკეთეს შემთხვევაში შეფასდება, ორივე მხარისათვის (კანონიერი ხელისუფლებისა და შეიარაღებული ოპოზიციისათვის)

თანაბარი სიმძიმის ბრალდებების წაყენებით და შედეგებზეც ორმხრივი პასუხისმგებლობის დაკისრებით, გადატრიალების იმპერიული ინსპირატორი და ორგანიზატორი ედუარდ შევარდნაძე კი „სუფთა და სამართლიან“ მსაჯულად მოგვევლინება, რითაც შექმნის „კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენის“ ფასადს. მაშინ, როცა კანონიერი ხელისუფლების დამხობის 2 თვის თავზე ხუნტის, სამხედრო საბჭოს მოწვევით საქართველოში დაბრუნებული შევარდნაძე აეროპორტშივე მიესალმა „გამსახურდიას რეჟიმის“ იარაღით დამხობას და სათავეში ჩაუდგა ხუნტისტურ ხელისუფლებას, რითაც გაამჟღავნა თავისი როლი და დამოკიდებულება სამხედრო გადატრიალებისადმი.

ყოველივედან გამომდინარე ჩნდება სავსებით ლოგიკური კითხვა: მაშ, როგორ უნდა შეაფასოს შევარდნაძემ და მისმა პარლამენტმა დეკემბერ-იანვრის გადატრიალება? ცხადია, მხოლოდ დეკლარაციულად, რომელსაც არ ექნება, არც ისტორიული და არც იურიდიული ღირებულება. ამგვარი შეფასება კი ვერ ამოავსებს იმ სამართლებრივ ვაკუუმს, რომელშიც 7 წელია იმყოფება ჩვენი ქვეყანა და ვერც მალამოდ დაედება მოუშუშებელ ჭრილობებს, არამედ გაამძაფრებს უსამართლობის გრძნობას და გააღრმავებს უფსკრულს დაპირისპირებულ მხარეებს შორის.

ფაქტობრივმა ხელისუფლებამ მხოლოდ უნდა აღიაროს კანონიერი ხელისუფლების იარაღით დამხობის ფაქტი, როგორც დანაშაულებრივი აქტი, რაც შემდგომ ეტაპზე თავად იმუშავებს.

აქვე, აუცილებლად ვთვლით განვმარტოთ, თუ რაში მდგომარეობდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ნებაყოფლობითი გადადგომის პრობლემა, რამეთუ ვიცით, რომ ოპოზიცია დაჟინებით და კატეგორიულად უყენებდა მას ამ მოთხოვნას. მიგვაჩნია, რომ ოპოზიცია ვერ აცნობიერებდა პრეზიდენტის ნებაყოფლობითი გადადგომის დამღუპველ პოლიტიკურ შედეგებს, ან შეგნებულად აიძულებდა ამგვარი ნაბიჯისაკენ. კერძოდ: დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ნებაყოფლობითი გადადგომა გამოიწვევდა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის ეროვნული ხელისუფლების მიერვე იურიდიულად გაუქმებას და საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში იურიდიულადვე დაბრუნებას. მისგან გამომდინარე შედეგებით კი საქართველო ვერ გახდებოდა, ვერც გაეროსა და ვერც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა და ვერც ტრანსკავკასიის ნავთობის მაგისტრალი გაივლიდა საქართველოზე.

ამგვარად, 1991-92 წლების სამხედრო გადატრიალების შეფასებისას აუცილებელია მაღალკვალიფიციური და პასუხისმგებლური მიდგომა,

რისგანაც სავსებით უნდა გამოირიცხოს პიროვნული სიმპატია-ანტიპატიები და სუბიექტივიზმი.

ერის შერიგება და თანხმობა კი მიიღწევა მხოლოდ გულწრფელი აღიარებითა და მონანიებით და არა ჩადენილ სახელმწიფო დანაშაულებებზე თავის მართლებებით.

ოპოზიციამ უნდა აღიაროს, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების იარაღით დამხობის არავითარი სერიოზული საფუძველი, ან მოტივი არ არსებობდა და რომ ისინი სულმწარედ შეცდნენ.

მხოლოდ ამგვარი აღიარებით გამთლიანდება და გაერთიანდება ერი.

ლეილა ცომაია

1999 წლის იანვარ-აპრილი.

გაზეთი „გაუხმაურებელი ფაქტები“, №12(112)–№17(117), 1999 წელი.

კვლავ ვიქტორ რცხილაძის ქვეგუდნობისა გამო

საბჭოური იდეოლოგიის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა ვიქტორ რცხილაძის წერილები სათაურით „პოლიტიკური მოზაიკა“ (იხ. 2000 წ. ივლისი). იგი „შერიგების“ გაცხოველებული კამპანიის საპირისპიროდ კვლავ ეხება ადრე გაზეთ „ახალ საქართველოში“ მის მიერ წამოჭრილ თემას ზვიად გამსახურდიას „დიქტატორობისა“ და „ფაშისტობის“ შესახებ; ამჯერად, თავისი არგუმენტაციების გასამყარებლად, ვ. რცხილაძე თითქმის სრულად იყენებს 1999 წ. „ახალ საქართველოსა“ და „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ ვახტანგ რაზმაძისა და თეიმურაზ ჭანტურიშვილის პასკვილებს. ამჯერად კი, ვ. რცხილაძეს, ტრიბუნას შეუზღუდავად უთმობს „ლიტერატურული საქართველოს“ კაცთმოძულე რედაქტორი და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე თამაზ წივწივაძე, რომლის ხელშიც მწერალთა კავშირი ხელისუფლების სტრუქტურულ დანამატ-ორგანოდ იქცა, რის გამოც ჭეშმარიტ მწერალთა თითქმის სრულმა შემადგენლობამ დატოვა მწერალთა კავშირი.

საპასუხო წერილის გამოქვეყნების ლამის მარადისობადქცეული პრობლემის გამო, რცხილაძისეული „პოლიტიკური მოზაიკის“ გამოწვლილვით განხილვისაგან თავს მოვიზღუდავ იმ ნუგეშით, რომ მის წერილებში მოხმობილ ჭანტურიშვილის სტატიებს მაღალმხატვრული

სარკაზმით გასცა პასუხი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა როსტომ ჩხეძემ (იხ. „ახალი საქართველო“, 1999 წ. ნომრები).

დიახ. მსგავსი ინსინუაციები პასუხგაუცემელი არ უნდა დარჩეს, რომ ერთგვარი ხანგამძლე სტერეოტიპი არ ჩამოყალიბდეს, რისი წყალობითაც დღემდე სრულად ვერ დავამსხვრიეთ იდეოლოგიურად შექმნილი აზრი ილია ჭავჭავაძის სასტიკ მებატონეობაზე. ამ შეგნებით, შეძლებისდაგვარად პასუხგაუცემელი არ დამიტოვებია, არცერთი პასკვილი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ და არც ამას დავტოვებ.

ვ. რცხილაძე განიხილავს რა ფაშიზმს, როგორც ბოროტებას კაცობრიობის წინაშე, ცდილობს ფაშისტური იდეოლოგია მიუსადაგოს ზვიად გამსახურდიას მმართველობას. მანამდე კი მოკრძალებით ეცილება შევარდნაძეს გამოთქმაში „პროვინციული ფაშიზმი“, რის შესახებაც წერს: „ეს გამოთქმა გამსახურდიას რეჟიმის მიმართ (იმედია, ბატონი ედუარდი არ მიწყენს) პირველად მე ვიხმარე ჯერ კიდევ ზ. გამსახურდიას პრეზიდენტობის ჟამს, რაც ჩემს ახლობლებს კარგად ახსოვთო“. ცხადია, იგი ამის დასტურად სხვა ხმამაღალ (ტრიბუნა, მიტინგი) ან წერილობით წყაროს ვერ მოიყვანს ჩვეული ქვებუდნობისა გამო და მხოლოდ ახლობლების წრეში თუ დაიჩურჩულებდა „ზვიადი პროვინციელი ფაშისტიაო“.

პრეზიდენტის ლიკვიდაციით გაგულადებული რცხილაძე ბრძოლის ველზე ახლა გამოჩნდა, რისი მაპროვოცირებელი გამხდარა 1996 წ. მოსკოვში გამოცემული „ზვიად გამსახურდიას ავტობიოგრაფია“, რომელშიც რცხილაძე მხილებულია, როგორც კგბ-ს აგენტი. მიზანში ამოღებულ ამ წიგნს მან „ახალ საქართველოში“ უპასუხა ჩვეული ღვარძლითა და ცილისწამებებით, რითაც შეეცადა წიგნში მოყვანილი ფაქტების გაბათილებას. რცხილაძის პასუხს, უმალ ჩემი პასუხიც მოჰყვა იმ იმედით, რომ იგი აღარ შეეცდებოდა თავის მართლებას და საზოგადოების თვალში გმირად, პატრიოტად და ზვიად-მერაბის უმეტეს მამულიშვილად წარმოჩენას, მაგრამ პატივმოყვარე და პირველობის მანიით შეპყრობილი ვ. რცხილაძე, როგორც დავრწმუნდით, არ ცხრება.

ზვიად გამსახურდიას „პროვინციელ ფაშისტად“ შერაცხვა მამათელ ფერშალ შევარდნაძეს რომ არ გამოუვიდა, ეს ცხადზე-ცხადია, გამოუვა თუ არა ვ. რცხილაძეს, ვნახოთ, რომელიც გვარწმუნებს, რომ გამსახურდიას პროგრამაც ფაშისტური ჰქონდაო. მაშ, ერთად წავიკითხოთ ზვიადის საარჩევნო პროგრამის პოლიტიკური ნაწილის მე-4 დებულებით გათვალისწინებული აქტების ჩამონათვალი:

1. სახელმწიფო ენის შესახებ;
2. მოქალაქეობის შესახებ;
3. მოქალაქეთა უფლებრივი და პოლიტიკური გარანტიების შესახებ;
4. ეროვნულ-უმცირესობათა პოლიტიკურ-სამართლებრივი გარანტიების შესახებ;
5. იმიგრაციის შესახებ;
6. სინდისის თავისუფლების შესახებ;
7. რელიგიური ორგანიზაციების შესახებ;
8. პოლიტიკური პარტიების შესახებ;
9. მასობრივი ინფორმაციათა საშუალებების შესახებ.

ნადისიდენტარ რცხილაძეს ამ პროგრამით გათვალისწინებული აქტებიდან „ფაშიზმად", ყველა თუ არა, ალბათ 1 და მე-2 აქტი მაინც მიაჩნია, ან იქნებ, სულაც ამ აქტების ქვემოთ მოყვანილი დებულება: **„ათწლეულების მანძილზე უაღრესად დეფორმირებულმა ცხოვრების საბჭოურმა წესმა, საქართველოში დაამკვიდრა ისეთი სოციალური ურთიერთობანი, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ცხოვრების პატიოსანი წესის დაცვა არსებითად გმირობას უდრიდა, ამიტომ გაუმართლებლად მიგვაჩნია დაისვას იმ პირთა საზოგადოებრივი, ზნეობრივი თუ სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში იძულებულნი იყვნენ ზნეობრივ კომპრომისებზე წასულიყვნენ. ხშირ შემთხვევაში თვით სისხლის სამართლის დანაშაულებანიც კი გამოწვეული იყო ტოტალიტარული სისტემის მიერ შექმნილი ცხოვრების არაადამიანური პირობებით. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ახლადარჩეულმა უზენაესმა საბჭომ უნდა განიხილოს ფართო მასშტაბის ამნისტიის გატარებისა და სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხი, გამოაცხადოს საყოველთაო ეროვნული შერიგება და შემწყნარებლობა".**

როგორც მოგეხსენებათ, „ფაშისტური იდეოლოგიისა და სულისკვეთების მქონე გამსახურდიამ", შემდგომ, საქ. სისხლის სამართლის კოდექსში გააუქმა კიდეც სიკვდილით დასჯა.

ვიქტორ რცხილაძე დაბეჯითებით აცხადებს: „დიახ, გამსახურდიამ თავისი ზოოლოგიური ნაციონალიზმის ქადაგებით, თავის რეჟიმს ფაშიზმის ყველა ნიშანი შესძინაო". ჩვენ აღარაფერს ვიტყვით რცხილაძის მოცემულ წერილში ფაშიზმის, როგორც ასეთის, საბჭოურ გაგება-შეფასებაზე და პირდაპირ ზვიად გამსახურდიასეულ გაგებას შემოგთავაზებთ: *„დღეს სოციალისტებმა, კომუნისტებმა, კოსმოპოლიტებმა სიტყვა „ნაციონალიზმი" უარყოფით ცნებად აქციეს. მსოფლიო ასპარეზზე ნა-*

ციონალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებენ, აგრეთვე ის ამორფული, დენაციონალიზებული, ტრადიციებს მოწყვეტილი კონგლომერატები, რომელთაც არა აქვთ ისტორია, კულტურული თვითმყოფადობა და რომელნიც მიისწრაფვიან კაცობრიობა აქციონ ერთსახოვან მასად.

„ნაციონალიზმი“ და „ნაციზმი“ არ არის იდენტური ცნებები. „ნაციონალიზმი“ ეს არის ზრუნვა მშობელი ერის განვითარებასა და თვითმყოფადობაზე, იგი არ ეწინააღმდეგება სხვა ხალხებისადმი პატივისცემას, მათთან თანამშრომლობასა და კეთილშობილურ ურთიერთობებს, ნაციზმი კი შოვინიზმის უკიდურესი ფორმაა, გაფეტიშება საკუთარი ერისა, სიძულვილი სხვა ერებისადმი, მისწრაფება მათი ასიმილაციისა და განადგურებისადმი. ყოველივე ეს ახასიათებს დიდ ერებს. მცირერიცხოვან ხალხთა ნაციონალიზმი კი არავის უქმნის საფრთხეს, იგი იცავს მხოლოდ საკუთარ არსებობასა და თვითმყოფადობას... ნეოკომუნისტური პრორუსული ხუნტა, ანუ ე. წ. „სახელმწიფო საბჭო“ ***(რომლის წევრიც ბატონი ვიქტორ რცხილაძეც გახლდათ — ლ. ც.)*** *ამგვარი იდეების ქადაგებას „ფაშიზმს“ უწოდებს, თუმცა მათ ავიწყდებათ, რომ ფაშიზმი ეს არის რასობრივი უპირატესობისა და განსაკუთრებულობის თეორია რომელმაც უნდა იბატონოს დანარჩენ კაცობრიობაზე. მსგავსი იდეები ჩვენთვის უცხოა, ჩვენ სწორედ ამის წინააღმდეგ ვიბრძვით... ჩვენ გვსურს, რომ ქართველი ერი სწორად გაერკვეს თავის ეთნოგენეზისში... უნდა გვახსოვდეს, რომ ქართველები... პროტოიბერთა შთამომავალნი, უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის მემკვიდრენი“ ვართ* (ციტატა 1992 წ. 15 ნოემბრის მიმართვიდან საქართველოს იბერიულ-კავკასიური მოძრაობისადმი). ხოლო 1993 წლის 19 იანვრის ვიდეომიმართვაში – „ვიხსნათ საქართველო“, ბატონი ზვიადი აცხადებს: *„ჩვენი გზა არ არის ტერორი, ჩვენი გზა არ არის ძალადობა, თუმც კი გვაბრალებენ ამას“.*

1992 წ. 12 მაისს საქართველოს ტელევიზიისადმი მიწერილ წერილში „ორიენტაციათა შესახებ“ ბატონი ზვიადი წერს: „...(გებელსები და ჟდანოვები ჩვენ არ გვყოლია) „იდეოლოგია“ ამ სიტყვის ფაშისტური ან კომუნისტური გაგებით, მრგვალ მაგიდას არ გააჩნია. მსოფლმხედველობრივი და იდეური მიმართულება კი, რომელიც ქრისტიანულ-დემოკრატიულ იდეოლოგიას ემყარება... ზოგიერთს, დასავლური ორიენტაცია ჰგონია, დასავლეთის პორნოგრაფიული და სადისტური ფილმების კულტი, განგსტერების „ჰეროიკა“, დასავლური მოდების წამხედურობა (რისი წამლეკავი შემოდინებაც ხდება დღეს საქართველოს ტელევიზიებიდან და რითაც ასე იწონებენ თავს „უკომპლექსო დემოკრატები“ – *ლ. ც.),* დასავლეთის წინაშე ხელგაშლილი დგომა უცხოური კრედიტების მოლო-

დინში, საეჭვო პოლიტიკური გარიგებები ზოგიერთ პოლიტიკურ ავანტიურისტებთან, მათი მოწვევა საქართველოში, საქართველოს ბუნებრივ და წიაღისეულ სიმდიდრეთა, კურორტების, პორტებისა და საწარმოების მიყიდვა დასავლეთისათვის და სხვა. ასეთ დასავლურ ორიენტაციას ვგმობთ ჩვენ... დასავლეთის კულტურა, ცივილიზაცია, ხელოვნება, პოლიტიკური ნააზრევი, ფილოსოფია, სოციალური და სამართლებრივი სისტემები უაღრესად ახლოა ჩვენთვის... ამის ათვისება და გათავისება დასავლური, ღია დემოკრატიული საზოგადოების აშენება არის დასავლური ორიენტაცია... ასევე უნდა ავითვისოთ ყოველივე საუკეთესო აღმოსავლურ და საერთოდ მსოფლიო კულტურასა და ცივლიზაციაში. ჩვენი ისტორიული მისიაც ამ ორი სამყაროს სინთეზში მდგომარეობს“.

დღეს, თვით ყოფილ ოპოზიციონერებშიც არ მეგულება პიროვნება, რომელიც იგივეს ფიქრობდეს ზვიად გამსახურდიაზე, გარდა გონებაშეზღუდული შეიარაღებული ოპოზიციონერებისა, რომლებიც ვერასოდეს გაიგებენ ზვიადის ფენომენს, რასაც ვერაფრით ვიტყვით „ღრმად განსწავლულ“ ბატონ ვიქტორ რცხილაძეზე, რომლის პრობლემა ჩადენილი დანაშაულის სინდრომით გამოწვეული დასჯის შიშია: „... თუ ეს *(ზვიადის –ლ.ც.)*„რეაბილიტაციის“ აქტი შედგა... ნებისმიერი ლოგიკის მიხედვით, ციხეში ჩასაყრელი ის მრავალრიცხოვანი ხალხი იქნება, უმეტეს შემთხვევაში, ერის რჩეული ნაწილი, ვინც გამსახურდიას მოფაშისტო რეჟიმი დაამხო“, წერს იგი. და ასეთი ლოგიკური ადგილმონაცველობა რომ არ მოხდეს – პოლიტპატიმრებისაგან გამოთავისუფლებული ციხე, ახლა „ერის რჩეული“ პუტჩისტებით რომ არ შეივსოს, ვ. რცხილაძემ ძველმოდური ლოზუნგები ხელახლა უნდა წამოისროლოს, რომ ეროვნული პრეზიდენტის ბუნებრივი რეაბილიტაციის (და არა – შევარდნაძის ხელისუფლებისმიერი) პროცესი იქნებ, როგორმე შეაჩეროს. თუ ვერ შეაჩერა, იგი იმუქრება: „ამას კი ნებით არავინ დაუშვებსო“, ანუ კვლავ იარაღს ავიღებთო. მანამ კი ხელოვნურად ბერავს პუტჩისტთა რაოდენობას – „მრავალრიცხოვანი ხალხიო“. რამეთუ, ამ „ანგარიშგასაწევი“ რიცხობრივი ფაქტორით მაინც ააღებინოს ხელი თავის პრეზიდენტ შევარდნაძეს ახალი რეპრესიების წამოწყებაზე. რეალურად კი იმ ერთი მუჭა ოპოზიციიდანაც, ნახევარზე მეტმა – შედარებით პატიოსანმა და ინტელექტუალურმა ნაწილმა – უკვე მოინანია თავისი დანაშაული და ეროვნული ძალების მხარეზე დადგნენ.

„ერის რჩეულობის“ მანიაკალური იდეით შეპყრობილი ბატონი ვიქტორი კი აგრძელებს: „... თუკი ევროპულ ფაშიზმს თავისი ესთეტიკური ტრადიცია გააჩნდა... მსგავსი რამ არ ჰქონდა გამსახურდიას პროვინ-

ციულ ფაშიზმს, თუ არ ჩავთვლით მთავრობის სასახლის წინ გაშლილ კარვების ქალაქს, აქოთებულ კარვის ქალებს“ და ა. შ.

ბატონ ვიქტორს უნდა შევახსენოთ, რომ „კარვის ქალაქები“ პირველად ოპოზიციამ, „მეხდრიონმა“გაშალა. რუსთაველის პროსპექტი წარყვნილ-წაბილწული იყო რკინაბეტონით, ქვა-ღორღითა და ნაგვით, რაც სულაც არ ეხამუშებოდათ ვიქტორ რცხილაძის მსგავს „ერის რჩეულებს“. მათ მხოლოდ მთავრობის სასახლის უწყინარი კარვები აიღეს ყბად.

შეიარაღებული ოპოზიციის მიერ მთავრობის სასახლის სრული პარალიზებისა და დესტაბილიზაციის მიუხედავად, „ფაშისტმა და დიქტატორმა“ პრეზიდენტმა გამსახურდიამ არ ინება უგუნური და მოღალატე ქართველების წინააღმდეგ – კარვებისა და ავტობუსების ხერგილების ნაცვლად, მთავრობის სასახლის წინ ტანკებისა და შეიარაღებული გვარდიელების დაყენება, რათა თავიდან აეცილებინა ამ მანევრით მოსალოდნელი შეტაკება და სისხლისღვრა.

გულწრფელად მაოცებს ვიქტორ რცხილაძის ქვებუდანობა (ქუებუდანი სულხან-საბას ასე აქვს განმარტებული – ჩუმი ვერაგი), იგი სიცოცხლეში აშკარად არასოდეს დაპირისპირებია ზვიადს, უბრალოდ ჩამოსცილდა. თავის დუმილს იგი ახლა, ხან „თბილისური ტრადიციითა“ და ბიბლიური „არა განსაჯოს“ პრინციპით ხსნის (იხ. „ახალი საქართველო“, №40, 1998) და ხან თანამებრძოლობის ჟესტით: „... პირადად გამსახურდიას საჯარო შეფასებას ვერიდებოდი, ეს, ალბათ, ადამიანურად გასაგები უნდა იყოს – ლაპარაკია გარკვეულ პერიოდსა და გარკვეულ საქმეში თანამზრახველზე, თუმცა, აქვე დავსძენ, რომ „პროვინციული ფაშიზმის“ დამხობას, მე ზოგიერთივით სეირის მაყურებლის როლში არ შევხვედრივარ და მოქალაქეობრივი ვალი ამ პერიოდში სხვებთან ერთად მეც მოვიხადე“. ანუ, მეც ავიღე იარაღი „ფაშისტისა და და დიქტატორის“ დასამხობადო, წერს რცხილაძე „ლიტერატურულ საქართველოში“.

საზოგადოების ფართო მასებისათვის ვიქტორ რცხილაძე, როგორც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ოპოზიცია, სრულებით უცნობია, მითუმეტეს არ ყოფილა იგი იმ ერთი მუჭა ანტიქართული ოპოზიციის გამოკვეთილი ლიდერი, არამედ იყო ფარული, საიდუმლო მოკავშირე. ასე, ჩუმი ვერაგობით მოიხადა მან „მოქალაქეობრივი ვალი“ ყოფილი მეგობრისა და თანამებრძოლის დამხობასა და შემდგომ მის ფიზიკურ ლიკვიდაციაშიც. დღეს, არამცთუ პოლიტიკური, თვით შეიარაღებული ოპოზიციის უდიდესი ნაწილი, როცა უარყოფს (ჩქმალავს) თავის წვლილს იმ შავბნელ სამხედრო გადატრიალებაში – რცხილაძე ტრაბახობს „მოქალაქეობრივი ვალი“ მეც მოვიხადეო. ამგვარი „დამსახურებისათვის“

იქნებ მან, ილია ჭავჭავაძის მკვლელების მსგავსად, სახელმწიფოსაგან პერსონალური პენსიაც მოითხოვოს, თუ „უმადურმა“ ხელისუფალმა, ამის ნაცვლად ციხეში არ უკრა თავი. ჰოდა, პენსიას ვინ ჩივის, სწორედ ამის ეშინია ღრმად პატივცემულ ბატონ ვიქტორს ამ „დიდი შერიგებისა და რეაბილიტაციის“ ჟამს.

თქვენც რა გსჯიდათ, ბატონო ვიქტორ, თავად რომ აღიარებთ კანონიერი ხელისუფლების დამხობაში მონაწილეობას. ხომ შეიძლება, რომელიღაც „რეფორმირებულმა“ სამართალდამცავი სტრუქტურის მატრაკვეცა წარმომადგენელმა, ცნობად მიიღოს თქვენი ეს წერილობითი აღიარება და აწ უკვე მიუკერძოებლად აღძრას სისხლის სამართლის საქმე თქვენს წინააღმდეგ? თუკი ოცი წელი ახერხებდით დუმილს, ახლა რაღა წერამ აგიტანათ? ეშმაკი შეგიჯდათ და „რამ დამღუპა და ჩემმა ენამო“, მგონი სწორედ ეგ დაგემართათ, აი! ამჯერად, პუტჩისტ თანამზრახველთა ჩაშვების ჩვეულ წესს აღარ მიმართავთ ალბათ, თორემ ზვიადივით კი არ მიგიტევებენ და მარტო მხილებას კი არ გაკმარებენ თავზეხელაღებული პუტჩისტები.

იმედია, მკითხველი მაპატიებს ამ მცირე ჟარგონს, რასაც ვერაფრით ავცდი ბატონი ვიქტორის ტრაგი-კომიკური მდგომარეობის გამო. თავს იმით ვინუგეშებ, რომ თუ ღმერთი გაუწყრა ვიქტორს და სასამართლოს წინაშე აღმოჩნდა, თავის გამოძვრენის მიზნით, ჩვეული პათეტიკით ზუსტად იგივეს განაცხადებს, რაც 1978 წლის 6 სექტემბრის სსრ უმაღლესი სასამართლოს სხდომაზე განაცხადა:

„პატივცემულო მოსამართლენო! თქვენს წინაშეა ადამიანი, რომლის გზა დიდი და ღრმა შეცდომებით არის აღსავსე. 1975 წლიდან მოყოლებული მე ანტისაბჭოთა პოზიციებზე ვიდექი. მე საჯაროდ ვგმობ ჩემს სამარცხვინო წარსულს და ახლა იმედის თვალით შევყურებ მომავალს...“ (იხ. „კომუნისტი“, 1978 წ. 7 სექტემბერი, „ჩემი წარსული სამარცხვინოა“) და ამით დამთავრდება მისი მორიგი „იდეური“ ბრძოლაც.

ვინაიდან ბატონი ვიქტორის წერილის მომდევნო ნაწილი მთლიანად ეყრდნობა გაზეთ „ახალ საქართველოში“ 1999 წელს გამოქვეყნებულ ვახტანგ რაზმაძის პუბლიკაციას და მხოლოდ მის ციტირებას წარმოადგენს, გამეორება რომ არ მომიხდეს, შემოგთავაზებთ ჩემს მაშინდელ პასუხს აღნიშნულ წერილზე, რაც, აგრეთვე იმავე გაზეთში გამოქვეყნდა და რასაც აქ, ბატონი ვიქტორის წამბაძველობით, ქვეთავად წარმოვადგენ შესაბამისი შემოკლებებითა და მცირედი დამატებებით.

ხუნტის პროკურორი, ანუ რატომ მოკლეს ზვიად გამსახურდია

ალბათ ცოტა ვინმესთვის თუ წარმოადგენს გამოცანას ჩვენი წერილის სათაური. დარწმუნებული ვარ, საზოგადოების უმრავლესობაში იგი ერთნაირად ასოცირდება ექს-პროკურორ ვახტანგ რაზმაძესთან. პროკურორთან, რომლისთვისაც არასოდეს არსებულა იდეური ღირებულებები. არავისთვის იქნა პარადოქსი, თუკი იმასაც ვიტყვით, რომ პროკურორ რაზმაძისათვის, არც კანონიერებისა და სამართლიანობის, მითუმეტეს – ადამიანის უფლებების დაცვა არსებულა. თუმცა გაზეთ „ახალ საქართველოში“ (1999 წ. №17, რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი) გამოქვეყნებული მისი ვრცელი წერილი, ლამის „ერის მამობრივ“ მჭმუნვარებასა და პროფესიულ „ანალიზს“ შეიცავს დეკემბერ-იანვარის სამხედრო გადატრიალების შეფასებისა.

„შეიძლება დღეს, XX საუკუნის ბოლოს იპოვო ადამიანი, რომელიც გაამართლებს კანონიერი ხელისუფლების დამხობას?“ წერილის სათაურიდანვე დიდაქტიკურად კითხულობს პროკურორი რაზმაძე და როგორც მისნაირ ცინიკოსთ ჩვევიათ, კვლავ და კვლავ ოფლის ღვრით თხზავს კანონიერი ხელისუფლების დამხობის გამამართლებელ თეორიულ მოტივებს, რომელსაც დღეისათვის უკვე სავსებით გაუვიდა ყავლი. ერთი კია, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებისადმი მის ცილისმწამებლურ ბრალდებებს რომ კითხულობ, ყოველივე იდენტიფიცირდება დღევანდელი ფაქტობრივი ხელისუფლების რეჟიმთან. მაშასადამე, იმასთან, რაც არის და არა, რაც იყო. რაც იყო, იგი გადატრიალების საფუძველს ნამდვილად არ იძლეოდა, რომ არა საგანგებოდ აგორებული ცილისმწამებლური კამპანია და პირადი მტრობა ეროვნული პრეზიდენტისადმი – ეროვნულის მიუღებლობა საბჭოური ინტერნაციონალური მენტალიტეტის მქონე ანტიქართული ძალების მხრიდან.

ქართველ კოლაბორაციონისტთა ეს ხროვა, იმპერიულმა რუსეთმავე შეაიარაღა, დააფინანსა, ინფორმაციულად უზრუნველყო და დაუპირისპირა საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას.

„ეს არ იყო ბრძოლა ხელისუფლებისათვის, ოპოზიციის მხრიდან, ვინც საომარ მოქმედებაში მონაწილეობდა, არც ერთს არ ჰქონდა ქვეყნის პრეზიდენტობის პრეტენზია“, აცხადებს ვახტანგ რაზმაძე, რომელსაც უნდა ვკითხოთ: რომელი ერთი არ იბრძოდა ხელისუფლებისათვის: თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, გია ყარყარაშვილი, თუ ჯაბა იოსელიანი? თანამდებობა დაკარგული კიტოვანი და სიგუა, განა გადატრიალების

შედეგად არ დაბრუნდნენ ხელისუფელებაში? ან, იქნებ კრიმინალი ჯაბა იოსელიანი არ გახელისუფლებულა და არც საპრეზიდენტო არჩევნებში წამოუყენებია თავისი კანდიდატურა? იქნებ, არც გადატრიალებაში მონაწილე პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერები არ გამხდარან დეპუტატები? იქნებ, არც შეიარაღებული გადატრიალების საიდუმლო ორგანიზატორი შევარდნაძე არ გამხდარა ქვეყნის პრეზიდენტი? იქნებ, არც თქვენ იბრძოდით ხელისუფლებისათვის, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ მოხსნილო პროკურორო, სამხედრო საბჭომ რომ აღგადგინათ პროკურორის პოსტზე? აღდგენის დღესვე – 1992 წ. 3 იანვარს გაეცით სანქცია დიდუბის მშვიდობიანი მანიფესტაციის დახვრეტაზე, სადაც უმრავლესობა სტუდენტები დაიხვრიტა (ლევან თაქთაქიშვილი, კახაბერ არსენიძე, გივი რეხვიაშვილი და სხვები)? თქვენივე სანქციით დაიხვრიტა 7 იანვრის მანიფესტაცია მეტრო დელისთან. თქვენ დაახვრეტინეთ 2 თებერვალს ასეულათასიანი მშვიდობიანი მანიფესტაცია ცირკთან და მარჯანიშვილის მოედანზეც. ყოველი მანიფესტაციის დახვრეტის შემდგომ კი, სიგუა-კიტოვანთან ერთად, უცხოელი ჟურნალისტებისათვის აწყობდით პრესკონფერენციებს და უტიფრად უარყოფდით ულმობელ ფაქტებს, რასაც საკუთარი ვიდეოკამერებით აფიქსირებდნენ ჟურნალისტები, რასაც დღესაც უარყოფთ. გყოფნით გამბედაობა და სინდისი თავი პატრიოტად წარმოაჩინოთ, ხოლო ზვიად გამსახურდიას პატრიოტიზმი კი ეჭვქვეშ დააყენოთ.

თქვენ ე. წ. სამართალდამცავები იყავით თუ არა ვალდებულნი დაგეცვათ კანონიერად, საყოველთაო სახალხო კენჭისყრით არჩეული ქვეყნის მთავრობა და პრეზიდენტი? როგორც მოქალაქე და პატრიოტი იყავით თუ არა ვალდებული გაგეთვალისწინებინათ მოსალოდნელი მასობრივი მღელვარება მის მიერ არჩეული ხელისუფლების ძალადობით დამხობის შემთხვევაში? გაგეთვალისწინებინათ ხალხის თავდადება ქვეყნის ეროვნული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასადმი, რასაც საჯაროდ ავლენდნენ? იყავით და არ გაითვალისწინეთ, არამედ მტრულად დაუპირისპირდით საკუთარ ხალხს, ჩაიდინეთ ღალატი ერისა და ქვეყნის წინაშე.

გამოცდილი პროკურორი, ცხადია, წერილობით სანქციას არ გასცემდით მიტინგების დახვრეტის თაობაზე და ამ გაქნილი კოზირით უარყოფთ ფაქტებს, მაგრამ იქნებ გვიპასუხოთ: მაშ რა იყო თქვენი, ხუნტის მიერ საგანგებოდ აღდგენილი პროკურორობის ფუნქცია? რომ სამხედრო საბჭოს სახელისუფლო მმართველობას კანონის ძალა მისცემოდა და არ დაეშვა დესტაბილიზაცია. ამ მიზნით ან უნდა დაგეხვრიტათ მიტინგე-

ბი და ამით დაგეთრგუნათ ხალხი, ან – გაგეცათ სანქცია მიტინგების დამხვრეტთა დაპატიმრებაზე. თქვენ კი რომელი გააკეთეთ? – პირველი!

რაც შეეხება თქვენს „პატრიოტულ“ სენტენციას ზვიად გამსახურდიას ნებაყოფლობითი გადადგომის შესახებ – მზაკვრულად აქვს ჩამოცილებული პოლიტიკური ასპექტი, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა გადამდგარ ხელისუფლებას, რაც მომავალ თაობებს მოუსპობდა იდეური ბრძოლის სამართლებრივ საფუძვლებს.

აუცილებელია ამ ასპექტებზე გულისხმაჰყოს ვიქტორ რცხილაძემაც, რომელიც ინტრიგულ და ცილისმწამებლურ შეფასებას აძლევს ზვიად გამსახურდიას მიერ წინასწარმეტყველურად განჭვრეტილ საქართველოს მომავალს.

„გამსახურდიას გატაცებით უყვარდა პრეზიდენტის პოსტი, ვიდრე მისი ხალხი“, წერთ თქვენ. რა მორალურ-სამართლებრივი უფლება გაქვთ, ხუნტის პროკურორო, ილაპარაკოთ ხალხის სიყვარულზე თქვენ, რომელიც ზვიად გამსახურდიას საქართველოდან განდევნის შემდგომაც, ცეცხლითა და მახვილით ებრძოდით საკუთარ ხალხს მთელ საქართველოში; „ზვიადისტობის“ ბრალდებით სახლებში იარაღით უვარდებოდით მოსახლეობას, აწიოკებდით, უჩანაგებდით ოჯახურ მეურნეობას, აუპატიურებდით, კლავდით, დევნიდით სამსახურებიდან.

„ახალი საქართველოს“ მომდევნო ნომერში (№18) სათაურით: „საქართველოს პირველი პრეზიდენტი, მოკლეს თუ თავი მოიკლა?“ თქვენ წერთ: „გროზნოდან დაფინანსებით ტერორისტული ჯგუფების მიერ უწყვეტ ნაკადად გრძელდებოდა ხიდების, მაგისტრალური ელსადენების, ადმინისტრაციული, სამეურნეო და სხვა დანიშნულების ნაგებობების... აფეთქებები. დაწვეს რამდენიმე სკოლა და ფაბრიკა“, ამგვარი აბსურდული ბრალდების გამო საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გროზნოდან შევარდნაძისადმი გამოგზავნილ წერილში წერდა: „თქვენი ბრალდებები ჩემს მიმართ მაგონებს ფილმ „მონანიებას“ და 30-იანი წლების სტალინ-ბერიასეულ პრაქტიკას. თქვენი მარიონეტული „პროკურატურაც“ „ვიშინსკის პროკურატურის ორეულია“, შევარდნაძის პროკურატურა კი თქვენ ბრძანდებოდით, ბატონო რაზმაძევ.

საქართველოს ისტორიის მომავალ მკვლევართათვის შეთხზული ამგვარი ცილისწამებების საპასუხოდ იძულებული ვართ გამოვაქვეყნოთ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბრძანებულებებისა და მიმართვების შემოკლებული ტექსტები მაინც, რათა ნათელი მოვფინოთ სიმართლეს.

„უკანონო ხელისუფლების დამქაშებმა გააქტიურეს ტერორისტული და დივერსიული ქმედებანი. აფეთქებენ ხიდებს, რკინიგზებს, წვავენ

კულტურის კერებს და სამეცნიერო დაწესებულებებს, ადმინისტრაციულ შენობებს, თავს ესხმიან და ძარცვავენ ქალაქის მოსახლეობას, აშინებენ მათ და ცდილობენ ყოველივე ეს კანონიერებისათვის მებრძოლებს გადააბრალონ...

საქართველოს სრული განადგურებისაგან ხსნისათვის, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვისა და მისთვის ელემენტალური სოციალური პირობების შექმნისათვის ვბრძანებ:

1. დაევალოს კანონიერებისათვის მებრძოლი შეიარაღებული ძალების თავდაცვის საბჭოს (ლ. ქობალია) ჩამოაყალიბოს ტერორისტული აქტებისა და დივერსიების წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური ქვედანაყოფები.

2. აღნიშნულმა ქვედანაყოფებმა, სადაც შესაძლებელია დააწესონ უმკაცრესი კონტროლი რკინიგზაზე, ხიდებსა და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებზე.

3. გაჩაღდეს შეურიგებელი ბრძოლა ტერორისტული და დივერსიული ჯგუფების გამოვლინებისა და განეიტრალებისათვის.

4. ტერორისტული და დივერსიული ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობა ფართოდ გაშუქდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. გამოქვეყნდეს დამნაშავეთა სია“.

გროზნო 1993 წელი, 3 იანვარი.

(ჩვენს მიერ მოყვანილი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბრძანებების, მიმართვებისა და განცხადებების სრული ტექსტები იხილეთ მაშინდელ გაზეთებში: „აღდგომა“, „ქართული აზრი“, ან გელა სალუაშვილის რედაქტორობით გამოცემულ კრებულებში: „ორმოცი მიმართვა სრულიად საქართველოს მოსახლეობისადმი“, „1992-93 საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია“ და სხვა).

ხუნტის პროკურორის, რაზმაძის სანქციით „ტერორისტული აქტებისთვის“ დაჭერილ დოკვაძე-გელბახიანის გახმაურებულ სასამართლო პროცესებზე, რომ ვერ დაუმტკიცეს ბრალდებები, ეს ცნობილი ფაქტებია, თუმცა მათ მაინც უმაღლესი სასჯელი – დახვრეტა შეუფარდეს.

ხუნტის პროკურორი ვ. რაზმაძე თვით აფხაზეთის ომის გაჩაღებაშიც კი სდებს ბრალს ზვიად გამსახურდიას: „ექსპრეზიდენტი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ აფხაზეთ-საქართველოს საომარ მოქმედებაში საქართველოს დასახმარებლად არ ჩაბმულიყო ლ. ქობალიას გვარდია, ხოლო სექტემბრის თვეში, როცა დარწმუნდა, რომ ამ ომში საქართველოს დამარცხება გარდაუვალი იყო... 24 სექტემბერს ჩამოვიდა საქართველოში“.

ცნობილია, რომ ზვიად გამსახურდიამ მაშინვე ატეხა განგაში აფხაზეთის ომის წამოწყების თაობაზე და ამხილა ხუნტის ნამდვილი მიზნები: „საქართველოს დანაშაულებრივი სამხედრო ხუნტის მეთაურმა შევარდნაძემ დაიწყო ფართომასშტაბიანი დამსჯელი ოპერაციები აფხაზეთში... შევარდნაძის უკანონო რეჟიმი მიზნად ისახავს ავტონომიური რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების დამხობას და ქართველებსა და აფხაზებს შორის ძმათამკვლელი ომის გაჩაღებას, რაც იმპერიის დიდი ხნის მიზანს წარმოადგენს... მე მოვუწოდებ ქართველ ხალხს, კავკასიის ხალხებს, მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობას, ყველა კეთილი ნების ადამიანს გენოციდისაგან დაიცვას მცირერიცხოვანი, მრავალტანჯული აფხაზი ხალხი, აფხაზეთის ქართული მოსახლეობა...“ *14 აგვისტო, 1992 წელი.*

შევარდნაძემ და არძინბამ ერთობლივად განახორციელეს რა იმპერიის გეგმები აფხაზეთში, გენოციდი მოუწყვეს საკუთარ ხალხებს – აფსუებსა და ქართველებს ე. წ. ეთნიური ომით, რასაც სინამდვილეში პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა და რუსეთ-საქართველოს ომი იყო.

პრეზიდენტი გამსახურდია, ამგვარი კატასტროფული შედეგების გათვალისწინებით, ყველა შემდგომ მიმართვებში „აფხაზი და ქართველი ერისადმი“ მოუწოდებდა ორივე მხარეს შეეწყვიტათ ძმათამკვლელი ომი და დაეწყოთ მოლაპარაკებები.

ლოზუნგით „შეწყდეს აფხაზეთის ომი!“ აგრეთვე თბილისში 1992 წლის 22 დეკემბერს, თავისუფლების მოედნიდან მეტრო რუსთაველამდე ჩვენი ხელმძღვანელობით ჩატარდა საპროტესტო მანიფესტაცია, რომელიც დაარბია შევარდნაძის ხუნტისტურმა და ანტისახელმწიფოებრივმა რეჟიმმა.

საქართველოდან აფხაზეთის მოწყვეტას ხუნტამ ჯერ კანონიერი ხელისუფლების დამხობით, შემდგომ – კონსტიტუციის გაუქმებით ჩაუყარა საფუძველი, ანუ შექმნა სამართლებრივი ბაზა. საქართველოს კონსტიტუციის გაუქმებამ მისცა საბაბი აფხაზეთის ხელისუფლებას გაეძლიერებინა სეპარატისტული კურსი და ქართული კადრების დისკრიმინაცია და აღედგინა 1925 წლის კონსტიტუცია, რომელშიც არ არსებობს აფხაზეთის ავტონომია.

ზვიად გამსახურდიამ, როგორც საქართველოს კანონიერმა პრეზიდენტმა, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 23 ივლისის სესიის ანტიკონსტიტუციური აქტები 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ, იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა და გუდაუთაში, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ვლადისლავ არძინბას სპეციალური დეპეშით მიმართა: „აფხაზეთში მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენისათვის, აფხაზი ხალხის გენოციდისაგან გადასარჩენად გთავაზობთ სასწრაფოდ მოიწვიოთ პარლამენტის სესია და გააუქმოთ გადაწყვეტილება 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ. აღადგინოთ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და 1978 წლის კონსტიტუცია“. *1992 წ. 21 აგვისტო. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.*

ზვიად გამსახურდია გროზნოდან გამოგზავნილ მიმართვაში „ქართველი ერისადმი, აფხაზეთში დისლოცირებული ყველა ქართველი მეომრისადმი“ წერდა: „მე მოვუწოდებ აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებულ ყველა ქართველ მებრძოლსა და მეთაურს, სრულიად საქართველოს მოსახლეობას: არ დაემორჩილოთ ე. შევარდნაძისა და მისი კომუნისტური ხუნტის ბრძანებებს (იგულისხმება რეგულარული ბრძანებები უკანდახევების შესახებ. ლ. ც.), არ დათმოთ აფხაზეთის – ძირძველი ქართული მიწის არც ერთი გოჯი, არ ჩააბაროთ მტერს უკვე მოპოვებული პოზიციები, აღადგინოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, გახსოვდეთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის საზღვარი მდინარე ფსოუზე გადის“. *საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, 1993 წლის 20 ივლისი.*

რაზმაძისეული ბრალდება, თითქოს ზვიად გამსახურდია ყველაფერს აკეთებდა, რომ საომარ მოქმედებაში არ ჩაბმულიყო ქობალიას გვარდია, მორიგი სიცრუე და ცილისწამებაა, რის საილუსტრაციოდაც მოგვყავს ზვიად გამსახურდიას მიმართვის არასრული ტექსტი ქართველი ერისა და სოხუმის, ოჩამჩირისა და გალის ქართველი მეომრებისადმი: „... კრიმინალურ-კომუნისტური ხელისუფლების განცხადება იმის შესახებ, თითქოს სოხუმის მებრძოლებს დროზე არ მიეშველნენ ჩვენი შეიარაღებული შენაერთები, მორიგი ნიმუშია სიცრუის და ცილისწამების. კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული ძალები იბრძვიან ოჩამჩირის ფრონტის უმნიშვნელოვანეს მონაკვეთზე, მაგრამ მათი წინსვლა შეაფრხა ხუნტის მხრივ საბოტაჟმა და ხელისშეშლამ. აფხაზეთიდან გამოყვანილი ტექნიკა და ცოცხალი ძალა ამჟამად კონცენტრირებულია ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისსა და თბილისში. ნაცვლად იმისა, რომ ისინი მიეშველონ კანონიერი ეროვნული გვარდიის შენაერთებს, რომელთაც ხელმძღვანელობს ლ. ქობალია. აი, ეს აბრკოლებს დღეს ოჩამჩირის ფრონტის ფართოდ გაშლას, კოდორის გადალახვას და სოხუმელ მებრძოლებთან შეერთებას.

ხუნტა, ვითომ, აღშფოთებულია გუდაუთის დაჯგუფების დაბრუნებით სოუხმში, მაშინ როდესაც მან თავად მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, რომლის ერთი პუნქტიც სწორედ ამას ითვალისწინებს.

ამ ეროვნული ღალატისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება შევარდნაძეს და მის უკანონო რეჟიმს, რისთვისაც მას განსჯის ისტორია და ქართველი ერი.

კანონიერი ხელისუფლება არ დაუშვებს საქართველოს ამ ძირძველი კუთხის დაკარგვას, იგი არ ყრის ფარხმალს აფხაზეთში. უახლოეს ხანში მთელს საქართველოში გამოცხადდება საყოველთაო მობილიზაცია, ყვე-

ლა შეიარაღებული ძალა გაერთიანდება ერთი სამხედრო ხელმძღვანელის ქვეშ და დავიბრუნებთ დაკარგულ პოზიციებს.

მე მოვუწოდებ ქართველ ერს ერთიანობისაკენ, ყველა ეროვნული ძალის მობილიზაციისაკენ, რათა საერთო ძალისხმევით შევინარჩუნოთ საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე და ვიხსნათ მისი მოსახლეობა დეპორტაციისა და გენოციდისაგან". მიმართვა გამოქვეყნდა სამეგრელოში გამომავალ გაზეთ „წალენჯიხის ზარებში" 1993 წლის 16-30 სექტემბრის. როგორც მოგეხსენებათ, ბატონი ზვიადი დაბრუნდა კიდეც საქართველოში და გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია, აფხაზეთის გადარჩენისთვის მთელი არსენალით ჩაება ომში.

ზვიად გამსახურდია „სოხუმის, ოჩამჩირისა და გალის ქართველი მეომრებისადმი მიმართვაში" მოუწოდებდა: „ძვირფასო თანამემამულენო! მოგმართავთ ყველას ერთობლივად, ვინც დღეს იბრძვით აფხაზეთში, ვინაიდან არ მსურს თქვენი დაყოფა ჩემს მომხრეებად და არამომხრეებად. დღეს ყოველი თქვენგანი საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის სადარაჯოზე დგას და პასუხისმგებელია ღვთისა და ერის წინაშე.

მსურს თქვენი ყურადღება მივაპყრო მოღალატურ პოლიტიკას შევარდნაძისა, რომელმაც მტერს ჩააბარა საქართველოს ტერიტორია გუმისთიდან ფსოუმდე. ისევე, როგორც მთელი სამაჩაბლო და ამჟამად ამზადებს გაუგონარ ღალატს – სოხუმისა და ოჩამჩირის ჩაბარებას... შევარდნაძემ ჩაშალა ჩვენი ჯარების გუმისთაზე გადასვლა და ტყვარჩელისა და გუდაუთის აღება, რაც მტერთან მისი გარიგების შედეგია... ჩემი დისკრედიტაციის მიზნით შევარდნაძე... ავრცელებს ჭორებს, თითქოს აფხაზეთში შემოვიყვანე ჩეჩენი მებრძოლები... ხუნტამ სოხუმში გაავრცელა აგრეთვე ჭორი, თითქოს მე ტყვარჩელის აღების წინააღმდეგი ვარ, სინამდვილეში ჩემი პოზიცია ასეთია, თუ ოჩამჩირის აფხაზობა უარს იტყვის ჩვენთან შემორიგებაზე, ტყვარჩელი აუცილებლად უნდა იქნას აღებული, რათა ოჩამჩირეც არ დავკარგოთ და სოხუმი ალყაში არ აღმოჩნდეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მე, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი პრეზიდენტი... ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ გამცნოთ შემდეგი: დღეს უდიდესი საფრთხე ემუქრება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და დგას ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

დღეს, როგორც არასდროს, აუცილებელია ჩემი ყოფნა ჩემს ხალხთან, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, სადაც მას ყველაზე მეტად უჭირს. ასეთი რეგიონია აფხაზეთი, სადაც ხუნტამ იმპერიის კარნახით გააჩაღა ძმათამკვლელი ომი, რომლის მიზანია აფხაზეთის ქართული მოსახლეო-

ბის განადგურება და ამ კუთხის მტრისთვის გადაცემა. მიუხედავად ჩემი არაერთგზისი ცდისა, შევარდნაძის, იოსელიანის, ბათიაშვილის სპეცსამსახური მიქმნის ყოველგვარ დაბრკოლებებს, რათა ვერ ჩამოვიდე საქართველოში, შეგახსენებთ, რომ ჩემი ჩამოსვლა გამოიწვევს არა მარტო მოსახლეობის კონსოლიდაციას, არამედ **სრული და საყოველთაო მობილიზაციის დაწყებას** (ხაზგასმა ჩვენია – ლ. ც.)... და ომის ბედიც ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება". *1993 წ. 7 ივნისი.*

აი ასეთი გმირული, თავგანწირული სულისკვეთებით დაბრუნდა დევნილი დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი ზუგდიდში 1993 წ. 24 სექტემბერს. ხოლო ჩამოსულმა ასეულათასიან მიტინგზე ასე მიმართა თავის ერს:

„ძვირფასო თანამემამულენო! ძმანო და დანო! მე, საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი დავუბრუნდი სამშობლოს და განვაგრძობ ერის წინაშე ჩემი მოვალეობის შესრულებას. მე ვხედავ საქართველოს უმძიმეს მდგომარეობას, მე არ შემეძლო ასეთ დროს ვყოფილიყავი საქართველოს გარეთ... მე ჩამოვედი არა იმისათვის, რომ გავაჩაღო სამოქალაქო ომი, ან დავსაჯო ვინმე, არამედ ჩემი მიზანია ერის გამთლიანება და ეროვნული შერიგება. და თუ მოწინააღმდეგე მხარე შეიგნებს თავის შეცდომას, შეინანებს თავის დანაშაულს ერის წინაშე, მე მზად ვარ მათაც გავუწოდო ხელი... დღეს საქართველო უნდა დაირაზმოს ერის ხსნისათვის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის. ქართული სულის აღორძინებისათვის. გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლას საქართველოს გადასარჩენად..."

იმ საგანგებოდ შეთითხნილი ბრალდების პასუხად, რომ თითქოს ზვიად გამსახურდია არ იყო პოლიტიკოსი და ესწრაფვოდა იზოლაციას, მოვიყვან ციტატას მისი 1991 წლის 25 ნოემბრის სატელევიზიო გამოსვლიდან: „... ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა ის, რომ არ წავიდეთ არავითარ კომპრომისზე სანამ ცენტრი... არ ცნობს ჩვენს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას", მისი ამგვარი პოზიცია იყო პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელება საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის. უცხოელი ჟურნალისტებისათვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონი ზვიადი ამბობს: „მე ყოველთვის პროგრესულად ვიყავი განწყობილი, ყოველთვის მსურდა მჭიდრო კავშირი მქონოდა რუსეთთან, ვოცნებობდი, რომ საქართველო ყოფილიყო თავისი დიდი ჩრდილოელი მეზობლის ბუნებრივი მოკავშირე" („გაზ. „საქართველოს ცის ქვეშ", 14 ნოემბერი, 1992 წ.).

ვიქტორ რცხილაძის ხმაურიან ქვეთავში „იანაევი ამხელს", მისი ინტერვიუს აბრაკადაბრას ვერაფერი გავუგე იმ უბრალო მიზეზის გამო,

რომ ინტერვიუს ნაცვლად აქ მხოლოდ ასოებია ჩაყრილი. ეს ტექნიკური ხარვეზი რედაქციას გაზეთის მომდევნო ნომერში გამოუსწორებია, საიდანაც ვგებულობთ, რომ გკჩპ-ს დღეებში იანაევს ბევრი ურეკავდა და მხარს უჭერდა. „... საქართველოდან დამირეკა გამსახურდიამ, მითხრა, რომ საქართველო უსათუოდ დარჩება კავშირის შემადგენლობაშიო“. ამ ინტერვიუზე დაყრდნობით ვ. რცხილაძე გასაოცარ წიაღსვლას აკეთებს: „... ცხადი ხდება, რომ 1991 წლის 31 მარტს დიდი ზარზეიმით საქართველოს დამოუკირდებლობის გამოცხადება ფიქცია იყო“.

ჯერ ერთი, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ეჭვი შევიტანოთ მოსკოვურ „ლიტერატურნაია გაზეტას“ 1999 წ. 11-17 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ იანაევის ინტერვიუს ნამდვილობაში, მითუმეტეს, როცა სრულებით უცნობია ინტერვიუს ესოდენი დაგვიანებით გამოქვეყნების მოტივები, ამასთანავე, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს დავეჭვდეთ იანაევის განცხადების სიმართლეშიც. კერძოდ, რატომ უნდა ვენდოთ კოლონიური სახელმწიფოს ერთ-ერთ მრისხანე მეთაურს (იგი ვიცე-პრეზიდენტი იყო), რომელსაც სძულდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მცნება და მისკენ მიმსწრაფი მოკავშირე ქვეყნების პოლიტიკური ლიდერები, განსაკუთრებით კი პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის, საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია?

19 აგვისტოს მოსკოვის პუტჩთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდია 20 აგვისტოს „დასავლეთის ქვეყნების ხალხებისა და მთავრობებისადმი“ გაგზავნილ მიმართვაში წერდა: „პოლიტიკური შეფასება მომხდარი გადატრიალებისა ძალზე რთულია, ვინაიდან ჯერჯერობით არ არის ნათელი ნამდვილი გადატრიალებაა ეს, თუ მხოლოდ გარიგება ან შოუ *(ჩვენმა პრეზიდენტმა ბრძნულად განჭვრიტა: 29 აგვისტოს „ნოვოე რუსკოი სლოვოში“ გამოქვეყნდა წერილი ხმაურიანი სათაურით: „გორბაჩოვი — სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორი?“, რომელშიც ყოფილი პრემიერის ვალენტინ პავლოვის პირველი მოადგილე ვლადიმერ შჩერბაკოვი პუტჩის ორგანიზატორობაში ამხელს გორბაჩოვსა და ელცინსაც* – **ლ. ც.)** ...შექმნილი არასტაბილური მდგომარეობა, რეაქციული ძალების შესაძლო გამარჯვება საფრთხეს უქადის უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირში შემავალ იმ რესპუბლიკებს, რომლებიც იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის და რომელთაც ჰყავთ ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და პრეზიდენტი“(მიმართვის სრული ტექსტი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 21 აგვისტო).

მძვინვარე პუტჩის დღეებში გაკეთებულ ამ მიმართვაში ნათლადაა გამოკვეთილი ზვიად გამსახურდიას პოლიტიკაც და პოზიციაც საქა-

რთველოს დამოუკიდებლობისადმი და იგი არც შემდგომ ქცეულა ფიქციად. ვიდრე ამასაც დოკუმენტურად დავამტკიცებდეთ, ზემომოყვანილ მიმართვაზე ვიტყვით ორიოდ სიტყვით, რომ იგი აღემატება სხვა ქვეყნების მეთაურთა ანალოგიურ დოკუმენტებს თავისი კატეგორიულობითა და პირდაპირობით.

ახლა იმის დასამტკიცებლად, რომ ზვიად გამსახურდია ბოლომდე დარჩა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ პრეზიდენტად, გთავაზობთ მისი უკანასკნელი მიმართვის ტექსტს ბორის ელცინისადმი:

„მის აღმატებულებას ბატონ ბორის ელცინს, რუსეთის სფს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

ბელორუსიის რესპუბლიკის, რუსეთის სფს რესპუბლიკისა და უკრაინის 1991 წლის 8 დეკემბრის შეთანხმების შესაბამისად სსრ კავშირმა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა, შეწყვიტა არსებობა. ამის საფუძველზე ერთადერთ სამართლებრივ დოკუმენტად, რომელიც განსაზღვრავს რუსეთის სფს რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობას, უნდა მივიჩნიოთ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უფლებამონაცვლეა და რადგან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭოს 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე 1991 წლის 31 მარტს გამართული რესპუბლიკური რეფერენდუმის შედეგების თანახმად, ეს ხელშეკრულება არ არის დენონსირებული, არც რუსეთის სფს რესპუბლიკის, არც საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესი ორგანოების მიერ.

მოგიწოდებთ ჩვენი ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობა შეუსაბამოთ ზემოთ ნახსენებ ხელშეკრულებას რუსეთის სფს რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეთა 1991 წლის 23 მარტის ყაზბეგის შეხვედრის ოქმის სულისკვეთებით, რათა შესაძლებელი გახდეს ბოლო ათწლეულების პერიოდში წამოჭრილი საკითხების მოგვარება.

ღრმად პატივისცემით ***ზვიად გამსახურდია***
თბილისი, 1991 წ. 10 დეკემბერი
„საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 13 დეკემბერი

ისიც ხომ კარგად არის ცნობილი, რომ საქართველომ, ალმა-ატაში სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, 1991 წლის 20 დეკემბერს, ხელი არ მოაწერა?

ლამის კლიშედქცეული ბრალდებების გამო ხშირად გვიწვევს ერთიდაიგივე დოკუმენტების მოშველიება სხვადასხვა ავტორთა ცილისწამებების გასაბათილებლად, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით მკითხველებს.

კიტოვანის რკონში გასვლის ძირითად მიზეზად აქაც გვარდიის სტატუსის შეცვლის შესახებ პრეზიდენტის 19 აგვისტოს ბრძანებულებაა მიჩნეული მაშინ, როცა ეს მხოლოდ საბაბი იყო.

2 სექტემბრის მიტინგის ავანტიურაზე ჩვენ ამომწურავად გავეცით პასუხი წერილში „ზვიად გამსახურდია ეროვნული მოძრაობის ჩრდილოვანი მხარეა?!“ (იხ. გაზ. „გაუხმაურებელი ფაქტები“ №12(112)–№17(117), 1999 წ.) და აქ აღარ გავიმეორებთ.

მოსკოვში გამოცემული წიგნის „ზვიად გამსახურდიას ავტო-ბიოგრაფიის“ გამო, ვიქტორ რცხილაძის თავდასხმის ობიექტი ქალბატონი მანანა არჩვაძეც გამხდარა, რომლის „კგბ“-ს აგენტობის დასამტკიცებლად უკვე მეორედ იშველიებს „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებულ ქალბატონ **ბელა შალვაშვილის** წერილს, რომელსაც კვლავაც არასწორი ინტერპრეტაციით აწვდის მკითხველს; ბატონო ვიქტორ, რას აიკვიატეთ ეს „კგბ-ს არქივი“, რომელმაც გასაგები მიზეზების გამო, აშკარაა, რომ სიმშვიდე დაგიკარგათ, მაგრამ, აკი გითხარით (გაზ. „გაუხმაურებელი ფაქტები“, 1999 წლის ნომრები), შალვაშვილი, თქვენს მიერ მოხმობილ წერილში ახსენებს **პრეზიდენტის არქივს** და არა **კგბ-ს არქივს.** კვლავაც ვიმედოვნებ, რომ არ მკითხავთ: რა არქივი უნდა ჰქონოდა ზვიად გამსახურდიასო. და საერთოდ ვიმედოვნებთ, რომ აღარ ისურვებთ ბრძოლის ველზე სარფიანად გამოხტომას.

ვ. რცხილაძესთან ვრცელი პოლემიკა ის-ის იყო დავასრულე, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პრეს-მდივანმა 1999 წლის 2 სექტემბრის ნომერი შემომიტანა, რომლის მე-3 გვერდზე დაბეჭდილია ნოდარ ლომოურის პოზიცია სათაურით: „შერიგება აუცილებელია, მაგრამ მოვლენების შეფასება ისტორიის ამოცანაა“. ბატონი ნოდარიც, ისევე როგორც ბატონი ვიქტორი, სულით ხორცამდე შეშფოთებულია „შერიგებისა და რეაბილიტაციის“ კამპანიით და „საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილებით“, რომელთა მიმართაც ჩვენ, „ზვიად განმათავისუფლებლებს“, დიამეტრალურად განსხვავებული პოზიცია გაგვაჩნია. სიცრუითა და სიყალბით სავსე

აღნიშნული დადგენილება შევარდნაძის ხუნტისტურ-დიქტატორული რეჟიმის სამომავლოდ განმტკიცების გარანტიებს უფრო შეიცავს, ვიდრე სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენის რეალურ ნიშნებს. მასში, არამცთუ სიტყვიერად, არამედ მინიშნებითაც კი არ არის დაგმობილი კონკრეტულად დეკემბერ-იანვრის სამხედრო გადატრიალება: დადგენილების 1 პუნქტი მხოლოდ ზოგადად და სამომავლოდ გმობს ლეგიტიმური ხელისუფლების ძალადობით დამხობას. დადგენილებით განსაზღვრული კლასიფიკაცია „სამოქალაქო კონფლიქტების, დაპირისპირებისა და კონფრონტაციების შესახებ“, არ ასახავს მაშინდელ სინამდვილეს, ვინაიდან 1991-92 წლებში, საქართველოში არ ჰქონია ადგილი რაიმე სერიოზულ სამოქალაქო დაპირისპირებას (პოზიციების ნიადაგზე არ დაფიქსირებულა მოქალაქეთა შორის შუღლის, ერთმანეთის დაჭრის, ან მოკვლის არც ერთ ფაქტი) და მითუმეტეს სამოქალაქო ომი არ ყოფილა, არამედ იყო პუტჩი – სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება. დაპირისპირება კი დღემდე არსებობს მხოლოდ ერსა და იარაღით მოსულ მოძალადე ხელისუფლებას შორის. აქედან გამომდინარე, ერს არაფერი სჭირს ერთმანეთთან შესარიგებელი და „ეროვნული თანხმობის“ საფარველით შენიღბული საპარლამენტო კომისიაც, სინამდვილეში „ხელისუფლებასთან თანხმობისა და შერიგების კომისიაა“, მაგრამ, რადგან იმ „2000 წლის 20 აპრილის დადგენილებამ“ ასე თუ ისე მაინც იმუშავა, რასაც მოწმობს ვიქტორ რცხილაძისა და ნოდარ ლომოურის რეაქციები, შემდგომი კრიტიკული შეფასებებისაგან თავს შევიკავებთ.

რამდენადაც ვიცით, პარლმენტში შექმნილია კიდეც ე. წ. „ინტეგრაციის კომისია“, რომელიც ალბათ მთელი სიმძლავრით ამოქმედდება „ეროვნული თანხმობის კომისიის“ ფუნქციის სრულად ამოწურვის შემდგომ, ანუ მოხდება მისი ჩანაცვლება. რაც შეეხება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „რეაბილიტაციის“ საკითხს, იგი პოპულისტურ განცხადებათა რიგს უფრო განეკუთვნება.

არაქართული წარმოშობის მეცნიერი ნოდარ ლომოურის მძულვარე დამოკიდებულება ეროვნული პრეზიდენტისა და ხელისუფლებისადმი საზოგადოდ ცნობილია და მისი ეს წერილიც ამ მიმართებით ახალს არაფერს შეიცავს – იგი მთლიანად ეთანხმება ჩვენს მიერ ხსენებულ ვიქტორ რცხილაძეს. ამიტომ მის მიერ მოყვანილ შეთითხნილ ბრალდებებზე ცალკე აღარ შევჩერდებით.

დიახ, სამჯავრო, არც ისე შორს არის და იარაღასხმულ და ხუნტის იდეოლოგ „წითელ ინტელიგენციას“ შეშფოთების საფუძველი ნამდვილად გააჩნია; ვის თუ არა მათ, უნდა სცოდნოდათ, რომ მომავალში

ბერბიჭაშვილების, მახარაძეებისა და ორჯონიკიძეების სახელის თანაზიარი გახდებოდნენ, რომ მოღალატეებად შერაცხავდა შთამომავლობა, რომელთა წინაშე გულისამაჩუყებლად ღაღადებს შიშშეპარული ნოდარ ლომოური: **„... ჩვენ, ვინც ამ აქციის განხორციელებაში ვმონაწილეობდით... დასაგმობი კი არა ვართ, არამედ ეს ჩვენს ბიოგრაფიაში საამაყო ფურცლებია და ჩვენმა შვილებმა და შთამომავლობამ სწორედ ასე და მხოლოდ ასე უნდა შეაფასოს ჩვენი ქმედებანი“.**

აი, კლასიკური ნიმუში კომუნისტური მენტალიტეტის მქონე ოდიოზური პიროვნებისა.

ლეილა ცომაია

გაზ. „ახალი ეპოქა“, N34, N36 2000 წ.

„ჩვენი მწერლობის“ სალიტერატურო ჩანართი N17-N18

ზვიად გამსახურდიას ყბადაღებული მონანიების შესახებ

ერის მამებისადმი ქონდრისკაცთა, თუ კოლაბორაციონალისტთა უგუნური მტრობის კატასტროფული შედეგები მთელი სისასტიკით იწვნია საქართველომ და ქართველმა ერმა. კოლაბორაციონალისტებმა, ერის მამებს, შუბლსა და საფეთქელში ესროლეს ტყვია, მაგრამ ვერ მოკლეს! ამიტომაც იქცნენ უგუნურთა ხროვის მარადიულ სამიზნედ ილიაც და ზვიადიც, მაგრამ ისევე, როგორც გულქვა და სასტიკი თავადის სახელის შექმნით ვერაფერი დააკლეს ილიას სიდიადეს, ვერც ზვიადის სიდიადეს დააკლებენ რასმეს ე. წ. მონანიების მილიარდჯერ შეხსენებით უსტიაშვილები და მისი კოლაბორაციონალისტი ძმანნი.

სინანულსა და გულწრფელ გაკვირვებას იმ პირუთვნელი და განსწავლული მეცნიერების მიმართ გამოვთქვამთ მხოლოდ, რომლებმაც, ავისმჩხრეკელ თხუნელების მსგავსად, დღემდე ვერ გაიგეს ზვიად გამსახურდიასეული ფაქტიური მონანიების მნიშვნელობა საქართველოსათვის (მხედველობაში გვყავს ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატორი ბატონი როსტომ ჩხეიძე და სხვ. გაზეთი „ახალი საქართველო“, „თუ საწუთრომან დამამხოს“, 1998 წ.). არადა, ის ფიქტიური მონანიება რომ არა, საქართველოს უახლეს ისტორიაში, ერის ღირსების შემლახველი ორსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი მონობის შემდგომ, არ გვექნებოდა 1991 წლის 31 მარტის ბრწყინვალე რეფერენდუმი და ამავე წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

ეროვნული მოძრაობისა და პოლიტიკური ორგანიზაციებისათვის დღემდე სრულიად უცნობი ე. წ. სახალხო-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ვინმე გურამ უსტიაშვილი „ასავალ-დასავლისათვის“ (2000 წ. №26) მიცემულ თავის ვრცელ ინტერვიუში კი აცხადებს, რომ „არ შეიძლებოდა ლიდერი ყოფილიყო კაცი, ვინც 1977 წელს თავისი საქმიანობა მოინანია და აღიარა ვცდებოდიო“.

ცხადია, უსტიაშვილებს ეოცნებებოდათ, ზვიადს გარდაუვალ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეც, ჩვეული უკომპრომისობა გამოეჩინა და უმალ, 1977 წელსვე, მოსკოვის სერბსკის სახელობის ფსიქიატრიულ კლინიკაში (იგივე ფსიქიატრიულ ციხეში) დაესრულებინა თავისი გმირული დისიდენტური მოღვაწეობა და სიცოცხლეც, მაგრამ ზვიად გამსახურდიასათვის ცხოვრების მიზანი გმირობის სახელისთვის ზრუნვა კი არ ყოფილა ოდენ, არამედ – თავისი ერისა და ქვეყნისათვის, რუსეთის იმპერიის ორსაუკუნოვანი მონობის უღლისაგან საქართველოს გათავისუფლებისათვის იღვწოდა.

ზვიად გამსახურდიამ, საბჭოთა დისიდენტებს შორის ერთადერთმა შესძლო, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლების იდეის გარშემო, მთელი ქართველი ერის კონსოლიდაცია, რაც დამანგრეველ ძალად იქცა ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის უსისხლოდ დამხობაში. ხოლო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტმა, ჯანსაღი და პროგრესული ნაციონალისტური იდეებითა და ზნეობრივ-სამართლებრივი პოლიტიკით საფრთხე შეუქმნა მასონურ მსოფლიო წესრიგს, საქვეყნოდ დაუპირისპირდა რა მასონთა კოსმოპოლიტურ იდეებს.

ზვიად გამსახურდია ყველაზე დიდი მასშტაბის ნაციონალისტური მებრძოლი იყო საბჭოთა დისიდენტებს შორის. ზვიადმა, იმ ფიქტიური მონანიებით, როგორც დისიდენტმა, თავი საქართველოსთვის გადაირჩინა და პრეზიდენტიც – საქართველოსთვის მოკვდა.

იმისათვის, რომ დაჩრდილოს ზვიად გამსახურდიას დისიდენტური ბიოგრაფია, ვინმე გურამ უსტიაშვილი დღემდე გაუგონარ, სენსაციურ ცილისწამებას ავრცელებს: „... ციხეში იგი სულაც არ მჯდარა, აბაკუმოვის აგარაკზე ცხოვრობდა. აბაკუმოვი კი საბჭოთა კავშირის „სუკ“-ის ყოფილი შეფი იყოო“. ეცოდინებოდა კი, უშიშროების მაღალჩინოსან უსტიაშვილს რუსეთის კგბ-ის ციხის კულუარული ამბები... ეს იუმორით, ხოლო სერიოზულად კი, ზვიადს „კგბ“-ს იზოლატორში შესთავაზეს საზღვარგარეთ წასვლა, რაზედაც ზვიადმა კატეგორიული უარით უპასუხა, რის შემდგომაც იგი გადაიყვანეს მოსკოვის „სუკ“-ის

ლეფერტოვოს ციხეში, ხოლო იქედან რამოდენიმე დღეში კი – სერბსკის სახელობის ფსიქიატრიულ ინსტიტუტში (იგივე ფსიქიატრიულ ციხეში), სადაც, აგრეთვე შესთავაზეს საზღვარგარეთ ემიგრაცია, მოახდინეს სხვადასხვაგვარი ზეწოლები, ემუქრებოდნენ შვილის სიკვდილით. ზვიად გამსახურდიას მტკიცე უარის გამო აჭიანურებდნენ მის ფსიქიატრიულ შემოწმებას, განაგრძობდნენ წამებას, რამაც იგი აიძულა გამოეცხადებინა შიმშილობა. შიმშილობამ დააჩქარა კომისიის მოწვევა. კომისიამ, რომელიც შედგა 1978 წლის 4 დეკემბერს, იგი ჯანმრთელად სცნო. ფსიქიატრიულ კომისიას კი გამსახურდიაზე სწორი დასკვნა აიძულა კონფერენციამ რომელიც 1977 წლის აგვისტოში ჩატარდა ჰონოლულუში (აშშ), სადაც დაგმობილ და მხილებულ იქნა საბჭოთა კავშირის ფსიქიატრიული კლინიკების სადამსჯელო მედიცინა, რის საფუძველზეც საბჭოთა კაშვირი გაირიცხა მსოფლიოს ფსიქიატრიული ასოციაციის წევრობიდან. აგრეთვე, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას შესახებ, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში პროტესტები გაგზავნეს მსოფლიოს სხვადასხვა ფსიქიატრებმაც. ამავე პერიოდში ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, აშშ-ს კონგრესის მიერ წარდგენილ იქნენ ნობელის პრემიაზე.

ამგვარმა რეზონანსმა აიძულა საბჭოთა ფსიქიატრთა კომისია გამოეტანა სწორი დასკვნები ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ფსიქიური მდგომარეობის შესახებ. (მკითხველს ვთხოვთ უფრო დაწვრილებით ამის შესახებ გაეცნოს ზვიად გამსახურდიას ავტობიოგრაფიულ წიგნში „დამოუკიდებელი საქართველოსთვის“, გამოცემულია მოსკოვში 1996 წ. რუსულ ენაზე და კონსტანტინე გამსახურდიას წიგნში „დინების საწინააღმდეგოდ“, რომელიც გამოიცა 1997 წ.).

ჯანმრთელად ცნობის შემდგომ, ზვიად გამსახურდია დაბრუნებულ იქნა ლეფერტოვოს ციხეში, საიდანაც იგი კვლავ გადმოიყვანეს თბილისის „სუკ“-ის ციხეში.

სრულიად საქართველოს ზვიად განმათავისუფლებლის პარტიელები კატეგორიულად მოვითხოვთ გურამ უსტიაშვილისაგან, დაგვიმტკიცოს, რომელ პერიოდში ცხოვრობდა პატიმარი ზვიად გამსახურდია მოსკოვში აბაკუმოვის აგარაკზე.

„ასავალ-დასავალის“ რედაქციას კი მადლობას მოვახსენებთ გ. უსტიაშვილის ინტერვიუს გამოქვეყნებისათვის იმ თვალსაზრისით, რომ ამგვარი ინტერვიუები ააშკარავებენ პოლიტიკური ორგანიზაციებისა და მისი ლიდერების წარმომავლობას, ანუ ლუსტრირებულს ხდიან მათ.

ლეილა ცომაია

ყურადღება, მესამე მოდის...

გაზეთმა „ახალმა თაობამ“ 1995 წლის 16 ნოემბრის ნომერში (№46), რუბრიკით „საზოგადოება“ დაბეჭდა ოთარ ზოიძის ვრცელი სტატია სათაურით: „საქართველოს სახელმწიფოებრიობის პრობლემები“.

სტატიის ავტორი უმაღლესი კატეგორიის პოლიტოლოგის მენტორული ტონით მიმოიხილავს რა ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების „სტრატეგიული ხასიათის შეცდომებით“ აღსავსე პერიოდს, ასკვნის, რომ „ორივე მათგანის მოღვაწეობამ საქართველოს არნახულად მძიმე შედეგები მოუტანა“.

ჩვენ არ ვაპირებთ სტატიის ავტორთან სერიოზულ პოლემიკას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ წაკითხულმა სტატიამ დაგვარწმუნა: გარდა იმისა, რომ მის ავტორს აღრეული აქვს კრიტერიუმები (ბოროტისა და კეთილის, ეროვნულისა და ანტიეროვნულის, მტრისა და მოყვრის), ამასთანავე წარმოდგენა არა აქვს ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ კრედოსა და რენომეზე, მის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და აღმშენებლობის სტრატეგიულ გეზსა და მიმართულებებზე, საქართველოს რელიგიური და ეროვნული აღორძინების უმთავრეს მიზნებზე.

მოკლედ, არა აქვს ცოდნა ზვიად გამსახურდიას შესახებ, ანუ ვერ სწვდება მას. ამიტომ ვერ განუსხვავებია მისი ზოგადსაკაცობრიო დემოკრატიული, ეროვნული პოლიტიკური კურსი შევარდნაძის ორთოდოქსული კომუნისტური იმპერიული კურსისაგან.

აქედან გამომდინარე, ცხადია იგი ვერ გაანალიზებდა და სათანადოდ ვერ შეაფასებდა 1991 წლის 4 ოქტომბრიდან 1993 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის წინააღმდეგ ეტაპობრივად გახორციელებულ სამხედრო აგრესიის მიზეზებს რუსეთის იმპერიის მხრიდან.

გარდა იმისა, რომ იგი პროფანულად მიმოიხილავს 1990-94 წლების უახლეს ისტორიას, შეგნებულად ჩქმალავს ფაქტებს. კერძოდ იგი არ აღიარებს 1991 წლის 9 აპრილისა და 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტებს, არამედ ლაპარაკობს <u>რაღაც</u> „საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შექმნის <u>მცდელობის</u> (ხაზი ჩემია – **ლ. ც.)** უმძიმეს მარცხზე“, რაშიც ო. ზოიძე ერთნაირად ადანაშაულებს ზვიად გამსახურდიასაც და შევარდნაძესაც.

სტატიის ავტორის მიზანი აშკარაა: ქართველ ხალხს შეურყიოს რწმენა ზვიად გამსახურდიასი, ამოშანთოს მისი ხატება ხალხის გულებიდან,

დააეჭვოს, დაარწმუნოს ისინი, რომ ეთაყვანებოდნენ არა ძლიერსა და დიდს, არამედ სუსტსა და უნიათოს.

შევარდნაძე არ ვარგა? არც ზვიად გამსახურდია ვარგოდა. ასეთია ო. ზოიძისეული ფორმულა, რომელიც მის სტატიაში ახსნადია. კერძოდ: მართალია ორივე ერთნაირად და თანაბრად საქართველოს თავისუფლებისათვის იბრძოდნენ, მაგრამ ამ მესიანისტურ იდეას მათ ხორცი ვერ შეასხეს, რადგან ორივენი არარეალისტი და ანტირეფორმისტი პოლიტიკოსები იყვნენ. „სწორედ ანტირეფორმიზმი აღმოჩნდა ის წყალქვეშა კლდე, რომელზედაც დაიმსხვრა ქართული სახელმწიფოებრიობა და რომელმაც გამსახურდია და შევარდნაძე უძღები შვილივით რუსეთის ჯარს მიაყენა“.

დიახ, ზემოხსენებული სტატია, თავიდან ბოლომდე გულმოდგინე ცდაა დაარწმუნოს ერი, საზოგადოება ზვიად გამსახურდიასა და შევარდნაძის პოლიტიკის ერთნაირად უვარგისობასა და დანაშაულებრივ მცდარობაში, რათა გზა გაუხსნას მესამეს...

მანამ კი საჭიროა და აუცილებელი გამსახურდიას „კერპის“ მსხვრევა, რათა კანონიერი ხელისუფლების აღდგენაზე ფიქრი საბოლოოდ განუქარვოს „ზვიადისტებს“. ამის საუკეთესო იარაღია გამსახურდიას შევარდნაძესთან გათანაბრება და ამ მცდელობაში, გარდა იმისა, რომ ო. ზოიძე მკრეხელობამდე დადის, ტყუილსაც არ თაკილობს: „ორივე მათგანი(?! – *ლ. ც.*) მოქალაქეთა დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა“, აცხადებს „დიდსულოვნად და კეთილსინდისიერად“ და სულაც არ რცხვენია რეალობის ასე ხელაღებით გაყალბების.

რას ვიზამთ, რადგან მის ნაცვლად უნებურად ჩვენ დავირცხვინეთ, უნდა ჩავყვეთ და „მოქალაქეთა დიდ მხარდაჭერად“ მასთან ერთად ჩვენც უნდა აღვიქვათ შევარდნაძის გადადგომის სპექტაკლებზე, გასული წლის 14 სექტემბერსა და ა. წ. 27 სექტემბერს „იმელის“ შენობის წინ, პირველ შემთხვევაში ხუთასამდე და უკანასკნელ შემთხვევაში ორასამდე მოქალაქის უსაფრთხო მისვლა-მიყვანა, რომელიც ტოლია, კი, ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერ, დასახვრეტ-დასარბევად განწირულ პერმანენტულ მიტინგებზე ასიათასობით თავგანწირული მოქალაქეებისა.

კიდევ კარგი ო. ზოიძემ სავსებით არ დაკარგა ობიექტურობის გრძნობა და ამ გამალებულ, ეგზალტირებულ მცდელობაში არ შეგვაპარა: ორივე (გამსახურდია და შევარდნაძე) ერთნაირად უყვარს ქართველ ხალხსო, თორემ ნამდვილად გაგვიჭირდებოდა ზვიად გამსახურდიას სურათებით, გულზე სათუთად მიხუტებული ათეულობით ადამიანების მსგავსად, შევარდნაძის სურათით ხელში, თუნდაც ერთი მოქალაქის გახსენება.

გულწრფელად მადლობელი ვართ ო. ზოიძესი, რომ ასეთ უხერხულობაში არ ჩაგვაგდო.

პოლიტიკური უმეცრება, ნებაყოფლობითი სიბეცე ან უღმერთობაა სწორედ ორი აბსოლუტურად და რადიკალურად განსხვავებული ორიენტაციისა და პოლიტიკური რეიტინგისა და მორალის მქონე პიროვნების – დამანგრეველი, ანტიხალხური მოღვაწეობის ხანა ერთნაირად შეაფასო. შევარდნაძის ანტიხალხურობის საილუსტრაციოდ კი, თუნდაც ერთი მაგალითი კმარა: ის ტოტალური სოციალურ-ეკონომიკური დივერსია, რასაც იგი დღემდე მიმართავს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ (ელექტროენერგიისა და გაზის გამორთვა, სასმელი წყლის მიწოდების შეწყვეტა, პურსა და ტრანსპორტზე ფასების კატასტროფულად მომატება და რიგები მაღაზიებში პროდუქციის სიმცირის გამო...).

აი ეგ გახლავთ სწორედ პროვინციული ფაშიზმის სახასიათო გამოვლინება ტიპიური პროვინციელი პოლიტიკოსის მხრიდან.

მაგრამ ზვიად გამსახურდიასა და შევარდნაძის ერთ რაკურსში განხილვას, გაზეთში იდეოლოგიური დატვირთვა აქვს და „ახალ თაობაში“ ავტორს, აღნიშნული სტატია, შემთხვევით არ მიუტანია; მხოლოდღა მაამებლობის შემთხვევაში უფრო უპრიანი იქნებოდა იგი „მესამე ხელისუფალის“ (აკ. ასათიანის) რეალური კანდიდატის გაზეთში – „ქართველ ერში“ – დაებეჭდა, მაგრამ აქ („ახალ თაობაში“) მოცემულ სტატიას ყველა „ზვიადისტი“ წაიკითხავდა, მათ შორის პროზვიადისტულად განწყობილი, ანუ „წითელი ინტელიგენციის“ თქმით, „მოწამლული“ ახალგაზრდობაც.

არჩევნების მზადების კვალდაკვალ, იდეოლოგების მხრიდან გამოიკვეთა ტენდენცია ზვიად გამსახურდიასა და შევარდნაძის ერთ სიბრტყეზე წარმოჩენის; დაბეჯითებით ცდილობენ დაამკვიდრონ აზრი, როგორც შევარდნაძის, ასევე ზვიად გამსახურდიას უვარგისი, ცუდი პოლიტიკოსობის შესახებ.

ე. წ. თავისუფალი პრესა (ორიოდე გაზეთის გამოკლებით) ამ „საშურ“ მიზანს ემსახურება და მონდომებით ცდილობს გზა გაუხსნას მესამე ხელისუფალს.

თუკი მესამე ხელისუფლების მოსვლის წინაპირობად ან თუ გარანტად ზვიად გამსახურდიას, როგორც პოლიტიკური მოღვაწის დამცრობა-განქიქება გესახებათ, გარწმუნებთ რომ იგი (მესამე ხელისუფლება) ვერ მოვა დემოკრატიული არჩევნების გზით! რამეთუ თქვენი დემაგოგიური იდეოლოგიით სამართლიანად აღშფოთებული ქართველი ხალხი, კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა 87%, მესამე ხელისუფლების არჩევნებს

უფრო მძაფრ ბოიკოტს გამოუცხადებს და ეს იქნება თქვენი უგუნური იდეოლოგიის პირდაპირი შედეგი.

ლეილა ცომაია
1995 წელი.

კვლავ, ზვიად გამსახურდიას „მონანიების“ შესახებ

ამას წინათ, ერთმა ცნობილმა ეროვნულმა მწერალმა, რწმენისა და იმედისაგან სრულიად დაცლილი ხმით დამირეკა: ყოველ დღე თვითმკვლელობაზე ვფიქრობ, ჩემმა არსებობამ უკვე სავსებით დაკარგა აზრი. დღევანდელობა და მომავალი მაშინებს, თვითმკვლელობით მსურს გავექცეო...

საქართველო თვითმკვლელთა სასაფლაოდ იქცა!

ამგვარი ტოტალური კატასტროფის ფონზე, მართლაც, რომ ციდამტკავლურ ინტრიგად მოჩანს თითიდან გამოწოვილი ბრალდებები საქართველოს ეროვნული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართ, რომლებიც მხოლოდ პიროვნულ წყენას ემყარება.

ის ფიქტიური მონანიება თეიმურაზ ჭანტურიშვილებისა და ვახტანგ ჭელიძეების მსგავსმა ავისმჩხრეკელებმა აიღეს ყბად, თორემ, განა კაცი მხოლოდ საქმით არ წარმოჩინდება? ზვიადმაც, განა საქმით არ დაამტკიცა, რომ არ შემდრკალა და ციხიდან გამოსულმა, განა კვლავ არ განაგრძო ბრძოლა?

მონანიების გააზრებული ტაქტიკით და მაღალიდეური თვითშეგნებით არის ნასაზრდოები მერაბ კოსტავას ცნობილი განცხადება, რომელსაც, აგრეთვე, განიკითხავს ფსევდოდისიდენტი თეიმურაზ ჭანტურიშვილი თავის პასკვილების სერიალებში („ახალი პროვოკაცია მოსკოვიდან“, „საქართველოს რესპუბლიკა“, №237-240). ჭანტურიშვილი, რომელმაც ვერ შეძლო ზვიადის თანამებრძოლობა, რადგან არ იყო მერაბივით წრფელი და სრულფასოვანი, ნაცვლად იმისა, რომ ვაჟკაცურად აღიაროს თავისი სისუსტე – ზვიადს გესლავს, მასზე ქილიკობს: „კიდევ კარგი, ჩემი კრიტიკოსები იმას ვერ წერენ, რომ ვოვა სიხარულიძე (დისიდენტი, ზვიადის თანამებრძოლი)აღმერთებდა ზ. გამსახურდიასო, თორემ დღეს სიცილით მოკვდებოდა ყველა ის, ვინც ცხონებულ ვოვას იცნობდაო“, რომელსაც, თურმე, ერთხელ „ლაზათიანად შეუკურთხებია“ ზვიადისათვის.

ამხანაგო „დისიდენტო“ თეიმურაზ ჭანტურიშვილო, თქვენს მიერ არცთუ მთლად სახარბიელო კონტექსტში მოხსენიებული ბელა შალვ-

აშვილი, ვოვა სიხარულიძის უახლოესი მეგობარი იყო, რომლისთვისაც, ერთხელ, ბელას უკითხავს: „ვოვა, შენ ხომ ზვიადისა და მერაბის მეგობარი და თანამებრძოლი იყავი, ახლა რატომღა არ დგახარ მათთან, იქნებ პატივსაც აღარ სცემ უკვე?“

„პატივს ახლაც ვცემ, ბელა, ზვიადს და მერაბს, მაგრამ... მაგ დალოცვილებს უზარმაზარი ენერგია აქვს ბრძოლის, მე კი არ მეყო ენერგია... თანაც, ხომ იცი, გულიც მაწუხებს“, – უთქვამს ვოვას. თქვენ კი გსურთ, ჩრდილი მიაყენოთ მის ნათელ ხსოვნას.

განა ჭანტურიშვილისმიერი არასრულფასოვნებისა და შურის გამოხატულება არ გახლავთ დაუსრულებელი პირადი მტრობა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ წითელი „ინტელიგენციის“ მხრიდან, რასაც ერი და ქვეყანაც გადააყოლეს?

70-იანი წლების „დისიდენტი“ თეიმურაზ ჭანტურიშვილის სახელი და ვინაობა, ქართველი ერისათვის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ პასკვილების გამოქვეყნებით, 90-იანი წლების მიწურულს, როგორც იქნა გახდა ცნობილი. იმ პასკვილების სერიალებით კი მან, გურამ უსტიაშვილის მსგავსად, თავისი პიროვნების ლუსტრირება უფრო მოახდინა, ვიდრე ზვიად გამსახურდიას დააკლო რამე. ხსენებული პასკვილებითა და სახელმწიფო კანცელარიაში მუშაკობით, ფსევდოდისიდენტმა თეიმურაზ ჭანტურიშვილმა თავად უკეთ ამხილა თავი. ჩვენ, არც ვახტანგ ჭელიძის „მაოხრებელი მკვდრის“ სრული განხილვა-შეფასებისთვის გავირჯებით, რომელიც, აგრეთვე შთაგონებულია ზვიად გამსახურდიას ავტობიოგრაფიული წიგნით და ზოგადად, მისი სიძულვილით.

ვწერთ მოცემულ პასუხს და წინასწარ ვიცით, „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორები კვლავაც არ დაგვიბეჭდავენ, მაგრამ წერილს, გავბედავთ და მაინც მივიტანთ, ოღონდ, ამჯერად, დაცვის თანხლებით... თუმცა, მათ „დემოკრატიისათვის“ იღვაწეს, თითქოს!..

აი, რას მოუწოდებდა „შემოქმედებითი ინტელიგენცია“ 1991 წელს ერს: „ყველა შემოქმედებითი კავშირის წევრებმა ხმა აღიმაღლონ დიქტატორულ-ბიუროკრატიული მმართველობის ყოველნაირი გამოვლინების წინააღმდეგ“ („ლიტერატურული საქართველო“, 4 ოქტომბერი, 1991 წ.).

„გამსახურდიას დიქტატურის“ დამხობის შემდგომ „დემოკრატიული რევოლუციის“ ერთ-ერთმა აქტიურმა შემოქმედმა თამაზ წივწივაძემ, ეროვნული ხელისუფლების, კანონიერებისა და სამართლიანობის მომხრე პოეტ **ბელა შალვაშვილს** უთხრა: „შედევრებიც რომ გქონდეს, არ დაგიბეჭდავ, რადგან მწერალთა კავშირიდან გახვედიო“. „დემოკრატიის იდეალებისადმი ერთგულმა“ იმავე მწერალმა, არც მე დამიბეჭდა პოლემ-

იკური წერილი 1992 წელს. მეტიც, რედაქციაში მისულს, მისმა მოადგილე **ჯუმბერ თითმერიამ** ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა.

ბატონი ვახტანგ ჭელიძე ისე განურისხებია თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ავტობიოგრაფიულ წიგნს – არად ჩაუგდია მისი ისტორიული ღირებულება და ფსევდო-დისიდენტ თეიმურაზ ჭანტურიშვილის მსგავსად, ოდენ პირადი ღირებულების მიხედვით განიხილავს მას და რისხავს პრეზიდენტის დიდ მამას, თვით კონსტანტინე გამსახურდიასაც; იგი „ნკვდ"-ს აგენტობასა და ფულის მოყვარეობას უკიჟინებს, რომანებსაც უწუნებს კლასიკოს მწერალს. „ხარბი გატაცებით უყვარდა ზვიადს ფულიო", – ამბობს ზვიად გამსახურდიაზეც. ეს ჭელიძისეული მეტრია, თორემ, დღეს მაინც ხომ იცის ყველამ, რომ ზვიადს თავისი და მამის ჰონორარებიც არალეგალური ლიტერატურის, ანტისაბჭოთა ჟურნალ-გაზეთებისა და პროკლამაციების დაბეჭდვა-გავრცელებისა და სხვა ამგვარი მიზნობრივი ხარჯებისათვის სჭირდებოდა და არა პირადი, თუ ოჯახის კეთილდღეობისათვის, რომელსაც ნამდვილად არ ულხინდა.

თავად ფინანსურად შეჭირვებული ზვიადი, ხელმოკლე თანამებრძოლებსაც უმართავდა ხელს, თავად გახლდით ერთ-ერთი იმათგანი და სხვებიც ვიცი, ვისაც ზვიადი შეეწია. ამიტომაც, არც ამაში ხართ მართალი, ბატონო ვახტანგ, როცა წერთ: „... ყველაფერი ფულით იზომებოდა, ნათესავი და ახლობელი მისთვის არ არსებობდაო". ამის დამამტკიცებლად, არც მისი ნახევარ-დის მაგალითი გამოგადგებათ, რამეთუ, მემკვიდრეობითობაზე ის ხმაურიანი სასამართლოები უფრო კომუნისტური რეჟიმის პროვოცირებული იყო ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაციისათვის, ვიდრე რეალურად არსებობდა ამის მიზეზი. და-ძმის ურთიერთობაში ქონებრივი წილის პრობლემა, უბრალოდ, არ იყო – იგი შექმნეს... თქვენისთანებისათვის, ბატონო ვახტანგ! კონსტანტინე გამსახურდიას „ნკვდ"-ს აგენტობაზეც და მით უფრო -თქვენს მიერ კაპიკ-კაპიკ დათვლილ მის ჰონორარებზე, აბა რა უნდა გიპასუხოთ...

„შენც სუ და მეც სუ"-ს მორალზე აღზრდილ საბჭოთა გამომცემელ ბატონ ვახტანგ ჭელიძეს ვერ წარმოუდგენია პიროვნების მხილება პირადი წყენის გარეშე. ამიტომაც ღრმად არის დარწმუნებული, რომ ზვიად გამსახურდიამ, თავის ავტობიოგრაფიაში იგი „კრუპნიი ვზიატოჩნიკად" წყენის გამო მოიხსენია და საპასუხო წერილში, ბატონი ვახტანგიც, ჩამოთვლის ყველა წყენას, რაც ზვიადისთვის, მისი ვარაუდით მიუყენებია.

წერილის დასკვნით ნაწილში, ვახტანგ ჭელიძე კრულავს ზვიადს, თითქოს მან თავისი პრეზიდენტობის მოკლე დროში მოასწრო სეპარატიზმის გაღვივება, ეროვნული ერთიანობის ხელყოფა, ქვეყნის დამ-

ღუპველი იზოლაცია, კარვების გაშლა, შემოქმედებითი ინტელიგენციის შეურაცხყოფა და ახლაც, თურმე, „მკვდარიც აოხრებს ქვეყანას... ის მაოხრებელი მკვდარია...“, რისთვისაც, თურმე მისი მოღვაწეობა სამარცხვინო ფურცლად დარჩება ერის ისტორიაში.

ბატონო ვახტანგ, პრეზიდენტ გამსახურდიას მოღვაწეობა კი არ დარჩება „სამარცხვინო ფურცლად ერის ისტორიაში“, არამედ – თქვენისთანა ქონდრისკაცების, რომლებმაც ანტიეროვნული და გამთიშველი მოღვაწეობით, თავად შეძელით ეროვნული ერთიანობის ხელყოფა – ერთი მუჭანი დაუპირისპირდით მთელს ერს და ქვეყანასაც უმტრეთ. შინააშლილობამ კი ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა და გზა მისცა ოსურ-აფხაზურ სეპარატიზმს, რაც გსურთ, აგრეთვე გამსახურდიას გადააბრალოთ.

„ინტელიგენცია“ და შეიარაღებული ოპოზიცია ერთობლივად ქმნიდით პოლიტიკურ და იდეოლოგიურ კლიმატს დამოუკიდებელი ქვეყნის სრული იზოლაციისათვის, პენკლუბისადმი თქვენს მიერ გაგზავნილი განცხადებაც კმარა ამის მაგალითად, ხოლო შეიარაღებული ოპოზიციის – „მხედრიონისადმი“ – თქვენი სიმპათიები და აშკარა მხარდაჭერა ნათლად მეტყველებდა თქვენს მტრულ მიზნებზე და ამოცანებზე.

რატომ არ იკისრეთ, თუნდაც მორალური პასუხისმგებლობა „მხედრიონის“ 1991-92-93 წლების სისხლიანი და დამანგრეველი აგრესიის გამო საკუთარი ერის წინააღმდეგ? რატომ არ გამოხატეთ პროტესტი?

ეს თქვენ, ე. წ. შემოქმედებითმა ინტელიგენციამ შეასრულეთ მაოხრებლის როლი ერისა და სამშობლოს მიმართ და არა, ზვიად გამსახურდიამ!

კრიმინალების გაიდეალებით ხელგაწაფული მწერლები, ახლა მორფინისტების გაიდეალებასაც ცდილობთ და კვლავ „მხედრიონს“ ეხმატკბილებით. ჩვენ კი, მკვდრადყოფილი „მხედრიონის“ რეანიმაცია გვაფიქრებინებს, რომ რუსეთსა და შევარდნაძეს, საქართველოში მორიგი ფართომასშტაბიანი აგრესია აქვთ დაგეგმილი. ჯაბა იოსელიანისა და მისი ხროვის სასამართლო პროცესებზე მოწმეების არარსებობა განპირობებული იყო უნდობლობის ფაქტორით შევარდნაძის ხუნტისტური, უკანონო ხელისუფლებისადმი, რომელმაც შეიძლება უახლოეს მომავალში ციხიდან გამოუშვას „მხედრიონის“ ბანდები და შურისძიების მიზნით მათ უარესი უბედურება არ დაატეხონ ყოფილ მოწმე-დაზარალებულთ, რომლებიც კვლავ დაუცველ-განწირულები აღმოჩნდებიან შევარდნაძის უკანონო ხელისუფლების ხელში და თქვენნაირი „ინტელიგენციის“ მხრიდანაც.

აი, ეს უნდობლობა და შიში აბრკოლებდა დაზარალებულთ, რომ სასამართლო პროცესებზე მოწმედ წარმდგარიყვნენ და არა – ამ ქართველი ჯალალედინების დამნაშავეობის ფაქტების უქონლობა.

რეანიმირებული „მხედრიონის“ კვლავ პატრიოტულ ორგანიზაციად წარმოსაჩენად, ალბათ, კვლავაც მოხდება მასში გულწრფელი და გულმხურვალე ახალგაზრდების რაღაც ნაწილის შეთრევა-შეტყუება, რომლებსაც, აგრეთვე, მათი წინამორბედებივით გასწირავენ, რათა მკვდრებით უფრო ხმაურიანად იდიდგულონ „მხედრიონის“ ავაზაკმა ლიდერებმა.

წითელი „ინტელიგენცია“ ფარად და მახვილად დაუდექით შეიარაღებულ-კრიმინალურ „მხედრიონს“.

ეროვნული ხეისუფლების დამხობის შემდგომ, უიარაღო მშვიდობიან მომიტინგეებს, თბილისსა და დასავლეთ საქართველოში, რომ ესროდა და უმოწყალოდ ხვრეტდა „დემოკრატი რევოლუციონერები“, მასზე რას იტყვით?! „დემოკრატი“ შევარდნაძე, დღემდე, რომ არბევს ყველა მიტინგს და ციხეში ამწესებს ოპოზიციას, იქნებ შეძლოთ და ესეც უარყოთ?! კარავიო, კვლავ გაიძახით ამდენი შემზარავი ბოროტების ფონზე...

ვისთვის კარავი სკვითურია – ვისთვის, ბიბლიური, ერთ პატარა წერილში ყველაფერზე ვერ გავცემ პასუხს, წიგნად თუ დავწერ...

„შემოქმედებით ინტელიგენციად“ ჭელიძეები, ამაშუკელები, ორჯონიკიძეები, ჩარკვიანები, ამირეჯიბები... ცხადია, არ თვლიდნენ: მუხრან მაჭავარიანს, ოთარ ჩხეიძეს, გოგი ოჩიაურს, ნოდარ წულეისკირს, ელიზბარ ჯაველიძეს, ბეჟან ბარდაველიძეს, სოსო სიგუას, მამუკა წიკლაურს, გურამ პეტრიაშვილს, ვარლამ (ლალი) ნიკოლაძეს, მაია თომაძეს, მედეა ფანიაშვილს, ამირან კალაძეს და სხვა მრავალს, რადგან ისინი ეროვნულ ხელისუფლებას უჭერდნენ მხარს, კანონიერებისა და სამართლიანობის დამკვიდრებისათვის იღვწოდნენ.

ზვიად გამსახურდიამ შემოქმედებითი ინტელიგენცია შეურაცხყოო, ბრძანებს ბატონი ვახტანგ ჭელიძე, რომელიც, როგორც ირკვევა, ვერ ანსხვავებს მხილებასა და შეურაცხყოფას, ან – შეურაცხყოფა რაა, ბატონო ვახტანგ, როცა თქვენმა ხუნტისტურმა ხელისუფლებამ შემოქმედებითი ინტელიგენცია სულაც იმსხვერპლა: მაია თომაძე, მედეა ფანიაშვილი, წამებით სული ამოხადა ამირან კალაძეს, მხატვარ ვახტანგ ნოდიას, თვითმკვლელობით დაასრულებია სიცოცხლე ახალგაზრდა პოეტ ბადრი გუგუშვილს, ტატო ნინუას, ობოლა ციმაკურიძეს. სამშობლოდან წასვლა აიძულეს ელიზბარ ჯაველიძეს, გურამ პეტრიაშვილს, ვარლამ (ლალი) ნიკოლაძეს, ენვერ ნიჟარაძეს...

ახალშექმნილ ეროვნულ ხელისუფლებას, ცხადია აკლდა ალღო და გამოცდილება, რის გამოც მას სჭირდებოდა კეთილი და არა მტრული ნების და სულისკვეთების ოპოზიცია, მშვიდი ატმოსფერო, დახმარება და თანადგომა – და არა, ჩასაფრება და აგრესიული კიჟინი, რითაც შეძელით

დაგებნიათ და გაგეორებინათ ხალხის გარკვეული ნაწილი, ხელისუფლება კი პარალიზებულყავით.

ასეთ ვითარებაში, ქვეყნის ეროვნულმა პრეზიდენტმა, მოკლე დროში მაინც შეძლო სახელმწიფო ბიუჯეტით რაჭასა და იმერეთში ხელოვნურად მოწყობილი მიწისძვრის (როგორც მოგვიანებით, სპეციალისტებმა გამოარკვიეს) შედეგების ლიკვიდაცია. დაიწყო ზრუნვა ხალხის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის: გაზარდა ხელფასები, პენსიები, სტიპენდიები, გენოფონდის გამრავლებისათვის ახალშობილთა და მრავალშვილიან ოჯახებზე დააწესა ფულადი დახმარებები, შემოსაღებად თითქმის მზად ჰქონდა ეროვნული ვალუტა, პურზე და ტრანსპორტზე შენარჩუნებულ იქნა მინიმალური ფასები და ა. შ. ამ ღონისძიებათა მნიშვნელობა დღეს უფრო ფასეული ჩანს.

ამგვარი ეროვნული პოლიტიკური კურსი, ცხადია, არ შედიოდა რუსეთის იმპერიულ ინტერესებში, ამიტომ ესწრაფვოდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობას, რაშიც რუსეთს დაეხმარნენ ქართველი კოლაბორაციონალისტები „წითელი ინტელიგენციის“, ფსევდო-პატრიოტული პოლიტიკური ორგანიზაციების, კრიმინალური ბანდებისა და ცალკეული აგენტურების სახით.

მაინც რა მიზანს ისახავს ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ დღესაც ტალახის გუნდების მომარჯვება? ნუთუ გგონიათ, რომ კვლავ მართავთ ხალხის გონებას? ხალხისათვის თქვენ აღარ ხართ ავტორიტეტი, ხალხი უკვე აღარ გენდობათ თქვენ!

ვინმე გურამ უსტიაშვილისა და ვახტანგ ჭელიძის განმაქიქებელ წერილებს პასუხი „თვალთაიში“ (№35) და „ახალ საქართველოში“ (№25) გავეცით. ვახტანგ ჭელიძემ, ჩემი წერილის პასუხში, თემურ ქორიძის „უტყუარ“ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცილი დამწამა: „... 1991 წლის 11 სექტემბერს... საქართველოს მწერალთა კავშირის დარბაზიდან კიოდა: რომ გამსახურდია არის ფსიქიურად დაავადებული და ის არ უნდა იყოს ქვეყნის პრეზიდენტიო“, დღეს კი ლეილა ცომაია მისი პარტიის თავმჯდომარეაო, „მამხელს“ და მამუნათებს ვახტანგ ჭელიძემ.

როგორც გავარკვიე, ხსენებული თავყრილობა მწერალთა კავშირში 11 სექტემბერს კი არა, 12 სექტემბერს ჩატარებულა. ამას სიზუსტისათვის ვწერ და, ცხადია, არა შეღავათის იმედით. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ **ჩემს მიერ ზვიად გამსახურდიას ლანძღვას, არც მწერალთა კაშვირში და არც არსად, არასოდეს ჰქონია ადგილი** და იგი თემურ ქორიძის ფანტაზიის ნაყოფია, ან მისთვის საგანგებოდ შეკვეთილი ცილისწამება. ერთი პატიოსანი მწერალი თუ დამემოწმება,

რომ მე ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირში ნამდვილად ვლანძღავდი, ზვიადის სახელობის პარტიის თავმჯდომარეობიდან გადავდგები, რაც ასე ეოცნებება ფაქტობრივ ხელისუფლებას.

ოდესმე, რომ ზვიად გამსახურდია საჯაროდ გამელანძღა, იგი ისეთი მგრძნობიარე იყო შეურაცხყოფის მიმართ, რომ ჩემს გამოხდომას ურეაქციოდ არ დატოვებდა – არ დატოვებდა მისი ოჯახიც. ამგვარი ცილისწამებებით **ქორიძე და ჭელიძე** ცდილობენ, ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის თავმჯდომარეობის მორალური უფლება წამართვან და მით განმაიარაღონ, შემასუსტონ, შეანელონ ჩემი უკომპრომისო ბრძოლა შევარდნაძის ხუნტისტური ხელისუფლების წინააღმდეგ.

მე კი არა – **თემურ ქორიძეს** არა აქვს მორალური უფლება ილაპარაკოს და წიგნები წეროს ზვიად გამსახურდიაზე, ვისაც ფარული შეთქმულება მოუწყო. შეთქმულების მერე კი, შევარდნაძის ჩამოსვლის წინა დღეებში გამოაქვეყნა წერილი, რითაც შეეცადა უზრუნველეყო შევარდნაძის მშვიდობიანი მიღება და მისთვის სტაბილური გარემო-ვითარების შექმნა. „იბერია-სპექტრში“ მიტანილ იმ წერილში, რომლისთვის გაზეთის რედაქტორს „თემურ ქორიძის აღსარება“ დაურქმევია („იბერია-სპექტრი“, 28 თებერვალი – 4 მარტი, 1992 წ.), ქორიძე ქართველ ხალხს მოუწოდებს სტაბილიზაციისაკენ და ახალ არჩევნებში მონაწილეობისაკენ. აკრიტიკებს ეროვნულ ხელისუფლებას, ჩამოთვლის მის მიერ დემოკრატიის ხელყოფის ფაქტებს ტელევიზიისა და კინოსტუდიის მაგალითზე და ამბობს: *„...ეს ფაქტები მე გავიხსენე იმიტომ, რომ ზოგადად მაინც გვეთქვა ჩვენი ამომრჩეველებისათვის მიზეზი იმისა, რამაც მიგვიყვანა დეკემბერ-იანვრის ამბებამდე... მიუხედავად ტრაგიკული მდგომარეობისა, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში უკეთესი გზა არ ჩანს. ეს არის გზა ურთიერთშერიგებისა, ეროვნული ერთიანობის დამკვიდრებისა ... ყოველნაირი დესტრუქციული გამოსვლა, ყოველნაირი მოწოდება, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ ხელისუფლებას დღეს... ამგვარი მოწოდება, ვფიქრობ, არაგონივრულია... უნდა გვწამდეს და გვჯეროდეს, რომ ამაოდ არ დამაშვრალან ისინი, ვინც ხელი გაიღეს, სიცოცხლე გაიღეს, რომ უკეთესი მომავალი ჰქონოდა საქართველოს... დღეს ყველამ უნდა ვაკეთოთ ჩვენ-ჩვენი საქმე“.*

ასე იმედიანად მიესალმა ეროვნული უზენაესი საბჭოს დეპუტატი **თემურ ქორიძე** საკუთარი ხელისუფლების დამხობას და „დემოკრატიულ რევოლუციას“ – ხუნტას, 1992 წლის თებერვალში, ასე „დამოძღვრა“ მან ქართველი ერი.

ასეთია, ჩვენი „შემოქმედებითი ინტელიგენციის“ ფარული თუ აშკარა სახე, ვისაც დამსახურებულად ამხელდა ზვიად გამსახურდია. მხილებას იმსახურებს „შემოქმედებითი ინტელიგენციის“ ცნობილი წარმომადგენლის **გიგა ლორთქიფანიძის** დღევანდელი საქმიანობაც, რომელმაც ლეონიძის ქუჩაზე მდებარე №15 ბიბლიოთეკას, ერთი წლის წინ საცავი წაართვა და მის ფართობზე კაფე „ქეთი“ გახსნა. ასე „გამოხრეს“ ქართული კულტურა ლორთქიფანიძეებმა, ამაშუკელებმა, ორჯონიკიძეებმა, ჩარკვიანებმა და სხვებმა, რომელთაც ამხელდა ზვიად გამსახურდია და რისთვისაც გადაემტერა მას ეს „სახელოვანი შემოქმედებითი ინტელიგენცია“.

და ბოლოს, – 1997 წელს გამოცემულ ენციკლოპედიაში (ტომი 1), ზვიად გამსახურდია საქართველოს პირველ პრეზიდენტად კი არის მოხსენიებული, მაგრამ აქ, საქართველოს რესპუბლიკისთვის სტატუს-კვო ჩამოცილებულია (მაშასადამე, – <u>დამოუკიდებელი</u> საქართველოს რესპუბლიკის ნაცვლად, წერია: „საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი“) და შესაბამისად, მასში არ არის შეტანილი მის მიერ მიღებული დამოუკიდებლობის აქტებიც. ხოლო მისი ბიოგრაფიული ცნობები, ლიტერატურული მოღვაწისას უფრო შეესაბამება, ვიდრე ეროვნული მოძრაობის პატრიარქის, დისიდენტის, პოლიტიკური ფიგურის – პრეზიდენტისას. ამ თვალსაზრისით, ზვიად გამსახურდიას ბიოგრაფია მეტად მწირია, არ შეიცავს მასზე სრულ ინფორმაციას, ხოლო როგორც პრეზიდენტი, იგი ნეგატიურად არის წარმოდგენილი (გვ. 543).

ანტიეროვნული და არასამართლებრივი რეჟიმის პირობებში გამოცემულ ამ ენციკლოპედიაში, ზვიად გამსახურდიას, თუნდაც ამგვარი არასახარბიელო და არასრულფასოვანი სახით შეტანა, რედაქციის რამდენიმე წევრის მონდომების შედეგი ყოფილა, თურმე და ამითაც მადლობელი უნდა ვიყოთ...

ასეთია, შევარდნაძის ანტიეროვნულ-დიქტატორული ხელისუფლების ხელში, ეროვნულ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ბედი.

ლეილა ცომაია

4 ოქტომბერი, 1998 წელი.

კვლავ ზვიად გამსახურდიას ყბადაღებულ „მონანიებაზე“

ეს პოლემიკა, თავად „ჯორჯიან თაიმსში“ მივიტანე, მაგრამ გაზეთის მთავარმა რედაქტორმა გიორგი იაკობაშვილმა უხამსი გინებითა და მუშტების ტრიალით: „აბა, აქედან დაახვიეთო“, რედაქციიდან გამოგვისტუმრა მე და ჩემი თანმხლები ქალბატონი.

სამწუხაროდ, ქართულ სინამდვილეში, ამგვარი დამოკიდებულება მართალი სიტყვის მიმართ, ტიპიურია, ყვითელი პრესის მესვეურთა მხრიდან — **ავტორი.**

როგორც გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ ბოლო ნომრებიდან შევიტყვეთ (№002-005, 2002), კიდევ ახალი წიგნი „იბადება“ 70-იანი წლების დისიდენტურ მოძრაობაზე და ამ მოძრაობის ლიდერის ზვიად გამსახურდიას შესახებ, რასაც უკანასკნელ წლებში წიგნები უძღვნეს ინსინუატორმა და პასკვილანტმა ფსევდო-დისიდენტებმა: თეიმურაზ ჭანტურიშვილმა, ვიქტორ რცხილაძემ, ვახტანგ ძაბირაძემ და სხვებმა.

ამჯერად, ამ ურთულეს და საპასუხისმგებლო თემას ხუნტის ჟურნალისტი **მანანა იაშვილიც** შესჭიდებია, რომელიც აგრეთვე ოპოზიციაში ედგა დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას. თავისი მომავალი წიგნისთვის კი, სათაურად – „სანამ ცოცხლები ვართ“ დაურქმევია და ისტორიულ რეალიებში, მთავარ მეგზურად კოლაბორაციონალისტი ვიქტორ რცხილაძე გაუხდია, რომელმაც 1978 წ. 6 სექტემბერს, სსრ უმაღლესი სასამართლოს სხდომაზე გულწრფელად მოინანია თავისი დისიდენტობა: – „პატივცემულო მოსამართლენო! თქვენს წინაშეა ადამიანი, რომლის გზა დიდი და ღრმა შეცდომებით არის აღსავსე. 1975 წლიდან მოყოლებული მე ანტისაბჭოთა პოზიციებზე ვიდექი. მე საჯაროდ ვგმობ ჩემს სამარცხვინო წარსულს და ახლა იმედის თვალით შევყურებ მომავალს...“ (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1978 წ. 7 სექტემბერი).

ვ. რცხილაძე ბოლომდე ერთგული დარჩა საბჭოთა კომუნისტური რეჟიმისადმი მიცემული ამ სიტყვისა.

ზვიად გამსახურდიას ფენომენი კი, ჯერაც სრულიად შეუსწავლელია, რის გამოც ხდება ულმობელი პროფანაცია მისი პოლიტიკური მოღვაწეობისა და თვით პიროვნული პორტრეტისაც.

ზვიად გამსახურდიასათვის ცხოვრების საზრისი ოდენ გმირობა კი არა – რუსეთის იმპერიის ორსაუკუნოვანი მონობის უღლისაგან დედა – სამშობლოს გათავისუფლება იყო.

ზვიად გამსახურდიამ, საბჭოთა დისიდენტებს შორის, ერთადერთმა შეძლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლების იდეის გარშემო მთელი ქართველი ერის კონსოლიდაცია და ერში, 1921 წლიდან გაწყვეტილი სამშობლოს ერთიანობის ფსიქოლოგიური კავშირის აღდგენა. უფრო მეტიც, რუსი დისიდენტის დემიდოვის შეფასებით: „არც ერთ დისიდენტს, ყოფილ საბჭოთა კავშირში არ გაუკეთებია იმდენი რუსეთის გასათავისუფლებლად ივანე მრისხანის, პეტრე პირველის, ლენინისა და სტალინის მემკვიდრეობისაგან, რამდენიც ზვიად გამსახურდიას“ (ციტატა იხ. კ. ზ. გამსახურდიას წიგნში „დინების საწინააღმდეგოდ“, გვ. 43).

მერაბ კოსტავა ზვიადის „მონანიებაზე ჩვეული რიხით აცხადებდა: „ზვიად გამსახურდიას ნაბიჯს და პოზიციას მე არა მარტო ვამართლებ, არამედ აუცილებლად მიმაჩნია იმ სიტუაციის შესაბამისად... ასევე სწორად მიმაჩნია ჩემი პოზიცია, იმავე მიზნებიდან გამომდინარე... ერისა და სიმართლისათვის საკუთარი სიცოცხლის გამწირავმა ახლა თავისი თავმოყვარეობაც დასდო სასწორზე, რაც პირველ მსხვერპლზე უარესია...“

უფრო ადრე, სხვა ავტორთან პოლემიკაში ვწერდი: პოლიტიკანთა მიერ დღემდე ციდამტკავლური ინტრიგით აჟიტირებულ ამ ე. წ. „მონანიებაზე“ წერტილის საბოლოოდ დასასმელად, იქნებ გამოდგეს-მეთქი „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნებული აკ. ბაქრაძის რადიოჩანაწერი, რომელშიც იგი გალილეო გალილეის ცნობილი მონანიების შესახებ ამბობს: ***„მე ძალიან მომეწონა ერთი იტალიელი ფიზიკოსის წიგნი გალილეის შესახებ. მან... მოინდომა გამართლება იმისა, რომ გალილეიმ უკან დაიხია ინკვიზიციის სასამართლოში და უარყო თავისი შეხედულება. ის ამბობდა, აი, ამ წელს გალილეიმ მოიხადა ბოდიში, — რა გააკეთა ამის შემდეგ გალილეიმ? — თუ გალილეი ბოდიშს არ მოიხდიდა, მეცნიერებაში იქნებოდა უზარმაზარი სიცარიელე. გალილეი არის ის, რაც მან ამის შემდეგ გააკეთა... ამიტომ ეს ბოდიშის მოხდა მისთვის იყო ჩვეულებრივი მანევრი, რომ შეექმნა ის, რითაც***

გალილეი არის გალილეი“ (იხ. გაზ. „ახალი ეპოქის“ დამატება, 30 მარტი – 6 აპრილი, 2001).

ვინაიდან საგაზეთო წერილში შეზღუდული ვარ, ამიტომ სხვა, ისტორიული მაგალითების მოხმობისაგან თავს შევიკავებ და მხოლოდ ერთ კითხვას დავსვამ: განა არსებობს რომელიმე დიდი ისტორიული ფიგურა, რომელსაც ტაქტიკური მოსაზრებით უკან არ დაუხევია?

ვინაიდან, დღეს საკმარისად ვართ ინფორმირებულნი საბჭოთა უშიშროებაში დამკვიდრებულ გამოძიების მეთოდებსა და პრაქტიკებზე, ზვიად გამსახურდიას „მონანიებასა“ და „აღიარებაში“, ამასთანავე არ შეიძლება სავსებით გამოირიცხოს ფსიქოტროპული პრეპარატების ზემოქმედებაც, რაზეც მიგვანიშნებს „მონანიების“ წინ ტელევიზიით ნაჩვენები ზვიადის უჩვეულო სახისა და ხელის მანერები...

ვ. რცხილაძე, ზვიად გამსახურდიას ნაციონალიზმს ისევე აიგივებს ფაშიზმთან, როგორც საბჭოთა „კგბ“ აიგივებდა. თავად ზვიადი კი პრეზიდენტობაშიც მტკიცედ იცავდა ნაციონალიზმის იდეას: „დღეს სოციალისტებმა, კომუნისტებმა, კოსმოპოლიტებმა „ნაციონალიზმი“ უარყოფით მცნებად აქციეს. მსოფლიო ასპარეზზე ნაციონალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებენ, აგრეთვე ის ამორფული, დენაციონალიზებული, ტრადიციებს მოწყვეტილი კონგლომერატები, რომელთაც არა აქვს ისტორია, კულტურული თვითმყოფადობა და რომელნიც მიისწრაფვიან კაცობრიობა აქციონ ერთსახოვან მასად... „ნაციონალიზმი“ არის ზრუნვა მშობელი ერის განვითარებასა და თვითმყოფადობაზე ...ნაციონალიზმი არავის უქმნის საფრთხეს, იგი იცავს მხოლოდ საკუთარ არსებობასა და თვითმყოფადობას... ჩვენ გვსურს, რომ ქართველი ერი სწორად გაერკვეს თავის ეთნოგენეზისში... რომ ქართველები... პროტოიბერთა შთამომავალნი, უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის მემკვიდრენი ვართ“ (ციტატა 1992 წ. 15 ნოემბრის მიმართვიდან).

პოლიტიკურ ავანსცენაზე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციის შემდეგ გამოჩენილი რცხილაძე, დისიდენტ ზვიად გამსახურდიას დასმენებშიც „ამხელს“, რასაც მან ადრეც არა ერთი პასკვილი უძღვნა და რასაც გაზეთ „ჯორჯიან თაიმსითაც“ ავრცელებს ხუნტის ჟურნალისტი მანანა იაშვილი. ვიდრე ამ ავტორს ვუპასუხებდე, საჭიროდ მიმაჩნია დავაზუსტო ზვიად გამსახურდიასა და რცხილაძის დაპატიმრების თარიღები: ზვიადი დააპატიმრეს 1977 წ. 7 აპრილს, რცხილაძე – 1978 წ. 25 იანვარს. პროკურატურამ ვიქტორ რცხილაძის „საქმე“ თავიდანვე გამოყო ზვიად-მერაბის საქმისაგან. მათ სასამართლო პროცესზე კი იგი მოწმედ წარადგინა, სადაც რცხილაძემ თავად დაასმინა ზვიადი, თუ რო-

გორ „ჩაითრია“ ზვიადმა იგი ანტისაბჭოთა საქმიანობაში და როგორ აიძულებდა მას გაევრცელებინა ანტისაბჭოთა ლიტერატურა.

ვინაიდან და რადგანაც ჩვენ ერთი და იმავე პიროვნების შესახებ სხვადასხვა ავტორებთან გვიწევს პოლემიკა, განსახილველი პირის ბიოგრაფიის გამეორების აუცილებლობის წინაშეც ვდგებით, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით წიგნის მკითხველებს. მანანა იაშვილსაც უნდა მოვახსენოთ, რომ **ვიქტორ რცხილაძემ გულწრფელად მოინანია თავისი დისიდენტური „სამარცხვინო წარსული“, რის შემდეგაც მისჯილი თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 6 თვის ვადით (შემდგომი 2 წლის გასახლებით), შეეცვალა ორი წლის გასახლების ძალაში დატოვებით ყაზახეთის სსრ, ტალდი-კურგანის ოლქის კარაბელის რაიონში, საიდანაც 7 თვეში გაათავისუფლეს.**

ახლა, რაც შეეხება ზვიადის მიერ, ვითომ ვიქტორის „დასმენას“.

არ არსებობს ზვიადის დაკითხვის, არც ერთი ოქმი, რომელშიც იგი პირდაპირ თუ ირიბად მიანიშნებდეს ვიქტორ რცხილაძის პიროვნებაზე, რასაც ადასტურებს 1987 წ. მაისში გავრცელებული მერაბ კოსტავას განცხადებაც: „... ზვიად გამსახურდიას არავინ დაუსახელბია დაკითხვებზე, მისი მიზეზით არავინ დაუბარებიათ უშიშროების კომიტეტში და არც გაუჩხრეკიათ“.

ვ. რცხილაძე „დასმენის“ ირიბ მოტივად ასახელებს მწერალთა კავშირსა და უშიშროებაში არალეგალური ჟურნალების რედაქტორობის უარყოფას ზვიადის მიერ. უნდა ითქვას, რომ დისიდენტისთვის, კონსპირაციულობა და ანონიმურობა ხანგრძლივი მოღვაწეობის უმთავრეს პირობას წარმოადგენდა. ვ. რცხილაძის გაუნელებელი გულისწყრომა კი ამ ფაქტთან დაკავშირებით, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, თუ როგორ უიოლებდა იგი პროკურატურას გამოძიების მეტად რთულ პროცესს თავისი „პატიოსანი აღიარებებითა თუ გულწრფელი დასტურებით“. ზვიად გამსახურდია კი მიზანდასახული პოლიტიკოსი გახლდათ და ამგვარი აღიარებით წინ ვერ წავიდოდა. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე 1977 წ. 1 აპრილს, ზვიადს, სასამართლო მოუწყვეს, რომელსაც არალეგალურად მართავდა კგბ და სასჯელიც შესაბამისი გამოუტანეს – გარიცხეს და მწერალთა კავშირის მანდატიც დაადებინეს **(მანდატის ნომერი – 7795)**, ხოლო ზვიადი, „მწერალთა“ სასამართლოზეც მტკიცედ და გაუტეხლად იდგა.

„კგბ“-ს გამომძიებლის ქადილზე: „თუ გსურთ გამსახურდიას ახლავე დაგაპირისპირებთ და ყველაფერს დაგიდასტურებს“, რომ შენი თარგმნილია მაღლაკელიძის „მარტიროლოგიო“, ვიქტორ რცხილაძეს „ცივი

უარით“ უპასუხნია, „რადგან ზვიადის სტილს და ხელწერას კარგად ვიცნობდი და ზედმეტად ჩავთვალეო“. ასე ეჭვშეუტანლად ენდობოდა რცხილაძე „კგბ“-ს და როგორც ვიცით, ბოლომდე ასეთი ნდობა შეინარჩუნა, რასაც ადასტურებს მისი შემდგომი ცხოვრების გზა.

ჟურნალისტ მანანა იაშვილს ზვიადის „დასმენის“ დასტურად მოხმობილი აქვს გაზეთ „ახალ საქართველოში“ გამოქვეყნებული ვ. რცხილაძის წერილები, რომელშიც იგი ასახელებს 1978 წ. 10 აპრილით დათარიღებულ რაღაც „ოქმს“. აღნიშნულ ინსინუაციას მე გაზეთ „გაუხმაურებელი ფაქტებით“ ვუპასუხე, რისი გამეორება აქაც მომიწევს.

საქმე იმაში გახლავთ, რომ ეს „ოქმი“ საზოგადოებისათვის სრულიად უცნობია. უცნობი იყო იგი თვით მერაბ კოსტავასთვისაც, რომელიც 1987 წ. მაისში დაბეჯითებით წერდა, რომ „ზვიადს არავინ დაუსახელებიაო“. თუ მართლა რეალურად არსებობდა 1978 წ. 10 აპრილით დათარიღებული „ოქმი“, იგი მერაბისთვის აუცილებლად გახდებოდა ცნობილი (მე თქვენ გეტყვით და არ აჩვენებდნენ, თუნდაც ციხეში და თუნდაც გარეთ).

მოსკოვში გამოცემულ ზვიად გამსახურდიას ავტობიოგრაფიულ წიგნში „საქმე 131“-ში ვკითხულობთ, რომ მათ წინააღმდეგ „საქმე“ დაიწყო 1978 წ. 7 აპრილს და დამთავრდა 1978 წ. 7 მარტს (იხ. გვ. 63). მაშასადამე, დაკითხვებიც ამ ვადებში უნდა დამთავრებულიყო და 10 აპრილს რა მოტივით უნდა განახლებულიყო? თუ, რაღაც ახალი გარემოებების აღმოჩენის მიზეზით განახლდა, მაშინ სათანადო მოტივირებული დოკუმენტიც (დამატებითი გამოძიების მასალები) ხომ უნდა არსებულიყო? ხსენებული „ოქმის“ ზვიადისა და მერაბის სიკვდილის შემდგომ გამოქვეყნებაც საკმარის ეჭვებს აღძრავს და იგი არ შეიძლება სერიოზულ „სამხილად“ ჩაითვალოს. მითუმეტეს, როცა ვიცით უშიშროება, როგორ იყო დაინტერესებული ზვიადსა და მერაბს შორის განხეთქილების ჩამოგდებით, რის უცილობელ საბაბადაც იქცეოდა ზემომოყვანილი „ოქმი“ და მას შემდეგ მერაბი, აღარც „ძმას ქრისტესმიერს“ უძღვნიდა ზვიადს (რომელიც 1978 წლის 12 აგვისტოსაა დაწერილი) და აღარც ასე დაბეჯითებით დაიწყებდა მტკიცებას: ზვიადს არავინ დაუსახელებიაო.

ამგვარი „ოქმებისა“ თუ „შედევრების“ შექმნა, რომ კარგად ხელეწიფებოდა უშიშროებას, ამის საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ მასალას მოვიყვან: 1997 წლის დასაწყისში გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა ნუგზარ ფოფხაძის ინტერვიუ, რომელშიც იგი იგონებს: **„ 1987 წლის სექტემბრის დამლევს „კომუნისტის“ რედაქტორს შემეხმიანა სუკის ხელმძღვანელი ალექსი ინაური. მაცნობა, რომ ცენტრთან შეთანხმებით საჭიროდ თვლის იდეოლოგიური აქციების ჩატარებას, ზოგადად**

– არაფორმალთა და კონკრეტულად ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაციის მიზნით, სულ მალე სუკიდან გადმოგზავნილი „მასალები“ პუბლიკაციის მოსამზადებლად გადავეცი დემურ იოსელიანს... საღამოს 11 საათზე და 20 წუთზე დემურ იოსელიანი ბრუნდება რედაქციაში და მოაქვს ცკ-ში მომზადებული ვეებერთელა წერილი. უშიშროების თანამშრომელი მამშვიდებს: ჩვენს ფაქტებს შემოწმება არ სჭირდებაო... მინდა გულწრფელი სინანული გამოვთქვა და ბოდიში მოვუხადო ზ. გამსახურდიას ოჯახს, უწინარესად მის შვილებს და მაშინდელ მკითხველ საზოგადოებას... იმის გამო, რომ გაზეთის იმ ნომერს, რომელშიც „პოლიტიკური კრეტინიზმის“ და უზნეობის ქრესტომატიული ნიმუში დაიბეჭდა *(ლაპარაკია დემურ იოსელიანის წერილზე „შეიცან თავი შენი“, გაზ. „კომუნისტი“ 1988 წლის 27 თებერვალი — ლ. ც.),* **როგორც რედაქტორი მე ვაწერდი ხელს...“**

რცხილაძე მაინც მიზანდასახულად ცდილობს, თანამედროვე საზოგადოება ზვიად გამსახურდიას „დასმენებში“ დაარწმუნოს მაშინ, როცა ამგვარი საჩოთირო მისიით, დისიდენტურ ჯგუფში, სწორედ თვითონ იყო შეგზავნილი. ზვიადის მიერ გამოცემული ჟურნალები „თუ ვინმესთვის მიმიცია, მას მოვახსენებდი ხოლმეო“, ამბობს იგი და ამ მარტივი ლოგიკით ხსნის ხსენებული ჟურნალების შემდეგ „სუკ“-ში მოხვედრას.

როდესაც ზვიადის ძალისხმევითა და მონდომებით მერაბი, როგორც იქნა გათავისუფლდა პატიმრობიდან, მათ გააგრძელეს არალეგალური ჟურნალების გამოცემა. ჟურნალი „საქართველო“, რომლის ერთ-ერთი ტექნიკური მუშაკი მეც გახლდით, ზვიადს ჩემთანაც მოჰქონდა გასავრცელებლად. ერთხელ მასთან საუბარში უბრალოდ ვახსენე ერთ-ერთი პიროვნება, რომელსაც ხსენებული არალეგალური ჟურნალი მივეცი. ზვიადმა უმალ შემნიშნა: „არავისთან, არასოდეს თქვა, თუ ვის მიეცი ჟურნალები!“ ამით მან დისიდენტური საქმიანობის გასაიდუმლოების(კონსპირაციის) აუცილებლობისაკენ მომიწოდა და მე მასში შორსმჭვრეტელი და გონიერი პოლიტიკოსი ერთხელ კიდევ დავინახე.

რაკი რცხილაძე თავად აღიარებს, რომ საკუთარი ნებით უსახელებდა, თუ ვისთან მიჰქონდა ჟურნალები, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი „სუკ“-ის ინსტრუქტაჟით მოქმედებდა, მომავალში, სწორედ ამგვარი „ალიბის“ შესაქმნელად. უშიშროება კი შემდეგ, შეთანხმებისამბერ, ამოიღებდა ხოლმე მათგან რცხილაძის მიერ გაცემულ ჟურნალებს. არც ის არის გამოსარიცხი, რომ თავად ის „საპატივცემულო პიროვნებები“ მიარბენინებდნენ ამ ანტისაბჭოთა ჟურნალებს „სუკ“-ში. მითუმეტეს, როცა დღეს უკვე თავად ლუსტრირებულია საბჭოთა სოციალისტური სისტემის

მიერ შექმნილი ავტორიტეტების (წითელი „ინტელიგენციის“) ურთიერთმზრუნველი კავშირების „სუკ“-თან

ყოველივედან გამომდინარე, ვ. რცხილაძის ვარაუდები ზვიადის „დასმენობის“ შესახებ, არგუმენტებსა და საფუძვლებს სრულიად მოკლებულია და მხოლოდ მისი ბოროტი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. ერთობ საინტერესო და მნიშვნელოვანი უნდა იყოს მცირედი შტრიხი ვიქტორ რცხილაძის ბიოგრაფიიდან, რომ იგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სწორედ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს – 1990-91 წლებში ხდება მიწვეული ლექტორი ფილოსოფიის ფაკულტეტისა და ურთიერთობს სტუდენტებთან. ხოლო, 1992 წლიდან კი, – ხუნტის სახელმწიფო საბჭოს წევრად გვევლინება...



ვიქტორ რცხილაძე

ღიმილისმომგვრელია მ. იაშვილის არგუმენტი იმის შესახებ, რომ, რადგან საბჭოთა კავშირმა 1975 წლის 1-ელ აგვისტოს ხელი მოაწერა ჰელსინკის შეთანხმებას ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში, დისიდენტებს შეეძლოთ ღიად ეკრიტიკებინათ საბჭოთა რეჟიმი, რამეთუ მათ, თურმე აწ უკვე „საერთაშორისო სამართალი იცავდა“.

იქნებ დაგვისახელოს პატივცემულმა ჟურნალისტმა, თუნდაც ერთი ხელშეკრულება, რომელიც დაუცავს სსრკ-ს თავისი ისტორიული არსებობის მანძილზე მაშინ, როცა დღევანდელი „დემოკრატიული რუსეთის“ ხელშიც ფიქციაა ყველა ხელშეკრულება და შეთანხმება? რა გასაკვირია, რომ ზვიადი არ ენდობოდა სსრკ-ს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, რის გამოც მის მიერ ჩამოყალიბებული ჰელსინკის ჯგუფი მალე „ნახევრად გასაიდუმლოებულ ჯგუფად იქცა“? ეს, საქმის სავსებით საფუძვლიანი და მართლზომიერი გადაწყვეტა იყო ზვიადის მიერ და ვ. რცხილაძე ამაშიც ადანაშაულებს ზვიადს.

საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი, ლეგალური საქმიანობით (საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში), მხოლოდ პროკლამაციების გავრცელებას თუ მოასწრებდა...

აქვე, ორიოდ სიტყვით არ შემიძლია გულისწყრომა არ გამოვთქვა წინამდებარე გაზეთის პირველ პუბლიკაციაში გამოქვეყნებული ფო-

ტო-სურათის გამო, რომელიც, უეჭველია, კომპიუტერზე ე.წ. ფოტო-შოპითაა შექმნილი და „კგბ“-ს მიერ გავრცელებული ზვიად გამსახურდიას პარანოიდული იმიჯ-სახის შესაქმნელად. დაკვირვებული მკითხველი კი ადვილად აღმოაჩენს შეუსაბამობას სახის მიმიკასა და თვალების გამომეტყველებას შორის.

რაც შეეხება პუბლიკაციის მეორე ნაწილის რუბრიკას „სომხური ლოგიკა“ – გვერდით დაბეჭდილ ისტორიულ მონოგრაფიას უნდა განეკუთვნოდეს და მისი იაშვილის სტატიის თავზე მოხვედრა, უბრალო ტექნიკურ შეცდომას უნდა მივაწეროთ.

ე. წ. „სატელევიზიო აღიარების“ შესახებ კი ზვიადი აღნიშნავდა: ვიდეოჩანაწერი სრულად რომ ეჩვენებინათ, „მაყურებელი მიხვდებოდა, რომ ეს იყო ჩემი დაკითხვა და არა ტელევიზიით გამოსვლა, საუბარი ერთ გამომძიებელთან და არა მრავალმილიონიან აუდიტორიასთან... იმხანად ჩვენ კარგად არ ვიცნობდით საბჭოთა ტელევიზიის ხრიკებს, მონტაჟისა და ფალსიფიკაციის ხელოვნებას“ (იხ. „ივერია“ №8, 1988).

მერაბ კოსტავას „დუმილის მითი“ ზვიადის მტრების მიერვე იყო შეთხზული და სინამდვილეს არ შეეფერებოდა. მერაბი, ზვიადის ე. წ. მონანიებისა და აღიარების შესახებ არაფერს მალავდა და საჭიროების დროს ყოველთვის გულითადად და მტკიცედ იცავდა ზვიადის პოზიციას, რამეთუ როგორც ზემომოყვანილ განმარტებაში, ზვიადი გადაუჭარბებლად აღნიშნავს: **„...იმ ხანად გარეთ აღარ იყო დარჩენილი, არც ერთი ადამიანი, რომელიც შეძლებდა გადებას საინფორმაციო ხიდისა დასავლეთში, განახორციელებდა ჟურნალის გამოცემას, გონივრულად წარმართავდა ახალგაზრდულ მოძრაობას... ყოველივე ამის თვალსაზრისით კი აუცილებელი იყო ჩემი გარეთ ყოფნა... სუკ-ის შინაგან ციხეში გავუზიარე მერაბს ჩემი მოსაზრებები... და მანაც მოიწონა ჩემი გეგმა ტაქტიკური უკანდახევისა, მოჩვენებითი „მონანიებისა“, ჩვენი საერთო საქმის გადასარჩენად...“**

ზვიადი რომ მართლაც უალტერნატივო ლიდერი გახლდათ, მისი დამხობის და ფიზიკური ლიკვიდაციის შემდგომმა პერიოდებმაც ნათლად წარმოაჩინეს, როდესაც ოპოზიციური ეროვნულ-პოლიტიკური ძალებიდან ვერ გამოიკვეთა, ვერც ერთი პრიმა-ლიდერი, რომელიც მის ადგილს დაიკავებდა და შეავსებდა ეროვნულ მოძრაობაში წარმოქმნილ ვაკუუმს.

დისიდენტები არაერთგვაროვანნი იყვნენ. იყვნენ ძლიერებიც და სუსტებიც, უშიშარნი და მშიშრებიც, რომლებმაც ციხეებში ვერ გაუძლეს საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმის მარწუხებს, რის გამოც გატყდნენ

და პოზიციურადაც დაიხიეს. ციხიდან გამოსულნი კი, ზოგი მკვეთრად გაემიჯნა ეროვნულ მოძრაობას, ზოგიც დაუპირისპირდა. აღმოჩნდნენ უფრო საჩოთირო კატეგორიისანიც – რეჟიმის მიერ გადაბირებულნი.

არასრულფასოვან, ფსევდო-დისიდენტთა არსებობამ, თავისთავად, მძიმე დაღი დაასვა მთელს შემდგომდროინდელ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, წარმოშვა რა სრულფასოვანთა მიმართ არაჯანსაღი დაპირისპირების სინდრომი. ზვიად გამსახურდიას ფიქტიური მონანიება, მათთვის მხოლოდ საბაბი იყო, მიზეზს კი შური წარმოადგენდა.

იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი დიდი ეროვნული შერიგების აქტად ქცეულიყო, საქართველოს რევანშისტულმა ძალებმა ალიანსი შეკრეს გარეშე მტრებთან და მათი სამხედრო, შეიარაღებული და პოლიტიკური დახმარებით, წელიწადსა და სამ თვეში დაამხეს კანონიერი ეროვნული ხელისუფლება, რასაც შედეგად მოჰყვა ჩვენი ქვეყნის სრული – სახელმწიფოებრივი და ეროვნული კატასტროფა.

ზვიად გამსახურდიას დისიდენტური და პოლიტიკური მოღვაწეობა კი, დროა, დაცული იქნას მანანა იაშვილის მსგავს პროფანთა შეფასებებისაგან.

ლეილა ცომაია
2002 წ.

მძინარე მოწმე

ვისთვისაც პატრიოტიზმი მუდამ პოპულიზმის არენა, თანამდებობისა და პრივილეგიების მოპოვების საშუალება იყო და არა მსხვერპლშეწირვა, მისგან პავლედ გარდასახვას არ უნდა ველოდეთ და ქ-ნ იზა ორჯონიკიძისაგან, ამგვარ ბიბლიურ სასწაულს, არც ველოდით; იგი ჩვეული ყალბი პათოსით, ყალბი განგაშით და ყალბი ჭმუნვით აანალიზებს რა „მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულს“, ვერდიქტიც ჩვეულად განმაქიქებელი გამოაქვს: „საქართველოს არჩევანი და ქართული მარაზმი“ (იხ. „ახალი ეპოქა“ – ჩვენი მწერლობა, 15-22, 22-23 დეკემბერი, 2000).

ერთადერთი, რაც წრფელია ამ უვრცეს წერილში – ეს არის ღვარძლი და სიძულვილი ეროვნული პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიასა და მისი მომხრე სამოქალაქო არმიის მიმართ.

როგორც მისი წერილიდან დავრწმუნდით, ანტაგონიზმი მას ათმა წელმაც არ გაუნელა, არამედ – „წვრილად იმის თხრობას, რაც 1988 წლიდან 1992 წლის დამდეგამდე საქართველოში მოხდა, სხვა დროისთვის გადავდებ“ – სამომავლოდაც იქადნის.

მოკლედ, გალაკტიონისეული გრადაციით რომ გადმოგცეთ: *“ საშველი არ არის, არ არის, არ არის!“*

ამგვარად, მისი სიტყვების პერიფრაზი რომ გამოვიყენოთ, „პასუხისმგებლობისაგან ძალიან შორს“, თუ ვინმე დგას და თუ ვინმეს „რაღაც მოურჩენელი“ ჭირს, სწორედ ქ-ნ იზაზე ითქმის. ჩვენს ერს კი ჯვარი სწერია და მიუხედავად ხანდაზმულობისა, ბრძენი და კვლავაც სასიცოცხლო ენერგიით აღსავსეა, ანუ „მარაზმის“ მდგომარეობამდე, ჯერ კიდევ მრავალი ათასწლეული აშორებს.

შევარდნაძის მარადიული ფავორიტი იზა ორჯონიკიძე, მოდალურად ცდილობს ქართველ ერს განუვითაროს და ჩამოუყალიბოს არასრულფასოვნების კომპლექსი, რაც, ამასთანავე მისი კუმირის (შევარდნაძის) ჩრდილოური პოლიტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს.

დიახ, სულ სხვაა, რასაც ქართველი ერის ამა თუ იმ თვისებრივ ნაკლოვანებებზე წერდნენ ჩვენი გამოჩენილი მწერლები და მეცნიერები და სხვაა ქ-ნ იზა ორჯონიკიძის შეხედულებათა სისტემა, რითაც იგი შევარდნაძის იდეოლოგად გვევლინება და საკუთარი პოლიტიკური ლიდერის აპოლოგიასაც სრულიად დაუფარავად ეწევა: „ამ სახელმწიფოში პასუხს მხოლოდ ერთი კაცი აგებს, ის კისრულობს და თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას... საქართველოს პრეზიდენტი ხმამაღლა და, როგორც სჩევია, უშიშრადაც, ყველას ცოდვას თავად კისრულობს!

მე ყოველთვის მაოცებდა და მიკვირდა, რად სჩადის შევარდნაძე ამას... როგორ და რატომ ითმენს პრეზიდენტი ამდენ უპასუხისმგებლობას, სიცრუეს, ამდენ ყალბისმქმნელობას, ხაზინის ქურდობასა და ინვესტიციების ფლანგვას?!“

ქალბატონი იზას თუ დავუჯერებთ, ყველა ზემოხსენებული ცოდვა თუ დანაშაული, მხოლოდ ხელქვეითებისა და სახელმწიფო მოხელეების სინდისზეა. თითქოს, სულაც მთელი საზოგადოების კრიმინალიზაცია, შევარდნაძის პოლიტიკურ ამოცანას არ წარმოადგენდეს.

მზაკვარი ხელმწიფის ეს საიდუმლო, ქ-ნ იზას „გაოცებულ-გაკვირვებული“ მიმიკრიის შესაცვლელად არ გამიხსნია, – მკითხველთა უმრავლესობას, განტვირთვის მიზნით გავუზიარე. ქ-ნ იზას წერილი კი იმის აუცილებელ შეგონებაშიც გვარწმუნებს, რომ მაღალ ზნეობრივ მატერიებზე მოსაუბრეს, უნდა ჰქონდეს ამის მორალური უფლება, რამეთუ, სხვების თავზე მორალის კითხვით, საკუთარ უზნეობასა და დემორალიზმს ვერ დაფარავ, მითუმეტეს, როცა გიცნობენ!

ანტითეზისი მტრისა და მოღალატის ხატ-სახისა, ჩვეულებრივ თვალსაჩინოა და საგრძნობიც; მოღალატე საზარელია, მტერი კი, ისტორიამ,

დიადიც იცის. „ტყვიების ნაცვლად ყვავილების სროლით“ წარმატებული მოღალატეები, ახლა კალმით საბრძოლველად განზრახულან ქრისტიან-დემოკრატი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ეს რეციდივიც ცალსახად გვიდასტურებს, რომ მტერზე უფრო სასტიკად და დაუნდობლად უნდა გაუსწორდე... **მოღალატეს.**

„გამსახურდიასა და შევარდნაძეს შორის სამშობლო დაგვეკარგაო“, აქ, ქ-ნ იზამ, შევარდნაძე ყასიდად მოიხსენია და მთლად ზვიადს დასდო ეს მძიმე ბრალი.

იმის გამო, რომ ზვიად გამსახურდიას ფენომენი ჯერაც სრულიად შეუსწავლელია, ბევრი არასწორი და მცდარი შეხედულებები იქმნება მასზე, მაგრამ ის, რაც გამოკვეთილი იყო მასში (პატრიოტიზმი, სამშობლოსადმი ღვთაებრივი სიყვარული, თავდადება და თავგანწირვა, შემწყნარებლობა და ჰუმანიზმი), მისი შეცნობა დიდ სირთულეს არავისთვის უნდა წარმოადგენდეს, თუ არა მიზანმიმართული ცილისწამებები; ზვიად გამსახურდიამ, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერმა და ქვეყნის პრეზიდენტმაც, ერთადერთმა შეძლო ერში აღედგინა 1921 წლიდან გაწყვეტილი სამშობლოს ერთიანობის ფსიქოლოგიური კავშირი, რაც მიზანმიმართულად გაწყვიტა შევარდნაძემ, რომელმაც ქართლი, კახეთი და გურია დააპირისპირა, კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენისათვის მებრძოლ სამეგრელოს, რისი თვალხილული მოწმეა თითოეული ქართველი, საქართველოს მთელი მოსახლეობა. მთელი ის წამქეზებლური კამპანია, 1992-93 წლებში, მიმდინარეობდა ღიად, აშკარად – მასმედიით. ამ მავნე იდეოლოგიამ კი თავის მხრივ ჯაჭვური რეაქციით განაპირობა გულგრილობა და გაუცხოება შიდა ქართლის შეიარაღებული კონფლიქტისა და აფხაზეთის ომისადმი, რაც ანტიქართული ხელისუფლების მხრიდან, საყოველთაო მობილიზაციის გამოუცხადებლობით, სახელმწიფო დონეზე იყო დეზერტირებული.

იზა ორჯონიკიძის აზრით, ოსებისაგან, ეროვნულ ღირსებაშელახული და დისკრიმინირებული ქართველების დასაცავად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, თურმე ცხინვალისკენ არ უნდა დავძრულიყავით და, არც თბილისის მიტინგებზე უნდა შეგვეფასებინა ოსების, აფსუებისა თუ აზერბაიჯანელების თავხედური სეპარატიზმი.

რა არის ეს, თუ არა წითელი ინტერნაციონალური მენტალიზმი, რომელიც შორს დგას ეროვნული და პიროვნული ღირსებისგანაც?

„გამსახურდიას მმართველობის ბოლშევიკური მეთოდების“ ორჯონიკიძისეული ჩამონათვლების პასუხად მოვიყვანთ ამონარიდს პოეტ **ნოდარ ჯალაღონიას** წერილიდან (იხ. მისივე რედაქტორობით გამოცემული გაზეთი „ლაშარის გორი“, 1997, №6), რათა საბოლოოდ ვამხილოთ, წარმომავლობა და მიზანი, ორჯონიკიძეთა წერა-მწერლობისა.

ბ-ნ ნოდარ ჯალაღონია წერს: გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა ბატონ ნუგზარ ფოფხაძის ინტერვიუების სერიალი... ჩვენ გვაინტერესებს ის ნაწილი, რომელიც ეხება საქართველოს პირველ პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას *(სამწუხაროდ ბ-ნ ნოდარს ხსენებული გაზეთის წელი და ნომერი მითითებული არა აქვს, ჩემი ვარაუდით, ბ-ნ ფოფხაძის ხსენებული ინტერვიუ 1997 წ. დასაწყისში გაზეთ „საქართველოში“ იყო გამოქვეყნებული (ლ. ც.)*

ნუგზარ ფოფხაძე წერს:

1. 1987 წლის სექტემბრის დამლევს „კომუნისტის“ რედაქტორს შემეხმიანა სუკის ხელმძღვანელი ალექსი ინაური. მაცნობა, რომ ცენტრთან შეთანხმებით საჭიროდ თვლის იდეოლოგიური აქციების ჩატარებას, ზოგადად – არაფორმალთა და კონკრეტულად ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაციის მიზნით“.

2. „სულ მალე სუკიდან გადმოგზავნილი „მასალების“ პუბლიკაციის მოსამზადებლად გადავეცი დემურ იოსელიანს“.

3. „დილით ატყდა „აურზაური“. დემურ იოსელიანი ცკ-ში გამოიძახეს. მოგვიანებით მაცნობა, რომ ენუქიძესთან, ალ. იოსელიანთან (მაშინდელი პროპაგანდის განყოფილების გამგე) და სხვა „მწერლებთან“ ერთად მობილიზებულია ამ მასალის მოსამზადებლად“.

4. „საღამოს 11 საათზე და 20 წუთზე დემურ იოსელიანი ბრუნდება რედაქციაში და მოაქვს ცკ-ში მომზადებული ვეებერთელა წერილი“.

5. „უშიშროების თანამშრომელი მამშვიდებს: ჩვენს ფაქტებს შემოწმება არ სჭირდებაო!“

6. „დაახლოებით 9 საათზე გაისმის ტელეფონის ზარი, პატიაშვილია... ეს რა მიყავიო – თავს ვერ იკავებს – ეს სისულელე რამ დაგაბეჭდიაო“.

მაინც რა „სისულელეზე“ და დისკრედიტაციაზეა საუბარი? კითხულობს ბატონი ნოდარ ჯალაღონია და აგრძელებს: „საუბარია იმ წერილზე, რომელიც ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაციის მიზნით 1987 წლის

გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა სათაურით „შეიცან თავი შენი“ (გაზ. „კომუნისტი“, 1988 წ. 27 თებერვალი).

ახლა ვნახოთ თვითონ ნუგზარ ფოფხაძე როგორ აფასებს მისივე რედაქტორობით გამოცემულ გაზეთში გამოქვეყნებულ მასალას:

*„მინდა გულწრფელი სინანული გამოვთქვა და ბოდიში მოვუხადო ზ. გამსახურდიას ოჯახს, უწინარესად მის შვილებს და მაშინდელ მკითხველ საზოგადოებას. ბოდიში იმის გამო, რომ გაზეთის იმ ნომერს, რომელშიც „პოლიტიკური კრეტინიზმის“ და უზნეობის ქრესტომატიული ნიმუში დაიბეჭდა (ნუგზარ ფოფხაძის აზრით, იმ „კრეტინიზმის“ ავტორი გურამ ენუქიძეა — **ნ. ჯ.**) როგორც რედაქტორი მე ვაწერდი ხელს... იძულებული ვარ, ბოდიში მოვუხადო იმ „აქციის“ ჭეშმარიტი ავტორების ნაცვლად...“ თურმე, 1956 წელს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა სტატია „სარეველა“, რომელშიც ზ. გამსახურდია თავის მეგობრებთან ერთად ყოფილა „მოთხრილი“ და იგივე ნომერში, რომელშიც ენუქიძის „მარგალიტი“ იძულებით დამაბეჭდინეს, თურმე უნდა გამომექვეყნებინა ათეული წლის წინათ, ალბათ იმავე სტილით შექმნილი „შედევრი“... ვიქექეთ მტვერში, მაგრამ რა ვიქექეთ და კიდეც აღმოვაჩინეთ „სარეველა“. წავიკითხეთ და... ნეტავი არ გვეპოვნა და არ წაგვეკითხა?! 50-იანი წლების პარტიული ჟურნალისტიკის „კლასიკა“, თანაც როგორი?!... ენუქიძემ გადაიკითხა და... ალალად წამოცდა: ეს რა უბედურებაა!“*

ფოფხაძის ნაამბობიდან, ჩვენი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტი პოეტი, ბ-ნ ნოდარ ჯალაღონია ასკვნის, რომ „1956-87 წლებში ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ დაწერილი პასკვილები იყო ცკს და სუკ-ის მიერ წინასწარ დაგეგმილი ცილისწამება, დეზინფორმაცია, შეთითხნილი ბრალდება, თითიდან გამოწოვილი ტყუილი. ამავე ციკლს უნდა მივაკუთვნოთ „იმავე სტილში“ შექმნილი „შედევრი“ ე. წ. ზვიად გამსახურდიას სატელევიზიო „აღიარება-მონანიება“, რომელიც, დარწმუნებული ვარ, იმავე საკავშირო სუკ-ის ნამუშევარია და მათი ავტორების „გაცხადების“ დროც მოვა“.

ამგვარ ცილისწამებათა ციკლს განეკუთვნება, აგრეთვე 1992 წ. 25 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული, ვითომცდა ზვიად გამსახურდიას მიმართვა „ჩრდილო კავკასიის საბრძოლო რაზმებისა და მეთაურებისადმი“, რომლის ტექსტობრივი მოტანაც აქ მიზანშეწონილად მიმაჩნია. აი ისიც: „ძმებო ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებო, რომლებიც აღდექით აფხაზეთის მცირერიცხოვანი ხალხის თავისუფლებისა და ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისათვის... მთელი ჩემი ფიქრებითა და სურვილებით თქვენთან... ვარ. თქვენ ააგიზგიზეთ

ბრძოლის ცეცხლი, რომელიც ნამდვილად გაათავისუფლებს არა მარ-
ტო მოძმე აფხაზებს, არამედ მეგრელებსაც და აჭარლებსაც, სვანებსაც
და კახელებსაც, კრემლის იმპერიის მსგავსად, საქართველოს იმპერიად
გადაქცევის ბოდვით იდეას რომ შეუპყრია... ადამიანი ვერ იქნება თავ-
ისუფალი, ვერც დიდ და ვერც პატარა იმპერიაში... ჩემი საქართველოც
გამონაკლისი როდია. თქვენი მისვლა იმპერიის მიწა-წყალზე, რომელსაც
საქართველო ეწოდება, იქნება მძლავრი სტიმული ჩემს მრავალტანჯულ
სამშობლოში მოსახლე დანარჩენი ეროვნებებისთვისაც. ისინი შემოგი-
ერთდებიან თავიანთ ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის და დაამხობენ
შევარდნაძის – ამ „თეთრი მელას“ ხუნტას.

ჩემი მხრივ მზად ვარ თქვენს რიგებში ჩავდგე უბრალო მებრძოლად,
თუ ამის ნებას მომცემთ და უზენაესის ნებაც იქნება.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზ. გამსახურდია
22.09.92 ზ.
ქ. გროზნო.

ამ „სენსაციური“ მიმართვის პუბლიკაციიდან რვა წლის შემდეგ,
გაზეთ „ახალი ერას“ კორესპონდენტმა ნინო ხაჩიძემ, მასზე კომენტარი
თხოვა მაშინდელი საინფორმაციო-სადაზვერვო ბიუროს ხელმძღვანელ
ირ. ბათიაშვილს (იხ. „ახალი ერა“, 1 სექტემბერი, 2000წ.), რომელიც
განმარტავს: „ეს მიმართვა მე მართლაც წავიკითხე სახელმწიფო საბჭოს
საგანგებო სხდომაზე. იგი ვითომდაც ეკუთვნოდა ზვიად გამსახურდიას,
ვრცელდებოდა რადიოთი და ჩვენმა სამსახურებმა „რადიო-პერეხვა-
ტის“ გზით მოიპოვეს... ჩვენ, პრინციპში, მაშინვე ავიღეთ ეჭვი, რომ ეს
იყო დეზინფორმაცია, რომელიც შეგნებულად ვრცელდებოდა რუსეთის
სპეცსამსახურების მიერ... მიმართვის შინაარსით ადვილი მისახვედრი
იყო, რომ ის არ ეკუთვნოდა ზვიად გამსახურდიას... მიმართვის ტექსტის
შემდგენლებს გაეპარათ პატარა-პატარა ლაფსუსები. საერთოდ, როდე-
საც, თუნდაც სპეცსამსახურების მიერ ხდება ფალსიფიკაცია, დაუშვე-
ბელია გადამლაშება, რათა ეჭვის საფუძველი არ გაჩნდეს. ზემოთ აღ-
ნიშნული მიმართვა იმდენად გადამლაშებულია, რომ დღესავით ნათელია,
ამას გამსახურდია არ იტყოდა... მიმართვა იყო ფალსიფიცირებული და
შემოგდებული რუსეთის სპეცსამსახურების მიერ... სახელმწიფო მეთაურ-
საც მოვახსენე, რომ ეს დეზინფორმაცია უნდა ყოფილიყო... და არ ეკუთ-
ვნოდა ზვიად გამსახურდიას“. მიუხედავად ამისა, „მიმართვა“ მაინც დაი-
ბეჭდა სამთავრობო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

„თბილისის ომი ლოთი ქობალიამ და მისმა ბატალიონმა დაიწყო. მოწმე ბევრია, მათ შორის მეც (კავშირგაბმულობის სახლთან, ჟურნალისტებთან ერთად, მანქანაში მეძინა, სროლა რომ დაიწყო)“... „ამტკიცებს“ მძინარე მოწმე ქ-ნ იზა ორჯონიკიძე, რომლის ადექვატურ პასუხადაც კანონიერი ხელისუფლების მომხრე უამრავი თვალხილული და ფხიზელი მოწმის ჩვენების მოყვანა შეიძლება, რომლებიც დეტალურად აღწერენ, ჯერ კიდევ 21 დეკემბერს, როგორ შეზიდა ოპოზიციამ მძიმე საბრძოლო ტექნიკა ქაშუეთის ეკლესიაში, როგორ გამაგრდნენ სასტუმრო „თბილისში“, როგორ დაიკავეს მხატვრის სახლი და დაახლოებით რვა საათზე, ზარბაზნებითა და ქვემეხებით, როგორ დაიწყეს მასირებული შეტევა მთავრობის სახლზე. ამგვარი კამათი შეუზღუდავი უფლებამოსილების მქონე კარტ-ბლანშია, ი. ორჯონიკიძესთან, რომელიც ტაქტიკური ინტრიგით შემოგვიფრიალა მან მთელი რიგი დოკუმენტური ფაქტების იგნორირებით, კერძოდ: ჯერ კიდევ სექტემბრიდან მასმედიაში შუქდებოდა ოპოზიციის მუქარები, რომ ზვიად გამსახურდიას ახალწლამდე ჩამოაგდებდნენ, რომლის საცდელი რეპეტიცია გახლდათ 4-5 ოქტომბრის იერიში მთავრობის სასახლეზე.

უზენაესი საბჭოს დეპუტატი ბ-ნ ვალტერ შურღაია 1998 წ.: „ახალ თაობაში“ (4 იანვარი, №1) წერს: *„კიტოვანი ოთხჯერ იყო მზად შერიგების ქაღალდზე ხელის მოსაწერად და ოთხჯერვე ოთახში სიგუა შემოვარდა ღრიალით... ქართული სისხლის დანთხევაში დიდი ცოდვა აწევს, აგრეთვე ერთ პოეტ ქალბატონს. ხსენებულმა ქალბატონმა ერთ-ერთ საუბარში, რომელიც შერიგებას... ეხებოდა, სრულიად უადგილოდ გვითხრა მე და ზაურ ქობალიას: ჩემს ქმარს თქვენოდენა ყვ-ები ჰკიდიაო... მერე მიუბრუნდა თავისიანებს, ნუ გეშინიათ, ჩვენ დედას ვუტირებთ ამათო... უნდა გენახათ, რა ოვაცია და ღრიანცელი გამოიწვია მისმა სიტყვებმა პუტჩისტებით გამოტენილ ოთახებში“.*

ხომ გეცნობათ გადატრიალების წინა პერიოდის ეს ეპიზოდი ქალბატონო იზა ორჯონიკიძევ?

ზემომოტანილი დოკუმენტური მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ე. წ. ოპოზიცია აგენტურულ ძალას წარმოადგენდა და მთლიანად მოსკოვიდან იმართებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

რუსეთს, შევარდნაძემ, თუმცა ორი წლის დაგვიანებით, მაგრამ მაინც აუხდინა წადილი – 1993 წ. 24 სექტემბერს, საქართველოს სნგ-ში შესვლა აღუთქვა, ხოლო 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემით აფხაზეთიც ჩააბარა.

2001 წ. 21 იანვარს ტელეკომპანია რუსთავი-2-მა „60 წუთში“, მოწმეთა ჩვენებებით გააშუქა 1992-93 წ. წ. რუსეთის სპეცსამსახურების მიერ სამეგრელოში დივერსიების მოწყობის ფაქტები, რაც შემდგომ ზვიად გამსახურდიასა და მის გვარდიას ბრალდებოდა და ამ საბაბით, შევარდნაძის ხელისუფლება ეგზეკუციებს აწყობდა სამეგრელოში. ამავე გადაცემაში ითქვა ისიც, რომ 1992-93 წშ. იარაღის ტრანზიტი, ბენზინის ტრანზიტთან ერთად სარფიანი ბიზნესი იყო და აფხაზეთის ომისთვის უცხოეთიდან საქართველოსთვის გამოგზავნილი საბრძოლო ტექნიკა ტრანზიტში ხვდებოდა და ნაცვლად აფხაზეთისა, სომხეთისაკენ მიემართებოდა, რაც დაადასტურა კგბ-ს ყოფილმა თანამშრომელმა თ. მასხულიამ და რაშიც იგორ გიორგაძე და ავთანდილ იოსელიანი ამხილა.

თავდაცვის სამინისტროს სასწავლო ცენტრის ყოფილი უფროსი, აფხაზეთის ომის მონაწილე გენერალი გუჯარ ყურაშვილი, რომელიც 1999 წ. ე. შევარდნაძეზე ტერაქტის მცდელობისა და სამშობლოს ღალატის შეთითხნილი ბრალდებებით დააპატიმრეს, „კვირის პალიტრისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობს: „1998 წლის გალის მოვლენები რომ მოხდა, ჩემს გარდა იქ არავინ იყო. სამხედრო პროკურატურიდან სპეციალური წარმომადგენელი ჩამოვიდა ჩემთან სენაკში; დაპატიმრებამდე (ხაზგასმა ჩემია – *ლ. ც.),* მითხრა, ამაზე ჯერჯერობით არაფერი ილაპარაკოო, თქვი, რომ შენ იქ საერთოდ არ იყავიო... სასამართლო რომ დამთავრდება, მერე გეტყვით ყველაფერს... შსს-ს მე-6 სართულიდან ვითომ რომ ხტებოდნენ ბიჭები, გგონიათ მართლა ხტებოდნენ?! როცა აფხაზეთის ომი დამთავრდა, ალ. შუშანაშვილმა დაიწყო აფხაზეთის დაკარგვის მიზეზების გამოძიება... მე მივეცი ჩვენება... ოჩამჩირის და გალის რაიონის დაკარგვა – ეს ხომ სუფთა ღალატი იყო. შენ რომ ქალაქს უბრძოლველად დატოვებ და ერთი ტყვია არ გავარდნილა, ღალატია, აბა რა არის?!... მე ვერ ვიტანდი ჯარში კორუფციას... რომ დაშალეს და ყველაფერი გაზიდეს... რატომ არ კეთდება ჩვენთან საბრძოლო მასალა და რატომ ვყიდულობთ?! იმიტომ რომ ფული კეთდება მაგაში...“ და ა. შ. (უფრო ვრცლად ამის შესახებ იხ. „კვირის პალიტრა“ 7-13 მაისი, 2001. გვ. 5).

აფხაზეთი, ომის დაწყებამდე იყო გაყიდული და ჩაბარებული ქ-ნ იზა, რისი მრავალი დამადასტურებელი მასალა მოვიტანე წინა წერილებშიც და ფაქტია ისიც, რომ შევარდნაძის მოღალატე ხელისუფლება ცდილობს ღალატის მოწმეთა განადგურებას, რაც ნათლად ჩანს ბ-ნ ყურაშვილის ინტერვიუშიც. ამავე გაზეთის ამავე ნომერში დაბეჭილია კავკასიის პრობლემატიკის ექსპერტის მამუკა არეშიძის ინტერვიუც, რომელშიც იგი ამბობს, რომ მოსკოვში მოღვაწე ნოდარ ხიშბა „ტყვარჩელის მო-

სახლეობას პურის ფქვილს უგზავნიდა ტომრებით, რომელშიც ფქვილის ნაცვლად იარაღი იდო და ჩვენებიც უტვინოდ ატარებდნენ ამ „ჰუმანიტარულ ტვირთს“.

„რა უნდოდათ ჩეჩნებს ზუგდიდშიო“, გვიკიჟინებს იზა ორჯონიკიძე.

ჩეჩენი კონფედერანტები (თუ არ ვცდები, ორი ავტობუსით) მართლაც გამოჩდნენ ზუგდიდში, რომლებიც „დახმარებას“ სთავაზობდნენ ბატონ ზვიადს, მაგრამ კონფედერანტების მზაკვრულ ჩანაფიქრს ადვილად მიუხვდა ბ-ნ ზვიადი და ბასაევის მებრძოლები თავაზიანი უარით გაისტურმა უკან. მამუკა არეშიძე იქვე წერს ბასაევზე:

„ბასაევი გახლავთ ის პიროვნება, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურებს ყოველთვის სჭირდება ამა თუ იმ ეტაპზე და, რომელიც არაერთხელ გამოიყენეს, მაგალითად აფხაზეთში... ბასაევი რუსებმა გამოიყენეს ყაბარდოს კონფლიქტში... აზერბაიჯანში... ბასაევი არის კარტი, რომელსაც რუსეთის სპეცსამსახურები ათამაშებენ მაშინ, როცა ეს მათ სჭირდებათ...“. გამჭრიახმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ კი, ზუგდიდში ჩეჩენი „ბოევიკების“ შემოგზავნის რეალური გეგმები ჩაუშალა რუსეთს.

„პირველმა პრეზიდენტმა ერთ მიტინგზე კახელები უპატივცემულოდ მოიხსენიაო“, წერს ქ-ნი იზა ორჯონიკიძე, რომელიც არ აღუშფოთებია შევარდნაძის განკარგულებით სამეგრელოზე „მხედრიონის“ ურდოების მრავალგზის შესევას და მათ ნაავკაცარს: გაკოჭილი მამაკაცების თვალწინ ცოლების, დების, შვილების გაუპატიურებას, მკვლელობებს, ყაჩაღობას. იქნებ, ქალბატონ იზას, მსგავსი არაფერი სმენია და ამიტომ, მრავალ შემზარავ ფაქტთაგან, მხოლოდ ერთის კონსტანტაციით შემოვიფარგლები: 1992 წლის გაზაფხულზე „სენაკის ქუჩებში... იარაღიანი და ფორმიანი ხალხი ირეოდა... ქალაქის განაპირას მდგარი ერთ-ერთი სახლის ჭიშკართან სატვირთო მანქანიდან ოთხი ფორმიანი გადმოვიდა და ეზოში შევიდა... „ზვიადისტი ხარ და არეულობაში შენც მონაწილეობდი, არა?!“ – შეუღრინეს მოსულებმა მასპინძელს... ოქრო და ფული მოიტაო... რევოლვერმა იჭექა, მოხუცი მანდილოსანი იქვე ჩაიკეცა, რასაც დედის სიკვდილის მხილველი შვილის არაადამიანური ღრიალი მოჰყვა... ერთმა მომხვდურმა გოგონას (რომელიც, თურმე 16 წლისაც არ იქნებოდა – ლ. ც.) თმაში წაავლო ხელი და ახლა მას მიადო შუბლზე იარაღი... აკივლებულ გოგონას... დაუწყეს ტანსაცმლის შემოხევა... კაცი უკვე კი არ ყვიროდა, ხაოდა. ქალიშვილის მისაშველებლად გაიქცა, მაგრამ უკან მდგარმა ყაჩაღმა იატაკზე დააგდო და მისი შვილის კაბის კალთას ჩააფრინდა. მეოთხე ფორმიანმა... „ იმ არაკაცზე, მოგვიანებით თბილისში ჩამოსულმა

მამამ იძია შური (მასალა ვრცლად იხ. გაზ. „კვირის პალიტრა“, 7-13 მაისი, 2001, გვ. 7-8 „თქვენი შვილი მე მოვკალი“ – ნამდვილი ამბავი).

ქ-ნ იზა, ამგვარ შემზარავ ფაქტებს არ აღუშფოთებია.

ახლა იმის შესახებ, მართლა მოიხსენია თუ არა ბატონმა ზვიადმა „კახელები უპატივცემულოდ“. თუმცა მანამ – ცნობის სახით: ბატონი ზვიადის ყველა სამიტინგო გამოსვლა შუქდებოდა მასმედიით, რომელშიც მსგავსი გამონათქვამი დაფიქსირებული არ არის. საზოგადოება „კახეთის“ პირველ ყრილობაზე მიწვეულმა ბატონმა ზვიადმა კი ასე მიმართა კახელებს: „კახეთი არის ბურჯი და იმედი საქართველოსი“. (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 196, 1991). ხოლო 1992 წ. 10 მაისის მიმართვაში დევნილობაში მყოფი პრეზიდენტი წერდა: „... კახეთი მუდამ იყო სიმბოლო ქართველი ხალხის გაუტეხლობისა, მტრისადმი დაუმორჩილებლობისა. ამის მოწმეა ხორნაბუჯი, გრემი, უჯარმა... კახეთმა შვა გმირი მეფეები და მხედართმთავარნი, კახეთმა შვა ბიძინა ჩოლოყაშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, კახეთმა შვა დიდი ილია – დიდი მოძღვართ-მოძღვარი საქართველოსი... მწამს, რომ კახეთი არასოდეს ამოუდგება გვერდში საკუთარი ხალხის სისხლში ხელგასვრილ ხუნტას, კახეთი უერთგულებს თავის არჩევანს“ და ა. შ. (იხ. ორმოცი მიმართვა სრულიად საქართველოს მოსახლეობისადმი).

ზვიად გამსახურდიას, არც ერთ მიტინგზე „კახელები უპატივცემულოდ“ არ მოუხსენებია!

ზუგდიდში და მთელ სამეგრელოშიც, კიტოვან-ყარყარაშვილის გვარდიელებსა და „მხედრიონის“ ბანდებთან ერთად მოლაშქრე რუსის ბატალიონები წვავდნენ, ანგრევდნენ, ძარცვავდნენ სამეგრელოს, რის შესახებაც შემოგთავაზებთ კანონიერი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ბესარიონ გუგუშვილის ინტერვიუს სათაურით „დღემდე უცნობი დოკუმენტები საქართველოს სამოქალაქო ომის შესახებ“ (გაზეთი „ალია“, 12-13 ოქტომბერი, 2000).

როგორც ცნობილია 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, დასავლეთ საქართველოში დაიწყო კანონიერი ხელისუფლების აღდგენა, რის გამოც „ხუნტის ელიტისა და შევარდნაძის მდგომარეობა უკიდურესობამდე გამწვავდა, თვით ხუნტაში გაჩნდა და ფართოვდებოდა ბზარი – ზუგდიდს მოაშურეს ფაქტობრივი პარლამენტის ცალკეულმა წევრებმა და მთელმა ჯგუფებმა. უზენაეს საბჭოსა და პარლამენტს შორის აჭარაში დაიწყო სისტემატური კონსულტაციები და დიალოგი. იქმნებოდა შინაგანი ძალების დაზავების, შერიგების სავსებით რეალური წინაპირობები... მაგრამ, არათუ დაზავება, არამედ მოლაპარაკებაც კი დაპირისპირე-

ბულ ქართველებს შორის არ აწყობდა შევარდნაძესა და... მის ელიტას. სწორედ ამიტომ, შევარდნაძემ 1993 წ. სექტემბერ-ოქტომბერში მოახდინა ხელისუფლების ხელახალი, სრული უზურპაცია და შეწყვიტა ისედაც უძლური პარლამენტის საქმიანობა. ამით მან ფაქტობრივ პარლამენტს იძულებით ჩაუკეტა ეროვნული დაზავების მომზადებაში მონაწილეობის შესაძლებლობა, ჩაშალა დაზავებისა და შერიგების მომზადების მთელი პროცესი“.

როგორც ვიცით, ხუნტის „ელიტის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ქ-ნ იზა ორჯონიკიძეც გახლდათ. იგი, გადატრიალებამდე, როგორც თვითონაც აღნიშნავს, რუსთაველზე, მანქანებში ათევდა ღამეს, დღისით კი შეიარაღებული ოპოზიციის მიტინგებზე მგზნებარე მოწოდებებით გამოდიოდა. თავის ინტერვიუში, ბატონი გუგუშვილი ეხება რა აფხაზეთის თემასაც, ამბობს: „აფხაზეთის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, აფხაზეთის ქართველობის გადასარჩენად პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დაბრუნდა დევნილობიდან. იგი დაუყოვნებლივ გავიდა ფრონტის წინა ხაზზე ოჩამჩირეში და იქ მოახერხა ერთობლივი წინააღმდეგობის შტაბის შექმნა. ეს უკვე განხორციელებული ეროვნული შერიგება და დაზავება იყო – ამჯერად ორივე ქართული მხარის სამხედრობის მონაწილეობით... ერთობლივმა შეიარაღებულმა ძალებმა ენერგიული შეტევა განახორციელეს და ფაქტობრივად, სოხუმამდე მთელ ტერიტორიაზე დაამყარეს კონტროლი... გაერთიანებული შეიარაღებული ძალები... პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით მოქმედებდნენ, მათი გამარჯვება გამსახურდიას გამარჯვება იქნებოდა... მყისვე დაიწყო უსასტიკესი შეტევა სოხუმზე, მეორე მხრივ – შევარდნაძის პირად დაქვემდებარებაში მყოფმა ჯავშანსატანკო ნაწილებმა მოულოდნელად მიატოვეს ფრონტის ხაზი და სვანეთის გავლით თბილისისკენ გაემართნენ, ფრონტი ჯავშნისა და არტილერიის გარეშე დარჩა, აფხაზეთის გადარჩენის ბოლო შანსი დაიკარა... შევარდნაძემ განახორციელა თავისი მისია (რომლის შესახებაც ზვიად გამსახურდია დიდი ხნით ადრე აფრთხილებდა ქართველ ხალხს) და გათამაშებული, ვითომ ფათერაკების გამოვლით, რუსული დაცვის ესკორტით თბილისს დაბრუნდა“.

თბილისში დაბრუნებულმა შევარდნაძემ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა ზვიად გამსახურდიასა და სამეგრელოს.

აღმაშფოთებელია „წითელი ინტელიგენციის“ დემაგოგიური ვიშ-ვიში შედეგებზე, მიზეზების დანაშაულებრივი მიჩქმალვით. ათი წელია მიზანმიმართულად მიმდინარეობს ჩვენი ახალგაზრდობის სრული გამოფიტვის – მარაზმატული პროცესი. ხელისუფლებამ ახალგაზრდობას გაუყიდა

მატერიალური სიმდიდრეები, დაუკარგა ტერიტორიები და თვით სისხლით მოპოვებული დამოუკიდებლობაც, გაუსხვისა სამშობლო. საკუთარ ქვეყანაში არაფრის მეპატრონე, უპოვრადქცეული ახალგაზრდობა მეძავურ-ავანგარდული ცხოვრების წესით წააქეზა.

აუცილებელია ნათელვყოთ ისიც, თუ რეალურად რა მოტივები განსაზღვრავდა „წითელი ინტელიგენციის“ ბრძოლას ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ეს გახლდათ პირადი წყენა ელიტარულ-პრივილეგირებული მდგომარეობის დაკარგვის გამო: ერთი ცნობილი ნოველისტი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხოლოდ იმიტომ აუჯანყდა, რომ თურმე, ჩვეული პატივით არ მიიღო კაბინეტში, ანუ – ფეხზე არ წამოუხტა ყოფილი ცკ-ს მდივნების მსგავსად (ვინაობას არ ვაკონკრეტებ, რადგან დღეს იგი ეროვნული ხელისუფლების დამცველად გვევლინება). ქ-ნ იზა კი მუზეუმის დირექტორობიდან გათავისუფლების გამო, შეიარაღებული ოპოზიციის მხარდამხარ ტანკზე „ამხედრდა“ და, როცა თანამდებობა დაიბრუნა, „სამსახურში გამოუცხადებლობის“, „შემცირებისა“ თუ სხვა აპრობირებული სარჩულებით გაათავისუფლა კანონიერი ხელისუფლების მომხრე ყველა ის თანამშრომელი, რომელიც მის დიქტატს არ დაემორჩილა: ციცი ბუქურაული, ლია გედევანიშვილი, რუსუდან ნიშნიანიძე, მარინა ნიაური, რუსუდან კობახიძე, ია ხატისკაცი, რუსუდან დაუშვილი, ციალა გაგნიძე, ლუიზა ინგოროყვა, თამარ მალაზონია და სხვები.

ქ-ნ იზას მიერ ლამის გმირად და პატრიოტად შერაცხულმა საქართველოს ე. წ. პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ, ნაცვლად იმისა, რომ რუსეთის მიერ საქართველოსთვის დაწესებული „სავიზო რეჟიმი“ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის გამოიყენოს, გამოთქვამს საყვედურს და მზადყოფნასაც უმეტესი კაპიტულანტური პოლიტიკისათვის, რითაც აშკარავდება მისი ალიანსი პუტინის საბჭოურ მმართველობასთან, რომლის მოსამზადებელი ეტაპი გახლდათ საქართველოს სნგ-ში შეთრევა, რასაც სხვა საბჭოთა მწერლებთლან ერთად, 1994 წ. 1 მარტს ჩატარებულ სესიაზე, ხმა მისცა ქ-ნ იზა ორჯონიკიძემაც.

ლეილა ცომაია

გაზ. „ახალი ეპოქა“, 8 — 11 ივნისი, 2001 წ. „ჩვენი მწერლობის“ სალიტერატურო ჩანართი 2001 წ. №23

ამ სიმართლით ვივლი!

ილია ჭავჭავაძის, როგორც იდეური მოძღვრის წინააღმდეგ ბრძოლა (მისი წმინდანად და მართლად შერაცხვის მიუხედავად), მახარაძე-ორჯონიკიძეთა შთამომავლების მიერ დღემდე გრძელდება. ხელისუფლების მიერ დაფინანსებული „ყვითელი პრესის“ ათწლიანი საქმიანობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დავასკვნით, რომ ანალოგიურად ხანგრძლივი და დაუნდობელი იქნება ბრძოლა დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებიდან, ყოფილი დისიდენტი, ხოლო ამჟამად შევარდნაძის კანცელარიის მუშაკი თეიმურაზ ჭანტურიშვილი წყევლა-კრულვიანი წერილით „მაგ სიმართლით იარეთ!“ (იხ. 17-23 ნოემბერი, 2000წ.) ჩვენი სამართლიანი კრიტიკისა და მხილებისაგან იცავს, ასევე ყოფილ დისიდენტს, ხოლო ამჟამად შევარდნაძის მეხოტბეს ვიქტორ რცხილაძეს. ეს „მამულიშვილური“ მისია კი ბატონ თეიმურაზს იმიტომ უკისრია, რომ „ინტელიგენტთა მხრიდან სიჩუმემ და წაყრუებამ“ ცუდის მეტი არაფერი მოგვიტანაო.

ჩემთვის უცნობია, თუ რა ნიშნით მიიჩნევს თავს ინტელიგენტად ბატონი თეიმურაზი: კამათისა და წერის კულტურით, აღზრდით, ინტელექტით, განათლების სიღრმით თუ ჰაბიტუსით, მაგრამ ვიცით, რომ იგი, არც ერთით არ გამოირჩევა; მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ რომ თავს ინტელიგენტად ხელმწიფის ნავში ჯდომითა და სახელმწიფო კანცელარიაში მუშაკობით თვლის. ამით გადიდგულებული თეიმურაზი იმდენად გაუშმაგებია გაზეთ „ახალ ეპოქაში“ გამოქვეყნებულ ჩემს წერილს („ვისაც სიმართლე აინტერესებს“, 27 ოქტომბერი – 10 ნოემბერი, 2000), რომ სიტყვაზე კონტროლი დაუკარგავს. არადა, ჩემს ვრცელ წერილში იგი მხოლოდ სულ ერთი ფრაზითა მყავს მოხსენიებული, რასაც თითქოს ესოდენ არ უნდა გაეცხარებინა, მაგრამ ხელმწიფის ნავში მხარ-თეძოზე ვინ წამოაწვენს, თუ ხელმწიფისთვის არ იღვაწა, არ იმუშაკა? ჰოდა, იგიც დაშნის ქნევით იცავს ხელმწიფესაც, ხელმწიფის კადრსაც (ვ. რცხილაძეს) და ხელმწიფის ხელისუფლების სტრუქტურულ დანამატ მწერალთა კავშირსაც. ასეთ გონისწამრთმევ ჯაფაში მყოფმა (თანაგრძნობით ვამბობ) სულ გაუტია და ბატონი როსტომ ჩხეიძე, ჯერ თანაავტორად გამომიცხადა და მერმე, სულ მთლად მას მიაკუთვნა ჩემი წერილის ავტორობა. ასეთ უკიდეგანო უსამართლობის ჟამს, ერთადერთი, იუმორის გრძნობა თუ გიშველის ადამიანს, თუკი ამით დაჯილდოვებული ხარ, რა

თქმა უნდა, რაც ჩემზე ნამდვილად არ ითქმის, მაგრამ მის არც სრულ დეფიციტს განვიცდი.

სწორედ ამგვარი იშვიათად წვეული იუმორით მივმართე „შერიგების კამპანიით“ შიშატანილ ბატონებს ვიქტორ რცხილაძესა და ნოდარ ლომოურს – „რეფორმირებული სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებმა“, ხომ შეიძლება ახლა თქვენ დაგაპატიმროთ-მეთქი, რაც ასე სერიოზულად მიუღია ბატონ ჭანტურიშვილს და წერს: ჯერ აძაგებს ე. შევარდნაძეს და მერე „ედუარდ შევარდნაძითა და ახალი რეპრესიების წამოწყებით“ იმუქრებაო.

იმის გამო, რომ ბატონი თეიმურაზი მეტისმეტად მწირ ინფორმაციას ფლობს ჩემს შესახებ – არანაირად (თუნდ ჩავლილადაც) არ მაკავშირებს მწერალთა კავშირთან, ამიტომაც, ვერაფრით იჯერებს ამ სტრიქონების ჩემმიერ ავტორობას: „მწერალთა კავშირი ხელისუფლების სტრუქტურულ დანამატად იქცა, რის გამოც არაერთმა ჭეშმარიტმა მწერალმა დატოვა მწერალთა კავშირი, რითაც აღიდგინეს ერის ნდობა“. ამაზე, გადაჭრითა და ხელების სავსავით აცხადებს: „ლ. ცომაია ამას ვერ დაწერდა“, არამედ, როსტომ ჩხეიძე დაწერდა, ან დააწერინებდაო. და, ამასთან დაკავშირებით, სრულიად არაავთენტურ პოლემიკას მიმართავს, მწერალთა კავშირი არაზვიადისტმა მწერლებმაც დატოვესო.

მე, ციტირებულ პასაჟში ავსახე ფაქტი, მოვლენა – ჭეშმარიტი მწერლების მიერ მწერალთა კავშირის დატოვებისა და არ მომიხდენია (არც მიფიქრია) მათი კლასიფიცირება ზვიადისტ, არაზვიადისტ და დეპუტატ მწერლებად მისი მიზანშეუწონლობის გამო, რამეთუ ისინი ოდენ თავიანთი შემოქმედებით დამკვიდრდებიან თანამედროვე ქართულ მწერლობაში და არა, პოლიტიკური მრწამსითა თუ პოზიციით.

ვინაიდან, ბატონი თეიმურაზი „ახალ ეპოქაში“ ჩემი წერილის გამოქვეყნებისათვის ჩემს „პატრონობაში ამხელს“ ფირმა „ომეგას“, იძულებული ვარ მკითხველს, წერილის დაბეჭდვის „პრესტორია“ გავაცნო: წერილი – „ვისაც სიმართლე აინტერესებს“, რომლის პირვანდელი, ჩემეული სათაური გახლდათ „კვლავ ვიქტორ რცხილაძის ქვებუდნობისა გამო“, იგი, „შერბილების“ მიზნით, ბატონმა როსტომმა შემიცვალა და საერთოდაც, ტექსტშიც ბევრი რამ შემირბილა – თავდაპირველად „ახალ ერაში“ მივიტანე, სადაც გულდასმით წაიკითხეს ბატონებმა: ელიზბარ ჯაველიძემ და მამუკა წიკლაურმა, მაგრამ მისი მოცულობის გამო დაბეჭდვაზე უარი მითხრეს.

ვინაიდან, სენსაციურმა და ფაბრიკაციულმა ინფორმაციებმა უკვე კარგა ხანია შთანთქეს პუბლიცისტური და ანალიტიკური პრესა, ბატო-

ნი ჯაველიძის უარის შემდგომ, მიწყივ წერილის დაბეჭდვის პრობლემის წინაშე დავდექი. ოდნავ მოგვიანებით ერთმა ლიტერატორმა მეგობარმა მირჩია, იგი „ახალ ეპოქაში“ მიმეტანა. თითქმის იდენტური სახელწოდების გამო, მეგონა „ახალ ერაზე“ მეუბნებოდა და ცოტა არ იყოს გაღიზიანებული შევეპასუხე – „მიტანილი მქონდა“-მეთქი. მან კი კვლავ იგივე დამისახელა. მე ამ სახელწოდების გაზეთს, ჩემდა სამარცხვინოდ, არ ვიცნობდი, თუმცა ესეც ახალი დაარსებული ყოფილა და მოვიძიე. გაზეთის განსხვავებულმა ფორმატმა, ქათქათა ხარისხიანმა ქაღალდმა, გვერდების სოლიდურმა რაოდენობამ და მასალების ხასიათმა გადამაწყვეტინა წერილის მიტანა მის სალიტერატურო დამატებაში. ბატონ როსტომთან ახლო ურთიერთობა არასოდეს მქონია, მხოლოდ პირისპირ შეყრისას, ისიც თავის დაქნევით, თუ მივესალმებოდით ერთმანეთს. რედაქციაშიც „მშრალად“ მიმიღო და მანაც, მოცულობის გამო, დაბეჭდვაზე უარი მითხრა.

როდესაც ხელკეტებითა და ელექტროშოკებით აღკვეთილი გაქვს პოზიციის გამოხატვის კონსტიტუციური უფლება და ქუჩაში მშვიდობიანი გამოსვლისათვის, ან გაპატიმრებენ, ან ბლაგვი საგნით ზურგიდან გესხმიან თავს, არ გაძლევენ საეთერო დროს და გაზეთებშიც უარს გეუბნებიან დაბეჭდვაზე – კარგ გუნებაზე ვერ დადგები. ჰოდა მეც მძლია წუთიერმა სისუსტემ, რაც ალბათ სახეზედ გამომეხატა და ბატონმა როსტომმა მასალა დასაბეჭდად დაიტოვა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი წერილი გახლდათ გამოხმაურება გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ ვიქტორ რცხილაძის წერილზე, მისი ამ გაზეთში მიტანაზე, არც მიფიქრია, რადგან ანალოგიური პასუხების დაბეჭდვაზე ბატონმა თამაზ წივწივაძემ ორჯერ უკვე მითხრა უარი. ერთხელ 1992 წელს და მეორედ 1998 წელს. მითხრა-მეთქი რბილად ვთქვი, თორემ 1992 წელს, ბესიკ ქუთათელაძის წერილებზე საპასუხოდ მისულს, წივწივაძის მოადგილე ჯუმბერ თითმერია ფიზიკურად დამესხა თავს და სართულებიანი გინებით, წივწივაძის თვალწინ რედაქციიდან გამომაძევა. რედაქციაში, ამ დროს საქმიანად მიმოდიოდნენ იარაღასხმული ბიჭ-ბუჭები და თითმერიასთვის ჩვეული უკომპრომისობით რომ მეპასუხა, ალბათ იქედან ცოცხალი ვეღარც გამოვაღწევდი. გამარჯვების ექსტაზში მყოფი „რევოლუციონერი“ მწერლები, ვერც საქციელს და ვერც სიტყვას კონტროლს ვეღარ უწევდნენ.

„პრეისტორიას“, ასე ვრცლად ჭანტურაშვილის მიზანმიმართული ცილისწამებების გამო მოვყევი, ვინძლო მართლა რეპრესიების ფასად არ დაუჯდეთ, ჩემი წერილის გამოქვეყნება, გაზეთის რედაქტორსა და ფირმა „ომეგას“ (?!). დიახ, ვერაფრით მივმხვდარვარ, თავად ფირმა რა შუა-

შია, რომელსაც სრულიად უსაფუძვლოდ ჩემს „მფარველად“ აცხადებს და უშიშროების სამინისტროს ემუქრება „... დღეს ამ მეხუთე კოლონას **(მე – ლ. ც.)** მძლავრი მფარველი გამოუჩნდა მილიონერ „ომეგას“ სახით, რაზედაც თავის დროზე პასუხი იმ უწყებებს მოეთხოვებათ, რომელთაც სახელმწიფო უშიშროება აბარიათ“.

აი, რა დონეზეა აყვანილი სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან, ჩვენს ქვეყანაში, სიტყვისა და პრესის „თავისუფლება“. გარდა ამისა, არის თუ არა ეს, ცხრა წლის განმავლობაში, „ზვიადისტური“ ოპოზიციის მიმართ შექმნილი მენტალური განწყობის აშკარა დემონსტრირება და პოზიციური აპარატეიდის თამამი გამოვლინება? არის თუ არა ეს პოლიტიკური დევნა?

ეროვნული ხელისუფლების ერთ-ერთმა ნაკლებად ცნობილმა დეპუტატმა, ცხრა წლიანი უმუშევრობის შემდგომ, როდესაც, როგორც იქნა, ერთ-ერთ ფირმაში დაიწყო მუშაობა, ორი თვის თავზედ, მისი ფირმის უფროსი, იმ უწყების მინისტრმა, თანამშრომელთა სიით დაიბარა, საიდანაც უზენაესი საბჭოს დეპუტატის გვარი საკუთარი ხელით ამოაგდო და ფირმის პრეზიდენტს მკაცრი მითითება მისცა: მოიშორე, ზვიადისტიაო!

ბატონ თეიმურაზს, ჩემი პოლემიკა, დინჯად და პროფესიული თვალით რომ წაეკითხა, არ მოეჩვენებოდა, რომ მე ისტორიას ვასწავლი ნოდარ ლომოურსა და ვიქტორ რცხილაძეს (ღმერთმა დამიფაროს მსგავსი კადნიერებისაგან), არამედ, ვინაიდან, ცნობილი მეცნიერი ნოდარ ლომოური და სხვები კვლავ ცდილობენ საქართველოს უახლესი ისტორიის გაყალბებას, მე შესაბამისი დოკუმენტების გამოქვეყნებით შეძლებისდაგვარად ვიღწვი, მცდარი აზრისა და თეორიის გაბატონების ასაცილებლად, რამეთუ ისტორიის გაყალბების მრავალწლიანმა მავნებლურმა პრაქტიკამ, ისედაც საკმარისზე მეტად გამოუთხარა ძირი ჩვენს სახელმწიფოებრიობას.

2006 წლის გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (11- 17 სექტემბერი)გამოქვეყნდა მცირე ინტერვიუ ნოდარ ლომოურთან:

„როგორი რეაქცია გქონდათ, როცა ორიოდე წლის შემდეგ შეიტყვეთ, რომ ზვიად გამსახურდია გარდაიცვალა?

— გამიხარდა...

რატომ, ბატონო ნოდარ?

— ყველა თვალსაზრისით უარყოფითი პიროვნება იყო!

არ ნანობთ, ძმათა მკვლელ ომში რომ მიიღეთ მონაწილეობა?



ნოდარ ლომოური

— რასაკვირველია, არასასიამოვნო ფაქტი იყო, მაგრამ პირადად მე, მიმაჩნია, რომ გამსახურდიას მიმართ სხვანაირი მოქცევა არ შეიძლებოდა. ეს აბსოლუტურად სამართლიანი მოქმედება იყო. იგი უნდა განდევნილიყო საქართველოდან, უფრო მეტიც, სამეგრელოში არ უნდა ჩამოეშვათ“.

კვლავ თეიმურაზ ჭანტურიშვილს დავუბრუნდეთ; ბატონი თეიმურაზი, ბურგუნდია-ბურუნდთან დაკავშირებით ჩემი განმარტების პასუხად წერს: „ლ. ცომაიამ „მორცხვად“ აღიარა, რომ ბურგუნდია მართლაც დაწერა“. სინამდვილეში მე განვაცხადე, რომ „მართლაც მომივიდა ასეთი ტექნიკური ხარვეზი“ (იხ. „ასავალ-დასავალი“, 6-12 ნოემბერი, 2000). რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს იმას, რომ სარედაქციო წერილი, ჩვეულებისამებრ მანქანაზე გადაბეჭდილი მივიტანე რედაქციაში (დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შეამოწმონ გაზეთის რედაქტორ ბ-ნ გრიგალაშვილთან). განათლებული ადამიანისათვის არ უნდა იყოს ესოდენ უცხო, კორექტურის ვერაგობა, რითაც სულ სხვა აზრსა და მნიშვნელობას იძენს სიტყვა. მაგალითად თავად ჭანტურიშვილის წინადადებაში – „ყურად არ იყო ეს გაფრთხილება“ – უნდა იყოს „ყურად არ იღო“. კიდევ: „... კორესპოდენტისთვის ეთქვას ეს სინამდვილეში“. აქ წერტილი არასწორადაა დასმული – უნდა იყოს სიტყვა „ეს“-სთან და ა. შ. ბატონებმა: რცხილაძემ და ჭანტურაშვილმა ისეთი განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ბურგუნდია-ბურუნდს, რომ იძულებული ვარ მეტი სინათლე შევიტანო ამ „საბედისწერო“ შეცდომაში; ვუნდერკინდობას ვერ დავიჩემებ და ვერ ვიტყვი, რომ თანმიმდევრობითა და ქრონოლოგიური სიზუსტით ზეპირად შემიძლია ჩამოვთვალო ის უცხო სახელმწიფოები, რომლებმაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პერიოდში ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. მე ვიხელმძღვანელე 1992 წ. 8 მაისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკით“, რომელშიც ჩამოთვლილია, თუ რომელმა ქვეყნებმა გვცნო 1992 წ. 6 იანვრამდე. თანმიმდევრობით ჩამონათვალში ბოლო, 28-ე ნომრად დასახელებულია ბურუნდის რესპუბლიკა (ასევეა მოსკოვში რუსულ ენაზე გამოცემულ ზვიად გამსახურდიას ავტობიოგრაფიულ წიგნშიც (გვ. 121), რომელიც იმთავითვე რუსი და უცხოელი მკითხველებისთვის იყო განკუთვნილი და სწორედ რუსულ ან ინგლისურ ენაზე უნდა გამოცემულიყო). 1991 წლის 27 აგვისტოს დაწყებული საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის პროცესი, 1992

წლის 6 იანვრის შემდგომ ინერციით გაგრძელდა. აგენტურული ოპოზიცია კი დღემდე უკიჟინებს ზვიად გამსახურდიას „თვითიზოლაციას“, რითაც ფაქტების გაყალბებასა და მიჩქმალვას ცდილობს. ასე რომ, რომც არაფერი მცოდნოდა ბურუნდის რესპუბლიკის არსებობის შესახებ და იგი ბურგუნდიაში ამრეოდა, ჩემს ხელთ არსებული დოკუმენტი, ამგვარი „უცოდინრობის“ გამომჟღავნების საშუალებას არ მომცემდა, რადგან მას სიტყვა-სიტყვით ვიწერდი.

განათლებულ, წიგნიერ პერსონებს ისიც უნდა მოეხსენებოდეთ, რომ ამგვარი კვლევითი და ანალიტიკური მსჯელობის დროს ყოველი ავტორი ციტირებას უშუალო წყაროებიდან ახდენს და თითქმის არასოდეს ეყრდნობა (ენდობა) ზეპირ ინფორმაციას.

ახლა კი მსგავსი ციდამტკავლური ინტრიგა – ყაზახეთისა და ალმა-ათის შესახებ: ბატონი თეიმურაზი ისე გვრისხავს მე და ბატონ ზვიადს, რცხილაძის გასახლების ადგილმდებარეობის მითითებასთან დაკავშირებით, თითქოს ალმა-ათა ყაზახეთი არ იყოს და სულ სხვა განედსა თუ კონტინენტზე მდებარეობდეს, რის შესახებაც მე გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (20-26 ნოემბერი, გვ. 2, 2000წ.) განმარტება აუცილებლად არ მივიჩნიე და არც ახლა მივიჩნევ.

ბატონი თეიმურაზი გამოთქვამს წყენას იმის გამო, რომ მე (ჩემი მკითხველი ალბათ შენიშნავდა, რომ ამ წერილში „ჩვენ“- ობით აღარ ვლაპარაკობ, იმის შიშით, რომ ჭანტურიშვილს იგი პირის ნაცვალსახელში არ შეეშალოს და კვლავ გაზეთის რედაქტორის თანაავტორობა არ დამწამოს) “კრინტი არ დამიძრავს“ მის წიგნზე „სიმართლე ზ. გამსახურდიას შესახებ“, რომელიც ჯერჯერობით ხელში არ ჩამვარდნია და როცა ჩამივარდება, ვპირდები, აუცილებლად მივაპყრობ ჯეროვან ყურადღებას. რაც შეეხება ბატონ ზვიად გამსახურდიას „მონანიების“ თემას, იგი წინა წერილებში ამოვწურე და ახლა მხოლოდ ამას დავძენ: იმ ბრძნული და შორსმჭვრეტელური მონანიების მნიშვნელობა უდავოდ დიდია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხში. ქვეყნის მოკეთემ და პატრიოტმა, მხოლოდ მაღალი სახელმწიფოებრივი თვითშეგნებით უნდა შეაფასოს იგი, როგორადაც მერაბ კოსტავა აფასებდა და მჯერა, რომ სწორედ ასე შეაფასებენ მას მომავალი თაობებიც.

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ინტერვიუში (6-12 ნოემბერი, 2000) ჩემი განცხადების ფონზე – „არ არსებობს ზვიადის დაკითხვის, არც ერთი ოქმი, სადაც იგი პირდაპირ თუ ირიბად მიანიშნებდეს ბატონ ვიქტორის პიროვნებაზე“ – ბატონი თეიმურაზი ახსენებს რცხილაძის მიერ 1998 წ. 26 ნოემბერ-2 დეკემბრის გაზეთ „ახალ საქართველოში“ გამოქვეყნებულ,

აქამდე სრულიად უცნობ „ოქმს“. ამ „აღმოჩენილი“ ოქმის გამო მე ვუპასუხე ბატონ ვიქტორს ვახტანგ ძაბირაძესთან გამართულ ვრცელ პოლემიკაში, რომელიც „ახალმა საქართველომ“ არ დაბეჭდა, მაგრამ იგი მოგვიანებით გაზეთ „გაუხმაურებელ ფაქტებში“ გამოქვეყნდა (იხ. 13-19 აპრილი 1999 წლის, გაგრძელება, დასაწყისი იხ. წინა ნომერში).

ამ ე. წ. ოქმის ზვიადისა და მერაბის მკვლელობის შემდგომ გამოქვეყნება გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ იგი ყალბია და უშიშროების სპეცგანყოფიელბაში საგანგებოდაა შეთითხნილი მოწმეთა (ზვიად-მერაბის) არარსებობის შემდგომ გამოსაქვეყნებლად.

ჭანტურიშვილი საქართველოს პირველი კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ტრივიალურ „ტყუილზე“ ისე ხმაურიანად ლაპარაკობს, თითქოს მის პრეზიდენტ ე. შევარდნაძეს სახელმწიფო დანაშაულის ტოლფასი ტყუილები არ უთქვამს: ბანკების ფულის ტომრებით გავსება, სოხუმის საიმედოდ დაცვა და აფხაზეთის ცოცხალი თავით არდატოვება, სნგ-ში არშესვლის ფიცი, მილიონი სამუშაო ადგილის შესახებ, სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით თუ სხვადასხვა.

კრიტიკას ვერ უძლებს ბატონი თეიმურაზის ირონია კონსტანტინე გამსახურდიას (უმცროსის) ესოდენი ინფორმირებულობის შესახებ, „რომელიც დიდი ხანია საზღვარგარეთ ცხოვრობს და აქაურ ამბებს ტელეპატიის მეშვეობით გებულობსო“, ისე წერს, თითქოს არაფერი გაეგოს კომპიუტერების, ელექტრონული ფოსტების, ფაქსების შესახებ და წერილები, თითქოს კვლავაც, ოთხკუთხა და ენით დასველებული კონვერტებით იგზავნებოდეს.

ბატონი თეიმურაზი ისე დასცინის და საბჭოურად ამათრახებს „მილიონერ ფირმა „ომეგას“ და „ჩვენი ხალხის ფილტვების ლპობით გამდიდრებულ გაზეთ „ახალ ეპოქას“, რომ აშკარაა, წარმოდგენა არა აქვს, როგორ საზოგადოებრივ წყობილებას აშენებს მისი ხელმწიფე – კაპიტალისტურს თუ კვლავ სოციალისტურს. როცა გაერკვევა, კამათსაც მაშინ გავუმართავ. თუმცა, იქნებ, აღარც დამჭირდეს – მის ფარულ ამბოხს ღრმად თუ ჩავწვდებით, მისგან უფრო რადიკალი ოპოზიციონერი იკვეთება, ვიდრე დღესა ჰყავთ მოქკავშირელებს.

იანაევის ინტერვიუსთან დაკავშირებით მსჯელობას აღარ გავაგრძელებ, რადგან იგი როგორც „ახალი ეპოქის“ 27 ოქტომბრის – 10 ნოემბრის ნომერში დავასაბუთე, სერიოზულ სამხილად ვერ ჩაითვლება.

ჭანტურიშვილი განაქიქებს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას 1992 წლის 24 მაისის მიმართვას და არ აღიარებს შევარდნაძის ხელისუფლების მიერ ავანტიურისტულად წამოწყებული ომის კატასტროფულ შედეგებს, რაზეც, სწორედ აღნიშნულ მიმართვაში განგაშითა და გამაფრთხილებ-

ლად მიუთითებდა დევნილობაში მყოფი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რის წინაშეც საუბედუროდ დავდექით სულ რაღაც ერთ წელიწადში – ჩვენ, აფსუებმა და ქართველებმა ერთნაირად დავკარგეთ აფხაზეთი. ცნობილია, რომ ომის გაჩაღებისთანავე, ასობით აფსუამ დატოვა აფხაზეთი, რადგან არ სურდა მონაწილეობა ძმათამკვლელ ომში. სწორედ ამ კატეგორიის აფსუებზე (და არა არძინბასა და მის აგენტურულ ხროვაზე) აკეთებდა აქცენტს თავისი ქვეყნის პატრიოტი პრეზიდენტი ზემოხსენებულ მიმართვაში. ეს უნდა მოეხსენებოდეს ბატონ ჭანტურიშვილს, რომლის მიამიტური გაკვირვება ხიდებისა და რკინიგზების აფეთქებასთან დაკავშირებით მხოლოდ გაქნილი ფანდია „თვითიზოლაციის“ კონტრარგუმენტით შენიღბული.

ასევე, ჭანტურიშვილი მარჯვედ იყენებს რა ზვიადის ხელისუფლების ეროვნული გვარდიის სარდლის ვახტანგ ქობალიას წინააღმდეგ შეთითხნილ ბრალდებებს წერს, რომ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მას „უკრძალავდა“ ეომა ქართული ჯარის დასახმარებლად აფხაზეთში, რაც აგრეთვე მორიგი ინსინუაციაა, რის მტკიცებულებადაც „ახალ ეპოქაში“ გამოქვეყნებულ ჩემს წერილებში „ვისაც სიმართლე აინტერესებს“ საკმარისი დოკუმენტები მოვიყვანე. გთავაზობთ კიდევ ერთ მასალას გაზეთ „ახალი თაობიდან“, რომლის მე-9 გვერდზე (1999 წ. 29 ივლისი) გაზეთის კორესპონდენტების ლადო სულაბერიძისა და გიორგი კვიტაშვილის პუბლიკაციაში სათაურით „ზვიად გამსახურდიას ბრძანებით, შევარდნაძის ჯარებთან ერთად ტყვარჩელი უნდა აგვეღო“ – აფხაზეთში მებრძოლი „შევარდნაძისტი“ (მთხრობელი პუბლიკაციაში ასეა წარმოდგენილი) გელა ძნელაძე აღწერს: „ოჩამჩირეში უმოკლეს დროში შეგროვდა მძიმე ტექნიკა და მეომრები. ამასთან ერთად შემოგვიერთდნენ, როგორც მე ვიცი, ზვიად გამსახურდიას ბრძანებით ლოთი ქობალიას შეიარაღებული ფორმირებები. ყველანი ერთად ვიდექით. დავიწყეთ მასირებული დაწოლა ტამიშის მიმართულებით“ და ა. შ. ბატონი ჭანტურიშვილი „მეხუთე კოლონობას“ მწამებს 1992 წ. 22 დეკემბერს, აფხაზეთის ომის შეწყვეტის მოთხოვნით მოწყობილი მანიფესტაციის გამო. ეს სხვა შემთხვევასთან დაკავშირებით რომ ეთქვა, ერთხელ მაინც გულიანად გავიცინებდი, მაგრამ რადგან ცილისწამება ძალზე ტრაგიკულ თემას ეხება, სიცილის გუნებაზე ვერ დავდგები. თუ ვინ შეასრულა „მეხუთე კოლონის“ როლი საქართველოში და ვინ განაგრძობს ამ როლის შესრულებას, ეს ყველამ იცის და ჭანტურიშვილის ცილისწამებები არ მაღელვებს. ამაღელვებელი მხოლოდ „ყოფილი დისიდენტის“ ესოდენ გამჟღავნებული რენეგატობა და კოლაბორაციონალიზმია. დროა შეწყდეს ისტორიის გაყ-

ალბება და უტიფარი სპეკულირება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს თემით ხელისუფლების ცალსახად გამოკვეთილი კაპიტულანტური პოლიტიკის ფონზე.

ჩემი ნათქვამის კონტექსტიდან ამოგლეჯით, მისი არასწორი ინტერპრეტირებითა და გაყალბებით, ბატონი თეიმურაზი, მკითხველის შეცდომაში შეყვანას ცდილობს; ვიქტორ რცხილაძისადმი მერაბ კოსტავას ნდობის განმსაზღვრელად, თაღლითურად წარმოაჩენს რა მათ შემოქმედებით ურთიერთობას, ბრალს მდებს სიცრუეში, თითქოს, მერაბის მიერ ვიქტორის ჟურნალისათვის საგანგებოდ დაწერილი წერილი ისე წარმოვადგინე, რომ თითქოს რცხილაძემ მ. კოსტავას, ცალკე, რაღაც წერილი აიღო და თავის ჟურნალში დაბეჭდა. „მაგრამ ტყუილს ხომ მოკლე ფეხები აქვს?“ რიტორიკულად კითხულობს იგი და მერაბის წერილის შინაარსზე მითითებს, რომელიც ჩემთვის ისევე კარგად არის ცნობილი, როგორც ბატონი ჭანტურიშვილისთვის, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ჯერ გავაანალიზოთ, თუ რამდენად სამართლიანია მისი ბრალდება ჩემს მიმართ, „ასავალ-დასავალის“ კორესპონდენტთან საუბარში მე ამ სიტყვებით: „ნდობის დასტურად ვერაფრით გამოდგება საკუთარ ჟურნალში საკუთარი წერილის გასწვრივ მერაბის წერილის გამოქვეყნება“, უბრალოდ, ანალოგირება მოვახდინე თავად ბატონ ვიქტორის ნათქვამისა: მერაბი „მენდობოდა კი არა, როდესაც 1988 წელს არალეგალური ჟურნალი „ძელი ჭეშმარიტი“ გამოვეცი, პირველ ნომერში ჩემი შესავალი წერილის გვერდით მერაბის ვრცელი წერილიც არის“ ... და ა. შ. (იხ. „ასავალ-დასავალი“, 30 ოქტომბერი – 5 ნოემბერი, 2000). მერაბისა და ზვიადის საუბრის გახსენებით კი ნათელვყავი, რომ მერაბი ვიქტორთან, ამჟამად, მხოლოდ რელიგიურ-ფილოსოფიურ ჟურნალთან დაკავშირებით ურთიერთობდა და არა პოლიტიკურ საკითხებზე, რაშიც აღარ ენდობოდა მას.

ახლა კი თავად ჟურნალის შესახებ: ჟურნალი „ძელი ჭეშმარიტის“ პირველი ნომერი, რომელშიც მერაბ კოსტავას ხსენებული წერილია გამოქვეყნებული, თავის დროზე მეც შევიძინე და იგი 1993 წლის სექტემბრამდე ჩემს ბიბლიოთეკაში ინახებოდა, მაგრამ 1993 წლის 24 სექტემბერს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით (კერძოდ – ზუგდიდში), შევარდნაძის რეჟიმის მიერ თბილისში ჩატარებული მასობრივი რეპრესიების დროს, მაშინდელი საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსის (ასევე ყოფილი დისიდენტის, ჩემი ყოფილი მეგობრისა და თანამებრძოლის) **ირაკლი ბათიაშვილის** სანქციით, ჩემს დასაპატიმრებლადაც წარმოგზავნილმა 12-მდე

შეიარაღებულმა პირმა (რომლებსაც მე სახლში არ დავხვდი) ჩაატარა რა ჩემი ბინის ჩხრეკა, წაიღო ჩემი არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის დაბრუნების მოთხოვნაზე რამდენიმე თვის წინ საჯარო განცხადება გავაკეთე (იხ. „ახალი ერა“, 5 სექტემბერი, გვ. 3.2000წ.). ვფიქრობ, ბატონი ვიქტორის ის არალეგალური ჟურნალი „ძელი ჭეშმარიტი“, წაღებული არქივის იმ ნაწილში მოხვდა, რადგან იგი ამ წერილთან დაკავშირებით მოვიძიე და ველარ ვიპოვნე.

აი, ეს არის სიმართლე ყველაფერ იმაზე, რაზეც თქვენ სიცრუეს წერთ. მე კი სიმართლე ვთქვი და კვლავაც ამ სიმართლით ვივლი!

ლეილა ცომაია

გაზ. „ახალი ეპოქა“, 15-17 დეკემბერი, 2000 წ.
„ჩვენი მწერლობის“ სალიტერატურო ჩანართი 2000 წ. N24

ქვაბავაზაკთთა დილემა

ვახტანგ ბახტაძემ, როდესაც მთაწმინდაზე მერაბ კოსტავას საფლავზე ავდიოდით, გზად ასეთი რამ მიამბო: 1992 წელს, სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ, გადავწყვიტე, საკუთარი ხარჯებით წიგნი გამომეცა მერაბზე. შეკრებილი მასალები სათაურით – “გამოთხოვება ეროვნულ გმირ მერაბ კოსტავასთან”- მივიტანე მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში დასაბეჭდად.გამოსაცემ წიგნს დავურთე სურათი ერთ-ერთი მიტინგიდან ზვიადისა და მერაბისა. სტამბის დირექტორმა მოკრძალებით მითხრა, რომ ამ სურათს რეტუშირებას გავუკეთებ, ზვიადს წავშლი, თორემ სხვაგვარად გართულდება წიგნის დაბეჭდვაო. ისე ძალიან მინდოდა ამ წიგნის გამოცემა, რომ იძულებული გავხდი დავთანხმებულიყავიო.

სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება ამგვარი მავნე პოლიტიკა ამ ისტორიული გმირების, უფრორე კი,ზვიადის მიმართ; ხუნტისმემკვიდრე ხელისუფალთ, თუ ცალკეულ პოლიტიკურ ძალებს, ლამის დილემად ექცათ ზვიად-მერაბის მონოლითური ერთობა და პოლიტიკური სიმბიოზი, სიკვდილის შემდგომაც რომ ვერ განუცალკევებიათ ერთმანეთისგან...

ისინი, ვინც, ზვიადისაგან განცალკევებით, მერაბის სიყვარულს იჩემებენ – ფარისევლობენ!

მსგავს ქვაბავაზაკებს, მერაბის „სიყვარულის“ მტკიცილი, ზვიადის წინააღმდეგ გასალაშქრებლად სჭირდებათ მხოლოდ...

ლეილა ციმბაია, ვახტანგ ბახტაძე
მერაბის საფლავთან, 2010 წელი.

ვინ წარმოადგენდა რუსეთის იმპერიულ ძალებს და მის აგენტურას საქართველოში 90-იან წლებში

დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ზვიად გამსახურდიამ** და მისმა უზენაესმა საბჭომ, 1991 წლის 31 მარტს, ჩაატარა საყოველთაო სახალხო რეფერენდუმი საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, რასაც დადებითი ხმა მისცა საქართველოს მოსახლეობის 98,9%-მა. ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, 1991 წლის 9 აპრილს მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. სულ მალე, საქართველოში, ამოქმედდნენ რუსეთის იმპერიული ძალები და თავიანთი აგენტურის მეშვეობით დაიწყეს შეიარაღებული დესტაბილიზაცია საქართველოს პრეზიდენტისა და მისი ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობის მიზნით.

ამასთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, 1992 წლის 14 იანვრის მიმართვაში განაცხადა: „**იმპერიული ძალების მიერ ინსპირირებულმა პუტჩმა უდიდესი უბედურება დაატეხა საქართველოს. პუტჩისტები ცდილობენ ხელისუფლების უზურპირებას, მთავრობის ჩამოყალიბებას, თუმცა მათი ყოველგვარი ქმედება უკანონოა და არაკონსტიტუციური. ა.წ. 6 იანვარს, მე საქართველოს კანონიერმა პრეზიდენტმა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა დავტოვეთ უზენაესი საბჭოს შენობა, რათა აღარ გაგრძელებულიყო ნგრევა და სისხლისღვრა..**“ ხოლო 1992 წლის 24 მარტის მიმართვაში, იარაღის ძალით განდევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია წერდა: „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის მოდერნიზებული იმპერია განაგრძობს არსებობას და ცდილობს ხელყოს ყოველივე ის, რასაც მივაღწიეთ წლების მანძილზე თავდაუზოგავ ბრძოლაში. იგი ინარჩუნებს საოკუპაციო ჯარებს ჩვენს ტერიტორიაზე, მათი მხარდაჭერით ცდილობს განამტკიცოს თავისი მარიონეტული კრიმინალური ხუნტა, რათა საქართველოს არ ეღირსოს სრული და ჭეშმარიტი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რაშიც რუსეთს ეხმარება დასავლეთის ზოგი სახელმწიფო, რომელიც სცნობს ხუნტას..”, ანუ შევარდნაძის რეჟიმს, რომელიც სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ, სამხედრო საბჭოს მოწვევით 7 მარტს ჩამოვიდა საქართველოში.

ლექსები „ქრისტეშობა“ და „ქვაბავაზაკი“ ზვიად გამსახურდიას არ ეკუთვნის!

სანამ უშუალოდ საკითხის არსზე გადავიდოდე მინდა აღვნიშნო, რომ მე, არც ლიტერატურის მკვლევარი გახლავართ და არც ლიტერატურის კრიტიკოსი, უბრალოდ მიყვარს ლიტერატურა და კალამიც თავადაც მომისინჯავს ამ დარგში. ბატონ ზვიად გამსახურდიას ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი (პოეზიისადმი) კი ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მოტივირებულია მისი, როგორც პოლიტიკური ფიგურის მიმართ, პოეტური ქმნილებების ჟონგლიორთაგან დაცვით. საზოგადოდ ცნობილია, რომ ზვიად გამსახურდიას მტრები და ყალბისმქმნელები, არც სიცოცხლეში აკლდა და არც სიკვდილის შემდგომ აკლია. ჩვენს ამჟამინდელ დავის საგანს კი, ზვიად გამსახურდიას სახელით გავრცელებული რამდენიმე ლექსი წარმოადგენს. ესენია: „ჩემი თაობა“, „ქვაბავაზაკი“ და „ქრისტეშობა“.

როგორც გამავრცელებელთაგან ირკვევა, სამივე ლექსი ზვიადის სიცოცხლეშივე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ხალხში, თუმცა უცნობია, იცოდა თუ არა ამ ლექსების შესახებ თავად ზვიადმა. მე, როგორც ზვიადთან მეტ-ნაკლებად დაახლოებულ პირს, ამის შესახებ არაფერი მსმენია მისგან და თავად ჩემთვისაც ამ დრომდე უცნობი იყო პირველი-ორი ლექსის ზვიადისად გავრცელების ფაქტი. ხოლო, რაც შეეხება მესამე ლექსს „ქრისტეშობა“ იგი მეც, ზერელობით, ზვიდისად მიმაჩნდა. ლექსი, ზვიადის გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა ჯემალ დავლიანიძის რედაქტორობით გამომავალ ეროვნული მოძრაობის გაზეთ „საქართველოს სამრეკლო“-ს ბოლო გვერდზე (N 1, 16-23 ნოემბერი, 1996 წელი), რომელიც 07.01.92 წლითაა დათარიღებული და სტამბურ ტექსტს ახლავს ზვიად გამსახურდიას, როგორც ავტორის ფაქსიმილე.

გაზეთის რედაქტორის ჯემალ დავლიანიძის ზეპირი თქმით, ეს ლექსი მას გამოსაქვეყნებლად გადასცა აწ გარდაცვლილმა აკადემიკოსმა **ვახტანგ ბოჭორიშვილმა**, რომელსაც ბატონი ზვიადის დაკრძალვისას გროზნოდან ჩამოუტანია ხელნაწერის სახით, თუმცა ლექსი ხელმოუწერელი ყოფილა და არც თავად ტექსტიც იყო ზვიად გამსახურდიას ხელნაწერი, მაგრამ რადგან გროზნოდან ჩამოიტანა, ჩაითვალა, რომ ლექსი ზვიდ გამსახურდიას ეკუთვნოდა. უცნობი დარჩა, ბატონი ბოჭორიშვილისათვის, ხელნაწერი ლექსის გადამცემის ვინაობაც. ხელნაწერი ვარიანტი კი საბოლოოდ ჩავარდნილა

რედაქციის თანამშრომელ **ზაურ იობაიას** ხელში, ვისგანაც დაკარგულა, ხოლო მოგვიანებით კი თავად იობაიაც გარდაიცვალა. იობაიას პასუხში, რომ, თითქოს, ლექსი "ქრისტეშობა" მანამდე სხვაგანაც იყო გამოქვეყნებული, იგი უთუოდ გულისხმობს უზენაესი საბჭოს დეპუტატ ზვიად ბოკუჩავას მიერ 1995 წელს გამოცემულ კალენდარს, რომელზედაც გამოქვეყნებული იყო ეს ლექსი დეპუტატ ბეჟან ჯავახიასგან გამოთხოვილი ზვიადის ეკლესიური სურათით.

ბატონი ჯემალ დავლიანიძის თქმით კი, ლექსი, გამოქვეყნებამდე, ბატონ მუხრან მაჭავარიანისათვის მიუტანია და მისთვის უკითხავს, შეიძლებოდა თუ არა ეს ლექსი ზვიადის დაწერილი ყოფილიყო, რომლისგანაც სათუო პასუხი მიუღია: „შეიძლება...“ და მხოლოდ მას შემდეგ გადაუწყვეტია მისი გაზეთში დაბეჭდვა. თუ ლექსის განთავსების ადგილის მიხედვით ვიმსჯელებთ (განთავსებულია გაზეთის ბოლო, მერვე გვერდზე), რედაქტორი მთლად დარწმუნებული ვერ უნდა ყოფილიყო ზვიადის ავტორობაში, თორემ უფრო საპატიო ადგილს (წინა გვერდს) მიუჩენდა ლექსს. ეს ჩემი სუბიექტური აზრია და მას მხოლოდ არსებობის უფლება აქვს.

ლექსის გამოქვეყნებისთანავე, ჯემალ დავლიანიძეს, ცხარე პოლემიკა გაუმართა აწ გარდაცვლილმა მწერალმა **ომარ გოჩელაშვილმა**, რომელიც კატეგორიულად უარყოფდა ლექსზე ზვიადის ავტორობას (გაზეთები: „აღდგომა“ N51(148), 1996 წლის დეკემბერი, სათაურით „პრეზიდენტის დისკრედიტაცია თუ მისი სახელით სპეკულაცია?“, გაზ. „აღდგომა“ N3(156), 1997 წლის იანვარი, სათაურით „საქართველოს სამრეკლო“ სარისხვო ზარს რეკავს“, გაზ. „ოქროს საწმისი“, N19, 1997 წლის, სათაურით „უცილობლობს, ვითა ჯორი“ და სხვ.). ომარ გოჩელაშვილის მოსაზრებას პირად საუბრებში იზიარებდნენ პოეტები ირინე ტალიაშვილი, მზისადარ ნავროზაშვილი და სხვები.

„ქრისტეშობის“ ზვიად გამსახურდიას ავტორად საეჭვოდ მიიჩნევს ცნობილი ლიტერატორი და დეპუტატი მრგვალი მაგიდიდან, თემურ ქორიძე და გამოთქვამს სურვილს შეუდგეს ზვიადის პოეზიის კვლევას.

ომარ გოჩელაშვილის პოლემიკას რადიკალურად მწვავე რეაქცია მოჰყვა, როგორც გაზეთ „საქართველოს სამრეკლოს“ რედაქციის მხრიდან, ასევე გაზეთის პასუხისმგებელი მდივნის (შემდგომში, ერთ-ერთი რედაქტორი) ზურაბ წულაიას ცალკე წერილით „ჩვენი განმარტება“ (იხ. დასახელებული გაზეთი 23-31 დეკემბერი, N4(34), 1996 წელი, გვ.3). ხოლო ამავე გაზეთის მომდევნო ნომერში, ზაურ იობაიამ, სათაურით „ფინაჩი“, პიროვნულად გააცამტვერა ომარ გოჩელაშვილი (იხ. 7-14 იანვარი, 1997 წ. N5(35), გვ.5). თუმცა, მე ვერც გოჩელაშვილის წერილის პათოსს გავიზიარებ, რომ

თითქოს „საქართველოს სამრეკლოს“ რედაქციას (ან, თუნდაც, კალენდრის გამომცემელს), ამ ლექსის ზვიადისად გამოქვეყნებით, რაიმე უკეთური მიზანი ამოძრავებდათ (ზვიადის დისკრედიტაცია, მისი სახელით სპეკულირება და სხვ.).

უნდა ითქვას, რომ გოჩელაშვილის პიროვნული გაცამტვერების გარდა, თავად პოლემიკის საგანზე (ლექსზე), გაზეთის რედაქციის მხრიდან საერთოდ არაფერი თქმულა, გარდა ლიტონი შეპირებისა, რომ „ლექსის წარმოშობაზე... შევეცდებით ჩვენეული ანალიზი და პასუხი შემდეგ ნომრებში შემოგთავაზოთ“ (ზურაბ წულაია), რაც დაპირებად დარჩა.

ლექსთან დაკავშირებული მითქმა-მოთქმა, დროთა განმავლობაში ჩემს მეხსიერებაში დაილექა; გასული, 2012 წლის 31 დეკემბერს, ზვიადის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ მცირე მოგონებასთან ერთად, ინერციით მეც წამიცდა ხელი ზვიადისეულად წოდებულ ამ ლექსზე და facebook-ში გამოვაქვეყნე, რასაც მალევე ზვიადის უფროსი ვაჟის კონსტანტინე გამსახურდიას გამოხმაურება (შენიშვნა) მოჰყვა: “მინდა მოგახსენოთ ჩემი თვალსაზრისი, რომ ლექსი „ქრისტესშობა“ ზვიად გამსახურდიას კალამს არ ეკუთვნის. ესაა ფსევდოეპიგრაფი. იგი არც ერთ პუნქტში არ შეესაბამება მის ტროპიკას, სახისმეტყველებას, რითმათწარმოებას, თეოლოგიას ისე, როგორც ეს იკვეთება მის ერთადერთ პოეტურ კრებულში "მთვარის ნიშნობა" (პირველად გამოიცა 1989 წელს). ამ ლექსში იმადროულად არის რამოდენიმე ლიაფსუსიც. იმის გამო, რომ ხსენებული პოეტური კრებული მიჩქმალული იყო, ბევრი არ იცნობს მას, ხოლო ბევრისთვის იგი მეტისმეტად რთულია, როგორც ჩანს. ზვიად გამსახურდიას პოეზია, რომელიც სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ ლიტერატურაში და სრულიად ორიგინალური და თვითმყოფადია, მომავალში უთუოდ გახდება პროფესიონალური შესწავლის საგანი. რაც შეეხება ამ ლექსს, (ანუ "ქრისტესშობა") შესაძლოა მის დამწერს მართლაც არ ამოძრავებდა ცუდი ზრახვა – რამდენადაც ეს ლექსი ადვილად გასაგებია და ახდენს ემოციურ ზემოქმედებას ადამიანებზე (ანუ ავტორს უნდოდა ადამიანების ყურადღება მიექცია ზვიად გამსახურდიას ტრაგიკულ ცხოვრებასა და ხვედრზე.)”.

ამ მოკრძალებულმა შენიშვნამ გადამაწყვეტინა თავადაც დავინტერესებულიყავი საკითხით და დავიწყე წყაროების მოძიება. პირველწყაროდ, რასაკვირველია ავიღე ზვიად გამსახურდიას ერთადერთი ლექსების კრებული „მთვარის ნიშნობა“, რომელიც კიდევ ერთხელ სრულად და ამჯერად სხვა თვალით წავიკითხე. 1989 წელს გამოცემულ ამ კრებულში, 1992 წლის 5 იანვრით დათარიღებული ლექსი „ქრისტეშობა“, რაღა თქმა უნდა, არ მიძებნია, მაგრამ წინარე ორ ლექსს კი მთელი გულისყურით და მონდომებით

დავუწყე ძებნა, წიგნის ფურცლებიც კი გადავთვალე, ვინძლო, ფურცელ-ნაკლული (ამოხეული) არ ყოფილიყო! 1980-იან წლებში ხალხში ხელნაწერით გავრცელებული, არც ქვემომოყვანილი ლექსები აღმოჩნდა ამ კრებულში .

ჩემი თაობა

შიშში აღზრდილი, უნდობლობაში დაკაცებული,
ციხის მუქარით გამწარებული,
მე მეცოდება კასტრირებული ჩემი თაობა,
ვისაც ღალატად უთვლიდნენ სინდისს
და უმეცრებად გამბედაობას.
სხვისი ბრძანებით ნამღერი ჰიმნით,
სხვისი ბრძანებით ნაკითხი წიგნით,
დიბერმანივით ერთნაირი გარეთ და შიგნით.
მე მეცოდება კასტრირებული ჩემი თაობა.
ან გაყიდული სულით ხორცამდე,
ან ციხე-ციხე ნათრევ-ნაცემი,
ან დარდით ღვინის კასრში ჩამხრჩვალი,
ან ჩინ-მედლებით სავსე, გამცემი,
რაც ჰქონდა წმინდა
ყველაფერი ხელში დაობდა.
თან მეცოდება, თან მეზიზღება
ჩემი თავიც და ჩემი თაობაც.
რა გააჩნია? რა დატოვა? რას გაიხსენებს?
პირუტყვის შიში, გადამდები სენი საზარი,
თუ თავის ყოფის სირცხვილი და არარაობა,
მე მეცოდება კასტრირებული ჩემი თაობა.
დღეს თამაშია ვნებათა ღელვის,
მხოლოდ თამაში, გრძელი, გაბმული,
სირცხვილი იმას, რაც სულს აკლია!
ეს სპექტაკლია, ცუდად დადგმული
და ყალბი ასლი სინამდვილისა!
ქალები ბერწნი, ვაჟნი ცვედანნი
- აი დედანი!

ზ.გ.

ქვაბავაზაკი

ის წინაპართა სიწმინდეს ბილწავს
და არის სუკ-ის ერთგული ძაღლი,
ეკლესიისას აფერხებს წინსვლას,
სარწმუნოების მტერია ახლის.

შენიღბულია წმინდა სამოსით,
როგორც ცხვრის ქურქით მგელ-მტაცებელი,
მიყიდული აქვს მტრისთვის ნამუსი,
არის მზაკვარი, დამტაცებელი.

იგი მამონას სახელით გნათლავს
და ბელზებელის სახელით გლოცავს,
ის ნათლობისთვის წაგგლიჯავს ათმაგს,
ქორწინებისთვის წაგგლიჯავს ოცმაგს.

ამასხარავებს, ამოკლებს წესებს
ლაზღანდარობით, ქილიკით, გესლით,
მისი ბაგენი ჭორს და ღვარძლს თესენ,
მის ყურებს მხოლოდ დასმენა ესმით.

აღსარებაზე ფხიზლობს ჯაშუში,
რათა დოსიე შეავსოს შავი,
ხან იკეტება რწმენის ნაჭუჭში,
რომ მოგაჩვენოს წმინდანად თავი.

ვაჭრობს ხატებით, სოვდაგრობს ჯვრებით,
შავი დღისათვის იძენს ქონებას,
ვისაც ჩაიგდებს ძალით თუ ნებით,
დააკარგვინებს თავს და გონებას.

შემოიკრიბა ირგვლივ მსყიდველნი,
ლესბოსელნი და მამათმავალნი,
ჭორებისა და ღვარძლის მთესველნი,
გესლიანნი და ენამრავალნი.

ტაძარი ღვთისა, მადლისა მფენი
ისე სწამს, როგორც მექა ან ქაბა,
მას წმინდა სახლი მამისა ჩვენის
გარდუქცევია ავაზაკთ ქვაბად.

ის შემოგზავნა აქ ანტიქრისტემ,
რათა დაამხოს ღვთის ეკლესია,
მახე დაუგოს მიამიტ თვისტომს
და დაავიწყოს ღმერთი მესია.

წარწყმედილია სოდომის ცოდვით,
ის არ იხილავს ზეცას აროდეს,
მისი სახელი არის ჰიპოკრიტ,
მის მწყემსობიდან ზეცა გფარავდეს.

ზვიად გამსახურდია

დიახ, არც ერთი ამ ლექსთაგანი არ არის შეტანილი ზვიადის სიცოცხლეში, 1989 წელს გამოცემულ ლექსების კრებულში, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად „მთვარის ნიშნობაში“, აგრეთვე არ არის შეტანლი, არც მერაბ კოსტავასადმი 1985 წელს მიძღვნილი ლექსი „წამებულ ძმისადმი“ . ხსენებული ლექსი ზვიად გამსახურდიას მხოლოდ მოყვანილი აქვს მისი რედაქტორობით გამოცემულ მერაბ კოსტავას ლექსების კრებულის (გამოიცა 1990 წელს) წინათქმაში „ძე ქარიშხლისა“, სადაც ზვიადი წერს: „ირაკლის (მერაბ კოსტავას ვაჟის – **ლ.ც.**) ტრაგიკული თვითმკვლელობის შემდეგ კვლავ მომივიდა ციმბირიდან ცნობა, მერაბი განწირულიაო!... ავტეხე ხმაური. იმხანად ამოხეთქა ჩემი გულიდან პასუხმა მის ლექსზე (გულისხმობს „ძმას ქრისტესმიერს“ — **ლ.ც.)**, რომელსაც ახლა ვაქვეყნებ“. და სწორედ აქ აქვეყნებს მერაბისადმი მიძღვნილ ლექსს “წამებულ ძმისადმი“.

ამგვარად, ის არგუმენტი, რომ ზემოყვანილი ლექსები („ჩემი თაობა“, „ქვაბავაზაკი“) იმიტომ არ შეიძლება იყოს ზვიადის, რომ ზვიადის კრებულში არ არის შეტანილი, ვფიქრობ, მთლად მყარ არგუმენტად ვერ გამოდგება.

1999 წელს, ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით, პრეზიდენტის ქვრივმა მანანა არჩვაძე- გამსახურდიამ საკუთრივი რედაქტორობით გამოსცა ზვიადის ლექსების კრებული „მთვარის ნიშნობა“, რომელშიც შეუტანია მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი ზვიადის ლექ-

სი „წამებულ ძმისადმი“. ამასთანავე, კიდევ რამდენიმე (შვიდი) ახალი ლექსიც, მათ შორის, სადაოდ ქცეული 1992 წლის 5 იანვრით დათარიღებული – „ქრისტეშობაც“. ისევე, როგორც „ქრისტეშობა“, დანარჩენი ახალი შვიდი ლექსიც, ზვიადისეული კრებულის ლექსებისაგან მკვეთრად განსხვავდება, როგორც სტილით, ასევე მხატვრული ღირებულებითაც. აი, ქალბატონი მანანას მიერ გამოცემულ რვეულში შეტანილი ეს ლექსიც!

ქრისტეშობა

ღიმილი და მილოცვები
თუმცა ბევრი გავეცით
ქრისტე აღსდგა – ჭეშმარიტად
ხოლო ჩვენ კი დავეცით
ალბათ თვითონ ღმერთი ირჩევს უცნაური რამეა,
ქრისტეშობა თითქმის მუდამ საოცარი ღამეა,
დეკემბერი დააჭენებს ყინვით ნახატ ეტლებსა
ამ ღამით ხომ წამებული ქრისტე იშვა ბეთლემსა.
მერე ზეცად აღევლინე, არ გიგუეს მიწაზე,
ნუთუ აღარ დაბრუნდები ცოდვილი დედამიწაზე.
ზეცად ასულს უკან გაგყვა ლოცვა ცრემლის დამდენი,
ქვეყნად ერთი ქრისტე დარჩი და იუდა რამდენი.
ალბათ მისთვის გაიაფდა ღალატი და გაცემა,
ფეხზე დგომა არის ძნელი ადვილია დაცემა!
მეც დავრწმუნდი, არ გამქრალა ქვეყნად შური და მტრობა,
მეც მომიწევს ლეონარდოს საიდუმლო სერობა.
და წარსული სიზმრად მექცა, მომავალი ოცნებად,
მეგობარი ვეღარ მიცნობს, მნახავს და გაოცდება.
ქრისტეშობას, სხვა ჩემს გარდა, სევდას ვინ დაიბედებს,
ძველი წელი ხსოვნას მართმევს, ახალი კი იმედებს.
ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა! ჩემი სული ცას უხმობს,
ჭეშმარიტად! – კვლავ იუდა ნიშნისგებით მპასუხობს.
თუმცა შუბლზე სამარცხვინო მინდა დაღი დავაკრა,
ჯვარს ვერ ვკადრებ, ქრისტეს მერე ზედ იუდა გავაკრა.
შერცხვენილი, წარწყმენდილი ეგდოს ქვეყნად ეთრიოს,
ხოლო შენზე მრავალ მლოცველს კვლავაც ღამე ეთიოს.
რწმენა ძნელად გადარჩება, ხატი უფრო ადვილად,
ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად, ქრისტე აღსდგა, ნამდვილად!

5.01.92 წელი

ზუსტად ასეა დაბეჭდილი ეს ლექსი ქალბატონ მანანასეულ თვითგამოცემაში, ხოლო ხალხში ხელნაწერის სახით გავრცელებულ ვარიანტებში, ლექსის თარიღად ზოგან აღნიშნულია 7.01. 92 წელი, ხოლო ზოგ შემთხვევაში თარიღი საერთოდ არა აქვს დასმული. ამასთანავე, ერთ-ერთ ხელნაწერ ვარიანტში (გრაფიკული ჩარჩოთი გამშვენებულ) ლექსს სათაურად გაკეთებული აქვს ლექსის მეათე სტრიქონი – „ფეხზე დგომა არის ძნელი, ადვილია დაცემა!“ რომელზედაც ხელმოწერად, თუმცა დასმულია ზვიად გამსახურდიას ფაქსიმილე, მაგრამ ლექსის ხელნაწერს და ფაქსიმილეს შორის სხვაობა თვალითაც კარგად საჩინოა. ანუ, საქმე გვაქვს ტექნიკურ მანიპულაციასთან.

ამავე ხელნაწერ ვარიანტში, ქალბატონ მანანას ტექსტზე ეპიგრაფად წამძღვარებული კუპლეტი („ღიმილი და მილოცვები...“), მავანის მიერ თავად ლექსის სტრიქონებადაა დართული. ამგვარი ტექსტოლოგიური ლიაფსუს-ცვლილებები ხელნაწერებზე დაბედებული ზოგადი სენია და ამგვარ თამამ სენს ვერ ასცდა თვით „ვეფხვისტყაოსანიც“.

ჩვენს ხელთ არსებული ქალბატონ მანანას მიერ დაბეჭდილი ზვიადის ლექსების „კრებული“ კი, ჩვენი თვალსაზრისით, არ შეიძლება ჩაითვალოს სერიოზულ გამოცემად მრავალ მიზეზთა გამო. კერძოდ: კრებულს არ გააჩნია საგამომცემლო ინდექსი, მითითებულ-დამისამართებული არ არის წიგნის გამომცემლობა და სტამბა, წიგნს არ ჰყავს დარგის სპეციალისტი რედაქტორ-გამომცემელი და რეცენზენტი, რომლებიც ორ სტრიქონიან ანოტაციას მაინც დაწერდნენ და გვამცნობდნენ, რომ ეს „წიგნი“ წარმოადგენს მეორე და შევსებულ გამოცემას და თავიდან აგვაცილებდნენ „ახალი ლექსების“ უკრიტიკოდ შეტანასაც.

ამდენად, „მთვარის ნიშნობით“ დასათაურებული ზვიად გამსახურდიას ახალი „კრებული“, რეალურად, წარმოადგენს მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მიერ 1999 წელს თვითგამოცემულ რვეულს, ხოლო 1989 წელს გამომცემლობა „მერანის“ მიერ გამოცემული ზვიად გამსახურდიას ლექსების კრებული „მთვარის ნიშნობა“ კი, დღემდე რჩება ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად.

მე მზად ვარ, ჩემს ხელთ არსებული ყველა მასალა საძიებელ წყაროდ გადავცე კომპენტენტურ ლიტერატორ-მკვლევართ, რათა დადგინდეს ყველა სადაო ლექსის კუთვნილება თუ წარმომავლობა.

სამწუხაროდ, მე ვერ მოვიპოვე კალენდარი ხსენებული ლექსით, თავად გამომცემელ ზვიად ბოკუჩავასგანაც კი, რითაც გამაკვირვა მისმა დამოკიდებულებამ მიძღვნითი კალენდრისადმი, რისი თუნდაც ერთი ეგზემპლარის საარქივოდ შენახვის სურვილი და ნება არ გასჩენია მას. ამგ-

ვარივე დამოკიდებულებით უნდა ავხსნათ კალენდრის გამოცემის ზუსტი თარიღის "ამოვარდნაც" მისი მეხსიერებიდან!

ამიტომაცაა აუცილებელი, რომ ყოველი ადამიანი, ყოველგვარ საქმიანობაში, გულწრფელი და კომპეტენტური იყოს!...

ჩემი ვარაუდით, მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ბეჭდურ რვეულში ზვიადის კუთვნილებად შეტანილი „ქრისტეშობა" და ბოლო ექვსი ლექსიც, შეიძლება ეკუთვნოდეს, ასევე პოეტსა და მთარგმნელს ცოტნე გამსახურდიას, რომელიც 1992 წლისთვის, სრულიად მოწიფული, მე-16-ე წელში გადამდგარი ყმაწვილი გახლდათ და რომლისთვისაც უცხო და შორებელი ვერ იქნებოდა საქართველოს იმდროინდელი ტრაგიკული ვითარება, რასაც ლეგიტიმურად ერწყმოდა მისი ოჯახის პირადი ტრაგედიაც, რამაც ყმაწვილის გულში გაელვებად შვა ამგვარი უნუგეშობა: „ქრისტეშობას, სხვა ჩემს გარდა, სევდას ვინ დაიბედებს? ძველი წელი ხსოვნას მართმევს, ახალი კი – იმედებს," რაც ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის" მომხრეებმა, ზვიადის დეპრესიულობის სასურველ ფრთიან ფრაზად აქციეს...

რაც შეეხება ლექსს „ქვაბავაზაკი" (და ლექსიც „ჩემი თაობა"), რომელსაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის წინააღმდეგ მარჯვედ იყენებს facebook-ში, ხან Bakur Tsiklauri-ს, ხან პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელით შემოსული ბესარიონ გუგუშვილი, ასევე ერთობ საეჭვოა, რომ ზვიად გამსახურდიას ეკუთვნოდეს.

ლეილა ცომაია

გაზეთი „განმათავისუფლებელი" №34, 2013

კვლავ ზვიად გამსახურდიას კუთვნილებად მიჩნეულ ლექსების გამო

როგორც ჩვენს მკითხველებს შევპირდით („განმათავისუფლებელი“ №34, გვ.11,13), ზვიად გამსახურდიას კუთვნილებად მიჩნეულ ლექსებზე („ჩემი თაობა“, „ქრისტეშობა“ და „ქვაბავაზაკი“) კვლევა გავაგრძელეთ და ამ წერილით ვასრულებთ მას. კვლევის შედეგად კი დადგინდა, რომ ლექსის – „ჩემი თაობა“ – ნამდვილი ავტორი გახლავთ *ლ ი რ ი კ ო ს ი* პოეტი პეტრე პეტრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი (გარდაიცვალა 1984 წელს, დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში). ჩვენ, სიტყვა „ ლირიკოსს“, პოეტ პეტრე გრუზინსკის მიმართ შეგნებულად გავუსვით ხაზი, ვინაიდან ბატონი პეტრეს ლირიკული ლექსებისგან მკვეთრად განსხვავებული „დისიდენტური“ სულისკვეთების (და ასეთი მას სულ ხუთიოდე ლექსი აქვს) ამ ლექსში იგი მებრძოლ რაინდად და გულმხურვალე პატრიოტად წარმოჩინდება. პატრიოტული სულისკვეთების გაჟღერება გახლდათ მისი ხელნაწერი ჟურნალი „ანათემა“ (1944 წ.), რომელშიც პოეტი წერდა: „დღეს ბაგრატიონს აღარ მარტყია მეფე ერეკლეს პირბასრი ხმალი...“ როგორც მოგეხსენებათ, ბატონი პეტრე საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII პირდაპირი შთამომავალი გახლდათ.

რეპრესირებული პეტრე გრუზინსკის პატრიოტული ლექსები საბჭოთა პერიოდის ცენზურის მიერ აკრძალული იყო და ხალხში ხელნაწერის სახით ხელმოუწერლად ვრცელდებოდა. უთუოდ ამან განაპირობა მოგვიანებით მის ლექსზე ზვიადის ინიციალების გაჩენა მავანი მკითხველის მიერ. პეტრე გრუზინსკის ლირიკაზე შექმნილი სიმღერები კი დღესაც სიამით გვივსებს გულებს.

ჩემდა სამარცხვინოდ ჩემთვის დღემდე არ იყო ცნობილი 2009 წელს პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ლექსების სრული კრებულის გამოცემის შესახებ. ჩვენი გაზეთის უხუცესმა მკითხველმა, 93 წლის ქალბატონმა თინა თუაშვილმა დამირეკა და მამცნო, რომ ლექსი „ჩემი თაობა“ პეტრე გრუზინსკის ახალ გამოცემაში პირველ ლექსად არის შეტანილიო. მე მაშინვე ვეწვიე მას, რომელმაც გარკვეული დროით მათხოვა ეს აკადემიური გამოცემა (გამოცემა ეკუთვნის გიორგი ლეონიძის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს). ამ სქელტანიან წიგნში სადავო ლექსი „ჩემი თაობა“ (რომელიც ადრე ელიზბარ ჯაველიძის რედაქტორობით

გამომავალ გაზეთ „აისშიც“ მცდარად დაიბეჭდა, როგორც ზვიად გამსახურდიას ლექსი) , თუმცა უსათაუროდ, მაგრამ მართლაც პირველ ლექსად აღმოჩნდა შეტანილი და თანაც ლექსის სრული ვერსიითა და დაწერის თარიღის მითითებითაც – 1948 წელი, რისი გაცნობისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ქალბატონ თინა თუაშვილს.

მაშასადამე, ამ წიგნის მიხედვით დასტურდება, რომ ლექსი „ჩემი თაობა“ ეკუთვნის პოეტსა და თეატრის რეჟისორს პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის.

ლექს „ქრისტეშობასთან“ დაკავშირებით კი, 9 თებერვალს, მოკლე წერილის თანდართვით, Facebook-ზე გაზეთის ლინკი გავუგზავნე ჩემს მიერ ამ ლექსის სავარაუდო ავტორად შერაცხულ ცოტნე გამსახურდიას, მაგრამ მან წერილზე პასუხს დუმილი ამჯობინა. ანუ, არც დაადასტურა და არც უარყო ჩემი ვარაუდი (იხ. მისდამი მიწერის ტექსტი).

(საუბარი დაიწყო 7 თებერვალის)

Tsotne_Gamsakhurdia

Leila_Tsomaia

გამარჯობათ ცოტნე, გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ მე-11 გვერდზე განთავსებულ მასალას და ამასთანავე გთხოვთ, თქვენს პირუთვნელ პასუხს საგაზეთოდ. http://iberiana2.files.wordpress.com/2013/01/n34.pdf

მინდა ბოდიშის მოხდით განვაცხადო, რომ ვინაიდან მე ფორს-მაჟორულ ვითარებაში აღმოვჩნდი მკვლევარის ამპლუაში, ჩემს წინა პოლემიკაში დრო არ მეყო მეტი წყაროების მოსაძიებლად, რაც ყველაზე მეტად დაეტყო ლექსებს „ჩემი თაობა“ და „ქვაბავაზაკი“ . ეს უკანასკნელი ლექსი („ქვაბავაზაკი“) ირინე ტალიაშვილს 2000 წელს დაუბეჭდავს თავისი რედაქტორობით გამომავალ ჟურნალში „კარდუ“, როგორც ზვიად გამსახურდიას მიერ 80-იან წლებში დაწერილი ლექსი (იხ. „კარდუ“ N2, გვ.24).

ზემოხსენებული ლექსი, უფრო უადრეს კი შეტანილი აქვს კონსტანტინე გამსახურდიას (უმცროსი) თავის 1997 წელს გამოცემულ წიგნში

(რომელიც წაკითხული მქონდა, მაგრამ არ მახსოვდა) „დინების საწინააღმდეგოდ“ (გვ. 50-52) და მასვე, თავისი სიმამრის ჯონდო ბარდაველიძის მეშვეობით გადაუცია დასაბეჭდად ჟურნალ „კარდუსთვის“. თავად კონსტანტინე იმ დროისათვის იძულებით ემიგრაციაში – შვეიცარიაში იმყოფებოდა (დაბრუნდა 2003 წელს).

ბატონი კონსტანტინეს თქმით, ლექსი „ქვაბავაზაკი“ ნამდვილად ზვიად გამსახურდიას ეკუთვნის და მას ზვიადის ხელნაწერ ორიგინალში აქვს ნანახი და წაკითხული, მაგრამ ლექსი, არამც და არამც არ ასახავს ამჟამინდელი პატრიარქის ილია II-ის პერიოდის ეკლესიის მამების მდგომარეობას (შეგახსენებთ, რომ ილია II კათოლიკოს პატრიარქად აღსაყდრება მოხდა 1977 წელს), არამედ დაწერილია, უფრო ადრე, 1973 წლამდე და კონკრეტულად ამხელს გაიოზ (ბიძინა) კერატიშვილსა და მისი ტიპის სამღვდელო პირებს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II და დავით V (დევდარიანი) პერიოდისას. ასე, რომ მცდარია ირინა ტალიაშვილის წინათქმა ლექსის დაწერის თარიღისა.

შესახსენებლად მკითხველს ამ ათ კუპლეტიანი ლექსიდან, ვთავაზობთ, ერთ საწყის კუპლეტს:

„ის წინაპართა სიწმინდეს ბილწავს
და არის სუკის ერთგული ძაღლი,
ეკლესიისას აფერხებს წინსვლას,
სარწმუნოების მტერია ახლის...“

კონსტანტინესავე თქმით, ზვიადი ამ ლექსს არანაირ მხატვრულ ღირებულებას არ ანიჭებდა, რაც უთუოდ გახდა მიზეზი, რომ ავტორმა იგი არ შეიტანა 1989 წელს გამოცემულ თავის ლექსების კრებულში „მთვარის ნიშნობა“.

ამ წერილით მე ამოვწურე კვლევა სადავო ლექსებისა და თუ ვინმეს გაუჩნდება სურვილი არგუმენტირებული პოლემიკისა, სიამოვნებით დავუთმობ გაზეთის გვერდებს.

ლეილა ცომაია
გაზეთი „განმათავისუფლებელი“ №35, 2013

„ღირსების სასამართლოს“ ვიდეო – ზვიადის მოწინააღმდეგეთა უღირსობის დემონსტრირება

საბჭოთა ტოტალიტალური სისტემის პირმშო დისიდენტმა ზაქარია ლაშქარაშვილმა, ვიდეო, სახელწოდებით „ღირსების სასამართლო“, მიმდინარე – 2015 წლის 15 მარტს, youtube-ზე სრული ვერსიით განათავსა. ლაშქარაშვილი, რომელსაც დღემდე არ განელებია ზვიად გამსახურდიასადმი მტრობა და სიძულვილი, ამ ქმედებით, თავის მხრივ უთუოდ შეეცადა მოახლოებული ისტორიული თარიღების – 31 მარტისა და 26 მაისის დაჩრდილვას, თუმცა მან მხოლოდ თვითლუსტრირება მოახდინა პოსტ-საბჭოური საზოგადოების თვალში.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ჟურნალ „ივერიის“ 1988 წლის მე-8 ნომერში გამოქვეყნდა ანონიმური პასკვილი ზვიადის წინააღმდეგ 1978 წლის სასამართლო პროცესზე მისი ტაქტიკური უკანდახევის („მონანიების“) შესახებ და სასამართლო პროცესის ფალსიფიცირებული ვერსია „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტების პაიპერისა და უიტნისა. ხსენებულმა უცხოელმა ჟურნალისტებმა, ზვიად გამსახურდიას ე.წ. მონანიების შესახებ, თავიანთ პრესაში დაწერეს სიმართლე, რომ გამსახურდიას არ მოუნანიება თავისი ძირითადი საქმიანობა და რომ სასამართლო პროცესზე პოლიტპატიმარ ზვიად გამსახურდიას გამოსვლის შემოკლებული ვიდეო-ჩანაწერი იყო საბჭოთა ტელევიზიის ფაბრიკაცია. ამ სტატის გამო, უცხოელ კორესპონდენტებს, უჩივლა რუსეთის ცენტრალურმა ტელევიზიამ და მოსკოვის სასამართლომ მათ დააკისრა, მათივე გაზეთში უარეყოთ რუსეთის ცენტრალური ტელევიზიისადმი წაყენებული მათმიერი ბრალდება. ამასთანავე, თითოეულ მათგანს, სასამართლოზე დაუსწრებლად დააკისრეს თანაბარი ფულადი ჯარიმები საბჭოთა მანეთებით 1144 რუბლი და 54 კაპიკი რუსეთის ტელევიზიის სასარგებლოდ.

ილ. ჭავჭავაძის საზოგადოებამ, თავიანთი ჟურნალის ამავე ნომერში ეჭქვეშ დააყენა მერაბ კოსტავას განცხადებებიც (რუსულ თვითგამოცემა „გლასნოსტში“, ქართულ თვითგამოცემა „მატიანეში“ და ბონერისადმი გაგზავნილ წერილშიც) ზვიად გამსახურდიას „მონანიების“ შესახებ და უნდობლობა გამოუცხადა მერაბის განცხადების ტექსტს. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება ზვიად გამსახურდიას „მონანიებას“ წარმოაჩენდა შევარდნაძისა და უშიშროების კომიტეტის გამარჯვებად და ზვიად გამ-

სახურდიას სამარცხვინო კომპრომისად. ზვიად გამსახურდიას ტაქტიკურ „მონანიებას“ კი, რეალურად მოჰყვა თავად საბჭოთა ხელისუფლების იძულებით კომპრომისები, რასაც განმარტავდა და ჩამოთვლიდა მერაბი თავის განცხადებებში. ეს იყო: ეკლესიის შედარებითი ლიბერალიზაცია (უშიშროების მარწუხებისაგან), ათეისტური პროპაგანდის შედეგად წართმეული რელიგიური უფლებების დაბრუნება სტუდენტი-ახალგაზრდებისათვის და კომკავშირული რეიდების შეწყვეტა ეკლესიებში, ძეგლთა დაცვის სისტემის მკვეთრი გააქტიურება-გაფართოება და ახალგაზრდების ჩართვა კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობაში, რუსიფიკაციის პოლიტიკის შეჩერება ყველა სასწავლო და აღმზრდელობით (ბაგა-ბაღები) დაწესებულებაში. ამ უკანასკნელმა მოთხოვნამ, 14 აპრილის დემონსტრაციასთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების საკითხში.

რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას წინააღმდეგ ფარ-ხმალ დაყრილმა საბჭოთა ხელისუფლებამ, ტაქტიკა შეცვალა და ეს ფუნქცია, მათ მიერ რეგისტრირებულ ილია ჭაჭავაძის საზოგადოებას გადააბარა. ხსენებულმა საზოგადოებამ, ანალოგიური ცილისმწამებლური მეთოდებით, გააგრძელა ორგანიზებული ბრძოლა ზვიადის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა გასცდა საქართველოს ფარგლებს და ემიგრანტულ გამოცემებში და რადიო „თავისუფლების“ ეთერიდანაც ისმოდა ზ. ლაშქარაშვილის, ჯ. კაშიას, რ. კლიმიაშვილის, ძმები გუდავებისა და სალომე ზურაბიშვილის გამოსვლებით. ს. ზურაბიშვილმა, 1992 წლის 7 იანვარს ასე შეაფასა სამხედრო გადატრიალება: „ზვიად გამსახურდია, როგორც დიქტატორი, დაამხო დემოკრატიულმა ძალებმა. ამისთვის თენგიზ კიტოვანს, თენგიზ სიგუას, ჯაბა იოსელიანს და მთელ ოპოზიციას – დიდი მადლობა“.

საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მოღვაწე ყოფილმა პოლიტპატიმარმა დისიდენტებმა, სულ მთლად დაივიწყეს სახელმწიფო და ეროვნული ინტერესები და მთელი შეგნებით გააჩაღეს ბრძოლა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. შედეგად, ზვიადი ორ მძლავრ და ულმობელ ურჩხულს შორის აღმოჩნდა – ტოტალიტარული სახელმწიფო მანქანისა და მოსისხლე მტრადქცეულ ყოფილი თანამებრძოლების სახით...

„ღირსების სასამართლოს“ (როგორც ზვიადმა უწოდა), ზვიადის მხარის წარმომადგენლად, უნდა დავსწრებოდი მეც, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ და მოულოდნელად, სწორედ იმ დღეს, გაურკვეველი მიზეზით მოვიწამლე სამსახურში (თსუ) და ერთი დღით დედაქალაქის პირველ (არამიანცის) საავადმყოფოში აღმოვჩნდი. ზვიადს ჰგონებია, რომ მეც

თავი ავარიდე ამ სასამართლოზე მისვლას, გვიან მოსულა ჩემს მაშინდელ „ნახალოვკის“ საცხოვრისში და გამჭირვალე პატარა ქაღალდზე რამდენიმესიტყვიანი წერილი გაუჩრია კარში, რომელშიც აღშფოთებას გამოხატავდა ზაქარია ლაშქარაშვილის უმადურობის გამო. წერილს ამ დრომდე არქივში ვინახავდი, მაგრამ ჩემდა გასაკვირვად სამი თვის წინ გაქრა არქივიდან; ამ წერილის შესახებ რამდენიმე მომსვლელმა იცოდა და ზოგიერთს ვანახე კიდეც. ვიმედოვნებ, რომ წერილი მხოლოდ დროებით მიეფარა თვალს და მას ჩემი არქივის ფოლიანტებში აუცილებლად აღმოვაჩენ. წერილის დაკარგვით გამოწვეული მყისიერი მწუხარება კი ოდნავ შემიმსუბუქა, მივიწყებულმა, ზურაბ ჭავჭავაძის „ტელეგრამამ“, რომელსაც არქივის ქექვისას წავაწყდი, მაგრამ ამაზე ქვემოთ...

ზვიად გამსახურდიას დიდი წვლილი მიუძღვის **ზაქარია ლაშქარაშვილისა** და **ბორის კაკუბავას** პოლიტპატიმრად აღიარებისა და დაცვის საკითხებში საერთაშორისო უფლებათდაცვით სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, რასაც ისინი არ უარყოფენ, თუმცა ამას ხელი სულაც არ შეუშლია მათთვის ზვიადის მიმართ მტრობასა და ქილიკში. სოხუმის ხორც-კომბინატის თანამშრომელი **ბორის კაკუბავა,** ღორის ხორცის დიდი რაოდენობით ქურდობა-დატაცებისათვის დააპატიმრა საბჭოთა ხელისუფლებამ და ამ სირცხვილის ჩამოსარეცხად, კაკუბავამ, ციხიდან პოლიტიკური განცხადებების გაკეთება დაიწყო, რითაც ზვიად გამსახურდიას ყურადღება და მზრუნველობა დაიმსახურა. ხოლო – ტაქსისტი და კულინარი ლაშქარაშვილი, კაკუბავასავით სრულიად უცნობი გახლდათ ზვიად გამსახურდიასათვის, მაგრამ მან მონდომება და მზრუნველობა არ დააკლო პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებულ (1983 წ. 13 ივლისი, გათავისუფლდა 1987 წ.) ახალგაზრდას. ცხადია, მათ არ ეყოთ აღზრდა, კულტურა და განათლება დაეძლიათ გაჩენილი განდიდების მანია, ამბიციები და განესაზღვრათ თავიანთი ადგილი ეროვნულ მოძრაობაში.

მანიაკალური ამბიციები პოლიტეპიდემიად მოედო მთელ მაშინდელ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და შეპყრობილის სინდრომით დაასნებოვნა პოლიტიკური ლიდერები, რაც პირდაპირ თუ ირიბად პროვოცირებული იყო საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურების იდეურ-პროპაგანდისტული მანქანის მიერ, რათა დაენაწევრებინა და სულაც ჩანასახშივე ჩაეკლა ეროვნული მოძრაობა. ერთადერთი, ვინც ამ საფრთხეს მთელი გულით და გონებით ჭვრეტდა, მერაბ კოსტავა იყო, რომელიც წერილობით თუ სიტყვიერი დეკლარირებით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწორუპოვარ ლიდერად მხოლოდ ზვიად გამსახურდიას აღიარებდა.

მერაბ კოსტავამ, თავისთავზე აიღო მამულიშვილური მისია, ეროვნული მოძრაობის გაერთიანება-გამთლიანების; ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას (შეიქმნა 1987 წლის 31 ოქტომბერს), რომელიც პირველი ლეგალური ორგანიზაცია გახლდათ, თითქოს უნდა მოეცვა მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ერთიან მონოლითურ პოლიტიკურ ძალად ქცეულიყო; იმდროინდელი საბჭოთა ხელისუფლების მიერ პოლიტიკურ კარტ-ბლანშ მიცემული ეს ორგანიზაცია, ხელისუფლებისავე დაკვეთით ამოქმედდა, ამუშავდა პროგრამა „ყველას მინუს ერთი!“ და ის ერთი ზვიად გამსახურდია გახლდათ!

1986 წლიდან მე გახლდით ჰელსინკის კავშირის არაფიქსირებული წევრი თავად ზვიად გამსახურდიას მიერ შემოთავაზებული კონსპირაციული გეგმით, რათა მეტ-ნაკლებად დაცული ვყოფილიყავი რეპრესიებისაგან. ზვიად გამსახურდია სწორედ ამ წელს (1986 წ.) დამიახლოვდა მას შემდეგ, რაც ყველა საბჭოთა რეკვიზიტი ხმაურიანად მივაყარე საბჭოთა ხელისუფლებას მწერალთა კავშირსა და თსუ-ში და ჩემს მოქმედებებში ვიყავი სრულიად დამოუკიდებელი და მარტო.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ძალისხმევა, მისი შექმნის დღიდან უმთავრესად მიმართული იყო მერაბ კოსტავას ზვიად გამსახურდიასაგან ჩამოცილებისაკენ. ამ სტრატეგიული მიზნით მათ მიაღწიეს მერაბის დაყოლიებას ილ. ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობაში შესვლაზე. მეც შემომთავაზეს საზოგადოების წევრობა (გურამ მამულიამ, ციალა არდაშელიამ), რაზეც უარი განვუცხადე. მოგვიანებით, მერაბმაც შემომთავაზა შევსულიყავი ჭავჭავაძის საზოგადოებაში. „თუ ზვიადი იქნება გამგეობაში, მეც შემოვალ-მეთქი“ და მსუბუქად ვუსაყვედურე ზვიადის გარეშე გამგეობაში მისი შესვლის გამო. მერაბმა მიპასუხა, რომ სწორედ მაგისთვის მჭირდები საზოგადოებაში, რათა ერთობლივად შევძლოთ მათი დათანხმება ზვიადის გამგეობაში შეყვანაზეო;

ათწლიანი პატიმრობიდან ახალგათავისუფლებულ მერაბს, ცხადია არ ჰქონდა სრულყოფილი წარმოდგენა თამარ ჩხეიძესა და მის ჯგუფზე. უფრო გვიან კი, როგორღაც პირადი გრძნობებიც გაჩნდა მერაბსა და თამარ ჩხეიძეს შორის...

თამარ ჩხეიძემ და ზურაბ ჭავჭავაძემ მიაღწიეს აფხაზეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა კონსოლიდაცია-შემომტკიცებას მათ ირგვლივ და დააფუძნეს კიდეც ილია ჭავჭავაძის ადგილობრივ საზოგადოება ნუგზარ მგალობლიშვილის, ვოვა ვეკუას, თემურ ლორთქიფანიძის, ჯონი ლატარიას, ბორის კაკუბავასა და სხვათა შემადგენლობით. მათთან გაერთიანებაზე უარი განაცხადა მხო-

ლოდ ერთმა დისიდენტმა და ყოფილმა პოლიტპატიმარმა აფხაზეთიდან **არკადი მარკოზიამ**, რომელიც 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს დეპუტატიც გახდა და ხუნტისტებმა მოკლეს უზენაესი საბჭოს შენობის წინ 1991 წლის 23 დეკემბერს.

ნუგზარ მგალობლიშვილისა და ვოვა ვეკუას თამარ ჩხეიძისეულ ჭავჭავაძის საზოგადოებაში შესვლა მერაბ კოსტავას ამ საზოგადოებაში ყოფნის ფაქტორით იქნა განპირობებული. თუმცა, ნუგზარ მგალობლიშვილმა ამ საზოგადოებიდან აუცილებელი გასვლის გადაწყვეტილება მალევე მიიღო და ამის შესახებ 1989 წლის მაისში მოახსენა მერაბს და მიზეზებიც განუმარტა.

ვოვა ვეკუაც, მერაბ კოსტავას მკვლელობის შემდგომ, აუცილებლად დატოვებდა ამ საზოგადოებას და იგიც ზვიადის გვერდით დადგებოდა თავისი შინაგანი სიწრფელის, პატიოსნებისა და გულმხურვალე პატრიოტიზმის ნიშნით, მაგრამ **ვოვა ვეკუა** მოკლეს 1989 წლის 15 ივლისს ბლაგვი იარაღის ჩარტყმით აფსუა სეპარატისტების პირველი შეიარაღებული დაპირისპირების დროს. დღემდე გულს მიღრღნის ეჭვი, რომ ვოვას მკვლელობა, შეიძლება სულაც არ იყო ამ კონფლიქტის შედეგი, არამედ იყო შესაძლებლობა...

ნუგზარ მგალობლიშვილის სრული და ობიექტური შეფასებისათვის კი ჩვენს მკითხველებს ვთხოვ ხელახლა წაიკითხონ მისი სტატია „დესანტი“ უმაღლეს საბჭოში“ ჩვენს გაზეთში „განმათავისუფლებელი“, N31, აპრილი, 2012 წლის. ეს, აწ უკვე საჭირო და აუცილებელზე აუცილებელია, გავრცელებული და გახმაურებული ვიდეოს „ღირსების სასამართლოს“, პოსტ-პერიოდის, ქრონოლოგიური გაანალიზებისათვის, აგრეთვე, ვიდეო-კადრებით წარმოქმნილი აფექტური შეხედულებების დაძლევაში მგალობლიშვილის მიმართ, რაზეც თავად გულწრფელად წუხს.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მთელი გამგეობა: თამარ ჩხეიძე, ზურაბ ჭავჭავაძე, გურამ მამულია, ვახტანგ ძაბირაძე, ჯუმბერ კოპალიანი, ბორის კაკუბავა, დიმა ჯაიანი, ციალა არდაშელია... გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დაგეშილნი და სიძულვილით აღძრულნი იყვნენ ზვიადის შესამუსრად. მათი ამგვარი უგონო სიცოფე, საბოლოოდ, შეიარაღებული გადატრიალების მედროშეობის მოტივაციადაც იქცა, თუმცა ეს, მხოლოდ, მერაბის ფიზიკური ლიკვიდაციის შემდგომ გახდა შესაძლებელი.

მერაბის მონდომებამ და წადილმა, ზვიადის ლიდერობით გაეერთიანებინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ნაყოფი ვერ გამოიღო

და მერაბმა დატოვა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მაგრამ თამარ ჩხეიძე არ თმობდა მერაბს და მისი აქტივობით, მათ შორის გრძელდებოდა პიროვნული ურთიერთობები. ამ პიროვნული ურთიერთობების გავლენით მერაბი არ აღმოჩნდა იმ ზემოხსენებულ გახმაურებულ „ღირსების სასამართლოზე“ 1989 წლის 9 იანვარს ზვიადის გვერდით. ამ პიროვნული ურთიერთობის გავლენით, ზვიადისაგან ფარულად გაემგზავრა მერაბი, თამარ ჩხეიძესა და ზურაბ ჭავჭავაძესთან ერთად, ავტომანქანით ქუთაისში 1989 წლის 13 ოქტომბერს, რასაც მისი ტრაგიკულად დაღუპვა მოჰყვა.


თამარ ჩხეიძე, მერაბ კოსტავა, ლეილა ცომაია, 1989

ზვიადი, როგორც ბრძენი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, როგორც მოგვიანებით დავრწმუნდი, ფიქრობდა მოვლენების ამგვარ შესაძლო განვითარებაზეც და მერაბის პატიმრობიდან გათავისუფლებისთანავე, დაიწყო ზრუნვა მერაბის ხელახალ დაოჯახებაზე. ზვიადი რამდენჯერმე სერიოზულად და საგანგებოდ დამელაპარაკა ამ საკითხზე. თავისთავად მერაბმაც მოუხშირა ვიზიტებს ჩემთან პოლიტიკის გარეშე. ღმერთს შენდობას ვთხოვ, თუ რაიმე უნებლიე, გაუაზრებელი წვლილი მიდევს მერაბის ბედის ტრაგიკულად წარმართვაში. მერაბის ცხედართან კი ზვიადმა, მწუხარებით გაჯერებელი ხმით, სწორედ ეს მისაყვედურა...

„ღირსების სასამართლოს“ ერთი ვიდეო-კადრი, რომელშიც ზურაბ ჭავჭავაძეს ზვიადი კგბ-ს აგენტობაში ამხელს, ხოლო გია ჭანტურია მას ტყვიით შუბლის გახვრეტით ემუქრება, 1989 წლის 26 თებერვალს უჩვენა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიამ (არასრული ვერსია), რასაც უმალ ზ. ჭავჭავაძის პროტესტი მოჰყვა და მან, მეორე დღესვე სასარჩელო განცხადება შეიტანა ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოში, ამასთანავე, დეპეშა გაუგზავნა მიხეილ გორებაჩოვსაც (ქვემოთ იხილეთ ორივე დოკუმენტის ტექსტი). ეს ის დოკუმენტია, რომელსაც მე ჩემს არქივში წავაწყდი და რომელიც ზემოთ ვახსენე. ხოლო დოკუმენტი კი თავად ზურაბ ჭავჭავაძემ გადმომცა ხელში უნივერსიტეტში გასავრცელებლად (იხილეთ ქვემოთ).

ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს

1989 წ.26 თებერვალს საქართველოს ტელევიზიამ მოაწყო გადაცემა,რომლის მიზა
ნყო საქართველოში აღორძინებული ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაცია და,აგრეთვე
რადად ჩემი გაღანძღვა. გადაცემის ერთერთ ამოცანას შეადგენდა ჩემი წარმოჩენა
-ის აგენტად,რაც ჩემთვის არის უდიდესი შეურაცხყოფა,რადგანაც სუკ-ი მიმაჩნია
ღაზე ბნელ ძალად,რომელიც კი არსებობს დღევანდელ მსოფლიოში.იღია ჭავჭავაძის ს
ალოების გასაღანძღად და ეროვნული მოძრაობის შეურაცხყოფისათვის ტელევიზიამ გ
ოყენა კერძო ბინაში შემდგარი საუბრის ვიდეოფირი,რომელიც ეშმაკმა და სუკ-მა უ
ან,თუ საიდან ჩაიგდო ხელში.ამასთანავე,ტელევიზიამ მოახდინა უხეში მონტაჟი და
ლსიფიკაცია - აჩვენა ამ ფირის ის ადგილები,სადაც მე მღანძღავენ ჩემი მოწინაა
ღეგეები და,ამასთანავე,არ აჩვენა არცერთი პასუხი ჩემი და ჩემი მეგობრებისა ა
ბსოლუტურად დაუსაბუთებელ ბრალდებებზე.ამით საქართველოს ტელევიზიამ და მათ,ვ
ბის უკან დგანან,ფეხქვეშ გათელეს ადამიანის უფლებები /რაც მათთვის,ცხადია,სი
ღეს არ წარმოადგენს/ და თვით საბჭოთა კანონებიც,რომლებიც,როგორც ცნობილია, ვ
ღაიკვეხნიან ადამიანის უფლებებზე განსაკუთრებული.მზრუნველობით.

მოვითხოვ,რომ საქართველოს ტელევიზია მიეცეს პასუხისგებაში ჩემი ღირსების
ღახვისათვის და კერძო ბინაში შემდგარი საუბრის უნებართვო და ფალსიფიცირებული
ღაცემისათვის.

მოვითხოვ,აგრეთვე,გაირკვეს,თუ საიდან ჩაიგდო ხელში აღნიშნული ფირი ტელევი

27.02.1989 ზ.ჭავჭავაძე

Москва-Кремль. Генеральному Секретарю ЦК КПСС Михаилу Сергеевичу Горбачёв

На протяжении двух последних недель средства массовой информации Грузии
ведут целенаправленную кампанию против меня. Республиканская пресса и тел
видение систематически публикуют сфабрикованные материалы порочащие моё и
Грузинское телевидение дошло даже до того,что 26 февраля передало сюжет,в
тором я объявлен агентом КГБ. 27 февраля я возбудил в суде иск против ТВ.
смотря на это 28 февраля ТВ решило повторить указанный сюжет,что было объ
явено заранее.Я обратился на ТВ решительным протестом,однако первый замест
тель председателя Грузгостелерадио заявил,что этот материал якобы принадл
ВД и его публикация не входит в его компетенцию.Обратившись в ЦК КП Груз
и поставил в известность помощника Первого Секретаря ЦК КП Грузии и катег
рически потребовал прекратить противоправовое действие ТВ - произвол и попр
моих гражданских прав,однако передачу всё-же повторили и ещё раз нанесли
и моим близким тяжелейшее оскорбление.Прошу Вашего вмешательства и катего
рически требую прекращения кампании клеветы и травли. - Чавчавадзе З.Н.

МИНИСТЕРСТВО СВЯЗИ СССР

ТЕЛЕГРАММА

Бл.№99

ОБР НЕ НАША ТБИЛИСИ 7 УЛ НУЦУБИДЗЕ 60 КВ 21
ЧАВЧАВАДЗЕ=
77401 2/3 ГЕН СЕКРЕТАРЮ ЦК КПСС ТОВ ГОРБАЧЕВУ
М С ВРУЧЕНА ОБЩИЙ ОТДЕЛ ЦК КПСС 2/3 1650=
ОН БОРИСЕНКО-

ზ. ჭავჭავაძე გორბაჩოვს თხოვს პირად ჩარევას საქართველოს ტელევიზიის მიერ „ღირსების სასამართლოს“ კადრების ჩვენებების შეწყვეტაში, როგორც მის მიმართ წამოწყებულ ცილისმწამებლური კამპანიისა.

ზურაბ ჭავჭავაძე თავის ამ ზემოხსენებულ განცხადებებში ფარისევლურად კვირვობს, თუ საიდან ჩაუვარდა ხელში ტელევიზიას „ღირსების სასამართლოს“ ვიდეო. „ღირსების სასამართლოს“ იღებდა ორი ვიდეო-კამერა, ერთით გოგა ხაინდრავა (ფერადი კადრით), ხოლო მეორეთი (შავ-თეთრი კადრით) უცნობი პიროვნება. თუ საიდან უნდა ყოფილიყო ის უცნობი და თვით გოგა ხაინდრავაც მივლენილი ამ მრავალრიცხოვან სკანდალურ შეკრებაზე, ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო...

ზაქარია ლაშქარაშვილის ბლოგზე – http://zakaria-lachkarachvili.blogspot.gr/p/blog-page.html – „ღირსების სასამართლოს“ გარდა დევს სხვა მომდევნო აუდიო – სატელეფონო ჩანაწერებიც ზურაბ ჭავჭავაძისა და ზ. ლაშქარაშვილის საუბრებისა, საიდანაც ვლინდება ზ.ჭავჭავაძისა და ლაშქარაშვილის მძულვარე, ორგანიზებული ბრძოლა ზვიადის წინააღმდეგ. აგრეთვე, ჭავჭავაძის თავმოწონება „სასამართლო“ პროცესის საკუთარი ვიდეო-კამერით გადაღებისა და დოკუმენტურად ფიქსაციის გამო (იხ.https://www.youtube.com/watch?v=74xmZdQ6cCM).



ზურაბ ჭავჭავაძე, ლაშქარაშვილთან, ამ სატელეფონო საუბარში ზვიად გამსახურდიას მოიხსენიებს: „წრუწუნად“, „მყრალ“ და „ბინძურ“ პიროვნებად და ამბობს, რომ „ღირსების სასამართლო“ თვითონ დაარქვა ზვიადმა, თორემ ჩვენ საქმის გარჩევას ვუწყობთ ზვიადსო. ამ „ღირსების სასამართლოზე“ ზვიად გამსახურდიას, დისიდენტების გარდა, ემხრობოდნენ აკაკი ბაქრაძე, ნოდარ წულეისკირი, გურამ გეგეშიძე და მოსკოვიდან, თვით ზ. ჭავჭავაძის მიერ სპეციალურად ჩამოყვანილი „გლასნოსტის“ კორესპონდენტი კირილე პოპოვიც, რომელიც რამდენიმეჯერ ჩნდება ვიდეო-კადრში.

ზაქარია ლაშქარაშვილის ბლოგზევე დევს მერაბ კოსტავას ცოლყოფილის რუსუდან ბერიძის წერილიც, რომელიც წარმოადგენს მხილებასა და კომპრომანტს თავად ლაშქარაშვილისა. ვირ-ეშმაკა ლაშქარაშვილმა კი, იმის გათვალისწინებით, რომ ქვემოთ დაბეჭდილი წერილი ვერ დაიმალებოდა, „ობიექტურობისა და დემოკრატობის“ ნიღბით თავადვე

დადო თავის ბლოგზე, ოღონდ გამაბათილებელი კომენტარით, რომ თითქოს რუსუდან ბერიძეს წერილი ზვიადმა დააწერინა „დაშინებითა და მუქარით“. ზვიადის მოწინააღმდეგე რუსუდან ბერიძეს, დღემდე არსად განუცხადებია ამ წერილის იძულებითი შესახებ (იხ. წერილი ქვემოთ):

უსიამოვნო ვიზიტი

1988 წლის შემოდგომაზე დამირეკა მეგობარმა ქალმა (გვარს არ ვასახელებ, რადგან ის გაუგებრობის მსხვერპლი გახდა და თავისდაუნებურად აღმოჩნდა არასასიამოვნო სიტუაციაში). მან მთხოვა, სტუმრად მიმეღო მისი ნაცნობი,რომელსაც დიდი სურვილი ქონდა, გაცნობოდა მერაბ კოსტავას მეუღლეს და ირაკლი კოსტავას დედას, მე დავთანხმდი. დათქმულ დროს ჩემ ოჯახში მოვიდა ჯონი ლაშქარაშვილი ჩემ მეგობარ ქალთან ერთად. ამ დროს ჩემთან სტუმრად იყვნენ ჩემი მეგობრები და ახლობლები ქეთევან ბერიძე, ნატო გაბისონია და მირა მეგედი. აღმოჩნდა, რომ ჯონი ლაშქარაშვილი ყოფილი პოლიტიკური პატიმარია,რომელიც მიდის საფრანგეთში, რომ იქ გააგრძელოს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა (როგორც თვითონ აგვიხსნა). მე ძალიან არ მიყვარს ადამიანები, რომლებიც მძიმე დღეში მყოფ სამშობლოს ტოვებენ (ერთხელ როცა მერაბ კოსტავას ციმბირში ვკითხე, დათანხმდები თუ არა საზღვარგარეთ რომ წახვიდე, ხომ ხედავ აქედან არასოდეს გაგანთავისუფლებენ-მეთქი, მან მიპასუხა თუ ერთი შანსი არის საქართველოში დაბრუნების, მე კიდევ დიდხანს დავრჩები საპატიმროშიო). მე და ჩემმა მეგობარმა ვაგრძნობინეთ ჯონი ლაშქარაშვილს, რომ მიუღებლად მიგვაჩნია მისი ნაბიჯი. ამის შემდეგ მან მთხოვა,რამდენიმე წუთს მარტო დავრჩენილიყავით. ჩემი ბინა სტანდარტული პატარა ბინაა მე აღელვებული საკმაოდ ხმამაღლა ვლაპარაკობდი, ამიტომ სამზარეულოში გასული ჩემი მეგობრები უნებურად ისმენდნენ ჩვენს საუბარს.

ჯონი ლაშქარაშვილმა მოინდომა ჩემგან ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას მაკომპრომეტირებელი ინფორმაციის მიღება(განსაკუთრებით ზვიადის შესახებ), ეტყობა, ჩათვალა, რადგან მე და მერაბი დაძაბულ ურთიერთობაში ვიყავით ერთმანეთთან, მე და ზვიადი კი უბრად, ამიტომ საფრანგეთში გამგზავრების წინ ჩემგან შეიძლებოდა სასურველი შავი ინფორმაციის მიღება. ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ქონდა. ჯერ ერთი, ჩემს თვალწინ გაიარა ზვიადის და მერაბის საოცარი მეგობრობის წლებმა, ჩემ თვალწინ ჩამოყალიბდნენ ისინი როგორც

ქართული ეროვნული მოძრაობის აღიარებული წინამძღოლები. თან აღ-მაშფოთებელი იყო, რომ ეს კაცი, რომელიც შავ და ბნელ მომენტებს ეძებდა ზვიადის და მერაბის ცხოვრებაში,მერაბის მეგობრად ასაღებდა თავს. თან მოითხოვდა ჩემგან იმის დადასტურებას, რომ ზვიადი და მერ-აბი უღირსი და პათოლოგიური ადამიანები არიან.

ჯონი ლაშქარაშვილი მე მკაცრად დავითხოვე ჩემი სახლიდან და ვუ-საყვედურე ჩემ მეგობარ ქალს, ასეთი კაცი ჩემ სახლში როგორ მოიყ-ვანე-მეთქი. მისთვისაც სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ჯონი ლაშქა-რაშვილის სტუმრობის მიზეზი და ძალიან შეწუხდა.

მართალი გითხრათ, ამ უსიამოვნო შემთხვევის შემდეგ მიჭირს დავი-ჯერო, რომ ადამიანს საქართველოსთვის შესტკივა გული.

რუსუდან ბერიძე, 8.03.90

რუსუდან ბერიძის მონათხრობს ვადასტურებთ:
ქეთევან ბერიძე (ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი)
ნატო გაბისონია (კულტურის სამინისტროს მეთოდისტი)
მირა მეგედი (ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი)

პოლიტიკური ამბიციებით შეპყრობილი ზაქარია (ჯონი) ლაშქარაშ-ვილი იმედოვნებდა, რომ ზვიად გამსახურდიას მოკვდინების შემდგომ მაინც შესძლებდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძ-რაობის ერთპიროვნულ ლიდერად ქცევას, ანუ ზვიად გამსახურდიაზე ჩანაცვლებას. ამ იმედით მან, 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, მონაწილეობის გადაწყვეტილებაც კი მიიღო, რისთვისაც გამოაქვეყნა სა-პრეზიდენტო პროგრამა, მაგრამ დარწმუნდა რა რომ შევარდნაძეს ვერ დაუპირისპირდებოდა, აღარ იაქტიურა.

2011 წლის თებერვალში, ლაშქარაშვილი, საფრანგეთიდან – „მიმართ-ვა ქართველ ერს“ – წერდა:

„მოგიწოდებთ აიძულოთ ოპოზიციური პარტიები, შეაჩერონ ფუნ-ქციონირება ან საბოლოოდ დასტოვონ პოლიტიკური ასპარეზი. ქართველ ერს ამის მიღწევა შეგიძლიათ ოპოზიციური პარტიების მიერ დაგეგმილი საპროტესტო აქციების ბოიკოტირებით, რაც ამასთანავე გამოიწვევს ამ პერსპექტივადაკარგული ოპოზიციური პარტიებისთვის შემოწირულებების შეწყვეტას და ამით მათი ფუნქციონირების შეჩერებას“.

ლაშქარაშვილი თვლის, „რომ საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა სამართლიანი არჩევნები, რაც სახელმწიფოებრივობასთანაა დაკავშირე-

ბული... არც პირველი (?! – **ლ. ც.**) არც მეორე და არც მესამე და არც არცერთი!“ და თავისი სიტყვისათვის პოლიტიკური წონის მისაცემად წერს: „საბჭოთა ხელისუფლებამ მოქალაქეობა ჩამომართვა და ქვეყნიდან გამაძევა“, რაც სრული სიცრუე და სიყალბეა. ამას ადასტურებს რუსუდან ბერიძის ზემოთ გამოქვეყნებული წერილი და ლევან ბეძენიშვილის წერილიც ლაშქარაშვილზე, რომელიც მას ღირსეულ პოლიტპატიმრად აღიარებს, ხოლო ემიგრაციაში ლაშქარაშვილის წასვლის მიზეზს კი ამგვარად ხსნის: „... გათავისუფლების შემდეგ ეროვნულ მოძრაობაში თავისი თავი ვერ იპოვა (სიტყვით ხომ რადიკალი და რევოლუციონერი იყო და თანამოძმეების პოვნა მართლა გაუჭირდა). ამას დაერთო მატერიალური გასაჭირი, მუდმივი უსახსრობა და ჯონი ლაშქარაშვილი ემიგრაციაში წავიდა. პარიზში დამკვიდრდა და იქაური ქართველების დახმარებით რადიო „თავისუფლებისგან“ რაღაც გროშებს იღებდა რეპორტაჟებისთვის“. ბერძენიშვილის ეს წერილიც, ლაშქარაშვილს საკუთარ ბლოგზე უდევს!

ლაშქარაშვილის თანასაკნელ, ლევან ბერძენიშვილის, ამავე წერილიდან ვგებულობთ, რომ პატიმრობის ზონაში „ჯონის შეუყვარდა ყველა პატიმრის კლასობრივი მტერი, ქალბატონი განიჩენკო – ცენზორი... არ ვიცი, რას ფიქრობდა განიჩენკო, როცა ასი კაცის ცივი ზიზღით სავსე გამოხედვის ფონზე, ერთი კაცის შეყვარებულ მზერას ხედავდა, მაგრამ პოლიტიკური ბანაკი წუხდა, პატიმრები ვერ იჯერებდნენ, რომ სიყვარული კლასობრივ სიძულვილს ამარცხებდა...“

დიახ,თუ როგორ ხდებოდა საპატიმროს ცენზორებთან ურთიერთობის ჩამოყალიბება და სიყვარულის წარმოშობა, ამისთვის პატიმრადყოფილობის გამოცდილება სულაც არ არის აუცილებელი, არამედ სრულიად ადვილი მისახვედრია გონიერთათვის...

ზაქარია (ჯონი) ლაშქარაშვილი 2013 წლის ნოემბერში ჩამოვიდა საქართველოში პოლიტიკური აქტივობისა და საარჩევნო პროცესებში ჩასართველად, რისთვისაც იგი მცირე ჯგუფს შეხვდა, ხოლო ყოფილმა თანამებრძოლებმა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებიდან, აღარ ისურვეს მასთან შეხვედრაც კი!

ლაშქარაშვილის ბლოგზევე დევს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას 1991 წლის 2 თებერვლის პრესკონფერენციის ფოტო-მონტაჟი, რომელშიც თავიდან ბოლომდე გაყალბებულია ხსენებული პრესკონფერენციის შინაარსი. პრესკომფერენციას შეძენილი აქვს ისტერიული ტონი, ხოლო რადიო „თავისუფლების“ ანტიქართულ-ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის შემოქმედ ჯგუფ ჯანრი კაშიასა და რამაზ კლიმიაშვილთან, თვითნებურად, ჩამატებულია ლაშქარაშვილის გვარიც, მაშინ როცა, რეალურად, ზვიად გამსახურდიას ამ პრესკონფერენციაზე

საერთოდ არ უხსენებია ლაშქარაშვილი. ამას მოწმობს ზემოხსენებული პრესკონფერენციის ბეჭდური ვერსიაც 1995 წლის დოკუმენტური კრებულისა სახელწოდებით „1991 წლის ოცდაორი შეხვედრა ზვიად გამსახურდიასთან“, (გვ. 3) და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის „საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელების ოფიციალური დოკუმენტები და ინტერვიუები“, ტომი I, ზვიად გამსახურდია, 2013 წლის გამოცემა, გვ. 142.

ერთად ვნახოთ ზვიად გამსახურდიას 1991 წლის 2 თებერვლის პრესკონფერენციის გაყალბებული ვერსია, პრესკონფერენციის მეორე ნაწილში:



სიმართლე

ეროვნულ-განმათავისუფლებელი პოლიტიკა

თავფურცელი | სტატიები | სტატიების საძიებელი

Home > ხელისუფლება > ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, 1991 წლის 2 თებერვალი

ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, 1991 წლის 2 თებერვალი

30/08/2010 შავლეგო Go to comments Leave a comment

Rate This

ჩვენ გვიპირისპირდება კრემლის უზარმაზარი საინფორმაციო მანქანა, უფრო სწორად, დეზინფორმაციის მანქანა „TACC“-ის სახით, „კაგებეს“ სახით და სხვა, რომელსაც მიზნად აქვს დასახული მსოფლიოს დეზინფორმირება საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით და ამაში მათ, პირველ რიგში, ხელს უწყობენ, სამწუხაროდ, ჩვენი გადაგვარებული თანამემამულეები როგორც აქ, ისევე საზღვარგარეთ, აქ თქვენ იცით, ვის ვგულისხმობ მე, ზედმეტად ჰაერს არ მოვწამლავ მათი ხსენებით კიდევ ერხელ და იქ, უცხოეთში, მათი **აგენტურა ჯანრი კაშიას, რაშაზ კლიმიაშვილის და სხვა მოსკოვის აგენტების სახით.**

ისინი პირდაპირ, ამასწინათ, რადიო „თავისუფლებით“ გამოვიდნენ, ლანძღავდნენ პარლამენტს, აქებდნენ კონგრესს, ამბობდნენ, რომ პირდაპირ აღმაშფოთებელია, ეს პარლამენტი როგორ უშლის ხელს კონგრესს მუშაობაშიო, რომ არავითარი არჩევნები საქართველოში არ ჩატარებულა, რომ აქ მოხდა მხოლოდ გაყალბება ყველაფრის, რომ საარჩევნო კანონი არის არასრულყოფილი, დიქტატორული და სხვა. და ამას ყველაფერს ქართველები ყვირიან ქართული „თავისუფლებიდან“, მეგობრებო. ამას რუსი რომ ამბობს „კრასნაია ზვეზდადან“, ეს არ გენყინება და ეს ბუნებრივია, მაგრამ აი, ქართველი როგორ უნდა გადაგვარდეს, როგორ უნდა დაეცეს იმდენად, რომ მის ქვეყანაში პირველად ისტორიაში მოხდა დემოკრატიული, თავისუფალი არჩევნები, ეროვნული მთავრობა აირჩა და უცხოეთიდან თხრის, ლანძღავს მას. ამას არცერთი ერი არ აკეთებს, მეგობრებო, არცერთი ერი. აი, ასეთი სიმრავლე მოღალატეების ჩვენ რომ გვყავს, მეგობრებო, არცერთ ერს არა ყავს. აი, ამით სარგებლობს კრემლი და მისი პროპაგანდა, ეს აგენტურა თავისით დარაზმა.

რადიო „თავისუფლების" ქართული რედაქცია საქართველოს მტრების ხელშია, მოსისხლე მტრების ხელშია. გესმით, კრემლის აგენტურის ხელშია. გესმით, კრემლის აგენტურის ხელშია. **პირველ რიგში, კაშია, ლაშქარაშვილი, კლიმიაშვილი და აი, ესენი დათარეშობენ ეთერში და მსოფლიოს წამლავენ** და მერე რაღა გიკვირთ, გენაცვალე, რომ გამოდის უცხოელი, მოტყუებული უცხოელი გამოდის და რამე ამდაგვარს წერს. აი, ქართველებმა თქვეს, – იმ წუთში მიუთითებენ ქართველებზე. აი, ეს არის მიზეზი, ციხე შიგნიდან ტყდება, როგორც ყოველთვის. მართალია, კრემლი ძლიერია, მისი დეზინფორმაციის მანქანა ძლიერია, მაგრამ ქართველები, თვითონ ჩვენივე მოღალატე ქართველები უწყობენ ამას ხელს. აი, ეს გახლავთ სინამდვილე.

1991 წლის 2 თებერვალი

About these ads

„შავლეგოს“ სახელით, ლაშქარაშვილს წამოღებული აქვს ინტერნეტ საიტიდან „სიმართლე“, ხოლო ეს ბლოგი ეკუთვნის ფინეთში ემიგრირებულ პრემიერ-მინისტრ ბესარიონ გუგუშვილს. ჩვენ დავინტერესდით, თუ რატომ გააყალბა „შავლეგომ“ ზვიადის პრესკონფერენცია. პირად მიმოწერაში „შავლეგო“ – გია ჯანელიძემ დამიდასტურა, რომ 2 თებერვლის ფოტოდოკუმენტი ეკუთვნის მას, მაგრამ მას არ გაუყალბებია, არამედ სხვისი საიტიდან წამოიღო ამ სახით, ხოლო თუ ვისი საიტიდან, არ გათქვა!

ასე იყო ზვიად გამსახურდია აშკარა და ფარულ მტრებს შორის მოქცეული, რამაც საბოლოოდ გახადა შესაძლებელი მისი ხელისუფლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებით დამხობაც და თავად პრეზიდენტის მოწამოებრივი ლიკვიდაციაც!

უცხოეთში დაბანაკებული კოლაბორაციონისტი ლაშქარაშვილები და გუგუშვილები კი კვლავ საქართველოს ხელისუფლებაში აღზევებას ლამობენ!

ლეილა ცომაია

8 მაისი, 2015 წელი.

თემის გაგრძელება „ღირსების სასამართლოზე“. იხილეთ ნუგზარ მგალობლიშვილის წერილი

„გიკვირს?! – ნუ გიკვირს!“

ოცდაექვსი წელი მიილია მას შემდეგ, რაც „ღირსების სასამართლოს“ ვიდეო ჩანაწერი შეიქმნა (1989 წლის 9 იანვარი) და წელს, 2015 წლის 15 მარტს განთავსდა youtube – ზე. აღსანიშნავია, რომ პირველად ამავე სასამართლოს ვიდეო ჩანაწერის ფრაგმენტი, გავრცელებული სუკ–ის მიერ, 1989 წლის იანვრის პირველ ნახევარშივე ვიხილეთ საქართველოს ტელევიზიით. თუ იმ ტოტალიტარული რეჟიმის დროს ეს ქმედება ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად, დღეს, 26 წლის შემდეგ ნამდვილად გაუგებარია და ბუნებრივად აჩენს მრავალ კითხვას, რისთვის, რა მიზანს ემსახურება ამ ვიდეო-ფირის გავრცელება? იქნებ იმისთვის დასჭირდა ზაქარია ლაშქარაშვილს ამ ვიდეომასალის გამომზეურება, რომ დღემდე აწუხებს პრეზიდენტობის ამბიცია? ან, იქნებ, 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები აღიზიანებს და ამ ისტორიული თარიღის გადაფარვას ლამობს? გამოსარიცხი არც ის არის, რომ კრიზისში მყოფი დღევანდელი ხელისუფლების დარდი არ ასვენებს ლაშქარაშვილს და ყურადღების გადატანის მიზნით გაავრცელა ეს ვიდეო, არ ვიცი! თუმცა, ის კი ვიცი, რომ 1989 წელს სუკ-ის მიერ ეროვნული მოძრაობის „გასაშავებლად“ ტელევიზიით გავრცელებული ე. წ. სასამართლოს იგივე ჩანაწერი, ოღონდ იქვე მომუშავე მეორე კამერით გადაღებული „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ მიერ, ბუმერანგივით მიუბრუნდა მასვე.

ზაქარია ლაშქარაშვილისთვის ნამდვილად ცნობილი უნდა ყოფილიყო იმ ვიდეოს გადამღებისა და გამავრცელებლის ვინაობა. სწორედ ამიტომ, უნებლიედ ცოცხლდება ხალხში გავრცელებული ფრაზა: „ჩეკისტი მას შემდეგ კვდება, როცა მის საფლავზე დარგული მუხის ფესვი ხმებაო“.

1988-1989 წლებში ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობა, რეალურად საშიში გახდა საბჭოთა რეჟიმისთვის, ხოლო ზვიად გამსახურდია კი მის მთავარ მტრად მოიაზრებოდა. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების მხრიდან, ზვიადი მუდმივ მეთვალყურეობას და ზეწოლას განიცდიდა. ვრცელდებოდა სხვადასხვა ჭორები, განსაკუთრებულად კი სერბსკის ფსიქიატრიულ საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტში (КГБ-ს ბაზა) ჩაწერილი „მონანიების“ ვიდეომასალიდან გამომდინარე, რომელიც ცენტრალური ტელევიზიით მთელ სსრკ-ს მოედო. ამაზე რუსი დისიდენტებიც წამოეგნენ და ზვიადი საყოველთაო ლანძღვის ობიექტი გახდა. სინამდვილეში კი, არავითარ მონანიებას არ ჰქონია ადგილი და ეს ზვიადმა თავისი შემდგომი ბრძოლით, ხოლო საბოლოოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებითა და თვითშეწირვითაც დაამტკიცა. ანუ იმ ე.წ. მონანიებით ზვიადმა ჭკუით აჯობა და გააბითურა საბჭოთა კავშირის უძლიერესი კგბ (მოიძიეთ ვიდეო ჩანაწერი youtube-ზე).

მიუხედავად ამისა ზვიადზე თავდასხმები მაინც გრძელდებოდა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ მერაბ კოსტავამ და მე გადავწყვიტეთ იმ ე.წ. მონანიების არსში გაგვერკვია რუსი დისიდენტები და ზვიადთან შეთანხმების შემდეგ გადაწყდა ჩემი ჩასვლა მოსკოვში ლუდმილა ალეკსეევასთან. მან თბილად მიმიღო, მომისმინა და შემპირდა, რომ რუსი დისიდენტები, ზვიადის მონანიებაზე, ამიერიდან აღარ ილაპარაკებდნენ. ლუდმილა ალეკსეევას, იური ორლოვისა და სხვა დისიდენტების ძალისხმევით დანაპირები შესრულდა (შემდგომაც, იური ორლოვმა, თავის წერილობით განცხადებაში დადებითად შეაფასა ზვიად გამსახურდიას საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლა და ყოფნაც). სამწუხაროდ, ქართველი დისიდენტების ნაწილში ამის მიღწევა შეუძლებელი გახდა, მიუხედავად მერაბის მრავალჯერადი გულითადი და ენერგიული მცდელობისა.

სწორედ ასეთ ვითარებაში მოეწყო სასამართლო, ვიდეო კამერების თანხლებით, რაზეც ვიღაცამ იზრუნა, როგორც შემდგომ დავრწმუნდით, წინასწარ დაგეგმილი სამომავალო გავრცელებისა და დაპირისპირების გაღრმავების მიზნით.

ამაზე უთქვამს მუხრან მაჭავარიანს: „გიკვირს?! – ნუ გიკვირს!“

ნუგზარ მგალობლიშვილი

14 მაისი, 2015 წელი.

გაზეთი „განმათავისუფლებელი“ №45, 2015 წ.

საქართველოს ზვიად განმათავისუფლებლის პარტია

ZVIAD LIBERATOR'S PARTY OF THE GEORGIA

თბილისი, 380005, ლეონიძის ქ. 8 ტელ: 92 36 35; მობილ: 8 51 92 36 55

TBILISI, 380005, LEONIDZE STR. 8 TEL: 92 36 55; Mobil: 8 51 92 36 55

№_____ _____

ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის საგანგებო განცხადება

მიმდინარე, 2015 წლის 7 მაისს ინტერნეტსაიტზე "პოლიტიკური ფორუმი" (https://politikuriforumi.wordpress.com) დაიდო სრულიად უცნობი უზენაესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატის (ლენტეხიდან) ბერდია გუგავას სკანდალური ინტერვიუ 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის დედნის ადგილსამყოფელის შესახებ, რომელიც ოფიციალურად დღემდე დაკარგულად ითვლებოდა, ხოლო არაოფიციალურად კი ერში არსებობდა იმედები, რომ დამოუკიდებლობის აქტის დედანიც, მანანა არჩვაძისათვის 1994 წელს რუსეთის კგბ მიერ გროზნოში ჩამორთმეულ სხვა მრავალ დოკუმენტებთან ერთად, მოსკოვის კგბ არქივში ინახებოდა. ბერდია გუგავას ინტერვიუდან კი ვგებულობთ, რომ დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც მას სახლში კედელზე ეკიდა, ასლი ეგონა და დედანი კი აღმოჩნდა, ხოლო თუ ვინ გადასცა მას ეს ისტორიული აქტი, არ ახსოვს! ვიღაც უკეთურებს მისთვის აქტის სოლიდური თანხის საფასურად გაყიდვაც კი შეუთავაზებიათ (ერთი მილიონი).

საბოლოოდ, დეპუტატ ბერდია გუგავას, თავისი მოძღვრის მღვდელ კონსტანტინე გიორგაძის რჩევითა და თანხლებით, დამოუკიდებლობის აქტის დედანი 2006 წელს საქართველოს პატრიარქ ილია მეორისათვის ჩაუბარებია.

დეპუტატ გუგავას საჯარო ინტერვიუს უმალ მოჰყვა მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მწვავე პასუხი და რეაქცია, რომელმაც თავის მოხრეთა ჯგუფით საპატრიარქოსთან გამართა ხმაურიანი მიტინგი და მოითხოვა დამოუკიდებლობის აქტის მათთვის გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში საპატრიარქოსთან პერმანენტული საპროტესტო აქციებითა და სასამართლოთი იმუქრება.

ზვიად განმათავისუფლებლის პარტიას მიაჩნია, რომ აღმოჩენილ დამოუკიდებლობის აქტს უნდა ჩაუტარდეს სრული (კალიგრაფიულიც) კვალიფიციური ექსპერტიზა და დედნად აღიარება-დადასტურების შემთხვევაში, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას 1990-93 წლების ხელისუფლების სამართალმემკვიდრე ახალი ლეგიტიმური ეროვნული ხელისუფლების არჩევამდე, შესანახად გადატანილ უნდა იქნას საქართველოს სახელმწიფო (საბჭოთა ოკუპაციის) მუზეუმში მუზეუმის ხელმძღვანელ პასუხისმგებელ პირებსა და ეროვნული ხელისუფლების უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურ წარმომადგენლობას შორის შესაბამისი წერილობითი პირობების ოფიციალური აქტებით დადასტურებით, რაც გაშუქებულ უნდა იქნას ტელევიზიებით!

ამასთანავე, მიგვაჩნია რომ, პოროკურატურამ უნდა დაიწყოს გამოძიება დამოუკიდებლობის აქტის დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალების ვითარებაში სავარაუდო მოპარვის ფაქტზეც.

2015 წლის 15 მაისი.

პარტიის თავმჯდომარე
ლეილა ცომაია
პარტიის პოლიტიკური მდივანი
ალექსანდრე სანდუხაძე

მაღალი პენსიები შადიმანეებსა და ბერბიჭაშვილებს?!

2012 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტში დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების უზენაესი საბჭოს დეპუტატ თამაზ ყურაშვილის („საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტიიდან“ – პარტიის თავმჯდომარე ემზარ გოგუაძე, ტელევიზია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე) ინიციატივით შეტანილი იქნა განაცხადი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერ დეპუტატებისათვის, ევროპისა და პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკების მაგალითზე, პენსიების 2000 ლარამდე დანიშვნის შესახებ კანონში სათანადო ცვლილების შეტანის გზით. დღეს მოქმედი კანონით უზენაეს საბჭოს დეპუტატებს ეძლევათ დეპუტატებისათვის საერთო წესით განსაზღვრული პენსია 550 ლარის ოდენობით.

რასაკვირველია, არავინ შეიძლება იყოს წინააღმდეგი უზენაესი საბჭოს დეპუტატებისათვის პენსიების გაზრდისა მათი განსაკუთრებული წვლილის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საქმეში დაფასების მიზნით.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რაოდენობა გახლდათ 250. ამ რაოდენობიდან დღეის მდგომარეობით რამდენიმე ათეული დეპუტატი გარდაცვლილია. დარჩენილი რაოდენობიდან, მათ შორის რამდენიმე ათეული გახლავთ ის დეპუტატები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის მთავრობის დამხობაში. აგრეთვე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას განდევნასა და მისი მკვლელობის ორგანიზატორებთან თანამზრახველობაში (ავთანდილ მარგიანი, ელდარ შენგელაია, ვაჟა ადამია, აკაკი ბობოხიძე, ალექსანდრე კავსაძე, თენგიზ კიტოვანი, აკაკი ასათიანი და სხვ.).

იმპერიული რუსეთის მიერ დაფინანსებულმა და შეიარაღებულმა დეპუტატების ამ ნაწილმა, თავად დაუშინეს ტყვიები და ქვემეხები ახალფეხადგმულ დამოუკიდებელ საქართველოს, ხოლო ზოგიერთი მათგანი მიემხრო პუტჩს, ხუნტას, რამაც ცხადჰყო, რომ „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე“ მათი ხელმოწერა იყო ფიქტიური (ფიქცია)! შედეგად, მათ მიერ ნაღალატევი სამშობლო – საქართველო

დღეს ტერიტორიულად დაშლილ-დანაწევრებული, ეკონომიკურად განადგურებულია და შიმშილითა და დაავადებებით სულს ღაფავს ქართველი ერი.

ჩვენ შევეცადეთ მცირე ინტერვიუ მაინც ჩაგვეწერა თამაზ ყურაშვილთან. უზენაესი საბჭოს ამ დეპუტატს ჩვენ ტელეფონით დავუკავშირდით. ბატონი ყურაშვილი ძალზედ გააღიზიანა ჩვენი დარეკვის მიზეზმა: საიდან გაიგეთ, რომ ასეთი განცხადებით მივმართეთო პარლამენტს? ამგვარი მკაცრი ჩაკითხვის შემდგომ, ჩვენი სატელეფონო საუბარი ბ-ნ ყურაშვილთან ვერ შედგა! ხოლო მის მიერ ინიცირებული განცხადება რეაგირებისათვის მიწერილი აქვს დეპუტატ ზვიად ძიძიგურს. ჩვენ დავინტერესდით რა სტადიაზეა განცხადების საკითხი, რისთვისაც დავრეკეთ პარლამენტში, სადაც დაგვიდასტურეს ამგვარი განცხადების არსებობის ფაქტი და განგვიმარტეს, რომ უახლოეს მომავალში მისი განხილვა არ იგეგმება.

და, მაინც, ჩვენ განცხადებით მივმართედ პარლამენტს (იხ. ტექსტი)

საქართველოს პარლამენტს
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს
ბ-ნ ზვიად ძიძიგურს

ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის რეკომენდაცია უზენაესი საბჭოს დეპუტატის თამაზ ყურაშვილის ინიციატივაზე „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე“ ხელმომწერ დეპუტატებისათვის პენსიის 2000 ლარამდე გაზრდასთან დაკავშირებით

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 2012 წლის დეკემბერში პარლამენტში შემოვიდა ინიციატივა უზენაესი საბჭოს დეპუტატებისათვის ევროპისა და პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკების მაგალითზე „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე“ ხელმომწერ დეპუტატებისათვის პენსიის 2000 ლარამდე გაზრდის შესახებ.

ვინაიდან, საქართველოს რესპუბლიკა წარმოადგენს იმ იშვიათ გამონაკლისს, როდესაც ამ ქვეყნის დეპუტატების ნაწილმა მარჯვენათი ხელი მოაწერეს საქართველოს დამოუკიდებლობას, ხოლო მარცხენა ხელით ტყვიები დაუშინეს მათ მიერვე ხელმოწერილ დამოუკიდებლობას და ხმა მისცეს და მიესალმნენ საქართველოს სნგ-ში შესვლას.

ამ წინააღმდეგობრივი ისტორიიდან გამომდინარე, გთხოვთ საკითხის ზოგადად დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მოახდინოთ ამგვარი დეპუტატების გამოვლენა და გამორიცხვის მეთოდით მათი დიფერენცირება აღნიშნული გადაწყვეტილებიდან.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ მომავალშიც წაახალისებთ ღალატსა და შეთქმულებას ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ და ქვეყანაში არასოდეს აღდგება და დამკვიდრდება სამართლიანობა. ხოლო ამაში პასუხცისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ!

პარტიის თავმჯდომარე ლეილა ცომაია
2013 წლის 5 დეკემბერი.
გაზეთი „განმათავისუფლებელი“ №39, 2013 წ.

კვლავ, უზენაესი საბჭოს დეპუტატებისთვის, პენსიის გაზრდასთან დაკავშირებით!

იმის გამო, რომ ძალიან დიდი და ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი დეპუტატების მოთხოვნას პენსიის 3 000 ლარამდე (პირველადი განცხადებით, ლარის სიმყარის მიხედვით, 2 000 ლარს ითხოვდნენ) გაზრდასთან დაკავშირებით, საჭიროდ ვთვლი განვაცხადო:

მიუხედავად, მავანთა საყურადღებო არგუმენტებისა, დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერებს, რომლებსაც არ უღალატიათ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთვის, სრულიად სამართლიანი უფლება აქვთ მოითხოვონ პენსიების გაზრდა, რამეთუ ამ დეპუტატებმაც გამოიარეს სასტიკი რეპრესიები, დევნა და შიმშილი, რაც გვავალდებულებს პატივისცემით მოვეპყრათ მათ და არ ავყვეთ კანონიერი ეროვნული ხელისუფლების მიმართ არაკეთილგანწყობილ ძალებს, რომლებიც დღემდე ვერ გათავისუფლებულან შუღლის, მტრობისა და სიძულვილისაგან და შემთხვევებს არ უშვებენ ხელიდან, რომ არ გამოავლინონ ამგვარი უკეთური დამოკიდებულებები ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მიმართ.

ამასთანავე, მიმაჩნია, რომ შესაბამისი მაღალი პენსია, უნდა დაენიშნოს უზენაესი საბჭოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერ გარდაცვლილ (მოკლული) დეპუტატების ოჯახებსაც. ხოლო კანონში რეპრესირებულთა შესახებ, უნდა შევიდეს ცვლილება 90-იანი წლების რეპრესირებულთა და მათი ფულადი კონპენსაციის წესის განსაზღვრის შესახებაც.

შეგახსენებთ, რომ ამ საკითხს ჩვენ მძაფრად და ვფიქრობ არეგუმენტირებულადაც გამოვეხმაურეთ 2013 წელს შესაბამისი ღონისძიებითაც და გაზეთითაც.

თამაზ მეჭიაურის განცხადებით, ის ამ საკითხის მხარდაჭერას არ აპირებს!

„პარლამენტს არ აქვს უფლება ინიცირებული კანონპროექტი არ განიხილოს. პენსიის მომატებას ითხოვს ის, ვინც დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერა და ერთ მხარეს იდგა და ისიც, ვინც გამსახურდიას ხელისუფლება ჩამოაგდო, სად არის ამაში ლოგიკა. რუსთაველი ვინც ომში გახვია, ისინი ახლა 3000 ლარზე მეტ პენსიას ითხოვენ“ – აცხადებს მეჭიაური.

სადეპუტატო პენსიის 3 000 ლარამდე ზრდა მიუღებელია ეკონომიკის ექსპერტ სოსო არჩვაძისთვისაც. მისი შეფასებით, პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატების წვლილი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში დიდია, მაგრამ ყოველ ეპოქაში ჩვენი სახელმწიფოს წინაშე გამოწვევები დგას და ამა თუ იმ დეპუტატების რანჟირებას თუ ეპოქების მიხედვით მოვახდენთ, სწორი არ იქნება. მისი შეფასებით, თუ ზრდაა, მაშინ ეს ყველასთვის უნდა იყოს.

„ის რომ მათ დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს ხელი მოაწერეს, ამით მათი სახელები უკვე უკვდავყოფილია. პათეტიკაში არ ჩამითვალოთ, მაგრამ ისინი თანამედროვე ქართული სახელმწიფოს დამფუძნებელ მამებად შეგვიძლია მოვიხსენიოთ. ვინც ხელი მოაწერა ისტორიული პიროვნებები არიან, მათგან ბევრი ცოცხალი აღარც არის, ვინც ცოცხალია, დღეგრძელობას ვუსურვებ. მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ პენსიების ზრდა ყველასთვის ერთნაირად უნდა მოხდეს“ – აცხადებს არჩვაძე.

პენსიის 3 000 ლარამდე ზრდის მომხრეა ეკონომიკის ექსპერტი ემზარ ჯგერენაია. მისი განცხადებით, ზვიად გამსახურდიას დროინდელი ხელისუფლების, კერძოდ კი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მოთხოვნა კანონიერია. უფრო მეტიც, ვინც მაშინ სახელმწიფო სამსახურში მუშაობდა, ყველას აქვს მსგავსი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. მისივე თქმით, სხვა საკითხია, აქვს თუ არა ამის რესურსი სახელმწიფო ბიუჯეტს.

http://www.timer.ge/pensiis-gazrda/

იანვარი 21, 2016 13:32

უზენაესი საბჭოს დეპუტატების მოთხოვნას პენსიის გაზრდის შესახებ, ჩვეული ცინიზმით გამოეხმაურა საკუთარ facebook-ის გვერდზე, ცოტნე გამსახურდიაც, რასაც „კოპირებით“ გთავაზობთ აქ!

Tsotne Gamsakhurdia – *ნეტავ გააცოცხლა საწყალი მამაჩემი და ამ ქინძებზე შეახედა ცალი თვალით... არც ბელადომანი ვარ და კარგად მოგეხსენებათ, ბევრ ქართველზე მეტი გამიკეთებია და კიდეც გავაკეთებ*

პოლიტფეტიშიზმის წინააღდეგ... რასაც ახლა ვიტყვი, მეორე რესპუბლიკის ტრაგედიაა და არ უნდა ვამბობდე, მაგრამ: ნეტავ რომელს რა აქვს გაკეთებული ამ დამოუკიდებლობის მისაღწევად? ტექსტის შედგენაში მაინც თუ აქვთ მიღებული მონაწილეობა და რამდენი აცნობიერებდა იქედან, რას აწერდა ხელს...? განა არ იციან, რომ ეს ყველაფერი ერთი კაცის გაკეთებულია პრაქტიკულად?!

მართლა აღარაფრისა რცხვენია ამ ხალხს ფულის გულისთვის!

და კიდევ: ჩემი ღრმა რწმენით, ზოგადად პარლამენტარს საერთოდ არ ჭირდება სამარადისო პენსია სიცოცხლის მანძილზე. ამდენ მუქთახორას კიდევ კარგად უძლებს ეს ბედკრული ქვეყანა!

ლეილა ცომაია, 2016 წლის 22 იანვარი
გაზეთი „განმათავისუფლებელი“, №48, 2016 წლის აპრილი.

გაზეთის რედაქტორი თვალსაზრისი: *მიუხედავად, მავანთა საყურადღებო არგუმენტებისა, დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერებს, რომლებსაც არ უღალატიათ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთვის, სრულიად სამართლიანი უფლება აქვთ მოითხოვონ პენსიების გაზრდა, რამეთუ ამ დეპუტატებმაც გამოიარეს სასტიკი რეპრესიები, დევნა და შიმშილი, რაც გვავალდებულებს პატივისცემით მოვეპყრათ მათ და არ ავყვეთ კანონიერი ეროვნული ხელისუფლების მიმართ არაკეთილგანწყობილ ძალებს, რომლებიც დღემდე ვერ გათავისუფლებულან შურლის, მტრობისა და სიძულვილისაგან და შემთხვევებს არ უშვებენ ხელიდან, რომ არ გამოავლინონ ამგვარი უკეთური დამოკიდებულებები ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მიმართ.*

ამასთანავე, მიმაჩნია, რომ შესაბამისი მაღალი პენსია, უნდა დაენიშნოს უზენაესი საბჭოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი გარდაცვლილი (მოკლული) დეპუტატების ოჯახებსაც. ხოლო კანონში რეპრესირებულთა შესახებ, უნდა შევიდეს ცვლილება 90-იანი წლების რეპრესირებულთა და მათი ფულადი კონპენსაციის წესის განსაზღვრის შესახებაც.

მე და ვალერია ნოვოდვორსკაია...

2014 წლის 12 ივლისს, მოსკოვის საინფორმაციო საშუალებებმა მსოფლიოს ამცნეს, რომ ინფექციური-ტოქსიკური შოკისაგან საავადმყოფოში გარდაიცვალა ცნობილი სამართალდამცველი, საბჭოთა დისიდენტი ვალერია ნოვოდვორსკაია. მიუხედავად იმისა, რომ ვალერია ნოვოდვორსკაიას გარდაცვალების მიზეზი დამაჯერებლად გადმოსცეს ოფიციალურმა წყაროებმა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მაინც რჩება ეჭვი, რომ შეიძლება იგი მოწამლეს, როგორც რუსეთის ყველა ხელისუფლების აქტიური ოპონენტი, შეურიგებელი და მიუმხრობელი რადიკალი - რუსი ერის ნამდვილი სახე და პოლიტიკური სინდისი.

ვალერია, ჭეშმარიტად წრფელი, სუფთა და ღირსეული პიროვნება გახლდათ; თავის 42 წლიან ბრძოლაში, რუსეთის იმპერიალისტურ-რეპრესიული რეჟიმების წინააღმდეგ, მას პოლიტიკური ბრძოლის კოდექსად და ნორმად ასეთი ზნეობრივი განსაზღვრება გააჩნდა: **„მე ძალიან რადიკალური ვარ საიმისოდ, რომ ვინმემ გაბედოს და ინფორმაცია მომცეს!"**

ვალერია ნოვოდვორსკაია: „რუსეთი უბადრუკობის პოლუსია და მისკენ გამოქცეული - ან ნაძირალაა, ან ბრიყვი!"

ვალერია ნოვოდვორსკაიას ეს ზნეობრივი კოდექსი, ხელისუფლების ძალოვან სტრუქტურებთან რაიმე სახის თანამშრომლობასთან მიმართებაში (თუნდაც საკუთარი ჟურნალისტური თუ უფლებადაცვითი საქმიანობის სასარგებლოდ), სახელმძღვანელოდ უნდა იქცეს ყველა ჭეშმარიტი ჟურნალისტის, სამართალდამცველისა თუ ადამიანთა უფლებათდამცველი პერსონებისათვის, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა, სამწუხაროდ, სიამოვნებითი აქტიურობით თანამშრომლობს ყოველგვარ ძალოვან სტრუქტურებთან, რაც საეჭვოს ხდის მათი დამოუკიდებლობისა და ნდობის ხარისხს.

ჩემი პირველი და ერთადერთი შეხვედრა ვალერია ნოვოდ-ვორსკაიასთან მოხდა 1992 წლის 24 სექტემბერს; ეს დღე დედაჩემის გარდაცვალების თარიღია და მე შესვენებაზე გამოვედი უნივერსიტეტის შენობიდან, რათა რუსთაველზე ქაშუეთის ეკლესიაში წავსულიყავი და სანთლები დამენთო დედაჩემის სახელზე. უნივერსიტეტის ეზოში ჩოჩქოლი და დაძაბულობა დამხვდა. ჩემი ყურადღება მიიპყრო სათვალიანმა, მსუქანმა უცხო ქალბატონმა, რომელსაც წინ დიდი ტომარა ედო და იქედან სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს რაღაც ფურცლებს ურიგებდა; მისი ვინაობა კი ვიცოდი, როგორც დისიდენტმა, მაგრამ იგი ასე პირისპირ არასოდეს მენახა. გულმა მიკარნახა, რომ ეგ, სწორედ ვალერია ნოვოდვორსკაია იყო და პროკლამაციებს არიგებდა, რასაც ზოგი პროტესტის ნიშნად არც ართმევდა, ზოგი კი ართმევდა, სადღაც იჩურთავდა და სწრაფად ეცლებოდა იქაურობას. აჩქარებით მივეახლე, მივესალმე, დახმარება შევთავაზე და მყისიერად დავიწყე მისი ტომრიდან პროკალმაციის გავრცელება. მას გაუხარდა და ბუბუნა ხმით მკითხა „სტუდენტი ხარო?“ მე არაფერი ვუპასუხე, ირგვლივ იძაბებოდა ვითარება, ეზოში უკვე მომრავლებულიყნენ გადაცმული პოლიციელები თუ უშიშროების თანამშრომლები და ვეშურებოდი პროკლამაციების სწრაფად გავრცელებას. ვალერიამ კი: ამ დილით ჩამოვედი გროზნოდან, ზვიად გამსახურდიასაგან წამოვიღე ეს პროკლამაციები, ერთი ტომარა კიდევ მაქვს აქვე ბინაში შენახულიო. ბინა უნივერსიტეტთან ახლოს, რომელსაც სტუმრობდა ვალერია, მოსკოვში მოღვაწე პროფესორის გივი გორგილაძის დედას, ქალბატონ ჩიტოს ეკუთვნოდა. გ. გორგილაძეს ბიოლოგიის ლაბორატორია თსუ-შიც ჰქონდა და დროდადრო ჩამოდიოდა ხოლმე და უნივერსიტეტში ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ვმეგობრობდით კიდეც.

პროკლამაციის შინაარსი შეიცავდა 11 ოქტომბრის მოახლოებულ ხუნტის საპარლამენტო (ე.წ. იმედის) არჩევნების ბოიკოტირების მოწოდებას. მე და ვალერიას, ჯაბა იოსელიანისა და კიტოვანის ხუნტამ მალევე აღგვიკვეთა საქმიანობა და ჩვენ, ფიზიკური ძალადობით ჩაგვყარეს მანქანაში და მიგვიყვანეს ვაკის რაიონის მილიციაში, სადაც დილამდე გვამყოფეს. ვალერია ხაზგასმულ უპატივცემულობას გამოხატავდა ხუნტის მილიციის მიმართ და მათ კითხვებს ცინიკურად და აგდებით პასუხობდა. მოსულები იყვნენ, აგრეთვე უშიშროებიდანაც. ვალერიას საქციელი და პასუხები იმდენად არაადექვატური იყო, რომ ძალოვანები ცდილობდნენ ჩემთან გადაემოწმებინათ მისი ფსიქიური მდგრადობის საკითხი, რასაც მე არანაკლები ცინიზმით ვპასუხობდი. მაგალითად,

როდესაც ვალერიას ეკითხებოდნენ, თუ რა უფლებით ეწეოდა იგი საქართველოში ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას, ვალერია ფეხს-ფეხზე, სიმსუქნისაგან არცთუ მოქნილად გადაიდებდა, ხელჩანთიდან ამოიღებდა სარკეს და პომადას და ვითარცა სალონში, კოსმეტიკობას - სახის მორთვას იწყებდა. მისი „არაადექვატურობა“ ჩემში კმაყოფილ ღიმილს იწვევდა, ხოლო ძალოვანებში კი დაბნეულობასა და წყრომას.

ძალოვანების კითხვები და ინტერესი, ცხადია, უმეტესწილად ვალერიასადმი იყო მიმართული; მათ აინტერესებდათ სად დაბეჭდა მან პროკლამაცია, როდის ჩამოვიდა იგი თბილისში და ა.შ. ვალერიასგან მათ სერიოზული პასუხები ვერ მიიღეს, გარდა ცინიზმისა. მეც, ყველაფერზე – არ ვიცი-მეთქი ვპასუხობდი და არაფრით მიჯერებდნენ. როდესაც სერიოზული კონტაქტი ჩვენსა და ძალოვანებს შორის ვერ შედგა, დილას მიგვიყვანეს ჯაბა იოსელიანთან „იმელის“ შენობაში. ჯაბა იოსელიანის კაბინეტი გადავსებული იყო მხედრიონელებით. ჯაბა ცდილობდა ვალერიაზე მოეხდინა ზეგავლენა და დაერწმუნებინა იგი, რომ ზვიადი დიქტატორი და გიჟი იყო. ამის დასტურად ჯაბამ გვიჩვენა ზვიადის ფოტო (მონტაჟი), რომელზედაც ზვიადი შეურაცხადად გამოიყურებოდა. ჩვენ სიცილი დავაყარეთ ჯაბას, იგი კი გვარწმუნებდა, რომ ეს ნამდვილი ფოტოაო. ვალერიამ ჩვეული პირდაპირობით მიახალა ჯაბას: „შენ უნდა იყო ზვიადის შემცვლელი? საქართველო კი იმსახურებს ზვიადს!“

საღამო ხანს ჩვენ გამოგვიშვეს „იმელის“ შენობიდან. ვალერია ნოვოდვორსკაია იმ ღამითვე გააძევეს თბილისიდან, ხოლო მე, უნივერსიტეტიდან და დავრჩი უმუშევარი. მოსკოვში ჩასულ ვალერიას გივი გორგილაძისთვის უთქვამს, რომ უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი ახალგაზრდა გოგო ამომიდგა გვერდში და ისიც ჩემთან ერთად დააკავესო. გორგილაძეს ჩემთან გადაუმოწმებლადვე მიუგია ვალერიასთვის, რომ იგი ლეილა ცომაია იქნებოდაო. ასე დავრჩით ნაცნობ-უცნობებად მე და ვალერია ნოვოდვორსკაია.

ვალერია, იმავე მისიით კიდევ არაერთხელ იყო ჩამოსული თბილისში, მაგრამ მას უკვე მაშინვე აკავებდნენ და ერთ თვემდე წინასწარი პატიმრობის ჯურღმულშიც კი ჰყავდათ გამომწყვდეული თბილისის ხუნტას.

ვალერია ნოვოდვორსკაიას არაორდინალური გარეგნობა, ზერელე ხედვით, ნამდვილად ქმნიდა არათანხვდენით შთაბეჭდილებას მის ღონიერ გონთან; მაგრამ მისეული სამართლიანობისა და თავისუფლების სიანკარე, კაცობრიობის მჩქეფარე სიყვარული და თავგანწირვის სიდიადე ჩრდილავდა და აუფერულებდა მასთან პოლემიკაში მყოფ ყველას ფიზიკურ სილამაზეს, საინტერესოთა შორის საინტერესოს ხდიდა და

განაბრწყინებდა მას. იგი იყო მჭევრმეტყველი და ეროვნებათაშორისი სიკეთის, თანასწორობისა და თავისუფლების ქადაგი.

XX-XXI საუკუნის მსოფლიო ჟანდარმის - რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, ნებისმიერი გამოვლინებით მებრძოლი პოლიტიკური ფიგურა, მის მყისიერ თაყვანისცემას იმსახურებდა და ეს მოტივი კვებავდა ვალერიას თანადგომას მიხეილ სააკაშვილისადმიც.

ვალერიას მაღალი შეფასებები ზვიად გამსახურდიას მიმართ არაერთ ქართულ და რუსულ გაზეთებშია დაბეჭდილი. აქ კი მისი უამრავი წერილებიდან ერთ მცირე მონაკვეთს მოვიყვანთ მხოლოდ:

„იგი კეთილშობილია, ალალი, წმინდა და განასახიერებს სიბრძნეს, მწერლის ნიჭს და სიმტკიცეს ბავშვურად გულუბრყვილო მარტვილისა, იგი მთელი სიცოცხლე ებრძოდა კომუნიზმსა და მისგან ათავისუფლებდა თავის პატარა ქვეყანას. იგი მარად დისიდენტია, რომელმაც გადაიტანა ციხეც, წამებაც და კატორღაც. იგი ალმოდებულ გემზე კაპიტნად რჩება და ურჩევნია ჩაიძიროს, ვიდრე ალამი დაუშვას, ესაა ზვიად გამსახურდია, ქართული სიბრძნისა და ღირსების სიმბოლო“.

ნოვოდვორსკაია, ზვიადის საფლავზე, 2010 წ.

ლეილა ცომაია

გაზეთი „განმათავისუფლებელი“ №43, გვ. 7, 2014 წ.

ხმაური და პასუხგაუცემელი კითხვები ბესარიონ გუგუშვილის წიგნის პრეზენტაციაზე



ბესარიონ გუგუშვილის ამ შემზარავი დიზაინის წიგნის განხილვას, ჯერ ვერ შევუდგებით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი ერთი ეგზემპლარი ეს-ესაა მოვიპოვეთ და მხოლოდ გულდასმით წაკითხვის შემდგომ გავაკეთებთ ჩვენს პირუთვნელ შეფასებას. დიზაინი კი ავტორისეული უნდა იყოს (წიგნში არ არის მითითებული სხვა დიზაინერ-მხატვარი) და ლაკმუსივით წარმოაჩენს სწორედ ავტორისეულ ხასიათსა თუ ბუნებას. წიგნის პრეზენტაცია კი მოეწყო ნაციონალური მოძრაობის ლობისტურ მაღაზიათა ქსელ „პარნასის“ ერთ-ერთ ფილიალში. ხოლო, თავად წიგნი, გამოიცა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერისა და დეპუტატის ნუგზარ წიკლაურის უნივერსიტეტის გამომცემლობის მუშაკის ლია ბერუაშვილის პატრონაჟით, რისთვისაც წიგნის რედაქტორი იოსებ ღუდუშაური გულითად მადლობას უხდის მას გუგუშვილის სახელით.

წიგნის პრეზენტაციამ, რომელსაც უძღვებოდა უზენაესი საბჭოს ერთადერთი და ნაკლებად ცნობილი დეპუტატი **ფირუზ დეკანოიძე**, სრულიად ქაოტურ, ხმაურიან ვითარებაში ჩაიარა. დეკანოიძე, შეკითხვის დასმის მოსურნეებს, არ აძლევდა საშუალებას კითხვები დაესვათ ფინეთიდან ჩართულ პრემიერ-მინისტრისა თუ წიგნის ავტორისათვის. წიგნის მაღაზიის სალონში 20-მდე შეკრებილთაგან მხოლოდ მალხაზ გორგასლიძემ და ვახტანგ ბახტაძემ შეძლეს შეკითხვის დასმა, რაზეც ბესარიონ გუგუშვილმა მხოლოდ ჩვეული პიროვნული შეურაცხყოფებით უპასუხა, რასაც მხარს უბამდა გუგუშვილის მარიონეტი იოსებ ღუდუშაური, რომელიც ასევე ფინეთშია ემიგრირებული. ბატონ იოსებ ღუდუშაურს, რომელიც ზვიად გამსახურდიას დროს დუშეთის პრეფექტი გახლდათ, Skype-ით

საუბრისას, რამდენიმე წლის წინ ასეთი შეკითხვა დავუსვი:

– ბატონი ბესარიონ გუგუშვილი, მიუკერძოებელი გამოძიებით, ზვიადის მკვლელობის შეთქმულების მონაწილე რომ აღმოჩნდეს, თქვენ მაინც გუგუშვილს დაუჭერთ მხარს?

იგი შეკითხვით, თუმცა ძალიან გაღიზიანდა, მაგრამ პასუხი ასეთი გამცა:

– დიახ,მას დავუჭერ!

ამ საუბრიდან რამდენიმე ხანში კი მან Skype -ს სიიდან ამომშალა.

ღვარძლითა და სიძულვილით აღსავსე ამ წიგნში, თვალის გადავლებითაც ჩანს, რომ თავმოყრილია ის ინტერვიუები და მასალები, რასაც ბ.გუგუშვილი წლების განმავლობაში ავრცელებდა პრესაში ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის მტკიცების“ მიმართულებით. წიგნის სათაური – „მკვლელობის დაკვეთა“ – კონსტანტინე გამსახურდიას მისამართით ნასროლი მკვახე შეძახილი უნდა იყოს მისი საპარლამენტო გამოძიების გამო. ისტორიული დანაშაულის გასაბიაბურებლად მან, სწორედ ის უნდა დაწეროს, რაზეც საკუთარი უსაფრთხოებისათვის შეიპირეს ხუნტის კაცებმა! და ეს მისი ერთადერთი მუშაკობა არ არის ყალბისმქნელობაში; ბესარიონის მიერ შექმნილი ინტერნეტ გვერდით – „პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია“, – იგი, არა მარტო საკუთარ ოპონენტებს ესხმის თავს, არამედ ჰყოფნის სინდისი და გამბედაობა, ზვიად გამსახურდიას სახელით ებრძოლოს, დაგესლოს და დაამუნათოს ზვიადის ნაწამები შვილიც. აი, ნიმუში ბატონ ბესარიონის ინტერნეტ-სიყალბიდან:

<u>პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია</u> საყვედური! რა დაგიშავე ცოტნე, რომ ჩემს მიმდევრებს დროში ჩარჩენილებს უწოდებ?! ეს შენ ხარ შვილო მკვდარი პოლიტიკოსების მიმდევარი და არა ისინი, რომლებსაც შენ 20 წლის გარდაცვლილი პოლიტიკოსის მიმდევრები დაარქვი. შვილო, ამით ვითომ დასცინე ჩემი მტრების თვალში?! ღმერთმა შეგინდოს! დაფიქრდი ხოლმე როცა რაიმეს თქმას აპირებ.

ჩვენ იძულებული ვართ აქ შევწყვიტოთ საუბარი წიგნზე. ჩვენი პოლიტიკური შეფასება კი მის პრეზენტაციასთან დაკავშირებით ქვემოთმოყვანილ განცხადებაში გამოვხატეთ.

ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის განცხადება

მიმდინარე წლის 26 დეკემბერს დაგეგმილია კანონიერი ეროვნული მთავრობის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ბესარიონ გუგუშვილის წიგნის – „მკვლელობის დაკვეთა“ – პრეზენტაცია. წიგნის სათაურიდან და თავად ბ-ნ გუგუშვილის დღემდე ცნობილი განცხადებების მიხედვით შეგვიძლია წინასწარ დავასკვნათ, რომ მის მიერ შედგენილი ზემოხსენებული წიგნი კიდევ ერთი მცდელობაა, ქართველი ერი და საერთაშორისო საზოგადოება „დაარწმუნოს“ ზვიად გამსახურდიას მიერ სიცოცხლის „თვითმკვლელობით“ დასრულებაში, რაც გახლავთ სწორედ გუგუშვილისთვის შეკვეთილი ვერსია იმისათვის, რომ პასუხისმგებლობა ააცილოს ედუარდ შევარდნაძესა და მის ხუნტას ზვიად გამსახურდიას დევნისა და მკვლელობისთვის, ხოლო თავად კი კვლავაც შეინარჩუნოს საკუთარი სიცოცხლის უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის გარანტიები.

ზვიად განმათავისუფლებლის პარტია მოუწოდებს უზენაესი საბჭოს დეპუტატებსა და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს, ნუ მიიღებენ მონაწილეობას დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, აწ უკვე სიკვდილის შემდეგაც წარმოებულ შეთქმულებასა და ცილისწამებაში და ბოიკოტი გამოუცხადონ ბ-ნ გუგუშვილის ყვითელი წიგნის პრეზენტაციას!

პარტიის თავმჯდომარე
ლეილა ცომაია
2012 წლის 25 დეკემბერი.

კონსტანტინე გამსახურდიას (უმცროსი) გამოხმაურება facebook-ზე

Konstantine Gamsakhurdia თავისი ობიექტური მიზეზები აქვს, თუ რატომ არ ჩატარდა ექსპერტიზა და ჩატარდა მხოლოდ დათვალიერება გროზნოს პროზექტურაში. რა თქმა უნდა ამით სიმართლის დადგენის საქმემ იზარალა. სენაკის აეროპორტშიც დათვალიერებას ჰქონდა ადგილი, რომლის ოქმიც გამოვაქვეყნეთ. იმ დოკუმენტში, რომელსაც თამარ დეკანოსიძე, ჩაჩუა, ბოჭორიშვილი და სხვები აწერენ ხელს, ლაპარაკია რამოდენიმე სახის დაზიანებაზე სახისა და თავის არეში. როგორც ყოფილმა ჯანდაცვის მინისტრმა და ყოფილმა პრემიერმა ა. ჯორბენაძემ მითხრა, 3 უცხოელი ექსპერტი უკვე თბილისში იყო ჩამოსული. ხოლო

შევარდნაძემ და ბალუაშვილმა იმით გაიმართლეს თავი, რომ ქვრივი ექსპერტიზის წინააღმდეგიაო: თითქოს გროზნოში მყოფი ქვრივის და იანდარბიევის 5 ჩეჩენის შეეშინდათ. თუკი მე, ე. შევარდნაძე იმას ვამტკიცებ, რომ ამ კაცმა თავი მოიკლა და მე არაფერ შუაში ვარ, მაშინ პირიქით ყველაფერი უნდა მეღონა, რომ როგორღაც ჩატარებულიყო ექსპერტიზა, რაც თვითმკვლელობას დაამტკიცებდა. შევარდნაძისთვის ეს ხომ კომფორტულიც იქნებოდა და აუცილებელიც.

უზენაესი საბჭოს დეპუტატის, გელა ჩორგოლაშვილის გამოხმაურება facebook-ზე

- საუბარი დაიწყო სამშაბათი-ზე.

Gela Chorgolashvili

ქალბატონო ლეილა მოგესალმებით. წავიკითხე ზვიად განმათავისუფლებელის პარტიის განცხადება. ვისაც საქართველოში აღსრულებული აღვირახსნილი ძალადობა სრულიად უდანაშაულო ადამიანის მიმართ (არაფერს ვამბობ მომხდარი ფაქტის სახლმწიფოებრივ და სამართლებრივ კონტექსტზე) ყურმოკვრით მაინც სმენია, შეუძლებელია არ გაიზიაროს თქვენი პარტიის განცხადებაში გამოთქმული მოსაზრება, რომ საქართველოს ჭეშმარიტად ღირსეული შვილის მიმართ წარმოებული ცილისწამების კამპანია წარმოადგენს ქართული მოდგმის გასანადგურებლად მიმართულ მიზანდასახულ ქმედებას და სწორედაც ამ ნიშნითაც ეს გახლავთ შეთქმულება! ადვილი შესამჩნევია, რომ დაცემული ადამიანი (ადამიანი უსინდისო) ცდილობს საკუთარი უზნეობის შენიღბვას „შეთქმულების თეორიაზე“ ქირქილით, თითქოს და ადამიანთა მოდგმის ამქვეყნიური ყოფა ერთი, უწყვეტი, შეთქმულებით არ იყოს დამძიმებული. ქალბატონო ლეილა, პირად წერილს გწერთ იმ მოსაზრებით, რომ მსურს კითხვა პრივატულად დაგისვათ: ბესარიონ გუგუშვილმა წიგნს „მკვლელობის დაკვეთა“ უწოდა. „მკვლელობა“ არ არის „თვითმკვლელობა“, რომელ ვერსიასაც იგი ასე ჯიუტად ნერგავს. ეს რა არის – სათაურში ამოაქვს „მკვლელობა“ რომ კომერციული გახადოს წიგნი? თუ აქ უფრო სხვა, უფრო ღრმად ჩამალალულ მზაკვრობასთან გვაქვს საქმე?

Gela Chorgolashvili

რომ, მართალია, აი „მკვლელობის დაკვეთა“ კი იყო, მაგრამ როგორც ასეთი, ვიწრო იურიდიული მნიშვნელობით „მკვლელობა“ არ შედგა. რასაც მოყვება, რომ ეს გარემოება არ ანთავისუფლებს „დამკვეთს“ მორალური პასუხისმგებლობისაგან და რომ არსებობს ადამიანის მიყვანა თვითმკვლელობამდე და ა. და ა.შ. (დემაგოგია), მაგრამ „მკვლელობა“ როგორც ასეთი არ შედგა იმ უბრალო მიზეზით, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა სიცოცხლე დაასრულა „თვითმკვლელობით”.

შენი სურათი

ზვიად გამსახურდიას

(ესსე)



მე ეს სურათი გუშინ ვნახე, გაზეთში იყო დაბეჭდილი. ამოვჭერი და შევინახე, შევინახავ სამუდამოდ... დილით, როდესაც გამომეღვიძა, პირველი, რაც მომინდა, ეს იყო გულის გამომლევი, აუტანელი სურვილი: ისევ დამეხედა ამ სურათზე, ერთხელ კიდევ შემევლო თვალი, მენახა... ამ სურვილმა გამანადგურა.

ჯერ თავად სურათს აღვწერ, მერე განვმარტავ იმას, თუ რატომ გამანადგურა... ტყე. ნაძვნარი. სამეგრელოს მთის სოფლებში სადღაც მინახავს ასეთი ფერდობს შეფენილი მეჩხერი ნაძვნარი; ბავშვობისას, სიყმაწვილისას ხშირად დავდიოდი ამ სოფლებში და მინახავს... თითქოს ის ნაძვიც მინახავს, რომლის გვერდითაც დგახარ.

შენი მხრების სიმაღლეზე ოდნავ გადახრილია ეს ხე, მარჯვენა ხელი იდაყვიანად დაგიყრდნია მასზე; ზუსტად იმ ადგილას, საიდანაც გადამრუდება იწყება... შენი სამშობლოც, შენი ერიც, ხომ გადამრუდდა?! ხომ გადაამრუდეს?! ხომ გაანადგურეს?! გაშლილი ხელისგული ისე თბილად გიდევს ამ მრუდზე, თითქოს მორჩენას უპირებ მის წყლულებს, თითქოს ამ ნამრუდის გამართვა გინდა. ხე მაინც კივის თავის სატკივარზე, კივის შენი სამშობლოც. შენი ერიც კივის. კივის შენი სულიც... მაგრამ ამწუთებში უხმოა ეს კივილი. უხმოა შენი სამშობლოს კივილი, უხმოა შენი ერის კივილი, უხმოა შენი კივილიც... ამ წუთებში ეს კივილი ხედვით შესაცნობია, სმენით კი არა. ეს გარინდების კივილია. საბედისწეროდ გარინდულა ცაც და ხმელეთიც, შენი გულის ხმას უსმენს, თითქოს ორივე: ცაცა და მიწაც...

სადღაც ახლოა ის საბედისწერო წუთიც... გიახლოვდებიან უკვე... ჩაქრა „ფეიერვერკები“. გათავდა საზიზღარი წარმოდგენა. ყველა მიიმალა, მიიჩქმალა ყველა, არავინ არ ჩანს. კომუნისტურ ტვინს სხვა რა შეუძლია?! მახსენდება დიდებული მერი უოლსტონკრაფტ შელი; ფრანკენშტაინი ეუბნება მონსტრს: შენ შეიძლება კაცთა შორის ყველაზე უფრო უბედური გამხადო, მაგრამ იმას ვერ მოესწრები, ჩემს საკუთარ თვალში რომ დამამცირო! გაიქცნენ და გაიპარნენ კომუნისტების მიერ, „საკუთარ თვალში დამცირებულნი“, მოგზავნილები, მალვით მავნებლები, ერთგულების შემომფიცველნი. „გეთსემანიის ბაღში მაცხოვარი ხედავდა, რომ ყველა მის მომხრეს ეძინა, ხოლო ყველა მისი მოწინააღმდეგე ფხიზლობდა“, ამბობს პასკალი. მე შენ მაცხოვარს არ გადარებ, არ ვაჭარბებ... ამ სურათიდან აშკარად იგრძნობა, რომ ყველა შენი ნამდვილი მომხრე შორსაა შენგან, ყველა შენი ცრუ მომხრე და მოწინააღმდეგე გიახლოვდება... მაგრამ შენ საკუთარ თვალში ვერ დაგამცირებენ... რამდენადაც გაგწირეს, იმდენად უფრო ამაღლდი, იმდენად განათლდი, გასაკვირველდი...

ნახვამდის, ჩემო პრეზიდენტო! ჩვენ, სადმე სივრცეში, ისევ შევხვდებით ერთმანეთს...

აპოლონ ადონია

გაზ. „განმათავისუფლებელი“ №44, 2015 წ.

ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ აწ უკვე ამქვეყნიური სოფლიდან თვითონაც მოწამეობრივად გასული, უცნობი გენიოსის, აპოლონ ადონიას სული, სადმე ზეციურ სივრცეში, მართლაც შეხვდება ზვიადის სულს (რედ.)

„აპოლონ ადონია იმთავითვე იყო გარიდებული ამქვეყნიური დიდების მაძიებელთა კოჰორტას. არასოდეს მინახავს რომელიმე რედაქციის მისაღებში მდგომარე და რედაქტორთან შესვლის მომლოდინე. ჩააბარებდა ლექსებს, ან მოთხრობებს მდივან გოგონას და მყისვე მიაშურებდა გასასასვლელისაკენ. იდგა ეს დიდსულოვანი კაცი “კოლმეურნეობის მოედნის” გვირაბთა ერთ-ერთ სექტორში და წიგნებს ჰყიდდა. იგი ძლიერ წააგავდა პლატონს, იდეალისტსა და მეოცნებეს, იდეალური “სახელმწიფოს” შემქმნელს. ანაც, უფრორე ფიროსმანის სულიერი ძმა გახლდათ, რომელმაც “ხელოვანთა სასახლე” და “სამოვარი” მოინატრა ზემაღალ თემებზე სასაუბროდ” ეს არის ნაწყვეტი აწგარდაცვლილ მწერალ გრიგოლ რუხაიასი აპოლონ ადონიას გარდაცვალებაზე გაზეთ „განმათავისუფლებელში“ (18. გვ.16, 2008 წ.).

დიახ, „იდგა ეს დიდსულოვანი კაცი „კოლმეურნეობის მოედნის“ გვირაბთა ერთ-ერთ სექტორში და წიგნებს ჰყიდდა“. მყიდველის მოლოდინში, ვინ იცის მერამდენედ კითხულობდა გასაყიდ ბუკინისტურ წიგნებს; უქმად მომზირალს ვერასოდეს ნახავდი, წიგნები იყო მისი ერთადერთი ტრფიალი და უშრეტი ინტერესის საგანი. სიყვარულით შერთული ცოლი სხვამ წარსტაცა, საერთო სიყვარულის ნაყოფი შვილი კი დაისაკუთრა — აღარ დათმო. სამეგრელოდან თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. გოგონა თსუ ფილოსოფიური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ფრიადოსანი იყო. აპოლონს, აღარც შვილის წარმატებებითა თუ ბედნიერებით ტკბობის მადლი მიჰგვარა ღმერთმა. აპოლონი დისიდენტობდა, ქალიშვილიც სხვაგვარად მოაზროვნე იყო კომუნისტურ ათეისტურ წყობაში. საბჭოთა უშიშროებას ყურადღების მიღმა, არც მამა-შვილი ადონიები დარჩენია. ერთ დღეს შვილი უფერული და მოწყენილი დაბრუნებულა უნივერსიტეტიდან და რამდენიმე საათში უგონოდაც შექმნილა. სტუდენტურ კაფეში ყავა დაულევია თანაკურსელებთან ერთად. „რაღაც უცხო, მწკლარტე გემო ჰქონდა, მაგრამ მაინც ბოლომდე მოვსვი და მგონი მომწამლესო“. იმ დღიდან ფსიქიატრიული სავადმყოფოს ხშირი ბინადრები გახდნენ... გაყიდული წიგნების ფულით მკურნალ-პატრონობდა შვილს, რომელსაც ბოლოს უკვე საავადმყოფოსთვისაც ვეღარ იმეტებდა, რადგან არაფერი შველოდა მაინც. სახლში კი ისეთ აგრესიას ავლენდა შვილი, რომ იძულებული შეიქმნა მისი ოთახიდან რკინის გისოსებით დაეცვა თავი. მიუხედავად ამგვარი სვემწარე ყოფისა, აპოლონი არ განრიდებია სამშობლოზე ფიქრსა და ზრუნვას; პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების იარაღით დამხობას საქართველოს კატასტროფად აფასებდა და ყველანაირად ცდილობდა თავისი ბრძნული შეგონება მიეტანა ხალხამდე კალმით თუ საქმით. კალმით ხშირდ წერდა ჩვენს გაზეთ „განმათავისუფლებელში“.

აპოლონ ადონიას ჯანმრთელობა და სიცოცხლეც „კოლმეურნეობის მოედნის“ გვირაბში „სამსახურმა“ შეიწირა, იგი ფილტვების ანთებით დაავადებული გარდაიცვალა 2008 წელს, რამაც ფსიქიურად შერყეული მისი შვილის მდგომარეობა სრულიად უიმედო გახადა...

ლეილა ცომაია

ინგუში მწერლის ისა კოძოევის წერილი

ცხოვრება კარდინალურად შეიცვალა და თითქმის ვეღარ ვიგებ რა ხდება. მე ვარ ადამიანი წარსულიდან. წარსული, რა თქმა უნდა, ჩვენთვის, ტოტალიტარულ ირეჟიმის წინააღმდეგ ამბოხებულ ადამიანების მიმართ, მკაცრი იყო. ამ ბრძოლას მხოლოდ რომანტიკოს-პასიონარები თუ წამოიწყებდნენ და გაუძლებდნენ. ეს სიტყვები დღევანდელი საზოგადო მოღვაწეების მიერ დაცინვითაც კი გამოიყენება, მაგრამ მაშინ ჩვენ სიცილისთვის არ გვეცალა.

დიახ, ჩვენ ვიყავით რომანტიკოს-პასიონარები და ზვიად გამსახურდია ერთ-ერთი ჩვენთაგანი იყო. ჩვენ გვამოძრავებდა წმინდა სული, პრაგმატულობის გარეშე და სული იყო ძლიერი. მან დაამხო კომუნისტების ტოტალიტარული რეჟიმი. მე გადავწყვიტე ზვიადის დაბადების დღეს გამომეთქვა ჩემი მოსაზრება და ვფიქრობ, რომ ქართველები მე გამიგებენ.

"დროთა განმავლობაში შეიცვალა განგება კაცთა მოდგმის მიმართ და ადამიანის ევოლუციისათვის, ჭეშმარიტებისა და სიკეთის მცნების გარდა, საჭირო გახდა თავისუფლების შემეცნება და გათავისება". *(ყველა ციტატა აქაც და შემდგომ მოყვანილია ზ. გამსახურდიას სტატიიდან "კაცობრიობა დილემის წინაშე" 1993 წ.)*

ჩვენმა ეპოქამ ჩაიარა, როგორც ბედნიერმა სიზმარმა, როგორც პოეტის ბობოქარმა შთაგონებამ, როგორც ახლის დაბადების დღესასწაულმა. შესაძლოა, კავკასიელების ახალმა თაობამ ვერ გაგვიგოს იმ წლების ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლებს, მაგრამ ჩვენს დროს ყველაფერი სხვაგვარად იყო. ჩვენს გასასრესად გამზადებული იყო ორი ბეტონის ფილა. ერთი – კომუნისტების ტოტალიტარული რეჟიმი, ხოლო მეორე - რუსული შოვინიზმი. გამუდმებული შიში იყო იმისა, რომ ეს ფილები ჩამოვარდებოდა და ხალხს ქვეშ მოიყოლებდა. საზოგადოებას ამოძრავებდა შიში. ყველაზე მდაბიო, ცხოველური შიში - ღამე თბილი საწოლიდან წამოგდების, დაუნდობლად ცემის, წამების, ფეხის ქუსლებზე ჯოხით ცემის, მამაკაცებისათვის გენეტალიებზე გირების დაკიდების, ქალების გაუპატიურების, ბოთლებზე დასმის, ფრჩხილების ქვეშ ნემსების გაყრის, თითების დამტვრევის, დღეების განმავლობაში თვალებში კაშკაშა შუქის მინათების... შედეგად – "მოაწერეთ ხელი, რომ თქვენ გეგმავდით საბჭოთა ხელისუფლების დამხობას" – დახვრეტა და კირის ორმო. სსრკ-ს არცერთი "მოქალაქე" არ იყო დაზღვეული მსგავსი შემთხვევისაგან.

ეს იყო საზოგადოებაში გამეფებული შიში, რომელიც ყველგან აღწევდა. ადამიანებმა, თითქმის ყველამ, ისწავლა ტყუილი. სიცრუე ითვლებოდა საბჭოთა ადამიანის ღირსებად და სიამაყედ. ის ვინც მოხერხებულად ცრუობდა იმედი ჰქონდა, რომ არ მოხვდებოდა სუკ-ის თვალთახედვის არეში. საზოგადოებაში არსებობდა სრული უნდობლობა.

მე ვახსენე ორი ფილა. პირველი ეკიდა მთელი საბჭოთა კავშირის თავზე, როგორც "დამოკლეს მახვილი". მეორე – "ნაცმენებზე", როგორც მაშინ მოიხსენიებდნენ არარუს მოსახლეობას. აი, ასეთი ქვეყნიდან ვიყავით ჩვენ, მაშინდელი დისიდენტები, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა სუვერენული საქართველოს მომავალი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია – დიდი განმათავისუფლებელი!

მე ვიცი, ძალიან ბევრს საქართველოში მოეწონება საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში ზვიად გამსახურდიას ღვაწლის ჩემეული შეფასება, რაც შემდგარი ისტორიული ფაქტია. საქართველოს აღორძინების საქმეში, ზვიადის მიერ გაღებული სისხლი, წარუშლელ ფურცლად დარჩება ისტორიაში. არავის არ ხელეწიფება ზვიად-განმანთავისუფლებელის გადაგდება მისი დიდებული კვარცხლბეკიდან.

ქართველებო, მას უნდა დაუდგათ ქვის ქანდაკება. რა თქმა უნდა, მას ეს არ სჭირდება, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს საქართველოს მომავალი თაობისთვის.

ზვიადი არ იყო ერთადერთი, ვინც იბრძოდა საქართველოს განთავისუფლებისათვის. ჭეშმარიტად არა! ისინი ბევრნი იყვნენ, მაგრამ იგი იყო ყველაზე თვალსაჩინო მათ შორის. დიახ, ეს იყო ჩვენი რომანტიკული ეპოქა – მოკლე, ბედნიერი გაელვება, რომელიც ღმერთმა გვაჩუქა ჩვენი სუფთა გულებისა და მძიმე შრომისათვის. მივმართავ ჩემს ზუგდიდელ მეგობრებს: "თუ თქვენ ცოცხლები ხართ, მეც მომიხსენეთ, თქვენი სულიერი ძმა და თანამესაკნე მორდოვიის დაწყევლილი ბანაკებიდან. მე თქვენ მახსოვხართ ყოველ წამს, ხოლო როცა ვიძინებ, მე კვლავ თქვენთან ვარ. ღმერთს გეფიცებით, ეს იყო ჩემი ყველაზე ბედნიერი ხანა – მე თქვენთან ერთად შევიგრძენი ჭეშმარიტი ბედნიერება. სხვა როგორც ჩანს, არც არსებობს დედამიწაზე. ადამიანები ისე არიან მოწყობილნი, რომ ბედნიერებას იქ ეძებენ, სადაც ის არ არის და ვერც იქნება".

არ გამართლდა ოდესღაც სსრკ-ში დამკვიდრებული გამონათქვამი: "ბეტონის კედელს შუბლით ვერ გაანგრევ"; შეუპოვარმა მებრძოლებმა შეძლეს და შუბლით გაანგრიეს ბეტონის კედელი. გაჩნდა ნაპრალი თავისუფლებისაკენ და ამ ნაპრალს მიაწყდა ყველა. 70 წელი ტყვეობაში და უცებ – თავისუფლება! დათვრა, თავისუფლებას შეუჩვეველი ხალხი და ბევრმა უბედურება დაატრიალა. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, მაგრამ წარსულს ვერ დავუბრუნდებით და არც უნდა დავუბრუნდეთ. "... და ჩვენ, კაცობრიობა შექმნილი ვართ აბსოლუტურად გონიერი, კეთილი, უნივერსალური ძალის მიერ . . . ჩვენ გვაქვს დიადი დანიშნულება, ამაღლებული მიზნები, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეის გულისათვის და არა მიწიერი კეთილდღეობისათვის, ჩვენ მსხვერპლი უნდა გავიღოთ". ასე აღწერს ზვიადი იმ ძალის არსსა და მნიშვნელობას, რომელიც შთაგვაგონებდა შუბლით შევსკდომოდით ბეტონის კედელს.

"მსხვერპლად შეწირვა" – არის ის გრძნობა, რომელიც ამოძრავებდა იმ ეპოქის სულიერ თანამოძმეებს და ამიტომაც მათი ქმედება ზოგჯერ გონიერებისა და უგუნურობის ზღვარზე გადიოდა.

შესაძლოა, კავკასიელების ახალმა თაობამ ეს ვერც გააცნობიეროს. ზვიადი იყო ღრმად განათლებული და მოაზროვნე ადამიანი. იმ საზოგადოებაში, რომელშიც აღიზარდა: "ერთის მხრივ – სამოქალაქო თავგანწირვა, სინდისის კარნახით მოქმედება, სულიერი ფასეულობების წამოწევა, ხოლო მეორეს მხრივ – ფილისტერული, თვითკმაყოფილი ფსევდოპრაგმატიზმი, გულგრილობა ყოველგვარი უმსგავსობის მიმართ, სისტემატურად სინდისის საკუთარ სულში ჩახშობა, რომელიც სრულდება ამა თუ იმ საზოგადოებრივი სისტემისა თუ ცალკეული ადამიანის მიერ . . . დისიდენტებმა აირჩიეს დილემის პირველი მხარე, მაგრამ არა ერთნაირი წარმატებითა და მედგრო-

ბით. ალბათ, ასე ხდებოდა იმის გამო, რომ მათ შორისაც არიან ადამიანები, რომელთაგან ყველას არ აღმოაჩნდა ერთნაირი შორსმჭვრეტელობა და სიმამაცე, ჭეშმარიტებისაკენ სავალ გზაზე მსხვერპლის გასაღებად".

1989 წელი. თბილისი. საბჭოთა ჯარისკაცები თავს ესხმიან მშვიდობიან დემონსტრაციას. ხალხს ორლესულ ნიჩბებს ურტყამენ თავში. იყენებენ საშიშ-მომწამვლელ გაზს. ქუჩები სავსეა გვამებით, ხოლო საავადმყოფოები - მოწამლული ხალხით. ქართველმა ხალხმა ნათლად დაინახა, რომ სხვა გზა არ იყო, გარდა თავისუფლების მოპოვებისა. ორი ეროვნული გმირი, ორი ლიდერი – მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია. მათ ხალხი დარაზმეს იმისთვის, რომ კეთილშობილი ქართველი ერისთვის სამუდამოდ მოეშორებინათ სხვა ქვეყნის უღელი. ეს მხოლოდ გმირებს შეეძლოთ. ეს იყო სახიფათო ნაბიჯი.

ქართველი "სეპარატისტების" ქმედებით აღშფოთებულმა მიხეილ გორბაჩოვმა სატელეფონო საუბარში ზვიად გამსახურდიას განუცხადა, რომ საქართველო დამოუკიდებლობას მიიღებდა აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიების გარეშე. როგორც ჩანს, კრემლი იმ პერიოდში საქართველოს სხვა რეგიონებზე სერიოზულად არ ფიქრობდა. თუმცა, შემდგომ გადაწყვიტა უძველესი სახელმწიფო დაენაწევრებინა პატარა "სათავადოებად": აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, აჭარა, სამეგრელო, სვანეთი. მოსაზღვრე რაიონები მიეერთებინა სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის — იყო ასეთი ქვეყანა საქართველო - და აღარ არსებობს. მაგრამ არ გამოუვიდათ, თუმცა ამისთვის კოლოსალური ძალისხმევა იყო ჩადებული. ღმერთი ზეციდან იყურება! ის არ დაუშვებს კეთილშობილი ერის განადგურებას.

მე ვესწრებოდი საქართველოს უმაღლესი საბჭოს იმ ისტორიულ სესიას, რომელზეც დამოუკიდებლობა გამოცხადდა, და ორჯერ გამოვედი სიტყვით. სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ დამავიწყდება ის დღე. სესიის შემდეგ ზვიადისთან ერთად გამოვედით მიტინგზე. მსგავსს ვერასოდეს ნახავ – მილიონზე მეტი საქართველოს მაცხოვრებელი გამოსული იყო რუსთაველის პროსპექტზე. იქ იდგა თითქმის მთელი საქართველო. მე მაშინ მივხვდი, რომ ეს ადამიანები შეკრებილი იყვნენ, არა "ლავაშისა" და "ჯინსებისათვის", არამედ თავისუფლებისთვის.

მაშინ, ჩვენ ყველა გვიყვარდა, ჩვენს სულში არავის მიმართ არ იყო მტრობა და სიძულვილი. ჩვენ ველოდით მსგავს დამოკიდებულებას რუსეთისგანაც, მაგრამ მწარედ შევცდით. ზვიადს არ მისცეს მშვიდობიანი მუშაობის საშუალება, რათა გადაეწყვიტა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო პრობლემები, რომელიც საკმაოდ იყო დაგროვილი. მას აღმოაჩნდა მტრები, როგორც ქვეყნის შიგნით ისე ქვეყნის გარეთ. მოსკოვის დიასპორაში იქმნებოდა ანტიზვიადისტური კოალიციები. ბორის ელცინი ხელს უწყობდა მსგა-

ვს ფაქტებს. ჩვენთვის ნაცნობი სტრუქტურები ასწავლიდნენ და ამარაგებდნენ მომვალ მეამბოხეებს.

1991 წლის 23 და 24 მარტს, ყაზბეგში, ბ. ელცინი სამუდამო მეგობრობას ეფიცებოდა ზვიადს. ქართველებმა მას მიართვეს უძვირფასესი ხმალი. აღფრთოვანებული ელცინი ხმლით ხელში ყვიროდა: "აბა, გამაგრდი მიშკა გორბაჩოვ!". იგი ძლივს დაამშვიდეს და კვლავ მაგიდასთან დასვეს. ამ შეხვედრას ვესწრებოდით ორი ინგუში – მე და სალამ ახილგოვი. ჩვენ სპეციალურად მიგვიპატიჟა ზვიადმა. მას უნდოდა ბ. ელცინთან ინგუშეთის საკითხზე მოლაპარაკება. ასევე, მონაწილობდნენ ჩრდილო ოსეთის ხელმძღვანელი პირებიც. ამბობდნენ, რომ იმყოფებოდნენ ბ.ელცინის მიწვევით. როდესაც ჩვენ ავდექით მაგიდიდან, ზვიდმა შეარჩია შესაფერისი დრო და ბ.ელცინი შეიყვანა პატარა კაბინეტში, სადაც მიუხედავად მისი თანმხლები პირების წინააღმდეგობისა, მეც ვიმყოფებოდი. შედგა მოკლე საუბარი. ჩვენ სამნი ვიყავით: ბორის ელცინი, ზვიად გამსახურდია და მე - ისსა კოძოევი. მე მოკლედ ავხსენი ჩვენი თხოვნის არსი. ზვიადმა დამაჯერებლად დაამატა: "ბორის ნიკოლოზის ძევ, გადაწყვიტეთ ინგუში ხალხის საქმე სამართლიანად და ისინი თქვენ არ დაგივიწყებენ. მე ამას გთხოვთ მთელი ქართველი ერის სახელით". აღნიშნულზე ბ. ელცინმა უპასუხა — "ზვიად, მე ხომ უკვე დაგპირდი. ინგუშებო, ხვალ მე ნაზრანში ჩამოვალ". მე მართლაც დავუჯერე მას. ზვიადმა დამშვიდობებისას მითხრა: "ისა, იმედიანად იყავი! ნუთუ დიდი ქვეყნის პრეზიდენტი სიტყვებს ჰაერში ისვრის?!" აღმოჩნდა, რომ ასეთი ქვეყნის პრეზიდენტის სიტყვა კაპიკიც არ ღირს. ტყუილს მათთან "პოლიტიკა" ჰქვია.

მეორე დღეს, 24 მარტს, ბ. ელცინი მართლაც ჩავიდა ნაზრანში. თანხმობის მოედანზე იგი დაგვპირდა, რომ ინგუში ხალხის ბედი "სამართლიანად" გადაწყდებოდა. ჩვენ ყველამ ვიცით თუ როგორ გადაწყვიტა. ვხედავთ, როგორ ესმით სამართლიანობა. დღეს, ბორის ელცინი ცოცხალი არ არის. იგი გარდაიცვალა და თან წაიღო წყევლა ჩვენი ხალხისა, რომლის იმედიც 1992 წლის შემოდგომაზე სისხლში ჩაკლა. ზვიად გამსახურდიამ "განთავისუფლებული" მოკავშირე რესპუბლიკების პრეზიდენტებთან ურთიერთობა ვერ დაამყარა. რატომ? იმიტომ, რომ ეს პრეზიდენტები – იმჟამად უკვე სუვერენული სახელმწიფოების მეთაურები – მანამდე ჯიბით ატარებდნენ სკკპ-ს ბილეთებს. იმიტომ, რომ მათ საკუთარი სულები, "სკამების" გამო, ეშმაკს მიჰყიდეს. როგორც ცნობილია, თუ ეშმაკი ერთხელ იყიდის ვინმეს სულს, უკან აღარ აბრუნებს. ისინი ისევ ემორჩილებოდნენ კრემლიდან თავიანთ "სუზერენს". იგი მათ უკრძალავდა ურთიერთობას დაუმორჩილებელ რესპუბლიკასთან, სადაც პრეზიდენტი

იყო სუფთა ადამიანი, რომელიც არ იყო გასვრილი ათეისტი - კომუნისტის ბილეთით – თავისუფალი რესპუბლიკის დამოუკიდებელი პრეზიდენტი, კავკასიელი დემოკრატი. მე ხაზს ვუსვამ, იგი იყო არა უბრალოდ დემოკრატი, არამედ კ ა ვ კ ა ს ი ე ლ ი დემოკრატი და ჭეშმარიტად მორწმუნე ქრისტიანი. მე ვერც კი წარმომიდგენია ზვიადი კომუნისტებიდან დემოკრატებად გარდაქმნილ ადამანთა შორის. ზვიადი ბრწყინავდა თავისი სიწმინდითა და კეთილშობილებით. იგი გახდა მოწამე თავისი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. იგი მოვიდა, როგორც განმათავისუფლებელი და თავისი მისიის შესრულების შემდგომ, ღმერთმა თავისთან წაიყვანა. ალბათ, მსგავსი პრეზიდენტების დრო ჯერ არ დამდგარა.

1977 წელს ზვიად გამსახურდიამ დაწერა სტატია "კაცობრიობა დილემის წინაშე", საიდანაც მომყავს ამონარიდები და ციტატები. ეს არის ძალიან კომპაქტური ტრაქტატი, სადაც თეზისებად აქვს ჩამოყალიბებული თავისი სწავლების ძირითადი დებულებები საზოგადოების განვითარების შესახებ.

"კაპიტალისტურ ქვეყნებში ადამინებმა უნდა მოახერხონ გათავისუფლება სნობიზმისგან, კომფორტის სიყვარულისაგან და გამორჩენის კულტისაგან. ხოლო სოციალისტურ ქვეყნებში ადამიანებმა უნდა დაძლიონ შიში, ვიწრო ეგოისტური ჩაკეტილობა, ასოციალურობა, სამოქალაქო დეზერტირობა, ფილისტერული თვითკმაყოფილება, აგრეთვე თავის მოტყუება ფსევდო-ოპოზიციონერობით. შენ სეირნობ დიდი ქალაქის ქუჩებში, სარგებლობ კომფორტით, მსახურობ, მოგზაურობ საზღვარგარეთ, "აფრქვევ ოპოზიციურ აზრებს" მეგობრების ვიწრო წრეში. სიტყვებით – გმირი ხარ, ხოლო საქმით – თავს არიდებ თავისუფლებისთვის ბრძოლას. შენ სულ არ გადარდებს ბედი იმ ადამიანებისა, რომლებიც ბანაკებსა და ციხეებში იმყოფებიან, კლავენ, აავადებენ თანდათანაბოთ, ასეთ ცხოვრების წესს, მიჰყავხარ დეგრადაციისკენ, ამორალურობისკენ. შესაძლოა, ბოლოს შენ შეგძულდეს შენი თანამოძმე, რომელიც იბრძვის სიმართლისა და სიკეთისათვის. შენ მისთვის იგონებ სხვადასხვა განსაზღვრებას: "უცნაური", "დონ კიხოტი", "პოზიორი". იქექები მის წვრილმან ნაკლოვანებებში და აკრიტიკებ. მოკლედ, გინდა დაამტკიცო შენი გზის სამართლიანობა, რომელსაც დაღუპვისკენ მიჰყავხარ. მაგრამ სამართლიანობის საკურთხეველზე შენი სიცოცხლის დადება, უეჭველად მიგიყვანსს სიკეთისა და სიმართლის სათავესთან – ღმერთთან!"

ეს არის ზვიადიზმის ძირითადი პოსტულატი – სიმართლისათვის მსხვერპლშეწირვა. ეს კავკასიური პასიონარიის ძირითადი იდეაა.

თქვენ ქართველებო, შტორმის დროს გემზე მყოფი ადამიანების მსგა-

ვსად, ბორტიდან ბორტს ეხეთქებით. ყველფერს ამ ქვეყანაზე აქვს დასასრული და ჩვენს უბედურებასაც ბოლო მოეღება. შვებით ამოვისუნთქავთ და დავუბრუნდებით ზვიად-განმათავისუფლებლის სწავლებებს.

დაე, იყოს ღმერთი კეთილი და მოწყალე ჩვენს მიმართ.

30 სექტემბერი, 2013 წელი.

„არ გათეთრდების ყორანი...“

ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებამ, უკანასკნელ წლებში სრული კრახი განიცადა. ამგვარი შედეგი იმთავითვე ცხადი და მოსალოდნელი იყო, ვინაიდან, „ეროვნულ საბჭოდ“ წოდებულ პოლიტიკურ აჯაფსანდალში არავის არაფერი მოეკითხა: არც ზნეობა, არც მორალი, არც დამსახურება, არც პატრიოტიზმი, არც წარსული ღალატი და არცთუ სახელმწიფო დანაშაული; „ეროვნულ საბჭოში“ ყველა ტიპის ავანტიურისტისთვის აღმოჩნდა ადგილი. შესაბამისად, „ოპოზიციონერად“ წოდებული რომელი ლიდერი, ხელისუფლების რომელ წარმომადგენელთან აწარმოებდა საიდუმლო მოლაპარაკებას (ლევან გაჩეჩილაძე, გოგა ხაინდრავა, დავით გამყრელიძე, დავით უსუფაშვილი), ვერავინ აკონტროლებდა.

სააკაშვილმა ზუსტად უწყოდა რა ოპოზიციის რეალური სახე, მზაკვრობით აჯობა მათ და „გაფარჩაკებული“ წარმოაჩინა.

წარსული მწარე გაკვეთილების გათვალისწინებით, ოპოზიციის ცალკეულ წარმომადგენლებში აშკარაა მცდელობა, აღარ აჰყვნენ დემაგოგიას და ვიწრო პარტიულ გაერთიანებებზე შეჯერდნენ. ამ ტიპის გაერთიანებაზე დეკლარაცია უკვე გააკეთეს: ირაკლი ალასანია – რესპუბლიკელები, ახალი მემარჯვენეების ლიდერებმა, აგრეთვე, კონსტანტინე გამსახურდია – აკაკი ასათიანი, გია მაისაშვილი, გუგული მაღრაძის ოთხთა კავშირმა და სხვა. რამდენადაც საიმედოდ და ბუნებრივად გვეჩვენება კონსტანტინე გამსახურდიასა და გიორგი მაისაშვილის პოლიტიკური კავშირი, იმდენად არასაიმედო და არაბუნებრივია გუგული მაღრაძისა და აკაკი ასათიანის ტანდემი გამსახურდია-მაისაშვილთან. აკაკი ასათიანზე ვერ ვიტყვით, რომ იგი შეცდომებს უშვებს, აკაკი ასათიანი, ბუნებით ქვაბავაზაკია! შეთქმულების თეორია, მისთვის ორგანულია, რაშიც ჩვენ ამჯერადაც დავრწმუნდით და წარსული შეთქმულების არაერთი მასალაც გამოვაქვეყნეთ ჩვენი გაზეთის მე-17 ნომერში (2008 წ. მაისი). როგორც ვუწყით, აკაკი ასათიანი ბრძანდებოდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის უზენაესი საბჭოს სპიკერი, რომლის ერთგულებას დღემდე ურცხვად გვეფიცება და დღემდე უტიფრად აცხადებს, რომ „ზვიად გამსახურდიას ჩემთვის ღალატში ბრალი არ დაუდიაო“. ასათიანის მამხილებელ სტატიაში „ქვაბავაზაკ პოლიტიკოსთა ტრიუმფი“ ჩვენ,

დოკუმენტებთან ერთად გამოვაქვეყნეთ მისი ფეშენებელური სამსართულიანი სახლის ფოტოც, რომელიც მან ქვეყანაში არსებული უკიდურესი სიდუხჭირის წლებში (1993-95) აიშენა ყოფილი აკოფიანის, ამჟამად სულთნიშნის ქ. №1-ში (ვერცხლის ქუჩის პერპენდიკულარული ქუჩა), იმ იმედით, რომ ასათიანი აღარ გააგრძელებდა ხალხის „დარწმუნებას“ თავის „უცოდველობაში“. ჩვენი, გაზეთის ზემოხსენებული ნომერი (№17), აკ. ასათიანს, საკუთარი სახლის ფოსტის ყუთში ჩავუდევით, რათა წაეკითხა და დადუმებულიყო, მაგრამ ამაოდ.

ჩვენ იძულებული ვართ, კვლავ შევახსენოთ საზოგადოებას აკაკი ასათიანის მოღალატური წასრული.

დოკუმენტი № 1.

მიმართვა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირისადმი

1990 წლიდან საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში თვალსაჩინო როლს ასრულებდა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, რომელიც იმთავითვე დაუპირისპირდა მოსკოვის სუკ-ის მიერ შექმნილ ცრუ მონარქისტულ მოძრაობას საქართველოში. ამ კავშირის ლიდერი აკაკი ასათიანი აღიარებდა, რომ მოსკოვმა ეს ცრუ მოძრაობა შექმნა საქართველოში ჭეშმარიტად ეროვნულ ძალებთან დასაპირისპირებლად. ტრადიციონალისტები შევიდნენ „მრგვალ მაგიდაში“ და აცხადებდნენ, რომ მხარს დაუჭერდნენ მხოლოდ ლეგიტიმურ არჩევნებს და ამ გზით არჩეულ კანონიერ ხელისუფლებას. მათი პროგრამა და დეკლარაციები ყოველნაირად გამორიცხავდნენ კოლაბორაციონიზმს იმპერიულ ძალებთან, ისინი ემიჯნებოდნენ მოღალატე ცრუ პარტიებს, მხარს უჭერდნენ კანონიერ პარლამენტსა და პრეზიდენტს. ამან განაპირობა ჩემის მხრივ მხარდაჭერა თქვენი მოძრაობისა, აგრეთვე აკაკი ასათიანის კანდიდატურისა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე, ამასთან 1991 წელს ტრადიციონალისტთა კავშირის ყრილობაზე მე ამირჩიეს ამ კავშირის საპატიო წევრად.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა იმპერიის მიერ ინსპირირებული პუტჩის დღეებში. ბ-ნი აკაკი ასათიანი მერყეობდა, ყოველნაირად ცდილობდა თავი აერიდებინა პუტჩისტი დეპუტატების დაგმობისათვის და ბოლოს საერთოდ გაეცალა ბრძოლის ველს ვითომდაც ავადმყოფობის საბაბით. შემდეგ იგი უეცრად გამოჩნდა ზუგდიდში, სადაც ხალხს მოუწოდებდა არ წასულიყვნენ კანონიერი ხელისუფლების დასახმარებლად და არ მიეღოთ მონაწილეობა ბრძოლებში. ასეთივე აგიტაციას ეწეოდა იგი ქუთაისსა და სხვა ქალაქებში. ამჟამად ცნობილია, რომ მას პუტ-

ჩისტებთან იდეური ნათესაობა აკავშირებდა. ხოლო უკანასკნელ ხანებში გამოიკვეთა მისი ალიანსი შევარდნაძის ნეოკომუნისტურ მაფიოზურ ხუნტასთან. ა. ასათიანი, ზ. ბოკუჩავა და სხვები დღეს ხუნტის ცრუ არჩევნების პროპაგანდას ეწევიან, თანაც ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად აცხადებენ, რომ ისინი ვითომდაც მხარს უჭერენ კანონიერ პრეზიდენტს.

ა. ასათიანმა, რომელმაც თავისი თავი გადამდგარად გამოაცხადა, ხოლო კანონიერი პარლამენტი დაშლილად, დღეს ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუწყოს მაფიოზურ ხუნტას ცრუ პარლამენტის შეკონიწებაში არალეგიტიმური არჩევნების გზით, თუმცა კარგად უწყის, რომ ნამდვილი არჩევნების დანიშვნა მხოლოდ კანონიერი პარლამენტის პრეროგატივაა.

ეს ყოველივე არის, აგრეთვე ღალატი ჭეშმარიტი მონარქისტული იდეისა, როგორც საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ გიორგი (ხორხე) ბატონიშვილმა განაცხადა, საქართველოში მონარქია შეიძლება აღდგეს მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ხალხის ნებისა და კონსტიტუციის გადაწყვეტილებით. უზურპატორებს, პუტჩისტებს, ხალხის ნების აბუჩად ამგდებთ კი არა აქვთ უფლება თავისთავს უწოდონ მონარქისტები ან ტრადიციონალისტები. დღეს სავსებით ნათელია, რომ ა. ასათიანის ტრადიციონალისტთა კავშირი გახდა კოლაბორაციონისტული ორგანიზაცია, რომელიც უპირისპირდება კანონიერ ხელისუფლებას. ამის გამო ვაუქმებ ჩემს საპატიო წევრობას თქვენს კავშირში და მოგიწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ეროვნული მოძრაობისა და ჭეშმარიტი კონსტიტუციური მონარქიზმის იდეალები, დასტოვოთ ცრუ ტრადიციონალისტთა რიგები და პროტესტი გამოუცხადოთ ანტიტრადიციონალისტ პუტჩისტებთან და სახელმწიფო დამნაშავეებთან ალიანსში მყოფ თქვენს ლიდერს, როგორც მოღალატეს ეროვნული მოძრაობისას და კანონიერი ხელისუფლებისას.

დაგმეთ შეთქმულება საქართველოს კანონიერი ტახტის წინააღმდეგ, შემოუერთდით ჩვენს რიგებს!

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
1992 წლის 21 ივნისი

დოკუმენტი № 2.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას 1993 წლის 19 იანვრის ვიდეომიმართვა ქართველი ერისადმი, ვიხსნათ საქართველო

ციტატა: „... მრგვალი მაგიდიდან ჩვენ გავრიცხეთ ისინი, ვინც ჩირქს სცხებდნენ მას. კერძოდ, გავრიცხეთ ე.წ. მერაბ კოსტავას საზოგადოება, რომელიც არცხვენდა ამ უდიდესი პიროვნების სახელს, გავრიცხეთ ცრუ ტრადიციონალისტები ასათიანის მეთაურობით...“ (გაზეთ „აღდგომა“, № 3(31), 30 იანვარი, 1993).

დოკუმენტი № 3.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართვა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი

ციტატა: „... რკონთან და თბილისის ზღვასთან ალიანსში მყოფი, კანონიერი პარლამენტის შიგნიდან ამფეთქებელი აკ. ასათიანი დეკემბერ-იანვრის სისხლიანი პუტჩის დროს განერიდა დედაქალაქს, ვითომდაც ავადმყოფობის საბაბით, რათა დაერწმუნებინა დასავლეთ საქართველოს აბობოქრებული მოსახლეობა, პრეზიდენტსა და პარლამენტს არაფერი უჭირთ, ნუ წახვალთ მათ დასახმარებლადო“ და ა.შ. (გაზეთი „აღდგომა“, № 7, 28 თებერვალი, 1993).

„პუტჩისთვის“, ოპოზიციამ, თვალსაჩინო აქტიურობა დაიწყო 13 დეკემბერს და დასრულდა 6 იანვარს, ანუ სამ კვირაში. „გამოჯანმრთელებული“ ასათიანიც მალევე დაბრუნდა დედაქალაქში და ხუნტის ხელისუფლებასთან (სიგუა-იოსელიანი-კიტოვანი-ყარყარაშვილი) კაპიტულანტური შეკრება გამართა, ჯერ კინოს სახლში, ხოლო შემდგომ ფილარმონიაში, სადაც უკვე კანონიერი ეროვნული ხელისუფლების მომხრე ათიათასობით ადამიანი მიაწყდა. მძლავრმა პროტესტმა ასათიანი აიძულა უარი ეთქვა ხუნტის მიერ შეთავაზებული კაპიტულაციის ტექსტის ხელმოწერაზე. ფილარმონია ალყაშემორტყმული იყო ათიათასობით მომიტინგით, რომლებიც ასათიანის მისამართით სკანდირებდნენ: „არ გაბედო!“, „მოღალატე!“ ხელმოწერის შემთხვევაში იგი ხალხის რისხვას ახლა უკვე ნამდვილად ვერ ასცდებოდა. რეალური იყო საფრთხე აღელვებული ხალხის მიერ მისი ფიზიკური მოშთობისა, მიუხედავად იმისა, რომ მას ხუნტის შეიარაღებული ძალები იცავდნენ. ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ხუნტას, ასათიანის სიცოცხლე, დოკუმენტზე ხელმოწერამდე სჭირდებოდა, ხელმოწერის შემდგომ კი მისი დაცვით დიდად არ შეიწუხებდნენ

თავს. ასათიანს, როგორც ჭკვიანს და გაიძვერას, არ გაუჭირდებოდა მოსალოდნელი საფრთხის განჭვრეტა და ექსტრემალური ვითარების შესაბამისადაც მოიქცა, დოკუმენტს ხელი არ მოაწერა!

ასათიანს ღალატი და ორგულობა, რომ სისხლში აქვს გამჯდარი ეს სულ ახლახანაც დადასტურდა; როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, ასათიანმა პოლიტიკური ალიანსი შეკრა კონსტანტინე გამსახურდიასთან, გუგული მაღრაძესა და გია მაისაშვილთან, რაც მას ავალდებულებდა მათთან შეთანხმებულ მოქმედებას. „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“-ო, ეს ხალხური ანდაზა აკაკი ასათიანის მსგავს პიროვნებებზეა ნათქვამი. მისმა ქვაბავაზაკობამ და სადუკეველობის მავნე თვისებებმა ამ ურთიერთობაშიც იჩინა თავი, რასაც კონსტანტინე გამსახურდიასა და გია მაისაშვილის საჯარო განცვიფრება და განაწყენება მოჰყვა. 20 მარტს რატომღაც მხოლოდ „კურიერით“ გადაიცა პარლამენტარ გიორგი თარგამაძისა და აკაკი ასათიანის ერთობლივი „ბრიფინგი“ სახელმწიფო მოწყობის შესახებ, ხოლო საღამოს, იგივე „რუსთავი-2“-ზე ნინო შუბლაძის თოქ-შოუ „პოზიციაში“ კვლავ ვიხილეთ თარგამაძისა და ასათიანის ტანდემი, რომლებმაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ისინი ერთობლივად იბრძოლებენ ქვეყნის სახელმწიფო მოწყობაზე და რომ მათთვის ყველაზე მისაღებია ავსტრიული მოდელი: ფიქტიური პრეზიდენტი, პარლამენტი და კანცლერი (არ არის გამორიცხული, რომ ისინი თანამდებობის განაწილებაზეც შეთანხმდნენ ფიქტიური პრეზიდენტის თანამდებობაზე, ალბათ თარგამაძე, ხოლო კანცლერობაზე ასათიანი).

თოქ-შოუს ეთერში პირდაპირ ჩართულმა კონსტანტინე გამსახურდიამ და გია მაისაშვილმა, ვერც გაოცება და ვერც წყენა დამალეს ასათიანის სრულიად მოულოდნელი საქციელის გამო და განაცხადეს, რომ ისინი მის საქციელზე ალიანსში იმსჯელებენ. სტუდიაში მყოფ ასათიანს ოდნავადაც არ დასტყობია უხერხულობა საკუთარი ქმედების გამო, არამედ შეეცადა თოქ-შოუს წამყვან შუბლაძისათვის გადაებრალებინა მომხდარი, რაც ჟურნალისტმა არგუმენტირებულად უკუაგდო.

ორგულობისა და ვერაგობის კიდევ ერთი ფაქტი-ფაქტად; ჩვენთვის არანაკლებ დამაბნეველია „ტრადიციონალისტ“ აკ. ასათიანის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. თავისი პარტიული კუთვნილების მიხედ-

ვით, იგი თითქოს, ტრადიციულ სახელმწიფო მოწყობის ინსტიტუციებს მონარქიულ და რესპუბლიკურ, საპარლამენტო მმართველობას უნდა ემხრობოდეს. ამის ნაცვლად კი იგი სახელმწიფო მოწყობის სრულიად ახალ მოდელს შერეულ მმართველობას გვთავაზობს. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ ღალატსა და ცრუ-ტრადიციონალისტობაში მხილებული აკაკი ასათიანი, თავის ადგილს, ალბათ, ცრუ-ფსევდოოპოზიციონერ და მასავით დახვეწილ არამზადა თარგამაძის გვერდით დაიმკვიდრებს და ერთობლივად შეეცდებიან, ყოველგვარი ეროვნული ტრადიციების ამოყირავებას. თარგამაძის მთავარი საარჩევნო პირობა, რომ პარლამენტში შესვლისთანავე იბრძოლებდა მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად დაკანონებაზე, დღემდე, სათანადო გაჟღერებას ელის.

ლეილა ცომაია

გაზეთი „განმათავისუფლებელი“ №20 2009 წ.

ბესარიონ გუგუშვილი თვითლუსტრირებას განაგრძობს!

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის მიმდინარე გამოძიების პროცესთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურამ **ფინეთის გამოძიების ბიუროს გაუგზავნა** მოთხოვნა, დაკითხონ ფინეთში ემიგრირებული პრემიერი ბესარიონ გუგუშვილი, როგორც მოწმე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის საქმეზე და მისი დაკითხვის პროცესზე ქართული მხარის დასწრებაც მოითხოვა, რაზეც გუგუშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა და მხოლოდ კითხვარებზე წერილობითი პასუხის გაცემაზე დათანხმდა. ამგვარ არაორდინალურ რეჟიმში *ელფოსტით* წარიმართა კიდეც დაკითხვა, რომელსაც *ფინეთის კანონების შესაბამისად* უძღვებოდა უფროსი გამომძიებელი სუსანა პოროლა.

*აღნიშნული ინფორმაცია და დაკითხვის ტექსტები ბესარიონ გუგუშვილს განთავსებული აქვს საკუთარ ვებ-გვერდზე (*https://zg1993.wordpress.com/gugushvili_interrogation_2015/).

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, დაკითხვაში, პირდაპირი წესით მონაწილეობის უარის საფუძვლად იყენებს ხუნტისტური მთავრობის 1993 წლის 16 თებერვლის დადგენილებას ე.წ. ვიცე-პრემიერ ავთანდილ მარგიანის ხელმოწერით, რომელშიც მისი თქმით „საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ზ.გამსახურდიას **სიკვდილის თვითმხილველები არ მიიღებენ მონაწილეობას გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებულ არავითარ გამოძიებაში** (პარაგრაფი 3.). **მე მოვითხოვ ქართული მხარისაგან პატივი სცენ საკუთარ ვალდებულებებს“** – აცხადებს გუგუშვილი.

აი ასეთი იმპერატიული ტონით და არასახელმწიფოებრივი მიდგომით იძვრენს თავს საკუთარი ვალდებულებიდან სავარაუდო დამნაშავე, – პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შეთქმულებაში მონაწილე ბესარიონ გუგუშვილი, რაც ღიად და აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პრემიერი და ხუნტის ვიცე-პრემიერი მარგიანი ალიანსში იყვნენ ურთიერთთან და სრულიად თანხმიერად მოქმედებდნენ, რის საფუძვლადაც ოფიციალური დოკუმენტი „დადგენილებაც“ კი გააფორმეს, რის დაცვასაც დღესაც ასე დიდგულად და ურცხვად ითხოვს ქართული მხარისაგან გუგუშვილი. გუგუშვილი იქვე გვამცნობს, რომ «იმ დღესვე {ანუ 5 იანვარს} თბილისში ჩეჩნეთიდან სამთავრობო დელეგაცია გაფრინდა. ასეთი ოპერატიულობა, გარდა ჭირისუფლობის ბუნებრივი გრძნობისა, იმითაც იყო გამოწვეული, რომ პრეზიდენტის

გარდაცვალების შესახებ ცნობის გავრცელებისთანავე **ჯ.იოსელიანმა განაცხადა: „გამსახურდია ჩეჩნებმა თავად მოკლეს გროზნოში და გვამი საქართველოში ჩამოიტანესო“** *(?!- ლ.ც.).*

ბესარიონ გუგუშვილი საქართველოს პროკურატურის გამოძიებიდან თავის დაძვრენის ერთ-ერთ კოზირად, აგრეთვე იყენებს: **„რეჟიმი, რომელიც დღეს საქართველოს მართავს წარმოადგენს მტრულ მხარეს და იგი არაა კანონიერი/ლეგიტიმური“.** თუმცა, უშუალოდ შევარდნაძის ხუნტისტურ ხელისუფლებასთან გუგუშვილი თანხმიერ ალიანსში იმყოფებოდა, რამაც მას დღემდე მოქმედი სრული და მყარი უსაფრთხოების გარანტიები შეუქმნა.

საგულისხმოა, რომ დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების შეფასებაში იგი რუსეთის იმპერიის დეფინიციას იყენებს და მას "სამოქალაქო ომად" მოიხსენიებს, როდესაც თავადაც კარგად უწყის, რომ რეალურად 1991-93 წლებში საქართველოში რუსეთმა განახორციელა სამხედრო ინტერვენცია საქართველოს ხელახალი ანექსია-ოკუპაციის მიზნით, რისთვისაც (როგორც 1918-21 წლებში) საყრდენ ძალად გამოიყენა ქართველი კოლაბორაციონისტები (აგენტურა), როგორც ხელისუფლების შიგნით, ასევე ხელისუფლების გარეთ მოქმედი პოლიტიკური (იარაღასხმული) ოპოზიციის სახით.

თავის ინტერნეტ-დაკითხვის პასუხებში, გუგუშვილი, გამომძიებელ სუსანა პოროლას, **მონოტონურად წარუდგენს თავს „თვითმკვლელობის თვითმხილველი მოწმედ“ და საბოლოო დასკვნის სახით უცხადებს, რომ : „როგორც ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობის თვითმხილველი მოწმე, მე არ მივიღებ მონაწილეობას არავითარ გამოძიებაში, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც მკვლელობა“.**

ცხადია, გუგუშვილმა ბოლომდე მტკიცედ უნდა დაიცვას ე. შევარდნაძის ხუნტის ხელისუფლებისადმი მიცემული პირობა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის“ მტკიცების, რათა მის, როგორც „ოქროს მოწმის“ საგოგმანებელ სახელს, ჟანგი არ მოედოს და იმედი არ გაუცრუოს მოღალატეებს და მკვლელებს.

ბესარიონ გუგუშვილი თვითლუსტრირებას განაგრძობს!

ლეილა ცომაია

გაზეთი „განმათავისუფლებელი“ N48, 2016 წლის აპრილი.

მურმან ლეგანიძეს

ძველი და უძველესი აღმოსავლური ტექსტები: ინდური, ტიბეტური, ჩინური, იაპონური ასე იშიფრება და ასე იშიფრებოდა მუდამ, მაგრამ შენგან განსხვავებით, არავის არასოდეს არ უთქვამს, ისინი გადავყაროთო. XX საუკუნის ადამიანები, თავიანთი საქმეების სხვებზე უკეთესად მცოდნენი, ერთმანეთს შენობით მიმართავდნენ და მეც, მოწყალეო ხელმწიფევ, მომეცი ნება მოგმართო შენობით და არა თქვენობით. ამ ლექსში, ზემოთ მოყვანილ ოთხ სტრიქონში, საკაცობრიო ტკივილია გადმოცემული. ჩემთვის ყველა ენა ძვირფასია, რომლითაც ადამიანის სანუკვარი ფიქრი და განცდა გამოითქმება, გამოიხატება. ისე ამ კატრენს არც კეთილხმოვანება აკლია და არც რითმა. თუ არ მიწყენ, დავძენ იმასაც, რომ მასთან შედარებით ბევრი თანამედროვე პოეტის ლექსი მართლაც „მიჯღარკულ-მოჯღარკულია“, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს...

აქ კი ერთი რამ უნდა განვაცხადო მთელი პასუხისმგებლობით: მეგრულს დღეს მსოფლიოში არსებული ვერც ერთი ენა ვერ შეედრება ლექსიკური მრავალფეროვნებითა და მისტიკური შინაარსის მომცველობით. ასე, რომ ის არავის სასაცილო და საღინცილო არ არის. გვიჯობს მივხედოთ იმას, ტვინი აზროვნებისათვის რომ არ გვივარგა, ისე გამოგვილაყეს იგი კომუნისტებმა ცრუ იდეებითა და განუხორციელებელი მიზნებით. დიახ, გვიჯობს მივხედოთ ამას, მოვაქციოთ იგი უკომპრომისო თვითკონტროლის ქვეშ და როგორმე მივაჩვიოთ ნორმალურ ფიქრსა და განსჯას, აზროვნებას.

ახლა კი სხვათა ნააზრევსაც გადავავლოთ თვალი, ისინიც შენნაირად ფიქრობდნენ ნეტა? მივმართოთ აკაკი წერეთელს: “მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილად ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად თათრულ-სომხური-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყენს.

მეგრულ ენაში კი შემონახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები, ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრეფილი სიტყვებით შეივსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი”.

ეს კი იმ პოეტის უბის წიგნაკიდან არის ამოწერილი, რომელი პოეტიც შენ ძალიან გიყვარს: „ავტობუსში ბევრია შავებში ჩაცმული მეგრელები, მეგრელი ქალები და მათ ძლიერ შვენით მგლოვიარე-

ბა.... დიდებულია მეგრელის ზრდილობა! კიდევ უფრო საინტერესოა – როცა ისინი ერთმანეთში საუბრობენ. გახსენდება მამია გურიელის სიტყვები: „და ტკბილის ენით– მეგრულით უყვარს ჩემი გაჯავრება“. იცი ვინ არის ამ სიტყვების ავტორი? გალაკტიონია, ჩვენი გალაკტიონი!

ხედავ, ორი გენიოსი მიდგას გვერდით, აკაკი და გალაკტიონი! ორი კი არა სამი! მამია გურიელს რას უწუნებ?! მან ხომ თავისი დიდებული ლექსით– „ადამიანი“ ერთწამიერად მაინც ჩაუქროლა და გამოჰკრა ფრთა გენიალობას და ეს სამი ძლიერი სული სიტყვისა, როცა დამცველად მიდგას, ერთ მურმან ლებანიძეს არც უნდა გაგქცე პასუხი, ერთი უხეირო ნალექსარის გამო... სიმართლე რომ გითხრა, სხვა დროს ასეთი რამ არც მომივიდოდა აზრად, რადგანაც სხვა დროს იგი არც გამახარებდა და არც გამანაწყენებდა, მაგრამ... და სწორედ ეს მაგრამ არის მთავარი!

დღეს ბევრი, ძალიან ბევრი ქართველი აკეთებს იმას, რაც საქართველოსათვის, ქართველი ერისათვის მტერს უნდა! ეს უვიცობა კი არ არის, უვიცობაზე უარესი – სიბიჩვერეა!

რაც შეეხება ედუარდ შევარდნაძეს და ედუარდის მიმდევრებს, ისინი ყველა ერთად და ცალ–ცალკე, მაინც და მაინც იმ საქმიანობისათვის არიან თავდადებულნი, რაც რუსეთს აქვს დაგეგმილი საქართველოს წინააღმდეგ... დაგეგმილი კი, არც მეტი არც ნაკლები, – საქართველოს სრული დაქუცმაცება და ქართველი ერის ფიზიკური განადგურებაა... საადღეისო ამოცანა კი ასეთია: როგორც ადრე სამაჩაბლო და აფხაზეთი, ახლა სამეგრელო უნდა ჩამოაჭრან საქართველოს.

ვინც ამას ვერ ამჩნევს, ის ან პოლიტიკური დალტონიზმითაა დაავადებული, ანდა ყალბი და უგლიმი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლიბრი აქვს გადაკრული გონების თვალზე... ხოლო კაცობრიობისათვის არც ერთ იდეას არ მოუტანია, იმოდენა ზიანი, რამდენიც პროლეტარიატის მარქსისტულმა იდეამ მოუტანა. ეს იყო პირდაპირი მოდერნიზაცია უკვე მოძველებული „დაჰყავი და იბატონესი“! ოღონდ „იბატონეს“ ნაცვლად ჩასმული იყო: „დაჰყავი და აითვისე“! ეს კი თავის მხრივ პირდაპირ მისწრება იყო მსოფლიოს დაპყრობის იდეით ისე ერთიანად გაჟღენთილი ერისათვის, როგორიცაა რუსი ერი; რუსეთისათვის სრულიად არასაკმარისია ბატონობა, აუცილებელია დაპყრობა და ასიმ-

ილაცია, ამიტომაც აიტაცა რუსეთის ინტელიგენციამ ეს იდეა თავის დროზე და ამ ინტელიგენციის ნაშიერია, რუსული კომუნისტურ–ბოლშევიკური სისტემა, რომელმაც გამოიწვია მეორე მსოფლიო ომი, ომი, რომელშიაც შენც მონაწილეობდი.

ასეა საქმე და შენ მაინც და მაინც, ახლა მოგინდა მეგრული ენისა და აგრეთვე სულის, ვინაიდან ენა სულია ხალხისა, გატრიზავება. მიზეზად კი დაიდევ ის, რომ ორმოცი თუ ორმოცდაათი წლის წინათ, მავანმა ხალხური სიტყვიერების დონეზე „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა მეგრულად.

პირადად მე ოთხი ათეულ წელზე მეტია, რაც ადამიანთა სახეებს კი არ ვუმზერ, არამედ შინაარსს უმზერ ამ სახეებისას. ასევე დიდიხანია, რაც ნაწერებს კი არ ვკითხულობ, არამედ ვაყურადებ ადამიანის სულის იმ ხვეულებს, სადაც ეს სიტყვები აღიძრნენ და შენც კარგს იზამ, თუ ღრმად დაუკვირდები საკუთარი ფსიქიკის იმ შრეებს, საიდანაც ამ ლექსის სიტყვები გაჩნდნენ... წვრთნა უნდა, წვრთნა იმ ნერვებს, რომელთა ვიბრაციამაც გამოსცა ეს შინაარსი. წვრთნა კი ყოველ ასაკში შეიძლება, თუ ცნობიერების ნათელს მივასხივებთ, ჯერ კიდევ ერთობ მცირედ განათებულ, ან სრულიად გაუნათებელ მირიადზე მირიად უჯრედსა და ქსოვილს, რითაც თითოეული ჩვენთაგანის შინაარსებაა მოქსოვილი.

ერთი ქართველი ფიზიოლოგი წერდა: „დღეს მსოფლიოში 12 მილიარდი კილოგრამი თავის ტვინი მუშაობსო ყოველდღიურად“ რათქმაუნდა, იგულისხმებოდა ადამიანის თავის ტვინი.

ეს როცა წავიკითხე, მე მაშინ ასე თუ ისე ვიცნობდი ამ საუკუნის კაცობრიობის მოწინავეთა თავის ტვინის ნამუშევარ–ნამოქმედართ... მაგრამ მაინც გამიელვა ფიქრმა: ამათ შორის ხუთი მილიონი ქართველიცაა– მეთქი და გამიხარდა...

მერე და მერე, როცა ავცმუკდით, ავცუნდრუკდით, ავკუნტრუშდით ათასნაირად... კომუნისტურ-კომკავშირულ-უშკომური ბზიკებშემჯდარნი – ასორმოცდაათ პარტიაში განვიბნიეთ და სამასი სხვა და სხვა დასახელების გაზეთებში მიმოვიფანტეთ, – ეს ჩემი საამაყო ხუთი მილიონი კილოგრამი ცოცხალი თავის ტვინი უთავისქალებოდ შემრჩა ხელში და მასში მიმდინარე პროცესები ბროუნის ცდების შედეგებს დაემსგავსა, რომელიც ადუღებულ წყალში მოლეკულების მოძრაობის წესრიგს იკვლევდა, –ცდების შედეგებს, რომლებსაც ალბერტ აინშტეინმა „ქაჯების როკვა“ უწოდა.

მერე ყველაფერი თავდაყირა დავაყენეთ: სამაჩაბლო და აფხაზეთი რუსეთს ჩავაბარეთ, სამეგრელო ხუთჯერ გავასწორეთ მიწასთან! მურვან ყრუს აქეთ არავის ჩაუდენია სამეგრელოში ის, რაც „მხედრიონმა“ და ე.წ. „გვარდიამ“ გააკეთა.

ქართველი პოლიტიკოსები თავსაც იტყუებენ და ატყუებენ იმათაც, რომელთა ცოდნაც არ ცოდნას უდრის, თორემ მცოდნეს ისინი ვერ მოატყუებენ.

სამეგრელო და მეგრელები, სამ ცეცხლს შუა მოაქციეს: პირველი ცეცხლი რუსებმა შეუგზნეს, მეორე ქართლელებმა ე.წ. „იბერიელებმა“ და მესამე –აფხაზებმა და აფხაზეთის მხარეს მებრძოლმა ძალებმა. პირველი და მთავარი ცეცხლი, მაინც მოსკოვიდან მოვიდა: მეგრელები სამაგალითოდ უნდა დასჯილიყვნენ! რატომ? მოსკოვმა ვერ იპოვა სამეგრელოში კაცი, რომელიც იმ როლის შესრულებას იკისრებდა, რაც აფხაზეთში ითავა არძინბამ. ასეთ კაცს ისინი სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან ეძებდნენ სანთლით. ამ წერილის ავტორთანაც იყვნენ: მან ისინი ბინიდან გამოყარა... წერილიც მიადევნა, რომლის შინაარსი ამ ერთი წინადადების გარშემო იყრიდა თავს: „როგორ?! თქვენ გინდათ ორიათასი წლის განმავლობაში ნაწამებ და ნაოხებ, ერსა და ქვეყანას ხერხემლის მალები გამოაცალოთ“?! ალბათ სხვებმაც ასე უკუაგდეს მათი ვერაგული წინადადება: „ახლა ესენი ისეთ კაცს ეძებენ, რომელსაც მეგრელები დაუჯერებენ და გაჰყვებიან... ეს კაცი შეიძლება ციხეშიაც მოხვდეს, მაგრამ მას იმხელა დიდი პიროვნება დაიცავს საქართველოში, რომ თვითონ ის და ყველა მისიანი დაზღვეულნი იქნებიან, როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მხრივ, ისე მატერიალურადაც“.

დიახ, პირველი ცეცხლი რუსეთმა შეუნთო სამეგრელოს: „ისინი სანიმუშოდ უნდა დაისაჯონ, რადგანაც მათ არ სურთ ის, რაც აფხაზებმა უკვე 1954 წლიდან დაიგემოვნეს“.

ასეთი იყო მოსკოვის უხმო ხმა, უსიტყვო სიტყვა პოლიტიკური...

დასჯის ხერხები და მეთოდები კი მას უთვალავი ჰქონდა: ძველი და უძველესი, ახალი და უახლესი, ყველა დროისა და ხალხისა და ამას მიმატებული თავისი, საკუთარი: კომუნისტურ-ბოლშევიკური –! ყოველი მეცნიერული აღმოჩენა: სამედიცინო, ფსიქიატრიული თუ ფსიქოლოგიური, ფიზიკური თუ ქიმიური, ბიოლოგიური თუ ფიზიოლოგიური, სოციალ–ეკონომიკური თუ პოლიტიკურ-კომფლიქტოლოგიური სადამსჯელოდ იყო შესწავლილი, გამოწვლილული...

ვინაიდან იბერიული და კოლხური მოდგმის გაერთიანების შედეგად შეიქმნა „საქართველოს“ და „ქართველის“ ცნება, – აუცილებელი იყო მათი ურთიერთ დაპირისპირებაც.

მეორე ცეცხლი მეგრელებს საქართველოს ყველა კუთხიდან და თვით სამეგრელოდან გამოსულმა კუთხურ–პროვინციული ჭაობის ლამითა და ლეყეპოთი გაზრდილმა ლოქოებმა შეუნთეს...

დიახ, ისინი არც ერთი არ იყვნენ ქართველები! ისინი იყვნენ მე-

გრელები, გურულები, იმერლები, ქართლელები, კახელები და სხვანი და სხვანი, კუთხურ–პროვინციული შხამით გაჟღენთილნი...

აბა, ქართველი, ჭეშმარიტი ქართველი, „სულის სინათლითა და აზრის სიღრმით“, ცნობიერების ძალისხმევით ამაღლებული კუთხურობიდან საერთო ქართველობის დონემდე, ის სამეგრელოს არასოდეს დაარბევდა, მამის თვალწინ ქალიშვილს გაუპატიურებას არ დაუპირებდა...

აქ მე ძალიან მიჭირს თავის შეკავება, ეს ჩემს რაიონში მოხდა: კომუნისტების მიერ აღზრდილმა არამზადებმა და არარაობებმა მამის თვალწინ უწლოვან გოგონას მოუნდომეს გაუპატიურება, რათქმაუნდა, უიარაღო მამამ ერთ ავტომატიან ბრიყვს მოუგრიხა კისერი და ავტომატი უნდა ეხელთა, მაგრამ ამ დროს მეორემ გვერდიდან დააყარა ტყვიების ჯერი, მამა ჩაიკეცა და გათავდა... მერე კიდევ ეძებდნენ იმ გოგონას, რომელმაც მიმალვა მოასწრო.

ახლა კი უნდა გაჩუმდეთ ყველა!...

ვიცი, ედუარდ შევარდნაძე მაინც არ გაჩუმდება, რადგანაც მას პოლიტიკა დღესაც სიცრუისა და ცბიერების ხელოვნება ჰგონია, ხოლო ვისაც 1944 წლის 16 ივლისის შემდეგ პოლიტიკა მათემატიკასავით უზუსტეს მეცნიერებად არ მიაჩნია და კიდევ რაღაცის ხელოვნება ჰგონია, ის თანამედროვე მსოფლიოს კარგად არ იცნობს, ვინც არ უნდა იყოს იგი– ქართველი, რუსი, ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, ამერიკელი... აღმოსავლეთელი თუ დასავლეთელი...

და სწორედ დროს ჩამორჩენილი კაცობრიობის ბრალია დღევანდელი პოლიტიკური ბორიალი.

ასეთ პოლიტიკას მესვეური ჰგონია თავისი თავი და არა მსახური. მას ხალხის, თუნდაც საკუთარი ერის, თავი სიბრიყვისა და სიჩლუნგის სადგური ჰგონია და ამ ჭრილში მამის თვალწინ ქალიშვილის გაუპატიურება, ისეთივე დაკვეთა შეიძლება იყოს, როგორც სამაჩაბლოში აკვნის ბავშვის ჩაცხრილვა აკვანშივე ტყვიით და ახალგაზრდა კაცის მოჭრილი თავით ფეხბურთის თამაში გაგრის სტადიონზე.

ჭეშმარიტ ქართველს რა სჭირდა 150 საპარტიო და 300 საგაზეთო? პროვინციული უვიცობა და მდარე ემოციური აფუებულობა იმალავს თავის თავს ამ პარტიებსა და გაზეთებში, პროექტებსა და გეგმებში, ფელეტონებსა და კროსვორდებში, ანეკდოტებსა და ღიმილ–ღინცილში. ჭეშმარიტი ქართველი არასოდეს არ დასვამდა საკითხს ასე: ჯერ დემოკრატია და მერე დამოუკიდებლობა! ჭეშმარიტ ქართველს არასოდეს არ აერეოდა ერთმანეთში ეროვნული და სოციოლოგიური საკითხები ისე, როგორც ეს ჩვენმა ფილოსოფოსებმა მოისიბრძნეს 1990–1991 წლებიდანვე.

ჭეშმარიტი ქართველი არასოდეს მოატყუებს საკუთარ ერს! ჭეშმარიტ ქართველს გამორჩეულად უყვარს საქართველო და არა ერთი რომელიმე კუთხე მისი... კორიდაზე გამოსაყვან ხარივით ბნელში გაზრდილთა ნამღერია ესეც: „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა, ყველა ჩემი სამშობლოა სამეგრელოს გარდა“ ეს „რაჭა“ და „გარდა“ არ არის რითმა და თუ სამომავლოდ კიდევ დაგჭირდათ ეს ლექსი „გარდას“ ნაცვლად „კნაჭა“ მივურითმოთ. ამ ერთ სტრიქონს მე შეგეწევით. აი ასე „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა, ყველა ჩემი სამშობლოა... მე ტვინი მაქვს კნაჭა“ კომუნისტურ-ბოლშევიკურმა სიბნელემ და კუთხურობამ მართლაც კნაჭა ტვინებით გაავსო საქართველო.

აბა რას ერჩით ამ უწყინარ ლექსს?! ჯერ იყო და შენ ჩაეკინკლავე, მას წავწვდი და ძირფესვიანად მოვთხარეო: თურმე არ თუ ვერ მოგითხრია, რადგანაც სამეგრელო შენად არ მიგაჩნია. შენი ლექსის მეორე სტროფის შემდეგ ეს სტროფი უგერგილო დიპლომატიაა,სხვა არაფერი. მეორე და რისი მომთხრელი ხარ, თუ ძმა ხარ?! სამორინეს კარებთან სარეველა, რომ დაგხვდეს, როგორც ნომერ პირველი პოეტი, საჩვენებელ თითს გაიშვერ წინ და გასცემ განკარგულებას, მოიყვანეთ მუშები, მოათხრევინეთ და გასამრჯელო გადაუხადეთო... და სწრაფად შინ შერგავ თავს.

იცი, იქ სამეგრელოში, ამ სტროფს უბირი ხალხი მღეროდა. შენ კი პოეტი ხარ და შენი ლექსი ამაზე უარესია, უფრო შხამიანია...და საერთოდ იქ, სადაც ღვარძლია, პოეზიას რა უნდა! სადაც პოეზიაა, იქ ღვარძლი და მყრალბალახა არ ხარობს, მაგრამ ამაზე სხვა დროს. ახლა მოვრჩეთ ბარემ ამ სამი ცეცხლის ამბავს.

მესამე ცეცხლი მეგრელებს თვით აფხაზებმა და აფხაზეთის მხარეს მებრძოლმა ძალებმა შეუნთეს. რატომ?! თქვენ რომ არ ქართველობდეთ, ჩვენ აქ, აფხაზეთში, არავითარი პრობლემა არ გვექნებოდაო. გაიგონე,მურმან, დაინახე თუ როგორია საქმის ნამდვილი ვითარება! მდინარე კოდორთან გზის გადაკეტვა და დევნილთა სვანეთის მთების გადავლით გამოყვანაც შეთანხმებული ნაბიჯი იყო. ვინც გადაურჩა იმ წამების გზას, ისინი ახლა ზამთარ-ზაფხულ, ხან ნაწვიმარი წყლითა და ხან კი ოფლით გაღვარულნი აქ თბილისში, ქუჩა-ქუჩა დაწანწალებენ და მიკნავლებული ხმით თავაზობენ მყიდველებს : „ხაჭაპური“! „ხაჭაპური“! „ხაჭაპური“! „პური“! „პური“! „კარენნი“ თბილისელები კი ამბობენ „ჯიშამოსაწყვეტები ხართო, „თქვენი ჯიში და ჯილაგი ამოწყდესო“, ეს აქ დაბლა- ქუჩაში თქვენ კი კი იქ მაღლა, პოეზიის ოლიმპზე შხამსა და ცოფს ანთხევთ, იღვარძლებით და იღვარძლებით. დღეს, ახლა, სამი, ხუთი ან ათი მილიონი სამხრეთაფრიკელი, რომ ჩამოვიდეს მოსკოვში და განაცხა-

დოს ყველამ ერთად... ჩვენ რუსები ვართო, მათ გულში ჩაიკრავს მთელი რუსეთი. თქვენ კი რა გემართებათ? ორიათას წელზე მეტია, რაც მეგრელი ხმის ჩახლეჩამდე გაჰკივის, მე ქართველი ვარ, ვენაცვალე ჩემს საქართველოსო! თქვენ კი ეღინცილებით და ექილიკებით უგლარგაჯულად. მთელი ამ რუსულ-კომუნისტურ-ბოლშევიკურ ეპოქაში ნელი შხამივით მოქმედებდა ქართველთა ასე დაკნინებისა და გაკუთხურების, ერის ფოლკლორიზაციისა და ტვინგამობნელების ვერაგულად შემოპარებული გეგმები. სამოცდაცხრა წლის კაცი ვარ ახლა და შემჭამა ამ „მეგრელი“ „მეგრელის“ ყმუილმა ყოველ ნაბიჯზე.

ეს იყო ამ სამი ათეული წლის წინათ. დანჯღრეული ავტობუსი მიჯაყჯაყებს ერთ-ერთ გარეუბანში, სამი თუ ოთხი უსუარი გამორბის მისკენ. მძღოლს გავძახე ბავშვები გამორბიან, გაუჩერე-მეთქი. გააჩერა და კარებიც გააღო. ბავშვები ჩემთვის მთელი სიცოცხლეა, ვზივარ და გაღიმებული შევცქერი მათ. ამოვიდნენ უკანა კარიდან ერთმანეთის მიყოლებით და გამოუყვნენ დორებს შუა გასასვლელს. მეწინავეს ეუბნება მიმყოლი: გადადი უფრო წინ, შე დედალო შენა! წინმიმავალი უბღვერს:ვინაა დედალი,შე მეგრელო!“ ახლა ეს ეყინჩება: „მეგრელი შენა ხარ მე კი არა.!“

გავშრი,გავქვავდი, შემადნა სახეზე ეს სიამის ღიმილი. უფრო ადრე, სასურსათო მაღაზიაში ვდგავარ და ველოდები ჩემს ჯერს. ორი-სამი კაცი მიდგას წინ. თავისი სექციიდან გამოვიდა გაზინთულხალათიანი ორასკილოგრამიანი ექსკრემენტის ქარხანა,მოლაყუნდა სიგარეტის გამყიდველ ქალთან ჯუჯღუნებს: „შენი მეგრელი დედა მ.....ნ, შენი იცი რას გიზამ?!“

კმარა! უნდა ვიყვირო, ხალხო ვინახართ თქვენ! რა დაგიშავეთ! საუკუნეში სადაც და როდესაც ყველაზე მძიმე და ძნელი იყო ნამდვილი ქართველობა, მაშინ თქვენზე უკეთესად თუ არ მიქართველია, უკეთესად კი არა ნამდვილად თუ არ მექართველოს, შემირცხვეს მაშინ სინდის-ნამუსი და გამისკდეს ის მიწა, სადაც ვდგავარ.....

კინოფილმებში, თეატრებში, ვაიმოძრაბებსა და უილექსებში მეგრელების გატრიზავება-გაბაიბრუება ამ საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან ხომ ესთეტიკურ ხარისხში აიყვანა პოლიტიკურმა დაკვეთამ, ტვინაღრძოობობამ და უნიჭობამ. კარგი რამ სთქვი თორემ ცუდი და შავი, ბრმა და ბნელი ბლომადაა მოქუჩებული ყველა კუთხეში. რატომ არ ასწავლით რიგიანად აკაკი წერეთლის „ნათელას სიმღერას“ ბავშვებს იმერეთში, გურიაში, რაჭაში, ლეჩხუმში, ქართლში, კახეთში?! სამეგრელოსკენ ხუთჯერ „გამოსეირნებულ „მხედრიონელებსა“ და „გვარდიელებს“ რა ეტყობოდათ ამ შესანიშნავი ქმნილების ანათვისარი?! მე მესმის დამპყრობელი დაპყრობილს არასოდეს არ აძლევდა იმის უფლებას, რომ სწავლა-განათლების სისტემა საკუთარი ხალხისთვის ფსიქოლოგიურად

მიზანშეწონილი ყოფილიყო. კომუნისტურ-ტოტალიტარულმა რეჟიმმა კი მთლიანად დაასამარა ეს საქმე ჩვენში და ქვეყანა ნასწავლი უვიცებით გაავსო...სწორედ ამის მიზეზია ეს ამდენი შხორკალი და სხმარტალი, ყველას ერთი გასაჭირი რომ გვადგას და ყველა სხვასასხვა მიმართულებით რომ მიაჭენებს, ინტერვიუების ჭექა-ქუხილი რომაა და ერთი აზრიანი სიტყვა, რომ არ ჩანს. ჰერმან ჰესეს რომანის გმირმა, რიოში მარგალიტებით თამაშის მაგისტრმა, იოზეფ კნეხტმა, როგორც ეტყობა რომანის ავტორის სიკვდილის შემდეგ შეიძინა ინტერვიუების ეკვილიბრისტიკით ორ ნაპირს შორის გაჭიმულ ბაგირზე გადასვლის უნარი და ცოდნა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზია, პროზა, მხატვრობა, მუსიკა, თეატრალური და კინოხელოვნება, რომლებიც ავტორებმა საკუთარი ერის და სამშობლოს განადგურების ფასად მიჰყიდეს საკუთარსავე ერსა და სამშობლოს – არის კოლონიზებული ხალხის ხელოვნება. ეს ხელოვნება შერიგებულია ამ კოლონიზაციას. ხსენებული პერიოდის ქართული სიტყვიერი ხელოვნება კი პროვინციალიზმითა და ყალბი ეფექტებითაა გამოხრული.

ახლა სიტყვა-სიტყვა, სტრიქონ-სტრიქონ ჩავუყვეთ შენს ლექსს და ვნახოთ თუ რას წარმოადგენს იგი. პოეტური თქმა შეიძლება იყოს ბუნდოვანი, გაუგებარი, ჩაუწვდომელი, მაგრამ მის ფსკერზე არც ერთ შემთხვევაში უაზრობა არ უნდა ილანდებოდეს. რაც არსებობს ცნობიერების ველზე, იმათ შორის უმშვენიერესი – ეს არის პოეტური სიმართლე, პოეტური სიცრუე კი არ არსებობს, ვინაიდან თუ სიცრუეა, ის არაპოეტურია. ფუღუროსიტყვაობა ხელოვნების კიბოა.

მტკვართან ჭოროხს და ენგურს, რიონს და ტეხურს, იორს და არაგვს ხმის ამოღების უფლება, რომ არ აქვს – ეს აბსურდია. რაც შეეხება ქართულთან მეგრულის შეპირისპირებას, ესეც ემოციურ სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც მეგრული ამას არც აპირებს. „თქვენ დუშმანს სიტყვა უქციედ საქმედ“ ამ სტრიქონში პოეტური მარტო მარცვალთა რაოდენობაა. სხვა მხრივ, ეს პოეტური სტრიქონი კი არა, საშინელი ბრალდებაა, რომელსაც დამტკიცება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ცილისწამებად აღიქმება და პასუხისგებას მოითხოვს. მაინც რომელ მტერს უქციეს მეგრელებმა სიტყვა საქმედ?

გორბაჩოვისა და ლუკიანოვის დავალებით შეთქმულება ხომ არ მოუწყვეს საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას?

ბეპაევს ხომ არ თხოვეს ჯარი ქვემეხები რუსთაველის პროსპექტის მისალეწ-მოსალეწავად? იქნებ ბალტინის სამხედრო-საზღვაო არმადა შეუსიეს თანამემამულეებს?

აფხაზეთი და სამაჩაბლო ხომ არ გაუსხვისებიათ?

ან ეს რას ნიშნავს? „თქვენ სხვა აღძარით თქვენს მარტივ გლეხში“. რთული გლეხი რომელია ნეტავ?

ძველი მსოფლიოს ისტორიის სპეციალისტები და ხალხთა მიგრაციის საკითხებზე მომუშავე მეცნიერები აღიარებენ მიწათმოქმედი ხალხების, მათი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე გაპასიურებას, რის გამო, მომთაბარე და მესაქონლე ტომები მათ ხშირად იპყრობდნენ ხოლმე. ეს დებულება მართალია და ჩვენთვისაც საგულისხმო აზრს გამოთქვამს. გარდა ამისა მიგვანიშნებს იმაზეც, რომ ყველა გლეხი მარტივია და ცხადი. ყველა დამპყრობელი რთული და გაურკვეველი. ოღონდ ამ სიმარტივეში სინათლეა იმ სირთულეში სიმღვრივე. ეს ერთი, მეორედა რა სხვა აღვძარით ჩვენ ჩვენს მარტივ გლეხში? ქართველი ახალგაზრდების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს იწევრიანებდნენ და წვრთნიდნენ ამ საუკუნის სამოცდაათიან, ოთხმოციან წლებიდან საპერესტროიკოდ. ესე იგი ქართველი ერისავე გასანადგურებლად ზომბებად ზრდიდნენ. მათ შორის ყველა კუთხისანი იყვნენ და, რათქმა უნდა რაოდენობრივად მეგრელები უფრო მეტნი უნდა ყოფილიყვნენ, ვინაიდან გაკუთხურების მოყვარულთა თვალთახედვით ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა მეგრელებად ითვლებოდნენ, კომინისტური გაგებით კი მათ განადგურებაში მეგრელებსაც უნდა დაედოთ წილი. ეს იყო, სხვა მხრივ მეგრელებს არაფერი დაუშავებიათ. ახლა ისევ ციტატი: „აქ ამბობენ ქართველებს მრავალი მტერი ჰყავსო, შესაძლოა, მე კი სხვა რამ მაფიქრებს, ქართველ ერს მხოლოდ ერთი მტერი ჰყავს, ეს არის თვითონ ქართველი ერი. პირველყოფილი ცოდო ქართველი ერის ისტორიისა: დაუნდობლობა, გაუტანლობა, შური, ღვარძლი ერთმანეთში. უნდა მოისპოს ეს ცოდო, რითი? სწორედ იმ ნიჭის გაღრმავებით, რომელიც აკაკის აცოცხლებდა...ამ ნიჭს ორი ცეცხლი აქვს გენიის ცეცხლი, რომელიც შემოქმედებით შეიყვანს ქართველობას მსოფლიოში და გულის ცეცხლი, სიყვარულის ცეცხლი, რომელიც განწმენდს ქართველთა დაბერებულ თვისებას. ვიწვოდეთ ამ ორი ცეცხლით“. ასე მიმართა გრიგოლ რობაქიძემ ქართველ საზოგადოებას 1915 წელს აკაკი წერეთლის სამოქალაქო პანაშვიდზე.

აი ესაა საქმე!!!

ესაა საქმე და არა ის, რისთვისაც შენ გაისარჯე.

ყოველ ქართველს ევალება დღეს ისე, როგორც არასდროს, საკუთარ ცნობიერებაში აღბეჭდოს ეს სიტყვები და გულმოდგინედ იღვაწოს ღრჯუ და კუთხური, დაბერებული თვისებებისგან შინაარსების გაწმენდისა და მსოფლიო სივრცეში ერის ღირსეული წარმოჩენისათვის! ახლა მაინც თუ არ მოვკიდეთ ამ საქმეს ბეჯითად ხელი, სულ მალე აღვიგვებით მიწის

პირიდან, ან რისი მაქნისია ერთმანეთის ძიძგნა-ძიძგილით ყოფნა და პროვინციული ოფოფების მწყემსვა.

მინაწერი პირველი – არ მიყვარს ციტატებით გაწყობა საკუთარი ნაფიქრალისა, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა მივმართო ამ ხერხს. ამჟამად თქვენი ფილოსოფოსი, მერაბ მამარდაშვილი, უნდა მოვიშველიო. ის თქვენია არა იმიტომ, რომ შვილზე უმთავრდება გვარი, არამედ იმიტომ, რომ კომუნისტური და შემდგომ გარდაქმნისდროინდელი სიტყვაარეული სივრცის კაცია.. ბევრი რამ მაინც ყურადღებამისაქცევია მის ნააზრევ-ნასიტყვარში. ეს კი გამოთქმის სისრულითა და შინაარსის სიმართლით თითქმის ყველაფრის მომცველია კომუნისტურ სინამდვილეში. „თქვენ ალბათ ვერ წარმოიდგენთ, რა მიმზიდველი და დამარწმუნებელია ტოტალიტარული აზროვნების სიმარტივე, ის თხევადი საწამლავია, რომელიც ბევრად უფრო ეფექტურად მოქმედებს, ვიდრე ცენზურა და ავტორების დევნა, ის შიგნიდან გღრღნის. ის შიგნიდან იჭრება ტვინში და ეს ძალზე მომხიბლავია, რეალურად გიზიდავს. საიდან მოდის ეს ხიბლი? იქიდან, რომ ასეთი აზროვნება ნებას გაძლევს თავი ჭკვიანი გეგონოს, დაიჯერო, რომ ყველაფერი გესმის. თავზე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ზოგადად ადამიანი ზარმაცია. ამიტომ ის სპონტანურად უერთდება იმას, რაც მას ჰპირდება რაღაცად გაგხდიო, ყოველგვარი მუშაობისა და მუყაითობის გარეშე“- მერაბ მამარადაშვილი-„საუბარი ანი ეპელბაუნთან“.

მთელ საბჭოთა კავშირში, ერთეული გამონაკლისების გარდა, ყველა შემოქმედი და მეცნიერი, ყველა გონებისა და ცნობიერების კაცი დანებდა ამ ხიბლს და მან დააბნელა გონებაც და ცნობიერებაც, საქართველო კი პირდაპირ გაანადგურა ამან. უსასიზღრესია ეს ხიბლი.

არარაობით მოხიბლულნო გამოიღვიძეთ, თორემ იღუპება ერი და ქვეყანა!

მინაწერი მეორე – იყო „გენათი“ გახდა „გაენათი“ ახლაა „გელათი“ ჩემი ბრალია, ჩემო ძმაო, იმისთვის ჭინთვა, რომ ყველაფერი „შენი“ იყოს და არა „ჩვენი“?! რა დავაშავე? ქუთაისს ჰქონდა თავისი კულტურა, ისე, ვით ყველა უძველეს ქალაქს... მისტერიული იყო იგი, მისტერიული... მერე გაქრა, ლაჯებში ამოივლეს ველურებმა... მერე მოვიდა მოვიდა უფრო დიდი, დახვეწილი გელათის სული, მაცხოვრული და მისტერიული, მეცნიერული. დღეს სდუმს გელათი. ქუთაისში კომუნსიტური ნიჰილი დადის და მიწასთან ასწორებს ყოველს.

გელათის სული უნდა აღსდგეს საქართველოში! იყალთოს სული უნდა აღსდგეს საქართველოში! თუმცა ერთ-ურთის ძიძგნა მაშინაც ძლიერ გვიყვარდა „ბრჭყალსა ჩემსა უმზერენ სასაფრთხოდ სულისა ჩემისაო“,

სწუხდა პეტრიწი და მაინც სად ის დრო და სად ეს ბნელჟამი? სად ჭაობის ემოციები და სად კიდევ ანკარა წყარო, ან მოკამკამე ჩანჩქერის ჩქროლა?!

გელათის სული უნდა აღსდგეს, გელათის სული! იყალთოს სული უნდა აღსდგეს, იყალთოს სული..რიონის პირას უნდა განახლდეს ის კოლხური აკადემია, სადაც სწავლობდნენ კოლხებთან ერთად ძველი ბერძნები. განახლდეს, მაგრამ მარტო აბრებით, მარტო უმიზნო, უაზრო თვლემით კი არ განახლდეს...

უნდა განახლდეს სხივმოსილი სულის ზეიმით!

ახალ-ახალი საწვრთნელები ტვინისა და ტანის უნდა ჩამწკრივდეს მცხეთის გულიდან ყაზბეგამდე, მყინვარწვერამდე... და შავი ზღვიდან მესტიამდე, უშბის ძირამდე... ისევე რომ მოხდეს დიდი სინთეზი... აღმოსავლური და დასავლური გზები ისევ, რომ ერთმანეთს შეუერთდეს, რომ ამობრწყინდეს მზე მესამე ათასწლეულისა, კაცის მიერ საკუთარ თავში მხეცის დაძლევის მზე ამობრწყინდეს.

აპოლონ ადონია
თბილისი, 1999

ეს სტატია, ბატონმა აპოლონმა, ჩემს გაზეთში მოიტანა დასაბეჭდად, მაგრამ მის სიცოცხლეში ვერ მოვასწარი გამოქვეყნება და წიგნში დავბეჭდე — ***ლ. ც.***

ბადრი ზარანდიას მკვლელობის „ზვიადისტობასთან“ დაკავშირების გამო...

ზუგდიდის ყოფილი სამხედრო კომენდანტი (1993 წ.) და ყოფილი პოლიტპატიმარი (1994-2000 წ.წ.) ბადრი ზარანდია, 2003 წლის 8 იანვარს ზუგდიდის ცენტრის მდებარე პატარა კაფეში, დაუდგენელმა პირებმა ჩაცხრილეს. ამ პერიოდისთვის, ბადრი ზარანდია „მხედრიონის” ლიდერ ჯაბა იოსელიანთან იყო ალიანსში და მასთან ერთად შექმნილი ე.წ. ” ქართველ პატრიოტთა კავშირის” ზუგდიდის ორგანიზაციის ლიდერი გახლდათ. ამ სახელწოდებით მოქმედი ბადრი ზარანდიას შეიარაღებული დაჯგუფება აქტიურად უპირისპირდებოდა „ნაციონალური მოძრაობის” ახალგაზრდა ფრთას. სწორედ მათ ჩაშალეს, 2002 წელს, მ. სააკაშვილის საარჩევნო შეხვედრა ზუგდიდის ამომრჩევლებთან დარბაზში შეჭრით, იქ არეულობის შეტანითა და ფიზიკური დაპირისპირებებით. იმავე წლის 2 ივნისს დანიშნულ ადგილობრივ არჩევნებზე კი, ბადრი ზარანდიას ჯგუფმა, ზუგდიდში, დაარბია საარჩევნო უბნები და გაიტაცეს საარჩევნო ყუთები.

ცნობილია, რომ ბადრი ზარანდია ჩართული იყო სხვადასხვა ბიზნეს-საქმიანობაში, კერძოდ — იარაღისა და ნავთობპროდუქტების, რაც სავარაუდოდ შეიძლებოდა გამხდარიყო მისი მკვლელობის მიზეზი კონკურენტი კრიმინალური ჯგუფების მხრიდან. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მისი მკვლელობა შედიოდა შევარდნაძის ხელისუფლების ინტერესებშიც მისგან მომდინარე ახალი საფრთხეების გამო (სამეგრელოში დესტაბილიზაციისა და კრიმინოგენული ვითარების), რამაც განაპირობა ინდიფერენტული დამოკიდებულება ზარანდიას მკვლელობისადმი და გამოძიების შეწყვეტა ხელისუფლების მხრიდან.

საგულისხმოა რომ, ზარანდიას მკვლელობიდან, სულ რაღაც ორიოდ თვეში რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოულოდნელად გარდაიცვალა (2003 წლის 4 მარტი) ჯაბა იოსელიანიც, რის ოფიციალურ მიზეზად ინსულტი დასახელდა, ხოლო არაოფიციალურად კი გაჟღერდა ეჭვი, რომ ჯაბა მოწამლეს.

ორივე ვერსია (კრიმინალური და პოლიტიკურიც), პერიოდების გააზრებითაც, პოლარულად გვაშორებს ბადრი ზარანდიას მკვლელობის დაკავშირებას პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „მომხრეობასთან“. ამ ვერსიის

ფაქტად წარმოჩინებას, დიდი მონდომებით შეეცადა ეროვნული მოძრაობის აქტივისტი ირაკლი შონია, ბადრი ზარანდიასთან მისი პირადი ურთიერთობის გამო. ირ. შონია პატივისცემით იყო განმსჭვალული ბადრი ზარანდიას მიმართ და სიკვდილის შემდგომაც ინარჩუნებდა მისდამი სიმპატიებს ზუგდიდში ყოველი ჩასვლისას მისი საფლავის მონახულებით.

ბ. ზარანდიას ღალატს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასადმი ცხადჰყოფს ზარანდიას „მიბრუნებაც" ჯაბა იოსელიანთან. ზარანდია, თავისი შეიარაღებული დაჯგუფებით, ვახტანგ (ლოთი) ქობალიას სამხედრო შენაერთის მსგავსად, მოვალეობისამებრ არ ერთგულებდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, რამაც საბოლოოდ (ერთობლიობაში) განსაზღვრა ყოვლისმომცველი კატასტროფული შედეგი, როგორც ერისა და ქვეყნის წინაძე, ასევე პრეზიდენტის პიროვნული ტრაგედიის მიმართაც.

რადგან, ბ. ზარანდიას კონტექსტში ვ. (ლოთი) ქობალიას სახელიც ვახსენეთ, ბარემ, მისდამი ნათელვყოთ ირაკლი შონიას დამოკიდებულებაც; შონია, ასევე კეთილ-მეგობრულ და მჭიდრო ურთიერთობაში იყო ლოთი ქობალიასთანაც, რის გამოც იგი ხშირად იღებდა კრიტიკას პრეზიდენტისა და თავისუფლების იდეის ერთგულ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების მხრიდან. შონია კი მათ „ზვიადისტების სექტად" მოიხსენიებდა და სხვა საძულველ ეპითეტებსაც არ იშურებდა ეროვნული მოძრაობის ერთგულ, სამხედრო თუ სამოქალაქო გვარდიელების მიმართ. ზუგდიდში თუ თბილისში იგი, რესტორნულ სუფრებზე, სიამოვნებით ილხენდა ხოლმე მოღალატე ლოთი ქობალიასთან. შონია, ტელეკომპანია „ობიექტივში", სასაუბროდ იწვევდა, არამარტო ლოთი ქობალიას, არამედ გოგა ხაინდრავასაც და დადებით პიროვნებებად წარმოაჩენდა მათ. შონია, ასევე ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იყო ხუნტის ჟურნალისტებთან: ირმა ინაშვილთან, ბონდო მძინარიშვილსა და მაკა რაზმაძესთანაც.

2017 წელს ტელეკომპანია „იბერიაზე" ბონდო მძინარაშვილმა განგვიცხადა: „აკოცეთ კიტოვანს ტ-ზე, რომ არ ყოფილიყო კიტოვანი, სიგუა რომ არ ყოფილიყო და შევარდნაძე რომ არ ყოფილიყო,, არავინ

და არაფერი არ ვიქნებოდით. ჩვენს თაობას, საქართველო წაართვით მაშინ!...“ აგრეთვე საეჭვო კავშირში იყო პოლიციის მაღალჩინოსან გოგა(გოდერძი) პავლაძესთანაც, რომელიც არბევდა ეროვნული მოძრაობის მიტინგებს. შონია პოლიციის არც სხვა მაღალჩინოსნებთან ერიდებოდა კეთილურთიერთობებს.

ბადრი ზარანდია კი, გარდა კრიმინალური ბუნებისა, „მემუარების“ წერითაც საოცრად ჰგავდა ჯაბა იოსელიანს, რის პროდუქტადაც, ზარანდიამ, „დღიურები“ დაგვიტოვა, ხოლო იოსელიანმა კი, წიგნად დასტამბული, „სამი განზომილება“. უნდა ითქვას, რომ ორივე მათგანმა, თავიანთი წერილობითი დანატოვარით, მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციები გაამჟღავნეს საკუთარი გარემოცვის შიგნით არსებული „კულუარული“ ბატალიებისა.

ამდენად, ბადრი ზარანდიას მკვლელობის რაიმე ნიშნით დაკავშირება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პერიოდთან და მითუმეტეს, სახელთან, კატეგორიულად გამოსარიცხი და მცდარია!

კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიებმა, 2017 წლის 27 მარტს, ზვიადის მკვლელობის გამოძიების მოთხოვნით ჩატარებულ პრესკონფერენციაზე, ზვიადის მკვლელ-მდევართა ჯგუფში გარკვევით დაასახელეს ბადრი ზარანდიაც თავისი შეიარაღებული ჯგუფით.

ლეილა ცომაია.
გაზეთი „განმათავისუფლებელი“,
2015 წლის ოქტომბერი, №46

P. S. 2018 წლის 15 აგვისტოს, ინტერნეტში დაიდო, ჟურნალისტების ქეთი სესიაშვილისა და გიგლა გობეჩიას ჟურნალისტური გამოძიების ვიდეო. ვიდეოში, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მეომრები, თენგიზ და მირიან ქარდავები ყვებიან, რომ ბადრი ზარანდიამ განგვიცხადა: ზვიადის ჩემთან ყოფნა ხელს მიშლისო. და ზვიადის ჩამოცილებას ცდილობდაო.

ბატონო ბესარიონ, შეთქმულებასა და მკვლელების მფარველობაში გადანაშაულებთ!

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია (თავმჯდომარე – პალამენტარი კონსტანტინე გამსახურდია) მუშაობას განაგრძობს. იმის გამო, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო უმრავლესობამ, კომისიას, საგამომძიებლო სტატუსი არ მისცა, შეთქმულებაში მონაწილე სავარაუდო ეჭვმიტანილები, ხელის აქნევით ამბობენ უარს კომისიასთან თანამშრომლობაზე (გუგუშვილი, შევარდნაძე...).

კომისიის მუშაობას, ასევე დიდად აფერხებს და აზარალებს საჭირო თანხების უქონლობა. საპარლამენტო უმრავლესობამ, ვერა და ვერ გაიმეტა, კომისიის მიერ მოთხოვნილი 10 000$ უცხოელი ექსპერტებისათვის, რისი მიზეზითაც მათი მოწვევა დღემდე ვერ ხერხდება. ეს იმ რეალობაში, როდესაც, სააკაშვილის ხელისუფლება, ასი ათასობით დოლარს ხარჯავს გართობის ინდუსტრიის და ბულვარ–შადრევნების მშენებლობებში.

აშკარაა, ე. შევარდნაძის მემკვიდრე სააკაშვილი, არ არის დაინტერესებული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის რეალური და ფაქტიური გამოძიებით, არამედ, საპარლამენტო კომისია მას მხოლოდ „კეთილი ნების“ ჟესტის დემონსტრირებად სჭირდება. სააკაშვილი ვალდებულია დაიცვას თავისი პოლიტიკური მამისადმი მიცემული „ხელშეუხებლობის“ გარანტია. ამადაც, მთავარი სახელმწიფო დამნაშავე – პუტჩისტი და პრეზიდენტ გამსახურდიას მკვლელობის ორგანიზატორი – ე. შევარდნაძე, სრულიად უსაფრთხოდ და გულმშვიდად განაგრძობს უზრუნველყოფილ ცხოვრებას კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში. ერთადერთი, ვინც მის სიმშვიდეს აფრთხობს, ეს არის ქართველი ერის – ეროვნული მოძრაობის ხმა – შეძახილები („მკვლელო!“ „სისხლიანო!“), რომელიც, აგერ უკვე მეორე ათეული წელია, გამუდმებით ისმის ამ „თეთრი მელას“ რეზიდენციასთან და სიცოცხლეს უმწარებს მას.

არსებითად აუცილებელი დაფინანსების მოლოდინში, კონსტანტინე გამსახურდია, თვიდან თვემდე კომისიის მუშაობის გახანგრძლივებას ითხოვს, რაზეც თანხმობას ამჯობინებს საპარლამენტო უმრავლესობა, ვიდრე იგი საჭირო ფინანსებითა და საგამომძიებლო სტატუსით აღ-

ჭურვოს. თავად კონსტანტინე გამსახურდია, შეუძლებელია, რეალურად არ აფასებდეს შექმნილ მდგომარეობას, მაგრამ ცდილობს ბოლომდე გასწიოს ჭაპანი და სამართლებლივი შეფასებისთვის ვარგისი დასკვნა მაინც დადოს და ისტორიულად ამხილოს სახელმწიფო დამნაშავენი.

ჩვენს მტკნარ ღიმილს იწვევს ბიზნესმენთა (საქართველოსა თუ საზღვარგარეთ მყოფ) სრული უგულისყურობა გაცხადებული ფინანსური პრობლემებისადმი. მაშინ, როცა ეს გაქსუებული ქართველი ბიზნესმენები, ამდენივე თანხას (10 000$), უშურველად ხარჯავენ რესტორნებსა და „კრუიზებში“, მეცენატობას კი არ ავლენენ ამ ისტორიული დანაშაულის გამოკვლევაში. ეს სამარცხვინო ფაქტი, თანამედროვე ბიზნესმენთა სრულ დეგრადირებასა და დენაციონალურობაზე მეტყველებს.

ეს კვაჭი, თუ ქუდ–ბედიანი პერსონები, მხოლოდ „ფულის ტომრებად“ ქცეულან, სწორედ და არად ანაღვლებთ ერი და ისტორია. არადა, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის მკვლელობის გამოძიება, თითოეული ქართველის ეროვნული ღირსების საკითხი უნდა იყოს!

სააკაშვილის აშკარა მფარველობით გულმოცემული ე. შევარდნაძე და ბესარიონ გუგუშვილი, ერთნაირად დემაგოგობენ, მრისხანებენ: „ვის გაუგია, შვილი იძიებდეს მამის მკვლელობას, ობიექტური „იქნებაო?!“ ეს „ჩვენ უნდა გამოვიძიოთ, ეროვნულმა ხელისუფლებამ“ – გაცხარებით გვიკიჟინებს გუგუშვილი ფინეთიდან. — *თქვეენ, ბატონო ბესარიონ, პრეზიდენტის შეთქმულებასა და მკვლელების მფარველობაში ეჭვმიტანილმა უნდა გამოიძიოთ?! მერედა, ობიექტური იქნებით?! ან ვინ გიშლიდათ აქამდე ხელს, შევარდნაძესა და თქვენ, გამოგეძიათ, თუნდაც „თვითმკვლელობა“ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასი? იქნებ ის „საიდუმლო ხელშეკრულება”, რომლის არსებობა, საჯაროდ (მას-მედიით), თქვენ მხოლოდ 2005 წელს გაუმჟღავნეთ საზოგადოებას და ისიც, თავდაცვის მიზნით?*

ჩვენთვის უცნობია ამ შავბნელი საიდუმლო დოკუმენტის შედგენის ზუსტი თარიღი (საგაზეთო მასალაში მითითებული არ არის. სავარაუდოდ, იგი პრეზიდენტის იჩქერიაში გადასვენების პერიოდში შედგა), ხელმომწერთა ვინაობა და ზუსტი რაოდენობაც. დოკუმენტის მთავარი ხელმომწერნი, გუგუშვილი და პრეზიდენტის ქვრივი ქ-ნ მანანა ვალდებულნი არიან, საზოგადოებას და საპარლამენტო კომისიასაც განუმარტონ „ხელშეკრულების“ დადების აუცილებლობის მოტივი და გარემოებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს „ხელშეკრულება“ თავად ამხელს მათ შეთქმულებაში. თუ გარდაცვლილი პრეზიდენტის ქვრივი ქ-ნი

მანანა, ცხედრის მოპოვების (გროზნოში ჩასვენების) სანაცვლოდ იძულებულყვეს დაედო ამგვარი მძიმე პირობები (ექსპერტიზის ჩაუტარებლობა და სხვა), დღეს, ისეთივე კატეგორიულობით რატომღა ეწინააღმდეგება ექსპერტიზას?

ბესარიონ გუგუშვილი ხან ამბობს, რომ პრეზიდენტი მოწამლული იყოო და ხანაც, უარყოფს. პრეზიდენტი რომ მოწამლულიყო, ამას ადასტურებენ დაცვის წევრები ზაზა ბურჯანაძე და გოჩა კეკენაძე (იხ. „ასავალ-დასავალი“, 2005 წ. 21-27ნოემბერი, გვ. 16-19).

როსტოვის ექსპერტიზით, პრეზიდენტის ცხედრისა და შვილის ცოტნე გამსახურდიას დნმ-ით კვალიფიციურად დადასტურებულია, რომ გროზნოდან გადმოსვენებული ცხედარი, ნამდვილად არის ზვიად გამსახურდიასი.

ბესარიონ გუგუშვილი, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის“ დასტურად, რატომღაც იმოწმებს აწგარდაცვლილ ექიმ დავით ჯალაღონიას და კონსტანტინე გამსახურდიას მასთან გასაუბრებას უთითებს (გვჯერა, რომ ემიგრაციაში მყოფს არა აქვს ინფორმაცია მისი გარდაცვალების შესახებ). საბედნიეროდ, თავის დროზე ექიმ ჯალაღონიასთან ინტერვიუ აქვს ჩაწერილი გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მაშინდელ კორესპონდენტს ქ-ნ **ბელა შალვაშვილს**. ეს ერთადერთი ინტერიუ მე და კონსტანტინემ, ქ-ნ ბელასგან ერთდროულად გამოვითხოვეთ. ამ ვრცელ ინტერვიუში (იხ. „ასავალ-დასავალი”, 2004, 1-14 ნოემბერი) ექიმი დავით ჯალაღონია, რომელმაც გარდაცვლილ პრეზიდენტს ბალზამირება გაუკეთა, **გუგუშვილის ნათქვამზე დაყრდნობით** ამბობს, რომ „ეჭვი, რომ სხვამ მოკლა, არ არსებობდა“-ო. ამასთანავე, „... იარაღი ზედ საფეთქელზე არ იყო მიდებული, ოდნავ შორიდან არის ნასროლი“-ო. ხოლო საბოლოო სიტყვაში ინტერვიუერი ექიმი ჯალაღონია კი აცხადებს: „ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, როგორ და რა ვითარებაში გარდაიცვალა უსაყვარლესი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, ამიტომ ექსპერტიზაა საჭირო!“-ო.

აი, ასეთი მაღალი მოქალაქეობრივი და სახელმწიფოებრივი თვითშეგნებით დაგვმოძღვრა თქვენს მიერ რეკომენდირებულმა ექიმმა დავით ჯალაღონიამ, ბატონო ბესარიონ. თქვენ კი, უბრალო ახირებული კაცივით მიეთ-მოეთობთ და აშკარად არ გაგაჩნიათ პრემიერ-მინისტრის შესატყვისი პასუხისმგებლობის სახელმწიფოებრივი განცდა, არამედ განრისხებული ეწინააღმდეგებით პრეზიდენტის გარდაცვალების ექსპერტიზასა და ყოველგვარი გამოძიების სამართლებრივ პროცესს, რაშიც უპირველესად თავად უნდა იყოთ დაინტერესებული, რათა არ დარჩეს

ეჭვი თქვენი იოტისოდენა დანაშაულისაც, რათა პირნათელი დარჩეთ ერის, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე. მაგრამ, ყველასა და ყველაფრის წინაშე, საუბედუროდ, თქვენ პირშავად ხართ! – თქვენს თვალწინ დახვრიტეს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, თქვენ იცნობთ პრეზიდენტის მკვლელებს.

დიახ, ბატონო ბესარიონ, სახელმწიფო შეთქმულებასა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელების მფარველობაში გადანაშაულებთ!

„ზვიადმა, თავისი სიკვდილით, ჩვენი სიცოცხლე იხსნაო“ – ხმამაღლა დაგცდათ იჩქერიაში, პრეზიდენტთან გამოთხოვების სამგლოვიარო მიტინგზე.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მამულიშვილნი, სხვაგვარ არჩევანს გააკეთებდნენ...

ლეილა ცომაია
გაზეთი „განმათავისუფლებელი“,
2010 წლის ოქტომბერი, №26.

ბესარიონ გუგუშვილი სიცრუის ტირაჟირებას განაგრძობს!

2012 წლის დეკემბერში, ბესარიონ გუგუშვილმა გამოსცა წიგნი ცინიკური სათაურითა და ცინიკური დიზაინით „მკვლელობის დაკვეთა“. წიგნის გამოცემა კიდევ ერთი მცდელობა გახლდათ, რომ ბესარიონ გუგუშვილს განემტკიცებინა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის“ თავისივე შეთხზული ვერსია. ჩვენ, საგაზეთო სტატიითა და განცხადებითაც, მაშინვე გამოვეხმაურეთ ხსენებული წიგნის გამოცემას; დღესაც მიგვაჩნია, რომ წიგნი და ბესარიონ გუგუშვილის სტატიებიც, რომლითაც გაყალბებულ-გამრუდებულია სიმართლე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი დღეების შესახებ, ემსახურება ერთადერთ მიზანს: **პასუხისმგებლობა ააცილოს ედუარდ შევარდნაძის, რუსეთის იმპერიიდან დაფინანსებულ ხუნტას, ზვიად გამსახურდიას დევნისა და მკვლელობისათვის, ხოლო თავად კი კვლავაც შეინარჩუნოს უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის გარანტიები ემიგრაციაში, საიდანაც იგი არასოდეს აპირებს დაბრუნებას!**



მას შემდეგ, რაც საქართველოს პროკურატურამ, 2016 წელს, როგორც იქნა, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების საქმე, „თვითმკვლელობის“ ვერსიიდან „მკვლელობის“ ვერსიად გადააკვალიფიცირა, ბ. გუგუშვილმა საკუთარი დესპანი, იოსებ ღუდუშაური მოავლინა თბილისს. ემიგრაციიდან მოვლენილი იოსებ ხუდუშაურის საგანგებო მისია გახლდათ საქართველოს პროკრატურაში გუგუშვილის ზემოხსენებული წიგნის წარდგენა, პარლამენტში გამოსვლა აღნიშნულ საკითხზე და წიგნის ეკა ბესელიასთვისაც გადაცემა, რათა პროკურატურამ და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომისიამაც, ზვიად გამსახურდიას საქმეზე იხელმძღვანელონ გუგუშვილის წიგნით.

იოსებ ღუდუშაური, საქართველოს პარლამენტში პირველი ვიცე-პრემიერის სტატუსით წარსდგა და მოითხოვა ლეგიტიმური, კანონიერი (ანუ ბესარიონ გუგუშვილის) ხელისუფლების აღდგენის პროცესის დაწყება. აგრეთვე, საქართველოს პარლამენტმა დაიცვას ემიგრაციაში დევნილი ეროვნული ხელისუფლება გაზეთებითა (ძირითადად იგულისხმება ჩვენი გაზეთი) და ტელევიზიით წარმოებული დისკრედიტაციისაგან, შეწყდეს ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება „თვითმკვლელობის უტყუარი“ მტკიცებულების მოტივით. „უტყუარი მტკიცებულებების“ დოკუმენტურ „დასაბუთებად“ კი მიჩნეულ იქნას ბესარიონ გუგუშვილის წიგნი.

გუგუშვილი, საკუთრივ შეთხზული წიგნით, ეწევა რა სიცრუის ტირაჟირებას პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით, ზემოქმედებს საქართველოს პროკურატურაზე და საზოგადოებრივ აზრზეც. გუგუშვილი, დღემდე კატეგორიული წინააღმდეგია საქართველოს პროკურატურასთან თანამშრომლობასა და დაკითხვაში მონაწილეობაზე. მისი და ღუდუშაურის პოზიცია, აქამდე მკვეთრად რადიკალური იყო, რომ ისინი არ ცნობენ საქართველოს დე-ფაქტო ხელისუფლებებს, მათ არა აქვთ უფლება დაკითხონ კანონიერი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი და, მითუმეტეს, ბრალი წაუყენონ მას! ამგვარი არგუმენტით, გუგუშვილ-ღუდუშაური ჩვენც გვამუნათებდა: „ვინ უნდა გამოიძიოს კანონიერი პრეზიდენტის მკვლელობა, უკანონო, ხუნტისმემკვიდრე ხელისუფლებამ?!“

ახლა კი რამ გამოწვია მათი დათბობა ხუნტის მემკვიდრე „ოცნების“ ხელისუფლებისადმი, გამოძიების მასალების სასამართლოსთვის გადაცემის შიშმა?! გუგუშვილი, საქართველოს პროკურატურის გამომძიებელს, სამართლებრივი დაკითხვის ალტერნატივად სთავაზობს ტელე-დებატებს შეუზღუდავი დროით, რაც არასერიოზული განაცხადია. საეთერო დროის ფინანსებს კი, ალბათ იმედოვნებს, რომ მისი მადლიერი, რუსული და უცხოური, სპეცსამსახურები გადაუხდიან.

ყოველგვარი სენტიმენტების გარეშე ვაცხადებთ, რომ ზვიადი იმდენად მტკიცე და შეურყეველი გახლდათ თავის სარწმუნოებაში, „იძულებითაც“ არ მოიკლავდა თავს, რამეთუ მას სავსებით გააზრებული ჰქონ-

და თავისი მოწამეობრივი ბრძოლა. პრეზიდენტის „თვითმკვლელობის“ ზღაპრების საქართველოში არასოდეს არავის სჯეროდა. საქართველოს პროკურატურამ კი, ხანგრძლივი და პროფესიული გამოძიების კვალდაკვალ გადააკვალიფიცირა პრეზიდენტის გარდაცვალების გარემოებების საქმე, მაგრამ „საქმის“ სასამართლოსთვის გადაცემის სახელისუფლო ნება დღესაც არ არსებობს. ამადაც, ბესარიონ გუგუშვილს, ჯერაც შეუძლია მშვიდად იყოს!

ფინეთის პროკურატურას, საქართველოს პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე ჰქონდა მცდელობა დაეკითხა ბესარიონ გუგუშვილი, რაზეც საკუთარი ქვეყნის ქართველი ემიგრანტისაგან, წერილობითი უარი მიიღო(იხილეთ დოკუმენტები):

ფინეთის გამოძიების ბიუროს მიერ ბესარიონ გუგუშვილის ზვიად გამსახურდიას „მკვლელობის“ №7494802 საქმესთან დაკავშირებული დაკითხვა

ფინეთის გამოძიების ბიუროს მკვლელობების განყოფილების მიერ ჩატარებული დაკითხვის ოქმები და დაკავშირებული დოკუმენტაცია.

National Bureau of Investigation – Keskusrikospoliisi, Homicide Crime.

დაკითხვას უძღვებოდა უფროსი გამომძიებელი სუსანა პოროლა
დაკითხვა ფინეთის კანონების შესაბამისად ჩატარდა
ელფოსტით, ინგლისურ ენაზე მიმოწერის საშუალებით

21.10.2015 10:31

გამარჯობათ,

ჩვენ მივიღეთ მოთხოვნა (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურორის სამსახურისგან) დაგკითხოთ, როგორც მოწმე ბატონ ზვიად გამსახურდიას (საქართველოს პირველი პრეზიდენტი 1991-1992) დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის საქმეზე.

ქართულ მხარეს სურს დაესწროს დაკითხვას.

კანონით დაშვებული არაა გადმოგცეთ ქართული მხარის ოფიციალური მოთხოვნის ასლი (საქმე №7494802), მაგრამ შემიძლია მოგაწოდოთ შეკითხვების ნუსხა, რომელზეც გვჭირდება თქვენი პასუხები.

დაკითხვისას გეყოლებათ მთარგმნელი. რომელი ენაა საჭირო, თქვენი მშობლიური ენა რუსულია, ქართული?

თუ თქვენ არ გსურთ ქართული მხარის დასწრება, ამის გადაჭრა შეუ-

ძლია ჩვენს მთავარ გამომძიებელ ინსპექტორს ბატონ ტუორასს, ასეთი საკითხების გადაწყვეტა მისი კომპეტენციაა.

ჩვენ შეგვიძლია მოვაწყოთ აუდიო დაკითხვა აქ, გამოძიების ბიუროში. ეს ყველაზე იოლი გზა იქნებოდა. შემდეგ, აუდიო ჩანაწერს ჩვენ გადავუგზავნიდით ქართულ მხარეს, ასე რომ მათ ექნებათ შესაძლებლობა მოისმინონ ყველაფერი.

თქვენი საცხოვრებლის მისამართს ქართულ მხარეს არ შევატყობინებთ.

საუკეთესო სურვილებით
სუსანა პოროლა

21.10.2015 13:08

სუსანა პოროლას

გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩემი აზრი და მოთხოვნები.

ბესარიონ გუგუშვილი

საქართველოს მთავრობას მიღებული აქვს დადგენილება, ხელმოწერილი ვიცე-პრემიერის ***ა.მარგიანის მიერ*** (16 თებ. 1993), რომელშიც საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ზ. გამსახურდიას **სიკვდილის თვითმხილველები არ მიიღებენ მონაწილეობას გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებულ არავითარ გამოძიებაში** (პარაგრაფი 3. იხილეთ ქვემოთ).

მე მოვითხოვ ქართული მხრისაგან პატივი სცენ საკუთარ ვალდებულებებს და არ მივიღებ მონაწილეობას მათს პოლიტიკურად მოტივირებულ და ფალსიფიცირებულ „გამოძიებაში“ — მით უმეტეს ისეთ ვითარებაში, როდესაც რაიმე სერიოზული დასაბუთებისა და დამაჯერებელი ფაქტების გარეშე — ზ.გამსახურდიას **თვითმკვლელობა** კლასიფიცირებულია როგორც **მკვლელობა**.

ასევე, საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს (ფაქტობრივი) მთავრობის ზემოთხსენებული დოკუმენტის შესაბამისად **საქართველოში არასოდეს ჩატარებულა ზ. გამსახურდიას ცხედრის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა**, და ეს გარემოება ნებისმიერ გამოძიებას კანონიერ საფუძველს მოკლებულს ხდის.

სხვა მხრივ, მე მზად ვარ ვუპასუხო და ვისაუბრო ქართული მხარის ნებისმიერ შეკითხვებზე ღიად, საჯაროდ – <u>საქართველოს ნებისმიერი პოპულარული სატელევიზიო არხის გამოყენებით“</u>.

ბესარიონ გუგუშვილს, იძულებული ვართ შევახსენოთ, რომ იგი 1994 წლიდან აღარ არის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავრობის პრემიერ-მინისტრი და იგი უნდა დაიკითხოს, როგორც თვითმხილველი და მოწმე (იხ. მისი გადაყენების დოკუმენტი):

„საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის“ 104,23-ე, 123-ე და 124-ე მუხლებზე დაყრდნობით, 1994 წლის 1 აპრილის სხდომაზე მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება – „საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“: „საქართველოს უზენაესი საბჭო ადგენს: 1. განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს პრემიერ მინისტრი ბატონი ბესარიონ გუგუშვილი; 2. ეს დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
დროებითი თავმჯდომარე ბ. ჩოლოყაშვილი
გროზნო, 1994 წლის 1 აპრილი.

ბესარიონ გუგუშვილი, ასევე, ამავე პერიოდიდან, კრების გადაწყვეტილებით, გადაყენებულია წმ. ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარეობიდანაც, მისი საქართველოში არყოფნის გამო.

მაშასადამე, ბესარიონ გუგუშვილს არავითარი სამართლებრივი მოტივი არ გააჩნია, საქართველოს პროკურატურასთან თანამშრობლობაზე უარის თქმის შესახებ.

კვლავაც მიგვაჩნია, რომ მის პირდაპირ ინტერესებში უნდა შედიოდეს სიმართლის დადგენა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით, თუ მას არ აშინებს და აფრთხობს თავისი წილი დანაშაული ამ ისტორიული მკვლელობის დაკვეთაში...

ლეილა ცომაია

გაზ. „განმათავისუფლებელი“ №57, გვ. 8, 2018 წ.

არჩევნების სას(ტ)აულები!...

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უფროსმა შვილმა, ყოფილმა პარლამენტარმა კონსტანტინე გამსახურდიამ, მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, კვლავ პარლამენტარობა გადაწყვიტა და ამ მიზნით იგი ე.წ. პატრიოტთა ალიანსს გაურიგდა, რომლის წარდგინებითაც იგი მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად აბაშა-მარტვილში იყრის კენჭს.

სამწუხაროა, რომ პოსტ-ზვიადისტურ ხელისუფალთაგან, არცერთს არ აღმოაჩნდა პოლიტიკური ნება(ვალდებულება) შესაფერისად დაესაქმებინა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილები, გარდა უმცროსი გიორგი გამსახურდიასი, რომელიც შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდიდან დღემდე სხვადასხვა თანამდებობებზე უწყვეტად მუშაობს

ხელისუფალთაგან ამგვარმა სრულმა იგნორირებამ, წლების განმავლობაში, სერიოზული სოციალური პრობლემები შეუქმნა უმუშევრად დარჩენილ გამსახურდიებს, განსაკუთრებით - კონსტანტინეს, რომელიც ოჯახის დანგრევის შემდგომ საცხოვრისის გარეშეც დარჩა და მას ბანკიდან აღებული მსხვილი სესხით საკუთარი სახლის აშენების საჭიროება დაუდგა, ბანკის ყოველთვიური პროცენტები კი თითქმის სრულად „ყლაპავს“ მის მიზერულ შემოსავალს.

შევარდნაძის ხანიდან ამ დრომდე, საქართველოს პარლამენტში, იმდენი ოდიოზური და კარიკატურული ფიგურები ვიხილეთ, მათ ფონზე, კონსტანტინე გამსახურდიას პარლამენტარობა, ნამდვილად დადებით და სასურველ მოვლენადაც უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ ე.წ. პატრიოტთა ალიანსთთან (რომლის სრული შემადგენლობა ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის აქტიურ მოწინააღდეგე-მებრძოლთა დასს წარმოადგენს), მათთან ინტეგრირებას სწორ (თუნდაც მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით) და სამართლიან გადაწყვეტილებად ვერ შევაფასებთ; ზნეობრივ კომპრომისზე წასვლას, ჩვენში ჯერ კიდევ, არცთუ ყველა ამომრჩეველი (ხალხი)უხუჭავს თვალს უბრალოდ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პერსონას (დეპუტატობის კანდიდატს) მაღალ (მაქსიმალისტურ) მოთხოვნებს უყენებს ერი „ზვიადის შვილობის“ განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე და მტკივნეულად განიცდის ამ სტატუსის გათელვას.

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებს (ირმა ინაშვილი, თარხან მოურავი) ემატება აკაკი ასათიანის ფიგურაც, რამაც ერთობ დაამძიმა (რათქმა

უნდა, არა წონით...) კონსტანტინეს საარჩევნო სარეიტინგო ფონი, თუმცა როგორც გამოვლინდა, კონსტანტინეს, აქამდედაც ჰქონია კეთილგანწყობითი ურთიერთობა მოღალატე-კოლაბორაციონისტ აკაკი ასათიანთან; 2014 წლის 10 მარტს, ზვიადის მკვლელობის წიგნის, "ზვიად გამსახურდიას საქმე", წარდგინებაზე კონსტანტინეს საპატიო სტუმრად და ერთ-ერთ გამომსვლელად მოწვეული ჰყავდა აკ. ასათიანიც, რასაც დარბაზში მყოფთა აბსოლუტური უმრავლესობის მწვავე რეაქცია მოჰყვა...

ჩვენ წარმატებას ვუსურვებთ დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატ კონსტანტინე გამსახურდიას, თუმცა ვიტოვებთ უფლებას არ მოვიწონოთ მისი ალიანსი კოლაბორაციონისტებთან და მათგან სეპარაციის მოსურნე ვიყოთ!

ქეთევან ჭანტურია(ლეილა ცომაია)

გაზეთი „განმათავისუფლებელი", N50, 2016 წლის სექტემბერი.

ლატავრა ფოჩიანი
სამშობლოზე მჭვუნვარე მოცეკვავე

ზეციურ სასუფეველს შეემატა კიდევ ერთი ჭეშმარიტი მამულიშვილი, საქართველოს დამსახურებული და სახალხო არტისტი, ქართული ეროვნული ცეკვის მშვენება -ქალბატონი **ლატავრა ფოჩიანი**.

ქალბატონ ლატავრას სამშობლო თვალისჩინზედ მეტად უყვარდა. ამიტომაც იგი, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პირველი დღეებიდანვე, საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებს შეუერთდა.

ქართული ცეკვის ფერიის შემართება და საბრძოლო სულისკვეთება ბევრ ვაჟკაცსაც შეშურდებოდა.

იგი მამულის წარმატებით ხარობდა, მჭვუნვარებდა სამშობლოს უბედობით. გვახსოვს, მისი მწუხარება 9 აპრილს საბჭოთა ჯარების მიერ გალეწილი სისხლის კალოს გამო, გვახსოვს მისი სიხარული საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისას. საქართველოს დედაქალაქში, რუსთაველზე საერთო-სახალხო ზეიმისას, უბადლო ხელოვანს, ალბათ, ისეთი აღმაფრენით არასდროს უცეკვია, როგორც იმ დღეს მთავრობის სახლის წინ საქართველოს უსინათლო მეჩონგურეთა მიერ აჟღერებულ ჰანგებზე.

საქართველოს დამსახურებული და სახალხო არტისტი ქალბატონი ლატავრა ფოჩიანი, ქართული ხელოვნების სხივნათელი ვარსკვლავი, შესაშური თავდადებითა და ერთგულებით, სიკეთითა და მოყვასის სიყვარულით გამოირჩეოდა. რამდენადაც იგი დიდი ხელოვანი იყო, ორჯერ მეტად დიდბუნოვანი ადამიანიც გახლდათ. მისთვის უმთავრესი საწუხარი ჯვარცმული სამშობლო იყო.

ეშმას ნაშიერებმა თავისუფლების გზაზე შემდგარ ქართველ ხალხს მალევე წაგლიჯეს ბედნიერება, არ დააცალეს ივერიის გარწყინება.იგი არ შეეგუა, არ შეურიგდა საქართველოში კაენის მეორედ მოსვლას. იდგა იქ, სადაც მართალი საქართველო ილეწებოდა, შესაშური სიმტკიცით, თავდადებითა და ვაჟკაცობით ერკინებოდა სამშობლოს მაოხართ. იგი დევნილი, ჯვარცმული საქართველოს ცხოვრებით ცხოვრობდა. ვერ გატეხეს, ვერ მოისყიდეს. სიცოცხლე ჯოჯოხეთად უქციეს, მაგრამ ბოლომდის უერთგუ-

ლა სამშობლოსა და მისთვის ტარიგად შეწირული რაინდების ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას იდეებს.

ქალბატონი ლატავრა ვაჟკაცურად იტანდა ოცწლიან დევნას, რისთვისაც იგი განკვეთა ეგრეთწოდებულმა ქართულმა ელიტამ, სამაგიეროდ ასჯერ მეტად შეიყვარა მართალმა საქართველომ თავისი მაღალი ხელოვნებითა და მამულიშვილობით, ის თავად იძლეოდა მამულის ერთგულების მაგალითს. სამშობლოს ტკივილი და ვარამი საკუთარ სხეულში განასხეულა და ამ სატკივარით აღესრულა.

და განა მარტო ის? საბედნიეროდ, ქალბატონი ლატავრა მარტო არ ყოფილა. ავაზაკთა ზეობას ემსხვერპლა ქართული ხელოვნების ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ ქართული თეატრისა და კინოს მშვენებანი, ქალბატონები იზა გიგოშვილი და ლია ელიავა, შეუდარებელი პიანისტი მედეა ფანიაშვილი, ქართული საოპერო ხელოვნების ადრე ჩამქრალი ვარსკვლავი განუმეორებელი მაია თომაძე

ბევრი უსამართლობა იწვნია ქალბატონმა ლატავრამ ამ ავბედით ოცწლეულში, ავადმყოფობას, სიდუხჭირეს უზადო მოთმინებით იტანდა. კულტურის სამინისტრო არიგებდა მეცენატთა მიერ დაწესებულ მაღალ პენსიებს, რეგვენ და უბირ ჩინოვნიკს ქალბატონი ლატავრასათვის ასეთი რამ უთქვამს: პენსია რომ დაგენიშნოთ, პოდიუმზე უნდა გახვიდეთო (?!). იწყინა და იუკადრისა. როგორ შეკადრეს?! პოდიუმი ხომ წკრიალაშვილებისა და ბეგაშვილების საჯირითო ასპარეზია!

დღეს, როდესაც ქართული "ოუთუბე"-ს სივრცე გავსებულია უამრავი მასალით, მასში ერთი კადრიც კი არ არსებობს ქალბატონი ლატავრას მიერ შესრულებული უნატიფესი ცეკვებისა.

შევარდნაძის მემკვიდრე სააკაშვილის ხროვას არ აღმოაჩნდა ნება ცეკვის დედოფლისათვის დიდუბის პანთეონში მაინც მიეჩინა ძვალთშესალაგი, მაშინ, როდესაც იგი თავისი უმწიკვლო ცხოვრებითა და გენიალური ნიჭითაც უდაოდ იმსახურებდა მთაწმინდის პანთეონსაც.

ასეთია ჭეშმარიტი მამულიშვილების თანამდევი ბედი ძლიერთა ამა ქვეყნისა მიერ განწესებული, მაგრამ ეს ვერაფერს დააკლებს თქვენს ბრწყინვალებას ჩვენო დიდო ქალბატონო ლატავრა!

ალექსანდრე სანდუხაძე
ლეილა ცომაია
გაზეთი „განმათავისუფლებელი“ 30, 2011 წ.

ლეილა ცომაიასა და გოჩა გვასალიას პოლემიკა facebook-ზე, 2014 წლის 16-17 სექტემბერი.

Gocha Gvasalia-მ(ა) გააზიარა ბმული.

2 საათის წინ, Tbilisi-სთან ახლოს

დღეს ბლოგში დავდე ახალი წერილი. "ახალ 7 დღეში" ადრინდელი გამოქვეყნებული. ეხება ეროვნული მოძრაობის დამარცხებას. 10 გვერდზე ოდნავ მეტია. შავ ბლოგში:

www.porphyreos.wordpress.com/2014/09/16/ეროვნული-იდეების-დამარცხ/

Leila Tsomaia სიძულვილითა და ნიშნისმოგებით დაწერილი სტატიაა, გოჩა, რომელიც დიდად აამებს პოსტ-საბჭოეთს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და დისიდენტების სპეცსამსახურებისმიერი იდეოლოგიური ჩაწიხვლით . მხოლოდ ბნელეთი და არავითარი სინათლე ეროვნული მოძრაობის იდეებისა? აქ არც ობიექტურობაა და არც სიმართლე! დასანანია!

დაახლოებით ერთი საათის წინ · Edited · მომწონს

Gocha Gvasalia ვერ გავიგე, ქალბატონო ლეილა. დისიდენტებმა თავად გაყიდეს ის იდეები, რითაც სხვებს ანამუსებდნენ. სპეცსამსახურების ბრალი არაა ის, რომ ეროვნული მოძრაობის ძალები დაიფანტნენ. ეს თავის მართლება და გადაბრალებაა. მე მანდ ვიყავი წლობით და ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე. ეს არის მკაცრი მსჯელობა. რამდენს ვამბობ, რომ საჭიროა ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნა. ვის არ ვეუბნები ამას ძველი ხალხიდან. არ უნდათ. წელს ითრევენ. მე იმიტომ არ ვწერ, რომ იაფი პოპულარობა მოვიპოვო. არც იმის ქებას ვაპირებ, რაც სინამდვილეში კრიტიკას ვერ უძლებს. ეს წერილი შეამცირეს იმიტომ, რომ "ახალი 7 დღე" გამოდიოდა სოროსის ფონდის გრანტით და რედაქციას არ სურდა, რომ წერილს მეტად ზვიადისტური ელფერი ჰქონოდა. ეს მოგვიანოდ მითხრეს.

54 წუთის წინ · მომწონს · 2 (მოწონებულუი აქვს : gia bib-bibileiSvils, Ciuri labucdze)

Leila Tsomaia გოჩა მე არ ვიცი რეალურად იყავით თუ არა ეროვნულ მოძრაობაში და ვერც ვერავინ ადასტურებს ამას ეროვნულებიდან. ჩასაფრებულის პოზიციაში თუ იყავით და ამიტომ არაფრით ჩანდით, ეს უფრო იკვეთება ახლა. თქვენ შეგეძლოთ თქვენი კრიტიკული პოზიცია ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა შეკრებებზე გამოგეთქვათ, თუ მხარდამხარ არ იბრძოლებდით. ასეთ წერილებს ჩვენ 80-90-იან წლებში ფსევდონიმებით გვიწერდნენ უშიშროები პარტიული მუშაკები. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ მოპოვებულმა თავისუფლებამ ის მაინც ხომ მოგიტანათ, რომ ასეთ წერილებს აწ უკვე ფსევდონიმის გარეშე წერთ, ამით მაინც უნდა იყოთ კმაყოფილი დისიდენტების.

5 წუთის წინ · მომწონს

Gocha Gvasalia სად როგორ გამოვჩნდებოდი ქალბატონო ლეილა? მაშინ ვიყავი სტუდენტი და დავდიოდი თუ სადმე რამე შეკრება იყო და ვუსმენდი. მე არ ავდიოდი ტრიბუნაზე. მეთქვა რამე და ვინმე მომისმენდა? ჯერ ახლა არავინ მისმენს და მაშინ ვინ მომისმენდა? რა ჩასაფრებულის პოზიციაში ვიყავი? უშიშროება რას წერდა? ბარემ მე მითხარით, რომ აგენტი ვიყავი და ვარ. რა არის ახლა ამ წერილში ისეთი, რომ ასე საკამათო გახდა? რამდენი ხანია ეს წერილი გამოქვეყნებულია? განა ჩემი სახელი არ აწერია მას? ტყუილი აქ არის რამე? ხომ არ შეიძლება ყველაფერი დაბრალდეს უშიშროებას? მე კი არ ვიჩემებ რამეს და ძალად კი არ მოვდივარ ეროვნულ მოძრაობაში. რაც აქ მიწერია, ესვე მიწერია სხვა წერილებშიც. როდის ვწერდი მე ფსევდონიმით ადრე? რას მეუბნებით? თქვენ ვინ გგონივართ? რაც დამიწერია და ჩემი სახელი აქვს ყველას მიწერილი. ფსევდონიმით არის ჩემი წიგნი -თერიონის ვარდი- და მაშინვე ყველამ იცოდა, რომ ეს ჩემი ფსევდონიმი იყო. წიგნშივე წერია. ერთი და ორი დისიდენტი თუ იყო იდეური (მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია და კიდევ ორი-სამი კაცი). სხვები იყვნენ უცოდინარი ხალხი. ეს ხომ გამოჩნდა შემდეგ?

- 15 წთ. · მომწონს · 1

Gocha Gvasalia არ შევსულვარ არც ერთ ეროვნულ პარტიაში, რადგან გული მეუბნებოდა, რომ ამდენი მტრობა, ცილისწამება და შფოთი ქვეყანასაც დაღუპავდა და ამ პარტიებსაც. არა, რა არის ამ წერილში სიძულვილით ნაწერი? რაა აქ ტყუილი?

- 11 წთ. · მომწონს

Gocha Gvasalia აი საუბარმა მოიტანა და გეტყვით: მე რამდენიმე კაცმა მითხრა, რომ ჩვენო დროის ილია ხარო. შენ უნდა იყო ახალი ეროვნული ლიდერიო. მე ის ვუთხარი მათ, რომ არ ვარ და არ ვიქნები ილია. ილია და ილიობა დამთავრებულია. მე არ ვიქნები ლიდერი. მე ვარ ჩემი ფილოსოფიის შემქმნელი პორფირე და არ ვარ ილია.

2 წთ. · მომწონს

Leila Tsomaia ძალიან მკრეხელური შედარება გაუკეთებიათ...

1 წთ · მომწონს

Gocha Gvasalia ჰოდა, არ ვიქნები მე იმის ლიდერი, რაც თავიდან შესაქმნელია მახვილით და რევოლუციის ცეცხლით.

13 წუთის წინ · მომწონს

Leila Tsomaia საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ყოველთვის იყო ანტირუსულ-ანტიიმპერიალისტური, თქვენ კი გამოკვეთილი რუსული ორიენტაციისა ხართ, ამიტომ მძნელი დასაჯერებელია თქვენი ყოფნა ეროვნულ მოძრაობაში თავისუფლების იდეით...

12 წუთის წინ · მომწონს

Gocha Gvasalia რუსული ორიენტაციისა ვარ და ეს ჩანს. ეს არც დასამალია და არც საყვედრები. განა ამერიკა იმპერია არაა? განა თავად ამერიკელი მეცნიერები არ ამბობენ, რომ ამერიკა იყო და არის იმპერია. ქალბატონო ლეილა, ვინმემ, ეროვნულებიდან, წიგნიერმა ხალხმა, წაიკითხა ჩემი ნაშრომები? ვინმე მათგანმა გაიმეტა ერთი სიტყვა მაინც იმაზე, რაც შევქმენი? კარდაკარ დამქონდა ენის მანიფესტი. ნაირამ ის დაინახა და დაბეჭდა. ვინმემ ეროვნულებიდან კრინტი დაძრა ამ ნაშრომზე? მარტო ეგაა, რომ გამლანძღეს, რომ ნაირა კგბ-ს პოლკოვნიკია და მანდ რატომ დაბეჭდეო. ერთს არ უთქვამს, რა დავბეჭდე და რაზეა აქ ლაპარაკი.

6 წუთი

Leila Tsomaia ჩვენ რასაც ვქმნიდით მისთვის მხოლოდ ლანძღვას, რეპრესიებსა და ტყვიებს ვიღებდით.... ზვიადის მეცნიერული ნაშრომები დღემდე არავის შეუფასებია დადებითად . ..

დაახლოებით ერთი წუთის წინ · მომწონს

Gocha Gvasalia ნებისმიერი სახლემწიფოს განვითარების უმაღლესი წერტილიარისმისიიმპერიადქცევა.ესარისმარადიულიკანონიდედამიწაზე.

Gocha Gvasalia ჩვენ კი ჩვენი დაგვემართა. არსად ასე საძაგლად არ დასრულებულა ეროვნული მოძრაობა, როგორც საქართველოში.

- 14 სთ. · მომწონს · 2

Leila Tsomaia ეროვნული მოძრაობა საქართველოში, გოჩა, დასრულდა ტრიუმფალური პოლიტიკური გამარჯვებით - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით ზვიად გამსახურდიას ლიდერობითა და საპრეზიდენტო მმართველობით, მაგრამ თქვენში, სწორედ , ეს ოქროს ხანა იწვევს სიძულვილსა და აგრესიას ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი და ბნელ ფერებში გსურთ წარმოადგინოთ იგი. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ზვიადისადმერაბისლიდერობითთავისიისტორიულიმისიაბრწყვინვალედ შეასრულა, ახლა სხვა ეტაპი უდგას ეროვნულ მოძრაობას და მისი აღზევების ჟამიც დადგება და საქართველოს გაბრწყინებით განსრულდება, რამდენიც არ უნდა იფუთფუთონ და ივიშვიშონ სისხლაღრეულმა რუსეთუმე მენტალურმა მონებმა.

ახლახანს · მომწონს

როგორ გააუქმეს კოლაბორაციონალისტმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა და შალვა ნათელაშვილმა უზენაესი საბჭო

1991 წლის შემოდგომაზე, საბჭოთა საქართველოს პრივილეგირებული კლასი, კორუმპირებული პარტიული და სამეურნეო ფუნქციონერები – „ჩრდილოვანი ეკონომიკის ტუზები", „კანონიერი ქურდები" და პრივილეგირებული ინტელიგენცია – საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დასამხობად, გენერალურ შეტევაზე გადავიდა. ამ ოთხ კოლონას საკუთარი როლები გადანაწილებული ჰქონდათ, მაგრამ იყო მეხუთე კოლონაც, რომელსაც ჰამლეტ ჭიპაშვილი წარმოადგენდა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აპარატის უფროსი, სამდივნოს ხელმძღვანელი ჭიპაშვილი, კანონიერ ეროვნულ ხელისუფლებას ძირს შიგნიდან უთხრიდა; საბოტაჟი და დივერსიები, ხალხის წერილებისა თუ კორესპონდენციების ბლოკირება, უზენაესი საბჭოს ავტორიტეტის შებღალვა, მისი სამოქმედო ბერკეტი იყო!

ჰამლეტ ჭიპაშვილი საბჭოთა ნომენკლატურიდან გამოსული ფუნქციონერი, დიადი საბჭოეთის აპოლოგეტ-პოლიტოლოგი გახლდათ. როცა, მისი ფარული შეთქმულებითაც დადგა, ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების ჟამი, ამ მეხუთე კოლონამ, დანა უმალ ჩასცა საქართველოში კონსტიტუციურ კანონიერებას; ტერორისტული დიქტატურის დამყარებისთანავე, ჰამლეტ ჭიპაშვილმა ხელთ იგდო უზენაესი საბჭოს დეპუტატთა შრომის წიგნაკები და უკანონოდ გააკეთა მასში დანაშაულებრივი ჩანაწერები, რის დასამოწმებლადაც თვითნებურად გამოიყენა უზენაესი საბჭოს ბეჭედი, თუმცა პირადად, თვითნებურად, ნამდვილად არ უმოქმედია, არამედ შეასრულა ხუნტის (სიგუა-კიტოვანი-იოსელიანი) დაკვეთა, რომელმაც დანიშნა იგი უზენაესი საბჭოს „სალიკვიდაციო სამსახურის უფროსად" 1992 წლის 2 იანვარს. უზენაესი საბჭოს დეპუტატთა „შრომის წიგნაკებში" კი მან ამგვარი ჩანაწერ-ვერდიქტი გააკეთა: „შეუჩერდა უფლება მოსილება საქ. რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე" და დაათარიღა 1992 წლის 2 იანვრით, ანუ იმ პერიოდით, როდესაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი უზენაესი საბჭო, ჯერ კიდევ ამ შენობაში იმყოფებოდნენ და იგერიებდნენ ხუნტის შტურმს.

იხილეთ უზენაესი საბჭოს ერთ-ერთი დეპუტატის ნემო ბურჭულაძის „შრომის წიგნაკში" ჰ. ჭიპაშვილის მიერ გაკეთებული ჩანაწერი:





უთუოდ, ქვემეხებისა და ბომბდამშენ თვითმფრინავების გრუხუნში მოსდიოდა ლიაფსუს-შეცდომა გამალებულ ღვაწლ-ამაგაში ჩაფლულ ჰამლეტ ჭიპაშვილს, როდესაც უზენაესი საბჭოს დეპუტატების უფლება-მოსილების შეჩერების საფუძვლად, ზოგის შრომის წიგნაკში ერთიდაიგივე თარიღით, „სახელმწიფო საბჭოს წერდა“, ხოლო ზოგისაში კი, „სამხედრო საბჭოს“. 1992 წლის იანვარ-თებერვალში კი სახელმწიფო საბჭო, ქართულ რეალობაში არ არსებობდა, ვიდრე შევარდნაძის ჩამოსვლამდე, ანუ 10 მარტამდე.

ცხადია, რომ რუსეთში წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი საქართველოში მებრძოლი სამხედრო საბჭოს (ხუნტის) „სახელმწიფო საბჭოდ“

ფორმირების საკითხიც და ხუნტის ორგანიზატორ რუსულ ძალებთან საიდუმლო თანამშრომლობაში მყოფ ჭიპაშვილს, ამ გეგმის არსებობა, ცდომილებით ურევდა თავ-გზას.

ჰამლეტ ჭიპაშვილის მოღალატური ქმედების საილუსტრაციოდ ვაქვეყნებთ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ბატონ ნემო ბურჭულაძისა და უზენაესი საბჭოს წევრის ბატონ რობერტ პეტრიაშვილის „შრომის წიგნაკების“ ქსერო-ასლებს.

ჩვენ მოვიწადინეთ ინტერვიუ აგვეღო ბატონი ჭიპაშვილისაგან და შევეცადეთ კითხვები დაგვესვა მისთვის. ბატონმა ჰამლეტმა ჩვენთან პირდაპირი შეხვედრა არ ისურვა, ხოლო სატელეფონო შეკითხვებს კი ვერ გაუძლო და ბილწსიტყვაობით გათიშა საუბარი. ერთადერთი, რაზედაც მან ტელეფონით გვიპასუხა ეს შეკითხვა იყო:

კითხვა: მიუხედავად იმისა, რომ თქვენ წარმოადგენდით კომუნისტურ ნომენკლატურას, საბჭოთა პოლიტოლოგს, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ნდობა გამოგიცხადათ და დაგნიშნათ უზენაესი საბჭოს აპარატის უფროსად, რასაც თქვენ ღალატით უპასუხეთ, დღესაც ამართლებთ თქვენს საქციელს?

*პასუხი: დიახ, სავსებით ვამართლებ, რადგან მე დავინიშნე საქართველოს უკანალის (მან უფრო უხეში ფორმა იხმარა — **ლ.ც**) და არა ზვიად გამსახურდიას უკანალის (აქაც...) მლოკავად!*

კითხვა: თქვენი საქციელი მეტყველებს თუ არა შეთქმულებაზე ზვიად გამსახურდიას...

ეს მომდევნო კითხვა ნერვიული პასუხით შემაწყვეტინა:

– **არა!**

...და მობილური გათიშა.

დიახ, ჯავაჰარლალ ნერუს პერიფრაზით თუ ვიტყვით, ჰამლეტ ჭიპაშვილი კოლონიზატორის მიერ აღზრდილი ტიპიური ინტელიგენტი აღმოჩნდა!

1993 წლის 24 სექტემბერს რესპუბლიკის დევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ქვეყანაში დაბრუნდა და კონსტიტუციური კანონიერების აღდგენა დაიწყო. ამ კრიტიკულ მომენტში, შალვა ნათელაშვილმა, რომელიც 1992 წლის 11 ოქტომბრის ხუნტის პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე გახლდათ, გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკას”(იხ. №235(763), 29 ოქტომბერი, 1993 წელი) განუცხადა: “რესპუბლიკა დღეისათვის ცხოვრობს და მუშაობს 1992 წლის ნოემბერში მიღებული ძირით-

ადი კანონით “სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ”,

აქედან გამომდინარე, სამართლებრივად ძალადაკარგულია საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუცია, შემდგომი ცვლილებებითურთ და მასთან ერთად პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს ინსტიტუტიც ბათილია”.

ასე „გააუქმა“ შალვა ნათელაშვილმაც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს ინსტიტუტი 1993 წელს.

შალვა ნათელაშვილის აღნიშნული “ვერდიქტი”გამოიცა იმ დღეებში, როდესაც ედუარდ შევარდნაძის უზურპატორული რეჟიმის დასაცავად საქართველოში შემოჭრილი იყო რუსეთის სამხედრო ძალები ადმირალ ბალტინის სარდლობით. ეს კი, სხვა არაფერი გახლდათ, თუ არა, სამართლებრივი საფარის შექმნა, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების განადგურების სამხედრო ოპერაციისათვის.

ლეილა ცომაია

გაზ. „განმათავისუფლებელი“ №37, 2013 წ.

შევარდნაძე გარდაიცვალა

2014 წლის 7 ივლისს 86 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს მოსისხლე მტერი, რუსეთის სატრაპი და ემისარი ე. შევარდნაძე. იმ ფარისევლებს, რომლებიც „აღშფოთდნენ“ ჩვენი, ეროვნული ძალების ე.წ. „ანტიქრისტიანული“ ქმედებით შევარდნაძის დაკრძალვის დღეს, შევახსენებთ შემდეგს:

ჩვენი პროტესტი შევარდნაძის სამხედრო პატივით დაკრძალვის გამო გამოწვეულია საქართველოში 22 წლიანი უსამართლობის ბოგინით, სამშობლოს მოღალატისა და გამყიდველი შევარდნაძის დაუსჯელობით...

ჩვენი ეს ქმედება გამოწვეულია თქვენივე გულგრილობით, სამშობლოს ღალატთან კონფორმიზმითა და თანაზიარობით...

თქვენ დუმდით, ფეხზე გეკიდათ, ან უშუალოდ თანამონაწილეობდით 1991 წლის 22 დეკემბრის სისხლიანი დილის გათენებაში...

თქვენ დუმდით, ან ხელში გეჭირათ ავტომატი და ცელავდით 1991 წლის 22 დეკემბრის 8 საათსა და 10 წუთზე მთავრობის სახლთან მდგომ ქართველებს...

თქვენ დუმდით ან ტყვიას გვახლიდით, როდესაც ჩვენ ამ დილით მთავრობის სასახლის კიბეებიდან ტყვიის ქარ-ცეცხლში ვცდილობდით კიბეებზე დაცვენილი ქართველების გადარჩენასა და მთავრობის სახლში შეყვანას...

თქვენ დუმდით ან თქვენივე ნასროლი ტყვიით დაიღუპა იმ წუთებში ქართველი ფეხმძიმე ქალბატონი ციცინო ქევხიშვილი...

თქვენ დუმდით ან თქვენი ნასროლი ტყვია დაეხალა შუბლში საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ვარაზ ვარაზიშვილს, რომელიც ცდილობდა ბრძოლის ველიდან დაჭრილი უიარაღო ქართველების გაყვანას...

თქვენ დუმდით ან თანამონაწილეობდით 1992 წლის 6 იანვრიდან დაწყებული თბილისის ქუჩებში მშვიდობიანი ასიათასობით მომიტინგის სისხლიანი კალოს გალეწვაში...

თქვენ დუმდით ან ლომის წილს იდებდით სამეგრელოს ექვსგზის სისხლიან ეგზეკუციაში...

თქვენ დუმდით ან გათხვრილი იყავით წალენჯიხაში ავაზაკთა მიერ დანთხეული ქართველების სისხლის ტბორებში...

თქვენ დუმდით ან გვერდში ედექით შევარდნაძეს იმ დროს, როდესაც ის კმაყოფილი შესცქეროდა ზუგდიდში ასფალტზე დაყრილი უდანაშაულო ბიჭების დაცხრილვას...

თქვენ დუმდით ან ავტომატმომარჯვებული უკან მისდევდით საქართველოს ეროვნულ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას...

თქვენ დუმდით ან ლომის წილს იდებდით საქართველოს აკუწვაში და სინით მიართვით რუსეთის პირსისხლიან იმპერიას საქართველოს მარგალიტი აფხაზეთი და საქართველოს გულისგული – შიდა ქართლი...

თქვენი და თქვენი კუმირის შევარდნაძის სულზეა ასიათასობით ქართველის იძულებითი დევნილობა და ჯოჯოხეთად ქცეული მათი ცხოვრება...

თქვენს კისერზეა აფხაზეთსა და შიდა ქართლში დაცემული ათიათასობით ქართველის სისხლი! და ბოლოს... ჩვენი ასეთი „შეუწყნარებლობა“ გამოწვეულია იმითაც, რომ თქვენი კუმირი 2004 წელს არ წარსდგა ეროვნული სამსჯავროს წინაშე, არამედ თავისივე გამოზრდილმა რენეგატებმა მიანიჭეს „ხელშეუხლებლობა“ , რისი უფლებითაც მან 10 წელი ინებივრა კრწანისის რეზიდენციაში...

არადა, მაშინ რომ ეზეიმა სამართლიანობას, დღეს არ იქნებოდა ასეთი სამართლიანი რისხვა და გულისწყრომა ჭეშმარიტი ქართველებისა აწ-გარდაცვლილი იუდა-შევარდნაძის მიმართ...

2004 წელს რომ ეზეიმა სამართალს, აწ-გარდაცვლილ შევარდნაძეს გამოათრევდნენ საპყრობილედან და გაამზადებდნენ ჩასამარხად, რასაც ბუნებრივი სიმშვიდით შეხვდებოდა ერი...

მაგრამ, ყოველივე ამის ნაცვლად, ბიძინა ივანიშვილის ხელდასმულმა მთავრობამ ირაკლი ღარიბაშვილისა და გიორგი მარგველაშვილის მეთაურობით საქართველოს ხელისუფლების უზურპატორი, ქართველი ერის გენოციდის მომწყობი და ტერიტორიების გამსხვისებელი ე. შევარდნაძე სამხედრო პატივით დაკრძალა კრწანისის რეზიდენციაში, რასაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხრიდან მძაფრი პროტესტი მოჰყვა.

პოლიციის ძალუმი წინააღმდეგობის მიუხედავად, ეროვნულმა ძალებმა მაინც შეძლო საქართველოს გამყიდველი და ტირანი შევარდნაძის საპროტესტო შეძახილებით გასვენება, ღარიბაშვილის პოლიცია კი, დემოკრატიის – სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების გამოცდაში, სამარცხვინოდ ჩაიჭრა!

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შევარდნაძის დაკრძალვის დღეებში საქართველოში არ იმყოფებოდა (სავა-

რაუდოდ, პატრიარქმა თავი აარიდა შევარდნაძის პატივით დაკრძალვის პროცესიას ერის ნეგატიური განწყობიდან გამომდინარე), შევარდნაძის ცხედარი წინა დღით, სამების საკათედრო ტაძარში გადაასვენეს. თუმცა, შევარდნაძის დაკრძალვას, უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრებიანად, სულ ორასამდე კაცი დაესწრო.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები, ზვიად განმათავისუფლებელი პარტიისა და ეროვნული ფრონტის ლიდერობით, მეტრო ავლაბრის ტერიტორიასთან საპროტესტო პლაკატებით დილიდან განლაგდნენ. მეტროსთან მობილიზება იწყეს პოლიციისა და უშიშროების 200-მდე თანამშრომელმა.

ჭიკაიძის პოლიციამ იმ დღეს დაადასტურა, რომ იგი ე. შევარდნაძისა და მ. სააკაშვილის მემკვიდრე რეჟიმია და მათზე უარესიც; შევარდნაძისა და სააკაშვილის პოლიციური რეჟიმი ტროტუარებზე მიმდინარე საპროტესტო აქციების დარბევას მაინც ერიდებოდა, ხოლო ჭიკაიძის პოლიციამ, შეკრებისა და მდუმარე აქციის ჩატარების უფლება აღუკვეთა 70-ამდე მომიტინგეს და ძალისმიერად შეზღუდა მათი უფლებები. პოლიციელები ცოცხალ კედლად აეფარნენ საპროტესტო აქციას იუდა შევარდნაძის ცხედრის ჩამოტარების დროს, თუმცა მომიტინგეებმა მაინც შეძლეს ენერგიული პროტესტის გამოხატვა და პოლიციელთა წინააღმდეგობის დაძლევაც. ტირანი და ქვეყნის მოღალატე შევარდნაძე "იუდას" ძახილით გააცილეს ჯოჯოხეთში!

ბატონო გიორგი მარგველაშვილო, რადგან მაინც პრეზიდენტი გქვიათ ვალდებული ხართ უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოთ თქვენ სიტყვებს; შევარდნაძის გამოსათხოვარ გამოსვლაში თქვენ, სხვა მრავალ სიცრუესთან ერთად, ერთი ყურისმომჭრელი სიცრუეც თქით, რომ თითქოს შევარდნაძემ, როგორც „დიდმა ჰუმანისტმა" კონსტიტუციურად გააუქმა დახვრეტის მუხლი. სინამდვილეში კი, შევარდნაძის კომუნისტური რეჟიმის დროიდან მოქმედი დახვრეტის მუხლი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უზენაესმა საბჭომ გააუქმა. შევარდნაძემ კი, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების უზურპაციისთანავე, 1992 წელს ხუნტის პარლამენტს მიაღებინა სპეციალური ნორმატიული აქტი სიკვდილით დასჯის შესახებ, ვინაიდან ხუნტის მიერ გაუქმებული ეროვნული ხელისუფლების კონსტიტუციის შემდგომ აღდგენილ 1921 წლის კონსტიტუციაში, სასჯელის ეს უმაღლესი ზომა, არ არსებობდა.

ტირანმა შევარდნაძემ, სწორედ ამ სპეციალური ნორმატიული აქტის საფუძველზე სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა ჯაბა იოსელიანზე ტერაქტის მოწყობაში უკანონოდ დადანაშაულებულ პე-

ტრე გელბახიანსა და ირაკლი დოკვაძეს, რომლებმაც 4 წელი გაატარეს სიკვდილმისჯილთა საკანში და ამ ხნის განმავლობაში, საკნის ყოველი გაღებისას ისინი დახვრეტის აღსრულების განახლებული განცდის ქვეშ დგებოდნენ. ამგვარმა ულმობელმა მრავალწლიანმა სტრესმა გამოიწვია ახალგაზრდა გელბახიანის გულის შეტევით სიკვდილი პატიმრობიდან გათავისუფლების შემდგომ. ხოლო, სააკაშვილის რეჟიმის მიერ შეთითხნილი ბრალდებით კვლავ დაკავებული ირაკლი დოკვაძე კი, ღარიბაშვილის ხელისუფლების დროსაც, პატიმრობაში რჩება; ასობით რეციდივისტისა და მკვლელის შეწყალების მიუხედავად, დოკვაძეს (რომელსაც არავინ მოუკლავს) არა და არ შეახეს ამინისტია.

პრემიერ-მინისტრის შეფასება, ტირანი და სამშობლოს გამყიდველი, შევარდნაძის მიმართ კი ასეთი მტკნარი სიცრუე გახლდათ:

ირაკლი ღარიბაშვილი: „ედუარდ შევარდნაძემ გადადგა ის ნაბიჯები, რომლებითაც საქართველოს რეალური დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების შესაძლებლობები გაუჩნდა“.

ლეილა ცომაია

ფსევდონიმი — ქეთევან ჭანტურია

გაზეთი „განმათავისუფლებელი“ №42, 2014 წ.

სირცხვილი იმ ე.წ. ეროვნულებს, რომლებმაც თავი აარიდეს ამ უმნიშვნელოვანეს საპროტესტო აქციაში მონაწილეობას! პოლიციის ძალუმი წინააღმდეგობის მიუხედავად ჩვენ მაინც შევძელით საქართველოს გამყიდველი და ტირანი შევარდნაძის საპროტესტო შეძახილებით გასვენება, ღარიბაშვილის პოლიცია კი დემოკრატიის – სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების გამოცდაში სამარცხვინოდ ჩაიჭრა.

საქართველოში სიკვდილით დასჯა პირველად გაუქმდა მე-12 საუკუნეში თამარ მეფის დროს, ხოლო მეორედ – დემოკრატიული საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით.

დიდთა აფთარი ცოლეგი

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ჩვენ წამოვაყენეთ ინიციატივა კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას, მთაწმინდაზე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გვერდით გადასვენების თაობაზე, რაც დავასაბუთეთ მთელი რიგი არგუმენტებით (იხ. „განმათავისუფლებელი“, 2016 წლის მაისი, №49, გვ. 6).

საზოგადოება და ოჯახიც, ჩვენს ინიციატივას არაერთგვაროვნად შეხვდა; ჩვენ, ცხადია, იმთავითვე ვაცნობიერებდით, რომ უდიდესი სიმძიმის თემას შევეხეთ და ხელისუფლებების გარდა (წინა, არსებული, თუნდ მომავალიც...), წინაღობებს, ოჯახიდან და მწერალთა საზოგადოებიდანაც შევხვდებოდით. მწერალთა და ლიტერატორთა ერთმა ნაწილმა სრულიად ნორმალურად და დადებითადაც აღიქვა ჩვენი ინიციატივა და კომისიაში ჩართვის მზაობაც გამოთქვა.

ამ მისიით დავიწყე კარდაკარ დავლა ცნობილ მწერლებთანაც და პირველად, ბატონ გურამ დოჩანაშვილს ვეწვიე ჩემი გაზეთით, რათა ჯერ გასცნობოდა სტატიას, ხოლო აზრის მოსასმენად კვლავ ვეწვეოდი. კარი, მწერლის მეუღლემ, ქალბატონმა ნათელა სეფიაშვილმა გამიღო და შემიპატიჟა კიდეც. ბატონ გურამს გულწრფელად გაუხარდა ჩემი მოულოდნელი სტუმრობა: „რამდენი წელია არ მინახიხარ და პირდაპირ სასწაულია, რომ ახლა ჩემს სახლში გხედავო“. ბატონ გურამს მწერალთა კავშირიდან და „ცისკრის“ რედაქციიდან ვიცნობდი ახლოს და თავისი „სამოსელი პირველის“ მეორე გამოცემა ასეთი თბილი წარწერით აქვს ნაჩუქარი ჩემთვის 1982 წელს: „ქალბატონ ლეილას სიყვარულით, პატივისცემით, კეთილი სურვილებით“.



ბატონ გურამს, ჩემი მისვლისას ერთი გამომცემელიც სტუმრობდა, კახა რუსიძე, გამომცემლობა „მერიდიანის“ დირექტორი და სავარაუდოდ, მწერლის ახალი წიგნის გამოცემაზე მსჯელობდნენ. მე ვჩქარობდი და შემოთავაზებულ სკამზე არც დავმჯდარვარ ისე გავაცანი ჩემი მისვლის მიზანი; გაზეთი გადავეცი და მობილურის ნომერი ვთხოვე. ქალბატონი ნათელა კი, ამასობაში, საკუთარ აგრესიას გაწიწმატებული აფრქვევდა ჩემსა და გამსახურდიების მიმართ, რომ ძალიან კარგად მიცნობს, რომ კონსტანტინე არაფრით არ უნდა გადასვენდეს მთაწმინდაზე და თუ მაინც უნდა გადასვენდეს, მაშინ – „დიდუბის... არა, არც, დიდუბის, საბურთალოს პანთეონში“ო და ბოლოს ესეც დაენანა დიდოსტატი კონსტანტინესთვის და „პანთეონები, საერთოდ არა... აბაშის სახლის ეზოში... და ყველა ჩამოსული, თავის კუთხეში უნდა დასაფლავდესო!“. „რას ამბობ, ნათელა, კოწიაზეა ლაპარაკი, რა მოგვიდა, რამ გაგაცეცხლა, სხვა დროს ხომ ასე არ იქცეოდიო“ , შეაგონებ-ანამუსებდა ბატონი გურამი, მაგრამ ვერაფერს ასმენდა, არამედ აღშფოთებული მეუღლე ჩემთვის მობილური ნომრის დაწერასაც კი უკრძალავდა, არ მისცეო! ხელისშეშლის მიუხედავად ბატონმა გურამმა მაინც ჩამაწერინა მობილურის ნომერი, რის შემდეგაც გააფთრებულ ქალბატონ ნათელასაგან ძლივს დავაღწიე

თავი, რომელმაც გასვლისას კატეგორიულად გამაფრთხილა, რომ გურამთან არ დამერეკა და აღარც მოვსულიყავი მასთან, რომ კარს არ გამიღებდა!

ერთობ გაოგნებული დავრჩი ნათელა სეფიაშვილის ამგვარი ეპატაჟური გამოხდომებით.

ვინაიდან ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ჭეშმარიტად დიდი მწერლის გურამ დოჩანაშვილის აზრიც ამ საკითხთან მიმართებაში, ერთი კვირის შემდგომ მაინც დავიწყე რეკვა ბატონ გურამთან, მაგრამ სამი დღის განმავლობაში მასთან კონტაქტი ვერა და ვერ შევძელი (ხან, არა და არ მპასუხობდა, ხან, უხილავი ხელი მითიშავდა ზარს...). მეოთხე დღეს, როგორც იქნა გავიგონე ბატონი გურამის ხმა (აშკარად, მარტო იყო შინ). თბილი ურთიერთმოკითხვის შემდგომ, რა თქმა უნდა ჩემთვის საინტერესო საკითხსაც შევეხე. ბატონმა გურამმაც, ჩემს ინიციატივაზე არდათანხმების მოტივად ის ბანალური და მარტივი მიზეზი მოიყვანა, რაც სხვებსაც ასე უიოლებს თქმას: ეს თავად კოწიას გადაწყვეტილება იყოვო...

ბატონმა გურამმა ძალიან თბილად გაიხსენა მისი ურთიერთობა კლასიკოს მწერალთან, მირანდა ფალავადიშვილთან და თამართანაც და ამგვარ ნოსტალგიურ ნოტაზე დავასრულეთ სატელეფონო საუბარი. მანამდე კი, ჩვენს სატელეფონო საუბარში მე გამოვთქვი გაკვირვება და გულისტკივილი იმის გამო რომ იგი არ დაესწრო 2007 წელს ზვიად გამსახურდიას დაკრძალვას მთაწმინდაზე, არც პარლამენტთან და არც კოლხურ კოშკში მისულა პანაშვიდებზე, რაც ბატონმა გურამმა მისი შეუძლოდყოფნობით ახსნა (მოგეხსენებათ, გურამ დოჩანაშვილი ზვიადისა და მერაბის თანაკლასელი და მოკლე პერიოდი დისიდენტი თანამოაზრეც იყო).

საბჭოთა ტირანულ რეჟიმს, კლასიკური გიმნაზიის „დისიდენტ“ თანაკლასელებიდან, მხოლოდ ზვიადმა და მერაბმა გაუძლეს და ძლიერი სულით ბოლომდე შეერკინენ კიდეც, მაგრამ თანამებრძოლთა განდგომასა და შემდგომ კორტნას ორივე მტკივნეულად განიცდიდა, განსაკუთრებით ზვიადი, რადგან წამახული ისრები მხოლოდ მისკენ იყო ხოლმე მიმართული. გურამთან კი ურთიერთობა ხომ სულ მთლად აეწეწა და დაეძაბა;

გურამ დოჩანაშვილი უკიდურესად გაუნაწყენებია ზვიად გამსახურდიას რედაქტორობით გამომავალ იატაქვეშა ჟურნალ „ოქროს საწმისში“ (რომლის თანამშრომლობა ზვიადს დოჩანაშვილისთვისაც შეუთავაზებია, მაგრამ უარი მიეღო) ვიქტორ რცხილაძის სტატიის სქოლიოში მის არასათანადო პატივით მოხსენიებას, თუმცა რცხილაძეს დოჩანაშვილი სქოლიოში დასახელებული არ ჰყავდა, მაგრამ იგულისხმებოდა იგი, რაშიც ადვილად შეიცნო თავი დოჩანაშვილმა. დოჩანაშვილი ასევე ახლოს იცნობდა რცხილაძესაც, მაგრამ წყენით გამოწვეული მრისხანება ზვიადს დაატეხა თავს და ამ ამბის შემდგომ სამკვდრო-სასიცოცხლოდაც განეშორა.

„ოქროს საწმისს“ ზვიადი, მერაბი და ვიქტორ რცხილაძე ერთად გამოსცემდნენ და შესაძლოა, ვიქტორ რცხილაძის ის „საბედისწერო სქოლიო“ (როგორც როსტომ ჩხეიძე ასათაურებს თავის წიგნში) ზვიადს მანამ სულაც არ ჰქონოდა წაკითხული, მიუხედავად იმისა, რომ დოჩანაშვილს, სწორედ ზვიადის დაჟინებით წაუკითხავს ის ჟურნალი („რამდენჯერმე მკითხა: წაიკითხეო?“ – *დოჩ.*). ზვიადს კი, სავარაუდოდ და დიდი ალბათობით, დოჩანაშვილის დაინტერესება უფრო ეწადა იატაკქვეშა ჟურნალის პირველი ნომრით, ვიდრე რცხილაძის სქოლიოსადმი კრიტიკის ადრესატის (ღვარძლიანი ნიშნისგებით?!) – გურამის ყურადღების მიპყრობა. რადგან ჟურნალში აკრძალული ლიტერატურა იყო დაბეჭდილი, ზვიადისთვის, უთუოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა, ყოფილი თანამებრძოლის და 1975 წლისთვის უკვე გამოჩინებული, ელვარე ნიჭის მწერალ დოჩანაშვილის ავტორიტეტული აზრი, მაგრამ ცეცხლოვანი ეშმაკი „სქოლიოში“ აღმოჩნდა ჩაბუდებული; რცხილაძისეული სარკასტული შეფასება: “-ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს მწერალი უკეთესია დაცემულთა შორის!“ (იგულისხმებოდა დოჩანაშვილი) მტკივნეული იყო და სამართლიანადაც გაანაწყენა მწერალი.

დოჩანაშვილსა და ზვიადს შორის წარმოქმნილ ამ განხეთქილების ისტორიას შესანიშნავი ლიტერატურული პასაჟებით, სიღრმისეული ფსიქოლოგიური დრამითა და ინტელექტუალური სიფაქიზით აღწერს როსტომ ჩხეიძე მონოგრაფიაში „აღსარება გურამ დოჩანაშვილისა“ , მე-V-ე თავი, ჩემს მიერ ზემოხსენებული სათაურით **„საბედისწერო სქოლიო“** (გვ, 99-115).

ჩემს ვარაუდს სავსებით ამყარებს ერთი საგულისხმო ფაქტი: 80-იან წლებში ზვიადმა სახლში მომიტანა თავისი არალეგალური ჟურნალის „ოქროს საწმისის“ ორი – პირველი და მეორე ნომერი. მანამდე სტუმრობისას კი მკითხა, მქონდა თუ არა მისი არალეგალური ჟურნალები,

რაზეც მე დანანებით ვუპასუხე, რომ „არა...“ ზვიადის მიერ ნაჩუქარ „ოქროს საწმისის“ ვარიანტებში (არც 1 და არც 2) არ არის შეტანილი ვიქტორ რცხილაძის არცერთი სტატია და ბუნებრივია, არც ის **„საბედისწერო სქოლიო“.** ეს ფაქტი კი ნათლად მეტყველებს, რომ ზვიადი არ იზიარებდა რცხილაძის შეფასებას გურამ დოჩანაშვილისა და „ოქროს საწმისის“ ჟურნალიდან (გამეორებითი გამოცემიდან?...) ამოშანთა იგი. ყველა დაინტერესებულ ლიტერატორს და თვით მწერალ ბატონ გურამ დოჩანაშვილსაც შემიძლია ვუჩვენო ჩემს არქივში დაცული ზვიადის ნაჩუქარი „ოქროს საწმისის“ ხსენებული ნომრები 1975 წლისა.

განვმარტავ, რომ სულ გამოვიდა „ოქროს საწმისის“ 4 (ოთხი) ნომერი. და თუ ჟურნალის 1-შია დაბეჭდილი ვიქტორ რცხილაძის სტატია, იგი ჩემს ხელთ არსებულ ჟურნალის ვარიანტში არ არის, რის ახსნასაც ზემოთ შევეცადე. მე-3 და მე-4 ნომრები კი ჟურნალისა არ გამაჩნია.

გურამ დოჩანაშვილს, იმ **„საბედისწერო სქოლიო“-**თი გამოწვეული მრისხანება კი, ვერც ზვიადის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ გაუნელა და ვეღარც მისმა მოწამეობრივმა აღსასრულმა; მწერალი გურამ დოჩანაშვილი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის მთაწმინდაზე დაკრძალვასაც არ დაესწრო!

რაც შეეხება იმას, რომ თითქოს ზვიადი კგბ-ს აგენტობას ცილისმწამებლურად აბრალებდა მავანთ, არასწორია! ამგვარი „ალიბით“, ზვიადისეულ მხილებებში, მხილებულები, ეჭვის სინდრომს ნერგავდნენ და თავის მართლებას ამგვარად ცდილობდნენ; ცნობილია, რომ ზვიადი ეკლესიური და ღვთის მოშიში პიროვნება გახლდათ და სრულად გაცნობიერებული ჰქონდა ცილისწამების სიმძიმე.

ხუნტის მეთაურმა შევარდნაძემ კი, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, მწერალთა მთელი არმია გამოიყენა მის მიერ შექმნილი მწერალთა საერთაშორისო ირგანიზაცია „პენ-კლუბით“ (დაარსდა ინგლისში 1921წელს **Pen – “კალამი“, ანუ** მოკალმეთა (მწერალთა კლუბი). ჭაბუა ამირეჯიბის თავმჯდომარეობით ქართული პენ-კლუბის საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანებას რეკომენდაცია გაუწია რუსმა მწერალმა იოსიფ ბროდსკიმ.

1991 წელს შექმნილ მწერალთა ამ გაერთიანებას, შევარდნაძემ ჟურნალი „ქომაგიც“ დაუარსა, რაშიც ისინი მოსთქვამდნენ მწერალთა უფლებების არარსებობაზე, მათ დევნაზე ზვიად გამსახურდიას „დიქტატორული“ ხელისუფლების მხრიდან და შემოქმედებითი ფრთების შეკვეცაზე. მწერლები ანალოგიური შინაარსის განცხადებებს აგზავნიდნენ მოსკოვსა და ინგლისშიც. ამ „პენ-კლუბის“ წევრი გურამ დოჩანაშვილიც გახლდათ

და ამგვარი შინაარსის საპროტესტო განცხადებებზე მისი ხელმოწერაც ფიქსირდებოდა სხვა ცნობილ მწერლებთან ერთად:ჭაბუა ამირეჯიბი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვაჟა გიგაშვილი, არჩილ სულაკაური, ჯემალ ქარჩხაძე, ლაშა თაბუკაშვილი, გურამ გეგეშიძე, გურამ ფანჯიკიძე, კობა იმედაშვილი, რეზო ამაშუკელი, რომან მიმინოშვილი, გრიგოლ აბაშიძე, დათო მაღრაძე, მორის ფოცხიშვილი, გიგი სულაკაური, ირაკლი სამსონაძე, ნუგზარ შატაიძე, თამაზ კვაჭანტირაძე, აკაკი ვასაძე, გურამ დოჩანაშვილი, ირაკლი აბაშიძე, თენგიზ ბუაჩიძე, თამაზ წივწივაძე...

ეროვნული ხელისუფლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებით დამხობის პერიოდში შეიარაღებულმა ოპოზიციამ დაცხრილა მუხრან მაჭავარიანის თავმჯდომარეობით მოქმედი მწერალთა კავშირის შენობის ფანჯრები და „პენ-კლუბელმა“ მწერლებმა ეს ფაქტიც თვით ეროვნულ ხელისუფლებას დააბრალეს. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდგომ კი მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან გადაირჩიეს (ფაქტიურად, გადააყენეს) მუხრან მაჭავარიანი.

მწერალთა ამგვარი ცილისწამებებისა და მტრობისთვის, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისადმი, 1998 წელს ხორავას სახელობის მსახიობთა სახლთან, სადაც ქართველი მწერლები ხვდებოდნენ მოსკოვიდან და ინგლისიდან ჩამოსულ ლიტერატორებს და კულტურის მუშაკებს, ჩვენ მოვაწყვეთ პიკეტი პლაკატით: “ქართველი ერი გიცხადებთ სიძულვილს საკუთარი ქვეყნის მიმართ ჩადენილი მტრობისა და ღალატისათვის“ და სამარცხვინო ბოძზე გავაკარით ქართველი მწერლებიც, რომელთა სიაში, პირადი გადაწყვეტილებით, არ შევიყვანე გურამ დოჩანაშვილი. თუმცა, ჩემმიერი ჩამონათვალი, ისედაც არასრული იყო (რეალური სიის მრავალრიცხოვნობის გამო). „სამარცხვინო ბოძზე“ გამოკრული მწერლების სია და მამხილებელი საპროტესტო პლაკატები ჩვენ ხორავას სახლის დარბაზშიც შევიტანეთ და თვალწინ გავუშალეთ ჩამოსულ სტუმრებს. სხდომა, ფაქტიურად, ჩაიშალა. ჩვენ მილიციამ დაგვარბია და ჯარიმებიც დაგვაკისრეს. დოჩანაშვილი იმ დარბაზულ ღონისძიებაში არ მონაწილეობდა.

უფრო ადრე კი საქართველოს მწერალთა კავშირის შენობაზე გაჩნდა წითელი საღებავებით შესრულებული სინონიმური წარწერები: „საქართველოს მოძულეთა კავშირი“, რაც ერის პროტესტის ხმად რეკდა.

ბატონ გურამ დოჩანაშვილის მეუღლის ნათელა სეფიაშვილის სიძულვილი გამსახურდიებისადმი, სამწუხაროდ, ერთეული გამოვლინება არ გახლავთ, არამედ ეს სიძულვილი კვებავდა დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას მოშურნე მტრების არმიას და გაუნელებლად გადმოვიდა

ზვიად გამსახურდიაზეც, როგორც მძლავრ და უკომპრომისო პოლიტიკურ ფიგურაზე. ამ მოშურნეთა არმიას „წითელი ინტელიგენციისა“, აგრეთვე ამოძრავებდა შიში, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უზენაეს საბჭოს არ მიეღო კანონი „ლუსტრაციის შესახებ“, რაც გააცამტვერებდა მათ პოპულარობასა და ავტორიტეტს.

ეს შიშის სინდრომი, ლამისაა სიკვდილისშემდგომ დარდ-ვარამადაც ექცეს ჩვენს პოპულარულ ინტელიგენციას, თვითასოცირებით – მარადიულ ზვიადთან, რომელიც სიკვდილითაც ვერ მოკლა და ვერ მოსპო ვერვინ!

ლეილა ცომაია,
„განმათავისუფლებელი“ №51, 2016 წელი.

მნიშვნელოვანი განმარტება: *მას შემდეგ რაც ეს სტატია დავბეჭდე ჩემს გაზეთში, ორიოდე დღის შემდგომ, დილაადრიან მობილურზე დამირეკა ქალბატონმა და ბოდიში მომიხადა, იმ ქალბატონის ხმაში ქ-ნ ნათელა სეფიაშვილის ხმა შევიცანი. ვვარაუდობ, რომ ქ-ნ ნათელას მისმა მწერალმა მეუღლემ, გურამ დოჩანაშვილმა დაარეკინა.*

კომენტარი ჩემს წინამდებარე სტატიაზე სოციალურ ქსელ Facebook-ზე:

Suliko Gogrichiani იმ ავბედითი პუტჩის შემდეგ საუბარი მქონდა ბატონი ზვიადის და დოჩანაშვილის პედაგოგთან, ბორის კანდელაკთან, მან ასეთი რამ მითხრა:დოჩანაშვილი შემხვდა და მისაყვედურა ზვიადის შესახებ, რომ ცუდად გაგიზრდიაო, ძალიან გულნატკენი იყო ეს ხანდაზმული ადამიანი დოჩანაშვილზე! სამწუხაროა, მაგრამ...

მომწონს · პასუხი · 1 წთ. 2017 წ. 23 იანვარი

ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის საგანგებო განცხადება

მიმდინარე, 2015 წლის 7 მაისს ინტერნეტსაიტზე "პოლიტიკური ფორუმი" (https://politikuriforumi.wordpress.com) დაიდო სრულიად უცნობი უზენაესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატის (ლენტეხიდან) ბერდია გუგავას სკანდალური ინტერვიუ 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის დედნის ადგილსამყოფელის შესახებ, რომელიც ოფიციალურად დღემდე დაკარგულად ითვლებოდა, ხოლო არაოფიციალურად კი ერში არსებობდა იმედები, რომ დამოუკიდებლობის აქტის დედანიც, მანანა არჩვაძისათვის 1994 წელს რუსეთის კგბ მიერ გროზნოში ჩამორთმეულ სხვა მრავალ დოკუმენტებთან ერთად, მოსკოვის კგბ არქივში ინახებოდა.

ბერდია გუგავას ინტერვიუდან კი ვგებულობთ, რომ დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც მას სახლში კედელზე ეკიდა, ასლი ეგონა და დედანი კი აღმოჩნდა, ხოლო თუ ვინ გადასცა მას ეს ისტორიული აქტი, არ ახსოვს! ვიღაც უკეთურებს მისთვის აქტის სოლიდური თანხის საფასურად გაყიდვაც კი შეუთავაზებიათ (ერთი მილიონი).

საბოლოოდ, დეპუტატ ბერდია გუგავას, თავისი მოძღვრის მღვდელ კონსტანტინე გიორგაძის რჩევითა და თანხლებით, დამოუკიდებლობის აქტის დედანი 2006 წელს საქართველოს პატრიარქ ილია მეორისათვის ჩაუბარებია.

დეპუტატ გუგავას საჯარო ინტერვიუს, უმალ მოჰყვა, მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მწვავე პასუხი და რეაქცია, რომელმაც თავის მომხრეთა ჯგუფით საპატრიარქოსთან გამართა ხმაურიანი მიტინგები და მოითხოვა დამოუკიდებლობის აქტის მათთვის გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში საპატრიარქოსთან პერმანენტული საპროტესტო აქციებითა და სასამართლოთი დაიმუქრა.

ზვიად განმათავისუფლებლის პარტიას მიაჩნია, რომ აღმოჩენილ დამოუკიდებლობის აქტს უნდა ჩაუტარდეს სრული (კალიგრაფიულიც) კვალიფიციური ექსპერტიზა და დედნად აღიარება-დადასტურების შემთხვევაში, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას 1990-93 წლების ხელისუფლების სამართალმემკვიდრე ახალი ლეგიტიმური ეროვნული ხელისუფლების არჩევამდე, შესანახად გადატანილ უნდა იქნას სა-

ქართველოს სახელმწიფო (საბჭოთა ოკუპაციის) მუზეუმში მუზეუმის ხელმძღვანელ პასუხისმგებელ პირებსა და ეროვნული ხელისუფლების უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურ წარმომადგენლობას შორის შესაბამისი წერილობითი პირობებითა და ოფიციალური აქტების დადასტურებით, რაც გაშუქებულ უნდა იქნას ტელევიზიებით!

ამასთანავე, მიგვაჩნია რომ, პროკურატურამ უნდა დაიწყოს გამოძიება დამოუკიდებლობის აქტის დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალების ვითარებაში სავარაუდო მოპარვის ფაქტზეც.

2015 წლის 15 მაისი.პარტიის თავმჯდომარე
ლეილა ცომაია
პარტიის პოლიტიკური მდივანი
ალექსანდრე სანდუხაძე

გაზეთი „განმათავისუფლებელი“ №45, გვ. 7, 2015 წ.

Leila Tsomaia
2015 წლის 10 მარტი, 3 წთ. ·

ეროვნულ-პატრიოტთა, ანუ ჩვენი სამშობლო საქართველოს ჭეშმარიტ მამულიშვილთა საყურადღებოდ!

facebook-ზე შექმნილია გვერდი „სახლი ბეიკერ-სტრიტზე“, რომელსაც პროფილად უდევს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფოტო ყალბი ციტატითა და ზვიადის ყალბი ხელმოწერით. ეს მკრეხელური ფოტო-მონტაჟი ეკუთვნის კანადაში მცხოვრებ წმ.ილია მართლის საზოგადოების ყოფილ წევრს დაჩი ჩაჩანიძეს, რომელიც ფეისზე „დაჩი ქართველი“-ს ფსევდონიმითაა შემოსული, ხან კი „ირაკლი ქართველიშვილის“ სახელითაც, ხოლო ამჯერად კი, პარალელურად, შეუქმნია გვერდი სახელწოდებით „სახლი ბეიკერ-სტრიტზე“! ეს ფოტო ინტერნეტში გავრცელდა 2013 წელს, რომელიც მაშინვე გავიზიარე ჩემი კრიტიკული პოსტით და დავიწყე ძიება ამ ყალბი წარწერის ავტორისა, რაზედაც გამომეხმაურა დაჩი: ლეილა, ეს ჩემი გაკეთებული სურათია. რა არ მოგეწონათ, ან ტყვილი რა ნახეთ მანდ?!“ მე მოვთხოვე მას წაეშალა ეს ყალბწარწერიანი ფოტო, მაგრამ მან ჩემი სამართლიანი მოთხოვნა არ აღასრულა, რის გამოც ჩემი გაზეთით ვამხილე იგი (საგაზეთო წერილის ლინკს დავდებ დაბლა) და გავაუქმე მასთან ვირტუალური მეგობრობაც. დაჩი ქართველი (ჩაჩანიძე), რომელიც გვარ-სახელით, დაბადების თარიღითა და ჰაბიტუსითაც (ქვემოთ მის ფოტოსაც დავდებ) ინიღბება, როგორც სპეცსამსახურების ყველა საიდუმლო პირი, ემიგრირებულია კანადაში და დიდი ალბათობით თანამშრომლობს რუსეთის კგბ-სთან. იგი თითქმის ყოველ წელს თავისუფლად ჩამოდის საქართველოში, სავარაუდოდ, სპეცდავალებებით და კონტაქტობს რუსული ორიენტაციის პოლიტიკურ ძალებთან.

2013 წლის საპარლამენტო არჩევნებში იგი კონსულტანტად მივლენილი იყო ფსევდო-„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან, რომელმაც ჯაშუშური საქმიანობის ეჭვით, მოგვიანობით შეწყვიტა მასთან თანამშრომლობა. ამჯერად დაჩი ქართველი მჭიდროდ თანამშრომლობს ყოფილ საპრეზიდენტო კანდიდატთან და პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართული იდეა“-ს ლიდერ ლევან ჩაჩუასთან, რომელიც ტელეკომპანია „კავკასიაში“ ამ ტელეკომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან გახორციელებული პროვოკაციის შედეგად 4-წლიან პატიმრობაში იმყოფებოდა.

ეროვნულ მოძრაობასა და ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებაშიც 90-იან წლებში მრავალი კგბ აგენტი იქნა ჩანერგილი, რომელთა ღია თუ ფარული შეთქმულების შედეგია დღევანდელი საქართველო, ტოტალური კატასტროფული მდგომარეობით

დაჩი ქართველისა და მისი გვერდის „სახლი ბეიკერ-სტრიტზე“, ჩემი სამეგობრო წრიდან, ბევრი საერთო მეგობარი აღმოვაჩინე... ფრთხილად, მეგობრებო!!!



Leila Tsomaia პასუხი დაჩი ქართველისადმი იხ. გაზ. „განმათავისუფლებელი„ N35, გვ. 19, 2013 წლის აპრილიhttps://iberiana2.files.wordpress.com/2013/03/n35.pdf

5 წთ. · მომწონს · 1

2014 წლის 27-28 ივნისი

Leila Tsomaia

1991 წლის 31 მარტის საერთო საყოველთაო რეფერენდუმით დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ეროვნულმა მთავრობამ საფუძველი დაუდო და უზრუნველყო 27 ივნისის საქართველოს სახელმწიფოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას; 31 მარტს, სრულიად საქართველოს მოსახლეობამ რეფერენდუმით ამცნო რა მსოფლიოს თავისი ნება უარი უთხრას რუსეთს სსრკ-ს შემადგენლობაში დარჩენაზე და იქცეს დამოუკიდებელ თავისუფალ სახელმწიფოდ. ზვიად გამსახურდიამ თავის საარჩევნო საპრეზიდენტო პროგრამაში კი ჩაწერა: “ სამომავლო ისტორიული მისია, რომელიც უნდა იტვირთოს დამოუკიდებელმა საქართველომ, შეიძლება იყოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზოგადსაკაცობრიო ინტეგრაციული პროცესებისათვის ხელის შეწყობა და რეგიონში სტაბილური ვითარების უზრუნველყოფა. საქართველომ უნდა განახორციელოს სინთეზი ამ ორი სამყაროსი”. აგრეთვე – “საქართველო უნდა გახდეს გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი და მათ საქმიანობაში შეასრულოს აქტიური როლი”. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ლიდერობით ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად გახლდათ ევროპული ორიენტაციის, რისი ოფიციალური გაფორმება მოხდა 2014 წლის 27 ივნისს. ვულოცავ პროგრესულ ქართულ საზოგადოებრიობას ამ უმნიშვნელოვანეს დღეს! ჩვენ ძირძველი ევროპელები ვართ და დღევანდელი დღიდან მხოლოდ ვბრუნდებით საკუთარ ისტორიულ წიაღში!

Sigmund Wohltaeter ეჰ,ვიღას ახსოვს ეროვნული მოძრაობა,ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა....
2 სთ. · Edited · მომწონს · 3

Eka Kiknadze ორივე ნაგავი
1 სთ · მომწონს

Leila Tsomaia კიკნაძე, داازუსტე, ვინ არის "ორივე ნაგავი".
1 სთ · მომწონს

Leila Tsomaia კიკნაძე, ველოდები შენს კონკრეტიკას!
58 წთ. · მომწონს

Leila Tsomaia კიკნაძე, მესამედ გიმეორებ ვის გულსხმობ "ორივე ნაგავში", რომელიც შენ داააკომენტე ზვიადისა და მერაბის სახელების ქვეშ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამხელ!
42 წთ. · მომწონს

Sigmund Wohltaeter ვინ ოხრობაა ეს კიკნაძე?
41 წთ. · მომწონს

Sigmund Wohltaeter ასეთი არსებები გამოჰყავთ სანაგვეებიდან აღებული ნაგავის მოლეკულებისა და ვირუსებისაგან და მიტომ ყარს ასე დღევანდელი ჩვენი "საზოგადოება"....
31 წთ. · Edited · მომწონს

Nino Chxartishvili საქართველოს ევროპისკენ სწრაფვა ეროვნული მოძრაობიდან დაიწყო, ყველაფერს ამას რასაც გუშინ ზეიმობდნენ საქართველოში ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ ჩაუყარა საფუძველი.
23 წთ. · აღარ მომწონს · 1

Leila Tsomaia Eka Kiknadze – გიორგი თევზაძევ, შენ 80-იან წლებიდან ეროვნულ მოძრაობაში ჩანერგილო კომკავშირელო აქტივისტო კგბ-ს აგენტო, ზვიადისა და მერაბის გულმოწყალე მეურვეობით წმ.ილია მართლის საზოგადოების წევრიც რომ გახდი და მადლიერების ნაცვლად ძირს უთხრიდი მათ და არ ინდობდი, დღესაც არ იშლი მორიელობას? ქალის სახელსა და "ადამიანის უფლებათა დამცველის" ნიღაბს ამოფარებულო არაკაცო, გაისუსე, არა?! შედით ამ გაურკვეველი წარმოშობის " Eka Kiknadze" -ს პროფილში და თავად დარწმუნდებით,რომ იგი თავად ნაგავი გიორგი თევზაძეა, რომელსაც ეს ნიკი თავისი თავის საპროპაგანდოდ აქვს მიწეპებული!
დაახლოებითერთიწუთისწინ · მომწონს

Leila Tsomaia ქვაბავაზაკი გიორგი თევზაძე, რომელიც აშკარად გამწარებულია გუშინდელი დღით ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ოფიციალური გაფორმებით...

რამდენიმეწამისწინ · მომწონს

Leila Tsomaia

2014 წლის 28 ივნისი, წუთისწინ

ჩემს პოსტზე ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ე.წ. და ფსევდო-უფლებადამცველმა გიორგი თევზაძემ, ზვიად გამსახუდიასა და მერაბ კოსტავას უწოდა „ნაგავი“ Eka Kiknadze-ს ნიკით. გიორგი თევზაძეს, ამ ქალის სახელს ამოფარებული ნიკით, შექმნილი აქვს პროფილი, რომლითაც იგი საკუთარი სახელისა და საქმიანობის მოწონების თაღლითურ პროპაგანდასა და თვითრეკლამას ეწევა. წითელი კომკავშირელი აქტივისტი გიორგი თევზაძე, ეროვნული მოძრაობის გააქტიურების გარიჟრაჟზე, კგბ ოპერატიულად შემოაგდო ეროვნულ მოძრაობაში. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გულმოწყალებით თევზაძე გახდა წმ.ილია მართლის საზოგადოების წევრი და მათ, არც პირადი პრობლემების საკითხშიც მოუკლიათ მისთვის მზრუნველობა, მაგრამ გარეწარი გიორგი თევზაძე არასოდეს ერთგულებდა ზვიადსა და მერაბს და როგორც გამოჩნდა, არც დღესაც იშლის მორიელობას ზვიადისა და მერაბის მიმართ. ეს ცრუ და გაიძვერა „უფლებადამცველი“ აშკარად გაღიზიანებულ-გამწარებულია გუშინდელი ისტორიული დღით – ევროპასთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ოფიციალური გაფორმებით, რომელსაც დასტურ სათავე დაუდო ანტისაოკუპაციო და ანტირუსულ-იმპერიალისტურმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ლიდერობით. არ გამოვრიცხავ, რომ „უფლებადამცველი“ გიორგი თევზაძის ორგანიზაცია, სწორედ, რუსეთის რომელიმე სპეცსამსახურიდან ფინანსდებოდეს და მისი გუშინდელი დღით გამწარება ფინანსების შემცირებისა ან სულაც შეწყვეტის საშიროებით იყოს განპირობებული. Eka Kiknadze-ს ნიკს ამოფარებულო გაიძვერა გიორგი თევზაძევ, წადი ახლა და მიჩივლე სასამართლოში, იქ საბოლოოდ დამასამარებელი სიურპრიზი გელოდება ჩემგან!

ეკლესიის პრობლემები

ვაგრძელებთ წერას ისეთ საჩოთირო საკითხებზე, როგორიცაა ეკლესიის პრობლემები, ვინაიდან მიჩუმათებითა და მოიმედოობით, რომ მღვდელმთავართა სათნოებით ეკლესიაში დაიწყებოდა თვითგანწმენდის ნებელობითი პროცესი. ამის ნაცვლად, ამბიონებიდან გვესმის მხოლოდღა გულისწყრომის ხმა, რომ ებრძვიან ეკლესიას. თუმცა, არც უამისობაა; ე. წ. თავისუფლების ინსტიტუტი, გარეშე თუ შინაური მტერი, მართლაც ებრძვის და ესხმის ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, რათა მოგვიშალონ სულიერი, ზნეობრივი და სახელწიფოებრივი ბალავარი. ჩვენ კატეგორიულად ვემიჯნებით და ვგმობთ „თავისუფლების ინსტიტუტელთა“ (თეა თუთბერიძე – ლევან რამიშვილი) თავხედურ-მკრეხულურ ინტერნეტ – მანიპულაციებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის წინააღმდეგ, გახორციელებულს მიმდინარე 2009 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში, რაც ცუდად დაემთხვა, ოქტომბრის დასაწყისში უკვე გამოსულ ჩვენი გაზეთის პუბლიკაციებს (იხ. გაზ. „განმათავისუფლებელი“. №22, გვ. 7). აღნიშნული ფაქტი, სრულიად შესაძლებელი იყო აღგვექვა ჩვენს მიერ წამოწეული პრობლემის გადაფარვის თუ გატრიზავების მცდელობად, რომ არა ამ ანტიმართლმადიდებლურ-ანტიეკლესიური ტანდემის (თუთბერიძე- რამიშვილი) საზოგადო ცნობადობა. იყო თუ არა ჩვენთა დიდ მამათა (ერისკაცთა) საზრუნავი და საფიქრალი ეკლესია და სამღვდელოება, უადრეს ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავასი, ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ ციტატას ილ. ჭავჭავაძის „აჩრდილიდან“: ***„აგერა მღვდელნიც — ერთა მამანი — რომელთ ქრისტესგან ვალად სდებიათ ამა ერისა სულის აღზრდანი, რა-რიგ გულ- ხელი დაუკრებიათ! სად არის სიტყვა დიდის სწავლისა, სიყვარულის და სამართალისა, რომ მათ ბაგეთგან არ მომდინარებს და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?“***

ახლა აკაკი წერეთელსაც მოვუსმინოთ, რომელიც ასე მოუხიბლავს მის თანამედროვე არხი-დიაკონს ჯანელიძეს: „იმ დროში მისთანა არხი-დიაკონი საქართველოში არსად მოიპოებოდა: მისი ბრძმედში გატარებული მგმინავი ხმა და მწარ-ტკბილი კილო სახარების კითხვის დროს ყველას ერთნაირად ჰხიბლავდა... ერთხელ კიდევ დავესწარი ფეხთაბანას, მაგრამ ყოლიფერი მესხვაფერა, გალობა მეუცხოვა: ყურს ესმოდა, მაგრამ გულამდი კი ვერ ხვდებოდა. სახარების მკითხველი უცხ-

ოგვარად ბობღინობდა და კილოც სხვაგვარი ჰქონდა. მიმოვიხედე და რა შევნიშნე? ხალხი, თითქოს, იძულებული გრძნობით იყო გატაცებული და არა სასოებით გამსჭვალული... გლეხობაში დღეს ბევრი მოიპოება, რომ ცოლთან ჯვარდაუწერლად, იძულებითა ცხოვრობდეს, რადგანაც ვერ უყიდია საიდუმლო და ვერ შეუჯერებია მოძღვრის გული. ჭირისუფლები იმოდენად თავის მკვდრებს არა სტირიან, რამდენადაც ვალში და ვახჩში ჩავარდნით ოჯახის დაქცევას, რადგანაც მკვდრის დამარხვისა და წესის აგების უფლება მამასისხლად უნდა იყიდოს. წინანდელი სამღვდელოება, მისი ხარისხის საკადრისად და შესაფერად იყო მომზადებული და რაღა თქმა უნდა, რომ კეთილი გავლენაც ექნებოდა ხალხზე“.

ჩვენში საზოგადოდ გავრცელებულია აზრი, რომ, თითქოსდა საერო პირს, არა აქვს უფლება ამხილოს საეკლესიო პირი. აი, როგორია მართლმადიდებელი მოძღვრის გიორგი მსხილაძის პასუხი ამ საკითხზე: „სჯულისკანონში“ ნათქვამია, რომ სასულიერო პირზე მხოლოდ სარწმუნოებრივ საკითხებში ბრალდება არ მიიღება ერეტიკოსისაგან, რადგან იგულისხმება, რომ მწვალებელმა თვითონ არ იცის რწმენის საკითხები სწორად და როგორ გაარჩევს ამაში, ვინ ცდება და ვინ არა (ასევე, ერეტიკოსები ეკლესიაში არევ- დარევის შეტანისა და მისი ლაფში ამოსვრის მიზნით ხშირად მიმართავდნენ ცილისწამებას!)... ჩვენში, ძირითადად უზნეო და ურწმუნო სასულიერო პირთაგან მიზანდასახულადაა გავრცელებული ცრუ აზრი, რომ სამღვდელო პირთა მხილება, არათუ სარწმუნოებრივ, არამედ ხორციელ საქმეშიც კი არ შეიძლება. ამით ისინი საკუთარი უწმინდური კვალის დაფარვას ცდილობენ... წმინდა მამებმა კი ეს საკითხი, ბუნებრივია განიხილეს და საეკლესიო სამართლის ძირითად კოდექსში შეიტანეს, კიდეც (“თავი IX: ეპისკოპოსთა და სხვა სასულიერო პირთა ცოდვებისა და მსჯავრის შესახებ...“, ქვეთავი 33: სამღვდელო დასის წარმომადგენელთა ცოდვა, თუ იცის ვინმემ და არ განაცხადოს“) და პასუხიც იქვე მიუთითეს, კერძოდ, წმ. ბასილი დიდის 71-ე კანონი: „ვინც მოწმე იყოს ყველა ზემოჩამოთვლილი ცოდვისა და თვითონ კი არ აღიაროს, არამედ სხვამ ამხილოს, რომ იცის ცოდვის შესახებ, – იმდენ ხანს იყოს დასჯილი ისიც, რამდენ ხანსაც განკანონებულ იქნება თვითონ ცოდვის ჩამდენი“ (“დიდი სჯულის კანონი“, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1975 წ. ძველქართულად. ახალქართულად – „საქართველოს ეკლესიის კალენდარი“, 1987 წ.).

ქვემოთ ვბეჭდავთ სამღვდელო და საეკლესიო პირთა КГБ აგენტობის დამადასტურებელ იმ კართოტეკებს, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა 1992 წელს გამომავალ არალეგალურ გაზეთ „ქართულ აზრში“. მათგან

ჩვენ შეგნებულად შევიკავეთ თავი უმაღლესი საეკლესიო იერარქიული პირების კართოტეკების გამოქვეყნებაზე. **ყალბი ავტორიტეტების შექმნა, არც ღვთის სათნო საქმეა და არც ერის. ერსა და ღმერთსაც ჭეშმარიტი მღვდელმთავრები და საეკლესიო მსახურები სჭირდება.**

ლეილა ცომაია

გაზ. „განმათავისუფლებელი“ №23, 2009 წ.



	Псевдоним "ДАВИД"
1. Фам. ЛАПЕРАШВИЛИ	№ 16226 №
2. Имя АРЧИЛ	(лич дела) (архива)
3. Отч. ГЕОРГИЕВИЧ	Категория АГЕНТ
4. Год рожд. 1940 5. Место рожд	Когда завербовали 01.12.1961
село ? Каспского р-на	
	Кем завербовали Татишвили
6. Адресс г. Тбилиси	" 5 " отдел " 3 " отделение
ул Какабети 5-а	орган КГБ ГССР
7. Место работы и долж. Свяще-	Оформить личное дело и
нослужитель "св.Давида"	взять на учет
8. Партийность Б/П	зам Нач 5 отдела КГБ ГССР
9. Нац грузин 10.Гражд СССР	подпись
11. Образование среднее	фамилия Кварцхава



	Псевдоним "ГИВИ"
1. Фам. ЧКАДУА	№ 13848 №
2. Имя ГРИГОРИ	(лич дела) (архива)
3. Отч. ИВАНОВИЧ	Категория АГЕНТ
4 Год рожд. 1926 5. Место рожд	Когда завербовали 20.7.1972
г Тбилиси	
	Кем завербовали Алексишвили
6. Адресс г Тбилиси	" 5 " отдел " 3 " отделение
Абастуманская 8 кв 57	орган КГБ
7. Место работы и должность	Оформить личное дело и
Сионская церковь Д'якон	взять на учет
8. Партийность Б/П	И.О Нач отдела КГБ ГССР
9. Нац грузин 10.Гражд СССР	подпись
11. Образование высшее	фамилия Титбинидзе



	Псевдоним "КАХЕЛИ
1. Фам. ШИОШВИЛИ	№ 18311 №
2. Имя ШОТА	(лич дела) (архива)
3. Отч. ГЕОРГИЕВИЧ	Категория АГЕНТ
4. Год рожд. 1928 5. Место рожд Тбилиси	Когда завербовали 2 1984
	Кем завербовали ЕРКВАНИЯ
6. Адресс Московский просп	" 5 " отдел " 3 " отделение
квар 4 кор 1 кв 124	орган КГБ ГССР
7. Место работы и должность	Оформить личное дело и
Ректор ? дух семинарии	взять на учет
8. Партийность Б/П	Нач 5 отдела КГБ ГССР
9. Нац грузин 10.Гражд СССР	подпись полковник
11. Образование в сшеф	фамилия КВАРЦХАВА



	Псевдоним "ДАНИИЛ"
1. Фам. ХАРАЗИШВИЛИ	№ 16870 №
2. Имя ГЕОРГИИ	(лич дела) (архива)
3. Отч. ВАЛИКОЕВИЧ	Категория АГЕНТ
4. Год рожд. 1958. Место рожд Цнори	Когда завербовали 11.07.1983
	Кем завербовали Татишвили
6. Адресс Тбилиси	" 5 " отдел " 3 " отделение
Сион? надзе 6	орган КГБ ГССР
7. Место работы и должность	Оформить личное дело и
священнослужипель	взять на учет
8. Партийность Б/П	за Нач 5 отдела КГБ ГССР
9. Нац грузин 10.Гражд СССР	подпись
11. Образ среднее	фамилия КВАРЦХАВА



	Псевдоним "ШИО"
1. Фам. СИРАДЗЕ	№ 14655 №
2. Имя ЗУРАБ	(лич дела) (архива)
3. Отч. ГИВИЕВИЧ	Категория АГЕНТ
4. Год рожд. 1953 5.Место рожд Цхалтубо ГССР	Когда завербовали 10.07.1980
	Кем завербовали ЕРКВАНИЯ
6. Адресс г. Тбилиси	" 5 " отдел " 3 " отделение
Кибальчича 6	орган КГБ ГССР
7. Место работы и долж. Д'якон	Оформить личное дело и
Грузинской церкви	взять на учет
8. Партийность Б/П	зам Нач 5 отдела КГБ ГССР
9. Нац грузин 10.Гражд СССР	подпись полковник
11. Образование ~~высшее~~	фамилия КВАРЦХАВА

среднее



	Псевдоним "ИВЕРИА"
1. Фам. ТОРОНДЖАДЗЕ	№ 10753 №
2. Имя ТАИСА	(лич дела) (архива)
3. Отч. АРЧИЛОВНА	Категория АГЕНТ
4. Год рожд. 1924 5. Место рожд г БАКУ	Когда завербовали 27 .08.1969
	Кем завербова Джангиращвил
6. Адресс г Тбилиси Орджони	5 о д КГБ ГССР
кидзевский р-н вакийскии пер 26	
7. Место раб и долж Преподавател	Оформить личное дело и
ьница на духовных курсах	взять на учет
8. Партийность Б/П	Нач 5 отд КГБ
9. Нац грузин 10.Гражд СССР	подпись подполковник
11. Образование высшее музык	фамилия ДВАЛИДАЗ



СОВ. СЕКРЕТНО

	Псевдоним "САПАДЗЕ"
1. Фам. МАМУЛИЯ	№ 7386 № 29355
2. Имя ГУРАМ	(лич дела) (архива)
3. Отч. САМСОНОВИЧ	Категория АГЕНТ
4. Год рожд. 1925. Место рожд	Когда завербовали 9.05.1962
г. ТБИЛИСИ	Кем завербовали ХОДЖАВА
6. Адресс г. Тбилиси	" 2 " отдел " 1с" отделение
ул. Ираклия 2, дом 13	орган КГБ ГССР
7. Место работы и должность	Оформить личное дело и
сотрудник института истории	взять на учет
этнографии и археологии	
8. Партийность член КПСС	_ Нач 2 отдела КГБ ГССР
9. Нац грузин10.Гражд СССР	подпись
11. Образование высшее	фамилия ДЖОРБЕНАДЗЕ



СОВ. СЕКРЕТНС

	Псевдоним "ОДИШАРИ"
1. Фам. ГВИНДЖИЛИЯ	№ 20749 №
2. Имя ЛЕОН	(лич дела) (архива)
3. Отч. СИЛИБИСТРОЕВИЧ	Категория АГЕНТ
4. Год рожд. 1950 5. Место рожд	Когда завербовали 1974
с. Ахали Хибула	февр ль
Хобского р-н ГССР	Кем завербовали ШАНИДЗЕ
6. Адресс г. Тбилиси	" 5 " отдел " 1 " отделечие
ул Шевченко 3	орган КГБ ГССР
7. Место работы и долж. инстит	Оформить личное дело и
ут языкознания АН ГССР	взять на учет
ст. науч.сотрудник	
8. Партийность член КПСС	_ Нач 5 отдела КГБ ГССР
9. Нац грузин 10.Гражд СССР	подпись Полковник
11. Образование высшее	КВАРБХАВА



СОВ. СЕКРЕТНО

	Псевдоним САША
1. Фам. КЛИМИАШВИЛИ	№ 11678 № 28240
2. Имя РАМАЗ	(лич дела) (архива)
3. Отч. СОПРОМОВИЧ	Категория АГЕНТ
4. Год рожд. - 5. Место рожд	Когда завербовали –
	Кем завербовали –
6. Адресс –	" 5 " отдел " " отделение
	орган КГБ
7. Место работы и должность	Оформить личное дело и
–	взять на учет
8. Партийность –	_ Нач отдела КГБ ГССР
9. Нац 10.Гражд –	
.1. Образование –	фамилия

ვრჩები მიუმხროელი და შეურიგებელი

ოცი წელი გასრულდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებისა.

1991-92 წლების დეკემბერ-იანვრისა და 1993 წელს რუსეთის მიერ გახორციელებული სამხედრო ინტერვენციის შედეგად, კოლაბორაციონალისტმა ქართველებმა, საბოლოოდ დაამსხვრიეს საქართველოს სახელმწიფოებრივი ხერხემალი და სისხლისაგან დაწრიტეს ჩვენი ეროვნული ენერგია. 1991 წლის 22 დეკემბერს დაწყებული შეიარაღებული ბრძოლა ახალფეხადგმული დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, კრემლმა, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წამებით სიკვდილით დაასრულა, ხოლო მის მოწამეობრივ აღსასრულს კი დღემდე დანაშაულებრივად ჩქმალავენ, როგორც კრემლის მესვეურები, ასევე მათი სატელიტი საქართველოს ხელისუფალნი, აგრეთვე, კანონიერი ეროვნული ხელისუფლების შეთქმული ძალები ბესარიონ გუგუშვილის ხელმძღვანელობით, რომლებმაც, მოღალატეობის სანაცვლოდ, კრემლისა და ხუნტის ხელისუფლებისაგან, ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების გარანტიები მიიღეს. ხოლო, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების შესწავლის ყოველგვარი მცდელობა, მათი მხრიდან, დემაგოგიებისა და მრისხანების საფუძველი ხდება, რათა ისტორიაში ფუნდამენტურად დაამკვიდრონ კრემლის მიერ შეთითხნილი „თვითმკვლელობის“ ერთადერთი ვერსია.

ამადაც, მე, როგორც ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის თავმჯდომარე და გაზეთ „განმათავისუფლებლის“ რედაქტორი დღესაც შეურიგებელი ვრჩები, როგორც კრემლის სატელიტი ხუნტისტური პოლიტიკური ძალებისა და წითელი ინტელიგენციის, ასევე კანონიერ ეროვნულ ხელისუფლებაში ჩანერგილი და დღემდე კანონიერი ხელისუფლების სახელით მოქმედი ძალების, როგორც სახელმწიფო დამნაშავეების მიმართ.

ამასთანავე, თანამედროვე საზოგადოებისათვის საჭიროდ ვთვლი განვმარტო, რომ „ზვიად განმათავისუფლებლის პარტია“ 1994 წელს შევქმენი, რათა ეროვნულ მოძრაობას ახალი ფორმაციით განგვეხორციელებინა უკომპრომისო პოლიტიკური ბრძოლა ხუნტისტური ხელისუფლების წინააღმდეგ და 10 წლის განმავლობაში ვეწეოდით კიდეც თავგანწირულ

ბრძოლას, მაგრამ ჩვენი მცირერიცხოვანი პარტიული ძალები არ ეყო ამ ბრძოლას მნიშვნელოვანი შედეგის მისაღწევად, რამეთუ ეროვნული მოძრაობის მრავალათასიანი კი სადღაც გაქრა, გვერდში არ დაგვიდგა. ჩვენ დაგვაპატიმრეს!

დღეს, „კანონიერი ხელისუფლებისა და ეროვნული მოძრაობის აღდგენის“ ლიდერობას, ერთმანეთს ეცილებიან გათიშული ეროვნული ძალები და ახლადაღმოცენებული რუსული ორიენტაციის პოლიტიკური ძალები. „ზვიად განმათავისუფლებლის პარტიას“ კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოქმედების დაწყების პირველ აუცილებელ ეტაპად მიაჩნია პერმანენტული საპროტესტო მიტინგების მოწყობა მთავარი სახელმწიფო დამნაშავეების – ედუარდ შევარდნაძის, თენგიზ კიტოვანისა და თენგიზ სიგუას მიმართ სამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით, ხოლო, პარალელურად, კი უნდა შევიმუშავოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთიანი სამოქმედო პროგრამა.

გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლას ეროვნული ღირსებისათვის! გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლას სამშობლოს გადასარჩენად!

ლეილა ცომაია
22.12.2011

რა დამსახურებისათვის დაჯილდოვეს მოსკოვში ზაზა დავითაია?!

2012 წლის წლის 22-30 ნოემბერს, მოსკოვში ჩატარდა ახალგაზრდა ჟურნალისტთა საერთაშორისო კონკურსი თემაზე „სამხრეთ კავკასიის მშვიდობიანი მომავალი“, სადაც საქართველოდან წარდგენილ იყო ზაზა დავითაია. ამ არასამთავრობო ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ საეჭვო წარმომავლობის ქართველი, მოსკოვში მცხოვრები კოლაბორაციონალისტი ვლადიმერ ხომერიკი. ეროვნული მოძრაობის გაზეთი „განმათავისუფლებელი“ დაინტერესდა, თუ რომელი საგაზეთო მასალების (ან, თუნდაც ერთი მასალის) გამო და რომელი ორგანიზაციიდან წარადგინეს ზაზა დავითაია მოსკოვურ კონკურსზე, რომელიც სრული ერთი კვირა მიმდინარეობდა და შესაბამისი კითხვებიც დავუსვით გამარჯვებულ კონკურსანტს.

უნდა ითქვას, რომ დავითაია იმთავითვე შეაცბუნა ჩვენმა დაინტერესებამ მის „გასაიდულოვებულ“ მოსკოვურ ვოიაჟზე და ტელეფონში აგვიხირდა: რა სულელურ შეკითხვებს სვამთო და ამ იარლიყით ყველა შეკითხვიდან დაიძვრინა თავი. მაშინ ჩვენ შევეცადეთ, ნორმალური შეკითხვიდან მისთვის ფრიად უხერხულ შეკითხვაზე გადავსულიყავით, რათა ამ მკვახე შეკითხვით

მაინც მიგვეღო მისგან რაიმე პასუხი, მითუმეტეს, როცა კონკურსის სახელწოდებიდან გამომდინარე, ასეთ კითხვასაც ჰქონდა არსებობის უფლება!

კითხვა: – ამგვარ ე. წ. საერთაშორისო კონკურსებზე, უმეტეს შემთხვევაში მოწვევას იღებენ ხოლმე შერეული ოჯახის შვილები, ან გვარგადაკეთებული პერსონები. თუ მავანთა ნათქვამს ვირწმუნებთ, შენი ნამდვილი გვარია დავთიანი. ხომ არ ამართლებს შენი მოსკოვურ კონკურსზე წარდგენა ამ ხმებს?

ჩვენს აშკარად მწვავე კითხვას, დავითაიას მხრიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, უშვერი გინების კორიანტელი მოჰყვა. კითხვა, რომელიც, ვიწრო წრეში გავრცელებულ ხმებს ეფუძნებოდა, ცხადია არ დაისმებოდა, დავითაიას რომ შეძლებოდა პირუთვნელი პასუხის გაცემა ჩვენს მიერ თავდაპირველად დასმულ სრულიად ლეგიტიმურ კითხვებზე.

დიახ, ჩვენს არც ერთ შეკითხვაზე, მოსკოვის „საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებულ“ დავითაიას, პასუხი არ აღმოაჩნდა!

თუ ყურადღებას კონკურსანტთა ასაკის ცენზზეც (Молодежный) მივაპყრობთ, 44 წელს გადაცილებულ ზაზა დავითაიას (დაბადებულია 1968 წლის 10 ოქტომბერს, მოსკოვში), არც ამ მხრივ ჰქონდა შანსი კონკურსზე მოხვედრისა.

ამდენად, ჩვენთვის ბნელი და ერთობ გაურკვეველი დარჩა, თუ რა დამსახურებისათვის დააჯილდოვეს მოსკოვში ზაზა დავითაია! ასევე უცნობი დარჩა, თუ რამდენ მანეთში გამოიხატა მისი ფულადი დაჯილდოება! ერთობ საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ ზაზა დავითაიამ, არცერთი ფოტო მასალა და ინფორმაცია არ დადო თავის Facebook-ის გვერდზე ჩატარებული კონკურსის შესახებ.

ჩვენს მიერ ქვემოთ გამოქვეყნებული ფოტო-მასალები, სხვისი გვერდიდან მოვიპოვებთ, რომელსაც ვერ ვასახელებთ, ვინძლო, ჩვენსავით მასაც არ განურისხდეს მოსკოვის კონკურსის „ლაურეატი“ ზაზა დავითაია.

ბოლოკუდა: ზაზა დავითაია, ეროვნულ მოძრაობაში შემოვიდა ახალგაზრდა პატრიოტთა ჯგუფით, სახელწოდებით – „ძველი სახლი“, შემდგომ იგი თენგიზ კიკაჩეიშვილისა და ვახტანგ ცაგარეიშვილის მრგვალი მაგიდის „ილია მართლის საზოგადოების“ წევრი გახდა, საიდანაც გარიცხულ იქნა. ამის შემდგომ , ზაზა დავითაიამ, მამა ბასილ მკალავიშვილის ეკლესიას მიაშურა , მაგრამ მან იქაც ვერ უღალატა თავის ზნეს და მამა ბასილ მკალავიშვილმა იგი ანათემაზე გადაცემით განკვეთა მრევლიდან.

1997 წელს, ზაზა დავითაიამ, საქართველოში დაბრუნებულ მანანა არჩვაძისეულ „მრგვალ მაგიდას“ მიაშურა. ეროვნულ მოძრაობაში ჩანერგილი ზაზა დავითაიას ფუნქცია იყო თანამებრძოლების ურთიერთ წაკიდება, დასმენა, ჭორების გავრცელება, ორგანიზაციაში დაპირისპირებისა და განხეთქილების წარმოქმნა. მანანა არჩვაძემ, ამგვარი დესტრუქციული ქმედებებისათვის იგი „მრგვალი მაგიდიდან“ გარიცხა და ყბებიც დაუნგრიეს. ზ. დავითაია არაერთხელ იქნა შემჩნეული მილიციის მაღალჩინოსნებთან ფარულ თანამშრომლობაში მიტინგების მსვლელობის დროსაც. ზაზა დავითაია, ჩემი და ეთერ მგალობლიშვილის მიერ შექმნილ „ანტისაარჩევნო ბლოკშიც“ მოგვევლინა, სადაც იგი ჩვეული დესტრუქციული ქმედებებით გამოირჩეოდა.

1999 წ.25 ოქტომბერს, სახელმწიფო ტელევიზიასთან, ჩვენს მიერ ორ-

განიზებულ საპროტესტო აქციას ზაზა დავითაიაც შემოუერთდა. მილიციამ, რადგან დარბევის მუქარით ვერ დაგვშალა, ჩვენი ღირსების შემლახველ ღონისძიებას მიმართა – საღებავებით დაგვითხუპნეს სახე, სამოსი და პლაკატები. მილიციის ოპერ-მუშაკი, სანამ ქიმიურ საღებავებს შეგვასხამდა, მიშა სალაძემ და დავით კაციტაძემ, ზაზა დავითაია, ამ უსიამოვნო პროცედურას მზრუნველად გაარიდა და მოშორებით გაიყვანეს. საღებავების შესხმის შემდგომ კი ზ. დავითაია, კვლავ ქვაბავაზაკური ღიმილით შემოგვიერთდა. საღებავების შესხმის აქტს მანქანიდან უშუალოდ ხელმძღვანელობდა მთავარი მილიციელი სოსო ალავიძე.

აი, ამ ფოტოზე, ზაზა დავითაია ჩვენს შორის დგას სრულიად უვნებელი.

საეთერო დროის მოთხოვნისთვის ტელევიზიასთან პოლიციამ საღებავები შეასხა ლ.ცომაიას,კ.ბუკიას...1999.25.X.

შემდგომ, ზაზა დავითაია, ირინა სარიშვილისა და იგორ გიორგაძის პარტიაში აღმოჩნდა. რამოდენიმე თვის შემდგომ მის საცხოვრებელი ბინის სარდაფში აღმოაჩინეს საბრძოლო არსენალი და ბლომად რუსული ფული, რის გამოც სააკაშვილის ხელისუფლებამ იგი დააპატიმრა და ჯაშუშობის ბრალდებით გაასამართლა, ხოლო ივანიშვილის ხელისუფლებამ კი „პოლიტპატიმრის“ სტატუსით გაათავისუფლა. გათავისუფლებული დავითაია, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ წამყვან კორესპონდენტად და ლადო ბედუკაძის (ციხის ჯალათის) მოკავშირედ მოევლინა საზოგადოებას.

ლეილა ცომაია

გაზ. „განმათავისუფლებელი“ N№34, გვ. 14. 2013 წ.

ეკლესიის მამები მრევლს 9 აპრილის მიტინგზე წასვლას უკრძალავენ

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის წლევანდელი დღესასწაული (19(6) აპრილი) დიდმარხვის უკანასკნელ კვირეებს ითვლის. საერო ცხოვრებაშიც, მოახლოებული 9 აპრილის მიტინგის გამო იმატა დაძაბულობამ. საპატრიარქო, რომელიც დღემდე ვერ გათავისუფლებულა ხელისუფლების ზეგავლენისაგან, აქტიურად ცდილობს სააკაშვილის ხელისუფლების სასარგებლოდ გაანეიტრალოს, ან სულაც აღკვეთოს საპროტესტო გამოსვლები. ამ მიზნით, ტაძრებში მომრავლებულ მრევლს, 9 აპრილს დანიშნულ მიტინგზე წასვლას კატეგორიულად უკრძალავენ. აკრძალვის მოტივად დიდმარხვა სახელდება, რაც თავისთავად სათნო და ქველ კანონიზებულ მორჩილებას მოითხოვს ყოველი მორწმუნის მხრიდან. თუმცა, ეკლესიის წინამძღვრები და, მღვდლები, თავად, რატომღაც ივიწყებენ კანონიკურ წესებს და ამბიონებიდან, საღვთო სწავლება-ქადაგებების ნაცვლად, უმეტესწილად, მინი-მიტინგებს უტარებენ მორწმუნე მრევლს.

ასე ხდება აღდგომის ამ დიდმარხვის დღეებშიც საპატრიარქოს დავალებით.

29 მარტს, სოლოლაკის ზემო ბეთლემის ერთმა ანგლმა და ჭკუამხიარულმა მღვდელმა, რომელიც წირვა-ლოცვებს სულ მუდამ ანგლობით და სულსწრაფობით ატარებს, საკვირაო „ქადაგებაში“ (იგი მხოლოდ პოლიტიკური შინაარსის „ქადაგებებს“ ატარებს) მოურიდებლად გაამათრახა ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის საქართველოს ისტორიაში წარმოებული ბრძოლები. გააბიაბურა ქართველთა პატრიოტული და გმირული სულისკვეთებანი. დასცინა ახალი და უახლესი პერიოდის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, გაატრიზავა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და იგი „ბარაბად“ მოიხსენია, დაგმო 9 აპრილის გმირული თავგანწირვა და იქვე ცინიკური კითხვაც დასვა: „დამოუკიდებლობა... თავისუფლება... რა, დამოუკიდებლები ვაართ?! – ჯერ იყო და შევარდნაძის გადადგომას მოითხოვდნენ – „გადადექი-გადადექი! ახლა მიშასი...“

მღვდელი კირიონის (ერისკაცობაში ზურაბ ზეინკლიშვილი) მსგავსი პოლიტიზირებული „ქადაგებები“, პატრიარქის კურთხევით, ტარდება თითქმის ყველა მოქმედ ეკლესიაში. ამავე შინაარსისაა თვით პატრიარქის უკანასკნელი საკვირაო ქადაგებებიც.



მამა კირიონს, ერთი შეხედვითაც უმალ დაატყობთ, რომ მას რეკვიზიტისეულ ქართულ გვართან ატავისტური წინააღმდეგობები აქვს და სასურველია, კარგად გაერკვეს საკუთარ ეთნოგენეზისში; მიუხედავად იმისა, რომ იგი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელია, არავინ მოუთმენს ჩვენი ისტორიისა და ეროვნული ღირსების შეურაცხყოფას.

იმის გამო, რომ ეკლესიის უმრავლესი სამღვდელო პირი დაბალი სოციალური ფენის და მწირი განათლების მქონეა, ინტელიგენცია თავს არიდებს მათთან ურთიერთობას და მრევლთა შორის ისინი თითზე ჩამოსათვლელნი არიან, რაც სამღვდელოებას შესაძლებლობას უქმნის მოუზღუდველად იქადაგონ მსგავსი მკრეხელობები. მაშინ, როცა მრევლთა უმრავლესობამ ჯეროვნად არ იცის ზიარების წესი, მეტანიისა და ზეთისცხების რაობა და ა. შ. უღირსად ეზიარებიან, რითაც მძიმედ სცოდავენ. ჩვენ მორჩილად რამდენჯერმე ვთხოვეთ მამაოებს, რომ ყოველი ზიარების წინ გამოაცხადონ ზიარების წესი, რათა სრულად გამოირიცხოს უნებლიე ზიარების შემთხვევები, მაგრამ არ იქნა გათვალისწინებული. თუმცა, მრავალ ეკლესიაში, მღვდლები, ზიარებას, სწორედ ამგვარი აუცილებელი განმანათლებლური ქადაგებით იწყებენ.

რაც შეეხება სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, დიახ, სამწუხაროდ, ფაქტობრივად დავკარგეთ იგი, რაშიც ლომის წილი უდევს საპატრიარქოს, კერძოდ – კათოლიკოს-პატრიარქ ილია II, რომელიც საიდუმლო კავშირში იყო რუსეთის აგენტურულ ქართულ პოლიტიკურ ძალებთან და კანონიერ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მრავალგზისი თხოვნის მიუხედავად, შობის მარხვის დღეებში, არ მოუწოდა მათ სიმშვიდისაკენ, არამედ მიემხრო ხუნტას და 13 წლის განმავლობაში ლოცვა-კურთხევას არ აკლებდა საქართველოს მაოხრებელ ხუნტისტურ ხელისუფლებას.

სენტიმენტალური ხმები იმის შესახებ, რომ პატრიარქმა, თითქოს მოინანია ერისა და ქვეყნის წინაშე ჩადენილი ზემოხსენებული ცოდვა,

მითია, რაზეც მეტყველებს ეკლესიის უმრავლესი მამების, თუნდაც დღევანდელი მძულვარე ქადაგებები ზვიად გამსახურდიას მიმართ, რასაც, პატრიარქის ნების საპირისპიროდ, მღვდელთაგან ვერავინ გაბედავდა.

სოლოლაკის ზემო ბეთლემის მღვდელ კირიონ ზეინკლიშვილს კი, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას განქიქების კურთხევა, ამავე ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ მამა იოანე როსტიაშვილისგან ჰქონდა მიცემული, რომელიც, აგრეთვე შეუწყნარებელია ეროვნული პრეზიდენტის მიმართ.

სანამ ეკლესია არ განიწმინდება საბჭოთა რუსეთის მიერ ჩანერგილი ანაფორიანი მგლებისაგან, მანამ ღვთის მადლი არ გადმოვა, არც ერზე და არც ჩვენს ბედკრულ სამშობლოზე, თუნდაც სრულიად საქართველოს ეკლესიებმა, ვერ დაიტიოს მორწმუნე და გულითადად მლოცველი მრეველი.

ჩვენ, ამასთანავე, მთელი სისავსით ვაცნობიერებთ საპატირარქოში შექმნილ ჩასაფრებულ ვითარებასაც პატრიარქის სავარძელის შესაძლო გამოთავისუფლების შემთხვევაში, რომ კვლავ რუსეთის სასურველი პატრიარქით მოხდეს ახლის ჩანაცვლება, რისთვისაც სამზადის-თადარიგი რუსეთს, უკვე დიდი ხანია დაწყებული აქვს, რაც ერმა და ბერმაც არ უნდა დავუშვათ.

მღვდელმთავრების შურმა და გაუტანლობამ თვით იესო ქრისტეს განუმზადა გოლგოთის ჯვარი და რა გასაკვირია, დღევანდელი მღვდელმთავრების არჩევანი, ბარაბა შევარდნაძესა და ზვიადს შორის, რომ პირველთა სასარგებლოდ გადაწყვიტეს?

მღვდელი კირიონის მიერ ზვიადის ბარაბად შერაცხვამ წარმოქმნა სურვილი გამეკეთებინა რამდენიმე ამონარიდი რომელიმე სახარებიდან ქრისტეს ჯვარცმასთან დაკავშირებით. მითუმეტეს, როდესაც, ეკლესიებში, სახარების ეს თავები იჩქმალება და არასრულად იკითხება, რისი მიზეზითაც ხალხში გავრცელებულია არასწორი ცოდნა ქრისტეს ჯვარცმის მოსურნეთა რეალური ვინაობის შესახებ.

ზეპირი და მოარული ცოდნის მიხედვით, ჯვარცმისათვის ულმობ-ლობით გამეტებულ ქრისტესა და ბარაბას შორის, არჩევანი, თითქოს, ხალხმა გააკეთა.

მოდით ერთად, გულისყურით წავიკითხოთ მარკოზის სახარების მეთხუთმეტე თავის დასაწყისი:

“1. ინათა თუ არა, ბჭობა გამართეს მღვდელმთავრებმა, უხუცესებსა და მწიგნობრებთან ერთად, და მთელმა სინედრიონმა, და შეკრეს იესო, წაიყვანეს და მისცეს პილატეს”.

“3. და მღვდელმთავრები ბევრ რასმეს დებდნენ ბრალად”.

“9. ხოლო პილატემ მიუგო და უთხრა მათ: თუ გნებავთ გაგითავისუფლებთ თქვენ იუდეველთა მეფეს.

10. მაგრამ მღვდელმთავრებმა წააქეზეს ხალხი, რათა უმალ ბარაბა გაეთავისუფლებინა მათთვის.

12. ხოლო პილატემ მიუგო და კვლავ უთხრა მათ: კი მაგრამ, რა გსურთ რომ ვუყო იმას, ვისაც იუდეველთა მეფეს უწოდებთ!

13. ისინი კვლავ აყვირდნენ: ჯვარს აცვი იგი!”

ოთხივე სახარებაში, ქრისტეს ჯვარცმის წამქეზებლები და ბარაბას გამომხსნელები, მღვდელმთავრები არიან, მწიგნობრებთან ერთად. ქრისტესდროინდელ მღვდელმთავრებსა და XX-XXI საუკუნის მღვდელმთავრების მორალში, თითქმის არაფერი შეცვლილა, მაგრამ ამ მწარე რეალობამ კი არ უნდა დაგვაშოროს ეკლესიას, არამედ უფრო მეტად დაგვააახლოვოს მას, რათა უფლის სახლში მართალნი და უფლის ჭეშმარიტი მოყვარენი მრავლობდნენ.

ლეილა ცომაია
გაზ. „განმათავიუფლებელი“ N20, 2009 წ.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელით მოქმედი რენეგატები ...

ყოველკვირეულ გაზეთში „ილორი“ (333 (392) 29 სქტემბერი – 6 ოქტომბერი, 2015), მე-6 გვერდზე დაიბეჭდა ე.წ. „ქართველი ემიგრანტების წერილი“, რომლებიც იუწყებოდნენ, რომ თითქოსდა სირიაში იბრძვის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრე 3 035 გვარდიელი, რომელთა ნაწილი „2015 წლის 10 ივნისს სირიაში, დამასკოში, ღამის 3-4 საათზე, მასონური ამერიკის მიერ გაწრთვნილმა 20-მდე ტერორისტმა, კონსპირაციულ ბინაში, სადაც იმყოფებოდნენ...“ (ჩამოთვლილია გვარ-სახელები, რომლის გამეორებას აქ არ ვაპირებთ იმ უბრალო მიზეზით, რომ ყველა გვარ-სახელი, წერილის ხელმომწერებიანად არის ყალბი და მოგონილი) ცეცხლსასროლი იარაღებით დაჭრეს, მაგრამ ქართველმა მებრძოლებმა ოცივე მომხვდური გაანადგურა, ხოლო თავად დაჭრილები კი პუტინის მიერ გაგზავნილი სპეც-თვითმფრინავით გადაიყვანეს მოსკოვის ერთ-ერთ პრესტიჟულ საავადმყოფოში, სადაც სრულ რეაბილიტაციამდე უმკურნალეს, რისთვისაც ე. წ. „ზვიადისტი“ მებრძოლები დიდ მადლობას უხდიან პუტინს.

ნიშანდობლივია, რომ გაზეთი „ილორი“ სააგენტო საქინფორმის ეგიდით გამოდის, რომლის მთავარი რედაქტორი რუსოფილი ანრო ხიდირბეგიშვილია და სააგენტოს ლოგოზეც რუსეთის ფედერაციის დროშა უდევს. თავად გაზეთ „ილორს“ კი მოსკოვში მოღვაწე ალექსანდრე ჭაჭიას სეპარატისტი თანამზრახველები აფინანსებენ.

მსგავს ქვებუდან „ზვიადისტთა“ თვითლუსტრირების პროცესის აპოთეოზს წარმოადგენდა, მიმდინარე 2015 წლის 28 ოქტომბერს, პარლამენტის შენობასთან გამართული რამდენიმე ათეულკაციანი მიტინგი, რომელსაც უძღვებოდნენ გიორგი კერვალიშვილი, ბესო მიქავა, სოსო ჯაჯანიძე, გურამ მაქაცარია, ნუგზარ შავთვალაძე, დავით ჭაბუკაშვილი და სხვა რენეგატები. მათ, ჩვეული აქტივობით, მხარს უმშვენებდა ირაკლი შონიაც, რომელმაც თავის სამიტინგო სიტყვაში „კანონიერი ხელისუფლების აღდგენაც“ კი მიულოცა მომიტინგეებს; ასე ამოდ და ყალბადმეტყველი ეს ჯგუფი „ზვიადისტებისა“, შემოკრებილან, უმწიფარი გონების და სპეცსამსახურებთან მოთანამშრომლე გიორგი კერვალიშვილთან და ნებსით თუ უნებლიედ ახდენენ პროფანაციას ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მრწამსის, იდეის და თვით ეროვნული მოძრაობისაც;

მიტინგის აპოთეოზი კი გახლდათ ეთერ მგალობლიშვილის გრძელი და მჭექარე სიტყვა სირიაში მებრძოლ „ზვიადისტ გვარდიელებზე“ და მათი

მიმართვის ტექსტის წაკითხვა „ეროვნულ-განმათავისუფლებელი“ მოძრაობისადმი, რომელშიც გატარებული იყო აზრი და პათოსი, რომ ზვიადი ცოცხალია და იგი ძლევამოსილი დაბრუნდება საქართველოში, რუსეთის სატელიტი ბაშარ ალ ასადის რეჟიმის გამარჯვების შემდეგ, თავის „გმირ“ გვარდიელებთან ერთად!

იმავე მიმართვის ტექსტს ავრცელებს ინტერნეტით მოსკოვში მცხოვრები FSB აგენტი, კოლაბორაციონისტი ზაზა გაბედავა, რომელიც ირიბი მოკავშირე გახლავთ საქართველოში „ეროვნული მოძრაობის და ზვიადისტის“ წოდებით მოქმედი ზემოხსენებული კერვალიშვილის ჯგუფის.

უბედურება და მწარე ცინიზმიცაა, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს დეპუტატთა მნიშვნელოვანი ნაწილიც, დღეს უკვე, რუსეთთან ინტეგრაციის მომხრედ გვევლინება, რითაც გადაფასება ხდება ზვიადის ხელისუფლების პოლიტიკური კურსისა; თუ ზვიადის ეროვნული ხელისუფლება 1992 წლის 6 იანვარს რუსეთის იმპერიულ სამხედრო მანქანასთან უთანასწორო ბრძოლაში ფიზიკურად დამარცხდა, დღეს რენეგატ უზენაესი საბჭოს დეპუტატების სიმრავლით, უკვე ზვიადის იდეურ-პოლიტიკური მარცხიც იკვეთება, რაც კატასტროფის მომასწავებელია ქართველი ერისთვის პროგრესისა და ცივილიზაციის გზაზე; საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, სამარცხვინო რეგრესი ელის.

დღეს უფრო მკვეთრად გამოვლინდა, რომ ქართველი ერი, არც მენტალურად და არც განათლების სიღრმით იყო მზად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის და მისი აბსოლუტური უმრავლესობა, ზვიადის ქარიზმის მოხალისე თანამდევ მასას შეადგენდა...

ჩვენ გულწრფელად შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ის წარმომადგენლები და უზენაესი საბჭოს ის დეპუტატები, რომლებმაც გადაუხვიეს ზვიადის გზას, ყველანი იმთავითვე ჩანერგილები იყვნენ, მაგრამ ასევე გულწრფელად არ გვჯერა, რომ ყველა ეს კატეგორია, ასე უბრალოდ ვერ გრძნობდეს პასუხისმგებლობას ერისა და ქვეყნის წინაშე და არ რეკდეს მათში სინდისის ხმა.

რაოდენ სამწუხაროა, რომ არცთუ იშვიათად გვიწევს ამაზე წერა. „ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის 3 035 მებრძოლი“... ეს იმგვარი ყურისმომჭრელი სიცრუეა, რომ სირცხვილისგან თვალებიც კი დაგეხუჭება პატიოსან მკითხველს გაზეთი „ილორის“ თუ სხვა მსგავსი („საერთო გაზეთი“, „ასავალ-დასავალი“...) რუსული ორიენტაციის ბეჭდური მედიის კითხვისას.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას 1000 ერთგული და თავდადებული შეიარაღებული მებრძოლი რომ ჰყოლოდა, ქუთაისის მახლობლად გუბისწყალთან კი ვერ შეაჩერებდა შევარდნაძე-შაშიაშვილ-იოსელიანის ხუნტა, არამედ თბილისამდეც მოაღწევდნენ, ქვეყანაში აღადგენდნენ კონსტიტუციურ წესრიგს და საქართველო პოლიტიკურად, ეკონომიკურად და ტერიტორიულადაც, დღემდე გაცილებით უფრო დაცული, ძლიერი და მტკიცე იქნებოდა.

ILORI

E-mail: r.jalagania@mail.ru

N33 (292) 29 სექტემბერი – 6 ოქტომბერი 2015

ქართველი ემიგრანტების

ფერილი

2015 წლის 10 ივნისს სირიაში, დამასკოში ღამის 3-4 საათზე მასონური ამერიკის მიერ გაწრთვნილმა 20-მდე ტერორისტმა შეაღწია კონსპირაციულ ბინაში, სადაც იმყოფებოდნენ კონსპირაციულად მცხოვრები ირაკლი იბერი, გიორგი ჯაყელი, დავით გიგაური. დაგეგმილი იყო მათი ლიკვიდაცია და სნაიპერის მართა სავანელის ცოცხლად აყვანა. დაიჭრა ირაკლი იბერი, გიორგი ჯაყელი, დავით გიგაური, მართა სავანელი, ნაილი ხომერიკი, ლაშა გამსახურდია, ლევან ზაალიშვილი, დავით ჯანდიერი ძმები სანდრო და მიშა მარიამიძეები. ოცივე ტერორისტი ლიკვიდირებულ იქნა.

მეორე დღესვე, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ბრძანებით ჩაფრინდა თვითმფრინავი დამასკოში ექიმებთან და მედპერსონალთან ერთად. ყველა დაჭრილი გადაყვანილ იქნა მოსკოვის ერთ-ერთ პრესტიჟულ საავადმყოფოში. თითოეულ მათგანს ორი-სამი ოპერაცია გაუკეთდა. მართა სავანელს 8 ტყვია ამოუღეს, 12 დღე იყო კომაში.

5 სექტემბერს ყველა ქართველი მებრძოლი დაბრუნდა დამასკოში. საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის 3.035 მებრძოლნი დიდ მადლობას უხდიან რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, ყველა ექიმს, გაწეული შრომისათვის, თავდადებისათვის, გულისხმიერებისთვის.

სალომე მწითური
გიორგი ჩოლოყაშვილი
ავთანდილ გამყრელიძე
ლეილა ჭინჭარაული
გიორგი ციხისთავი
სულ 3.035 მებრძოლის სახელით,
სირია, დამასკო, 7 ოქტომბერი.

ჰეი თქვენ, პუტინის ქვეშევრდომნო, ქვახვრელში მძრომო თვითმარქვია ზვიადისტებო, შეწყვიტეთ ზვიადის წინააღმდეგ ბრძოლა ზვიადისავე სახელით!

თქვენ არ მოგელით საქართველო!!

ლეილა ცომაია

გაზეთი „განმათავისუფლებელი“, N47, დეკემბერი, გვ. 8, 2015 წ.

„კანონიერი ეროვნული ხელისუფლების აღდგენის კომიტეტის“ სახელით მოქმედი ეს ჯგუფი (ბესო მიქავა, გიორგი კერვალიშვილი, გიორგი თევზაძე, დავით შონია, ვახტანგ ბახტაძე, გურამ მაქაცარია და სხვ.), პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელმწიფოებრივი პოლიტიკური, დასავლური ირიენტაციისაგან, რადიკალურად განსხვავებული პლათფორმისანი არიან და რუსული სპეცსამსახურებისაგან იმართებიან. მათი უმრავლესობა, სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დროს, ღია ოპოზიციაში ედგა ზვიად გამსახურდიას და მტრობდნენ მას. ეს მოღალატე ქვაბ-ავაზაკები, დღეს, მანანა არჩვაძის „მრგვალი მაგიდის“ სახელით მოქმედებენ და პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ საქართველოს ნატოში ინტეგრაციისა და ევროპული ორიენტაციის წინააღმდეგ, რისთვისაც მათ სრული კარტ-ბლანში აქვთ მიცემული, თავიანთი ლიდერის – მანანა არჩვაძისაგან.

ბიძინა ივანიშვილმა, საქართველო, საკუთარ ბიზნეს-ობიექტად დაიგულა

ერთადერთი, რაც დამალული არ ყოფილა, პოლიტიკაში მეტეორივით შემოჭრილი ბანკირის ბიძინა ივანიშვილის მხრიდან და მის მიერვე იმთავითვე გაცხადებული იყო, ეს გახლდათ ხელისუფლებაში მოღვაწეობის პერიოდი, რომელიც მან თავდაპირველად სამწლიანი ვადით განსაზღვრა, თუმცა ისედაც არასაკმარისი დრო, მანვე, აწ უკვე სულაც ერთ წლამდე შეამცირა.

პოლიტიკა და სახელისუფლო მმართველობა, მოგეხსენებათ, საცირკო კლოუნადა არ არის, რომ ხალხი ილუზიური ეფექტებით აცხოვრო; ერთ წელიწადში მნიშვნელოვანი ბერკეტების შექმნა და ყველა სფეროში რეალური სასიკეთო ცვლილებების გახორციელება, უბრალოდ შეუძლებელია, სამ წელიწადში კი სავსებით შესაძლებლი იყო! უკანასკნელი 22 წლის განმავლობაში, შევარდნაძე-სააკაშვილის რეჟიმებით, ტოტალური უბედურების გადამტანი ხალხი, შვების მოლოდინით, სამი წლის თმენის ვალდებულებით აღიჭურვა. თუმცა ჩვენ, იმთავითვე ეჭვი შევიტანეთ და უნდობლად მოვეკიდეთ „ქართული ოცნების“ სახელწოდებით მოსულ ივანიშვილს (იხ.გაზ. №31-„ქართული ოცნება”...ვითარმედ არა რა სად(ა)მე...” №33 - „ პილატეობა პოლიტიკაში“ და სხვ.).

ვინ არის ბიძინა ივანიშვილი, ცინიკოსი, თუ უთვალავი სიმდიდრით გაყეყეჩებული პოზიორი, რომელიც შემოხტა პოლიტიკაში, რათა საკუთარი თავისთვის ამის შემძლეობაც დაემტკიცებინა?!

ბიძინა ივანიშვილს მეცნიერებაშიც შეუდგამს ფეხი და რაღაც სუბიექტურ-ორიგინალური „ჩახვდომებით“ სამეცნიერო ხარისხიც კი მოუპოვებია! ამჯერად კი, პოლიტიკიდან „სამოქალაქო სექტორის“ მიზანსცენაზე აპირებს ასვლას. ეს სფეროც, ჩვენს თანამედროვეობაში ერთობ პრესტიჟულ-პოპულარულია, მაგრამ, არა იმდენად გავლენიანი, რომ ივანიშვილმა, აწ უკვე ამ მიზანსცენიდან შესძლოს „ხელისუფლების მკაცრი კონტროლი“, როგორც თავად იქადნის ამას!

ივანიშვილს, როგორც პრემიერ-მინისტრს არავითარი სამართლებრივი ვალდებულება არა გააჩნია ხალხის წინაშე, ივანიშვილს პოლიტიკური თანამდებობიდან გადადგომის უფლება კონსტიტუციის ჩასწორებული (2013 წ.) ვარიანტით ამგვარად აქვს მინიჭებული:

საქართველოს კონსტიტუცია

მუხლი 79

[1. მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი

[7. პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტა იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას...

[მუხლი 80 (1)

1. მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი 7 დღის ვადაში პრემიერმინისტრობის კანდიდატად წამოაყენებს საპარლამენტო უმრავლესობის... მიერ წარდგენილ კანდიდატურას...

[მუხლი 81

5. ...ახალი პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის წევრთა დანიშვნა ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით (და ეს წესი ასეა განსაზღვრული: **მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი ასევე 2 დღის ვადაში – მთავრობის სხვა წევრებს...**)

როგორც ხედავთ, პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს, კონსტიტუციით არა აქვს მინიჭებული თანამდებობრივი მემკვიდრეობითობის უფლებაც, ანუ თავისი შემცვლელის დასახელების (წარდგენის) უფლება-ვალდებულებაც. მიუხედავად ამისა მის ყოველ გამოსვლაში იგი აპელირებს შემცვლელზე, რაც აჟიტირებულია ჟურნალისტების მხრიდან.

რატომ უნდა წარადგინოს ბიძინა ივანიშვილმა ახალი პრემიერის კანდიდატურა, რომელსაც პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში უეჭველად დაამტკიცებს გიორგი მარგველაშვილი და რომლის პრეზიდენტობას ისე დაბეჯითებით წინასწარმეტყველებს ივანიშვილი, თითქოს წინ, უჩვეულოდ რთული (დარეგისტრირებულია 23 კანდიდატი) არჩევნები არ ელის?! დღეს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად შეცვლილია ხალხის დამოკიდებულება „კოალიცია ქართული ოცნებისა“ და თვით ბიძინა ივანიშვილის პერსონის მიმართ, რასაც ამძიმებს მისი ფავორიტი კანდიდატის მარგველაშვილის უნიათობის ფაქტორი. ხალხი გულგატეხილი და იმედგაცრუებულია ივანიშვილისა და მისი მთავრობის მიმართ, ხალხი კატეგორიულად ვერ ეგუება „რესპუ-

ბლიკელების“ პრიმატს პარლამენტსა თუ საკრებულოებში.

სწორედ ამგვარმა მყიფე რეალ-ვითარებამ წარმოშვა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნა ცენტრალური საარჩევნო კომისიაში. იხილეთ ოფიციალური დოკუმენტი:

•

<u>მთავარი</u> <u>მედიისათვის</u> <u>პრეს</u> <u>რელიზები</u>

30 სექტემბრის სხდომის შედეგები

30 სექტემბერი 2013 წელი

30 სექტემბერს გამართულ სხდომაზე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საინიციატივო ჯგუფის მიერ სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხის ფორმულირება დააზუსტა. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა (შემადგენლობით: იაგო წიკლაური და გელა მესტიაშვილი) 25 სექტემბერს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარმოადგინა სარეფერენდუმო საკითხი „თანახმა ხართ, თუ არა, რომ საქართველოში ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები?”. აღნიშნული საკითხის ფორმულირება საინიციატივო ჯგუფმა დააზუსტა და შემდეგი სახით წარმოადგინა - „თანახმა ხართ თუ არა, რომ 2014 წელს საქართველოში ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები?”.

ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში (გაიმარჯვებს, თუ არა მარგველაშვილი) საპრეზიდენტო არჩევნებისა და ბიძინა ივანიშვილის პრემიერობიდან გადადგომის შემდგომ, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების საკითხი კიდევ უფრო გააქტიურდება, რადგან ხალხს ცალსახად არ მოსწონს არსებული პარლამენტი, რომელიც ხალხის იძულებითი არჩევანი იყო. ანალოგიური იძულების მეთოდით (ანუ, ივანიშვილის ქარიზმით), ვეჭვობ, რომ ხალხმა ახლა მარგველაშვილსაც მისცეს ხმა. ხალხი უკვე ივანიშვილითაც განხიბლულია! თუმცა, ეს სულაც არ აჩენს პერსპექტივას, რომ ხმების გადადინება დავით ბაქრაძის სასარგებლოდ მოხდება.

ივანიშვილის ყოფილი ამომრჩეველი „ნაციონალურ მოძრაობაზე“ შემომწყრალი და საბოლოოდ ზურგშექცეული ელექტორატია!

ნინო ბურჯანაძეს სტაბილური პოლიტიკური ორიენტაციისა და სტაბილური რაოდენობის მხარდამჭერები ჰყავს, მაგრამ ეს საკმარისი რაოდენობა მაინც არ არის, რაც არ უნდა დიდი ფული ჩადოს რუსეთმა თავისი ფავორიტი კანდიდატის გაპრეზიდენტებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ 27 ოქტომბრის არჩევნებში საპრეზიდენტო კანდიდატად 54 მსურველმა შეიტანა განაცხადი და მათგან მხოლოდ 23 კანდიდატი დაარეგისტრირა ცესკო-მ, ეს დღემდე უპრეცენდენტოდ მაღალი ციფრი ხმების სოლიდური რაოდენობის განბნევას გამოიწვევს და სერიოზულ საარჩევნო კრიზისს შექმნის, რაც დამატებით ფაქტორად იქცევა არჩევნების მეორე ტურის აუცილებლობისათვის. ობიექტური და სამართლიანი არჩევნების გამართვის შემთხვევაში, პირველ ტურში, მარგველაშვილის გამარჯვება ნაკლებ მოსალოდნელია. ივანიშვილის ხელისუფლება იძულებული შეიქმნება ხელი წაუცდეს შედეგების 5-10% გაყალბებაზე, რისი სახელისუფლო რესურსიც მათ, დამკვირვებელთა -რაოდენობის პირობებშიც კი ნამდვილად გააჩნიათ!

ივანიშვილმა, იმისათვის რომ გავლენა შეინარჩუნოს საქართველოს მთავრობასა და პარლამენტზე, ხელისუფლების უმაღლეს „ეშელონებში“ უნდა დატოვოს მისთვის მისაღები პრემიერი და პრეზიდენტი. საკუთარი „ჯიბის პარლამენტი“; მაღალანაზღაურებადი საპარლამენტო უმრავლესობა, როგორც ასეთი, მას უკვე ჰყავს!

ივანიშვილი ქვეტექსტებით მოსაუბრე პერსონაა; იგი პასუხობს ოპონენტებს, რომ იგი არსად არ გარბის, რომ მისი გადადგომა არ ნიშნავს წასვლას, არამედ იგი რჩება უფრო ძლიერ ხელისუფლად. ივანიშვილის გათვლით, სააკაშვილის ლეგიტიმურად ჩამოცილების და მით „ნაციონალური მოძრაობის“ დასუსტებით, იგი ხელთ იგდებს ყველა სახელისუფლო ბერკეტს საკუთარი ბიზნეს თუ კომერციული საქმიანობის შეუზღუდავად წარმართვისათვის. ივანიშვილი გეგმავს შექმნას ე.წ. თავისუფლების ინსტიტუტის ტიპის მოქნილი ორგანიზაცია. „სამოქალაქო სექტორში“ ჩაბუდება მას სჭირდება სრულ და ყოვლიმომცველ საგარანტიო ბერკეტად; ახალ სამოქალაქო სექტორს ივანიშვილი უხვად დააფინანსებს, რათა სწრაფად იქცეს იგი ყველაზე მძლავრ და კონკურენტუნარიან არასამთავრობო ორგანიზაციად.

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე, მთელი საქართველოს მასშტაბით, საჭიროა დაფიქსირდეს სრული სამოქალაქო აქტივობა, რათა ხელისუფლებას არჩევნების გაყალბების, რაც შეიძლება ნაკლები

შესაძლებლობა მიეცეს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ, ჯერ კიდევ შორს ვდგავართ დემოკრატიისაგან. უკანასკნელმა წელმა ქვეყანაში ნამდვილად გააჩინა იმის პერსპექტივა, რომ შესაძლებელი გახდეს არასასურველი პრეზიდენტისა და პარლამენტის ერთი საარჩევნო ვადით მოცილება.

ბანკირი ივანიშვილი კი ამაოდ ფიქრობს, რომ მან ყველაფერი გათვალა; საქართველო და ქართველი ერი ასე მარტივად გასათვლელი ფენომენი არ არის!

ლეილა ცომაია,
გაზ. „განმათავისუფლებელი“, №38,2013.

რატომ მოაფარა თვალს სახელოვან მამულიშვილთა მარმარილოს დაფები პირველი კლასიკური გიმნაზიის ახალმა დირექტორმა?!

თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია (დაარსდა 1830 წელს), დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დროს ომის ეპიცენტრში მოექცა, დაიწვა და თითქმის სრულად განადგურდა რუსეთის იმპერიის შეიარაღებითა და სატელიტი ხუნტისტური ძალების მიერ. ისტორიული გიმნაზიის სრულად აღდგენა და მასში სწავლის განახლება, მხოლოდ 1995 წლის 1 სექტემბერს გახდა შესაძლებელი; ეს პირველი შენობა იყო, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ უმოკლეს ვადებში (3 წელიწადში) აღადგინეს.

ნიშანდობლივია, რომ რუსეთის იმპერიის სამხედრო აგრესიას შეწირული კლასიკური გიმნაზიის ისტორიული შენობა მოსკოვის მერიამ აღადგინა და ეს იყო „კეთილი და ჰუმანური“ ჟესტი რუსეთის ემისრის ე. შევარდნაძის მიმართ... (თითქმის განადგურებული უზენაესი საბჭოს (პარლამენტის) შენობა კი უფრო მოგვიანებით აღდგა, ხოლო მხატვართა სახლის აღდგენის პროცესი მხოლოდ 23 წლის შედეგ, 2015 წელს დაიწყო და 2018 წელს დასრულდა).

კლასიკური გიმნაზიის მეორე სართულის გამჭოლი აივნის ფლიგელებში განთავსებული იყო მუზეუმი, რომლის მარცხენა კედელს ამშვენებდა ამ გიმნაზიის ყოფილი სახელოვანი მოსწავლეების გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, დავით სარაჯიშვილის, პეტრე მელიქიშვილის, კოტე მარჯანიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის, ილია წინამძღვრიშვილის, გიორგი ერისთავის (მესამე სართულზე დღესაც მოქმედებს ერისთავის სახელობის თეატრის დარბაზი მარმარილოს დაფიანი წარწერით, რომ 1850 წ. გიმნაზიის სცენაზე პირველად დაიდგა ამავე სკოლის ყოფილი მოსწავლის გიორგი ერისთავის პიესა „გაყრა“), ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის, ივანე ჯავახიშვილის, დავით სარაჯიშვილის, ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოს... ხოლო, მარჯვენა კედელს, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ასეთივე თეთრი მარმარილოს ოქროსწარწერიანი მემორიალური დაფები.

მიმდინარე, ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის, ივლის-აგვისტოს თვეში ჩატარებული კოსმეტიკური რემონტის შემდგომ, მემორიალური

დაფები კედლებიდან გაქრა და ფლიგელების რეკონსტრუქციის შედეგად იქ თანამედროვე, შემინული საექსპონანტო კვადრატული კარადები დაიდგა, ხოლო ფლიგელები ჩაირაზა შემინული ალუმინის კარებით, რითაც მოსწავლეებს სანავარდო სივრცეც შეეზღუდა და წაერთვა (იხილეთ ფოტოები).



ჩვენ, ცხადია დავინტერესდით, თუ სად და რატომ გადაიტანეს მემორიალური დაფები და სასწავლო წლის დაწყებიდან რამდენიმე დღეში დილის ცხრის ნახევარზე ვეწვიეთ კლასიკური გიმნაზიის ახალ დირექტორს, თამარ კაპანაძეს. ქალბატონმა თამარმა განგვიმარტა, რომ მემორიალური დაფები მისი კაბინეტის დერეფნის კედლებზე განათავსა და ძველ ადგილას აღარ აპირებს მათ დაბრუნებას, რამეთუ იქ სხვა სახის ისტორიული ექსპონანტები განთავსდებაო. ჩვენ, ასევე დავინტერესდით თუ ვისი გადაწყვეტილება იყო ეს, განათლების სამინისტროს თუ პირადად მისი, რაზეც მან თავდაჯერებულად განგვიცხადა, რომ თავად მან მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. რადგან ქალბატონი თამარი ჩვენმა კითხვებმა გააღიზიანა, აღარ გავაგრძელეთ მისთვის კითხვების დასმა; ცხადი იყო, იგი თვლიდა, რომ დირექტორის თანამდებობა მას, ისტორიული მემორიალების „მიყუჩებულ“ ადგილას გადატანის უფლებასაც ანიჭებდა. მიჭირს იმის დაჯერება, რომ ქალბატონმა თამარმა არ იცის მემორიალების ფუნქცია და დანიშნულება, რომ მემორიალები, სწორედ გამოჩინებულ ადგილას და საჯარო სივრცეში უნდა იყოს განთავსებული...

ახლა, ერთადერთის იმედად უნდა ვიყოთ, რომ ბიძინა ივანაშვილის „კოალიციური ოცნების“ ახალი კადრი ქალბატონი თამარ კაპანაძე, მქუხარე და ელვარე სახელებიანი მემორიალებისაგან გამოთავისუფლებულ სივრცეს, საბჭოთა პერიოდიკის ექსპონანტებით არ გადატვირთავს და სემინარების ციკლებს არ მიუძღვნის მას მოსწავლე- ახალგაზრდების ტვინების გამოსარე-

ცხად თუ ისტორიული მეხსიერების წაშლის აღძრული ჟინით.

მქონდა რა წინათგრძნობითი განცდა, რომ რომელიმე ხელისუფალი უთუოდ მოარღვევდა ამ მუზეუმს, 2013 წელს მარჯვენა ფლიგელთან (სადაც მხოლოდ ეს სამი მემორიალური დაფა იყო განთავსებული), სურათი გადავიღე, რათა ისტორიისთვის შემომენახა იგი. ვინ იცის, იქნებ, სწორედ, ამ ორ მქუხარე სახელებს (ზვიადი, მერაბი) შეეწირა სხვა სახელოვანი მამულიშვილების მარცხენა ფლიგელის მუზეუმიც, რათა შეენიღბათ დისკრიმინაციის აქტი?...

განადგურების საფრთხე ემუქრება კლასიკური გიმნაზიის ისტორიულ, უნიკალურ არქივს, რომელიც დაუდევრად ჩაყრილია გიმნაზიის სარდაფში.

ლეილა ცომაია,
გაზეთი „განმათავისუფლებელი“, 2015 წლის ოქტომბერი, №46

„კოლხურ კოშკზე“ ვანდალიზმი ხორციელდება!

ედუარდ შევარდნაძის ხუნტამ, სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებით დაამხო და საქართველოდან განდევნა რა კანონიერი ეროვნული ხელისუფლება, 1992 წლის 15 მარტს, ალიონზე გაძარცვა და გადაწვა დიდი კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას “კოლხური კოშკი” - პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საცხოვრისი, რათა კოშკის ბინადარნი აღარასოდეს დაბრუნებოდნენ მას. თუმცა, ფარისეველმა შევარდნაძემ, რამდენიმე დღის შემდეგ, აღშოთებული მასის დასაშოშმინებლად გააკეთა სიტყვიერი განცხადება გადამწვარი კოშკის აღდგენასთან დაკავშირებით, რასაც უმალ საპროტესტო წერილით უპასუხა გროზნოში დევნილმა პრეზიდენტმა.

წერილი მალევე გამოქვეყნდა არალეგალურ იატაკქვეშა გაზეთ „ქართულ აზრში“ (11, 31 მარტი, 1992 წ.) და “იბერია-სპექტრში”ც (იხ. ქვემოთ).

„თბილისი
ედუარდ შევარდნაძეს

კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის დაწვისთვის თქვენ ქართველი ერი მოგთხოვთ პასუხს, ისევე როგორც ყველაფრისათვის, რაც ჩაიდინეთ.

როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, თქვენ ფარისევლურად განაცხადეთ, რომ სახელმწიფო აღადგენს მუზეუმს. მე კატეგორიულად მოვითხოვ თქვენგან, ხელი არ მიაკაროთ შენობას, იგი უნდა იდგეს დამწვარი და გადაბუგული, როგორც თქვენი ვანდალიზმისა და ბარბაროსობის კიდევ ერთი ძეგლი, გადამწვარ თბილისთან ერთად.

ზვიად გამსახურდია
1992 წლის 19 მარტი“

იხილეთ წერილის ფაქსიმილეც, რომელიც დაცულია ქალბატონ რუსუდან კობახიძის პირად არქივში.



1992
19 აპრილი

კოლხური კოშკის გადაწვასთან დაკავშირებით, განცხადებით ჩვენც მივმართეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს (იხ.ქვემოთ).

პენ-კლუბის საერთაშორისო ორგანიზაციებს

კულტურის ძეგლთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს

მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ყველა კეთილი ნების ადამიანს

საქართველოს ფაქტობრივი მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება, ოთხი წელია ეწევა ქართველი კლასიკოსი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის, კულტურის ძეგლის - „კოლხური კოშკის“ - ვანდალურ ნგრევას;

1992 წლის 15 მარტს, რუსეთიდან წარმოგზავნისთანავე, ედუარდ შევარდნაძემ, შეუსია ვანდალთა ხროვა „კოლხურ კოშკს“, რომლებმაც გადაწვეს იგი და მოსახლეობას არ მისცეს უფლება ჩაექროთ აალებული ხანძარი. დაიწვა მწერლის უნიკალური ხელნაწერების, ბიბლიოთეკისა და ავეჯის დიდი ნაწილი.

შევარდნაძის ხელისუფლება დღემდე ახორციელებს „კოლხური კოშკის“ გადარჩენილი ნაწილისა და დამხმარე სათავსო-ნაგებობების ნგრევას. სისტემატურად ირბევა კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიასა და მისი ოჯახის საფლავებიც კი. „კოშკს“ არა ჰყავს ოფიციალური დაცვა. ქართველმა საზოგადოებამ, გაზეთებით, არაერთხელ მივმართეთ შევარდნაძეს, რათა შეეწყვიტათ „კოლხური კოშკის“ მიზანდასახული ნგრევა და დაეყენებინათ მცველი, მაგრამ - ამაოდ.

ახლახან, მწერლის დაბადების წინასაიუბილეო დღეებში დაჩიჩქნეს, აქამდე სასწაულად გადარჩენილი მწერლის მემორიალური დაფა და ბარელიეფი კოშკის გალავნის კედელზე.

გთხოვთ, ჩვენთან ერთად აღიმაღლოთ ხმა, ქართველი კლასიკოსი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას (როგორც მსოფლიო მწერლის) სახლ-მუზეუმის, კულტურის ძეგლის - „კოლხური კოშკის“ - დასაცავად და დაგვეხმაროთ, რომ მომავალ თაობებს, არსებული სახით მაინც შევუნარჩუნოთ ეს უნიკალური ნაგებობა.

სრულიად საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციის „ზვიადის პარტიის“ სახელით, პარტიის თავმჯდომარე, მწერალი ლეილა ცომაია

საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი,ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ეთერ მგალობლიშვილი

1996 წლის 30 აპრილი.

ხუნტის ვანდალიზმის პასუხად, ერში მიწყივ იშვა კეთილი ნება შექმნილიყო "კოლხური კოშკის აღდგენის ფონდი", რათა ხალხის შემოწირულობებით შესხმოდა ხორცი ამ მამულიშვილურ იდეას. ხალხის კეთილ ნებაზე თანხმობის დასტურად, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ შექმნა დოკუმენტი, რომლის თანახმად იგი „კოლხური კოშკის აღდგენას" და ფონდის თავმჯდომარეობას ანდობდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **გურამ შარაძეს,** რომლის უშუალო და თავგანწირული ქმედებით იქნა ჩაქრობილი ხანძარი და კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას კოშკისა და არქივის ნაწილის გადარჩენა

(იხილეთ დოკუმენტი, რომელიც, აგრეთვე მოგვაწოდა კოლხური კომკისა და არქივის დაცვის კომისიის მაშინდელმა წევრმა, ამჟამად - თსუ-ს ქართული ემიგრაციისა და გურამ შარაძის მუზეუმის უფროსმა სპეციალისტმა ქალბატონმა **რუსუდან კობახიძემ,** რომელსაც ჩვენთვის საჭირო ამ ორივე დოკუმენტის მოწოდებისათვის დიდ მადლობას ვუხდით).



საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
PRESIDENT OF THE REPUBLIC OF GEORGIA

Доверенность

Я, Звиад Константинович Гамсахурдиа доверяю Гураму Северьяновичу Шараудзе, 1940 года рождения, проживающего в Тбилиси, по улице Мцхетская 8 стать руководителем фонда восстановления дома-музея моего отца, писателя Константина Гамсахурдиа.

1992 г.
26 марта

Звиад Гамсахурдиа

Президент республики Грузия

29 03 92 г.

Настоящий нотариус нотариальной конторы ЧНР свидетельствует подлинность подписи Гамсахурдиа Звиада Константиновича которая сделана в моем присутствии. Личность подписавшего документ установлена. Зарегистрировано в реестре за № 3-1179 Государственная пошлина взыскана

Государственный нотариус

Georgia

Georgian Republic

Georgian Republic

Georgian Republic

წლის 26 მაისს, ვაკის „ქარიშხალას“ სტადიონზე გრანდიოზული მიტინგის ჩატარება, ზვიადის თბილისიდან გასატყუებლად, 26 მაისს, გამთენიისას, ლიძავაში დაწვეს კონსტანტინეს აგარაკი (მიუხედავად ამისა, 1990 წლის 26 მაისის მიტინგი, რა მასშტაბითაც ჩატარდა სტადიონზე, ისტორიისთვის კარგადაა ცნობილი. იხ. ერთი ფოტო-კადრი).

კონსტანტინე გამსახურდიას აგარაკი ლიძავაში

ამ ამბებიდან, ერთ კვირაში, კოლხურ კოშკთან ისროლეს ხელყუმბარა, სადაც იდგნენ ზვიად გამსახურდია და 9 ეროვნული მოძრაობის აქტივისტები, 2002 წლის 23 მარტს კი გაძარცვეს და დაარბიეს ზვიად გამსახურდიას "ოდიშური სახლი" ზუგდიდში.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვერაგული ლიკვიდაციის შემდგომ (1993 წ. 31 დეკემბერი), საქართველოში საცხოვრებლად დაბრუნებულმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ (1977 წ. აპრილი) მოინდომა რა კოლხურ კოშკში ცხოვრების გაგრძელება, პარლამენტარ გურამ შარაძის მეშვეობით, შევარდნაძის ხელისუფლების წინაშე არაერთხელ წამოჭრა საკითხი კოლხური კოშკის აღდგენის თაობაზე; აღდგენითი სამუშაოები, თითქოს დაიწყო-კიდეც ბიზნესმენების - ელგუჯა ბუბუტეიშვილის, გოგი თოფაძისა და სხვათა ფინანსური მხარდაჭერით, რაც პერიოდული შეფერხებებით მიმდინარეობდა და საბოლოოდ, ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად შეჩერდა. თუმცა, გადაუხურავი და ფარღალალა კედლების პირობებში კოლხურ კოშკში ცხოვრებას მაინც განაგრძობდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი ვაჟი, ამჟამად პოლიტპატიმრობაში მყოფი ცოტნე გამსახურდია (დაპატიმრების თარიღი 2009 წლის 28 ოქტომბერი).

2010 წლიდან, კოლხური კოშკის აღდგენის სამუშაოები განახლდა მმართველი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატის დილარ ხაბულიანის ფარული ლობირებით, რომელმაც აღადგინა მეგობრული კავშირ-ურთიერთობა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ქვრივთან მანანა არჩვაძესთან. დილარ ხაბულიანი, რომელიც გახლდათ ზვიად გამსახურდიას შინაგან საქმეთა მინისტრი, არ გამოირჩეოდა პრეზიდენტის ერთგულებით, არამედ ღალატობდა მას. კოლხური კოშკის აღდგენითი სამუშაოები კი, რომელიც მისი ფარული ლობირებით მიმდინარეობდა, ფინანსური პრობლემის გამო ამჟამად კვლავ შეწყვეტილია, თუმცა, რაც გაკეთდა, ვერაფრით ვუწოდებთ მას "კოლხური კოშკის აღდგენას", არამედ, სრულიად საპირისპიროს — "კოლხური კოშკის" აღგვას , ანუ მისი პირვანდელი, ისტორიული სახის სრულად წაშლას (იხ. კონსტანტინე გამსახურდიასეული კოლხური კოშკის ფოტო).

ამჟამად, თითქმის, სრულად მონგრეულია "კოლხური კოშკის " ეზოს ქონგურებიანი გალავანი, ხოლო რკინის კარიბჭის აგურის კედლიდან ჩამოხსნილია კონსტანტინეს თეთრი მარმარილოს მემორიალი (იხილეთ ქვემოთა სურათზე).

ცემენტის ბეტონით დატერასებულია ეზოს უკანა ნაწილის კლდოვანი ზღუდე, დაშენებულ, სრულიად ახალ მესამე სართულსა და თაღოვან ფართებში სრულიად ჩაკარგულ-გამქრალია ისტორიული კოშკურა ნაგებობა, გადაადგილებულია სახლის ცენტრალური შესასვლელის მდებარეობა (გადატანილია უკან), მთლიანად შეცვლილია ფასადები და ინტერიერი (იხილეთ ფოტოები).

ჩვენ, ტელეფონით, ვერც პარლამენტიდან, ვერც მერიიდან და ვერც კულტურის სამინისტროდან მოვიპოვეთ ინფორმაციები იმის შესახებ, თუ ვინ ახორციელებდა ე.წ. აღდგენით სამუშაოებს, რამდენი იყო სახელმწიფოს წილი და რამდენი - ბიზნესმენების (კონკრეტული ბიზნესმენების დასახელებით), რამდენია დახარჯული გაწეულ სამუშაოებში და რაც მთავარია, ვინ არის ამგვარი მკრეხელური რეკონსტრუქციის პროექტის ავტორი.

ის, რაც „კოლხური კოშკის აღდგენის“ საბაბით გახორციელდა, სინამდვილეში წარმოადგენს ვანდალიზმს და ამაზე აუცილებლად აგებენ პასუხს ის პირები, რომლებიც ამგვარი შეუკავებელი ცინიზმითა და სიხარბით შეეცადნენ ისტორიული კოლხური კოშკის აღგვას და მის ნაცვლად, სრულიად თანამედროვე, ახალი „ვილის“ აშენებას, რის ერთადერთ მესაკუთრადაც თავს აცხადებს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ქვრივი მანანა არჩვაძე და დაუსრულებელი ქონებრივი სასამართლო დავა აქვს თავის უფროს ვაჟიშვილ ცოტნე გამსახურდიასთან.

ლეილა ცომაია

გაზეთი „განმათავისუფლებელი“, 2012 წლის მაისი, №32.

დრო, კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, კოლხური კოშკიდან მთაწმინდაზე გადავასვენოთ! (15 მაისი კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების დღა!)

„მე დავიბადე მსოფლიოს უმცირეს და უმოკლეს მდინარის პირას. მას ჰქვია სახელად ზანა.

მე მომიხდა რამდენიმე უნივერსიტეტში სწავლა ლენინგრადში, კენიგსბერგში, ლაიპციგში, მიუნხენში, პარიზში, ბოლოს ბერლინში. ყველგან და ყოველთვის მე მიხდებოდა გაჯიბრება გერმანელებთან, ებრაელებთან, პოლონელებთან, ამერიკელებთან და ფრანგებთან.

არავის ვუმხელდი, მაგრამ ჩემს თავს ვეუბნებოდი:

„შენ ჰეი, მსოფლიოს უმცირეს მდინარის პირად შობილო ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირად დაბადებულთა“.

კონსტანტინე გამსახურდია გარდაიცვალა 1975 წლის 17 ივლისს. ცნობილია, რომ კონსტანტინეს ნაწარმოებების მიმართ განსაკუთრებულად მკაცრი იყო მაშინდელი ცენზურა; მისი რომანებიდან და მოთხრობებიდან, დამკვიდრებული პრაქტიკით, ცენზორები, ავტორთან შეუთანხმებლად ჭრიდნენ მაშინდელი იდეოლოგიისთვის მიუღებელ პასაჟებს და ხშირად საერთოდ კრძალავდნენ მისი ნაწარმოებების დაბეჭდვას, რის გამოც სვეგამწარებული მწერალი ცენზორებს, ზვიადის თქმით „ქორმეძებრებიანებს“ ეძახდა.

მწერლის სოცოცხლის უკანასკნელ წლებში ცენზურამ აკრძალა მისი „ლანდებთან ლაციცი“, „თამარი“, რომლის დამთავრება მწერალმა ვერც შეძლო, რასთან დაკავშირებითაც მისი დიდი შვილი ზვიად გამსახურდია იხსენებს:“სიცოცხლეს უმწარებდნენ მას ყოველ სტრიქონზე, ყოველ სიტყვაზე, რაც მძიმედ მოქმედებდა მის ჯანმრთელობაზე. ბოლოს იგი შავნაღვლიანობამ შეიპყრო და მძიმედ დაავადდა კიდეც“, რაც მწერლის გარდაცვალებით დასრულდა.

კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფი ბატონი სოსო სიგუა მწერლის დაკრძალვას მის მიერ გამოცემულ წიგნში ამგვარად აღწერს: „ივლისის მცხუნვარე მზე სწვავდა თბილისს. ბევრს ქალაქი დაეტოვებინა, სოფლებსა და აგარაკებს შეფარებოდნენ. არც სტუდენტები და მოსწავლეები ჩანდნენ... მაინც უამრავი ხალხი მოვიდა „კოლხურ კოშკსა“ და მწერალთა სასახლეში, რათა უკანასკნელი პატივი მიეგოთ იმ კაცისათვის, ვისი ხმა მთელი საუკუნე აფხიზლებდა საქართველოს. ჩამოდიოდნენ

რაიონებიდან, სოფლებიდან და ქალაქებიდან... დაკრძალვის დღეს დიდოსტატის თაყვანისმცემლებით დაიფარა მაჩაბლის ქუჩა... გამოსვენება გაძნელდა. ხალხმა კატაფალკაზე უარი თქვა და მაჩაბლის ქუჩიდან რუსთაველის გავლით „კოლხურ კოშკამდე“ ხელით ატარა სათაყვანო მწერლის ცხედარი... რადგან მთაწმინდაზე ადრევე უარი ეთქვა, საქართველოს დამაქცევარის ფილიპე მახარაძის გვერდით არ დავიმარხებიო...“

ერთ-ერთ ინტერვიუში გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მაშინდელი ფოტო-კორესპონდენტი ჯემალ კასრაძე კი იხსენებს: „...როდესაც კონსტანტინე მწერალთა კავშირის შენობიდან გამოასვენეს, პროცესია გალის ქუჩამდე ანუ „კოლხურ კოშკამდე“ ფეხით გაემართა (კონსტანტინე გამსახურდია, მისივე ანდერძის თანახმად, მისი სახლის ეზოშია დაკრძალული). ძალიან ბევრი ადამიანი მიაცილებდა მწერლის ცხედარს. იმდენი ხალხი, რაც მაშინ ვნახე, არავის გასვენებაზე აღარ მინახავს. რუსთაველის გამზირი ხალხით იყო გადაჭედილი... პროცესია რუსთაველის ძეგლთან შეჩერდა, ამ ჟესტით ის თავის წინამორბედს გამოემშვიდობაო“.

კონსტანტინე გამსახურდია, თავისივე სიტყვიერი ანდერძის თანახმად, კოლხური კოშკის ეზოში დაასაფლავეს; მისი კატეგორიული უარი, დაეკრძალათ მთაწმინდის პანთეონში, სრულად განპირობებული იყო ფილიპე მახარაძისადმი ზიზღით, რასაც იგი არასდროს მალავდა.

ზვიად გამსახურდიას არალეგალურ ჟურნალში „მატიანე“ №2, 1987 წ. დაბეჭდილია ლევან ასათიანის ნაამბობი ილია ჭავჭავაძის საფლავიდან ამოთხრის მცდელობის შესახებ, რასაც სათავეში ედგა ფილიპე მახარაძე, ისევე როგორც მკვლელობის გეგმას, ილია ჭავჭავაძისა.

წერილის ბოლო აბზაცში, კერძოდ, ასეა გადმოცემული კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები: „მე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვიყავი, ვარ ახლა და ვიქნები მომავალში განუზომლად პატივისმცემელი ილიასი; მისი უბრალო უპატივცემულობაც კი არავისთვის მიპატიებია და არც ვაპატიებ, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დამიჯდეს (აქვეა აღწერილი, თუ როგორ იშიშვლა სატევარი, კონსტანტინემ, მწერალთა სახლში მოცვენილი პროლეტარული მწერლების წინააღმდეგ, რომლებიც შეეცადნენ ილიას სურათის დაწვას, ხოლო შემდეგ კი, მთაწნინდაზე, ილიას საფლავის ამოთხრას – **ლ. ც.**)... ყველა ამ გარემოებას სათავეში ედგა ფილიპე მახარაძე და ამიტომაც მძულდა ყოველთვის იგი, მძულს და მეძულებაო“.

არალეგალური ჟურნალის ამ ნომრის მეთაურ წერილში ვახტანგ გურგენიძე წერს: „ისიც უნდა აღინიშნოს, თუ რა სასტიკად გაუსწორდა ფ. მახარაძე ... ყველა მათ, ვინც, განსაკუთრებით ილიას იუბილის დღეებში სთქვეს სიმართლე, ვინც არ დაინდო ილიას მთავარი მკვლე-

ლი ფ. მახარაძე (ტ. ტაბიძე, მ. ჯავახიშვილი, ქრ. რაჭველიშვილი, ვ. კოტეტიშვილი, დ. შევარდნაძე, ვ. გაფრინდაშვილი, ს. დევდარიანი და სხვა). ფ. მახარაძის ბრძანებით კონსტანტინე გამსახურდიას დაპატიმრება 1926 წელს და სოლოვკის ლაგერში გაგზავნაც, ნაწილობრივ იმავე მიზეზებით იყო გამოწვეულიო".

როგორც ცნობილია, ფილიპე მახარაძის საფლავი 1987 წელს ააფეთქა დღემდე უცნობმა პატრიოტმა, თუმცა, კომუნისტური პარტიის მაშინდელი გენერალური მდივნის **ჯუმბერ პატიაშვილის** ბრძანებით საფლავი იმავე დღეს აღადგინეს.

მახარაძის საფლავის აფეთქებასთან დაკავშირებით უშიშროებაში დაკითხვაზე დაბარებული იყო ზვიად გამსახურდიაც, რომელმაც, ცხადია უარყო საფლავის აფეთქებასთან რაიმე კავშირი, მაგრამ ვინც უნდა ყოფილიყო ამ პატრიოტული აქტის შემოქმედი, მისი ამგვარი პროტესტის კულმინაცია იდეოლოგიურად, ნამდვილად შემზადებული იყო ზვიად გამსახურდიას მიერ 1987 წელს გამოცემული, სწორედ იმ ზემოხსენებული არალეგალური ჟურნალით „მატიანე", რომელიც საკმაოდ დიდი ტირაჟით ვრცელდებოდა ხალხში, უნივერსიტეტსა და ახლობელთა წრეში კი მეც ვავრცელებდი. ეს ჟურნალი მთლიანად და სრულად ეძღვნებოდა ფილიპე მახარაძის, როგორც პირწავარდნილი მარქსისტის გამომზეურება-მხილებას ვახტანგ გურგენიძის წერილით დაწყებული, ფილიპე მახარაძის საიდუმლო დეპეშების გამოქვეყნებით;

ფილიპე მახარაძის ხელმძღვანელობით ირბეოდა, იძარცვებოდა და ფუნქცია ეცვლებოდა ქართულ ეკლესიებს, საფლავებიდან თხრიდნენ სახელოვან მამულიშვილთა ნეშტებს. ასე მაგალითად, 1939 წელს დიდუბის პანთეონიდან ამოთხარეს ქართული კონიაკის ფუძემდებლის, ეროვნული მოღვაწისა და უდიდესი მეცენანტის, ბოლშევიკ მახარაძისაგან „ბურჟუად" შერაცხული დავით სარაჯიშვილის ძვლები და ვაკის სასაფლაოს ხევში ჩაფლეს, ხოლო შემდგომ კი მიცვალებულის თითიდან მოხსნილი ოქროს ბეჭდის წყალობით თვით სასაფლაოზე დაკრძალეს. სარაჯიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე ფორაქიშვილი, ამჟამად, 1994 წლიდან განისვენებს ქვაშვეთის წმინდა გიორგის ტაძრის ეკვდერში *(წყარო — ვიკიპედია, დიაოხი).*

ჯუმბერ პატიაშვილის ამაგმა ფილიპე მახარაძის საფლავის აღდგენაზე სათანადოდ ვერ იმუშავა მაშინდელი თანამედროვე საზოგადოების აზრზე, ვინაიდან, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა თავიანთი არალეგალური ლიტერატურის მეშვეობით ენერგიულად ნერგავდნენ ისტორიულ სიმართლეს კომუნისტურ რეჟიმზე და მათ სისხლიან დიქტატ-

ურაზე. მათი ლიდერობით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აზვირთდა და კომუნისტური ხელისუფლება იძულებული გახდა 1989 წელს მახარაძე მთაწმინდიდან ხუდადოვის ბოლშევიკთა პანთეონში გადაესვენებინა.

მასთან ერთად გადაასვენეს მიხა ცხაკაიასა და სილიბისტრო თორდიას ნეშტებიც. მახარაძისა და ცხაკაიას ადგილას 2008-09 წლებში ანა კალანდაძე და ნოდარ დუმბაძე დაკრძალეს.

დღეს, თვით ზვიად გამსახურდიაც კი, მთაწმინდაზე განისვენებს. ამ ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, აწ უკვე სრულიად მართლზომიერია, რომ დიდ კლასიკოს მწერალ კონსტანტინე გამსახურდიასაც ებოძოს თავისი კუთვნილი ადგილი მთაწმინდაზე საკუთარი ძის – დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის გვერდით!

მივმართავ ჩვენს სახელოვან ქართველ მწერლებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს და სტუდენტებს, მეცნიერებს, ლიტერატურულ მკვლევარებს, საზოგადო მოღვაწეებს გულისხმაყონ ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი და სათანადო სახელისუფლო უწყებების ჩართულობით აღასრულონ კონსტანტინე გამსახურდიას კოლხური კოშკიდან მთაწმინდაზე გადასვენების ისტორიული მისია.

მე, ცხადია დავიწყე რა ფიქრი ამ ფაქიზ, საკრალურ საკითხზე, მოვიაზრე პიროვნებათა ჯგუფიც, რომლებსაც უახლოეს მომავალში პირადად ვეახლები თხოვნით ჩართულობისათვის (რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ გამომრჩენია ოჯახიც...).

ჩემი ფუნქცია და როლი, დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდიას მთაწმინდაზე გადასვენების საკითხის შესახებ, მხოლოდ ამ გაზეთში დასმით ამოვწურე და აწ უკვე ჯერი, კომპეტენტურ და ავტორიტეტულ პიროვნებებისაგან შემდგარ კომისიაზეა.

ლეილა ცომაია
2016 წლის 15 მაისი,
გაზეთი „განმათავისუფლებელი“ N49, 2016 წლის მაისი.

გურამ შარაძე: კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიები მთაწმინდაზე უნდა დაიკრძალონ! მინდა მოკრძალებით შემოგთავაზოთ ჩემი ასეთი წინადადებაც: მთაწმინდაზე ზვიადთან ერთად დაიკრძალოს დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია. შეიძლება ვინმემ იკითხოს, ამით ხომ ვარღვევთ ბატონი კონსტანტინეს ანდერძსო, მაგრამ ცნობილია, რომ ბატონმა კონსტანტინემ მთაწმინდაზე დაკრძალვაზე

უარი თქვა იმ მიზეზით, რომ იქ სანამ ილიას მკვლელი ფილიპე მახარაძეა დასაფლავებული, ჩემი ადგილი იქ არ არისო.

მაგრამ ამის შემდეგ დიდი კონსტანტინეს ვაჟმა – საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მთაწმინდაც გაათავისუფლა ფილიპე მახარაძის საფლავისაგან და სრულიად საქართველოც – ბოლშევიკური რეჟიმისაგან!

ამიტომ, ვფიქრობ, დადგა დრო, აღსრულდეს ქართველი ხალხის ნება და მთაწმინდის უკვდავ ბინადართა გვერდით დაიკრძალონ უკვდავი მამა-შვილი – უპირველესი ქართველი მწერალი და უპირველესი საქართველოს პრეზიდენტი – კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიები!

წყარო: *„ასავალ—დასავალი“,*
24-30 ივლისი, 2006

კახა კუკავას ოინები

ინტერნეტში გავრცელდა საქართველოს მთავრობისადმი მიმართვის ტექსტი, რასთან დაკავშირებით გამოვარკვიეთ, რომ მიმართვაზე ხელმომწერ უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან, კახა კუკავას ოფისიდან რეკავდა ქალბატონი, რომელიც თითოეულ მათგანს ტელეფონით აცნობდა ტექსტის შინაარსს, რის შემდეგაც სთხოვდა სიტყვიერ დასტურს (უფლებას) აწ უკვე გაცნობილ ტექსტზე მათი გვარ-სახელის (ხელმოწერის) მისაბეჭდად. ხოლო, როდესაც ტექსტი გამოქვეყნდა, „ხელმომწერთა“ აბსოლუტური უმრავლესობა ამ მოულოდნელი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა; ხელმომწერებს, როგორც „ავტორიტეტული“ პერსონები, სიის თავში უძღვის თამაზ წივწივაძე და რეზო ამაშუკელი (?!)

ეს მკრეხელური აქტი კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს ქვეგამხედვარეთა პოლიტიკურ ზრახვებსა და მათ არაგულწრფელ, ოდენ მომხმარებლურ დამოკიდებულებას საკითხისადმი, რომლის მიღმა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პიროვნების მიმართ, კახა კუკავას მხრიდანაც, მხოლოდ ცინიზმი და მძულვარება იმალება!

ჩვენ კი ვალდებულნი ვართ ვიყოთ პრინციპულნი, რომ კახა კუკავას მსგავს აგენტურულ ძალებს აღარ გამოვაყენებინოთ ზვიად გამსახურსდიას სახელი საკუთარი პოლიტიკური კარიერის გასაკეთებლად!

და კიდევ... თავად კახა კუკავას მაშ, როგორ ეკადრებოდა უზენაეს საბჭოს დეპუტატებთან პირადად დარეკვა, მათთანაც მის პრეს-მდივანს უნდა დაერეკა, როგორც, მაგალითად, შოთა ზედგინიძესთან, ზაზა ჩიქოვანთან და სხვ. აი, თამაზ წივწივაძესა და რეზო ამაშუკელს კი, ეჭვი მაქვს, რომ კუკავამ პირადად დაურეკა და „სიურპრიზის“ მოსალოდნელი ეფექტით, სამივემ, წინასწარ გულიანად იხარხარეს კიდეც...

კუკავას, თავის მდივან ნატა წერეთლისათვის დაუკისრებია ზვიადისტებთან “კონტაქტ-პერსონობის მისია”.

ქვემოთ ვაქვეყნებთ კუკავას „ისტორიულ“ ტექსტს და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასადმი მის კიდევ ერთ ამგვარი „ღვაწლის“ შესახებაც გამცნობთ;

31 მარტს თბილისის საკრებულოს ეგიდით, საკრებულოს დეპუტატის კახა კუკავას ინიციატივით რუსთაველის თეატრში დაიგეგმა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას იუბილისადმი მიძღვნილი საღამო, რომლისთვისაც კულტურის სამინისტრომ გამოყო 20 000 ლარი. აქედან 9 000 ლარი რუსთაველის თეატრის მომსახურების ხარჯებისთვის გაიწერა. უნდა ითქვას, რომ ფინანსების განკარგვისა და საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილე, თუ მოწვეულ პირთა სიაც კუკავას მკაცრი და ერთპიროვნული ცენზურით შედგა და იგი მოწვეულ-მონაწილე პირთა გამოკვეთილი პოლიტიკური ორიენტაციით (რუსეთუმეობით – ელიზბარ ჯაველიძე და სხვ.) განისაზღვრა.

კახა კუკავას პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას იდეურ მემკვიდრედ წარმოჩენა პოლიტიკური დივიდენდებისა და მოახლოებულ მერის არჩევნებში ეროვნულ-პატრიოტული ძალების ხმების მისაღებად სჭირდება; რეალურად, უშიშროებაში გამოზრდილი ახაგაზრდა პოლიტიკოსი კუკავა ანტაგონისტურადაა განწყობილი „თავისუფალი საქართველოს’ იდეისადმი და პირად საუბრებში ეროვნული ძალების მიმართ „მხედრიონისეული“ ბილწი ლექსიკისა და მძულვარე სულისკვეთების გამოვლენასაც არ ერიდება**(რედ)**.

ქართველი მოღვაწეები პრემიერს თხოვენ თბილისის აეროპორტს მიენიჭოს ზვიად გამსახურდიას სახელი

ავტორი: AIAnews.ge 11.03.2014, 10:28

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი!

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პირველ პრეზიდენტს — ზვიად გამსახურდიას მრავალი დამსახურება მიუძღვის ჩვენი სახელმწიფოს წინაშე. მან მთელი ცხოვრება შესწირა საქართველოს დამოუკიდებლობისთ-

ვის ბრძოლას. ის სათავეში ჩაუდგა ეროვნულ მოძრაობას და სწორედ მისი მეთაურობით, მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად, ქართველმა ხალხმა მოიპოვა თავისუფლება.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ დამსახურებული პატივი მიაგოს ჩვენი ქვეყნის პირველ პრეზიდენტს, საზოგადოებაში გაჩნდა იდეა, თბილისის აეროპორტს მიენიჭოს ზვიად გამსახურდიას სახელი. „ნაციონალური მოძრაობის" დროს ამ იდეის განხორციელება ვერ მოხერხდა, რადგან მაშინდელი ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო ზვიად გამსახურდიას ეროვნული ფასეულობები.

მას შემდეგ რაც გასული წლის აგვისტოში თბილისის საკრებულოში უმრავლესობა შეიცვალა, საზოგადოებაში კვლავ გაჩნდა იმედი, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში შესაძლებელი გახდებოდა ამ ინიციატივის განხორციელება, თუმცა საკრებულოს უმრავლესობამ, წინამორბედის მსგავსად, აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

ეს არის საქართველოს პირველი პრეზიდენტის და იმ ეროვნული ფასეულობების შეურაცხყოფა, რასაც ის მთელი ცხოვრება ემსახურებოდა. მით უფრო სამარცხვინოა თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება, როდესაც დედაქალაქში უკვე არსებობს ჯორჯ ბუშის, ჰოლბრუკის, ალიევის და კაჩინსკის ქუჩები, რეიგანის ძეგლი, სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორების გამზირები და პანთეონები.

თქვენ, როგორც მთავრობის და მმართველი პარტიის მეთაურს, შეგწევთ ძალა, განახორციელოთ თბილისის აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების იდეა. მით უფრო რომ წელს სრულდება 75 წელი ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან.

გთხოვთ, პირადად დაინტერესედეთ ამ საქმით და გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ძალაუფლება. წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისთვის.

თამაზ წივწივაძე
რეზო ამაშუკელი
ია ბაგრატიონ – მუხრანელი
ელიზბარ ჯაველიძე
თემურ ქორიძე
დავით სოკოლოვი
ავთანდილ რცხილაძე
ნუგზარ მგალობლიშვილი
მანანა ტაბიძე
გულიკო გიგიბერია
დალი ფიროსმანაშვილი
მანანა გაბაშვილი
ჟანა რეხვიაშვილი
ზაზა ჩიქოვანი
შოთა ზედგენიძე
ლეილა მირიანაშვილი
თამარ ჭავჭავაძე
ელენე აბაშიძე

http://aianews.ge/index.php?newsid=1381

აღადგენენ თუ არა მერაბის მემორიალს ბორითთან?...

საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას წინააღმდეგ, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1989 წლის 13 ოქტომბერს დაიგეგმა სპეცოპერაცია — „ავტოავარია“. მერაბის ფიზიკური ლიკვიდაციიდან რამდენიმე თვეში, ზვიად გამსახურდიას პატრონაჟით, ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითთან, ავარიის საპირისპირო მხარეს დაიდგა შავი მარმარილოს დაფა და ნიკელის ჯვარი წარწერით „მერაბ კოსტავა“ (იხ. ფოტო →). ავარიის ადგილას, როგორც რისკის შემცველი რთული რელიეფური მოსახვევის გამო (ეს ფაქტორიც მეტი დამაჯერებლობისთვის, უთუოდ ზუსტად გაითვალისწინა უშიშროებამ), მას შემდეგაც ხშირად მომხდარა ავარიები და სტიქიის (წყალდიდობის, გრიგალის) შედეგადაც მემორიალი და რკინის რიკულებიც მოირყა, ხოლო საბოლოოდ დაინგრა და განადგურდა კიდეც.

ამ მოვლენაზე ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა წარმომადგენელმა ირაკლი შონიამ ხმაურიანი განცხადება გააკეთა საკუთარ ფაცებოოკ-ზე და გამოაქვეყნა ფოტოებიც, რაზეც უმალ უპასუხეს ხარაგაულის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა და ჟურნალისტმა ნინო მიქიაშვილმა, რომლებმაც ირაკლი შონია დაამუნათეს, რომ იგი, თითქოს არასწორ ინფორმაციას ავრცელებდა მემორიალთან დაკავშირებით და აქცენტები გააკეთეს ახალ სკვერზე, კერძოდ: 2015 წლის 26 მაისს პრო-ეროვნულმა სახელისუფლო ძალებმა, პირვანდელი მემორიალის ახლოს გახსნეს ახალი სკვერი ადრინდელ ობელისკთან სადაც დადგეს იგივე, მაგრამ რესტავრირებული მემორიალიც (იხ. პირველი ფოტო გამგებელ ლურსმანაშვილითურთ და ძველი (განახლებული ობელისკის).

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენი მოთხოვნაა, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად იზრუნოს ზვიად გამსახურდიას მიერ დადგმული პირვანდელი მემორიალის, თუნდაც ამ გადარჩენილი ნაწილის პირვანდელ ადგილას აღდგენაზე, მითუმეტეს, როდესაც იმ ადგილზე უვნებლად არის შემორჩენილი ნიკელის ჯვარი(იხ. ფოტო). ხოლო აღდგენილი ტერიტორია კი შემოსაზღვროს უფრო დაცული მასიური რკინის რიკულებით, რამეთუ მხოლოდ იგია ძეგლი და არა ნეო-საბჭოური ხელისუფლების მიერ 2015 წელს გახსნილი სკვერი!

თვალსაჩინოებისათვის, ასე გამოიყურებოდა მერაბის პირვანდელი მემორიალი პირვანდელ ადგილზე და ასეთია დღევანდელი დღის სურათი ჯვრის გაღმა გადაგდებული საძირკვლით და 1989 წლის დროინდელი შემორჩენილი შენობა-ნაგებობის მდებარეობის ჩვენებით(იხ ფოტოები).

დასანანია, რომ ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების მაღალჩინოსნის მოკავშირე აღმოჩნდა და არა ჩვენი...

ლეილა ცომაია
2015 წლის 2 აგვისტო,
გაზეთი „განმათავისუფლებელი“ №46, 2015

რუსეთუმეთა პოლიტიკური სტრიპტიზი

თუ, აწ განსვენებულმა ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა, ზუსტად განსაზღვრა საქართველოს ჭადრაკის დედოფლის, ნონა გაფრინდაშვილის, ფუნქცია და როლი მის გვერდით, დღეს აშკარაა მცდელობა გაფრინდაშვილის პოლიტიკურ ფიგურად ქცევის.

უდავოდ ჭკვიანმა ბიზნესმენმა ბ. პატარკაციშვილმა კი, საკუთარ პოლიტიკურ ამბიციებში, გაფრინდაშვილი მხოლოდ **სახედ** გამოიყენა, რისთვისაც მან არც საზღაური დაიშურა... დღეს კი ნონა, აქტიური პოლიტიკური მოღვაწე ხდება, რაშიც იკვეთება მისი პირადი ნებელობაც. ამაში დასაძრახი არაფერია, მაგრამ იგი, პოლიტიკაში, ახალფეხადგმულივით ბორძიკობს და ნაკლებსაიმედოა, რომ მან ოდესმე მუხლი გაიმაგროს. თუ ნონას, მასავით გენიოსი მოჭადრაკის გარი კასპაროვის მაგალითით და წამხედურობით უჩნდება პოლიტიკური ამბიცია, უნდა შევკადროთ, რომ კასპაროვი, რუსეთის ფედერაციის პროგრესული პოლიტიკური ლიდერია, ანგაჟირებული პირი არ არის და ოპოზიციონერობის საზღაურად მხოლოდ რეპრესიებს იღებს. ურეიტინგო პოლიტიკური გვამების (ბურჯანაძე, ბათიაშვილი, შაშიაშვილი...) შირმა-თეჯირად ქცევა ფინანსური დაინტერესებით კი, ნონა გაფრინდაშვილის, სპორტული ბრწყინვალეებით დამკვიდრებულ სახელსა და დიდებას გაახუნებს მხოლოდ.

2010 წლის 25 ნოემბრის თავყრილობის პასუხისმგებლობის ტვირთი, ამ აქციის მთავარ აგიტ-პროპაგანდისტ ნონა გაფრინდაშვილს დააწვა. ნონას მიერ პარლამენტთან სახალხო შეკრებისაკენ მრავალკვირიანი მოწოდება, ხალხმა, ოპოზიციის ლეთარგიული მდგომარეობიდან გამოსვლის საიმედო სიმპტომად მიიჩნია. ჩამოსულთა და თბილისის მაცხოვრებელთა ერთობლიობამ, პარლამენტთან შთამბეჭდავი რაოდენობა შეადგინა – ხალხის მასამ ოციათასს გადააჭარბა. რუსეთუმე ოპოზიციონერების (ბურჯანაძე, გაფრინდაშვილი, ბათიაშვილი, შაშიაშვილი, ძიძიგური...) მოწოდებები შეკრებისაკენ გაჯერებული იყო სააკაშვილის „**გადაგდების**“ შეუვალი მუქარით. პოლიტიკურ ასპარეზზე კვლავ გამოჩენილი თეატრალი (კაც-ლელიკო ჯაფარიძე, დიმა ჯაიანი, რეზო ესაძე, გოგი ქავთარაძე, ნუკრი ქანთარია, გია ბურჯანაძე...) გულზე მჯიღების ცემით ირწმუნებოდნენ, რომ 25 ნოემბერს, ისინი ფეხის მომცვლელები აღარ იქნებოდნენ პარლამენტის აქციიდან, ვიდრე სააკაშვილის გადაგდებამდე. თუ დიქტატორი სააკაშვილი უიარაღო ადამიანების სისხლს

დაღვრიდა, მაშინ პირველები თავად შეეწირებოდნენ და ა.შ. (იხ. 25 ნოემბრამდელი პრესა, 2010).

ხალხის რევოლუციური სულისკვეთებით მანიპულირება, საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება და მერე ჭიტლაყის ამოკვრა (კრება დასრულდა! აბა, ახლა დაიშალეთო!) ოპოზიციისავე ბუმერანგად იქცევა ხოლმე, კლავს და ასამარებს ოპოზიციურ მოძრაობას. იქნებ, ამ ავანტიურისტ რუსეთუმეთა მიზანიც ეგ არის! იქნებ, სწორედ ამისთვის ფინანსდებიან ეს ფსევდო-ოპოზიციონერები? იქნებ, ეს არის, სწორედ, პრევენცია ჭეშმარიტი ლიდერის გამოჩენისა და მისი აღზევების წინააღმდეგ, რისთვისაც, მეტროპოლია ფინანსებს არ იშურებს.

აღმაშფოთებელი იყო ბურჯანაძე-ბათიაშვილ-გაფრინდაშვილის მიერ, შემდგომ დღეებში, ხალხის სიმცირის მოტივითა და ბრალდებით, ცოტა მოხვედითო, მიტინგის ხანგრძლივობის შემოკლება და დაშლა. მაშინ, როცა ხალხი მოსალოდნელზე მეტიც მოვიდა და აქციის „აგორების“ შესაძლებლობაც არსებობდა.

ფსევდო-ოპოზიციის რეალური გეგმა-მიზანი, როგორც გამოჩნდა, ამჯერადაც მხოლოდ დაგუბებული საპროტესტო ტალღის ამოშვება იყო. ვინც ამას მიხვდა და იქვე ხმამაღლა გამოხატა პროტესტი, ლიდერებმა იქეთ შეუტიეს და მიკროფონებით ყველას პროვოკატორები ეძახეს, ხოლო კაც-ლელიკო ჯაფარიძე, პროვოკატორად შერაცხულ მომიტინგეებს, შესარკინებლად იხმობდა. საკუთარი „ჯიბის ოპოზიციით“ გულდამშვიდებული ხელისუფლება კი, კაბინეტებში ტელევიზორებიდან ისმენდა „ამბებს მღელვარების ეპიცენტრიდან“ და ერთი პოლიციელიც კი არ გამოუყვანია პარლამენტის შორიახლოს.

25 ნოემბრის კრება-სპექტაკლი, რისი ლეგიტიმაციისათვის, სრულიად საქართველოდან უხმო წარმომადგენლობას, ბურჯანაძემ, ორ საათში დასრულდა. დაქანცულ-დამშეულ ხალხზე არავის უზრუნია. ხალხი ორი დღე ვერ გაერკვა პოლიტავანტიურისტთა ხრიკებში, მათ გულწრფელად იწამეს ნონა გაფრინდაშვილისა და პოლიტიკურ ლიდერთა ქადილი, რომ 25 ნოემბრიდან იწყებდნენ პერმანენტულ აქციებს სააკაშვილის „გადაგდების“ მოთხოვნით. ამ ნანატრი სურვილით, ხალხის დიდი უმრავლესობა, ნასესხები ფულით ჩამოვიდა თბილისში და მზად იყვნენ ფეხით გაბრუნებულიყვნენ უკან, ოღონდ კი სააკაშვილის ხელისუფლების გადაგდებისთვის მიეღწიათ. მათ იმდენად უჭირდათ გაფრინდაშვილისა და ბურჯანაძის ტყუილის დაჯერება, რომ არ დაიშალნენ, ორი დღე იდგნენ პარლამენტთან, იქნებ დღეს ლიდერები დაიღალნენ და ხვალ განაახლონ აქციაო. მეორე დღეს, მათთან მხოლოდ „ფორუმელები“ – გუ-

ბაზ სანიკიძე და კახა შარტავა მივიდნენ (ისინი იმ ღამითაც გვიან ღამემდე დარჩნენ ჩამოსულ ხალხთან).

მასობრივმა უმუშევრობამ, საკომუნიკაციო გადასახადების ზრდამ, პროდუქტებსა და სამრეწველო საქონელზე ფასების ყოველწლიურმა მატებამ, ლარის გაუფასურებამ ხალხს დაუცველობისა და მომავლისადმი სასოწარკვეთილების განცდა გაუმძაფრა. აღარას ვამბობთ პოლიტიკურ კრიზისზე.

ამგვარი მძიმე სოციალური ფონი პოლიტიკური პროტესტის მაპროვოცირებულ ფაქტორად იოლად შეიძლება იქცეს გონიერი და ჭეშმარიტი ლიდერის ხელში. ის, რაც 25 ნოემბერს „რუსეთუმეთა“ კოჰორტამ (ბურჯანაძე, ბათიაშვილი, გაფრინდაშვილი, ძიძიგური...) ოცი ათასამდე მომიტინგეს ჩაუტარა, იყო პოლიტიკური „სტრიპტიზი“. შეურაცხყოფილმა ხალხმა, ისინი ერთიანად მოისროლა სანაგვზე და სააკაშვილთან ერთად, მათაც ზიზღითა და სიძულვილით მიაფურთხა.

ლეილა ცომაია,
გაზ. „განმათავისუფლებელი“ №27, 2010 წ.

ვაი, რამდენი ორჯონიკიძეები და მახარაძეები გვყოლია!

ჩვენი პუბლიკაციების დაკვირვებული მკითხველი, უთუოდ შენიშნავდა, რომ ჩვენ არასოდეს ვავლებთ ვრცელ პარალელებს ისტორიულ წარსულთან, არასოდეს მივმართავთ ანალოგიებს თანამედროვე გმირებისა თუ მოღალატეებისა ისტორიულ გმირებთან, რამეთუ მიგვაჩნია, რომ ისტორია, მეტ-ნაკლებად ყველამ იცის. ამადაც, უმჯობესად მივიჩნევთ დავზოგოთ მკითხველის დრო და გაზეთის ფურცელიც.

გმირობა და მოღალატეობა, როგორც სიკეთე და ბოროტება, ამქვეყნიურობის დასაბამიერი თანაარსია და ყოველი ადამიანიც, საკუთარი ნება-სურვილით ირჩევს თვითკმარი ზნეობისა თუ მორალის შესაბამის გზას. მოღალატის, როგორც ანტიგმირის მიმართ კი მკაცრი და შეუწყნარებელია, ღვთივგანბრძნობილი გენიოსი შოთა რუსთაველიც: „კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად“- ო, ასეთია მისი ვერდიქტი.

სააკაშვილის მიერ, ჯერ საჯაროდ დატუქსული, ხოლო შემდგომ მოხსნილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ისე უტყვად გაეცალა სახელისუფლო ასპარეზს, მავანმა მცდარად იფიქრა, რომ მისი კარიერის მზე ჩაესვენა და ვეღარასოდეს აღზევდებოდა. კარიერისტული ჟინით შეპყრობილი ნოღაიდელი კი, თურმე, ფიზიკურ და პოლიტიკურ ძალებს ერთდროულად იკრებდა და სულ, რაღაც ორ წელიწადში, აწ უკვე ჩრდილოეთიდან „გამოანათა“.

ნოღაიდელმა, რომელსაც ათი წლის განმავლობაში ჰქონდა ყველა სახელისუფლო ბერკეტი, რეალურად ეშენებინა სახელმწიფო, განევითარებინა ეკონომიკა, აემაღლებინა ხალხის სოციალური ცხოვრების დონე, – შევარდნაძის ფინანსთა მინისტრობის დროს გატარებული „სეკვესტრის“ პოლიტიკით მოახრჩო ჯანდაცვა, განათლება, სოფლის-მეურნეობა, მრეწველობა, კულტურა და სპორტი. ჯერ თვეობით, ხოლო შემდგომ, წლობით „გაყინა“ ისედაც სეკვესტრირებული ხელფასები და პენსიები და უმუშევართა დონეს გაუთანაბრა მომუშავეთა ნაწილიც. შედეგად (მისი ფინანსთა, ეკონომიკისა და პრემიერ– მინისტრობის დროს), მოხდა მასების სასოწარკვეთილებამდე მიყვანა, კატასტროფულ მაჩვენებელს მიაღწია ქვეყნის გარეთ თუ შიგნით მიგრაციამ (დაიცალა სოფლები), იმატა თვითმკვლელობებმა და მკვლელობებმაც თვით ოჯახის წევრებს შორის, დაინგრა მრავალი ოჯახი, დაეცა ხალხის ზნეობა და მორალი...

ხალხის უკიდურესად გაღატაკებისა და სოციალური გენოციდის ხარჯზე, უპოვარი და უბინაო ნოღაიდელი, უმდიდრეს ადამიანად იქცა. კორუმპირებულ ნოღაიდელს, რომელიც ყოვლად სუსტი და უსახური ფინანსტთა, ეკონომიკისა და პრემიერ– მინისტრი იყო, ამჯერად პრეზიდენტობის ამბიცია გასჩენია და ხელაღებით მიიწევს დასახული „დიადი“ მიზნისაკენ. ყოფნის სინდისი და თავხედობა, ქვეყნის „განვითარებისა და ბედნიერი მომავლის“ ლიდერ– შემოქმედად დაუსახოს ხალხს თავი. სწორედ ამგვარი ცრუ და ფარისევლური „სლოგანით“ აქვს მას დაპყრობილ– აკლებული ძვირადღირებული სატელევიზიო ეთერები. საადრევო საარჩევნო კამპანიაში, ნოღაიდელი აშკარად ლიდერობს, სატელევიზიო რეკლამებში უშურველად ხარჯავს პუტინის რუბლებს (სიძუნწით ცნობილმა ნოღაიდელმა, საკუთარი მილიონებიდან, ვეჭვობ, რომ მცირედიც გაიღოს).

გარდა ფინანსური უზრუნველყოფისა, აშკარაა, რომ ნოღაიდელს, პუტინისაგან პოლიტიკური მხარდაჭერაც აქვს მიღებული. ამადაც, გაგულადებული იმუქრება: „თუ გაბედავთ და არჩევნებს გააყალბებთ, ხელებს დაგამტვრევთო“. ყოვლად რეამინირებული (ფიზიკურად, პოლიტიკურად) ნოღაიდელი თავად რისი „დამტვრევიცაა“ ყველამ ვიცით, მაგრამ რუსეთს რომ „ძალიც შესწევს ქადილისა“, ამაში ეჭვი თვით ევროკავშირსა და ნატოსაც აღარ ეპარებათ. ანუ, ნოღაიდელის პირით რუსეთი ღაღადებს.

შევარდნაძის მიერ გამოზრდილ „ნაცმოძრაობის“ ხროვას, არჩევნების გაყალბების, სახელმწიფოს ნგრევისა და საკუთარი ხალხის გენოციდის მეტი არაფერი უსწავლია. მათ შორის, ხროვის კანონით „დაგლეჯილ“ ნოღაიდელს, ბურჯანაძეს, ოქრუაშვილსა და სხვებს, რომლებიც შევარდნაძე-სააკაშვილის რეჟიმის ბურჯებს წარმოადგენდნენ და სულაც არ ადარდებდათ ქვეყნისა და ერის ბედი, არამედ მხოლოდ ქონებას იხვეჭდნენ. და რა „დამსახურებებისათვის“ უნდა აირჩიონ კვლავ ესენი ხალხმა? რისი იმედით უნდა დაატრიალონ სააკაშვილისეული ხროვის ავადსახსენებელი ეშმაკის ბორბალი („კარუსელი“)?

დაუჯერებელია, რომ ჩვენი ხალხი ისეთი ბრიყვი ან გულუბრყვილო იყოს, რომ მათი დაპირებების სჯეროდეს და არ უწყოდნენ, რომ მათი „ოპოზიციონერობა“ ნასულდგმულებია კვლავ ხელისუფლების რბილ სავარძლებში მოკალათებისა და მეტი სიმდიდრის მოხვეჭის მერკანტილური სურვილებით, რისთვისაც ფარულად და აშკარადაც იყენებენ თავიანთ აგენტურულ კავშირებს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან (რუსეთთან).

იმის გამო, რომ არა გვაქვს „ლუსტრაციის კანონი“, შეუძლებელია მათი სამართლებრივი დადანაშაულება ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში, რისი იმედითაც სრულიად შეუფერხებლად მოქმედებს ზემოხ-

სენებულ ქვაბავაზაკთა ხროვა. მართალია ორი ათეული წლის შემდგომ, პოსტსაბჭოურ საქართველოშიც შემორჩენილია მონური მენტალობის, განჯგონებულთა მასა („რუსეთუმეთა“ პლეადა), მაგრამ, არა იმ რაოდენობის, რომ ქვეყნის პოლიტიკური კურსის შეტრიალება შეძლოს.

იმპერიალისტური რუსეთის ქართველი ემისრების სრული გაუვნებელყოფის მიზნით, საკმარისია ვიმოქმედოთ გურამიშვილისეული შეგონების მიხედვით: **„ორგულთა სიტყვას ნუ ისმენ, გაფრთხილდი, ნუ მოსტყუვდები, გასწყერ, გასჭერ და დახივე, მტყუვანთ ტყუილის გუდები“.** როს შემდგომ, სიმწრისეული სინანულით აღარ დაგცდეს: **„ისე, ვით ცხვარი მივენდე, უპიროს, მოღალატესა“.** ***„ვინც რომ ძრახვას თაკილობდეს ნურასა იქმს საძრახავსა“.***

პოლიტიკურ კონიუნქტურაში გაწაფული „კონსერვატორები“ (ძიძიგური, გუჯაბიძე, კუკავა), რომლებიც თბილისის საკრებულოს დეპუტატობიდან, სააკაშვილის სიით პარლამენტშიც მოვიდნენ, ამჯერად ნოღაიდელთან ალიანსით ცდილობენ პარლამენტში მოხვედრას. ყოფილი პოლიტპატიმრები, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს დეპუტატები და მთავრობის წევრები, ძიძიგური და გუჯაბიძე, რომლებიც ციხიდან შევარდნაძის შეწყალების აქტით და ზურაბ ჟვანიას და უშიშროების საბჭოს საპარლამენტო მდივნის რუსუდან ბერიძის პატრონაჟით გათავისუფლდნენ, ჟვანია რომ ცოცხალი ყოფილიყო, პარლამენტში, მისი სიითაც მოვიდოდნენ. ილუზიური აზრი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და იდეური ფასეულობებისადმი მათი ერთგულებისა, დრომ დაამსხვრია და ნათელყო მისი ძირეული სიმყიფეც. ავთანდილ დავითაიას, ვახტანგ ქობალიას, ზვიად ძიძიგურის, ბიძინა გუჯაბიძის, კ. კუკავას, კ. დავითაშვილისა და შალამბერიძის ე.წ. „ეროვნული საბჭო“, ოპოზიციურ საპრეზიდენტო კანდიდატად, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის“ სახელით, ალბათ ნოღაიდელს წამოაყენებს (ამგვარ მკრეხელობასაც უნდა გავუძლოთ!). თავის მხრივ, არც მეორე „ოპოზიციონერი“ საპრეზიდენტო კანდიდატი ირაკლი ალასანია ზის გულხელდაკრეფილი, არამედ ისიც კულუარულად იღვწის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლების გადაბირება-შემომტკიცებისათვის.

რენეგატი ძიძიგური და გუჯაბიძე, ცხადია, არც კოლაბორაციონალისტ ზურაბ ნოღაიდელს უერთგულებენ, იგი მხოლოდ ხიდად სჭირდებათ და პარლამენტში მოხვედრისთანავე მასაც განუდგებიან, როგორც სააკაშვილს განუდგნენ. პასუხისმგებლობას კი, არამც და არამც არ აიღებენ მათი ძალისხმევით გაპრეზიდენტებული ნოღაიდელის კაპიტულანტურ გადაწყვეტილებებზე. პასუხისმგებლობას, არც ეროვნული მოძრაო-

ბის წარმომადგენელი ავთანდილ დავითაია აიღებს, რომელიც პირველი შეეკრა კოლაბორაციონისტ ზურაბ ნოღაიდელს. ვახტანგ (ლოთი) ქობალია კი რუსეთის სამხედრო ძალისმიერი გეგმაა. ნოღაიდელის ქადილი, „თუ არჩევნებს გააყალბებთო“, ამ რუსული სათადარიგო სამხედრო გეგმიდან მომდინარეობს და პერსონიფიცირდება ლოთი ქობალიაში.

ნოღაიდელი საპრეზიდენტო არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს. ნოღაიდელი სამხედრო გადატრიალების გზით აპირებს გაპრეზიდენტებას. ეს ურთიერთშეთანხმება გააფორმა მან 2010 წლის 9 თებერვალს მოსკოვში პუტინ-მედვედევის პარტიის „Единная Россия“-ს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის გრიზლოვთან. კოლაბორაციონალისტ ნოღაიდელს, თვით საპარლამენტო არჩევნებშიც გაუჭირდება გამარჯვება. მას, ამისათვის ამომრჩეველთა სრული მოსყიდვა დასჭირდება. ნოღაიდელი რუსეთის საცდელი პროექტია, რომელსაც, პუტინმა, თავისი საიმედო კადრი, რუსაპეტა – პეტრე მამრაძე შეუწყვილა (მამრაძეც, როგორც შევარდნაძის, ასევე სააკაშვილის სახელმწიფო მოხელე იყო).

ნოღაიდელის პოლიტიკური სლოგანი: „დავიბრუნოთ აფხაზები და ოსები და გავაერთიანოთ საქართველო“ – პირწავარდნილი დემაგოგიაა, რომელიც რეალურად შეიცავს მოწოდებას აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. არანაკლებ დემაგოგიური და ცინიკური იყო პეტრე მამრაძის მიერ ლავროვის განცხადების დამოწ-

მება: „თუ აფხაზები და ოსები მოილაპარაკებენ და თანახმანი იქნებიან ქართველებთან ერთად ცხოვრებისა, ჩვენ ხელს არ შევუშლით“ – ო. ლავროვის ამ განცხადებას „სერიოზულობა“ და „სიმძიმე“ შესძინა პეტრე მამრაძის კომენტარმა: „სწორედ ნოღაიდელის პუტინთან შეხვედრის შედეგად გააკეთა ლავროვმა ეს განცხადებაო“. მოდი და ნუ შეაყენებ დიდების კვარცხლბეკზე ნოღაიდელსა და მის კოლაბორაციონალისტთა ამქარს (მამრაძეს, დავითაიას, ძიძიგურს, კუკავას, გუჯაბიძეს) „საქართველოს გამთლიანებისათვის“.

რუსეთის სასწორი, თუ მეორე ქართველ ნეობოლშევიკ ნინო ბურჯანაძისაკენ გადაიხარა, მაშინ, დეზორიენტირებულ „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის“ სწრაფი რეაგირების პოლიტიკურ ლიდერებს, სწორება ახალ კუმირზე მოუწევთ. ამასაც, იმედია, მარტივად მოახერხებენ, ოღონდ, მთავარია სიჩქარეში არავინ ჩამორჩეს, ან ფეხი არავის გადაუბრუნდეს.

ვაი, რამდენი ორჯონიკიძეები და მახარაძეები გვყოლია!

ლეილა ცომაია,

გაზ. „განმათავისუფკებელი“ №24, 2010 წ.

ვახტანგ(ლოთი) ქობალიას ბეზღებისა და ღალატის ოქმი

ლოთი ქობალია: ეს რომ პრეზიდენტ გამსახურდიას გაეგო, მე დამხვრეტდა

დაკითხვის ოქმი 22 ივლისი, 1994 წელი.

დაკითხა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა, იუსტიციის მრჩეველმა ა. ხვადაგიანმა. დაკითხვაში მონაწილეობდნენ: ადვოკატები ლ. ბერიაშვილი და გენ. პროკურორის მოადგილე ა. ბალუაშვილი

პრეზიდენტის, აბსანძის, გელანტიასა და სხვების მიზანი იყო შეიარაღებული გზით დაეკავებინათ საქართველოს ტერიტორია ენგურიდან ცხენისწყალამდე. ამის შემდეგ გვეიძულებინა დღევანდელი ხელისუფლება შეექმნა კოალიციური მთავრობა და ჩაეტარებინა არჩევნები. ეს გეგმა მოდიოდა გამსახურდიასგან, აბსანძისაგან, გელანტიასაგან, გუგუშვილისაგან და ყველა იმ პირისგან, ვინც აქტიურად იბრძოდა დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ. მე მართლაც შევასრულე პირობა და ჩემი შეიარაღებული ძალებით გამოვედი მდ. ცხენისწყალზე, ქ. სამტრედიაში და ქუთაისში შესვლა დაგეგმილი არ ყოფილა. მე აქ ჯარები შევაჩერე და დაახლოებით ორი დღე, რიცხვი არ მახსოვს, ვიყავი მარტვილში და ჩემს გარეშე ჩვენმა მებრძოლებმა დაიკავეს სამტრედია. ჩემთვის ეს იყო მოულოდნელი. ამ დროს გამსახურდია იყო აბაშაში, როცა მე ჩამოვედი სამტრედიაში, მებრძოლებისაგან გავიგე, რომ სამტრედიაში შესვლის ბრძანება გაუცია გამსახურდიას. გამსახურდიასთან ამ თემაზე არ მილაპარაკია, რადგან ვერ შევბედე. რატომ დაარღვია მან ჩვენი პირველი გეგმა ცხენისწყალზე გამაგრების, არ ვიცი, აბსანძეს რომ ვკითხე, თუ რა მოხდა მიპასუხა, რომ მანაც არაფერი იცოდა. მებრძოლებში დომინირებდა აზრი, რომ ისინი მიდიოდნენ თბილისის ასაღებად. სამტრედიაში გამსახურდიამ და აბსანძემ მომცეს მითითება, რომ ჯარები დამეძრა ქუთაისისაკენ, რადგან, მათივე თქმით, დაზრვერვის მონაცემებით, ქუთაისამდედ

გზა იყო თავისუფალი და ქუთაისი იყო დაუცველი. მივხვდი, რომ გამ-სახურდიას უნდოდა სამხედრო ძალით აეღო თბილისი. მე ეს მიმაჩნდა აბსურდად, რადგან ჩვენ ამის სამხედრო ძალა არ გაგვაჩნდა. მეორეც ის, რომ თუკი მოვლენები ისე განვითარდებოდა, რომ ჩვენ თბილისისაკენ დავიწყებდით სვლას, მთელს სამეგრელოს დაუპირისპირდებოდა დანარ-ჩენი საქართველო და ეს კატასტროფულ ზიანს მოუტანდა ერს. ამასთან ერთად, მე ვიცოდი, რომ ჩვენი გეგმა ითვალისწინებდა ცხენისწყალზე გამაგრებას და შემდეგ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას. ეს გეგმა გამსახურდიას გადაწყვეტილებით დაირღვა ისე, რომ მე არაფერი ვიცო-დი. ამიტომ გადავწყვიტე მიმეღო ყველა ზომა, აღარ გაგრძელებულიყო ქუთაისისაკენ სვლა. ამიტომ მოვიფიქრე და აბსანძეს და პრეზიდენტს ვუთხარი, რომ ხონში დაიძაბა კრიმინალური ვითარება, ადგილი აქვს ყაჩაღობებს, ხალხი შეწუხებულია, ჩავალ ხონში, მოვაგვარებ სიტუაციას და მერე ვიფიქროთ ქუთაისზე-მეთქი. ხონში შეიარაღებულ ფორმირე-ბებს ხელმძღვანელობდა ანზორ ჩხეიძე. აქვე იყო თენგიზ ბულია, იგივე „კიროკი“. მე მათ ვუთხარი, რომ ყაჩაღობის ფაქტები რომ აღკვეთილი-ყო, შეიარაღებული ფორმირებები უნდა გაეყვანათ ხონიდან ქ. ზუგდიდ-ში. ხონში ისინი იყვნენ 4-5 დღე და ფორმირებები გაიყვანეს ზუგდიდში. აქვე მოვიმიზეზე ის ამბავიც, რომ ჩემი ინფორმაციებით სამთავრობო ჯარებს ეხმარებოდნენ რუსები და ამას შეიძლება მოჰყოლოდა უაზრო სისხლისღვრა. მივაღწიე იმასაც, რომ დავიხიეთ უკან აბაშამდე. ამ პე-რიოდში აბსანძისაგან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ დამხმარე ძალებს მივიღებდით აფხაზეთიდან. როგორც მოგახსენეთ, მე შინაგანად ამის წი-ნააღმდეგი ვიყავი, მაგრამ აბსანძისათვის არ გამიმჟღავნებია. ამის შეს-ახებ ვუთხარი გურამ ლაკიას. ისიც წინააღმდეგი იყო აფხაზი ბოევიკების შემოყვანის, ამიტომ მე და ლაკიამ გადავწყვიტეთ ყველა ღონე გვეხმარა და ჩვენი ფორმირებები გამოგვეყვანა ბრძოლიდან. ამასთან დაკავშირე-ბით, როგორც მახსოვს, პირადად მე დავუკავშირდი ელსმენით ქ. ფოთში კუკური როგავას. მე ანაკლიაში შევხვდი მას და ვახტანგ გვარამიას. მათ ავუხსენი ვითარება, რომ პრეზიდენტი და აბსანძე აპირებდნენ აფხაზი ბოევიკების შემოყვანას, რომ მე და ლაკია ამის წინააღმდეგი ვიყავით. ამის წინააღმდეგი იყო სოხუმის ბატალიონი და სხვები, რომლებიც ჩვენს მხარეზე იბრძოდნენ. გადავწყვიტეთ, რომ მე ჩვენს პოლიტიკოსებს, ე. ი. გამსახურდიას, აბსანძეს, გელანტიასა და სხვებს ჩამოვიცილებდი. გავი-ყვანდი ქ. ზუგდიდიდან და ამის შემდეგ, დაახლოებით სამ დღეში შევხ-ვდებოდი მათ, სადაც გადაწყდებოდა საკითხის მშვიდობიანი მოგვარება. ამის შემდეგ მე ჩამოვედი ზუგდიდში. მოგახსენებთ, რომ ჩვენი ზემოაღ-

ნიშნული შეხვედრა იყო საიდუმლო. ამის შესახებ პრეზიდენტმა, აბსანძემ და სხვებმა არაფერი იცოდნენ. ამ შეხვედრისა და გადაწყვეტილების მიღების შესახებ რაიმე დოკუმენტი არ შემდგარა. ჩამოვედი ზუგდიდში. მე და ლაკიამ მივიღეთ ყველა ზომა და ჩვენი ფორმირებები გამოვიყვანეთ საბრძოლო მოქმედებების ზონიდან. სოსო ჟღენტის პოლკი წავიდა ლუგელას მთების მხარეს. ამ მიმართულებით წავიდა ელიავას პოლკიც. სოხუმელებმა, სოსო ჯომიდავას თავკაცობით გადაწყვიტეს და წავიდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე პარტიზანული ბრძოლებისათვის. ზუგდიდის პოლკმა დაიკავა ზუგდიდი და ზუგდიდის შემოსასვლელი სოფ. ცაიშთან. ყოველივე ეს მოხდა ჩემი, ლაკიასი და ზემოაღნიშნული პირების ინიციატივით. ამის შესახებ არაფერი იცოდნენ პრეზიდენტმა, აბსანძემ, გელანტიამ და სხვებმა. მათ ეს რომ გაეგოთ, ჩვენს მიმართ გამოყენებული იქნებოდა სასჯელის უმაღლესი ზომა. როცა ჩვენ ჯარები გამოვიყვანეთ საბრძოლო მოქმედების ზონიდან პრეზიდენტი დავარწმუნეთ იმაში, რომ ხელისუფლების ჯარებს ეხმარებოდა რუსეთის ჯარი და რომ მათთან ბრძოლა უაზრო სისხლისღვრას გამოიწვევდა. ფაქტიურად მართლა ეხმარებოდა თუ არა რუსის ჯარი საქართველოს ხელისუფლებას, არ ვიცი. ყოველივე ამან განაპირობა ის გარემოება, რომ პრეზიდენტი, აბსანძე და სხვები დავითანხმე დაეტოვებინათ ზუგდიდი. თუ რომელ რიცხვში მოხდა ეს, ზუსტად არ მახსოვს, ეს უნდა მომხდარიყო 1993 წლის 26 ოქტომბერს. მე ადრეც მოგახსენეთ და ახლაც ვიმეორებ, როდესაც ჩემი ოჯახის ყველა წევრი, სამი მანქანით გამოვედით ზუგდიდიდან აფხაზეთის მიმართულებით, ჩვენთან ერთად თავიანთი მანქანებით წამოვიდნენ გამსახურდია, აბსანძე და სხვები. მე ამის შესახებ მოგეცით ჩვენება და მის დეტალებზე აღარ შევჩერდები. სოფ. აჩიგვარასთან შემოგვხვდა ა/მანქანების კოლონა. წინ მიდოდა თეთრი ნივა. მოყვებოდა „ბმპ“, ავტობუსი. ადრე ჩვენებაში გითხარით, რომ მიყვებოდა ერთი ავტობუსი „პაზიკი“. ამ შემთხვევაში შეიძლება მე ვცდები და თქვენს მიერ დაკითხული მოწმეები უჩვენებენ სიმართლეს. მე როგორც მახსოვდა, შემოგვხვდა „ბმპ“ და „პაზიკი“.

როგორც მოგახსენეთ, პრეზიდენტის მანქანების კოლონას მივყვებოდი უკან, როცა ჩვენ შევჩერდით. მე ვიჯექი უკან, ამდენად ყურადღება არ გამიმახვილებია სამხედრო ტექნიკისა და მანქანების კოლონის მიმართ, რომლებიც შემოგვხვდა. ისინი არ გაჩერებულან, ისე გააგრძელეს გზა. მე ვიცი, რომ როცა ჩვენი მანქანების კოლონა გაჩერდა, მათთან გაჩერდა შემხვედრი მიმართულებით მოძრავი „ნივა“, „ნივიდან“ გადმოვიდა ქიშმარია და იგი ესაუბრებოდა აბსანძეს. მათ საუბარს შევუერთდი მეც.

აქ გავიგე, რომ ქიშმარიამ შეასრულა პირობა და ჩვენს დასახმარებლად მოყავდა „ბოევიკები“ და მძიმე ტექნიკა. აქვე დავაზუსტებ, რომ ჩვენს მანქანების კოლონას წინ შემოხვდა ქიშმარიას „ნივა“. ამიტომ შევჩერდით გზაში, გადმოვედით მანქანებიდან და ამის შემდეგ დაახლოებით ერთი წუთის შემდეგ ჩაგვიარა აფხაზეთის მხრიდან მომავალმა სამხედრო ტექნიკამ და ავტობუსებმა, ისე რომ ისინი არ შეჩერებულან. როდესაც აბსანძემ გაიგო დამხმარე ძალის შესახებ, მითხრა და მისი წინადადებით მე, აბსანძე, ქიშმარიასთან ერთად დავბრუნდით ზუგდიდში ისე, რომ მანამდე ჩვენთვის უცნობ ოჯახში დავაბინავე ჩემი ცოლ–შვილი, მეორე ოჯახში დაბინავდა გამსახურდია და მისი დაცვა.

შემდეგ მოვლენები განვითარდა ისე როგორც წინა ჩვენებებში მოგახსენეთ და მის განმეორებას აღარ ვთვლი საჭიროდ. გამსახურდიას ზუგდიდან გაყვანამდე დაახლოებით ორი–სამი დღით ადრე განმეორებით შევხვდი. ვაცნობე, რომ პრეზიდენტის გაყვანის საკითხი მოგვარებული მქონდა. მას გავიყვანდი კიდეც და შემდეგ კიდევ ეცლიათ სამი–ოთხი დღე, მოვაგვარებდი შეიარაღებული ფორმირებების მთლიანად გაყვანას და შემდეგ შემოსულიყვნენ სამთავრობო ჯარები სისხლისღვრის გარეშე. მე ზუგდიდი დავტოვე ნოემბრის დასაწყისში, რიცხვი არ მახსენდება. ამ დროისათვის სოფ. ცაიშთან და ჭითაწყაროსთან იდგა დაახლოებით ორ–მოცდაათი–სამოცდაათი კაცი. ამ ბიჭებმა ჩემი გასვლის შესახებ არაფერი იცოდნენ. მათ იცოდნენ, რომ სამთავრობო ჯარები დაიწყებდნენ წინსვლას. მათ პოზიციები უნდა დაეტოვებინათ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ეს მართლაც ასე მოხდა. როცა მე დავბრუნდი აჩიგვარაში ცოლ–შვილთან შესახვედრად, ლაგვილავამ, რომელმაც მე მიმაცილა აფხაზეთის საზღვრიდან სოფ. აჩიგვარაში, მითხრა, რომ ამავე დილით პრეზიდენტი, მისი დაცვა და ჩემი ოჯახის წევრები დაბრუნებულან ზუგდიდში. აფხაზეთის საზღვარზე გამოუცილებიათ მხოლოდ პრეზიდენტი, ჩემი ოჯახი აღარ დაბრუნებულა უკან. დაახლოებით ორი–სამი თვის შემდეგ, უკვე სუზდალში გავიგე, კერძოდ, ვისაგან აღარ მახსოვს, რომ როცა პრეზიდენტი და აბსანძე დაბრუნებულან ზუგდიდში დაცვას პრეზიდენტი წაუყვანია სხვა მიმართულებით ისე, რომ აბსანძე აღარ წაუყვანიათ. აბსანძე დაახლოებით ერთი თვის შემდეგ გამოსულა სამეგრელოდან და წასულა მოსკოვში ბათუმის გავლით. თუ რა იყო ამის მიზეზები, რომ აბსანძე აღარ დარჩა გამსახურდიასთან არ ვიცი. როგორც აბსანძის საუბრიდან ვასკვნი, აფხაზი ბოევიკების ზუგდიდში შემოყვანას ორგანიზაცია გაუკეთა მან, გამსახურდიასთან ერთად. როგორც თქვენს მიერ დასმულ შეკითხვაში ნაჩვენები მოწმეების ჩვენებიდან ირკვევა, 1993

წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში აფხაზი ბოევიკები და მძიმე ტექნიკა კვლავ შემოუყვანიათ ზუგდიდში, თუ ვინ გაუკეთა ამას ორგანიზება არ ვიცი. ამ ფაქტის შესახებ მესმის პირველად.

ზაურ გერგედავა იყო ჩვენი შეიარაღებული ფორმირებების სამეურნეო სამსახურის უფროსი. მისი მოვალეობა იყო საჯარისო ფორმირებების მომარაგება სურსათით, ტანსაცმლით და სხვა ასეთით. იგი ასევე აწარმოებდა საჯარისო ნაწილებზე სურსათისა და სხვა სახის პროდუქტების განაწილებას. ქარცხია, რომლის სახელი არ მახსოვს, იყო ჩემი ა/მანქანა გაზ–31–ის მძღოლი. ეს მანქანა თეთრი ფერისაა. ნომერი არ მახსოვს. მანქანა იყო დაზიანებული და ფაქტიურად მე ამ მანქანით არ დავდიოდი. ამიტომ ქარცხიას ჩემს მძღოლად არ ვთვლი. ჩემი მძღოლი იყო სახელად ციქორი, გვარი არ მახსოვს.

ჩემი ჩვენება წავიკითხე, ჩაწერილია ჩემი კარნახით სწორად.

ვ. ქობალია

წყარო: გაზეთი „საქართველო“ N66(1504), 9-12 დეკემბერი, 1996 წელი.

გაზეთი „განმათავისუფლებელი“ №55, 2017 წლის დეკემბერი.

ფეის-მომახმარებლის კომენტარი ინტერნეტში დადებულ წინამდებარე „დაკითხვის ოქმზე“

Zaza Tripolski ასეთი მოღალატეები იყვნენ შეგზავნილი ზვიადის გუნდში და თავს მის ერთგულებად ასაღებდნენ, ატყუებდნენ პრეზიდენტს და ფარულად შევარდნაძის მაფიასთან თანამშრომლობდნენ. პუტჩისტი გენერალი თამაზ დუმბაძე წერდა, რომ მან ზვიადის გარემოცვაში შეგზავნა თავისი აგენტი-გენერალი უჩავა. “ყველას უკვირდა, რომ უჩავა თავს ზვიადის მომხრედ ასაღებდა. ამის შესახებ ვიცოდით მე და ჭუმბურიძემ და არაფერს ვამბობდით, რათა ჩვენი შეგზავნილი იყო”-წერს დუმბაძე...

· 3 სთ. · ჩასწორებულია

Leila Tsomaia რუსეთუმე ქობალია და ლაკია, სამეგრელოს ავტონომიის ვერაგული ჩანაფიქრის მიხედვით მოქმედებდნენ და მოქმედებენ დღესაც; მათ ინტერესებში არაფრით შედიოდა დევნილობიდან დაბრუნებული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თბილისში ჩასვლა და სრულიად საქართველოში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა, არამედ, ჩაეკეტათ იგი ზუგდიდში და სამეგრელოს ავტონომიის პრეზიდენტად ექციათ...

მართლა დაარბიეს თუ არა
პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საფლავი?...

მას შემდეგ, რაც facebook-ით გავრცელდა შემაშფოთებელი ინფორმაცია, 23 აგვისტოს, მთაწმინდის პანთეონში, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ძვალთშესალაგის დარბევასთან დაკავშირებით, მთელი კვირა არ შეწყვეტილა მითქმა-მოთქმა და გულწრფელი პროტესტის ხმა ქართველი ერის მხრიდან. მე და უზენაესი საბჭოს დეპუტატი სოხუმიდან ნუგზარ მგალობლიშვილი, მეორე დღეს – 24 აგვისტოს ღამით ავედით მთაწმინდაზე. გზაზე ორივენი ძალიან ვღელავდით და დაძაბული მგვზავრობდით, მაგრამ ზვიადის საფლავთან მიახლოებისთანავე ორივეს შვება მოგვეცა რამეთუ პრეზიდენტის საფლავი ჩვეულებრივ მოწესრიგებულ-მოვლილ მდგომარეობაში დაგვხდა. ჩვენსავით სხვანიც შეშფოთებულან და ჩვენამდე მოუნახულებიათ სათაყვანებელი პრეზიდენტის საფლავი და ყვავილებიც აეტანათ. მიუხედავად გვიანი მწუხრისა, ჩვენს იქ ყოფნაშიც შეწუხებული მოდიოდნენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები (ახალგაზრდებიც).

ობიექტურ ვითარებაში გასარკვევად ჩვენ გავესაუბრეთ მამადავითის ეკლესიის მრევლს ბატონ ოთარ ჭელიძეს, რომელმაც გვითხრა: „მე თითქმის დღისა და ღამის განმავლობაში, სანამ დარაჯი კარიბჭეს არ დაკეტავს, აქ ვტრიალებ-ხოლმე და საფლავის შეურაცხყოფის ან დარბევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, ეს ნამდვილად არ გამომეპარებოდა. შეიძლება ეს ხის პატარა ჯვარი, ვინმემ დაუდევრად გადააადგილა ან სულაც ქარმა მოაფრიალა. აი, დახედეთ, აქ თიხისა და კერამიკის ქოთნებიცაა და დარბევის შემთხვევაში ხომ ადვილად დაზიანდებოდა? ჩვენ კი ვხედავთ, რომ ყველაფერი უვნებლად დგას. ეკლესიის მოძღვრები და მსახურებიც ძალიან ყურადღებით არიან ხოლმე და ყველა მამულიშვილის საფლავებს მზრუნველობენ, განსაკუთრებით პრეზიდენტის საფლავს... ვფიქრობ, გაზვიადებას აქვს ადგილი ან შეგნებულ დეზინფორმაციას ამ ისედაც დაძაბულ ვითარებაში“ო...

ჩვენ ისღა დაგვრჩენოდა ფოტოები გადაგვეღო მოვლილ-მოწესრიგებულ პრეზიდენტის საფლავთან, რათა შეწყვეტილიყო მითქმა-მოთქმა და აჟიოტაჟი. მე, ცხადია, დარგული საზაფხულო ყვავილების (რაზედაც აპელირებდნენ ინფორმაციის გამავრცელებლები) ბედითაც დავინტერეს-

დი; ბატონმა ოთარმა განგვიმარტა, რომ აქ დარგული სეზონური ყვავილები გადახმა, რისგანაც მოსუფთავდა საფლავი და მოჩიჩქვნის კვალიც ეტყობაო. სექტემბრიდან, უთუოდ განაახლებენ ყვავილების ნარგავებსო. (იხ. ჩვენი მზრუნველი რესპონდენტი ოთარ ჭელიძე ნუგზარ მგალობლიშვილთან ერთად).

24 აგვისტოს, დღისით, საფლავზე ასულან ქ-ნ მანანა არჩვაძე სამ ქალბატონთან ერთად, რომლებსაც განუახლებიათ ქოთნის ყვავილები, რაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სიუჟეტშიც ვიხილეთ, მაგრამ, არც კორესპონდენტის და არც ქ-ნ მანანას მხრიდან არაფერი თქმულა საფლავის წინა დღით „დარბევის“ შესახებ, არამედ სიუჟეტი ეხებოდა პრეზიდენტის მკვლელობის გამოუძიებლობის საკითხს(იხ. ლინკი http://rustavi2.ge/ka/news/83340) .

ამადაც, იმ ნიშნისგებას, რომ თითქოს ჩვენ საფლავის მოსანახულებლად ავედით მეორე დღის ღამით, ანუ იმ დროს, როდესაც საფლავი ქ-ნ მანანას მიერ უკვე მოწესრიგებული იყო, ვერ გავიზიარებთ, მითუმეტეს, როცა ინფორმაციის გამავრცელებლებმა, ვერცერთი სერიოზული თუ დამაჯერებელი მტკიცებულება ვერ დადეს დარბევის კადრებისა.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საფლავის, ვითომცდა დარბევის დეზინფორმაციის გამავრცელებელი(პირველწყარო) კი გახლავთ ფეის-მომხმარებელი Kaxaber Mistrali, რომელიც ამოფარებულია „ნიკს“. მე იგი ადრე მყავდა მეგობრებში, მაგრამ ავანტიურისტული პოსტების გამო გავაუქმე მასთან მეგობრობა. როგორც მოგვიანებით გამოვარკვიე Kaxaber Mistrali-ს ფსევდონიმით ფეის-სივრცეში დარეგისტრირებული ეს პიროვნება, რეალურად ყოფილა ქ-ნ მანანას ჯგუფიდან, პროფესიით მხატვარი კახაბერ ხუხუნაიშვილი. მის ინფორმაციაზე დაყრდნობით, საფლავის დარბევის ცნობა გაავრცელა რამდენიმე საინფორმაციო სააგენტომ, ხოლო გაზეთ „ასავალ-დასავალის“ კორესპონდენტი გიორგი გიგაური, ცნობას, ამგვარი სათაურით გამოეხმაურა: „ვანდალები და დამკვეთები სასტიკად უნდა დაისაჯონ!“

მთაწმინდის პანთეონში ვანდალებმა საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და ეროვნული გმირის – ზვიად გამსახურდიას საფლავი დაარბიეს!“

ზვიადის საფლავი, მართლა რომ დაერბიათ, ამ ვინმე „მისტრალის“ ქომაგობის იმედად დარჩებოდნენ ზვიადის შვილები და ამ დრომდე გაიყურსებოდნენ?... საქმე იმაშია, რომ ამგვარი ცრუ ინფორმაცია, ამ ჯგუფმა 2007 წლის 24 მაისსაც გაავრცელა, რაზეც პრეზიდენტის შვილმა გიორგი გამსახურდიამ უპასუხა, რომ ზვიადის საფლავის დარ-

ბევა არ მომხდარა: „გამსახურდიების ოჯახი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას საფლავის დარბევის თაობაზე. როგორც „პირველს“ პირველი პრეზიდენტის ვაჟმა გიორგი გამსახურდიამ განუცხადა, საფლავიდან ქოთნები და ძველი ყვავილები მისი დავალებით აიღეს და არანაირ დარბევას ადგილი არ ჰქონია“ (24 May 2007, 16:09 #5686812· http://pirveli.com.ge).

„მისტრალს“ ანონიმური ვიდეო-ჩანაწერით მხარი აუბა ლონდონიდან (როგორც თვითონ გვამცნობს) ჩამოსულმა **Giorgi Megrelishvili**-მა, რომელმაც საკუთარ ფეის-გვერდზე დადო მობილურით ატვირთული ანონიმი მღვდლისა თუ მორჩილის ხმა, რომელიც თითქოს „ადასტურებს“ პრეზიდენტის საფლავის დარბევას. ჩვენ, ცხადია, გიორგი მეგრელიშვილსაც მოვთხოვეთ გაესაჯაროვებინა მღვდლის ვინაობა, რათა ჩვენც აგვეღო ინტერვიუ „მოწმე მღვდლისგან“, რაზედაც მეგრელიშვილმა კატეგორიული უარით გვიპასუხა. მის უარზე ჩვენი რეაქციაც ანალოგიურად კატეგორიული იყო: ვალდებული ხართ, თქვენივე აუდიოჩანაწერის სანდოობისათვის, დაასახელოთ მამაოს ვინაობა, საბჭოური ანონიმური ავტორების ეპოქა წავიდა! ლონდონში გიცხოვრიათ და იქ ასეთ “პროფესიულ” საქმიანობას ეწევით? საბჭოურ-ჟურნალისტურს? (მინიშნება გავაკეთეთ საბჭოური ხანის გაზეთ „კომუნისტის“ ერთ-ერთ კორესპონდენტ, მის მოგვარე მეგრელიშვილზე...).

გიორგი მეგრელიშვილისა და კახაბერ ხუხუნაიშვილი (– „მისტრალი“ს)-თან პოლემიკაში, ჩვენ ვერც ზრდილობის ეთიკურ ნორმებს წავაწყდით და ვერც ვერანაირ პოლემიკის კულტურას; ისინი, გარდა იმისა, რომ თავად უხეშობდნენ, შემოგვისიეს თავიანთი დამქაშები „მრგვალი მაგიდის“ ჯგუფიდან, რომლებიც უშვერ, შეურაცხმყოფელ და ცილისმწამებლურ სიტყვებს არ იშურებდნენ ჩვენი მისამართით, რაშიც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი **ნინო გრიგოლაშვილმა, ია ბებიამ, გელა რაზმაძემ, ლამარა ქოიავამ, ელზა ჩინჩალაძემ, ლია ქალდანმა...**

ეს ის ჯგუფია ქ-ნ მანანა არჩვაძის „მრგვალი მაგიდიდან“, რომლებიც თავად შედგნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საფლავზე, ბარებითა და ნიჩფებით, 2010 წლის 17 თებერვალს და მოინდომეს მთაწმინდის პანთეონიდან მისი ამოთხრა ქ-ნ მანანას განკარგულებით. ხოლო ამ დღის ნამდვილი და შემაძრწუნებელი ვანდალიზმი კი არცერთ მათგანს არ გაუპროტესტებია, არავის აღმოაჩნდა საღი გონება, ისედაც მრავალგზის წამებული პრეზიდენტის ნეშტისადმი სათანადო პატივისა თუ კრძალვის განცდა და არც სახელმწიფოებრივი თვითშეგნება. ეს თავად ვანდალი

და ბარბაროსი ე.წ. „მრგვალი მაგიდელები“, მერამდენედ ტეხენ საეჭვო ხმაურს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საფლავის, ვითომ ხელახალი დარბევის შესახებ.

ამგვარი ცრუ განგაშები ხომ არ ემსახურება უკეთურ მიზანს ე.წ. მრგვალი მაგიდელების უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ჟღენტის და პრემიერ-მინისტრ მანანა არჩვაძის მხრიდან, რომ საბოლოოდ შექმნან აზრი ზვიადის საფლავის მთაწმინდის პანთეონში დაუცველობის შესახებ და მოამზადონ ალიბი მისი კოლხურ კოშკში გადასვენებისა? ხომ ცნობილია, რომ ქალბატონ მანანა არჩვაძეს არ სურდა ზვიადის დაკრძალვა მთაწმინდაზე და ეს საკითხი, ოდენ, განსვენებული პრეზიდენტის ვაჟიშვილებისა და ქართველი ერის ნებით გადაწყდა, რაც სააკაშვილის ხელისუფლების მიერ პრაგმატული მოსაზრებით იქნა მხარდაჭერილი.

ჩვენი უმორჩილესი თხოვნაა, რომ შეწყდეს მითქმა-მოთქმა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის საფლავთან დაკავშირებით, რამეთუ, ზოგჯერ როყიო ნათქვამსაც შეუძლია ხოლმე დანაშაულის პროვოცირება...

ლეილა ცომაია,
გაზ. „განმათავისუფლებელი“ №54, გვ. 17, 2017 წელი.

მელიასეული სიზმრებ-მოლანდებების ექო

ჩვენში არსებობს ასეთი ხალხური თქმულება: „მელას, რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო!“

90-ან წლებში გაზეთ „ახალი თაობის“ ყოფილი კორესპონდენტი და ამჟამად რადიო „ობიექტივის“ ერთ-ერთი გადაცემის წამყვანი ნინო რატიშვილი, რომელიც ეროვნული მოძრაობის დროს აეტორღიალა ზვიად გამსახურდიას და მის მიერ დაარსებულ „ილია მართლის საზოგადოებაშიც“ კი შედგა ფეხი, მაგრამ ზვიადის ნდობა მაინც ვერაფრით მოიპოვა და ჩამოიცილა იგი, დღეს ხშირად სპეკულირებს ეროვნული მოძრაობისა და ზვიად გამსახურდიას სახელითაც კი!

2012 წლის 10 ივლისის ღამის გადაცემაში მისმა ცრუპენტელობამ კი ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. კერძოდ, მიწვეულ სტუმარ-რესპონდენტებ ბიძინა გუჯაბიძესა და მამუკა გიორგაძესთან თითქმის ერთსაათიანი საუბრის დროს, რატიშვილმა სრულიად მოულოდნელად ასეთი რამ თქვა: „ მე მახსენდება ზვიად გამსახურდიას სიტყვები. და მე მაშინ ვიყავი ძალიან გაკვირვებული. იმიტომ, რომ მაშინ ვიყავით ამერიკულ ხიბლებში და იცით, რა მითხრა ერთხელ? CNN კორესპონდენტები მივიყვანეთ ბატონ ზვიადთან და... ასეთი რამ მითხრა: „ყველაზე უკანასკნელი რუსი სუკის ჯაშუში მირჩევნია ყველაზე დემოკრატ ამერიკელს“ო! (იხ. გადაცემის ჩანაწერი http://www.obieqtivi.net/sqvideo.php?sqvid=8133 ქრონომეტრაჟის 29 წთ. და 57 წმ-დან) და მე მაშინ ვიფიქრე – ეს, როგორ! და გავიდა წლები და ... მივხვდი, რომ ზვიადმა მართალი მითხრა!“

ყველა გონიერ ადამიანს, მისი მოსმენისას ბუნებრივად გაუჩნდებოდა კითხვა: „რატომ არ დაბეჭდა ჟურნალისტმა ნინო რატიშვილმა ბატონი ზვიადის ეს სიტყვები მაშინ, იმ პერიოდის პრესაში?!“

ასევე, ჩვენ გაგვიჩნდა ბუნებრივი მოლოდინი, რომ ზვიად გამსახურდიას პრეფექტი და გადაცემის სტუმარი ბიძინა გუჯაბიძე მაინც გააკეთებდა რაიმე განმარტებას რატიშვილის ამ სენსაციურ განცხადებაზე, მაგრამ ამაოდ! ხოლო ეროვნული მოძრაობის სხვა წარმომადგენელმა – ილია მართლის საზოგადოების წევრმა დ. ჩაჩანიძემ, რომელიც 90-იანი წლების შემდგომ აშშ-შია ემიგრირებული, რატიშვილის ეს სიზმრისეული ბოდვა, სამ დღეში ფრთიან ფრაზად აქცია და ზვიად გამსახურდიას სურათზე დააბეჭდა (იხ. ქვემოთ). სავარაუდოდ, იგი გახლდათ აქტივისტი იმ ერთადერთი სატელეფონო ზარისა, რომელიც გადაცემაში აშშ-დან

ჩაირთო. დაჩი ჩაჩანიძე სოციალურ ქსელში, ხან დაჩი ქართველის, ხან ლევან ქართველიშვილის, ხან ირაკლი ქართველიშვილის... ფსევდონომით (ნიკით) შემოდის და ზვიადის ქვემოთმოყვანილი ფოტოც ცილისმწამებლური წარწერით, თავდაპირველად ირაკლი ქართველიშვილის ნიკით გაავრცელა, რაც თავის კედელზე გაიზიარა კახა კუკავამ.

ამგვარმა წიაღსვლამ ჩემში მაშინვე გააჩინა ეჭვი, რომ ქართველიშვილი და კუკავა ერთი პლათფორმისა და ერთი პოლიტიკური ორიენტაციის პერსონები იყვნენ, რომელთაც სწორედ რომ მაცოცხლებელ ფრაზად წაადგათ რატიშვილისეული ნაბჟუტურები. მე მაშინვე მოვითხოვე „ქართველიშვილისგან“, რომ დაესახელებინა წყარო ზვიადის ამ სიტყვებისა, რადგან რადიო „ობიექტივის“, რომელსაც შევარდნაძეები აფინანსებენ, მსმენელი არ გახლავართ და არ მომისმენია რატიშვილისთვის. ქართველიშვილმა თავდაპირველ წყაროდ დამისახელა 1991 წლის 2 ივლისის „საქართველოს სამრეკლო“, რასაც ჩემი ეს პასუხი მოჰყვა:ბატონო ირაკლი ქართველიშვილო, თქვენა ხართ ავანტიურისტი და ყალბისმქმნელი!... საზოგადოებისა და კახა კუკავას საყურადღებოდ კი ვალდებული ვარ განვაცხადო, რომ: გაზეთ “საქართველოს სამრეკლოს” ერთადერთი ნომერი გამოვიდა 1923 წელს კონსტანტინე გამსახურდიას რედაქტორობით, რომლის გამოცემა 1992 წელს აღადგინა კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებამ (და არა 1991 წელს). მისი გამოცემა 1993 წელსაც ძალადობით შეაწყვტინა ხუნტამ.

1992-93 წლების “საქართველოს სამრეკლოს” რედაქტორ-გამომცემელი გახლდათ ელიზბარ ჯაველიძე. 1996 წელს გაზეთის გამოცემა განაახლა ჯემალ დავლიანიძემ და მისი რედაქტორობით გამოდიოდა 1996 წლის ივლისამდე, ხოლო 1996 წლის ივლისიდან 1999 წლის თებერვლამდე გაზეთს რედაქტორობდა აწგანსვენებული უზენაესი საბჭოს დეპუტატი აკაკი მათიაშვილი და ზურაბ წულაია, რომელთა დროსაც გაზეთის გამოცემა შეწყდა და ამ დრომდე შეწყვეტილია.

ასე, რომ ვინმე ირაკლი ქართველიშვილის (დაჩი ჩაჩანიძის) განცხადება, რომ თითქოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ჩვენს მიერ გაპროტესტებული ციტატა, ვითომ დაბეჭდილია 1991 წლის 2 ივლისის „საქართველოს სამრეკლოში“ – მტკნარი სიცრუეა! პოლიტიკოს კუკავს კი მოეთხოვება მეტი სიფრთხილით მოეკიდოს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის იდეურ და პოლიტიკურ მემკვიდრეობას და ნუღარ შეეცდება თავის რუსულ იმპერიალისტურ ორიენტაციას მოარგოს იგი!

ქართველიშვილი მიმდინარე წლის 4 იანვრიდან დამეკონტაქტა, აწ უკვე დაჩი ქართველის ნიკით (ფსევდონიმით) და მომწერა:

 ***დაჩი ქართველი*** *ლეილა, ეს ჩემი გაკეთებული სურათია. რა არ მოგეწონათ, ან ტყვილი რა ნახეთ მანდ?!*



მე სკაიპით დავუკავშირდი დაჩი ქართველს და შევეცადე დამერწმუნებინა იგი, რომ ეს სიტყვები არ ეკუთვნის ზვიად გამსახურდიას და სურათიდან უნდა წაეშალა წარწერა. მხოლოდ ამ მოთხოვნის შემდეგ გამომიგზავნა მან ეს ზემოცემული „ობიექტივის“ ლინკი, საიდანაც გაცხადდა ჩემთვის ამ ცილისმწამებლური სიტყვების გავრცელების ნამდვილი წყარო ნინო რატიშვილის სახით. უნდა გითხრათ, რომ ამ წარწერიანმა ზვიადის ფოტომ დიდი აღშფოთება გამოიწვია facebook-ის სხვა მომხმარებლებშიც ყალბისმქმნელის მიმართ, რომლებსაც ენერგიულად იგერიებდა თავად წარწერის ავტორი დაჩი ქართველი (ჩაჩანიძე), რომელიც ამჟამად კახა კუკავას აქტიურ თანამოაზრედ გვევლინება.

ჩემს გულწრფელ გაკვირვებას იწვევს, რა აკავშირებდათ ამ რუსეთუმეებს (ნინო რატიშვილს, დაჩი ჩაჩანიძეს, ბიძინა გუჯაბიძეს, ზვიად ძიძიგურს...) ეროვნულ მოძრაობასა და ზვიად გამსახურდიასთან, რომლის პოლიტიკური ორიენტაცია იყო პირველი ეტაპისთვის ევროპა, დასავლეთი, ხოლო შემდგომ და საბოლოოდ – კავკასიის ერთიანი სახელმწიფო?

ლეილა ცომაია,
გაზ. "განმათავისუფლებელი", №35, 2013 წ.

მზიანი მეუფე, რომელიც მოკლეს

დღემდე არ ცხრება ინტერესი მეუფე ამბროსის (ქათამაძე) მოულოდნელი და უეცარი გარდაცვალების მიმართ. მეუფე, 2008 წლის 26 ნოემბერს აბაზანის კართან უსულოდ მომწყდარი იხილა მისმა უფროსმა შვილმა მამა ნოდარმა. მეუფე 67 წლისა იყო.

გაიზიარა თუ არა მეუფე ამბროსმა კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის ბედი და ნიშანდობლივია, თუ არა გარდაცვალების თარიღებისა და ადგილების თანხვდენაც, ამის გარკვევას ჩვენ თანმიმდევრულად შევეცდებით.მანამდე კი, ორიოდ სიტყვით, კირიონ II-ის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების ისტორიასაც გავიხსენებთ.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მოღვაწე ეპისკოპოსი კირიონ II, 1918 წლის 26 ივნისს, სახლში ტყვიით განგმირული იპოვეს. კირიონ II-ის მსგავსად, მეუფე ამბროსიც, მრავალწლიან დევნილობაში რუსეთში იმყოფებოდა. მეუფე ამბროსი საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეკლესიის სიწმინდის დაცვა-შენარჩუნებისათვის იბრძოდა, ვინაიდან აცნობიერებდა რა, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას, აწ უკვე სხვაგვარი ფორმით, უცილობლად მოჰყვებოდა ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვაც.

ისევე, როგორც კირიონ II-ის მკვლელობა, მეუფე ამბროსის მკვლელობაც შიდა საეკლესიო დაპირისპირებისა და ანტიეროვნული ძალების ინტერესთა თანხვედრის შედეგად განხორციელდა. განსხვავება მხოლოდ მკვლელობის იარაღშია; დღევანდელმა სპეცსამსახურებმა აშკარად დახვეწეს მკვლელობის მეთოდები და არასასურველი პერსონების წინააღმდეგ მათთვის ხელსაყრელ მომენტში უკვე ეფექტურად იყენებენ გაზით (CO) მოწამვლის, ანუ უსისხლო მკვლელობის მეთოდებს. გულითადი ქადაგ-მლოცველი მეუფე ამ-

ბროსისათვის განუყოფლად სისხლხორცეული იყო, როგორც საეკლესიო, ასევე საერო ცხოვრებაც. ამგვარი მაღალსულიერების გამო იგი გულგრილი ვერ დარჩა 1989-92 წლებში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის გაჩაღებული ბრძოლების მიმართ და მტკიცედ დადგა ჯერ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწორუპოვარი ლიდერის, ხოლო შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მხარდამხარ და საკუთარი ორი ვაჟიშვილიც ჩააბა სამშობლოს თავისუფლების დაცვაში. ამ იდეური მრწამსით მეუფე ამბროსი მკვეთრად გაემიჯნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და სინოდის იმ წევრებს, რომლებიც რუსეთის იმპერიის მიერ დაფინანსებულ და ორგანიზებულ სამხედრო-კრიმინალურ ხუნტას თანაუგრძნობდნენ საქართველოს ეროვნული პრეზიდენტისა და მისი ხელისუფლების დამხობის გადაწყვეტილებაში.

ისევე, როგორც კირიონ II (მკითხველს შევახსენებთ, რომ იგი, საქართველოს ეკლესიამ, წმინდანად მხოლოდ 2002 წ. შერაცხა), არც მეუფე ამბროსი ყოფილა მარტო თავის წმინდა ბრძოლებში; თუ კირიონ II ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში გვერდით ედგა მიტროპოლიტი ლეონიდე (ოქროპირიძე, შავ-ბნელი ძალები, კვალის არევის მიზნით, კირიონ II-ის მკვლელობას მასაც კი აბრალებდნენ), ასევე მეუფე ამბროსის მხარდამხარ იბრძოდა მეუფე ქრისტეფორეც (წამალაიძე), რომელიც საპატრიარქომ, აგრეთვე განკვეთა და დღემდე ამაოდ ითხოვს თავის უფლებებში აღდგენას.

მთავარეპისკოპოსი ამბროსის (ქათამაძე) მკვლელობის გარემოებებისა და მიზეზების უკეთ გარკვევაში ჩვენ ინტერვიუ ვთხოვეთ მის უფროს ვაჟიშვილს მამა ნოდარს.

– მამა ნოდარ, რა დასკვნა დადო ექსპერტიზამ, რითი გარდაიცვალა მამათქვენი, მეუფე ამბროსი?

– ქალბატონო ლეილა, მამაჩემის უეცარ გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჩვენ შვილებსა და ოჯახის სხვა წევრებს მაშინვე გაგვიჩნდა ეჭვი მისი ბუნებრივი აღსრულების მიმართ, ვინაიდან მამა სრულიად ჯანმრთელი, ენერგიული, სულიერად და ფიზიკურად ძლიერი

კაცი იყო, მას წნევაც კი არასოდეს აწუხებდა და არასოდეს მიუღია რაიმე წამალიც. ყოველივეს გათვალისწინებით, განსაკუთრებით დავინტერესდით ექსპერტიზით. ექსპერტის დასკვნით მამაჩემის ორგანიზმში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით -68% გაზი (ჩ), რამაც გამოიწვია მისი სიკვდილი.

– თქვენი აზრით, საიდან უნდა აღმოჩენილიყო მის ორგანიზმში გაზი, ჰქონდა მას გაზის გამათბობელი?

– მამას არანაირი გაზის გამათბობელი არ ჰქონდა და იგი საერთოდ არ იყო მცივანა, ძლიერი სიცივეების დროს მხოლოდ ელექტრო-სათბურს იყენებდა ლოგინში და ისიც მცირედი ხნით. ჰქონდა, მხოლოდ, გაზის წყლის გამაცხელებელი, რომელსაც სარეცხისთვის იყენებდა.

– იქნებ, სწორედ ამ დანიშნულებით ჩართვისას დაგროვდა გაზი ოთახში?

– მამა მე 27 რიცხვში ვნახე გარდაცვლილი და ექსპერტის დასკვნით იგი 26-ში გარდაცვლილა. მე, როცა მამის საცხოვრისში შევედი იქ ჩართული არ დამხვედრია, არც გაზის ე. წ. პლიტა და არც წყლის გამაცხელებელი. აბაზანში, ეტყობა ცუდად გახდომის გამო უნდოდა შესვლა, მაგრამ უკვე სიკვდილი დაუდგა. იგი, ყოველ დღე, აბაზანაში დაგროვილი ცივი წყლით ბანაობდა, ზამთარ-ზაფხულ და იქაც "ვინტილატორი" ჰქონდა ჩართული.

– დაინტერესდა, თუ არა პროკურატურა მომხდარი ფაქტით?

– როგორ არა, დაინტერესდა და საქმეც აღიძრა 108 მუხლით, ანუ განზრახმკვლელობის მუხლით. მამას ჰაერის გათბობა არ უყვარდა, ელექტრო ქურასაც კი არ მართვევინებდა-ხოლმე, "ა, ბიჭო, ისუნთქე სუფთა ჰაერიო", მამუნათებდა. სამზარეულოს დიდი სარკმელი, ზამთარშიც კი, მუდამ ღია ჰქონდა. იგი მთელი ცხოვრება ვარჯიშობდა, ექსპერტებმა თქვეს, ბავშვის ორგანოები ჰქონდაო, ხოლო გარეთა კანი 30 წლის ბიჭისაო; იმდენად ჯანსაღი და წმინდა ცხოვრებით ცხოვრობდა, ერთთავად ლარივით გაჭიმული დადიოდა. მე, თვითონ სახალხოდ მლანძღავდა "ღიპი და ჯიპი არ უნდა ჰქონდეს მღვდელსო".

– მამა ნოდარ, თქვენ ცალ-ცალკე ცხოვრობდით?

– დიახ, მე ჩემი ოთხი შვილით და მეუღლით ცალკე ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ, მამა ცალკე ნაქირავებში ცხოვრობდა. ხშირად ვთხოვდი, ერთად გვეცხოვრა, მაგრამ იგი მეუბნებოდა, ერთად ცხოვრების ჟამს მეტი დრო ბავშვების მოფერებაში უნდა გავატარო და ლოცვას დავაკლებო. იგი ბერული ცხოვრებით ცხოვრობდა და როცა შინ იყო სულ ლოცვაში ატარებდა. ლოცვის დროს ტელეფონზე არ მპასუხობდა და მეც მიჩვეული ვიყავი. ამიტომაც გამომეპარა ის ერთი დღე, ტელეფონზე, რომ არ

მპასუხობდა, ვიფიქრე ლოცვებშია-მეთქი, თურმე თავს უბედურება დამტყდომია.

– მამა ნოდარ, მეუფე ამბროსს ჩემთანაც და სხვასთანაც არაერთხელ უთქვამს, მომკლავენო და ამასვე შიშობდა თქვენზეც, თქვენთვის მსგავსი არაფერი აქვს ნათქვამი?

– დიახ, ბოლო სამი თვის განმავლობაში იგი ამას ამბობდა. მამა, მებრძოლი ღვთისმსახური იყო და ამის გამო გარკვეულ ძალებში არსებობდა მისი თავიდან მოცილების სურვილი, მოგეხსენებათ, მე მამას მძღოლიც ვიყავი და ორჯერ საიდუმლო ვითარებაში ნახევრად გადახერხეს ჩემი მანქანის საჭის ღერძი, რამდენჯერმე ავარია მოგვიწყვეს, რამდენჯერმე გვესროლეს.

– გესროლეს კიდეც?

– დიახ, სხიერობას, 1990 წელს ონის რაიონში მამას ესროლეს მაშინდელმა კგბ-ს თანამშრომლებმა (ეროვნული ხელისუფლება ჯერ არ იყო მოსული) და მე ავეფარე, ტყვია ხელში მომხვდა... მამას შეურაცხჰყოფდნენ, აკნინებდნენ, ფიზიკურადაც ეხებოდნენ. "მხედრიონელებმა" გაიტაცეს ჩემი ძმა სულხანი. მოგეხსენებათ მამაჩემი, – მეუფე ამბროსი, მე და ჩემი ძმა, სამხედრო გადატრიალების დროს უზენაეს საბჭოს შენობაში შევედით და დავდექით კანონიერი ეროვნული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გვერდით. მამამ დროებით ამყარა ხარისხი (დეკანოზობა), შემიჩერა მღვდელმოქმედება და განმიცხადა, რომ იარაღით ხელში დამეცვა ჩემი ქვეყნის ეროვნული პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გარანტი. მე ბედნიერი ვარ, რომ ეს არანაკლებ ამაღლებული დღეები გავიარე და არასოდეს ვინანებ ამას.

– სამხედრო გადატრიალების შემდგომ თქვენ სად წახვედით?

– ჩვენ სამივენი წავედით ტყიბულში და იქ სამლოცველოს შევაფარეთ თავი, მაგრამ იქაც მოვარდნენ "მხედრიონელები", დაცხრილეს ხატები და ჩვენ იარაღის ლულის ქვეშ დაგვაყენეს, სასტიკად გვცემეს, სადღაც გაიტაცეს ჩემი ძმა. როგორც იქნა დავიხსენით იგი და გადავწყვიტეთ სამივეს, როგორმე დაგვეტოვებინა საქართველო. გადაცმულებმა ბათუმიდან მოვახერხეთ სოჩაში ჩასვლა ნათესავებთან, სადაც დავყავით ერთი წელი. ერთი წლის შემდგომ გავემგზავრეთ მოსკოვში ბიძაშვილთან, სადაც 2003 წლამდე ვიმყოფებოდით და საქართველოში ჩამოვედით მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქაშუეთის ეკლესიაში, სახელმწიფო მინისტრ გურამ აფსანძესა და პრეზიდენტ სააკაშვილის ხელმოწერით გაფორმდა ე. წ. შერიგების აქტი 2004 წელს. ჩვენ, არც რუსეთში ვიყავით უსაფრთხოდ. თავდასხმა მამაზე მოსკოვშიც განხორციელდა, მას თავს დაესხნენ

“მხედრიონელები” და მამა პერაგოვოს საავადმყოფოში იწვა კარგა ხანს.

– მამა ნოდარ, მეუფე ამბროსი განკვეთილი იყო საპატრიარქოდან?

– დიახ, საპატრიარქომ 1996 წელს მეუფე ამბროსი განკვეთა “ეპარქიის თვითნებურად მიტოვების გამო” (სხვათაშორის ამ მოტივით განკვეთეს მეუფე ქრისტეფორეც – წამალაიძე). სინამდვილეში კი პრეზიდენტ გამსახურდიას დაცვის, – ხოლო შემდგომ გროზნოში აწგანსვენებული პრეზიდენტისათვის წესის აგების გამო მეუფე ქრისტეფორე წამალაიძე და მეუფე ამბროსი ეკლესიიდან განკვეთეს. მამაჩემი იყო ჯერ ეპისკოპოსი, შემდგომ მთავარეპისკოპოსი, რომელიც განკვეთის გამო იძულებული გახდა დაკავშირებოდა საზღვარგარეთის ეკლესიას, რუსეთის იმ ეკლესიის დაჯგუფებას, ფრთას, რომელიც არ შეეკრა კომუნისტურ კგბ-ს, გამოეყო სერგიანელებს და წავიდნენ საზღვარგარეთ. დღეს უკვე შერიგებულები არიან რუსეთში ოფიციალურად მოქმედი და საზღვარგარეთის რუსული კატაკომბური ეკლესიები. მამა მოსკოვში მიიღეს ამ ეკლესიის ერთ-ერთ შტოში და აღიარეს პირველ იერარქად და მიტროპოლიტის ხარისხიც უბოძეს. იმის გამო; რომ მამა ეკლესიის გარეთ არ ყოფილიყო, იძულებული იყო დროებით ასე გაეგრძელებინა ღვთისმსახურება.

– ეს იყო რუსული მართლმადიდებლური ეკლესია?

– დიახ, ჭეშმარიტად მართლმადიდებლური კატაკომბური ეკლესია, რომელიც არ თანამშრომლობს ხელისუფლებასა და კგბ-სთან, არამედ ეწევა წმინდა მღვდელმსახურებას. იქ არ არის პატრიარქის წოდება, არამედ მაღალ იერარქიულ პირს ჰქვია “ადგილის მოსაყდრე”.

– ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერსმოკლებული არ უნდა იყოს მეუფის პირადი ცხოვრება, როგორ ცხოვრობდა იგი?

– მეუფე წმინდა ბერული ცხოვრებით ცხოვრობდა. ამის გამო იგი ხორციელად განერიდა ოჯახს და შვილებიც გავიყავით. სულხანი დედასთან დარჩა და მამასთანაც ხშირად ჩამოდიოდა, მე მამასთან დავრჩი და დედასთანაც ჩავდიოდი. ერთად ყოფნის დროს მამა შვილებს გვივლიდა, გვირეცხავდა, გვიუთოვებდა, შეჭამადს გვიკეთებდა და გვიკერავდა კიდეც. მამას ყველაფერი ეს ზედმიწევნით კარგად და ხარისხიანად გამოსდიოდა.

– და თვითონაც ერთთავად საგულდაგულოდ მოვლილი დადიოდა და ჩვენ გვეგონა, მას ვინმე დამხმარე მორჩილი ქალი ჰყავდა.

– არა, ყველაფერს საკუთარი ხელებით აკეთებდა და დარჩენილ დროს გულმხურვალე ლოცვაში ატარებდა. მამამ, 1978 წელს გახსნა ნიკორწმინდის საკათედრო ტაძარი და განკვეთამდე იყო სინოდის წევრი. მამა დაბადებულია 1941 წელს.

– მამა ნოდარ, თქვენ ამჟამად სად მსახურობთ?

– უწმინდესის ლოცვა-კურთხევით ვმსახურობ სამების საკათედრო ტაძარში, მამაც, ბოლოს სამების ტაძრის მორჩილი იყო.

– ჩვენ მეუფისაგან ვიცით, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თანადგომის გამო პატრიარქი მეუფისაგან მონანიებას მოითხოვდა და მხოლოდ ამის შემდგომ აღუთქვამდა უფლებებში აღდგენას.

– არც მამა მოინანიებდა და არც მე არასოდეს მოვინანიებ ჩემი ქვეყნის ეროვნული პრეზიდენტისა და თავისუფლების დაცვას, ეს არა მარტო ერის კაცის, არამედ ყოველი ბერისა და ღვთისმსახურის მოვალეობაცაა.

ლეილა ცომაია

გაზეთი „განმათავისუფლებელი“ №19, 2009 წ.

მძინარე მოწმე
მლვიძარეზე უფრო პირმტკიცე!

„მძინარე მოწმე“, ეს ეპითეტი, პირველად, აწ გარდაცვლილი „რევოლუციონერი“ პოეტის იზა ორჯონიკიძის სამხილად გამოვიყენე და ამ სათაურითვე დაიბეჭდა გაზეთის „ახალი ეპოქა“ (8-11 ივნისი 2001) – დამატებაში „ჩვენი მწერლობა“ (იხ. 8-15 ივნისი, 2001, გვ. 9-10).

ხსენებულ წერილში ბ-ნ ბესარიონ გუგუშვილის სიტყვებიც ერთ-ერთ არგუმენტად მოვიხმე და რას ვიფიქრებდი, რომ გავიდოდა ხანი და მძინარე მოწმის სტატუსით, ი. ორჯონიკიძის მსგავსად, თავად ბესარიონიც მოგვევლინებოდა და ისიც... სწორედ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ!

დიახ, კატაკლიზმები პოლიტიკის მახასიათებელიცაა და მისგანაც გვიწევს დაცვა ჩვენი წამებული პრეზიდენტის, რომელიც ბ-ნ ბესარიონმა, ფინეთიდან ერთ-ერთ სატელევიზიო ჩართვისას (I არხი), დემაგოგიურად სულ „მაოხრებელ მკვდრად“ იხსენია.

მძინარე მოწმე ბ-ნი გუგუშვილი, 1994 წლიდან დღემდე პირმტკიცედ ადასტურებს, რომ პრეზიდენტმა თავი მოიკლა და ჯიუტად ცდილობს მისეული პრეზუმფცია დადასტურებულ ფაქტად შემოგვასაღოს. უფრო მეტიც, ყველას მიმართ მისი პრინციპული მოთხოვნაა, **თვითმკვლელობის გარდა**, არამც და არამც სხვა ვერსია არ განიხილონ!

გუგუშვილი, თავის ყველა ინტერვიუში, ჭირვეული ბავშვივით ე.წ. საგარანტიო ფურცელს გვიფრიალებს და „კიკუ-კოკოისტებად“ გვიხსენიებს ყველას, ვინც პრივატული „ხელშეკრულება“ ფარატინა ქაღალდად ვუქციეთ.

„ოჯახის მიერ დადებული პირობის თანახმად, ... გამსახურდიას ოჯახი უნდა ყოფილიყო ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიის გარანტი და მცველი! ანუ, გამსახურდიას ოჯახს არასდროს უნდა წამოეყენებინა სხვა ვერსია, გარდა თვითმკვლელობისა და ყოველთვის უნდა დაეცვა სწორედ და ზუსტად თვითმკვლელობის ვერსია“. ამონარიდი გუგუშვილის ინტერვიუდან მადლენ მაჭარაშვილთან (9-04-2010,16:45).

გუგუშვილის თავდაცვის ტაქტიკა ქილიკი და შეურაცხყოფაა.

მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების დამდგენმა საპარლამენტო კომისიამ მუშაობა

მაინც დაასრულა და კომისიის თავმჯდომარე კონსტანტინე გამსახურდიამ 346 გვერდიანი დასკვნა პარლამენტს წარუდგინა. პარლამენტმა კენჭისყრით მიიღო გადაწყვეტილება „დასკვნითი დოკუმენტის“ პროკურატურისათვის გადაცემის თაობაზე პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზების ხელახალი გამოძიების მიზნით. დაიწყება თუ არა ობიექტური გამოძიება სააკაშვილის პროკურატურაში, ძნელი სათქმელია. დიდი იმედები, ალბათ, არც უნდა გვქონდეს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ „დასკვნითი დოკუმენტი“ აუცილებლად იქცევა რომელიმე ხელისუფლების სამართალწარმოების საქმედ.

და ბოლოს, სამწუხაროდ ჩვენი შიში ე. შევარდნაძის დაკითხვა-არდაკითხვასთან დაკავშირებით გამართლდა, საპარლამენტო „დასკვნაში“ არ არის მოთხოვნილი მთავარი სახელმწიფო დამნაშავის და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის დამკვეთის ე. შევარდნაძის დაკითხვა, რაც ყოვლად გაუმართლებელ და გაუგებარ ქმედებად მიგვაჩნია. კომისიის წევრების ახსნა, შევარდნაძის „დაკითხვის“, ვითომცდა ასაკთან შეუთავსებადობის შესახებ, დემაგოგიური მიეთ-მოეთი და არასამართლებრივი არგუმენტია.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან დაკავშირებული საპარლამენტო კომისიის დასკვნა ვერ იქნება რაიმე ფასეულობების შემცველი (ვერც ისტორიული და ვერც სამართლებრივი) თუ მასში არ იდება პრეზიდენტის მკვლელობის შემკვეთი სახელმწიფო დამნაშავის ე. შევარდნაძისა და მკვლელობის მთავარი თვითმხილველი მოწმის ბატონ ბესარიონ გუგუშვილის დაკითხვის ოქმები.

გამოვთქვამთ იმედს, რომ დასკვნა არ იქნება სუროგატი, არამედ, საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ბატონი კონსტანტინე გამსახურდია, ქართველ ერს და პროგრესულ საერთაშორისო საზოგადოებასაც წარუდგენს სრულყოფილ და სერიოზული მტკიცებულებებით გაჯერებულ (დროის ფაქტორი, აწ უკვე ამის შესაძლებლობას ქმნის) დასკვნას დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან დაკავშირებით, რითაც ბატონი კონსტანტინე ერთობ ამაღლდება მადლიერი ქართველი ერის თვალში და სათანადო პატივსაც დაიმსახურებს.

ასევე აუცილებლად მიგვაჩნია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ქვრივის ქ-ნ მანანა არჩვაძეის დაკითხვა, რაც პროკურატურის მხრიდან უნდა განხორციელდეს.

ლეილა ცომაია

გაზეთი „განმათავისუფლებელი“, 2011 წლის აპრილი, №28.

პოსტები FACEBOOK-იდან ვახტანგ ბეგიაშვილი და სხვა

დღეს ე.წ. უფლებათდამცველი **ნანა კაკაბაძე**, თურმე უარყოფს რაიმე ოფიციალურ თანამშრომლობას ჯაბა იოსელიანთან. 1992 წლის 24 სექტემბერს მე და ვალერია ნოვოდვორსკაია ჯაბა იოსელიანისა და კიტოვანის ხუნტამ დაგვაპატიმრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში პროკლამაციების გავრცელებისა და ხუნტის არჩევნების ბოიკოტირების მოწოდებების გამო სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების თვალწინ. ჩვენ ფიზიკური ძალადობით ჩაგვყარეს მანქანაში და მიგვიყვანეს ვაკის რაიონის მილიციაში, სადაც დილამდე გვამყოფეს. დილას კი მიგვგვარეს ჯაბა იოსელიანთან იმელის შენობაში. ჯაბა იოსელიანის კაბინეტი გადავსებული იყო მხედრიონელებით, ჩემი უნივერსიტეტის ნაცნობებიდან მათ შორის იმყოფებოდნენ **თენგიზ შარმანაშვილი და ვახტანგ ბეგიაშვილ-ბეგიზოვი** (ჯაბას მოადგილე), რომელიც მის ძმასთან ერთად მოგვიანებით მსხვილი ბიზნესმენი გახდა (ლამის ნახევარი თბილისის სახელმწიფო შენობების, მათ შორის გამომცემლობა „სამშობლოს“ მფლობელი) და რომელსაც სააკაშვილმა დაუყადაღა უკანონოდ მითვისებული შენობები და ძმასთან ერთად ევროპაში იყო გახიზნული.

„დევნილ-შევიწროებული“ ძმები ბეგიაშვილები ივანიშვილის პარლამენტმა „დევნილი ბიზნესმენების“ სტატუსით დააბრუნა საქართველოში და დაუბრუნეს წართმეული ქონებაც, ანუ „აღუდგინეს სამართლიანობა“.

„იმელის“ რეზიდენციაში კი ჯაბასა და ბეგიაშვილ-ბეგიზოვის თავზეხელაღებული „მხედრიონელები“ აგრესიას გამოხატავდნენ ჩემს მიმართ ეროვნული ხელისუფლების მიერ ბორჯომიდან (მათი თქმით) ოსების გასახლების გამო (მათი თქმით, ჯაბას ბებიაც ოსი იყო) და ეს ჩემზე დაგეშილი ბიჭებიც, უთუოდ თბილისელი ოსები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც ასე იძიებდნენ შურს ჩემზე ოსების დაჩაგვრის გამო...

ჯაბა იოსელიანთან მიყვანილ ტუსაღებს, იქ დაგხვდა, აგრეთვე ნანა კაკაბაძე ყავის საფქვავით ხელში, რომელსაც ენერგიულად და თვითკმაყოფილი აბრუნებდა. ნანა კაკაბაძეს დისიდენტობის წლებიდან ვიცნობდი და ჯაბასთან მყოფს ამგვარად მივესალმე: „ოჰ, ნანა, გილოცავ ჯაბასთან ყავის მფქველის თანამდებობას“-მეთქი. ჩემმა ირონიამ ნანა გაამწარა, მამაკაცებმა კი შემისწორეს, მდივანიაო. „იცნობო?“ ჩამე-

კითხა ჯაბა ნანა კაკაბაძეზე. „ერთ დროს მეგონა თანამებრძოლები ვიყავით“-მეთქი... ვუპასუხე.

იმ დღიდან, უნივერსიტეტში ჩემი ყოფნის 18-წლიანი პერიოდი დასრულდა; მეორე დღეს, სამსახურში მისულს, ჩემი სამსახურის ოთახის კარი ხის ფიცრებით ჯვარედინად აჭედილი დამხვდა, ხოლო თანამშრომლები გვერდით ოთახში გადაეყვანათ.

დავრჩი უმუშევარი!

Leila Tsomaia

2012 წლის 6 დეკემბერი, ხუთშაბათი

ბიძინა ივანიშვილის პარლამენტმა(ეკა ბესელია), ბიზნესმენ ძმებს დავით და ვახტანგ ბეგიაშვილებს პოლიტდევნილის სტატუსი მიანიჭა. ძმებ დავით და ვახტანგ ბეგიაშვილებს ის სოლიდური ქონება, 90-იან წლებში, სწორედ სიმბოლურ ფასად აქვთ მითვისებულ-მიტაცებული იმ „დამსახურებებისათვის“, როცა ისინი იარაღით ხელში ებრძოდნენ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ეროვნულ მთავრობას. ვახტანგ ბეგიაშვილი ერთერთი იყო იმ შეიარაღებული ხუნტისტებიდან **(ჯაბა იოსელიანის მოდგილე გახლდათ)**, რომლებიც 6 იანვარს შეიჭრნენ მთავრობის სასახლეში, დაარბიეს და შიგნიდანაც გადაწვეს სასახლე, ხოლო უზენაესი საბჭოს დეპუტატები დააპატიმრეს და ღირსების შემლახველი ქმედებით გამოიყვანეს სასახლიდან. ძმები ბეგიაშვილები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ხუნტისტური ხელისუფლების მიერ შემდგომ წარმოებულ ეროვნული ხელისუფლების მომხრეთა რეპრესიებში, ეროვნული მოძრაობის მიმართ. ვახტანგ ბეგიაშვილი გახლდათ თსუ კომკავშირის კომიტეტის მდივანი, შემდეგში „მხედრიონელი“ და ე.წ. სახელმწიფო საბჭოში ჯაბა იოსელიანის მოადგილე და ხუნტის პარლამენტის წევრი. ხოლო, ირაკლი ოქრუაშვილის ოპოზიციაში გადასვლისა და პოლიტიკურ ლიდერად გააქტიურებისთანავე, იგი მის პარტიაშიც გაწევრიანდა და მის ადმინისტრაციის უფროსად იქცა.

თუ არ იქნა გამოკვლეულ-გამოძიებული, შევარდნაძის პერიოდის საქართველოში, როგორ აღმოცენდნენ და გაჩდნენ ღატაკები და მდიდარ-მილიონერები მაშინ, არც ივანიშვილის ხელისუფლებას ექნება უფლება განაცხადოს, რომ იგი არის სახალხო ხელისუფლება და მისი მიზანია აღადგინოს სამართლიანობა და კანონი!

2009 წლის 26 მარტს ვახტანგ ბეგიაშვილმა „საზოგადოებრივ“ დარბაზში“ ჩაატარა ბრიფინგი იმასთან დაკავშირებით, რომ წინა ღამით,

თითქოს მას სახლის სადარბაზოსთან თავს დაესხა 14-მდე პირი, რომლებმაც დაუწყეს ცემა, მოხრჩობა და მუქარა, თუმცა მას არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება თავდასხმის დამადასტურებული, არამედ გარეგნულადაც სრულიად საღ-სალამათად გამოიყურებოდა.

ეს ბრიფინგი მის მიერ გამოყენებულ იქნა მთავარ მოტივად, რათა პოლიტდევნილის სტატუსით ემიგრირებული ყოფილიყო შვეიცარიაში, სადაც იგი დღემდე იმყოფება თავის ბიზნესმენ ძმასთან ერთად. მხედრიონელი ძმები ბეგიაშვილები, რომლებმაც ყაჩაღობის გზით მიითვისეს სახალხო ქონება, აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ საქართველოში, ხოლო მათი ქონების სამართლიანი კუთვნილების საკითხი კი გამოძიებულ-გამოკვლეულ იქნას!

იხილეთ ბრიფინგის ლინკი : http://1tv.ge/news-view/3116?lang=en

Leila Tsomaia

2014 წლის 1 აპრილი ·

დავით და ვახტანგ ბეგიაშვილები, სწორედ „მხედრიონელობით“ გახდნენ, ლამის ნახევარი თბილისის მფლობელები; მიტაცებული სახელმწიფო ქონების დაკანონების ხრიკით „ბიზნესმენები“ დაირქვეს და როდესაც მათი ქონება დააყადაღეს, ძმებმა შვეიცარიაში მოჰკურცხლეს და იქედან დაიწყეს ქონების დაბრუნებისთვის ბრძოლა. „სააკაშვილის მთავრობა ბიზნესს აყაჩაღებსო“ , ამ განცხადებებით და მტკიცებულებებით, ბეგიაშვილებმა „დევნილის“ სტატუსი მალევე მიიღეს.

ივანიშვილის პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ, „დევნილ-შევიწროებულ“ ბიზნესმენ ძმებს, „სამართლიანობა აღუდგინა“ და მთავრობამაც, დაყადაღებული ქონება დაუბრუნა. ემიგრაციიდან დაბრუნებულმა ყაჩაღმა ბეგიაშვილებმა „კუთვნილ“ შენობებში (გამომცემლობა „სამშობლო“, მაღაზია „ალბატროსი“ და სხვ.) ევრო-რემონტი გააჩაღეს.

მერაბ კოსტავას ქუჩაზე მდებარე გამომცემლობა „სამშობლოს“ ხუთსართულიან გრანდიოზულ შენობაში, რომელშიც გაზეთების რედაქციები, სტამბა და ჟურნალისტთა სახლი ფუნქციონირებდა, ბეგიაშვილებმა, კაზინოები, სასტუმროები და ტანსაცმლების მაღაზია გახსნეს. შენობას პროფილი თუმცა შეუცვალეს, მაგრამ ერთ-ერთი სახელწოდება, „სტამბა“, დაუტოვეს, რაც ანაქრონულ გამოცანად იქცა... ჭოველიძის ქუჩის მხრიდან კი, ტროტუარიც დაისაკუთრეს და სადღეღამისო ავტომანქანების ფასიანი სადგომიც მოაწყვეს. შენობის კედელზე, 1989 წლის,

თამრიკოს ჭოველიძის შინდისფერი მემორიალის აღდგენა კი აინუნშიც არ მოსდით; მილიონერ ბიზნესმენ ძმებს, 500 ლარიც არ ემეტებათ, რომ მათი ხელისუფლებიანობის შავ-ბნელ ხანაში, მემორიალიდან მოპარული სპილენძის 16 მერცხლის სკულპტურები მაინც აღადგინონ.

ფოტოზე: დავით მაღრაძე, მირიან ყარაულაშვილი, ვახტანგ ბეგიაშვილი...

ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე „ალბატროსი“ც, საქართველოს მეზღვაურების მაღაზია იყო. თევზსაჭერ ტრაილერებზე მომუშავე მამაცი მეზღვაურები, რომლებიც ექვსი-ექვსი თვე შორეულ ოკეანეში ცურავდნენ და უცხოურ ვალუტაში მაღალი ხელფასები ჰქონდათ, ჩამოდიოდნენ თბილისში და ამ მაღაზიაში იძენდნენ ოჯახისთვის სასურველ ტანსაცმელსა თუ ფეხსაცმელს. ეს მაღაზიაც, რაღაც მაქმანებით, ამ ბეგიაშვილებმა დაისაკუთრეს.

დიდი ღვწის შედეგად აღმოვაჩინე ამ „ისტორიული“ ფოტოს მეორე და უფრო სრული კადრი, რომელიდანაც პირსავსე ბედნიერი ღიმილით შემოგვცქერის ნანა კაკაბაძე და მხედრიონელების მომღერალი მაია კვირკველია, ხოლო ასევე ბედნიერად სხედან ვახტანგ ბეგიაშვილ-ბეგიზოვი და ჯაბა იოსელიანი.

ლეილა ცომაია
2014 წელი.

ნაკვესი

ზუსტად მახსოვს 1984 წელი იყო და მწერალთა კავშირში რაღაც საჯარო ღონისძიებაზე ვიყავი მისული. ნოდარ დუმბაძე და რამდენიმე ცნობილი მწერალი, ჩემი მისვლის ჟამს ჯერ კიდევ შენობის წინ იდგნენ. ბატონ ნოდარს უამური მზერით შევხედე, რაზეც უკმაყოფილოდ გადაულაპარაკა თანმხლებთ, „მგონი ამ ახალგაზრდა მწერალს არ მოვწონვარო“. არ ვიცი ჩემი იმწუთიერი მზერით დაასკვნა ეს, თუ „ლიტსაქართველოსა“ და „მნათობში“ მიტანილი ჩემი კრიტიკული წერილის მიხედვით, მის ლენინის პრემიამინიჭებულ „მარადისობის კანონზე“, რომელიც არ დამიბეჭდეს, მაგრამ გაზეთების რედაქციებში კრიტიკული სტატიების მიტანის ფაქტი სიტყვიერად ვრცელდებოდა ხოლმე მწერალთა წრეში. პოლემიკას ჩემს არქივში ვინახავ დღემდე. ბატონი ნოდარი სწორედ იმ წელს, რამდენიმე თვეში გარდაიცვალა კიდეც... ღმერთმა აცხონოს!

ღირსეული საქართველო საბჭოთა მწერლებმა კი არა, არამედ სწორედ ანტისაბჭოთა მწერლებმა (შემოქმედთა ინტელიგენციამ) და ანტისაბჭოთა დისიდენტებმა მოიტანეს, რომლის დიდი ნაწილი იმსხვერპლა წითელმა ტერორმა. ნიჭიერი და კარგი მწერალი მიწყივ, არასოდეს ყოფილა მამულიშვილობასა და ერისმამობასთან გაიგივებული და ეს სამწუხარო რეალობა უნდა ვაღიაროთ!

ნოდარ დუმბაძის სახელთან დაკავშირებით ერთ ისტორიასაც გავიხსენებ; 1980 წელს, როდესაც ბატონი ნოდარი მოსკოვში „მარადისობის კანონის“ რომანისათვის ლენინის ორდენით დააჯილდოვეს, საქართველოში პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი, არც-თუ დიდი აღმაფრენით შეხვდა ამ ფაქტს. მოგეხსენებათ, ეს ის პერიოდია, როდესაც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დისიდენტური ბრძოლა უკვე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე და კომუნისტურ-ათეისტურ იდეოლოგიას უკვე საკმაო ბზარი აქვს გაჩენილი. ჩემი უარყოფითი აზრის გამოსახატად მწერალთა კავშირში შევიარე. ბიბლიოთეკიდან მესმის ჯანსუღ ჩარკვიანის ხმა. ამაზე უკეთეს ტრიბუნას ვერც ვინატრებდი და ბიბლიოთეკისკენ გავეშურე. ჯანსუღი, იმხანად, მწერალთა კავშირის მდივანი იყო და ბიბლიოთეკაში შინაურულად შეკრებილ რამდენიმე მწერალს ჩვეული ექსტაზით არწმუნებდა, რომ მავანნი შურით გასკდნენ, რომ თვით ვერ დაიმსახურეს ეს ჯილდო (მოგეხსენებათ, საბჭოთა

რეალობაში ლენინის პრემია ნობელის პრემიასთან იყო გაიგივებული) და ვერკი აცნობიერებენ თუ რას ნიშნავს ეს მოვლენა საქართველოსთვის, რომ ქართველმა და საქართველომ მოიპოვა ამხელა ჯილდო (ხელები რაც შეიძლება ფართოდ გაშალა) – ლენინის პრემიაო.

მე ბიბლიოთეკის სიღრმიდან სუსტი ხმით შევბედე ჯანსუღს: სწორედ ამის მრცხვენია, ბატონო ჯანსუღ, რომ იმ სატანა ლენინის პრემია, რატომღაც ქართველებს და საქართველოს გვერგო 14 მოკავშირე რესპუბლიკებიდან-მეთქი!

ცივწყალგადასხმული ჯანსუღი სიტყვა „სატანამ“ გააოგნა, იგი ხომ ათეისტი და „რელიგია ბანგი და ოპიუმია“ს იდეოლოგიაზე იყო აღზრდილი და „სატანააოოო...“? გამოშტერდა. სანამ გონს მოეგებოდნენ, დავტოვე ბიბლიოთეკა და რამდენიმე წელი, აღარც შევსულვარ მწერალთა შენობაში...

ლეილა ცომაია
2016 წელი.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიაზე ფილმის გადაღების გამო...

ერთ დღეს მობილურზე დამირეკა ცნობილმა მწერალმა და უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ბატონმა გურამ პეტრიაშვილმა და მამცნო, რომ ახალგაზრდა რეჟისორი გიორგი ოვაშვილი, თურმე ფილმის გადაღებას აპირებს ზვიად გამსახურდიაზე და იქნებ, თქვენ, როგორც ეროვნული გაზეთის რედაქტორმა დაურეკოთ და სთხოვოთ გაგაცნოთ სცენარი ან სულაც ინტერვიუ აიღოთ მისგანო. თავად ბატონ გურამს ეს მეტად საგულისხმო ინფორმაცია ფინეთში მოღვაწე ქართველი კინო-რეჟისორის ქალბატონ ლიანა ელიავასაგან მოუსმენია, რომელიც ხშირად ჩამოდის ხოლმე საქართველოში.

ოვაშვილის მობილური ტელეფონის ნომრის დადგენაში ერთობლივად დამეხმარნენ ქალბატონი ლიანა და ბატონი გურამიც. ტელეფონით ურთიერთგაცნობისას, ოვაშვილს ვთხოვე გაეცნო ჩემთვის სცენარი და გვეთანამშრომლა ამ მეტად საპასუხისმგებლო ფილმთან დაკავშირებით. შევთავაზე უფასო კონსულტაციები, მაგრამ ოვაშვილმა მითხრა, რომ ეს არ არის დოკუმენტური ფილმი, არამედ ზვიადი ჩემს ფილმში ფრაგმენტულად იქნება ჩართული, ძირითადად კი მისი პერიოდის მღელვარე საქართველო აისახება და ვალდებულად არ თვლის თავს გამაცნოს სცენარი, ეს ჩემი თავისუფლების შეზღუდვაა. ოვაშვილმა უარი მითხრა ჩვენი გაზეთისთვის ინტერვიუს მოცემაზეც!

სხვა გაზეთებში მიცემული ინტერვიუებიდან კი ვგებულობთ, რომ ოვაშვილის ფილმი, რომლის 20%-იან დაფინანსებაზეც უარი უთხრა ივანიშვილ-ღარიბაშვილის მთავრობამ და მთლიანად უცხოეთის დაფინანსებით უნდა გადაიღონ სახელწოდებით „ხიბულა“, პრეზიდენტის უკანასკნელი ცხოვრების 50 დღეს ასახავს სამეგრელოში მკვლელობის აქტამდე და არამც და არამც არ შეეხება პრეზიდენტის მკვლელობის ტაბუდადებულ საკითხს. ფილმში პრეზიდენტის სახელიც კი „ზვიადი“ არ იხსენიება...

ამთავითვე შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ გიორგი ოვაშვილის ფილმში ნამდვილად არ იქნება ასახული საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით (თვით აფხაზეთის ავტონომიისა და ცხინვალის რეგიონის) 87%-ით არჩეული დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის შეიარაღებული გადატრიალებით დამხობა, ეროვნული ხელისუფლების

განდევნა საქართველოდან, არცთუ პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ კადრები, ან თუნდაც მწირი ინფორმაცია მაინც. მაქვს დიდი ეჭვი, რომ ფილმი იქნება ოთარ იოსელიანის ფილმის ანალოგი 90-იანი წლების ეროვნულ მოძრაობაზე, სადაც ფრაგმენტულად გაელვებულია ზვიადი და მერაბი, ხოლო ეროვნული მოძრაობა წარმოდგენილია ეგზალტირებული, პირდაღებული და კევიღეჭია ხალხით...

ახალგაზრდა რეჟისორის გიორგი ოვაშვილის სცენარით, თავის მხრივ ასევე დაინტერესდნენ ბატონი გურამ პეტრიაშვილი და კინო-დოკუმენტალისტი ქალბატონი ლიანა ელიავაც, მაგრამ ოვაშვილმა მათაც უარი უთხრა სცენარის გაცნობაზე!

ლიანა ელიავას 10 წელია გადაღებული აქვს ფილმი ეროვნულ მოძრაობაზე, მაგრამ არცერთმა მთავრობამ არ დაუფინანსა იგი და დღემდე ვერ ხერხდება მისი ჩვენება ფართო ეკრანზე. მე კინოს სახლში, ვიწრო წრეში მაქვს ნანახი მისი ფილმი, თუ არ ვცდები 2005 წელს, სადაც 90-ანი წლების ეროვნული მოძრაობა წარმოდგენილია თავისი სიდიადით. ქალბატონი ლიანა სამი წელი ეხვეწებოდა სააკაშვილს, რათა პრეზიდენტს საკუთარი ფონდიდან ან მაშინდელ კულტურის სამინისტროს დაეფინანსებია მისი ფილმი, მაგრამ პროფესიონალი კინო-დოკუმენტალისტის ქალბატონ ლიანა ელიავას თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, არცთუ ივანიშვილ-ღარიბაშვილის ხელისუფლების მხრიდან!

ლეილა ცომაია
2015 წლის 31 მარტი,
გაზეთი „განმათავისუფლებელი“, №44, გვ. 13, 2015 წ.

გიორგი ოვაშვილის ფილმის „ხიბულა“ სიუჟეტები „რუსთავი 2“-ზე
(http://rustavi2.com/ka/video/17128?v=2)

კვირის საინფორმაციო გადაცემა პოსტკრიპტუმით „რუსთავი 2“-ზე გავიდა სიუჟეტი გიორგი ოვაშვილის ფილმისა „ხიბულა“ ამ ფილმის გადაღების გაცხადებასთან დაკავშირებით პატარა სტატია გამოვაქვეყნე ჩემს გაზეთში 2015 წელს (იხ.**გაზეთი „განმათავისუფლებელი“, №44, გვ. 13)**. ფილმის სრულყოფილი ჩვენება დაანონსდა 2017 წლისთვის. მანამდე, ცხადია სრულად ვერაფერს ვიტყვით ფილმზე, გარდა ერთი გამოკვეთილი შტრიხისა, რომ ფილმში დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი წარმოდგენილია სულიერად და ფიზიკურად გატეხილი, შეშინებულ-დამარცხებული ანტიგმირი, ჭუჭყიანი ფრჩხილებით და შელახული სამოსით, რის დასტურადაც „რუსთავი 2“-მა ფილმს დაურთო პრეზიდენტის

ე.წ. ბუნკერის კადრი, სადაც ზვიადის გამომეტყველებაში ასახულია შეძრწუნება სამხედრო გადატრიალებისა და ძმათამკვლელი ომის დაწყებით... რაც შეეხება პრეზიდენტის სამეგრელოში დაბრუნების 50-დღიან პერიოდს, ჩვენს მიერ გადაღებულ ფილმის („ზვიადის გოლგოთა“) სიუჟეტებში ყველა თვითმხილველი მოწმე და თანამებრძოლი ადასტურებს, რომ პრეზიდენტი გამსახურდია მთელი დევნილობის განმავლობაში იყო მხნედ და ტყე-ღრეშიც კი გაწკრიალებულ კოსტუმში (თეთრი პერანგით, გაპარსული) დადიოდა.

გასაგებია, რომ ოვაშვილის ნამუშევარი საერთაშორისო ფესტივალებზე გასამარჯვებლად გადაღებული მხატვრული ფილმია, ხოლო ჩვენი კი, დოკუმენტური. ჩვენი ფილმის – სახელწოდებით „ზვიადის გოლგოთა“ – დასრულება და მონტაჟი, სამწუხაროდ დღემდე ვერადავერ ხერხდება დაუფინანსებლობის გამო...

მოუსმინოთ გიორგი ოვაშვილს: „ეს ისტორია უნივერსალურია და აქვს პოტენციალი, რომ განზოგადდეს. ეს არის შემთხვევა, როცა ხალხი ირჩევს ლიდერს და შემდეგ თვითონვე ანადგურებს თავის რჩეულს. ფილმი, პირველ რიგში, იქნება ადამიანის სულიერ მოგზაურობაზე შინაგან სამყაროში, იმ ფონზე, როგორც მას მოუწია ცხოვრების ბოლო დღეების გატარება, როგორც ძალაუფლებადაკარგულ ხელისუფალს. ეს არ არის ისტორიული ფაქტების თუ მოვლენების ილუსტრირება. ვიცით, ეს შეიძლება სადავო გახდეს ქართველი მაყურებლისთვის, მაგრამ ჩვენ მხატვრულ ფილმს ვაკეთებთ და არა დოკუმენტურს. ამიტომ ჩვენი ამოცანა არ არის იმის კვლევა, თუ რა მოხდა სინამდვილეში, როგორ დაასრულა სიცოცხლე ზვიად გამსახურდიამ, ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი.”

ამადაც, ხალხის რჩეულ ლიდერს, ოვაშვილის სცენარის მიხედვით, თავად ხალხივე ანადგურებს და არა იმპერიების თუ სუპერ-სახელმწიფოების ისტებლიშმენტი, რომლებსაც აღიზიანებთ და სძულთ თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირები.

2012 წელს ფილმ „ხიბულას“ სცენარმა გაიმარჯვა კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, რეჟისორის თქმით, ამ ისტორიაში არ იქნებიან პრეზიდენტის ოჯახის წევრები. ეს არის ისტორია, როდესაც პრეზიდენტი იმყოფებოდა თავის გარემოცვასთან ერთად, რომელშიც შედის პრემიერ-მინისტრი და დაცვის წევრები. რეჟისორი, ზვიად გამსახურდიას ოჯახსაც შეხვედრია და უსაუბრია მასთან. რეჟისორის თქმით, თუ ჩვენ

ფილმში დავსვამთ კითხვას, თუ ვინ და რატომ მოკლა პრეზიდენტი გამ-სახურდია და ამ მიმართულებით ვივლით, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ჩავრჩით დროში და წინ ვერ წავალთ.

დიახ, ასე! ოვაშვილის წარმოდგენით „წინსვლა“ შესაძლებელია ის-ტორიის ამოტრიალებით ან გამრუდებით, სახელმწიფოებრივი დამოუ-კიდებლობის და თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირების დამარცხებულ – ანტიგმირებად წარმოჩენით, რათა კი არ აღგაფრთოვანონ, არამედ დრამამ მხოლოდ სიბრალული აღძრას მაყურებელში. ამადაც, პარლამენ-ტის გრძელი დერეფნის კადრში პრეზიდენტი ჩნდება დაჩაჩანაკებული, რომელიც შინდისფერ ხალიჩაზე იხდის ძველ, შემორღვეულ ტალახიან „ბატინკებს“ და შიშველი ფეხებით მტკივნეულად გაივლის დამხვდურებს შორის, რომლებიც მას გამამხნევებელი ტაშით ხვდებიან, მაგრამ პრეზი-დენტს აფრთხობს ტაშიც...

საწყის მდგომარეობაში დაბრუნებით, ძალაუფლებადაკარგული უმა-ღლესი ხელისუფალი, თვითგამორკვევის და გადაფასების მტკივნეულ გზას გადის...

ასეთია რეჟისორის ჩანაფიქრი!

პრეზიდენტის როლის უცხოელ შემსრულებელზე კი ერთს ვიტყვი მხ-ოლოდ: იგი ზვიადის სრული ანტიპოდია!

არ შემიძლია ორიოდ სიტყვით, „პოსტკრიპტუმის“ წამყვანი ჟურნალ-ისტის ყურისმომჭრელ და როყიო ნათქვამზეც არ გავამახვილო ყურ-ადღება, როდესაც იგი ამბობს, რომ „ეს არის პარლამენტის ბუნკერი სადაც „იმალებოდაო“ ზვიადი. ჟურნალისტს უნდა მოეხსენებოდეს, რომ საომარ ვითარებებში, თვით მოსახლეობის ევაკუაციაც კი ხდება შედარე-ბით უსაფრთხო თავდაცვის ადგილებში და პრეზიდენტის – მითუმეტეს!

პრეზიდენტის საცავში („ბუნკერში“) ჩასვლა არ ნიშნავს დამალვას, არამედ, ქვეყნის სახელმწიფო უსაფრთხოების აუცილებელ პირობას და მოთხოვნას წარმოადგენს!

ლეილა ცომაია

გაზეთი „განმათავისუფლებელი“, №50, 2016

კიდევ ერთხელ მხატვრულ ფილმ „ხიბულას“ გამო...

2017 წლის 21 ნოემბერს, სახელმწიფო ფილარმონიის კინოთეატრ „ამირანში“, 20 საათზე გაიმართა კინორეჟისორ გიორგი ოვაშვილის ფილმ „ხიბულას“ პირველი ჩვენება, რომელზედაც საგანგებო მოსაწვევებით მიწვეულნი იყვნენ სამთავრობო გუნდი კულტურის სფეროდან, კინოსა და თეატრის წარმომადგენლები, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ოჯახი (შვილები ცოტნე და კოკო), მიწვეული ვიყავით მეც და ნუგზარ მგალობლიშვილი, როგორც ზვიადის თანამებრძოლები. კინოთეატრის დარბაზი სავსე იყო მიწვეული მაყურებლებით. საპრეზენტაციო ოფიციალური გამომსვლელების შემდგომ დაიწყო ფილმის ჩვენება, რომელიც 23 ნოემბრიდან გავიდა საქართველოს კინო-ეკრანებზე. ფილმი-დრამა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიაზე, კანის კინოფესტივალზე წარსადგენად გათვალისწინებული ფილმია, მაგრამ ვეჭვობ, რომ მან გამარჯვება ან რაიმე აღიარება მოიპოვოს.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უცხოელი პროტოტიპი, ტანმორჩილი მსახიობი ირანელი ჰოსეინ მაჰჯუბია. მაჰჯუბის გმირს ფილმის დაწყებიდან სახეზე და თვალებშიც აღბეჭდილი აქვს მძიმე დრამატული განცდა, რომელიც დამღად მიჰყვება მას ფილმის კულმინაციურ დასასრულამდე, სტეჩკინის პისტოლეტის საფეთქელზე მიდებით რომ ეთამაშება სიკვდილს. თუმცა, ფილმი სრულდება წარწერით, რომ დღემდე არავინ იცის, მოკლეს თუ თავი მოიკლა პრეზიდენტმა.

სამეგრელოს მთიანეთში, თეთრი ვეტმფრენით ჩაფრენილი ფილმის გმირი პრეზიდენტი, ფეხებით უმალ ეფლობა ტალახში, რომლიდანაც მძიმედ ამოდის და მძიმედვე გააგრძელებს გზას ზამთრის ნისლსა და ჭირხლში. ნიშანდობლივია, რომ ფილმის ეს სიუჟეტი ასახულია მოსაწვევი ბარათის სატიტულო გვერდზე. მას გზა და გზა უერთდება ავტომატიანი მცირე ჯგუფი. ისინი, მდევრების გამოისობით დროდადრო მონაცვლეობენ ტყეებსა და სოფლებში, თუმცა აშკარაა, რომ გზა არსაითაა, ანუ ყველგან სიკვდილის გზაა.

ფილმის გადაღება, როგორც ბატონმა ოვაშვილმა გვაუწყა, ფინანსურად და იდეოლოგიურადაც მხარდაჭერილია კულტურის მინისტრ მიხეილ გიორგაძის მხრიდან, რომელიც თავმომწონე სიტყვითაც გამოვიდა პრეზენტაციაზე და განაცხადა: ფილმის გმირი არ უნდა გავაიგივოთ ზვიად გამსახურდიასთან, მაგრამ არც უნდა დავაშოროთ მასო.

კინორეჟისორმა ოვაშვილმა, აშკარად ვერ გაართვა თავი ფილმის გმირის ფენომენს, ვერც იდეურ-პოლიტიკურ ნაწილში და ვერც, როგორც მამულიშვილისას. მან პროტოტიპიც კი ვერ შეარჩია რაიმეთი მიმსგავსებულიც. საათნახევრიან ფილმში არ მონაწილეობს ცნობილი ან მეტ-ნა-

კლებად ცნობილი არცერთი მსახიობი. მეტისმეტად კნინობით როლშია წარმოდგენილი პრემიერ-მინისტრ ბესარიონ გუგუშვილის გმირი(-ანტიგ-მირი) სახასიათო დიდი სათვალით და ზამთრის ტყეში თითქმის ტიტვე-ლი, რომლის ქცევები ამაზრზენ შთაბეჭდილებას ტოვებს... ხელოვნურია ფრაგმენტული ეპიზოდი რუსი სამხედრო ემისრებისა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასადმი წაყენებული ულტიმატუმით, დატოვოს საქართველოს ტერიტორია...

ხიბულა, ოვაშვილისეული გააზრებით, პრეზიდენტის პიროვნული მარცხისა და უიმედობის ეპოპეაა, რომელიც თვითმკვლელობის ბუნებრივ დასასრულამდე მიდის, თვითკრიტიკით: „რამდენჯერ უნდა გავიქცე“...

ჩვენეული აღქმა:

ვიდრე ხიბულას კიდევ ერთ ისტორიული ღალატის ფურცელს შევეხ-ებით, ორიოდ სიტყვით, თავად ზვიადის არქე-ტიპის წარმოჩენა დაგვჭირ-დება უსათუოდ; ზვიადი თავის ცნობილ ლექციურ წიგნში „საქართველოს სულიერი მისია“, პრომეთეს მითის განხილვისას ამბობს: „აზროვნების ევოლუციაში არის ის ეტაპი, როდესაც აზროვნება მიეჯაჭვება ადამიან-ის ფიზიკურ სხეულს... და არის დატყვევებული ამ ფიზიკურ სხეულშიო“. ტყვეობის მდგომარეობა კი, მოგეხსენებათ, არის ადამიანის არა ნებელო-ბითი, არამედ ძალადობრივი მდგომარეობა, რისგან გათავისუფლებისაკ-ენ ისწრაფვის ყოველი ჯანსაღი ადამიანის აზროვნება და გული.

პრომეთეს მითი, შეიძლება ითქვას, რომ პერსონიფიცირებულია ზვიადის ფენომენთანაც; პრომეთე, მოგეხსენებათ არის მკვიდრი კავკა-სიის მოდგმისა, რომელიც ქედზე ძალადობით მიაჯაჭვა **შემდგომმოსუ-ლი** რასის წარმომადგენელმა ზევსმა...

დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებით სამშ-ობლოდან განდევნილმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ არ ინება კავკასიის გეოგრაფიული არეალიდან, მისი საზღვრებიდან გასვლა, უფრო შორეულ, რომელიმე ევროპულ ან დასავლურ ქვეყანაში, სადაც უფრო გარანტირებული იქნებოდა მისი სიცოცხლის უსაფრთხოება. ზვიადმა, როგორც მებრძოლმა გმირმა (პრომეთემ) განაგრძო ბრძოლა იძულები-თი მდგომარეობიდან დახსნისა და სამშობლოში დაბრუნებისათვის, რათა კვლავ შებმოდა და დაემარცხებინა ზევსი, ანუ იმ რეალურ პოლიტიკურ ვითარებაში, **მოსული** რუსული იმპერიალისტური ურჩხული.

ზვიადი, როგორც წითელი ცენზურის 70-წლიანი ეპოქის დამსრულე-ბელი, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში, ვერაფრით შეე-გუებოდა, საქართველოს ძირძველი სამკვიდროს – აფხაზეთის კაპიტ-ულანტურად ჩაბარებას და იგი თავგანწირვით ჩაება საქართველოს

ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში, რისთვისაც მას, რუსულმა იმპერიალისტურმა ძალებმა განუმზადეს ხიბულა. ხიბულას ულმობელი ღალატის ისტორიას კი დღემდე მწვავედ იმკის საქართველო (ტერიტორიების პერმანენტული მცოცავი ანექსიით) და ქართველი ერი .

ხილული ღალატისა და განწირულობის პირისპირ მდგარი ზვიადი (როგორც გადმოგვცემენ), საკუთარი მწარე აღსასრულის ჟამსაც კი არ შეუპყრია უმწეობის ტკივილს და უღვთო ჯალათების წინაშე იგი იდგა სულიერად გაუტეხელი და გულით უდრეკი. მისი ერთადერთი ვარამი, საქართველოს შემდგომი ბედი თუ იქნებოდა მხოლოდ, რასაც მრუმე ფერებში აჩენდა ხიბულა...

ხიბულა, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას წამებით მოკვდინების ადგილია მხოლოდ (როგორც პრომეთესი კავკასიის ქედი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ცეცხლი აჩირაღდნებს კაცობრიობს).

საქართველოს დაცემულ ღირსებას უეჭველად აღადგენს ზვიადის იდეური მემკვიდრე ქართველი ერი;

ზვიადმა თავისი ისტორიული მისია – საქართველოს სახელმწიფოებრივი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღასრულა, რაც შეუქცევადი პროცესია და რაზეც, აგერ უკვე 26 წელზე მეტია, მყარად დგას სახელმწიფო საქართველო. ზვიადმა თავის სამშობლოს და ქართველ ერს მოუპოვა თავისუფლება და აღუდგინა დამოუკიდებლობა.

მიმაჩნია, რომ ყოველმა ხელოვანმა: მხატვარმა, დრამატურგმა, კინორეჟისორმა, მოქანდაკემ, თუ მწერალმა, ამგვარი გმირული სულისკვეთებით უნდა წარმოაჩინოს ზვიადი, რადგან სწორედ ეს სულისკვეთება ასახავს ზვიადის ნამდვილ პოლიტიკურ რენომეს და არამც და არამც სიურრეალისტური ან რუტინული, როგორადაც სურთ რომ წარმოადგინონ იგი, ანუ წარმოადგინონ ზვიადი, როგორც დამარცხებული და ანტიგმირი...

ლეილა ცომაია
2017 წლის 30 ნოემბერი.
გაზეთი „განმათავისუფლებელი“, №55, 2017 წელი.

P. S. *2018 წლის 19 მაისს, ტელეკომპანია „იმედის” ეთერში ოლიკო ბაბლუანთან მიწვეულმა ფილმის რეჟისორმა გიორგი ოვაშვილმა ასე განაცხადა: „ზვიად გამსახურდია ერმა შექმნა, როგორც კერპი და როცა დაინახა, რომ მან თავისი ფუნქცია შეასრულა, ერმავე გაანადგურა... მე არასოდეს ვყოფილვარ გამსახურდიას მომხრე“ო.*

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შეკვეთა

1993 წლის 18 ოქტომბერს, ირინა სარიშვილი, ზვიადის მოძულეთა ელიტის თავყრილობაზე, ფილარმონიის დარბაზში, გამოვიდა სიტყვით:

„მე, როდესაც გუშინ ბატონი რეზო ამაშუკელის გამოსვლა მოვისმინე ტელევიზიით ამ შეკრებასთან დაკავშირებით, უნდა გითხრათ, რომ ბატონო რეზო, პირველად გამაღიზიანა თქვენმა ნათქვამმა, რომ ხვალ ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათო. ჩვენ წელიწადნახევარია ვამბობთ, რომ ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და ასე გადაწყდება თითქოს ყველაფერი. ჩვენ ვნახეთ, რომ ეს ასე არ არის და ის საფრთხობელა, რომელიც წელიწადზე ცოტა ნაკლები პრეზიდენტად იყო და მერე გროზნოში გავუშვით და სხვათაშორის, ის პირები არანაკლებ პასუხისმგებლები არიან დღეს, ვინც ის ცოცხალი გაუშვა *(დარბაზში მქუხარე ტაში)*, მაპატიოს ღმერთმა ამას რომ ვამბობ და ახლა ყველაზე ისეთ დროს, როდესაც სოხუმი ეცემოდა და დასავლეთ საქართველოს პრობლემა დგას მთლიანად, ეს ჩვენი საფრთხობელა კვლავ მოიწევს თბილისისკენ... ასეთი ადამიანი, მე იმდენი შეურაცხყოფები მაქვს მის მიმართ ნათქვამი, რომ არ მინდა ახლა ტაშის დაკვრის გულისთვის ვიხმრო ის სიტყვები „მანიაკი“, „პათოლოგი“ და ა.შ. ვიცით ყველამ ვისთანაც გვაქვს საქმე. ჩვენი და ყველას, თვითეული ჩვენთაგანის სირცხვილია, ჯერ ის რომ ეს ადამიანი პრეზიდენტი გახდა და დღეს კიდევ მიწაზე დადის და ჩამოვიდა აქ და კიდევ რაღაც მუქარებს გზავნის... მე უბრალოდ ვთვლი, ბატონო რეზო, რომ დღეს, ამ შეხვედრაზე, არც სნგ-ს კრიტიკის და არც სნგ-ს ქების დრო არ არის. დღეს ჩვენ აქ სულ სხვა რამეზე უნდა ვილაპარაკოთ (*ტაში*). თვითონ ბატონმა ედუარდმა დღეს ბრძანა თავის რადიო-გამოსვლაში, რომ მან გააკეთა განცხადება სნგ-ში შესვლის თაობაზე, მთავრობა ერთსულოვანია ამ საკითხთან დაკავშირებით, ვინც უშლიდა ხელს ერთსულოვნებაში ის აღარ არის ამ მთავრობაში (*თავის გადადგომას გულისხმობს* – **ლ.ც.**), ამიტომ რუსეთისთვის ეს აბსოლუტურად საკმარისია იმისათვის, რომ რაღაც დავინახოთ ან არ დავინახოთ, რომ ჩვენ სნგ-ში შესვლით ან არშესვლით, რაღაც პრობლემას მოვაგვარებთ. რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას, მე როგორც მესმის, მე ასე მესმის: სანამ ზვიად გამსახურდიას პრობლემა არსებობს

საქართველოში, არც სნგ-ში შესვლით, არც სნგ-ში შეუსვლელობით, არც ევროგაერთიანებაში შესვლით და ამერიკის შტატადაც რომ მიგვიღონ, არაფერი საქართველოს არ ეშველება... ნება მიბოძეთ კატეგორიულად არ დავეთანხმო, სახელმწიფო მეთაურს, რომელმაც თავის ინტერვიუში გუშინ ბრძანა, რომ „მოვიდა დრო, რომ ზვიად გამსახურდიას საკადრისი პასუხი გაეცეს და მას გროზნოში ელოდებიან". არა, ბატონო ედუარდ, **არ შეიძლება ზვიად გამსახურდიას გაშვება გროზნოში** *(მქუხარე ტაში).* ზვიად გამსახურხდია, როგორც თავისი ერის შვილი, თუნდაც როგორც თავისი ერის სირცხვილი, უნდა დარჩეს, რა თქმა უნდა სახეცვლილი მდგომარეობით აქ, საქართველოში და მაშინ უნდა ვილაპარაკოთ ჩვენ საქართველოს გადარჩენაზე, მადლობთ!" *(მქუხარე ტაში).*

ირინა სარიშვილის ეს მოთხოვნა, საკუთარი ყურებით მოისმინა, დარბაზში მჯდომმა ედუარდ შევარდნაძემაც, რომელსაც, ზვიად გამსახურდიას ლიკვიდირების სხვა გეგმა-ჩანაფიქრი ჰქონია შემუშავებული. ოღონდ, არა საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ ჩეჩნეთის. უთუოდ ამაზე მიანიშნებს სარიშვილის მიერ ციტირებული შევარდნაძის გამოსვლის ტექსტი: **„მოვიდა დრო, რომ ზვიად გამსახურდიას საკადრისი პასუხი გაეცეს და მას გროზნოში ელოდებიან".** სარიშვილს კი ეჩქარება, რაც შეიძლება სწრაფად ნახოს ზვიადი „სახეცვლილ მდგომარეობაში" (მოკლული), ვინძლო გროზნოში ვერ მოხერხდეს ეს. აკი, ერთხელ სცადეს, შევარდნაძის სპეცსამსახურებმა, ზვიადის გროზნოს რეზიდენციაში შეღწევა, მაგრამ შემჩნეულ და მოგერიებულ იქნენ ჩეჩენი სპეცრაზმელების მიერ.

1993 წლის 18 ოქტომბერს, ფილარმონიაში შეკრების ზემომოტანილი ვიდეო-ჩანაწერი, ინტერნეტში, 2016 წლის ოქტომბრის დასაწყისში გავრცელდა, რასაც მალე სარიშვილის ვრცელი „მონანიების"ტექსტი მოჰყვა თავის facebook-ის გვერდზე: „უმძიმესი სანახავია ჩემთვის. იმდენად მძიმე რომ ეს დღეები პარალიზებული ვარ... ამ გამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე გადავდექი ვიცე–პრემიერობიდან შევარდნაძის მიერ დსთ–თან მიერთების გადაწყვეტილების პროტესტის ნიშნად... სხვებზე მეტად მე თვითონ ვარ შეძრწუნებული და არც ვიცი როგორ, რა სიტყვებით გამოვხატო ჩემი სინანული. ამას თავის გასამართლებლად არ ვამბობ – ჩემ სიტყვებს არანაირი გამართლება არა აქვს – ამას ვამბობ მხოლოდ იმიტომ რომ ეხლა მაინც მივხვდეთ რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება... ეს არ მახსოვდა და ამან ჩემზე ისე იმოქმედა რომ წარმომიდგენია სხვას რა მოუვიდოდა, განსაკუთრებით ზვიადის მომხრე ჩემს მეგობრებს, ვინც დღეს თანამოაზრეები ვართ დღევანდელ სიტუა-

ციაში...“ (ელიზბარ ჯაველიძეს, ანზორ აბრალავას, ზაზა დავითაიას და ა. შ. გულისხმობს).

ამ ფარისეველი პოლიტიკანის, ირინა სარიშვილის, სნგ-ში (დსთ) შესვლის გამო პოსტიდან გადადგომა, მისი მეუღლის, გია ჭანტურიას ძალდატანებით მოხდა და არა, საკუთარი მრწამსით; დრომ ნათლად გამოავლინა მისი რეალური სახეც და პოლიტიკური ორიენტაციაც, რის გამოც იგი ედპ-დან გარიცხეს. გია ჭანტურიას ვერაგული მკვლელობაც, იგორ გიორგაძესთან, მისი მოღალატური მოკავშირეობით გახორციელდა.

რამდენჯერაც უნდა იმართლოს თავი ირინა სარიშვილმა, ფაქტია რომ, ე. შევარდნაძის მხრიდან, მისი შეგონება-რეკომენდაცია, ზვიად გამსახურდიას საქართველოდან ცოცხლად არ გაშვების თაობაზე, შესმენილ იქნა!

იგორ გიორგაძემ, გია გულუამ, ავთანდილ იოსელიანმა, ჯაბა იოსელიანმა, გია ჭანტურიამ... სამეგრელოს ტყეებში დაიწყეს „ნადირობა“ ზვიადზე და საბოლოოდ, სოფელ ხიბულაში, ხაფანგში მოაქციეს იგი. შეიარაღებული მდევრები, მათი სამიზნე პრეზიდენტისაგან, თანდათანობით ახდენდნენ მთავრობისა და დაცვის წევრების ჩამოცილებას. საბოლოოდ მათ, დევნილი პრეზიდენტის გარემოცვა, სამ კაცამდე (ბესარიონ გუგუშვილი, რობინზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე) დაიყვანეს. ტყვია კი, აფხაზეთის უშიშროებაში გამოწვრთნილ ქილერს, გია მხეიძეს ასროლინეს. ძალზე დიდი დაგვიანებით (2007 წელს) ჩატარებულ როსტოვის ექსპერტიზის დასკვნაში ვკითხულობთ: „ტყვიის მოძრაობის მიმართულებაა მარჯვნიდან მარცხნივ, რამდენადმე ზემოდან ქვემოთ, რამდენადმე წინიდან უკან, რაზეც მიუთითებს შემავალი და გამომავალა ხვრელები. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ავტომატური პისტოლეტის „სტეჩ- კინის” (რომლის წონა დამუხტულ მდგომარეობაში 1420 გრამია), ხელში დაჭერა თვითმკვლელობის მიზნით, ლულით, 100–200 მილიმეტრის მანძილზე და ისე, რომ ტყვიის მიმართულება იყოს მარჯვნიდან მარცხნივ, რამდენადმე ზემოდან ქვემოთ, რამდენადმე წინიდან უკან, ფიზიკურად შეუძლებელია”. როსტოვის საექსპერტო დასკვნაში ვკითხულობთ, აგრეთვე გარდაცვლილის ძვლების მრავალი მოტეხილობის შესახებ. რაც ბადებს გონივრულ ეჭვს, რომ დატყვევებულ პრეზიდენტს, სპეცსამსახურის თანამშრომლები, ჯერ ფიზიკურად გაუსწორდნენ და შემდგომ მოკლეს.

შევარდნაძის ხუნტისტურმა ხელისუფლებამ კი, 1994 წლის 5 იანვარს, გაავრცელა ოფიციალური ინფორმაცია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ მისი გარემოცვის ინფორმაციაზე დაყრდნობით.

საზღვარგარეთ ემიგრირებული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარემოცვა – ბესარიონ გუგუშვილი, რობინზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე – დღემდე მტკიცედ ადასტურებენ ზვიადის „თვითმკვლელობის“ ფაქტს. დიდი ალბათობით, ზვიადის, საბოლოო – სამკაციანი გარემოცვა, სანდოობის მაღალი ხარისხით იქნა შერჩეული შევარდნაძის სპეცსამსახურების მიერ!

ექიმმა დავით ჯალაღონიამ, რომელმაც ბალზამირება გაუკეთა პრეზიდენტის ცხედარს, სამივე გარემოცვის წინაშე პროფესიულად განაცხადა, რომ ჭრილობები (ორი ჭრილობა) თვითმკვლელობის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა, რაზეც პრემიერმა გუგუშვილმა უკმეხად უპასუხა, რომ ეს მისი საქმე არ არის!

ნიშანდობლივია, რომ პრეზიდენტის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებული თითქმის ყველა ადამიანი საეჭვოდ დაიღუპნენ: ლუდმილა ლურწკაია, არსენ მესხია, ჯონსონ კვარაცხელია, თავად ექიმი დავით ჯალაღონიაც...

1994 წლის 23 თებერვალს, შევარდნაძის ხუნტისტური რეჟიმის მიერ ლიკვიდირებული და სიკვდილშიც დევნილი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ჩეჩნეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა, სამხედრო პატივით დაკრძალა გროზნოში. დუდაევმა, თარიღი – 23 თებერვალი, საგანგებოდ დაამთხვია კავკასიის თავისუფლებისათვის მებრძოლ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაკრძალვას ვაინახი (ჩეჩენი და ინგუში) ხალხის, რუსეთის მიერ, კავკასიიდან დეპორტაციის 50 წლისთავს. გამოსათხოვარ სიტყვაში ჯოხარ დუდაევმა, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით თქვა, რომ „იგი ნებაყოფლობით წავიდა ამქვეყნიერი ცხოვრებიდან“ო, რაც თვითმკვლელობის ოფიციალური ვერსიის პერიფრაზი გახლდათ. გარდაცვლილ საქართველოს პრეზიდენტს კი, არც საქართველოში და არც ჩეჩნეთში ჩატარებია ექსპერტიზა. დუდაევი, უბრალოდ დაეყრდნო ბესარიონ გუგუშვილის ინფორმაციას და არ ჰქონდა დრო კრიტიკულად მისდგომოდა მისი გარდაცვალების გარემოებებს.

საქართველოს პრეზიდენტის დაკრძალვას გროზნოში 2 ათასამდე ჩასული ქართველი დაესწრო, მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძის ხუნტამ ყველა ღონეს მიმართა, რათა დაებრკოლებინა წამსვლელები; დედაქალაქში, მთელი კვირის განმავლობაში გათიშული იყო ელექტრო-ენერგია, წყალი, გაზის მიწოდება, აეროპორტამდე არ მოძრაობდა ავტობუსები და ეკლესიებშიც კი, იმ ხნის განმავლობაში მაქსიმალურად შეზღუდეს

სანთლების გაყიდვა, სულზე, მხოლოდ, თითო სანთელს იძლეოდნენ მესანთლეები. მთელი კვირის განმავლობაში დავრბოდით ეკლესიებში, რათა საჭირო რაოდენობის სანთლები შეგვეგროვებინა გროზნოში წასაღებად. ძალიან მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ ქართველმა ერმა უნდა იცოდეს ეკლესიის იერარქიის მაშინდელი დამოკიდებულება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასადმი;

იმხანად, პატრიარქის რეზიდენცია სიონის ეკლესიის გვერდით მდებარეობდა. მე და ჩემი მეგობრები მივედით პატრიარქის რეზიდენციასთან, რათა გვეთხოვა 300 სანთლის შესყიდვის უფლება გროზნოში წასაღებად. პატრიარქმა, ერთი საათის ლოდინის მიუხედავად, არ მიგვიღო. შევბრუნდით სიონის ეკლესიაში და ეპისკოპოსს (გვარი არ მახსოვს) ვთხოვეთ, იქნებ ეთხოვა პატრიარქისთვის, რომ ამ განსაკუთრებული ვითარებისთვის დაეშვათ ჩვენთვის სანთლების შესყიდვის უფლება. ეპისკოპოსი, ყოყმანის მიუხედავად, მაინც წავიდა რეზიდენციაში, მაგრამ საათნახევრის გასვლის შემდგომ მივხვდით, რომ ამაოდ ველოდით. სხვადასხვა ეკლესიებში სულ სამოცდაათამდე სანთლის შეგროვება და წაღება შევძელით (ღმერთმა ყველას შეუნდოს...).

ჩვენი, პრეზიდენტზე მგლოვიარე ქათველების არც გროზნოში გაფრენა და არც დაბრუნება იყო უსაფრთხო; შევარდნაძის ხუნტისტური რეჟიმი სპეცსამსახურები, აეროპორტში აღრიცხავდა და უთვალთვალებდა ყველა ჩვენგანს. იყვნენ ადამიანები, რომლებიც რიგი მიზეზების გამო ვერ მოდიოდნენ დაკრძალვაზე გროზნოში, მაგრამ მათ, წამსვლელებს, შემოგვთავაზეს საკუთარი მანქანებით აეროპორტში მიყვანა, გაცილება და ყვავილების კალათების უსაფრთხოდ მიტანა ტრაპამდე. როცა გროზნოდან დავბრუნდით, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შევარდნაძის უშიშროებამ გზაზე სდია მათ და თითოეულ მათგანს ფიზიკურად სასტიკად გაუსწორდნენ. ხოლო ჩვენ, დაბრუნებულებს, უშიშროების მთელი ბრიგადები დაგხვდა აეროპორტთან, რომლებიც გვთავაზობდნენ თავიანთი მანქანებით სახლებში უფასოდ მიყვანას. დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ რომელიმე მათგანი არ შეეტყუებინათ უშიშროების მანქანებში. მე სამგლოვიარო დელეგაციის ხელმძღვანელი გახლდით და მქონდა ვალდებულება, თანმხლები პირების, ოჯახებში უსაფრთხოდ დაბრუნებისა, უშიშროება კი პირდაპირ ნადირობდა ჩვენზე...

ლეილა ცომაია

პრემიერი, რომელსაც სძულდა ზვიად გამსახურდია, უერთგულეგდა?!

ჩვენ, 1994 წლის 5 იანვრიდან ანუ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის“ ოფიციალური ცნობის გავრცელების დროიდან, დღემდე არაერთი წერილი მივუძღვენით შეთქმულებითა და ღალატით გაჯერებულ მე-20 საუკუნის დასასრულის ამ ისტორიულ დანაშაულს. „თვითმკვლელობის“ ვერსია, რომელიც პასუხისმგებლობისაგან თავისდახსნის მიზნით გამოუძიებელ მტკიცებულებად შემოგვაჩეჩა ქართველ ერს შევარდნაძის ხუნტისტურმა რეჟიმმა, როგორც ვიცით „ემყარებოდა“ ბესარიონ გუგუშვილისა და პრეზიდენტის ორი დაცვის (რობიზონ მარგველანისა და ბაჩუკი გვანცელაძის) „ნაამბობს“. ისიც ვიცით, რომ ამ შეთითხნილი ვერსიის სანაცვლოდ, თავად ამ შეთქმულმა „ტროიკამ“ საკუთარი თავისა და ოჯახის სიცოცხლისა და უსაფრთხოების გარანტიები მიიღეს.

თავდაპირველი ვერსია კი, რომელიც ხუნტამ საზოგადოების ზონდირების მიზნით ხალხში ჭორის სახით, ჯერ კიდევ 1993 წლის 25 დეკემბერს გაავრცელა ასეთი იყო: “ზვიად გამსახურდია მოკლეს... საკუთარმა გარემოცვის წევრებმა“, მაგრამ ამ ვერსიას დასტურ უნდა მოჰყოლოდა პრეზიდენტის მკვლელი პირების დაჭერა და დასჯა; უკანასკნელი გარემოცვა კი, როგორც მოგეხსენებათ, იმ ზემოხსენებული „ტროიკისაგან“ შედგებოდა. ამ პირვანდელი ვერსიით, ჩვენი ვარაუდით, ხუნტა (შევარდნაძე, სიგუა, იოსელიანი), გუგუშვილ-მარგველან-გვანცელაძეზე ფსიქოლოგიურ-სამართლებრივ ტერორს ახორციელებდა, რის შემთხვევაშიც მათ და მათ ოჯახებსაც ხალხის რისხვაც დაატყდებოდათ თავს.

ხალხში მიზნობრივად გავრცელებული ეს ჭორი, ფაქტიურად გახლდათ გზავნილი პრეზიდენტის იმ უკანასკნელი გარემოცვისადმი, რომლებიც, შევარდნაძის ხუნტისტური რეჟიმის სპეცსამსახურების მიერ იქნენ შერჩეულნი, როგორც მათთვის ყველაზე მეტად მისაღები და საიმედო პირნი. რაც იმ დასკვნის საფუძველსაც გვაძლევს, რომ ეს სამეული (გუგუშვილ-მარგველან-გვანცელაძე) პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ზუგდიდში ჩამოსვლამდეც (1993 წლის 24 სექტემბერი), საიდუმლოდ თამანშრომლობდნენ ხუნტასთან.

ამ სამეულიდან ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, რომელიც „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ საარჩევნო ბლოკის შექმნიდან ჩნდება ამ ორგანიზაციის ოფისში მაჩაბლის ქუჩაზე. იკავებს იქ ოთახს კაბინეტისთვის, იდგამს კომპიუტერს და განმარტოებით იკეტება და მთელი დღეების განმავლობაში დაკავებულია ქართული შრიფტებისა და საარჩევნო სიის კომპიუტერში შეტანის საქმიანობით. გვიან, სახლში წასვლამდე იგი თითქმის არ გამოდის კაბინეტიდან. დაუკითხავად, ვერც ვერავინ შედის მასთან, რადგან კარზე ჩამოუხსნელად გაკეთებული აქვს წარწერა: „ვმუშაობ, არ შემოხვიდეთ“.

ბესარიონ გუგუშვილი, როგორც ეროვნულ მოძრაობასთან ასოცირებული პირი, არ ჩნდება არც ერთ მიტინგზე, არსად ფიქსირდება ზვიად გამსახურდიას გვერდით. შესაბამისად, არც არავის გაკვირვებია, რომ იგი ვერ მოხვდა ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა სიაში და არც პირვანდელ მთავრობაში, რადგან მას არ იცნობს თვით ეროვნული მოძრაობაც და არც ფართო საზოგადოებაც. მისი არსებობა და საქმიანობა არ იცის თვით „მრგვალი მაგიდის“ დამფუძნებლებმაც „მრგვალი მაგიდის“ ოფისში, იგი, არ ესწრება „მრგვალი მაგიდის“ სხდომებს, რამეთუ არ არის მათი წევრი. გუგუშვილი არ წარმოადგენს „კონტაქტ-პერსონას“.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბესარიონ გუგუშვილის არსებობა ახსენდება გადატრიალების საწყის ეტაპზე, როდესაც პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა თანამდებობიდან გადადგა. ზვიად გამსახურდია მის შემცვლელად ნიშნავს ბატონ ბესარიონს, როგორც ცნობილი აკადემიკოსის, პაატა გუგუშვილის შვილს, მეცნიერს. გუგუშვილი იკავებს პრემიერ-მინისტრის თანამდებობას, თუმცა საომარ მდგომარეობაში მყოფი ხელისუფლების პირობებში იგი არ აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს, არ იწვევს მთავრობის სხდომებს, არ გამოდის პრესით, ტელევიზიით, არ ჩადის რეგიონებში, არ ჩნდება უცხოელ ჟურნალისტებთან. ერთადერთი ინტერვიუ პრემიერ-მინისტრის რანგში მან მისცა სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხს 1991 წლის 20 დეკემბერს, რომელიც არაფრით იყო დასამახსოვრებელი.

შეიარაღებული გადატრიალების დაწყებისთანავე 22 დეკემბერს იგი შედის უზენაეს საბჭოში, თუმცა იმალება ე.წ. ბუნკერში შაქრის ტომრების „ბარიკადებს“ მიღმა და არ გამოდის სამალავიდან. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია კი მას აძლევს სიტყვიერ განკარგულებას დატოვოს უზენაესი საბჭოს შენობა და გადაინაცვლოს მთავრობის სასახლეში,

მოიწვიოს მთავრობის სხდომა და იმოქმედოს, მაგრამ გუგუშვილი პრეზიდენტს პასხობს, რომ ეშინია და რჩება შაქრის ტომრებში ჩამალული. არ ავლენს არანაირ სურვილს იქ მაინც შეხვდეს უცხოელ ჟურნალისტებს და როგორც მეორე უმაღლესმა ხელისუფალმა გააკეთოს განცხადებები, მისცეს ინტერვიუები. იგი არც უზენაესი საბჭოს დეპუტატებს ენახვება, არამედ იმალება და ამიტომ სულ ხუთიოდე პირმა თუ იცის მისი იქ ყოფნის შესახებ. კუჭისაშლამდე შიშატანილი გუგუშვილი ჯანდაცვის მინისტრ მანანა ძოძუაშვილს წამდაუწუმ წნევას ასინჯინებს, რომელსაც შიშით მოცული პრემიერი, თავზე პალტოგადახურული, საბოლოოდ გამოჰყავს კიდეც უზენაესი საბჭოს შენობიდან და შინ უშვებს.

გუგუშვილი თავისი ოჯახით გროზნოში ჩააკითხავს გახიზნულ პრეზიდენტს და გროზნოს ერთ-ერთ სასტუმრო „კავკაზში“ ბინავდება. იგი, არც გროზნოში მოქმედებს, როგორც დევნილი მთავრობის თავმჯდომარე, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქესავით ცხოვრობს იქ. 1993 წლის სექტემბრის დასაწყისში კი იგი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დავალებით ბრუნდება საქართველოში, ჩამოდის ზუგდიდში, იწვევს უზენაესი საბჭოს სესიას და იღებს გადაწყვეტილებას პრეზიდენტის საქართველოში დაბრუნების შესახებ. პრეზიდენტი 24 სექტემბერს ბრუნდება ზუგდიდში და ბესარიონ გუგუშვილი მხოლოდ ამ დღეს ჩნდება პრეზიდენტის გვერდით ზუგდიდის მრავალათასიან მიტინგზე. ამის შემდგომ მისი საქმიანობა და არსებობაც გაურკვეველია, იგი კვლავ უჩინარდება, როგორც უმაღლესი თანამდებობის პირი. არსად ჩნდება, არსად ფიქსირდება, არსად საქმიანობს.

ბესარიონ გუგუშვილს, არც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაუკეთებია ოფიციალური განცხადება ქართველი ერისა და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, არ დაუგმია პუტჩიც.

ბესარიონ გუგუშვილი, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი, შორეულ ემიგრაციაში ფინეთშიც, დღემდე უმოქმედოდ ცხოვრობს, თუმცა პირად წერილებსა თუ ინტერვიუებში (არაოფიციალური) აცხადებს პრეტენზიას ლეგიტიმურ ხელისუფლების პირველობაზე, რითაც ბლოკავს მთავრობის დანარჩენ წევრთა და თვით ეროვნული მოძრაობის აქტივობებს კანონიერი ეროვნული ხელისუფლების დამხობის სამართლებრივი შეფასებისა და აღდგენის მიმართულებით.

ბესარიონ გუგუშვილი უკანასკნელ წლებში ძალზე გააქტიურდა საზოგადოებრივი ქსელ facebook-ით, სადაც დაჟინებით ამტკიცებს ზვიად

გამსახურდიას თვითმკვლელობას და რისხავს მკვლელობის ვერსიის წამომყენებლებს.

facebook-ში გამოჩნდა ახალგაზრდა სტუდენტი გოგონა ირინა წერეთელი, რომელიც დაიბადა რუსეთში და ცხოვრობს ინგლისში, მაგრამ შესანიშნავად იცის ქართული ენა და დაინტერესებულია გაერკვეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პერიოდის მოვლენებში, მაგრამ ბესარიონ გუგუშვილი ცდილობს მის დეზინფორმირებას და დეზორიენტირებას და ამ ბოროტგანზრახულ მცდელობაში იგი არ ერიდება თავისი რეალური აზრისა და დამოკიდებულების გამჟღავნებას ზვიად გამსახურდიას შეფასებაში. ასე მაგალითად: ირინა წერეთელი სიყვარულით ციტირებს ზვიად გამსახურდიას ფრაზებს, რაზეც გუგუშვილი ასე პასუხობს (იხ, ქვემოთ):



Irina Tsereteli

პარასკევი, ახლომდებარე ადგილი: London, England

„არ შეიძლება საკუთარი თავისა და საკუთარი ხალხის მოტყუება-ამაზე მწარე ხვედრი, ამაზე შემზარავი დანაშაული არ არსებობს!“ ზვიად გამსახურდია

მეცნიერ-ფილოლოგი, მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი, დისიდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის (1973-1990) ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

Top of Form

1აღარ მომწონს · · გაზიარება

ბესარიონ პაატას ძე გუგუშვილი მაგ ყველაფერს ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის, პარადიგმის ჩარჩოებში დაზუსტება სჭირდება... – როცა საშუალება იქნება აგიხსნი ლამაზო პიპპი...

პარასკევი, 5:15-ზე · მომწონს · 1

Irina Tsereteli **დიდი სიამოვნებით მოგისმენდით ბ-ნო ბესარიონ!**

პარასკევი, 5:51-ზე · მომწონს

ბესარიონ პაატას ძე გუგუშვილი სულ მოკლედ: ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობისა და შესაბამისი პარადიგმის ჩარჩოებში – ზვიადი უპირველეს და რაც მთავარია იყო ეროვნულ-დამამონებელი იდეოლოგიის ფუძემდებელი და ეროვნულ-დამამონებელი მოძრაობის ერთპიროვნული ლიდერი... – ამასთანავე, ზვიადი არ იყო „დისიდენტი“ ამ ტერმინის საყოველთაოდ გავრცელებული გლობალისტური გაგებით... – ზვიადი არ იყო არც პოლიტიკოსი... – და სხვა ასეთები... – ესაა ის, რასაც სჭირდება ამ თემასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება – ლამაზი (უპირველეს სულიერად, და არა ლამაზმანი) და სათნო, თუმცა გულუბრყვილო, გულახდილი-გულღია და ცხოვრებით გამოუცდელი დიდი ბავშვისთვის – პიპპისთვის...

პარასკევი, 12:58-ზე · Edited · მომწონს · 2,

ეს ინტერნეტ-მიმოწერა სტუდენტ ირინა წერეთელსა და ჭარმაგ გუგუშვილს შორის 2013 წლის აპრილში შედგა.

2004 წლის 6 ივნისს საქ.ტელევიზია „იმედის“ გადამღები ჯგუფი სპეციალური ვიზიტისას ფინეთში გუგუშვილის ოთახის კედელზე აფიქსირებს ჯოხარ დუდაევის სურათს. ჟურნალისტის კითხვაზე, ზვიადის სურათი რატომ არ გიკიდიათო, გუგუშვილი პასუხობს „ზვიადი გულში მყავსო“. ამ პასუხის ფარისევლობა ნათლად მჟღავნდება გუგუშვილ-ღუდუშაურის (დუშეთის პრეფექტი) ერთობლივი ჩართვიდან ჟურნალისტ ვახტანგ სანაიას გადაცემაში (2011 წლის 13 ნოემბერი), რომელშიც გუგუშვილი ზვიად გამსახურდიას წარმოსახავს „მაოხრებელ მკვდრად“ და ზვიადის ასეთად შექმნაში ბრალს დებს კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიას (?!), როგორც „ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების დამდგენ საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეს“.

ნიშანდობლივია, რომ ბატონი ბესარიონი განრისხებით ესხმის ყველას, ვინც პრეზიდენტ ზვიად გამდახურდიას გარდაცვალების მიზეზ-გარემოებებს იკვლევს. ამ მოტივით, არაერთხელ გამხდარა მისი თავდასხმის სამიზნე მედეაკავშირ „ობიექტივის“ აწ უკვე ყოფილი ჟურნალისტი ირაკლი შონია, რომელსაც მისი ყველაზე რეიტინგული გადაცემა დაუხურეს! ირაკლი შონიას თქმით, სოსო ღუდუშაურმა მის გადაცემაში, ფინეთიდან ერთ-ერთ სატელეფონი ჩართვისას განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდია ხალხის კეთილდღეობისათვის არ ზრუნავდაო. სწორედ ამგვარი უსინდისო თანამოაზრეობ-თანამზრახველობის ნიშნით დანიშნა გუგუშვილმა ღუდუშაური ფინეთში „ემიგრაციული მთავრობის პრეზიდიუმის წევრად“

და ეს შეთქმული ტანდემი, აწ უკვე ზვიად გამსახურდიას პიროვნულ დისკრედიტაციასაც საერთო ძალისხმევით ეწევიან ფინეთიდან.

ასეთ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროში, ვფიქრობთ, ლოგიკურად ჩნდება კითხვა:

პრემიერი, რომელსაც, თურმე, სძულდა ზვიად გამსახურდია, უერთგულებდა?!

ლეილა ცომაია

გაზეთი „განმათავისუფლებელი“, №36. 2013 წელი.

Konstantine Gamsakhurdia თავისი ობიექტური მიზეზები აქვს, თუ რატომ არ ჩატარდა ექსპერტიზა და ჩატარდა მხოლოდ დათვალიერება გროზნოს პროზექტურაში. რა თქმა უნდა ამით სიმართლის დადგენის საქმემ იზარალა. სენაკის აეროპორტშიც დათვალიერებას ჰქონდა ადგილი, რომლის ოქმიც გამოვაქვეყნეთ. იმ დოკუმენტში, რომელსაც თამარ დეკანოსიძე, ჩაჩუა, ბოჭორიშვილი და სხვები აწერენ ხელს, ლაპარაკია რამოდენიმე სახის დაზიანებაზე სახისა და თავის არეში. როგორც ყოფილმა ჯანდაცვის მინისტრმა და ყოფილმა პრემიერმა ა. ჯორბენაძემ მითხრა, 3 უცხოელი ექსპერტი უკვე თბილისში იყო ჩამოსული. ხოლო შევარდნაძემ და ბალუაშვილმა იმით გაიმართლეს თავი, რომ ქვრივი ექსპერტიზის წინააღმდეგიაო: თითქოს გროზნოში მყოფი ქვრივის და იანდარბიევის 5 ჩეჩენის შეეშინდათ. თუკი მე, ე. შევარდნაძე იმას ვამტკიცებ, რომ ამ კაცმა თავი მოიკლა და მე არაფერ შუაში ვარ, მაშინ პირიქით ყველაფერი უნდა მეღონა, რომ როგორღაც ჩატარებულიყო ექსპერტიზა, რაც თვითმკვლელობას დაამტკიცებდა. შევარდნაძისთვის ეს ხომ კომფორტულიც იქნებოდა და აუცილებელიც.

რატომ ეწინააღმდეგება ბესარიონ გუგუშვილი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ვერსიას?

საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებათა შემსწავლელმა საპარლამენტო კომისიის შექმნამ(რომელსაც პრეზიდენტის უფროსი შვილი, პარლამენტარი კონსტანტინე გამსახურდია ხელმძღვანელობს) მოსვენება, განსაკუთრებით დაუკარგა, ეროვნული მთავრობის პრემიერმინისტრს ბესარიონ გუგუშვილს და პრეზიდენტის დაცვის იმ წევრებს, რომლებიც ბესარიონ გუგუშვილთან ერთად იმყოფებოდნენ პრეზიდენტის გარდაცვალების დროს (რობინზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე).

სწორედ მათგან გავრცელდა ის თავზარდამცემი ინფორმაცია, რომ 1993 წლის 31 დეკემბრის ღამეს, ახალი წლის დადგომამდე რამოდენიმე წუთით ადრე, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა.

აღნიშნული ინფორმაცია, შევარდნაძის ხუნტისტურმა ხელისუფლებამ ოფიციალურად მასმედიით 1994 წლის 5 იანვარს გაავრცელა. 5 იანვრამდე, დევნილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას «თვითმკვლელობის» ინფორმაცია არ გამოჟონილა მისი გარემოცვისაგან. არც თვით იმ სოფლებშიც, სადაც მოკლეს და შემდგომ გადაასვენეს პრეზიდენტი (ძველი ხიბულა და ჯიხაშკარი). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 5 დღის განმავლობაში (31 დეკემბრიდან 5 იანვრამდე), პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარემოცვა, შევარდნაძის ხუნტისტურ რეჟიმთან თანამშრომლობით, ხვეწდა და ამუშავებდა ორივე მხარისათვის სასურველი თვითმკვლელობის ვერსიას, რაც შეიძლება მეტი დამაჯერებლობით გავრცელების დეტალებს. ამ სჯაბაასში, მთავარ ეპიზოდად და არგუმენტად იქცა პრეზიდენტის საფლავის ადგილსამყოფელის გასაიდუმლება ხუნტისტური ხელისუფსუფლების მხრიდან, თითქოსდა საფლავის „დაცვის“ (?!) მოტივით.

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი გარემოცვის და შევარდნაძის ხუნტისტური ხელისუფლების მიერ გავრცელებულმა «თვითმკვლელობის» ვერსიამ, 16 წლის განმავლობაშიც კი, ვერც მის მომხრეებსა და ვერც მოწინააღმდეგეებს შორის, დამაჯერებლობის ვერც ერთი პროცენტით ვერ იმუშავა. არამედ, სწორედ

ამ ვერსიამ გააჩინა პარადოქსალური იმედი ზვიადის სიცოცხლის შესახებ; ზვიად გამსახურდიას მომხრეთა ნაწილს დღემდე ასულდგმულებს მისი დაბრუნების (გამოჩენის) იმედი.

თბილისის პეტრე პავლეს ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა **არჩილ მინდიაშვილმა** (იგი ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს დეპუტატიც გახლდათ), კვირაცხოვლობას (2010 წლის 11 აპრილს), ათასამდე მრევლის წინაშე იქადაგა:

ზვიად გამსახურდია ცოცხალია, იგი იმყოფება ევრაზიის ერთ-ერთ მონასტერში, დაბრუნდება საქართველოში და ჩამოიყვანს მეფეს. ამიერიდან მე ზვიად გამსახურდიას ცოცხლებში მოვიხსენიებ...

და მას მერმე (როგორც მისი მრევლიდან ვიცით) ცოცხალთა ლოცვებში იხსენიებს კიდეც!

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი გარემოცვა (გუგუშვილი, მარგველანი, გვანცელაძე) აცხადებს, რომ პრეზიდენტი მოწამლული იყო და ბოლო ერთი თვის განმავლობაში ძალიან ცუდად გრძნობდა თავს (ხდებოდა, ვერ ჭამდაო).

საზოგადოებისათვის დღემდე პასუხგაუცემლად რჩება კითხვა, თუ რა ვითარებაში მოიწამლა პრეზიდენტი და რით! თუ იგი საკვებით მოიწამლა, მაშინ იმავე საკვებით ან წყლით ისინიც ხომ უნდა მოწამლულიყვნენ?

რამდენადაც ვიცით, დევნილ მთავრობას, საველე და ექსტრემალურ ვითარებაში საკვების ფართო ან განსხვავებული ასორტიმენტი არ გააჩნდათ და ყველანი (პრეზიდენტიც) ერთი საკვებით იკვებებოდნენ.

არის ერთი სიცარიელეც! ვინაიდან, აფექტის მდგომარეობა და მოტივაცია (როგორც ისინი გვარწმუნებენ, ახალ წელს სუფრასთან მოწესრიგებული შეხვდა და შემდეგ დასაძინებლად დაწვაო) იმ მომენტისათვის არ არსებობდა, პრეზიდენტი, თვითმკვლელობის გადაწყვეტილებამდე, გააზრებული ნებელობით უნდა მისულიყო. ხოლო ასეთი მდგრადი სულიერ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის ფონზე მას, თავისი უკიდურესი გადაწყვეტილების მიზეზებზე (მისი ღრმად მორწმუნეობა და უფლის მოშიშობა რომ გამოვრიცხოთ), ერის მიმართ სათქმელი, წერილობით მაინც უნდა დაეტოვებინა, ზვიად გამსახურდიას, უდავოდ, მაღალი შინაგანი პასუხისმგებლობის ხარისხიდან გამომდინარე.

საზოგადოების ყურადღება, ერთ საეჭვო გარემოებაზეც მსურს გავამახვილო:

საზოგადოების უნდობლობასა და ეჭვებს აძლიერებს ისიც, რომ პრეზიდენტის გარემოცვა (გუგუშვილი, გვანცელაძე, მარგველანი) «პედალირებენ» ერთადერთ – «თვითმკვლელობის» – ვერსიაზე (რაც

საკუთარი თვალებით, არცერთს უნახავს, გვეძინაო) და კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან მკვლელობის ვერსიას. აგრეთვე, სხვადასხვა დემაგოგიური განცხადებებით, თავიდან იცილებენ გამოძიებასთან თანამშრომლობის ვალდებულებას...

ლეილა ცომაია,
2010 წლის აპრილი.
(მასალა გადმობეჭდილია გაზეთიდან „განმათავისუფლებელი“,
2010 წლის მაისი, №25).

შეხედეთ ამ უგვანო მონტაჟს და უმალ მიხვდებით, ვინ მჭმუნვარეა, ვინ მეოცნებე!



რუსეთის პროპაგანდისტულმა ქართულმა გაზეთმა **„ასავალ-დასავალმა“**, რომელიც ამ საარჩევნო პერიოდში ბიძინა ივანიშვილისაგანაც უხვად ფინანსდება, ივანიშვილის გაეროვნულებისათვის მორიგ ვოლუნტარისტულ ხერხს მიმართა; ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას „მწუხარე რაინდებად“ ცნობილ ფოტოს მერაბი ამოარიდა და, მის ნაცვლად, ზვიადს გვერდით, ბიძინა ივანიშვილი დაუყენა (იხ. „ასავალ-დასავალი“, 20-26 აგვისტო, №34, გვ.6, 2012). ფოტო განთავსებულია ბიძინა ივანიშვილის სატელიტად საგანგებოდ შექმნილ პოლიტიკური ორგანიზაცია „ეროვნულების“ დამფუძნებლისა და ლიდერის სანდრო ბრეგვაძის ინტერვიუში და ფონადაც, ეროვნული მოძრაობის წევრების ნაცვლად, ამ ისტორიულ ფოტოს დადებული აქვს „ოცნების“ თეთრმაისურიანი წევრების კადრი. არადა, მოძრაობა „ეროვნულების“ რიგებში და დამფუძნებელთა შორისაც, 2012 და 2015 წლებში მრავლად იყვნენ ეროვნული მოძრაობის ვეტერანები. 2016 წლის გაზაფხულზე, როგორც კი გამოაშკარავდა ბრეგაძის ნამდვილი სახე, თითქმის ერთიანად დატოვეს მოძრაობის რიგები და დღეს ბრეგაძის გვერდით ეროვნული მოძრაობის არცერთი წარმომადგენელი არ დგას. ხოლო, ახალაიების ოჯახური კლანი თუ რა კავშირშია ამ ფოტოსთან, ეს რებუსი ვერაფრით ამოვხსენით.

ფოტოსა და ვიდეოს მონტაჟი დღეს საზოგადოდ გავრცელებულ პრაქტიკად იქცა, თუმცა, ამგვარ საჩოთირო საქმიანობას, ადრე მხოლოდ უშიშროება და სხვა ძალოვანი სტრუქტურები მიმართავდნენ. ჟურნალისტიკაში კი, ამგვარი პრაქტიკის დანერგვას, ნამდვილად ვერ მივესალმებით, რამეთუ, მსგავსი პრეცედენტი ეჭქვეშ დააყენებს ნებისმიერი ფოტო

თუ ვიდეო დოკუმენტური მასალის ნამდვილობას და ფასსა და ნდობას დაუკარგავს მას.

„ასავალ-დასავალის“ ამ ფოტო-მონტაჟზე, ჩვენს აღშფოთებას, აგრეთვე იწვევს ფოტოზე დადებული მკრეხელური ციტატაც სანდრო ბრეგაძის ინტერვიუდან ჯაბა ხუბუასთან, რომლის პათოსითაც, ბიძინა ივანიშვილი... ზვიად გამსახურდიას გზისა და იდეების განუხრელ გამგრძელებლად (?!) წარმოგვიდგება.

აი, ამგვარი ფანტასმაგორული ილუზიით არის „გამართლებული“, ზვიად გამსახურდიას გვერდით, მერაბ კოსტავას, ბიძინა ივანიშვილით ჩანაცვლება.

არადა, ბრეგაძის ამ ინტერვიუმდე, პუტინის ოლიგარქმა ბიძინა ივანიშვილმა, ლემშვენიერაში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს თავს უფლება მისცა, დამოუკიდებელი ერთიანი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, არალეგიტიმური და კაპიტულანტი „პრეზიდენტების“ – შევარდნაძისა და სააკაშვილის მარაქაში გაეყვანა და ზვიადის ღვაწლიც **ფოკუსნიკობად** შეეფასებინა. კერძოდ, ივანიშვილმა თქვა:“...ბოლო ოცი წელიწადი, რაც გახსოვთ სსრკ დაიშალა და ამიტომაც დავდივართ ამ მოჯადოებულ წრეზე: ერთი გვატყუებს ერთი ფოკუსით (გულისხმობს ზვიადს -**ლ.ც**.), მეორე მოვიდა და მეორე უბედურებას გვახვევს და მესამე მოვიდა და საერთოდ კატასტროფა მოგვიტანა“. ნახეთ ვიდეო http:/ /www.youtube.com/watch?v=so-MhXs2Aus, მისი გამოსვლის ჩანაწერი 12 წთ-სა და 42-ე წამიდან.

ივანიშვილს, არც სვანებთან შეკრებაზე დაჰვიწყებია ზვიადი და მისეულ წარსულს იქაც ესროლა კენჭები: „მოჭარბებულმა პატრიოტობამ და ემოციებმა დაგვღუპაო“ .

ხოლო, ზუგდიდურ შეხვედრებზე კი, გაისიგრძეგანა რა რეგიონალური ფაქტორი, ზვიადის მიმართ კრიტიკის ტონი შეარბილა, თუმცა შეფუთვითაც საკმაოდ მკაცრად გააბიაბიურა, როგორც პოლიტიკოსი და მას ცარიელი ემოციებით მოსული უწოდა:“ზვიადი იყო ძალიან დიდი პატრიოტი კაცი, ძალიან დიდი პიროვნება, ძალიან განათლებული , ძალიან მაგარი ოჯახის შვილი, პრობლემა იყო ის, რომ საზოგადოება იყო აფსოლიტურად მოუმზადებელი, **ცარიელი ემოციებით** მოვედით, არანაირი გამოცდილება მართვის არ გვქონია, ერთადერთი, რაც ქონდა – აცხონოს ღმერთმა – ზვიადსაც, გამოუცდელი იყო ისიც მართვის“ – თქვა ივანიშვილმა ზუგდიდში, სოფ. ოდიშში ბაჩუკი გოჩუას ოჯახში. იხ. ვიდეო http://www.youtube.com/watch?v=Nm3viAF9Hc0&feature=g-crec-u

არადა, ზვიადს და მის ეროვნულ ხელისუფლებას, პოსტსაბჭოური ხე-

ლისუფლებიდან (შევარდნაძე, სააკაშვილი), ერთადერთს ჰქონდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის ყოვლისმომცველი პროგრამა, რის გაცნობასაც ნამდვილად საჭიროებს პოლიტიკანი ივანიშვილი, რისთვისაც ვურჩევთ მას წაიკითხოს კრებული „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო. პოლიტიკური ორგანიზაციები“, გამომცემლობა „ზანი“, 2009. შემდგენელ-რედაქტორი – **ეთერ მგალობლიშვილი**.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პროგრამა კი, მისგან განსხვავებით, არ გახლდათ ამომრჩევლების მოსყიდვაზე ორიენტირებული და ხელისუფლებაშიც იგი მოწამეობრივი ბრძოლის ბიოგრაფიული კაპიტალით (და არა ფულადი კაპიტალით) მოვიდა. დისიდენტი ზვიად გამსახურდია, პოლიტიკაში 12 წლის ასაკიდან იყო ჩართული, ხოლო მართვის მეთოდური გამოცდილების ათვისება კი, გარეშე და შინაურმა მტრებმა, სწორედ რომ არ დააცალეს!

როგორი მოუზღუდავი უნდა იყო პირადი აზრების საჯაროდ გაცხადებასა და მოქმედებაშიც, რომ ზვიადისა და მერაბის სრული ანტიპოდი ივანიშვილი, ზვიადის დარ საქართველოს აღმშენებლად წარმოადგინო! სანდრო ბრეგვაძემ, ამ მკრეხელობის სანაცვლოდ, ივანიშვილისაგან პარლამენტში ერთი მანდატი (დეპ. პაატა ბარათაშვილი), დიასპორის სამინისტროში მისი ორგანიზაციის წევრის (გია ფერაძის) დასაქმება უზრუნველყო, ხოლო თავად კი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის **(დარახველიძის)** მოადგილის თანამდებობა გაინაღდა. ამჟამად კი, სანდრო ბრეგაძე დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის (გელა დუმბაძის) მოადგილეა და მინისტრობაზეც ოცნებობს.

ზვიადი და მერაბი აროდეს ოცნებობდნენ, რამეთუ, ვაჟას თქმისა არ იყოს: „საქმიან კაცს ოცნებისთვის სადა სცალიან, ან ოცნებას რა ხელი აქვს მასთან?!“

ზვიადი და მერაბი სანდლებით, გაცვეთილი სამოსითა და ფეხით მოარულნი ზეცაში და ერში აგროვებდნენ საუნჯეს.

ლეილა ცომაია
2012 წლის სექტემბერი
„განმათავისუფლებელი“, №33, გვ. 7

გაზეთ „НАРОДНАЯ ПРАВДА“-ში გამოქვეყნებულ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუს გამო

სანკტ-პეტერბურგის გაზეთ „Народная правда“ -ში 1992 წლის ოქტომბერში, ერთმანეთის გვერდი-გვერდ დაიბეჭდა ზვიად გამსახურდიასა და ჯოხარ დუდაევის ინტერვიუები. ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ 1992 წლის 6 დეკემბერს ქართულად გადმოთარგმნილი დაბეჭდა იმ დროს, ჯერ კიდევ სოხუმში, ომის მდგომარეობაში გამომავალმა ეროვნულმა გაზეთმა „აღდგომამ“ (N29). ვინაიდან, აღნიშნული ეროვნული გაზეთი სოხუმში ომის მძვინვარების პერიოდში გამოიცემოდა, გამომცემლების უსაფრთხოების მიზნით გაზეთზე გამომცემლების კონკრეტული ვინაობის ნაცვლად მითითებული იყო „სარედაქციო კოლეგია“ , რეალურად კი მას წარმოადგენდნენ გიორგი სიჭინავა, მურმან ზაქარაია, ნონა ქობალია... სავარაუდოდ, რუსულენოვანი ინტერვიუს თარგმანი, სწორედ ნონა ქობალიას უნდა ეკუთვნოდეს. დასახელებული პიროვნებების მიმართ, ცხადია, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის; 1992 წლის 6 დეკემბერი, კალენდრის მიხედვით არასამუშაო – კვირა დღე იყო, რაც მეტყველებს რედაქციის მესვეურთა პატრიოტულ დღის რეჟიმზეც. თუმცა, „აღდგომის“ ეს თავდადებული მუშაკები, ალბათ მაშინ ვერც იფიქრებდნენ, რომ 18 წლის შემდგომ გამოჩდებოდნენ არაკეთილსინდისიერი, რუსეთუმე პოლიტმაქინატორები, რომლებიც თავისი მიზნებისამებრ დაჩეხავდნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ამ ინტერვიუს და მოახერხებდნენ, თანამედროვე საზოგადოებისათვის, ზვიად გამსახურდიას, რუსეთის მოკავშირე ლიდერად წარმოჩენას...

ჩვენ დიდი ჯაფა დაგვჭირდა მოგვეპოვებინა ამ ინტერვიუს რუსული ორიგინალი, რისთვისაც სანკტ-პეტერბურგში ჩასვლა გახდა საჭირო. თავდაპირველად, პრობლემის იოლად მოგვარების მიზნით, დახმარება ვთხოვეთ ჩვენს facebook-ელ ახალგაზრდა მეგობარს ირინა წერეთელს, რომლის ბებია-ბაბუა და მშობლები მოსკოვში ცხოვრობენ, ხოლო თავად ირინა ლონდონის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია და ერთ-ერთ კლინიკაში სტაჟიორადაც მუშაობს. ირინა ოპერატიულად შეეცადა ჩვენს დახმარებას ბაბუის ნაცნობი ქართველების მეშვეობით, თუმცა ეს, არც ისე მარტივი აღმოჩნდა და დროში გაიწელა. საკითხზე სასაუბროდ ვიხმე უზენაესი საბჭოს დეპუტატი და მხატვარი ნუგზარ მგალობლიშვილი,

რათა მას, თავისი რუსი კოლეგები მოეშველებინა გაზეთის მოსაპოვებლად. ბედად აღმოჩნდა, რომ ნუგზარ მგალობლიშვილს თავად ჰქონდა ხელთ თვითმფრინავის ბილეთი, სწორედ პეტერბურგში რამდენიმე დღეში გასამგზავრებლად „ნონ-კონფორმისტ“ მხატვართა გამოფენაზე, სადაც საკუთარ ნახატებთან ერთად, სხვა რამდენიმე ქართველი მხატვრის ნამუშევრებიც მიჰქონდა.

იმის გამო, რომ გაზეთ “Народная правда“ -ს გამოცემა ათ წელზე მეტი წლის წინ შეწყვეტილა, ნ. მგალობლიშვილს, რედაქციის ყოფილ შენობიდან, პირდაპირ, სანკტ-პეტერბურგის ცენტრალური ბიბლიოთეკისკენ აუღია გეზი. ბიბლიოთეკაში მას გაზეთის ქსეროასლიც გადაუღეს, CD-დისკზეც გადაუტანეს და მონაპოვარი ნუგზარ მგალობლიშვილმა რუდუნებით ჩამოიტანა საქართველოში. ერთ კვირაში, ჩვენი უმცროსი მეგობრის, ირინა წერეთლისგანაც მივიღეთ Skyp-თი გადმოგზავნილი შეპირებული გაზეთის ის გვერდი, რომელზეც განთავსებულია ზვიადის ეს სადაო ინტერვიუ, რისთვისაც მასაც დიდ მადლობას ვუხდით.

„Народная правда“-ში კავკასიელი პრეზიდენტების ზვიად გამსახურდიასა და ჯოხარ დუდაევის ინტერვიუები მესამე გვერდზე ერთმანეთის გვერდითაა დაბეჭდილი და იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი გაზეთის უშველებელი ფორმატის მთელი ერთი გვერდი უკავია კავკასიელი პრეზიდენტების დიდი ფოტოებითურთ. გაზეთ „აღდგომაში“, რედკოლეგიის შეპირების მიუხედავად, ჯოხარ დუდაევის ინტერვიუ შემდგომ ნომრებში არ გამოქვეყნებულა, რაშიც მათ, ვფიქრობთ ომის ესკალაციამ შეუშალათ ხელი.

გაზეთ „აღდგომაში“ კი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ 1 და მე-2 გვერდის ნაწილშია განთავსებული, მაგრამ კორესპონდენტისა და მთარგმნელის ვინაობისა და ინტერვიუს ჩაწერის ადგილის მითითების გარეშე, რაც ინტერვიუების ანონიმურობის შთაბეჭდილებას წარმოშობს. ჩვენ, რასაკვირველია, დასაზუსტებლად დავუკავშირდით გამომცემლებს ბატონ მურმან ზაქარაიასა და გიორგი სიჭინავას, მაგრამ მათგან ვერაფერი შევიტყვეთ; აუხსნელობის მიზეზად მათ მასალის ხანდაზმულობა დაასახელეს, არ გვახსოვსო! გაზეთ „Народная правда“-ს მოპოვება კი ამ მხრივაც ფასდაუდებელი საგანძური აღმოჩნდა, რითაც ამ საინფორმაციო ვაკუუმის შევსების საშუალებაც მოგვეცა, რამეთუ, ინტერვიუების, კერძოდ კი პრეზიდენტ დუდაევის ინტერვიუს ბოლოში, რედაქციის მინაწერის შემდგომ, გამყოფი ხაზის ქვემოთ წერია: „გვერდის მასალები მომზადებულია ჩვენი სპეციალური კორესპონდენტების ე. ბელიაევის და ს. ივანოვის მიერ. ს.პეტერბურგი – მინერალური წყლები – გროზნო.“

3 • октябрь 1992 г. Народная правда

Обращаемся к друзьям за помощью в распространении нашей газеты: во Владивостоке — 23-96-22

КОГДА ГДЕ-НИБУДЬ в Африке народ «бросает народного диктатора вроде императора Бокассы, уличенного в каннибализме, то правительства развитых стран Запада рассматривают это как «попрание на основных прав и свободы человека» и направляют на помощь диктатору войска ООН.

Но вот, когда в Грузии чуть позже в законе конституционным путем завоевывает власть и сверяет законного президента, — это мировым сообществом расценивается как «свободное волеизъявление грузинского народа».

Почему западные демократии проявляют такое безразличие к судьбе законного главы государства, мы решили узнать у самого Президента Грузии Звиада ГАМСАХУРДИА.

ЗВИАД ГАМСАХУРДИА:

«У ЖИВОТНЫХ НЕТ НАЦИОНАЛЬНОСТИ...»

— Правительство, которое ранней ночью вторгается на глазах у всего мирового демократического мира, на сколько лжи или даже злости от дезинформации. Демократические правительства в грубой форме, которая противоречила международным нормам, нарушили суверенитет Грузии. Суть нашего требования: дайте, наконец, возможность нашему народу, от России нам нечего скрывать, и от Грузии, так для чего, кто, кому, зачем?

Новая кавказская война — не за горами?

ИМЯ ЭТОГО ЧЕЛОВЕКА навсегда войдет в историю государства российского уже потому, что он стал первым Президентом Чеченской республики, в его первом указе, был провозглашен он государственный суверенитет.

ДЖОХАР ДУДАЕВ:

«Зарево над Кавказом—результат политики российского руководства. Оно—заложник Запада»

ჩვენი გამოკვლევით, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „Народная правда“-სთვის გროზნოში მიცემული ინტერვიუს ქართულ გაზეთში გამოქვეყნების პირველწყაროა, გაზეთი „აღდგომა“, საიდანაც იგი გადაბე-

ჭდეს და ინტერნეტსივრცეშიც დღემდე ვრცელდება სხვადასხვა საიტებსა თუ პორტალებზე. ერთი ასეთი ყველაზე პოპულარული და აქტიური საიტი იყო http://mamuli.net/sinatle , რომლის შემქმნელები გახლდათ 1992 წლის შემდგომ ემიგრაციაში წასული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებისა და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები: ბესარიონ გუგუშვილი, იოსებ ღუდუშაური, თამაზ ალვანელი, დაჩი ჩაჩანიძე (-ქართველი) და სხვ. რომლებმაც ამ საიტზე ზვიად გამსახურდიას ხსენებული ინტერვიუ დადეს სულ სხვა, საკუთრივ ინტერპრეტირებული სათაურით: „ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან: სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში“. ხსენებულმა პირებმა არ მიუთითეს, აგრეთვე ინტერვიუს ქართული პირველწყარო. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე განთავსებულ ამ ინტერვიუს, წყაროდ მითითებული კი აქვს გაზეთი „აღდგომა“, მაგრამ სხვა ნომრით, ანუ, გაზეთის N29-ის ნაცვლად მითითებული აქვთ N20 და თავად ინტერვიუც ისევეა დაჩეხილ-გაყალბებული, როგორც ზემოხსენებულ და სხვა ინტერნეტ-საიტებზე, ანუ განთავსებული ინტერვიუ რეალურად არსად არ წარმოადგენს გაზეთ „აღდგომის“ ასლს.

ამ კონტექსტში ნიშანდობლივად უნდა მივიჩნიოთ, რომ პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში უკვე ვეღარ მოიძიებთ 90-იანი წლების დასაწყისის პრესას სრულყოფილი სახით, არამედ ოპოზიციის გამონათქვამები, განცხადებები და ქმედებანი ფოტო-მასალებითურთ, თითქმის ყველა გაზეთიდან ბრიტვითაა ამოჭრილი. ჩვენი აღმოჩენით, ეს პროცესი მაშინდელ საჯარო ბიბლიოთეკაში დაიწყო 1995 წლიდან და ალბათ დასრულდა მისი სრული განადგურების დროს. ამ სალიკვიდაციო საქმიანობით კი დაინტერესებული და დაკავებული პირები, უთუოდ ისინი იყვნენ, ვინც სიტყვით თუ საქმით აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობაში და აწ უკვე აღარ აწყობდათ მათი საქმიანობის მამხილებელი პუბლიკაციების პრესაში არსებობა.

არ არის გამორიცხული, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, „აღდგომაში“ **„Народная правда“-დან გადმოთარგმნილი ინტერვიუს ამგვარად დაჩეხვის პირველი შემოქმედი, სწორედ ეროვნული (საჯარო) ბიბლიოთეკა გამხდარიყო.** მაშ, რატომ უნდა დაედო პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას მაინც, თავის საიტზე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუს სწორედ ეს დაჩეხილი ვარიანტი ისე, რომ არც მიუთითა ამის შესახებ? თანაც, არასწორად მიუთითა (გააყალბა) გაზეთ „აღდგომის“ ნომერიც (N29-ის ნაცვლად მიუთითა N20)? ამ ბიბლიოთეკას მაინც ხომ

გააჩნდა თავის პერიოდიკაში (ხელუხლებელ ფონდშიც) გაზეთი „აღდგომა“ და შესაბამისად, გაზეთის ის ნომერიც, რომელშიც ზვიადის ეს ინტერვიუ სრული სახითაა დაბეჭდილი?

იხ. ეროვნული ბიბლიოთეკის საიტი: http://www.nplg.gov.ge/gsdl/

რუსი ჟურნალისტის კითხვის ნაწილში – „რით ვერ დაიმსახურა თქვენმა ხელისუფლებამ დასავლეთის კეთილგანწყობა?“ – პრეზიდენტ გამსახურდიას პასუხის მეორე აბზაცის ბოლოდან ამოღებულია **ე. შევარდნაძე** და ის მონაკვეთი ასეა ფორმულირებული: “...ეს იქცა ერთ-ერთ მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ც.რ.უ.) აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის (**ე. შევარდნაძე** ამოღებულია) მოსვლისა“. ხოლო, კითხვის ნაწილში – „რით აიხსნება დასავლეთის ესოდენ გაზრდილი ინტერესი კავკასიის მიმართ?“ – ზვიადის პასუხის მესამე აბზაცში „კავკასიის სრული „ბალკანიაციის“ გარეშე“ -დან ამოღებულია მოზრდილი მონაკვეთი პასუხებიან-კითხვიანად და შემდგომ მონაკვეთშიც თვითნებურად შეცვლილია ზვიადის პასუხის ნაწილიც.

ზემოხსენებულმა ინტერნეტ-საიტმა (http://mamuli.net/sinatle) სათავე დაუდო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუს ამგვარად შეცვლილ-დამახინჯებული სახით გავრცელებას სხვადასხვა პორტალებსა („ბურუსი“ და სხვა) და ბეჭდურ მედიაშიც. ასე მაგალითად, მიმდინარე 2013 წლის მარტის(N3(32) ნომერში, თბილისში გამომავალმა რუსული ორიენტაციის ჟურნალმა „ისტორიული მემკვიდრეობა“, სწორედ ამ სახით დაბეჭდა ზვიადის ეს გახმაურებული ინტერვიუ და ინტერნეტ-წყაროდ http://mamuli.net/sinatle მიუთითა. ნიშანდობლივია, რომ ზვიადის ეს ინტერვიუ მეტად პოპულარული გახდა საქართველოში ჯერაც შემორჩენილი რუსული ორიენტაციის ჯგუფებისათვის, რომლებმაც იგი თავიანთი პოზიციების გასამყარებლად (არგუმენტად) გამოიყენეს.

ნიშანდობლივია, რომ ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ მესვეურები საკუთარ ვინაობას არ ამხელენ და პრორუსულ პროპაგანდას საიდუმლოდ ეწევიან. ამადაც, ჟურნალზე ვერსად ამოიკითხავთ რედაქტორის ან სარედაქციო ჯგუფის კონკრეტულ გვარებს, არამედ ჟურნალზე მიწერილი აქვთ რებუსული „რედკოლეგია“. თუ გაზეთ „აღდგომის“ შემთხვევაში კონსპირაციული „რედკოლეგიის“ საფარი ახსნადი და გამართლებული იყო, დღევანდელი პრესის თავისუფლების პირობებში იგივე მეთოდი მხოლოდ საეჭვო კითხვებს აღძრავს; ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობას“ და 32-გვერდიან გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციასაც (არმაზ სანებლიძე, ნუგზარ ფოფხაძე, ირაკლი თო-

დუა – მთავარი რედაქტორი), როგორც სჩანს, ერთიდაიგივე მეპატრონე და იდეოლოგიური ჯგუფი ჰყავს და ერთიდაიგივე მისამართზე – დავით ბაქრაძის ქ.N6-ში მდებარეობს. ჟურნალ ე.წ. „ისტორიული მემკვიდრეობის“ საიდუმლო რედკოლეგიას კი, უზენაესი საბჭოს დეპუტატებიდან, **თემურ ქორიძე** და **თენგიზ კუბლაშვილი**, აგრეთვე, დარეჯან ანდრიაძე... უნდა შეადგენდნენ და მოსკოვიდან, ალექსანდრე ჭაჭიას პატრონაჟით უნდა ფინანსდებოდეს...

ზემოხსენებული ჟურნალი გახლავთ ამავე სახელწოდების არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ჟურნალი, ორგანიზაციის წევრები და სატელიტები კი გახლავთ: **ტარიელ გაგნიძე** (**თავმჯდომარე**), **ზაზა აბაშიძე**, **ვალერი კვარაცხელია** („**ნეიტრალური საქართველოს**“ **თავმჯდომარე**), **პეტრე მამარაძე**, **ნაპალეონ ქარქაშაძე**, **ნანა დევდარიანი** (**გლობალური კვლევების ცენტრი**), **ვაჟა ოთარაშვილი** და სხვ.



ამ არასამთავრობო ორგანიზაციამ („ისტორიული მემკვიდრეობა“), რუსეთის დაფინანსებით, გამოსცა წიგნი „უცნობი პუტინი“, რომლის პომპეზური პრეზენტაცია მოაწყო, მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს, სასტუმრო „BETSY'S HOTEL“-ის საკონფერენციო დარბაზში, მდიდრული სუფრით. წიგნი პუტინისა და „დიდი რუსეთის“ მადიდებელ-მაამებლურია (წყარო/ Source: http://saqinform.ge/index.php). ჩვენთვის უცნობია, ესწრებოდა თუ არა, თავად საქართველოს პატრიარქი ამ წიგნის პომპეზურ პრეზენტაციას ხსენებულ სასტუმროში, მაგრამ მას, ამ ფოტოზე, სწორედ ეს წიგნი უჭირავს ხელში.

გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“ ზვიადის ეს ინტერვიუ სულ სხვა სათაურით – „**საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დასავლეთისა და ნატოს შესახებ**“ – თავადაც დაბეჭდა მიმდინარე 2013 წლის 13-19 ნოემბერს, N42(229), გვ. 9, სადისკუსიო თემით –

„გვინდა თუ არა ნატო?“ დისკუსიის მთავარი წარმმართველები გახლდათ ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი **გულბაათ რცხილაძე** (წითელი დისიდენტის, ზვიად გამსახურდიას მოძულე **ვიქტორ რცხილაძის** შვილი) და შევარდნაძის კანცელარისტი პეტრე მამრაძე. თუმცა, სტატიის დასასრულს მათ კი მიუთითეს, რომ ეს არის „**ამონარიდები** გაზეთიდან „**ნაროდნაია პრავდა**“ 1992 **წელი**.

წყაროების ასეთი მანიპულირებით ცდილობს, ერთიდაიგივე მედია-ჯგუფი, ზვიად გამსახურდიას სახელის გამოყენებას რუსეთის პროპაგანდისათვის, რაც ცხადია, ცინიზმი და მკრეხელობაა. ინტერნეტსივრცეში კი ამ დაჩეხილ ინტერვიუს, რუსეთის დროშასთან ერთად აქტიურად, ნიშნისგებით აფრიალებს წმ.ილია მართლის საზოგადოების ყოფილი წევრი (მისი თქმით), კანადაში ემიგრირებული **დაჩი ქართველი** (**ჩაჩანიძე**), რომელიც ჩვენ, ანალოგიური ქმედების გამო (ზვიადის ფოტოზე დატანილი, ვითომ ზვიადის ციტატის) ადრეც ვამხილეთ (იხ. გაზეთი „განმათავისუფლებელი“, 2013 წ. აპრილი, N35, გვ.19). ეს დაჩი-ქართველად წოდებული პერსონა, ყოველ წელს დაუბრკოლებლად ჩამოდის საქართველოში და თანამშრომლობს რუსეთის სატელიტ პოლიტიკურ ძალებთან (კახა კუკავა და სხვა).

რაც შეეხება თავად „Народная правда“-ს ამ ინტერვიუს, მასში ერთი ფრიად განსაცვიფრებელი უზუსტობაა კორესპონდენტის უკანასკნელი კითხვის ზვიადისეული პასუხის ამ ***აბზაცში*** :„ **ჩემთვის არ არის უცხო პრორუსული განწყობა. მე მუდამ მივესწრაფვოდი მჭიდრო კავშირს რუსეთთან და ვოცნებობდი, საქართველოს ჰყოლოდა ბუნებრივი მოკავშირე ამ თავისი დიდი აღმოსავლელი** (?! – **ლ.ც.**) მეზობლის სახით...“ ვფიქრობ, აქ საქმე გვაქვს კორესპონდენტის უყურადღებობასა და არასწორ ჩაწერასთან და რეალურად უნდა იყოს „**ჩრდილოელი მეზობლის**...“ ხოლო თავად ზვიადისეული ფრაზა „**ჩემთვის არ არის უცხო პრორუსული განწყობა**...“ იმ ვითარებაში, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და მაღალი პასუხისმგებლობის პირი პრეზიდენტის (როგორც საქართველოს, ასევე ჩეჩნეთის რესპუბლიკის წინაშე) სენტემად ჟღერს და მისი დიპლომატიის დასტურს წარმოადგენს, ან ესეც გაყალბებულია და პრეზიდენტი, რეალურად მართლაც ლაპარაკობს რომელიმე აღმოსავლელ მეზობელზე. ამ კონტექსტში, მკითხველისთვის ალბათ საინტერესოა ჯოხარ დუდაევის ინტერვიუს პათოსი, რომელიც (როგორც ზემოთ გაცნობეთ) „Народная правда“-ს ამავე ნომერში ზვიადის ინტერვიუს გვერდითაა დაბეჭდილი. უნდა მოგახსენოთ, რომ ჯოხარ დუდაევის ინტერვიუს, ლაიტმოტივად, მკვეთრი ანტიდასავლური განწყობა გასდევს და ასეთი პოლიტიკური რეფრენითაა დამუხტული : „რუსეთის ხელისუ-

ფლება დასავლეთის მძევალია“ !

დასკვნის სახით უფლებამოსილი ვართ განვაცხადოთ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას „Народная правда“-სთვის გროზნოში მიცემული ინტერვიუს ქართულ მედიასივრცეში გამოქვეყნების სრული ვერსია დაბეჭდილია მხოლოდ გაზეთ „აღდგომა“ში 1992 წლის 6 დეკემბერი(N29), ხოლო ინტერნეტ-სივრცეში კი საიტზე – http://iberiana.wordpress.com/zviad-gamsakhurdia/narodnaya-pravda/

ამდენად, ინტერვიუს წაკითხვისა თუ გამოყენების მეტ-ნაკლები სანდო წყაროებად მხოლოდ ეს ორი დასახელება მიიჩნევა.

ლეილა ცომაია

გაზეთი „განმათავისუფლებელი“ №39, 2013 წ.

იუთუბზე არსებობს გროზნოში ჩაწერილი ვიდეო-ინტერვიუ ირაკლი კენჭოშვილის მიერ ზვიად გამსახურდიასთან, რომელშიც პრეზიდენტი გამსახურდია დასავლეთის მოიმედე ლიდერად წარმოჩინდება. იხილეთ ეს ვიდეო https://www.facebook.com/photo.php?v=498807473578225&set=vb.100003469300289&type=2&theater

მანანა სოტკილავამ, გააკეთა „ციტირება“ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუს: Прочтите оригинал этого же текста: «Я всегда был настроен по-российски, всегда хотел иметь самые тесные связи с Россией, мечтал, чтобы Грузия была естественным союзником своего великого соседа, но это не устраивало западный мир и послушное ему жидовское российское правительство. Они продолжают разжигать этнические конфликты на Кавказе. В результате мы сейчас стоим перед вполне реальной опасностью перерастания этих конфликтов в большую войну». ***З. К. Гамсахурдиа, “Народная Правда”, Санкт-Петербург, 1992*** *г.*

რუსეთუმე მანანა სოტკილავას ზვიადის ციტირებას საკუთარ facebook-გვერდზე, უმალ მოჰყვა კონსტანტინე გამსახურდიას (უმცროსი) კომენტარი:

Konstantine Gamsakhurdia ლიაფსუსი ამ სტატიაში არის თუნდაც ის, რომ უკრიტიკოდაა გაზიარებული 1992 წელს რუსულ პრესაში გამოქვეყნებული კომპილაციის ავთენტურობა – ინტერვიუ მიეწერა ზვიად გამსახურდიას, სინამდვილეში ის გაყალბებული იყო: “აქვე საქართველოს ღალატით დამხობილი პრეზიდენტი ლაპარაკობს ევროამერიკულ იმპერიალიზმზე. ზვიადი ამბობს, რომ ჩვენ არ დავუშვითო, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო. ზვიადის თქმით, დასავლეთს

მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ზვიადის სიტყვით, ეს იქცა სამხედრო გადატრიალების ერთ-ერთ მიზეზად და ხელისუფლებაში მოვიდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) აგენტი და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტი.'' მოკლედ, ისეთი ინტერვიუ მიეწერება, რაც მას არ მიუცია. ერთხანს მეც ვთვლიდი, რომ ეს ინტერვიუ მართლაც ზვიადს ეკუთვნოდა, მაგრამ კრიტიკული განხილვის შემდეგ აზრი შემეცვალა, მით უფრო რომ რუსმა ჟურნალიტმა არ წარადგინა ინტერვიუს ჩანაწერი. ამავე დროს არსებობს მისი სხვა ინტერვიუს ვიდეოჩანაწერი, რომელიც განსხვავებულ პოზიციას ამჟღავნებს. ეს თავის დროზე მე გამოვაქვეყნე FB-ზე. სიყალბეა ასევე ჯონსის შეხედულებანი გამსახურდიასეული პოლიტიკის ეთნიკურ პრინციპზე. რაც შეეხება შევარდნაძეს, იგი KGB-ს წარმომადგენელი იყო, რომელიც ცხადია, თუკი ხეირს ნახავდა და შემოთავაზება ექნებოდა, არავისთან ურთიერთობას აარიდებდა თავს, მთავარია გასაყიდი ყოფილიყო რაიმე ან სავაჭრო საშუალება მისცემოდა (*გულისხმობს გოჩა გვასალიას პოლემიკას სტივენ ჯონსის წიგნზე, რომელიც დაბეჭდილია გაზეთ „განმათავისუფლებელი“ №41, 2014 წ., გვ. 7, 12, 16, 19* -**ლ.ც**.).

წითელი დისიდენტები

საბჭოთა იმპერიას, საქართველოში, გარდა „წითელი ინტელიგენციისა“, აგრეთვე, არცთუ ცოტა ჰყავდა საკუთრივ, სატელიტი „წითელი დისიდენტებიც“, რომლებმაც შემდგომ თავი მოიყარეს ეროვნული მოძრაობის პირველ ლეგალურ ორგანიზაცია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში“ (გურამ მამულია, ზურაბ ჭავჭავაძე, გურამ ყორანაშვილი, ციალა არდაშელია, ჯუმბერ კოპალიანი, ვახტანგ ძაბირაძე...) და სწორედ ისინი წარმოადგენდნენ ძირითად ბირთვს ამ საზოგადოებისა.

ჩემს ამჟამინდელ თემას არ წარმოადგენს ამ უახლესი ისტორიის პერიპეტიების განხილვა, არამედ, ამჯერად, მხოლოდ ერთ დოკუმენტურ ფილმში, წითელი დისიდენტის, ჯუმბერ კოპალიანის ჩვეულ როყიო განაცხადზე შევაჩერებ ყურადღებას.

დოკუმენტური ფილმი, სახელწოდებით, **„ნათელი იგი“** (იხ. www.youtube.com/watch?v=1IbO2zqaESc) ეძღვნება ნიკო და ზურაბ ჭავჭავაძეებს (ფილმის სამხატვრო ხელმძღვანელი და წამყვანი – კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი, დამდგმელი რეჟისორები: ირაკლი პაპავა, ნინო ჭავჭავაძე, 2004 წელი).

ამ ორნაწილიან ფილმში, ჯუმბერ კოპალიანი, მოკლედ მიმოიხილავს რა 9 აპრილის მაპროვოცირებელ ფაქტორს (გაგახსენებთ, რომ აპრილის მიტინგები თბილისში, აფხაზეთის სოფელ ლიხნის კრებაზე, სეპარატისტების მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს შემადგელობიდან გასვლისა და რუსეთთან მიერთების მოთხოვნას მოჰყვა), ამბობს: “4 აპრილს, ზურაბ ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, მთავრობის სასახლის წინ გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი აფხაზეთში შექმნილი მძიმე სიტუაციის განმუხტვის მიზნით. მიტინგმა ხელისუფლებას წაუყენა უაღრესად რეალისტური, შესრულებადი მოთხოვნები. ხელისუფლება იძულებული გახდა მეორე დღესვე დაეწყო ამ მოთხოვნების შესრულება; მეორე დღეს თანამდებობიდან გაათავისუფლეს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი *(გულისხმობს ბორის ადლეიბას — **ლ.ც.**)* და აი ამის შემდეგ გარკვეულმა ძალებმა, სამწუხაროდ, 6 აპრილიდან აქციას მიმართულება შეუცვალეს, რამაც 9 აპრილის ტრაგედიამდე მიგვიყვანა. ხოლო შემდგომში, რუსეთის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციამდეც“ო.

იმისათვის, რომ მცირედი წარმოდგენა მაინც შეგიქმნათ „დისიდენტ“ ჯუმბერ კოპალიანის პიროვნებაზე, ერთ ისტორიულ „სალაღობო“ ფაქტს

გავიხსენებ 80-იანი წლების დასაწყისიდან; ათეისტურ საბჭოთა საქართველოში, მიუხედავად აკრძალვებისა, ეკლესიებში, დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე (ქრისტეშობა და აღდგომა), განსაკუთრებით, სიონის ტაძარი, მომლოცველებს ვერ იტევდა ხოლმე. ერთ აღდგომის ღამეს, ვერც ჩვენ – დისიდენტმა ქალებმა – შევაღწიეთ სიონის ტაძარში და ლიტანიობამდე გარეთ მოგვიწია ყოფნა. მაშინ ტაძრებში, წირვა-ლოცვები რადიოფიცირებული არ იყო და მღვდელმთავრების ხმები მხოლოდ ფრაგმენტულად გვწვდებოდა ტაძრის კარებთან მდგომ მრევლს. გარდა რელიგიური წესისა, დისიდენტები, სიონში პროკლამაციებსაც ვავრცელებდით ხოლმე და არც ამჯერად შეგვიკავებია თავი ჩვენს პატრიოტულ საქმიანობაზე; ნანა ჯაფარიძემ, ციცო არზიანმა და მე ფრთხილად დავიწყეთ მოქმედება. როგორც სჩანს, ერთ-ერთმა „მოკავშირემ“, ჩვენს მიერ მიწოდებული პროკლამაცია, ტაძრის ეზოში მომრავლებულ უშიშროების წარმომადგენლებს გადასცა და ჩვენზეც მიუთითა.

უშიშროების ყურადღების ცენტრში და გარემოცვაში თანდათან ვექცეოდით. ამ თვალით საჩინო ვითარებაში, ციცო არზიანმა სიტყვა დაგვიგდო: „მე თქვენთან არ ვარ“ო და უცნობივით გაგვერიდა. ზვიად გამსახურდიაც სადღაც აქვეა, მაგრამ მასთან კონტაქტს ახლა, მითუმეტეს, როგორ შევეცდებით. და აი, სიონის ეზოსკენ დევკაცა ჯუმბერ კოპალიანი მოემართება განუყრელი სვანური ქუდით. მასზე სწორება, გაწევ-გამოწევით, როგორღაც შევძელით და ნანა ჯაფარიძემ ჩვენი განსაცდელის შესახებ ყურში ჩასჩურჩულა. შევატყვე, ჯუმბერს როგორ ეცვალა ფერი; რამდენიმე წამში კი უტყვად და უკუსვლით გაიძურწა ტაძრის ხალხმრავალ ეზოდან. სახტად დარჩენილ ნანა ჯაფარიძეს სასოწარკვეთით და გაოცებით აღმოხდა:“მიგვატოვა... გაგვეპარა...“ ეს იყო რეაქცია ულამაზესი ქალისა დევივით მამაკაცის მიმართ, რომლისგანაც ჩვენ მხოლოდ მორალურ თანადგომას და გამხნევებას ველოდით.

მას შემდეგაც, არაერთხელ გვიგრძნია „თანამოაზრე“ ჯუმბერ კოპალიანისა და მისნაირი „დისიდენტის“ სიმყიფე, რაც საბოლოოდ მათ რეაქციონურ ქმედებებშიც გადაიზარდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული ხელისუფლების მიმართ...

ხოლო, რასაც ჯუმბერ კოპალიანი ზემოციტირებულ გამოსვლაში ამბობს (აწ უკვე 2004 წელს), ცალსახად მეტყველებს მის უწყვეტ, მტკიცე კავშირზე რუსეთის კგბ-სთან, რომლის პოლიტიკურ ინტერესებშია, რომ საკუთარ ისტორიაში, როგორმე დაამკვიდროს აზრი, 9 აპრილის ტრაგედიისა და აფხაზეთის ომის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებზე გადაბრალების შესახებ; კრემლის პოლიტელიტამ, 9 აპრილის

ტრაგედიას, აკი უწოდა „დანაშაული საკუთარი ხალხის წინაშე“ და ბრალის სიმძიმე სწორედ ქართველ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ლიდერებზე, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავაზე დადო.



ჯუმბერ კოპალიანიც ზვიად-მერაბის თანატოლია და 1939 წელსაა დაბადებული. იგი უკვე წლებია დმანისის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის ხელმძღვანელია და აქტიურად იცავდა საყდრისს. სავარაუდოდ, ისეთი „პატრიოტული გულწრფელობით“, როგორც „დისიდენტობაში“...

ეს ე.წ. პატრიოტი, დღემდე ყოველგვარი მეთოდებით ცდილობს, დააკნინოს 31 მარტისა და 9 აპრილის სიდიადე საქართველოს უახლეს ისტორიაში და სისხლი ქართველთა ხელიდან მოსცხოს ამ დიდებულ ისტორიულ თარიღებს. თითქოს, არ უწყოდეს, მტრებთან უსისხლო გამარჯვებები მსოფლიოს სახელმწიფოთა ისტორიაშიც კი.

„საწუხარ არს, ესე!“

ლეილა ცომაია,
„განმათავისუფლებელი“ №52, 2017 წ.

ჯანსუღ ჩარკვიანი დადანაშაულებულია შეკვეთილ მკვლელობაში

კომპარტიის ნომენკლატურული პოეტის ჯანსუღ ჩარკვიანის მთაწმინდაზე დაკრძალვის გადაწყვეტილებას, ბიძინა ივანიშვილისა და პატრიარქ ილია II-ის მიერ (რასაც დაეთანხმა მაყვალა გონაშვილისა და რეზო მიშველაძის მწერალთა კავშირიც), ფართო საზოგადოების სამართლიანი უკმაყოფილება მოჰყვა. ცნობილია, რომ ჯანსუღ ჩარკვიანი, ბიძინა ივანიშვილის იმ ფავორიტ კულტურის მუშაკთა სიაში იყო, რომლებსაც ივანიშვილი, ყოველთიური ხელფასის სახით 5 000 ლარზე მეტს უხდიდა და გავრცელებული ცნობით, ჯ. ჩარკვიანის, არცთუ ხანმოკლე ავადმყოფობის კლინიკური მკურნალობის სოლიდური ხარჯებიც, ბიძინა ივანიშვილმა გაიღო.

მიმაჩნია, რომ ჯანსუღის დაკრძალვის ადგილთან დაკავშირებით მეტი პასუხისმგებლობა და ობიექტურობა მართებდა გადაწყვეტილების მიმღებ პატრიარქს, მწერალთა კავშირსა და ბიძინა ივანიშვილის ნების უსიტყვო აღმსრულებელ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილსაც. ხოლო, ოჯახის წევრებს, უნდა დაეძლიათ მთაწმინდის პანთეონის ცდუნება.

რაც შეეხება პროტესტს, ჩვენ საგანგებოდ არ გავავრცელეთ წინასწარი ინფორმაცია საპროტესტო პიკეტის შესახებ, რათა თავიდან აგვეცილებინა დაპირისპირება და ხმაური იმ საკრალურ ადგილას და, როგორც ასეთი, მიცვალებულის მიმართაც ... და თუ ვინმემ დაარღვია ეს ეტიკეტი, დაარღვიეს სწორედ გარდაცვლილის ოჯახის წევრებმა და საბჭოური ხანის ე.წ. კულტურის მუშაკებმა. ჩვენ კი სხვა არჩევანი არ გაგვაჩნდა და ჩვენს არჩევანშიც მაქსიმალურად შემოვიზღუდეთ – მხოლოდ ორნი, მე და თამარ ლომთაძე ავედით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ღირსეული ქართველი ერის სახელით... (არ ვიახლეთ არცერთი მამაკაცი).

ჯანსუღ ჩარკვიანის, რეზო ამაშუკელის, იზა ორჯონიკიძის, ჭაბუა

ამირეჯიბის და მათ მსგავსთა, ცოფიანი დევნითა და დამხობის მოწოდებებით, შევარდნაძის ხელისუფლება, ტყე-ტყე დასდევდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და საფლავშიც კი არ აყენებდა მას, რის გამოც სამეგრელოს მოსახლეობა იძულებული ხდებოდა დროდადრო შეეცვალათ პრეზიდენტის საფლავის ადგილსამყოფელი. პრივილეგირებულმა წითელმა ინტელიგენციამ და ხუნტის ხელისუფლებამ, არ დართო ნება ქართველ ერსა და ოჯახს, მოწამეობრივად მოკვდინებული პირველი პრეზიდენტის საკუთარ კოლხურ კოშკში დაკრძალვისაც კი.

2017 წლის 9 ნოემბერს ეს საბჭოთა პოეტი ჩარკვიანი დაკრძალეს ზვიადის, ქაქუცას და მუხრანის საფლავების წინ, რომელთა იდეურ მტერს წარმოადგენდა იგი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე. მე და თამარ ლომთაძემ კი მხოლოდ მდუმარე პროტესტი გამოვხატეთ პლაკატებით ხელში:"ნუ გადააქცევთ მთაწმინდას ნომენკლატურული მწერლების საძვალედ!!!" „მთაწმინდიდან გადაასვენეთ კეკე, გრიბოედოვი და ჭაბუაც!!!"

ჯანსუღ ჩარკვიანს, არც 2007 წელს მიუგია პატივი მთაწმინდაზე ასვენებული ზვიადისთვის. თაკო ჩარკვიანი კი ავრცელებს ტყუილებს ჯანსუღის ართქმული მონანიების შესახებ და განა მარტო ამას? ... საბჭოური ტიპის ტელევიზია „იბერია ტვ"-ი(რომელიც ჩარკვიანების საოჯახო ტელევიზიაა), ჯანსუღის სახით ქმნის ყალბ პატრიოტს, ყალბ დისიდენტს, მითებს, რომ თითქოს ჯანსუღს, არც სნგ-ეში შესვლაზე მოუწერია ხელი, არც ზვიადის მწერალთა კავშირიდან გარიცხვაზე, რომ ჯანსუღი ზვიადის თანამებრძოლი პატრიოტი „დიდი პოეტი და მამულიშვილი" იყო და ა.შ. ამ ტყუილის კასკადს თაკო ჩარკვიანმა დაამატა, რომ თითქოს „სახალხო პოეტი" ჯანსუღი, მთაწმინდაზე აასვენა, ლამის ნახევარმა თბილისმა, მაშინ როცა იქ 100 კაცამდეც თუ იქნებოდა და მათგან, თითქმის ნახევარი, უსაფრთხოების სამსახურისა და პოლიციის თანამშრომლები იყვნენ...

ხმაური და აჟიოტაჟი კი, ჩვენს სამართლიან და ტაქტიან პროტესტზე მთაწმინდის პანთეონში, თავად შექმნეს პატივმოყვარე წითელმა ინტელიგენციამ და გარდაცვლილის ოჯახის პატივმოყვარე წევრებმა, ხოლო ჩვენ, მოთმინებით აღვიჭურვეთ, მიუხედავად, მათი მხრიდან სიტყვიერი, ფიზიკური შეურაცხყოფების ნიაღვრისა და ფურთხისაც კი!

ახალშესვენებული „სახალხო პოეტი", 1993 წელს, შევარდნაძის პარლამენტში მოითხოვდა ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ცნობილი ქართველი პოეტის ქალბატონ თინათინ მღვდლიაშვილის დაპატიმრებას, რომელიც იმთავითვე წინ აღუდგა სახელმწიფო გადატრიალებას და პუტჩისტებს! ბატონი ჯანსუღის შეკვეთილი მკვლ-

ელობის მსხვერპლია პოეტ მთვარისა კერესელიძის მეუღლე (ასევე პოეტი), 52 წლის ბერდია ბერიაშვილი – გაზეთ „ცისარტყელას“ მთავარი რედაქტორი, რომელსაც, 1992 წლის 17 იანვარს, ნაშუაღამევს, სახლში შეუვარდნენ დაქირავებული მკვლელები და ავტომატით სასიკვდილოდ დაჭრეს. ხოლო დაჭრილს (რომელსაც მეზობლებმა უპატრონეს), მიუვარდნენ საავადმყოფოში, მაგრამ ექთნებმა გადამალეს. შემდეგ, დაარბიეს მისი რედაქცია, ხოლო სტამბაში გაანადგურეს გამოსაცემად გამზადებული 16-გვერდიანი გაზეთი, რომელშიც იბეჭდებოდა ჯანსუღის მოღვაწეობის მამხილებელი ვრცელი წერილის მესამე(დასასრული) ნაწილი. მოკლული პოეტის ცოლ-შვილი დაითხოვეს სამსახურებიდან, ხოლო ერთერთ იურისტ შვილს, რომელმაც დაიწყო მამამისის მკვლელობის გამოძიება, ჯერ ფული შესთავაზეს და უარის პასუხად, იგივე დაქირავებულმა მკვლელებმა, რამდენჯერმე სცადეს მისი მოკვლაც, დაჭრილი (საბედნიეროდ) გადარჩა.

ბერიაშვილის პოეტმა მეუღლემ, ქალბატონმა მთვარისა კერესელიძემ, დაქირავებული მკვლელების მიგზავნაში, ჯანსუღ ჩარკვიანი ამხილა.

ჯანსუღ ჩარკვიანისა და მისი მსგავსი პოეტების მხარდაჭერით, სამეგრელოს 6-ჯერ შესეული ხუნტა, მშობლებისა და ქმრების თვალწინ აუპატიურებდა გოგონებს, ცოლებს (მათ შორის, ფეხმძიმეს), ხვრეტდა ახალგაზრდებს, ხოლო დახვრეტილებს არ აძლევდა ოჯახებს და დაუსაფლავებელი გვამებით ყარდა ქუჩები...

უახლესი ისტორია, წითელი ინტელიგენციის მტრობისა და ღალატის ისტორიაა ახალფეხადგმული დამოუკიდებელი საქართველოსა და ქართველი ერის წინააღმდეგ.

სააგენტო „ნიუს. გე-მ“ გამოაქვეყნა თაკო ჩარკვიანის წერილი, რომელშიც იგი სრულიად უაპელაციოდ, მე რუსეთის აგენტობაში მდებს ბრალს: „დიახ სწორედ ქ.ნ ლეილა ცომაია და კიდევ რამდენიმე ვითომ გამსახურდიას მომხრე“ ე.წ.კარვის ქალი ”ფინანსდებოდა რუსეთის უშიშროებიდან და ახლაც იგივე კაცი აგრძელებს, მათ დაფინასნსებას“, წერს გაავებით. რუსეთის აგენტობაზე თავის მართლებას ნამდვილად არ მოვყვები, მაგრამ იმის ინტერესი კი ნამდვილად მკლავს, ვინ არის ის ჩემი „დამფინანსებელი“, რომლის ერთ რუბლსაც, ჯერაც არ მოუღწევია ჩემამდე.

მთაწმინდის პანთეონის ხმაურიანი პროტესტის ფონზე, ქართველ ერს უთუოდ დააინტერესებს, თუ რა პოზიციაზე იყვნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შვილები. ამ ლოგიკურ კითხვაში გასარკვევად, ჩემი კომენტარის გარეშე გთავაზობთ ცოტნე გამსახურდიას facebook-პოსტს:

“Tsotne Gamsakhurdia – 2017 წლის 6 ნოემბერი, 12:49-ზე·

ახლახანს ჯანსუღ ჩარკვიანი გარდაიცვალა 86 წლის ასაკ-ში. კეთილშობილი, მხნე მოხუცი, კარგი ოჯახის ფუძემდებე-ლი, სვანი ვაჟკაცი, რომელსაც უყვარდა სამშობლო და მის სი-ყვარულში დახარჯვაც შეეძლო და შეცდომების აღიარებაც. რამდენიმე დღეა მე და ჩემი მეგობარი Rati ერთი, დაახლებით ამავე ასაკის მოხუცის დახმარებას ვაპირებთ საკვებითა და თბილი ტანსაც-მლით, რომელსაც არავინ ჰყავს ამქვეყნად. ოჯახი ჯერ 40-იან წლებ-ში დაუხვრიტეს კომუნისტებმა და მთელი ცხოვრება მარტო გაატარა. ბინა დაკარგა და ახლა ნანგრევებში ცხოვრობს, შეხიზნული 😞 *დაე, ეს დახმარება ჯანსუღის სულს შეეწიოს, უკეთესი ვერაფერი მოვი-ფიქრეთ...''*

ხოლო (როგორც მაცნობეს), კოკო გამსახურდია, მისალმებია თაკო ჩარკვიანის ჩემზე თავდასხმას, საკუთარ ფეისბუკის გვერდზე ამგვარი შეძახილით: „ბრავო, თაკო!“ მაგრამ, ვინაიდან ეროვნულმა ძალებმა შეარცხვინეს იგი ამგვარი საქციელის გამო, მალევე წაუშლია თავისი შეძახილი. თაკო ჩარკვიანის თქმით, კოკომ და ცოტნე გამსახურდიამ, სახლში მისვლით მიუსამძიმრეს მას დიდი მამის გარდაცვალება. რაც შეეხება მანანა არჩვაძეს, მან დუმილი ამჯობინა საკუთარ „მრგვალ მაგიდელებთან და ეროვნულ მთავრობასთან“ ერთად. არავითარი პრო-ტესტი! არავითარი უკმაყოფილობა!

ვიდრე ჯანსუღის სამგლოვიარო პროცესია დაიწყებოდა, მთაწმინ-დაზე ელდარ შენგელაია მედიდურად მიუახლოვდა ზვიადის საფლავს და მედიდურადვე დააცქერდა, რაზეც მე დაბალი ხმით შევნიშნე მას: „პრეზიდენტის დევნასა და წამებით მოკვდინებაში თქვენი დიდი წვლილ-იც არის“-მეთქი, რის შემდეგაც იგი სასწრაფოდ გაეცალა საფლავს. 1998 წელს, ვახტანგ რაზმაძემ, დაბეჭდა წერილი (გაზ. „ახალი საქართველო“, 19-25 მარტი, გვ.15) ელდარ შენგელაიაზე, სადაც იგონებს:

„ე. შენგელაიამ მითხრა: „ვახტანგ, ძალიან პატივს გცემ, არ ხარ ცუდი ადამიანი და გთხოვ, ნუ ემსახურები გამსახურდიას. დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები, მაგი დაღუპავს საქართველოსო“.

ჯანსუღ ჩარკვიანის გათხრილი საფლავის კურთხევის უფლება, მდაბ-ალი თხოვნით, არ მივეცი საამისოდ მომზადებულ მღვდლებს...

ჯანსუღ ჩარკვიანი: ''მე მაქვს იმის უფლება, რომ არ მომწონ-დეს ზვიად გამსახურდიას საქართველო.'' (ჯ. ჩარკვიანი, ''განათლება'', 25.IX.91 წ.). მისი ''გენიალური პოეტური შედევრია'', აგრეთვე, სიძულ-ვილით შერითმული: ''ზვიადი – წყვდიადი''...

ჯანსუღ ჩარკვიანის პირუთვნელი თვითშეფასებაა საკუთარ ლექსში:

„მავთულზე ვდგავარ, როგორც ჯამბაზი და მეშინია ძირს ჩამოვარდნის“... ეს შიში, მას უთუოდ, სიკვდილის ბოლო წუთამდე გაჰყვა და სიკვდილში მაინც ჩამოვარდა;

ჩარკვიანის მთაწმინდიდან გადმოსვენება, მხოლოდ დროის საკითხია...

ქვემოთ ვბეჭდავთ ინტერნეტში გამოქვეყნებულ, პუბლიცისტი დავით მხეიძის სტატიას ჩარკვიანებზე.

“ჩვენ სიყვარულით დიდ თვალებში ვუყურებთ ლენინს”

ივლისი 26, 2017

„იმედის“ ეთერში ინგა გრიგოლიასა და **შალვა რამიშვილის** გადაცემაში სტუმრად მიწვეულმა ბატონმა ჯანსუღმა შალვა რამიშვილის პროვოკაციულ შეკითხვაზე – ლენინ-სტალინზე ლექსები არ დაგიწერიათო? – ისეთი ტყუილი დაახეთქა წარბშეუხრელად, რომ სირცხვილისგან მის მაგივრად ყურები მე ამეწვა: **“ლენინზე არა, მაგრამ სტალინი ერთიორგან მყავს ნახსენებიო”,** – განაცხადა ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა(საკვირველია, რომ ვიკიპედიაში არაფერი წერია ბატონი ჯანსუღის ლენინური კომკავშირის პრემიით დაჯილდოებაზე).

ცალკე თემაა ბატონი ჯანსუღის მართლაც პირმშვენიერი ასული, **ქალბატონი თამარი,** თაკოდ წოდებული, რომლის ხელოვნურად განაბული თვალებიდან დაყენებულმა “არისტოკრატულმა მზერამ” ლამის ნახევარ საქართველოს ნევროზი დამართა. როგორც კი ეს ქალბატონი პირს გააღებს და მორალის კითხვას დაიწყებს, მისი ვიზუალური სილამაზე უკვალოდ ქრება. იყო პერიოდი, ლამის ყოველდღე იჯდა სხვადასხვა ტელევიზიის პირდაპირ ეთერში და ნებისმიერ თემაზე ისე “პროფესიონალურად” ლაპარაკობდა, რომ, ერთი ძველი ანეკდოტისა არ იყოს, იფიქრებდით, ამ ქალბატონს “საყველაფრო” აქვს დამთავრებულიო. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ქალბატონ თაკოს ერთი “ფრთიანი ფრაზა”: **“ოო, რა დიდი განსხვავებაა ჩურკინთან მოპაექრე ალასანიასა და პუტინის გვერდით მჯდომ ნინო ბურჯანაძეს შორის”.**

და კიდევ — ყველა ეთერში ქალბატონ თაკოს წარადგენდნენ, როგორც პუბლიცისტს და ახლა ვსვამ კითხვას: **ვინმეს წაკითხული გაქვთ თაკო ჩარკვიანის “პუბლიცისტიკა”?**

საზოგადოდ, **როგორც წესი, შვილი განაგრძობს ხოლმე მამის გზას, მაგრამ ჩარკვიანების შემთხვევაში, როგორც ჩანს, პირიქითაა – შვილმა გადაიყვანა მამა ლიბერალურ რელსებზე, რომელზეც საბჭოეთში აღზრდილ, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატსა და საქართველოს “სახალხო პოეტს” არასოდეს უოცნებია, რადგან,**

როგორც ე.წ. ელიტური შემოქმედებითი ინტელიგენციის წევრი, მუდამ სარგებლობდა საბჭოთა პერიოდში არსებული პრივილეგიებით, შავი "ვოლგა" იქნებოდა ეს, ბინები თუ სპეცმაღაზიები, სახელმწიფო აგარაკები მთაში თუ ზღვაზე, სპეცსაავადმყოფოები და ა.შ.

ბატონი ჯანსუღი მომენტს არ გაუშვებს, არ დაიტრაბახოს, რომ **ჭაბუა ამირეჯიბის** "დათა თუთაშხია", ზემოდან სანქციის გარეშე, ლამის საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად დაბეჭდა ჟურნალ "ცისკარში", ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ლენინზე ლექსების იგავი. 1970-იანი წლების დასაწყისში ასეთ თვითნებობას არავის აპატიებდა საბჭოთა ხელისუფლება. და მეორეც – საბჭოთა ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებელ და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისადმი არალოიალურ "სახალხო პოეტს" ხალხი მეტსახელად **ჯანსუკს** (ახალგაზრდებისათვის განვმარტავ: სუკი აბრევეატურაა და ასე იშიფრება – სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) რატომ შეარქმევდა?

ბატონი ჯანსუღი, აგრეთვე, **ხშირად ყელყელაობს იმით, რომ ერთადერთი იყო, ვინც ხმა არ მისცა მწერალთა კავშირიდან ზვიად გამსახურდიას გარიცხვას, იმას კი "ვერ იხსენებს", რომ "ლომთახვედრიას" ავტორმა, შევარდნაძის სხვა "შემოქმედებით ინტელიგენტებთან" ერთად, ლომის წილი დადო ზვიად გამსახურდიას საქართველოდან განდევნაში.** მკითხველი შენიშნავდა, რომ ბატონი ჯანსუღისადმი მიმართვისას **სახალხო პოეტი** ყველგან ბრჭყალებშია ჩასმული და ეს არა იმიტომ, რომ დიდ პოეტად თუ არა, საერთოდ, პოეტად არ მიიჩნევს საზოგადოება. არა, ბატონებო! ჯანსუღ ჩარკვიანი დიდი პოეტი არ არის, მაგრამ რამდენიმე კარგი ლექსი მართლაც დაწერა!

ამას წინათ ცეკას ყოფილმა მაღალჩინოსანმა მიამბო: როდესაც **ედუარდ შევარდნაძე** "ლეჩკომბინატში" სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე **ნოდარ დუმბაძის** სანახავად მისულა, დამშვიდობებისას ბატონ ნოდარს, იმჟამად მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, შევარდნაძისთვის უთხოვია, გნებავთ, ანდერძად დაუგდია _ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ჯანსუღ ჩარკვიანი არ დანიშნოო. ეს ამბავი, თვითონ შევარდნაძემ მიამბოო, ირწმუნება ცეკას ყოფილი მაღალჩინოსანი, რომლის ვინაობასაც მისი თანხმობის გარეშე, ცხადია, არ გავამხელ.

დავით მხეიძე

http://geworld.ge/ge/

(სტატიის შემოკლებული ვარიანტი– ლ.ც.)

გაზეთი „განმათავისუფლებელი", №55, დეკემბერი, 2017 წელი.

ეს სახალხო პოეტია, თუ
ნომენკლატურული??!!

ცეკას, ნომენკლატურული პოეტი ჯანსუღ
ჩარკვიანი ყვავილებს წუქნის შეკარანავს...

ეს არის "სახალხო პოეტი"?!

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ვირჩევთ... ჩუჩელას!

მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის გამოცხადებას, როგორც ყველასათვის ცნობილია, უძღოდა საკონსტიტუციო ცვლილებების ფორსირებული პროცესი, რომლის ძირითადი შინაარსი ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტი, პარლამენტამდე სხვადასხვა სამეცნიერო, სასწავლო თუ საზოგადოებრივ წრეებში ეტაპობრივად იხილებოდა და მწვავე დებატებიც იმართებოდა, საბოლოო ჯამში ჩვენ მივიღეთ საკონსტიტუციო გადატრიალება. ეს გახლდათ რევოლუციური საკონსტიტუციო რევანში პარტია "რესპუბლიკელების" მხრიდან დავით უსუფაშვილის სპიკერობით, რითაც არა მარტო შეკვეცილ-აყრილი იქნა პრეზიდენტის უფლება-მოსილებანი, არამედ თვით პრემიერ-მინისტრის უფლებებიც კი პარლამენტის კონტროლსაა დაქვემდებარებული. ანუ, "რესპუბლიკელების" საკონსტიტუციო რევანშით ჩვენ მომავალში ვიღებთ საპარლამენტო რესპუბლიკას ყოველგვარი პლებიცისტისა და რეფერენდუმის გარეშე! ხოლო მანამდე, 27 ოქტომბრის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების ფარსით, საქართველოს მოსახლეობა, რეალურად ირჩევს... ჩუჩელას!

იმისათვის, რომ ერთად დავრწმუნდეთ "რესპუბლიკელების" მიერ გახორციელებულ საკონსტიტუციო გადატრიალებაში, გადავშალოთ კონსტიტუციის ის მუხლები და თავები, რომლებმაც ასეთი ძირეული, რევანშისტული ცვლილებანი განიცადეს;

ჩვენს მიერ ქვემოთ ორ ვარიანტად ციტირებული კონსტიტუციის მუხლების პირველი ვარიანტი წარმოადგენს "ნაციონალური მოძრაობის" კონსტიტუციურ ვარიანტს, ხოლო ფონზე დადებული იგივე მუხლები კი (შედარებისათვის) – "კოალიცია ქართული ოცნების" შესწორებულ ვარიანტს.

თავი მეოთხე
საქართველოს პრეზიდენტი
მუხლი 69

1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

2. საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი უზრუნველყოფს

ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად.

3. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

[მუხლი 69

1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას.

2. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

3. საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.

(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)] საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 72

საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

შეცვლილია

საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა, მათ შორის, პარტიული...

(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]

მუხლი 73

1. საქართველოს პრეზიდენტი:

ეს მუხლი თითქმის სრულად და მნიშვნელოვნად შეცვლილია პრემიერ-მინისტრის უფლებების გაზრდის მიმართულებით, აგრეთვე ამ მუხლზე დამატებულია მოზრდილი ცალკე მუხლი [მუხლი 73 I

მუხლი 74

1. საქართველოს პარლამენტის, არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციითა და ორგანული კანონით განსაზღვრულ საკითხებზე ნიშნავს რეფერენდუმს მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

[1. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით დანიშნოს რეფერენდუმი კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ საკითხებზე, მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. *(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]*

მუხლი 75-ის

2. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პარლამენტს კონსტიტუციის 63-ე მუხლითა და ორგანული კანონით დადგენილი წესით შეუძლია თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი, ... ***ამ მუხლში დეფინიცია „სახელმწიფო ღალატი" საერთოდ ამოღებულია და ასეთი ცვლილებითაა წარმოდგენილი:***

[2. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში პარლამენტს შეუძლია კონსტიტუციის 63-ე მუხლითა და კანონით დადგენილი წესით თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი. *(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]*

თავი მეოთხე1

საქართველოს მთავრობა

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმI, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

მუხლი 78

1. მთავრობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. მთავრობა პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

შეცვლილია მთავრობის „ხელისუფლების უმალესი ორგანოდ" გარდაქმნითა და პრეზიდენტისადმი რაიმე ტიპის ანგარიშვალდებულების სრული გამორიცხვით...

1. საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.

ამ მუხლის მე-4 თავში:

4. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით მოიწვიოს და თავმჯდომარეობდეს მთავრობის სხდომას. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება პრეზიდენტის აქტით.

პრეზიდენტის უფლებამოსილებანი გაიგივებულ-გათანაბრებულია მთავრობის წევრთა უფლებებთან და ასეა ფორმულირებული:

6. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ცალკეულ საკითხთა მთავრობის სხდომაზე განხილვა და მონაწილეობა მიიღოს ამ განხილვაში, რომელსაც ასევე ესწრებიან ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და სხვა წევრები.

მუხლი 79

1. მთავრობის თავმჯდომარეა პრემიერ-მინისტრი.

ასეა შეცვლილი:

[1. მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი. *(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]*

2. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზაციას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს კოორდინაციასა და კონტროლს მთავრობის წევრების საქმიანობაზე, მოახსენებს საქართველოს პრეზიდენტს მთავრობის საქმიანობის შესახებ და პასუხისმგებელია მთავრობის საქმიანობისათვის საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

ამ თავში პრეზიდენტის უფლება და ფუნქცია საერთოდ ამოღებულია და ასეა ფორმულირებული:

[2. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს მთავრობის წევრთა საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს.

(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]

5. პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტის თანხმობით ნიშნავს მთავრობის სხვა წევრებს, უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს მთავრობის წევრები.

აქაც პრეზიდენტის თანხმობა და მისი ფუნქციაც სრულადაა ამოგდებული:

[5. პრემიერ-მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის სხვა წევრებს.

(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]

7. პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას. მთავრობის სხვა წევრის გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით ორი კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის ახალ წევრს.

პრეზიდენტის თანხმობა და ფუნქცია აქაც ამოღებულია და სრულად მინიჭებული აქვს პრემიერს:

[7. პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტა იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას. მთავრობის სხვა წევრის გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი ორი კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის წევრს.

(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010 წ., მუხ.379

მუხლი 80, *რომელიც ეხება პრემიერ-მინისტრის პარლამენტის მიერ არჩევისა და პრეზიდენტის მიერ წარდგენის წესს, თითქმის სრულადაა შეცვლილი პრეზიდენტის უფლების გამორიცხვით!*

ასეთივე ცვლილებითაა წარმოდგენილი ***მუხლი 80[1]****, რომელიც მთავრობის ნდობის საკითხს ეხება.*

მუხლი 81³

1. საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის წარმომადგენლობას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებული –გუბერნატორი.

ამ მუხლში გუბერნატორი სავსებით გამოყვანილია პრეზიდენტის დაქვემდებარებიდან:

[მუხლი 81³

1. აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებული — გუბერნატორი.

...

3. სახელმწიფო რწმუნებულს — გუბერნატორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა. *(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]*

მუხლი 86 (*შეგახსენებთ, რომ ჩვენს მიერ ორ ვარიანტად ციტირებული მუხლების პირველი ვარიანტი წარმოადგენს „ნაციონალური მოძრაობის" კონსტიტუციურ ვარიანტს, ხოლო ფონზე დადებული იგივე მუხლები კი , შედარებისათვის - „კოალიცია ქართული ოცნების" შესწორებულ ვარიანტს***)**

1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.

[1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება. (ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]

მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება არანაკლებ 10 წლის ვადით. ***თუ ზემომოცემულ პირველ მუხლში უსუფაშვილის პარლამენტის მიერ მოსამართლის ასაკობრივი ცენზის პირობა მინიმალურად***

(მხოლოდ 2 წლით) არის გაზრდილი, ამ მეორე მუხლში მოსამართლის 10-წლიანი ვადა სულაც უვადოდაა შეცვლილი (იხილეთ):

[2. მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლის უვადოდ განწესებამდე კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოსამართლის განწესება განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა.

(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]

მოსამართლეთა ვადის შესახებ ამ საკონსტიტუციო ცვლილებასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის მწარე გაკვეთილები, რაც ქართულმა საზოგადოებრიობამ სულ ახლახან იწვნია სააკაშვილ-კუბლაშვილებისმიერი სასამართლო რეფორმებით და რაშიც „ქართული ოცნების კოალიციამ" თითქმის ვერაფერი ცვლილებები შეიტანა უზენაესი სასამართლოს არჩეულ საბჭოს შემადგენლობაში და ვერც უბრალო მოსამართლეთა გადაწყვეტილებებით მიიღო სამართლებრივი შედეგები.

„კოალიცია ქართული ოცნების" საპარლამენტო უმრავლესობის ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით კი, ქართველი ხალხი, იღებს სრულ და უვადო დიქტატს სასამართლო ხელისუფლების სახით!

თავი მეექვსე

სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი

მუხლი 93-ში ყველგან ამოღებულია პრეზიდენტის უფლებები და გადაბარებული აქვს მთავრობას.

94-ე მუხლში გადასახადების შესახებ ცვლილებებისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე რეფერენდუმის დანიშვნის ინიცირების უფლება, პრეზიდენტის ნაცვლად, ენიჭება მთავრობას.

თავი მეექვსე

სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი

მუხლი 102

1. კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონპროექტის შეტანის უფლება აქვთ:

ა) პრეზიდენტს;

[ა) (ამოღებულია); *(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]*

3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შე-

მადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

შეცვლილია:

[3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას საქართველოს პარლამენტის ორ თანამიმდევრულ სესიაზე სულ ცოტა სამი თვის ინტერვალით მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი. *(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]*

კონსტიტუციაში ამ ბოლო ცვლილებით მაქსიმალურად გართულებულია კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურა!

თუკი ერთი წუთით მაინც დავბრუნდებით 2011 წელში, ანუ იმ ისტორიულ თარიღში, როდესაც უჩინ-მაჩინი მილიარდერი ივანიშვილი სრულიად მოულოდნელად, მეტეორივით შემოიჭრა ქართულ პოლიტიკაში და მთავარ პოლიტიკურ პარტნიორად, ასევე ყველას გასაკვირვად 0-რეიტინგიანი „რესპუბლიკელები" დაასახელა, არ უნდა გაგვიჭირდეს ამ შედეგების ახსნა, რამეთუ იგი პირდაპირპროპორციულია ივანიშვილის ქვაბავაზაკური გათვლის, რომელიც მას, დიდი ალბათობით პროგრამულად ჰქონდა მიცემული მისი საზღვარგარეთელი ფინანსური ლობისტებისაგან. ივანიშვილმა, ზუსტად და მკაცრად გაწერილი საიდუმლო გეგმითა და მეტეორული სისწრაფით მოახერხა საქართველოს სახელმწიფოებრიობის კონსტიტუციური ნგრევა, რასაც ჩვენში აქამდე არსებული პოლიტიკოსები მრავალ წელს ანდომებდნენ!

ივანიშვილ-უსუფაშვილის პოლიტიკური ტანდემის მზაკვრული გეგმით, 27 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობა, პრეზიდენტის ნაცვლად, ირჩევს ჩუჩელას!

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების ფარსის შემდგომ, ბანკირი ივანიშვილი მეტეორული სისწრაფით ქრება პოლიტიკიდან!

გაზ. „განმათავისუფლებელი, 2013, სექტემბერი, №37

სატრანსპორტო მაგისტრალები – რუსეთის ახალი სტრატეგია საქართველოს სრული ოკუპაციისათვის?

„სახელმწიფოს იდეალისტები და პატრიოტები აშენებენ. ვაჭრუკანების, მსტოვრებისა და კარიერისტების აშენებული ქვეყანა არავის უნახავს!" კარლ გუსტავ მანერჰაიმი.

2014 წლის 24 ნოემბერს, სოჭში, პუტინსა და ხაჯინბას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას დე-ფაქტო "აფხაზეთსა და რუსეთს შორის ინტეგრაციისა და მოკავშირეობის შესახებ", საქართველოს მთავრობის მხრიდან არაადექვატური (არასაკმარისი) პროტესტი მოჰყვა. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც პუტინმა ხაჯინბას (აფსუებს) აღუთქვა, საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის ამოქმედებისა და საქართველოს გავლით მოსკოვი-ერევნის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესაძლებლობა.

მანამდე კი რუსეთმა, უკვე ზაფხულში, დაიწყო და ინტენსიურად მიმდინარეობს ავარო-კახეთის საავტომობილო გზის (მაგისტრალის) მშენებლობა დაღესტნის მხრიდან, რომელიც უნდა მოვიდეს ყვარლის რაიონის სოფელ საცხენეს, ანუ რუსეთ-საქართველოს საზღვართან. **ეს, რუსეთის იმპერიის, როკის გვირაბის მსგავსი(1975-1986 წ.წ.), XXI საუკუნის სახმელეთო სამხედრო სტრატეგიული მაგისტრალი იქნება.**

მართალია, საქართველოს მთავრობა, ვერ დაუშლის და ვერც აუკრძალავს რუსეთს, თავის ტერიტორიაზე, თუნდაც სამხედრო გზების მშენებლობას, მაგრამ მისგან მომდინარე აგრესიულ საფრთხეებზე კი ხმამაღლა უნდა მიაპყრობდეს მოკავშირე ქვეყნების ყურადღებას ყველა დონის შეხვედრებზე, რაც არ ხდება. არამედ, ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობა, მხოლოდ ჟურნალისტებთან გაკეთებული სუსტი კომენტარებით შემოიფარგლება. ზემოაღნიშნული სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენა, ადვილად სავარაუდოა, რომ საოკუპაციო ხაზის მდინარე ფსოუდან მდინარე ენგურამდე გადმოწევის აუცილებლობას წარმოქმნის, რაც „მცოცავი ანექსიის" პროცესის, აწ უკვე აფხაზეთის ტერიტორიიდან დაწყებას მოასწავებს. ზემოხსენებული ხელშეკრულების დადება, 4 დეკემბრის სპეციალური განცხადებით, გააპროტესტა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II, რომელმაც აღნიშნა, რომ „ ამ ხელშეკრულებით უგულებელყოფილ იქნა საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც მსგავსი გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ნება ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობისა", ანუ ქართველებისა. "შერიგებისა და სამოქალაქო

თანასწორობის საკითხებში" სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი კი, სოჭში გაფორმებულ ხელშეკრულებას, საქართველოს მთავრობის „წარმატებული პოლიტიკის შედეგად" აფასებს. ამგვარად ამოყირავებული პოლიტიკური რეალიებისა და ანტისახელმწიფოებრივი განცხადებების მიუხედავად, პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც მინისტრების აქტიური ცვლილებებით გამოირჩევა, პაატა ზაქარეიშვილის შეცვლას არც გეგმავს. თუმცა, სტუდენტები, ხმაურიანი საპროტესტო აქციებით, უკვე მოითხოვენ კაპიტულანტ ზაქარეიშვილის მინისტრობიდან გადაყენებას. სტუდენტები, აგრეთვე აპროტესტებენ ავარო-კახეთის საავტომობილო გზის მშენებლობასაც, სწორედ ზემოღსენებული საფრთხეების გათვალისწინბით.

რუსეთ-აფხაზეთის ეს ხელშეკრულება, როგორც საქართველოსა და ზოგადად კავკასიის ანექსიის განგრძობის ფაქტი, სპეციალური განცხადებით დაგმო, აგრეთვე სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი რელიგიური სამმართველოს თავმჯდომარემ მირთაღი ასადოვმაც. რუსეთთან ინტეგრაციის წინააღმდეგ აქტიური საპროტესტო პერმანენტული გამოსვლები მოაწყვეს თვით აფსუებმაც, ორგანიზაცია „ამცახარამ", რომლებიც თვლიან, რომ ამ ხელშეკრულებით წერტილი დაესმება აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ხაჯინბას სპეც-სამსახურებმა, დაშინებისა და რეპრესიების გზით, საბოლოოდ აღკვეთეს ოპოზიციის ეს საპროტესტო გამოსვლები სოხუმში.

რუსეთის მხრიდან მსგავსი „სადამსჯელო ღონისძიება", საქართველოს სახელმწიფოს ევროკავშირისა და ნატოსკენ უცვლელი პოლიტიკური გეზის გამო, მოსალოდნელი იყო, მაგრამ მთავარია საქართველომ არ შეასუსტოს თავისი ურყევი ნება და არ დაიხიოს ამ გზიდან. ჯერჯერობით, ღარიბაშვილის მთავრობა, ადექვატურია ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის პოლიტიკური ნებისა და საჯაროდაც ადასტურებს ამ გეზის უცვლელობას. ამასთანავე, საჭირო და აუცილებელია, საერთაშორისო ასპარეზზედ პოლიტიკური ტერმინოლოგიების, სტატუს-ქვოს - საქართველოს ისტორიის შესატყვის-შესაბამისი ხმარება; მაგალითად, მთავრობის ეშელონმა სრულად უნდა ამოიღოს თავიანთი პოლიტიკური ლექსიკონიდან ისეთი ხელოვნური წარმონაქმნები, როგორიცაა „სამხრეთ ოსეთი" და „ეთნო-კონფლიქტები", რომლებიც იმპორტირებულია რუსეთის სპეცსამსახურებიდან და მიზნობრივად დანერგილია ჩვენში შევარდნაძე-სააკაშვილის პრეზიდენტობის დროიდან, რითაც რუსეთი ახდენს (და ჩვენც გაუცნობიერებლად ვუწყობთ ხელს) ოკუპაცია-ანექსიის შენიღბვას ამგვარი პროპაგანდისტული ტერმინოლოგიებით. ჩვენ ამ პრობლემაზე

თითქმის პერმანენტულად, დაჟინებით ვამახვილებთ ყურადღებას ჩვენს პუბლიკაციებში, მისი მნიშვნელობისა თუ საფრთხეებიდან გამომდინარე; ეს ტერმინოლოგიები პირდაპირ ებმის ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას, ტერიტორიების აღდგენა კი, ჩვენი ქვეყნის, უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს.

ზემოხსენებული ანტისახელმწიფოებრივი ტერმინოლოგიები სრულად უნდა აღმოიფხვრას ჩვენი პოლიტიკური ელიტის ლექსიკონებიდან და ოფიციალური წერილობითი დოკუმენტებიდანაც! მხოლოდ ამგვარი გააზრებული პოლიტკით შევძლებთ წინსვლას ტერიტორიებისა და დევნილების დაბრუნების საკითხში და ინტეგრაციას ევრო-ატლანტიკურ ალიანსშიც.

2013 წლის 17 იანვარს, ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში, საგანგებო მისიით, სომხეთში გაემგზავრა, სადაც იგი სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარქისიანს შეხვდა. სომხეთის ტელეჟურნალისტის კითხვაზე: „როგორ ფიქრობთ, გაიხსნება, თუ არა აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთი?“ ივანიშვილმა უპასუხა, რომ დიახ, სარქისიანთან ჩვენ წამოვჭერით ეს საკითხი და **აუცილებლად** გაიხსნება. ოღონდ, საჭიროა, რუსეთისა და აფხაზეთის მხარეებმაც, თავის მხრივ გამოხატონ ამ საკითხით დაინტერესება. ჩვენ გამოვხატავთ სრულ მზადყოფნას და დადებითად ვართ განწყობილი ამ საკითხისადმი“.

ბიძინა ივანიშვილი, ამ ვიზიტის ფარგლებში, სომხეთის პატრიარქსაც შეხვდა. პატრიარქმა გარეგინ მეორემ საქართველოს პრემიერს მიმართა თხოვნით,რათა საქართველოს სკოლებში სასწავლო საგნად შეტანილ იქნას “სომეხი ხალხის ისტორია“. ამასთან დაკავშირებით, არა მგონია ლოგიკას მოკლებული იყოს ჩვენი კითხვა: რატომ უნდა ისწავლებოდეს საქართველოს სკოლებში მეზობელი “სომეხი ხალხის ისტორია”და არა, ვთქვათ, აზერბაიჯანელების? ან, სანაცვლო პირობად, ქართველმა პრემიერმა, რატომ არ წაუყენა სომხეთის ეკლესიის წინამძღვარს, ადექვატურ “კეთილმეზობლურ—კეთილმეგობრულ ჟესტად”, სომხეთის სკოლებში “საქართველოს სახელმწიფოს ისტორიის”სწავლების შემოღება? ეს, რიტორიკულ კითხვად და კვლავ ახალი სატრანსპორტო მაგისტრალების მშენებლობის საკითხს დავუბრუნდეთ;

ივანიშვილის სომხეთში ვიზიტიდან, წელიწად ნახევარში, რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა, აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტ ხაჯინბასთან ერთად, 2014 წლის 24 ნოემბერს, გაასაჯაროვა ამ სამხედრო სატრანზიტო მაგისტრალის მშენებლობის გეგმა, სოხუმი-თბილისი-სომხეთი-რუსეთის მიმართულების და უმალ შეუდგა ამ გეგმის რეალიზაციას. კერძოდ, პუტინმა

და ხაჯინბამ, ამ გეგმასთან დაკავშირებულ თანხმობის ხელშეკრულებას, ოფიციალურად მოაწერეს ხელი. ამ ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტში აისახა სწორედ, ივანიშვილ-სარქისიანის, ზემოხსენებული ვიზიტის დროს შეთანხმების დეტალები. პუტინმა განაცხადა, რომ იგი მზადაა მოიწონოს ეს გეგმა, რის პირობადაც მან ხაჯინბასთან გაფორმებულ ოფიციალურ ხელშეკრულებაზე სომხეთისა და საქართველოს ხელმოწერაც მოითხოვა. თუმცა, ამ დროისთვის, ბიძინა ივანიშვილი, უკვე აღარ იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი და სახელმწიფო საქართველოს, ახალი პრეზიდენტიც ჰყავდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პრემიერ-მინისტრობის რანგში, ამ საგანგებო ვიზიტით, ივანიშვილმა რუსეთის დაკვეთა შეასრულა და დაპირებულზე ადრე, ექვს თვეში გადადგა პრემიერ-მინისტრობიდან. არაღიარებული აფხაზეთის პრეზიდენტი, ამ ხელშეკრულებაზე, წარმოდგენილია ლეგიტიმურ მხარედ, რაც ხელმოწერით უნდა დაადასტუროს საქართველომაც.

2014 წლის ზაფხულში, სომხეთის პრეზიდენტი საქართველოში იყო ჩამოსული, სავარაუდოდ, სომხეთში შეთანხმების დეტალების, თბილისში დასაზუსტებლად. სერჟ სარქისიანის ვიზიტის შემდგომ დაიწყო საიდუმლო მოლაპარაკებები პუტინის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვთან, ვისთანაც ქართულ მხარეს წარმოადგენდა, არა, საქართველოს ხელისუფლების რომელიმე ოფიციალური პირი, **არამედ** ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილი, **ბიზნესმენი უჩა მამაცაშვილი.** თან, გასათვალისწინებელია ის რეალობაც, რომ ბიძინა ივანიშვილი, ამ დროისთვის აღარ წარმოადგენდა ხელისუფლების ოფიციალურ პირს, პრემიერ-მინისტრობიდან იგი გადამდგარი იყო (გადადგა 2013 წლის ოქტომბერში) და საკუთარ შუშის სასახლეში ცხოვრობდა, როგორც ბანკირ-ბიზნესმენი. ბიძინა ივანიშვილმა ამ სარკინიგზო მაგისტრალის საკითხი, სომხეთიდან დაბრუნების შემდგომ, 2013 წლის გაზაფხულზე განიხილა საქართველოს დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბში, სადაც მას დაუპირისპირდა ეკონომისტი ლადო პაპავა, რომლის არგუმენტი იყო აზერბაიჯანის ინტერესების გათვალისწინება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო გაიჩენდა მტერს მეორე სამხრეთკავკასიელ მეზობელ სახელმწიფო აზერბაიჯანის სახით, რომელიც არ მიესალმებოდა საქართველოს თანხმობას, სომხეთის ამ სარკინიგზო მაგისტრალზე.

ფრეშ-ნიუსის გამოძიებით, ამ საკითხზე, უჩა მამაცაშვილმა მოუხშირა ვიზიტებს მოსკოვში და უკანასკნელ ხანს მისი 20-ზე მეტი ვიზიტი დაა-ფიქსირა. სააგენტო ფრეშ-ნიუსი შეეცადა, უშუალოდ უჩა მამაცაშვილი-საგან მიეღო პასუხი კითხვაზე: „აწარმოებს თუ არა იგი მოლაპარაკებას მოსკოვთან რკინიგზის საკითხზე“, მაგრამ მამაცაშვილმა მის ოფისთან ჩა-საფრებულ ჟურნალისტს სრულებით არაფერი უპასუხა. უჩა მამაცაშვილი მოსკოვში განსწავლული და მოღვაწე ბიზნესმენია და იგი საქართველოში ბიძინა ივანიშვილს ჩამოჰყვა. საქართველოში ყველა მსხვილ ბიზნესს, მას შემდეგ, უჩა მამაცაშვილი აკონტროლებს, რითაც მისით ძალზე კმაყო-ფილია ივანიშვილი, რომელიც სრულად ენდობა მას. იგივე მამაცაშვილი მართავდა ბიძინა ივანიშვილის ყველა ბიზნესს რუსეთშიც.

ამ სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის ფარგლებში, საქართველოში, არაოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ რუსი ტექნიკური ექსპერტების სოლიდური ჯგუფი, რომლებმაც დაათვალიერეს საქართველოს რკინიგ-ზის ტექნიკური შეესაძლებლობები. რუსი ექსპერტების დიდი წარმომად-გენლობა, საქართველოში, რუსული კომპანიის მატარებლით ჩამოვიდნენ, რაც არ გასაჯაროვებულა. ნაციონალური ხელისუფლების აქტიურმა ოპოზიციონერმა **დაჩი ცაგურიამ,** რომელიც ბიძინა ივანიშვილის ხელი-სუფლებაში დასაქმდა და „საქართველოს რკინიგზის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი“ გახდა, რუსეთის მატარებლის სა-ქართველოში შემოსვლის ფაქტი დამალა. ანუ, ყოფილი ხელისუფლების აქტიური ოპოზიციონერი დ. ცაგურია, ივანიშვილის ხელისუფლების ლო-ბისტი გახდა. სომხეთის მხარეს კი ძალიან უკვირს, რატომ მალავს სა-ქართველოს ხელისუფლება ამ სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის შეთანხმების საკითხს.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს სარკინიგზო(სამხედრო) მაგის-ტრალი, არავითარ სარგებელს არ მოუტანს საქართველოს და ამ მხრივ

მხოლოდ სომხეთი ისარგებლებს. ხოლო, სამხედრო თვალსაზრისით, ეს სარკინიგზო მაგისტრალი იქცევა, რუსეთის დომინანტობის გასაძლიერებლად სამხრეთ კავკასიაში. სომხეთში სამხედრო ბაზის აღჭურვილობის გაძლიერება კი, კონფლიქტების ესკალაციის შემთხვევაში, ომით ემუქრება საქართველოსა და აზერბაიჯანს, მეზობელ ქვეყნებსაც.

ამდენად, ექსპერტების შეფასებით, **ეს რკინიგზა, წმინდა პოლიტიკური საკითხია და წარმოადგენს რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის სტრატეგიულ ნაწილს. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მექანიკურად მოხდება აფხაზეთის დამოუკიდებლობის ოფიციალურად აღიარება სახელმწიფო საქართველოს მხრიდან. ამიტომ, საქართველომ, ოფიციალურად, არამცდაარამც არ უნდა მოწეროს ხელი, ამ ე.წ. ინფრასტრუქტურული პროექტის გახორციელებას.**

რა ვუყოთ, ბიძინა ივანიშვილის რამდენიმეთვიანი პრემიერობის დროინდელ მოლაპარაკებას სომხეთის პრეზიდენტთან და მისი დეიდაშვილის, უჩა მამაცაშვილის, მოსკოვში ვიზიტების უკვე შემდგარ ფაქტს ხსენებულ პროექტზე?

1. ბიძინა ივანიშვილსა და სერჟ სარქისიანს შორის, მოლაპარაკება, ოფიციალურად არ გაფორმებულა.

2. უჩა მამაცაშვილი, არ წარმოადგენს, საქართველოს ხელისუფლების, არცერთი სახელმწიფო სტრუქტურის ოფიციალურ პასუხისმგებელ პირს, არამედ წარმოადგენს ჩრდილოვან მხარეს.

ამდენად, ამ სამხედრო დანიშნულების სარკინიგზო მაგისტრალის (რომლის მშენებლობა, ამ დრომდე, ხანგრძლივი შეფერხებებით მიმდინარეობს) მშენებლობის ოთხმხრივ ოფიციალურ ხელშეკრულებაზე, საქართველოს, ხელმოწერის არავითარი ვალდებულება არ გააჩნია!

საქართველოს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა, პოლონეთში ვიზიტის დროს, პოლონელ ექსპერტებთან საერთაშორისო ურთიერთობათა ცენტრში გამართულ შეხვედრაზე ხმამაღლა დაადასტურა ბიძინა ივანიშვილის გავლენა ქართულ პოლიტიკაზე და იქედან მოუწოდა ივანიშვილს, რომ მან არ უნდა უარყოს ეს. თუმცა, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლები, ჯიუტად უარყოფენ, ივანიშვილის ჩართულობას ქართულ პოლიტიკასა და მთავრობის მუშაობაშიც.

ივანიშვილისეულ მიზანმიმართულ, ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკად უნდა განვიხილოთ აფხაზეთ-სომხეთის რკინიგზის შესაძლო ამოქმედების საკითხი.

არცერთი საკადრო საკითხი, რომელიც ხორციელდება ღარიბაშვი-

ლის მიერ, არ წყდება ივანიშვილის პირდაპირი მითითების გარეშე. არავინ იცის, თუ რას დაუპირისპირებს ღარიბაშვილის მთავრობა აფხაზეთ-ერევნის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის ნებას, ან დაუპირისპირებს კი, თუ რუსეთმა ხელაღებით დაიწყო რკინიგზის რელსების დაგება მდინარე ენგურის გადმოღმა? ასეთ შემთხვევაში, ერთადერთ იმედად, მხოლოდ, ქართველი ხალხის ერთიანი პროტესტი რჩება, რომ რუსეთმა, აწ უკვე სატრანსპორტო მაგისტრალებით ვერ შეძლოს საქართველოს სრული ოკუპაცია-ანექსია.

ამ შემთხვევაში, ცხადია, მნიშვნელოვანი იქნება, საქართველოს მთავრობა არ გაემიჯნოს და არ დაუპირისპირდეს საკუთარ ხალხს.

ლეილა ცომაია

გაზ. „განმათავისუფლებელი“ №34 და №43, 2013-2014 წ.წ.

საკითხზე, პუბლიკაციის მომზადებისას, გამოვიყენეთ Fresh-nius-ის მიერ მომზადებული ვიდეო-რეპორტაჟი.

საგაზეთო წყაროებში გამოქვეყნებული ყველა სტატია, წინამდებარე წიგნში, დაბეჭდილია შესწორებებითა და შემოკლებებით.

ᲙᲣᲜᲢᲘᲡ ᲠᲔᲞᲠᲔᲡᲘᲔᲑᲘ

თეიმურაზ ფერაძე

ახალგაზრდა მილიციელი, რომელმაც გამოავლინა პროფესიული გმირობა და სწორედ მუნდირით წარსდგა ქართველი ერის წინაშე სახელმწიფო ტელევიზიასთან გამართულ მიტინგზე 1992 წლის 29 იანვარს. იგი გამოვიდა მღელვარე და გულწრფელი სიტყვით დამოუკიდებელი საქართველოს ღირსეული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დასაცავად. ეროვნული პრეზიდენტის მხარდამჭერ მიტინგზე მან განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უმრავლესობა მხარს უჭერს ბატონ ზვიად გამსახურდიას და პირადად მე საკუთარი სიცოცხლით დავიცავ ჩემს პრეზიდენტსო (იუთუბზე დევს ამ მიტინგის ვიდეო მასალაც). ახალგაზრდა მილიციელი თეიმურაზ ფერაძე, აგრეთვე, ფილარმონიაში შეკრებილ საზოგადოება „თბილისელების“ თავყრილობაზეც, 1993 წლის 18 ოქტომბერს (ეს ის შეკრებაა, სადაც დარბაზში მჯდომ შევარდნაძეს ირინა სარიშვილმა პირდაპირ მოსთხოვა, რომ გამსახურდია ცოცხალი აღარ გაეშვათ სამეგრელოდან, იუთუბზე დევს ეს ვიდეოც) ტრიბუნაზე გაბედულად ავიდა უნიფორმით და მიმართა მათ: „თქვენ ითხოვთ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შეპყრობას და ლიკვიდაციას და თქვენ დღეს უკვე სასტიკად დამარცხდით მასთან ბრძოლაში“.

მილიციელი ფერაძის აღშფოთება გამოიწვია რეზო ამაშუკელის მოთხოვნამ, ზვიად გამსახურდიას მოღალატედ გამოცხადების შესახებ, რასაც დარბაზში მქუხარე ტაში მოჰყვა.

თეიმურაზ ფერაძის მოულოდნელმა პროტესტმა გააცოფა ნოდარ ლომოური და დარბაზში მყოფ მილიციის სამმართველოს უფროს დავით ზეიკიძეს, ისტერიულად მოსთხოვა მილიციელის დაუყოვნებლივი დაპატიმრება, რომელიც იქვე დააკავეს. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, იგი, მრავალდღიან სასტიკ წამებასა და ცემაში სულიერად დააავადეს. მისი დღევანდელი მდგომარეობა ჩვენთვის უცნობია...

1992 წლის 7 იანვრისა და 2 თებერვლის მშვიდობიანი მანიფესტაციების დროს დაჭრილთა არასრული სია დედაქალაქის №1 საავადმყოფოში მოთავსებულთა:

ბაია ნოდარის ასული ზამბახიძე;

ამირან კვიწინიძე;

მურთაზ ასათიანი – ჭრილობის გართულების შედეგად მოგვიანებით გარდაიცვალა;

ავთანდილ დიმიტრის ძე მახარაშვილი – 31 წლის;

ჯემალ ივანეს ძე მელიქიშვილი – 28 წლის;

ანა მერაბის ასული ფანქველაშვილი – 19 წლის;

დიმიტრი ალექსანდრეს ძე იორამაშვილი – 65 წლის;

კახაბერ კონსტანტინეს ძე ჩხეიძე – 20 წლის;

დავით გივის ძე ჭყოიძე – 30 წლის;

შოთა ზურაბის ძე შალუხოვი – 59 წლის;

ავთანდილ სოლომონის ძე ჟივიძე – 30 წლის;

ლია ემზარის ასული ბაღათურია – 21 წლის;

თენგიზ ივანეს ძე მოძმანიშვილი – 21 წლის;

ავთანდილ ვაჟას ძე გოგოლიშვილი – 21 წლის;

ანზორ ქრისტეფორეს ძე სახელაშვილი – 50 წლის;

ემზარ ომარის ძე კვაღელიძე – 19 წლის;

გარიკ ალექსანდრეს ძე ალექსანიანი – 40 წლის;

გოდერძი გიორგის ძე ჯოჯიშვილი – 35 წლის;

1992 წლის 3 იანვარს მეტრო „დიდუბესთან“ დაჭრილები:

გურამ ზაალის ძე მეტრეველი – 52 წლის

ამბროსი ვასილის ძე კობიძე – 53 წლის

პავლე იოანეს ძე გუგუშვილი – 47 წლის

ომარ სერაპიონის ძე გაგუა – 52 წლის

გურამ გიორგის ძე ყიფიანი – 41 წლის

ჯემალ დავითის ძე ტორჩილავა – 40 წლის

ლადო კუკურის ძე კიკვიძე – 23 წლის

ნაირა ბაირამის ასული ბაირამოვა – 20 წლის

ნუგზარ მიხეილის ძე ჯაფარიძე – 44 წლის

ვლადიმერ დავითის ძე ბერუაშვილი – 31 წლის

ზაირა ალექსანდრეს ასული მინაშვილი – 51 წლის

ნელი ანზორის ასული ჯავახაძე – 24 წლის
კახა კარლოს ძე კობახიძე – 24 წლის
გიორგი თენგიზის ძე ხევიაშვილი – 27 წლის
არამ შაგინის ძე არუთინიანი – 25 წლის
გეგამ ელვახოს ძე დანელიანი – 25 წლის
ემზარ ნოდარის ძე მეცხვარიშვილი – 23 წლის
ირაკლი ოთარის ძე ყვალაძე – 35 წლის
თემურ გიორგის ძე ლომიძე – 30 წლის
ბესიკ ჟღენტი – 45 წლის

ქალაქის №7 საავადმყოფოში მოთავსებულები:

როინ ხუციშვილი – 15 წლის;
თამაზ ნაპოს ძე ლოგუა – 41 წლის;
კუკური ანტონის ძე ჩიქოვანი – 43 წლის;
ოთარ გარსევანიძე – 54 წლის;
ივანე ჟიჟიაშვილი – 50 წლის;
გელა ბესარიონის ძე კავთიაშვილი – 14 წლის;
ზურაბ ჩიტაძე –
ლიანა ფანქველაშვილი – 30 წლის;
გიორგი მიხეილის ძე კულუმბეგაშვილი – 43 წლის;
თეიმურაზ იორამის ძე გეგეშიძე – 23 წლის;
რევაზ ვალერიანის ძე მინდორაშვილი – 37 წლის;
ნოდარ ნიკოლოზის ძე ნოზაძე – 58 წლის;
გელა ელიზბარის ძე ჭიღურაშვილი – 30 წლის;
ვასილ ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი – 20 წლის;
გელა გუგულის ძე სახლთხუციშვილი – 18 წლის;
ნაზი ზურაბის ასული ეპიტაშვილი – 30 წლის;
ოთარ კუნჭულია – 40 წლის;
დავით ვახტანგის ძე ჩადუნელი – 15 წლის;
ვასილ გიორგის ძე ბაკაშვილი – 63 წლის;
დავით ვლადიმერის ძე მთვარელიძე – 25 წლის;
შალვა გივის ძე შალვაძე – 23 წლის;
გიორგი გერვასის ძე კუპატაძე – 43 წლის;
ვაჟა თაბაგარი
რამაზ იობაძე

ვლადიმერ საამოვი – 65 წლის;
გიორგი ბადრის ძე გიორგობიანი – 15 წლის;
ვაჟა ჯავახია – 20 წლის.

1991-93 წლებში, კანონიერი ხელისუფლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად დაღუპულები:

ირმა დუნდუა

25 წლის, ქმარ-შვილიანი. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ მოცეკვავე, 1991 წლის 28 დეკემბერს ოპოზიციის მიერ რუსთაველიდან გასროლილ ტყვიას ემსხვერპლა.

ბერდია ბერიაშვილი

52 წლის, ცოლ-შვილიანი, მცხ. თბილისში, ობოლაძის ქ. №15, პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, გაზეთ „ცისარტყელას“ მთავარი რედაქტორი, კანონიერი ხელისუფლების მომხრე.

1992 წლის 17 იანვარს ბერდია ბერიაშვილი, ნაშუაღამევს, დაახლოებით 3 საათზე საკუთარ სახლში სამმა სამოქალაქო ფორმიანმა ავტომატიანმა პირებმა საკუთარ სახლში სასიკვდილოდ დაჭრეს, რომელიც ქალაქის №1 საავადმყოფოში მე-9 დღეს გარდაიცვალა. მკვლელები საავადმყოფოშიც მიუხტნენ დაჭრილ პოეტს, რომელიც მედპერსონალმა გადამალა. ბერიაშვილი დაჭრილი იყო ფილტვში, გულში და ბეჭში. მისი სიკვდილის შემდეგ დაარბიეს მისი რედაქცია ძველი სტუდქალაქის ტერიტორიაზე, ხოლო სტამბაში გაანადგურეს აწყობილი და გამოსაცემად გამზადებული 16-გვერდიანი გაზეთის შეკრული გვერდები, რომელშიც იბეჭდებოდა ხუნტის „რუპორი“ პოეტის (შემდგომში პარლამენტის წევრის) ჯანსულ ჩარკვიანის პიროვნების მამხილებელი ვრცელი წერილის მესამე (დასასრული) ნაწილი. სწორედ ამ სტატიებს უკავშირებენ ოჯახის წევრები ბერდიას შეკვეთილ მკვლელობას. გარდაცვლილი პოეტის ოჯახი წლების განმავლობაში განიცდიდა სასტიკ დევნას. მისი ორივე შვილი დაითხოვეს სამსახურიდან, ხოლო ვაჟს, ბაკურ ბერიაშვილს 5-ჯერ დახვდნენ მოსაკლავად შეიარაღებული უცნობი პირები მოსკოვში, ბაქოში და თბილისში. დედამისი, პოეტი ქალბატონი მთვარისა კერესელიძე დღემდე ინახავს დაჭრილი შვილის სისხლიან პერანგს.

თეა ოლეგის ასული თელია–ტალიკაძე

დაიბადა 1975 წელს, გათხოვდა აბაშის რაიონის სოფელ მარანში. იმის გამო, რომ „მხედრიონელები“ აწიოკებდნენ და აყაჩაღებდნენ მარნის მოსახლეობას, თეა თავისი ორი თვის შვილითა და მეუღლით იძულებული გახდა დროებით აბაშის რაიონის სოფელ ნოღოხაშში წამოსულიყო ბებიასთან, მაგრამ მას მდ. ცხენისწყალზე, ზურგიდან „მხედრიონელების“ ტყვია დაეწია. გულგანგმირულმა ახალგაზრდა დედამ ორი თვის შვილის მეუღლისთვის გადაცემაღა მოასწრო და უსულოდ ჩაიკეცა წყალში. ეს მოხდა 1993 წლის 8 ოქტომბერს.

მელორ (ბაბუ) აკაკის ძე წურწუმია

დაიბადა თბილისში 1929 წლის 20 ივლისს. იგი ახალგაზრდობიდანვე ჩაბმული იყო ეროვნულ-პატრიოტულ მოძრაობაში. იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად, აქტიურად იდგა საქართველოს პატრიოტი ახალგაზრდების გვერდით. სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდგომ გააგრძელა ბრძოლა კანონიერი ეროვნული ხელისუფლების აღდგენისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის, რის გამოც არა ერთხელ იყო ხუნტისტური ხელისუფლების მიერ დაპატიმრებული და ფიზიკურად ნაწამები, რის შედეგადაც გარდაიცვალა 1996 წლის 10 ნოემბერს.

მუხრან (რეზო) კილასონია ვლადიმერის ძე

დაიბადა 1947 წლის 24 თებერვალს აბაშის რაიონში, ცოლ-შვილიანი – შვიდი შვილის მამა. მოკლეს 1992 წლის 24 ივნისს საკუთარი სახლის ჭიშკართან უბრალოდ მდგარი (მაყურებელი) მილიციაზე „მხედრიონელების“ შეიარაღებული თავდასხმის დროს, მოხვდა მილიციელის ტყვია.

გაბრიელ (გაბურ) ქიშვარდის ძე ისაკაძე

დაიბადა 1957 წელს თბილისში. ოთხი შვილი მამა, ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი. 1988 წლის 28 ნოემბერს მთავრობის სასახლ-

იდან ჩამოაგდო იმპერიული წითელი დროშა, რისთვისაც დააპატიმრეს. რამდენჯერმე აწამეს ციხეში. მართლმადიდებლური რელიგიის დაცვისა და იეღოველების მხილებისათვის მძიმედ დაჭრეს უშიშროების საიდუმლო თანამშრომლებმა 1990 წელს. დეკემბერ-იანვარში იცავდა კანონიერ ხელისუფლებას მთავრობის სასახლეში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებებში. დახვრიტა ხუნტამ თბილისში 1993 წლის 31 დეკემბერს საკუთარი სახლის ეზოში ოჯახის მოსანახულებლად მისული.

ამირან კალაძე

კანონიერი ეროვნული ხელისუფლების უზენაესი საბჭოს დეპუტატი. პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, თეატრმცოდნე, მთარგმნელი. დაიბადა 1945 წლის 3 მაისს სამტრედიის რაიონის სოფ. ეწერაში. დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი. ესტონური პოეზიის თარგმანებისთვის 1979 წელს მინიჭებული ჰქონდა ესტონელი კლასიკოსი მწერლის იოჰან სმუუელის სახელობის პრემია. 1993 წლის 8 ოქტომბერს სოფელ ეწერაში, ღამის 9 საათზე მის ოჯახს თავს დაესხნენ სამხედრო საბჭოს მიერ წარგზავნილი შეიარაღბული პირები, რომლებმაც პირწმინდად გაძარცვეს მისი სახლი. ამირანი სცემეს, მერე მდინარის პირას წაიყვანეს და სასტიკად აწამეს, დაუზიანეს თავის ქალა. ხანგრძლივმა მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო და იგი საბოლოოდ გარდაიცვალა 1995 წლის 27 მაისს.

რომეო ცარციძე

29 წლის, დაიბადა რუსთავაში. უცოლო, ავღანეთში მებრძოლი. დეკემბერ–იანვარში იცავდა მთავრობის სახლს. 1992 წლის 7 იანვარს წამებით მოკლული იპოვეს თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

ანატოლი ნიკოლოზის ძე ლაგვილავა

დაიბადა 1952 წელს ქ. ზუგდიდში. 1989 წლიდან იყო ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი. იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად სამაჩაბლოში, აფხაზეთში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს შეიარაღებულ აჯანყებებში. სასიკვდილოდ დაჭრეს 1993 წლის 1 ნოემბერს, რის შედეგადაც გარდაიცვალა.

ვახტანგ ვალიკოს ძე ნოდია

დაიბადა 1950 წელს აბაშის რაიონში. მხატვარი, ცოლ-შვილიანი, ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, მხატვრული ტილოს – „გამოცხადების“ შექმნისათვის (რაც ზვიად გამსახურდიას ალეგორიულ სახეს წარმოადგენდა), ხუნტის გვარდიელებმა ხობში მარჯვენა მოკვეთეს, ტანი დაუსერეს და შემდეგ დაცხრილეს 1993 წლის 29 ოქტომბერს. მისი წამების ოპერაციას ხელმძღვანელობდა ხობის „მხედრიონელი“ გამგებელი თემურ გერგაია, რომელმაც ნაწამებ მხატვარს წიხლი ჩააზილა და ამომშრალ აუზში გადააგდო, სადაც ნოდიას ამოხდა სული.

გია მამიას ძე ნაყოფია

დაიბადა ქ. ზუგდიდში 1961 წელს. 1989 წლიდან ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. დეკემბერ-იანვარში იარაღით ხელში იცავდა მთავრობის სასახლეს. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ სამეგრელოს აჯანყებებში, იბრძოდა ცაიშთან, ხობში, რუხში, ფოთში, სადაც მოკლა ხუნტამ.

სოსო გელოდის ძე ლენჯარია

დაიბადა 1972 წელს ქ. ზუგდიდში. იბრძოდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის შეიარაღებულ აჯანყებაში, მოკლეს 1993 წლის 20 ოქტომბერს ხონში.

მერაბ გელაშვილი

დაიბადა თბილისში. დეკემბერ–იანვარში იცავდა კანონიერ ხელისუფლებას. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო მანიფესტაციებში. ხუნტის ხელისუფლების მიერ 1993 წლის 26 მაისის მშვიდობიანი მიტინგის დარბევის შედეგად ინსულტით გარდაიცვალა.

ლადო ხუხუშას ძე ესართია

დაიბადა ზუგდიდში, მონაწილეობდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის შეიარაღებულ აჯანყებაში. მოკლეს ხობში.

არტუშა თედორეს ძე ქობალია

დაიბადა ზუგდიდში. მონაწილეობდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის შეიარაღებულ აჯანყებაში. მოკლეს სენაკში.

ჯამბულ გრიშას ძე სოსელია

დაიბადა 1964 წელს ხობის რაიონის სოფ. ნოჯიხევში. მონაწილეობდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის შეიარაღებულ აჯანყებაში. მოკლეს სენაკის მისადგომებთან 1993 წლის 24 ოქტომბერს.

ჯემალ აკაკის ძე ჯგერენაია

დაიბადა 1941 წელს მარტვილის რაიონში. იყო კანონიერი ხელისუფლების გვარდიელი. 1994 წლის 11 ოქტომბერს მოკლეს რუსმა ე. წ. „სამშვიდობო ჯარის“ ჯარისკაცებმა ზუგდიდთან.

ზაზა ნოდარის ძე პერტახია

დაიბადა 1967 წელს ქ. ზუგდიდში. იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის სოფ. ღალიძგასთან 1989 წელს. იყო კანონიერი ხელისუფლების ეროვნული გვარდიის წევრი. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ სამეგრელოს აჯანყებებში, რისთვისაც ეძებდა შევარდნაძის ხუნტისტური ხელისუფლება. 1995 წ. 2 ნოემბერს ალყა შემოარტყეს მის ადგილსამყოფელს და ადგილზე დახვრიტეს.

აკაკი არტემის ძე ქადარია

დაიბადა ზუგდიდში. მონაწილეობდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის შეიარაღებულ აჯანყებაში. მოკლეს ზუგდიდში.

თეიმურაზ გურამის ძე მესხია

დაიბადა ზუგდიდში. მონაწილეობდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის შეიარაღებულ აჯანყებაში. მოკლეს ზუგდიდში.

ედემ მოგელის ძე დაკარგულია

დაიბადა ზუგდიდში. მონაწილეობდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის შეიარაღებულ აჯანყებაში. მოკლეს ზუგდიდში.

გულადი ვლადიმერის ძე კვარაცხელია

დაიბადა წალენჯიხის რაიონის სოფ. ჯგალში. მონაწილეობდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის შეიარაღებულ აჯანყებაში. მოკლეს წალენჯიხაში.

ვალერი (ვოვა) ჯოდოს ძე თოდუა

დაიბადა ზუგდიდში. მონაწილეობდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის შეიარაღებულ აჯანყებაში. მოკლეს სენაკის მისადგომებთან.

ზურაბ ანატოლის ძე კვიკვინია

დაიბადა ხობში. მონაწილეობდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის შეიარაღებულ აჯანყებაში. მოკლეს ხობში.

თამარ ფირცხელიანი

დაიბადა 1955 წელს მესტიის რაიონში. მოკლეს ზუგდიდში ხუნტის გვარდიელებმა 1993 წლის 14 მაისს.

პავლუშა გაბედავა

დაიბადა 1951 წელს ქ. ზუგდიდში. მოკლეს წალენჯიხაში ხუნტის გვარდიელებმა 1992 წლის 6 ივლისს.

ოთარ კალანდია

ცოლ-შვილიანი. 1992 წლის 6 ივლისს წალენჯიხაში შეჭრილმა „მხედრიონელებმა“ ადგილზე ცემეს, დააპატიმრეს და თბილისში წაიყვანეს. იქ კიდევ სცემეს და შეურაცხყვეს, რის გამოც, გათავისუფლებისთანავე თავი მოიკლა.

ავთანდილ გიორგის ძე ჯალაღონია

დაიბადა 1964 წელს ქ. ზუგდიდში. მონაწილეობდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის შეიარაღებულ აჯანყებაში. მოკლეს 1993 წლის 5 ოქტომბერს ფოთში.

რეზო მიხას ძე შანავა

დაიბადა 1955 წელს წალენჯიხის რაიონში. მონაწილეობდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის შეიარაღებულ აჯანყებაში. 1993 წლის 22 ოქტომბერს ტყვედ აიყვანეს „მხედრიონელებმა“ ხონში. აწამეს. სხეულზე ჰქონდა 62 ნატყვიარი, გარდაიცვალა 23 ოქტომბერს.

ალექსანდრე სამსონის ძე კვარაცხელია

დაიბადა 1944 წელს ქ. ზუგდიდში. ცხოვრობდა სოფ. ჯიხაშკარში. მონაწილეობდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის შეიარაღებულ აჯანყებაში. მოკლეს სენაკის მისადგომებთან 1993 წლის 2 ნოემბერს.

ნუგზარ ლეჟავა

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე. ცოლ–შვილიანი. მოკლა შევარდნაძის სპეცდანიშნულების რაზმმა მერაბ კოსტავას ეზოში მიმდინარე შიმშილობის აქციის დარბევის დროს 1998 წლის 17 დეკემბერს.

მაყვალა აბაშვილი

მცხოვრები სოფელ დიღომში. 2000 წლის 28 ოქტომბერს თავისუფლების მოედანზე გამართული მიტინგის დარბევის დროს სასიკვდილოდ სცემეს შევარდნაძის სპეცრაზმელებმა. ნაცემი აბაშვილი ერთი კვირის განმავლობაში უგონოდ იწვა თბილისის №1 საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში, სადაც 7 ნოემბერს გარდაიცვალა.

გოჩა ესებუა

დაიბადა 1967 წელს ქ. ზუგდიდში. კანონიერი ხელისუფლების გვარდიელი. იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად

სამაჩაბლოში, აფხაზეთში. უცოლო. 1998 წლის 19 თებერვალს მოაწყო აჯანყება შევარდნაძის ანტისახელმწიფოებრივი და ხუნტისტური ხელისუფლების წინააღმდეგ. მოკლეს 1998 წლის 31 მარტს ზუგდიდში შევარდნაძის სპეცდანიშნულების რაზმებმა.

აკაკი ელიავა

კანონიერი ხელისუფლების გვარდიის ოფიცერი. დაიბადა სენაკში. 1999 წლის 19 ოქტომბერს მოაწყო აჯანყება შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ. ვერაგულად მოკლა შევარდნაძის სპეცდანიშუნელბის რაზმმა ზესტაფონში 2000 წლის 9 ივლისს.

გოჩა გვილავა

აკაკი ელიავას ბატალიონის წევრი. დაიბადა სენაკში. ვერაგულად მოკლა შევარდნაძის სპეცდანიშნულების რაზმმა ზესტაფონში 2000 წლის 9 ივლისს აკაკი ელიავასთან ერთად.

ციცინო ქევხიშვილი

45 წლის. გათხოვილი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი. წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი. ქაშუეთის ეკლესიიდან ნასროლმა რაკეტამ სასიკვდილოდ დაჭრა მთავრობის სახლთან 1991 წლის 22 დეკემბერს. გარდაიცვალა №1 საავადმყოფოში 1992 წლის 2 იანვარს.

მეუღლის ნაამბობი: 1991 წლის 19 დეკემბრიდან მე და ჩემი მეუღლე ციცო ქევხიშვილი ღამეს ვათევდით მთავრობის სახლის წინ, სადაც მომდგარი იყო ოპოზიციის შეიარაღებული ძალა. 22 დეკემბერს ოპოზიციონერთა მიერ პირველი გასროლის დაწყებისთანავე ჩვენ შევედით მთავრობის სახლში. კარავში მყოფთაგან რამდენიმე დაიხოცა. მათ შორის იყო წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი აველინა პერტია. როცა სროლები მიწყნარდა ჩვენ კვლავ გარეთ გამოვედით. „ენა, მამული, სარწმუნოების“ ქვეშ იდგა წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი აჩიკო რამიშვილი. ჩემი მეუღლეც იქ აღოჩნდა. ქაშუეთის ეკლესიიდან ნასროლმა რაკეტამ ჩემი მეუღლე სასიკვდილოდ დაჭრა, ხოლო აჩიკო რამიშვილი იქვე გარდაიცვალა.

ალექსანდრე ძიგაშვილი

მალხაზ ხურცილავა

28 წლის. დაიბადა მარტვილის რაიონში. ცოლ-შვილიანი. გვარდიელი. დეკემბერ-იანვარში იცავდა მთავრობის სასახლეს. მოკლეს 1991 წლის 22 დეკემბერს მთავრობის სახლის დაცვის დროს.

გია ესებუა

33 წლის, ცოლ-შვილიანი. დაიბადა ზუგდიდში. იურისტი. დეკემბერ–იანვარში იცავდა მთავრობის სასახლეს. მოკლეს 1991 წლის 23 დეკემბერს სასტუმრო „თბილისთან“.

სოსო ინაური

42 წლის. უცოლო. დაიბადა თბილისში. მოკლა ხუნტამ ლეონიძის ქუჩაზე 1991 წლის 23 დეკემბერს.

ვარაზი ვარაზიშვილი

33 წლის. უცოლო. დაიბადა თბილისში. მუსიკოსი. იყო პედაგოგი. წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი. დეკემბერ–იანვარში იცავდა კანონიერ პრეზიდენტს და მის ეროვნულ ხელისუფლებას. მოკლეს სასტუმრო „თბილისთან“ 1991 წლის 23 დეკემბერს. გარდაცვლილი მიიყვანეს №1 საავადმყოფოში.

გიორგი ირაკლის ძე გოცირიძე

30 წლის. დაიბადა თბილისში. მხატვარი. უცოლო. ხუნტის ხელისუფლებამ მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე ხეზე მავთულით ჩამოახრჩო 1992 წელს.

1992 წლის 24 ივნისს, კანონიერი ეროვნული ხელისუფლების აღდგენის მიზნით, უზენაესი საბჭოს დეპუტატის ვალტერ შურღაიას ორგანიზებით მოხდა სახელმწიფო ტელევიზიის შენობის დაკავება, რომლის დროსაც შევარდნაძის ხუნტისტურმა ხელისუფლებამ დახვრიტა აქციის რამდენიმე მონაწილე:

რევაზ ბროძელი

ცოლ-შვილიანი. დაიბადა თბილისში. იყო საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი, დააკავეს ტელევიზიაში 1992 წლის 24 ივნისს. ერთი თვის შემდეგ 25 ივლისს იპოვეს დახვრეტილი მთაწმინდის პარკში. ოჯახის წევრებმა ძლივს ამოიცნეს გახრწნილი გვამი.

დავით ნადირაძე

30 წლის. დაიბადა თბილისში. იურისტი. „სახალხო ფრონტის“ წევრი. 1992 წლის 24 ივნისს მოკლეს ტელევიზიასთან.

ნუგზარ დვალიშვილი

დაიბადა 1947 წელს ვანის რაიონში. ცხოვრობდა თბილისში. ცოლ–შვილიანი. 1992 წლის 24 ივნისს დახვრიტეს მთაწმინდაზე.

ნუკრი შოთას ძე არჩვაძე

დაიბადა 1946 წელს თბილისში. უცოლო. 1992 წლის 24 ივნისს დახვრიტეს მთაწმინდაზე.

ლიმა გიორგაძე

დაიბადა თბილისში. 1992 წლის 24 ივნისს სასიკვდილოდ სცემეს ტელევიზიაში, რის შედეგადაც მოგვიანებით გარდაიცვალა.

მერაბ სულაძე

დაიბადა თბილისში 1947 წელს. იბრძოდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის. 1992 წლის 24 ივნისს დააკავეს ტელევიზიაში, დახვრიტეს მთაწმინდაზე.

ხანგიზ არეშიძე

დაიბადა თბილისში 1934 წელს. დეკემბერ–იანვარში იცავდა მთავრობის სახლს. 1992 წლის 6 იანვარს გოგა ხაინდრავას „დევიატკელებმა“ დაჭრეს მეტეხთან, რის შედეგადაც მოგვიანებით გარდაიცვალა.

თენგიზ სიგუს, თენგიზ კიტოვანის, ჯაბა იოსელიანისა და გია ყარყარაშვილის მეთაურობით შემდგარმა ხუნტამ, აგრეთვე დახვრიტა კანონიერი ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერი მშვიდობიანი მანიფესტაციები 1992 წლის 3 იანვარს, 7 იანვარს და 2 თებერვლის ფაქტებსაც ქვემოთ წარმოვადგენთ:

გიზო ხატიაშვილი

29 წლის. უცოლო. დაიბადა თბილისში. მხატვარი, არქიტექტორი. 1992 წლის 3 იანვარს მეტრო „დიდუბესთან“ მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტის შედეგად სასიკვდილოდ დაიჭრა და 8 თებერვალს გარდაიცვალა რკინიგზის №2 საავადმყოფოში. მას ჰქონდა სასიკვდილო ჭრილობა თავის არეში, აგერთვე ტყვიით ამოგდებული ჰქონდა თვალი და მოგლეჯილი ჰქონდა მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი.

გივი რეხვიაშვილი

21 წლის. დაიბადა თბილისში. სტუდენტი. უცოლო. დახვრიტა ხუნტამ 1992 წლის 3 იანვარს მეტრო „დიდუბესთან“ გამართულ მიტინგზე.

გელა ხუციშვილი

დაიბადა ცხინვალის რაიონის სოფ. თამარაშენში. მონაწილეობდა კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერ მიტინგებში. 1992 წლის 3 იანვარს დახვრიტა ხუნტამ მეტრო „დიდუბესთან“ გამართულ მიტინგზე.

კახა არსენიძე

22 წლის. დაიბადა თბილისში. სტუდენტი. დახვრიტა ხუნტამ 1992 წლის 3 იანვარს მეტრო „დიდუბესთან“ გამართულ მიტინზე.

ლევან თაქთაქიშვილი

22 წლის. დაიბადა თბილისში. სტუდენტი. ცოლ-შვილიანი. დახვრიტა ხუნტამ 1992 წლის 3 იანვარს მეტრო „დიდუბესთან“ გამართულ მიტინგზე.

ტრისტან ცერაძე

70 წლის. დაიბადა თბილისში. ცოლ–შვილიანი. დახვრიტა ხუნტამ მეტრო „დიდუბესთან“ გამართულ მიტინგზე 1992 წლის 3 იანვარს.

ბესიკ ჟღენტი

ცოლ-შვილიანი. აბაშის რაიონის ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. აბაშის საკრებულოს დეპუტატი. 1992 წლის 3 იანვარს, მეტრო „დიდუბესთან“ სასიკვდილოდ დაჭრეს მკერდში, მას შემდეგ როცა ხუნტის ერთ-ერთ ჯალათს ის ავტომატი წაგლიჯა და განაიარაღა, რომლითაც მან ერთ-ერთი მომიტინგე დახვრიტა. ბესიკს, მეორე ჯალათმა ესროლა მკერდში. სასწრაფომ, მკერდში დაჭრილი ბესიკ ჟღენტი, ქალაქის მერვე საავადმყოფოში მიიყვანა (მასთან იყო და და დისშვილი) საავადმყოფოს მთლიანად „მხედრიონი“ აკონტროლებდა. დაჭრილ ზვიადისტებს საერთოდ ყურადღებას არ აქცევდნენ. ოჯახის წევრებმა, შუა ღამით, ჩუმად მიიყვანეს ექიმი, როგორც ვითომ ნათესავი და ასე დაუმუშავეს ჭრილობა და საავადმყოფოდან ღამით გააპარეს. მასზე მრავალჯერ მოხდა შეიარაღებული თავდასხმა.

ელვარდ ჭკადუა

აბაშის რაიონის მკვიდრი, ცოლ-შვილიანი. 1992 წლის თებერვალში, შინ მიმავალს, „მხედრიონელებმა“ მოსთხოვეს შეეგინებინა ზვიადისთვის. იგი სრულიად აპოლიტიკური იყო, მაგრამ გინება არ აკადრა ახალგაზრდა კაცმა პრეზიდენტს და იგი 18 ტყვიით დაცხრილეს.

ედუარდ ჭკადუა

ელვარდ ჭკადუას ძმა, რომელმაც ძმის დახვრეტის ამბავი ვერ აიტანა. მას გარდაცვლილი ჰყავდა შუათანა ძმაც. ედუარდიც ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერი იყო. ელვარდის მკვლელობიდან მალევე, გულის შეტევით გარდაიცვალა.

რამაზ ალანია

ორი მცირეწლოვანი შვილის მამა. დაიბადა აბაშის რაიონის სოფ. ნაესაკოვოში. მოკლეს „მხედრიონელებმა“ 1993 წლის ნოემბერში. მის სახლზე ნასროლი ჭურვის ნამსხვრევი მოხვდა თავში საკუთარ ეზოში მდგარს.

ზვიად ზარქუა

8 თვის. წალენჯიხის რაიონი. 1992 წლის ივლისში ზარქუების ოჯახში შევარდნილმა „მხედრიონელებმა“ ჩაცხრილეს აკვანში ზვიად გამსახურდიას მოსახელეობის გამო. გადაწვეს ზარქუების ორსართულიანი სახლი. *(ანალოგიური ულმობელი ქმედება ჩაიდინეს „მხედრიონელებმა“ სენაკის სამშობიაროში, როდესაც მშობიარე ახალგაზრდა ქალს ერთერთი მათგანი მუცელზე დაახტა — „კიდევ ზვიადი დაიბადებაო...“).*

ლალი მაისურაძე

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადი მდივანი წალენჯიხაში, სქურის ხეობაში მანქანით მიმავლი, ვეტმფრენიდან დამიზნებით ნასროლი ჭურვით მოკლეს „მხედრიონელებმა“ 1992 წლის 6 აპრილს, დაკრძალულია რაჭაში, სოფ. წედისში. გაავებული „მხედრიონელები“ მდკვდარსაც კი ეძებდნენო, ააწიოკეს და გაძარცვესო ის ოჯახი, სადაც პირველად დაასვენესო, „ბეტეერზე“ უპირებდნენოგამობმასპრეზიდენტისერთგულებისთვისო, მაგრამ ფეხზე დადგა მთელი წალენჯიხა და ამგვარად დაიცვეს მიცვალბულიო, წერდა გაზეთი „წალენჯიხის ზარები“ (N3, 15-30 აპრილი, 1993,თამრიკო კვარაცხელია).

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ლალი მაისურაძის ოჯახს,

დღემდე არ მქონდა საშუალება სამძიმრის წერილი მომეწვდინა თქვენთვის. ლალი მაისურაძე იყო საქართველოსთვის თავდადებული, პრეზიდენტის ერთგული ადამიანი, რაც მას არ აპატიეს ჩვენი ქვეყნის უბოროტესმა მტრებმა, რომელთაც არაერთი ქართული ოჯახი შემოსეს ძაძებით. ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, თქვენთან ერთად ვგლოვობ უდროოდ დაღუპულს! იგი საუკუნოდ დარჩება ჩვენი ხალხის ხსოვნაში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
1993 წ. 9 აპრილი.



წერილობით დოკუმენტზე ელიზბარ ჯაველიძის მინაწერი.

ავთანდილ ელიავა

40 წლის. ცოლ-შვილიანი. სენაკში გამართულ მიტინგზე გულში სროლით მოკლეს „მხედრიონელებმა" 1992 წელს.

კობა ცუცანაშვილი

დაიბადა კასპის რაიონში. ახმეტის ბატალიონის გვარდიელი. 1993 წლის ნოემბერში დახვრიტეს ზუგდიდში „მხედრიონელებმა".

გიორგი ბერულავა

დაბადებული 1957 წელს. მცხ. ჩხოროწყუს რაიონში. გამსახურდიას ქუჩა. შესახ. №21. მოკლეს 1992 წლის 10 თებერვალს ქ. ზუგდიდში.

იმ პერიოდში, რაიონის ცენტრში ყოველდღე იმართებოდა მიტინგები. სანამ მიტინგი დაიწყებოდა დილაობით ბიჭები ზუგდიდში მიდიოდნენ ინ-

ფორმაციის ჩამოსატანად.

იმ დღეს გიორგის დაბადების დღე იყო და ვეხვეწე არ წახვიდე—მეთქი. არ დაიშალა. მამამისის მანქანა გაიყვანა და წავიდა, თან ორი ამხანაგი წაუყვანია.

ზუგდიდის შესახვევთან დახვდნენ მხედრიონელები და ავტომატის სროლით უნიშნებიათ გააჩერეო. გიორგის შეშინებია მანქანას წამართმევენო და არ გააჩერა. მხედრიონელები სროლით გაკიდებიან. ბიჭებს უთქვიათ მანქანას თუ არა თავს მაინც ვუშველოთო, გიორგის მანქანა გაუჩერებია და სამივენი იქვე მიუცხრილავთ. ჩვიდმეტი ავტომატის ტყვია ჰქონდა ზურგში. ორი დაიჭრა. მხედრიონელებმა მანქანაც წაართვეს.

გიორგი ბერულავას დედა

აბო გულუა

დაბადებული 1942 წელს ჩაის ფაბრიკის მძღოლი. მცხოვრები ჩხოროწყუს რაიონი სოფ. ხაბუმეში. მოკლეს 1992 წლის 25 აპრილს.

აღდგომის წინა ღამეს მოვიდნენ გვთხოვდნენ ფულს, ოქროს, რაც ჩვენ არ გვქონდა. დაიარეს მთელი სახლი, ანგრევდნენ, ეძებდნენ, მაგრამ საკბილო ვერაფერი იპოვეს. შუბლზე ავტომატმიბჯენილი აიყვანეს სხვენზე ჩემი მეუღლე. იქაც რომ ვერაფერი იპოვეს ჩამოიყვანეს, გახადეს და ცოლ-შვილის თვალწინ სასტიკად სცემეს. ესეც არ აკმარეს. ახლა ჩემს ქალიშვილს დაადგეს თვალი. ერთ-ერთმა მაჯაზე მოკიდა ხელი და მიათრევდა. ჩემმა მეუღლემ ეს უკვე ვეღარ მოითმინა და შვილს გადაეფარა. პასუხიც აგებინეს, მოკლეს.

მათ ფორმა არ ეცვათ, მაგრამ მე ისინი ვიცანი. ერთ დღეს საავადმყოფოში ჩემი მორიგეობისას, ამ გვარდიელებმა მოიყვანეს ამხანაგი, „მუცელი ტკივა და დაეხმარეო“. მე ყველა მათგანს ვიცნობ სახეზე, ამიტომაც კვანტალიანმა მეორე დილითვე შეცვალა ბატალიონი. სასწრაფოდ გადააფრინეს ისინი თბილისში.

აბო გულუას მეუღლე — ც. გულუა.

მერაბ კვარაცხელია

31 წლის. წალენჯიხის რაიონი. უცოლო. 1992 წლის 16 ივლისს მერაბი ჯერ დააკავეს წალენჯიხის მილიციის განყოფილებაში თბილისიდან ჩასულმა მხედრიონელებმა და შემდგომ წამებით მოკლეს.

ნაწამები მერაბის გვამი მხედრიონელებმა წაიღეს და გადააგდეს

მდინარე ჭანისწყალში. მისი ესოდენი წამების მიზეზი გახდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი, რომელიც მხედრიონელებმა მას ჯიბეში აღმოუჩინეს. ქართველმა ფაშისტებმა მერაბს ამგვარი წამება არ აკმარეს. მდინარედან გამორიყული მისი გვამი ნაპირზე გადმოიტანეს, ბენზინი გადაასხეს და დაწვეს, რათა პატრონებს და წალენჯიხელებს არ შეეცნოთ იგი და ქალაქში გაავრცელეს ხმა რომ გვამი მათი გვარდიელისაა, რომელიც თვით წალენჯიხელებმა მოკლეს. მერაბის პატრონებმა, რომლებსაც მხოლოდ 8 დღის შემდგომ აჩვენეს დამწვარ— მატლებდასეული გვამი (24 ივლისს) ძლივს იცნეს ფეხსაცმლითა და შარვლის ნაგლეჯებით (მერაბის დის მონაყოლიდან).

ვახტანგ გოქსაძე

47 წლის. ცოლ-შვილიანი. თბილისი. მათემატიკის მასწავლებელი. 1992 წლის აგვისტოში ვახტანგ გოქსაძე კანონიერი პრეზიდენტის მომხრე თანამოაზრეებთან ერთად, როგორც დევნილი თავს აფარებდა ყვარლის ტყეს. ხუნტამ ჩვეული ფაშისტური ხერხებით შეძლო შეფიცულთა ტყიდან გამოყვანა და ზოგიერთი მათგანის ხელში ჩაგდება. მათ სასტიკად ცემეს და აწამეს პატიოსანი მოქალაქე და ნიჭიერი პედაგოგი ვახტანგ გოქსაძე. ამასთანავე საინფორმაციო საშუალებებით (ტელევიზია, გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 5 სექტემბერი, 1992 წ.) ქვეყანას ამცნეს, რომ თითქოს დაიჭირეს „სამშობლოს მოღალატე და ყაჩაღი“ ვახტანგ გოქსაძე. ამასთანავე მათ ხალხს აუწყეს, რომ იგი შეწყნარებულ იქნა მთავრობის მიერ და სახლში მშვიდობით გაუშვეს, როცა სინამდვილეში იგი მათ მიერ იმ დროისათვის უკვე ჯალათურად იყო მოკლული. ამ უტიფარი სატელევიზიო გადაცემის ავტორი გახლდათ სახელმწიფო ტელევიზიის ჟურნალისტი ზურაბ კვიტაშვილი.

მამუკა ზაურის ძე ტერიშვილი

მცხოვრები ქალაქ თბილისი, ნორიოს აღმართი №54–ბ. დაიბადა 1974 წლის 12 თებერვალს, მოკლეს 2 თებერვალს ცირკთან.

მეგობრის ნაამბობი: ვიდექით სულ წინა რიგში, როცა მივუახლოვდით ცირკს წინიდან გზა გადაგვილობა ავტობუსმა და სახანძრო მანქანამ. ჯერ წყალი მოგვასხეს, შემდეგ დაიწყეს სროლა წინიდან, შემდეგ კი ცირკის ფერდობებიდან — ავტომატებით, როცა მიტინგზე მივდიოდით მამუკას დედამ უთხრა: — ნუ წახვალ, შვილო, არ მოგკლანო! მამუკამ ღიმილით უპასუხა:

— დედა, შენ სამი შვილი გყავს, ერთი თუ შეეწირება საქართველოს და ზვიად გამსახურდიას, არა უშავსო! მას პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია უყვარდა, იმიტომ, რომ მასში ხედავდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ რაინდს. როცა სროლა ძალიან გახშირდა მამუკას ვუთხარი გავიქცეთ—მეთქი, მაგრამ მამუკა არ წამოვიდა. გადავედით მარცხენა მხარეს ტროტუარზე და ჩავჯექით. უცებ დავინახე, რომ მამუკა შეტორტმანდა და გვერდზე გადავარდა, რომ ვკითხე დაიჭერი-მეთქი? მან თავი დამიქნია — სიტყვა ვეღარ ამოთქვა. მას ტყვია გულში ჰქონდა მოხვედრილი და კისრის არეში. შემდეგ მამუკა წაიყვანეს №1 საავადმყოფოში, სადაც მიყვანამდე გარდაიცვალა. იქ იყვნენ ტელევიზიიდან — გრიგოლ ჩიგოგიძე და გადაუღეს. ოჯახში შენახული არის მისი სისხლიანი პერანგი. გამოძიებაში არ ჩართულა მილიცია, არ აღუძრავთ საქმე.

მიშიკო მგალობლიშვილი

სენაკის ქრონიკა

როდესაც თბილისში მოხდა სამხედრო გადატრიალება ქ. სენაკში მდგომარეობა დაიძაბა. დაიწყო მიტინგები. მომიტინგეები მოითხოვდნენ პრეზიდენტის დაბრუნებას. მეც პროტესტს ვუცხადებდი ხუნტას. ქალაქში შემოვიდა მხედრიონის დამსჯელი რაზმი, მათ ააოხრეს ქალაქი. დაბანაკდნენ ქალაქის ცენტრში და ყოველივე ღირსეშანიშნავი უცხო მტრისეული მძულვარებით გაანადგურეს. იარაღის ძალით არბევდნენ მიტინგებს. 13 მარტს მხედრიონმა და გვარდიამ დახვრიტა მიტინგი. ერთი ადამიანი მოკლეს და ხუთი დაჭრეს.

სენაკის მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა.

1992 წ. 6 აგვისტო

ლ. მ. მასწავლებელი.

***

მას შემდეგ, რაც დამხობილ იქნა ეროვნული მთავრობა, მხედრიონისა და გვარდიის ნაწილები თბილისიდან წამოვიდნენ დასავლეთ საქართველოს დასალაშქრად. მათ მოუძღოდათ ავაზაკი და რეციდივისტი ჯაბა იოსელიანი. იმ ავადსახსენებელი დღიდან, რაც მათ ფეხი დადგეს სენაკის რაიონის ტერიტორიაზე, მოქალაქეებს გაუქრათ ძილი, ყოველ ღამე ტეხდნენ უაზრო სროლებს, ყაჩაღური თავდასხმები მშვიდობიან მოსახლეობაზე, ძარცვა–გლეჯა, ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა ყოველდღიურ მოვლენებად იქცა. ადგილი ჰქონდა მიტინგების დარბევას

შეიარაღებული ძალებით.

ე. წ. „კომენდანტის საათის“ დროს მათ მოკლეს ახალგაზრდა კაცი – **ხვიჩა ცაავა**.

13 მარტს სენაკში თავისუფლების მოედანზე უნდა ჩატარებულიყო პრეზიდენტის მხარდამჭერი მიტინგი. მოქალაქეებმა თავი მოიყარეს ქალაქის ცენტრში. მოულოდნელად ჩამოდგა ორი უნგრული წარმოების ავტობუსი. ავტობუსიდან გადმოვიდნენ შეიარაღებული ჯარისკაცები და ატეხეს უმისამართო სროლები. ხალხის ნაწილი გაიქცა, ნაწილი კი შიშველი ხელებით ავტობუსთან მიეჭრნენ ჯარისკაცებს. შეიარაღებულებმა დაჭრეს ოთხი მოქალაქე და მოკლეს ერთი. მე პირადად თავი შევაფარე ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ სახლს. ვნახე, თუ როგორ სასტიკად სცემეს **დოდო ჩუღიავას**, მრავალშვილიანი დედას.

მოქალაქე ღ. დ.

პაატა სულხანიშვილი

დაიბადა 1960 წლის 2 ოქტომბერს, კბილის ტექნიკი. 1978–80 წელს მსახურობდა არმიაში. არ ყოფილა კომკავშირის წევრი, მოკლეს ნატახტართან 1992 წ. 6 იანვარს. ჰყავდა მეუღლე და ორი მცირეწლოვანი ბავშვი.

დედის მონათხრობი: 5 იანვარს გამოუარეს „იმედის“ წევრებმა და მოტყუებით წაიყვანეს ნატახტარში, ვითომ პურის საჭმელად. ის და მისი ამხანაგი უიარაღო იყვნენ. როგორც ჩანს „იმედის“ წევრებს დავალებული ჰქონდათ გზებზე კონტროლი და პრეზიდენტის მხარდამჭერი გვარდიელებისათვის იარაღის აყრა. იმ საღამოს სახლში არ მოსულა. მეორე დღეს, როცა პრეზიდენტმა დატოვა მთავრობის სახლი, მისი დამცველი გვარდიელები გაათავისუფლა (ზუგდიდის ბატალიონი და ისინი დასავლეთ საქართველოში ბრუნდებოდნენ. ზუგდიდის ეს ბატალიონი, რომლებიც ორი დიდი კამაზით მიდიოდნენ, მილიციელებს დაუსხლტნენ და შემდეგ წინ ნათაძის შეიარაღებული ბიჭები გადაუდგნენ. არ ვიცი პირველად ვინ დაიწყო სროლა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ისინი თავის გზით მიდიოდნენ დასავლეთში და ნათაძის ბიჭებმა მოინდომეს მათი დაკავება. ამ შეტაკების დროს დაღუპულა ჩემი შვილი და დაჭრილა მისი ამხანაგი, რომელიც საშინელი ხეიბარი დარჩა. ესენი ორივენი უიარაღოდ იყვნენ. როგორც ჩანს პაატა და მისი ამხანაგი შეეწინააღმდეგნენ ნათაძის ბანდიტებს, რადგანაც სროლა აუტეხეს გზაზე მიმავალთ. პაატას ტყვია უკან კეფაში აქვს მოხვედრილი და წინ გამოსული. ე. ი. ზურგიდან არის ნასროლი. ნოდარ ნათაძის შეიარაღებულმა „იმედელებმა“ მოკლეს ჩემი

შვილი. ჩემს შვილს იარაღი არასოდეს ხელში არ აუღია, მას მხოლოდ სამედიცინო საქმე ეხებოდა. უფროსი ლეიტენატი იყო მედიცინის დარგში. ნათაძის გარეწრებს შემდეგ „ბეტეერი“ შეუერთდათ და უკანა კამაზი თითქმის მთლიანად ამოხოცესო, ეს გახმაურებული ამბავია, ნატახტართან ერთი ავტობუსი ზუგდიდელები დახოცესო, რომ ითქვა.

ტიტე დგებუაძე

დაბადებული 1954 წელს. მცხ. ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. ლესეჭინე. მოკლეს 1992 წლის 15 აპრილს ქ. ზუგდიდში.

არ მახსოვს მერამდენე შემოსვლა იყო მხედრიონისა სამეგრელოში. შემოიყვანეს უზარმაზარი ტექნიკა უიარაღო მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ზუგდიდში მაინც იმართებოდა მრავალათასიანი მიტინგები პრეზიდენტის მხარდასაჭერად, რაც ყოველთვის დარბევით მთავრდებოდა.

იმ დღეს მიტინგის შემდეგ მე სოფელში დავბრუნდი ჩემს თანასოფლელებთან ერთად. ჩემი ძმა, ტიტე კი დარჩა ზუგდიდში, ახლობლის ოჯახში, რათა მეორე დღესაც დასწრებოდა მიტინგს. როგორც შემდეგ მიამბეს, ღამის სამ საათზე, სახლს მიადგა „ბეტეერი“ შეიარაღებული გვარდიელებით. სროლით შემოვარდნენ. დალეწეს ფანჯრები, დაარბიეს სახლი, სასტიკად ცემეს ოჯახის უფროსი. ჩემს ძმას უყვირია, რატომ გვარბევთ, რა დაგიშავეთო. ამის შემდეგ საწყალი ტიტესათვის მოუცლიათ: ჯერ ენა ამოაჭრეს, ეს ხმის ამოღებისთვისო, შემდეგ ავტომატის ჯერი ჩასთხარეს პირში, ესეც მეგრელობისთვისაო.

შემდეგში როგორც გავიგეთ, თურმე იმ ღამეს პრეზიდენტის მომხრეთა სიები დაჰქონდათ და ასე დააწიოკეს მრავალი ოჯახი.

ტიტე დგებუაძის ძმა ვ. დგებუაძე.

მიხეილ ფოლადაშვილი

50 წლის. დაიბადა თბილისში. ცოლ-შვილიანი. წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი. სასიკდვილოდ დაჭრა ხუნტამ 1992 წლის 3 იანვარს მეტრო „დიდუბესთან“ გამართულ მიტინგის დროს. გარდაიცვალა 11 იანვარს ქალაქის №9 საავადმყოფოში.

ბაადურ მჭედლიშვილი

55 წლის. დაიბადა თბილისში. ცოლ–შვილიანი. არქეოლოგი. დახვრიტა ხუნტამ 1992 წლის 7 იანვარს მეტრო „დელისთან“ გამართულ მიტინგზე.

ტარიელ ხერკელაძე

41 წლის. დახვრიტა ხუნტამ 1992 წლის 2 თებერვალს გამართული მანიფესტაციის დროს ცირკთან.

ალეკო დავარაშვილი

დახვრიტა ხუნტამ 1992 წლის 2 თებერვალს გამართული მანიფესტაციის დროს ცირკთან.

ზურაბ დიდებაშვილი

17 წლის. დაიბადა თბილისში. დახვრიტა ხუნტამ 1992 წლის 2 თებერვალს გამართულ მანიფესტაციის დროს ცირკთან.

ზურაბ ჯავახიშვილი

15 წლის. დაიბადა თბილისში. დახვრიტა ხუნტამ 1992 წლის 2 თებერვალს გამართულ მანიფესტაციის დროს ცირკთან.

იური ტალახაძე

42 წლის. დაიბადა თბილისში. ცოლ–შვილიანი. დახვრიტა ხუნტამ 1992 წლის 2 თებერვალს გამართული მანიფესტაციის დროს მარჯანიშვილის ქუჩაზე.

იმედა ჭანტურიძე

17 წლის. სტუდენტი. დაიბადა თბილისში. დახვრიტა ხუნტამ 1992 წლის 2 თებერვალს გამართულ მანიფესტაციის დროს მარჯანიშვილის ქუჩაზე. გარდაიცვალა №7 საავადმყოფოში 3 თებერვალს.

გოდერძი ჯოჯიშვილი გიორგის ძე

25 წლის ცოლ-შვილიანი, ყავს ერთი შვილი

ცხოვრობს თბილისი, ივანიძის ქ. №12

დაიჭრა 2 თებერვალს მიტინგის მსვლელობის დროს. ტყვია მოხვდა ბეჭში. დაზიანებული აქვს მარჯვენა ხელი, ტყვია მოხვდა და შემდეგ გამოვიდა მარჯვენა ლოყაზე, ხელზე დაზიანებული აქვს ცენტრალური ნერვი და არც აღსდგება.

დღეს არის ინვალიდი.

მიმოზა ჯანაშია-შელია

დაიბადა 1948 წელს 17 ივნისს ზუგდიდის სოფ. ცაიშში. 1992 წლის 9 თებერვალს „მხედრიონელები" თავს დაესხნენ ზაურ შელიას ოჯახს. მიმოზა ჯანაშია – შელიამ სცადა მეუღლის- ზაურის დაცვა ბანდიტებისაგან, რის გამოც მიმოზა დაცხრილეს, ხოლო თავად ზაური კი დაჭრეს. ოჯახი გაძარცვეს.

რობერტ (მამუკა) ზაურის ძე რატია

დაიბადა 1963 წელს ზუგდიდის სოფ. ოქტომბერში. მასწავლებელი. ეროვნულ მოძრაობაში ჩაება 1989 წლის 9 აპრილიდან. მოკლა ხუნტამ 1993 წლის 4 მარტს ზუგდიში „მხედრიონელებმა".

სიმონ (გია) შოთას ძე კინწურაშვილი

დაიბადა 1957 წელს ზუგდიდის სოფ. ოქტომბერში. მათემატიკოსი. იყო სოფ. ოქტომბრის სკოლის დირექტორი. ეროვნულ მოძრაობაში ჩაება 1989 წლის 9 აპრილიდან. დეკემბერ-იანვარში იცავდა მთავრობის სასახლეს. 1993 წლის 4 მარტს მოკლეს ზუგდიდში „მხედრიონელებმა".

თენგიზ (კიროკი) ბულია

დაიბადა 1956 წელს ქ. ზუგდიდში. მონაწილეობდა სამეგრელოს აჯანყებებშიხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ. 1993 წლის 4 ნოემბერს მოკლეს წამებით კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლაში.

დავით არჩილის ძე ლოლაძე

დაიბადა 1966 წელს თბილისში. უცოლო. მონაწილეობდა ხუნტის წინააღმდეგ მიმართულ „ყვარლის ტყის“ აჯანყებაში, რისთვისაც დააპატიმრეს და მიუსაჯეს 10 წელი. ციხეში წამების შედეგად დაავადდა. გარდაიცვალა 1997 წ. 13 ივნისს.

რეზო მიქიაშვილი

42 წლის. დაიბადა თბილისში. ინჟინერი. მოკლა ხუნტამ 1991 წლის 26 დეკემბერს თავდაცვის სამინისტროსთან.

სერგო ბაიდაშვილი

36 წლის. ცოლ–შვილიანი. მეხანძრე. დაიბადა თბილისში. მოკლა ხუნტამ 1991 წლის 27 დეკემბერს უშიშროების შენობასთან სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს.

თენგიზ ქაჯაია

28 წლის. უცოლო. ხობის რაიონის ჰელსინკის კავშირის წევრი. დეკემბერ-იანვარში იცავდა მთავრობის სასახლეს. მოკლეს 1991 წლის 27 დეკემბერს მთავრობის სასახლესთან. შვილის დაღუპვას ვერ გაუძლო მამის გულმა და მალე ისიც ინფარქტით გარდაიცვალა.

ვახტანგ ამირეჯიბი

27 წლის. დაიბადა თბილისში. ცოლ–შვილიანი. გეოგრაფ–გეოლოგი. დეკემბერ-იანვარში იმყოფებოდა მთავრობის სასახლეში დედამისთან – გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ რედაქტორ ია ბაგრატიონ–მუხრანელთან ერთად, სადაც დაიღუპა 1991 წლის 29 დეკემბერს.

გია შალიკაშვილი

27 წლის. ცოლ-შვილიანი. დაიბადა ლანჩხუთის რაიონში. დეკემბერ–იანვარში იცავდა მთავრობის სასახლეს. მოკლეს 1991 წლის 29 დეკემბერს.

მალხაზ ხურცილავა

დაიბადა 1963 წელს ქ. ზუგდიდში. დეკემბერ–იანვარში იცავდა მთავრობის სასახლეს. მოკლეს 1991 წლის 22 დეკემბერს.

გიორგი ტეტელაშვილი

29 წლის. დაიბადა თბილისში. ცოლ–შვილიანი. ინჟინერი. წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი. მოკლეს შეიარაღებულმა ოპოზიციონერებმა მთავრობის სახლთან 1991 წლის 5 ოქტომბერს.

ბადრი ყავლაშვილი

23 წლის. სპორტსმენი. დაიბადა თბილისში. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი. მოკლეს შეიარაღებულმა ოპოზიციონერებმა დიდუბეში „თელასზე“ განხორციელებული თავდასხმის დროს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას.

მამუკა ბუთიაშვილი

25 წლის. დაიბადა თბილისში. 1992 წლის მაისში მთვრალმა ხუნტის გვარდიელებმა დანით აკუწეს. მასთან ერთად დაჭრეს მამუკას ცოლის ძმა და კიდევ 4 ბიჭი.

თამაზ ტაბიძე

18 წლის. დაიბადა თბილისში. სტუდენტი. 1992 წლის 16 აპრილს მეტრო „მარჯანიშვილთან“ მოკლა მთვრალმა ხუნტის გვარდიელმა. გარდაიცვალა №7 საავადმყოფოში.

ნათელა დავითის ასული თოდრია–ანთელავა

მოკლეს ზუგდიდში ხუნტის ბანდ–ფორმირებებმა.

ვლადიმერ იაშვილი

49 წლის. დაიბადა თბილისში. ცოლ–შვილიანი. მოკლა ხუნტამ ოპერის თეატრთან 1991 წლის 22 დეკემბერს.

ზურაბ ბენდელიანი

42 წლის. დაიბადა ლენტეხის რაიონში. ცოლ–შვილვიანი. 1991 წლის 22 დეკემბერს მოკლა ვაჟა ადამიას შეიარაღებულმა რაზმმა სახელმწიფო მუზეუმის წინ.

სერიოჟა კალანდია

45 წლის. დაიბადა მარტვილში. ცოლ-შვილიანი. პედაგოგი. დეკემ-ბერ-იანვარში იცავდა მთავრობის სახლს. მოკლეს 1991 წლის 22 დეკემ-ბერს მთავრობის სახლთლან.

არკადი მარკოზია

61 წლის. ცოლ-შვილიანი. ცხუმ-აფხაზეთის წმ. ილია მართლის საზო-გადოების სპიკერი. უზენაესი საბჭოს დეპუტატი. მოკლეს 1991 წლის 22 დეკემბერს მთავრობის სახლთან ვაჟა ადამიას შეიარაღებულმა რაზმებმა.

არჩილ რამიშვილი

45 წლის. დაიბადა თბილისში. ცოლ-შვილიანი. წმ. ილია მართლის გამ-გეობის წევრი. მოკლა ქაშუეთის ეკლესიიდან ნასროლმა რაკეტამ მთავ-რობის სახლის წინ 1991 წლის 22 დეკემბერს.

აველინა პერტია

34 წლის. გაუთხოვარი. წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი. ეკონომისტი. მოკლა ქაშუეთის ეკლესიიდან ნასროლმა რაკეტამ მთავ-რობის სახლის წინ 1991 წლის 22 დეკემბერს.

მამუკა ნიკოლეიშვილი

39 წლის. უცოლო. იბრძოდა ავღანეთში. დაიბადა რუსთავში. მოკლეს 1991 წლის 25 დეკემბერს თავდაცვის სამინისტროსთან პუტჩისტებმა.

ლაშა ცინდელიანი

26 წლის. იურისტი. ცოლ-შვილიანი. დაიბადა თბილისში. მოკლეს მთავრობის სახლთან 1991 წლის 25 დეკემბერს.

გურამ მჭედლიშვილი

39 წლის. ცოლ-შვილიანი. დაიბადა თბილისში. მოკლა ხუნტამ ძნელაძის ქუჩაზე საკუთარ მანქანაში 1991 წლის 26 დეკემბერს. გარდაცვლილი მიიყვანეს ქალაქის მე-9 საავადმყოფოში.

კოტე კაპანაძე

44 წლის იყო. მოკლა ხუნტამ სამხატვრო აკადემიის წინ საკუთარ მანქანაში. გარდაცვლილი მიიყვანეს ქალაქის №1 საავადმყოფში.

დათო ხელაშვილი

30 წლის. ცოლ-შვილიანი. დაიბადა თბილისში. მილიციელი. მოკლეს 1991 წლის 26 დეკემბერს მთავრობის სასახლესთან. იყო წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი.

გიორგი კარაპეტიანი

68 წლის. ცოლ-შვილიანი. დაიბადა თბილისში. ინჟინერი. კანონიერი ხელისუფლების მომხრე. სამსახურში მიმავალი მოკლა ხუნტამ რუსთაველის პროსპექტზე, 1991 წლის 26 დეკემბერს.

ნიკოლოზ სიდამონიძე

65 წლის. დაიბადა თბილისში. ცოლ–შვილიანი. ჩაცხრილა ხუნტამ საკუთარ მანქანაში სამსახურში მიმავალი 1991 წლის 31 დეკემბერს აბანოთუბანში.

პაატა შარაშენიძე

20 წლის. უცოლო. დაიბადა თბილისში. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი. სასიკვდილოდ დაჭრა კიტოვანის გვარდიელებმა ჭონქაძის ქუჩაზე იარაღის წართმევის მიზნით 1991 წლის 31 დეკემბერს. დაჭრილი იმავე დღეს გარდაიცვალა შინაგან საქმეთა სამინისტროს საავადმყოფოში.

ბესიკ ფიცხელაური

30 წლის. დაიბადა თბილისში. ცოლ–შვილიანი. დახვრიტა ხუნტამ 1992 წლის 2 იანვარს მთავრობის სახლთან.

ირაკლი ჟვანია

დაიბადა 1933 წელს ზუგდიდში. მოკლეს მთავრობის სასახლესთან 1991 წლის 22 დეკემბერს.

ანზორ (მიტროფანე) ერმინეს ძე შენგელია

დაიბადა 1954 წელს 18 აპრილს ზუგდიდის სოფ. კოკში. 1980 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. დეკემბერ–იანვარში იცავდა კანონიერ ხელისუფლებას თბილისში. მოკლეს 1991 წლის 27 დეკემბერს.

ნუგზარ ღვინიაშვილი

19 წლის. მუსიკოსი. დაიბადა თბილისში. ხუნტამ სასიკვდილოდ დაჭრა 1992 წლის 6 იანვარს. გარდაიცვალა რესპუბლიკურ საავადმყოფოში 1992 წლის 23 მარტს. მას მოხვედრილი ჰქონდა 4 ტყვია თავის არეში, 4 გულმკერდში, ერთი წელის არეში და ერთიც ტერფში.

თამაზ კაკულია

36 წლის. დაიბადა ქ. ფოთში. ცოლ-შვილიანი. პედაგოგი. დეკემბერ–იანვარში იცავდა მთავრობის სასახლეს. 1992 წლის 6 იანვარს ჩაცხრილა გოგა ხაინდრავას „დევიატკამ“ ავტობუსში მეტეხთან.

გოგი (გიორგი) გაბროშვილი

38 წლის. დაიბადა გორში. ცოლ–შვილიანი. მილიციის მაიორი. დეკემბერ-იანვარში იცავდა მთავრობის სასახლეს. ჩაცხრილა გოგა ხაინდრავას „დევიატკამ“ 1992 წლის 6 იანვარს ავტობუსში მეტეხთან. იყო წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი.

ედუარდ ველოდის ძე წიფურია

დაიბადა 1976 წლის 8 ნოემბერს. სკოლა დაამთავრა 1993 წელს. მოკლეს 10 ოქტომბერს ფოთში.

ქეთევან ჯერვალიძე – ბადრი გუგუშვილი დიდი ადამიანი, ბუმბერაზი კაცი იყო!

ნიჭიერი პოეტი ბადრი გუგუშვილი კანონიერი ეროვნული ხელისუფლების მომხრე-მხარდამჭერი იყო, ჩემი ოჯახის მეგობარი თავის ოჯახთან ერთად. ერთხელაც, რუსთაველზე, „დემოკრატიისთვის“ მებრძოლმა მწერლუკებმა დახლები რომ გამართეს „მერანის“ წინ, გამოიარა ბადრიმ და თავისი ბუბუნა ხმით უთხრა: გეთქვათ, წიგნებით ვაჭრობა რომ გეწადათ და ჩვენი პრეზიდენტი ამის უფლებას ნამდვილად მოგცემდათ, ამისთვის აკაკანებდით ავტომატებსო? იმ მწერლუკებში იყო ომარ თურმანაულიც, რომელმაც „დემოკრატია რომ დაამყარა“, საფრანგეთში მოუსვა და დღემდე იქ არის. უნდა გენახათ იმ ბანდიტების ბოღმით გადაგლესილი სახეები, ბადრი კი იღიმებოდა ისე, როგორც ამ სურათშია. ამის მე თვითონ ვარ შემსწრე...

თმახუჭუჭა, ახალგაზრდა პოეტმა ბადრი გუგუშვილმა, ეროვნული ხელისუფლების დამხობის გამო ხანგრძლივ დეპრესიას ვერ გაუძლო და რამოდენიმე წლის მერმე თავი ჩამოიხრჩო, უნუგეშოდ დატოვა ცოლ-შვილი...

თვითმკვლელის რობაი

(ბადრი გუგუშვილის შესანდობარი)

სიკეთის მცველი, ბოროტებას უტევდი შუბლით,
წითელ პარასკევს, მეგობარო, განასკვე ყულფი...
იქნება, წამით ჩაგისახლდა სულში იუდა? –
ყველას მაგიერ მოიცილე გამცემი უფლის...

ელგუჯა მებონია, 06.12.2015 წ. თბილისი.

ალექსანდრა გაბუნია

გიზო ხატიაშვილი – GIZO KHATIASHVILI
მარადისობის გაელვება

„არ ისროლო, ბიჭო, ქართველი არა ხარ?! არ ისროლო!“ – ამ სიტყვებს მხატვარი გიზო ხატიაშვილი რამდენჯერმე გაიმეორებს: პირველად – 1992 წლის 3 იანვარს თბილისში, დიდუბის მეტროსთან, მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეთა დარბევის დროს, შემდეგ კი – აგონიაში, თავის არეში მძიმედ დაჭრილი და საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში სიკვდილთან მებრძოლი...

მან 35 დღე იცოცხლა, 1992 წლის 8 თებერვალს კი 29 წლისა გარდაიცვალა.

მხატვარ გიზო ხატიაშვილის ცხოვრების საათი მაშინ გაჩერდა, როდესაც ჩვენი ქალაქი ომმა მოიცვა, ნათესავი ნათესავს გადაემტერა, მეზობლები ერთმანეთს წაეკიდნენ... თითქოს დავიწყებოდათ, რომ სიცოცხლე ხანმოკლეა და, როგორც ადამიანებს, ერთმანეთის მოფრთხილებაც ავალიათ. ეგებ, პირიქითაც ხდებოდა: ურთიერთსოლიდარობა ამოძრავებდათ და ძნელბედობის ჟამს, ვისაც რით შეეძლო, იმით ეხმარებოდა მეორეს. თუმცა, ალბათ, პასუხისგებლობის გრძნობაც მაშინ გაგვიჩნდება, როდესაც წარსულის – ამ შემთხვევაში კი, საქართველოს უახლესი ისტორიის – გახსენებას უფრო მეტ დროს დავუთმობთ, მეტს ვიფიქრებთ მასზე, დაწვრილებით გავაანალიზებთ მას. და იქნებ, ჩვენი გმირის 1992 წლის 8 თებერვალს გაჩერებული ცხოვრების საათის შემყურეთ, უფრო იოლად მოვახერხოთ თანაგრძნობისა და ურთიერთსიყვარულის გათავისება, იმის შეგნება, რომ, როცა სამშობლოს უჭირს, ჩვენც

მასთან ერთად გვიჭირდეს...

მხატვარი გიზო ხატიაშვილი 1962 წლის 22 აგვისტოს დაიბადა ქალაქ სენაკში. დაამთავრა თბილისის 1 საშუალო სკოლა. სწავლობდა იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებლის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე და, იმავდროულად, მუსიკალური სასწავლებლის სიმებიან საკრავთა განყოფილების სტუდენტი იყო. 1981-1985 წწ. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (ყოფილი პოლიტექნიკური ინსტიტუტი) არქიტექტურას ეუფლებოდა, 1985 წლიდან კი, გარდაცვალებამდე, მოსე თოიძის სამხატვრო სასწავლებელში ფერწერას ასწავლიდა. გიზომ ორი პერსონალური გამოფენა გამართა: პირველი – 1991 წელს, „ხიბლის“ საგამოფენო დარბაზში, მეორე კი – გარდაცვალების შემდეგ, 1993 წელს, საქართველოს არქიტექტურის ინსტიტუტის საგამოფენო დარბაზში. იგი ჯგუფურ გამოფენებშიც მონაწილეობდა.

90-ანელ ქართველ მხატვრებს სამოქალაქო ომის დროს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში უწევდათ მუშაობა. ნაცრისფერ-სევდიანი განწყობა სდევს ამ თაობის შემოქმედებას.

90-ანი წლების ქართული ხელოვნება კალენდარულ დეკადაზე უფრო ადრე დამთავრდა: მისგან არაფერი დარჩა, გარდა მონაწილეთა და თანამონაწილეთა მოგონებებისა...

მხატვრის ბოლო ნამუშევარი „უსათაურო“ – ავტოპორტრეტია: მხატვრისათვის ჩვეული აბსტრაჰირებული, რენესანსული ლანდშაფტის ფონზე, ჭაბუკურ პროფილთან ერთად, ხანდაზმული პერსონაჟის სახეც გვხვდება. ტაშიზმისთვის ნიშანდობლივი სისხლისფერი ფერადოვანი ლაქით მხატვარმა ტრაგიკული რეალობის ხატი კი არ შექმნა, არამედ საკუთარი არაცნობიერი აქტივობა წარმოაჩინა, ბედისწერა იწინასწარმეტყველა, ტრაგედია აღწერა... ეს ნამუშევარი ამდენი ხნის შემდეგაც კი თანაგანცდით გვავსებს და გვაბრუნებს მის მხატვრობასა და ცხოვრებასთან...



მას ყარყარაშვილმა და მისმა შეიარაღებულმა ხროვამ ესროლა ისინი გენოფონდს ანადგურებდნენ

მხატვარ-მუსიკოსი, 29 წლის გიზო ხატიაშვილი, 1992 წლის 3 იანვარს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერ მრავალათასიანი მიტინგის მონაწილე იყო. მეტრო დიდუბესთან შეკრებილ მომიტინგეებს მოულოდნელად და დამიზნებით ავტომატებიდან გაუხსნეს ცეცხლი ყარყარაშვილ-კიტოვან-იოსელიანის ხუნტამ, რომლებმაც მიზანში რჩეული ახალგაზრდა ვაჟკაცები ამოიღეს. დაიჭრა ოცამდე მომიტინგე, ადგილზე დაიხვრიტნენ:

ლევან თაქთაქიშვილი, 22 წლის, სტუდენტი, გივი რეხვიაშვილი, 21 წლის, სტუდენტი, კახა არსენიძე, 21 წლის, სტუდენტი, ტრისტან ცერაძე, 50 წლის.

ხოლო თვალში სასიკვდილოდ დაიჭრა 29 წლის გიზო ხატიაშვილი და იგი 8 თებერვალს, რკინიგზის საავადმყოფოში გარდაიცვალა. "საცოლე ჰყავდა და გაზაფხულზე დასაქორწინებლად ემზადებოდა, ასე შემიცვალეს ქორწილისთვის შეკერილი ახალი კაბა ძაძებითო", გვითხრა ქალბატონმა თინამ და ცრემლები ვერ შეიკავა. "ჩემი შვილი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახით საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას იცავდა. იგი მხატვარ-მუსიკოსი იყო. შესანიშნავად უკრავდა ჩელოზე. სულშეძრული იყო ქართველთა შორის შეიარაღებული დაპირისპირებით. იარაღი როგორ ავიღო ხელში, ვის ვესროლო, ისევ ჩემს ქართველსო? გულმოკლული გვეუბნებოდა", საუბარში ჩაგვერთო გიზოს მამა ბატონი უშანგიც. "იგი მშვიდობიანი, უბრალო მომიტინგე იყო, როგორც სხვა ათასობით ადამიანი, რომლებსაც ხუნტამ სროლა აუტეხა. დედა მე აუცილებლად გადავრჩები, ჩემს პროფესიულ საქმიანობასაც გავაგრძელებ, ცოლსაც მოვიყვან და ერსაც გავამრავლებო!"

გვაიმედებდა მძიმედ დაჭრილი.

გიზო ხატიაშვილი თბილისის ცენტრში, გრიბოედოვის 13-ში ხუთოთახიან ბინაში ცხოვრობდა, რომელიც საკუთარი ხელით და გემოვნებით

მოუწყვია. ეკონომიურად არ უჭირდათ. "ეროვნულ გვარდიას 3 000 მანეთი გადავურიცხეთ" გვითხრა დედამისმა „ვაითუ, ჩემი გადარიცხული ფულით შეძენილი იარაღით დამიხვრიტეს ჩემი ერთადერთი ვაჟი ყარყარაშვილ-კიტოვან-იოსელიანმაო", გულდათუთქულს დღესაც არ ასვენებს მწარე ფიქრი.

კედლებზე ზეთში, გრაფიკასა და აქვარელში შესრულებული გიზოს ნახატებია გამოფენილი, ძირითადად ნატურმორტები და... თვალები. დიახ, გიზოს მრავალ ნახატზე ცალი, ისიც მარცხენა თვალია გამოსახული. სწორედ ის მარცხენა თვალი, რომელშიც ნასროლი ტყვია, მისთვის ასე საბედისწერო აღმოჩნდა.

დღეს, ინვალიდის ეტლში მჯდომი გია ყარყარაშვილი თავის "პატრიოტულ წარსულს" ახსენებს საზოგადოებას, რითაც ფასეულობების დევალვაციასა და ერის თვალში ნაცრის შეყრას ცდილობს. ფასეულობების ამგვარი უტიფარი აღრევის მცდელობა მანამ გაგრძელდება, სანამ პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება არ მიეცემა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებას, რაც თავის ადგილს მიუჩენს ყველას და სახელმწიფო დამნაშავეები, არამცთუ „სამხედრო ექსპერტებად" თუ პატრიოტებად მოგვევლინებიან, არამედ, იქნებ შინიდანაც ვეღარ გამოჰყონ თავი.

ლეილა ცომაია (ფსევდონიმი — ქეთევან ჭანტურია)
გაზეთი „განმათავისუფლებელი" №20, 2009 წ.

ვარაზ ვარაზაშვილი — სათნო, მოკრძალებული, საკუთარი სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტი, მერაბ კოსტავასავით, 26 მაისს მოევლინა ქვეყნიერებას. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მისთვისაც, როგორც ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის, იმპერიალისტური მონობის უღლისაგან ერისა და ქვეყნის გათავისუფლების პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზი იყო და ამადაც, მთელი არსებით ჩაება ამ იდეურ მოძრაობაში. პატრიოტული სულისკვეთებით გაწევრიანდა მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მიერ დაარსებულ «წმინდა ილია მართლის საზოგადოებაში» და გვერდიდან არ მოსცილებია ღირსეულ ლიდერებს. ვარაზ ვარაზაშვილს, არც მაშინ დაუზოგავს საკუთარი სიცოცხლე, როდესაც იმპერიალისტურმა რუსეთმა სამხედრო ინტერვენცია განახორციელა სუვერენული ქვეყნისა და 87%-ით არჩეული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ვარაზ ვარაზაშვილს ხელში, თუმცა იარაღი

არ აუღია, მაგრამ თავისუფლებისა და დემოკრატიული ფასეულობების დასაცავად გულანთებული შევიდა ინტერვენციის ეპიცენტრად ქცეულ უზენაეს საბჭოში და შიშველი ხელებით დადგა ეროვნული დამცველების გვერდით, ეხმარებოდა და ამხნევებდა დაჭრილებს, ყოველი მათგანის მზრუნველი ჭირისუფალი იყო.

1991 წლის 22 დეკემბერს, ვარაზ ვარაზაშვილი, უზენაესი საბჭოს შენობის გარეთ, სასტუმრო «თბილისთან», დაჭრილების გამოსაყვანად გამოვიდა და მოღალატე ქართველის ტყვიამ მასაც უწია (ვაჟა ადამიას შეიარაღებულმა მებრძოლებმა ესროლეს) და გულის პერანგი გაურღვია.

ვარაზ ვარაზაშვილის სპეტაკი სული, ნიშანდობლივ — 33 წლის ასაკში, მტკნარი ღიმილით განეშორა სხეულს.

ქართვლის დედა – კლარა შედანია...

დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების დროს უამრავი მართალი და ღირსეული მამულიშვილი შეეწირა მკვლელების ხროვას. დაკრძალვებს ვერ ავუდიოდით. ერთ-ერთი მათგანი იყო ვარაზ ვარაზიშვილი, რომელსაც პირველსავე დღეს გასროლილი ტყვია დაახალეს შუბლში. ვარაზის დედა, ქალბატონი კლარა შედანია იმ დროს მთავრობის სახლში დაჭრილებს ევლებოდა თავს, ის ექიმი გახლდათ, მისი ძე კი „მორგში“ ესვენა... ამ დროს მას ასეთი ფრაზა წამოსცდა, ჯერ კიდევ შვილის სიკვდილის არმცოდნე კლარას: დაგვიდგა დედებს ის დრო, როდესაც სამშობლოს შვილები უნდა შევწიროთო. ამის გამგონეს სისხლი გამეყინა, არც ჩვენ ვიცოდით თუ სად იყო იმ დროს ვარაზი. ეს უბედურება მესამე დღეს უნივერსიტეტთან გავიგეთ. ქვად და რკინად იქცა დეიდა კლარა, წელში გამართულმა გაარღვია ხალხის ჯგუფი... ცოცხლად დარჩენილები სირცხვილით ვერ ვბედავდით სამძიმარზე მისვლას... ვისაც იმ დღეების შვილმკვდარი კლარა შედანია ახსოვს, ყველა დამეთანხმება, რომ არ არის მოგონილი მითი ცხრა ძმა ხერხეულიძეების დედის ამბავი... კლარა დეიდა ქართვლის დედა გახდა, იგი არ ტიროდა, არ მოსთქვამდა, არამედ საზრიანად ესაუბრებოდა სასახლეში ჩასვენებულ შვილს. ტყვიას კი ვარაზის ვაჟკაცური სახისთვის ვერაფერი დაეკლო, მართლაც ღიმილმჩენი იყო...

ყოველ საღამოს კლარა დეიდა ატყობინებდა ვარაზს მთავრობის სა-

სახლის ამბებს და თან აიმედებდა, რომ საქართველო გაიმარჯვებდა...

დასაფლავებაც უჩვეულო იყო, სალ კლდედ იქცა შვილმკვდარი დედა... კლარა შედანიამ დაიჭირა ის ადგილი ეროვნულ მოძრაობაში, სადაც მისი შვილი იდგა... მუხლჩაუხრელი, მოუღალავი, ოპტიმიზმით აღავსებდა ყველას... ქალბატონი კლარა აღესრულა სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ... გმირი შვილის გმირი დედა... იღწვოდა და ბოლომდის ჩაიღვენთა სამშობლოს საკურთხეველზე... იგი არასოდეს გამოდიოდა პირადული ტრაგედიიდან, ყოველთვის პირუთვნელი იყო, არც არვის შეჰკვრია ... ბოლომდის დარჩა იმ იდეის ერთგული, რომელსაც პატრიარქობდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი... მან სახლკარიც კი გაყიდა და თანხა ეროვნულ ხელისუფლებას შესწირა...

ამ შუაღამისას, რატომღაც ჩემს ხსოვნაში ვარაზ ვარაზიშვილი და მისი დედა კლარა შედანია გადაიფურცლა, ჩვენი უახლესი ქორონიკონის ულამაზესი გმირები...

განისვენეთ..

ალექსანდრე სანდუხაძე

„... ვერავინ შემაცვლევინებს გზას, რომელსაც ჩემი მოხუცი დედის ლოცვა-კურთხევით დავადექი!“

ამ რწმენითა და სიმტკიცით განვლო თავისი ხანმოკლე ცხოვრება ყოფილმა პოლიტპატიმარმა და შემდგომ მღვდელმსახურმა მამა გაბრიელმა, ერობაში **ნემო ჭანტურიამ.** „საპყრობილის ყრუ და სქელი კედლები ვერ შემბოჭავენ, ვერც მოხელისუფლო ცოდვისშვილთა „შთაგონებანი“ გაამრუდებენ ჩემს რწმენას, ვერც სიკვდილი იქნება ჩემი სამანი“, – წერდა ერთგან პოლიტპატიმარი ნემო ჭანტურია. და დადგა სიკვდილის – გარდაცვალების დღე – 2015 წლის 14 სექტემბერი.

ვერც ეს შებოჭავს მამა გაბრიელს, მისი პატიოსანი და დაუმორჩილებელი სული საქართველოს თანამდევი იქნება მარად!

ნემო ვარლამის ძე ჭანტურია დაიბადა 1959 წლის 18 მაისს, ფოთში. ცხოვრობდა გალის რაიონის სოფელ თაგილონში. 1981-1991 წწ. იგი მუშაობდა სოხუმის შსს განყოფილებაში, ხოლო 1991 წლიდან ეროვნული გვარდიის წევრი გახდა მაიორის ჩინით. ნემო ჭანტურია სენაკის 2 ბატალიონის შტაბის უფროსად დანიშნეს, მას სამოქალაქო მოსახლეობის ტერორიზმისაგან დაცვა ევალებოდა.

„განდევნილ იქნა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ვაებამ მოიცვა სამშობლო“, – წერდა მოგვიანებით საპყრობილედან გამოგზავნილ წერილში ნემო ჭანტურია. ხოლო მანამდე, მტკიცედ იდგა და იცავდა სამეგრელოს სოფლებს მომხვდურისაგან. 1992 წ. სექტემბერში, როდესაც იარაღის ძალით ხელისუფლების სათავეში მოსული „მხედრიონის“ სამხედრო ნაწილების განმეორებითი სადამსჯელო ექსპედიცია ხორციელდებოდა სამეგრელოში, იგი სენაკში დააპატიმრეს. ბრალდება კი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67, 73, 104 და 133 მუხლებით წაუყენეს – ტერორიზმი, ბანდიტიზმი, დივერსია. ასე შეიქმნა საქმე №10 – „კავსაძის გამტაცებლები“.

ქუთაისის შსს სამმართველოს დროებითი დაკავების საკანში 7 დღე-ღამის განმავლობაში სასტიკად აწამებდნენ ნემო ჭანტურიას, შემდეგ ერთი თვე მიმდინარეობდა წამება – დაკითხვები თბილისის შსს სამმართველოს დროებითი დაკავების საკანში. საგამოძიებო იზოლატორში მე-2, ე.წ. ”შევარდნაძის კორპუსში” ერთი თვის განმავლობაში ხორციელდებოდა მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა.

ვერ გატეხეს, ვერ აღალატებიეს!

1993 წლის ოქტომბერში ნემო ჭანტურია გაასამართლეს, 15 წლით პატიმრობა მიუსაჯეს და ავჭალის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოათავსეს. სამი წლის მანძილზე წამებისა და არაადამიანური ყოფის შედეგად, სამხედრო ტყვეს ნემო ჭანტურიას ჩამოუყალიბდა მწვავე შაქრიანი დიაბეტი, გულის იშემიური დაავადება და ტუბერკულოზი. დიდი ხნის განმავლობაში მკურნალობდა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, მაგრამ ავადმყოფობის სირთულის გამო შეუძლებელი იყო მისი განკურნება. ”საჩივარი არსად შემიტანია, რადგან როგორც ამ ე.წ. ხელისუფლებას, ასევე მის კორუმპირებულ ორგანოებს არ ვცნობ”, – ამასაც თავის ერთ-ერთ წერილში წერდა ახლობლებლებს სიკვდილის პირას მყოფი პოლიტპატიმარი.

1999 წელს ე.წ. ხელისუფლება იძულებული გახდა, მძიმე, უკურნებელი ავადმყოფობის გამო ნემო ჭანტურია საპყრობილედან გაეთავისუფლებია.

ნემო ჭანტურია იმ რწმენითა და სიმტკიცით გამოვიდა საპყრობილედან, რითაც იგი პატიმრობის რვა წლის მანძილზე სულდგმულობდა: ”მე დაბეჯითებით მჯერა ეროვნული ხელისუფლებისა და კანონიერების აღდგენისათვის მებრძოლი ლაშქრისა, რომ სულ მალე გამარჯვება მთელი ერის სურვილით ჩვენთან იქნება... ჩემი ცხოვრების მიზანია საქართველოს თავისუფლება და კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენა”, -ესეც ამონარიდი მისი ერთ-ერთი წერილიდან. ”ვერავინ შემაცვლევინებს გზას, რომელსაც ჩემი მოხუცი დედის ლოცვა-კურთხევით დავადექიო”,

– წერდა იგი და სწამდა, ”დედა-შვილობის მფარველი ღმერთი კი არ გამწირავს, რომ ავცდე სიმართლის გზას...”. 2003 წელს სიმართლის გზამ ყოფილი პოლიტპატიმარი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში მიიყვანა. ათი წლის მორჩილების შემდეგ, 2013 წელს ბერად აღიკვეცა და სახელად მამა გაბრიელი ეწოდა.





მამა გაბრიელი საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში – ხევში, სოფელ სნოში, თორმეტი მოციქულის სახელობის სამლოცველოში მსახურებდა და იქვე გარდაიცვალა 2015 წლის 14 სექტემბერს. მისი პატიოსანი ნეშტი სოფელ არხოტის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარში გადააბრძანეს, 15 სექტემბერს დაკრძალეს სოფელ სნოს სასაფლაოზე.

დიდძალი საზოგადოება დაესწრო მამა გაბრიელის დაკრძალვის ცერემონიას. მის ხსოვნას პატივი მიაგეს ქორეპისკოპოსმა მეუფე იაკობმა, სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსმა მეუფე იეგუდიელმა, გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა მეუფე იოანემ, თბილისიდან, სამეგრელოდან, ხევიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩასულმა თანამებრძოლებმა და მეგობრებმა. მამა გაბრიელი დაიტირა მისმა ერთადერთმა დამ – ქალბატონმა ზეინაბმა.

კიდევ ერთი გულანთებული, ერთგული და შეწირული ქართველი წავიდა წუთისოფლიდან! აკი წერდა კიდეც, ”...ჩვენ ვართ ისინი, ვინც უნდა ვიყოთ სულით, სისხლ-ხორცით ქართველები, სამშობლოს სიყვარულით

სულდგმულნი და სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირვის სურვილით შეპყრობილნი"!

უფალმა დაუმკვიდროს სამუდამო სასუფეველი მამა გაბრიელს.

რუსუდან კობახიძე

ნოდარ პაპიაშვილი

42 წლის. დაიბადა თბილისში. ცოლ–შვილიანი. იყო კანონიერი ხელისუფლების მომხრე. მოკლეს მეტეხთან ატეხილი სროლების დროს 1992 წლის 6 იანვარს.

სერგო ინასარიძე

41 წლის. დაიბადა ახალციხეში. ცოლ–შვილიანი. იყო ეროვნული გვარდიის ოფიცერი. ჩაცხრილა ხუნტამ მეტეხთან ავტობუსში 1992 წლის 6 იანვარს.

ლევან დოიჯაშვილი

33 წლის, დაიბადა გორში, ცოლ-შვილიანი, ოთხი მცირეწლოვანი შვილის მამა. იცავდა მთავრობის სასახლეს დეკემბერ-იანვარში. 1992 წლის 6 იანვარს ავტობუსში ჩაცხრილა გოგა ხაინდრავას შეიარაღებულმა „დევიატკამ“ მეტეხთან.

კონსტანტინე კურდღელია

43 წლის, დაიბადა სენაკში, ცოლ-შვილიანი. იყო ეროვნული გვარდიის ოფიცერი. დეკემბერ-იანვარში იცავდა მთავრობის სასახლეს. 1992 წლის 6 იანვარს ჩაცხრილა ავტობუსში მეტეხთანგოგა ხაინდრავას შეიარაღებულმა „დევიატკამ“.

რამაზ (ტუტუ) პროფის ძე როგავა

დაიბადა 1957 წელს ზუგდიდის რაიონის სოფ. ყულისკარში. იყო ეროვნული ხელისუფლების გვარდიელი. ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად იბრძოდა სამაჩაბლოში, ჰქონდა რამდენიმე ჭრილობა. დე-

კემბერ–იანვარში იცავდა უზენაეს საბჭოს, სადაც დაიჭრა 1992 წლის 6 იანვარს. დაჭრილს, ხუნტის მებრძოლები მიუვარდნენ საავადმყოფოში და საწოლში ჩაცხრილეს.

ნიკოლოზ ჟორჟის ძე თოდრია

დაიბადა 1950 წლის 25 აპრილს ზუგდიდის რაიონის სოფ. ზედა ეწერში. 1991 წლის სექტემბრიდან იცავდა კანონიერ ხელისუფლებას მთავრობის სახლში. 1992 წლის 6 იანვარს მთავრობის სასახლიდან უიარაღოდ გამოსული დილის 8 საათზე, სოფ. აღაიანთან ჩაცხრილეს ავტობუსში ხუნტის მებრძოლებმა.

ვალიკო ყაულაშვილი

46 წლის. დაიბადა თბილისში. ცოლ–შვილიანი. ჩაცხრილა ხუნტამ ავტობუსში მეტეხთან 1992 წლის 6 იანვარს. იყო წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი.

ემზარ ლომთაძე

30 წლის. დაიბადა ამბროლაურის რაიონში. უცოლო. ჩაცხრილა ხუნტამ ავტობუსში მეტეხთან 1992 წლის 6 იანვრს. იყო წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი.

ვახტანგ თადეოზის ძე თოდრია

დაბადებული 1930 წლის 20 ივლისს ზუგდიდის რაიონის სოფ. ზედა ეწერში. 1991 წლის სექტემბრიდან, ზუგდიდის ბატალიონთან ერთად იცავდა მთავრობის სახლს. 1992 წლის 6 იანვარს ზუგდიდში უიარაღოდ მიმავალი ჩაცხრილეს ავტობუსში სოფ. აღაიანთან.

მამუკა ცხადაია

დაიბადა 1958 წელს ქ. ზუგდიდში. იცავდა კანონიერ ეროვნულ ხელისუფლებას. მოკლეს 1992 წლის 2 იანვარს.

მერაბ არდეგანის ძე ქარდავა

დაიბადა 1962 წელს წალენჯიხის რაიონის სოფ. ჯვარში. 1992 წლის 20 მაისს, მარტო მყოფს სახლში შეუვარდნენ „მხედრიონელები“ და წამებით გამოასალმეს სიცოცხლეს. იყო კანონიერი ხელისუფლების მომხრე. სასტიკად აწამეს ზვიადისადმი მიძღვნილი ლექსის გამო.

გია (გიორგი) შალვას ძე შედანია

დაიბადა 1956 წელს ქ. ზუგდიდში. 1991 წელს შევიდა ეროვნულ გვარდიაში. ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად იბრძოდა სამაჩაბლოში, აფხაზეთში. მუშაობდა ეროვნული გვარდის კავშირგაბმულობის უფროსად. 1992 წლის 11 იანვარს მოკლეს „მხედრიონელებმა“ ზუგდიდში.

ენუქ სევერიანის ძე შონია

დაიბადა 1936 წელს 17 იანვარს წალენჯიხის რაიონის სოფ. ფახულანში. 1992 წელს 25 თებერვალს მშვიდობიანი მიტინგის დარბევის დროს მოკლეს „მხედრიონელებმა“ წალენჯიხის ცენტრში.

მამუკა არაბიძე

დაიბადა 1966 წელს ზესტაფონში. იყო ზესტაფონის ბატალიონის უფროსი. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1993 წლის ოქტომბერში.

ანზორ გოგოლაძე

დაბადებული 1958 წელს. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს წამებით 1993 წლის ოქტომბერში.

რევაზ სტურუა

დაიბადა 1960 წელს სამტრედიაში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1992 წლის 5 სექტემბერს.

ზურაბ სოტკილავა

დაიბადა 1971 წელს გალის რაიონში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1992 წლის 10 აგვისტოს.

სოსო გელია

დაიბადა 1963 წელს სენაკის რაიონში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1992 წლის 1 ოქტომბერს.

გუგუ ძიძარია

დაიბადა წალენჯიხაში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1992 წლის 6 ივლისს.

ბიჭიკო შენგელია

დაიბადა 1947 წელს ქ. ზუგდიდში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1992 წლის 6 ივლისს.

ენვერ ქობალია

დაიბადა 1950 წელს ქ. ზუგდიდში. ეროვნული გვარდიის მაიორი. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1993 წლის 13 იანვარს.

ვახტანგ ანჯაფარიძე

დაიბადა 1953 წელს სენაკის რაიონში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1993 წლის 4 მარტს.

თამაზ როგავა

დაიბადა 1956 წელს ქ. ზუგდიდში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1993 წლის 8 ივლისს.

მერაბ ხუხია

დაიბადა 1961 წელს სენაკის რაიონში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1993 წლის 8 ივლისს.

ბესიკ ჭითანავა

დაიბადა 1965 წელს ქ. ზუგდიდში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1993 წლის 6 ივლისს.

ზაზა გათელია

დაიბადა 1963 წელს ქ. ზუგდიდში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1992 წლის 12 ნოემბერს.

ზაურ როგავა

დაიბადა 1949 წელს ქ. ზუგდიდში. მოკლეს ხუნტის გვარდიელებმა აჯანყებულებისაგან ქ. ფოთის გათავისუფლების დროს 1993 წლის 5 ოქტომბერს.

რობერტ შოთას ძე ბენდელიანი

დაიბადა 1968 წელს ქ. ზუგდიდში. 1989 წლიდან ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. მოკლეს ხუნტის გვარდიელებმა 1993 წლის 5 ოქტომბერს მალთაყვაში.

ჯენერ კეზუა

დაიბადა 1951 წელს. მოკლეს ხუნტის გვარდიელებმა მალთაყვაში აჯანყებულებისგან სამეგრელოს გათავისუფლების დროს 1993 წლის 5 ოქტომბერს.

ჯემალ შამათავა

დაიბადა 1964 წელს. საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი. ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაება 1988 წელს. იბრძოდა სამაჩაბლოში, აფხაზეთში. მოკლეს ხუნტის გვარდიელებმა 1998 წლის 5 ოქტომბერს სამეგრელოს აჯანყების დროს.

კონსტანტინე რევაზის ძე ტაბიძე

დაიბადა 1964 წელს ბოლნისის რაიონში. იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სპეცდანიშნულების პოლკის მეომარი. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს ფოთში 1993 წლის 2 ოქტომბერს.

ლევან ტაბატაძე

დაიბადა და ცხოვრობდა რუსთავში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს ფოთში 1993 წლის 2 ოქტომბერს.

გიორგი (გაგა) ჯაფარიძე

დაიბადა და ცხოვრობდა თბილისში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს ფოთში 1993 წლის 2 ოქტომბერს.

დავით საჯაია

დაიბადა აბაშაში. 25 წლის. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს ფოთში 1993 წლის 2 ოქტომბერს.

თენგიზ გივის ძე ლოგუა

დაიბადა 1959 წელს ქ. ზუგდიდში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს ფოთში 1993 წლის 5 ოქტომბერს.

ჯონი გენადის ძე ფირცხალავა

დაიბადა 1970 წელს ქ. ზუგდიდში. 1988 წელს ჩაება ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იბრძოდა სამაჩაბლოში, აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს ფოთში 1993 წლის 5 ოქტომბერს.

ლადო სერგოს ძე აქუბარდია

დაიბადა 1964 წელს ქ. ზუგდიდში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს ფოთში 1993 წლის 4 ოქტომბერს.

თემურ ვაწაძე

დაიბადა 1963 წელს ზუგდიდში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1993 წლის 24 მაისს.

რეზო სესქურია

დაიბადა 1960 წელს ჭალადიდში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1993 წლის 5 ივნისს.

კობა გოგუა

დაიბადა 1975 წელს ქ. ზუგდიდში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1993 წლის 5 ივნისს.

ემა დარასელია

დაიბადა 1967 წელს წალენჯიხის რაიონში. მოკლეს ხუნტის გვარდიელებმა 1993 წლის 5 ივნისს სამეგრელოს აჯანყების ჩახშობის დროს.

დემურ გულია

დაიბადა 1954 წელს ქ. ზუგდიდში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1993 წლის 24 სექტემბერს.

ვიტალი მირგატია

დაიბადა 1964 წელს ქ. ზუგდიდში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1993 წლის 24 სექტემბერს.

გურამ კობახიძე

დაიბადა 1964 წელს ხობის რაიონში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1993 წლის 28 მარტს.

მურთაზ ზარქუა

მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1993 წლის 6 იანვარს.

მალხაზ ხარჩილავა.

დაიბადა 1968 წელს. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1993 წლის 10 ივნისს.

ფრიდონ ტყემალაძე

დაიბადა გულრიფშის რაიონში. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1993 წლის 10 ივნისს.

ნიაზ ძვაბავა

დაიბადა სოხუმში 1948 წელს. მონაწილეობდა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სამეგრელოს აჯანყებაში. მოკლეს 1993 წლის 6 მაისს.

ზვიად გედენიძე

19 წლის. დაიბადა ფოთში. უცოლო. დაჭრეს ფოთში 1992 წლის 27 იანვარს. დაჭრილი გადაიყვანეს სენაკის საავადმყოფში, სადაც მიეჭრნენ „მხედრიონელები“, რომლებმაც დაჭრილს უბრძანეს შეეგინებინა თავისი სეხნია პრეზიდენტისათვის. დაჭრილმა ზვიადმა „მხედრიონელებს“ სურვილი არ შეუსრულა, რის გამოც იგი საწოლში ჩაცხრილეს.

ზაზა გასვიანი

24 წლის. დაიბადა ფოთში. უცოლო. დახვრიტა ხუნტის გვარდიელებმა ფოთის „აღების“ დროს 1992 წლის 17 იანვარს.

მამუკა ხარბედია

28 წლის. უცოლო. დაიბადა ფოთში. მოკლეს ხუნტის გვარდიელებმა 1992 წლის 27 იანვარს ფოთის „აღების“ დროს.

ჯამბულ ალასანია

25 წლის. დაიბადა ფოთში. უცოლო. 1992 წლის 24 აპრილს თევზაობდა პალიასტომის ტბაზე, სადაც გამოჩდნენ მთვრალი ხუნტის გვარდიელები, რომლებმაც იგი ნიშანში ამოიღეს და მოკლეს.

გოჩია ნანავა

ცოლ-შვილიანი. დაიბადა ფოთში. მოკლეს „მხედრიონელებმა“ ფოთის „აღების“ დროს 1992 წლის 27 იანვარს.

ბეჟან გვათუა

24 წლის, დაბადებული ფოთში. უცოლო. ეროვნული გვარდიის წევ-

რი. დაჭრეს ფოთში 1992 წ. 27 იანვარს. ჭრილობა არ იყო სასიკდვილო. დაჭრილი გადაიყვანეს სენაკის საავადმყოფოში. 28 იანვარს „მხედრიონელებმა“ ჩაცხრილეს საწოლში.

თამაზ ჯღარკავა

30 წლის. უცოლო. დაბადებული ქ. ფოთში. ფოთის სახელმწიფო ავტოინსპექციის ინსპექტორი. 1992 წლის 1 აპრილს დაჭრეს ფოთში ხუნტის გვარდიელებმა. დაჭრილი ტყვედ აიყვანეს და წაიყვანეს „მხედრიონელებმა“ ქ. ქუთაისში, სადაც იგი აწამეს: გადაუმტვრიეს ხელისა და ფეხის თითები, მკლავები, ფეხები, თამბაქოს ნამწვით დაუდაღეს სახე და სხეული და ბოლოს ავტომატის ჯერის დაცხრილეს.

ემზარ ბერაია

26 წლის. უცოლო. დაიბადა ფოთში. მუშა. 1992 წლის 8 მარტს, კომენდატის საათის დროს დახვრიტა ხუნტის გვარდიელებმა საკუთარი სახლის წინ.

კახა ყურუა

დაიბადა 1964 წელს ქ. ფოთში. დაიღუპა ხუნტის ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ შეიარაღებულ აჯანყების დროს ქ. ზუგდიდში 1992 წლის 22 ნოემბერს.

ზაზა ნასარიძე

25 წლის. ცოლ-შვილიანი. ამბროლაურის რაიონი. გვარდიის ოფიცერი. იცავდა მთავრობის სასახლეს დეკემბერ–იანვარში. დაჭრეს მეტეხთან ავტობუსში 1992 წლის 6 იანვარს ხუნტის მებრძოლებმა. გამოჯანმრთელების შემდეგ იბრძოდა ზუგდიდის, წალენჯიხის, ხობის დასაცავად ხუნტის მებრძოლებისაგან. 1992 წ. 1 აპრილს მოკლეს ხობში.

კუსო ოდიშარია

დაიბადა 1965 წელს სენაკში. ცოლ–შვილიანი. იგი 1992 წ. 3 აპრილს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად 9 აპრილის აღსანიშ-

ნავად ფეხით მოემართებოდა თბილისში. მანიფესტანტებს მძიმე ტექნიკით მდ. ცხენისწყალთან გზა გადაუღობეს ხუნტის მებრძოლებმა. ერთი ბეტეერი შეიჭრა მშვიდობიან მანიფესტანტებში, რომელმაც გაჭყლიტა კუსო ოდიშარია.

ბეჟან ყალიჩავა

დაიბადა ჩხოროწყუში. იბრძოდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის. მოკლეს „მხედრიონელებმა“ 1993 წ. 20 ოქტომბერს წყალტუბოს რაიონის სოფ. გვიშტიბში. მოკლული ფეხებით დაკიდეს და თავი წააჭრეს. „მხედრიონელები“ თავის საფასურად ოჯახიდან ითხოვდნენ გამოსასყიდს.

როინ წიფურია

დაიბადა ჩხოროწყუში. იბრძოდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის. მოკლეს „მხედრიონელებმა“ 1998 წლის 20 ოქტომბერს წყალტუბოს რაიონის სოფ. გვიშტიბში. მოკლული ფეხებით დაკიდეს და თავი წააჭრეს. „მხედრიონელები“ თავის საფასურად ოჯახიდან ითხოვდნენ გამოსასყიდს.

კახა პაჭკორია

დაიბადა 1973 წელს სენაკის რაიონში. იბრძოდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის. მოკლეს ხუნტის გვარდიელებმა ნოქალაქევის გზაზე 1993 წ. 14 აპრილს.

იოსებ (ტუტი) შურღაია

დაიბადა 1972 წელს სენაკის რაიონში. იბრძოდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის. მოკლეს ხუნტის გვარდიელებმა ნოქალაქევის გზაზე 1993 წ. 14 აპრილს.

ხვიჩა კაჭარავა

დაიბადა ჩხოროწყუში. იბრძოდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის. მოკლეს ხუნტის გვარდიელებმა ნოქალაქევის გზაზე 1993 წ. 14 აპრილს.

კახა კოლის ძე ხუბუტია

დაიბადა ჩხოროწყუში 1971 წ. იბრძოდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის. 1993 წ. 20 ოქტომბერს „მხედრიონელებმა“ დაჭრეს წყალტუბოს რაიონში სოფ. გვიშტიბში. გარდაიცვალა 2 ნოემბერს.

თემურ კარლოს ძე სოსელია

დაიბადა 1961 წელს. 1978 წ. დაამთავრა ჩხოროწყუს რაიონის საშუალო სკოლა. 1979–81 წწ. იბრძოდა ავღანეთში. 1989 წელს ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. 1992 წ. იყო ჩხოროწყუს საგანგებო ასეულის რიგითი მებრძოლი, დაიჭრა სენაკში. 1993 წელს მეორედ დაიჭრა სოფ. კინდღის გათავისუფლების დროს. 1993 წლის 20 ოქტომბერს მოკლეს მხედრიონელებმა წყალტუბოს მისადგომებთან. სოფ. გვიშტიბი.

მოკლული ფეხებით დაკიდეს და თავი წააჭრეს. „მხედრიონელები“, თავის საფასურად ოჯახისგან ითხოვდნენ გამოსასყიდს.

გურამ გურამის ძე ხორავა

დაიბადა 1979 წ. 14 იანვარს გუდაუთაში. 1992 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. ამავე წელს ჩაირიცხა სოხუმის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. იბრძოდა გაგრაში, სამაჩაბლოში. 1993 წლიდან გახდა საგანგებო დანიშუნლების ასეულის წევრი. 1993 წლის 20 ოქტომბრს მოკლეს „მხედრიონელებმა“ წყალტუბოს მისადგომებთან. სოფ. გვიშტიბი. მოკლული ფეხებით დაკიდეს და თავი წააჭრეს. „მხედრიონელები“ თავის საფასურად ოჯახიდან ითხოვდნენ გამოსასყიდს.

ბეჟან ჟორჟის ძე ვეკუა

დაიბადა 1967 წელს. 1989 წ. დაამთავრა ჩხოროწუს რაიონის, სოფ. ნაკიანის საშუალო სკოლა. ჩაერიცხა სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტში. 1991–92 წწ. იყო სოფ. ნაკიანის გამგებელი. 1992 წ. გახდა საგანგებო დანიშუნლების ასეულის შტაბის უფროსი. ამავე წლის თებერვალში დააპატიმრა ხუნტამ. პატიმრობაში გაატარა 33 დღე. 1998 წ. 20 ოქტომბერს მოკლეს „მხედრიონელებმა“ წყალტუბოს მისადგომებთან. სოფ. გვიშტიბში.

ბათუ ომარის ძე კვირკვია

დაიბადა ჩხოროწყუში. იბრძოდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის. მოკლეს 1993 წ. 20 ოქტომბერს „მხედრიონელებმა“ წყალტუბოს რაიონის სოფ. გვიშტიბში.

რუსუდან გიორგის ასული ჭანტურია

35 წლის. პედაგოგი. სენაკის მიტინგზე სიტყვით გამოსვლის შემდეგ 1992 წლის 20 თებერვალს მოკლეს „მხედრიონელებმა“ საკუთარ სახლში, მერე გაძარცვეს.

ხვიჩა ცაავა

28 წლის. ცოლ–შვილიანი. სამი შვილის მამა. მოკლეს სენაკში საკუთარ მანქანაში „მხედრიონელებმა“.

ალექსანდრე ბორისის ძე ჭანტურია

40 წლის. რეჟისორის თანაშემწე. 1992 წლის 23 ივლისს, სენაკში შევარდნაძის ჩამოსვლის დღეს, კორესპონდენტებისათვის საპროტესტო ინტერვიუს მიცემის გამო სასიკვდილოდ სცემეს „მხედრიონელებმა“, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.

სოსო გეგელია

მოკლეს სენაკში ხუნტის ბანდებმა 1992 წელს.

მერაბ ვლადიმერის ძე ბჟალავა

დაიბადა სენაკში. იბრძოდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის. 1992 წ. მოკლა ხუნტის ხელისუფლებამ.

გოჩა თენგიზის ძე ხუნწარია

მოკლეს სენაკში „მხედრიონელებმა“ 1992 წელს.

მიმოზა ჯანაშია – შელია

ორი შვილის დედა. წალენჯიხელი. მოკლეს „მხედრიონელებმა“ 1992 წელს წალენჯიხის რაიონის სოფ. საჩინოში.

მამუკა ბექაია

1992 წლის 13 მაისს მოკლეს სამტრედიაში ხუნტის მილიციის კურსანტებმა.

ზაურ ზარქუა

დაიბადა 1946 წელს წალენჯიხაში. 1992 წლის 6 ივლისს მოკლეს „მხედრიონელებმა“ წალენჯიხაში. დედამისს გვამის მისაღებად ფული გამოსძალეს.

ბესიკ ფიფია

28 წლის. 1992 წლის 6 ივლისს მოკლეს „მხედრიონელებმა“ წალენჯიხაში ავტომატის კონდახების ცემით.

მერი გაბედავა

მოკლეს წალენჯიხის რაიონის სოფ. სქურში „მხედრიონელებმა“ მათ ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის დროს. სიტყვებით: „მეგრელები არ უნდა გამრავლდნენო“.

ბუთხუზ შამათავა

მოკლეს სენაკში რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე 1992 წ. ხუნტის ბანდებმა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „გაუმარჯოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას!“

ბადრი ლავრენტის ძე ქვარიანი

50 წლის. სენაკის რკინიგზის საავადმყოფოს ყარაული. მოკლეს „მხედრიონელებმა“ საავადმყოფოდან ნარკოტიკების გატაცების დროს 1992 წელს.

1991 წლის 22 დეკემბრიდან 1992 წლის ჩათვლით ა/კ რკ. გზის პროფ. ნ.ს. კახიანის სახ. საგზაო კლინიკურ საავადმყოფოში ტყვიით მიყენებული ჭრილობებით მოთავსებულთა სია (ნაწილი გარდაიცვალა)

1. ბერუაშვილი ვლადიმერ დავითის ძე, 31 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარჯვენა დუნდულის არეში.
მოთავსდა: ტრავმატოლოგიაში 3/1. გაეწერა.

2. ბაირამოვა ნაირა ბაირამის ასული, 20 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარჯვენა ტერფის არეში.
მოთავსდა: ტრავმატოლოგიაში 3/1.

3. გაგუა ომარ სერაპიონის ძე, 52 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარჯვენა ტერფის არეში.
მოთავსდა: ტრავმატოლოგიაში – გაეწერა.

4. გელაშვილი გელა, 24 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა გულმკერდისა და მუცლის არეში.
მოთავსდა: რეანიმაციაში (ქირურგია) 5/1.

5. გელაშვილი აკაკი ალექსანდრეს ძე, 29 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარჯვენა მუხლის არეში.
მოთავსდა: ტრავმატოლოგიაში 6/1.

6. გუგუშვილი პავლე ივანეს ძე, 47 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარჯვენა ტერფის არეში.
მოთავსდა: ტრავმატოლოგიაში. გაეწერა.

7. დავრაშოვი ალიკა კასუმას ძე, 29 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილიარაღით მიყენებული ჭრილობა.
მოთავსდა: ტრავმატოლოგიაში 5/1.

8. დავითიძე მამუკა აკაკის ძე, 22 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარჯვენა ფეხის არეში.
მოთავსდა: ქირურგიაში.

9. დოლიძე გურამი.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარჯვენა ბარძაყის არეში, სწორი ნაწლავის დაზიანებით.
მოთავსდა: ქირურგიაში 3/1. 9/1–ში გარდაიცვალა – ისტორია წაღებულია ექსპერტიზაში.

10. კოზაიძე კახა კარლოს ძე, 24 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარცხენა ქვედა ყბის არეში.
მოთავსდა: ქირურგიაში 6/1.

11. კობიძე ამბროსი ვასილის ძე, 53 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარჯვენა წვივის არეში.
მოთავსდა: ტრავმატოლოგიაში 3/1.

12. კიკვიძე ლადო კუკურის ძე, 23 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარჯვენა ტერფის არეში.
მოთავსდა: ტრავმატოლოგიაში 3/1.

13. მეტრეველი გურამი ზაალის ძე, 52 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მიყენებული მარცხენა ტერფის არეში.
მოთავსდა: ტრავმატოლოგიაში – ქირურგიაში 3/1.

14. მუმლაძე ვახტანგ ვასილის ძე, 41 წ.
ვაზისუბნის III მ/რ. 2 კვ. 4 კორპ. ბ. 63.
დიაგნოზი: ტყვიით მიყენებული ჭრილობა, მარჯვენა ტერფის არეში.
მოთავსდა: ტრავმატოლოგიაში 3/1.

15. მინაშვილი ზაირა ალექსანდრეს ასული, 56 წ.
დიაგნოზი: მარჯვენა წვივის ბარძაყის მიდამოს ცეცხლნასროლი ჭრილობა.
მოთავსდა: ტრავმატოლოგიაში 3/1.

16. ოქროპირიძე რამაზი, 23 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარჯვენა მაჯის არეში.
მოთავსდა: ს. ძ. ქირურგიაში 5/1.

17. ოთარიშვილი ხვიჩა გურამის ძე, 19 წ.
გვარდიის ჯარისკაცი. თიანეთი. სოფ. ახალსოფელი.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარცხენა მუხლის არეში.
მოთავსდა: ტრავმატოლოგიაში 22.XII. 27.XII–ში გაეწერა.

18. ჟღენტი ალექსანდრე ჟანრის ძე, 22 წ.
დიაგნოზი: თავის ქალის შემავალი ჭრილობა მიყენებული ცეცხლნასროლი იარაღით.
მოთავსდა: ქირურგიაში 3/1.

19. რეხვიაშვილი გივი იაგოს ძე, 21 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა, გულმკერდის მარცხენა ნახევრის არეში.
მოთავსდა: ქირურგია – რეანიმაცია 3/1.

20. ტორჩილავა ჯემალ დავითის ძე, 40 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა, მარჯვენა ბარძაყის არეში.
მოთავსდა: ტრავმატოლოგიაში 3/1.

21. ყიფიანი გურამ გიორგის ძე, 41 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარჯვენა წვივის არეში.
მოთავსდა: ტრავმატოლოგიაში 3/1.

22. ცხვედაძე მიხეილ რევაზის ძე, 25 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარჯვენა მუხლის არეში.
მოთავსდა: ტრავმატოლოგიაში 3/1.

23. ჯავახაძე ნიკო ანზორის ძე, 24 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარჯვენა წვივის ბარძაყის არეში.
მოთავსდა: ტრავმატოლოგიაში 3/1.

24. ჯალიაშვილი ვაჟა ვლადიმერის ძე
დიაგნოზი: თავის ქალის ცეცხლნასროლი ჭრილობა.
მოთავსდა: ნ/ქირურგიაში 6/1. რეანიმაციაში.

25. ჯაფარიძე ნუგზარ მიხეილის ძე, 31 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარცხენა მუხლის არეში.
მოთავსდა: ს. ძ. ქირურგიაში 3/1.

26. ჯანელიძე უშანგი ვლადიმერის ძე, 58 წ.
გლდანის მას. მე–3 მ/რ. 11 კორპ. ბ.3. დიაგნოზი: ცეცხლნასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა.
მოთავსდა: ქირურგიაში 1/1. გაეწერა.

27. ხატიაშვილი გიზო გიორგის ძე, 24 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარცხენა მუხლის არეში.
მოთავსდა: ნ/ქირურგიაში 3/1.

ამბულატორიული

1. არუთინიანი არამი შაგენის ძე, 25 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარცხენა მხარის არეში. 23.XII.92 წ.

2. ბერიკაშვილი ანზორ თევდორეს ძე, 53 წ.
დიაგნოზი:

3. დანელიანი გეგამ ელმახოს ძე, 25 წ.
დიაგნოზი: მარჯვენა მტევნის ცეცხლნასროლი გამჭოლი ჭრილობა. 23.XII.92 წ.

4. მეცხვარიშვილი ემზარ ნოდარის ძე, 23 წ.
დიაგნოზი: მარცხენა მხარის მიდამოს და მარცხენა მტევნის ცეცხლ-ნასროლი ჭრილობები. 3/1.

5. ყვავაძე ირაკლი ოთარის ძე, 35 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი დაჟეჟილი ჭრილობა თხემის არეში მარცხნივ.

6. ჩაჩანიძე ვაჟა შალვას ძე, 52 წ.
დიაგნოზი:მარცხენა მუხლის სახსრის ცეცხლნასროლი ჭრილობა 23.XII.92 წ.

7. ხევიაშვილი გიორგი თენგიზის ძე, 27 წ.
დიაგნოზი: წელის მარჯვენა ნახევრის მიდამოში ცეცხლნასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა. 22.XII.92 წ.

1992 წლის 13/20 იანვარი

1. დიდებაშვილი ზურაბ ვალერის ძე, 17 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მუცლის არეში.
მოთავსდა ქირურგიაში 14.01.92 წ. ამავე დღეს გარდაიცვალა.

2. ლომაძე თემურ გიორგის ძე, 39 წ.
დიაგნოზი: მარცხენა ბარძაყის ცეცხლნასროლი ჭრილობა.
17.01.92 წ. გაიგზავნა ამბულატორიულ მკურნალობაზე.

3. ნადირაშვილი პეტრე ზაქროს ძე, 62 წ.
დიაგნოზი: ორივე ქვემო კიდურის ცეცხნასროლი ჭრილობები.
მოთავსდა: ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში 15.01.92 წ.

4. ხერკელაძე ტარიელ გიორგის ძე, 41 წ.
დიაგნოზი: ცეცხლნასროლი ჭრილობა მარცხენა გულმკერდის და მუ-ცლის არეში.
მოთავსდა ქირურგიულ განყოფილებაში 17.01.92 წ.

გარდაცვლილთა სია

1. **ალათანია ჯამბულ** – ქ. ფოთი,ჩიტაძის შეს. №25.
2. **ამირეჯიბი ვახტანგ** – თბ. გამსახურდიას ქ. კორ.9.
3. **არსენიძე კახა** – თბ. დიღმის მას. მე–2 კვ.
4. **ავეტისიანი არეინიკ** – თბილისი
5. **აზატოვა ნინა** – თბ. აზიზბეკოვის ქ. №3.
6. **ბაიდაშვილი სერგო** – თბ. ნინოშვილის ქ. №21
7. **ბერაია ემზარ** – ქ. ფოთი

8. **ბერიაშვილი ბერდია** – თბ. ობოლაძის ქ. №15
9. **გედენიძე ზურაბ** – ქ. ფოთი
10. **ბენდელიანი ზურაბ** – დიდი დიღომი მე–2 კვ. კორპ.22
11. **ვარაზიშვილი ვარაზი** – თბ. საექიმოს ქ. 4.
12. **გვათუა ბეჟან** – ქ. ფოთი
13. **გასვიანი ზაზა** – ქ. ფოთი
14. **გოცირიძე გიორგი იარაკლის ძე** – თბილისი
15. **გაგუა ვოვა** – თბ. სამტრედიით ქ. №
16. **გაბროშვილი გოგი** – გორის რ–ნი სოფ. ფხვენისი
17. **გობრონიძე ალექსანდრე** – თბ.საბურთალოს ქ. №40. I კორპ. ბ. 14.
18. **დავრაშვილი ალეკო** – თბილისი
19. **დიდებაშვილი ზურაბ** – თბილისი
20. **დოლიძე გურამ** – თბ. ყიფშიძის ქ. №
21. **დავითიანი იური** – თბილისი ვერცხლის ქ. 56
22. **ესებუა გია** – თბ. მე–3 მას. 10 კვ. კორპ.6 ბ.5
23. **იაშვილი ვლადიმერ** – თბ. ჯანაშიას ქ. №1
24. **ინასარიძე სერგო** – გლდანი, 6 მ/რ. კორპ.16
25. **ინაური იოსებ** – თბ. შმიტის ქ. 4
26. **კარაპეტიანი კონსტანტინე** – თბ. ხვიჩიას ქ. 9
27. **კაპანაძე კონსტანტინე** – თბ. მთაწმინდის ქ.21
28. **კაკულია თამაზი** – ქ. ფოთი
29. **კასრაძე კოტე** – გორის რაიონი.
30. **კალანდია იური** – მარტვილი.
31. **მარკოზია არკადი** – მარტვილი.
32. **მიქიაშვილი რეზო** – რუსთავი.
33. **მჭედლიშვილი გურამი** – თბილისი.
34. **მჭედლიშვილი ბაადურ** – თბ. ნუც. პლ. 4 მ/რ. მე–4 კოპ. ბ.3
35. **ლომთაძე ემზარი** – ამბროლაური – ჭრებალო
36. **ნიკოლაიშვილი მამუკა** – რუსთავი
37. **ოდიშარია კუსო** – სენაკი.
38. **რამიშვილი არჩილ** – გლდანის მასივი
39. **რეხვიაშვილი გივი** – დიღდმის მას. მე–5 კვ. კორპ.5
40. **თაქთაქიშვილი ლევან** – დიდუბე. ევდოშვილის ქ. 2/10 კორპ. 4.
41. **სულხანიშვილი ავთანდილ** – თბილისი
42. **სულხანიშვილი პაატა** – დიღმის მას. მე–3 კვ. კორპ.9, ბ.2
43. **სიდამონიძე ნიკოლოზ** – თბ. ენგელსის ქ. 39.
44. **რატიანი კონსტანტინე** – თბ. ინგოროყვას ქ. 6.
45. პერტია აველინა – ზუგდიდი. სოფ. ცაიში

46. **ტალახაძე იური** – თბ. პეტრიაშვილის 43.
47. **ტაბიძე თამაზ** – თბილისი ვარკეთილის 3 მ/რ. კორპ. IV ბ.72
48. **ტერიშვილი მამუკა** – თბ. ნორიოს აღმართი 54ა.
49. **ტეტელაშვილი გია** – თბ. დიღმის სარემონტო ქარხნის დას. I კორპ.
50. **პაპიაშვილი ნოდარ** – თბ. ნავთლუღის დას. 9. ბ.5.
51. **ცაავა ავთანდილ** – თბილისი
52. **ცაავა ხვიჩა** – სენაკი, მარჯანიშვილის ქ. 6.
53. **ცარციძე რომო** – რუსთავი
54. **ცერაძე ტრისტან** – თბ. ბენდელიანის მე–2 შეს. №10.
55. **ყაველაშვილი შალვა** – თბ. ტოლსტოის ქ. 4.
56. **ყაველაშვილი ბადრ**ი – თბილისი.
57. **ქევხიშვილი ციცო** – თბ. კოსტავას ქ. მე–2 შეს.№5.
58. **ქაჯაია თენგიზ** – ვანის რაიონი.
59. **ხარბედია მამუკა** – ქ. ფოთი.
60. **ხურცილავა მალხაზ** – მარტვილი.
61. **ხელაშვილი დათო** – თბ. ვარკეთილი მე–3 მ/რ.
62. **ხუციშვილი გელა** – სოფ. თამარაშენი
63. **შალიკაშვილი გია** – ლანჩხუთი.
64. **შარაშენიძე პაატა** – თბ. თემქა. მე–3 მ/რ. I კორპ. ბ.18.
65. **ფოლადაშვილი მიხეილ** – თბ. გლდანის მასივი.
66. **ჯავახიშვილი ზურაბ** – თბილისი
67. **ბატიაშვილი გიზო** – თბ. გრიბოედოვის ქ. 13.
68. **ჭანტურია იმედო** – თერჯოლის რ–ნი სოფ. ახალი თერჯოლა.
69. **ღვინიაშვილი ნუგზარ** – თბ. ლოტკინი. კიშინოვის ქ. 59.
70. **ფიცხელაური ბესიკ** – თბ. ლარეხის ქ. 13
71. **ჯღარკავა თამაზ** – ქ. ფოთი.

ბრძოლა უფრო ადრე დაიწყო, კიდევ უფრო ადრე...

შეიარაღებული ოპოზიციის მიერ ბრძოლის დაწყების თარიღად ხშირად 22 დეკემბერს ასახელებენ, მაგრამ ბრძოლა უფრო ადრე დაიწყო... შეიარაღებული ოპოზიცია, მთავრობის სახლის წინ, მიტინგისა და დემონსტრაციის ჩატარების მომიზეზებით, 19 დეკემბერს მოვიდა და თან მოიყოლა შეიარაღებული ძალა. მართალია, ტანკები და „ბეტეერები“ იმ დროს იქ არ ჩანდა, მაგრამ ოპოზიციონერთა შორის უკვე ტრიალებდა რამდენიმე შეიარაღებული პირი. როგორც ყოველთვის, იმ საღამოსაც ოპოზიციონერებმა შეურაცხმყოფელი შეძახილებით აიკლეს მთავრობის სახლის მიდამოები. მოძრავი რადიოსადგურის მიკროფონებიდან გაისმოდა კატეგორიული მოთხოვნები გადამდგარიყო პრეზიდენტი და მთავრობის სახლთან მოგროვილ კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერებს მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორია გაეთავისუფლებინათ. ეს მოთხოვნა თანდათან ბრძანებად ჟღერდა. შეშფოთებული ხალხი „შავლეგოსა“ და „ჩემო კარგო ქვეყანას“ ახვედრებდა შეიარაღებულ ოპოზიციონერებს, მაგრამ უშედეგოდ... „ჩაუშესკუ!“ „ბოზებო“! ... „ჩვენ რადიკალურ ზომებს მივმართავთ მთავრობის სახლის გასანთავისუფლებად და დიქტატორის დასამხობად!“ – იქადნიდნენ ე. წ. ავტორიტეტული ინტელიგენტები, რომლებსაც პირში თითები ჩაეწყოთ და ქუჩის ბიჭებივით სტვენდნენ... შემდეგ რაღაც მოლაპარაკების მსგავსი წამოიწყეს, მაგრამ ფარსი გამოდგა, მათ უნდოდათ კანონიერი პრეზიდენტის გადადგომა, კანონიერი ხელისუფლების დამხობა და აღარც მალავდნენ ნამდვილ ზრახვებს. აგრესია ოპოზიციონერთა მხრიდან მატულობდა. ცუდმა წინათგრძნობამ შემიპყრო, თითქმის უძლურები ვიყავით ამ თავხედი და უზრდელი ადამიანების წინაშე, ოპოზიციონერთა მცირე ჯგუფი ღამით მთავრობის სახლის წინ დარჩა. მათ მოახერხეს და სრულიად დაუბრკოლებლად გაათრიეს ავტობუსები, რითაც მთავრობის სახლის მიდამო იყო შემოკავებული. გამოიკვეთა, რომ ფაქტობრივად მილიცია არ მოქმედებდა, იგი წინააღმდეგობას არ უწევდა მომხვდურებს. გვარდია საქმეში არ ერეოდა, იგი ფორმალური დამცველის როლს ასრულებდა. ოპოზიციონერებმა მეორე დღეს პირდაპირ ხალხის თვალწინ გაიტაცეს ქალაქის მერი თამაზ ვაშაძე და დეპუტატი ავთანდილ რცხილაძე. ავრცელებდნენ ხმებს, რომ მილიცია ოპოზიციას უჭერს მხარს (სინამდვილეში ასეც აღმოჩნდა). ერთი სიტყვით, ბრძოლის ყველა ნიშანი გამოიკვეთა. 22 დეკემბერს კი, მათ უკვე ომი დაიწყეს. თბილისის ზღვაზე დაბანაკებული შეიარაღებული ძალები, რომლებიც აღარ ემორ-

ჩილებოდნენ პრეზიდენტს, მთავრობის სახლისაკენ გამოემართნენ და პირველი სისხლიც დაიღვარა. კიტოვანის გვარდია, მთავრობის სახლის მიდამობეში გამაგრდა, დაიწყო „ჰაუბიცების“ სროლა.

ოპოზიცია მიკროფონით მოუწოდებდა ხელისუფლებას იარაღი დაეყარათ და დანებებოდნენ. ჩვენს მხარდასაჭერად უამრავი ხალხი მოგროვილიყო, მაგრამ ტყვიების წვიმაში მთავრობის სასახლესთან მიახლოებას ვერ ბედავდნენ. მე, როგორც იქნა მოვახერხე და მოკლე–მოკლე გადარბენებით მთავრობის სახლის რკინის ჭიშკრამდე მივაღწიე. შენობაში ჯოჯოხეთური ხმაური იდგა. ოპოზიციონერთა ტყვიებს უკვე ჩაელეწა ფანჯრები, პრეზიდენტის კაბინეტი და მისაღები განადგურებული იყო, უზენაესი საბჭოს შენობის კარები დაცხრილული და დამტვრეული, ჭერი ჩამონგრეული, „ჰაუბიცების“ სროლისაგან ერთი ბოძი გამონგრეულიყო. ეტყობა ოპოზიციას მიზანში ჰქონდა საყრდენების გამოცლა და შენობის ჩამომხობა. შეიარაღებული „დემოკრატები“ მომგებიან სიტუაციაში იმყოფებოდნენ. ისინი თავდამსხმელები იყვნენ და იცოდნენ, საით უნდა ესროლათ, მთავრობის სახლში დაბანაკებული ძალა(ძირითადად მოხალისეები) კი ვერ ფლობდა თავს, ტყვიებს უმიზნოდ ისროდნენ, ქაოსურად. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მხოლოდ მოწინააღმდეგეს აფრთხობდნენ და ძალას აჩვენებდნენ. მებრძოლებს სამხედრო მომარაგება აკლდათ, ხშირად ჩიოდნენ, რომ ტყვიები და იარაღი არ ჰქონდათ. წინადღეს სასტუმრო „თბილისში“ დაბანაკებული მოწინააღმდეგე ძალთა დასაზვერად მეომრები გაეგზავნათ. ვიღაცას ებრძანებინა წინ ბიჭები წავიდნენ და უკან „ბეტეერები“ მიჰყვესო. იმ ღამეს რამდენიმე მებრძოლი დაიღუპა, არადა პირიქით უნდა ყოფილიყო. ასეთ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი: მთავრობის სახლის ეზოში იდგა მოძრავი სატელევიზიო სადგური, ტელედიქტორები, ოპერატორები და ტექნიკოსები ეთერში გასასვლელად ემზადებოდნენ. მოულოდნელად ეზოში დაუბრკოლებლად შემოვიდა „ბეტეერი“ და ტყვიები დაუშინა სატელევიზიო სადგურში მყოფ თანამშრომლებს, შემდეგ ტყვიები მოატარა მთელ შენობას და ასევე დაუბრკოლებლად გავიდა. მართალია, მებრძოლებმა ცეცხლი გაუხსნეს, მაგრამ თვითონ ფაქტი იყო გასაოცარი; პირველად მაშინ გაჩნდა ეჭვი, რომ შიდა ღალატის შესახებ. ასეთი შემთხვევის მოწმეც ვიყავი: მეოთხე სართულზე განლაგებულ ნაწილში ხმა დაირხა, მოწინააღმდეგე შვეულმფრენით აპირებს თავდასხმას და ბომბის ჩამოგდებასო. მებრძოლები საბრძოლველად გაემზადდნენ, მაგრამ მალე სხვა ინფორმაცია გავრცელდა, შვეულმფრენში ჩვენი ბიჭები სხედან და არ ესროლოთო. ბომბის ჩამოგდებამდე რამდენიმე წუთით ადრე, მებრძოლებმა ყურადღება მოადუნეს,

მერე უცებ გრუხუნი გაისმა, შენობის თავზე, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით ბომბი დაეცა. სულშემხუთავმა გაზმა და მტვერმა აავსო იქაურობა, გვეგონა უკვე ვიღუპებოდით. ამის შემდეგ სასწრაფოდ თავშესაფარში ჩავედით, თუმცა ეს თავშესაფარი კი არა, მთავრობის სახლის მიწისქვეშა ნაწილია, სადაც ხილ–ბოსტნეულის, სურსათის მაღაზია და სხვა სათავსოებია თავმოყრილი, აქვეა განლაგებული სასადილო და ბუფეტი თანამშრომელთათვის.

თავშესაფარში ძირითადად დეპუტატები, მებრძოლი მოხალისეები და გვარდიელები იმყოფებოდნენ, არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოვჩნდით. მოწინააღმდეგემ სატელეფონო ხაზები გადაჭრა, რადიოსადგური დაიკავა, სურსათის მარაგი თავდებოდა... მომსახურე პერსონალი: მზარეულები, მეპურეები, მრეცხავები ტყვიების ცეცხლში შემოსვლას ველარ ბედავდნენ, გართულდა გვარდიელებისთვის საჭმლის მიწოდება, ჭურჭლის რეცხვა, ჰიგიენის დაცვა... გარდა ამისა, ჩანდა, რომ შიგნით, ჩვენს შორისაც მოქმედებდა უცხო ძალა, რომელიც წარამარა მიმართავდა პროვოკაციებს: გადაგვიკეტეს ცხელი წყალი, ცეცხლი გაჩნდა სხვადასხვა სართულებზე, გასკდა თუ გააფუჭეს შენობის გათბობის მილები. ყოველივე ამის მოწესრიგებისათვის დეპუტატებმა შექმნეს ხუთკაციანი ჯგუფი, მაგრამ უშედეგოდ, საორგანიზაციო საკითხების მოგვარება მაინც გაჭირდა.

პრეზიდენტის სამყოფელისკენ გამავალ კართან გვარდიელები მორიგეობდნენ. თითქოს შემოწმების გარეშე არავის უშვებდნენ, მაგრამ ირგვლივ მაინც ბევრი უცნობი, საეჭვო პირი ტრიალებდა, როგორც მერე მივხვდი, ისინი ერთგვარ ფსიქოლოგიურ მუშაობას ატარებდნენ, ავრცელებდნენ სხვადასხვა ხმებს ერთმანეთის დაპირისპირებისა და განხეთქილების მიზნით. ჩვენს შორის ფარულად მოქმედებდნენ. თავშესაფარში რამდენჯერმე უცხოელი ჟურნალისტებიც გვესტუმრნენ, მაგრამ მათი შეკითხვები რაღაც სამგლოვიარო განწყობილებით ჟღერდა და თანაგრძნობის მეტს არაფერს გამოხატავდა. საერთოდ, მათ უკვე გაეკეთებინათ თავიანთი საქმე, იმპერიულ ძალებს კარგად დაეხმარნენ განზრახულის აღსრულებაში. სწორედ მათი საშუალებით შეითხზა მითი საქართველოში დიქტატურისა და ავტორიტარიზმის შესახებ, რომლისაც თვითონვე არ სჯეროდათ და რომლის გამოსყიდვასაც შემდეგში შეეცადნენ, მაგრამ მოსახდენი უკვე მოხდა. იმ მსოფლიო შეთქმულებაში, რომელიც საქართველოს და კერძოდ, პრეზიდენტის წინააღმდეგ მოაწყო რუსულ-ქართულმა „დემოკრატიულმა“ ძალამ, უცხოელ ჟურნალისტებსაც ლომის წილი მიუძღვით.

24 დეკემბერს, ღამით, ბესიკ ქუთათელაძემ დეპუტატებს გვთხოვა

შევკრებილიყავით მეტად მნიშვენლოვანი ინფორმაციის მოსასმენად. მან გამოგვიცხადა, რომ ტყვია–წამალი თავდებოდა, რომ ბიჭებს ბრძოლის გაგრძელებისათვის ძალა აღარ შესწევდათ და აღარც ბრძოლა სურდათ და რომ მასაც სწორად მიაჩნდა მათი გადაწყვეტილება. ამის გაგონებამ დეპუტატები შეგვაფიქრიანა. ცოტა არ იყოს ეჭვის თვალით შევხედეთ ამ ცნობას, მითუმეტეს იგი თავად თავდაცვის ხელმძღვანელი იყო და როცა მეთაური ბრძოლის ველზე ამას ამბობს, ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე აღიარებს დამარცხებას. ნორმალურ ქვეყანაში, ასეთ დროს ბრძოლის მეთაური, სამხედრო პირი ტყვიას იხლის შუბლში, მაგრამ ბესიკ ქუთათელაძემ ამ აქტის შესრულება, ფაქტობრივად, პრეზიდენტისგან მოითხოვა. სწორედ მაშინ გავიგეთ, რომ იგი მოლაპარაკებია თენგიზ სიგუას და დათანხმებია პრეზიდენტის გადადგომაზე. მან ისიც გვითხრა, რომ თუ პრეზიდენტი თანახმა იქნება, თენგიზ სიგუა აღუთქვამს მშვიდობიან გამგზავრებას ბათუმში, ხოლო იქიდან საზღვარგარეთ. თან უზრუნველყოფილი იქნება მისი ცოლ–შვილის უსაფრთხოებაც. ამის მოსმენამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ჩვენში.

ბუნებრივია, დაიბადა კითხვა, იცოდა თუ არა პრეზიდენტმა ამ მოლაპარაკების შესახებ და რა აზრისა იყო. ქუთათელაძემ რაღაც უთავბოლოდ გვიპასუხა. ჯერ თქვა იცისო, მერე თქვა არ იცისო... დეპუტატები ახმაურდნენ, რამდენიმე კაცმა მოისურვა პრეზიდენტთან შეხვედრა. არ ვიცი, შემდეგ რით დამთავრდა ეს ამბავი, მე მივატოვე ისინი, მაგრამ როდესაც მეომრებმა შეიტყვეს ამის შესახებ, ძალზე აღშფოთდნენ და თქვეს: – სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ და პრეზიდენტს კი არ დავთმობთო.

25 დეკემბერს მივიღეთ ცნობა, რომ ამერიკამ და საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. ამან დიდი სიხარული გამოიწვია, პრეზიდენტმა ჩვეული მხნეობით და შემართებით მიულოცა მებრძოლებს ეს მნიშვნელოვანი დღე... პრეზიდენტი, საერთოდ იშვიათად შემოდიოდა ჩვენთან. უმეტესად თავდაცვის საბჭოში მიდიოდა და უკანასკნელ ცნობებს იგებდა. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ აქაც განხეთქილებამ იჩინა თავი. სამხედრო ორგანიზაცია სრულიად ჩავარდა. ვინ რა ბრძანებას იძლეოდა, არავინ იცოდა. გვარდიელებმა გადაწყვიტეს თვითონ ემართათ საბრძოლო პოზიციები და თავიანთი ნებით აირჩიეს ახალი ხელმძღვანელი. პრეზიდენტმა და პრეზიდიუმმა მინისტრებისა და თავდაცვის ძალების ერთად შეკრება გადაწყვიტეს, მაგრამ ერთიორი მინისტრის მეტი არ გამოცხადდა. სამაგიეროდ, მათ ცალკე შექმნეს რაღაც „ნეიტრალური საბჭო“ და „შეიარაღებულ დემოკრატებსა“ და პრეზიდენტს

მოლაპარაკებისაკენ მოუწოდეს. პრეზიდენტი ამის წინააღმდეგ არ წასულა და რაღაც შეთანხმებას შეუდგა. მაგრამ ბრძოლის გაწონასწორება მაინც ვერ მოხერხდა. ჩანდა, რომ თანამდებობის პირები ორმაგ თამაშს ეწეოდნენ და ფაქტობრივად გაწირეს პრეზიდენტი. 30 დეკემბერი ჩვენთვის მეტად მძიმე იყო, ზედიზედ შემოასვენეს შვიდი შესანიშნავი ვაჟკაცი. მაშინ ერთხელ ვიგრძენი განწირულობა, ისეთ ყრუ კედელს ვანგრევდით, რომ ვერავითარი სამშვიდობო მოწოდება ვეღარ გასჭრიდა. ისინი აღარც იარაღს დაყრიდნენ და აღარც ბრძოლას შეწყვეტდნენ. ამასობაში ოპოზიციამ ტელევიზიაც წაგვართვა. ქუთათელაძემ საკუთარი ხელით ჩააბარა მათ ტელეანძა. თავშესაფარში ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა.

ახალი წლის შემდეგ თავდაცვის საბჭოს ხელმძღვანელმაც მიატოვა პოსტი და თავშესაფრიდან გავიდა, ბოლო დღეებში კიდევ რამდენიმე კაცი მოკლეს და დაჭრეს. ბრძოლა აღარ თავდებოდა. გაძლება აუტანელი იყო. პრეზიდენტს ვეღარ ვნახულობდით, დერეფანში გავლისას თუ მოვკრავდით თვალს. თავი მშვიდად ეჭირა, მაგრამ სახეზე დაძაბულობა ეხატა. 4 იანვარს, ღამით იგი დეპუტატებთან შემოვიდა. ჩვენს შორის დაჯდა, დუმილით შეგვავლო თვალი, ძალზე ნაღვლიანი ჩანდა, არაფერი უთქვამს, სულ ხუთი წუთი დარჩა, მერე გულთბილად გვითხრა დაისვენეთო და გავიდა, ვიგრძენი რომ სულიერად ძალზე უჭირდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არ აღმოვჩნდით ის ხალხი, ვინც მის სულს შვებას მიანიჭებდა. ახლა როცა ვფიქრობ, უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ზვიად გამსახურდია ის კაცია, რომელსაც თავისი განათლებაც, წოდებაც და სულიერებაც მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდა, რომ თავისი ქვეყნისთვის გამოეყენებინა, თავისი პირადი ღირსებითაც უფრო აემაღლებინა თავისი ერი. იგი დათანხმდებოდა გადადგომაზე, მაგრამ როგორ უნდა მიეცა ამისი უფლება თავისი თავისთვის, როდესაც თითქმის მთელმა საქართველომ სცნო წინამძღოლად და პრეზიდენტად. ამას ადასტურებს ის მრავალათასიანი მიტინგები, რომელიც იმ დღეებში მის მხარდასაჭერად იმართებოდა.

5 იანვარს მოწინააღმდეგემ სროლა განაახლა. კომკავშირის ხეივნის მხრიდან მთავრობის სახლს ისევ დაუშინეს „ჰაუბიცები“ (მერე თქვეს, რაკეტებიო), მე კინაღამ ამ შემთხვევის მსხვერპლი გავხდი. მთავრობის სახლის შემინულ ჭერზე ჭურვი გასკდა და მთელი შენობა შეარყია. გაისმა არაადამიანური ღრიალი. ვიღაცამ დაიყვირა საკაცე მოიტანეთო. მე გრძელ დერეფანში გავვარდი, შესასვლელში პრეზიდენტს შევეჩეხე. ფერი მთლად დაკარგული ჰქონდა და აღელვებული გამოიყურებოდა. დაიღუპა

ვინმე? – მაშინვნე ეს ჰკითხა ჩემს უკან მომავალ გვარდიელს.

ასე, ხუთი–ექვსი საათისათვის პრეზიდენტმა გვარდიელები შეკრიბა. ეს უკანასკნელი ნაწილი იყო. „ომონმა“ დილით მიატოვა მთავრობის სახლი და უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე. თითქმის ყველა მეთაური ოპოზიციონერთა მხარეზე გადავიდა. დარჩა უკანასკნელი ერთგული ძალა, პრეზიდენტმა ჯიქურ, პირდაპირ ჰკითხა ბიჭებს, შეძლებდნენ თუ არა შენობის დაცვას. გვარდიელებმა ერთხმად, მამაცურად მიუგეს, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთო (შეასრულეს კიდეც ეს პირობა).

შეკრება მალე დაიშალა, გვიან ღამით, სინათლე ჩაქრა. სიბნელეში ვიღაცამ დაიჩურჩულა: – თურმე ოპოზიცია ბენზინის შესხმას აპირებს შენობაზე, ამოწვას გვიპირებენო. ამის გაგონებამ შემზარა, მაგრამ არ გამიმხელია. ამასობაში სარეზერვო სინათლე ჩართეს, მბჟუტავ სინათლეში საომრად აღჭურვილი მეომრები დავინახე. რამდენიმე წუთის შემდეგ, დაცვის თანხლებით პრეზიდენტი შემოვიდა, – მეგობრებო! თავდაცვის საბჭომ გადაწყვიტა ბრძოლით გავიკვლიოთ გზა დასავლეთისაკენ! ავტობუსები გამზადებულია! – გამოაცხადა მოკლედ, მტკიცე ხმით და გაუჩინარდა. ამის გაგონებამ თავზარი დამცა. ეს „დასავლეთი“ რებუსად იქცა. ვერავინ ამიხსნა სად მივდიოდით, დასავლეთ საქართველოში თუ საზღვარგარეთ... ბოლოს გადავწყვიტე, გავყვები, ქალაქგარეთ ჩამოვალ და შინ დავბრუნდები–მეთქი. ამასობაში გვარდიელების და დეპუტატების ნაწილი უკვე გავიდა. მეც მივყევი. გასასვლელში ჩემ ნაცნობ ჟურნალისტ გოგონებს შევხვდი და მათ მივეკედლე. ჩემთან აღმოჩნდნენ უზენაესი საბჭოს თავჯდომარის მოადგილე, ფინანსთა მინისტრი და საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. ყველა ერთად ჩავსხედით „იკარუსში“. მალე მთელი ავტობუსი გაივსო შეიარაღებული გვარდიელებით, დავიძარით, მერე გავჩერდით, კვლავ დავიძარით. ფანჯარასთან ვიჯექი. ვიგრძენი რომ დაღმართზე ვეშვებოდით, მერე გზა გასწორდა: ფარდა ოდნავ გადავწიე და დავინახე მეტეხის ხიდის მიდამოები, უცებ თვალი მოვკარი ავტომატიანს, რომელიც ხიდზე გადარბოდა. ვიღაცამ დაიყვირა, პიკეტიო. მძღოლმა ავტობუსი დაამუხრუჭა და ტყვიების წვიმაც წამოვიდა. ალყაში აღმოვჩნდით. არ დამინახავს, მაგრამ მივხვდი, მძღოლი მოკლეს. რამდენიმე გვარდიელი დაიჭრა. ჩემს უკან ყვირილი გაისმა – მოკლეს, მოკლეს!... ირგვლივ ჯოჯოხეთი იყო. ტყვია ყველგან გვეძებდა, ვცდილობდით სკამების ქვეშ შევმძვრალიყავით, მაგრამ მხოლოდ თავებს ვაფარებდით ერთმანეთს. მოულოდნელად ავტობუსის უკანა მხარეს ყვირილი ატყდა. თურმე მანდილოსნები მსხდარან. არ ვიცი ვინ იყვნენ,

ოღონდ მათი წყალობით კი გადავრჩით: – არ ისროლოთ ბიჭებო ეხვეწებოდნენ ჩვენს გვარდიელებს (თქვენ თუ შეწყვეტთ სროლას, ისინიც გაჩერდებიანო). მართლაც, სროლა ორივე მხრიდან შეწყდა. მინებჩამსხვრეული ფანჯრებიდან გადახტომა დავიწყეთ. გავრბოდით ქუჩის სხვადასხვა კუთხეში. ბოლოს, ვინც ცოცხალი გადავრჩით, ყველამ ერთ ეზოში მოვიყარეთ თავი. გადავწყვიტეთ გათენებას დავლოდებოდით, დილით ეზოში შეიარაღებული ახალგაზრდები შემოცვივდნენ და დაგვატყვევეს. მე, უზენაესი საბჭოს თავჯდომარის მოადგილე და საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავჯდომარე ერთად წაგვიყვანეს შტაბში, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის შენობაში იყო მოწყობილი. იქ დაგხვდა ნაცემი დეპუტატი მერაბ კიკნაძე, „დემოკრატიული ოპოზიციის“ ცნობილი წარმომადგენლები, სამხედრო პირები, ნაცნობები და უცნობები. სახელდახელო ტელეინტერვიუს თუ ტელესასამართლოს შემდეგ დიღმის იზოლატორში გაგვისტუმრეს. გაჩხრეკვის, გასაუბრებისა და ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ ცალ–ცალკე მოგვათავსეს საკანში, მეორე–მესამე დღეს დამიბარა პროკურორმა. ამის შემდეგ გამომიშვეს სახლში.

ეს არის მოკლე, მძიმე ისტორია იმ შემზარავი ტრაგედიისა, რომელიც საქართველოს „დემოკრატიულმა საზოგადოებამ“ მოუწყო საკუთარ ხალხს, კანონიერ ხელისუფლებას და რომლის ირგვლივაც კიდევ ბევრი რამ დარჩა სათქმელი.

ირინე ტალიაშვილი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, მწერალი.

თვითმხილველის ჩანაწერები

3 და 7 იანვრის მომიტინგეთა ულტრაფშისტური დახვრეტების შემდგომ, თბილისში კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მხარდამჭერმა საზოგადოებრიობამ კვლავ განაახლა ხუნტის საწინააღმდეგო საპროტესტო მიტინგები ვაგზლის მოედანზე:

22–23 იანვარს ვაგზლის მოედნიდან დაძრულ მრავალათასიან მომიტინგეებს ხუნტამ კვლავ აგვიტეხა სროლა მეტრო „რუსთაველთან“, რომელიც წინასწარ იყო გადახერგილი ავტობუსებით. შეიარაღებული გვარდიელები და მხედრიონელები, ავტობუსების მეორე მხრიდან ცეცხლს გვიხსნიდნენ და გვესროდნენ „კვამლის კოჭებს“. მომიტინგეთაგან „მოიტაცეს“ 2 ქალი და ერთი კაცი, რომლებიც ცემითა და თრევით

წაათრიეს მეცნიერებათა აკადემიის შენობისაკენ, სადაც იყო ხუნტის შტაბ-ბინა. მათ ყოველ გასროლას მანიფესტანტები ტაშის ცემითა და „ყოჩაღ!“–ის ირონიული შეძახილებით ვპასუხობდით. გვესროდნენ მანამ სანამ უკუქცევის გადაწყვეტილება არ მივიღეთ, უკუქცეული მანიფესტანტები ვსკანდირებდით: „გაუმარჯოს კანონიერ პრეზიდენტს!“ „ძირს ხუნტა!“ „ფაშისტები, ფაშისტები!“ ხოლო რესპუბლიკის გამომცემლობა „სამშობლოსთან“ (ყოფილი ცკ–ს გამომცემლობა) კვლავ შევჩერდით შეძახილებითა და მოწოდებებით: „სიმართლე! სიმართლე!“

შენობაში გამომწყვდეული ჟურნალისტების დიდი უმრავლესობა თანაგრძნობითა და სოლიდარობით გვიკრავდა ტაშს და ხელებს უძლურად შლიდნენ, რითაც მიგვანიშნებდნენ – უუფლებონი ვართო.

მანიფესტანტები კოსტავას ქუჩით ვბრუნდებოდით ვაგზლის მოედნისაკენ. გმირთა მოედანთან მიახლოებულებს „ფიქრის გორიდან“ (თაბუკაშვილების სახლის ფერდობიდან) გვარდიელებმა სროლა კვლავ აგვიტეხეს.

24 იანვარს მომიტინგეები ვაგზლის მოედნიდან გავემართეთ ნაძალადევის რაიონისაკენ ცოტნე დადიანის ქუჩით. №1 სამშობიარო სახლთან ხუნტამ სროლა აგვიტეხა. შეშინებული ხალხის მცირე ნაწილი შემოგვეცალა, ხოლო დიდმა ნაწილმა, დიდუბის გადაკვეთით, დიღმის მასივში მილიციის სამმართველოსაკენ ავიღეთ გეზი. დიდუბეში მაუდ–კამვოლის კომბინატთან კვლავ გაიმეორეს სროლები. ჩვენ მაინც მამაცურად განვაგრძეთ გზა წინ. მილიციის სამმართველოსთან მოვითხოვეთ მოშიმშილეების (რომლებიც მხეცურად დაარბიეს და დააპატიმრეს 20–21 იანვარს ვაგზლის ვესტიბიულში) და პოლიტპატიმარ დეპუტატების – აბსანძისა და გელანტიას – გათავისუფლება.

25 იანვარს ვაგზლის მოედნიდან დაიძრა დაახლოებით 15–ათასიანი მანიფესტაცია აღმაშენებლის გამზირისაკენ. ვარანცოვის ხიდთან გვარდიელებმა სატვირთო მანქანებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით გზა გადაგვიკეტეს და პირდაპირ ხალხისაკენ ავტომატმომარჯვებულებმა, მუქარით: „გესვრით!“ გვაიძულეს გავფანტულიყავით.

26 იანვარს ვაგზლიდან საბურთალოს მიმართულებით დაძრულ მანიფესტანტებს ტაშკენტის ქუჩაზე სროლა აგვიტეხეს. დაიჭრა რამდენიმე, დააპატიმრეს ზოგიერთი მომიტინგე (დაჭრილ–დაპატიმრებულთა ვინაობის დადგენა, უმეტეს შემთხვევაში ჩვენგან დიდხანს ვერ ხერხდებოდა, ვინაიდან გაშმაგებული გვარდიელები დაჭრილებს თვითონვე იტაცებდნენ, რომ არ მოგვეხდინა მათი ფიქსაცია).

29 იანვარს 30–ათასიანი მანიფესტაცია, აღმაშენებლის გამზირით

გაემართა კოლმეურნეობის მოედნისაკენ. შეიარაღებულმა გვარდიელებმა ორჯერ გადაგვიკეტეს გზა ჯავშანტრანსპორტიორებითა და სატვირთო მანქანებით, მაგრამ ვიწრობით მაინც გავაღწიეთ კოლმეურნეობის მოედნისაკენ. თავისუფლების მოედანთან მიახლოებულებს ჯავშანტრანსპორტიორიდან გაგვიხსნეს ცეცხლი, სროლა ნახევარ საათს გაგრძელდა. სახანძრო მანქანებიდანაც წყლის ჭავლი მოგვიშვეს.

30 იანვარს მთავრობის შენობასთან (ინგოროყვას ქუჩა) მომიტინგეებს, სასახლის ფანჯრებიდან წყლის მძლავრი ჭავლი მოგვიშვეს, დიდხანს მაინც არ დავშლილვართ, ვყვიროდით: „გადადექით! გადადექით!“ „ძირს ხუნტა!“ „შევარდნაძე იუდა!“

31 იანვარს მრავალათასიანი მომიტინგეები ვბრუნდებოდით მთავრობის სასახლიდან, სადაც ერთსაათიანი მიტინგი გავმართეთ. დაბრუნებულებს ცირკის გორიდან სროლა აგვიტეხეს. ასევე რამდენჯერმე გვესროლეს აღმაშენებელის პროსპექტთანაც უცხოური მარკის მანქანებიდან. არავინ დაჭრილა (მსგავსი სროლები მიზნად ისახავს ჩვენს დაშინებასა და ტერორიზებას).

1 თებერვალს გაიმართა, დაახლოებით სამასი ათასიანი მიტინგი-მანიფესტაცია. მანიფესტანტებს, მთავრობის სასახლესთან შემოგვერივნენ ე. წ. კონგრესის წევრები, რომლებიც შეეცადნენ აგიტაცია-პროპაგანდის გაწევას თავიანთი პარტიებისა. ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნულ–დამოუკიდებლობის პარტიის წევრები მომიტინგეებს ხელიდან გლეჯდნენ პრეზიდენტ გამსახურდიას სურათებს. „რად გინდათ ეს სატანა. სიგუა–კიტოვან–იოსელიანი სისხლიანია, არჩევნებში ჩვენ მოგვეცით ხმაო“, გვარიგებდნენ. აგრესიულობითა და ღვარძლით გამოირჩეოდა ეროვნულ-დემოკრატიული (ჭანტურია) პარტიის წევრები. ხალხმა არ ისურვა მათი მოსმენა, რამაც გააღიზიანა ისინი და გინებასა და ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადავიდნენ, რითაც ლამის პროვაკაციაზე წამოაგეს პრეზიდენტის მხარდამჭერები.

2 თებერვალს ჯალათმა კიტოვანმა სასტიკად დაარბია 400-ათასიანი მიტინგი. მისმა გვარდიამ, ჯერ ცირკის გორიდან აგვიტეხა სროლა და იქვე დახვრიტეს 3 მომიტინგე, მანიფესტანტებმა მიმართულება შევცვალეთ და აღმაშენებლის გამზირით განვაგრძეთ სვლა. მარჯანიშვილის ქუჩაზე მომწყვდეულ მანიფესტანტებში შემოგრიალდა ჯავშანტრანსპორტიორები და იწყეს ადამიანთა დაუზოგავი ხვრეტა. ხალხმა სადარბაზოებსა და ეზოებს მიაშურეს. გვარდიელები მონადირეებივით დასდევდნენ მათ და ავტომატების ჯერით ცელავდნენ. არაზუსტი მონაცემებით დახოცეს და დაჭრეს 40 კაცი.

3 თებერვალს უნივერსიტეტის ეზოში შეკრებილ მომიტინგეებს სროლა აგვიტეხეს, რითაც ჩაგვიშალეს მიტინგის ჩატარების მცდელობა.

13 თებერვალს ვაგზლის მოედნიდან, მომიტინგეები კვლავ ჯავშანტრანსპორტიორებითა და ავტომატების სროლით გაგვრეკეს.

2 მარტს უნივერსიტეტის ეზოში მიტინგი კვლავ იარაღის ძალით იქნა დარბეული.

9 მარტს ასევე იარაღის ძალით დაარბიეს მიტინგი ვაგზლის მოედანზე.

31 მარტს, უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტთა ძალებით უნდა ჩატარებულიყო მიტინგი, მილიციამ და ნეოკომკავშირელმა სტუდენტებმა (გიორგი მაისურაძემ, გიგა ბოკერიამ, გოკა გაბაშვილმა და სხვებმა) სასტიკად დაარბიეს სტუდენტი მომიტინგეები. დაიჭირეს და ცემეს რამდენიმე სტუდენტი, ბევრი მათგანი დააპატიმრეს. ამავე დღეს ასევე დაარბიეს მიტინგები ვაგზლის მოედანზე და თავისუფლების მოედანზე, ბეტერეებით გვსდიეს.

7 აპრილს სამედიცინო ინსტიტუტთან „9 აპრილის“ დღეებისადმი მიძღვნილი მიტინგი კვლავ მილიციისა და ნეოკომკავშირელი სტუდენტების ძალით იქნა დარბეული.

8 აპრილს იგივე გაიმეორეს მომიტინგე სტუდენტებისა და მოქალაქეების მიმართ. ცემეს და დააკავეს მრავალი მათგანი, დაახლოებით 30–მდე კაცი.

7 აპრილს, 7 საათზე მეტრო დელისთან, სამედიცინო ინსტიტუტთან გამართულ მიტინგიდან წამოსულ ჟურნალისტს ნაირა მახაშვილს (გაზეთ „შარავანდის“ თანამშრომელს, რომელიც ამ სამსახურიდან 2 დღის წინ გაათავისუფლა ამ გაზეთის რედაქტორმამა მწერალმა გურამ ფანჯიკიძემ, თავს დაესხა 5 შეიარაღებული პირი, რომლებმაც ჟურნალისტს მოსთხოვეს პასპორტი, ამ უკანასკნელს იგი არ აღმოაჩნდა, რის შემდეგ აიძულეს ჩაჯდომოდა მათ მანქანაში. მანქანაში ჩაჯდომისთანავე ორმა მათგანმა მას თავში ჩაარტყა. ჟურნალისტმა სიტყვით გამოხატა პროტესტი ამგვარი მოპყრობის გამო, რაზეც მათ შეუტიეს: – „შენ თავი მიტინგზე ხომ არ გგონიაო!...“ და კვლავ ჩაარტყეს სახეში, ნახევრად გონწასულმა იგრძნო რომ მანქანა მიქროდა. იგი (მისი ვარაუდით) მიიყვანეს კომენდატურაში, გაუჩხრიკეს ჩანთა, ამოაცალეს ტელეფონების წიგნაკი და კვლავ დაუწყეს ცემა ყოველგვარი ბრალდების გარეშე. ცემეს გონის წასვლამდე, გონწასული შეაგდეს კამერაში. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ გამოათრიეს კამერიდან, გაიყვანეს გარეთ, კვლავ ჩააგდეს მანქანაში და მიიყვანეს თავისი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან, რის შემდეგ ისინი მიიკარგნენ. ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ მას მათთვის

მისამართი არ დაუსახელებია, იგი არც უკითხავთ მისთვის, გადმოყვანის დროს ჰკითხეს მხოლოდ საცხოვრებელი სართულის ნომერი.

მახაშვილი ერთი თვის განმავლობაში იყო ავად ტვინის შერყევით, ყელზე და სახეზე აღენიშნებოდა სისხლჩაქცევები, მკურნალობდა კერძოდ, რადგან ეშინოდა საავადმყოფოში დაწოლის.

10 მაისს, რუსთაველის ძეგლთან დანიშნული იყო მორიგი მიტინგი. სახელმწიფო საბჭომ რუსთაველზე გააჩერა მეტროს მოძრაობა. მეტროს მიმდებარე ტერიტორიები სავსე იყო „დუბინკებიანი“ მილიციელებით (დაახლოებით 1000-მდე მილიციელი) და პოლიციის ბეტეერებით (10-მდე ბეტეერი). მომიტინგეებს აქ არ მოგვცეს მიტინგის ჩატარების საშუალება. ჩვენ უნივერსიტეტისაკენ დავიძარით. მილიციელებმა დაგვასწრეს და ცოცხალი ჯაჭვით გადაკეტეს უნივერსიტეტის ეზო. შევჩერდით ჩაის სახლთან, სადაც მოკლე სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის პროფესორი თენგიზ კიკაჩეიშვილი, რომელიც პატიმრობიდან 2 დღის გათავისუფლებული იყო (იგი, დაკავებიდან მე-4-ე დღეს გაათავისუფლეს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების საპროტესტო ძალისხმევით). მილიციელებმა მას წაართვეს მეგაფონი. აგვიტეხეს სროლა, დაიჭრა რამოდენიმე მომიტინგე. გაჩაღდა ნადირობა მომიტინგეებზე, დაიჭირეს და სასტიკად ცემეს მრავალი.

18 მაისს ეროვნულ-გამანთავისუფლებელმა მოძრაობამ კვლავ სცადა მიტინგის ჩატარება მეტრო რუსთაველთან, მაგრამ მილიციამ გამოიყენა ავჩარკა ძაღლები, მოგვისიეს ისინი, რითაც ჩაგვიშალეს მიტინგის ჩატარების მცდელობა.

26 მაისს ჩავატარეთ მიტინგი ფილარმონიასთან 13-საათზე. შეიკრიბა დაახლოებით 20-ათასამდე კაცი. მომიტინგეებს ეკავათ პრეზიდენტ გამსახურდიას სურათები და ინგლისურ-ქართულენოვანი ტრანსპარანტები: „შეწყდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა“, „ძირს შევარდნაძის დიქტატურა!“ „მოვითხოვთ კანონიერი ხელისუფლების აღდგენას“, „ძირს ხუნტა!“ „ბოიკოტი ხუნტის არჩევნებს!“

მიტინგის დამთავრების შემდეგ დავაპირეთ სვლა მერაბ კოსტავას სახლისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს ოფიციალურად მოხსნილი იყო კომენდანტის საათი და საგანგებო მდგომარეობა, მილიციამ და მხედრიონმა მანიფესტანტებს მაინც ავტომატების ცეცხლი გაგვიხსნეს, დაგვიხიეს ტრანსპარანტები. რუსთაველის პროსპექტიდან მანიფესტანტებისაკენ მთელი სისწრაფით გამოქანდა რამდენიმე მსუბუქი ავტომანქანა, ხალხმა ძლივს მოასწრო „დერეფნის“ გაკეთება. გაავებული მხედრიონელები ნადირობდნენ ქალებზე და სასტიკად ცემდნენ მათ.

ცემეს, აგრეთვე ერთ–ერთი ფოტოკორესპონდენტი, დაუგლიჯეს ფირი.

ასე ესროლა საქართველოს თავისუფლებას ე. წ. მთავრობამ ფილარმონიასთან, ხოლო სასტუმრო „ივერიასთან“ კი თავად ფარისევლურად ზეიმობდა 26 მაისს მის მასონ მეგობარ ჯეიმს ბეიკერთან ერთად.

24 ივნისს სახელმწიფო საბჭომ (შევარდნაძე-სიგუა-იოსელიანი) მოაწყო ავანტიურისტული თავდასხმის ინსცენირება ტელევიზიასა და ტელეანძაზე, რითაც პროვოკაციაზე წამოაგო პრეზიდენტის მხარდამჭერები. ისინი, დეპუტატებთან ერთად შეიტყუეს ტელევიზიაში. დეპუტატ ვალტერ შურღაიასა და უნივერსიტეტის სტუდენტ ეკა ხერხეულიძეს რადიოთი გააკეთებინეს მოწოდება მოსახლეობისადმი, რომ თითქოს მათ უსისხლოდ აიღეს ტელევიზია, ყველანი გავერთიანდით და მოდით ტელევიზიასთანო. გულუბრყვილო ხალხის მცირე ნაწილი შევიდა ტელევიზიის შენობაში (დიდი ნაწილი დაეჭვდა და ტელევიზიაში შესვლაზე თავი შეიკავა), მათ იქ დაახვედრეს ავტომატები და მოუწოდეს შესაძლო წინააღმდეგობის შემთხვევაში ხელში აეღოთ იგი, რათა თავი დაეცვათ. რამოდენიმე წუთში გარედან მართლაც ატყდა სროლები, გამოჩდნენ შეიარაღებული ხალხით სავსე ვერტმფრენებიც. რამოდენიმე საათის შემდეგ მხედრიონელებმა შტურმით აიღეს“ტელევიზია, თუმცა მათ შიგნიდან შეიარაღებულ წინააღმდეგობას არავინ უწევდა (სროლები იყო მხოლოდ ერთმხრივი, გარედან). ტელევიზიაში მომწყვდეული პრეზიდენტის მხარდამჭერები და თვით ვალტერ შურღაია და ეკა ხერხეულიძეც დააპატიმრეს.

26 ივნისს დიდუბის პარკში, ხუნტის შინაგანმა ჯარმა იარაღის ძალით დაარბია იქ შეკრებილი კანონიერი პრეზიდენტის მომხრეები (200-მდე კაცი) და დაიჭირეს რამოდენიმე მათგანი. მათ ბრალი დასდეს, რომ თითქოს 24 ივნისს ისინიც იყვნენ ტელევიზიაში შესულნი იარაღით ხელში.

16 სექტემბერს, 18 საათზე, რუსთაველის მოედანზე ჩატარდა მცირერიცხოვანი მიტინგი აფხაზეთის ამბებსა და მომავალ 11 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით. მიტინგი 15 წუთის შემდეგ დაარბიეს ხელკეტებიანმა და იარაღიანმა შიანაგანი ჯარის ნაწილებმა. დააკავეს რამოდენიმე მომიტინგე: თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი მორის მუსერიძე, მისი შვილი, უნივერსიტეტის ასპირანტი მამუკა მუსერიძე, ფილ. მეცნ. კანდიდატი ეთერ მგალობლიშვილი, გელა დავითაია და სხვები. თავდამსხმელები შეიჭრნენ მერაბ კოსტავას სახლ–მუზეუმში, სადაც თავი შეაფარეს გაქცეულმა მომიტინგეებმა და მიუხედავად კოსტავას დედის, ქალბატონ ოლიას საპროტესტო წინააღმდეგობისა, ისინი მაინც დაჯირ-

ითობდნენ ოთახებში, ეჯაჯგურებოდნენ კარებს და ძალით გამოჰყავდათ ხალხი. ამ თავხედობას ვერ გაუძლო ისედაც დაუძლურებული ქალბატონი ოლიას გულმა და იგი ცუდად შეიქმნა.

ოპოზიციას არ გვეძლევა არანაირი საშუალება (გვიხურავენ და გვირბევენ გაზეთებს, გვიჭერენ პროკლამაციის გავრცელებისთვის, ტელევიზიასა და რადიოში გამოსვლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია) არჩევნების წინა დღეებში მაინც გავწიოთ არჩევნების ბოიკოტირების პროპაგანდა და გამოვთქვათ ჩვენი თავისუფალი აზრი, ქვეყანაში მძვინვარებს ტერორი და წითელი ფაშიზმი. აი, რა გზით ცდილობს დაკანონებას ედუარდ შევარდნაძე, რამეთუ იცის სხვაგვარად, ანუ დემოკრატიულად ვერ დაკანონდება.

ლეილა ცომაია

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ
პროკურორს ბატონ ***ჯამლეტ ბაბილაშვილს***

იგორ ჟორჟის ძე თოლორდავას

განცხადება

მე, იგორ (იურა, ჰუსეინა) ჟორჟის ძე თოლორდავა, ექს–პრეზიდენტის გვარდიის წევრი, გასამართლებული ვიყავი სისხლის სამართლის 65–78 მუხლებით, გასამართლებული ვიყავი უზენაესი სასამართლოს მიერ. 45–მუხლის საფუძველზე, შემეფარდა 4-წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც სრულად მოვიხადე 1997 წ. 1 დეკემბერს. განთავისუფლების შემდეგ 1998 წ. 17 თებერვალს დამაკავეს ტყვია-წამლის უკანონოდ შენახვის ფაქტზე, დაკავებული ვიყავი თვენახევრის განმავლობაში. ქალბატონ ელენე თევდორაძის და ბატ. კახა ჯიქიას თხოვნით და შუამდგომლობით გამანთავისუფლეს თავდებით და პირობით სასჯელად შემიფარდეს ორი წელი.

მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს დღის 3 საათზე ქ. ზუგდიდში ენგურ ქაღალდ კომბინატის ტერიტორიაზე ჩემთვის უცნობმა პირებმა, რომლებიც აღმოჩნდნენ ზუგდიდის შ. ს. სამმართველოს თანამშრომლები დამაკავეს და წამიყვანეს სამმართველოს სამორიგეო ნაწილში. დაახლოებით ერთ საათში მოვიდა ჩემთვის უცნობი პიროვნება და გამაცნო

თავი, როგორც გალის პროკურატურის სტაჟიორ გამომძიებელი ქირია, რომელმაც განაცხადა, რომ მე იგორი ჟორჟის ძე თოლორდავა ეჭვმიტანილი ვარ გალის რაიონის სოფ. საბერიოში პოლიციის ქვეგანყოფილებაზე თავდასხმაში, რომელიც მოხდა ხუთი უცნობი პირის მიერ 1993 წ. აპრილში. ამ თავდასხმის დროს უცნობ პირებს პოლიციის თანამშრომლებისთვის წაურთმევიათ პისტოლეტი, ავტომატური იარაღი და „უაზის" ტიპის ავტომანქანა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ყოფილა აღძრული საქმე იმავე წლის აგვისტოს.

1993 წ. 1 დეკემბერს მე დამაკავეს პოლიციის მუშაკებმა საკუთარ სახლში. წელიწადი და შვიდი თვე ძიებაში ვიყავი, ჩემს საქმეს იძიებდა საქართველოს გენერალური პროკურატურა, განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი ბატ. ანზორ ხვადაგიანი. ჩემი დაპატიმრების შესახებ გადაიცა ცენტრალური ტელევიზიით, რადიოთი და საინფორმაციო საშუალებებით, მთელმა საქართველომ იცოდა ჩემი დაპატიმრების შესახებ. თუ ჩემს მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც მაბრალებენ 240–III 243–III მუხლებით, რატომ არ განაცხადეს. მე სასამართლოს მსვლელობის დროს ყველაფერი ვაღიარე და რა აზრი ჰქონდა ჩემთვის ამ საქმის დამალვას, სულერთია რაც მომისაჯეს იმაზე მეტს მაინც არ მომისჯიდნენ. მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ეს არის ჩემს წინააღმდეგ წინასწარ შეთითხნილი ბრალდება, საარჩევნო პერიოდთან დაკავშირებით.

პატივისცემით ი. თოლორდავა
26.X. 1999 წ.

განცხადება

ა. წ. 13 თებერვალს მე, ეკატერინე დადიანი დამაკავეს ვაგზლის მოედნის მეტროსთან, სადაც უნდა ჩატარებულიყო მიტინგი.

კომენდატურაში მომისაჯეს 30 დღით პატიმრობა და წამიყვანეს დროებითი დაკავების იზოლატორში, მომათავსეს მე-9 საკანში, სადაც დავყავი 16 დღე.

ე. დადიანი
3.04.1992 წ.

განცხადება

1991 წლის 22 დეკემბერს, ხუნტამ კორუმპირებული ინტელიგენციის, რუსეთის ჯარის, ხელმოცარული პოლიტიკოსების გამოყენებით, მათი მოსყიდვით, საქართველოში მოაწყო სამხედრო გადატრიალება. 1991 წლის 22 დეკემბერი ჩვენი ერის ისტორიაში შევა ღალატის, დაუნდობლობის, სიბოროტის, უზნეობის თარიღად. დღეს – გლოვის, ძმათაშორის ომის, ძმათა სისხლისღვრის, ქვეყნის განადგურების წლისთავია. გასული წლის ამ შავი დეკემბრის დღიდან დაიწყო ქართველ ვაჟკაცთა გეგმიური განადგურება. კლავდნენ უიარაღო გვარდიელებს, მომიტინგეებს, დეპუტატებს, ქალებს... 22 დეკემბერს ქაშვეთიდან ნასროლმა ყუმბარამ კარავში მოსპო მოშიმშილე აველინა პერტია, დეპუტატი არკადი მარკოზია თავისუფლების მოედანზე დაცხრილეს, უზენაესი საბჭოს წინ დახვრიტეს პრეზიდენტის მხარდაჭერისთვის არჩილ რამიშვილი, ციცინო ქევხიშვილი, გიზო ხატიაშვილი, დათო ხელაშვილი და ათობით ვაჟკაცი. 23 დეკემბერს, დაჭრილების გამოყვანის დროს, კავშირგაბმულობის შენობასთან მოკლეს ვარაზ ვარაზიშვილი, 3 იანვარს სასტიკად დაარბიეს მიტინგი მეტრო „დიდუბესთან“, სადაც დახვრიტეს 21 წლის გივი რეხვიაშვილი, 51 წლის ტრისტან ცერაძე, 21 წლის ლევან თაქთაქიშვილი და 21 წლის კახა არსენიძე. 2 თებერვალს 200 000-იანი მიტინგის დარბევისას დაჭრეს და დახოცეს ასამდე ახალგაზრდა, მოხუცი, ბავშვი, ესროლეს მიტინგის მედროშეს 17 წლის მამუკა ტერიშვილის, დახვრიტეს ჯვარი... იმ დღეს დახვრიტეს რჯულის კანონიც და რწმენაც. „დემოკრატიული“ პრესა დუმდა, არსად არ იყო ხსენება დაღუპულთა გმირების.

უზომოა და უზარმაზარი ხუნტის დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე, ეროვნული მოძრაობის განადგურებაში, ტერორისა და განუკითხაობის დამკვიდრებაში. თბილისის ომის, ახალგაზრდობის განადგურების, ღირსებისა და ზნეობის შელახვის, თბილისის დანგრევის შემდგომ, ხუნტამ დაიწყო მთელი საქართველოს დარბევა. ძაძებით შემოსილი ქვრივები, განადგურებული დედები, დანგრეული ოჯახები, ავაზაკთა თარეში, სისასტიკე „მხედრიონელებისა“ და გვარდიელებისა ზუგდიდში და ფოთში, წალენჯიხასა და ხობში... დედების თვალწინ ხოცავდნენ შვილებს, მამებისა და ქმრების წინაშე აუპატიურებდნენ მცირეწლოვან გოგონებსა და ცოლებს, შემდეგ კი კლავდნენ, ითხოვდნენ გამოსასყიდს მიცვალებულთა გვამებისათვის...

კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ სახელმწიფო საბჭომ ძალაუფლების ხელში ჩაგდების დღიდან სისხლის გუბეები დააყენა სრული-

ად საქართველოში, ააწიოკა და გაანადგურა თითქმის ყველა რეგიონი. სახელმწიფო საბჭოს მესვეურებმა სრული კრახი განიცადეს სამაჩაბლოში, დასავლეთ საქართველოში, მაგრამ გადადგომის ნაცვლად მათ ახალი დანაშაული ჩაიდინეს – დაიწყეს ომი აფხაზეთში, ფრონტის წინა ხაზზე იღუპება ახალგაზრდობა, „მხედრიონელები“ და „სამშობლოს დამცველი“ გვარდიელები მოსახლეობის ძარცვა–გლეჯასა და მომიტინგეების ჟლეტას შეუდგნენ. ასე მოკლეს ოჩამჩირეში გენო სამუშია, ცოცხლად დაწვეს მისი მეუღლე, დახვრიტეს მეზობლების საშველად მოსული მამა–შვილი გვარამიები.

ნიშანდობლივია, რომ პოლიტიკურად და მორალურად დამარცხებული სახელმწიფო საბჭოს წევრები ქართველების განადგურების შემდეგ თითქმის სრული შემადგენლობით პარლამენტში აგრძელებენ „მოღვაწეობას“.

აივსო მოთმინების ფიალა, გასკდა საგულეში ამომწვარი გული, კვნესის საქართველო, გლოვობს ქართვლის დედა. ერის უდიდესი ნაწილი გმობს ხელისუფლების დიქტატურას, რომელიც არ გამოხატავს ხალხის ინტერესებს და აგრძელებს ბინძურ ომს აფხაზეთში.

ჩვენ, დაღუპულ ქართველთა ვაჟკაცების დედები, მოვითხოვთ ეროვნული გენოფონდის დაცვას, უზნეობისა და უკანონობის დაგმობას, ახალგაზრდობის გადარჩენას, აფხაზეთის ომის შეწყვეტას.

მოუშუშებელია ჩვენი ჭრილობა შვილების დაკარგვის გამო, მაგრამ გაცილებით უფრო დიდია ტკივილი საქართველოზე.

ჩვენ მოვუწოდებთ ქალებს, დედებს, დებს, შვილებს, მთელ ერს იმოქმედონ და იფიქრონ ერის გადარჩენაზე.

ჩვენ შურისძიება არ გვამოძრავებს, უზომო ტკივილის მიუხედავად ჩვენ შეგვიძლია შევუნდოთ შეცდომილ ძეთ, რომლებმაც იარაღი აიღეს ხელში, მაგრამ ვერ შევუნდობთ ჯალათებს, ვინც საქართველოში სასაკლაო მოაწყო.

ქვეყნის, თავისუფალი საქართველოს აშენება სისხლიანი ხელებით შეუძლებელია. ჩვენ, ჩვენი შვილების წმინდა სახელების წინაშე, ვალდებულები ვართ მოვითხოვოთ უკანონობისა და სიბოროტის ალაგმვა. განისაჯონ და დაისაჯონ ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები ძმათა სისხლისმღვრელი ომისა საქართველოში, რომელიც ერთი წლის წინ დაიწყო და საქართველოს მრავალი რაიონი მოიარა. სისხლიანი ქორწილი გამართა გაგრაში, ოჩამჩირეში, სოხუმში. ომი დღესაც გრძელდება. შიმშილი, დარბევა, დასმენა, ღალატი მოადგა ყველა ქართველის კარს.

დედებო, ამოიღეთ ხმა! დაიცავით თქვენი შვილები, გადაარჩინეთ

ისინი, იფიქრეთ საქართველოს მომავალზე! ილოცეთ, ღმერთი შეისმენს დედათა ლოცვას.

შაოსან დედათა კომიტეტის სახელით **კლარა შედანია.**

1992 წლის 22 დეკემბერი.

წითელი ეშმაკუნები

მე-19 საუკუნის დასაწყისში სოციალ-დემოკრატები ქუჩა-ქუჩა დარბოდნენ, ხალხს ძარცვავდნენ და ტყეში იმალებოდნენ. მე-19 საუკუნის 20-30-იანი წლებიდან. შეიარაღებული რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოვიდნენ, კოსტიუმები მოირგეს, ჰალსტუხები გაიკეთეს და კაბინეტებში დასხდნენ. მათ არაფრის ცოდნა არ ევალებოდათ, მხოლოდ სათავეში მყოფი ფუნქციონერის დავალება პირნათლად უნდა შეესრულებინათ. დიპლომებსაც ფორმალურად იღებდნენ, ე.წ. ჩაწყობები სანიმუშოდ მოქმედებდა და პარტიის წევრს უარს დიპლომზე ვინ ეტყოდა? მოკლედ, გადავხედოთ „დიდი პოლიტიკოსის“ წარსულის ისტორიას. ამბობენ საფერშლო ძლივს დაამთავრა და სამედიცინოზე აპირებდა სწავლის გაგრძელებას, მაგრამ იმ ცოდნით ცხონებულმა პეტრე გელბახიანმა არ დაუშვა. მოყვანილი ფაქტიც ადასტურებს, რომ მაღალ თანამდებობებზე წინაურდებოდნენ არა ცოდნის მიხედვით, არამედ კომუნისტური პარტიის ერთგულების ნიშნით. დიპლომის აღებაც ნებისმიერისათვის, ვისაც ფული ჰქონდა ადვილი იყო, ე.წ. ჩაწყობა კარგად ჭრიდა და დიპლომებს კრიმინალებიც ფლობდნენ. ამგვარად კრიმინალები ინტელიგენციას შეერწყა და მწერლები თუ სხვა დარგის ხელოვანები გახდნენ, მაგალითად ჯაბა იოსელიანი. დღეს საბჭოთა კავშირის ყოფილ ტერიტორიაზე მსგავს კლანებს შორის მიმდინარეობს ჭიდილი მხოლოდ ქონებისათვის. გადის წლები, იცვლებიან ხელისუფლების წარმომადგენლები, მაგრამ შექმნილი მახინჯი სისტემა უცვლელი რჩება. ხელისუფლების სათავეში კი მოდიან ან იარაღით, ან სიცრუე-ეშმაკობით.ზვიადის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი, სახელმწიფოს მშვიდობიან გადასვლას სწორ რელსებზე. მისი დამსახურება რომ გაექარწყლებინათ, წითელი ეშმაკუნები რას არ უგონებდნენ, „რუსეთს ლანძღავდაო“. უვიცებს, ლანძღვა და მხილება ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიათ. მისი ბრძოლის მეთოდი მხილება იყო და თქვენი ჭკუით, გულში უნდა ეჩურჩულა რა დანაშაულსაც რუსეთის იმპერია სჩადიოდა? „არავინ

არ უნდოდა ქართველების გარდაო“, უსინდისოდ ცრუობდით. ზვიადმა მრავალგზის განაცხადა მიტინგზე. „ჩვენ ყველას მივცემთ მოქალაქეობას, ვინც იარაღით არ დაგვიპირისპირდება, „ჩვენ მჭიდრო კავშირი გვექნება რუს ხალხთან, ჩვენს უშუალო მეზობლებთან.“ ზვიადი ხშირად იმეორებდა „ჩვენ არ ვივლით ბარაბას გზით, ჩვენ ვივლით ქრისტეს გზით“. ახლა ზოგიერთს უკვირს რატომ აღმოვჩნდით ამ დღეში. მინდა ბ-ნ რეზო ამაშუკელს მივმართო. ასე ძალიან რომ გიკვირთ შექმნილი ვითარება, როგორ დავიჯერო თქვენ ვერ მიხვდით, ბარაბას გზით სიარული რომ სიკეთეს არ მოიტანდა? გახსოვთ ალბათ ფილმიდან: „ეს ვარლამის გზაა, იგი ტაძრამდე ვერ მიგიყვანთ“. თუ ვარლამის გზას ვერ მივყავართ ტაძრამდე, შევარდნაძის გზა როგორღა მიგვიყვანდა? ვარლამ არავიძე და ედუარდ შევარდნაძე პროტოტიპები არ არიან? ორივე ფუნქციონერი კომუნისტები არ არიან? რატომ გაუკვირდა ქ-ნ თაკო ჩარკვიანს, როცა მამამისის მთაწმინდაზე დაკრძალვა გააპროტესტეს? დიდი გაწიწმატებით მოუთხრობდა მსმენელს, რომ მამამისი ზვიადის მეგობარი იყოო. რაც მამათქვენმა დამოუკიდებელი საქართველოს წინაშე ჩაიდინა, ავტომატგადაკიდებული ტელევიზიის წინ რომ დააბიჯებდა, ვისკენ იყო ის მიშვერილი? რუსის ჯარისკენ, თუ იმ პიროვნებისკენ, რომელმაც საქართველო ამ ჯარისგან გაათავისუფლა? წითელი ინტელიგენცია დღემდე თვალთმაქცობს, ლოგიკას გვერდს უვლიან და სიცრუეს ათასნაირი ფილოსოფიების მოშველიებით ფუთავენ, რომ საუბარი ლამაზი გამოვიდეს მსმენელის მოსატყუებლად. გუგუშვილო, რომ ბოდავ ზვიადის გამო ოჯახებს აწიოკებდნენო, ბრალი ზვიადს უნდა დასდო თუ ამ ადამიანების ამწიოკებლებს? ზვიადის დევნა მისი პირადი საქმის გამო ხდებოდა? ეს ტვირთი მარტო მას უნდა ეზიდა? მარტო ასეთი შეგნებითაც საკმარისია ნორმალურმა ადამიანმა დასკვნა გააკეთოს, ვინც ბრძანდებით! თუ კიდევ ვინმეს სჯერა თქვენი, მარგველანის და გვანცელაძის გარდა, მალე ისიც მიხვდება თქვენს ვირეშმაკობას. თავს ისე გვაჩვენებთ, რომ თითქოს თქვენ იყავით დიდი „მებრძოლი“ და ზვიადი დამთმობი. იმდენსაც ვერ ხვდები, რომ ზვიადი იარაღით ბრძოლის წინააღმდეგი იყო, თორემ მშვიდობიანი ბრძოლა როდის შეწყვიტა? გადადგომაზე ხელი მოაწერა? თითქოს არ იცი შევარდნაძის ჯალათებმა რატომ აწამეს. შევარდნაძეს ლეგიტიმურობა რომ არ მიართვა, ამიტომ! დამთმობი რომ ყოფილიყო მოაწერდა ხელს „სნგ“-ს ხელშეკრულებაზე და შედეგად მივიღებდით მას, რაც დღეს გვაქვს. ამ უბედურებაში ლომის წილი გაქვთ დადებული და პასუხისმგებლობას ვერსად გაექცევით.ზვიადს მთელი მსოფლიო მაფია ებრძოდა ჩრდილოთიდან თუ დასავლეთიდან. აიტაცეს

ჟურნალისტ ბოლქვაძის მკვლელობა და საპატიო დაფაზე გამოაკრეს მსოფლიოს დასანახად, თითქოს იგი პრეზიდენტის მომხრეებმა მოკლეს. აქაც კარგად სჩანს შიდა და გარე ძალების ჭკუასუსტობა. მას ქობალიას აბრალებენ და აბა ლოგიკას გავყვეთ, რატომ უნდა მოეკლა ქობალიას ჟურნალისტი, რომელსაც სიტუაციის ობიექტური გაშუქება ევალება? ჟურნალისტს მაშინ ერჩიან, როცა სიმართლე არ სურთ საჯარო გახადონ. დაკვირვებული თვალითაც კარგად სჩანს, რომ დაგეგმილი პროვოკაცია იყო. რაც უცხოეთში უსამართლო ომებში ჟურნალისტებს ხოცავენ, რა არის გასაკვირი?! პროვოკატორები ცოტა ჰყავდა პუტჩისტებს? რატომ დარბოდა ნათაძე მთელი ღამე ქუჩაში და რუპორით გაჰყვიროდა, 60 ჯარისკაცი დაიღუპაო, რკონიდან კიტოვანის მიერ გაბრიყვებული გვარდიელების დასახსნელად რომ ოპერაცია ჩატარდა. როცა ჰკითხეს, აბა იმ 60-დან ერთი მაინც გვაჩვენეო, მოიბოდიშა. თქვენ გაქვთ კიდევ ერთი უდიდესი დანაშაული,რაც თქვენმა შეიარაღებულმა ბანდიტებმა მცხეთის გზაზე ნატახტართან ჩაიდინეს. რას ერჩოდნენ პატიოსან ახალგაზრდას პაატა სულხანიშვილს, სიცოცხლეს რომ გამოასალმეს? ყურმოკრული ამბავი რომ არ გეგონოთ, ყველაფერს დაწვრილებით გიამბობთ; პუტჩის შემდეგ „წმინდა ილია მართლის“ საზოგადოების წევრები კარდაკარ დავდიოდით და ვიკვლევდით ვინ სად და რა ვითარებაში დაიღუპა. პაატა სულხანიშვილის დედამ გვიამბო. „ჩემი ვაჟი ეროვნულ მოძრაობაში იყო ჩართული და როცა გაიყვნენ, პრეზიდენტის მოწინააღმდეგეების მხარეზე აღმოჩნდა, მეგობრებს ვერ შეელია, მაგრამ როცა მიხვდა, რომ სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდნენ, ჩამოშორდა მათ. გარეთ საერთოდ აღარ გადიოდა და შემომჩიოდა ჩემი მეგობრები ცუდ გზას დაადგნენ და აღარ მინდა მათთან კონტაქტიო. იმ საბედისწერო საღამოს მოაკითხეს და ნატახტარში მათთან ერთად წასვლა თხოვეს. არ უნდოდა წასვლა, პირდაპირ უთხრა, იარაღით ხართ და არ მინდა მეც შარში გამხვიოთო. დიდხანს უმტკიცეს, ნატახტარში პურის საჭმელად მივდივართ, სხვა არაფერი მიზანი არა გვაქვსო. წაიყვანეს და მეორე დღეს, როცა პრეზიდენტის მომხრე გვარდიელები დასავლეთ საქართველოში მიემართებოდნენ, ნათაძის ბანდიტები გზაზე გადაეღობნენ. პაატამ მათი შეჩერება რომ ვერ მოახერხა, გვარდიელებისკენ ხელებაწეული გაიქცა, ძმებო სროლა არ ატეხოთ, აი ნახეთ მე იარაღი არა მაქვსო“. ბანდიტებმა ზურგიდან მაინც ესროლეს. ამ ახალგაზრდის გარდა კიდევ რამდენი გამოასალმეს მაშინ სიცოცხლეს. ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი ამაზე ბატონო ნათაძე? და რა გულდასაწყვეტია, რომ დღეს გამოჰყავთ და ეროვნულ საკითხებზე ნებას რთავენ ისაუბროს. ზვიადს საყვედურობდ-

ნენ „კადრები ვერ შეარჩიაო“. კადრების ძებნა და ცვლა გზადაგზა უნდა მომხდარიყო, დრო არ სჭირდებოდა? რა საზოგადოებაც თქვენ შექმენით, ზვიადს ის დახვდა ხელისუფლებაში მოსვლისას და ასე უცებ, ექსტრემალურ სიტუაციაში შესაფერის კადრებს ციდან ჩამოკრეფდა? ყველა საპასუხო სამუშაოზე კომუნისტები ბრძანდებოდით და მხოლოდ ფულის კეთებით იყავით დაკავებულნი. უშვებდით კომუნისტებს ციხეში კორუფციისთვის? არა! როგორ შეიძლებოდა პარტიის წევრი ციხეში? რას იტყოდა დასავლეთი? უკიდურეს შემთხვევაში თუ აუცილებელი გახდებოდა კომუნისტის დაპატიმრება, ჯერ იგი პარტიიდან უნდა გაერიცხათ. ადამიანი სამართალს ვერსად პოულობდა და იძულებულნი იყვნენ ქურდებისთვის მიემართათ, ვინც მართლა ეხმარებოდა მათ. სამეგრელოს ამწიოკებელ იოსელიანს ცოლ-ქმარი მიადგა, „ბატონო ჯაბა! მანქანა წაგვართვეს და დაგვეხმარეთო“. უჰ, ეს რა მითხარით, „შეწუხდა“ იოსელიანი, როგორ დაგეხმაროთ, ასეთი შემთხვევა ბევრი გვაქვს და როგორ გამოვიძიებთ, თქვენ თუ გაქვთ ვინმეზე ეჭვი, მაშინ ადვილად დაგეხმარებითო. როგორ არა! აგერ თქვენმა მცველმა წაგვართვა. იოსელიანი თავის მცველს მიუბრუნდა. მოდი ბიჭო აქ! რამდენჯერ გითხარი მაგ საქმეზე რომ წახვალ, ნიღაბი გაიკეთე-მეთქი. იოსელიანი ასე „კანონიერად“ არჩევდა საქმეს. აი, ვის დაანგრევინეთ ქართველის დიდი ხნის ნანატრი დამოუკიდებელი სახელმწიფო. დიდი ილია რუსეთის იმპერიაში ავტონომიას ითხოვდა და მასაც ვერ მიაღწია, ზვიად გამასახურდიამ კი იგი საერთოდ გაანთავისუფლა. თქვენ უდიდესი დანაშაული გაწევთ კისერზე, არა მარტო ქვეყნის, არამედ კავკასიის და საერთოდ ყველა კეთილი ნების ადამიანის მიმართ, როცა ის ნათელი წერტილი ჩაუქრეთ, რასაც შეეძლო მსოფლიო ბნელეთიც კი გაენათებინა. ილიას ლექსი გაიხსენეთ, „იქნებ აკვანში ის ყრმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი, ვისაც დღედაღამ ნატრულობს, ჩუმის ნატვრითა ქართველი“. ოცნება, იმ ყრმის დაბადება აუხდა ილიას, რასაც მე-19 საუკუნეში ნატრულობდა. თქვენ იმ ფესვებზე ხართ ამოსული, ვინც დიდი ილია მოკლა და ახლა ზვიადის მკვლელობით, ილია მეორედ მოკალით, როცა მისი ასრულებული ნატვრა ასე უმოწყალოდ დაასამარეთ. თქვენი დანაშაული უმძიმესია, რაც კი დედამიწაზე დღემდე არსებულა. უსირცხვილოდ იმეორებთ დღესაც „შეცდომებს უშვებდაო“. ზვიადს, ნახევრად ჩაყლაპული საქართველო, გველეშაპის პირიდან მარტოდმარტოს ამოჰყავდა. დემოკრატიული არ იყო ოქტომბრის არჩევნები? დემოკრატიას არ ნიშნავდა რეფერენდუმი? დემოკრატიული არ იყო პრეზიდენტის არჩევნები? გაიხსენეთ რამდენი კანდიდატი მონაწილეობდა მასში. ახლა რამდენს გვთავაზობთ? 2-ს და

ამ ორიდან ერთი უკვე იცის ხალხმა რა წურბელაც არის, უკვე გამოსცადა და იძულებულია მეორე აირჩიოს. ე.ი. ფაქტიურად კანდიდატი მხოლოდ ერთია. აი, ეს არის თქვენი დემოკრატია. თქვენ არავითარი დემოკრატები არა ხართ, კიდევ ერთხელ გამოიცვალეთ კანი და გრიგოლ რობაქიძე რომ გვერდით გვყავდეს, „გველის პერანგის“ გაგრძელებას დაგვიწერდა. საქართველოს პატარა ნაწილში კრიმინალებით გარშემორტყმულ შევარდნაძეს უეჭველი დამარცხება ელოდა, დაუწყო ძებნა რუს სამხედრო პირებს, გამოძებნა ბალტინი და დიდი ქრთამი მიართვა დახმარების საფასურად. როგორც სანდო წყაროები ამტკიცებენ, იგი მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონს ჭადრაკში, ნონა გაფრინდაშვილს გაატანეს და მანაც ფოთში ბალტინს ხელდახელ გადასცა. ქ-ნ ნონა გაფრინდაშვილს მინდა მივმართო! წლების განმავლობაში რომ საჭადრაკო დაფაზე, ხის მეფეს ასე თავდადებით იცავდით მოწინააღმდეგის შემოტევისგან, როცა ქვეყანას, ფიგურულად რომ ვთქვათ, ხორცშესხმული მეფის დაცვა დასჭირდა, თქვენ კვანტი გამოდეთ და სხვებთან ერთად დაამარცხეთ. მომავალი თაობა შეაფასებს თქვენს „ღვაწლს“ და „თავდადებას“ ქართველი ერის წინაშე. კიდევ ერთი საოცარი ფაქტი, მსმენია, ბატონი რობერტ სტურუა „ვეფხისტყაოსანს“ ვერ იტანსო და სპექტაკლის დადგმასაც კი აპირებდა მისი გაცამტვერებისთვის. ბატონო სტურუა! იცით რა მაკვირვებს? თქვენ ეგ ნაწარმოები მე-20 საუკუნეში დაწერილი ხომ არ გგონიათ? იგი მაშინ დაიწერა, როცა მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტმა წერა-კითხვა არ იცოდა და ამასაც ვერ ხვდებით, რა დონეზე ყოფილა განათლება იმდროინდელ საქართველოში. სტროფს ვერ მიაგნებთ „ვეფხისტყაოსანში“, სადაც უდიდესი სიბრძნე და კაცთმოყვარეობა არ გამოსჭვიოდეს. მაშ, თქვენ როგორი ნაწარმოებები მოგწონთ, აღვირახსნილობას რომ უწევენ პროპაგანდას? თუ ისეთი, 1000 სიტყვას რომ წაიკითხავ და იქიდან ერთ აზრსაც ვერ გამოიტან? საბჭოთა კავშირში შემუშავებული ეს „მიმდინარეობა“ ლექსიდან თუ ნაწარმოებიდან აზრების ვერ გამოტანისა, ან არაფრის შესახებ წერისა, უცვლელად გადმოვიდა დღევანდელობაში და მწერლობა მჯღაბნელებს ჩაბარდა. საოცარია, რა შეგნებით გზრდიდათ თქვენი მშობლები, მათთაც ასეთი წარმოდგენა ჰქონდათ კაცობრიობის ამ უდიდეს საგანძურზე? შეუძლებელია, რადგან თუ წაკითხული არა, გაგონილი მაინც ექნებოდათ სხვისგან. სოციალ-დემოკრატების და ბევრი წითელი ინტელიგენტის აზროვნება პირდაპირ თანხვედრილია ერთმანეთთან. არ იქნება ურიგო გავიხსენოთ, რაზე ედავებოდნენ სოციალ-დემოკრატები დიდ ილიას. როცა ბატონ-ყმობა გადავარდა, ილიამ თავისი კუთვნილი მიწები უსასყიდლოდ გადასცა

გლეხებს, როცა სხვები მიწებს ყიდნენ. სოციალ-დემოკრატებმა მაინც მოძებნეს გასაკრიტიკებელი და აი, საგურამოს მამული რატომ დაიტოვაო. მათი აზრით, რადგან ილია მემამულეთა კლასს ეკუთვნოდა, გათანაბრების შემდეგ, გლეხის დონეზეც არ უნდა დარჩენილიყო. მეორეც, საგურამოს მამული მის მეუღლეს, ოლღა გურამიშვილს ეკუთვნოდა და ილიას რა უფლება ჰქონდა მას შეხებოდა? სამწუხაროდ, სოციალ-დემოკრატებმა, შემდეგ კომუნისტებად და ამჟამად „დემოკრატებად“ გარდაქმნილებმა საქმე ისე გაგვიხადეს, მხოლოდ სულელებთან გვიწევს ჭიდილი, მიუხედავად რუსი მწერლის გამონათქვამისა, „ტოლად მიიღე შექება და ცილისწამება და სულელ კაცსა არასოდეს არ შეეჭიდო“.

როცა ეროვნული მოძრაობა დაიწყო, ვერ ვიფიქრებდი რომ ზვიადიც ილიას ბედს გაიზიარებდა. მე-19 საუკუნეში ბევრმა წერა-კითხვა არ იცოდა და მე-20 საუკუნეში, როცა ყოველ მეორეს დიპლომი აქვს, როგორ გაიმეორებენ მე-19 საუკუნის შეცდომას-მეთქი. გაიმეორეს და უფრო მეტი სისასტიკით, ახლა უკვე დიპლომიანმა ყაჩაღებმა. სოციალ-დემოკრატებზე დამყნილო წითელო ეშმაკებო! ერთ საუკუნეში ორი უდიდესი ადამიანის მკვლელობა გაწევთ კისერზე და გგონიათ ეგ შეგრჩებათ? ხომ არ გგონიათ ამ დანაშაულს მარტო ავად სახსენებელ შევარდნაძეს მიაწერენ? ფურთხის ღირსი არა ხართ, როცა გვარგადაკეთებულ, ვიღაც უჯიშო სარიშვილს ტაშს უკრავდით, როცა ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციას მოითხოვდა?

სადაც სარიშვილს ვახსენებთ, იქ შეუძლებელია კომუნისტების რუპორი და საქართველოში ტერორიზმის ფუძემდებელი შევარდნაძე-იოსელიან-კიტოვან-სიგუასთან ერთად, გია ჭანტურია არ გაიხსენო. ზვიადის დაუძინებელი მტერი, რომელიც სხვებთან ერთად სამეგრელოს ტყეებში კვალდაკვალ დასდევდა ზვიადს მოსაკლავად და ხმამაღლა გაჰყვიროდა, „ჩვენ ისე უნდა მოვახერხოთ, ზვიად გამსახურდია, ჩეჩნეთში ცოცხალი ვერ უნდა დაბრუნდესო“. წყეული ჯაბა იოსელიანი ამბობდა, „მე ყოველთვის შემეძლო ზვიად გამსახურდიას მოკვლა, მაგრამ ნათაძემ არ დამანებაო. ეგ რომ ახლა მოკლა, მთაწმინდაზე დაკრძალავენო“. განა ის უთხრა, ადამიანის მოკვლა როგორ შეიძლებაო. არა! მკვდრისაც კი შეშურდა, მთაწმინდაზე რომ დაიდებდა ბინას. თანაც „ახლა არაო“ აი, მერე დასავლეთის მაფიის წინაშე რომ „გავაშავებთო“. მიუხედავად თქვენი მცდელობისა ბატონო ნათაძევ, ზვიად გამსახურდიამ მაინც დაიდო ბინა, სადაც ეკუთვნოდა.

ხშირად გაიგონებთ: მოუტანა თუ არა დადებითი საქართველოს, დამოუკიდებლობამ? პასუხი უარყოფითია, მაგრამ მიზეზს რატომ

არ ასახელებთ? ესეც ერთგვარი ვირეშმაკობაა. შეფარულად ზვიადს დააბრალონ. დამოუკიდებლობა 1991 წლის 22 დეკემბერს დამთავრდა და როგორღა მოგიტანდათ სიკეთეს? სათავეში კრიმინალები მოვიდნენ და სად გინახავთ მათი აშენებული ქვეყანა? ნუთუ აღარ მოვიდა დრო, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას? დროზე მოდით გონს წითელო ეშმაკუნებო, თორემ თქვენი შთამომავლები, როცა ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, თავად გამოგიტანენ განაჩენს და ისე ამოგთხრიან საფლავიდან, როგორც ვარლამ არავიძეს.

ნინო კეკელია

1992 წლიდან საპატიმროებში მოკლულ-გარდაცვლილი პოლიტპატიმრები:

1. **გოქსაძე ვახტანგი** (მოკლეს ყვარლის პოლიციაში)
2. **აბრამიშვილი ნუგზარი**
3. **ღვინიაშვილი მალხაზი**
4. **ლოლაძე დათო**
5. **ციმინტია კობა**
6. **კვირტია ხვიჩა**
7. **კაკავა როლანდი**
8. **ქუხილავა ავთანდილი** (2003 წ. გათავისუფლდა პატიმრობიდან და 2004 წელს, ციხიდან გამოყოლილი სნეულებით გარდაიცვალა).

გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალნენ უზენაესი საბჭოს დეპუტატები ***გია ხონელიძე*** *და* ***ალექსანდრე (ალეკო) ქობულაშვილი.*** *ქობულაშვილის გარდაცვალების გარემოების შესახებ, ოჯახს დღემდე არა აქვს არანაირი ინფორმაცია, იგი მოულოდნელად, უგზო-უკვლოდ გაქრა 1992 წლის აპრილში შევარდნაძის რეჟიმის „კაპეზეში“ ერთთვიანი პატიმრობის შემდგომ და შესაბამისად, არ არსებობს მისი საფლავიც. მის ოჯახს, შევარდნაძის რეპრესიულმა რეჟიმმა, წაართვა ხუთოთახიანი ბინაც ჭავჭავაძის პროსპექტზე.*

1992 წლიდან შევარდნაძის რეჟიმის პოლიტპატიმრების სია:

1. გედევან გელბახიანი
2. ზურაბ ბარძიმაშვილი
3. ვიქტორ დომუხოვსკი
4. გივი კალმახელიძე
5. ბესარიონ ბოჭორაძე
6. რამაზ ჩარიგოგდიშვილი
7. ზურაბ გოგიჩაიშვილი
8. თეიმურაზ კაპანაძე
9. გოჩა მახვილაძე
10. ივანე ლაშქარაშვილი
11. ომარ კოჭლამაზაშვილი
12. გელა მჭედლიშვილი
13. სერგო ხახვიაშვილი
14. მამუკა დანელია
15. თამაზ წიკლაური
16. მამუკა აფციაური
17. ზაზა წიკლაური
18. იოსებ კუპრავა
19. ლერი დონაძე
20. გელა გაჩეჩილაძე
21. ემზარ კობაიძე
22. ბადრი ოქროპირიძე
23. ლევან დარახველიძე
24. ბიძინა გორელიშვილი
25. გოდერძი სამუნაშვილი
26. ვალერი წყაროზია
27. მამუკა აფციაური
28. ზეზვა ფირცხალაიშვილი
29. ვალტერ ოჩიგავა
30. ხვიჩა ჯოხაძე
31. გელა ხადური
32. დათო ტალაშვილი
33. გელა ტოგონიძე
34. გიორგი სახლთხუციშვილი
35. დათო ლოლაძე
36. დათო მჭედლიშვილი
37. დავით მიქიაშვილი
38. ნემო ჭანტურია
39. ჯემალ ახალაია
40. დათო კაჭარავა
41. ზურაბ წირქვავა
42. გოჩა ოთხოზორია
43. იგორ თოლორდავა
44. ზაურ ქობალია
45. ვალტერ შურღაია
46. გურამ კორკელია
47. ვახტანგ სამუშია
48. ხვიჩა კვირტია
49. კობა ციმინტია
50. ტარიელ გელანტია
51. გურამ აბსანძე
52. ვალერი გაბელია
53. ფრიდონ ჩუბინიძე
54. ზურაბ ვარდოსანიძე
55. თენგიზ მხეიძე
56. ემზარ შენგელია
57. ნუგზარ შენგელია
58. ზვიად ძიძიგური
59. ჯამბულ ბოკუჩავა
60. ბიძინა გუჯაბიძე
61. მალხაზ ღვინიაშვილი
62. გოდერძი ჯოჯიშვილი
63. ნუგზარ აბრამიშვილი
64. ვახტანგ გოქსაძე
65. ზურაბ წულაია
66. სოსო ჟღენტი
67. დავით ბიჭაშვილი
68. ნუგზარ მოლოდინაშვილი
69. ბადრი ზარანდია
70. მურმან ჯინჭარაძე

71. კობა ძიძიგური
72. რამაზ ვანიშვილი
73. მურთაზ ჯალაღონია
74. შალვა შანიძე
75. კახა ჯიჭონაია
76. გოდერძი ნანეიშვილი
77. თამაზ მამადაშვილი
78. ზაზა ჩიქოვანი
79. ელდარ ქაქუჩია
80. გელა ნანაძე
81. ზურაბ სიორდია
82. რუზგენ ხასია
83. თემურ კვარაცხელია
84. გაბრიელ ბენდელიანი
85. გონელ გაბეჩავა
86. იროდ ოკუჯავა
87. დათო ყუფუნია
88. ნოდარ კვარაცხელია
89. რამაზ კვაშილავა
90. რევაზ ხაცავა
91. თამაზ გოგია
92. თემურ კაცია
93. ვაჟა წერეთელი
94. როლანდ ქოჩიშვილი
95. გიორგი ყორბესაშვილი
96. შოთა რატიანი
97. გივი გელაშვილი
98. ზაზა დვალი
99. ზაზა დანელია
100. ბუხუნა გედენიძე
101. თამაზ კვრაცხელია
102. მურმან ჭელიძე
103. თამაზ გოდერძიშვილი
104. ზაურ ლოლაშვილი
105. ტარიელ გაბედავა
106. ომარ ღუღუნიშვილი
107. გურამ სულავა
108. როლანდ კაკავა
109. პაატა ჯაბუა
110. გელა ჭეჟია
111. ბორის მჭედლიძე
112. სიმონ იორამაშვილი
113. ნუკრი იორამაშვილი
114. გივი იორამაშვილი
115. გოჩა ბიჭაშვილი
116. ნემირ გაბუნია
117. აბესალომ ჭილაია
118. მერაბ ჯიქია
119. მერაბ როგავა
120. ჯამბულ ფრანგიშვილი
121. იაგო მიქაია
122. ომარ რატია
123. პაატა ბაძაღუა
124. მალხაზ შენგელია
125. ზვიად ჩიტეიშვილი
126. დაზმირ ჭითანავა
127. პაატა ზარქუა
128. ზაურ გულუა
129. ბადრი კაკაჩია
130. ზურაბ თორდია
131. რუბენ კუდავა
132. ირაკლი დოკვაძე
133. პეტრე გელბახიანი
134. ვახტან (ლოთი) ქობალია
135. გურგენ მალანია
136. ხვიჩა ფირცხალავა
137. ჯამბულ ალასკაროვი
138. ზალოგი კვარაცხელია
139. ელგუჯა პერტია
140. მალხაზ მინდაძე
141. გოდერძი ასკურავა
142. ბესიკ ფიფია
143. ზურაბ გვაზავა
144. მამუკა სულაბერიძე

145. სოსო სანაია
146. რეზო მიქავა
147. რობიზონ ოკუჯავა
148. ვიქტორ რუხაძე
149. ავთანდილ კიკაბიძე
150. რომან ბჟალავა
151. დათო ყუფუნია
152. გიორგი ზარქუა
153. ნორად კვარაცხელია
154. გია ჩაჩანიძე
155. ახმეტ ჯაბუა
156. ზურაბ ბაბაევი
157. კახა ხურცილავა
158. ზაალ ლაშხია
159. კობა ბენდელიანი
160. საშა ზაქარაია
161. გერონტი ქობალია
162. ნუგზარ ჩუხუა
163. ზურაბ ეჯიბია
164. ზაზა (ჯემალ) მარანელი
165. ტარიელ ბუკია
166. ბონდო თოდუა
167. ზურაბ ზარანდია
168. ფენიზ გულუა
169. ბიმურზა დადეშქელიანი
170. ალეკო ქობულაშვილი
171. ლეილა ცომაია
172. თამილა ნიკოლაძე
173. კლარა შუკვანი
174. რევაზ მორგოშია
175. ვალერია ნოვოდვორსკაია (დისიდენტი, რუსეთის დუმის დეპუტატი, უფლებადამცველი)
176. ვანო ტურაშვილი...

სია არასრულია...

ყველა პოლიტპატიმარი ციხეებში განიცდიდა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას. საერთაშორისო ამინისტია, მაღალი ტრიბუნებიდან და წერილობითი შეტყობინებებითაც, შეშფოთებას გამოთქვამდა, საქართველოში პოლიტპატიმრების არსებობისა და მდგომარეობის შესახებ. უცხოელი უფლებადამცველები, საქართველოს ხელისუფლებას აძლევდნენ რეკომენდაციებს პატიმართა წამების, არაადამიანური მოპყრობის, სასიკვდილო განაჩენებისა და სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნის კუთხით. პატიმართა ანტისანიტარიულ პირობებში ყოფნაზე, საპატიმროებში ტუპერკულოზით დაავადებულთა საგანგაშო ზრდის შესახებ. დახვრეტის მუხლის გაუქმების მოთხოვნის შესახებ(შევარდნაძემ აღადგინა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ გაუქმებული დახვრეტის მუხლი), რაც შევარდნაძეს იძულებით გააუქმებინეს 1995 წელს. თუმცა მან მოასწრო პეტრე გელბახიანისა და ირაკლი დოკვაძისათვის დახვრეტის მისჯა, რაც 20 წლის პატიმრობით შეაცვლევინეს, ხოლო საბოლოოდ კი მათ შეუმცირეს აღნიშნული სასჯელიც.

გერმანიაში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტმა **რუსუდან მანჯგალაძემ,** დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო პოლიტპატიმრებს. გარდა იმისა, რომ იგი ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებ-

ში ავრცელებდა საქართველოდან მიწოდებულ ინფორმაციებს **(ციცი გაბესკირია, მაია კერესელიძე, თამარ ებრალიძე, ლევან ურუშაძე, ლალი ლომაძე, ეთერ მგალობლიშვილი, ამ წიგნის ავტორიც და სხვ.)** პოლიტპატიმრების წამებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, იგი აგრეთვე აგროვებდა ფულს (გერმანულ მარკებს), მედიკამენტებს, ვიტამინებსა და ტანსაცმელს საქართველოს ციხეებში გამომწყვდეულ პოლიტპატიმრებისთვის გამოსაგზავნად, რითაც დიდად ეხმარებოდა პატიმრებსა და მათ ოჯახებსაც.

რუსუდან მანჯგალაძე 2016 წელს გერმანიაში (იგი გერმანელზე იყო გათხოვილი, რომლისგანაც შეეძინა ბიჭუნა, რომელსაც საქართველოს პირველი პრეზიდენტის პატივისცემის ნიშნად ზვიადი დაარქვა. ქალბატონ რუსუდანს საქართველოშიც ჰყავს უმშვენიერესი და უკეთილშობილესი უფროსი გოგონა ნატა). რუსუდან მანჯგალაძე, მისი ანდერძის თანახმად, საკუთარ სამშობლოში იქნა ჩამოსვენებული. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.

24 სექტემბერს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნების გამო, შევარდნაძის ხუნტისტურმა ხელისუფლებამ, 1993 წლის 2-3ოქტომბერს მძევლად აიყვანა და საპატიმროებში გამოამწყვდია ეროვნული ხელისუფლების მომხრეები:

1. **ლამარა შენგელია** – ისტორიკოსი
2. **თამარ სრესელი** – თსუ თანამშრომელი
3. **ლერი დაუშვილი** – პროფესორი
4. **თამაზ კალაძე** – პროფესორი (ნაცემი)
5. **ირაკლი გოცირიძე** – გაზეთ „იბერია სპექტრის“ რედაქტორი (ნაცემი)
6. **რევაზ ურუშაძე** – გაზეთ „თვალთაის“ რედაქტორი
7. **გიორგი ჩალაბაძე** – პროფესორი
8. **თამარ დადიანი**
9. **მანანა ლაბაძე** – ისტორიკოსი (გაუძარცვეს ოჯახიც)
10. **რომან ანჯაფარიძე** – ინჟინერი
11. **ლუიზა კალოევა** – პოეტი
12. **მარიკა ჯოხარიძე** – ექიმი
13. **ნანა არევაძე** – ექიმი
14. **მედეა ვეშაპიძე** – ექიმი
15. **ციცო ბუაჩიძე** – საქ. სახ. მუზეუმის თანამშრომელი

16. **ვალერი დოლიძე** – ფირმის დირექტორი
17. **ხოსე სორდია**
18. **თინა დავითულიანი** – ექიმი
19. **აგნესა ყურაშვილი** – ექიმი
20. **მერი ღულუნიშვილი** – ექიმი
21. **ლაურა დოლიძე** – ექიმი
22. **მაყვალა ხაჭაპურიძე** – ექიმი
23. **თამარ ალანია** – ექიმი
24. **ნაზი ბიბილაშვილი** – ფსიქოლოგი, პედაგოგი
25. **ნონა ბოჭორიშვილი** – ეკონომისტი (70 წლის)
26. **გია ქობალია**
27. **მამუკა ფირცხალავა** – მოქანდაკე
28. **გია ფირცხალავა** – ყოფილი მილიციელი
29. **ნუგზარ მოლოდინაშვილის მოხუცი დედ-მამა**
30. **ნინო დანგაძე** – დეპუტატ ბიძინა დანგაძის მეუღლე
31. **გია გორდეზიანი**
32. **ნინო ქართველიშვილი**
33. **ეთერ მგალობლიშვილი** – ფილოლოგიის მეც. კანდიდატი
34. **ალეკო ქობალია** – უსასტიკესად ნაცემი, დახვრეტის ინსცენირება მოუწყვეს
35. **დარეჯან ბიწაძე** – ყოფილი ჩუღურეთის საკრებულოს პასუხისმგებელი მდივანი.
36. **ზურაბ ჯვებენავა** – ისტორიკოსი, მთარგმნელი
37. **მანანა არავიძე** – ეკონომისტი
38. **ენრიკო დვალაძე**
39. **ომარ კაჭარავა** – გაერთიანება თბილპურის გენ. დირექტორი
40. **ნაპო კვარაცხელია** – პროფესორი
41. **ლალი კიკვაძე** – ფილოლოგი
42. **როზა კუკულავა** – კიბერნეტიკოსი
43. **ნინო უზნაძე** – ფსიქოლოგი
44. **თემურ გოქსაძე** – იურისტი, ადვოკატი
45. **ეკა ეგაძე** – არქიტექტორი
46. **ლია ენუქიძე** – ქიმიკოსი
47. **ნაილი კენია** – ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელი
48. **ლელე ფაღავა** – უცხ. ენათა ინსტი. დოცენტი (70 წლის)
49. **დოდო ჩალაძე** – ტელერეჟისორი
50. **მამუკა ცომაია** – ტელეჟურნალისტი

51. **ლუსია ბუკია** – პენსიონერი (სასტიკად სცემეს)

52. **ნატო ბუკია** – ლუსიას ქალიშვილი, მათემატიკოსი.

53. **მანანა ჟღენტი** – №182 სკოლის პედაგოგი

54. **მერაბ რიჟამაძე** – ფიზიკოსი

55. **ლალი რიჟამაძე**

56. **ირაკლი გედენიძე** – გაზეთ „იბერია სპექტრის“ ფოტოკორესპოდენტი.

57. **ლერი ქურდიანი** – თსუ ფიზიკოსი

58. **გურამ რევაზიშვილი** – ინჟინერი (ბინა დაუცხრილეს)

59. **ქაჯაია** – ოკნოლოგიური საავადმყოფოს გინეკოლოგი

60. **ბაგაური** – ექიმი

61. **ჯონდო ნიკურაძე** – აგრონომი

62. **ერმილე დავლაძე** – აგრონომი

63. **ვაჟა ბესელია** – აგრონომი (გაძარცვეს, ოჯახის წევრები ცემეს)

64. **თამარ ებრალიძე** – გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ რედაქტორი სახლში არ დახვდათ, დააშინეს ოჯახის წევრები, დაემუქრნენ ფიზიკური ლიკვიდაციით, გაძარცვეს

65. **ზურაბ შანიძე** – კინოდოკუმენტალისტი (სახლში არ დახვდათ, გაძარცვეს, დააშინეს მოხუცი დედა, წაიღეს ვიდეოაპარატურა).

66. **კიაზო მალაძე** – თსუ ქიმიკოსი (გაძარცვეს)

67. **გია კერესელიძე** – ექიმი (გაძარცვეს)

68. **თენგიზ ასათიანი** – ბიზნესმენი (დააშინეს ოჯახი, გაძარცვეს)

69. **ნათელა კასრაძე** – თელასის კადრების განყ. გამგე

70. **ჟუჟუნა კვარაცხელია** – პედაგოგი

71. **ქეთევან ნავროზაშვილ**ი – წმ. ილია მართლის საზ. წევრი (ჩამოართვეს ბინის გასაღები. პატიმრობაში ამყოფეს 40 დღე. ბოლო ერთი კვირა სულ მარტო იყო)

72. **მზია გაგუა** – მაუდკამვოლის კომბინატის მრთველი (ცემეს ფეხმიძიმეს, მოეშალა მუცელი)

73. **თეიმურაზ გვანცელაძე** – უზენაესი საბჭოს დეპუტატი

74. **მაია ნადირაძე** – ფსიქოლოგი

75. **ლეილა ცომაია** – სახლში არ დახვდათ. მის დისშვილს მედეა ბოკუჩავას მოუწყვეს დახვრეტის ინსცენირება, აიძულებდნენ დაეხახელებინა მისი ადგილსამყოფელი, გაჩხრიკეს ბინა, წაიღეს ქ-ნ ლეილას არქივის სქელი დასტა. მოგვიანებით მედეა ბოკუჩავას მოუწყვეს ავარია. ჰქონდათ მისი გატაცების მცდელობაც.

76. **აკაკი კობაძე** – დეპუტატი

77. **ნანა ბოჯგუა**
78. **ასმათ მარგიშვილი**
79. **ჯანგული ჩხეიძე**
80. **რომან გოგიჩაიშვილი** – დააპატიმრეს მისი ცოლიც
81. **იზა გიგოშვილი** – მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი
82. **ზაზა კვარაცხელია**
83. **ვანო ქობალია** – დააკავეს მისი ცოლიც
84. **რევაზ ლაბარტყავა**
85. **ნინო სიხარულიძე**
86. **თინათინ მღვდლიაშვილი**
87. **ლედი მღვდლიაშვილი**
88. **ბიძინა ჯაველიძე** – განათლების მინისტრ ელიზბარ ჯაველიძის ძმა
89. **მიხეილ ჭიაბრიშვილი**
90. **ჯემალ დავლიანიძე**
91. **ავთანდილ ჩიტაძე**
92. **მამული ჯღარკავა**
93. **იოსებ გრიგოლია**
94. **თამაზ ელიავა**
95. **თემურ ხუციშვილი**
96. **მადლენა გრძელიძე**
97. **მაყვალა გრძელიძე**
98. **ელენე ნაცვლიშვილ**ი
99. **მარგო მენაბდიშვილი** – მაუდ. კამბ. კომბინატის მეგარდირობე
100. **ლალი ზულიაშვილი**
101. **მერაბ რიჟამაძე**
102. **სულიკო ბურჯანაძე**
103. **ნუგზარ მღვდელაძე**
104. **მზია სამადაშვილი**
105. **გულიკო სულავა**
106. **გივი ლიპარტელიანი**
107. **ქეთევან ხაბულიანი** (ლიპარტელიანის მეუღლე)
108. **დედა–შვილი ხუნდაძეები**
109. **ღუდუშა არველაძე**
110. **გულნარა მიქაძე**
111. **ელენე კოხაშვილი** – ონკოლოგიური საავადმყოფოს ექიმი
112. **გულნარა მიქაძე**
113. **ქრისტიაშვილი** – ლტოლვილი ცხინვალიდან
114. **გია არგანაშვილი**

115.**ვენერა ჯინჭარაძე**
116.**ლია ჯინჭარაძე** – ვენარას და
117.**მედეა სურგულაძე**
118.**მადონა ცომაია**
119.**მზია ფარცვანია**
120.**თინა რაზმაძე**
121.**მაგული ლიპარტელიანი**
122.**რენო ესვანჯია** – ბინაში დაუპირეს ლტოლვილების შესახლება
123.**ციცო ერისთავი**
124.**თეიმურაზ ფერაძე** – მილიციელი
125.**ეკა ხერხეულიძე**
126.**იზოლდა ქარელი**
127.**ავთანდილ ელიავა** – თსუ მეცნიერ-თანამშრომელი
128.**კახა მიგინეიშვილი და დედამისი მალვაში იყვნენ, მოგვიანებით ქუჩაში დახვდნენ მათ და სასტიკად სცემეს**.

<u>სია არასრულია...</u> — **ლ.ც.**

რუსთავში დააპატიმრეს 400—მდე კაცი:
ავთანდილ გაბრავა, თემურ ჯანელიძე, ჭითავები *და სხვები.*

გორში დააპატიმრეს 170—მდე კაცი.

თვითმხილველი

ქ. ხონში ხუნტის შეიარაღებულმა ძალებმა ტყვედ აიყვანეს კანონიერი გვარდიის ორი დაჭრილი მეომარი: ღვთისო მათურელი და ბესო იორამაშვილი. ედპ-ს წევრებმა წამოიყვანეს თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, როცა გაიგეს მათი ვინაობა რეანიმაციის განყოფილებაში ექიმების თანდასწრებით დახვრიტეს ღვთისო მათურელი, მეორე დაჭრილის ბედი ცნობილი არ არის.

ქ. ხონში გია ჭანტურიამ საკუთარი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა ეროვნული ხელისუფლების მომხრე მურად იზორია.

1993 წლის სექტემბერ–ოქტომბერში შევარდნაძის უკანონო ხელისუფლება აპატიმრებდა სრულიად აპოლიტიკურ ადამიანებსაც ფულისა და ქონების გამოძალვის მიზნით სამხედრო კომენდატურაში დაკავებულებს სთავაზობდნენ გათავისუფლებას დოლარების (200–300) გადახდის შემთხვევაში. ბინებში ჩრეკის დროს, გარდა გაძარცვისა, ახერხებდნენ პროკლამაციების დადებასაც და ამ საბაბით აპატიმრებდნენ ოჯახის

რომელიმე წევრს.

ბახტრიონის ქუჩის კორპუსებიდან წაიყვანეს „ზვიადისტები“, მიიყვანეს უბნის მილიციაში, დაემუქრნენ დაპატიმრებით, მსგავსი შემთხვევები განმეორდა სხვადასხვა რაიონებში.

მემატიანე

1992 წლის 24 ივნისს ტელევიზიის საქმესთან დაკავშირებით დააპატიმრეს:

1. ვალტერ შურღაია
2. ბიძინა დანგაძე
3. ვახტანგ ჭითავა
4. ნიკა კილასონია
5. ნანა შელია
6. ვახტანგ ცაგარეიშვილი
7. ნუგზარ მოლოდინაშვილი
8. გია ჩხიკვაძე
9. ეკა ხერხეულიძე
10. ხატია ღუდუშაური
11. თამარ გამილაღდაშვილი
12. მარიკა აბაიშვილი
13. ანა ჭავჭავაძე
14. თამაზ ლუკავა
15. ლალი გერმანიშვილი
16. ლეილა ქათამაძე
17. ირა ფიფია
18. მალინა ჯიმშელეიშვილი
19. თამილა ნიკოლაძე
20. გია ჩხიკვაძე
21. მზია ქარელი
22. მურთაზ ბაკურია
23. ლია ხიდაშელი
24. ეთერ მგალობლიშვილი
25. ლია ბერუაშვილი
26. ლეილა დოკვაძე
27. კიზირია
28. მზია ბაქრაძე
29. ნიკა ჭურჭელაური
30. ბადრი ჭურჭელაური
31. ნემირი გაბუნია
32. თამაზ თოლორაია
33. ზურაბ გუჩუა
34. გოჩა ოთხოზორია
35. ირაკლი ხარძიანი
36. ზურაბ წულაია
37. დათო თევდორაძე მამით
38. გელა დავითაია
39. ბეჟან ჯავახია

შევარდნაძის რეჟიმის რეპრესიები განიცადეს:

ელიზბარ ჯაველიძემ, ნოდარ ჯალაღონიამ, ედიშერ გიორგაძემ, ია მუხრანელმა, ციცი გაბისკირიამ, ლია ენუქიძემ, დავით სოკოლოვმა, ეფემია მჭედლიშვილმა, ვანო ტურაშვილმა, რუსიკო პატარაიამ, ნანული ვეფხვაძემ, ბელა შალვაშვილმა, ლატავრა ფოჩიანმა, ალექსანდრე სანდუხაძემ, მანანა იმედაძემ, ფრიდონ ქობალიამ, ზურაბ წულაიამ ოჯახით, ბეჟან ჯავახიამ, მიხეილ ზურაბიშვილმა, მამუკა ცხადაიამ, ზეინაბ ხინთიბიძემ, გოჩა კელენჯერიძემ ოჯახით, შოთა კიკნაძემ, კობა ბუკიამ, დავით გოგაძემ, ნანა დვალმა, ჯემალ დავლიანიძემ, ციცი ბუქურაულმა, ეთერ მგალობლიშვილმა, კახა მიგინეიშვილმა, მზია ჟღენტმა, მერი თუთბერიძემ, ია ჟღენტმა, შოთა წიკლაურმა, რეზო წიკლაურმა, დათო მაისაიამ, ელენე გვეტაძემ, წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის მოძღვარმა მამა რომანოზმა, ეპისკოპოსმა ქრისტეფორე წამალაიძემ, მეუფე ამბროს ქათამაძემ, მისმა შვილმა – მამა ნოდარ ქათამაძემ, კოკა გაწერელიამ, გია მირიანაშვილმა, მზია ბაქრაძემ, ლალა გორდაძემ, გელა გელაძემ, ლალი ბარძემაშვილმა ოჯახით, ქიშვარდ ისაკაძემ, ლუარა გამყრელიძემ, მურმან ზაქარაიამ, დიანა მენაბდემ, როლანდ გურგენიძემ, თედო კოვზირიძემ, მიხეილ და პაატა მჭედლიშვილებმა, ნოე მჭედლიშვილმა, ნინო მამიაშვილმა, ავთანდილ ბუცხრიკიძემ, თამაზ მამაგეიშვილმა, გოგი ხუციშვილმა, სვეტა მჟავანაძემ, ივეტა კობახიძემ, ნანული ნებიერიძემ, ხატია ღუდუშაურმა, ლენა ქაცანაშვილმა, ნინელი კოდუამ, მამუკა წიკლაურმა, ინეზა ფიფიამ, ასმათ ფიფიამ, რუსუდან ქუტიძემ, ნანა (ნანი) ნადარეიშვილმა, მარინა ყურაშვილმა, ნანა მიქავამ, ინგა გოგიამ მშობლებით, ინესა ყურაშვილმა, ლულუ (გენრიეტა) კოპალეიშვილმა, გია ჯანელიძემ მშობლებით, ნინო კეკელიამ, ვალტერ ოჩიგავამ ოჯახით, ვალერი ნოდიამ, ზაზა წიკლაურმა ოჯახით, გელა დავითაიამ, ავთანდილ დავითაიამ, გელა ჯიღაურმა ოჯახით, ლივერი ქადაგიშვილმა, მანანა კვირიკაძემ, გივი კვირიკაძემ, ედუარდ ცომაიამ, კლარა შუკვანმა, ჯიმშერ თაგვაძემ ოჯახით, ლეილა დოკვაძემ, რუსუდან კიკალეიშვილმა ოჯახით, ნუცა გელბახიანმა ოჯახით, ლევან ურუშაძემ ოჯახით, გურამ დანელიამ, თენგიზ კიკაჩეიშვილმა, შოთა მალაშხიამ, მორის მუსერიძემ, გიორგი გერგედავამ, გია თავზარაშვილმა, მზია ქსოვრელმა, აულა გიგაურმა, ნანა დვალმა (ქუთაისი), თამარ სიჭინავამ, ეთერ ხახუბიამ, მიხეილ დიდებულიძემ, ზაირა ბილიხოძემ, მარეხ ბაღიშვილმა, ლეილა მირიანაშვილმა, ლევან დუმბაძემ, დალი აბულაძემ, მაია კერესელიძემ, თამარ ლომთაძემ, ნათელა ჭედიამ,

ნანა ჭურაძემ, მაყვალა ფხაკაძემ, ეთერ ქარდავამ ოჯახით, გრიალა ესაკიამ, ლალი ლომაძემ, ირინე ქოროღლიშვილი-ბუხაიძემ, ელენე აბაშიძემ, დარეჯან ფილფანმა, დარეჯან ქევანიშვილმა, ანგელინა (ალფა) ფირცხალავამ, გურამ დანელიამ, ლალი კიკვიძემ, ნანა გოგიშვილმა... *(არასრული სია).*

1994 წლის 15 იანვარს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაღუპვასთან დაკავშირებულ სამგლოვიარო მიტინგზე დაპატიმრებულთა სია:

1. მამისაშვილი ნუნუ გრიგოლის ასული
2. ჯიქია ქუჩუჩი იონას ასული
3. ჯიქია ეთერი
4. ქარელი იზოლდა სტეფანეს ასული
5. ღვინიაშვილი ბელა ლუკას ასული
6. გურგულია ნანა აკაკის ასული
7. ბაღათურია ნაზი აბელის ასული
8. სტურუა მაყვალა ვასილის ასული
9. კობიაშვილი ქეთევან პეტრეს ასული
10. მელიქიძე გულო მიხეილის ასული
11. კერვალიძე ჟუჟუნა მიხეილის ასული
12. ღუდუშაური ნინო გიორგის ასული
13. ცომაია მზია ილიას ასული
14. კობახიძე ეთერი სილიბისტროს ასული
15. გველესიანი
16. ბიწაძე დარეჯანი
17. მაჭარაშვილი ნარგიზი
18. მირიანაშვილი ლეილა
19. წიკლაური მარინე
20. წურწუმია მელორი (ბაბუ)
21. მაღლაკელიძე
22. აფაქიძე ლეილა
23. ბაიაშვილი ასმათ
24. ჯიღაური გელა
25. ნაროუშვილი თეა
26. ქოჩაკიძე
27. მირიანაშვილი გია

28. მჭედლიშვილი მიხეილ
29. ცომაია ლეილა
30. შოთა კიკნაძე
31. ჟღენტი მზია
32. მიგინეიშვილი კახა...

არასრული სია

დაზარალებული ვ. ს.

1992 წლის 24 ივნისს დაახლოებით 4 საათზე ამიყვანეს რუსთაველის გამზირიდან ოთხმა ავტომატით შეიარაღებულმა მოქალაქემ. წამიყვანეს შენობაში, სადაც მდებარეობდა დროებითი სახელმწიფო საბჭო. დამაბრალეს კომენდატის საათის დარღვევა. მცემეს გამეტებით, ავტომატის კონდახით გამიხეთქეს თავი, მირტყამდნენ თირკმელების არეში, დაჟეჟილი და ჩალურჯებული მაქვს მკერდის არე მარცხენა მხარე. აუტანელი ცინიზმითა და უშვერი სიტყვებით მიბრძანეს მეგინებინა საქართველოს პრეზიდენტი, სისხლში ამოთხვრილს დამიდეს ქაღალდი და მაიძულებდნენ დამეწერა შემდეგი: – ვაგროვებდი ფულს, ვყიდულობდი იარაღს და ვაგზავნიდი გროზნოში. მე უარი განვაცხადე რაიმეს დაწერაზე და საერთოდ ჩვენების მიცემაზე, რის შემდეგაც დანით მომაყენეს ჭრილობა ბარძაყში, მემუქრებოდნენ სიკვდილით, შემდეგ გადასცეს ჩემი თავი მილიციას. მინდა ავღნიშნო, რომ მილიციას არ ვუცემივარ, პირიქით მათ ჩუმად მიმიყვანეს სასწრაფოში და მომათავსეს საავადმყოფოში. სასწრაფოს ექიმმა აცნობა ოჯახს.

ვ.ს.

24 ივნისი

ღამის 6-ის ნახევარზე ტელეფონით შემატყობინეს, რომ მომესმინა რადიოსათვის, როგორც შემდეგ გავიგე, ასეთი ზარებით თითქმის მთელი ქალაქი დააყენეს ფეხზე. რადიოში მოვისმინე შურღაიას მიმართვა, რომ ტელერადიოდეპარტამენტის შენობა აღებულ იქნა ეროვნული ძალების მიერ ყოველგვარი ბრძოლების გარეშე, მშვიდობიანად. მე დავიჯერე, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ კანონიერების მომხრე ხალხი შეეცდება პოლიტიკური გზებით დაიბრუნოს იარაღის ძალით წართმეული ძალაუფლება.

7 საათამდე უკვე ვიყავი სპორტის სასახლის წინ. იქ უკვე ისმოდა სროლის ხმები. ტელერადიოდეპარტამენტში პირველი პარტია „ზვია-

დისტების“ შეშვების შემდეგ გზა გადაკეტეს ავტომატიანებმა. ხალხით შეივსო მეტროს მიმდებარე ტერიტორია, სროლით იძულებული გაგვხადეს უკან დაგვეხია. დავინახე 4-5 ტანკი. ტროტუარის გასწვრივ კი დაჯირითობდა მსუბუქი მანქანები, ავტომატიან ბიჭებს თავები ჰქონდათ გადმოყოფილი და ხმის ჩახლეჩვამდე გვლანძღავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ხალხი მდუმარედ იდგა, ისინი გვიყვიროდნენ: „დაიშალენით, თქვენი ზვიადის დედა!...“ საღამოს ტელევიზიაში ვაიჟურნალისტებმა გვამცნეს, რომ თითქოს მთელი ქალაქი გამოვიდა მთავრობის დასახმარებლადო. ხალხი კი მართლაც ბევრი იყო ქუჩებში, მაგრამ არა ე. წ. მთავრობის მომხრეები, არამედ – პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასი.

ტელედეპარტამენტში შეტყუებული და მომწყვდეული „ზვიადისტები“ აიყვანეს, რომლებსაც ერთი ტყვიაც კი არ გაუსვრიათ თავდასაცავად, რომლებსაც თავად ესროდნენ ქუჩიდან.

ლ. მ.

თვითმხილველი

1992 წლის 24 ივნისს, დაახლოებით 7 საათზე გამაღვიძა ტელეფონის ზარმა და ვიღაც ქალმა (ვერ ვიცანი) მიკარნახა, რომ ჩამერთო რადიო, ასეც მოვიქეცი.

რადიოდან გვამცნობდნენ, რომ კანონიერი ხელისუფლების მომხრეებმა დაიკავეს ტელერადიოდეპარტამენტის შენობა და ტელეანძა და მოუწოდებდნენ მოსახლეობას მოვიდნენ ტელევიზიის შენობასთან. მე ავდექი და გავემართე ტელევიზიისაკენ. მეტროს გარდა სხვა ტრანსპორტი არ მუშაობდა. ადგილზე მივედი 8 საათსა და 10 წუთზე. მაგრამ ვერ შევედი, რადგან შენობა უკვე ალყაში იყო მოქცეული. დავინახე ქალაქის კომენდანტი ლანჩავა. ხალხი მატულობდა, ხუნტის შეიარაღებული რაზმებიც ნელ-ნელა იკრიბებოდნენ. მოდიოდნენ საკუთარი მანქანებით, ჭარბობდა ვაზ-24 და გაზ 09 მარკის მანქანები. იყო საზღვარგართის მარკის მანქანებიც (იარაღით დატვირთული). გაისმა ბრძანება, რომ სანაპიროდან ხალხის მასა მოდის ბავშვებითო და შეიარაღებული ნაწილი გაუშვეს სანაპიროს გადასაკეტად. შემდეგ მათ დაიწყეს ჰაერში სროლა და ხალხის დაშლა. სასტუმრო აჭარასთან გადაკეტეს გზები. გაისმა ორი ნაღმის გასროლა. სააკაძის მოედნიდან გადავეშვით ხილიანისაკენ: სანაპიროზე შევნიშნეთ რუსეთის სამხედრო ნაწილები, რომლებიც აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდნენ. ჩვენ შევედით მუშტაედის ბაღში, სადაც ხალხი იკრიბებოდა, მაგრამ მალევე დავიშალეთ, რადგან შევნიშნეთ საეჭვო

მანქანები, რომლებიც გვითვალთვალებდნენ. მე მივედი თამარ მეფისა და აღმაშენებლის გამზირების გადასასვლელზე, სადაც უკვე გადაკეტილი იყო ტელევიზიისკენ მიმავალი გზა. ხალხი ბევრი იყო მოგროვილი. მაჩერებდნენ და მეკითხებოდნენ რა ხდებოდა და რა ვიცოდი. ავედი სადგურზე, სადაც საკმარისად ბევრი ხალხი იყო შეკრებილი. იყო არეულობა, მითქმა-მოთქმა, სხვადასხვა ჭორი თუ სიმართლე. ხალხმა არ იცოდა რა მოემოქმედა. შეგვატყობინეს, რუსთაველზე იოსელიანის ბიჭებს ხალხი დაურბევიათო, რათა არ შეკრებილიყვნენ. დავრჩი დაახლოებით 30 წუთი. შემოვარდნენ მანქანებით და ორი ავტობუსით. დაიწყეს ხალხის დაპატიმრება. ჩვენ მეტროს მივაწყდით. სახლში წავედი, მაგრამ ვერ მოვისვენე. ღამე ვერ დავიძინე, მოამბეში ანახეს ტელევიზიასთან დაპატიმრებული პირები, რომელთაგანაც ნახევარს ვიცნობდი.

25 ივნისს დილას გავემართე გამომცემლობა „სამშობლოსთან“, სადაც უნდა შევხვედროდი ნაცნობებს, რათა დაგვეწერა მიმართვა ქართველი ერისადმი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო გადავწყვიტეთ მოგვეცადა რამოდენიმე დღე. იქ გავიგე, რომ წინა დღეს დაურბევიათ გაზეთი „იბერია–სპექტრი“. გავედი მარჯანიშვილზე, სადაც დავჯექი ტროლეიბუსში და გავემართე მუშტაედის ბაღისაკენ, ბაღში შევედი უკანა მხრიდან, იქ იდგა სამასამდე ადამიანი. მე მივესალმე მათ, შევნიშნე, რომ ალყაში ვიყავით მოქცეულნი. მე დავაპირე წასვლა, მაგრამ გამაჩერეს, ჯიბეში ფულთან ერთად მქონდა პროკლამაციები, მე ვუთხარი მათ, რომ ლუდის დასალევად ვიყავი მოსული. ერთმა მამაკაცმა ყვირილით უკარნახა მათ: დაიჭირეთ ეგო! მე გავიქეცი და იქ მდგომნიც გაიქცნენ. რამდენიმე მე გამომეკიდა და დამიჭირეს.

მე მოვახერხე ფულთან ერთად გადამეყარა პროკლამაციები. მიმიყვანეს ბაღის შემოსასვლელთან, ვიღაც ავტომატიან პიროვნებასთან, რომელმაც გამჩხრიკა და ჯიბიდან ამომაცალა ტელევიზიის საშვი. იქვე იდგა ტელევიზიის თანამშრომელი, რომელიც ყოველივეს ვიდეო გადამღებით აფიქსირებდა, დავინახე, რომ ჩემთან ერთად დააპატიმრეს მოხუცი კაცი და ახალგაზრდა ბიჭი. მე წამიყვანეს და ჩამსვეს 06 მარკის ავტომანქანაში. მანქანაში ჩემთან ერთად იყო სამი ავტომატიანი მამაკაცი; ერთ–ერთი მათგანი მაძალებდა გადავმხტარიყავი მანქანიდან და გავქცეულიყავი, გზაში მაყენებდნენ მორალურ შეურაცხყოფას და მაძალებდნენ შემეგინებინა პრეზიდენტისათვის, თან მექადნებოდნენ, რომ ბოთლით გამაუპატიურებდნენ.

მიმიყვანეს დიღომში მილიციის სამმართველოში. ტელევიზიის თანამშრომელი უკვე იქ დაგვიხდა და იღებდა ჩემს მანქანიდან გადმოყ-

ვანას. შემიყვანეს შენობაში. „დავაპატიმრეთ ტელევიზიის თანამშრომელი და თავდასხმის ლიდერიო“. ლიფტში ჩემთან ერთად შემოიყვანეს ის ყმაწვილი, რომელიც დააპატიმრეს ბაღში. მე მითხრეს ვიცნობ თუ არა მას, რა თქმა უნდა ვუთხარი რომ არ ვიცნობდი. აგვიყვანეს მეოთხე თუ მეხუთე სართულზე, შეგვიყვანეს ერთ–ერთ თავისუფალ ოთახში. ისინი 15–ნი იყვნენ. მათ დაუწყეს იმ ყმაწვილს ცემა, რომელმაც სთხოვა, რომ არ ეცემათ და ყველაფერს იტყოდა, რის შემდეგ იგი გაიყვანეს. ჯერი ჩემზე დადგა, ჩამიყვანეს ქვევით სართულზე, არ ვიცი რამდენი ხანი ვიდექი. იქ ჯიბეში პროკლამაციების ნაწილი დამრჩენია, ისინი ტრუსიკში დავმალე, რომელიც შემდეგ შევჭამე. ჩემთან მოვიდა ერთი კაცი, რომელიც აქტიურობდა ჩემს ცემაში. როცა დამინახა დაიწყო ყვირილი, რომ მე გაქცევას ვაპირებდი და ამიყვანა ზევით. მე ვცადე ამეხსნა, რომ გაქცევას არ ვაპირებდი, მაგრამ მათ დამიწყეს ცემა. გამხადეს მაისური და ფეხსაცმელები და დამიწყეს ცემა. მე ვეუბნებოდი არაფერი არ ვიცი და ტყუილად მცემთ-მეთქი. შემდეგ მათ წამაქციეს და თან მაკავებდნენ, რომ არ გავნძრეულიყავი. მირტყავდნენ მაჯაზე ოთხკუთხა ჯოხით, ფეხის გულებზე, თირკმელებზე, ბეჭებზე, იღლიის ქვეშ და მხრებზე, თან მემუქრებოდნენ გაგაუპატიურებთო, შემდეგ მოიტანეს წყლიანი ვედრო და გადამასხეს, გამიყვანეს და დიდი ხანი მატრიალეს და ვიღაცეებს ეკითხებოდნენ, თუ რა ექნათ ჩემთვის, ყველა მხრებს იჩეჩდა. ბოლოს კი (თუ არ ვცდები სამმართველოს უფროსი უნდა ყოფილიყო), მითხრა, რომ ძალიან კარგად მიცნობდა სადგურების მიტინგებიდან მოყოლებული და უთხრა მათ, რომ ჩავეყვანე ქვევით და თან დამეწერა ახსნა-განმარტება. ჩამიყვანეს ქვევით, ჩამომართვეს რაც მედო ჯიბეში და ჩამსვეს მეექვსე საკანში.

საკანი იყო 2 მეტრი 80 სმ, იქვე იყო ტუალეტი და ტუალეტის ოდნავ მაღლა იყო 2-8 სმ გამოწეული მილი, საიდანაც იშვიათად თუ გამოუშვებდნენ წყალს. ოთახში ძალიან ცხელოდა, ჰაერი არ მოძრაობდა და გვიჭირდა სუნთქვა. საკანში ვიყავით 11-ნი. წინა საკანში იჯდნენ ქალები. რამდენი იყვნენ არ ვიცი (ამბობენ 16-ნიო). ხანდახან მღეროდნენ „შავლეგოს“ ხშირად ისმოდა ეკას ხმა, მეორე დღეს კი ქალები სადღაც გადაიყვანეს.

ჩემთან ერთად მყოფნი პირველი ოთხი დღე, ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყვნენ, ვთხოვდით წამლებს, მაგრამ არ მოჰქონდათ. მეხუთე დღეს ცოტა ხასიათზე მოვიდნენ და ჩვენ დავიწყეთ ძველი ქართული სიმღერები. ვმღეროდით „გაფრინდი შავო მერცხალო“, „წინ წყარო გადმოვიარე“, „ჩემო კარგო ქვეყანა“ და სხვა. კარგად მღეროდა წალენჯიხის

პრეფექტი.

ჩემთან ერთად საკანში ისხდნენ:

წულაია ზურა (ტ: 39-46-46), რომელიც მუშაობდა სამდივნოში. სახლში ჩხრეკის დროს ბავშვის უჯრაში სათამაშოებთან ჩაუგდეს ხელყუმბარა. ზურას იქ ყოფნის დროს მეორე შვილი (ბიჭი) შეეძინა. 6-7 დღის შემდეგ გაიყვანეს დაკითხვაზე და აღუძრეს სისხლის სამართლის საქმე.

ხარძიანი ირაკლი (ტ: 72-47-33) პრეფექტის მოადგილე, რომელიც დააპატიმრეს სახლში 25 ივნისს, გაანთავისუფლეს პირველში.

გუჩუა ზურაბ (ნათესავის ტ: 31-76-50) წალენჯიხის პრეფექტი. დააპატიმრეს 24-ში ტელევიზიასთან. იყო სასტიკად ნაცემი სახეზე. ოთხი დღე იწვა ძალიან მძიმე მდგომარეობაში.

ოთხოზორია გოჩა. ზუგდიდი (ნათესავის ტ. თბ. 51-46-15) დააპატიმრეს 24-ში ტელევიზიასთან, წაიყვანეს ყოფილი „იმელის“ შენობაში, ჯაბა იოსელიანის ბიჭთან. მანქანიდან გადმოჰყავდათ დაპატიმრებულები პირსახოცგადაფარებულები, რათა ხალხს არ დაენახათ სახეები. სასტიკად ცემეს და ცოცხალმკვდარი მოიყვანეს. იყო ძალიან მძიმე მდგომარეობაში. სახეზე ნაცემი დაუჩირქდა.

თევდორაძეები მამა-შვილი (დათო) (ტ: 99-84-88), დააპატიმრეს ტელევიზიასთან. ვაკის მილიციაში დათოს სასტიკად ცემეს და გაბრუებული მდგომარეობაში დააწერინეს ჩვენება, ვითომ დიდი ხანი იცნობდა შურღაიას და ვითომ მან მისცა იარაღი.

დათო თევდორაძის ვაჟი (ტ: 60-60-58) დააპატიმრეს სადგურში 24-ში, სცემდნენ ქალს და გამოესარჩლა. ადგილობრივი დეპუტატი.

დაკითხვები დაიწყო 30-ში და ორში. მე არ დავუკითხავარ. ხელი მომაწერინეს, რომ არ დავარღვევდი კომენდატის საათს და არ მივიღებდი მონაწილეობას მიტინგებში.

ერთ-ერთ საღამოს რომელიღაც საკნიდან გაისმა საზარელი ყვირილი ახალგაზრდა ყმაწვილის, რა გინდათ ჩემგან, გამიღეთ კარებიო...

განთავისუფლების დროს მოვიდა ჩემთან მამაკაცი და მანახა სურათი და მკითხა ხომ არ იჯდა ჩემთან ერთად, ან სადმე ხომ არ დამინახავს. სურათზე იყო დვალიშვილი ნუგზარი (ტ: 60-75-66) ტელევიზიით ანახეს დაპატიმრებული. მაგრამ ნათესავებმა ვერსად მიაგნეს. მორგში კი ნახეს გვამი, რომელიც იყო ნაწამები, გასივებული და წააგავდა მას.

მამუკა რაჭველი

9 ივლისი 1992 წ.

თვითმხილველი

ჩვენ ოთხნი წავედით რუსთავში მიტინგზე. წავიღეთ გაზეთი „ქართული აზრი“. მიტინგზე გამოვიდა სიტყვით ქალბატონი მანანა, მამუკა გრძელიძე. ჩვენ მივატოვეთ მიტინგი, ვინაიდან ღამდებოდა და თბილისში უნდა წამოვსულიყავით. თბილისის ავტობუსისაკენ რომ გავემართეთ, იმ დროს მამუკას უკნიდან ავტომატიანმა ოთხმა ახალგაზრდამ ავტომატის კონდახი ჩაარტყეს თავში და დააგდეს ძირს ასფალტზე. ოთხივემ დაუწყეს ცემა კონდახებით და ფეხებით, თანაც უნომრო მანქანაში ძალით ტენიდნენ. მე გადავეღობე წინ, რომ მეშველა. ერთ–ერთმა ახალგაზრდამ ავტომატის ლულა მომადო გულზე და მითხრა: – გადი თორემ გესვრიო! ამ დროს ჩვენთან ერთად იყო ნელი მიქაძე, რომელმაც მანიშნა გაზეთებზე და განზე გავდექი. ეს ორი ქალი კი ცდილობდნენ, რომ ეს ბიჭი არ გაეტანებინათ. ნელის ორჯერ ავტომატის კონდახი ჩაარტყეს თავში. ეს ჩვენი ბიჭი კი ჩააგდეს ცოცხალ–მკვდარი უნომრო მანქანაში და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

ლენა ქაცანაშვილი
ფსევდონიმი „ბათუმელი“

თვითმხილველი

1992 წლის 31 მარტს აფხაზეთიდან დაიძრა მრავალათასიანი მომიტინგეების დიდი ჯგუფი, რათა 9 აპრილს თბილისში ჩასულიყვნენ დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნის უკვდავსაყოფად.

იმავე დღეს კიტოვანისა და სიგუას მიერ გამოგზავნილმა გვარდიამ გაგვაჩერეს სამტრედიის მისადგომებთან, მდინარე ცხენისწყალთან, სოფელ მარანში, სადაც დავყავით სამი დღე-ღამე. ჩვენ ვიყავით ასამდე კაცი, რომლებსაც ავტობუსში გვეძინა. ჩვენზე სისტემატიურად ეწყობოდა თავდასხმები. მეოთხე დღეს კი დილის რვის ნახევარზე შემოგრიალდა დიდი სამხედრო ტექნიკა, გაგვიარა 60-ზე მეტმა ბეტეერმა, ხუთმა იკარუსმა, რომლებიც სავსე იყო შეიარაღებული გვარდიელებით, ასევე რამოდენიმე ათეულმა მსხვილმა ტექნიკამ და მასზე დამონტაჟებულმა ზარბაზნებმა და სხვა სახის არტილერიამ. აქ მათ გაჭყლიტეს ჟიგული, რომელშიც იჯდა სენაკელი კუსო ოდიშარია. იმავე დღეს იმ ახალგაზრდა ბიჭის გაჭყლეტით შეძრწუნებულ ხალხს რამდენჯერმე მოგვივარდნენ გვარდიელები და მხედრიონელები. იმ დღეს მიმდინარეობდა შიმშილობა (აქციის მეორე დღე) აბაშის რაიონის სოფელ მარნის ავტოსადგურის შენობაში. აქ იყო გაკრული ლოზუნგები და ზვიად გამსახურდიას სურათი.

მხედრიონ-გვარდიელებმა დაფლითეს ყველაფერი (მათ შორის ლოზუნგები) „დამოი გოსსოვეტ, ვო გლავე შევარდნაძე“ და „დაისაჯონ 9 აპრილის სისხლიანი ინსპირატორები“. ზვიად გამსახურდიას სურათი კი ვილისს გამოაბეს და სამტრედიაში გააქანეს. იქვე შეურაცხყვეს ერთ-ერთი მოშიმშილე გოგო (კ. შ.), რომელსაც დედა შეაგინეს, (თუმცა მთელ ხალხს, რომელიც იქვე იყო შეყუჟული ნაკლები დღე როდი აყარეს, სულ ავტომატების სროლით აშინებდნენ. მერე დაუძახეს ერთ სვან გვარდიელს თუ მხედრიონელს და უთხრეს – ეს გოგო სვანიაო. სვანმა მეომარმა კი შესძახა ამ გოგოს – „რა გინდა სვანს ამათთანო!“ შევარდნაძე-სიგუას „მეგრული რუქის“ გათამაშებაზე წამოგებულმა სვანმა მხედრიონელმა ხალხს აგინა დედა – თქვენი ჯიში ასე და ისეო... გოგოს კი ხელი მოუქნიეს. ამ ფაქტს მე შევესწარი და ძალიან მწყინს, რომ ქართველ ბიჭებს ასეთი რამის გაკეთება შეეძლოთ. თუმცა ქალაქ ზუგდიდში მოსახლეობის გასაგონად ერთ მხედრიონელს დაუკვეხნია – ეგეც მერვე კოლხი მოვკალით... (თითქოს კოლხი ქართველი არ იყოს) ჩემზე იყო რამოდენიმე თავდასხმა. მცემეს კიდეც და ამიტომ ჩემს გვარს არ დავასახელებ. მათგან სიკდვილი ვაჟკაცობად არ მიმაჩნია, ამიტომ სჯობს, როცა სამშობლოს ნამდვილად გაუჭირდება, მაშინ შევსწირო თავი.

თვითმხილველი

1992 წლის 27 მარტს მე და სამი მანდილოსანი ჩავედით თბილისიდან რუსთავში, მიტინგზე დასასწრებად. მიტინგზე მთხოვეს გამოვსულიყავი სიტყვით. სიტყვით გამოსვლა არ მინდოდა, რადგან ახალი ინფორმაცია არ მქონდა, მაგრამ მოკლე სიტყვით მაინც გამოვედი და ხალხს შევპირდი, რომ კვირისათვის (29 მარტი) ჩავიდოდი და ახალ ინფორმაციებს მივაწვდიდი.

მიტინგზე დიდხანს არ დავრჩენილვართ, როცა მივუახლოვდით ავტო–სადგურს, საიდანაც თბილისში გადიან ავტობუსები, ჩემს წინ გაჩერდა თეთრი ფერის 05 მარკის ჟიგული, საიდანაც გადმოვიდა ავტომატიანი ყმაწვილი და მიბრძანა ჩავმჯდარიყავი. მე უარი ვუთხარი ჩაჯდომაზე და ვკითხე ვინ იყვნენ და რა უნდოდათ. მაშინ მან დამიყვირა და მწვდა. ვიღაცა შემომახტა და თავში რაღაც მძიმე საგანი ჩამარტყა. მე მანქანისკენ წავბარბაცდი. ხელით შევიკავე თავი, რათა მანქანაში არ ჩავესვი და ვცადე მოტრიალება. ამ დროს კი საფეთქელში ოდნავ მაღლა, რაღაც მძიმე საგანი ჩამარტყეს და წავიქეცი. ვიყავი ნახევრად გაბრუებულ მდგომარეობაში. სათვალეები სადღაც გადავარდა, მესმოდა ქალების ყვი-

რილი და მამაკაცების გინება. გავარჩიე სიტყვები, რომ მე თითქოს ტერ-ორისტი ვიყავი და თუ ყვირილს არ მოვრჩებოდი შუბლს გამიხვრეტდნენ.

მანქანაში ვიჯექით ხუთნი: მე და ჩემთვის უცნობი ოთხი შეიარაღებუ-ლი ადამიანი. ერთ-ერთმა მითხრა ამომეღო იარაღი. მე ვუთხარი, რომ იარაღით არ ვიბრძვი, მაშინ მათ დამიწყეს ცემა, გინება და მორალური შეურაცხყოფა, თან მპირდებოდნენ რომ ჩემი წუთები დათვლილია და კისერზე მომაბავდნენ თოკს და ტბაში დამახრჩობდნენ.

მანქანა გაჩერდა. ტბასთან გადმომიყვანეს მანქანიდან და გააგრ-ძელეს ცემა და მორალური შეურაცხყოფა. მცემდნენ მხოლოდ თავში. შემდეგ მითხრეს ამომეტრიალებინა ჯიბეები. მე ამოვყარე ჯიბეებიდან რაც მქონდა. მათ დამიწყეს დაკითხვა, აგრეთვე ჩემს ჯიბეში იპოვნეს ტელეფონის ნომრები და დამიწყეს გამოკითხვა თუ ვისი იყო ეს ნომრე-ბი. უთუოდ შეამოწმებდნენ და გაიგებდნენ ვინ იყვნენ ეს პიროვნებები. შემდეგ ნახეს ჩემი პირადობის მოწმობა და მკითხეს ზოგიერთ ჩემს თა-ნამშრომლებს თუ ვიცნობდი და რომ ნაღდი ქართველები მათ მხარეზე არიან და რა საერთო მქონდა ამ ... ისინი ხალხს უწოდებდნენ სხვადასხვა შეურაცხმყოფელ სიტყვებს. მითხრეს დამეწერა, რასაც თვითონ მკარ-ნახობდნენ. მე დავწერე, რომ რუსთავში მიტინგს მეორედ ვესწრებოდი და აღარ ჩამოვიდოდი... შემდეგ მითხრეს დამეწერა, რომ ამ მთავრო-ბის წინააღმდეგ აღარ გამოვიდოდი და მათ სასარგებლოდ ვიმუშავებდი, რაზედაც უარი ვუთხარი, რომ მირჩევნია დავეხვრიტე, მაშინ მათ დამი-წყეს ცემა, რის შემდეგ წავიქეცი ტბის ნაპირას, კამიშებში ერთ–ერთმა მათგანმა რევოლვერი მესროლა, რომელიც ამცდა. უკვე საკმაოდ ბნელო-და, შემდეგ ამაყენეს და მემუქრებოდნენ, რომ თუ არ დავწერდი გამაუპა-ტიურებდნენ და აქვე მომკლავდნენ, რომ ვერავინ ვერაფერს გაიგებდა. მე ისევ წინააღმდეგობა გავუწიე, მაშინ მათ სცადეს ჩემი დაკოდვა, რის შემდეგ დავთანხმდი ხელის მოწერაზე. შემდეგ მათ ჩამსვეს მანქანაში და მიმიყვანეს ავტოსადგურში, თან მიხსნიდნენ გზაში, რომ ისინი იყვნენ ნამდვილი პატრიოტები, ჩვენ კი...

ავტობუსები აღარ დადიოდა, იწყებოდა კომენდანტის საათი. ერთ–ერთმა მათგანმა მომცა 50 მანეთი, ტაქსით, რომ წავსულიყავი და მითხრეს, რომ ეს იყო ვითომ ავანსი და 30 მარტს დამინიშნეს პაემანი, ვითომდა ამბების მისატანად. მე არ ვიღებდი ფულს, შემდეგ აღვუთქვი, რომ ფულს უკანვე დავუბრუნებდი. სანამ მე სახლში მივდიოდი ჩემი მშ-ობლებისათვის ვიღაცას დაურეკია და უთქვამს, რომ თუ უნდა, რომ მისი შვილი არ მოკლან ფული მოემზადებინათ.

გრძელიძე მამუკა

ფესვდონიმი „კუკა“

თვითმხილველი

18 მაისი, ორშაბათი დღე, გავიგეთ, რომ გაეროდან ექსპერტები არიან ჩამოსულები, გვინდა ჩვენი პროტესტი არსებული რეჟიმის წინააღმდეგ გამოვხატოთ მიტინგით, მაგრამ ფაშისტური რეჟიმის წითელი შეიარაღებული ბანდიტები გარეთ შეკრების უფლებას არ გვაძლევენ. რუსთაველის ძეგლიდან უნივერსიტეტამდე თავისუფალ ადგილს ვეძებთ, რათა უცებ შევიკრიბოთ, მაგრამ არ ხერხდება, იმდენი „ეგზეკუცია“ ყავთ გამოყვანილი. მოვილაპარაკეთ, გადავსულიყავით მანქანის სავალ ნაწილზე და მოძრაობა შეგვეჩერებინა. ვთქვით და ავასრულეთ კიდეც. შეჩერდა მოძრაობა, როგორც დაინახეს ქუჩა ხალხით აივსო, უნივერსიტეტთან მდგარი „ბეტეერი“ მთელი სისწრაფით გამოქანდა ჩვენსკენ. ხალხმა ერთმანეთს ჩავჭიდეთ ხელები და გადავუღობეთ გზა „ბეტეერს“. „ბეტეერი“ ჩვენს ფეხებთან დამუხრუჭდა, ხელებით ვაწვებით და ხელით გვიჭირავს. „ბეტეერს“ ვერ ვერეოდით. ასე გაგრძელდა 20 წუთი, ბოლოს მაინც „ბეტეერმა“ იმარჯვა, გაარღვია ხალხის ტალღა და გადავიდა მეორე მხარეს. „ბეტეერებზე“ ისხდნენ რეზინის ხელკეტებიანი ახალგაზრდები და აქეთ-იქიდან უშენდნენ ხალხს ხელკეტებს. „ბეტეერები“ ტროტუარზე ამოდიოდნენ და ისე დასდევდნენ ხალხს, შემდეგ ზურგიდან შემოგვიარეს და ისე შეგვრეკეს რუსთაველის მეტროში ცემა-ტყეპით, როგორც ნახირი.

19 მაისი, ისევ გრძელდება მიტინგის ჩატარების მცდელობა. გვინდა შევიკრიბოთ როგორმე, მაგრამ ვერ ხერხდება. რუსთაველის ძეგლს თითქოს მილიციელები მოუსხავსო იმდენი არიან, რომ მოედანი წითლად იყურება. ხმა გავრცელდა თავისუფლების მოედნისკენ წამოდითო. ჩვენც ნელ-ნელა იქით ვიწევთ და ყველას ვეუბნებით, რომ იქ ვიკრიბებით, მოვედით მოედანზე თუ არა, ხელად გაჩნდნენ „ბეტეერიანი“ შეიარაღებული ძმები. იქ დღეს განსაკუთრებული სიურპრიზი მოგვიმზადეს. დღეს ხალხს ავჩარკა ძაღლებით შეიარაღებულნი დახვდნენ. მე ვიდექი უნივერმაღის შესასვლელის წინ და გავერთე ძაღლიანი კაცების ყურებით, რომლებიც მთელი გულმოდგინებით უსევდნენ ძაღლებს ხალხს. ამ დროს მთელი ძალით დავიყვარე: „გაუმაჯოს დემოკრატიას საქართველოში-მეთქი“. რა თქმა უნდა, ეს ჩემი ცინიკურად ნათქვამი კარგად აღიქვეს მხედრიონელებმა და მილიციამ, მეტაკენ და სულ მუშტებისა და წიხლების ცემით შემტენეს მილიციის მანქანა „კოლხოზნიკში“. შემოვარდა ერთი მილიციელი მანქანაში, რომელსაც ერთი დიდი ვარსკვლავი ჰქონდა სამხრეებზე და იმისთანა უწმაწური ლანძღვა-გინება დაგვიწყო, ყურო ნუ გაიგონებო. ხელში ქოლგის მეტი არაფერი მეჭირა, მაშინვე მეცა ხელში და წამართვა ქოლგა. ვეუბნები რატომ მართმევ, მე თვითონ ვზიდავ, თქვენ ნუ შეწუხდებით–

მეთქი. ხვდება, რომ დავცინი და ქოლგას მიღერებს. მიმიყვანეს დიღომში მილიციის სამმართველოში. შესვლისთანავე ვეუბნები იქ მყოფ ყველა მილიციელს, რომ ამ კაცმა ქოლგა წამართვა და აღარ მაძლევს-მეთქი, იმდენი ვიძახე, უკან გადმომიგდო ისევ... რამოდენიმე წუთის შემდეგ შემოიყვანეს ეთერ მგალობლიშვილი და ლამარა დვალიშვილი, ისინიც ჩემსავით მეტრო „თავისუფლების მოედანთან“ აუყვანიათ. შეგვიყვანეს საკანში, საიდაც იყვნენ მარიკა აბაიშვილი, ანა ჭავჭავაძე და სხვები. სულ ვიყავით რვა ქალი. ჩემზე მარიკა აბაიშვილმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა.

მე ერთი რამის თქმა შემიძლია მარიკაზე, თუ კიდევ არიან საქართველოში მარიკასთანა ადამიანები, მაშინ საქართველო აუცილებლად გადარჩება, მე ორ დღეში გამომიშვეს.

დაჭერის შემდეგ გარეთ აღარ გავსულვარ. 26 მაისს ყველანი დარწმუნებულები იმაში, რომ არ გვესროდნენ, წავედი მიტინგზე ფილარმონიასთან. რესპუბლიკის მოედანზე ჩვენს ოპონენტებს ჰქონდათ ტაშ-ფანდურა გამართული. მიტინგი დაიწყო პირველ საათზე, მისი დამთავრების შემდეგ გამოაცხადეს მანიფესტაცია რუსთაველის ძეგლისაკენ და დავიძარით კიდეც. ხალხი ძალიან ბევრი იყო, ის იყო გავიშალეთ გზაზე და დავიწყეთ სვლა, რომ უცებ გაისმა ავტომატების ჯერი, ხალხი დაიბნა, არ მოელოდა გასროლას. ერთხანს გაირინდნენ ჩვენი მოწინააღმდეგეები, მიხვდნენ, რომ ჰაერში სროლით ვერ დაგვაშინებდნენ და ახლა სხვა ხერხს მიმართეს. გაქანებული მანქანით შიგ ხალხის ტალღაში შემოვარდნენ, სადაც ერთ ქალს დაეტაკნენ.

რესპუბლიკის მოედანზე კი გამართულ ტაშ-ფანდურას ესწრებოდნენ დიდი დემოკრატები ბეიკერი და ჩვენი თანამემამულე ედიკა, ორას მეტრში კი განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს ტყვიებს უშენდნენ „დიდი დემოკრატები“.

ლ. მ. *მკერავი*
29.05.92 წ.

თვითმხილველი

1992 წლის 26 მაისი. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობს ედ. შევარდნაძე, რომელიც საქართველოში სდევნიდა ეროვნულ მოძრაობას და დისიდენტებს. ამ დღეს ქალაქში მე საზეიმოდ არ გამოვსულვარ. გავედი, რათა მეც შევერთებოდი მრავალათასიან კოლონას, რომელიც იმ დღეს ზარ-ზეიმით კი არ ხვდებოდა, არამედ საპროტესტო მოთხოვნით – საქართველოში კანონიერებისა და კანონიერი პრეზიდენტის აღდგე-

ნა! ფილარმონიასთან უამრავი ხალხი შეკრებილიყო ლოზუნგებით და პრეზიდენტის სურათებით. რესპუბლიკის მოედანზე კი მცირერიცხოვანი წითელი ინტელიგენცია, კომკაშვირისა და რაიკომის ყოფილი მდივნები კომუნისტურად ზეიმობდნენ.

ჩვენ რესთაველისკენ დავიძარით, გვსურდა მშვიდობიანი მსლველობის მოწყობა რუსთაველის პროსპექტზე, მაგრამ წინ „მხედრიონი“ გადაგვეღობა და სროლა აგვიტეხა. მერე დაგვერივნენ, დროშები წაგვართვეს, მერაბ კოსტავას სურათები წაგვგლიჯეს და დახიეს. ხალხი დაიფანტა. 26 მაისს, მერაბ კოსტავას დაბადების დღეს თუ ქართველებს ქართველები გვესროდნენ, ამას ვერ წარმოვიდგენდი, თუმცა შევარდნაძისა და მისი თანამოაზრეებისაგან რა უნდა გაგვიკვირდეს? ისინი ბეიკერის საამებლად ქუჩის ერთ მხარეს ზეიმობდნენ, ცეკვავდნენ და მღეროდნენ, მეორე მხარეს კი ქართველებს აწიოკებდნენ და ტყვიებს გვესროდნენ. ასე ჩატარდა 1992 წლის 26 მაისი.

მზია ლომთაძე

ქ. თბილისი, 1992 წლის 28 მაისი

თვითმხილველი

1992 წლის 26 მაისს მე და მამა უნივერსიტეტში წავედით მიტინგზე. მომიტინგეები უკვე ფილარმონიისაკენ მიდიოდნენ, ჩვენ გავყევით... ხალხი კანონიერების აღდგენას და პოლიტპატიმრების განთავისუფლებას მოითხოვდა. მამას ვთხოვე მე და ჩემი ამხანაგი შევარდნაძის მიერ მოწყობილ „პარადზე“ წავალთ და ვნახავთ რა სიტუაციაა–მეთქი. წავედით, ხალხი იქ არც ისე ბევრი იყო. ზეიმს კომუნისტური პარადების დროინდელი ხასიათი ჰქონდა. ხალხის ყურადღების მისაქცევად პარაშუტისტები ჩამოაფრინეს. იქ ბევრი ნაცნობი ვნახე, რომლებიც კანონიერი ხელისუფლების მომხრეები არიან, მაგრამ წამოსულიყვნენ, რადგან მათაც აინტერესებდათ, თუ რა ხდებოდა აქ... მე და ჩემი მეგობარი კვლავ ფილარმონიასთან დავბრუნდით. როგორც შევიტყვეთ, მიტინგი დაურბევიათ.

თ. ნ.

თვითმხილველის ნაამბობი

1992 წლის 18 მაისი. იმ დღეს თბილისში იყო საერთაშორისო კომისია. გვინდოდა მიტინგის ჩატარება რუსთაველის ძეგლთან. ძეგლთან იდგნენ მილიციელები ავჩარკა ძაღლებით და სამოქალაქო პირებით. ხალხი

მოედანთან არ მიუშვეს. ძაღლებს თოკზე გამომბულებს არბენინებდნენ პირდაპირ ხალხზე. შემდეგ მომიტინგეები წამოვედით თავისუფლების მოედანზე. მეტროსთან მოიყვანეს ბეტეერი და იქ წრეებს აკეთებდნენ. ასევე პირდაპირ ხალხს მოგვისიეს დაგეშილი ავჩარკა ძაღლები. მეტროსთან ჩამოიყვანეს მილიციის მანქანა. განსაკუთრებით კვლავ ახალგაზრდა ბიჭები აქტიურობდნენ ქალების ცემაში. ერთ ჩემს გვერდით მდგომ ქალს, სამი შვილის დედას მილიციის ოფიცერმა უბიძგა – სახლში წაეთრიეო და შეგვაგინეს. მათ სტაცეს ორ ქალს ხელი, ერთი ჩემი მეზობელი იყო – სულ ცემით მიიყვანეს მილიციის მანქანამდე. მე გამოვესარჩლე, „უსაქმურო დედაკაცო წაეთრიე აქედან თორემ შენც დაგიჭერო!“ დამემუქრა შეიარაღებული. ორთავე დაჭერილ ქალს ურტყამდნენ მილიციის ფორმიანი ოფიცერი და ახალგაზრდა ბიჭები. იმ ვილისის მანქანაში ჩასვეს კიდევ ორი მამაკაცი. იმ კომისიის წევრებს ეს საშინელება არ უნახავთ. ისინი ამ დროს მოსწავლეთა სასახლეში იყვნენ და კონცერტს ისმენდნენ.

ინჟინერი ***მ. ს.***

თბილისი

დაზარალებულის ნაამბობი

1992 წლის 18 მაისს უნდა ჩატარებულიყო მიტინგი რუსთაველის ძეგლთან. 16 საათზე მისასვლელი ჩაკეტილი იყო ბეტეერებითა და მილიციელებით, რომელთაც ხელში ჰქონდათ ხელკეტები. მომიტინგეები წამოვედით უნივერსიტეტისაკენ, მაგრამ იქაც არ მიგვიშვეს. ამ დროს თბილისში კომისია იყო ჩამოსული. ისინი არც კი დაინტერესებულან მიტინგით, მხოლოდ შევარდნაძეს უსმენდნენ. ქუჩაში ხალხთან არ მოსულან.

მელიქიშვილის ქუჩაზე ხალხს დაუწყეს ცემა. ცემდნენ ახალგაზრდა ბიჭები ჯოხებით. მათ ეცვათ სამოქალაქო ტანსაცმელი. გვაგინებდნენ და გვცემდნენ. მე მცემეს, მირტყეს სხეულის ქვედა ნაწილზე, განსაკუთრებით ფეხებზე, რის შედეგადაც ფეხი დამიზიანდა, კანი გადასკდა, შემდეგ დაიწყო დაჩირქება, რისი მიზეზითაც ბიულეტენზე ვიყავი მთელი შვიდი კვირა. ფეხი ახლაც ძალიან მტკივა. ურტყამდნენ ყველას, დიდს თუ პატარას, ქალს თუ მოხუცს განურჩევლად. ჩემს წინ ერთ ახალგაზრდა ბიჭს ძალიან ურტყეს. ის უგონოდ დაეცა მიწაზე.

ექთანი ***ლედი მღვდელიაშვილი***

თბილისი

თვითმხილველი

1992 წლის 2 თებერვლისა. მე, ნოზაძე ტელმანი ნიკოლოზის ძე მცხ. ქალაქ რუსთავში. ვარ 56 წლის კაცი, მყავს სამი შვილი. თბილისში ვიყავი და რა თქმა უნდა მიტინგსაც დავესწარი. მიტინგი ტარდებოდა რკინიგზის სადგურის წინამდებარე ტერიტორიაზე. დეზერტირის ბაზრის მხრიდან შესასვლელი ჩაკეტილი იყო მილიციის მუშაკების მიერ. არ გვიშვებდნენ, მაგრამ ხალხმა იძალა. გაარღვია კორდონი. დაიწყო მიტინგი. ხალხის ძირითადი მოთხოვნები იყო დროებითი მთავრობის გადადგომა და კანონიერად არჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის დაბრუნება. მიტინგი დაიწყო 12 საათზე, ბევრი ხალხი იყო და ყველანი მანიფესტაციით დავიძარით. მიდიოდა ხალხი და მივდევდი მეც. გადავიარეთ თამარის ხიდი და მივუახლოვდით ცირკს. უკან რომ გამოვიხედე ხალხის ნაკადს ბოლო არ უჩანდა. ცირკთან გზა გადაკეტილი იყო გრძელი გარმოშკა ავტობუსებითა და სატვირთო მანქანებით, ისე რომ რაც უნდა ეღონათ მომიტინგეებს ავტობუსებს ვერ დაძრავდნენ. იქით ცისტერნიანი ავტომანქანა იდგა წყლით სავსე. რომ მივედით იმ გადაკეტილ ადგილამდე, სამი ბიჭი ავიდა ავტობუსებზე. მათ ცირკის ეზოდან ტყვიები დააყარეს. ჯერ წყლიანი ჭავლი გამოუშვეს, მერე პირდაპირ ავტომატის ჯერი დაგვიშინეს. მე სასწრაფოდ მოვტრიალდი უკან. 50 მეტრი არა მქონდა გავლილი, რომ მარცხენა ფეხში მუხლის ქვემოთ დავიჭერი. სისხლი თქრიალით ჩამომდიოდა. ჩემს გვერდით 4–5 კაცი დაიჭრა მძიმედ. ერთი 22 წლის ბიჭი თავში ნასროლი ტყვიისაგან იქვე დაიღუპა.

თბილისი

1992 წ.

თვითმხილველი

1992 წლის 10 აპრილს დილის ორ საათზე რკინიგზის სადგურის მოედანზე დამაკავეს. ბაზარში მივდიოდი. მეტროდან ამოსვლისთანავე მოვიდა ორი ახალგაზრდა ბიჭი და მითხრეს, რომ უფროსმა გვიბრძანა, ვინც სადგურზე ამოვა ყველა დააპატიმრეთ. ძალდატანებით წამიყვანეს ე. წ. კპზ-ში, სადაც უამრავი პრეზიდენტის მომხრე ქალები და მამაკაცები იყვნენ აყვანილი.

მე დამკითხეს და გამომიშვეს ხუთ საათზე.

ასე ლახავენ ჩვენს ადამიანურ უფლებებს დემოკრატიის დროშით მოსული თვითმარქვია მთავრობა, არ გვაძლევენ მიტინგის ჩატარების საშუალებას. სამი ადამიანი ერთად თუ დაინახეს აპატიმრებენ.

მერი ნემსიწვერაძე

23 მაისი 1992 წ.

წყევლა ტანჯული დედისა

„ვისაც ჩვენ არ ვებრალებით,
ჩვენ შევიბრალოთ რისადა?!
სიკვდილი თვითონ უფალსა
*გაუჩენია მტრისადა“ — **ვაჟა***

საქართველოში დაბრუნდა ქართველი ერის საძულველი პიროვნება, ღვთისაგან შერისხული, უმძიმესი ცოდვებით სავსე, პირსისხლიანი ნიღბით, სატანური ზრახვებით, ერის სამარცხვინო შვილი (მენანება „საქართველოს შვილად“ მისი მოხსენიებაც კი) – ედუარდ შევარდნაძე.

ჩამოვიდა და საქართველოში ჩამოწვა უკუნი, ჰაერშიც კი ჯოჯოხეთურმა გეჰენიამ დაისადგურა. ადამიანი, რომელიც ამ გეჰენიის ცეცხლში უნდა იწვოდეს, ახლა თავისი ბინძური სულით საქართველოს წამლავს. მათ, ვინც საქართველოში ეს სატანა მოიწვია, გზა გაუკვალა, თბილისს მოავლინა, იწამა და მხსნელად დაუსახა ერს, ჩაიხედონ ღრმად საკუთარ სულში და იქ ჰპოვებენ პასუხს – სატანა მუდამ სატანად რჩება, არ შეიძლება იგი სიკეთეს ემსახურებოდეს.

უსამართლობას, განუკითხაობას, პროტექციონიზმს, აუტანელ იდეოლოგიურ მარწუხებს, ადამიანთა ტანჯვა-წამების ჭეშმარიტ საპყრობილეს – როგორადაც საქართველო აქცია შევარდნაძემ, გაურბოდნენ ჩემი შვილები. მათ ჩემი ქება არ სჭირდებათ. მათ საქებარს, პიროვნულ ღირსებებს, სულიერ და ზნეობრივ სიმაღლეს აღიარებს ყველა – ვინც მათ იცნობდა.

მე გავუზარდე საქართველოს საუკეთესო შვილები!

„ჩვენ გვიყვარდა, გვიყვარს და გვეყვარება ჩვენი სამშობლო, ჩვენ გავურბოდით ახლანდელ წყობას“ – განუცხადა სასამართლოს კახამ და პაატამ.

ამავე წყობის ვერაგობასა და ბოროტებას აუმხედრდა ბავშვობიდანვე თავისუფლებისათვის მებრძოლი ზვიად გამსახურდია – სულით მართალი, ადამიანი ღვთისნიერი, ნამდვილი დემოკრატი, ჭეშმარიტი ქართველი, რომელიც სატანა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოდან გააქცია, მოწამებრივ გზაზე დააყენა.

წყეული იყავ ედუარდ შევარდნაძევ შენი ოჯახით! ღმერთმა მოგის-

პოს ჩემი პაატას მოსახელე შვილი! ღმერთმა ადამიანური სიკვდილიც კი არ გაღირსოს! მოგასწროს შვილებისა და შვილიშვილების მუხანათურ სიკვდილს, სხვისთვის გამზადებული შხამით მოგწამლოს და მოგხრას უფალმა! იწოდე ზეზეულად, მიწამაც არ მიიღოს შენი ძვლები! საჯიჯგნათ იქეც ყვავთა და ყორანთა! ამოწყდეს შენი სახსენებელი! ისე გაცამტვერდი, რომ არ დაგრჩეს შთამომავალი შენი სულის მოსახსენიებლად! წყეული იყავ სამარადისოდ!

ან დამიბრუნე ჩემი შვილები, ან შეევედრე უფალს აგისრულოს ეს წყევლა!

წყეულიც იყოს შენთან ერთად ის ქართველი, ვინც გვერდში დაგიდეს!

თუ ვიცოცხლებ, მხოლოდ იმისთვის, რომ განადგურდეს შენი შთამომავლობა!

უფალო ჩემთან არს! უფალი მთლად საქართველოსთან არს!

კახა და პაატა ივერიელების ტანჯული დედა
ნაზი ბახტაძე

1992 წლის 26 მაისი

თითქმის ერთი კვირით ადრე ტელევიზიით მთავრობა და თვით შევარდნაძე გვეძახდა შევრიგდეთო, ერთად ვიმღეროთ და ვიცეკვოთო. შევიკრიბეთ პირველ საათზე ფილარმონიასთან. მოვიდა უამრავი ხალხი, ჩავატარეთ მიტინგი კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით. შემდეგ ლოზუნგებითა და სურათებით მივდიოდით რუსთაველზე, საიდანაც უნდა ავსულიყავით მერაბ კოსტავას საფლავზე – 26 მაისი ხომ მისი დაბადების დღეცაა. რესპუბლიკის მოედანზე შეიკრიბა მთავრობა, იქ იყო ბეიკერიც, გამართული ჰქონდათ ტაშფანდურა და ცეკვა. შევარდნაძე, რომელიც ყველაფერს აკეთებდა, იმისთვის, რომ საქართველო არ ყოფილიყო თავისუფალი, დღეს 26 მაისს ზეიმობს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. ჩვენ როცა მსვლელობა დავიწყეთ და მივედით რედაქციის შენობასთან დაიწყო სროლა. ისროდნენ სასტუმრო „ივერიის“ სახურავიდან და რედაქციის შენობის სახურავიდან. ხალხი მაინც არ დაიშალა, მივედით რუსთაველის ძეგლთან, მაგრამ იქ ხალხს დაუწყეს საშინელი ცემა. ხალხს სცემდა სამოქალაქო ტანსაცემლში ჩაცმული ბიჭები 18-19 წლისანი, უფრო ჭანტურიას და მხედრიონის ხალხი, რამოდენიმე ბიჭს სახეზე სცნობდნენ კიდეც. ერთ ბიჭს სულ რუსთაველის ძეგლის კიბეებზე არტყმევინეს თავი. ერთი ქალი და ბავშვი წააქციეს და

ზედ შუბლზე რევოლვერი დაადეს. ერთ ქალს დააჯახეს წითელი მანქანა ჟიგული. ალბათ ის ქალი და ბიჭი გარდაიცვალნენ. ავღნიშნავ, რომ 26 მაისს ხალხი ბავშვებით იყვნენ მისული, ჩვენ ხომ მთავრობა ზეიმზე გვეპატიჟებოდა, შერიგებას გვთხოვდა. ზუსტად 200-300 მეტრის დაშორებით დემოკრატიის მამა შევარდნაძე და ბეიკერი ცეკვებით ტკბებოდა და მათგან 100 მეტრზე ხალხს ესროდნენ და სცემდნენ, ხოლო მათ თითქოს სროლის ხმა არ ესმოდათ.

გლდანის მასივი მე-5 მიკრორაიონი
ქიმიკოსი ***მ. ლ.***

26 მაისი

ქართველი ხალხისათვის ამ მეტად ღირსახსოვარ დღეს ფილარმონიასთან შევიკრიბეთ. მართალია, წინა დღეს ტელევიზიით მხედრიონის „ვაჟკაცებმა“ მკაცრად გაგვაფრთხილეს – მიტინგზე არ გამოხვიდეთ, თორემ გესვრითო, მაგრამ ხალხი მაინც მოვიდა. ფილარმონიასთან მიტინგი ჩატარდა და მსვლელობით მერაბ კოსტავას ეზოსკენ გავემართეთ. მოულოდნელი სროლებით შეგვაჩერეს. მე მათი სახეები არ დამავიწყდება, ადამიანებს არ გავდნენ და რაღაც არანორმალურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. უცებ ხალხში წითელი უნომრო მანქანა შემოვარდა და აქეთ–იქით აწყდებოდა. ხალხი გაიფანტა, ვიღაცა ქალი წაბორძიკდა და დროზე ხელი რომ არ ეტაცათ, მანქანის ქვეშ მოყვებოდა. ჩვენ ისევ ვცადეთ გზის გაგრძელება, მაგრამ ახლა ტყვიების წვიმა წამოვიდა. ზოგი სადარბაზოში შევარდა, ზოგი გაიქცა. სანამ ხალხი არ დაშალეს, სროლა არ შეწყვეტილა, ძალიან ცდილობდნენ დემონსტრანტებს ხელი არ შეეშალათ ბეიკერ-შევარდნაძის შოუსათვის და კომუნისტური აღლუმი არ ჩაშლილიყო. ცაში ვერტმფრენები გამოჩნდა, ეტყობა, მათ ხმაურს უნდა გადაეფარა სროლის ხმა, შემზარავი სურათი იყო. ერთ მხარეს ქართველებს ესროდნენ ქართველები კანონიერების აღდგენას რატომ თხოულობდა და მეორე მხარეს ყოფილი პარტიული მუშაკები, ძველი კომკავშირლები და პრივილეგირებული წითელი ინტელეგენცია სიცილ–ხარხარით, ცეკვა–თამაშით ფეხქვეშ ეგებოდა ბეიკერს და შევარდნაძეს და არად აგდებდა საკუთარი ხალხის მიმართ გამოყენებულ ძალადობას. აქაც გამოჩნდა, რომ თვითონვე იყვნენ ყოველივე ამის აქტიური მონაწილეები და ხელისშემწყობნი.

დიდხანს ვიდექით ჯგუფ-ჯგუფად, მერე ნაწილ-ნაწილ მეტროსკენ შევეცადეთ გასვლას, მაგრამ უშედეგოდ. მხედრიონელებს გზა მჭიდროდ შეეკრათ, ნაწილმა მაინც მიაღწია რუსთაველის მეტრომდე. ამ დროს

ბეიკერმა გამოიარა, ხალხმა ყვირილი ატეხა „შევარდნაძე იუდა“! დამსჯელი რაზმი ისევ გამოვარდა და მგლის ხროვასავით დაერია ხალხს. ურტყამდნენ, აგინებდნენ. ჩვენ მ. კოსტავას სახლისკენ გავეშურეთ და იქაურობას გავეცალეთ, მეტი რა გზა გვქონდა.

ნანა ტალახაძე

1992 წლის 26 მაისი

26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა. ეს დღე გმირი მერაბ კოსტავას დაბადების დღეა. ყოველივე ამის გამო 26 მაისი გამოცხადდა დასვენებისა და საზეიმო დღედ. „მთავრობა“ საზეიმო კონცერტს მართავდა რესპუბლიკის მოედანზე, ხოლო პრეზიდენტის მომხრეები შევიკრიბეთ სახელმწიფო ფილარმონიის წინ და გავმართეთ მიტინგი. ხელისუფლებისაგან რამდენჯერმე იყო მცდელობა ჩვენი მიტინგის ჩაშლისა პროვოკაციული სიტუაციის შექმნით, მაგრამ რადგან ჩვენი მიტინგის წამყვანიდან მოწოდება იყო პროვოკაციას არ წამოვგებოდით, მიტინგი მშვიდობიანად ჩატარდა. მანიფესტანტები გავემართეთ მერაბ კოსტავას სახლისაკენ, რათა დედამისისათვის – ქალბატონ ოლიკოსათვის მიგველოცა ბატონი მერაბის დაბადების დღე, მაგრამ აქ მოხდა გაუგონარი რამ. ჯერ რუსთაველის პროსპექტიდან უდიდესი სისწრაფით გამოქანდა რამოდენიმე მსუბუქი ავტომანქანა. ერთ-ერთი, როგორც მე მოვკარი თვალი, იყო შინდისფერი (რა მარკისა ვერ ვიტყვი, რადგან ის ჯერ ერთი სწრაფად მოძრაობდა და მეორეც აწიოკებულ ხალხში მანევრირებდა და ვერ შევძელი მანქანის ნომრისა და მარკის დანახვა). ამის შემდეგ დაიწყეს მომიტინგეებზე გამოკიდება და ცემა. ყოველივე ამას სჩადიოდა არა მილიცია, არამედ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ხელკეტებიან ავტომატიან-პისტოლეტებიანი ახალგაზრდები, რომელთაგან არც ერთ მათგანს არ გააჩნდა ადამიანური გამომეტყველება, პირზე დუჟი ჰქონდათ მომდგარი. ისინი არაადამიანური სისასტიკით სცემდნენ მომიტინგეებს. იგინებოდნენ ბინძური სიტყვებით. გარკვეულმა ნაწილმა მაინც შეძლო რუსთაველის ძეგლამდის მისვლა და ქალბატონ ოლიკოსათვის შვილის დაბადების დღის მილოცვა.

ვინ იყვნენ ეს ახალგაზრდები? ეს ის ახალგაზრდები იყვნენ, რომლებმაც 10 მაისს უნივერსიტეტთან დაარბიეს მომიტინგეები და ზოგიერთი მათგანი დააპატიმრეს კიდეც.

ც. კ.
თსუ მეცნიერ-თანამშრომელი

1992 წლის 23 მაისი

1992 წლის 23 მაისს მიტინგი უნდა გამართულიყო რუსთაველის ძეგლთან, მაგრამ ისევე როგორც წინა დღეებში, ამ დღესაც მიმდებარე ტერიტორია დაკავებული ჰქონდათ მილიციის რაზმებსა და სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულ, ჩემი აზრით „მხედრიონის“ წევრებს (მხედრიონს ვამბობ იმიტომ, რომ შემდგომ ეს ახალგაზრდები, რომლებმაც უსასტიკესად სცემეს ქალს, ამოიცნო ერთ-ერთმა იქ მყოფმა). ძეგლისა და მოედნის გარშემო იდგა რამოდენიმე ბეტეერი. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილები მილიციის მუშაკებთან ერთად გამვლელებს არ აჩერებდნენ მოედანზე, თუ რომელიმე შეედავებოდა, მაშინვე სტაცებდნენ ხელს და მანქანაში აგდებდნენ. მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც შეგროვდა, თუმცა უამრავი ადამიანი იქნა დაპატიმრებული, მხოლოდ იმის გამო, რომ მოვიდნენ მიტინგზე ან სრულიად შემთხვევითაც მოხვდნენ აქ... მეც ხალხთან ერთად ვიდექი გაჩერებასთან, როცა ჩვენს ჯგუფს მოუახლოვდა 5-6 ახალგაზრდა, რომლებმაც მოიყვანეს 40 წლამდე ასაკის მამაკაცი და ჩემს წინ მდგომ ორ ახალგაზრდაზე მიუთითეს – ესენი არიან შენს მანქანაში, რომ ისხდნენ“, „არა არასოდეს მინახავს ეს ხალხი, ესენი არ არიანო,“ უპასუხა მან. მაშინ ერთ-ერთი ახლოს მივიდა იმ ახალგაზრდებთან და მიმართა – „ეს კაცი ამბობს, რომ თქვენ მის მანქანაში ისხედით და რომ მისი მანქანის მოპარვა გინდოდათო“ – ისევ შემობრუნდა ე. წ. მანქანის მფლობელისაკენ და ჰკითხა: „ხომ ესენი არიან მანქანის ქურდებიო“. მანქანის პატრონმა კვლავ პროტესტით განუცხადა, რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ თვალითაც არ მინახავს ეს ხალხიო. მაშინ მას მოჰკიდეს ხელი და უხეშად გაიყვანეს გვერდით, ხოლო დანარჩენებს უცერემონიოდ, ყოველგვარი საბუთის გარეშე მოსთხოვეს, დასაპატიმრებლად ამორჩეულებს, საბუთები. იქვე ახლოს ვიდექი და წავიკითხე გვარები – გოგოლაძე და მარსაგიშვილი. როცა მათ უკან მოსთხოვეს პასპორტები, დამსჯელი რაზმების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ისინი იპარავდნენ მანქანას და უნდა დააპატიმრონ. მაშინ მე მივმართე: თვით მანქანის პატრონი უარს ამბობს, ესენი არ იყვნენ მანქანასთანო და თქვენ რა უფლება გაქვთ ასეთი ბრალდების და ხალხის აყვანის– მეთქი. ერთ-ერთმა დამსჯელმა მიპასუხა: – თუ წყნარად არ იქნები, შენი ადგილიც ამათთან იქნება. იძულებული გავხდი გავჩუმებულიყავი, რადგან ისინი ამ მუქარას მართლაც შეასრულებდნენ და ალბათ მეც დამაბრალებდნენ რამეს. შემდეგ მათ კიდევ მიემატა რამოდენიმე კაცი და ეს ორი ახალგაზრდა ძალის გამოყენებით წაიყვანეს მანქანებისაკენ. წაიყვანეს მათთან ერთად მანქანის პატრონიც, რომელიც ბოლო წუთამ-

დე ამბობდა, რომ ეს ორი ახალგაზრდა სრულიად უდანაშაულოა და არაფერ შუაშია ჩემს მანქანასთანო. რა ბედი ეწია ამ ორ უდანაშაულო ახალგაზრდას დღემდე არ ვიცი. ჩვენ კი წავედით უნივერსიტეტისაკენ, რომ ეგებ იქ მაინც გამოგვეთქვა პროტესტი არსებული ხუნტის მიმართ. ხალხის ნაკადი არ იყო მისული უნივერსიტეტთან, რომ წინ მანქანები და მილიცია გადაგვიდგა, დამსჯელ რაზმთან ერთად დაიწყო „დუბინკებით“ ხალხის ცემა, ისინი ხანდახან იარაღის კონდახებსაც იყენებდნენ. რუსთაველის მხრიდან წამოვიდა „ბეტეერი“, მასზე ამხედრებული 4-5 კაცით, რომლებიც ასევე „დუბინკებით“ იყვნენ შეიარაღებულნი და ხალხს ზევიდან, პირდაპირ თავში ურტყამდნენ. დავინახე როგორ დაიჭირეს ასე 50-60 წლის კაცი, როგორ დადუნდობლად სცემეს მისი შვილიშვილების ასაკის ახალგაზრდებმა. ხალხი შემობრუნდა, რომ მიხმარებოდა სადისტების ხელში მოხვედრილს, მაგრამ დაიწყეს სროლაც, ამ დროს დავინახე როგორ მორბოდა ასაკოვანი ქალბატონი, რომელსაც მოსდევდა 5-4 ჯანმაგარი, შვილისტოლი ბიჭი „დუბინკების“ ტრიალით. ქალი ხალხს შეერია, მაგრამ ისინი დაეწივნენ, გამოათრიეს ხალხიდან და დაუნდობლად სცემეს. ერთ-ერთი მათგანი ივერიასთან დაეწია ასევე ქალს, რათა მთელი სისასტიკით გასწორებოდა. ქალბატონი დაეცა, მაშინ „ვაჟკაცები“ ფეხით შედგნენ და ალბათ ვეღარაფერი იხსნიდა ამ ქალბატონს, რომ ისევ დიდი თავგანწირვის ფასად ხალხს არ გამოეტაცა აშკარა სიკვდილისგან. ამ დროს „ბეტეერი“ ავარდა ტროტუარზე და პირდაპირ ხალხში დაიწყო ბრუნვა, არ ვიცი, ვინ როგორ დაშავდა. ხალხის დასარბევად თვით გელა ლანჩავაც მობრძანდა, აგინებდა ხალხს, ქალებსაც კი მიმართავდა უხეში სიტყვებით. ერთ-ერთმა იქ მყოფმა იცნო მხედრიონის წევრი, რომელიც ქალს სცემდა – გელა ქაფიანაშვილი. იგი მოსული იყო დარბევაზე გაზ–24 მარკის, თეთრი ფერის 7-81 ნომრიანი მანქანით. ნაცემი ხალხი აიყვანეს და მანქანებში ჩატენეს. მომიტინგეები საშინლად იქნენ დარბეულნი შევარდნაძის ხუნტის მიერ „დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად“, მაგრამ ის რაც მეორე დღეს მოხდა ალბათ ამის წარმოდგენა შეუძლებელია. სურათი ისეთივე იყო, რაც წინა დღეს რუსთაველის ძეგლთან, მაგრამ რამაც ყოველგვარ მოსალოდნელობას გადააჭარბა, ის იყო რომ მომიტინგეთა დასაგლეჯად „დემოკრატმა“ ფაშისტებმა – „ავჩარკები“ მოიყვანეს. ალბათ ეს იდეა საქართველოში ყველაზე დიდ „დემოკრატს“ შევარდნაძეს მოუვიდა აზრად. ვნახე როგორ მიუსიეს ძაღლი ერთ-ერთ ქალბატონს, რომელიც შიშით თავზარდაცემული გარბოდა.

მ. ხუციშვილი

თვითმხილველი

1992 წლის 10 მაისს ვაპირებდით კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერნი მიტინგის ჩატარებას რუსთაველის ძეგლთან. მივედით დანიშნულ ადგილას, მაგრამ იგი გარშემორტყმული იყო მილიციის კორდონით. მილიცია მთლიანად იყო გაფანტული რუსთაველის პროსპექტზე, ამიტომ ხალხი დაიძრა უნივერსიტეტისკენ. იქაც იგივე სურათი დაგვიხვდა. ემატებოდა ავტობუსები სავსე მილიციელებით. დაახლოებით სამი ავტობუსი მოიყვანეს. უნივერსიტეტის ეზოში იდგა პოლიციის ბეტეერები, გზაში კიდევ დაგვეწია რამდენიმე. ხალხი მაინც შევგროვდით ჩაის სახლთან. სიტყვით გამოვიდა თენგიზ კიკაჩეიშვილი (უნივერსიტეტის პროფესორი). შემდეგი სიტყვით გამოდიოდა ლია ენუქიძე, შემოცვივდნენ სამოქალაქო ფორმაში გადაცმული ხელკეტიანები და დაიწყეს ხალხის დარბევა და ცემა. ჩემი თვალით ვნახე როგორ უმოწყალოდ ჩასცხეს დეპუტატ ბეჟან ჯავახიას, რომელიც ხალხმა გამოიყვანა. გაეკიდნენ თენგიზ კიკაჩეიშვილს და მოუქნიეს ხელკეტი. ეს ხელკეტი ვიღაც მომიტინგე ბიჭმა მოიხვედრა ბატონი თენგიზის მაგივრად. მაინც მოახერხეს ბატონი თენგიზის აყვანა. ურტყამდნენ ყველას უმოწყალოდ, რათა ხალხი დაეშალათ.

1992 წლის 26 მაისს, როგორც ყველასთვის ცნობილია საქართველოს თავისუფლების დღეს – ხუნტის მიერ მოხსნილი იყო კომენდანტის საათი. ჩვენ კანონიერი ხელისუფლების მომხრენი შევიკრიბეთ დღის პირველ საათზე ფილარმონიასთან. ძალიან ბევრი იყო შემოგზავნილი მხედრიონის წევრი, რომლებიც ცდილობდნენ შანტაჟის მოწყობას, მაგრამ ხალხი ყურადღებას არ აქცევდა. დავიძარით მანიფესტაციით ფილარმონიიდან. ის იყო მივუახლოვდით გამომცემლობას, რომ ხალხის ნაკადი გაარღვია წითელი ფერის „09“ მარკის ავტომანქანამ. გაოგნებული ხალხი აქეთ-იქით გაიფანტა. ამ დროს მანქანიდან (ეს კიდევ სხვა მანქანა იყო) გადმოხტა გაშმაგებული ავტომატიანი და ატეხა სროლა ჰაერში. ერთხანს გაოგნებული ვიდექი. „09“ მარკის ავტომანქანა კვლავ განაგრძნობდა მანევრირებას რუსთაველის პროსპექტზე. ამის პარალელურად იქვე რესპუბლიკის მოედანზე საჰაერო შოუ კონცერტი მიდიოდა. მე უკვე რუსთაველის მეტროსთან ვიდექი, როცა ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი გიგა არველაძე შევნიშნე. ის ხალხს მოერეკებოდა თავის დამქაშებთან ერთად. ყველას მეტროსკენ უბიძგებდა. მის გვერდით მდგომს ხელში რევოლვერი ეჭირა და დიდი გული ჰქონდა. დაიჭირეს მოხუცი ქალი შვილიშვილთან ერთად, წააქციეს და ფეხით შედგნენ „დემოკრატები“ არველაძე და ძმანნი მისნი. ბავშვის კივილს მიჰქონდა იქაურობა. ეს ხდებოდა ზედ რუსთავე-

ლის მეტროსთან. მილიციამ ვერ გაბედა იქ მისვლა, რომ გაეჩერებინათ ეს ცხოველები. გამოეკიდნენ 40 წლის კაცს, ურტყეს უმოწყალოდ, თან რევოლვერს უმიზნებდნენ.

თ. თ.

თბილისი, 1 ივნისი

18 მაისი

ა. წ. 18 მაისს, როგორც ტელევიზიის საშუალებით გვქონდა გაგებული, თბილისში ჩამოსული იყვნენ დამკვირვებლები საზღვარგარეთიდან. კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერნი უნდა შევკრებილიყავით რუსთაველის ძეგლთან განსაზღვრულ დროს. როგორც წინა დღეებში, სწორედ ამ ადგილას და მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული იყვნენ ხელკეტიანი მილიციელები და ჯავშანტრანსპორტიორები, დათქმულ ადგილას დიდი რაოდენობის ხალხი შეიკრიბა. სწორედ ამ დროს ჯავშანტრანსპორტიორმა, რომელიც იდგა კინოს სახლთან, დაიწყო მანევრირება ხალხის მასაში, რათა მათთვის არ მიეცა მიტინგის ჩატარების საშუალება, ხალხმა დაიხია ფილარმონიის მიმართულებით და ბოლოს გადავწყვიტეთ მიტინგის ჩატარება უნივერსიტეტთან... ერთი ჯავშანტრანსპორტიორი და რამოდენიმე ავტობუსი მილიციელებით სასწრაფოდ გაემართა უნივერსიტეტისაკენ. სანამ მომიტინგეები ფეხით ჩავედით იქ, ჯავშანტრანსპორტიორით და ხელკეტიანი მილიციელებით უნივერსიტეტის ეზო უკვე სავსე იყო. ეს რომ დავინახეთ, პროტესტის ნიშნად გადავწყვიტეთ ქუჩა გადაგვეკეტა. ასეც მოვიქეცით. ამ დროს უნივერსიტეტის ეზოში მდგომი ჯავშანტრანსპორტიორი ნელი სვლით ჩვენსკენ გამოემართა. ჩვენ არა თუ არ დავიშალეთ, გადავწყვიტეთ „ბეტეერი“ როგორმე შეგვეჩერებინა. ამ მიზნით „ბეტეერს“ წინ ჯერ ერთი ახალგაზრდა კაცი ჩაუდგა, შემდეგ ყველამ ვცადეთ ხელით მისი შეჩერება, მაგრამ იგი ჯიუტად მოიწევდა წინ. მიმიტინგე ახალგაზრდა ბიჭები „ბეტეერს“ ორივე გვერდიდან ურტყამდნენ ცარიელ ხელებს. ვიცოდით რა, რომ იმ „ბეტეერშიც“ ქართველები ისხდნენ, დავიწყეთ „საქართველო! საქართველოს!“ ძახილი. ამ დროს ხალხში უცბად გაჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის დროშა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პორტრეტიც. მაგრამ „ბეტეერი“ საოცარი სიჯიუტით მოიწევდა წინ. ატყდა წივილ–კივილი, რადგან წინ მდგომ ახალგაზრდა კაცს ლამის გადაუარა. ისევ ჩვენ დავთმეთ, ის ახალგაზრდა კაცი ძლივს გამოვიყვანეთ და „ბეტეერი“ გავატარეთ. ამ დროს მთელ ქუჩაზე გამწკრივდნენ ხელკეტიანი მილიციელები და „ბეტეერმაც“ დაიწყო ხალხში სწრაფად მოძრაობა. ხალხი არ იშლებოდა, ამ დროს მანქანებით

მოვიდნენ მხედრიონელები, რომლებიც ხელკეტებით დაერივნენ ხალხს და თუ ვინმე სიტყვიერ წინააღმდეგობას გაუწევდა, უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ. ქუჩაში საშინელი წივილ–კივილი ისმოდა. საცხოვრებელი სახლებიდან იყურებოდნენ შეძრწუნებული მაცხოვრებლები. ხალხი მაინც არ იშლებოდა, ჩემი თვალით დავინახე, როგორ ჩაარტყეს წიხლები მუცლის არეში ახალგაზრდა გოგონას, რომელიც გაოგნებული ამ სიტუაციით, დაბნეული იდგა. გოგონა ჩაიკეცა, იგი ხალხმა გაიყვანა. მხედრიონელები არ ინდობდნენ არავის, დავინახე როგორ მიიმწყვდია ქუჩის კუთხეში თორმეტიოდე ბიჭმა ერთი ხანშიშესული კაცი და როგორ გამეტებით ურტყამდნენ ხელკეტებს. ის ადამიანი არ შეიძლება ცოცხალი გადარჩენილიყო, რადგან ძირს დაცემულსაც კი საშინლად სცემდნენ. ხალხი მაინც არ იშლებოდა, შემდეგ დაიწყეს სროლა. „ბეტეერებზე“ ამხედრებულ მხედრიონელებს და პოლიციელებს, რომლებსაც გამარჯვებული სახეები ჰქონდათ, საცხოვრებელი სახლებიდანაც კი უწევდნენ წინააღმდეგობას მაცხოვრებლები და ხალხს ექომაგებოდნენ. შემდეგ დაიწყეს ხალხის აყვანა. დავინახეთ თუ როგორ სცემეს და შემდეგ ჩატენეს მანქანებში ორი ახალგაზრდა კაცი. მიტინგი რა თქმა უნდა არ ჩატარდა, მაგრამ ჩვენ იმედი გვქონდა, რომ საზღვარგარეთელი დამკვირვებლები ამას დაინახავდნენ ან გაიგებდნენ, მაგრამ მათ, არც შემდგომ დღეებში შეუწუხებიათ თავი, რომ ქუჩაში გამოსულიყვნენ და ხალხის უმეტესობის აზრი გაეგოთ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაზე საქართველოში.

შემდეგ გავიგე, ერთ–ერთი ბიჭი, რომელიც სცემეს იმ დღეს, მიტინგზე გარდაცვლილა;

თ. ღ.

მეცნიერ-თანამშრომელი

თვითმხილველი

2 თებერვალს დაახლოებით 1^{30} საათზე შევუერთდი მანიფესტაციას, რომელიც მიემართებოდა სადგურის მოედნიდან თამარ მეფის გამზირით გმირთა მოედნისაკენ. მანიფესტაციის მონაწილენი მიდიოდნენ წყნარად, მშვიდად. ძალიან ბევრი ხალხი იყო. მანიფესტაციის მონაწილეებს ესალმებოდნენ მაცხოვრებლები ფანჯრებიდან, ეროვნული დროშის ფრიალით. ასევე ქუჩის ორივე მხრიდან მოქალაქენი აშკარად თანაუგრძნობდნენ მანიფესტაციის მონაწილეებს. გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს კანონიერ მთავრობას“, „გაუმარჯოს კანონიერ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას“, „ძირს ხუნტა“ და ა. შ. გადავიარეთ თამარ მეფის

ხიდი. ამ დროს ჩვენ შევამჩნიეთ, რომ ცირკის გორაზე და მის მოპირდაპირე მხარეს გორაკზე იდგნენ შეიარაღებულნი (ავტომატიანები). ჩვენ შევჩერდით. მალე დაიძრა კოლონა. გავუსწორდით რუხაძის ქუჩას. ამ დროს გაისმა სროლის ხმა. ხალხი შეჩერდა, მაგრამ გაისმა მომიტინგეთა მხრიდან ხმა: „ნუ გეშინიათ ხალხნო, არ გვესვრიან, გვაშინებენო ალბათ". ისევ გავაგრძელეთ მსვლელობა, მაგრამ უკვე გახშირდა ავტომატების ჯერების ხმა. ჩვენ ჩავიმუხლეთ. გვესროდნენ განუწყვეტლივ (მე ასე მეჩვენებოდა), რამდენჯერმე ჩავიმუხლე და ავდექი. გაისმა ისევ ხმა „ხალხო დავბრუნდეთ". დავბრუნდით. უკვე ზემო (პირველ ნაწილებიდან) გამორბოდნენ ახალგაზრდები ყვირილით: „ჩქარა, ჩქარა, გაიწიეთ, მანქანები გამოატარეთ, დაჭრილები გამოვიყვანო". დავინახეთ ოთხ მამაკაცს გამოჰყავდა ხელში ატატებული დაჭრილი, რომელსაც წელს ქვემოდან და ქვედა კიდურებიდან ჩამოდიოდა სისხლი. ამას მოჰყვა მეორე, მესამე და ა. შ. ხალხი შეჩოჩქოლდა, ქალებმა მოთქმა–ტირილი შექმნეს „რას გვერჩიან, რატომ გვხოცავენ, ნუთუ არ შეიძლება განსხვავებული აზრის გამოთქმაო?" ამასობაში მივედით გზაჯვარედინზე, აქ მეგაფონით გვაცნობეს, რომ დაჭრილია 9 კაცი და მოკლულია ორი. მათ შორის 14–15 წლის ბავშვი და გაისმა მოწოდება: – „ხალხნო, არ დავიშალოთ, გავაგრძელოთ მსვლელობა". ნაწილი დემონსტრატებისა წავიდა სადგურის მოედნისკენ, ნაწილმა გზა გააგრძელა აღმაშენებლის პროსპექტით მარჯანიშვილის მოედნისაკენ. მივაღწიეთ თუ არა სტომატოლოგიურ პოლიკლინიკამდე, გაისმა სროლის ხმა. ვიღაც ქალბატონმა გამოაღო ფანჯარა და დაგვიძახა: „ხალხო წინ ნუ მიდიხართ, მოედანზე ტანკებია და ბეტეერებიც უყენიათო". თანდათან გახშირდა სროლის ხმა. მარჯანიშვილის მოედნიდან უკან გამორბოდა ხალხი. ვერ ვარჩევდით საით წავსულიყავით. იქვე ეზოში შევცვივდით, სართულებზე დავიმალეთ. ძალიან ახლოდან ისმოდა სროლის ხმა, თითქოს მოგვდევენო. იქ ვიმალებოდით ერთი საათი. ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ ისმოდა სროლის ხმა.

ე. კ.
8.02.1992 წ.

თვითმხილველი

ა. წ. 2 თებერვალს მივედი სადგურის წინამდებარე ტერიტორიაზე, სადაც უნდა ჩატარებულიყო გრანდიოზული მიტინგი კანონიერი ხელისუფლების მხარდასაჭერად. მიტინგის ჩასაშლელად სხვადასხვა ხერხები იქნა გამოყენებული ხუნტის მიერ. კომენდანტის ბრძანებით გაჩერებული იქნა მეტროპოლიტენი, ტრანსპორტის სხვა საშუალებებიც. ამის გამო

ხალხი იძულებული იყო ფეხით ევლო. სადგურზე დაგვიხვდა მილიციის პიკეტი, თუმცა მათი მხრიდან წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია.

ჩავატარეთ მრავალათასიანი მიტინგი, შემდეგ გავემართეთ გმირთა მოედნის მიმართულებით. მე ვიდექი დაახლოებით კოლონის შუაში. გადავიარე თამარის ხიდი და აღმოვჩნდი ორ ფერდობს შორის. ამ დროს მარჯვენა ფერდობიდან მოისმა პირველი სროლის ხმა, რომელსაც მოჰყვა ორივე ფერდობიდან ხშირი სროლა, თუმცა დავასკვენით, რომ ეს სროლები იყო ფუჭი ტყვიებით. ამის შემდეგ დავინახე ცირკთან წყლის ჭავლი, რომელსაც მოჰყვა მასირებული სროლები, მაგრამ ეს ტყვიები უკვე არ იყო ფუჭი, რადგან ორი სამი წუთის შემდეგ ჩემს გვერდზე ჩაატარეს სამი დაჭრილი, რომლებიც დაფიქსირებულები არიან გადამღები აპარატით... ამის შემდეგ ყველამ უკან დავიხიეთ, რადგან სროლები არა და არ წყდებოდა. ხალხი იყო ძალიან შეშფოთებული და შეწუხებული.

მსვლელობა გავაგრძელეთ აღმაშენებელზე, იმ იმედით, რომ მივიდოდით მინისტრთა უმაღლესი საბჭოს შენობასთან და საპროტესტო აქციას ჩავატარებდით. ჩვენ შევუხვიეთ რა უნივერმაღისაკენ, ატყდა უმოწყალო სროლა. იმის საშუალებაც არ იყო, რომ დაჭრილებისათვის მიგვეხედა, სროლა არ წყდებოდა, ისროდნენ როგორც ავტომატებით, ასევე დაჯავშნული მანქანებით. ხალხს უჭირდა გაქცევა, რადგან მსვლელობაში მონაწილეობას იღებდა ათასობით ადამიანი. ამის გამო ბევრი დაიჭრა და გარდაიცვალა. ხალხს მისდევდნენ სადარბაზოებში, მეტროს სადგურებში, მოკლედ ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებოდათ. გოგონა მირბოდა მეტროსკენ, მაგრამ წამოეწივნენ, თმებში ხელი სტაცეს და შეაგდეს ვილისის მარკის მანქანაში. მე მოვასწარი გადარბენა, მეტროს გვერდზე სახლში, ერთმა ღვთისნიერმა ადამიანმა შეგვიყვანა საკუთარ სახლში, რომლიდანაც ვახერხებდი წინამდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ფაქტების დანახვას. დავინახე მეტროს სადგურიდან თუ როგორ გადმოიყვანეს დაჭრილი ბიჭი და მოათავსეს სასწრაფო დახმარების მანქანაში. დაჯავშნული მანქანები დარბოდნენ და ხალხზე ნადირობდნენ (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) ხალხს ლანძღავდნენ შემდეგი სიტყვებით: – თქვენ ზვიადი გინდათ არა? თქვენი დედა...

საათნახევრიანი ბრძოლის შემდეგ გამოვედი სახლიდან და შევედი მეტროს სადგურში, რომლიდანაც გამოვიდა რამოდენიმე შეიარაღებული პირი. როდესაც მივედი ვაგზლის მოედანზე, ხალხი იქაც შეშფოთებული იყო – ხალხს ესვრიან და ზემოთ არ ახვიდეთო. ასე გამწარებული და გაუბედურებული დავბრუნდი სახლში.

თ. ზ.

6.02.1992 წ.

დაზარალებული

13 აპრილს, დილით 9 საათზე შეგვატყობინეს, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გენშერი ათის ნახევარზე პრესკონფერენციას გამართავდა სასტუმრო „მეტეხში“. სულ 15 კაცამდე ვიყავით. ჩვენ გვინდოდა გენშერისათვის გვეთქვა სიმართლე, გადაგვეცა კასეტა, რომელშიც ნათლად იყო ასახული თბილისში და სხვა ქალაქებში მიმდინარე პროცესები (ომის დაწყება, მიტინგების დარბევები, დახვრეტები).

სამწუხაროდ გენშერმა შეგვასწრო სასტუმროში და ჩვენ იძულებულნი გავხდით უკან დავბრუნებულიყავით, რომ თავისუფლების მოედანთან მდგომარე ხალხს შევერთებოდით, რომლებიც ლოზუნგებით ელოდებოდნენ გენშერს, რათა საპროტესტო მიტინგი გაემართა და ამით გამოეხატათ თავისი პოზიცია.

ხუთი–ექვსი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოვასწარით, რომ ვიღაც უცხო მამაკაცმა და რამოდენიმე მილიციელმა ალყაში მოგვაქციეს და ხელის კვრით დაგვიწყეს გაყრა. როდესაც შევეპასუხეთ, გააჩერეს გზად მიმავალი სასწრაფოს მანქანა და დაიწყეს ჩვენი აყვანა. ერთი კაცი მაშინვე წაიყვანეს. როგორც შემდეგ გავიგეთ ეს პიროვნება აღმოჩნდა გელა დავითაია (მას 30 დღე მიუსაჯეს). კიდევ ორი ბიჭის აყვანა რომ დააპირეს, წინააღმდეგობა გავუწიეთ და მოულოდნელად სამოქალაქო ფორმაში მყოფმა პიროვნებამ უმოწყალოდ დამიწყო ცემა. თავი მარტყმევინა სასწრაფო მანქანის კარებზე. გონი დავკარგე და ვიგრძენი, რომ გატეხილი თავიდან სისხლი ჩამომდიოდა. თვალები ამიჭრელდა. სისხლის დანახვაზე მილიციელები შეცბნენ და სასწრაფოდ შემოგვეცალნენ. შევრჩით ერთმანეთს მისული 15-იოდე კაცი. მეტრომდე ფეხით ვიარე, ტკივილს ვერ ვგრძნობდი. აღმომაჩნდა ტვინის შერყევაც; რის გამოც ერთი თვე გაუნძრევლად ვიწექი და ვმკურნალობდი.

ნინო მამიაშვილი

დაზარალებული

მცხ. რუსთავში, ვახუშტის ქ. №7ა ავთანდილ გიორგის ძე ბუცხრიკიძე

1992 წლის 16 მარტს სასტუმრო რუსთავიდან მანიფესტაციით მიმავალი კანონიერი პრეზიდენტის მხარდამჭერი მომიტინგეები დაგვარბიეს ხიდთან. მე მეჭირა ლოზუნგი: „ძირს უკანონო მთავრობა!“, „მოვითხოვთ კანონიერი პრეზიდენტის დაბრუნებას“. მილიციის მანქანიდან გადმოსული კაცი თვალის დახამხამებაში მომვარდა, საფეთქელში მუჭი ჩამარტყა

და ლოზუნგი წამართვა. დედაჩემის ყვირილზე ის მიიმალა. სხვებსაც დაერივნენ, არ ინდობდნენ, არც ქალსა და არც კაცს. დაგვიხიეს ეროვნული დროშები, დახიეს ლოზუნგები. დახიეს პრეზიდენტის სურათები. ერთ კაცს ახრჩობდნენ ხელით. მას თვალები გადმოეკარკლა და ამ სურათის შემყურე შეუძლოდ გავხდი.

ა. ბუცხრიკიძე
10.05.92 წ.

დაზარალებული
კოკაია ივერი, მცხ. ქ. რუსთავი სუმგაით მეტალურგების ქ. №10—3

ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმული ვარ 1989 წლიდან. ვარ ილია მართლის საზოგადოების წევრი. ვდგევარ კანონიერი ხელისუფლების და კანონიერი პრეზიდენტის გვერდით.

1992 წლის 15 მარტს რუსთავში მიტინგის მსვლელობის დროს მცემეს ავტომატის ლულით და კონდახით. მქონდა ტვინის მსუბუქი შერყევა.

კოკაია ი.

დაჭრილი
კულუმბეგაშვილი გიორგი მიხეილის ძე
თბილისი, დიდუბის ქ. №16
ტელ: 34—88—61

დავიბადე 1949 წ. თბილისში. უმაღლესი განათლებით. დავიჭერი 1992 წლის 2 თებერვალს მიტინგის მსვლელობის დროს. მომიტინგეები მივდიოდით „დროებითი მთავრობის“ ადგილსამყოფელოსაკენ, მოვითხოვდით გადამდგარიყვნენ – მოვითხოვდით კანონიერი ხელისუფლების და პრეზიდენტის დაბრუნებას. როცა მივედით მომიტინგეები – დაახლოებით 200 000–მდე კაცი ცირკის შენობასთან ახლოს, წინიდან ჯერ მოგვასხეს წყალი, შემდეგ დაგვიშინეს ტყვიები, გვიშენდნენ ცირკის ფერდობებიდან ტყვიებს სამივე მხრიდან. ტყვია მომხვდა მარცხენა ფეხში. „აკფ“ სახის ტყვია. ჯერ წამიყვანეს მეორე საავადმყოფოში, შემდეგ კი ჩხეიძის ქუჩაზე ტრამვატოლოგიურში. ქალბატონმა ქავთარაძემ გამიკეთა ყველა საშუალება, რომ ფეხი მოკვეთას გადაერჩინა. ფეხი შემრჩა ოღონდ მიჭირს სიარული, მისივდება და მტკივა.

დაჭრილი

მე რ. ხ. დავიბადე 1935 წ. ქ. თბილისში. მყავს მეუღლე და შვილები. 1991 წ. 22 დეკემბერს დაახლოებით დილის 9 საათზე ვიმყოფებოდი მთავრობის სახლის წინ. ამ დროს ეკლესიის მხრიდან გამოჩნდა სამი ახალგაზრდა, ამათგან ორს ავტომატი ჰქონდა ხელში, ხოლო მესამე შუაში ჰყავდათ, ვითომ ტყვე იყო და მთავრობის სახლში მიჰყავდათ. ის ვითომ ტყვე, დამტყვევებელზე წინ გარბოდა და ამან დაგვაეჭვა ყველა, ამ დროს ჩვენი მხრიდან იცნეს ისინი, როგორც პრეზიდენტის მოწინააღმდეგე შეიარაღებული ბანდიტები. ეს რაც ხდებოდა იყო თამაში, ამ თამაშით უნდოდათ მთავრობის სახლში შესვლა. ხალხმა მაშინვე იცნეს ისინი და ყვირილი დაიწყეს, იქ მდგომ უიარაღო ხალხს ორივე ავტომატიანმა ჯერი მოგვიშვეს, ხალხი ჩალასავით მოიცელა, მე ფეხში დავიჭერი, სხვებიც ბევრი დაიჭრა. იქ აღმოჩნდნენ ახალგაზრდა ბიჭები და პირველადი დახმარება აღმოგვიჩინეს, სასწრაფო დახმარებაც მოვიდა და ჩხეიძის ქუჩაზე არსებულ საავადმყოფოში ოპერაცია გამიკეთეს. სამი თვე სახლში ვმკურნალობდი უბნის ექიმთან.

რ. ხ.

დაჭრილი

4-5 ოქტომბერი. მე ვ. ჩ. დავიბადე 1969 წ. გორის რ-ნში. ვარ საშუალო განათლების უცოლ-შვილო. 1991 წ. 4 ოქტომბერს დღის 12 საათზე დაიძაბა მდგომარეობა მთავრობის სახლის წინ. უამრავ ხალხს მოეყარა თავი. რადიოთი იყო მოწოდება, ხალხს უნდა დაეცვა თავისი ნება და ამომრჩევლები შეიარაღებული ბანდებისაგან. დავრჩი მთავრობის სახლთან 5 ოქტომბრის 3 სთ–მდე. დაიძაბა მდგომარეობა ღამის პირველ საათზე. თითქმის ივერიასთან შეიარაღებულმა ბანდებმა ატეხეს ძლიერი სროლა. ხალხი დაიჭრა ერთიც დაიღუპა. ხოლო მეორედ მოსვლის დროს დანით დამჭრეს ქაშუეთის ეკლესიასთან. დაჭრილი მქონდა (ღვიძლი, ნაწლავები და კუჭი) ამ დროს მიდიოდა მთავრობის სახლზე ინტესიური სროლები. ვმკურნალობდი პირველ საავადმყოფოში 18 დღე.

ვ. ჩ.

დაჭრილი – 6 იანვარი

ა. ბ. ი. დაიბადა 1957 წ. ქ. თბილისში. აქვს საშუალო განათლება. მუშაობდა მე-3 ტაქსო მოტორების პარკში. არის წევრი საქ. წმინდა ილია მართლის საზოგადოების. ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

1991 წ. 22 დეკემბერის დილით დაახლოებით 10-11 საათზე მოვხვდი მთავრობის სახლში. ვიცავდი ჩემს არჩეულ პრეზიდენტს იარაღით ხელში, ღალატი იყო ქუთათელაძისა და საერთოდ უფროსებისაგან, არ ფუნქციონირებდა შტაბი. იყო ქაოსი. ყველაფერი მიგდებული იყო პრეზიდენტის იმედად. შიგნით დაიღუპნენ ჩვენი წევრები აჩიკო რამიშვილი, დათო ხელაშვილი, აველინა პერტია და სხვები. იყო ძალზე დიდი მსხვერპლი, ვეტფრენით დაბომბვა, რის შედეგადაც დაიჭრა ორი კაცი, ერთმა მიიღო სტრესული მდგომარეობა. ეს გახლდათ პრეზიდენტის დაცვიდან ვაჟა საქ. წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი.

1992 წ. 5 იანვარს საღამოს პირზე პრეზიდენტმა ჩაატარა შეკრება, სადაც იხილავდნენ ინფორმაციებს. ბოლოს ხალხს მოუწოდა „ვისაც გინდათ დატოვეთ მთავრობის სახლიო, არავის არ გიჭერთო, არც მოღალატედ გამოგაცხადებთო“, მაგრამ პრეზიდენტმა ხალხისგან უარი მიიღო. შემდეგ 6 იანვარს ღამის 3 საათზე დაგვიძახეს და გვითხრეს მოხსენით პოსტებიო. მე თვითონ ვნახე პრეზიდენტი. მე ვუთხარი ინფორმაცია მოვიდა გასვლის შესახებ, მან მითხრა, კი გავდივართ ყველა ავტობუსებშიო. ჩავჯექით ავტობუსებში, მოყვანილი იყო სამი ავტობუსი და გავედით პრეზიდენტის წინ, ჩვენს ავტობუსში იყვნენ დეპუტატები. თავი ვერავინ ვერ მოაბა, რომ კოლონა ერთად გასულიყო. ჩვენი ავტობუსი იყო პირველი. მივაღწიეთ მეტეხის ხიდს. მოპიკეტეებმა გზა გადაგვიღობეს, მოკლეს მძღოლი (სოხუმელი) ატყდა სროლა, რასაც მოჰყვა კივილ–წივილი, ზოგი დაიჭრა, ზოგი იქვე მოკვდა. ისხდნენ ქალები, ერთი დაიჭრა, რომელიც რადიოში მუშაობდა. მე თვითონ ამ ავტობუსში დავიჭერი, მარცხენა მხარეს გულმკერდის არეში ერთმა ტყვიამ გამიარა. სამი ტყვია შემდეგ ამომიღეს პირველ საავადმყოფოში.

ამ ავტობუსში დაიხოცა ვალიკო ყაველაშვილი, ემზარი ლომთაძე და სხვები. ყველას სახელი და გვარი არ ვიცი.

ა. ი.

6 იანვარს მეტეხთან ავტობუსში დაჭრილი

ვ. მ. ვ. დავიბადე 1971 წ. 4 ოქტომბერს ქ. თბილისში მუშათა ოჯახში. მყავს მშობლები, ერთი და. ვარ უცოლშვილო. 1988 წ. დავამთავრე №15 საშუალო სკოლა, 1989 წ. მოვეწყვე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, არ ვარ არც ერთი საზოგადოების წევრი.

1991 წ. 22 დეკემბერს დილას დამირეკეს და მითხრეს მთავრობის სახლის წინ სროლები არისო. მე სასწრაფოდ ჩავიცვი და წავედი. მინდოდა

ჩემი თვალით მენახა, თუ რა ხდებოდა მთავრობის სახლის წინ. ვნახე საშინელება. საღამოთი ქუჩაში შუქი გადაჭრეს, მე ჩემს მეგობართან ერთად გადავწყვიტე მთავრობის სახლში შესვლა. ჩავეწერე მოხალისეთა ჯგუფში. ჯგუფი შეიქმნა, იარაღი არც ერთს არ გვქონდა. უიარაღო ვიყავი 1992 წლის 6 იანვრამდე ე. ი. ბოლო წუთამდე. მე კონტაქტი მქონდა სრულიად საქ. წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრებთან. ხშირად ვხედავდი პრეზიდენტს. მისი მოწოდება არასოდეს არ ყოფილა ქართველის ფიზიკური მოსპობა. მე პატივს ვცემ იმისთვის, რომ მან ერთ–ერთ მიტინგზე განაცხადა „ჩვენ როცა გვესვრიან, ჩვენ ყვავილები ვესროლოთო“. ის არის ჭეშმარიტი ქრისტიანი. მას უნდოდა მშვიდობიანი გზით მოგვარებულიყო საქმე. მაგრამ ასე არ მოხდა. ისინი გვიტევდნენ, ინგრეოდა ყველაფერი, იყო მსხვერპლი, იყვნენ დაჭრილები, რომლის გაყვანა სამშვიდობოზე ნორმალურად ვერ ხერხდებოდა. შეიარაღებული ბანდა უკან არ იხევდა, ასე გადიოდა დღეები. 1992 წ. 5 იანვარს საღამოთი პრეზიდენტს ჰქონდა ჩვენთან შეხვედრა. პრეზიდენტმა თქვა ნებისმიერს შეგიძლიათ წახვიდეთ სახლშიო, ვისაც შიში გაქვთ, ხალხი უკლებლივ დარჩა.

მე თვითონ იარაღი არ მქონდა, ვიცავდი ხალხის ნებას უიარაღოდ. 1992 წ. 6 იანვარს, ღამე 3-4 საათზე შუქები ჩაქრა. ბუნკერში ჩვენიდან ორი კაცი ჩავიდა და უთხრეს, ჩქარა გავდივართო. ამ ამბავმა ჩვენამდე მოაღწია. მე ვიყავი პირველი, ავტობუსში კი ყველაზე ბოლოს ავედი. ყველაზე წინ ჩვენი ავტობუსი წავიდა. თურმე მეტეხთან გზა ყოფილა გადაკეტილი შეიარაღებული ჯარებისგან, დაგვიწყეს სროლა. მძღოლი მოკლეს. შიგნით ატყდა წივილ–კივილი. ხალხი დაიჭრა, ჩემს თვალწინ მოკლეს ემზარი და ვალიკო. ალყაში მოვექეცით, მე დავიჭერი. ავტობუსიდან გადმოვხტი. დაუნდობელი სროლა ამიტეხეს, როცა გონს მოვედი, ჩვენმა მეგობრებმა შემიყვანეს ოჯახში. ამ დროს თავზე დაგვადგა სომეხი შეიარაღებული ბიჭი, სახლი მოათვალიერა და წავიდა. აქედან შემიძლია ხმამაღლა ვთქვა რომ ეს ომი არ ყოფილა ძმათა მკვლელი ომი. მიმიყვანეს პირველ საავადმყოფოში, სადაც ოპერაცია გამიკეთეს. დაჭრილი მქონდა ფეხი, გულის მხარე, ხერხემალი, მარცხენა ხელი, გვერდი ხერხემლისა და ბეჭის შუა. ამჟამად ცოტას მოვიკოჭლებ.

პროკურატურიდან იყვნენ, დამკითხეს მხოლოდ.

ზ. ვ.

თვითმხილველი

1992 წლის 27 მარტს მე და ორ მანდილოსანს გვახლდა ერთი ახალგაზრდა ვაჟი მამუკა. თბილისიდან რუსთავში წავედით მიტინგზე, რათა მოგვესმინა ზუსტი ინფორმაციები თბილისის მიტინგებზე. მიტინგი დაიწყო საღამოს ხუთ საათზე. მიტინგზე მთხოვეს, რომ რამოდენიმე სიტყვა მეთქვა მომიტინგეებისათვის. გამოვედი სიტყვით. მოვუწოდე ხალხს, რომ მთავარია რწმენა არ დავკარგოთ და იარაღით მოსულ მთავრობას არ დავმორჩილდეთ-მეთქი... ამ დროს მოვიდა თეთრი 05 მარკის ჟიგული, უნომრო. მამუკა გამოდიოდა სიტყვით... მას ჩუმად გადავულაპარაკე წავსულიყავით სასწრაფოდ რუსთავიდან. ჩვენ წავედით ავტოსადგურში, როგორც კი სადგურს მივუახლოვდით დავინახეთ, რომ ორი თეთრი ჟიგული იდგა გვერდიგვერდ. მე და მამუკა მივდიოდით წინ, უკან ის მანდილოსანი მოგვყვებოდა. ამ დროს უნომრო ჟიგულიდან გადმოხტა ერთი გამხდარი პატარა ბიჭი ავტომატით და მამუკას უბრძანა სასწრაფოდ ჩამჯდარიყო მანქანაში. მამუკა შეეკითხა თუ რაში იყო საქმე, უცბად უკნიდან ერთი ბიჭი შემოახტა ზურგზე და თავში ავტომატის კონდახი დაარტყა. მამუკა უცებ ჩაიჩოქა. მე მივვარდი რატომ სცემთ, რა დაგიშავათ–მეთქი? დაყვირება და დარტყმა თავში ერთი იყო. თვალი დამიბნელდა, მაგრამ ისევ მამუკას გამოვესარჩლე. ურტყამდნენ უმოწყალოდ. მამუკა სათვალეს ატარებს, რომელიც მანქანის წინ ეგდო. დავწვდი, ავიღე, მაგრამ ისევ თავში მომხვდა ავტომატის კონდახი. ჯერ წამომდგარიც არ ვიყავი ფეხზე, რომ ჩემი შვილის ტოლმა ბიჭმა საფეთქელში რევოლვერი მომადო, თუ ხმას არ ჩაიწყვიტავ გაგათავებო და ფეხი ჩამცხო. მამუკას ძალით მიათრევდნენ. ამ დროს ის ორი მანდილოსნებიც მოვიდნენ, იმათაც ატეხეს ყვირილი. მე ვეხვეწებოდი, რომ სათვალე მიეცათ, ბავშვი ვერ დაინახავდა ვერაფერს: ვიძახდი: მკვლელებო, მოღალატეებო. მამუკა მანქანაში ჩასვეს. მას მგონი დაკარგული ჰქონდა გონება. რომელიც საჭესთან იჯდა იყო მაღალი. მისი და ყველა იმათგანის სახე არ დამავიწყდება არასოდეს. ერთ–ერთმა ამოიღო წითელი საშვის მაგვარი საბუთი და მიყვიროდა რუსთავის კომენდანტი ვარო და რევოლვერი მომიშვირა, ახლავე გაგაჩუმებო. ხალხს ეუბნებოდა, რომ ეს ბიჭი ტერორისტიაო. ჩვენ წამოვედით თბილისში. იმ ღამეს ძლივს გავათენე და დილით სადგურზე გავედი, იქნებ რაიმე გამეგო მამუკას შესახებ. მისი სათვალეები მე მქონდა. რაც არ უნდა გვცემონ, რაც არ უნდა გვესროლონ, სანამ პირში სული გვიდგას, მაინც ვიბრძოლებთ სიმართლისათვის და ჩვენს მიერ არჩეული პრეზიდენტისათვის.

მანანა ბეჟიტაშვილი

თვითმხილველი

25 მარტს ვერის პარკში მდებარე ჭადრაკის სასახლეში გაიმართა მწერალთა კავშირის XI ყრილობა. დილის 10 საათზე სასახლის წინ უამრავ ხალხს, მკითხველს მოეყარა თავი. ყრილობა მოწვეული იყო 11 საათისთვის, ამიტომ ხალხი ნელ–ნელა ემატებოდა. მათ ხელში ეჭირათ წივწივაძის, ჩარკვიანის, ფანჯიკიძის, იზა ორჯონიკიძის წიგნები, ისინი პროტესტს უცხადებდნენ მათ, როგორც ავტორებს, რომლებიც გახლდათ ინსპირატორი კანონიერი პრეზიდენტის შეიარაღებული გზით დამხობისა და მშვიდობიანი მიტინგების დახვრეტისა.

მე და ჩემი მეგობარი უნივერსიტეტელი ქალი შემთხვევით შევხვდით 51–ე სკოლასთან. ორივე ვერის პარკისკენ მივეშურებოდით. 10 საათზე მე და ჩემი მეგობარი ჩამოვჯექით სკამზე და ვსაუბრობდით, როდესაც დავინახეთ ჯანსუღ ჩარკვიანი, რომელიც გაბრწყინებული მიემართებოდა სასახლისკენ. ჩემმა მეგობარმა წიგნები, რომელიც ხელში ეჭირა მის დასანახად დაალაგა მოპირდაპირე სკამზე. მე მას მივბაძე და აკურატულად დავაწყვე სხვა წიგნების გვერდით. ასე დაწყობილი წიგნები „წესრიგის დამცავთა“ მიერ იქნა მიყრილ–მოყრილი, რათა შეექმნათ შთაბეჭდილება თითქოს ხალხმა ბარბაროსულად დაწვა, დახია და მიმოყარა წიგნები. ჯანსუღ ჩარკვიანმა გინების კორიანტელი დააყენა ჩემს მეგობარს, რისი მოწმეც არის ბატონი რეზო ჯაფარიძე და მასთან მყოფი მწერლები. ის იგინებოდა ცოფმორეული, ყვიროდა ისე, რომ არც რევაზ ჯაფარიძის და არც სხვა მწერლების შეგონება არ ესმოდა. ამ ყვირილზე „წესრიგის დამცველთა“ ერთი ჯგუფი მივარდა ჩემს მეგობარ ქალბატონს და ძირს დაუწყო თრევა და ცემა. მე მივეშველე მას, რათა ხელიდან გამომეგლიჯა მათთვის ეს სიფრიფანა პატარა ქალი. ვიღაც ორმა „წესრიგის დამცველმა“ მტაცა ხელი და გამათრია ტელევიზიის ავტობუსისაკენ. ისინი რაც ძალა და ღონე ჰქონდათ ხელს მიგრეხდნენ. მე მათ ვუთხარი მივეყვანე ტელევიზიის წარმომადგენელთან და გადავუღე, რათა მთელ საქართველოს გაეგო რა ხდებოდა. მათ ხელი გამიშვეს და უკან გაბრუნდნენ, რათა ხალხი გაერეკათ. ამასობაში ჩემთან მოვიდნენ ჩემი თანამშრომლები და გამომაპარეს მეორე მხრიდან. ჩემ მეგობარ ქალბატონს ტუჩიდან სისხლი სდიოდა და გვერდები სულ ჩალეწილი ჰქონდა, ძირს ეგდო და ვერ დგებოდა.

დაზარალებული

თვითმხილველი

მე და ჩემი მეგობარი დილით, ათის ნახევარზე ჭადრაკის სახლის წინ ბაღში დავსხედით. იმ დღეს მწერალთა ყრილობა უნდა გამართულიყო. ხალხი ნელ-ნელა გროვდებოდა. იყვნენ გვარდილები და მილიციელებიც. მალე ჯანსუღ ჩარკვიანიც გამოჩნდა. მისმა დანახვამ ერთ–ერთ სკამზე მჯდომი ქალბატონი მეტად ააღელვა. მე და ჩემს მეგობარს სიტყვები არ გვესმოდა, მაგრამ როგორც ჩანს, მათ შორის შელაპარაკება მოხდა. გვარდიელებიც თითქოს ამას ელოდნენ, მივარდნენ ქალბატონს და წაათრიეს მიწისქვეშა გასასვლელამდე. შემდეგ ყველანი გარეკეს. ასე გაანთავისუფლეს ბაღი. მწერლებსა და ხალხს შორის გვარდიელებისაგან შემდგარი კედელი აღიმართა, მაშინ პრეზიდენტის მომხრე ქალბატონმა თქვა: „მე მინდოდა მისთვის გადამეცა წიგნები შემდეგი წარწერით: „არ გვინდა სისხლიანი მწერლები და თუ სისხლიანები არ არიან, შევარდნაძემ რატომ მოუხადა მადლობა იარაღის ხელში აღებისთვის, ამაზე გაგვცეს პასუხიო“, ახლა იძულებული ვარ შორიდან მაინც გადავუგდო ეს წიგნები, რადგან ახლოს არ მიშვებენო“. „ინტელიგენციამაც“ არ დააყოვნა, ძირს დაყრილი წიგნებს „ვეფხისტყაოსანიც“ შეურია, თითქოს პრეზიდენტის მომხრეები კულტურას ვერ იტანენ და აღარც რუსთაველის ხსენება სურთო. სულ მალე მწერლების დასაცავად გვარდიელების ახალი ჯგუფი მოვიდა და სროლა ატეხა.

1992 წლის 25 მარტი ქ. თბილისი

მეტრო დიდუბესთან
3 იანვარი 1992 წ.

მიტინგზე დამაგვიანდა, რადგან ფეხით მომიხდა წასვლა (მეტროს მოძრაობა შეწყვიტეს) მივუახლოვდით თუ არა დიდუბეს გამაყრუებელი გრიალი გაისმა მეტროს მხრიდან. ხალხი შეშფოთებული გამორბოდა წერეთლის პროსპექტზე უცბათ წინ ჩაგვიქროლა 18–20 წლის რამდენიმე ახალგაზრდამ, ისინი სულ შავებში იყვნენ ჩაცმულები, ქურთუკის ქვეშ რაღაცას მალადვნენ (მერე მივხვდი, რომ პისტოლეტები იყო) და გაბოროტებული გაავებული სახეებით ყვიროდნენ: „ყველანი უნდა დახოცო, არც ერთი არ უნდა გაუშვათ ცოცხალი“. გული წყდებოდათ რომ მხოლოდ რამდენიმე კაცი მოკლეს. ხალხი წერეთლის პროსპექტზე წამოვიდა. აქ ახლოს პოლიკლინიკაა და შეიყვანეს რამდენიმე დაჭრილი. მერე მანიფესტაცია წერეთლის პროსპექტს გაუყვა. 10 წუთის შემდეგ

სახურავებიდან ატყდა ისევ გამაყრუებელი სროლა, რომელიღაც სახლის ეზოში შევედი და სვეტებს მივეფარეთ, ტყვიები ჩვენს ფეხებში ცვიოდა. ერთი ქალი ფეხში დაიჭრა, როცა სროლა შეწყდა ისევ გავაგრძელეთ გზა. პროსპექტზე უცბად მანქანები გადაგვიდგნენ წინ, გადმოხტნენ იქედან შავებში ჩაცმული ნაძირლები და პირდაპირ ხალხში დაიწყეს სროლა. როგორ გადავრჩი არ მახსოვს. მოსახვევში გავიქეცი და დიდხანს ვერ მოვსულიერდი. ეს იყო წერეთლის მეტროს მახლობლად.

ქიმიკოსი ნ. გ.

სადგურის მოედანი
1 იანვარი

მიტინგი დანიშნული იყო 12 საათზე, ტრანსპორტი არ მოძრაობდა, მაგრამ ხალხი უწყვეტ ნაკადად მიემართებოდა სადგურისაკენ. მოედანი ხალხით გაივსო თამარ მეფის ქუჩაზე, გასტრონომის წინ იდგა რამდენიმე მანქანა ხალხით სავსე. ისინი (შიგ მსხდომი) გაავებული გამომეტყველებით იცქირებოდნენ ხალხისაკენ. მიტინგი დაიწყო და 15–20 წუთის შემდეგ ატყდა სროლა ზუსტად მანქანების მხრიდან. ხალხი ადგილიდან ან დაძრულა, ზოგიერთი ჩაცუცქდა და იცდიდა როდის შეწყდებოდა ეს შემზარავი სროლა. ისროდნენ ჰაერში და სადგურის ფასადზედაც. ერთ ქალბატონს კედლიდან ასხლეტილი ტყვია მოხვდა მხარში და წაიქცა. ხალხი აღელვებული მობრუნდა იმ მხარეს, საიდანაც ტყვიები მოდიოდა და უყვიროდა ბანდიტებს (მათ სხვა სახელი არა აქვს) გვესროლეთ ბარემ პირდაპირ და ყველანი დაგვხოცეთო.

ქიმიკოსი ნ. გ.

1992 წლის 2 თებერვალი

2 თებერვალს მეტროთი ვაგზლის მოედანზე გამოვედით, იქ უამრავ მილიციელს მოეყარა თავი, მოედანზე იყო სახანძრო რაზმების მანქანები, მეტროს სადგურიც ჩაკეტეს, მაგრამ პრეზიდენტის მხარდამჭერები ფეხით მოდიოდნენ, შეგროვდა უამრავი ხალხი. შესრულდა 12 საათი, მოედნის ზემოთ მდგომი სახანძრო მანქანა დაიძრა და წამოვიდა თამარის ქუჩის კუთხეში. ხალხმა გაარღვია მილიციის კორდონი და შევიდა მოედანზე. დაიწყო მიტინგი, რომელიც გაგრძელდა დაახლოებით ორ საათამდე. მიტინგის დამთავრებისას წაიკითხეს „მამაო ჩვენო“ და ამის

შემდეგ ჯვრით ხელში ახალგაზრდა ბიჭი წაუძღვა წინ მანიფესტაციას, რომელიც გმირთა მოედნისაკენ გაემართა. როგორც კი ცირკს მივუახლოვდით, ხალხი შეჩერდა, ფერდობებიდან სროლის ხმა გავიგონეთ. წინ დავინახეთ სახანძროს მანქანიდან წყლის ჭავლი რასაც მოჰყვა სროლა. ხალხმა დაიყვირა „დავწვეთ და არ გვესვრიანო“. ჩავჯექით, მაგრამ სროლა მაინც გაგრძელდა. გამოჩნდნენ უკვე დაჭრილები. ვიღაც ყვიროდა მედროშე მოკლესო, ჩემს გვერდით ქალს გული შეუწუხდა. ზოგი გაოგნებული იყო, რა ექნა არ იცოდა. გამოჩნდა ოპერატორი, რომელმაც გადაიღო დასისხლიანებული ტანსაცმელი, სისხლიანი ხელები. არ იყო სასწრაფო დახმარების მანქანები. გამოვბრუნდით უკან, შევჩერდით ძველ კინოსტუდიის მოედანთან. გადაწყდა, რომ დავით აღმაშენებლის გამზირით გაგვეგრძელებინა გზა. მივედით მარჯანიშვილის მოედნამდე, როცა გავიგე სროლის ხმა, მარჯანიშვილის თეატრისაკენ ჩავუხვიეთ და თეატრის შენობიდან და საცხოვრებელი სახლებიდან გაგვიხსნეს ცეცხლი. გამოჩნდა ბტრ-იც. დავინახე გასტრონომთან როგორ გამოიყვანეს დაჭრილები. მე შევვარდი მეტროში, ზემოთ ამოსასვლელი ესკალატორი გააჩერეს და ხალხი ქვემოთ გარბოდა. ჩავჯექით მატარებელში და ამოვედით სადგურზე ტელეფონზე დასარეკად, რათა გამეგო 73 წლის მამა, რომელიც მანიფესტაციის დროს ამცდა, სახლში ხომ არ მივიდა. არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ მოცვივდნენ გვარდიელები თუ მხედრიონის წევრები (უფრო მხედრიონის, იმიტომ, რომ ფორმა არ ეცვათ), ყვიროდნენ „ზვიადი გინდათ?!“ და აყოლებდნენ საშინელ გინებას. ატეხეს სროლა. ჩვენ პირისპირ აღმოვჩნდით ავტომატიანთან, როგორ გამოვედით ამ სროლიდან არ მახსოვს.

თვითმხილველი: ჯ. ღ.

თბილისი, ვაჟა-ფაშაველას პრ. I კვ.

თვითმხილველი – 3 იანვარი

ნოზაძე ქევსერი (ცარო) შალვას ასული დაბ. 1942 წელს ქ. თბილისში მუშაობს თბილისის ისნის რაიონის 91 უბანში პასპორტისტად, განათლება-საშუალო, დამთავრებული აქვს ერთწლიანი სამედიცინო ტექნიკუმი, ჰყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი (სტუდენტი) არ არის წევრი არცერთი პარტიის.

ქ-ნი ნოზაძე მოგვითხრობს, თუ როგორ დაიჭრა 1992 წ. 3 იანვარს: „მე მხარს ვუჭერდი პრეზიდენტს, უფრო სწორედ სიმართლეს“. დღესაც, რომ მომკლან, მაინც ვიტყვი სიმართლეს; იდგა სისხლის გუბეები, რამაც

შემაძრწუნა. მომხდარი იყო დარბევა. წავაწყდი სისხლის გუბეებს, რომელსაც ყარაულობდა ახალგაზრდა ბიჭები, ბავშვებმა მითხრეს „დეიდა აქ წმინდა ქართველის სისხლია დანთხეული, ფეხი არ დაადგაო“. შეძრწუნებული გამოვედი, დიდუბეში მაღლა კორპუსებიდან ისროდნენ გაუთავებლად. არცერთი ტყვია არ მომხვედრია და არც შემშინებია. მივაღწიე ეკლესიას. ვილოცე და ღმერთს ვევედრებოდი იხსენი ჩვენი შვილები სისხლის ღვრისაგან. ლოცვის შემდეგ წამოვედი წერეთლის მეტროსკენ ფეხით, მინდოდა სახლში ამოსვლა, გამოვიარე რამოდენიმე ნაბიჯი. დინამოსთან არმისულმა დავინახე ჩასაფრებული ოთხი ბიჭი იარაღით, დამიზნებული ჰქონდათ გზისკენ, რომ დავინახე ახალგაზრდა ბიჭები იმედი მომეცა და გადავწყვიტე დავლაპარაკებოდი მათ, გადავწერე პირჯვარი და ვეუბნები, ნუ დაიდებ ქართველის ცოდვას, დღეს საქართველოს გამრავლება უფრო სჭირდება, ვიდრე ქართველის დახოცვა-მეთქი. გადავწერე პირჯვარი. პირველმა, მეორემ და მესამემ დაუშვა იარაღი, მეოთხე ჩემსკენ წამოვიდა, მუცელზე მომადო თოფი, არ მეგონა თუ მესროდა და გადავწერე პირჯვარი. შვილო შენ რომ მომკლა მე მაინც დაგლოცავ-მეთქი, ღმერთი იყოს შენი შემწე-მეთქი. ამის თქმა იყო და დავვარდი იმის ფეხებთან, როცა გამოვერკვიე ხალხმა მომკიდა ხელი, დამაწვინეს საკაცეზე და მატარებდნენ ფეხით. შემდეგ ჩამსვეს ვოლგაში საკაცით. ხალხს ჰქონდა გაოცებული სახე, ძალიან განიცდიდნენ ამ ამბავს, დიდი პატივი მცეს, ვიგრძენი საოცარი სიყვარული და ერთგულება ერთმანეთისადმი. ეს ხალხი გახლავთ ე. წ. „დემოკრატების“ მიერ „ბრბოდ“ წოდებული.

მანქანაში რომ ჩამსვეს ტყვია მოახვედრეს ამ მანქანასაც. მანქანა გაჩერდა. მძღოლი გადმოვიდა და ხალხს ეუბნება, ეს ქალი გადამირჩინეთო, ლოცვის მეტს არაფერს არ აკეთებსო. მოვიდა ხალხი, კვლავ რამოდენიმე კილომეტრი ერთი მეორის მონაცვლეობით მატარეს. პოლიკლინიკაში (დიდუბის), რომ შემიყვანეს ნახეს ჭრილობა და თქვეს სასწრაფო ოპერაცია უნდა, ჩვენ ვერ დაგეხმარებითო. ჩვენმა კარგმა ახალგაზრდობამ კვლავ გამომიყვანეს პოლიკლინიკიდან და მატარეს ძალიან დიდხანს, სანამ არ დაიჭირეს სასწრაფო მანქანა. მიმიყვანეს მე-8 საავადმყოფოში, სადაც გამიკეთეს ოპერაცია.

13 მარტიდან ვმკურნალობ ოჯახში (მწოლიარე მდგომარეობა) ვიმყოფები მე-17 პოლიკლინიკის მეთვალყურეობის ქვეშ. საავადმყოფოში მომაკითხეს რესპუბლიკის პროკურატურიდან. ჩაიწერა ახალგაზრდა ბიჭმა ყველაფერი, მაგარმ საქმის ძიება არ გრძელდება.

თ. დ.

მე თ. ო. დავიბადე 1963 წ. მყავს დედა, მეუღლე და 4 – მცირეწლოვანი შვილი, ვცხოვრობ ქ. ბოლნისში. მთავრობის იარაღით ჩამოგდების შემდეგ საჭიროდ ჩავთვალე სიმართლისათვის ბრძოლა დამეწყო, განსაკუთრებით აქტიურად ჩავები 3-იანვრიდან, იქედან მოყოლებული სათავეში ვუდგავარ ეროვნულ მოძრაობას, შემდეგ ვაყალიბებთ მოშიმშილეთა ჯგუფებს, ვქმნით საგაფიცვო კომიტეტს, როგორც საზოგადოებაში ისე სტუდენტებში, ამის შემდეგ ხდება ხალხის მასების ყოველდღიური გამოსვლები, მაგრამ ტერორისტებმა ყველა ძალა და ღონე იხმარეს მებრძოლი ხალხის ნების ჩასახშობად. 17 იანვარს, როდესაც ჯერ კიდევ კომენდატის საათი არ იყო დაწყებული, მე ვიმყოფებოდი მოშიმშილეებთან ერთად, რადგან თავს მოვალედ ვთვლიდი ყურადღების ცენტრში მყოლოდა ყველა აქციის მონაწილენი და 10 სთ. 10 წთ. აკლდა, როცა მოხდა აქციაზე თავდასხმა. აქციის მონაწილენი დააპატიმრეს, მათ შორის მეც. პატიმრობაში ვიყავი 30 დღე. მიმიყვანეს ქალაქის სამმართველოში, სადაც მიმდინარეობს როგორც ცემა ისე წამება. იქ პატიმრობაში ყოფნის დროს, ჩემთან მოდიოდნენ საზღვარგარეთის ჟურნალისტები, იყვნენ მოსული სიენენის, ბიბისის, ინგლისის მე-4 არხი, გერმანია, იაპონიის კორესპოდენტები და სხვები. მას შემდეგ მოვიდა საქართველოს ტელევიზია მაკა რაზმაძის ჯგუფით. მე ჩემი უცვლელი პოზიცია გავაცანი. ბოლოს ჩემთან იმყოფებოდა საფრანგეთის წითელი ჯვრის წარმომადგენლები. მე ვიმყოფებოდი ძალიან ცუდ მდგომარეობაში, რადგან მტკიოდა გული და ნაღვლის ბუშტი, დიდი მუდარის პირობებში კანტი–კუნტად მაძლევდნენ გამაყუჩებელ წამლებს. დიდი ყვირილის შემდეგ მომიყვანეს ექიმი და გამიწიეს სამედიცინო დახმარება. რა საკვირველია იყო მცდელობა ჩემი გადაბირებისა. საშინლად მცემდნენ და მაწამებდნენ. ერთ დღეს კამერის კარი იღება და მეუბნებიან, გელა ლანჩავა მოვიდა და თუ გინდა შეხვდიო, მე რა თქმა უნდა დავთანხმდი, გამიყვანეს და შევედი ლანჩავასთან, ვისაუბრეთ. ოთხი საათის საუბრის შემდეგ მან მითხრა თუ თქვენ ტელევიზიით არ გამოხვალთ, შენი აქედან წასვლა არ იქნებაო, მეც მყავს უფროსებიო. მოკლედ, მომცეს ოთხი საათი მოფიქრების დრო. ჩემთან საკანში იმყოფებოდნენ სხვები და მითხრეს გარეთ ხარ საჭირო! მეც დავთანხმდი და გავედი ეთერში. როცა ტელევიზიიდან მოვიდნენ საათნახევარი მაწვალეს, რომ როგორმე მათ სასარგებლოდ მელაპარაკა. მე ვუპასუხე თუ ქართველები ვერანაირ გზას ვერ ხედავენ მიტინგის გარდა, მაშინ ჯობია ყველამ თავისი საქმე აკეთოს-მეთქი, ამის შემდეგ გამომიშვეს.

თ. ო.

დაჭრილი ოთარ გარსევანიძე, 46 წლის

2 თებერვალს სადგურის მეტროსთან შევიკრიბეთ კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერნი. მთელი მოედანი გადაჭედილი იყო. დილიდანვე ჩაკეტეს მეტროს სადგური, მაგრამ ხალხი მაინც მოვიდა ფეხით. გვქონდა სისხლიანი მთავრობისადმი მოთხოვნები, რომ გადამდგარიყვნენ.

წავედით მსვლელობით თამარის ქუჩით. როცა მივედით ცირკთან წინიდან გზა გადაგვიღობეს სახანძრო მანქანით და ავტომატიანმა ნიღბიანმა ხალხმა. ჯერ წყალი მოგვასხეს, შემდეგ დაგვიშინეს ტყვიები წინიდან და ცირკის ფერდობებიდან. ისროდნენ პირდაპირ ხალხში – დაიჭრა უამრავი ადამიანი, დავინახე დახოცილებიც. შემდეგ კვლავ შევიკრიბეთ და წავედით დ. აღმაშენებლის გამზირით, როცა მივედით მარჯანიშვილის მოედანთან, დაგვიწყეს სროლა სახლის სახურავებიდან. შემდეგ ხალხი მიმოიფანტა ეზოებში, მეტროში და მაღაზიებში, ხალხს მისდევდნენ ეზოებსა და მეტროში, კინოთეატრებშიც. მე და ჩემი მეგობარი ავეკარით კედელს გასტრონომთან – ვთხოვდით არ ესროლათ. მათ პირდაპირ ამ თხოვნის შემდეგ გვესროლეს და თან გვაგინებდნენ. მე დავიჭერი ხელში – დავკარგე გონება, ასე მოვხვდი საავადმყოფოში. ხელი დღესაც მაქვს დაზიანებული.

ო. გ.
რუსთავი

2 თებერვალი

მიტინგი ჩვეულებისამებრ დანიშნული იყო ვაგზლის მოედანზე, მეტროსთან როგორც კი ამოვედი, წინ მილიციის კორდონი დამხვდა, იქვე სახანძრო მანქანა იდგა წყლით. მე ჯიქურ გავეშურე მილიციელებისაკენ და გამატარეთ-მეთქი ვუთხარი. გზა დამითმეს, ჩავედი კიბეზე, მოედანზე გასვლა მინდოდა, იქაც მილიცია. ხალხი გასტრონომის წინ შეგროვილიყო. აქაც ჯიქურად გავიარე მილიციის კორდონი და ხალხს შევუერთდი. მალე ბევრი მოვგროვდით, ვეღარ ვეტეოდით იმ ადგილზე. მილიციას მოსთხოვეს მიტინგის წამყვანებმა გაეხსნათ კორდონი და ხალხი შეეშვათ. ჩვენც წავედით მათკენ, მათ გზა დაგვითმეს და შეიძლება ითქვას, უკომფლიქტოდ აღმოვჩნდით მოედანზე. ხალხი მოდიოდა და მოდიოდა. ტრანსპორტი გაეჩერებინათ, ვაგზლისკენ მომავალი არცერთი ავტობუსი თუ ტროლეიბუსი არ მუშაობდა. მეტროც ჩაკეტეს. ხალხი ფეხით მოდიოდა, არა მარტო თბილისის სხვადასხვა უბნებიდან, რუსთავიდანაც. 150 000-მეტი ვიქნებოდით. დემონსტრაცია დაიძრა თამ-

არის ხიდისკენ. გზაში ხალხი გვიერთდებოდა. თამარის ხიდს მიახლოვებულ მანიფესტაციას სადგურიდან ბოლო არ უჩანდა. უცებ შეაჩერეს და წყლის ჭავლი წამოვიდა, ხალხი არ გაინძრა, ტაშისა და „საქართველოს“ ძახილით შევეგებეთ, ამას ტყვიების ჯერიც მოჰყვა. ისევ არ გავინძერით. უცებ წამოვიდა ორივე ფერდობიდან ტყვიების წვიმა, გვეგონა ჰარში ისროდნენ, მაგრამ ვიღაცამ იყვირა კაცი დაჭრესო და ხალხმა დაიწყო მიმართულების შეცვლა. ხელში აყვანილი უძრავი სხეული დავინახე და თვალები დავხუჭე, მგონი გარდაცვლილი იყო. ხიდს რომ მივუახლოვდით, ქვემოთ სასწრაფო გამოჩნდა. ხალხი დაჭრილებს მიარბენინებდა ქვემოთ, რომ მანქანაში ჩაესვათ. იქ მეტი არაფერი დამინახავს. კინოსტუდიასთან ისევ შევიკრიბეთ, ახლა აღმაშენებლით გამწარებულები ცეკას შენობისაკენ ვაპირებდით გასვლას. მარჯანიშვილის მოედანზე ვიყავით, რომ უცებ უკან გამოიქცა ხალხი. ატყდა საშინელი სროლა. ჩვენ მეტროში შევვარდით. ჩემი რამდენიმე მეგობარი სადღაც დამეკარგა. ძებნა დავუწყე, გარეთ გამოვვარდი და დავინახე როგორ დარბოდა ჯავშანტრანსპორტიორი მოედანზე და როგორ ცხრილავდა იქაურობას. ისევ მეტროში შევვარდი და მინის მტვრევის ხმა გავიგე, ვიღაცამ იყვირა. ახალგაზრდა ბიჭს მოვკარი თვალი ბიჭები მივარდნენ, დაჭრილი იყო. მეტი ვეღარ გავჩერდი, მეტროში ჩავედი და გავემართე სახლისაკენ.

ნანა ტალახაძე, ჟურნალისტი

1992 წ. თებერვალი ქ. თბილისი

თვითმხილველი

მე ვარ ერთ-ერთი მოწმე იმ მიტინგების დარბევა-დახვრეტისა, რომელიც განახორციელა ხუნტამ. 1992 წლის იანვარ-თებერვლის დღეებში. შემთხვევით გავიგე, რომ მეტრო სადგურ დიდუბესთან 3 იანვარს 12 საათზე დანიშნული იყო კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერთა მიტინგი, მე დანიშნულ ადგილზე მივედი 11 სთ-სა და 45 წთ-ზე, ხალხი უკვე შეკრებილი იყო, იქნებოდა ათასი კაცი. სიტუაციიდან გამომდინარე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ მომიტინგენი სტიქიურად იკრიბებოდნენ, არ ჩანდნენ მოთავენი. მოულოდნელად შემაღლებულ ადგილას მეტროს მიწისქვეშა გამოსასვლელის მხარეს გამოჩნდა ქალბატონი. მან მეგაფონის გარეშე გახსნა მიტინგი, გაამხნევა ხალხი, აცნობა პუტჩისტების მიერ ალყაში მოქცეული პრეზიდენტის და იქ მყოფთა მიმართვა. სიტყვით გამოვიდა რამოდენიმე ორატორი. ყველამ გამოსთქვა საშიშროება, რომ მოსალოდნელია მიტინგის დარბევა შეიარაღებული პუტჩისტთა

ბანდების მიერ. მომიტინგეებმა ერთმანეთს აღუთქვეს, არ დაშლილიყვნენ. მიტინგს ხალხი თანდათან ემატებოდა, მიუხედავად თოვლისა და სიცივისა. იქნებოდა 5000 კაცი. მოულოდნელად მომიტინგეთა ზურგის მხრიდან დაახლოებით 100 მეტრის დაცილებით გაჩერდა ორი მსუბუქი ავტომანქანა, ერთი თეთრი ფერის გაზ-24 და მეორე რაფი. ორივე მანქანიდან გადმოვიდნენ შავნიღბიანი სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული დაახლოებით 10-11 ბანდიტი და მაშინვე გაისმა ავტომატების კაკანი. მომიტინგეებმა დაიწყო ჩოჩქოლი, შეიქმნა დაბნეულობა. გაისმა შეძახიელები, რომ არცერთი არ დაძრულიყო და შეენარჩუნებინათ სიმშვიდე. მოულოდნელად ყოველგვარი მოწოდების გარეშე ყველამ ერთიანი ხმით შესძახა: „ძირს ხუნტა“, „ბანდიტებო“, „მკვლელებო“! პასუხად გაისმა ავტომატების ჯერი, ტყვიები უკვე ხალხთან ახლოს ცვიოდა, რაც იმის მიმანიშნებელი გახდა, რომ ისინი უკვე ტყვიებს ხალხს უშენდნენ. დავინახე როგორ დაეცა ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი, ვფიქრობ იგი მოკლეს. უიარაღო ხალხმა დაკარგა ყოველგვარი შიშის გრძნობა, მომიტინგეებმა შეძახილებით „მკვლელებო“, „ბანდიტებო“, ზოგმა ქვას დაავლო ხელი, ზოგმა რკინის ნაჭერს და დაუწყო სროლა შავნიღბიანებს. ისმოდა ავტომატების ჯერით სროლა. მეც მივყვებოდი ხალხს, დავინახე როგორ დაიჭრა შუახნის ქალი ფეხში და წაიქცა, ჩემს გვერდით წაიქცა შუახნის მამაკაცი. იქვე უსულოდ დავარდა ქალბატონი. ცოტა მოცილებით კიდევ ახალგაზრდა, შუახნის მამაკაცი, რომელსაც შუბლში მოხვდა ტყვია. ხალხი მიიჭრა ბანდიტების ავტომანქანასთან. გაზ-24-ის მძღოლმა მოასწრო მანქანის ამუშავება და თავისი შეიარაღებული მკვლელებით მიიმალა. გამძვინვარებულმა მომიტინგეებმა დარჩენილებს დაუშინეს ქვები, მანქანას ჩაუმტვრიეს შუშები, ბანდიტები გადმოცვივდნენ მანქანიდან. ისინი კიდევ აპირებდნენ ტყვიის დაშენას, მაგრამ ხალხმა არ მისცა საშუალება. ორი განაიარაღეს, წაართვეს ავტომატი, მესამე მიიმალა, დანარჩენები გაუჩინარდნენ. ისმოდა დაკავებულის მიმართ შეძახილები „არ მოკლათ“, მეორენი ჩაქოლვას მოითხოვდნენ. გამოჩნდა ჯავშნიანი მანქანა სადაც ისხდნენ შეიარაღებული პირები. ისინი აცხადებდნენ, რომ იყვნენ მილიციის სამმართველოდან, ერთი ბანდიტი ხალხმა ჩააბარა მილიციის სამმართველოს აღნიშნულ თანამშრომლებს, მეორე რამოდენიმე კაცმა წაიყვანა მეტროს შესასვლელისაკენ. ყოველივე ამას იღებდა ფოტო-კორესპოდენტები (როგორც ჩვენი, ასევე უცხოელები). მომიტინგენი არ ცხრებოდნენ, ერთნი ამბობდნენ გაეგრძელებინათ მსვლელობა წერეთლის გამზირზე და ეცნობებინათ ყველასათვის მომხდარი ფაქტის შესახებ. მეორენი თავს იკავებდნენ და უაზროდ თვლიდნენ მსვლელობის დაწყებას. ბოლოს აღელვებულ ხალხში გაიმარჯვა მშვიდობიანი

მსვლელობის გაგრძელების აზრმა. მიუხედავად მომხდარი საშინელებისა, დემონსტრატთა რიცხვმა იმატა. მსვლელობა დაიწყო წერეთლის გამზირზე. დემონსტრანტების წინ გაჩერდა ჟიგულის ტიპის ავტომანქანა. იქიდან გადმოვიდა სამი შავნიღბიანი ბანდიტი და ხალხს ავტომატის ჯერი გაუხსნა. ხალხი შენობებს და ხეებს ეფარებოდა. ტყვიები ყურთან ახლოს ზუზუნებდა. ჩემთან შორიახლოს ქალბატონს ნიკაპში მოხვდა ტყვია და გაუგლიჯა ტუჩი. ამ დროს გამოჩნდა დიდი სისწრაფით მომავალი ჯავშნიანი მანქანა, რომელშიც ისხდნენ მილიციის სამმართველოს თანამშრომლები. ჯავშნიანი მანქანა დაეჯახა ბანდიტების ჟიგულს, რომელიც მწყობრიდან გამოიყვანა, შავნიღბიანები მიიმალნენ. მომიტინგენი გამოვიდნენ იქვე კორპუსების შესასვლელებიდან, ეზოებიდან და მყუდრო ადგილებიდან, სადაც თავს აფარებდნენ. ახალგაზრდა ქალი რომელსაც დროშა ეჭირა ხელში, გამოვიდა პროსპექტზე და მოუწოდა ხალხს, რომ დაძრულიყვნენ ვაგზლის მოედნისაკენ და იქ მშვიდობიანად დაშლილიყვნენ. ყველა ერთიანად მოგროვდა გამზირის შუა ნაწილში და განაგრძეს მშვიდობიანი მსვლელობა. ამას ყველაფერს ვიდეო-კამერებით იღებდა ორი უცხოელი კორესპოდენტი. როგორც ხალხისგან შევიტყვე (მე ვერ დავინახე) ავტომატის ტყვიით მათ კამერა დაუზიანეს. უკვე ბნელდებოდა, როცა დემონსტრანტები მეტრო წერეთელთან მოვიდნენ. მეტრო წერეთელსა და დინამო სტადიონს შორის დემონსტრანტებს ისევ დაუშინეს ტყვიები. ისროლეს ცრემლსადენი ყუმბარები. მედროშე ქალი დაჭრეს. ხალხს არ მისცეს წინ სვლის საშუალება. ბანდიტები ისროდნენ სახლის სახურავებიდან. ხალხი პატარ-პატარა ჯგუფებად იშლებოდა, ზოგი მეტროში ჩადიოდა, ზოგი ეზოებში იმალებოდა... მე წამოვედი სისხლში ამოსვრილი, დამცირებული, შეურაცხყოფილი, მოძმისაგან განადგურებული, ჩემს მეგობართან ერთად შემოვედი სახლში.

მ. ასანიშვილი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გია ჭანტურიას

ღია წერილი ანტიქრისტეს მოციქულებს: გია ჭანტურიას, ვანო ხუხუნეიშვილს, ირაკლი წერეთელს, ირაკლი ბათიაშვილს. ამდენი შავბნელი საქმეები, რასაც თქვენ ჩადიხართ, თქვენ საქართველოს გამყიდველებო, ერის მოღალატე, თქვენ ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რომ შექმენით, როგორ ეფიცებოდით საქართველოს, ახლა რას აკეთებთ, სჯულის და ფიცის გამტეხნო! რად გინდოდათ ე. შევარდნაძე რომ ჩამოიყვანეთ. შევარდნაძე რუსეთიდანაც კარგად გვანადგურებდა. ძალიან კარგად მახსოვს ქუთაისში შეკრებებს რომ ახდენდით და მიტინგებს რომ ატარებდით, სულ შევარდნაძეს და გორბაჩოვს ლანძღავდით, იმპერიის ჯაშუშს და კრემლის აგენტს ეძახდით, საქართველოში რაც არეულობა ხდებოდა, მაგათ აბრალებდით, 9 აპრილი მაგათი მოწყობილი იყოვო და სხვა მრავალი დანაშაულს. ახლა რა მოხდა ასე ჯადოსნურად, როგორ დაუმეგობრდით, ვის უდგეხართ გვერდში: კაცის მკვლელებს, ავაზაკებს, ყაჩაღებს, რომლებიც ძმათა სისხლს ღვრიან. მჯეროდა თქვენი საქმე სამართლიანი იყო, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, რომელსაც თქვენ მიყვებით არის ბარაბას გზა, ღალატის გზა, უღმერთოების გზა. ნუთუ ეს იყო თქვენი ეროვნული მოღვაწეობა. თქვენ აცდით გზას. თქვენ ხომ მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას გვერდში ყოფნამ გამოგაჩინათ. ახლა რას აკეთებთ, როგორ გადაუდექით ზვიად გამსახურდიას.

ზვიად გამსახურდიას ეძახდით სუკის აგენტს და დიქტატორს, ახლა ნათლად დაინახა ხალხმა, რომ ნამდვილად თქვენ ყოფილხართ დიქტატორი და სუკის აგენტები.

მე რაღას მერჩოდით სულიერად რომ გამანადგურეთ, მატერიალურად რომ დამაზარალეთ, მოხუცებულობის ასაკში სიმწრით შეგროვილი ფული მქონდა, თქვენთვის არ დამიშურებია, მჯეროდა მე ამით საქართველოს საკეთილდღეო საქმეს ვაკეთებდი. თქვენ კი თურმე სატანას ემსახურებოდით, იარაღს ყიდულობდით ქართველთა სასიკვდილოდ და ერის ნების ჩასაწიხლად. საქართველო განსაცდელშია, განუკითხავობაა, ხალხი თავბედს იწყევლის, ხალხი შიმშილობს, უჭირთ. უდანაშაულო ხალხს წყვიტავთ, სისხლს ღვრით. გია ჭანტურია, ვანო ხუხუნეიშვილო, ირაკლი წერეთელო, ირაკლი ბათიაშვილო. არ შეგრჩებათ ამდენი სისხლის ღვრა, გონს მოდით, დაყარეთ იარაღი, შეწყვიტეთ კაცის კვლა და განშორდით შევარდნაძეს, რომ მას მოქმედების ძალა არ ექნეს.

ირინა სარიშვილო, გაიხსენე შენი წარსული, შენ უსირცხვილო დედაკაცო. ქართველი ერი შენი სამასხარაო არ არის! ქუთაისში 1989 წ. მე-

მორიალთან გრანდიოზული მიტინგი რომ ჩავატარეთ, შემდეგ სუფრაზე მიგიპატიჟეთ. იმ სუფრაზე ორმოცი სული ადამიანი იჯდა. იქ რაც ხარჯი იყო სუფრაზე ნახევარი ჩემი ფული იყო, გურამ ბუაძემ იცოდა სახლში კარგი ღვინო მქონდა და სანამ არ მომატანია 50-ათი ლიტრა, მანამ გიჟივით ატრიალებდა თვალებს, იმ სუფრაზე იყო გია ჭანტურია, რომ 1000 მანეთი მოგეცი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დასახმარებლად, შენ კი ბოროტად გამოიყენე. თქვენ თურმე იარაღის შესაძენათ გდომიათ ასეთი შეწირული ფულები, რომ მერე ზვიად გამსახურდიას შებრძოლებოდით. ეს ფული ერის კვლისათვის და სისხლის ღვრისათვის არ მომიცია.

ვანო ხუხუნეიშვილო, შენ გულში შავბნელი ზრახვები თუ გქონდა ჩემთან რა გინდოდათ, მე რას მარბევდით. რას მანადგურებდით. რამდენი თანხა დაგახმარე შენ შავბნელო, ქუთაისში, რომ ჩამოხვედით მე თქვენ არ გიცნობდით, ჩემმა ნაცნობმა პიროვნებამ მოგიყვანათ ჩემთან და მითხრა წმ. ილიას საზოგადოება გვინდა ჩამოვაყალიბოთო. იმ წუთას ვკითხე ვინ ხელმძღვანელობს–მეთქი. ზვიად გამსახურდიაო. მე ასე ვუთხარი, მე სხვაგან ბინას ვერ ვიშოვი და რადგან ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობს ჩემს ბინაში მოვაწყოთ–მეთქი. რა თქმა უნდა მეც დავუდექი გვერდით, ისე როგორც საჭირო იყო გეხმარებოდი ეკონომიურადაც. შენ ქუთაისში ჩამოსვლა, რომ არ შეგეწყვიტა, მე გეხმარებოდი შენ გადაგვარებულო პიროვნება. ასი მანეთი ერთი მოგეცი, შემდეგ რომ ჩამოდი ორასი მანეთი მოგეცი, შემდეგ დაიგვიანე ჩამოსვლა და თქვი სამგზავრო ფული არ მქონდაო – 400 მანეთი მოგეცი. შემდეგ რომ ჩამოხვედი ერთ დღეს ასე მითხარი: მე და გოჩა აბულაძე აჭარაში ვიყავით იქ ქრისტიანობაზე ვიქადაგეთო, ძალიან ბევრი ფული დაგვეხარჯაო და სულ არ მაქვს საშუალებაო და მაშინ 300 მანეთი მოგეცი. შემდეგ იყავი ჩამოსული და ზ. გამსახურიასთან წერილი გაგატანე თან 1000 მანეთი მოგეცი.

შემდეგ რომ ჩამოვიდა ვუსაყვედურე რატომ რაიმე სახელმძღვანელოები არ ჩამოიტანე, ხალხს წავაკითხავდი-მეთქი, ამით ხალხს მოვიზიდავ-თქო. მან მითხრა ფული არ მქონდა, რომ შემეძინა, ამისთვის 1000 მანეთი სესხათ მივეცი, რომ სახელმძღვანელოებს ჩამოიტანდა, იმ წიგნებს გავყიდდი ხალხში, მე ჩემს ფულს ავინაზღაურებდი, მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა. თქვენ საქართველოს თავისუფლებაზე კი არ ფიქრობდით, თურმე თავის თავის გამდიდრებაზე და თანამდებობებზე; საქართველო კი უარეს დღეში ჩააყენეთ, ვიდრე იყო. განა ამისთვის გავწიე თანადგომა, როგორც მატერიალურად, ასევე ფიზიკურად... განა სანანებლად უნდა დამრჩენოდა საკუთარი თანხის გაღება თქვენთვის?

შენ ირაკლი წერეთელო, დაგავიწყდა ქუთაისში რომ ჩამოდიოდი, ჩემს

ბინაში კრებებს იწვევდით და შემდეგ მიდიოდით და მამუკა ქაჯაიას ბინაში თათბირობდით თუ როგორ გაგეწიათ წინააღმდეგობა ზვიად გამსახუდიასთვის. ჩემს ბინაში ვერ ბედავდით ზვიადიზე წინააღმდეგობას, მე აღგიდგებოდით წინ და გარეთ გამოგყრიდით, მაგრამ მაინც გამოგყარეთ გარეთ და შემდეგ ქუჩაში ატარებდით შეკრებებს. შენ ირაკლი წერეთელო, როგორ გადაუდექი ზვიადს, შენ ნამდვილო ფარისეველო, მირონის გამყიდველო: „ნათლიმამა ნუ მღალატობ, ნუ ჩამაგდებ მტრისა ხელსა, ათას თუმანს აქ გაჩუქებ ორას თუმანს გომარეთსა“.

შენ კი ირაკლი ბათიაშვილო, გილოცავ მაგ შავბნელ თანამდებობას, სუკის აგენტობას, თითქოს თქვენ დევნით სუკის აგენტებს და შენ როგორ გახდი სუკის აგენტი, საკვირველია.

რატომ არბევთ მომიტინგეებს, თქვენ რომ გარბევდნენ სუკის აგენტები, მაშინ ხომ ცუდი იყო. ახლა რატომ არ აძლევთ ნებას ხალხს, რომ ჩაატაროს მიტინგი, თუ დემოკრატია არის მაშინ რატომ კლავთ ხალხს, მიეცით ხალხს მიტინგის ჩატარების უფლება, დაყარეთ იარაღი და შეწყვიტეთ კაცის კვლა.

რა გინდათ ზვიად გამსახურდიასთან, რატომ დევნით, რატომ ეწინააღმდეგებით, ყველა ხომ პრეზიდენტი არ იქნებოდა, პრეზიდენტის ადგილი ერთი იყო და შეხვდა ღირსეულს, ვინც ერისთვის თავდადებული და მოღვაწე იყო. ზვიადის ნაამაგარი ნათესი მინდორ–ველშია, დრო მოვა, აღმოცენდება, არ დაიწვება ცეცხლშია. ზვიადს ღმერთმა დიდი დღე მისცეს და მისივე სიცოცხლეში შევიდა ბრწყინვალედ ისტორიაში, მოწამეობის გვირგვინი თქვენგან მიიღო და ოქროს ასოებითაც აღიწერა ისტორიაში. ზვიად გამსახურდია ხალხს ძალიან უყვარს, მას პრეზიდენტობის არჩევნებში 87 პროცენტმა მისცა ხმა, ახლა კი 95 პროცენტი მხარს უჭერს. თქვენ კი ხალხს ძალიან ძულხართ, თქვენი ხსენებაც არ უნდათ და იცოდეთ, რომ თქვენ მწარედ და შავბნელად განგიკითხავთ ისტორია და ღმერთი ჯოჯოხეთს არ აგაცილებთ.

დედა მარგალიტა თვალაძე
ქუთაისი, გორის ქ. 32
საკრებულოს წარმომადგენელი

დაზარალებული

არასდროს მიფიქრია, ჩემს განვლილ ცხოვრებაზე დამეწერა რამე, მაგრამ არსებულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ იძულებული გამხადა ხმა ამომეღო:

ჩემი მეუღლე გახლავთ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, 12 სამეცნიერო შრომის ავტორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის უფროსი მეცნიერ მუშაკი, „წმინდა ილია მართლის“ საზოგადოების გამგეობის წევრი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ახმეტის რაიონის პრეფექტი – ივანე ტურაშვილი. ჩვენი ოჯახი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურად ჩაება 1987 წლიდან.

1989 წ. თბილისში დაწყებულ წვევამდელთა საბჭოთა იმპერიის ჯარებში აქციებს, რომელიც ჩემი მეუღლის ინციატივით იმართებოდა ახმეტაში, ახმეტის რაიონის ახალგაზრდებიც შეუერთდნენ.

ასევე აქტიური მონაწილე იყო ჩემი მეუღლე 1989 წ. 4-9 აპრილის აქციებისა, სადაც გაზით მოიწამლა.

მისი თაოსნობით მოეწყო ილტოს წყალსაცავის მშენებლობის შეჩერება.

ჩემი მეუღლე დიდი ქართველი ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანასოფლელია. კარის ეკლესია წლების განმავლობაში უმოქმედო და დანგრევის პირას მისული, მისი უშუალო ინციატივით შეკეთდა და ამოქმედა. დაწესდა ტრადიციული დღესასწაული „ქაქუცობა“, რომელიც გასულ წელს მესამედ აღინიშნა.

1992 წ. იანვრის დასაწყისში მერაბ კოსტავას საზოგადოების ახმეტის ფილიალის წევრები აწყობდნენ პიკეტებს, კრავდნენ გზებს ჩემი მეუღლის დასაჭერად და სიკვდილით დასასჯელად, მიზეზი მხოლოდ ერთი იყო – კანონიერი ხელისუფლების და კანონიერი პრეზიდენტის მხარდაჭერა.

ივანე ტურაშვილი აპრილამდე იმყოფებოდა სამეგრელოში, სადაც მონაწილეობდა პრეზიდენტის მხარდამჭერ მშვიდობიან მიტინგებზე. წასული იყო მარტში გროზნოში ჩატარებული უზენაესი საბჭოს სესიაზე. აპრილში დაბრუნდა თბილისში და სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე საშტატო ერთეულის გასამთელებლად დაწერა განცხადება. დღემდე არ დაკმაყოფილებულა მისი თხოვნა. ფაქტი-

ურად, იანვრიდან ჩვენი ოჯახი ულუკმაპუროდაა დარჩენილი და ახალგაზრდების ხელშეწყობით ვარსებობთ.

20 მაისს ვანო ჩავიდა ჩემი მშობლების ოჯახში ხუთი თვის უნახავ შვილებთან. 21 მაისს საღამოს სიღნაღის მილიციის წარმომადგენლები კახეთის რწმუნებლის გელა გოდერძიშვილის ბრძანებით შეიჭრნენ ბინაში და სანქციის გარეშე დააპატიმრეს ბავშვების თვალწინ, მეორე დღეს გადაიყვანეს გურჯაანის მილიციის იზოლატორში, სადაც ცამეტი დღე ამყოფეს, იზოლატორში მოხვედრისთანავე ითხოვა პროკურორი, დაკავების მიზეზის გასარკვევად. პროკურორმა კი, ნაცვლად თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულებისა, ცემა დაუწყო – შე, „ზვიადისტო“ ძახილით, ცემისას, ვანოს ტანზე შემოახია შარვალი და პერანგი.

მას სცემდნენ ჯგუფურად, განუწყვეტლივ (ცემაში მონაწილეობდა ახმეტის მილიციის უფროსი დ. ინჯია და რაიონის გამგეობის თავჯდომარე ზ. ქინქლაძე), ასმენინებდნენ ჩანაწერებს, ემუქრებოდნენ მეუღლის გაუპატიურებითა და შვილების დახოცვით, ასმენინებდნენ ავტომატების ჯერს, მერე თითქოს დაკრძალვის ცერემონიალს და კუბოს თავზე ლურსმნების დაჭედების ხმას. შემდეგ კი ხმა გადასცემდა, რომ სიკვდილს გადაურჩა პატარა შვილი, რომელიც არ გაიმეორებს მამის შეცდომებს და ასახელებს თავის სამშობლოს. ეს ყველაფერი უფრო ეფექტური რომ ყოფილიყო, მოასმენინეს ბატონ ზვიად გამსახურდიას სამძიმრის დეპეშა მისი ოჯახის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ერთი სიტყვით, სამართლდამცავი ორგანოს მუშაკები ყველაფერს აკეთებდნენ ვანოს ფიზიკურად და ფსიქიკურად მოსასპობად. პირდებოდნენ, რომ პირდაპირ საგიჟეთში გაგზავნიდნენ.

ცემის დროს ჩემს მეუღლეს დაუკარგავს გონება, გონსმოსული კი გრძნობდა, როგორ მოსდიოდა ცხვირიდან და პირიდან სისხლი. მასთან მყოფი პატიმრების ინფორმაციით, გრძნობადაკარგულს გაუკეთეს ნემსები, ცემის დროს შეეცადნენ წაერთმიათ ქორწინების ბეჭედი იმ მოტივით, რომ მას ის უკვე აღარ დასჭირდებოდა, რადგან საპატიმროდან ცოცხალი ვერ გამოვიდოდა. მთელი დღე გაატარა სკამებზე, საკანში მის ყოველ მოძრაობას უთვალთვალებდნენ.

ცემის და ზემოქმედებით დააწერინეს ჩვენება, რომელსაც თვითონ კარნახობდნენ და ხელი მოაწერინეს, რომ კახეთში არის ტერორისტული ჯგუფები და მათ ხელმძღვანელობს თბილისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი თ. კიკაჩეიშვილი. ვანო შიმშილობდა და საკნის კედლებზე გამოკრული ჰქონდა განცხადებები: 1. ვარ პოლიტპატიმარი; 2. მოვითხოვ ტელევიზიას; 3. მაწამებენ ფიზიკურად და ფსიქიკურად, ზემოქმედე-

ბენ ათასგვარი საშუალებებით და წამების ქვეშ მომაწერინეს ხელი ყალბ ჩვენებაზე, რომელსაც თვითონ მკარნახობდნენ; 5.არ აჩვენებენ მეუღლეს და შვილებს, არ მოაქვთ პრესა, საწერი ქაღალდი.

ჩვენების დაწერის მეორე დღეს მისულა საქ. რესპ. პროკურატურის თანამშრომელი ვინმე მაისურაძე. მას ვანომ აჩვენა სისხლიანი, დახეული ტანსაცმელი და მოუყვა, როგორ აწამებდნენ, თუმცა ყოველივე ამას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

ჩემს მეუღლეს სასტიკად სცემეს იმის გამო, რომ განაცხადა, კახეთის მოსახლეობის 93% კანონიერ მთავრობას უჭერს მხარსო. ცემის დროს „ურჩევდნენ“ ხელი აეღო ყოველგვარ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკლავდნენ მას და ამოუწყვეტდნენ ცოლ–შვილს.

გათავისუფლების წინა დღეს მასთან მისულა ახალგაზრდა და უთქვამს, თუ გაამხელდა თავს აქ გადახდენილს, კვლავ დაიჭერდნენ, გააუპატიურებდნენ და ცოლ-შვილს დაუხოცავდნენ.

პატიმრობიდან მისი გათავისუფლების რამოდენიმე ხნის შემდეგ იძულებული გავხდით ჩვენი ოჯახის წევრები, სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით, გადავხვეწილიყავით და გავხიზნულიყავით სამშობლოდან.

ეფემია მჭედლიშვილი-ტურაშვილისა
6.08.92 წ.

ტურაშვილების ოჯახი, შორეულ ემიგრაციაში — დღემდე გერმანიაში ცხოვრობს პოლიტემიგრანტების სტატუსით — ***ლ. ც.***

ვახტანგ გოქსაძის მკვლელობა

ვახტანგ გოქსაძე

ვახტანგ გოქსაძე პროფესიით მათემატიკოსი იყო. მუშაობდა: სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, მასწავლებელთა დახელოვნების რესპუბლიკურ ინსტიტუტში, 60-ე საშუალო სკოლის დირექტორად, 22-ე რუსულ-ქართულ სკოლაში. იყო მამულის უსაზღვრო მოყვარული, კანონიერი მთავრობის აღდგენისათვის დაუცხრომელი მებრძოლი. ყვარლის მთებში თავშეფარებული სააქართველოს პრეზიდენტის მომხრეთა 14-კაციანი ჯგუფი, 1992 წლის აგვისტოში შეიპყრეს ხუნტის ჯარებმა. უმოწყალო ცემისა და

არაადამიანური წამების მიუხედავად, ვახტანგს მრწამსისათვის არ უღალატნია. ტელედიქტორთა განცხადებით, თითქოს „გულმოწყალე“ ხუნტამ შეუნდო მათ დანაშაული და გაათავისუფლა. სინამდვილეში ნაწამები ვახტანგ გოქსაძის ცხედარი რამდენიმე დღის განმავლობაში არ გადასცეს ახლობლებს, ხოლო დაკრძალვისათვის აუცილებელი სამედიცინო ცნობა დასაფლავებამდე ორი საათით ადრე მისცეს...

მოგვიანებით, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის მიერ გამოგზავნილ შეტყობინებაში, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მაშინდელი უფროსი გამომძიებელი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი დ. ჯინჯოლავა გარდაცვლილის ოჯახს სწერდა: „ლეილა გიორგის ასულ თაქთაქიშვილ-გოქსაძეს, გაცნობებთ, რომ სისხლის სამართლის საქმე ვახტანგ ისაკის ძე გოქსაძის მიმართ, რომელშიც იგი იმხილებოდა სამშობლოს ღალატში, დივერსიებისა და ტერორისტული აქტების მომზადებაში, ბანდიტიზმში და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარებაში, ა.წ. (1993 წლის) 9 დეკემბერს შეწყვეტილი იქნა მისი გარდაცვალების მოტივით, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე“.

„ყვარლის საქმე“-ში დევს ექიმის მიერ ხელმოწერილი სამედიცინო დასკვნა, რომ ვახტანგ გოქსაძე დილის 7 საათზეა (!!!) გარდაცვლილი ... იმავე საქმეში არის ვახტანგ გოქსაძის დაკითხვის ოქმი. იმავე დღის 12 საათი (!!!) აწერია. გამოდის, რომ 5 საათის წინ გარდაცვლილი ადამიანი დაუკითხავთ ... და კიდევ სასამართლო პროცესზე ცოცხლად გადარჩენილები ყვებოდნენ: ყვარლის „კაპეზეს“ იმ საკანში შევყავდით სადაც ბატონი ვახტანგი ცემა-წამებაში მოკლეს, მისი სისხლით დასვრილ კედლებს და იატაკს გვაჩვენებდნენ და იგივეს გვპირდებოდნენო ყვარლის მხედრიონის ყოჩაღი ბიჭები ...

გამოიძია ვინმემ ეს საქმე? ...

სამედიცინო დასკვნაში „კი ჩაწერეს, გულის უკმარისობით“ გარდაიცვალაო ...

რუსუდან კიკალეიშვილი

(უზენაესი საბჭოს დეპუტატისა და პოლიტპატიმრის ვიქტორ დომუხოვსკის მეუღლე)

თვითმხილველი

1992 წ. 3 იანვარს მე და ჩემი მეგობრები ვაპროტესტებდით კრიმინალური ინტელიგენციის და გარე ძალების შეთქმულებას საქართველოს და ქართველი ერის წინააღმდეგ.

დიდუბის მეტროსთან უნდა შევკრებილიყავით და მიტინგი უნდა ჩაგვეტარებინა. დაგვეცვა ჩვენი ხმები და ჩვენი არჩეული პრეზიდენტი. მეტროსადგურ დიდუბეში ჩამოვედით თუ არა უკვე ქვედა მხრიდან ისროდნენ. ხალხი პანიკაში იყო. ადამიანების დამშვიდება დავიწყე, მაგრამ ტყვია–ტყვიაზე მოდიოდა. მუხლმოდრეკილი შევავედრე ღვთისმშობელს ჩემი სამშობლო და იქ მყოფი ადამიანები. ავტომატების კაკანი არ წყდებოდა. ამ დროს რკინიგზის ლიანდაგზე გამოჩნდა მატარებელი, რომელშიც ლურჯ ტანსაცმელში ჩაცმული ადამიანები ისხდნენ. დღესაც არ ვიცი ვინ იყვნენ, მაგრამ ჩემი ვარაუდით იმ ვაგონებმა ბევრი ადამიანი გადაარჩინა სიკდვილს. სროლა უკვე ინტენსიურად დაიწყო. ჩემს წინ ბავშვი ტიროდა, დაახლოებით 3 წ. იქნებოდა, დედ-მამა ახალგაზრდები და დაბნეულები რომ დავინახე, სამივეს ხელი მოვხვიე და ბოძს მოვაფარე. ამ დროს მომხვდა ტყვია. „დაჭრეს, დაჭრესო!“ ისევ იმ ბავშვის დედის კივილზე აზრი მოვიკრიფე. მე იქეთ ვამშვიდებდი არაფერი მიჭირს–თქო. მაგრამ სისხლი თბილად იღვრებოდა, ალბათ ფერიც აღარ მედო, სული მიმდიოდა ტკივილზე, უფრო იქ ნანახით, ცოდვის კალო ტრიალებდა – სისხლის გუბეები იდგა. საჯიშე ბიჭები ტყვიით მოცელილები დაბლა ეცემოდნენ. მე ფეხზე მაინც ვიდექი! იქ ერთმა ახალგაზრდამ ხელი შემაშველა და ლიანდაგზე ჩავხტით, მერე დიდუბის ზედა მხარეს წავედით. ხალხმა ხელიდან ხელში (და ის ბიჭიც არ მომშორებია გვერდიდან) მიმიყვანა და წითელ ჟიგულის მარკის მანქანაში ჩამსვეს და მე–8 საავადმყოფოში წამიყვანა მძღოლმა. მანქანაში 2 ბავშვი იჯდა წინა სავარძელზე. გაგონილი მქონდა, რომ არსებობდა ტყვიები, რომელიც ორგანიზმში ფეთქდებოდა. ამის გაფიქრებამ უფრო ამაფორიაქა. მანქანა გავაჩერებინე და გადმოვედი. დაჭრილი ხარ შვილო და სისხლისგან დაიცლებიო.

მე-8 საავადმყოფოში მისულებს იქ დაგვხვდა პანიკა, დაჭრილი და გარდაცვლილი ადამიანები. ამას დაემატა იარაღიანების მოვარდნა. დღესაც არ ვიცი ვინ იყვნენ. ერთი მეკითხება რომელი პარტიის კუთვნილება ვიყავი. ჩემი პასუხი იყო ჩემი პარტია ჩემი საქართველოათქო. დამანება თავი. ეს დღე ჩემთვის იყო საშინელი, დაუვიწყარი ტკივილების, რომელიც ბოლომდე გამყვება. არის სიამაყის დღეც, სამშობლოს სიყვარულისთვის, თავისუფლებისთვის სიცოცხლის ზვარაკად შეწირვისა, რომელიც ადამიანებმა გაიღეს. დიდება, არდავიწყება და ნათელი მათ სულებს.

ეს არის ტყვია, რომლითაც დაჭრილი ვიყავი და რომელიც ექიმებმა სხეულიდან ამომიღეს.

ქეთევან ლაზუაშვილი

1993 წ. 12 ივლისი

ჩემი მეუღლე თეიმურაზ ბაშალეიშვილი პეტრე–პავლობა დღეს გავიდა სახლიდან და აღარ დაბრუნებულა. იმ საღამოს განგაში აღარ ამიტეხია, თუმცა ძალიან გამიკვირდა, რომ არსაიდან არ შემეხმიანა. მეორე დღეს დავიწყე ძებნა, მილიციაში, საავადმყოფოში, მორგში, მაგრამ არსაიდან ხმა... გამოვაცხადეთ ტელევიზიით. 19 ივლისს კი ჩემი ფეხით წავედი ქალაქის მორგში და იქ აღმიწერეს უცნობი გვამის შესახებ, რომელიც ემთხვეოდა ჩემი მეუღლის მონაცემებს. შევაგზავნე ახლობლები, რომლებმაც დამიდასტურეს მისი იდენტურობა. მეორე დღისთვის დანიშნეს ექსპერტიზა და მოითხოვეს თუთიის საჭურჭლის მიტანა. გვითხრეს რომ უჩვენოდ არ ჩაატარებდნენ ექსპერტიზას, მაგრამ სანამ მე შეკვეთა მივეცი ჭურჭლის და მივიტანე უკვე ჩაეტარებინათ უჩვენოდ, ყველაფერი რომ წაეშალათ იმ მიზნით, თვალებიც კი ამოუჩიჩქნეს თურმე. დასკვნაში დაგვიწერეს წყალში ასფიქსია, რაც გამორიცხულია, ვინაიდან ძალიან კარგი მოცურავე იყო. იმ დროს გამეფებული ანარქიისა და განუკითხაობის გამო ჩემი ვერსია ასეთია:

12 ივლისს, დღის ორ საათზე კინოსტუდიიდან წამოსულა ბავშვის სასაფლაოზე (*9 აპრილს დაჩეხილი 16 წლის ნათია ბაშალეიშვილის* – **ლ.ც.)** ასასვლელად. იქამდე მივიდა თუ არა, უცნობია ჩვენთვის, ალბათ გზაში შეესწრო რაღაც უსამართლობას, ამას კი ის არ მოითმენდა და შეეკამათებოდა „ჩვენს რაინდებს“. ისინი აბა რას აპატიებდნენ, მოკლეს და გადააგდეს მტკვარში, დარწმუნებული იმაში, რომ შერჩებოდათ ყველაფერი, როგორც ბაბუის წილი...

მხოლოდ უფლის იმედი მაქვს რომ იმ სოფელში მიეზღვებათ სამაგიერო. ამბობს კიდეც უფალი – „შურისძიება ჩემი არისო“.

ამ სოფლად კი ეს ბოროტი ხალხი ძალიან კარგად არიან და იცინიან ჩემს გულუბრყვილობაზე...

მაკა ლატარია — ბაშალეიშვილი



ამირან კალაძე

ამირან კალაძე – უზენაესი საბჭოს წევრი. მწერალი, პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, თეატრმცოდნე, ქართველი მამულიშვილი და საქართველოს თავისუფლებისთვის შეწირული პიროვნება. აი, ის არასრული ტიტულები, რომელიც მას გააჩნდა.

სამხედრო ხუნტამ ნაადრევად მოუსწრაფა სიცოცხლე მას.

ამირან კალაძე დაიბადა 1945 წლის 3 მაისს სამტრედიის რაიონში – სოფელ ეწერში. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ესტონეთში ცხოვრობდა. იქაურ ენას დაეუფლა. თარგმნიდა ესტონურიდან ქართულად და პირიქით. 1979 წელს მან წიგნად გამოსცა მის მიერ თარგმნილი „ესტონური მოთხრობების“ კრებული. ქართული ლიტერატურული ჟურნალ–გაზეთების ფურცლებზე იგი, აგრეთვე სისტემატურად აქვეყნებს ესტონური პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს. ამ თარგმანისათვის ამირან კალაძეს 1979 წელს მიენიჭა ესტონელი კლასიკოსი მწერლის იოჰან სმეუულის სახელობის პრემია. გარდა ამისა, მან მოასწრო 10–ზე მეტი წიგნის გამოცემა.

ამირან კალაძე 70–იან წლებში ჩაება ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ეწეოდა დისიდენტურ მოღვაწეობას, იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თანამებროძლი. 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნებით „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ბლოკიდან გახდა უზენაესი საბჭოს წევრი.

1993 წლის 8 ოქტომბერს თავის სოფელში – ეწერში, ღამის 9 საათზე, მის ოჯახს თავს დაესხნენ სამხედრო საბჭოს მიერ გაგზავნილი შეიარაღებული ბანდიტები, რომლებიც შეგულიანებულნი იყვნენ ზოგიერთი ვაი მწერლების მიერ. გაძარცვეს, სცემეს, გაიყვანეს მდინარე რიონის პირას და აწამეს. შემდეგ ჩაიყვანეს სარდაფში, კვლავ სცემეს, დაუზიანეს თავის ქალა, რამაც თავისი საშინელი შედეგი გამოიღო და 1995 წლის 27 მაისს 50 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მას არ აპატიეს სამშობლოს სიყვარული.

გელა ნიკურაძე

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

2001 წლის 14 ნოემბერი

თვითმხილველის ჩანაწერი

მე და ჩემი ოჯახის თვითოეულ წევრს ყოველდღიურ აუცილებლობად გვექცა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება. რწმენა იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი გახდებოდა და ამ ქვეყანაში ჩვენ უნდა გვეცხოვრა ჩვენი საყვარელი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გვერდით. ეს ძალას გვაძლევდა, ხალისითა და იმედებით სავსე ვუერთდებოდით ეროვნულ მოძრაობას. შემოვლილი გვქონდა ჩვენ ლიდერებთან ერთად თბილისის ყველა ცენტრალური ქუჩები. კომუნისტების გადმონაშთები კი თავდასხმებს გვიწყობდნენ და ავტომატებით გვისწორდებოდნენ უიარაღო ხალხს.

საშინელი თავდასხმა მოგვიწყვეს ცირკთან, სადაც მსხვერპლი იყო. ისე გაგვისწორდნენ, თითქოს შაჰ–აბაზი შემოსულიყოს საქართველოს ასაოხრებლად.

ყველაზე უფრო მეტად ის იყო საოცარი, როდესაც აეროპორტისაკენ გვქონდა გეზი აღებული. ზღვა ხალხით იყო მთელი გზა გადაჭედილი, რომლის თავი და ბოლო არ ჩანდა და კიდევ და კიდევ გზადაგზა ხალხი გვიერთდებოდა. ამ დროს ჩვენ აეროპორტამდე მისვლა ვერ გავბედეთ, ვინაიდან იქ თავდასხმა იყო დაგეგმილი. ეს ერთსულოვანება სიცოცხლის ხალისს გვმატებდა და მიტინგი სამგორის მეტროსთან ჩატარდა.

ავლაბრის მეტროსთან იყო დანიშნული მიტინგი, ჭორი დაყარეს პროვოკატორებმა, თითქოს ზვიადს სომხების გასახლება უნდოდა საქართველოდან. ჩვენ პროტესტი გამოვთქვით ამის გამო.

ეს დღე ჩემთვის დაუვიწყარია. ვაგზლის მოედანზე უნდა ჩატარებულიყო მიტინგი, როდესაც მეტროში ვაგონიდან გადმოვედი მევლუდთან და მეუღლესთან ერთად. იქ იმდენი ხალხი იდგა, რომ ფეხის დასადგმელი ადგილი ძლივს მოვნახე. ვიკითხე რა ხდება-მეთქი და გავიგე თურმე ზემოთ ვინც ავიდა, მანქანებში ჩატენეს და გაურკვეველი მიმართულებით სადღაც გაუქანებიათ. მეც შევჩერდი ცოტა ხანს, შემდეგ ხალხს ვუთხარი აქ დგომით რას გავაკეთებთ, ავიდეთ მაღლა ყველას ხომ ვერ წაგვიყვანენ-მეთქი. და, როდესაც ექსკალატორისაკენ გავეშურე მთელი ხალხი წამომყვა. მაღლა როცა ავედით, იქ აღარც მანქანები იდგნენ და არც ხალხი. მოედანზე სადაც მიტინგი უნდა ჩატარებულიყო, თხუთმეტამდე ავტომატებით შეიარაღებულები იდგნენ. ხალხი მოედანზე ასვლას ვერ ბედავდა. ამ დროს როგორ რა მოხდა ჩემში არ ვიცი, გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო, ავდივარ მოედანზე ამ ძახილით: ტერორისტებო, ბანდიტებო, მესროლეთ რაღას უცდით, დაგვხოცეთ ბარემ-თქო. ამ დროს ჩემმა მეუღლემ ხელი წამავლო, სად მიდიხარ გესვრიანო. ტყვიას მართლაც ველოდებოდი, თვალებზე ბინდი მქონდა გადაკრული სიკვდილის მოლო-

დინში, ალბათ ნერვებმა ამიტანა და მაინც ვიწევ წინ, როცა თვალებში სინათლე დამიბრუნდა, ვხედავ მოედანი ხალხით ივსება, ის ავტომატიანები კი არ ვიცი, რომელი მიმართულებით წავიდნენ. ასე ჩატარდა ეს მიტინგი.

საშინელი დღე გამოვიარეთ დელისის მეტროსთან, მსვლელობა გვქონდა, სახურავებიდან გვესროდნენ ისე, რომ ძლივს შევასწარით ერთ-ერთ სადარბაზოში. თხუთმეტი ქალი მეხუთე სართულზე ერთმა კეთილმა ქალმა შეგვიფარა და კარი მაგრად ჩარაზა და ხმა-გაკმენდილები ვისხედით იქ, ვინაიდან სადარბაზოშიდაც კი შემოვარდა ერთი ავტომატიანი, როდესაც სროლის ხმა მიწყნარდა, თითო-თითო გამოვდიოდით სახლიდან.

ბევრი ასეთი დღეები გამოვიარეთ, მაგრამ ყველაზე საშინელი ჩემთვის 1994 წელი გამოდგა. ჯერ მეუღლე გარდამეცვალა, ათი თვის შემდეგ კი შვილი მომიკლა ვიღაცის უწმინდურმა ხელმა. მე სულით ხორცამდე განადგურებულს ამ უსამართლო ქვეყანაში ვინ მაპოვნიებდა მის მკვლელს, დედის ერთი ვაჟი სიცოცხლეს გამომისალმეს. მევლუდი იყო სახალხო მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი, შრომის მოყვარე, ცოლ–შვილისა და ოჯახის უზომოთ მოყვარული ადამიანი. დარჩა ორი წლის პატარა ხატია, რომელმაც მამის სახე მხოლოდ სურათებიდან იცის.

ევგენია ძინძიბაძე

ხმა „ბუნკერიდან“

მთავრობის სახლში შესვლის დროს, ჩემს უკან მომავალ 50 წლის კაცს მოხვდა ჭურვის ნამსხვრევი და იქვე გარდაიცვალა. მე შენობაში შევასწარი. 1991 წლის 22 დეკემბრიდან 1992 წლის 4 იანვრამდე იქ ვიყავით და ვარ სიმართლის თვითმხილველი პრეზიდენტის მომხრე ხალხის მხრიდან, ხოლო ოპოზიციის მხრიდან დაუნდობლობისა და ბოროტების მნახველი და მსმენელი. სამიათასამდე იქ მყოფ ხალხიდან უმრავლესობა იყო უიარაღო. ოპოზიცია ანუ შეიარაღებული ბანდა გვემუქრებოდა ზევიდან დაბომბვით, რომელიც მოახდინეს კიდეც. პრეზიდენტის მხარეს დაინგრა მეორე სართულამდე. შემოპარულმა ოპოზიციონერებმა მოფანტეს მინის კაფსულები, მომწამვლელი ნივთიერება. ბევრი ახალგაზრდა კვდებოდა და იჭრებოდა ქაშუეთის ეკლესიიდან წამოსული ტყვიით. პირველი საშუალო სკოლიდან ანადგურებდნენ მთავრობის სახლს. ფილოლოგ კოტეტიშვილის სახლი გადაქცეული იყო იარაღის საწყობად. მისი სახლის კუთხიდან იპარებოდნენ შეიარაღებული ბანდები და ესროდნენ მთავრობის სასახლის ეზოში საბრძოლო ტექნიკის შემკეთებელ უიარაღო ხალხს. ჩვენ უიარაღო ხალხი ვეხმარებოდით დაჭრილებს შემოყვანა–მოთავსე-

ბაში. შემოჰყავდათ, როგორც პრეზიდენტის მომხრე დაჭრილები, ასევე ოპოზიციის მხრიდან. მკურნალობა ერთნაირი იყო. ოპოზიციის მხრიდან დაჭრილები მორფით გაბრუებული იყვნენ და ჯიბეში ჰქონდათ ფულები, დაჭრილები სხვადასხვა ნაციის მებრძოლები იყვნენ: ქართველი, რუსი, ოსი, სომეხი, ქურთი, ბერძენიც, აგრეთვე 12-14 წლის ბავშვები, რომლებიც დაქირავებული იყვნენ და მაღაზიებს ძარცვავდნენ და შემდეგ წვავდნენ. „ბუნკერში“ იყვნენ შემოპარული მოსყიდული პრეზიდენტის მკვლელები, რუსის ოფიცერი და სხვა. ბუნკერში წამებას ადგილი არ ჰქონია.

1991 წ. დეკემბრის ბოლო რიცხვიდან მდგომარეობა დაიძაბა. დიდძალი ხალხი იარაღით მოადგა მთავრობის სახლს, შეიარაღებული ბანდები დიდ ტვირთიან მანქანებით გზას ანთავისუფლებდნენ, რომ ბეტეერები შემოეყვანათ. მანქანებს ამტვრევდნენ. ხალხმა მოუწოდა პრეზიდენტს, რომ სახანძრო მანქანიდან წყალი მიესხა თავდამსხმელების დასაშლელად. მან უპასუხა: ისინი ისევე ჩვენი შვილებია, ზამთარში წყალი რომ მივასხათ, გაცივდებიანო. თითქმის მთელი მილიცია იქ იყო, მაგრამ უმოქმედოდ. პრეზიდენტის მომხრეები ბრძოლის დაწყებიდან რამოდენიმე დღით ადრე დღედაღამე ვიცავდით მთავრობის სახლს. მდგომარეობა დაიძაბა. ოპოზიციონერები სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ მოლაპარაკებისა. დეპუტატი რცხილაძე მძევლად აიყვანეს 1991 წლის 22 დეკემბრის დილას.

1991 წლის 22 დეკემბერს დილის 8 საათზე ომი დაიწყო. პირველი ჭურვი ესროლეს პრეზიდენტის კაბინეტს. მთავრობის სახლში ისროდნენ პირველი საშუალო სკოლიდან, ქაშუეთის ეკლესიიდან, სასტუმრო „თბილისის“ სახურავიდან. ბევრი გამვლელი დაიჭრა და დაიღუპა. ესროდნენ კარვებს. ორი მოკლეს შიგ. 9 – აპრილის მემორიალზე ამოფარებული ახალგაზრდები დაჭრეს, მეც მესროლეს კარვის წინ, მაგრამ გადავრჩი.

რ. ბ. თადუმაძე

ქ. რუსთავი

„ბუნკერში“ გატარებული უსაშინლესი 15 დღე

1991 წლის 22 დეკემბრიდან 1992 წლის 5–იანვრამდე ვიყავი ბუნკერში. იქ შემოსული იყო მოღალატეთა ჯგუფი. მათ საკმარისად ჰქონდათ იარაღი ჩაგდებული ხელში. მთელი დღის განმავლობაში ოპოზიციას დიდ დახმარებას უწევდა „ესნგ“ ჯარის სარდლობა, თუ რიგითი ჯარისკაცი. ჩემი თვალით ვნახე როგორ მოათრევდნენ სამხედროები ტყვია–წამალს

კოლმეურნეობის მოედნიდან ქაშუეთის ეკლესიისაკენ. ძლიერი ალყა იყო, იყო აგრეთვე საჰაერო დაბომბვა. ხალხი ბუნკერში ჩაიყვანეს, გარეთ ხალხი იხოცებოდა. პრეზიდენტი ბუნკერში ტრიალებდა თავისი დაცვით. მოდიოდნენ, აგრეთვე ჟურნალისტები საზღვარგარეთიდან. ისინი გაოგნებულები იყვნენ. ერთ-ერთმა უცხოელმა ჟურნალისტმა ისიც კი თქვა (სახელი და გვარი არ ვიცი) თქვენ საერთოდ განსხვავებული პრეზიდენტი გყავთო და მართლაც ღირს მისი დაცვაო.

ბატონი ზვიადი თვალით ხედავდა, თუ როგორ ანგრევდნენ ჯალათები მთავრობის სახლს. უშენდნენ პრეზიდენტის სამუშაო ოთახს. ჩემთვის პრეზიდენტი იყო და არის იმედი საქართველოს ხვალინდელი დღისა. ამ რწმენით ვიდექით შიშველი ხელებით პრეზიდენტის და პარლამენტის დასაცავად. ჩვენ, სამი გოგო უზენაესის სასადილოში ვიყავით. ვაკეთებდით რისი გაკეთებაც შეგვეძლო. ვალაგებდით, დახმარებას ვუწევდით დაჭრილებს. სიკვდილს გადარჩენილებს გარეთ საშინელი ჭორი დაგვხვდა, თითქოს ბუნკერში ვინმეს აწამებდნენ, აუპატიურებდნენ. მე მაგათ მაგივრად მზარავს და აი ამ წუთას მეზიზღებიან ისინი, ვინც ასეთ სისაძაგლეს ავრცელებენ. განა არ შეეძლო მთავრობას ჯალათები მოესრისა? შეეძლო, მაგრამ ჩვენი პრეზიდენტი ქრისტიანია. ის მწარედ განიცდიდა თითოეული ადამიანის სიკვდილს, მისი სახე საშინლად იყო განადგურებული. 1992 წ. 1 იანვარს ბატონი ზვიადი ზემოთ იყო ამოსული. ჩვენ გოგონები ნანგრევებში ვიდექით. როგორც კი დავინახე ბატონი ზვიადი, მაშინვე მივედი, ვერ მოვახერხე ახალი წლის მილოცვა, შევხედე თვალებში, ისიც საშინლად იყო გადაღლილი, მაგრამ მაინც იმხნევებდა თავს. მე ვთხოვე: ბატონო ზვიად, დღეს 13 საათზე სადგურის მოედანზე მიტინგია და ჩვენ გვინდა წასვლა-თქო. რა თქმა უნდა, მან უარი არ გვითხრა, კი ბატონოო, მაგრამ ვინმემ არ გიცნოთ და რაიმე ხიფათს არ გადაეყაროთო. ჩვენ წავედით, მიტინგს დავესწარით. იყო ძლიერი სროლა, გადაწყვეტილი ჰქონდათ მიტინგის დაშლა, ბატონ ზვიადის სურათს დამიზნებით ესროდნენ. ხალხი არ დაშლილა.

ბუნკერში ბატონი ზვიადის ქცევამ, მიმტევებლობამ მე მომცა ძალა ვიყო სიმართლისთვის თავდადებული.

თამრიკო დადიანი

თვითმხილველი

1991 წლის 4-5 ოქტომბერს შეიარაღებული „დემოკრატები“ 3-4-ჯერ მოადგნენ მთავრობის სახლს. მეორე შემოტევისას მოკლეს სამი შვილის

მამა გია ტეტელაშვილი, წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი, დასახიჩრდა ბევრი ქართველი. ჩემთვის ის ღამე იყო ბართლომეს ღამე, რომლის შემდეგ ყველანი ვგრძნობდით, რომ უფრო დიდი საშინელება შეიძლება დატრიალებულიყო. აკი დატრიალდა კიდეც.

21 დეკემბერს მთავრობის სახლის წინ თავი მოიყარეს წითელმა „დემოკრატებმა“, მათ გამართეს მიტინგი, სადაც მოუწოდებდნენ კანონიერების დამცველთა ჯგუფებს გონს მოსულიყვნენ და დაემხოთ ბატონი ზვიადის „დიქტატურა“.

ჩვენს მიტინგზე გამოვიდა ბატონი ბესო გუგუშვილი და მეტად სასიამოვნო ინფორმაცია გვამცნო, რის შემდეგაც ხალხმა ცეკვა და სიმღერა წამოიწყო. მე, აჩიკო რამიშვილი, ხათუნა და დალი შევხვდით ერთმანეთს და მივულოცეთ, თან ისიც აღვნიშნეთ, რომ „წითელი დემოკრატებისაგან“, რომლებიც ისტერიულად მოითხოვდნენ პრეზიდენტის გადადგომას, კარგი არაფერი იყო მოსალოდნელი და შეიძლება საშინელება დაეტრიალებინათ. აჩიკომ ისიც თქვა, რომ სიცოცხლე არ გვიწერიაო.

ის ღამე ჩემთვის დაუვიწყარი იყო. ძვირფასო ძმაო აჩიკო, ბევრი ვიცინეთ, ვიმღერეთ, მაგრამ თუ შენი ნათქვამი აღსრულდებოდა და შენი ლამაზი სული გაფრინდებოდა, არ მეგონა. 22 დეკემბერს შენი ხელით იხსენი ბევრი უიარაღო გვარდიელი, სამაგიეროდ შენი სიცოცხლე წაგვართვეს ჯალათებმა, მაგრამ ვთვლი, რომ შენ ჩვენთან შედარებით მაინც ბედნიერი ხარ. შენ არ იცი, რომ შენს სულს შენი მეგობრების ლამაზი და მდიდარი სულებიც შეუერთდა. ვარაზ ვარაზაშვილი, ვალიკო ყავლაშვილი, ემზარ ლომთაძე და სხვები.

ჩვენგან დაუტირალო ძმებო, მეგობრებო, მაპატიეთ, რომ თქვენი ჭირის დღეს მე ვერ დავესწარი. ვიცი რომ მაპატიებთ, აჩიკოს გარდა დანარჩენებმა კი იცით, სადაც ვიყავი და ალბათ მასაც გადასცემდით.

გეთხოვებით იმ იმედით, რომ თქვენი სულები იქაც გააგრძელებენ ბრძოლას საქართველოს გადარჩენისათვის.

თამრიკო დადიანი

თვითმხილველი

მას შემდეგ, რაც ბანდიტებმა საქართველოს ეროვნული კანონიერი ხელისუფლება დაამხეს ყოველ დღე ვაგზლის მოედანზე, 12 საათზე ტარდებოდა კანონიერი მთავრობის მხარდამჭერთა მიტინგები. 1992 წლის 2 თებერვალს ვაგზლის მოედანზე კვლავ მოიყარა თავი უამრავმა ადამიანმა, ჩატარდა მიტინგი. შემდეგ მომიტინგეები დავიძარით თვითმარქვია ხელი-

სუფლების (ცკ-ას) შენობისკენ. ჩვენი მოთხოვნები იყო კანონიერების აღდგენა, პრეზიდენტის დაბრუნება და თვითმარქვია ხელისუფლების თვითლიკვიდაცია. როცა ჩვენი მრავალათასიანი მანიფესტაცია მიუახლოვდა გმირთა მოედანს, გზები ავტობუსებით ჩახერგილი დაგვხვდა. უკვე მივხვდით, რომ რაღაცას გვიპირებდნენ. სულ მალე დაიწყეს სროლებიც. სახანძრო მანქანებიდან გამოუშვეს წყლის ჭავლიც. ხალხი მაინც არ დაიშალა. ატყდა წივილ-კივილი, ისინი კი დაუნდობლად გვიშენდნენ ავტომატების ჯერს, ჩვენს წინ დადგა სისხლის ტბა. მე და ჩემმა მეუღლემ ვნახეთ, თუ როგორ უსულოდ დაეცა სრულიად ახალგაზრდა მედროშე ჭაბუკი და გოგონა. ჩვენ შევძელით 15-მდე დაჭრილი დაგვეთვალა ამ დაჭრილებიდან. ერთ-ერთი ჩვენი თანამშრომლის ვაჟიშვილი შავლაძე იყო, რომელსაც ფოტო-კორესპონდენტი ყავდა აყვანილი და ფეხებში დაჭრეს.

მანიფესტანტებმა აღმაშენებლის გამზირით განვაგრძეთ მოძრაობა. მარჯანიშვილის მოედანს რომ მივუახლოვდით, ჩვენთან მოვიდა ახალგაზრდა ქალი და გვთხოვა ინტერვიუ, მან საქართველოს რადიო-კორესპოდენტად გაგვაცნო თავი. ამ დროს ატყდა საშინელი სროლა, ავტომატის ჯერი ბეტეერების ბათქა-ბუთქი. არ ვიცი რამდენი დაიჭრა ან რამდენი მოკვდა. ვინც სადაც მოვახერხეთ იქ შევცვივდით. ჩვენ კი კინოთეატრის შენობაში შევედით, მაგრამ ავტომატიანები აქაც შემოგვიცვივდნენ და დაგვიწყეს ლანძღვა-გინება... „თქვენ კიდევ ზვიადი გინდათ, თქვენი დედა... სისხლში ცურავთ. ახლავე აქვე ამოგხოცავთო“ და ავტომატი შეაყენეს. ჩვენდა საბედნიეროდ წინ კაცები იდგნენ და როგორღაც მოიფიქრეს და უთხრეს ჩვენ კინოში ვართ მოსულებიო. არ ვიცი დაიჯერეს თუ თავი შეიკავეს და უკან გავიდნენ. ბოლოს კინოს დირექტორი გავიდა და ნახა იქვე ჯავშან-ტრანსპორტიორზე ამხედრებული, არ ვიცი მათი ხელმძღვანელი იყო თუ რიგითი, სთხოვა მათ ჩვენი გატარება (კინო დამთავრდაო და წასვლა უნდათ სახლშიო). მან დაგვრთო ნება ნაწილ-ნაწილ გავსულიყავით, ასე გავეცალეთ იქაურობას და ჩავედით მეტროში. ვაგზლის მოედანზე რომ ჩამოვედით აქ უფრო უარესს გადავეყარეთ; შემოცვივდნენ ავტომატიანი თვითმარქვია ხელისუფლების ერთგული მხედრიონის წევრები და ხალხს ისე დასდევდნენ, ვით მონადირე მხეცებს. აქაც ვითომ, როგორც შემთხვევითმა მგზავრებმა ძლივს დავაღწიეთ თავი და გადავჯექით საბურთალოს მატარებელზე. ასე გადავრჩით ამ საშინელ და შემზარავ დღეს.

თვითმხილველი მ. გ.

თბილისი ვაჟა-ფშაველას პროსპ.

მცხ. ქ. რუსთავში მესხიშვილის პირველი გასასვლელი 7/49
ასმათ აკაკის ასული ბაიაშვილი

მყავს მეუღლე, სამი შვილი და სამი შვილიშვილი, ვმუშაობდი გამარჯვების მეფრინველობის ფაბრიკაში ბრიგადირად. დღესდღეობით ვარ უმუშევარი.

ვინაიდან 1991 წლის 2 სექტემბრიდან მძიმე დღეები დაუდგა ჩემს სამშობლოს, ვალდებულად ჩავთვალე თავი, მეც შემეტანა ცოტაოდენი წვლილი კანონიერების და სიმართლის დასაცავად. 1991 წლის სამი სექტემბრიდან დღედაღამე ვიდექი იქ, სადაც იდგა ჩემს მიერ სულითა და გულით არჩეული კანონიერი ხელისუფლება და კანონიერი პრეზიდენტი.

22 დეკემბერს შეიარაღებულმა ოპოზიციამ პირველი აუტეხა სროლა მთავრობის სასახლეს. ფანჯრები წინა მხარეს სულ ჩამტვრეული იყო, განსაკუთრებით იყო დაცხრილული პრეზიდენტის კაბინეტის ფანჯრები, შიგნით ყველგან სიბნელე სუფევდა. დაახლოებით ღამის ათის ნახევარი იქნებოდა, მოვიდა ერთი სუსტი აგებულების მანდილოსანი და გვითხრა: კოლმეურნეობის მოედნის მხრიდან მოვდივარ, იქ კბილებამდე შეიარაღებულნი დგანან, ირგვლივ ალყაში ვართ, სამი ბეტეერი და ერთი ტანკი აქვე ახლოს უდგათ, ყველა გავაფრთხილოთ, თორემ ისინი არ დაგვზოგავენ, გვესვრიანო. ამ ქალაბტონს დამთავრებული არ ჰქონდა სიტყვა, რომ ოპოზიციამ გახსნა ცეცხლი პირდაპირ ხალხზე, გავრბოდით, დაჭრილებს ვახტებოდით, ზოგი მხატვრის სახლში, ზოგი ყოფილი პიონერთა სასახლისკენ, ახლობლები მიმოიფანტნენ. ჩემთან დარჩა ჩემი თანამოქალაქე ხუციშვილი ზეინაბი. როცა ქუჩა უნდა გადამეჭრა ვიგრძენი, რომ რაღაც მომხვდა და წამაქცია, იმ წამში მომეშველნენ ზეინაბიც და სხვებიც შემიყვანეს შენობაში, სისხლი თქრიალით ჩამომდიოდა, მივხვდი თავის არეში ვიყავი დაჭრილი, მარცხენა მხარეს საფეთქელთან ახლოს. იქ შენობაში ექიმი აღმოჩნდა და პირველი დახმარება მან გამიწია. მთელი შენობის იატაკი გავსებული იყო დაჭრილებით, ორი მიცვალებული იყო. გამოუძახეს სასწრაფოს, სროლა არ წყდებოდა, იცოდნენ რა რომ ამ შენობაში იმყოფებოდა მხოლოდ და მხოლოდ უიარაღო ადამიანები, დაუნდობლად უშენდნენ შენობას. გარედან ორი დაჭრილი შემოყვანის თანავე დაიღუპა. კუთხეებს ვეფარებოდით. როგორც იქნა სამ საათზე ცოტა შეაჩერეს სროლა და სასწრაფოც შემოვიდა. პირველ რიგში წაიყვანეს მიცვალებულები, შემდეგ დაჭრილები მიგვიყვანეს პირველ საავადმყოფოში, სადაც გვიმკურნალეს.

თვითმხილველი

1991 წლის 22 დეკემბერს, დაახლოებით დღის 10 საათზე ვიმყოფებოდი მთავრობის სახლი წინ, ამ დროს ეკლესიის მხრიდან გამოჩნდა სამი ახალგაზრდა. ამათგან ორს ავტომატი ეჭირა ხელში, ხოლო მესამე შუაში ყავდათ, ვითომ ტყვე იყო და მთავრობის სახლში მიყავდათ. ის ვითომ ტყვე დამტყვევებელის წინ გარბოდა და ამან დაგვაეჭვა. ამ დროს ჩვენი მხრიდან იცნეს, რომ ისინი იყვნენ პრეზიდენტის მოწინააღმდეგე შეიარაღებული ბანდიტები, რომლებსაც მთავრობის სახლში შეპარვა სურდათ. ხალხმა იცნო რა ეს ავისმზრახველები, ყვირილი დაიწყეს. იქ მდგომ უიარაღო ხალხს ორივე ავტომატიანმა ავტომატების ჯერი მოგვიშვეს, მე ფეხში დავიჭერი, სხვებიც ბევრი დაიჭრა. იქ აღმოჩნდნენ ახალგაზრდა ბიჭები და პირველადი დახმარება აღმოგვიჩინეს, სასწრაფო დახმარება მოვიდა და ჩხეიძის ქუჩაზე საავადმყოფოში ოპერაცია გამიკეთეს. სამი თვე სახლში ვმკურნალობდი უბნის ექიმთან.

ხადური რუსუდანი

თბილისი ზეკარის ქ.19

დეკემბერ-იანვრის თბილისის პუტჩის დროს მთავრობის სასახლის დამცველთა ნაამბობი

(თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი, ტერორის შიშით გვარს არ ასახელებს)

1992 წლის 22 დეკემბერს, როცა მთავრობის სახლთან მივედი სროლა დროებით შეწყვეტილი იყო. თქვეს, რომ მოლაპარაკება დაიწყესო. მთავრობის სახლის წინ ხალხს მოეყარა თავი და შეძრწუნებულნი შესცქეროდნენ ქვემეხების ჭურვებით დაცხრილულ მთავრობის სასახლის კედლებს, დამწვარ მთავრობის სახლს და 1–ლ საშუალო სკოლას (ეს სკოლა ისტორიულია, თითქმის 200 წლისაა და იქ სწავლობდნენ ქართველი კლასიკოსები – ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე...) შემზარავი შთაბეჭდილება დატოვა ჩამონგრეული სვეტების წინ ილია ჭავჭავაძის ძირს დაგდებულმა სურათმა. ვიღაცამ აიღო და ისევ ზევით დაამაგრა. ჯერ კიდევ სექტემბერში მივხვდი, რომ ე. წ. ოპოზიციონერთა მხრიდან მოსალოდნელი იყო თავდასხმა. მაშინვე გადავწყვიტე დავმდგარიყავი ხალხის რჩეულ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამცველთა რიგებში. დღეს ხშირად გაიგონებთ მთავრობამ პირველმა გვესროლაო, იმას კი არ ამბობენ ეს ვითომდა „დემოკრატები“, რომ ამ ბარბაროსუ-

ლი ომისათვის კარგა ხანია ემზადებოდნენ, რაც კარგად გამოჩნდა მათი ტელევიზიით გამოსვლითაც. ერთ დღეს კი დაუფარავი სიამაყით აჩვენეს, თუ როგორ ვარჯიშობდა კიტოვანის ხალხი. ვარჯიშობდნენ იმისათვის, რომ შემდეგ ქართველები ამოეხოცათ. გარდა ამისა, თითქმის ყველამ იცოდა ისიც, რომ 14 დეკემბერს სიგუას ხელმძღვანელობით ჩატარებულ თავყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 20 დეკემბერს განეხორციელებინათ თავდასხმა მთავრობის სასახლეზე, რაც რატომღაც ორი დღით გადადეს. მე კარგად ვიცი რა ბნელი და გონებაშეზღუდულნი არიან ის კრიმინალური ბანდები, რომელთაც ხელისუფლება მიიტაცეს. დღეს მე თავი მოვალედ ჩავთვალე საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული, უგანათლებულესი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დამცველთა რიგებში ჩავმდგარიყავი. 23-ში დილითვე გამოვცხადდი მთავრობის სასახლეში და მოხალისედ ჩავეწერე. ათასობით მსურველი გარეთ იცდიდა, მაგრამ იარაღი საკმარისი არ იყო. ვიბრძოდით როგორც შეგვეძლო, უფრო სწორად მხოლოდ თავს ვიცავდით. 25-ში ტყვიები გაგვითავდა, მაგრამ არცერთი ჩვენთაგანი არ აპირებდა საგუშაგოს მიტოვებას. სწორედ ამ დროს გვიღალატა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბესიკ ქუთათელაძემ და სატელევიზიო ანძა გადასცა კიტოვანს. ჩვენ არ ვიცოდით, რომ ის მოღალატე იყო და გვეგონა თავის მოვალეობას პატიოსნად ასრულებდა. ის კი ახლა პრესაში უსირცხვილოდ აცხადებს, რომ პრეზიდენტს ილუზიებს ვუქმნიდი, ვითომ ვიბრძოდიო. ცრუობენ ისინიც, ვინც ქალებს აბრალებენ ბრძანების გაცემას ომის დაწყების შესახებ. მე საბჭოთა ჯარში ვმსახურობდი ორ წელიწადს და კარგად ვიცი, არც ერთი უბრალო ჯარისკაცი არ დაემორჩილება, თუნდაც უმაღლესი სარდლის ცოლის ბრძანებას. იქ სადაც ვიბრძოდით (სასახლის სახურავზე) ტყვიების წვიმა მოდიოდა. „კასკებითა“ და ბრონეჟილეტებით“ შეჭურვილნი მაინც ვერ ვწევდით თავს მაღლა. აი ასეთ დროს ამოვიდა ჩვენი პრეზიდენტი, სრულიად თავშიშველი, გვამხნევებდა და სიფრთხილისაკენ მოგვიწოდებდა. „იდგა უშიში, ვითარცა უხორცო“. სიამაყის ყიჟინა აღმოგხვდებოდა, როდესაც მას ასეთს ვუცქერდით. დღეს ამაზრზენი სიცრუის ტალღა ლეკავს პრესას და ტელევიზიას. სასაცილოა მათი მონაჭორი ბუნკერის შესახებ. ვის რაში ჭირდებოდა ტყვეების ელექტრო შოკით წამება. რომელი რიხარდ ზორგეები ეგენი იყვნენ, რომ მათგან რაიმე საიდუმლო შეგვეტყო, რაც შეეხება ტყვეების ცემას, მაგათ ტელევიზიით გვიჩვენეს ნაცემი ჩვენი დეპუტატები და გვარდილები. თუ კი აქამდე ვინმეს გადაჭარბებულად ეჩვენებოდა, როცა პრეზიდენტი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს სამშობლოს მოღალატეებს ეძახდა, ისინი მართლაც მოღალატენი ყოფილან და სავალალოდ გაცილებით ბევრი აღმოჩნდა, ვიდრე გვეგონა.

მათი ლოზუნგები „დემოკრატია“, „ადამიანის თავისუფლება“ და ა. შ. მხოლოდ ცარიელი სიტყვები ყოფილა... მათ საკუთარი კეთილდღეობისათვის გაყიდეს საქართველო.

2. 02. 92 წ.

მოქალაქე ი. ს.

გასული წლის ნოემბერ–დეკემბერში ხშირად მიხდებოდა მეგობართან ერთად მთავრობის სახლის წინ ყოფნა, სადაც გაშლილი იყო კარვები. მთავრობის სახლის მარცხენა მხარეს პირველ კარავში მორიგეობდნენ „წმინდა ილია მართლის“ საზოგადოების მამაკაცები, ხოლო მარჯვნივ პირველ კარავში ამ საზოგადოების ქალები. დანარჩენ კარვებში ვინ მორიგეობდა, ჩემთვის უცნობია. მორიგეობის მსურველნი ბევრნი იყვნენ. მაგრამ „წმინდა ილია მართლის“ საზოგადოების წევრები უცხო პირებს არ ენდობოდნენ. მე ხშირად მიხდებოდა ქალთა კარავში ყოფნა, სადაც ჩემი მეგობარი მორიგეობდა. იქ შეიმჩნეოდა საოცარი წესრიგი, სისუფთავე, კედლებზე გაკრული იყო მარიამ ღვთიშობლის და სხვა ხატები, მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას სურათები. მორიგეები ყოველ დილა–საღამოს ანთებდნენ სანთლებს და ლოცულობდნენ, უვლიდნენ მთავრობის სახლის წინამდებარე ტერიტორიას და 9 აპრილის წამებულთა მემორიალს. ისინი არავის არ აძლევდნენ უფლებას კარავში სიგარეტი მოეწიათ. ამ კარავში ნამდვილად მორალური სიწმინდის ქალებს ვხედავდი. რომლებიც გამოირჩეოდნენ პრეზიდენტისადმი ერთგულებითა და თავდადებით. ყველანი ოჯახის ქალები იყვნენ. ისინი ასწრებდნენ ოჯახის მოვლას, შემდეგ კარავში მოდიოდნენ ღამის სათევად, დილით კი სამსახურში გარბოდნენ. რამდენჯერმე შევესწარი მათ „ვახშამს“. ეს იყო იქვე თონიდან მოტანილი თონის პური. ან ელექტრო ქურაზე გაცხელებული პური, ზოგჯერ მწნილი და მურაბა. ხშირად მსმენია ოპოზიციისაგან, რომ მთავრობის სახლის წინ მორიგეებს ფულს უხდიდნენ, მაგრამ მათთან დაახლოების შემდეგ მთლიანად დავრწმუნდი, რომ ეს მტკნარი სიცრუე იყო.

19 დეკემბერს ღამე მთავრობის სახლის წინ გავატარე. დღისით მიტინგი ჩაატარა პრეზიდენტმა, რომელსაც ბარიკადების მეორე მხრიდან მომდგარი სიგუა საუბარს არ აცლიდა. პრეზიდენტი იძულებული იყო ალაგ–ალაგ გაპასუხებოდა. მიტინგზე გამოვიდნენ დეპუტატები ავთანდილ რცხილაძე, გურამ პეტრიაშვილი და სხვები, რომლებმაც მოგვილოცეს უკრაინის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. ბარიკადების იქიდან სტვენა ისმოდა და ღვარძლი ინთხეოდა. მახსენდება პრეზიდენტის სიტყვები: „მეგობრებო საკუთარი სამშობლოს დამოუკიდებლობა და კეთილდღეობა

არ გაუხარდეს ადამიანს, ვერ წარმომედგინა და აი ამათგან უკვე წარმოვიდგინეო“, ხელი გაიშვირა ბარიკადების იქით. უკვე იმ საღამოს ვიცოდით, რომ ალყაში ვიყავით მოქცეულნი. მარცხნიდან სიგუა იყო თავისი შეიარაღებული ჯგუფით, მათში ვხედავდით რუს ოფიცრებსაც.

ი. ს.

ქ. თბილისი

ჩემს მიერ დამოუკიდებლად აღნუსხული შევარდნაძის რეჟიმის სოციალური დივერსიის მსხვერპლნი:

1993 წ.იანვარში თავი მოიკლა სამი შვილის მამამ, 50 წლის ზურაბ კობახიძემ (ნუცუბიძის მე-4 მ/რ. კორპ. 24. მე-16 სართული).

1996 წლის გაზაფხულზე თავი ჩამოიხრჩო პოეტმა ბადრი გუგუშვილმა. თვითმკვლელობის მიზეზი პოლიტიკური უიმედობა იყო.

1999 წ. 5 მარტს სააკაძის მოედანზე მოიკლა თავი კინორეჟისორმა ილია ჩაჩანიძემ, რომელმაც დატოვა შემდეგი შინაარსის წერილი: „გული მიკვდება, რომ ჯანღონით სავსე კაცი ვარ და ვერ გავრკვეულვარ, რაში გამოვადგე ჩემს სამშობლოს, უმოქმედობა სულიერად საშინლად მტანჯავს... ღმერთო დაიფარე საქართვლეო, გადაგვირჩინე ჩვენი შვილები. იქნებ პატარა მსხვერპლად, შესაწირ ბატკნად მაინც გამოვდგე ჩემი ხალხისთვის“. წერილში იგი, აგრეთვე მიმართავს ქვეყნის ფაქტობრივ პრეზიდენტ შევარდნაძეს: „იქნებ უმჯობესია უფრო ღირსეულ ადამიანს დაუთმოთ ქვეყნის მართვა“.

1999 წლის 20 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში კიბის მოაჯირზე ჩამოიხრჩო თავი ამავე უნივერსიტეტის დოცენტმა ნუგზარ გუგუტიშვილმა.

2000 წ. 1 იანვარს თავი ჩამოიხრჩო 29 წლის უცოლო ახალგაზრდა ონისე კუტალიამ (ზუგდიდის რ. სოფ. ნარაზენი).

2000 წ. 27 იანვარს თბილისის რკინიგზის სადგურში დაძრულ მატარებელს შეუვარდა 22 წლის მიშიკო ადეიშვილი, იგი თბილისის თეატრალური ინსტიტუტის ფასიანი სწავლების სტუდენტი იყო.

2000 წ. 7 თებერვალს სანადირო თოფით მოიკლა თავი ჭიათურელმა დავით სიმონის ძე ტყემალაძემ, რომელიც მხოლოდ 24 წლის იყო.

2000 წ. 31 მარტს თბილისის გიმნაზიის ეზოში თავი დაიწვა 48 წლის მარია ძერაძემ.

2000 წ. 9 აპრილს მუხროვანის ჯარის ნაწილში შიმშილითა და ტუბერკულოზით გარდაიცვალა თიანეთელი ჯარისკაცი, 18 წლის კახა ციხელაშვილი. იგი შინაგანი ჯარის ნაწილში მსახურობდა.

2000 წ. 10 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიაში

ცეცხლსასროლი იარაღით თავი მოიკლა 21 წლის ფილოლოგმა რატი ნინუამ.

2000 წ. 10 ივნისს თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში დილის 4 საათზე შიმშილითა და ავადმყოფობით გაწამებულმა 57 წლის ლუდმილა ფიფიამ თავი ჩამოიხრჩო. თვითმკვლელობაზე ფიქრობს მისი ქალიშვილიც.

2000 წ. 22 ივნისს მტკვარში დაიხრჩო თავი ფილარმონიის ახალგაზრდა მსახიობმა – პაროდისტმა ობოლა (გიზო) ციმაკურიძემ.

2000 წ. 29 ივნისს პისტოლეტით მოიკლა თავი შატილის სასაზღვრო საგუშაგოს უფროსმა, კაპიტანმა ირაკლი ჭინჭარაულმა.

2000 წ. 30 ივნისს თავი ჩამოიხრჩო 29 წლის არჩილ კონსტანტინეს ძე კარგარეთელმა (მცხ. მარჯანიშვილის ქ. 30).

2000 წ. 7 ივლისს სასტუმრო „ივერიაში“ შიმშილითა და ავადმყოფობით გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი ანატოლი ხვინგია.

2000 წ. 15 ივლისს მტკვარში დაიხრჩო თავი 33 წლის თინა ფეიქრიშვილმა.

2000 წ. 27 ივლისს, ქუთაისის ცენტრში თავი აიფეთქა მიხეილ ივანიშვილმა. იგი ტუპერკულოზით იყო დაავადებული და არ ჰქონდა მკურნალობის ფული.

2000 წ. 11 აგვისტოს გამთენიისას თბილისის ზღვაზე ელექტრობოძზე ჩამოიხრჩო თავი 26 წლის ჯემალ დიდებაშვილმა.

2001 წ. 6 აპრილს მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა ნოდარ მგალობლიშვილმა კულტურის მინისტრს სესილი გოგიბერიძეს დაუბრუნა ფაქტობრივი პრეზიდენტის ე. შევარდნაძის მიერ მიცემული „ღირსების ორდენი“, სიტყვებით: „ხელისუფლებამ, რომელიც უღირს ადამიანად მაქცია, მისი ღირსების ორდენი არ მჭირდება“. მსახიობი უკიდურეს სოციალურ სიდუხჭირეს განიცდიდა.

2001 წლის 29 აპრილს, მეტრო „რუსთაველში“ მატარებელს შეუვარდა აფხაზეთიდან დევნილი ქალბატონი მაისაია.

2001 წ. 31 მაისს თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე ახალციხის მესაზღვრე ვიტალი ხუციშვილმა, რომელმაც დატოვა წერილი ცხოვრების გაუსაძლის პირობებზე.

2001 წლის 19 ივნისს, თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის სკვერში, ილიასა და აკაკი ძეგლთან, ბენზინით დაიწვა თავი თელაველმა პედაგოგმა (გვარ-სახელი ვერ დავადგინეთ), რომელსაც მთელი წლის განმავლობაში არ მიუღია ხელფასი.

2001 წლის 8 ნოემბერს თავი მოიკლა, თბილისში, ხილიანის ქუჩაზე მცხოვრებმა 26 წლის ახალგაზრდა უცოლო მამაკაცმა, უმუშევარმა ედიშერ კაკაშვილმა.

2001 წლის 16 ნოემბერს, თავი მოიკლა ვეძისის ქუჩა 12-ში მცხოვრებმა ქალბატონმა მერი ჟვანიამ.

2002 წლის 6 თებერვალს, პარლამენტის შენობაში ბენზინით სცადა თავის დაწვა, კოდორიდან დევნილმა, 33 წლის მრავალშვილიანმა დედამ გულნარა გუგუსიანმა.

2002 წლის 11 ნოემბერს, მორიგეობის დროს ავტომატით მოიკლა თავი შინაგანი ჯარის ოფიცერმა, 23 წლის გიორგი ხაჭაპურიძემ.

2002 წლის 11 დეკემბერს, თბილისის დიდუბის რაიონის საფოსტო ბანკთან, 14-ლარიანი დახმარების რიგში, გულისშეტევით გარდაიცვალა, აფხაზეთიდან დევნილი 56 წლის ნუგზარ კორკელია, რომლის სიკვდილის მიზეზად იქცა საფოსტო ბანკის კორუმპირებული ხელმძღვანელობა, რომლებიც ხელოვნურად ქმნიდნენ დაძაბულ ატმოსფეროს, რათა მათ, დევნილთა მწირ შემწეობებზეც თავად მოეთბოთ ხელი.

2003 წლის 22 იანვარს, პარლამენტის შენობის წინ, ბენზინი გადაისხა და თავის დაწვა სცადა, აფხაზეთიდან დევნილმა, 30 წლის ცოლ-შვილიანმა გიორგი ლოლუამ, აფხაზეთის საკითხში შევარდნაძის კაპიტულანტური პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად, რადგან მას ეიმედებოდა აფხაზეთში დაბრუნება: „მე, ასეთ საქართველოში ცხოვრება არ მსურს!“ განუცხადა მან ჟურნალისტებს.

ასეთია ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან დევნილთა ბედი, შევარდნაძის ხელისუფლების ხელში. იძულებითი დევნილები, არც ტერორისგან იყვნენ დაზღვეულნი; ასე მაგალითად: 1996 წლის 20 აპრილს მოხდა დივერსიული აქტი სასატუმრო „აფხაზეთში“, სადაც ცხოვრობდნენ შიდა ქართლიდან დევნილები, დაიღუპა 7 დევნილი, დაიჭრა და დასახიჩრდა 50-მდე ადამიანი. სამი დღის შემდეგ, 23 აპრილს, ანალოგიური დივერსიული აქტი გახორციელდა „დეზერტირების“ ბაზართან მდებარე სასტუმრო „კოლხეთში“, სადაც ასევე ცხოვრობდნენ და ვაჭრობდნენ დევნილები. გარდაიცვალა 2, დაიჭრა და დასახიჩრდა 30-მდე ადამიანი. 1998 წლის 24 აგვისტოს, ზუგდიდის სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში მოხდა ტერორისტული აქტი მაშინ, როდესაც იქ დევნილთა გარდა შენობის მესვეურთაგან არავინ იმყოფებოდა. ტროტილის აფეთქების შედეგად დაიღუპა 2 დევნილი, დაიჭრა და დასახიჩრდა 70-მდე ადამიანი. ასეთმა დაუცველობამ და ტერორმა განაპირობა დევნილთა მიგრაციის გააქტიურება საქართველოს ფარგლებს გარეთ. დევნილთა დროებით საცხოვრებლებს, შევარდნაძის ხელისუფლება ჰყიდდა ბიზნესმენებზე და ასე ტერორით ათავიუფლებდა შენობებს დევნილებისაგან.

2001 წ. 5 ივნისს ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ მებრძოლებმა, რომლებმაც „ღირსების ორდენები“ აფხაზეთში ბრძოლებისათვის მიიღეს

უკან დაუბრუნეს ფაქტობრივ პრეზიდენტ ე. შევარდნაძეს სოციალურ–პოლიტიკური მოტივით.

და სხვა *(არასრული სია* ***ლ. ც.****).*

შევარდნაძის სახელისუფლო ტერორის მსხვერპლნი:

1998 წლის 31 მარტს შევარდნაძის ტერორისტულმა ხელისუფლებამ ვერაგულად მოკლა სამეგრელოს შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთი მეთაური გოჩა ესებუა.

1998 წლის 17 დეკემბერს მერაბ კოსტავას ეზოში შევარდნაძის უკანონო და პოლიციურ-ავტორიტარული ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით მიმდინარე შიმშილობის აქციის დარბევის დროს მოკლა მოშიმშილე ნუგზარ ლეჟავა.

2000 წლის 31 მარტს თბილისის I გიმნაზიის ეზოში, ილიასა და აკაკის ძეგლთან პოლიტიკური მოტივით თავი დაიწვა მარიამ ქერაძემ. ციხეებში მოშიმშილე პოლიტპატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით.

2000 წლის 9 ივლისს შევარდნაძის „ომონმა“ ვერაგულად მოკლა მისი რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების ერთ–ერთი მეთაური აკაკი ელიავა და გოჩა გველავა.

2000 წ. 28 ოქტომბერს თავისუფლების მოედანზე გამართული საპროტესტო მიტინგის დარბევის დროს შევარდნაძის „ომონმა“ სასტიკად სცემა მიტინგის მონაწილე მაყვალა აბაშვილს, რომელიც 7 ნოემბერს გონსმოუსვლელად გარდაიცვალა ქალაქის №1 საავადმყოფოში.

2000 წ. 30 მარტს საკუთარი საცხოვრებელი სახლის ტერიტორიაზე ქუჩაში მიმავალს ზურგიდან თავს დაესხნენ სრულიად საქართველოს ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის თავმჯდომარე ლეილა ცომაიას, რომელსაც თავში ჩაარტყეს ბლაგვი საგანი და მერე წაქცეულს წიხლებით სცემა ორმა მამაკაცმა. დაზარალებული სხეულის სხვადასხვა დაზიანებებით მოათავსეს ქალაქის №5 საავადმყოფოში.

2001 წლის 26 თებერვალს ქუჩაში თავს დაესხნენ ოპოზიციურ გაზეთ „მერიდიანის“ რედაქტორს თამაზ ცერცვაძეს. იგი სხეულის მძიმე დაზიანებებით მოათავსეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ხოლო ერთი თვის შემდეგ კი დაარბიეს და გაძარცვეს გაზეთის რედაქცია.

2001 წლის 3 მარტს ქუჩაში მიმავალ თავს დაესხდნენ „მრგვალი მაგიდის“ წევრებს: უზენაესი საბჭოს დეპუტატ რევაზ კემულარიას და ჰელსინკის კავშირის წევრს დარსალიას, რომლებიც სხეულის მძიმე და-

ზიანებებით გადაიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

2001 წ. მარტში ქუჩაში მიმავალს თავს დაესხნენ ყოფილ პოლიტპატიმარ ბიძინა გორელიშვილს, რომელსაც მიაყენეს სხეულის მძიმე დაზიანებები.

2001 წლის 7 აპრილს თვითმკვლელობით დაამთავრებინეს სიცოცხლე ყოფილ პოლიტპატიმარ გოჩა ოთხოზორიას.

2001 წლის 3 აპრილს საკუთარი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში თავს დაესხნენ ყოფილ პოლიტპატიმარ ზვიად ძიძიგურს, რომელსაც მიაყენეს სხეულის მძიმე დაზიანებები.

2001 წ. 19 ივნისს ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, დილის საათებში ოთხი უცნობი მამაკაცი ზურგიდან თავს დაესხა ყოფილ პოლიტპატიმარ ხვიჩა ჯოხაძეს, რომელსაც მიაყენეს სხეულის მძიმე დაზიანებები.

2001 წლის 1 ივლისს ღამით ქუჩიდან გაიტაცეს და ტიციან ტაბიძის ქუჩაზე ცეცხლსასროლი იარაღით მძიმედ დაჭრეს ზარზმის ეკლესიიდან განკვეთილი, ზვიად გამსახურდიას ყოფილი მოძღვარი, ბერი გიორგი (ლევან ხაბეიშვილი). მკურნალობდა რესპუბლიკურ საავადმდყოფოში.

1999 წლის 17 სექტემბერს ქუჩაში მიმავალს ზურგიდან თავს დაესხნენ ადამიანის უფლებათა დაცვის პრეზიდენტ გიორგი კერვალიშვილს, რომელსაც მიაყენეს სხეულის მძიმე დაზიანებები, რომელიც მკურნალობდა რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

2001 წლის 24 მაისს გმირთა მოედნის გვირაბში ავტოავარია მოუწყვეს მანანა არჩვაძე-გამსახურდიას.

(არასრული სია ***ლ. ც.****)*

ავთანდილ ელიავა – შევარდნაძის კორუმპირებული ძალოვანი სტრუქტურის მსხვერპლი

დის, რეჟისორ, ლია ელიავას მონაყოლი:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ჩემი ძმა ავთნდილ ელიავა (დაბ. 1944 წლის 15 ივნისს), მეგობრის დედის დაკრძალვიდან ღამით შინ მიმავალი, ალბერტ ჩხაიძესთან ერთად, 1997 წლის 13 მაისს დააკავეს მილიციელებმა და ე.წ. გამოსაფხიზლებელში წაიყვანეს. მილიციელმა კობა გიორგაძემ და კვირიკაშვილმა მათ საბუთები

ჩამოართვეს. ავთანდილ ელიავა და კობა ჩხაიძე, ყოველგვარი შეპასუხ-ებისა და წინააღმდეგობის გარეშე გაყვნენ მათ. დაკავებულები, ფიზიკუ-რი და სიტყვიერი შეურაცხყოფების მიყენების შემდეგ მოუთავსებიათ ჭუჭყიან და შმორიან ბნელ საკნებში. მეორე დღეს, ორივე დაკავებული გაათავისუფლეს ფულის გამოძალვის საფასურად. ჩხაიძესათვის გამოუ-ძალვიათ 50 დოლარი, რომელიც ჯიბეში აღმოაჩნდა, ხოლო ა. ელიავ-ასათვის მიუციათ დრო, რათა მას მიეტანა 60 ლარი. ავთანდილსა და ჩემს დას მთელი დღე უგროვებიათ მისატანი 60 ლარი. მოგეხსენებათ, რა იყო ინტელიგენციის ხელფასი და როგორ ხელმოკლედ ვცხოვრობდით კეთილსინდისიერი ინტელიგენცია.

გამოსაფხიზლებელ იზოლატორში გამეფებული შეურაცხყოფები, ფიზიკური ძალადობები და პროვოკაციები ფულის გამოძალვის მიზნით შევარდნაძის მმართველობის სტილი აღმოჩნდა. დაკავებიდან გათავისუ-ფლებულ ავთანდილს შუბლზე კოპი აჯდა და თვალებიც ჩალურჯებული ჰქონდა. 16 მაისს, იგი მიყენებული ფიზიკური და მორალური სტრესის-გან მოულოდნელად გარდაიცვალა. გაირკვა, რომ გამოსაფხიზლებლის თანამშრომლები, ათვალწუნებულ ადამიანებს აპატიმრებდნენ ლიგაჩოვის დროინდელი ანტიალკოჰოლური კამპანიის დებულებებზე დაყრდნობით, რაც ხელმოწერილი იყო თემურ ხაჩიშვილის მიერ. ჩემი გარდაცვლი-ლი ძმა ავთანდილ ელიავა და ჩვენ, ორივე დები, კანონიერად არჩეული ეროვნული პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მომხრე ვიყავით. ჩემმა დამ, ლამზირა ელიავამ, ძმის დაღუპვის გამო სარჩელით მიმართა შინა-გან საქმეთა სამინისტროს, რომელმაც დაიწყო მოკვლევა ფაქტზე. მომ-დევნო გვერდზე იხილეთ მოკვლევის პასუხი.

საქართველოს რესპუბლიკა
შინაგან საქმეთა სამინისტრო
380014 თბილისი, დიდი ხეივნის ქუჩა № 10

„25" ივლისი 1997 წ. № 44/15-866

№

Республика Грузия
МИНИСТЕРСТВО ВНУТРЕННИХ ДЕЛ
380014 Тбилиси, ул. Большая аллея № 10

მოქ. ლამზირა ტარასის ასული ელიავას
მცხ. ქ.თბილისი, კეკელიძის ქ.17

გაცნობებთ, რომ საქართველოს შს სამინისტროს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის მთ.სამმართველოს პირადი შემადგენლობის ინსპექციაში დამთავრდა სამსახურებრივი შემოწმება საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოდან გადმოგზავნილი დასკვნის შესახებ სამედიცინო გამოსაფხიზლებელში თქვენი ძმის, აწ გარდაცვლილი ავთანდილ ელიავას და მისი მეგობრის ალბერტ ჩხაიძის მოთავსების ფაქტთან დაკავშირებით.

ჩატარებული შემოწმებით დადგენილია, რომ ისინი სამედიცინო გამოსაფხიზლებელში წარდგენილი იქნენ უსაფუძვლოდ, რისთვისაც ამ დაწესებულების 6 თანამშრომელი დათხოვილია შს ორგანოებიდან, ერთს დაედო მკაცრი დისციპლინარული სასჯელი, შემოწმების მასალები კი გამოსაფხიზლებლის ხსენებული ყოფილი თანამშრომლების მიმართ საათანადო რეაგირებისათვის გადაეგზავნა ქ.თბილისის კრწანისის რაიონის პროკურატურას, ხოლო გამოსაფხიზლებელმა დროებით შეწყვიტა ფუნქციონირება.

შსს პირადი შემადგენლობის ინსპექციის
განყოფილების უფროსი — ძ.სოხაძე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ ლადო ჭანტურიას

საქართველოს იუსტიციის მინისტრს ბატონ ***ჯონი ხეცურიანს***

საქართველოს პარლამენტის პატიმართა უფლებების დაცვის ქვეკომისიის თავმჯდომარე ქალ. ***ელენე თევდორაძეს***

საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის
თავმჯდომარეს ბატ. ***მიხეილ სააკაშვილს.***

ზუგდიდში მცხოვრები (სოფელი ოქტომბერი)
მაყვალა ვალიკოს ასულ პერტახიას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ 1995 წლის 2 ნოემბერს, იმ მოტივით რომ ჩემი შვილი ზაზა პერტახია ხელს უშლიდა არჩევნების ჩატარებას, მის დასა-პატიმრებლად ჩემს ოჯახს თავს დაესხა ორმოცამდე შეიარაღებული პოლიციისა და უშიშროების თანამშრომლები ნიღბებით, რომელთა ნაწ-ილის გვარი ჩემთვის ცნობილია: იონა გოგოხია, ჯონი ბელქანია, იაგო შენგელია, ილია გაწერელია, დათო კვიტატიანი, დავით გვილია, უნიღ-ბოდ – პაატა გაბუნია და როზმან გოგენია. ეს უკანსკნელი გახლდათ ოპერაციის ხელმძღვანელი. იმ დღეს ჩემი ვაჟი ზაზა, მისი მეუღლე და ჩემი ქალიშვილი ინგა იმყოფებოდა სოფ. ორსანტიაში ჩემი რძლის მამის სახლში. ჩვენი ბინის გაჩხრეკვის შემდგომ მომხვდურებმა საეჭვო რომ ვერაფერი ნახეს, წავიდნენ ორსანტიაში. წასვლისას ერთ–ერთი მათგანი დამემუქრა, რომ ჩემს შვილს შუბლს გაუხვრიტავდა. მიადგნენ თუ არა ჩემი ვაჟის სიმამრის ტრიფონ გელენავას სახლს – ჭიშკრიდანვე დაუწყ-იათ სროლა. ძალის გამოყენებით ტრიფონი მანქანაში ჩაუსვიათ, ხოლო ზაზას გაქცევა უცდია, მაგრამ მას ტყვიები დაადევნეს, იგი ადგილზე გარდაიცვალა. ჩემს შვილ ზაზას მარჯვენა ხელის მტევანი მოგლეჯილი ჰქონდა ექვსი თვის წინ და მეორე ჯგუფის ინვალიდი იყო. იმ წუთებში დაქვრივებულ ჩემს რძალს ირინა გელენავა–პერტახიას როზმან გოგენიამ ზურგში ავტომატის კონდახი ჩაარტყა, რის შედეგადაც ფეხმძიმე გოგოს მუცელი მოეშალა. ასე რომ პოლიციელებმა ერთ დღეს ორი ოჯახის წევ-რი, შვილი და შვილიშვილი მომიკლეს. ჩვენი ყველა ცდა, რომ დაესაჯათ

ჩემი შვილის მკვლელი, უშედეგოდ დამთავრდა. პოლიციაში ყველამ იცის, ვინ არის ჩემი შვილის უშუალო მკვლელი, მაგრამ მას ხელს აფარებენ. ამით არ დამთავრებულა ჩემი ოჯახის ტრაგედია; 1999 წლის აგვისტოში ზუგდიდში მოკლეს (13 აგვისტოს) 3 პოლიციელი. ამ პოლიციელთა მკვლელობისათვის, რატომღაც ადანაშაულებენ ჩემს მეორე ვაჟიშვილ ზვიად პერტახიას.

მოგახსენებთ რომ, ჩემს მეორე შვილს – ზვიად პერტახიას ჰქონდა თავისი მოკლული ძმის იარაღი, ჩვენ თვეების განმავლობაში ვთხოვდით ჩვენს შვილს, რომ მოკლული ძმის იარაღი ჩაებარებინა პოლიციისათვის, რაზეც იგი საბოლოოდ დავითანხმეთ. ჩემი შვილი შეგვპირდა, რომ გადამალულ იარაღს სახლში მიიტანდა, რომელსაც მე თვითონ წავიღებდი პოლიციაში ჩასაბარებლად. ამ მიზნით 1998 წლის შემოდგომაზე (ზუსტი თვე და რიცხვი არ მახსოვს) ჩემი შვილი წასულა იარაღის მოსატანად, გზაში, ღამის თერთმეტი საათის შემდეგ გზად გადაეყარა ოთხი უცნობი ბიჭი, რომლებმაც მარტოხელა ზვიადი რომ დაინახეს, დაუწყეს ხულიგნური მოპყრობა, სიგარეტი მოსთხოვეს, ქუდი ახადეს, წამოარტყეს, დაუწყეს გინება და ოთხივემ ცემა დაუპირა, რის შემდეგაც ჩემმა შვილმა თავის დასაცავად უბიდან გამოაძვრინა იარაღი, რომელიც გაისროლა მიწაზე. ტყვია რიკოშეტით მოხვდა ერთ–ერთ თავდამსხმელს, რომელიც ტერფში მსუბუქად დაიჭრა. ჩემი შვილი შეშინდა და იმალებოდა, როდესაც იგი დაბრუნდა, იარაღი გამოვართვი და მისი თანხმობით ჩავაბარე პოლიციას, რის შემდეგაც დაიხურა სისხლის სამართლის საქმე ჩემს შვილზე. მაგრამ ახლა ამ 3 პოლიციელის მკვლელობასთან დაკავშირებით, რატომღაც აღძრეს სისხლის სამართლის საქმე ჩემს შვილზეც. პოლიციელების მკვლელობის დროს ქ. ზუგდიდში ჩემი შვილი არ იმყოფებოდა. იგი სტუმრად იყო მამიდამისთან სოფ. დარჩელში, რასაც ადასტურებენ ოჯახის წევრები და მეზობლებიც (მათ წერილობით დასტურს დოკუმენტის სახით თან ვურთავ განცხადებას). იმის გამო რომ ჩემს შვილს აქვს მწარე გამოცდილება ზუგდიდის პოლიციის თვითნებობისა და უსამართლობის, ამიტომ იმალება და თავს არიდებს პოლიციაში მისვლას. ზუგდიდის პოლიციელები კი, ორმოცი–ორმოცდაათკაციანი შეიარაღებული რაზმით, სისტემატურად თავს ესხმის ჩემსა და ჩვენი და–ძმების, ნათესავების ოჯახებს, ჩხრეკენ, აყენებენ ოჯახის წევრებს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, იბარებენ პოლიციაში და სხვა. ნუთუ მათ აქვთ ამდენი ოჯახის შევიწროვების უფლება, ვინ უნდა დაიცვას უდანაშაულო და ალალმართალი ხალხის უფლებები საქართველოში? იმის გამო, რომ ერთხელ ვიყავი ქალბატონ ელენე თევდორაძესთან, ზუგდიდის პოლიცი-

ის უფროსმა მითხრა „რა გინდა ქალბატონ ელენესთან, ჩემი უფროსი არავინ არ არის და რასაც მინდა იმას გავაკეთებო“. მემუქრებიან ჩემი შვილის ადგილზე ლიკვიდაციით, პოლიციელებმა ამიმხედრეს მოკლული პოლიციელების ოჯახის წევრები, რომლებიც ცხადია ჩემსავით გამწარებულები არიან და თავადაც მომხრე ვარ, რომ იპოვონ თავიანთი შვილების ნამდვილი მკვლელები და საკადრისად დაისაჯონ.

მე მიმაჩნია, რომ ჩვენს ოჯახზე განხორციელებული რეპრესიები მომდინარეობს ჩვენი პოლიტიკური მრწამსისაგან, კერძოდ ვაღიარებ, რომ მთელი ჩვენი ოჯახი მომხრე ვართ კანონიერი ეროვნული ხელისუფლების, ჩემი მოკლული შვილი ზაზა პერტახია იყო კანონიერი ხელისუფლების გვარდიის ოფიცერი. სხვა დანაშაული ჩვენს ოჯახს არ ჩაუდენია და არც არასოდეს ჩაიდენს, რადგან პატიოსანი, მშრომელი და სიმართლის მოყვარული შვილები გავზარდე.

მოვითხოვ ჩვენი პოლიტიკური მრწამსის გამო შეწყდეს ჩვენი ოჯახის დევნა–შევიწროვება, ფიზიკური ანგარიშსწორებები. წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ პროტესტის უკიდურეს ზომას.

მაყვალა პერტახია

1990 წლის 22 სექტემბერი

რბევა მერაბ კოსტავს ეზოში

1992 წლის 16 სექტემბერს, ტრადიციულ ოთხშაბათ დღეს, საღამოს 5 საათზე მერაბ კოსტავას ეზოში ტარდებოდა კანონიერი პრეზიდენტისა და პარლამენტის მხარდამჭერი მიტინგი, სადაც ასევე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს.

მიტინგის დაწყებიდან 10-15 წუთში უეცრად ეზოში შემოიჭრა მსუბუქი ავტომანქანა, საიდანაც ხუთი ავტომატიანი მამაკაცი ყვირილით და ლანძღვა-გინებით გადმოცვივდა და ავტომატების კონდახებით ხალხს დაერია. ხალხის ნაწილი ეზოში მიმოიფანტა, ნაწილმა კი მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმს შეაფარა თავი. მე, რამდენიმე მოქალაქესთან ერთად, ეზოში ვიდექი, როდესაც ჩემთან გინებით მოიჭრა ერთი მამაკაცი და მითხრა, რომ მან კარგად იცის ვინცა ვარ და პირადად გამისწორდება, ფიზიკურად გამანადგურებს. მან ხმამაღლა განაცხადა, რომ ის არის

დოლიძე „მხედრიონის“ წევრი და თბილისში წესრიგს იცავს. ავტომატიანმა მამაკაცებმა ეზოს გასასვლელი გადაკეტეს, რათა იქედან არავინ გასულიყო, მერე შემოვარდნენ სულმნათი მერაბის სახლში და იარაღის მუქარით ყველანი გარეთ გამოგვყარეს. რამდენიმე წუთში ქუჩიდან მოიყვანეს ავტობუსი და შიგ შეგვყარეს. მიგვიყვანეს ქალაქის მილიციის სამმართველოში, სადაც მე და ჟურნალისტი რევაზ ურუშაძე, როგორც „განსაკუთრებული დამნაშავენი“, სამმართველოს უფროსთან წაგვიყვანეს.

სამმართველოს უფროსმა გამოიძახა ყველა რაიონის მილიციის უფროსი და დაავალა, დაკავებულნი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაენაწილებინათ მილიციაში და მათი ბინები იმავე საღამოსვე გაეჩხრიკათ. სამმართველოს უფროსის ოთახში ყოფნის დროს (უფროსის ჩათვლით), თითქმის ყველა თანამშრომელმა მომაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა; ისინი მაგინებდნენ დედას, მეუბნებოდნენ, რომ მეც და ყველა „ზვიადისტს“ სიამოვნებით მიგვაყენებენ კედელზე და დაგხვრეტავენ თუ კი ამის უფლება ექნებოდათ. უფროსი მემუქრებოდა, რომ ყველაფერს დამიმტკიცებს, რომ კავშირი მაქვს რაღაც ტერორისტულ ჯგუფთან და ა. შ.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გადამაბარეს ვაკის რაიონის მილიციის უფროსს, რომელსაც ჩემი თანდასწრებით სამმართველოს უფროსს გადასცეს გაზეთ „აღდგომის“ მე-17 ნომერი და რაღაც ხელნაწერი, რათა ისინი ჩხრეკის დროს ჩემს ბინაში „აღმოეჩინათ“. იმ ღამეს დამტოვეს ვაკის რაიონის მილიციის განყოფილებაში. იქაც მლანძღეს, მაგინეს, აგინებდნენ ყველა ჩემ თანამოაზრეს.

მეორე დღეს, 17 სექტემბერს გადამიყვანეს მთაწმინდის რაიონის მილიციის განყოფილებაში, სადაც ერთ-ერთმა ჩინოსანმა (რომლის ვინაობა ვერ დავადგინე) ოთხი თანამშრომლის თანდასწრებით, მომაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, ორჯერ ზედიზედ გამაწნა სილა.

18-ში მიმიყვანეს მთაწმინდის რაიონის სასამართლოში, სადაც 174-1 მუხლის თანახმად, ყოველგვარი დაკითხვის გარეშე, მომისაჯეს ათი დღის პატიმრობა. ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსმა (ალბათ განსაკუთრებულად დასჯის მიზნით) უარი თქვა ჩემს წინასწარი დაკავების იზოლატორში მოთავსებაზე და გამამწესა თევდორე მღვდლის ორ ნომერში მდებარე „ბერიას ჯურღმულებად“ წოდებულ იზოლატორში, სადაც ჩვეულებრივ მაწანწალებს, უსაბუთო საეჭვო პირებს ათავსებენ.

ათი დღე, მხოლოდ ჩემი მრწამსის გამო, ვიმყოფებოდი 25 საფეხურის სიღრმის უსარკმელო, მძაფრი შმორის სუნით გაჟღენთილ საკანში.

აქვე ავღნიშნავ, რომ იანვრიდან დღემდე, მას შემდეგ, რაც საქართველოში ძალისმიერი გზით დამხობილ იქნა კანონიერი ხელისუფლება,

სამჯერ დამაკავეს განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის გამო, ამავე მიზეზით გამათავისუფლეს სამსახურიდან 1992 წლის მაისიდან.

ეთერ მგალობლიშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი,
ეროვნული ხსნის მოძრაობა—წინააღმდეგობის ფრონტის
საკოორდინაციო საბჭოს წევრი.
2 ოქტომბერი, 1992 წელი.

თვითმხილველი

თამაზ თენგიზის ძე ონიანი, დაბადებული 1963 წელს, მყავს დედა, მეუღლე და 4 მცირეწლოვანი შვილი. ვცხოვრობ ქ. თბილისში, თამარ მეფის ქ. №37-ში.

ეროვნული მთავრობის უკანონოდ და იარაღით ჩამოგდების შემდეგ გადავწყვიტე სამართლისათვის დამეწყო ბრძოლა. განსაკუთრებით აქტიურად ჩავები 3 იანვრიდან. იქიდან მოყოლებული სათავეში ვედექი მოძრაობას, შემდეგ ვაყალიბებდი მოშიმშილეთა ჯგუფებს, ვქმნიდით საგაფიცო კომიტეტს, როგორც საზოგადოებაში, ისე სტუდენტებში. ამის შემდეგ ხდება ხალხის მასების ყოველდღიური გამოსვლები. ამით დაბოღმილმა მაფიოზებმა და ტერორისტებმა ყველა ძალა და ღონე იხმარეს, რათა ჩაეხშოთ სიმართლისათვის მებრძოლი ხალხის ნება.

17 იანვარს, როდესაც კომენდანტის საათი ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, მე ვიმყოფებოდი მოშიმშილეებთან ერთად, რადგან თავს მოვალედ ვთვლიდი ყურადღების ცენტრში მყოლოდა ყველა აქციის მონაწილეები. 10 საათზე მოხდა აქციაზე თავდასხმა, რა თქმა უნდა მეც ამიყვანეს და პატიმრობაში მიმცეს 30 დღის განმავლობაში... მე მიმიყვანეს ქალაქის სამმართველოში, სადაც ხდებოდა, როგორც ცემა ისე წამება. იქ პატიმრობაში ყოფნის დროს ჩემთან მოდიოდნენ საზღვარგარეთის ჟურნალისტები. იყვნენ მოსული სიენენი, ბიბისი, ინგლისის მეოთხე არხი, გერმანიის, იაპონიის, კორეის და სხვები. მათ შემდეგ მოვიდა საქართველოს ტელევიზიიდან მაკა რაზმაძე. ჩემი პოზიცია უცვლელი იყო. ბოლოს ჩემთან იმყოფებოდა საფრანგეთის წითელი ჯვრის წარმომადგენლები. მე ვიმყოფებოდი ძალიან ცუდ მდგომარეობაში, რადგან მტკიოდა გული და ნაღვლის ბუშტი. დიდი მუდარის შემდეგ მაძლევდნენ გამაყუჩებელ საშუალებებს. კამერის მოთხოვნით და დიდი ყვირილის შემდეგ მომიყვანეს

ექიმი, აღმომიჩინეს სამედიცინო დახმარება. იყო მცდელობა ჩემი გადაბირების, უარის მიღების შემდეგ სასტიკად მცემეს. ერთ დღეს კამერის კარი იღება და მეუბნებიან: ლანჩავა მოვიდა და თუ გინდა შეხვდიო. მე დავთანხმდი, გამიყვანეს და შევედი ლანჩავასთან. ვისაუბრეთ. ოთხსაათიანი საუბრის შემდეგ მან მითხრა, თუ თქვენ ტელევიზიით არ გამოხვედით აქედან გასვლა არ გიწერიაო, მეც მყავს უფროსებიო, მოკლედ 4 საათი მოფიქრების დრო. ჩემთან საკანში მყოფებმა მითხრეს: ჩვენ აქ რამდენიც გინდა გვიკითხე ლექცია, გარეთ ხარ საჭიროო და მე დავთანხმდი ეთერში გასვლაზე. როცა ტელევიზიიდან მოვიდნენ საათნახევარი მაწვალეს, რომ როგორმე მათ სასარგებლოდ მელაპარაკა, მაგრამ ვერ გავუმართლე, ვესაუბრებოდი მერაბ ხაჩიძეს. ბოლოს გამომიშვეს და დღესაც ვდგევარ ჩემი მართალი ხალხის სამსახურში.

თვითმხილველი

2 თებერვალს წავედი მიტინგზე. მიტინგი დანიშნული იყო ვაგზლის მოედანზე, რომელიც მიმდინარეობდა დაახლოებით 2 საათი. შემდეგ წავედით მანიფესტაციით თამარ მეფის ქუჩით ცირკისაკენ. ხიდზე, რომ გადავედით, ფერდობებიდან ატყდა სროლა. ჯერ შევჩერდით, შემდეგ ჩავიმუხლეთ. სროლა არ შეჩერებულა. წინა რიგებიდან დაჭრილები გამოჰყავდათ და მანქანებს აჩერებდნენ ხიდის ქვეშ გამავალ გზაზე, რომ დაჭრილები გადაერჩინათ. ხალხი მოვგროვდით და წამოვედით უკან დავით აღმაშენებლის ქუჩაზე. როდესაც მარჯანიშვილის მეტროსთან მოვედით, წინიდან დაგვახვედრეს ბეტეერი, სახლის სახურავებიდან კი დაგვიშინეს ტყვიები, დაწიოკებულმა ხალხმა თავი ეზოებსა და მეტროს შეაფარა, მაგრამ ავტომატიანები ეზოებშიც შეცვივდნენ და ესროდნენ ხალხს. ძალიან ბევრი დაიჭრეს მეტროს შესასვლელში. წინიდან ბეეტეერით დასდევდნენ ხალხს. ამ დღეს ორი იქვე გარდაიცვალა, ხუთი კაცი ორი დღის შემდეგ. ეს იყო ნამდვილად გენოციდი ქართველებისა, რომელიც გაგრძელდა დაახლოებით ერთ საათს.

მ. ყ. პედაგოგი.

ნათელა პარმენის ასული თავაძე

მცხ. ქ. რუსთავი. მესხიშვილის I გასას. №7–11

მყავს მეუღლე, სიძე, ქალიშვილი, ვმუშაობ ქალაქ რუსთავის ცხოველთა დაავადებასთან მებრძოლ სადგურ №2, ბაზრის ვეტ. ლაბორატორიაში ლაბორანტად.

1991 წლის 22 დეკემბერს, დაახლოებით ათის ნახევრისათვის მთავრობის სახლის წინ მდგომ ხალხს ოპოზიციამ გაგვიხსნა ცეცხლი. პირველი გასროლისთანავე დავიჭერი მარჯვენა ხელში. პირველი დახმარება გამიწიეს მთავრობის სახლში. სამ საათზე ცოტა შეჩერდა სროლა და კუთხე-კუთხე გავედით თავისუფლების მეტროსთან, ასე მივაღწიე სახლამდე დაჭრილმა.

თვითმხილველის ნაამბობი

1992 წლის 2 თებერვალს ვიყავი სადგურის მოედანზე მიტინგზე. მიტინგის მერე გავემართეთ თამარ მეფის გამზირით ცირკისაკენ. არ მისული ცირკთან, ფერდობებიდან აგვიტეხეს სროლა გვარდიის შეიარაღებულმა მეომრებმა. წინ წასვლა არ შეგვეძლო, განუწყვეტლივ ისროდნენ. სროლა გაგრძელდა დაახლოებით 15 წუთს. ესროდნენ პირდაპირ ხალხს, დაიჭრა რამოდენიმე კაცი, ორი უკვე მკვდარი იყო. წინ წასვლას აზრი აღარ ჰქონდა. შევიკრიბეთ დაფანტული ხალხი და წამოვედით უკან დავით აღმაშენებლის გამზირზე. წამოვედით იმ აზრით, რომ გვეთქვა ხალხისათვის, თუ როგორი „დემოკრატები“ მოვიდნენ სათავეში, სისხლით და მახვილით. მარჯანიშვილის მეტროსთან რომ მივედით ისევ ატყდა სროლა. ისროდნენ მაღალი სახლის სახურავებიდან. დაიჭრა უამრავი ხალხი. ისევ აწიოკდნენ, შევარდნენ ეზოებში, მეტროში, მე შევედი მეტროში, რადგანაც ახლოს ვიყავი მეტროს შენობასთან და გავიქეცი. ხალხმა გადათელა ერთმანეთი. დაიჭირეს ხალხი, ვისაც მისწვდებოდნენ ქალი იყო თუ კაცი, არ უწევდნენ ანგარიშს. ყველას ტენიდნენ მანქანებში.

ლ. მ. ტექნოლოგი

თვითმხილველი

1992 წლის 2 თებერვალს როგორც ყოველთვის მე და ჩემი ძმა წავედით მიტინგზე ვაგზლის მოედანზე. მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან“ მატარებელი გაჩერდა და გამოგვიცხადეს, რომ მეტროში დენი არ არის და შემადგენლობა ვაგზლის მოედნამდე ვერ წავაო. ქალაქში გასასვლელი კარები ჩაგვიკეტეს, არც მიწის ზემოთ არ გვიშვებდნენ. დიდი ჩხუბისა და დავიდარაბის შემდეგ, ნაწილმა მოვახერხეთ ზემოთ ამოსვლა. მეტროს თანამშრომელ ქალს ვკითხე, როდესაც ბოქლომით კეტავდა ქალაქში გასასვლელს, თუ რას ნიშნავდა მათი ეს საქციელი (ქალი ძალიან კარგად დავიმახსოვრე) განგვიცხადა რუსულად: „წადით და გამსახურდიას

ჰკითხეთ, ბანკები რომ გაძარცვაო“.

მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტიდან“ ფეხით ჩავედით ვაგზლის მოედანამდე. ბავშვთა სამყაროსთან გასასვლელი ავტობუსებით იყო ჩახერგილი და იდგა მილიციელების ჯაჭვი. ხალხს არ უშვებდნენ ვაგზლამდე. მე და ჩემი ძმა გამოვეყავით ხალხს და განვაგრძეთ გზა, მილიციას დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია. პირველი საათი დაწყებული იყო, როცა მიტინგზე მივედით. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა ხალხი მაინც ბევრი მოგროვდა. მანიფესტაცია დაიძრა გმირთა მოედნისაკენ. იყო მოწოდებები „არანაირ პროვოკაციას არ წამოეგოთ, ჩვენ ვართ მშვიდობიანი მანიფესტაცია, რომელიც მოითხოვს პრეზიდენტის დაბრუნებას. მანიფესტაციის მედროშეები, რომ მიუახლოვდნენ ცირკის სალაროებს, მე ამ დროს ვიყავი ცირკთან ახლოს, თამარ მეფის ხიდის ბოლოში გაისმა კანტი-კუნტად სროლა, ამას მოჰყვა წყლის დიდი ჭავლი. ჩვენ მაინც წინ მივიწევდით. დაიწყო ავტომატების განუწყვეტელი კაკანი. ვნახე ჩემს თვალწინ როგორ მოარბენინებდნენ დაჭრილებს. ჩემი თვალით ვნახე სამი დაჭრილი. ჩემმა ძმამ თავისი თვალით ნახა 14-15 წლის ბიჭი, რომელიც დაცხრილული იყო ტყვიებით. შეშინებული ხალხი შემოვბრუნდით და გავემართეთ აღმაშენებლის გამზირზე შეძახილებით: მკვლელებო, ბანდიტებო, იყო წივილი, ტირილი, გოდება... მამაკაცებს დანა პირს არ უხსნიდა. ქართველი კორესპონდენტი, ულვაშებიანი კაცი ყველაფერს იღებდა ვიდეოზე. აღმაშენებლის გამზირიდან გადავუხვიეთ მარჯანიშვილის თეატრისაკენ... თეატრის შენობასთან მანიფესტაცია შეჩერდა. ვიკითხე რა მოხდა–მეთქი. მიპასუხეს: წინ ორი ბეტეერიაო. მშვიდობიანმა მანიფესტანტებმა მოსთხოვა მედროშეებს გზის გაგრძელება რუსთაველის გამზირისაკენ. გადავდგით თუ არა რამოდენიმე მანძილი, ატყდა საშინელი სროლა. ხალხის ტალღამ პირი იბრუნა და გაიქცა მარჯანიშვილის მეტროსკენ. ჩემს თვალწინ ოთხი დაჭრილი ბიჭი გამოარბენინეს. ერთს ტყვია საფეთქელში ჰქონდა მოხვედრილი... დაგვედევნა ბეტეერები. მე და ჩემი ძმა იძულებული გავხდით გამოვქცეულიყავით მეტრო მარჯანიშვილისაკენ. ტყვიების სროლით გვსდევდნენ, ხარხარით ნადირობდნენ ჩვენზე. თითქმის ყველანი ახალგაზრდები იყვნენ. ზოგს ნიღაბი ჰქონდა აფარებული, არასოდეს დამავიწყდება მათი სახეები. მეორე დღეს სამ თებერვალს ჩემს ძმას დახვდა წინ კორპუსში მცხოვრები, მრავალჯერ ნასამართლევი ქურდი და ნარკომანი ნაცნობი და გააფრთხილა: კიდევ, რომ გნახო ზვიადის მიტინგზე, შენს თავს დააბრალე რაც მოგივაო.

ლ. მ.
6.02.92 წ.

თვითმხილველის ნაამბობი

ა. წ. 2 თებერვალს ვაგზლის მოედანზე ჩატარდა მრავალათასიანი მიტინგი. მიტინგი როგორც ყოველთვის იყო მშვიდობიანი. მომიტინგეთა მოთხოვნა იყო სამართლის აღდგენა, კანონიერი პრეზიდენტის მხარდაჭერა და პოლიტპატიმრების გათავისუფლება. 1992 წლის 30 იანვარს სახლიდან აიყვანეს უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის დოცენტი მორის მუსერიძე და ზურაბ მეტრეველი. მიტინგის დამთავრების შემდეგ წარმოვთქვით ლოცვა ერთად და შემდეგ მანიფესტაცია გაემართა სადგურის ქუჩიდან ტელეცენტრის მიმართულებით. მანიფესტაციას წინ მიუძღოდნენ დიდი ხის ჯვარით ახალგაზრდები და მამაკაცები. მთელი მიტინგების დროს ყველა გვაფრთხილებდა, რომ პროვოკაციას არ წამოვგებოდით, ვინმეს შეძახილზე და სხვა რაიმე ქმედებაზე პასუხი არ გაგვეცა (ასეთი შემთხვევები კი არც თუ იშვიათად იყო). მე კოლონის თითქმის პირველ ნაწილში ვიყავი. ხიდზე რომ გავედით, ცირკის ირგვლივ მდებარე ხეივანში და ხელმარჯვნივ ფერდობზე ავტომატიანი ახალგაზრდები შევნიშნეთ და უმალ გაისმა პირველი გასროლა. მე თითქმის ყველა მიტინგის მონაწილე ვარ, მაგრამ მაინც არ გვეგონა რომ გვესროდნენ. თან ხალხი იყო ძალიან ბევრი (დაახლოებით 100.000 კაცი). წინ გზა იყო გადახერგილი ავტობუსებით და ტროლეიბუსებით. ხალხმა თქვა, მოდით ეს ავტობუსი ხელით გადავაგოროთ, რომ გზა გავიკვლიოთო (ასე იყო წინა დღის მანიფესტაციის დროს, ავტობუსები გადააყენა ხალხმა და ისე შევედით მთავრობის სახლის წინამდებარე ტერიტორიაზე). მაგრამ ამის განხორციელებას თურმე ბედი არ ეწერა. უცებ მოისმა ავტობუსებიდან ავტომატის ჯერი და ყველა ჩავჯექით. ვიღაცამ იყვირა: ხალხო ადექით ჩვენი დაშინება და დაჩოქება უნდათო, მაგრამ უცებ ჩემს გვერდით მოცელილი დაეცა ახალგაზრდა ბიჭი. ხალხი როცა მისცვივდა და მათ შორის მეც, მას უკვე სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. გაიყვანეს სანაპიროზე ჩამავალი გზით. ატყდა საშინელი განგაში. მოვიხედე და კიდევ ვიღაც დაჭრილი დავინახე. ტყვიების კაკანი ისევ გრძელდებოდა განუწყვეტლივ. ისროდნენ უმისამართოდ და იმათ სახეებზე სიამოვნებას ამოიკითხავდით, რომ ამდენი უიარაღო ხალხი მათ თვალში უბადრუკად გამოვიყურებოდით. მე ცოტა უკან დავიხიე იმიტომ, რომ უკან მეგულებოდა ჩემი ძმა ორი შვილის მამა და დავუწყე მას ძებნა. ალბათ სახე ისე მქონდა შეშლილი, რომ ძლივს მიცნო ჩემმა მეგობარმა.

1992 წლის ორ თებერვალს დაახლოებით 12 საათზე რკინიგზის სადგურიდან მშვიდობიანი მანიფესტაცია დაიძრა თამარ მეფის გამზირის მიმართულებით, რომელშიც მონაწილეობდა დაახლოებით 150–180 ათასი ადამიანი.

ცირკთან აკადემიის შესახვევს, რომ გავცდით გზის ორივე მხრიდან ბუჩქებიდან და წინიდან აგვიტეხეს სროლა. დარბევის დროს იქვე გარდაიცვალა ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც მუხლის არეში მოხვდა ტყვია. ვნახე ორი დაჭრილი. ერთს ხელიდან სდიოდა სისხლი, მეორეს კი ფეხიდან.

მანიფესტაცია გავაგრძელეთ დავით აღმაშენებლის მიმართულებით. მარჯანიშვილის თეატრს და უნივერმაღს, რომ მივუახლოვდით იქაც დაგვხვდა ბეტეერი და ატვომატიანები. აგვიტეხეს სროლა. გვესროდნენ გაშმაგებით. იძულებული გავხდით ეზოებში და სადარბაზოებში შეგვეფარებია თავი. ლენინგრადის ქუჩაზე სადარბაზოებში შემოიყვანეს ორი ახალგაზრდა ფეხებში დაჭრილი, რომლებმაც განაცხადეს, ბეტეერში, რომ მიათრევდნენ გოგონას მას მიეშველნენ დასაცავად, შეიარაღებულებმა კი ისინი ფეხებში დაჭრეს. ამ დაჭრილების ფეხებიდან ნადენი სისხლის გუბე იდგა სადარბაზოს შესასვლელთან. სადარბაზოში შეფარებულებმა დაახლოებით ერთი საათი დავყავით.

ო. ე. თბილისი

1992 წ. 4 თებერვალი

თვითმხილველი

1992 წლის 2 თებერვალს ვიყავი სადგურის მოედანზე მიტინგზე. აქ შეიკრიბა 200 ათასამდე კაცი. მთავრობამ ჩაკეტა მეტრო, რათა ხალხი არ მოსულიყო მიტინგზე, მაგრამ ხალხი მაინც მოვიდა. მილიცია ეცადა, რომ სადგურის მოედანზე ხალხი არ შესულიყო, მაგრამ არ გამოუვიდათ. ვერაფრით შეაჩერეს ხალხის მოსვლა. მანიფესტაცია მსვლელობით წავიდა თამარ მეფის გამზირით. ცირკთან წინა მხრიდან გზა ჩაგვიკეტეს წყლის მანქანით და ავტომატიანმა ჯალათებმა. ამ დროს ფერდობებიდან გაისმა სროლა, ჯერ კანტი-კუნტად, შემდეგ კი ხშირი სროლა. ფერდობებზე ვხედავდით ავტომანქანებს, რომლებიც გვესროდნენ. წინა რიგებში დაიჭრა უამრავი, ადგილზე მოკვდა ორი კაცი. აქედან ერთი ბავშვი, შემდეგ ორ დღეში გარდაიცვალა 5 მძიმედ დაჭრილი კაცი. ხალხიდან არ ყოფილა არავითარი გასროლა. სროლა იყო ფერდობებიდან. შემდეგ ხალხი დავბრუნდით და შევგროვდით კინოსტუდიასთან და წავედით დავით აღმაშენებლის გამზირით. ვამბობ და ვადასტურებ, რომ მიტინგიც და მსვლელობაც იყო მშვიდობიანი. არავითარი სროლა არ ყოფილა ხალხიდან. როცა მივედით მარჯანიშვილის მეტროსთან აგვიტეხეს სროლა ყველა მხრიდან. ისროდნენ მოედანზე სახლის სახურავებიდან, ისროდნენ ბეტეერიდან, რომელიც იდგა მარჯანიშვილის ქუჩაზე, ისროდ-

ნენ ავტომატებიდან, კარაბინებიდან. მე სხვებთან ერთად თავი შევაფარე „მედტექნიკის“ მაღაზიის ეზოში – მობინადრის ბინაში. სამზარეულოში ვიყავით ასამდე კაცი. ეს ეზო გადის კამოს ქუჩაზე. ეზოში შემოვარდნენ ავტომატიანები და ისროდნენ ყველა მიმართულებით. მათ იცოდნენ, რომ ხალხი იყო შეფარებული ეზოში და ამიტომ შემოგვდიეს. ეზოში დაჭრეს რამდენიმე კაცი. ხალხს შესდიეს მეტროში და იქაც დაჭრეს. ეს საზარელი ომი, ქართველთა ხოცვა გაგრძელდა მთელი საათის განმავლობაში. დაიხოცა და დაიჭრა უამრავი ახალგაზრდა. ამას სჩადის ტანკით მოსული სისხლიანი მთავრობა. ტელევიზია შხამს და გესლს ანთხევს. ხალხს აღარ გვინდა ქართული ტელევიზია. ისინი ხმას არ იღებენ ქართველთა ხოცვაზე. მე ვთვლი, რომ ტელევიზიამ უღალატა მშრომელ ხალხს. იგი ხელს უწყობს მათ ტერორსა და ხოცვაში. მათ არც კი გამოაცხადეს, თუ ვინ არის დაჭრილი და დახოცილი, რათა პატრონებს ადვილად ენახათ, 2 თებერვლის საღამოს ტელევიზია სიმღერებს და ცეკვებს გადმოსცემდა.

რ. პ. *ინჟინერ-ქიმიკოსი*

თვითმხილველი

1992 წლის ორ თებერვალს ახლობლებთან ერთად გავედი რკინიგზის სადგურზე, სადაც მიმდინარეობდა მიტინგი. მიტინგზე შემაგვიანდა, რადგან მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი“ დაკეტილი იყო, მივედი პირველ საათისათვის. მიტინგის დამთავრების შემდეგ დაიწყო საპროტესტო მსვლელობა და გავედით თამარ მეფის პროსპექტით, გავიარეთ ხიდი და მივადექით ცირკს. გზა გადაკეტილი იყო ავტობუსებით, მათ უკან კი ბეტეერი და სახანძრო მანქანა იდგა. მსვლელობა შეჩერდა, ცირკის ფერდობებიდან დაიწყეს ჯერ კანტი-კუნტი სროლა, ხალხმა საპასუხოდ ტაში დაუკრა, შემდეგ წამოვიდა წყლის ჭავლი და თითქმის მაშინვე გაისმა ავტომატების ჯერი. ხალხი ჩაიცუცქა, შემდეგ ისევ ავდექით ისევ წამოვიდა ავტომატის ჯერი, ხალხი ისევ ჩაცუცქდა. მე რამოდენიმე წამს ფეხზე ვიდექი და დავინახე თუ როგორ ჩაიკუზნენ ახალი „მთავრობის“ დამცველი იარაღიანი „ვაჟკაცები“ და ისე დაიწყეს როლა, რომელიც აღარ წყდებოდა. ხალხმა ხიდისკენ დაიწყო უკუსვლა. ჩემს თვალწინ მიარბენინებდნენ დაჭრილებს. ხიდზე მსუბუქი მანქანები გადმოვიდნენ. სვავდნენ დაჭრილებს მანქანებში და მიჰყავდათ. სროლამ ნახევარ საათს გასტანა. ხალხი მოედანზე შეჯგუფდა, შემდეგ დავიძარით აღმაშენებლის პროსპექტისაკენ. მარჯანიშვილის მეტროს მიდამოებში დაიწყო სროლა. ისროდნენ ავტომატებიდან და ბეტეერებიდან. ხალხი იფანტებოდა, მა-

გრამ სროლა არ შეწყვეტილა. წავიდა ნადირობა უიარაღო ხალხზე. ჩემს თვალწინ რამოდენიმე ადამიანი დაეცა. როგორღაც მოვახერხეთ რომელიღაც ეზოში შესვლა და სადარბაზოებში შევვარდით. ოცდაათი კაცი მაინც ვიქნებოდით. შემდეგ ვიღაც ღვთისნიერმა ბინაში შეგვიშვა. იქ ერთი საათი დავყავით. ისმოდა განუწყვეტელი სროლა. როდესაც სროლა ცოტა ხნით შეწყდა გარეთ გამოვედით და მეტროსკენ გავუყევით. მეტროს მინები რამოდენიმე ადგილას დაცხრილული იყო. ორი დაჭრილი იქაც ვნახე. შემდეგ ისევ დაიწყო სროლა და იძულებული გავხდით ექსკავატორით დაბლა ჩავსულიყავით.

მ. პ.

6 თებერვალი 1992 წ.

1992 წლის 2 თებერვალი

კვირას, 1992 წლის ორ თებერვალს, დღის 11 საათზე მიტინგი იყო დანიშნული, ყოველდღე ვაგზლის მოედანზე კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მხარდამჭერი მიტინგი იმართებოდა. ვაგზლის მოედნის მეტროდან როგორც კი ამოვედი, მეტრო ჩაკეტეს, იქვე მილიციონერთა კორდონი დამხვდა. მოედანზე ჯავშანტრანსპორტიორი და ავტობუსები იდგა. მიტინგი მაინც ტარდებოდა მოპირდაპირე მხარეს. ფაქტობრივად ტრანსპორტი გააჩერეს და არ უშვებდნენ ვაგზლისაკენ. ხალხი ფეხით მაინც მოდიოდა... მე პირდაპირ ჯიქურ წავედი მილიციელებისაკენ. მათ გზა დამითმეს, არაფერი უთქვამთ და გამატარეს. მომიტინგეებს შევუერთდი. მიტინგზე გამომსვლელებმა მივმართეთ მილიციას, გზა გაეხსნათ და შევეშვით მოედანზე. სადგურზე ბევრი ხალხი იდგა და ვერ ვეტეოდით. ხალხი მილიციისაკენ წავიდა. მათ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და შევედით მოედანზე. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად ფეხით მოდიოდა და მთელი მოედანი ხალხით გაივსო (იქნებოდა მაინც 100.000-ზე მეტი). მოვისმინეთ ინფორმაციები, რადგან აბსოლიტურად დეზინფორმაციას გვაწვდიდა ტელევიზია და რადიო, სიმართლეს არ ეუბნებოდა ხალხს, აქ კი სიმართლეს ვგებულობდით. მიტინგი დემონსტრაციად გადაიქცა და წავედით თამარის ქუჩით ცირკისაკენ. წინასწარ მარშრუტს არ ამბობდნენ, რადგან გვარდიელები, თუ მხედრიონი, ან უფრო სწორად რაღაც ბანდები თავს გვესხმოდნენ, გზას გვიკეტავდნენ და გვესროდნენ. დიდუბის მეტროსთან და დელისთან მათ დაჭრეს მრავალი და მოკლეს მომიტინგეები. როგორც კი თამარის ხიდზე გავედით მანიფესტაცია შეჩერდა. წამოვიდა წყლი ჭავლი და წინა რიგებში დასველდნენ. ჩვენ მაინც არ დავიხიეთ. ამას მოჰყვა სროლა და ალყაში

აღმოვჩნდით. ცირკიდან შეუწყვეტელი სროლა დაიწყო, ჩვენ ჩავსხედით და ტაშით შევხვდით ბარბაროსთა შემოტევას. უცებ ხმა გაისმა ხალხს ესვრიანო. დავიშალეთ. ჩემს თვალწინ ვიღაც ბიჭი მოჰყავდათ კაცებს. მგონი უკვე ცოცხალი აღარ იყო. ნელ–ნელა ვიწყეთ უკან დახევა. ხიდთან შევჩერდით. რამოდენიმე კაცმა ხის ტოტების მტვრევა დაიწყო, საკაცეს აკეთებდნენ. ვნახე მოხუცი, რომელსაც მთელი მუხლი სისხლით ჰქონდა მოსვრილი. სანაპიროზე სასწრაფო გამოჩნდა. ჩემს თვალწინ სამი დაჭრილი გაიყვანეს, ერთი მგონი გარდაცვლილი იყო. ძალიან ახალგაზრდა იყო. ჩვენ კინოსტუდიის მოედანთან შევჩერდით და მალე მარჯანიშვილის მოედნისაკენ ავიღეთ გეზი. იქიდან ელბაქიძის ხიდზე უნდა გადავსულიყავით. როგორც კი გავედით მარჯანიშვილის მოედანზე და ჩავუხვიეთ ხიდისაკენ, ატყდა საშინელი სროლა. გამოვარდა ბრონე-ტრანსპორტიორი და დაიწყო საშინელი ხოცვა-ჟლეტა. ჩვენ გავიფანტეთ. ზოგი სად შევარდა, ზოგი სად. ტაქსით მოვარდნენ 18-20 წლის ავტომატებით შეიარაღებული ბიჭები და განუკითხავად დაიწყეს სროლა. მეტროში დაჭრეს ბიჭი. მე მეტროდან ვუყურებდი თუ როგორ გაცოფებულები უშენდნენ ხალხს. მთელი საათი ტრიალებდა ბეტეერი, ისმოდა განუწყვეტელი სროლა, ხალხში პანიკა ატყდა. მეტროში უამრავი ხალხი მოგროვდა, გულწასულ ადამიანებს ასულიერებდნენ. ძლივს შევაღწიე ვაგონში და გაოგნებული წავედი სახლისაკენ.

ნ. ც.

თვითმხიველი

1992 წლის 2 თებერვალს სადგურ „ვაგზლის მოედანზე“ გაიმართა კანონიერი მთავრობის მხარდამჭერი მიტინგი. მიტინგი მრავალათასიანი და მშვიდობიანი იყო. დაახლოებით ერთ საათიანი საინფორმაციო მიტინგის ჩატარების შემდეგ, გადავწყვიტეთ მშვიდობიანი მსვლელობა და დავიძარით. მომიტინგეებს უნდა გაევლო გმირთა მოედანი, საიდანაც ჩვენ გავიდოდით რუსთაველის გამზირზე, პატივს მივაგებდით მთავრობის სასახლესთან დაღუპულებს და გადავინაცვლებდით ცეკას შენობასთან, სადაც ჩვენ მოგვქონდა კანონიერი მოთხოვნები და საიდანაც ამის გამო ცოტა ხნის წინ გაგვიმასპინძლდნენ წყლის ჭავლით. გმირთა მოედანზე შესვლა ვერ მოვასწარით, ხალხს წინ გადაეღობა სახანძრო მანქანა, რომელმაც წყლის ჭავლი ამოუშვა. ამ მანქანის უკან იდგა ავტომატიანთა მთელი ჯარი, უცებ გვერდებიდან (იქ არის მცენარეებით დაფარული დაბალი კლდე) გაიხსნა ცეცხლი, ხალხი დაბლა ცვიოდა. წინიდან სახანძრო მანქანაც გაიყვანეს და ავტომატიანებმაც დაიწყეს სროლა. ტყვიები ყურებში გვიზუზუნებდა. აშკარა გახდა, რომ სროლა არ იყო გამაფრთხილებელი, დაიხოცა და დაიჭრა ხალხი. დაჭრილები ვერ მივატოვეთ, მოხერხდა მანქა-

ნების შემოყვანა დაჭრილების გასაყვანად. ესროდნენ მანქანებს სამივე მხრიდან. გასაქცევად დარჩა ერთადერთი გზა, დავიხიეთ უკან. არ დავიშალეთ, შევიკრიბეთ ბანკის შენობასთან და გავაგრძელეთ სვლა დავით აღმაშენებლის პროესპექტისაკენ. ხალხს სახე შიშისაგან შეშლილი ჰქონდათ, მაგრამ მაინც დავიმშვიდეთ თავები და განვაგრძეთ მშვიდობიანი მსვლელობა. ჩვენს შორის არ იყო არცერთი შეიარაღებული, გავუხვიეთ მარჯანიშვილის თეატრისაკენ, საიდანაც დაგეგმილი იყო ხიდზე გადასვლა რუსთაველზე. უცებ გამოქანდა რამოდენიმე შავი მანქანა, საიდანაც გვესროდნენ მარჯანიშვილის თეატრიდანაც, გასაქცევი აღარ იყო. ოთხივე მხრიდან გვესროდნენ, ალყაში ვიყავით, ისროდნენ გამეტებით. როგორც იქნა გამოინახა გზა მეტროსკენ, გავრბოდით, მოგვსდევდნენ, ხალხის ნაწილმა მეტროს შეაფარა თავი, იქაც შეუცვივდნენ და ესროლეს. დაიჭრა ბევრი. ჩვენ მეტროს მოპირდაპირე მხარეს გავიქეცით. სროლა ისეთი იყო, რომ შიშისაგან ამხანაგი ქალი დავკარგე. შევეცადე მის ძებნას, მაგრამ ამაოდ. მეც გავიქეცი. შევვარდით ერთ-ერთ ეზოში, იქაც შემოგვყვნენ და გვესროდნენ. მე მოვახერხე ერთ-ერთ სახლში შევარდნა. ამ სახლში ძალიან ბევრ ადამიანს შეეფარებინა თავი. იმ სახლშიც ისროდნენ. შიშისაგან სახლის ტუალეტში შევვარდი და ჩემი მეგობარი ქალიც ამ ტუალეტში ვიპოვე. ჩვენ შიშისაგან ვცახცახებდით. გარედან გვესმოდა სროლის ხმა, ვიღაც შემოვარდა და დაიძახა ბეტეერებიდანაც გვესვრიანო. ეს იყო ნამდვილი ომი, ომი, რომელიც მხოლოდ კინოებში მინახავს. გვინდოდა სახლიდან გამოსვლა, მაგრამ სროლა არ წყდებოდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ, როცა სროლა მიწყნარდა, ვუთხარი ჩემს მეგობარს, რომ როგორმე აქედან გავსულიყავით, რადგან სახლის პატრონი კატეგორიულად მოითხოვდა ბინის დატოვებას. თქვენი გულისათვის ჩვენც გვესვრიანო. ძალაუნებურად გამოვედით. მე და ჩემს მეგობარს უკან აგვედევნა ნიღბიანი კაცი, რომელიც ავტომატმომარჯვებული მოგვყვებოდა. ჩვენ შეგვეშინდა და შევედით კიდევ ერთ სახლში, რომელიც იქვე ახლოს მდებარეობდა. აქაც უამრავი თავშეფარებული დაგვიხვდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს დარბევა გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით იმ დარბევებისაგან, რომელიც მათ უკვე ბევრჯერ განახორციელეს. ვფიქრობ ისინი შეშინდნენ იმით, რომ ჩვენი მიტინგები ყოველდღე იზრდებოდა და იმ დღისათვის მიაღწია დაახლოებით 200 ათასზე მეტს. მსგავსი მიტინგები ტარდებოდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, სადაც პასუხობდნენ იგივე მეთოდებით.

ო. ლ. დიასახლისი

1992 წლის 2 თებერვალი

კვირას, 2 თებერვალს რკინიგზის სადგურზე დანიშნული იყო პრეზიდენტის და კანონიერი მთავრობის მხარდამჭერი მიტინგი. სადგურის მეტროდან ამოვედი დაახლოებით 11 საათისთვის. მეტროს შესასვლელში უამრავი ხალხი მოგროვდა. მეტრო „სადგურის“ გარეთ იდგა მილიცია, რომელიც ხალხს აკავებდა, ზემოდან გასასვლელი ჩაკეტილი იყო. ხალხს არ აძლევდნენ საშუალებას მოგროვილიყვნენ რკინიგზის სადგურის წინა მოედანზე და ჩაეტარებინათ მიტინგი. სადგურის წინა მოედანი სავსე იყო მილიციით. მიტინგის მოპირდაპირე მხარეს იდგა ხალხი და ისმოდა გამომსვლელების ხმა. გადავწყვიტე გადავსულიყავი და შევერთებოდი ხალხს, მილიცია აშკარა წინააღმდეგობას არ გვიწევდა, ამიტომ ჯგუფებად მოსული ხალხი, მათ შორის მეც შევუერთდით მომიტინგეებს. რამოდენიმე წუთის შემდეგ (15–20 წუთი) სადგურის წინა მოედანი მილიციისაგან გათავისუფლდა, ხალხმა გაარღვია კორდონი და სვლით გადავინაცვლეთ სადგურის წინა მოედანზე. ხალხი ნაკადებად, ყველა მხრიდან განუწყვეტლად მოდიოდა ფეხით. მიტინგი დაიწყო, მოიყვანეს სახანძრო მანქანა, რომელიც აქეთ-იქით ასხავდა წყალს. მიტინგზე გადაწყდა მოგვეწყო მსვლელობა, დარბევის საშიშროების გამო ზუსტი მარშრუტი ცნობილი არ იყო. მოვაწყვეთ მშვიდობიანი დემონსტრაცია შეძახილებით: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“, „გაუმარჯოს კანონიერ პრეზიდენტს და კანონიერ მთავრობას“.

ხალხი მხარს უჭერდა არჩევნებში გამარჯვებულ პრეზიდენტს და პარლამენტს. გზადაგზა უამრავი ხალხი შემოგვიერთდა. ასე გავიარეთ გზა ცირკის მისასვლელამდე. დაიწყო სროლა, დავიჩქოეთ, რომ ტყვია არ მოგვხვედროდა. ველოდებოდით, რომ სროლა შეწყდებოდა, მაგრამ ამაოდ, სროლა გაგრძელდა, ყველანი გავჩერდით. ხალხმა უკან სვლა დაიწყო მაშინ, როცა დაჭრილები დაინახა. მე და ჩემი მეგობარი ხიდისაკენ წავედით, ხიდთან ფეხში დადჭრილ ხანშიშესულ მაღალ მამაკაცს ფეხს უხვევდნენ. ახალგაზრდა ბიჭებს, მამაკაცებს დაჭრილები სანაპიროზე ჩაჰყავდათ. დავბრუნდით უკან და აღმაშენებლის გამზირით გავაგრძელეთ მსვლელობა, ყველას ეგონა, რომ ქალაქის ცენტრში სროლას მოერიდებოდნენ. მარჯანიშვილის მოედნამდე სვლა მშვიდობიანად გაგრძელდა, მარჯანიშვილის მოედანზე დემონსტრაციამ მარჯანიშვილის თეატრისკენ ჩაუხვია. დაიწყო სროლა, უფრო ინტენსიური, თითქმის განუწყვეტლივ კაკანებდა ავტომატი. მე ადგილიდან მოვწყდი და გაზეთების ჯიხურს ამოვეფარე, სადაც უკვე ხალხი იყო მოგროვილი თავის შესაფარებლად, სროლა გრძელდებოდა, მივხვდით, რომ ისინი აღარ ხუმრობდნენ. ცოტა ადგილი აღმოჩნდა შესაფარებლად, ტყვიები კედელს ეხლებოდა. ტყვიების ზუზუნში მე და ჩემი მეგობარი შევვარდით საპროექტო ინსტიტუტის შენობაში. ყოველ წუთში ველოდებოდით

სროლის შეწყვეტას, მაგრამ ისროდნენ განუწყვეტლივ, მოიყვანეს ჯავშან-ტრანსპორტიორი, საიდანაც გადმოცვივდნენ 17-18 წლის შეიარაღებული გვარდიელები, ზოგი ფორმით, ზოგი უფორმოთ. შენობაშიც შემოვიდნენ. გავვარდით ეზოში და მეორე შესასვლელით შევედით იმავე ინსტიტუტში. ნახევარი საათის შემდეგ იყვირეს აქაც მოდიანო. აავვარდით ზემოთ, რომელ სართულზე აღარ მახსოვს, მე-3 თუ მე-4 სართულზე. იქაც ამოვიდნენ, ხალხს ეძებდნენ და იქვე აჰყავდათ. ჩვენს თვალწინ აიყვანეს ახალგაზრდა ბიჭი და კაცი. შევვარდით ოთახში, სადაც რემონტს აკეთებდნენ. შემოვარდა გვარდიელი ავტომატით ხელში, კედელს მივეკარით. ათამდე კაცი ხმაგაკმენდილი ვიდექით. გვარდიელმა ავტომატის მოშვერით დაგვათვალიერა, ამ დროს მეორეც მოვიდა, იკითხა რა ხდებაო. პირველმა უთხრა არაფერი, ქალები არიანო (ვიდექით 6 ქალი და ორი მამაკაცი) გაბრუნდა და წავიდა. ჩამოვედით დაბლა, ერთხანს ალბათ ნახევარი საათი შევიცადეთ და ბოლოს ქუჩაში გამოვედით. სროლა აღარ იყო.

ნ. მ.

თვითმხილველი

1992 წლის ორ თებერვალს ვიყავი სადგურის მოედანზე პრეზიდენტის მხარდამჭერ მიტინგზე. იქ იყო დაახლოებით 200 ათასზე მეტი კაცი. შემდეგ მსვლელობით წავედით სისხლიანი მთავრობის ადგილსამყოფელისაკენ. წინა დღით უფრო ბევრნი ვიყავით. როცა მივუახლოვდით ცირკს, ორივე ფერდობებიდან დაგვიშინეს ტყვიები ავტომატებიდან. ვხედავდით ვინც გვესროდნენ. სახეებზე ჰქონდათ აფარებული, წინა მხრიდან მოგვიშვირეს წყლის ნაკადი. მოკლეს 15 წლის ბიჭი, რომელსაც დროშა ეკავა და ერთი გოგოც. დაიჭრა უამრავი... დაწიოკებული ხალხი კვლავ შევიკრიბეთ და წავედით დავით აღმაშენებლის გამზირით, როცა მივედით მეტრო „მარჯანიშვილთან“ დაგვიშინეს ტყვიები მაღალი სართულებიდან. ბეტეერიდან და მანქანებიდან. ყავდათ მანქანა ტაქსი და შიგ იჯდნენ ქუდჩამოფხატულები და ავტომატების ჯერით ცელავდნენ ხალხს. ხალხი შევარდა ეზოებში. მეც შევვარდი ეზოში, თავი შევაფარეთ ბინებში, ეზოებშიც შემოვარდნენ და დაჭრეს ხალხი. ისროდნენ წრიულად ყველა მიმართულებით. ესროდნენ ეზოებში მყოფთაც და იმათაც ვინც სახლში შეაფარა თავი. იმ ეზოში, სადაც მე ვიყავი, დაიჭრა სამი კაცი. სასწრაფოს ჩვენ თვითონ გამოვუძახეთ ბინიდან. ქართველების ხოცვის ომი მიმდინარეობდა თითქმის ერთი საათის განმავლობაში. ეს იყო რაღაც საშინელება. ისროდნენ კარაბინებიდან, ბეტეერიდან.

პედაგოგი ლ. თ.

ცნობები დასავლეთ საქართველოდან

1. ზუგდიდში მხედრიონისა და გვარდიელების შესვლის შემდეგ ჯაბა იოსელიანმა და გია ყარყარაშვილმა გამართეს მიტინგი, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას მიმართეს ასე: აქამდე თურქეთში, რომ მიდიოდით საბოზრად, მისაცემად, ახლა ჩვენ აქ ვართ და შევძლებთ დავაკმაყოფილოთ თქვენი ინტიმური მოთხოვნილებები (ცხადია, ვულგარულ ფორმებში იყო გაკეთებული ეს განცხადება).

2. სენაკში ქუჩაში მიმავალი ფეხმძიმე ქალი გააუპატიურა მხედრიონის წარმომადგენელმა (ვინაობა ზუსტდება).

3. ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატს გაზეთ „ეგრისის“ რედაქტორს კონსტანტინე ჩიქობავას, დღის საათებში დაადგნენ შეიარაღებული გვარდიელები და მხედრიონის მებრძოლები. ეზოში შეიყვანეს სატვირთო მანქანა და სახლიდან გაიტაცეს ავეჯი და სურსათ-სანოვაგე. ასევე წალენჯიხის რაისაავადმყოფოს მთავარ ექიმს ზაურ გვასალიას დღის საათებში, მათვე წაართვეს საკუთარი ავტომანქანა „ნივა“.

4. სენაკში კოოპერატიულ ბინაში ცხოვრობდა ცაიშის ბრძოლაში დაღუპული ტიტე დგებუაძე. დაკრძალვის დღეს, როცა პროცესია რაიონის ცენტრს მიუახლოვდა, ტელეგრაფის შენობასთან გამოჩნდნენ „ქართველი“ გვარდიელები ტანკებით, რომლებმაც დაარბიეს სამიათასიანი პროცესია.

დასავლეთ საქართველოში გახმაურებულ ცაიშის ბრძოლებს ხელმძღვანელობდა რუსის ჯარის სპეციალისტები (ერთი იკარუსი რუსის ოფიცრები). სიგუას მთავრობის ერთ-ერთმა გვარდიელმა ხალხს აუწყა: ეს რუსი სამხდროები კი არ ხოცავენ ქართველებს, არამედ ისინი არიან სპეციალისტები და დახმარებას უწევენ მთავრობის ჯარებსო. ცაიშის ბრძოლასთან მონაწილეობას ღებულობდა რუსის ჯარის სამხედრო ტექნიკა. დაქირავებულმა რუსის ჯარმა გაარღვია ზუგდიდელების წინააღმდეგობა, მოაქციეს ალყაში პატრიოტი მებრძოლები. მძიმედ დაჭრილ ტიტე დგებუაძეს, რომელიც სისხლისაგან იცლებოდა, სიგუას გვარდიელებმა წყალიც კი არ მიაწოდეს. ერთ-ერთმა გვარდიელმა მეთაურმა განაცხადა: „ყველა ზვიადის მომხრე ასე უნდა ჩაძაღლდესო“. როდესაც სიგუას გვარდიელმა ერთ-ერთ პატრიოტ ტყვეს ჰკითხა ასეთი მოძველებული იარაღით, რომ გვებრძვით ასე თავდადებით ნეტავი დღიურად რას გიხდიანო? როცა გაიგო, რომ იგი ფულის გულისათვის არ იბრძვის, გაოგნებული დარჩა. მე ყოველდღე ათას მანეთს მიხდიან და მპირდებიან კიდევ თბილისში ბინას და მანქანასო. შეიარაღებულნი ვართ თანამედროვე იარაღით და ჩემთვის სულ ერთია ზვიადი იქნება თუ სიგუა,

ვინც მეტს მომცემს იმის მხარეზე ვიქნებიო.

5. სამტრედიაში გამართულ მშვიდობიანი მიტინგის შემდეგ ხალხი ქუთაისისაკენ გაემგზავრა, რათა მონაწილეობა მიეღო ქუთაისში გამართულ მშვიდობიან მიტინგში. ქუთაისთან ახლოს არსებულ სამხედრო აეროდრომთან, კოპიტნართან შეიარაღებულმა მოპიკეტეებმა შეაჩერა მშვიდობიანი მსვლელობა. გზის ორივე მხარეს კი შეიარაღებული რუსის ჯარები იდგნენ, როცა ხალხი ავტობუსებიდან ჩამოვიდა და მოპიკეტეებს თხოვა მათთვის ნება დაერთოთ ქუთაისში ჩასულიყვნენ მშვიდობიან მიტინგზე დასასწრებად, გვარდიელებმა მათ ტყვიები დაუშინეს. ამ ინციდენტის დროს დაიჭრა რამოდენიმე კაცი. ერთი 14-წლის ბიჭი კი ჭრილობებისაგან მეორე დღეს გარდაიცვალა. ამავე დროს კოპიტნარის აეროდრომიდან აფრინდა „მუგ"-ის ტიპის სამხედრო თვითმფრინავი, რომელმაც მომცელავ სიმაღლეზე გადაუფრინა მომიტინგეებს თავზე, რის შედეგადაც ჰაერის ტალღების ზეწოლის შედეგად ხალხი ძირს დაცვივდა. მთელი ამ პროცესის მანძილზე მომიტინგეებს თავს დასტრიალებდნენ სამხედრო ვერტმფრენები. მიუხედავად ამისა ხალხი მაინც ვერ დააშინეს. მშვიდობიანი მანიფესტაცია გვიან ღამემდე გაგრძელდა.

ყველა ეს ცნობები მოწოდებულია გადმოცემით, ვინაიდან თბილისის შემოსასვლელში დგას სამხედრო პიკეტი, რომელიც ქალაქში შემომავალ ხალხსა და ტრანსპორტს ჩხრეკენ და თუ რაიმე უპოვეს ქაღალდის ნაგლეჯის ან აუდიოჩამწერის მსგავსი, ქალაქის კომენდანტის გელა ლანჩავას განკარგულებით, ადგილზევე ხვრეტენ.

თბილისში ყოველდღიურად იმართება ხალხმრავალი მიტინგები კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მხარდასაჭერად, რომელიც მთავრდება მხედრიონის და გვარდიის მხრიდან შეიარაღებული დარბევით. ამის უტყუარი მოწმეებია ნატყვიარები მეტროს სადგურებში. ამ თავაშვებული გენოციდის აღსაკვეთად, ან ოდნავ შესარბილებლად მაინც აუცილებელია უცხოელი ჟურნალისტების ჩამოსვლა თბილისში.

ინფორმაციები

5 აპრილი, ქ. თელავი

კანონიერი პრეზიდენტის მხარდამჭერს გ. ე.-ს სასროლი იარაღის სახელურის დარტყმით თავი გაუტეხეს (სამი ნაკერი აქვს) მხედრიონის ლიდერებმა ბ. მიქაძემ და ს. ბახსოლიანმა.

23 მაისს კახეთის რწმუნებულმა გელა გოდერძიშვილმა სასტიკად სცემა თელავის პოლიკლინიკის ექიმს ვ. ა.-ს

ივნისის თვის პირველ რიცხვებში გ. გოდერძიშვილის მეთაურობით მხედრიონელებმა ჩამოკიდეს და ცემით სიკვდილამდე მიიყვანეს ვალერი თანდილაშვილი.

24 ივნისს გ. გოდერძიშვილმა ცემით მძიმედ დააშავა უზენაესი საბჭოს დეპუტატი, გურჯაანის პრეფექტი შოთა ქიტიაშვილი.

თელავის რაიონში, კონდოლში მხედრიონის ერთ–ერთი ლიდერი ბონდო ჩარბაძე ავტომატით ხელში დღესაც დათარეშობს მოსახლეობაში და სიკვდილით იმუქრება ნებისმიერი სურვილის შეუსრულებლობისათვის.

17-18 ივლისს შალაურელმა მხედრიონელმა აზრთა სხვადასხვაობის გამო სიცოცხლეს გამოასალმა ღვიძლი ნათესავი.

ქ. თბილისის №41-ე სკოლაში მოწვეული მასწავლებელი, ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი იზო წაქაძე ე. წ. „ზვიადისტობის“ ან სხვაგვარად აზროვნების გამო, აღარ მიიწვიეს მასწავლებლად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგამოცდო მიმღები კომისიების სიებიდან, განსაკუთრებით მათემატიკისა და ქართულის ენის სპეციალობებზე პროფ. თემურ ხუროძის მითითებით ამოიღეს კანონიერი ხელისუფლების მომხრე პიროვნებები.

ინფორმაცია

1. თებერვალში ე. წ. კომენდანტის საათის დაწესებამდე გვარდიელებმა მოკლეს 29 წლის ხვიჩა ცაავა და მისი ორი მეგობარი დაჭრეს.

2. მარტის თვეში მხედრიონელები დიდძალი თანხის გამოძალვის მიზნით თავს დაესხნენ სენაკში მცხოვრებ ჭანტურიების ოჯახს. მოძალადეებმა მამის თვალწინ მოკლეს პედაგოგი რუსიკო ჭანტურია.

3. მარტში მშვიდობის ქუჩაზე ქალაქ სენაკში საკუთარი მანქანით მიმავალ კოტე ჩაკაბერიას და მის მეგობრებს გადაუარა ბეტეერმა, კოტე ჩაკაბერია ადგილზევე გარდაიცვალა. მისი თანამგზავრები კი სამუდამოდ დასახიჩრდნენ.

4. 1992 წლის 25 თებერვალს ქალაქ ზუგდიდში დღისით–მზისით დედის თვალწინ გვარდიელებმა მოკლეს ახალაგზრდა არქიტექტორი გოჩა ჯიქია, დაბადებული 1962 წელს. გოჩას დედამ ქალბატონმა თამარ შერაზადაშვილმა სთხოვა გვარდიელ ვახტანგ გიორგაძეს, ერთადერთი შვილი მყავს და არ მომიკლაო. ამგვარი მუდარის მიუხედავად დედას შვილი თვალწინ მაინც მოუკლს. ამავე გვარდიელმა ვახტანგ გიორგაძემ, ასევე უმიზეზოდ მოკლა ქუჩაში მიმავალი ენუქი შონია. ეს გარეწარი მკვლელი

იკვეხნიდა, თურმე: მე-18-ე მეგრელი მოვკალიო. გოჩა ჯიქიას მშობლების მრავალწლიანი ბრძოლა-დავების შემდგომ მკვლელი ვახტანგ გიორგაძე, როგორც იქნა დააპატიმრეს.

5. 29 თებერვალს ქალაქ ზუგდიდში მოკლეს წალენჯიხელი 21 წლის სულხან სარია, რომელსაც 6 ტყვიამ გაურა სხეულში, დაჭრეს მისი ახლობელი ტარიელ სარია. ამ მკვლელობის შემსწრე ზუგდიდელი ტაქსის მძღოლი ლადო ესართია გამოექომაგა მოკლულეს, რის გამოც იგიც დახვრიტეს.

6. უბედურება დაატყდათ თავს ჩხოროწყუელ სვეტლანა და კარლო ბერულავებს. 1992 წლის თებერვალში, მათი ვაჟს, 19 წლის გია ბერულავას უმიზეზოდ გამოედევნენ ზუგდიდის ერთ-ერთ ქუჩაზე „მხედრიონელები“ და სადისტურად მოკლეს იგი.

7. 1992 წლის თებერვალშივე, ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ხაბუმეში, „მხედრიონელები“ გასაძარცვად შინ მიეჭრნენ აბო გულუას. მას თავს დაესხნენ და ფული მოთხოვეს, თუ არ მოგვცემ, ქალიშვილს (იგი 14 წლის იყო) გაგიუპატიურებთო, როგორც კი ქალიშვილს ხელი მოჰკიდეს, გამწარებული მამა მოძალადეებს ეცა, იგი ავტომატის ჯერით დახვრიტეს.

8. 1992 წლის 3 აპრილს, აბაშასთან, სამთავრობო შენაერთების ჯავშანტრანსპორტიორმა გადაუარა ავტომანქანას და შიგ ჩაჭეჭყა 17 წლის კესო ოდიშარია.

9. 1992 წლის 6 აპრილს წალენჯიხა–სქურის გზაზე მოკლეს საქ. რესპუბლიკის პრეზიდენტის პირადი მდივანი ლალი მაისურაძე.

10. წალენჯიხის რაიონის ქალაქ სქურში მხედრიონელებმა ზაურ და მერი გაბედავების ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის დროს მოკლეს მათი ქალიშვილი.

11. სოფელ სქურში გიგი კვარაცხელიას ჯიბეში რევოლვერი ჩაუდეს და რეპლიკაზე „მეგრელები არ უნდა გამრავლდესო“ – გაისროლეს.

12. წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოში მოკლეს ზ. შელიას მეუღლე, ორი შვილის დედა.

13. 30 მარტს სენაკში საპროტესტო მიტინგის დროს მოკლეს ორი შვილის მამა ავთო ელიავა.

14. აბაშაში დაცხრილეს ორი შვილის მამა ელვარდი ჭკადუა.

15. 19 მაისს სამტრედიაში მილიციის კურსანტებმა მოკლეს უდანაშაულო მამუკა ბექაია.

16. ივლისის დასაწყისში წალენჯიხაში მოკლეს ზაურ ზარქუა, სრულიად უდანაშაულო დედ–მამას გვამი არ მისცეს, ფული მოსთხოვეს.

17. წალენჯიხაში, ვაჩნაძის ქუჩაზე, ავტომატების კონდახების ცემით

სული ამოხადეს 28 წლის ბ. ფიფიას.

18. სენაკში, მხედრიონელები სახლში შეუვარდნენ ექიმ თამარ გამზარდიას და მოკლეს იგი.

19. ხობში გაჩერებაზე მდგომ, ზუგდიდელ (დაბა ზედა ეწერიდან) გენადი ბჟანავას მიმავალ მანქანიდან ესროლეს მხედრიონელებმა და მოკლეს.

მარტვილის რაიონში თითქმის ყოველდღე იძარცვება 4–5 ოჯახი, მიყავთ მანქანა, იტაცებენ საქონელს, ადგილი აქვს ფულის გამოძალვას.

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით
19.0.1992 წ.

1992 წლის 6 იანვარს, გია ჭანტურიასა და ვაჟა ადამიას შეიარაღებულმა რაზმებმა, სოფელ აღაიანთან ჩახოცეს ზუგდიდის ბატალიონის განიარაღებული ბიჭები, რომლებიც უზენაესი საბჭოს შენობიდან პრეზიდენტთან ერთად გამოვიდნენ და სამეგრელოში ბრუნდებოდნენ. სამეგრელოსა და სამტრედიის ბატალიონის წევრები, უზენაეს საბჭოში სულ 400-მდე იყო.

აბაშის რაიონის სოფელ წყემის დღევანდელი მდგომარეობა

იძარცვება თითქმის ყველა ოჯახი. მიჰყავთ საქონელი, მანქანები. გატაცებულ იქნა ლუკი ჯალაღონიას შვილი. ითხოვდნენ მილიონს. ეს პიროვნება იყო ერთ–ერთი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. მოქალაქე ლუკიმ დააკმაყოფილა ბანდიტების მოთხოვნა, რითაც იხსნა თავისი ვაჟიშვილის სიცოცხლე.

იმავე სოფელში ბანდიტებმა რომან მელიას წერილი შეუგდეს ოჯახში და მოსთხოვეს ფული. ბანდიტები წერილში ემუქრებოდნენ შვილის სიკვდილით. ამჯერადაც ბანდიტების მოთხოვნა დაკმაყიფლდა.

ამავე სოფლის მაცხოვრებელს სოხაძე ალეკოს გამოძალეს ფული, აგრეთვე წამოიყვანეს მისი ოთხფეხა საქონელი.

მოქალაქე ი. ბ. 1992 წ. 27 ივლისი

ინფორმაცია

საპატრიარქოს საგარეო განყოფილების მთარგმნელი ვინმე დოდო.... შევიდა პატრიარქთან და მოითხოვა „ზვიადისტების“ განდევნა საპატრიაქოდან.

საპატრიარქოს თანამშრომლები.

თბილისის წიგნის ფაბრიკაში უშიშროებიდან მოვიდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და მოითხოვეს ზვიადისტების სია.

აპრილის თვეში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის მოიტანეს შაქარი, რომელიც „ზვიადისტებს“ არ მიყიდეს.

უნივერსიტეტის თანამშრომლები

ინფორმაცია

ლიტერატურის მუზეუმის დირექტორმა პოეტმა იზა ორჯონიკიძემ განაცხადა, რომ იგი დაითხოვს ყველა თანამშრომელს და სექტემბრიდან მიიღებს ხელშეკრულებით მას, ვისაც საჭიროდ ჩათვლის.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მან რამოდენიმე ხნით ადრე აღნიშნა, რომ „ზვიადისტებისაგან“ გაწმინდავს დაწესებულებას – აქ კომენტარი საჭირო აღარ არის.

მუზეუმის თანამშრომლები

მოგონება

1991 წლის 21 დეკემბრის იმ საღამოს გვიანობამდე ვიყავი მთავრობის სასახლესთან. ძალიან დაძაბული იყო მდგომარეობა. ავტობუსები გვაშორებდა ჩვენ და „ოპოზიციას“ და მათ თანამოაზრეებს. მათ შორის იყო თენგიზ სიგუა. ისინი გვლანძღავდნენ, გვემუქრებოდნენ, გაჰყვიროდნენ „ჩაუშესკუ – ჩაუშესკუ“. ამ დროს მეგაფონით გამოაცხადეს, რომ მდგომარეობის განმუხტვის მიზნით თენგიზ სიგუასთან აგზავნიდნენ მის მეგობარს, თუ არ ვცდები პროფესორს (გვარი აღარ მახსოვს). რაღაც იმედი გაგვიჩნდა, მაგრამ, ამაოდ. სიგუამ გინებით მოგვიხსენია ჩვენც და ჩვენი პრეზიდენტიც და არავითარ მოლაპარაკებაზე არ დათანხმდა, რასაც შემდეგ მოჰყვა კიდეც ქვეყნის დაქცევა. საინტერესოა, ახლა მაინც თუ აცნობიერებს სიგუა, რა ბოროტება ჩაიდინა. მისი ბრძანებით ყოფილ

ცეკას შენობასთან მრავალათასიან მშვიდობიან მომიტინგეებს იანვარში ყინულივით ცივი წყალი მოგვიშვეს. თავით ფეხებამდე გალუმპულები ვიდექით, მაგრამ არცერთმა ფეხი არ მოვიცვალეთ. გამწარებულ ხალხს კიდევ შერჩენოდა იუმორის გრძნობა და ყვიროდა: „სიგუა პაჟარნიკ!“

მახსენდება ერთიც: ვაგზლის მოედნიდან საბჭოს ქუჩის გავლით მივედით კოლმეურნეობის მოედანზე, იქიდან თავისუფლების მოედანზე ვაპირებდით ასვლას, მაგრამ პუშკინის ქუჩის დასაწყისში დაგვხვდნენ შეიარაღებული ადამიანები და სროლა აგვიტეხეს. ადგილზე გავშეშდით. უცებ ერთ–ერთი ქალბატონი ფრთებგაშლილი მერცხალივით წავიდა წინ მარტოდმარტო. გვეგონა, ესროდნენ, მაგრამ ვერ გაბედეს. ჩვენც მივყევით. ეს ქალბატონი ლატავრა ფოჩიანი იყო. მადლობა მას!

რაც შეეხება 2 თებერვალს ცირკთან, ჩემს გვერდით ყავარჯნიანი, ხანდაზმული მამაკაცი მოდიოდა, სროლა რომ ატყდა, ასფალტზე დავწექით. ვხედავდით, როგორ გამოჰყავდათ დაჭრილ-დახოცილები – მამაკაცი გაჭირვებით წამოდგა, ყავარჯენი მოიმარჯვა და ტირილნარევი ხმით იყვირა: „მე მომკალით, თქვე არაკაცებო, ამ ბავშვებს რას ერჩითო?!!“ შემდეგ მარჯანიშვილზე წავედით. სროლა რომ დაგვიწყეს, ერთ ეზოში შევცვივდით. ქალბატონმა კარი გაგვიღო და თხუთმეტიოდე ადამიანი შინ შეგვიყვანა. ეზოში გამავალი ფანჯრიდან დავინახეთ, როგორ მისდევდნენ სხვებს ეზოში და ესროდნენ. ერთი მამაკაცი იქვე ფანჯარასთან დაეცა, მაგრამ მისაშველებლად ვერ გავედით. ჩვენს მფარველ ქალბატონს პატარა შვილიშვილი ჰყავდა და კარის გაღების უფლება აღარ მოგვცა. მადლობა მას, თორემ ჩვენც იქვე ამოგვხოცავდნენ. დაჭრილი თვითონვე წაიყვანეს, სად – არ ვიცი!

ირინე ქროღლიშვილი-ბუხაიძე

1992 წლის 21 დეკემბერი

მე და ჩემი მეუღლე წავედით მთავრობის სახლთან მიტინგზე. მიტინგი მიჰყავდა ბატონ ავთანდილ რცხილაძეს. სიტყვით გამომსვლელ ოპოზიციას მოუწოდებდნენ მშვიდობისაკენ, შერიგებისაკენ, პასუხად იქიდან მოდიოდა ლანძღვა-გინება, თითოეული გამომსვლელი მთავრობის ჩამოგდებით იმუქრებოდა. ირინა სარიშვილი გაიძახოდა, გამსახურდია არის შევარდნაძესთან ალიანსშიო, ის აუცილებლად უნდა ჩამოვაგდოთო. მოწინააღმდეგის მხრიდან ავთანდილ რცხილაძემ მოითხოვა ათი კაცი მოსალაპარაკებლად. იქიდან ირაკლი ბათიაშვილი გადმოვიდა. ირაკლიმ თხოვა ორივე მხარეს, მოლაპარაკების მომენტში ჩუმად ყოფილიყვნენ.

ჩვენი მხარე ჩუმად იდგა, მოწინააღმდეგე მხარე არ ჩერდებოდა. მხარეებს შორის იდგა სილით სავსე დიდი მანქანა. ოპოზიციონერებმა ამ მანქანის გაყვანა დააპირეს, ავთანდილ რცხილაძემ ეს რომ დაინახა, ქალებს გვთხოვა მარცხენა მხარეს გადავსულიყავით. ჩვენც ასე მოვიქეცით. მათ მაინც მოახერხეს და გაიყვანეს ის მანქანა. ორივე მხარე პირისპირ აღმოჩნდა. ატყდა დიდი ჩოჩქოლი. იმათ უნდოდათ პროვოკაციაზე წამოვეგეთ. ავთანდილ რცხილაძემ გვთხოვა ჩვენი მხრიდან არანაირი დაპირისპირება არ ყოფილიყო. ჩვენები ხმას არ იღებდნენ. მოლაპარაკება არ შედგა, რადგან ბათიაშვილის გარდა არავინ მოვიდა, ალბათ მათ მოლაპარაკება არ აწყობდათ, რადგან ომის დაწყება ჰქონდათ განზრახული.

მე და ჩემი მეუღლე ღამის 12–ის ნახევარზე წამოვედით იქიდან. მე ჩემს მეუღლეს ვუთხარი ესენი ამ საღამოს აუცილებლად სროლას აუტეხენ მთავრობას–მეთქი. მე მათ შორის რამოდენიმე ავტომატიანი შევნიშნე. ჩვენები უიარაღონი იყვნენ. მართლაც დილით დაიწყო ომი.

ა. ა.

თვითმხილველი

მე ვარ ერთ-ერთი მონაწილე იმ მიტინგების დარბევა–დახვრეტისა, რომელიც განახორციელა ხუნტამ 1992 წლის იანვარ–თებერვლის დღეებში.

შემთხვევით გავიგე, რომ მეტროს სადგურ „დიდუბესთან“, 3 იანვარს 12 საათზე დანიშნული იყო კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერთა მიტინგი. მე დანიშნულ ადგილზე მივედი 11 საათსა და 45 წუთზე. ხალხი უკვე შეკრებილი იყო. იქნებოდა ათასი კაცი. სიტუაციიდან გამომდინარე, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ მომიტინგეები სტიქიურად იკრიბებოდნენ, არ ჩანდნენ მოთავეები. მოულოდნელად შემაღლებულ ადგილზე, მეტროს მიწისქვეშა გამოსასვლელის მხარეს გამოჩნდა ქალბატონი მ. ნ. რომელმაც მეგაფონის გარეშე გახსნა მიტინგი. გაამხნევა ხალხი, აცნობა პუტჩისტების მიერ ალყაში მოქცეული პრეზიდენტისა და იქ მყოფ პირთა მიმართვა. სიტყვით გამოვიდა რამოდენიმე ორატორი. ყველამ გამოთქვა საშიშროება, რომ მოსალოდნელია მიტინგის დარბევა შეიარაღებული პუტჩისტთა ბანდების მიერ. მომიტინგეებმა ერთმანეთს აღუთქვეს არ დაშლილიყვნენ. მიუხედავად თოვლისა და სიცივისა მიტინგს ხალხი თანდათან ემატებოდა. ხუთიათას კაცამდე შეიკრიბა. მოულოდნელად მომიტინგეთა ზურგის მხრიდან, დაახლოებით 100 მეტრის დაშორებით გაჩერდა ორი მსუბუქი ავტომანქანა. ერთი თეთრი ფერის

გაზ–24 და მეორე რაფი. ორივე მანქანიდან გადმოცვივდნენ შავნიღბიანი სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულნი, დაახლოებით 10–11 ბანდიტი და მაშინვე გაისმა შეძახილები, რომ არც ერთი არ დაძრულიყვნენ და შეენარჩუნებინათ სიმშვიდე. მოულოდნელად ყოველგვარი მოწოდების გარეშე ყველამ ერთიანი ხმით შესძახა: „ძირს ხუნტა“, „ბანდიტებო, მკვლელებო“. კიდევ გაისმა ატვომატების ჯერი. ტყვიები უკვე ხალხთან ახლოს ცვიოდა, რაც იმის მიმანიშნებელი გახდა, რომ ბანდიტები უკვე ტყვიებს ხალხს უშენდნენ. დავინახე, როგორ დაეცა ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი, ვფიქრობ იგი მოკლეს. უიარაღო ხალხმა დაკარგა ყოველგვარი შიშის გრძნობა. მომიტინგეები შეძახილებით – „მკვლელებო“, „ბანდიტებო“ – ვეკვეთეთ ბანდიტებს. ზოგმა ქვას დაავლო ხელი, ზოგმა აგურს, ზოგმა რკინის ნაჭერს და დაუწყო სროლა შავნიღბიანებს. ისმოდა ავტომატების ჯერით სროლა. დავინახე როგორ დაიჭრა შუახნის ქალი ფეხებში და წაიქცა. ჩემს გვერდით წაიქცა შუახნის მამაკაცი, იქვე უსულოდ დავარდა ერთი ქალბატონიც, ცოტა მოშორებით კიდევ ახალგაზრდა და შუახნის მამაკაცი, რომელსაც შუბლში მოხვდა ტყვია. ხალხი მიიჭრა ბანდიტების ავტომანქანასთან. გაზ 24-ის მძღოლმა მოასწრო მანქანის ამუშავება და თავისი შეიარაღებული მკვლელებით მიმალვა. რაფის დაქოქვა მძღოლმა ვერ მოასწრო. გამძვინვარებულმა მომიტინგეებმა დარჩენილებს დაუშინეს ქვები, მანქანას ჩაუმტვრიეს მინები. ბანდიტები გადმოცვივდნენ მანქანიდან. ისინი კიდევ აპირებდნენ ტყვიის დაშენას, მაგრამ ხალხმა არ მისცა საშუალება. ორი განაიარაღეს, წაართვეს ავტომატი; მესამე მიიმალა, დანარჩენები გაუჩინარდნენ. ისმოდა დაკავებულების მიმართ შეძახილები: არ მოკლათ, მეორენი ჩაქოლვას მოითხოვდნენ. გამოჩნდა ჯავშნიანი მანქანა, რომელშიც ისხდნენ შეიარაღებული პირები. ისინი აცხადებდნენ, რომ იყვნენ მილიციის სამმართველოდან. ერთი ბანდიტი ხალხმა ჩააბარა მილიციის სამმართველოს აღნიშნულ თანამშრომლებს. მეორე, რამოდენიმე კაცმა წაიყვანა მეტროს შესასვლელისაკენ. ყოველივე ამას იღებდა ფოტოკორესპონდენტები, როგორც ჩვენი, ასევე უცხოელები. მომიტინგეები არ ცხრებოდნენ, ერთნი ამბობდნენ გაეგრძელებინათ მსვლელობა წერეთლის გამზირზე, რათა შეძახილებით ეცნობებიათ ყველასათვის მომხდარი ფაქტის შესახებ. მეორენი თავს იკავებდნენ და უაზროდ თვლიდნენ მსვლელობის დაწყებას. ბოლოს აღელვებულ ხალხში გაიმარჯვა მშვიდობიანი მსვლელობის გაგრძელების აზრმა. მიუხედავად მომხდარი საშინელებისა დემონსტრაციათა რიცხვმა იმატა. მსვლელობა დაიწყო წერეთლის გამზირზე. გამოფენასთან დემონსტრანტების წინ გაჩერდა ჟიგულის ტიპის ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდა სამი შავნიღბი-

ანი ბანდიტი და ხალხს ავტომატების ჯერი გაუხსნა. ხალხი შენობებს და ხეებს ეფარებოდა. ტყვიები ყურებთან ახლოს ზუზუნებდა. ჩემთან შორიახლოს ქალბატონს ნიკაპში მოხვდა ტყვია და ტუჩი გაუგლიჯა. გამოჩნდა დიდი სისწრაფით მომავალი ჯავშნიანი მანქანა, რომელშიც ისხდნენ მილიციის სამმართველოს თანამშრომლები. ჯავშნიანი მანქანა დაეჯახა ბანდიტების ჟიგულის ტიპის მანქანას, რომელიც წყობიდან გამოიყვანა. შავნიღბიანები მიიმალნენ. ახალგაზრდა ქალი, რომელსაც დროშა ეჭირა ხელში გამოვიდა პროსპექტზე და მოუწოდა ხალხს, დაძრულიყვნენ ვაგზლის მოედნისაკენ და იქ მშვიდობიანად დაშლილიყვნენ. ყველანი მოგროვდა გამზირის შუანაწილში და განაგრძეს მშვიდობიანი მსვლელობა. ამას ყველაფერს ვიდეოკამერებით იღებდა ორი უცხოელი კორესპოდენტი. როგორც ხალხისაგან შევიტყვე, ავტომატის ტყვიით მათ კამერა დაუზიანეს. უკვე ბნელდებოდა, როცა დემონსტრანტები მეტრო წერეთელთან მივიდნენ. მეტრო წერეთელსა და დინამოს სტადიონს შორის დემონსტრანტებს ისევ დაუშინეს ავტომატის ტყვიები. ისროლეს ცრემლსადენი ყუმბარები. მედროშე ქალი დაჭრეს. ხალხს არ მისცეს მსვლელობის საშუალება. ბანდიტები ისროდნენ სახლების სახურავებიდან. ხალხი იშლებოდა. ზოგი მეტროში ჩადიოდა, ზოგი ეზოებში იმალებოდა. მე სახლში წამოვედი თავიდან ბოლომდე სისხლში ამოსვრილი, დამცირებული, შეურაცხყოფილი, მოძმისაგან განადგურებული.

ზ. ასანიშვილი

თვითმხილველის ნაამბობი

1992 წლის 22 დეკემბერს, დილით 8 საათსა და 15 წუთზე ოპოზიციამ დაიწყო თავდასხმა მთავრობის სახლზე.

19, 20 და 21 დეკემბერს მდგომარეობა ძალიან დაიძაბა. ოპოზიცია მოდიოდა და ლანძღავდა პრეზიდენტსა და პარლამენტს. სიგუამ 19–სა და 21 დეკემბერს პრეზიდენტს უწოდა „კურდღელი“, „მშიშარა“, „მატყუარა“. ისინი მოდიოდნენ ტელევიზიიდან მოპარული რადიომანქანით, გვლანძღავდნენ ყველას, ვინც იქ ვიდექით. სიგუას 21 დეკემბერს ჭითანავამ მოუწოდა შერიგებისაკენ, მაგრამ ამაოდ. ოპოზიციამ ჩვენს გვერდით მდგომ მღვდელმთავარს მამა – თადეოზ უწოდა „იუდა“.

22–ში დილით რვის ნახევარზე აიყვანა ოპოზიციამ ავთო რცხილაძე და ჩასვეს მანქანაში, შემდეგ ჩაკეტეს მეტრო „თავისუფლების მოედანი“. მთავრობის სახლთან მდგარი ავტობუსები და კამაზები გაათრია ოპოზიციამ საამისოდ მოყვანილი მანქანებით. ხალხი, რომელიც ღამეებს იქ

ვათევდით სამი ღამის განმავლობაში, შევცვივდით მთავრობის სახლის შესასვლელში და ვუთხარით რაც მოხდა, გამოვიდა ჭელიძე, გვენცაძე. მთელი ღამე გვენცაძე გვამშვიდებდა, რომ ყველაფერი კარგად არის, რომ საშიშროება არ მოგველის და სხვა. შემდეგ გამოვიდა შინაგანი ჯარის ბიჭები, ისინი დააყენეს კიბეებზე უიარაღოდ. ე. ი. წინა ხაზი იყო უიარაღო, შემდეგ გამოვიდა გვარდიის ბიჭები, მათ ყველას ავტომატები ზევით ჰქონდათ აშვერილი და ისე იდგნენ. გვენცაძე გამოვიდა და ჩავიდა კიბეებზე, ჯერ სროლა არ იყო დაწყებული, მე მას კარგად ვხედავდი, წავიდა ოპოზიციის მიმართულებით, როცა სროლა დაიწყო მე ვიდექი მთავრობის სახლის სვეტების უკან. ხალხი შეცვივდა შესასვლელებში, იქ შეიქმნა სრული ქაოსი. უკვე ვეღარ აკონტროლებდნენ ვინ შედიოდა მთავრობის სახლში. მე ვეღარ გავიქეცი და დავრჩი სვეტის უკან, შემდეგ რამდენიმე ხანს შეწყდა სროლა და გავიხედე სროლის მიმართულებით. დავინახე სამხატვრო სახლის წინ მდგომი, მწკრივად რამდენიმე ათეული კაცი სათვალეებში და ავტომატებით, რომლებსაც ავტომატები ჰქონდათ გამოშვერილი, ჰორიზონტალურად. მე შევბრუნდი სასახლისაკენ, იქ ვიჯექი დიდხანს, დაახლოებით ერთ საათზე მეტი. ჩვენი გვარდიის ბიჭები იძახდნენ იარაღი არ გვაქვსო, შემდეგ ვნახე, რომ ტანკი, რომელიც ეზოში იდგა ადგილიდან ვერ დაძრეს, ვერ აამუშავეს, აწვებოდნენ ზურგიდან, ხოლო ბეტეერს სახურავი ჰქონდა დაშვებული, ასევე ეძებდნენ ტანკისთვის თუ ბეტეერისთვის ზეთს და სალიარკას. ამოღებულიაო – ამბობდნენ გვარდიელები.

10 საათსა და 30 წუთზე დაუშინეს მთავრობის სახლს ყუმბარები, საშინელი ხმა ჰქონდა, მეგონა ყურები გამისკდებოდა, როცა მტვერი გაიფანტა დავინახე პრეზიდენტის შესასვლელი, სადაც წაქცეული იყო აჩიკო რამიშვილი. მე ამ დროს სულ მარტო ვიდექი 50 მეტრის დაშორებით. ყუმბარების სროლა გახშირდა, რამდენჯერმე ესროლეს მთავრობის სახლს. 12–საათისათვის რამოდენიმე ქალი მოვიდა საიდანღაც და ერთი კაცი, მათ იცოდნენ გადასასვლელი, შევედით შიგნით შენობაში, ავედით სულ ზემოთ და შემდეგ უკანა მხრიდან, პირველ სართულიდან გადაგვახტუნა შენობაში მყოფმა მილიციამ. შემდეგ ავედით ჩიტაძის ქუჩაზე და ძველ ცეკას შენობასთან, იქ ვიყავით უამრავი ხალხი. ჩვენ ყველანი ვხედავდით თუ როგორ ურტყამდნენ მთავრობის სახლს წინა მხრიდან ყუმბარებს. იდგა საშინელი მტვერი, ცეცხლის სუნი. მე და არც ჩემს გვერდით მდგომთ არ გვინახავს რ. გვენცაძის დაჭრა.

რ. პ. ინჟინერი

არაგვისპირელის ქ. №19

თვითმხილველის ნაამბობი

1992 წლის ორ თებერვალს ვიყავი სადგურის მოედანზე მიტინგზე. იქ იყო დაახლოებით 300 ათასი კაცი. შემდეგ მსვლელობით წავედით „დროებითი მთავრობის“ სამყოფელისაკენ, რათა გვეთქვა, რომ გადამდგარიყვნენ. ასეთი მსვლელობა გვქონდა პირველ თებერვალსაც. ეს იყო უკვე რიგით მე–5 მსვლელობა სისხლიან მთავრობასთან. როცა მივედით ცირკთან, გზა გადაგვიღობა სახანძრო მანქანამ და ავტომატიანებმა. ისინი ისროდნენ ზევით, ხოლო ფერდობებიდან დაიწყეს სროლა პირდაპირ ხალხზე. ვხედავდით კიდეც როგორ გვესროდნენ, ადგილზე მოკლეს ბავშვი, რომელიც მამას ცირკში მიჰყავდა და კისერზე ეჯდა. მოკლეს იქვე ერთი გოგონა და ერთი ბიჭი. დაჭრეს უამრავი. თითქმის 15–20 წუთი გვესროდნენ ავტომატიანები ფერდობებიდან, სახეზე ჰქონდათ აფარებული ნიღბები. შემდეგ აწიოკებული ხალხი შევგროვდით კინოსტუდიასთან და წავედით დავით აღმაშენებლის გამზირით. როცა მივედით მეტრო „მარჯანიშვილთან“ ხალხი გაგვყვეს შუაში და დაგვიშინეს ტყვიები, დაგვიშინეს ბეტეერიდან, რომელიც წამოვიდა მარჯანიშვილის თეატრის ტერიტორიიდან. პირდაპირ ხალხზე ისროდნენ მაღალი სახლების სახურავებიდან, კარაბინებიდან და ტყვიამფრქვევებიდან. მე შევვარდი ეზოში. აქ იყო უამრავი ხალხი. შემოვარდნენ ეზოში და ისროდნენ ყველა მიმართულებით. დაჭრეს უამრავი ხალხი. სადაც ვიყავით იმ ბინიდან დავრეკეთ სასწრაფოში, რათა წაეყვანათ დაჭრილები. ასევე მისდევდნენ ხალხს სხვა ეზოებშიც, მეტროშიც. თითქმის ყველგან, სადაც ხალხმა თავი შეაფარა. იყვნენ ჩაცმულები შავ თბილ ქურთუკებში, შავი ჩამოფხატული ქუდებით. ქართველების ხოცვა მიმდინარეობდა თითქმის მთელი საათის განმავლობაში.

მ. ვ. ინჟინერი

თვითმხილველი

უამრავი ხალხი მოვიდა 2 თებერვალს ვაგზლის მოედანზე. მიტინგი ორი საათის განმავლობაში მიდიოდა. შემდეგ მომიტინგეები მწყობრად ყოველგვარი ექსცესების გარეშე დავუყევით სადგურის ქუჩას. დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ, როგორც მოხუცები ისე ახალგაზრდები, ზოგს სახლიდან ბავშვებიც ჰყავდათ წამოყვანილი. ცირკს რომ მივუახლოვდით მანიფესტაციის უკან მოვიხედე, ბოლო არ უჩანდა, იქნებოდა 150 000 კაცი. დემონსტრანციის ფინიში მთავრობის სასახლე და ყოფილი ცეკას შენობა უნდა ყოფილიყო. მომიტინგეებს ჰქონდათ ლოზუნგები:

„მოვითხოვთ კანონიერების აღდგენას“, „გაანთავისუფლეთ პოლიტპატიმრები“, „ქართველი ხალხი თქვენთანაა, ბატონო ზვიად“, „ძირს სისხლით მოსული მთავრობა“, „ძირს ხუნტა,“ „შევარდნაძე იუდა“, „ძირს სიგუა“, „პუტჩისტებო, წადით საქართველოდან“, პლაკატები იყო წარმოება-ორგანიზაციებიდან. ისინი მომიტინგეებს უერთდებოდნენ, პლაკატები იყო ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე შესრულებული. მობინადრეები დიდი მოწონებით და ოვაციებით გვხვდებოდა, სახლებიდან გვიფრიალებდნენ დროშებს, გვიკრავდნენ ტაშს, ჰაეროვან კოცნას გვიგზანიდნენ. სახანძრო მანქანის გამოჩენამდე, ხუნტის სამხედრო ნაწილები სადგურის ქუჩის მხრიდან აპირებდნენ ჯავშნიანი მანქანით შემოჭრას. ორჯერ მოადგა ბეტეერი ხალხს, ხალხმა აღმართა ცოცხალი კედელი და არ მისცა საშუალება სადგურის მოედანზე შემოსვლის და მიტინგის დარბევისა, ამის შემდეგ მომიტინგეებმა გააჩერეს ავტობუსები და გადაკეტეს სადგურის ქუჩიდან შემოსასვლელი გზა.

მედროშეები გავიდნენ სადგურის ქუჩაზე და ნელი ნაბიჯით წავიდნენ გმირთა მოედნის მიმართულებით, მსვლელობა იყო მშვიდობიანი და საპროტესტო, არც ერთი ლოზუნგი და შეძახილი არ ატარებდა აგრესიულ ხასიათს. მივუახლოვდით გმირთა მოედანს, გზა ორვაგონიანი ავტობუსებით დაგვხვდა ჩახერგილი. ავტობუსების მეორე მხარეს გვარდიელები დავინახეთ. ხალხი მოითხოვდა გზის განთავისუფლებას. ხალხი აჩოჩქოლდა, გაისმოდა შეძახილები „მკვლელებო, ძირს სისხლიანი ხუნტა, საქართველო, საქართველო, ძირს შევარდნაძე, ძირს სიგუა“. ავტობუსების იქითა მხარეს მოადგა სახანძრო მანქანა, რომელმაც დემონსტრანტებს მიუშვა წყალი. ხალხმა ტაში დაუკრა. ამ დროს გავარდა პირველი ავტომატის ჯერი. მე შევნიშნე, რომ ფოტოკორესპოდენტთან მდგარი ავტომატიანი კაციც ისროდა, იგი ისროდა მაღლიდან. სწორედ იქიდან გამოსროლილმა ტყვიამ მოკლა ცირკის მხარეს ავტობუსის კუთხეში მდგარი პიროვნება, რომელიც იქ თავს აფარებდა. შუახნის მამაკაცს ხელში ეჭირა დაჭრილი ბავშვი და მირბოდა. ბავშვი უგონოდ იყო, იქნებოდა ექვსი წლის. გრძელდებოდა ავტომატების კაკანი. ტყვიები ახლოს ზუზუნებდა, ყველა ნელ–ნელა ვიხევდით უკან. ორ ახალგაზრდას დაჭრილი მიჰყავდათ თამარის ხიდისაკენ. დაჭრილს ნაკადად მოედინებოდა სისხლი, იგივე მდგომარეობაში მოჰყავდათ სხვა დაჭრილი, ეძებდნენ მანქანებს დაჭრილების წასაყვანად. ხალხი აქეთ–იქით აწყდებოდა, არ იყო საშუალება დაჭრილებისათვის პირველი დახმარების გაწევისა. აღელვებული მომიტინგეები მოგროვდა კინოსტუდიასთან, მოედანზე ყველა მოითხოვდა მსვლელობის გაგრძელებას. ჩვენ მსვლელობა განვაგრძეთ. მაცხოვრებლები

ფანჯრებზე და აივნებზე იყვნენ გადმომდგარი. მათ სახეებზე იგრძნობოდა თანაგრძნობა. ზოგი ტიროდა, ზოგი ხელს გვიქნევდა, ზოგი დროშას გვიფრიალებდა. მანიფესტანტებმა გეზი მარჯანიშვილის ქუჩისაკენ აიღეს. როდესაც მივუახლოვდით უნივერმაღს, კვლავ ატყდა ავტომატების სროლა, ხალხი პანიკამ მოიცვა. ჩვენსკენ წამოვიდა ბეტეერი, რომლის ტყვიები ცელავდა ხალხს, ასფალტზე სისხლის გუბეები დადგა, ზოგი დაიჭრა, ზოგს უკვე სიცოცხლის ნიშან–წყალი აღარ ეტყობოდა. ხალხი ეზოებში და მაღაზიებში შეცვივდა, კედელ–კედელ გამოვედით. მე ჩემ მეგობართან ერთად გავედი ლენინგრადის ქუჩაზე. გარეთ ისმოდა ავტომატების და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის ხმა. ვიღაცის ოჯახს შევაფარეთ თავი სამი საათის განმავლობაში.

ზ. ასანიშვილი

დაჭრილი 2 თებერვალს
ყიფიანი მურთაზი, 50 წლის

დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების შემდეგ საქართველოში და კერძოდ თბილისში იმართება პრეზიდენტის მხარდამჭერი მშვიდობიანი მიტინგები და მსვლელობები, რომელიც იკრძალება ე. წ. სამხედრო საბჭოს მიერ, რომელიც არ ერიდება მომიტინგეთა ფიზიკურ განადგურებას, იყენებენ ცეცხლსასროლ იარაღს და სამხედრო ტექნიკას, არ ერიდებიან არავითარ პროვოკაციას საკუთარი ხალხის მიმართ. ასე მოხდა 1992 წლის 2 თებერვალს, როდესაც რკინიგზის ვაგზლის წინ მდებარე მოედანზე შეიკრიბა ხალხი 100 000–მდე, რომლებიც მშვიდობიანი მსვლელობით დაიძრა თამარ მეფის გამზირით გმირთა მოედნის მიმართულებით რუსთაველის გამზირისაკენ. ცირკის მიდამოებთან გზა ჩახერგილი იყო ავტობუსებით, რომლის მეორე მხარეს იყო სახანძრო მანქანა, „ბტრ“-ები და ავტომატიანები. ავტომატებით პირდაპირ ესროდნენ ხალხს. დაჭრილთა დასახმარებლად შემოვიდნენ სასწრაფო დახმარების მანქანები. ხალხზე მიუშვეს წყალიც, მაგრამ ხალხი ადგილიდან არ იძროდა. მე ამ მომენტში ვიყავი ავტობუსებთან, რომლითაც გზა იყო ჩახერგილი, შემდეგ დაიწყო სროლა ცირკის ორთავე ფერდობიდან, ჩემთან ახლოს იყო პატარა ბიჭი ჯვრით ხელში, რომელიც პირველი გასროლისთანავე დაეცა. დაიჭრა ჩემი ამხანაგი ამირა კვიწინიძე ფეხებში – 4 ადგილას. დავიჭერი მეც მუცლის არეში არეკლილი ტყვიით, შემდეგ ხალხი აირ-დაირია. შემდეგ შევიკრიბეთ და წავედით დ. აღმაშენებლის

გამზირით, სადაც მოაწყვეს ნამდვილი ქართველთა სასაკლაო. ისროდნენ მაღალი სახურავის სახურავებიდან. ხალხი თავს აფარებდა მაღაზიებსა და ეზოებს, კინოთეატრებში, მეტროში. ხალხს დასდევდნენ ყველგან – ეზოებში, კინოთეატრებში. დაჭრილებთან არ უშვებდნენ სასწრაფო მანქანებს. მე ვიდექი მარჯანიშვილის მოედანზე გასტრომთან. ავტომატიანებს ვუთხარი არ ისროლოთ-მეთქი, მათ კი პირდაპირ მოგვიშვეს ცეცხლი. დავიჭერი მეორედ მარცხენა ხელში, დამემსხვრა ძვალი და სამუდამოდ დავინვალიდდი. როგორც იქნა მიმიყვანეს საავადმყოფოში მეორე დაჭრილ ოთარ გარსევანიძესთან ერთად. ისიც ხელში იყო დაჭრილი.

მ. ყ. მექანიკოსი
თბილისი

ს ე ნ ა კ ი

1992 წლის 18 მარტი

სენაკში პირველი საათისათვის მიტინგი იყო დანიშნული კინო-თეატრ რუსთაველთან. შეგროვდა დაახლოებით 1000 კაცამდე.

მოულოდნელად ორი იკარუსი გაჩერდა, საიდანაც ჩამოვიდნენ ავტომატიანები, შავ ტანსაცმელში ჩაცმულები, შავი სათვალეებით.

ისინი საცხოვრებელი სახლის სართულებზე იყურებოდნენ, შემდეგ დაიწყეს სროლა ხალხის მიმართულებით. იგინებოდნენ, ხალხს ფეხდაფეხ მისდევდნენ, ამოგხოცავთ, სუყველას, ცოცხალს არცერთს არ გაგიშვებთო. ხალხი წივილ–კივილით გარბოდა, ზოგი ეცემოდა, იყვნენ ბავშვიანებიც. დაცხრილეს კინო-თეატრის შენობა. ამ არეულობაში, როგორც შემდეგ გავიგეთ, დაიჭრა სამი კაცი და გარდაიცვალა ერთი. დაჭრილებს შორის იყო ერთი გოგო, რომელსაც ფეხებში ესროლეს დედის წინ. დედა უცნობ ახალგაზრდა ბიჭს ესარჩლებოდა, როცა დაუჭრეს საკუთრი შვილი. როგორც შემდეგ გავიგეთ, ესენი ყოფილან გია ყარყარაშვილის ძმის ჯგუფის წევრები.

მოქალაქე დ. კ.

ს ე ნ ა კ ი

როდესაც თბილისში სამხედრო გადატრიალება მოხდა და იარაღის ძალით დაამხეს საქართველოს კანონიერი ხელისუფლება სენაკშიც დაიძაბა მდგომარეობა. აღელვებული ხალხი ყოველდღე მიტინგს აწყობდა და მოითხოვდა კანონიერი პრეზიდენტისა და ხელისუფლების დაბრუნებას. მეც პროტესტს ვუცხადებდი ხუნტას. სენაკში „მხედრიონის“ ბან-

დები შემოვიდა, მათ ააოხრეს ქალაქი, დაბანაკდნენ ქალაქის ცენტრში და ყოველივე ღირსშესანიშნავი შენობა გაანადგურეს. სენაკელები მიტინგებს მაინც ვმართავდით, რომელსაც „მხედრიონელები“ იარაღით არბევდა. აღელვებული ხალხი სახლში ვერ ჩერდებოდა და ქუჩებში გამოდიოდა. 1992 წლის 13 მარტს „მხედრიონელებმა“ დახვრიტეს მიტინგი, მოკლეს ერთი და დაჭრეს ხუთი. მე ჩემს ნაცნობ ქალბატონთან ერთად წავედი სენაკის საავადმყოფოში დაჭრილების სანახავად, ისენი ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. „მხედრიონელების“ შემოსვლის გამო სენაკის მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან გვძარცვავდნენ და გვაყაჩაღებდნენ. იყო გაუპატიურების შემზარავი ფაქტებიც.

მასწავლებელი ლ. მ.
1992 წ. 6 აგვისტო.

ჩვენო სათაყვანებელო შვილებო, ძმებო, მამულიშვილნო!

არ იფიქროთ ვინაიდან ჩემი შვილები თქვენს გვერდით არ არიან, ჩვენ არ ვფიქრობდეთ, არ ვდარდობდეთ და სულიერად თქვენთან არ ვიყოთ. უფალმა მოგცეთ ძალა და მოთმინება გაუძლოთ იმ საშინელებას, რომელშიც თქვენ ხართ. გვიყვარხართ, ვეხვეწებით ღმერთს თქვენს დღეგრძელობას, თქვენ ჩვენი ერის მხსნელები ხართ. მე კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერი ვარ, რომელსაც 21 წლის მშვიდობიანი მომიტინგე გივიკო რეხვიაშვილი, ჩემი შვილი მომიკლეს 3 იანვარს. გარწმუნებთ, რომ იგი თქვენს რიგებს დაამშვენებდა თავისი მამულიშვილური სინდისით და ვაჟკაცობით. და აი ისევ ვიღაც თქვენთაგანმა (მაპატიეთ შვილებო ბრალდებისთვის) გაისვარა ხელები ჩემი შვილის სისხლში. უნუგეშოა ჩემი მდგომარეობა ამ მხრივ და თქვენთაგანი თუ ვინმე არის ან დასავლეთ საქართველოში, ან თბილისში თანამემამულის სისხლით გასვრილი – შეგინდოთ ღმერთმა!!!

ქედს ვიხრი დაღუპულთა წინაშე და თქვენი მშობლების წინაშე. ერთი რამ დაიმახსოვრეთ ჩემგან პირადად: არც ერთი ბრძანება არ ამართლებს მის შემსრულებელს, თუ ეს ბრძანება ადამიანის მორალს ეწინააღმდეგება. ერთხელ გივიკოს შევთავაზე იარაღით გასვლა მიტინგზე, მან კი მიპასუხა, კი წავიღებ, მაგრამ ვის ვესროლოო?

მაპატიეთ მცირე ამანათისათვის, ჩემი გივიკოს გარდაცვალების შემდეგ ჯანმრთელობა შემერყა, მაგრამ იცოდეთ, რომ თუ რამე რომელიმეს დაგჭირდეთ ჩემგან დახმარების მხრივ მიგულეთ თქვენი ძმის დედად და მე თქვენთან ვიქნები სიხარულშიც და (გარიდოთ უფალმა) გასაჭირშიც. მიგულეთ თქვენს დედად, დად! იცოცხლეთ ბიჭებო!!! ღმერთმა მოგცეთ სიმართლის, პატიოსნების, ერთგულების, თავდადების გული, ყური და თვალი.

თქვენი ჟანა დეიდა
გივიკო რეხვიაშვილის დედა
25.06.92 წ. თბილისი

თვითმხილველი

1991 წლის 4 – ოქტომბერს ღამით ვიყავი თვითმხილველი იმ ტრაგედიისა, რომელიც მოხდა 5 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის შენობასთან. ჩემი შვილი ვარაზი ვარაზაშვილი იყო წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი 1987 წლიდან. მე, დედა კლარა შედანია, ყველანაირად ვუწყობდი ხელს ვარაზის და თანავუგრძნობდი. ვიღებდი არჩევნებში მონაწილეობას, ვიყავი კომისიის წევრი 28.X.ს, 31 მარტს და 26 მაისს. საერთოდ ჩემი შვილის გვერდით ვიდექი ყოველთვის. მე მჯეროდა ვარაზის სიმართლის, პატიოსნების, ქართველობის.

ასე, რომ 1991 წლის 4.X.-ს სამსახურის შემდეგ ჩამოვედი მთავრობის სახლთან, ჩემი შვილიც იქ იყო. ხალხი მრავლად იყო, იყო სჯა-ბაასი ოპოზიციის საქციელზე. რუსთაველი გადაკეტილი იყო ლოდებით, აგურებით, რკინებით, ბეტონის ფილებით, ნანგრევებით და სხვა. ვთხოვეთ ირაკლი წერეთელს გაესუფთავებიათ და გაეხსნათ გზა, მაგრამ ამაოდ. მათ დაიწყეს მიტინგი, როგორც ყოველთვის პრეზიდენტის ლანძღვით და პარლამენტის გინებითა და მოთხოვნით: გადადგეს პრეზიდენტი, დაიშალოს პარლამენტი. ყოველნაირი სიტყვებით მიმართავდნენ პრეზიდენტს (იუდა, ჩაუშესკუ). მათთან ერთად იყვნენ: სიგუა, შენგელაია, ჩარკვიანი, ნათაძე, შაკიაშვილი, ორჯონიკიძე, მიქაბერიძე. ისინი მიიწევდნენ მთავრობის სასახლისაკენ, ეჯაჯგურებოდნენ ავტობუსებს, რომლებიც იცავდა მთავრობის სახლს. პრეზიდენტი თავის დამცველებს მოუწოდებდა არ აყოლოდნენ პროვოკაციას. ბოლოს გამოვიდა ავთანდილ რცხილაძე და ვახტანგ ჭითავა. სთხოვეს მათ მოლაპარაკება. თ. სიგუამ მოლაპარაკებაზე უარი განაცხადა. ისევ სთხოვეს, ისევ კატეგორიულ უარზე იყვნენ. ღამის 11 საათი გახდა. მდგომარეობა იძაბებოდა. ჩემმა შვილმა მთხოვა სახლში წადიო, მაგრამ არ წამოვედი. სიტუაცია უფრო დაიძა-

ბა. ავტობუსებს ამტვრევდნენ, შეტევაზე გადადიოდნენ. გახდა 12 საათი. პრეზიდენტი მოუწოდებდა ხალხს სიმშვიდისაკენ. ოპოზიციას, კვლავ დიალოგისკენ. გამოვიდა პრეზიდენტი ბოლოს ორი ბიჭის ამარა და დაეშვა სასახლის კიბეებზე. ხალხი ტელემანქანასთან გადავუდექით პრეზიდენტს და არ გავუშვით, მოვაბრუნეთ. დაიწყეს სროლა. დაგვაყარეს ტყვიების წვიმა, დარწმუნებული ვარ, რომ ორი წუთით ადრე, რომ დაეწყოთ სროლა პრეზიდენტს მოგვიკლავდნენ. სკოლის წინ ხალხი ერთმანეთს ესროდა: ქვას, რკინას, აგურს, კეტს. დაზიანდა და დაიმტვრა ყველაფერი.. ბედად არავინ დაიღუპა. იქვე იყო სასწრაფო დახმარების მანქანა, უწევდნენ დახმარებას ან მიჰყავდათ საავადმყოფოში, 4 საათზე სროლა ისევ დაიწყეს. ჩვენ ქალები შიგნით ვიყავით პრეზიდენტთან. სროლის განახლებისთანავე გამოვედი გარეთ; რადგან შვილი კარავთან იყო და მე შიგნით ვერ გავჩერდებოდი. გია ტეტელაშვილი ოპოზიციის ტყვიამ სასიკვდილოდ დაჭრა. იგი ჩემმა შვილმა ვარაზმა და სამმა სხვა ბიჭმა კიბეზე ლეიბზე დაწვენილი ამოგვიყვანეს. გია ტეტელაშვილი დაიღუპა ჩემს თვალწინ. 6 საათსა და 30 წუთზე ისევ დაიწყეს სროლა მოწოდებით: „შტურმით ავიღოთ მთავრობის სახლიო“ – პრეზიდენტმა ტელევიზიით გააკეთა მოწოდება მოსახლეობისადმი. თხუთმეტ წუთში მოგროვდა ათიათასობით ადამიანი.

მე, ზემოთ მოგახსენეთ, რომ ჩემ შვილთან ერთად სულ ვიყავით პარლამენტის შენობის წინ და 22 დეკემბერს იქ გახლდით. სიტუაცია იყო მეტად დაძაბული. რამოდენიმეჯერ იყო მცდელობა პარლამენტზე თავდასხმის და ხალხი არ ტოვებდა იქაურობას. პრეზიდენტის მომხრეებმა ჩაატარეს მიტინგი, რომელსაც ალბათ 200 ათასზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. პარლამენტის მხრიდან იყო თხოვნა დიალოგზე წასვლის, მაგრამ სიგუა ჩახლეჩილი ხმით უარობდა შეხვედრას, ლანძღავდა პრეზიდენტს, ფლიდსა და მატყუარას ეძახდა. დაიქადნა, სტალინის დაბადების დღეს გამსახურდიას ჩამოვაგდებთ და შტურმით ავიღებთ შენობასო. ავტობუსებისგან შემოსასვლელი გზები გაანთავისუფლეს. პარლამენტი ვერაფერ ზომებს ვერ იღებდა. გათენდა 22 დეკემბერი, დილის 7 საათზე ოპოზიციამ გახსნა ცეცხლი პარლამენტის შენობაზე. ხალხი შეთხელებული იყო, მოკლეს სამი ადამიანი პარლამენტის წინ, დაფლითეს ეროვნული დროშა პრეზიდენტის ფანჯარაზე. 8 საათზე ჩემ თვალწინ დაჭრეს რომან გვენცაძე მსუბუქად ფეხზე. გასროლა იყო ქაშვეთიდან. პირველი გასროლა სწორედ იქიდან იყო. მე ვიყვირე უშველეთ–მეთქი და ერთი ახალგაზრდა მივიდა მასთან და იგი გაიყვანა ზემოთ. 9 საათისთვის შეწყდა სროლა. მე შენობისკენ გავიქეცი, კიბეებზე არჩილ რამიშვილი მომეგება

და შენობაში შემაგდო. თვითონ გარეთ დარჩა. რომ შევედი ვარაზი შიგნით იყო, ერთი საათის შემდეგ ვარაზმა მითხრა: „აჩიკო დაჭრესო“. მე დაჭრილების დასახმარებლად პალტო გავიხადე და სასწრაფოდ დავიწყე შეხვევები... 11 საათზე ვარაზი აღელვებული მოვიდა და მითხრა „დედა აჩიკო დაიღუპაო“. გაძლიერდა სროლა გარედან. მე და ჩემი შვილი ვიყავით შენობაში. იჭრებოდა ხალხი, ვახვევდით და სასწრაფოს ვაწვდიდით დაჭრილებს. შესახვევი მასალაც აღარ გვქონდა.

ვხევდით ყველაფერს სისხლის შესაჩერებლად. 10 საათი იყო. ღამე სროლა ცოტათი შეწყნარდა. ვარაზი მოვიდა და მითხრა: „დედა წადი შენ სახლშიო“, ორივე დავიკარგეთ და შეშინდებიანო, მე უარი ვუთხარი. აქაც საჭირო ვარ-მეთქი, არ გამაჩერა, მაშინ ვუთხარი შენც წამოდი-მეთქი. – მეც წავიდე, ისიც წავიდეს, აქ ვიღა დარჩესო? ტყვიის ქვეშ გამოვედი. ეს იყო ჩვენი ბოლო საუბარი. მერე ჩემი შვილი ცოცხალი არ მინახავს. 23 დეკემბერს მე ისევ მეტროსთან ვიდექი, უზენაესამდე ვერ მივაღწიე, კიტოვანისა და ვაჟა ადამიას ტყვიებს ვერ გავექცეოდი, ისინი განუწყვეტლივ ისროდნენ, დაუნდობლად ანგრევდნენ შენობებს, სწავდნენ, კლავდნენ. მე კი ვუცდიდი მომენტს, რათა მომეხერხებია ჩემ შვილამდე მისვლა. 13 საათისათვის, მაშინ როცა მე მეტროსთან ვიდექი, კავშირგაბმულობის შენობიდან ნასროლ ტყვიას ჩემი ვარაზი მოეკლა... ასე დამთავრდა 23 დეკემბერი ჩემთვის.

კლარა შედანია

რა მოხდა 4 ოქტომბერს ღამით

<u>ლაპარაკობენ თვითმხილველები</u>

ავთანდილ მეტრეველი – სანამ ღამით ის ავბედითი სამი შეტაკება მოხდებოდა, დაძაბულობა, პოლიტიკურად ურთიერთდაპირისპირებული, მტრულად განწყობილ ქართველთა გათიშულობა, უკვე დღითიდღე გამოიკვეთა, როცა რუსთაველის პროსპექტზე პირისპირ მდგარი ქართველები ლანძღვა–გინებით უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს. მიტინგებიც გაიმართა, დიალოგის ცდაც იყო, მთავრობის წარმომადგენლებმაც მიიღეს ამ საქმეში მონაწილეობა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. მოწინააღმდეგენი სულ უფრო და უფრო წინ მიიწევდნენ, მხატვრის სახლთანაც მოვიდნენ, მაგრამ ხალხმა პრეზიდენტის დაცვის მხრიდან იმარჯვა და გააძევა. თითქოს ღამის ათი საათისათვის მდგომარეობა მოგვარდა, მაგრამ შუაღამისას ვითარება კვლავ გამწვავდა. „ოპოზიციონერმა“ მომხდურებმა მოიყვანეს ორი „იკარუსი“ და ერთი „ლაზი“. ჩვენებმა მთავრობის სახლის

მხრიდან ორი სახანძრო მანაქანიდან წყლის გაშვება სცადეს, მაგრამ ვერ მოახერხეს, ამ დროს გაისმა სროლის ხმა, მაგრამ რომელი მხრიდან იყო, ვერ გავარკვიე.

მამია ლუტიძე – როცა ჩვენი სახანძრო მანქანა ორმოცდაათიოდე მეტრით რუსთაველის პროსპექტისაკენ წავიდა, რუსთაველის თეატრთან კინოთეატრ „სპარტაკთან“ გაისმა პისტოლეტის ხმა კანტი–კუნტად, მეავტომატეთა სროლაც ისმოდა, კავშირგაბმულობის სახლის კედელმა მიხსნა, თორემ ტყვია მეც მომხვდებოდა.

ავთანდილ მეტრეველი – სროლის ხმაზე ხალხი გარბოდა. ორმოცდაათიოდე კაცმა რუსთაველის მეტრომდე ვდიეთ მოწინააღმდეგეს, შემდეგ შემოვბრუნდით და რას ვხედავთ, პროსპექტზე ისინი ისევ მრავლად იყვნენ. თურმე, მათ თავი სადარბაზოებში შეეფარებინათ, სახლების სახურავებზე ასულიყვნენ, იმელის შენობაც ისევ დაეკავებინათ, გაცილებით ბევრნი იყვნენ და გვცემეს, მე ტანსაცმელი შემომახიეს, დაუზოგავად მირტყამდნენ, თავი ძლივს დავაღწიე. დაახლოებით სამი საათისათვის უკვე შეიარაღებულნი პირველი სკოლის ეზოში იკრიბებოდნენ, გაისმა ავტომატის ჯერი და ჩემს გვერდით მიწისქვეშა გასასვლელის დასაწყისში ახალგაზრდა კაცი წაიქცა, მეგონა ქვის ასაღებად დაიკუზა, რადგან ამ დროს იმათი მხრიდან ქვებს გვესროდნენ და ჩვენც მათ ვუბრუნებდით, მაგრამ რომ აღარ გაინძრა ვნახეთ იგი აღარ სუნთქავდა. მოკლული მრავალშვილიანი მამა, გვარად ედიშერაშვილი აღმოჩნდა

როცა მდგომარეობა დაიძაბა ჩვენ ცოტანი ვიყავით, ისინი კი საკმაოდ ბევრნი და კარგადაც შეიარაღებულნი. შტაბში მივედით და ვუთხარით მოწინააღმდეგის შესაშინებლად ჯავშანტრანსპორტიორები გამოვიყვანოთ–მეთქი, რასაკვირველია სროლას არავინ აპირებდა. ასეც მოხდა, ჭავჭავაძის ქუჩიდან ორი ჯავშანტრანსპორტიორი ჩამოვიდა მათ კიტოვანის გამოგზავნილი ეგონათ და გაუხარდათ მაგრამ მთავრობის სახლისაკენ რომ წამოვიდა, მიხვდნენ ვისიც იყო.

ვინ ესროლა „საქართველოს რესპუბლიკას“

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 1992 წლის 26 მაისს, როცა ყველაფერს საზეიმო ელფერი უნდა ჰქონოდა, ამას ვერ შენიშნავდით მოზეიმე ხალხის სახეებზე. ისინი გაღიზიანებულნი აიხედავდნენ ცაში მოგუგუნე თვითმფრინავების ხმაზე და სინანულით თავს გადააქნევდნენ,

ვის უნდა ეზეიმა და ვინ ზეიმობსო.

ხალხის დიდი ნაწილი ფილარმონიასთან შეიკრიბა და გადაწყვიტა მერაბ კოსტავას დაბადების დღეს, მთაწმინდის პანთეონისაკენ წასულიყვნენ. ფილარმონიიდან წამოსული ხალხი გამომცემლობა „სამშობლოსთან“ რომ მოვიდა, ატყდა სროლა, აჯირითდნენ მანქანები, შეიჭრნენ პირდაპირ ხალხში, აირია ყველაფერი, სროლისაგან ყურთასმენა აღარ იყო. ახალგაზრდა, სახეშეშლილი ბიჭები ესესელებივით დაერივნენ ხალხს, აბუჩად იგდებდნენ, თავში ურტყამდნენ, ლანძღვა-გინებით იკლებდნენ, რათა ჯეიმს ბეიკერს ამდენი გამსახურდიას მომხრეები არ დაენახა.

გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ მდგარი იაპონური მანქანიდან (№05–26 სერია ჩგგ) გადმოხტა სამოქალაქო ფორმიანი ახალგაზრდა კაცი და დაერია მშვიდობიან მომიტინგეებს. სწვდა ერთ-ერთ მოქალაქეს ცალი ხელით, მეორეთი სროლა ატეხა. ნასროლმა ტვყიამ შენობის მეოთხე სართულზე, სადაც მოთავსებული იყო გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, გახვრიტა ფანჯრის მინა, თავზე გადაუარა იქ მდგომ თანამშრომელ ქალებს და დაეცა კედლის ძირას!

საზეიმო საგაზეთო ნომრებზე სამორიგეოდ მოსული თანამშრომელი ტყვიას გადაურჩა, მაგრამ მინის ნამსხვრევებმა ფეხი დაუსისხლიანა.

ვინ ესროლა „საქართველოს რესპუბლიკა?!“

იზა ჯაჭვაძე

ჟურნალისტი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპოდენტი

ბატონი სერგი სერებრიაკოვი



რუსთველოლოგი, მრავალმხრივი ჰუმანიტარული მიმართულების მეცნიერი (დაბ. ბაქოში 1922 წ. 13 აგვისტოს, გარდ. 2006 წ. 9 დეკ. ემიგრაციაში (ფრაიზინგი, გერმანია), დიდი ქართველი და თავისდაუნებურად პოლიტკური მოღვაწე!

ალბათ ყველას გემახსოვრებათ ბატონი სერგი, სერებრიაკოვი, მაღალი, ქერა, წარმოსადეგი, მთასავით კაცი და მისი მგზნებარე გამოსვლა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული, კანონიერი ხელისუფლების დასაცავად. მაშინ, 1991 წელს,

ყოველი ასეთი განათლებული პიროვნება, მით უმეტეს, არაქართული გვარით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი თავისი ერთგულებით, რუსეთის მიერ საქართველოს მორიგი ოკუპაციის დაწყების წინ, ოქროდ ფასობდა, მამასისხლადო, ასეც შეიძლება ვთქვათ.

მე და ბატონი სერგი სერებრიაკოვი ჩვენი ოჯახებით მეზობელ კორპუსებში ვცხოვრობდით. მისი მეუღლე ნანა მათიკაშვილი, კახელი ქალბატონი და მე დავახლოვდით კიდეც. სიტუაციამ დაგვამეგობრა, მეტყოდა ხოლმე, შენ და ვიქტორ დომუხოვსკის ცოლი ძალიან ჰგავხართ ერთმანეთსო. იმ ქალბატონს, უზენაესი საბჭოს დეპუტატის ვიქტორ დომუხოვსკის მეუღლეს, ქალბატონ რუსუდან კიკალიშვილს, არ ვიცნობ, არ შევხვედრივარ, სამწუხაროდ, არასდროს...

ჯორჯ ორუელის ერთტომეული („1984“ и эссе разных лет“, М., 1989") რუსულად სწორედ სერებრიაკოვების ოჯახში ვნახე პირველად. წიგნი არ გამოვიდოდა ჰუმანიტარულ სფეროში ახალი, პირველად მათთან არ გაჩენილიყო; მათხოვეს და წავიკითხე კიდეც... ქალბატონ ნანას და ბატონ სერგის ორი ულამაზესი მცირეწლოვანი გოგონა ჰყავდათ, ცხადია, ქართულად ზრდიდნენ. ბატონი სერგის დაწერილი თუ რედაქტირებული იყო შევარდნაძის შვილის, პაატას, დისერტაცია. ერთხელ მინდოდა სიმართლე გამერკვია პირადად მათგან, მაგრამ კითხვა ვერ შევბედე. ზოგადად კი, ბატონი სერგის ბინა გამოძეძგილი იყო მავანთა და მავანთა უტვინო „ჩერნავიკებით“, ბატონ სერგის უწევდა ხოლმე მათ მაგივრად წერა. შემდეგ ქალბატონი ნანა ემუქრებოდა იმ „ჩერნავიკების“ შემოქმედთ, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლებს, გაღმა ნაპირზე დარჩენილთ და სამეცნიერო ხარისხებით მოყელყელავეთ, შევარდნაძის კლანის წევრებს, გამოგიქვეყნებთო... ვისხედით ერთად, მე და ქალბატონი ნანა, ვკითხულობდით ამ საცოდაობებს და გულს ვიჯერებდით სიცილით. გასართონი მაშინ სხვა არც არაფერი გვქონდა და ჯავრიან გულებს ვაყოლებდით. ალბათ, ერთგვარი შურისძიება იყო ჩვენგან... 1992 წელს ჯერ ბატონი სერგი წავიდა ემიგრაციაში. წასვლის წინ ამოვიდა იმ უშუქობაში ის დროული კაცი ჩემთან, მეცხრე სართულზე. მაშინ შუქზე იყო მიბმული ტელეფონებიც. სურდა, გურამ პეტრიაშვილის ზღაპრების წიგნი წაეღო და ეთარგმნა გერმანულად... როდესაც ქალბატონი ნანა მიდიოდა გერმანიაში, ვთხოვე, დაეტოვებინა ის "მარგალიტები", რაც სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა... ამდენი ხანი გავიდა, მეოთხედი საუკუნე და დღესაც კი ჟრუანტელსა მგვრის ბატონი სერგი სერებრიაკოვის სატელევიზიო მიმართვა ქართველი ხალხისადმი...

ბატონი სერგი იმსახურებს დიდ ქართველთა სათვალავში შესვლას

– რაჟდენ პირველმოწამის, ევსტათი მცხეთელის, ჰაბოსა და მსგავთა მათ დიდთა კაცთა გვერდით ხსენებას. ქართველ ხალხს საამაყოდ ექნება, რომ დაიმსახურა მპყრობელი ერის შვილისგან ერთგულება და თავგანწირვა. სამარადისოდ იყოს ხსენება მისი, ბატონი სერგი სერებრიაკოვისა, რომელიც ემიგრაციაში გარდაიცვალა და უცხო მიწაზე, გერმანიაში ჰპოვა ძვალთშესალაგი...

ქეთევან ჯერვალიძე

თვითმხილველი

1991 წლის 4 ოქტომბერი, პარასკევი, თენდება შაბათის 5 ოქტომბერი. ქალაქში სიტუაცია ძალიან დაიძაბა. რადიო და ტელევიზია ხალხს მთავრობის სახლთან მისვლისაკენ მოუწოდებდა, როგორც იქნა თავი დავაღწიე საოჯახო საქმეებს და 19 საათზე გავედი მთავრობის სახლთან. ხალხი მოგროვილიყო, მოედანი ავტობუსებით იყო შემორაგული, ოპოზიცია მთავრობის სახლთან მოსულიყო და გაცხარებული კამათობდნენ. უცბად ოპოზიციის მხრიდან ქვიშის და ფიცრების სროლა დაიწყო. ატყდა ავტომატების სროლაც. მთავრობის სახლის წინ იდგა ლურჯი რადიოს მანქანა. მთავრობის სახლთან მდგომი გვარდიელები ჰაერში ისროდნენ, თავდამსხმელები გაიფანტნენ. ავტომატის ჯერით დაცხრილული გამოიყვანეს პრეზიდენტის ერთგული დამცველი გია ტეტელაშვილი, იგი უიარაღო იყო. გამოჰყავდათ აგრეთვე დაჭრილ–დასახიჩრებული ხალხი. მეორე შეტევა იგივე მეთოდით განახორციელეს. მათ ავტობუსი დაძრეს ჩვენს საპირისპიროდ. მათ დასაშლელად მთავრობის სახლთან მდგარი სახანძრო მანქანა დაიძრა, მაგრამ მეხანძრეებმა წყლის ჭავლი ვერ მიუშვეს, წყლის მილი სამ ადგილას გადაჭრილი აღმოჩნდა.

მეგაფონიდან ისმოდა მთავრობის სახლთან მდგარი მამაკაცის ხმა – გონს მოდით, ჩვენ არ ვისვრით, შეწყვიტეთ სროლა! რეკდა ქაშუეთის ეკლესიიდან ზარი, გონებაარეული ოპოზიცია ენერგიულად მოიწევდა წინ. ხალხთან გამოვიდა პრეზიდენტი და მოგვმართა: – მეგობრებო, მეც თქვენთან ერთად ვარ, ცარიელი ხელებით დავუდგეთ წინ ჩვენს გონებაარეულ თანამოძმეებსო! ოპოზიციამ ოთხჯერ განახორციელა შეტევა მთავრობის სახლთან. დილით რვა საათზე გადაღლილი და განადგურებული სახლში დავბრუნდი.

20 დეკემბერს წავედი სოფელში გორის რაიონის სოფ. ერგნეთში მშობლებთან. გვარდიელები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობასთან

ერთად ქართულ მიწა–წყალს იცავდნენ, სოფლის მოსახლეობა მორიგეობით ვაჭმევდით საჭმელს (ეს ჩვენი სოფლისათვის არავის დაუვალებია, თავიანთი სურვილით აკეთებდნენ). იმ დღეებში ჩემს მშობლებს უწევდათ მორიგეობა და მეც მინდოდა პატივი მეცა გვარდიელებისათვის. 21–ში მოამბემ გადმოსცა, რომ ოპოზიციამ იერიში მიიტანა მთავრობის სახლზე. იმ ღამეს ცეცხლი არ შეუწყვეტიათ ოსებს. ისინი ლიახვის ნაპირიდან გვეძახდნენ: ქართველო, ღორებო, დახოცეთ ერთმანეთი! საქართველო ჩვენ დაგვრჩებაო! კვირას ჩამოვედი თბილისში და მაშინვე მთავრობის სახლისაკენ გავეშურე. იქაურობა ჩაბნელებული იყო. შეიარაღებულ ოპოზიციას დაეწვა პირველი საშუალო სკოლა. ცეცხლი ეკიდა მხატვრის სახლს. ირგვლივ სისხლის სუნი იდგა. მთავრობის სახლის ფანჯრებიდან გამოჰყავდათ მანდილოსნები. მე ერთ–ერთ მათგანს დავეხმარე გამოსვლაში. – „ეჰ, მე კი გამოვედი, მაგრამ შვილი მყავს იქ და რომ მომიკლან რაღა ვქნაო," – ამოიგმინა მანდილოსანმა. განადგურებული დავბრუნდი სახლში. ვგრძნობდი, რომ პატიოსანი ქართველი ადამიანის ცხოვრებას და სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. მეორე დღის რვა საათზე სამსახურში წასვლის მაგივრად თავისუფლების მოედანზე გავედი. ის მანდილოსანი მეტროს ვესტიბულში დავინახე. ის ვარაზი ვარაზაშვილის დედა ქალბატონი კლარა შედანია აღმოჩნდა. ხალხით ივსებოდა მეტრო, გარეთ ბრძოლა მიმდინარეობდა. სროლა ცოტა შენელდებოდა თუ არა, ეს ზღვა ხალხი მაშინვე დაიძრებოდა მთავრობის სახლისაკენ, მაგრამ ისევ წელში მოხრილები უკან ბრუნდებოდნენ. ვარაზის დედა ძალიან სწუხდა. ნეტავ როგორ არიან ისინი, ვარაზისათვის ერთი თვალი შემავლებიაო, იმისათვის გავზარდე შვილი, რომ ქართველმა მომიკლასო?

მე და ქალაბტონი კლარა თავისუფლების მოედნიდან, ცენტრალური კომიტეტის ავლით, წელში მოხრილები, ტყვიების ცეცხლში გავემართეთ ჩიტაძის ქუჩისაკენ, იქნებ როგორმე ხმა მიგვეწვდინა იქ მყოფი ადამიანებისათვის. ეს იყო ჯოჯოხეთური მონაკვეთი. აქ ამაზრზენი სურათი ვიხილეთ: ღამით სამხედროების ტანკი დასხმია მთავრობის სახლს და იყო დამწვარ–დაჭეჭყილი მანქანები, დაჩეხილი ხეები, სისხლის გუბეები. ერთი სამხედრო მიცვალებულის წასაყვანად მოვიდა სასწრაფო მანქანა. ოპოზიციონერებმა მას ცეცხლი გაუხსნეს. ის სამხედრო ჩელიაბინსკიდან ყოფილა არყის ბოთლით.; წინსვლა შეუძლებელი შეიქმნა, ჩვენ წვალებ-წვალებით უკან გამოვტრიალდით და კვლავ მეტროს შევაფარეთ თავი. მეტროში სროლით შემოვარდა ორი შეიარაღებული ახალგაზრდა და თან ხალხს დაუწყო ლანძღვა: აქ რას დგეხართ, თქვენიო. ხალხი ესკალატორს მიაწყდა (ძირითადად ქალები), რამოდენიმე მამაკაცმა განა-

იარაღეს ისინი (ავტომატი წაართვეს). რამოდენიმე წუთის შემდეგ ექვსი კბილებამდე შეიარაღებული კაცი შემოვარდა მეტროში, რომლებიც მოითხოვდნენ ჩამორთმეული იარაღის წაღებას და თან უშვერი სიტყვებით ილანძღებოდნენ. მათ მოჰკიდეს ერთ–ერთ მოქალაქეს ხელი და ტყვედ მიჰყავდათ ავტომატის სანაცვლოდ. მათ ავტომატები დაიბრუნეს.

გალინა ჩლაჩიძე

თვითმხილველი

7 იანვარს გამთენიისას, დაახლოებით 9 საათისათვის გავიარე დანგრეულ რუსთაველის გამზირზე. ბრძოლა დამთავრებული იყო. პროსპექტზე სასტუმრო „თბილისთან“ ეგდო ტანკი ხეზე შეჯახების შედეგად დაზიანებული. სამხატვრო გალერეასთან ეყენა ქვემეხი, ხოლო ყოფილ ოფიცერთა სახლთან ეგდო ორი დამწვარი ჯავშანტრანსპორტიორი. მთავრობის სახლის მხრიდან ტანკს ბუქსირზე მოჰყავდა ერთი ტანკი, რომელსაც ახდილი ჰქონდა ლუქები და გარკვევით დავინახე რუსი ტანკისტები, რომლებიც მართავდნენ როგორც ერთ, ისე მეორე ტანკს. ტანკებზე ზევიდან ისხდნენ ქართველი მეომარი ბიჭები კიტოვანის ან იოსელიანის ბანდიდან.

ლერი დონაძე

თვითმხილველი

მე, ჭელიძე ზურაბი ვცხოვრობ დიდუბეში სამხედრო ნაწილის მეზობლად, რომელიც განლაგებულია ელიავას ქუჩაზე (კავშირგაბმულობის პოლკი). 23 დეკემბერს, დაახლოებით ღამის 1–2 საათზე, გავიგონე მოტორების ხმა, რამაც გამაღვიძა. ფანჯრები გამოვაღე და დავინახე, რომ გარნიზონიდან გამოვიდნენ ჯავშანტრანსპორტიორები ან მსუბუქი ტანკები, რვა ცალი, ნომრები: №№ 001 – 0012, რომელნიც დააბრუნეს გარნიზონში დაახლოებით იმავე ღამის 4 საათზე.

ასევე განმეორდა 24, 26 და 28 დეკემბერს და 5 იანვარს. ჯავშანტრანსპორტიორები მიდიოდნენ მთავრობის სასახლის მიმართულებით და ბრუნდებოდნენ ნაწილში იმავე მხრიდან.

ზ. მჭედლიძე

თვითმხილველი

ზაზა ვაშალომიძე გიორგის ძე დაბ. 1971 წ. მცხ. თბილისი, გლინკას ქ. №1, უცოლშვილო, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი.

22 დეკემბერს დილით დამ დამირეკა, მთავრობის სახლის წინ სროლები არისო. დაახლოებით დილის რვა საათის შემდეგ გავედი. ჩავეწერე მოხალისეთა ჯგუფში. მთავრობის სასახლეში ვიყავი 6 იანვრამდე.

პრეზიდენტის მოწოდება იყო არ ყოფილიყო სროლები მთავრობის სახლიდან. მას უნდოდა მშვიდობით მოგვარებულიყო საქმე.

იყო ნგრევა, მსხვერპლი. უკან არ იხევდა შეიარაღებული ბანდა.

1992 წ. 5 იანვარს პრეზიდენტს ჰქონდა ჩვენთან შეხვედრა. მან თქვა: თუ არ გჯერათ ჩემი, თუ მიგაჩნივართ ერის მტრად, მაშინ ჩავბარდებიო მათ. ნებისმიერს შეგიძლიათ წახვიდეთ სახლშიო. ხალხი უკლებლივ დარჩა, პრეზიდენტიც არ გავუშვით.

მე თვითონ იარაღი არ მქონდა. ვიცავდი ხალხის ნებას. 6 იანვარს, ღამეს შუქები ჩაქრა. აინთო მბჟუტავი სინათლე. გამოგვიცხადეს რომ მივდივართ. მე ვიყავი პირველ ავტობუსში. ჩვენი ავტობუსი წინ წავიდა, მძღოლი მოკლეს. აგვიტეხეს სროლა მეტეხის ხიდთან. ყველა მხრიდან გვესროდნენ. მძღოლის ადგილას დაჯდა სხვა. ის ცდილობდა ჩვენს ხსნას, მაგრამ საბურავს ესროლეს, ხალხი დაიხოცა, ზოგი მძიმედ დაიჭრა. მე ინსტიქტურად ჩამოვედი, დამაყარეს ტყვიების სეტყვა. დავიჭერი მძიმედ და დავვარდი. როცა გონს მოვედი ჩვენი ბიჭები მპატრონობდნენ. ჩვენთან იყვნენ დეპუტატებიც. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როცა მე პირველ საავადმყოფოში მიმიყვანეს ოპერაციის გასაკეთებლად, ამ დროს რ. გვენცაძე საავადმყოფოში განსაკუთრებულ ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა, ზეიმობდა და პურ-მარილობდა.

1992 წ. 9 მაისი

თვითმხილველი

1991 წლის 29 დეკემბერს ვიმყოფებოდი პროფკავშირების კულტურის სასახლესთან პრეზიდენტის მხარდამჭერ მიტინგზე. მიტინგი 15–20 წუთის დაწყებული იქნებოდა, როდესაც მოულოდნელად ატყდა სროლა. მომიტინგეები მოულოდნელობისაგან დაიბნენ და სცადეს პროფკავშირების სასახლეში შეეფარებინათ თავი. მეც ვცადე მათთან ერთად შენობაში შევსულიყავი. ამ დროს ბარძაყის არეში ვიგრძენი საშინელი დარტყმა. იმ წუთას ვერ მივხვდი რა მოხდა. როდესაც დამრბევებმა სროლა შეწყვიტეს და შავი გაზ–24 გაიქცნენ, მაშინღა მივხვდი, რომ დაჭრილი ვიყავი. სასწრაფოდ წამიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც დამიმუშავეს და გამიკერეს ჭრილობა. ყველაფერი ეს დაფიქსირებულია ასევე საავადმყოფოში.

მ. ზამბახიძე

29 დეკემბერი მეტრო „დელისთან“

მიტინგი ტარდებოდა, რომ უცებ მაღაზია „სანტექნიკის“ მხრიდან მოვარდა შავი ვოლგა და დაიწყეს სროლა. მე ვიდექი პირდაპირ პროფკავშირების სახლის კიბეებზე, ვიღაცამ დაიყვირა ჩაჯექითო. ხალხი კი ჩაჯდა, მაგრამ სროლა გაგრძელდა. მერე უცებ დაძრეს მანქანა და გაიქცნენ. დაიწყო მანიფესტაცია ვაჟა -ფშაველას ქუჩით, შემდეგ მშვიდობის გამზირით და მოვუხვიეთ სპორტის სასახლესთან კოსტავას ქუჩაზე. რადგან პირდაპირ ტელესტუდიასთან ვერ ჩავედით (იქ ავტომანქანებით იყო გზა გადაკეტილი), მივედით სააკაძის ძეგლთან, ჩავედით სანაპიროზე. იქიდან უნდა ავსულიყავით თამარ მეფის ხიდზე. ხიდის ასასვლელში გაისმა სროლის ხმა. გზა გადაკეტეს როგორც ზემოთ, ისე ხიდის ქვეშ, სადაც ნიღბიანები ავტომატმომარჯვებულები იდგნენ. ნახევარ საათს ვიდექით – არ გაგვიშვეს. მოვბრუნდით და გადავედით ვახუშტის ხიდით მეტრო „წერეთელთან“. იქ გაიმართა ხანმოკლე მიტინგი. მიტინგის შემდეგ ხალხი მაინც შემორჩა ჯგუფ-ჯგუფად მოსაუბრე. უცებ გამოჩნდა მანქანები, საიდანაც დაიწყეს საშინელი სროლა. იძულებულნი გავხდით დავფანტულიყავით.

გ. ა

თვითმხილველის ნაამბობი

1992 წლის 27 დეკემბერს, უკვე მესამე დღე იყო, რაც მთავრობის მხარდამჭერ მიტინგს ვატარებდით. ვთხოვეთ უნივერსიტეტის რექტორს როინ მეტრეველს გამოსულიყო ხალხთან და თავისი პოზიცია გამოეთქვა; იგი ჩვენთან არ მოვიდა, გავგზავნეთ დელეგაცია შინაგან საქმეთა სამინისტროში, რათა გაგვეგო თუ რას აპირებდნენ. როცა პასუხი არ მოვიდა, ჩვენ თვითონ წავედით ორთაჭალაში. თითქმის 10 კილომეტრზე, ალბათ 200 ათასიანი კაცი, მთელი წინა მოედანი სამინისტროსი ხალხით იყო გადაჭედილი. სიტყვით გამოვიდა სოსო ჯაჯანიძე. მან თქვა, რომ პრეზიდენტს უკვე მილიციაც ღალატობს, განსაკუთრებით კი კვანტალიანიო. ხალხი ითხოვდა იარაღს, მოგვეცით, ჩვენ თვითონ დავიცავთ ჩვენს პრეზიდენტსო. თქვეს, რომ შენობაში არის თემურ ქორიძეო და ხაბულიანიო, მაგრამ არც ერთი ხალხთან არ გამოსულა.

28 დეკემბერს პრეზიდენტის მხარდამჭერნი წავედით გლდანში, მილიციის კურსანტებთან – ისინი იქ ჩაკეტილი ჰყავდათ და არ იცოდნენ რა ხდებოდა გარეთ. გამოვიდა ვიღაც დაბალი ჩინის ჩინოვნიკი, მან თქვა, რომ კვანტალიანი აქ არ არის და რომ კურსანტები ჩაებას ბრძოლაში,

ამისათვის საჭიროა პრეზიდენტის ბრძანებულებაო, რაც მათ მიართვეს მეორე დღესვე, მაგრამ ისინი მაინც არ ამოგვიდგნენ და არ დადგნენ კანონიერი მთავრობისა და ხალხის გვერდით.

ინჟინერი რ. პ. არაგვისპირელის ქ. №1

თვითმხილველი

ეს ვნახე 28 დეკემბრს 1991 წლის, დაახლოებით დილის რვა საათზე რუსთაველზე თავისუფლების მოედნიდან მანევრირებდა ორი ჯავშანტ-რანსპორტიორი, რომელთაგანაც ერთს მოხვდა მთავრობის სასახლიდან ნასროლი ნაღმი, რომელმაც მწყობრიდან გამოიყვანა ერთი ჯავშანტ-რანსპორტიორი. ამ მანქანის ლუქიდან ამოჰყო თავი რუსმა სამხედრო ოფიცერმა კაპიტნის ჩინით, ხოლო შემდეგ ტრანსპორტიორის მძღოლმაც. კაპიტანმა რომ დაინახა მძღოლს უყვირა: „ია ჟე სკაზალ ნე ვისოვივატ-სია“. მერე ბეტეერმა დაუშინა ცეცხლი მთავრობის სასახლეს. ერთხელ, მეორედ, მერე სამხედროებმა (რუსებმა) ლუქიდან ამოყვეს თავები და ერთმანეთს უთხრეს „ნუ ჩტო ხვატიტ? ნეტ ძელაემ ეშჩო ადინ ზაეზდო“. დაუშინეს კიდევ ერთხელ ტყვიები, შემობრუნდნენ და წავიდნენ. გზაზე დაუბეს ბუქსირი იმ გაფუჭებულ ბეტეერს და წაიყვანეს. ყველაფერი მოხდა 8 საათიდან ცხრის ნახევრამდე 28 დეკემბერს.

ჯ. გვიმრაძე

საინფორმაციო არხებს

ხონის 12-ე კოლონიაში, პოლიტპატიმრების, გივი იორამაშვილისა და სხვათა სანახავად ჩასულ, სრულიად საქართველოს ზვიად განმათავი-სუფლებლის პარტიის თავმჯდომარე ლეილა ცომაიას, საერთაშორისო ადამიანის უფლებების დაცვის წევრ ლალი ლომაძესა და ეთერ მგა-ლობლიშვილს, პატიმრების ნახვის უფლება არ მისცეს. ხოლო, ჩატანილი პროდუქტების პოლიტპატიმრებისათვის შეგზავნას კი, ლალი ლომაძემ, ლეილა ცომაიამ და ეთერ მგალობლიშვილმა, საპატიმროს წინ, მხოლოდ ორსაათიანი საპროტესტო პიკეტის გამართვის შედეგად მიაღწიეს. ისი-ნი, კოლონიის უფროსთან შეხვედრასაც ითხოვდნენ, რათა მათ, უშუა-ლოდ პირველი პირისაგან მიეღოთ პასუხი პოლიტპატიმრების ნახვაზე უარის თქმის მოტივის შესახებ. აგრეთვე, მისგანვე მიეღოთ ინფორმა-ცია პოლიტპატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. კოლო-ნიის უფროსმა (რომლის გვარი რეჟიმის თანამშრომლებმა არ გაამხილეს)

თავი აარიდა თბილისიდან ჩასულებთან შეხვედრას.

თვით საბჭოთა რეჟიმის კოლონიებშიც კი, არ იყო აკრძალული პოლიტპატიმრების ნახვა თუ მათთვის პროდუქტების შეგზავნა.

აღნიშნული ფაქტი ნათლად მეტყველებს ქვეყანაში გაბატონებულ შევარდნაძის პროვინციულ-დიქტატორულ რეჟიმზე.

1999 წლის 28 ივნისი,

ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის პრეს-ცენტრის ინფორმაცია

შეწყდეს ხონის კოლონიიდან გადმოყვანილი პოლიტპატიმრების წამება!

10 აგვისტოს, ხონის კოლონიიდან, თბილისის №1 იზოლატორში გადმოიყვანეს პოლიტპატიმრები: გივი იორამაშვილი, მურთაზ ჯალაღონია, გელა ნანაძე და ვალერი წყაროზია. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ხსენებულ პოლიტპატიმრებზე, საბჭოური რეჟიმის პრაქტიკით, აპირებენ 2-დან 3 წლამდე დამატებითი სასჯელების დადებას, ხონის კოლონიაში მათ მიერ გამოცხადებული პროტესტის გამო, რისთვისაც 1 იზოლატორში, მათზე ხორციელდება ფიზიკური ანგარიშსწორებები, რის შედეგადაც, პოლიტპატიმარ მურთაზ ჯალაღონიას ჯანმრთელობის მდგომარეობა უკვე მეტად შემაშფოთებელია.

სრულიად საქართველოს ზვიად განმათავისუფლებლის პარტია აცხადებს პროტესტს აღნიშნული ფაქტის გამო და კატეგორიულად მოითხოვს, შეწყდეს სასტიკი წამებები პოლიტპატიმრების მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვახდენთ ციხის №1 იზოლატორის პიკეტირებას!

1999 წლის 13 აგვისტო,

ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის თავმჯდომარე

ლეილა ცომაია

ქ რ ო ნ ი კ ა

ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდგომ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ერთგული ადამიანების მიმართ დაწყებულ დევნა-თვალთვალში ბარძიმაშვილების ოჯახიც მოყვა. ლალი ბარძიმაშვილი – ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთი ლიდერი, შევარდნაძისადმი მიმართული „ღია წერილის“ ავტორი კონსპირაციულ ბინაზე სალომე ნაკაიძემ და ჯული ხაჭაპურიძემ შეიფარეს. მის საცხოვრებელ სახლთან განუწყვეტლივ მორიგეობდნენ მე-7 განყოფილების მუშაკები, რაც მან ჟურნალისტ ირაკლი გოცირიძეს აცნობა. ამავე დროს, 1992 წ. 5 ოქტომბერს ერთ-ერთ ბინაზე შემთხვევით მისულ ზურაბ ბარძიმაშვილს (მამამისს) აპატიმრებენ. დაკავებისას მან გულში დანა ჩაირტყა, რადგან ავტოავარიის შედეგად – ხელსა და ფეხში რკინებჩამდგარს წამება ელოდა. ის გადაიყვანეს გულ-სისხლძარღვთა კლინიკაში („ლეჩკომბინატი“) და ექიმს – ტატიშვილს უთხრეს – თუ გადარჩება, გადარჩება, თუ არა, ეს კაცი ჩეჩენი დივერსანტია, აფხაზეთის ტერიტორიაზე დაკავებული და რაც იქნება, იქნებაო. ექიმმა უმძიმესი ოპერაციაც გაუკეთა და თავისი სისხლიც გადაუსხა და განძრევაც რომ არ შეიძლებოდა პაციენტის, ბადრაგებმა საჩქაროდ ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს,სადაც მან წამებაც გაიარა. ზურაბ ბარძიმაშვილის წამებას და დაკითხვებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა პროკურორი – ანზორ ბალუაშვილი. პოლიტპატიმარი ბარძიმაშვილი ციხეში ინახულა „ჰელსინკი ვოჩის“ წარმომადგენელმა – ერიკა დეილმა, რომელმაც პატიმრის სხეულზე წამების კვალი ამგვარი რეპლიკებით გაიოცა: „ფაშიზმ“, „უჟას“... ზურაბ ბარძიმაშვილს ციხის ჯალათებმა სასურველი ჩვენება ვერ გამოსძალეს და 9 წელი გაატარებინეს საგარეჯოს კოლონიის უმძიმეს პირობებში. ოჯახი საზღვარგარეთიდან უამრავ წერილს იღებდა, ჟურნალებს, გამოხმაურებას და ეს დღემდე ოჯახის არქივშია დაცული.



1993 წლის 5 ოქტომბერს, მუხიანის პოლიციის ადგილობრივი განყოფილება აპატიმრებს მარი გუგეშაშვილს (ლალის დედას, პოლიტპატიმრის მეუღლეს), გლდანის რ-ნის საკრებულოს დეპუტატს, განათლების განყოფილების გამგეს, რომელმაც ნებით დატოვა თანამდებობა. ის შვილთან -ლალი ბარძიმაშვილთან ერთად, „ჰელსინკის კავშირის“ წევრი იყო 1989 წ. ბოლოდან. იგი სკოლაში ისტორიის მასწავლებლად აგრძელებდა მუშაობას. დაპატიმრებული მარი გუგეშაშვილოს მიმართ, განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა პოლიციის უფროსი – გია გაგნიძე. მარი სამხედრო კომენდატურაში გადაიყვანეს მეორე დღეს და მოათავსეს ჟურნალისტ – ირაკლი გოცირიძესთან, დარეჯან ბიწაძესთან (პოლიტექნიკურის ლექტორი), ზაურ ქობალიასთან, მანანა ლაბაძესა და სხვებთან ერთად. შეუქმნეს დახვრეტის იმიტაციაც, კედელთან მწკრივში ჩააყენეს და ავტომატები შემართეს – ზვიადი სამეგრელოშია და თქვენს გვამებს დავახვედრებთო. მანამდე მათ მოასწრეს „მამაო ჩვენოს“ ლოცვა... მარი დაკითხვაზე გაიყვანეს, რომელსაც ესწრებოდა აგრესიით და სისასტიკით აღვსილი „ჟურნალისტი“ – ლულუ ჩხენკელი. იგი ითხოვდა, მარის კამერასთან დაეგმო ზვიადი, ხოლო ჩხრეკისას ბინებიდან წამოღებული ზვიად გამსახურდიას – „სულიერი მისია“ თავზე გადაახია. მარი არ ეპუებოდა და ზვიად გამსახურდიას იცავდა მშვიდი ტონით, რამაც უფრო გაამძვინვარა ეს ქალბატონი და სკოლიდან გამოძევებითაც დაემუქრა, რა უნდა ასწავლო ბავშვებსო. სკოლაშიც მიიჭრა რამდენიმე პირთან ერთად, კამერით, მაგრამ მოსწავლეებიცა და პედკოლექტივიც ღირსეულად დახვდნენ ლულუ ჩხენკელს, მის პროვოკაციულ შეკითხვებსაც საკადრისი პასუხი გასცეს და ხუნტის ჟურნალისტი სკოლიდან გააძევეს კიდეც.

სხვადასხვა სახის შევიწროება დიდხანს გრძელდებოდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მომხრე ამ ოჯახის მიმართაც.

ლატავრა ფოჩიანი – ექიმი, ცნობილი მოცეკვავე, ხელოვნებისა და კულტურის დამსახურებული მოღვაწე, საკუთარ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პატრიოტი, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გულმხურვალე მხარდამჭერი. ლატავრა ფოჩიანი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერ ყველა საპროტესტო მანიფესტაციებში. 1992 წლის 7 მარტის, ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების შემდგომ, ღამით, ვაკეში, მუხაძის ქუჩაზე მდებარე მისი სახლის სადარბაზოს კარი ხუნტის ავტომატიანმა პირებმა შეამტვრიეს. მოცეკვავემ ქალბატონმა მაშინ, რეპრესიების შიშით, დამალვა მოახერხა და შემდგომაც დიდხანს ემალებოდა ხუნტის ჯალათებს.

ლატავრა ფოჩიანის მანიფესტაციებში მონაწილეობის გამო, მისი ოჯახის მიმართ მიმდინარეობდა სატელეფონო ტერორი, მუქარა, დაშინება. ემუქრებოდნენ, რომ თუ კვლავ მიიღებდა მონაწილეობას ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მხარდამჭერ მიტინგებში, გადაუწვავდნენ სახლს და ა.შ.

იმავე ხანებში, რეპრესიების ქვეშ მოყვნენ საგარეჯოში მცხოვრები ლატავრა ფოჩიანის მამა და მისი ახლობლები, რასაც მისი ნათესავის, ნინა კვირიკაშვილის სიცოცხლე ემსხვერპლა.

კახაბერ (კახა) მიგინეიშვილი

– მსახიობი-რეჟისორი 1985 წლიდან 1991 წლის ჩათვლით. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი და თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ოსტატობის პედაგოგი. 1987 წლიდან ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, 9 აპრილის საპროტესტო აქციების მონაწილე და დაზარალებული. ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური კურსის მხარდასაჭერად აქტიურად გამოდიოდა თეატრში, მიტინგებზე თუ ტელევიზიით. 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს თეატრიდან, ხოლო თეატრალური ინსტიტუტი კი მსახიობმა და პედაგოგმა თავად დატოვა პროტესტის ნიშნად.

კახა მიგინეიშვილი იყო ხუნტის რეჟიმისადმი დაუმორჩილებლობის ყვე-

ლა აქციის, დარბეული და დახვრეტილი ყველა მიტინგის აქტიური მონაწილე, თანაორგანიზატორი და ორგანიზატორიც თბილისსა თუ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. ხუნტის რეპრესიები მრავალჯერ განიცადა მან და მისმა ოჯახის წევრებმა (დედა და ბიძა), რის შედეგადაც მრავალჯერ შეუვარდნენ სახლში, დაარბიეს, ფიზიკურად გაუსწორდნენ და დააკავეს კიდეც. ხუნტის მხრიდან მუდმივი დევნის გამო, კახა მიგინეიშვილი იძულებული გახდა დედასთან ერთად წასულიყო ზუგდიდში, სადაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას რეკომენდაციით სათავეში ჩაუდგა უმოქმედოდ მყოფ შალვა დადიანის სახელობის თეატრს. მოგვიანებით, პრეზიდენტის მხარდაჭერით დააფუძნა „საქართველოს ეროვნული თეატრი“, რომელიც რამდენიმე თვეში გახდა ხუნტის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდგომ თბილისში დაბრუნებულმა კახა მიგინეიშვილმა, აქტიურად გააგრძელა ბრძოლა უკანონობის წინააღმდეგ და მას შემდეგ ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას საქართველოს უახლესი ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ და ეროვნული კულტურის დასაცავად. ამ მიზნით, მის მიერ შეგროვილი დოკუმენტური მასალები გადაეცემოდა უცხოელებს საქართველოში შექმნილ რეალურ ვითარებაში გასარკვევად.

ხუნტის ხელისუფლებას არაერთგზის ჰქონია ნიჭიერი თეატრალის გადაბირებისა და მისი მატერიალური კუთხით დაინტერესების მცდელობები, მაგრამ იგი არასოდეს არანაირ კომპრომისზე არ წასულა არავისთან.

პრინციპულად არის უპარტიო.

მზია (მზისანა) ჟღენტი-მიგინეიშვილი, ხელოვნებათმცოდნე. 1987 წლიდან ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, 9 აპრილის აქტიური მონაწილე. როდესაც 1990 წლის 30 იანვარს შეიქმნა „ქეთევან წამებულის საზოგადოება“, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ საზოგადოების ფუნქციონირებაში. თუმცა, როგორც კი საზოგადოების თავმჯდომარე და საინიციატივო ჯგუფის თითქმის მთლიანი შემადგენლობა, ცილისწამებით და სიცრუით დაუპირისპირდა ზვიად გამსახურდიას, მზია ჟღენტმა

სიცრუეში ამხილა თავმჯდომარე და მისი დამქაშები (ლუიზა შაკიაშვილი, იზოლდა ჭილაძე...) და პროტესტის ნიშნად დატოვა საზოგადოება. მალე, საზოგადოება დატოვა ამ ორგანიზაციის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მას დაუჭირეს მხარი, რამაც ამ საზოგადოების დაშლა გამოიწვია. სწორედ „ქეთევან წამებულის საზოგადოებიდან“ გამოყოფილი უმრავლესობა გახდა პირველი, ვინაც ოფიციალურად დაუჭირა მხარი ზვიად გამსახურდიას ახალშექმნილ „მრგვალ მაგიდას“ და მის კონცეფციას.

მზია ჟღენტი, 1990 წლის ივნისიდან, ზვიად გამსახურდიას პირადი რეკომენდაციით გახდა „ილია მართლის საზოგადოების“ წევრი და ამავე საზოგადოების ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი, საიდანაც ზვიად გამსახურდიას უშუალო დავალებით მიიღო მონაწილეობა ორი გახმაურებული საქმის წარმოების პროცესში.

მზია ჟღენტი, 28 ოქტომბრისა და საპრეზიდენტო არჩევნებშიც იყო ზვიად გამსახურდიას ნდობით აღჭურვილი პირი. იგი, 1991 წლის 31 მარტის საკრებულოს არჩევნებზე, პრეზიდენტის რეკომენდაციით დასახელდა ქ. თბილისის კრწანისის რაიონის დეპუტატობის კანდიდატად. საკრებულოს დეპუტატის მანდატით კი იგი იწყებს მოღვაწეობას „მრგვალი მაგიდის“ მიერ დასახული გეგმების რეალიზაციის მიმართულებით. სამხედრო გადატრიალების შემდეგ მან, შვილთან და ძმასთან (ბესიკ ჟღენტთან) ერთად, აქტიურად გააგრძელა ბრძოლა ხუნტის უზურპატორული ხელისუფლების წინააღმდეგ. 1993 წლის 14 აპრილის მიტინგის დარბევის დროს გადაიტანა „კლინიკური სიკვდილი“ და მიიღო ტვინის შერყევა. ყველა მიტინგის დროს მას და მის შვილს კახა მიგინეიშვილს არბევდნენ და აკავებდნენ ხუნტის ბანდები. მათზე გახორციელებული პერმანენტული რეპრესიები არაერთხელ მომხვდარა „საერთაშორისო ამნისტიისა“ და სხვა უფლებადაცვითი ორგანიზაციის მოხსენებებში.

მზია ჟღენტი, თბილისში მუდმივი დევნის გამო, 1993 წლის 26 მაისიდან, შვილთან ერთად მიდის დასავლეთ საქართველოში და ერთად ეწევიან პოლიტიკურ ბრძოლას ხუნტის რეჟიმის წინააღმდეგ. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდგომ, ეროვნული ხელისუფლების იდეალების ერთგულებით, კვლავაც აგრძელებს ბრძოლას საქართველოში უკანონობის, რელიგიური სიწმიდისა და უახლესი ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ.

მადონა თევზაძე – საქართველოს კინომატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ხმის რეჟისორი. მას სამოცზე მეტი ფილმი ჰქონდა გახმოვანებული. 1981 წელს სოხუმში რესპუბლიკის კინოფესტივალზე მიღებული ჰქონდა

მთავარი პრიზი “საუკეთესო ხმის რეჟისურისთვის”. ასევე, 2005 წელსაც მინიჭებული ჰქონდა მთავარი პრიზი ფილმისთვის “მონეტა”.

მადონა თევზაძე გახლდათ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის აქტიური მხარდამჭერი და ყველა მიტინგების მონაწილე. მან გროზნოშიც კი მოინახულა თავისი სათაყვანებელი დევნილი პრეზიდენტი. ხოლო, როდესაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დევნილობიდან საქართველოში დაბრუნდა, ხუნტის რეჟიმმა, ათობით ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერ ინტელიგენციასთან ერთად, იგიც დააპატიმრა და რამდენიმე კვირა აწამეს სამხედრო კომენდატურაში.

ალექსანდრე სანდუხაძე


ალ. სანდუხაძე

ქუთაისის ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მრგვალი მაგიდის ინდივიდუალური წევრი. იგი, 1992-1999 წლებში განიცდიდა პერმანენტულ რეპრესიებს ხუნტის ხელისუფლების მხრიდან, მას ავტომატებით უვარდებოდნენ ოჯახში, რასაც ემსხვერპლა მისი დედა. ალექსანდრეს აკავებდნენ პოლიციაში და დროებით იზოლატორში, მასზე დაწესებული იყო თვალთვალი. საბოლოოდ იგი, იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი საყვარელი სამშობლო და ემიგრაციაში გადახვეწილიყო.

შმაგი (მორის) სამნიაშვილი



გორის თეატრის მსახიობი, გორის წმ.ილია მართლის საზოგადოების დამაარსებელი და თავმჯდომარე, შიდა ქართლში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. 1990 წლის 7 იანვარს, გამთენიისას, იგი ვერაგულად და ღალატით იქნა მოკლული სამაჩაბლოში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ძალების მიერ 26 წლის ასაკში (უცოლო). ზვიად გამსახურდიას პა-

ტრონაჟით, გმირი თანამებრძოლი, დაკრძალულ იქნა გორის ერთ-ერთ სკვერში და სკვერს ეწოდა შმაგი სამნიაშვილის სახელი.

თამაზ მამაგეიშვილი

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. გლდანის რაიონის საკრებულოს დეპუტატი „მრგვალი მაგიდიდან“. ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდგომ, მუხრან მაჭავარიანისა და ვახტანგ ბოჭორიშვილის მიერ შექმნილი „კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების“ გამგეობის წევრი. ხუნტის მსხვერპლთა „რეპრესირებულთა კავშირის“ დამაარსებელი და თავმჯდომარე, რომელიც აქტიურად იღვწოდა რეპრესირებულების სტატუსისათვის პარლამენტის დონეზე, რათა მიეღწია რეპრესირებულთა სოციალური უზრუნველყოფისათვის. თავადაც დევნილი და შევიწროვებული ხუნტის რეჟიმის მიერ. მრავალგზის ნაგვემს, სიცოცხლის ბოლომდე, ხელში ეპყრა დამოუკიდებელი ეროვნული მთავრობის სახელმწიფო დროშა. მისი სასიცოცხლო რესურსი, 2015 წლის მაისში, საბოლოოდ შეინირა ეროვნული იდეალებისათვის ბრძოლამ.

გურამ დანელია

ეროვნული მოძრაობის ჰერეოიკული ფიგურა და აქტიური მოღვაწე 1998 წლიდან. წმ. ილია მართლის საზოგადოების და ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის პოლიტსაბჭოს წევრი. იგი ყოველთვის, შევარდნაძის პოლიციურ-დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ გამართული, საპროტესტო მიტინგების ეპიცენტრში იდგა. არაერთხელ იყო ნაცემი მიტინგებზე და პოლიციის დროებით იზოლატორში დაკავებული. როგორც აქტიურ მომხრეს ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლებისა, მას არაერთხელ დაესხნენ ქუჩაში სამოქალაქო ფორმა-

ში გადაცმული უშიშროების თანამშრომლები და შეურყიეს ჯანმრთელობა, რამაც, მოგვიანებით იმსხვერპლა მისი სიცოცხლე.

ანგელინა (ალფა) ფირცხალავა

9 აპრილის „ბართლომეს ღამეს“ მოწამლული. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერი და ყველა დახვრეტილი მიტინგების მონაწილე. „მხედრიონელების“ მიერ დაყაჩაღებული. იგი, დედით ციმბირელი ფინელი იყო, მაგრამ სუფთა სისხლით ქართველზე უფრო, გულმხურვალე ქართველი, თავის სამშობლო საქართველოს დიდი პატრიოტი და მოამაგე. მოწამეობრივად დაილეწა მისი სიცოცხლე უსამართლობასთან და რეჟიმებთან მუდმივ ბრძოლაში .

ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა პროკურატურაში სარჩელი შეიტანეს

2015 წლის 2 თებერვალს, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა (კ. გამსახურდიამ, ირ. შონიამ, ლ. ცომაიამ. ა. მიქაუტაძემ, დ. ბრეგვაძემ, ლ. კობრავამ, ზ. მეზვრიშვილმა, თ. ლომიშვილმა და სხ.) რესპუბლიკის პოროკურატურაში შეიტანეს სარჩელი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობისა და 90-იან წლებში, შევარდნაძის ხუნტისტური ხროვის მიერ მშვიდობიანი მანიფესტაციების დახვრეტის გამოძიების მოთხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ მათ არავითარი იმედი არ გააჩნიათ, რომ ხუნტისმემკვიდრე ივანიშვილის ხელისუფლება გამოიძიებს ამ ისტორიულ დანაშაულს, აქტივისტებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ, რომ ყოველ ხელისუფლებას უყენებდნენ ამგვარ სამართლებრივ მოთხოვნებს. გარდა აუცილებლობისა, რომ არ მოხდეს წყვეტა ამ მოთხოვნების წაყენებაში, საზოგადოებას მარადის უნდა ახსენებდნენ, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების, იმპერიალისტური რუსეთის მიერ დამხობის, შავ-ბნელ ისტორიას.

წიგნის ავტორისაგან:

თვითმხილველების ჩანაწერებს ჩვენ ექსტრემალურ, ხუნტის რეჟიმის მძვინვარების პირობებში ვაგროვებდით, რის გამოც ზოგიერთი თვითმხილველი თავს იკავებდა საკუთარი ვინაობის სრულად დასახელებისაგან, ოჯახის წევრებზე მოსალოდნელი რეპრესიების შიშით.

დიდ მადლობას ვუხდით ეროვნული მოძრაობის იმ გაბედულ წარმომადგენლებს, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, ხუნტის მძვინვარების პერიოდში, დადიოდნენ რეპრესირებულ ოჯახებში და საავადმყოფოებში გარდაცვლილ-დაპატიმრებულთა ზუსტი აღრიცხვიანობისათვის: **ლალი ლომაძეს, რუსუდან პატარაიას, თამარ დადიანს, გალინა ჩლაჩიძეს, ია მუხრანელს, ჟანა რეხვიაშვილს, ციცი გაბესკირიას (ქალბატონ ციცის, მადლობას ვუხდით, აგრეთვე წიგნის ანოტაციის ინგლისურად თარგმნისათვის), ეთერ მგალობლიშვილს, კლარა შედანიას, ნინო კეკელიას, გრიალა ესაკიას (აბაშა), დოდო-ბულიავა-მაქაცარიას (სენაკი), მადონა მაქაცარიას თავისი ჯგუფით (ზუგდიდი), თამაზ ფიფიას (წალენჯიხა)და სხვ.**

ამასთანავე, ბოდიშს ვიხდით იმ პიროვნებების (რეპრესირებული ოჯახების) წინაშე, ვინც ვერ მოხვდნენ ჩვენს წიგნში, ინფორმაციებზე წვდომის არქონის გამო.

დიდება, სამშობლოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ-შეწირულ თითოეულ ქართველს, მადლობა და ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა მათ ოჯახებს!

გაუმარჯოს, საამაყო ქართველი გმირების სისხლითა და თავგანწირვით მოპოვებულ დამოუკიდებელ საქართველოს!

1991-93 წლებში დახოცილი ხალხის არასრული სია

1. აბაშვილი მაყვალა
2. აბრამიშვილი ნუგზარი
3. ავდალიანი ლოვა
4. აზატოვა ნინა
5. აკობია გია
6. აკოლაშვილი გარინი
7. ალანია გიორგი
8. ალასანია ჯამბული
9. ალექსანდრია მალხაზი
10. ამირეჯიბი ვახტანგი
11. ამირეჯიბი ირაკლი
12. ანჯაფარიძე ვახტანგი
13. არაბიძე მამუკა
14. არახამია თენგიზი
15. არსენიძე კახაბერი
16. ასათიანი ქიშვარდი
17. ასლამაზიშვილი მარინა
18. აქუბარდია ლადო
19. ბაგათელია იოსები
20. ბაიდაშვილი სერგო
21. ბარსეგოვი რაფაელი
22. ბარამიძე ზვიადი
23. ბასილაძე კახაბერი
24. ბაღდავაძე მამუკა
25. ბაღიშვილი გურამი
26. ბაღიშვილი ედემი
27. ბახია-სიგუა მარიამი
28. ბენდელიანი ზურაბი
29. ბენდელიანი რობერტი
30. ბენდელიანი ზაზა
31. ბერაია ემზარი
32. ბერიაშვილი ბერდია
33. ბიჭიაშვილი ლაშა
34. ბოლქვაძე დავითი
35. ბოხუა გენადი
36. ბჟალავა მერაბი
37. ბჟინავა გენადი
38. ბროძელი რევაზი
39. ბუკია ფრიდონი
40. ბულია დემური
41. გაბედავა პავლე
42. გაბროშვილი გოგი
43. გამზარდია თამარ
44. გასვიანი ზაზა
45. გეგელია სოსო
46. გელაშვილი გელა
47. გელაშვილი მერაბი
48. გელიაშვილი იოსები
49. გერაძე მარიამი
50. გვაჯაია ნაირი
51. გვაჯაია მურმანი
52. გვათუა ბეჟანი
53. გიორგობიანი გოჩა
54. გიორგობიანი ზურაბი
55. გობრონიძე ალექსი
56. გოგია გოდერძი
57. გოგიბედაშვილი კობა
58. გოგოლაძე ანზორი
59. გოგუა თემური
60. გოგუა კობა
61. გოლეთიანი ჯემალი
62. გოქსაძე ვახტანგი
63. გოშთელიანი თემური
64. გოცირიძე გიორგი
65. გოცირიძე თამაზი
66. გრიგალავა შალვა
67. გულბანი გრიშა
68. გულია თენგიზი (კიროკი)
69. გურელიშვილი გიორგი
70. დაგარგულია ედემი

71. დავლათიანი იური
72. დავრაშვილი ალექსანდრე
73. დარასელია ემა
74. დარსანია როინი
75. დიდებაშვილი ზურაბი
76. დოიჯაშვილი ლევანი
77. დოლიძე გურამ
78. დოჩია გურამი
79. ეგნატაშვილი ვახტანგი
80. ედიბერიძე მერაბი
81. ელიავა ავთანდილი
82. ელიავა აკაკი
83. ესართია ლადო
84. ესებუა გელა
85. ესებუა გია
86. ვანიშვილი მალხაზი
87. ვარაზიშვილი ვარაზი
88. ვაწაძე თემურ
89. ვაწაძე კახა
90. ვეკუა ბეჟანი
91. ზარქუა ზაური
92. ზარქუა მურთაზი
93. ზუმბურიძე ნანა
94. თაქთაქიშვილი ლევანი
95. თოდუა ვალერი
96. თოდუა პაპუნა
97. თოდუა კოტე
98. თოლორდავა ხვიჩა
99. თორდია ვახტანგი
100. თორდია ნიკოლოზი
101. თორდია-ნთელავა ნათელა
102. იანქოშვილი ზაზა
103. იაშვილი ვლადიმერი
104. იმნაძე თამარი
105. ინჯია სლავა
106. ინასარიძე სერგო
107. ინაური იოსები
108. ისაკაძე გაბრიელი
109. ობიძე-დანგაძე ქეთევანი
110. იოსელიანი ალექსანდრე
111. კაკულია თამაზი
112. კალანდია სერგო
113. კალაძე ვახტანგი
114. კანდელაკი ზურაბი
115. კანდელაკი თენგიზი
116. კაპანაძე კონსტანტინე
117. კარაპეტიანი გიორგი
118. კარეგიშვილი ლალი
119. კარტოზია ჯემალი
120. კაჭარავა ნუგზარი
121. კაჭარავა ხვიჩა
122. კეზუა ვახტანგი (ჯენერი)
123. კეზუა თენგიზი
124. კვარაცხელია ენვერი
125. კვარაცხელია ალექსანდრე
126. კვარაცხელია ავთანდილი
127. კვარაცხელია მერაბი
128. კვარაცხელია გულადი
129. კვარაცხელია გელა (შვარცი)
130. კვაშალი ანატოლი
131. კვიკვინია ზურაბი
132. კვინიკაძე ნუგზარი
133. კვირიკაშვილი ნინა
134. კვირკველია მათე
135. კვირკვია ბათუ
136. კვირტია ხვიჩა
137. კვირტია გურამი
138. კიკაჩეიშვილი რატი
139. კინწურაშვილი სიმონი (გია)
140. კობახიძე გურამი
141. კორკელია რომანი
142. კოროშინაძე ვარლამი
143. კორძაია ლერი
144. კურდღელია კონსტანტინე

145. კუტალია თენგიზი
146. ლაგვილავა ანატოლი
147. ლაზარიშვილი გიორგი
148. ლემონჯავა როინი
149. ლემონჯავა სოსო
150. ლენჯარია სოსო
151. ლიპარტელიანი გერონტი
152. ლოგუა თენგიზი
153. ლომთაძე ემზარი
154. ლომია გოჩა
155. ლოლაძე დავითი
156. მაისურაძე ლალი
157. მამედაშვილი ოთარი
158. მამისაშვილი რომანი
159. მანდარია ხვიჩა
160. მასხარაშვილი რაული
161. მგალობლიშვილი ბეჟანი
162. მესხია თეიმურაზი
163. მინაიშვილი მიხეილი
164. მირგატია ვიტალი
165. მიქავა კახა
166. მიქავა მურთაზი
167. მიქაძე ვაჟა
168. მიქენაია კუკური
169. მიქიაშვილი რევაზი
170. მიშველაძე არჩილი (აჩიკო)
171. მოდებაძე ზურაბი
172. მჭედლიშვილი ბაადური
173. მჭედლიშვილი მერაბი
174. მჭედლიშვილი გურამი
175. ნანიკაშვილი ვალერი
176. ნასარიძე ზაზა
177. ნაყოფია გია
178. ნეფარიძე ავთანდილი
179. ნიკოლაიშვილი იაშა
180. ნიკოლეიშვილი მამუკა
181. ნიჟარაძე გურგენი
182. ნოდია ვახტანგი
183. ოდიშარია კუსო
184. ონიანი ბაჩუკი
185. პაპიაშვილი ნოდარი
186. პაჭკორია კახაბერი
187. პერტახია ზაზა
188. პერტია აველინა
189. ჟვანია ირაკლი
190. რამიშვილი არჩილი
191. რატია რობერტი
192. რატიანი კონსტანტინე
193. რეხვიაშვილი გივი (გივიკო)
194. რობაქიძე გიორგი
195. როგავა ზაური
196. როგავა ფრიდონი
197. როგავა რამაზი
198. სალია გონელი
199. სალუქვაძე ოთარი
200. სამუშია გიზო
201. სანაია გიორგი
202. სარია სულხანი
203. საჯაია ბაჩუკი
204. სახოკია როლანდი
205. სესქურია რეზო
206. სვანიძე როსტომი
207. სიდამონიძე ნიკოლოზი
208. სოსელია თემური
209. სოსელია ჯამბული
210. სოტკილავა ზურაბი
211. სტურუა რევაზი
212. სულთანიშვილი აკაკი
213. სულხანიშვილი პაატ
214. ტაბიძე თამაზი
215. ტაბიძე კონსტანტინე
216. ტალახაძე იური
217. ტალიკაძე გული
218. ტატუაშვილი ალექსანდრე

219. ტერიშვილი მამუკა
220. ტეტელაშვილი გია
221. ტვილდიანი რევაზი
222. ტუფურია თამაზი
223. ტყემალაძე ფრიდონი
224. ფესტიანიძე დავითი
225. ფირცხელავა ჯონი
226. ფირცხალავა გურგენი
227. ფიფია გურამი
228. ფიცხელაური ბესარიონი
229. ფოლადიშვილი მიხეილი
230. ფუტკარაძე-ფირცხალავა ნინო
231. ქადარია აკაკი
232. ქანთარია ვახტანგი
233. ქარდავა მერაბი
234. ქარდავა მამუკა
235. ქევხიშვილი ციცინო
236. ქვარიანი ბადრი
237. ქინქლაძე ზაური
238. ქირთბაია ვანო
239. ქოჩუა ჯემალი
240. ღვინიაშვილი მალხაზი
241. ღვინიაშვილი ნუგზარი
242. ღვინჯილია რენო
243. ღვინჯილია გულადი
244. ღურწკაია კოჭოია
245. ყაველაშვილი ბადრი
246. ყავლაშვილი ვალერიანი
247. ყარაულაშვილი კუკური
248. ყაჯრიშვილი დავითი
249. ყურაშვილი შოთა
250. ყურაშვილი მერაბი
251. ყურუა კახა
252. შაიშმელაშვილი სანდრო
253. ალიკაშვილი გიორგი
254. შამათავა თემური
255. შამათავა ჯემალი
256. შანავა ნუგზარი
257. შანავა რევაზი
258. შარაშენიძე პაატა
259. შარაძე ლაშა
260. შედანია გიორგი
261. შენგელია ანზორი
262. შენგელია ბიჭიკო
263. შენგელია ონერი
264. შიუკაშვილი თორნივე
265. შიშინაშვილი შაქრო
266. შონია ენუქი
267. შონია ონისე
268. შონია ავთანდილი
269. შონია ზურაბი (პუშკინა)
270. შურღაია სოსო
271. შჩიპოვნიკოვი ანატოლი
272. ჩაკაბერია კონსტანტინე
273. ჩანგელია რამინი
274. ცაავა ხვიჩა
275. ცარციძე რომეო
276. ცერაძე ტრისტანი
277. ციმინტია კობა
278. ცხადაია მამუკა
279. ძვაბავა ნიაზი
280. ძვაბავა ნუგზარი
281. ძიძარია გუგუ
282. წიკლაური რევაზი
283. წიფურია ედიშერი
284. წიქვაძე ვეფხია
285. წურწუმია ზვიადი
286. ჭანტურია რუსუდანი
287. ჭანტურია გია
288. ჭანტურია ალექსანდრე
289. ჭანტურიძე იმედი
290. ჭანტურიძე ფირუზი
291. ჭითანავა ბესიკი

292. ჭკადუა ელვარდი
293. ჭკადუა ომარი
294. ხაზალია უსუპი
295. ხალვაში ბორისი
296. ხარჩილავა მალხაზი
297. ხატიაშვილი გიზო
298. ხელაშვილი დავითი
299. ხერკელიძე ტარიელი
300. ხიდაშელი დოდო
301. ხორავა გურამი
302. ხუბუტია კახა
303. ხუნწარია გოჩა
304. ხურცილავა მალხაზი
305. ხურცილავა ჯუმბერი
306. ხურცილავა როლანდი
307. ხუციშვილი ბადრი
308. ხუციშვილი გელა
309. ხუხია მერაბი
310. ჯავახიშვილი ზურაბი
311. ჯაიანი ზაზა
312. ჯალაღონია ავთანდილი
313. ჯალაღონია რადიონი
314. ჯალაღონია ჯემალი
315. ჯანაშია-შელია მიმოზა
316. ჯანაშია დავითი
317. ჯგერენაია ჯემალი
318. ჯიქია გოჩა
319. ჯიშკარიანი ეროდი
320. ჯოჯუა ვახტანგი
321. ჯღარკავა თამაზი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. ავალიშვილი „საქართველოს დამოუკიდებლობა - 1918-1921 წლების“. ტბილისი - 1929 წ. - ყარსი.

2. ჟურნალი „გუშაგი“ №17, 1988 წლის ოქტომბერი – გია ჭანტურიას პროგრამა „საქართველო ქართველებისთვის“.

3. ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი „ისტორიული რარიტეტები“. თბილისი - 1989. - ყარსი.

4. “საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921“, გვ.177-178.

5. გაზეთი ‘‘მადლი’’ 1990 წელი. №16

6. გაზეთი ‘‘კომუნისტი ’’, 1990 წლის 4 იანვარი. – 9 თვის პაატა ნიკორიშვილის აკვანში ჩაცხრილვა.

7. გაზეთი „თბილისი“, 215(11527) , 22 ნოემბერი, 1991 წელი - ლ. ცომაიას სტატია.

8. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 14 დეკემბერი,1991 წელი, №135-137 (11768-11770). – აკ. ასათიანის „მკურნალობასთან“ დაკავშირებით.

9. გაზეთი „თბილისი“, 5 მარტი, სამშაბათი, 1991 წ. №42(14359) – ჩეჩენთა დელეგაციის დეპეშა ზ. გამსახურდიასადმი 17 მარტის რეფერენდუმზე და ოსეთზე... „საქინფორმი“.

10. https://www.kvirispalitra.ge/politic/42068-ra-upasukha-shevardnadzem-qthvithmfrina-vis-bitcebisq-saqmeze-dasmul-umtsvaves-kithkhvebs-eqsprezidentis-dakithkhvis-aqam-de-gasaidumloebuli-oqmi.html – კვირის პალიტრა. „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმეზე ე. შევარდნაძის დაკითხვა ვიქტორ დომუხოვსკის მიერ. რუსუდან კიკალიშვილის ინტერვიუ.

11. საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადება სიგუა, ასათიანი, ხოშტარიას შეთქმულებაზე. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“№171-172192), 3 სექტემბერი, 1991 წ.

12. გაზეთი „გრუზია–სპექტრი” 23–29, სექტემბერი 1991 წელი. – ირ. წერეთელი დაუმორჩილებლობაზე და შევარდნაძის ჩამოყვანაზე.

13. ჯაბა იოსელიანის ბიოგრაფია – ვიკიპედია.

14. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ №190(210), 1 ოქტომბერი, 1991 წელი, გვ.1 – ამერიკელი ბიზნესმენების ჩამოსვლა.

15. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ №190(210), 1 ოქტომბერი, 1991 წელი, გვ.1 – პრეზიდენტის ბრძანებულება შეიარაღებული ოპოზიციის გარანტიების შესახებ. ინტელიგენციის(სარგის ცაიშვილი, ანა კალანდაძე, თამაზ გამყრელიძე) მიმართვები ოპოზიციისადმი.

16. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ №190(210), 1 ოქტომბერი, 1991 წელი, გვ. 3 – ზვიადის ე.წ. „დასახვრეტთა შავი სიის დოკუმენტზე“ ექსპერტის დასკვნა.

17. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ №190(210), 1 ოქტომბერი, 1991 წელი, გვ. 3 – გამსახურდიასა და ლანდსბერგისის სიკვდილით დასჯის მოთხოვნა.

18. გელა ჩორგოლაშვილის წიგნი „სინანულის გადასახედი“, გვ. 15 – თელასზე თავდასხმის შესახებ.

19. ჟურნალი „ოგონიოკ”, დეკემბერი, 1991 წელი №52. – ირ. წერეთელი: „ზვიადი უნდა გადადგეს!“

20. გაზ. “ლიტერატურული საქართველო“, 6 დეკემბერი, 1991 წ. – ოპოზიციონერი მწერლების მიმართვა საერთაშორისო პენ-კლუბს.

21. გაზ. „ცისარტყელა“, №1,2. 1991 წ. სექტემბერი, ნოემბერი – ბერდია ბერიაშვილის მამხილებელი სტატიები ჯანსუღ ჩარკვიანზე.

22. გაზეთი „დრონი“ 2 (67), 18 იანვარი, 1992 წელი - ლ. ცომაიას მისალოცი ხუნტას.

23. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 131(410), 17 ივლისი, 1992 წელი - პენკლუბის, გიორგი კერვალიშვილის, ვალტერ შურღაიას განცხადებები - გვ. 2.

24. გაზ. „ქართული აზრი“, 1992 წ. 16 თებერვალი – დახვრეტები.

25. წიგნი „რა ხდებოდა თბილისში 22 . XII. 91- 6. I. 92” (რედაქტორი აპოლონ სილაგაძე).

26. http://ka.wikipedia.org/wiki/ საქართველოს_დემოკრატიული_რესპუბლიკა(დამოუკიდებლობის გამოცხადება).

27. https://imedinews.ge/ge/saqartvelo/51894/khuti-qali-romelmats-saqartvelos-damoukidebloblis-aqts-kheli-mo

28. atsera – საქ. დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი ქალბატონები (1918 წ).

29. გაზეთი “Республика Армения” № 9 (299) 16.I.1992 გვ. 1 “Делегация Грузии в Армении” .

30. გაზეთი "Республика Армения" №10 (300). 17.01. 1992. სომხ. რესპუბ. უმაღლესი საბჭოს გაზეთი. სომხ.პრესა – საქ.ინფორმი. - „ქართველი ინტელიგენციის მიმართვა სომეხი ინტელიგენციისადმი".

31. ჟურნალი „ცისკარი", 1992 წლის №9-10, ჯანსუღ ჩარკვიანის ინტერვიუ.

32. გაზეთი „ლანჩხუთის მოამბე", 1992 წ. 27 მარტი, №16 – ვაჟა ადამიას გამოსვლა ლანჩხუთელებთან.

33. 1992 *წ. მაისი. წყარო*: http://www.experti.ge/kartuli40.htm – ჯანსუღ ჩარკვიანი.

34. "ნეზავისიმაია გაზეტა", 17 იანვარი,1992 წელი. №10(181) – ტორეზ კულუმბეგოვი .

35. გაზეთი „7 დღე" №3(40), 23 – 29 იანვარი, 1992 წელი – ეროვნული კონგრესის მე-17 სესიის რეზოლუცია.

36. ჯაბა იოსელიანის წიგნი „სამი განზომილება", გვ. 226, 232, 252, 286, 302, 331,346-347, 382. – აფხაზეთის ომში ყარყარაშვილზე.

37. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 13 მარტის დადგენილება.

38. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას 1992 წ. 12 ივნისის მიმართვა.

39. გაზ."აღდგომა", №10, 10 ივლისი, 1992 წ. -პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას მიმართვა „ტრადიცონალური კავშირისადმი" (1992 წლის 21 ივნისი).

40. გაზ. „ქართული აზრი", 6 აგვისტო, 1992 წელი, №27, ზვიად გამსაურდიას მიმართვა ელცინს წალენჯიხაზე.

41. გაზ. „ქართული აზრი", 8 აგვისტო, №28, 1992 წელი. ზვიადის განცხადება წალენჯიხაზე.

42. გაზეთი „შანსი", 14-21 მაისი, 1993 წელი, ჯანსუღ ჩარკვიანის წერილი „ლოცვანი გამსახურდიას მონისა და მორჩილისა და აფხაზეთის დეპუტატისა როსტომ შამუგიასი".

43. http://for.ge/view.php?cat=3&for_id=10745 -**ლოთი ქობალიაზე**

44. ასლან აბაშიძეზე ვიდეო მხედრიონის იარაღით მომარაგებაზე: https://www.facebook.com/alexandregauqmebulia.giorgishvili

45. გაზ. "სარანგი", 3 მარტი,1994. ნოდარ კობერიძის წერილი "სამოქალაქო ომი _ აპოკალიფსი საქართველოსთვის".

46. თეიმურაზ მიბჩუანი – „აფხაზური სეპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე", თბილისი 1994.

47. გურამ შარაძის წიგნი "ზვიად გამსახურდას სიკვდილი და დასაფლავება"(გამომცემლობა "სახალხო წიგნი", თბილისი, 1995,). წერილები ამავე

თემაზე გაზეთში “განმათავისუფლებელი” №13, №26, №28, №29, №30.

48 გაზეთი “სპექტრი”,1995 წელი, №15, გვ. 10. თენგიზ სიგუას ინტერვიუ აფხაზეთის ჩაბარების შესახებ.

49. 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტზე და გია ჭანტურიას მკვლელობაზეც – https://www.kvirispalitra.ge/versia/10445-qsaukunis-procesiq.html

50. Газ. „Соершенно Секретно“ , 1996, №12. შევარდნაძის ინტერვიუ ასლანის, ჯაბასა და კიტოვანის მასთან მოსკოვში ჩასვლაზე...

51. გაზეთი „ლაშარის გორი“ 11, 17 – 24 მაისი, 1996 წელი - კოლხური კოშკის გადაწვა.

52. გაზ. „ახალი თაობა“, ოთხშაბათი, 1 მაისი, 1996 წ. – ასლანი – სააგენტო „იბერია“.

53. გაზ. „ალია“, 2-3 მაისი, 1996 წ. სააგენტო „იბერიის“ პასუხი ასლან აბაშიძეს.

54. გაზ. „დრონი“ №33, 3-7 მაისი, 1996 წ. ასლანი – სააგენტო „იბერია“.

55. გაზეთი „საქართველო“ , 14-21 მაისი, 1996 წელი, გვ. 7 – ნოდარ ნათაძის და სხვათა „მონანიება“.

56. გაზ. „საქართველო“, 8-11 ნოემბერი, 1996 წ. გვ. 2 – სააგენტო „იბერიას“ ინფორმაცია იოსელიანზე.

57. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ №42, 21 ივნისი, 1997 წელი – წითელი ინტელიგენცია შოთა კვირაიას დასაცავად.

58. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ №75, 28 მარტი, 1998 წელი, ავთანდილ იოსელიანის ინტერვიუ გოჩა ესებუას მკლელობის გეგმაზე.

59. გაზ. “ახალი თაობა”, 10-13 აპრილი, 1999. მღვდელ ვახტანგ მარგიანის ინტერვიუ.

60. გაზ.: “ალია”, 5 აპრილი,1999 წ.

61. გაზ. „იბერია-სპექტრი“, 9 – 15. 06. 1999 წ.

62. ჯაბა იოსელიანი “სამი განზომილება“ გვ. 361-362 – გია ჭანტურიაზე და დავით მაღრაძეზე.

63. “ახალი თაობა”, 11 აპრილი, 2000. სამეგრელოს გამოყოფის მცდელობა.

64. გაზ. „ალია“, 29 თებერვალი 1 მარტი, 2000 წელი – აჭარის კონსტიტუცია.

65. გაზ. „აჭარა“, 1 ივლისი, 2000 წ. №159-160 – აჭარის კონსტიტუცია.

66. გაზ.”ახალი ვერსია”, 16-23 ივლისი, 2001. ვახტანგ (ლოთი) ქობალიას ინტერვიუ შარტავაზე და მათი გვარდიის განადგურების გეგმაზე.

67. გაზ. „ახალი ერა“, 27 მარტი, 2001 წ. „ისტორია შეკვეთილ მკვლელობებზე“

(ასლანი).

68. წიგნი „მე ვადანაშაულებ – 1991-2001“ – სამხედრო გადატრიალების მსხვერპლზე

69. გაზ. „თუთარჩელა“, 22 იანვარი – 2 თებერვალი, გვ. 8, 2002 წ.

70. გაზ. „წალენჯიხის ზარები“, 2002 წლის 6 ივლისი – „ცოდვის კალო სამეგრელოში“, თამაზ ფიფია, გვ. 3-4. 1992 წლის წალენჯიხის ტრაგიკული ამბები.

71. http:// www. radiotavisupleba. ge/content/ article/1525796. html , http://www. civil. ge/geo/article. php?id=2412)- ბადრი ზარანდიას შესახებ.

72. გაზეთი „ჯორჯიან თაიმსი“, 07-14.02. 2002 წ. (ასლან აბაშიძის დანიშვნაზე).

73. გაზეთი „ბორჯი“ გვ. 10, ოქტომბერი, 2003 წელი. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „მიმართვა აჭარის მოსახლეობისადმი“, 1992 წლის 17 მარტი – ასლანზე.

74. სახ. სატელევიზიო ინტერვიუ იური ციკოლიასთან, 1994 წ. 24 ივნისი,ედუარდ შევარდნაძე სამეგრელოს ეგზეკუციასთან დაკავშირებით.

75. გაზეთი „ალია“ №66, 10-13 ნოემბერი, 1995 წელი, 5 ნოემბრის არჩევნები და ირაკლი გოცირიძის პროტესტი.

76. გაზეთ “საქართველოს”,21-28 მაისი, 1996. მამუკა არეშიძის ინტერვიუ.

77. გაზ, „საქართველო“ , 14-21 მაისი, 1996 წ. ნოდარ ნათაძის მონანიება.

78. გაზ. “საქართველო”, 28-31 ოქტომბერი,1996. მწერალთა კავშირში მერაბ ელიოზიშვილის გამოსვლის სტენოგრამა.

79. გაზ. “საქართველო”, 28-31 ოქტომბერი,1996, მერაბ ელიოზიშვილი 2 სექტემბერზე.

80. გაზ. „აღდგომა“, 1996 წლის დეკემბერი – გ.ჭანტურიას, ჯ.ჩარკვიანისა და „მხედრიონელების“ შესახებ სამეგრელოსა და აფხაზეთში.

81. გაზეთი „საქართველო”, №66(1504), 9-12 დეკემბერი, 1996 წელი – ლოთი ქობალიას ღალატისა და ბეზღების ოქმი.

82. ქიშვარდ ისაკაძის წიგნი „ჩემი შვილი გაბრიელი“, თბილისი, 1997 წელი.

83. გაზეთი “ლაშარის გორი”, 1997, 20-26 მარტი. – ნემო ბურჭულაძე კიტოვანის ბრალდების პასუხად გვარდიის „დაშლასთან“ დაკავშირებით.

84. გაზეთი “ლაშარის გორი”, 1997, 20-26 მარტი. გელა ლანჩავას ინტერვიუ.

85. გაზეთი „დრო“ №40,(86) 1997, გვ. 6-7. რეზო მიშველაძის ინტერვიუ მწერლების იარაღით ბრძოლაზე ზვიადის წინააღმდეგ.

86. კონსტანტინე ზ. გამსახურდია , წიგნი “დინების საწინააღმდეგოდ”, თბილისი, 1997 წელი.

87. გაზ. „ლაშარის გორი“ №15, 1997 წელი – ზვიადის საფლავის მემორიალის დამსხრევის შესახებ.

88. გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 1997 წ. პუბლიკაციები.

89. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 36(2736),პარასკევი, 13 თებერვალი, 1998 წელი - შევარდნაძის ირიბი მინიშნება ზვიადის მკვლელობის აუცილებლობის შესახებ...

90. გაზეთი „ალია“ №75(451), 1998 წელი, 26-27 აპრილი (*ასლანზე, შურღაიაზე, ლოთი*).

91. ჯემალ გამახარია , წიგნი “საქართველოს დევნილი ხელისუფლება და აფხაზეთის ომი”. თბილისი, 1998.

92. გაზ. „ახალი საქართველო“, 19-25 მარტი, 1998 წელი, გვ.15. – ვახტანგ რაზმაძის წერილი ელდარ შენგელაიაზე.

93. გაზეთი “იზვესტია”, 1999, 27 ოქტომბერი.

94. გაზ. “სარანგი”, 3 მარტი,1999.

95. გაზ. “ახალი თაობა”, 10-13 აპრილი, 1999წ..

96. გაზ.: “ალია”, 5 აპრილი,1999 წ.

97. გაზ. “საქართველო”,1999წ. №15(1716). ნოდარ ნათაძის სტატია 2 სექტემბერზე “რაც ვიცი”.

98. გაზ.”იზვესტია”, 1999, 27 ოქტომბერი, გვ.1. ევგენი კრუტიკოვის სტატია.

99. ჯაბა იოსელიანი პატრიარქზე იხ. ჯაბა იოსელიანი, “სამი განზომილება”, თბილისი, 1999, გვ. 26,85,86, 119,120,141.

100. ჯაბა იოსელიანი „სამი განზომილება“, თბილისი, 1999. გვ. 76,129, 130,132 – ასლანის შეთქმულებაზე.

101. გაზ. „შანსი“, 10, 2000 წ.

102. „ახალი თაობა“, 11 აპრილი, 2000 წ.

103. გაზეთი „ახალი ერა“. 31 მარტი, 2000, №4, „როგორ იყიდება საქართველოს ტერიტორიები“, ავტ. გუბაზ მეგრელიძე.

104. გაზეთი „ახალი ერა“ №47, 2000 წ. გვ. 5, ირაკლი ბათიაშვილის ინტერვიუ.

105. წიგნი „მე ვადანაშაულებ – 1991 – 2001“.

106. გაზეთი „ახალი თაობა“, 1 – 7 აპრილი, №89(1940) , 2001 წელი, გვ. 3 – ვახტანგ რაზმაძეზე...

107. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №157(3898), 29 ივნისი, 2001 წელი, გვ. 1, 3. – მწერლების მიმართვა გენპროკურორ გია მეფარიშვილს.

108. „მართალი გაზეთი”, №18(103), 30.05,2002. – მასხულიას წერილი.

109. ასმათ ტყაბლაძე მეღვინეთუხუცესზე – საიტი: http://droni.ge/?m=1&AID=518&fb_action_ids=153979001411530&fb_action_types=og.likes&fb_source=other_multiline&a

110. ვიდეო-ინტერვიუ მოსკოვის აგვისტოს პუტჩზე https://www.youtube.com/watch?v=VDiPOHfJHhM&feature=share

111. გაზ. „ახალი ერა” №47(223), №48(224), 2002, – ზაზა შენგელიას კორუმ-პირებლობის შესახებ ლია ისიანი-ბოლქვაძე.

112. გაზ. „ახალი თაობა“, 2002.08.18. ლევან შარაშენიძის ინტერვიუ ზაზა ბაკაშვილთან:“გამსახურდია მე დავამხე“. http://www.opentext.org.ge/index.php?m=4&y=2002&art=670

113. მიხეილ მჭედლიშვილი, წიგნი „საქართველო ბოროტების იმპერიის 500-წლოვან მარწუხებში“, თბილისი – 2004. გვ. 384-87 (ავტონომიების შესახებ).

114. ჟურნალი „სარკე“, 24-30 მარტი, 2004 წელი – გოდერძი ჩოხელის ინტერვიუ.

115. გაზ. „ასავალ-დასავალი’’, №48(587), გვ. 17-18. 2005 წლის 28 ნოემბერი- 4 დეკემბერი. – მანანა არჩვაძის ხელშეკრულება .

116. ბიმურზა აფრასიძე, „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა“ 1992 წლის 30 ივლისის ხელშეკრულების გაუქმებაზე, თბილისი,2005 წლის 21 ოქტომბერი.

117. „საერთო გაზეთი“ №39 27–11–2010, ნოდარ კობერიძის სტატია „სინდრომი – ნონა გაფრინდაშვილი“ .

118. ზვიადის მთაწმინდიდან ამოთხრის მცდელობა მანანა მიერ. 2010 წლის 17 თებერვალი -https://www.youtube.com/watch?v=K2pijTHmIh

119. ბესარიონ გუგუშვილის სატელევიზიო ინტერვიუ მადლენ მაჭარაშვილთან 9-04-2010; 16:45 – ზვიადის თვითმკვლელობაზე.

120. ინტერნეტ გაზეთი “Droni.ge”, “ბალტინის ნაამბობი შევარდნაძეზე, ანუ როგორ გადარჩა ფოთი რუსებისათვის ჩუქებას”, ლაშა ბერულავა, 28.06.2011.

121. „ასავალ-დასავალი”, 2011 წ. 14-20 თებერვალი, № 7(854), გვ. 8-9, სანდრო ბრეგაძის სტატია შალუაშვილზე.

122. ***სიმონ კილაძე*** „ყარსის ხელშეკრულება – 90 წლის წინ დაშვებული შეცდომა“, 13-10-2011.

123. გაზ. „განმათავისუფლებელი“№32, 2012 წ. – ჯაბას პანთეონიდან ამოთხრის მცდელობა.

124. უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე http://geworld.net http://saqinform.ge/news/3433/anzor+maisuraZe%3A+gardamtex+periodshi+suki+yvelafers+akontrolebda.html

125. გაზეთი „განმათავისუფლებელი“ №38, 2013 წ. ნუგზარ მგალობლიშვილის სტატია „ნუთუ დღესაც ამას მტკიცება სჭირდება?!“ -აფხაზეთის ე.წ. „აპარტეიდულ“ კანონზე.

126. წიგნი „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე“, კონსტანტინე ზ. გამსახურსდია, 2013 – ზვიადის უკანასკნელი სამარშრუტო გზა.

127. გაზ. „განმათავისუფლებელი“ №34, 2013 წლის თებერვალი, გვ. 8 – მანანა არჩვაძის სოც.უზრუნველყოფის შესახებ ბრძანებულება.

128. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის „ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და

129. ინტერვიუები“, თბილისი, 2013 წ. ტ. 2, ზვიად გამსახურდია. გაზ. „განმათავისუფლებელი“ №40, 2014 წ.

130. ზვიადის საპრეზიდენტო პროგრამა ევრო-ატლანტიკური კურსისაკენ.

131. https://www.youtube.com/watch?v=w№№VWESutVg&feature=share – ირინა სარიშვილის მოწოდება ზვიადის მკვლელობისკენ...

132. https://www.facebook.com/irina.sarishvili.98/posts/600142933490928 – **ირინა სარიშვილის მონანიება ზვიადზე** http://news.ge/ge/news/story/196793-ase-arasdros-minerviulia-rogots-am-tserilis-tserisas

133. გაზეთი „განმათავისუფლებელი“ №40, 2014 წელი, გვ. 7 – ნუგზარ მგალობლიშვილი რეფერენდუმის დანიშვნის თარიღზე.

134. პრეზიდენტ მედვედევის ბრალდება ზვიად გამსახურდიაზე „საქართველო ქართველებისთვის“ გამო 2015 წლის აგვისტოში – https://old.civil.ge/geo/article.php?id=19296

135. *ჰამლეტ ჭიპაშვილი „ყარსის ხელშეკრულების ნიუანსები“*, 18/12/2015 – http://isari.ge/KARS_17_12_15.php#ixzz5AHqMZOfC

136. http://www.newposts.ge, – რეზო ამაშუკელის მამხილებელი ინფორმაცია ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას წინააღმდეგ, **2017.08.15**

137. https://www.youtube.com/watch?v=r-BH9oaExgc (პირველი ნაწილი),https://www.youtube.com/watch?v=1WFu7VWrdBk (მეორე ნაწილი) – ცოტნე და კონსტანტინე გამსახურდიების პრესკონფერენცია. პირველი ნაწილის მე-14 წუთზე, ცოტნე გამსახურდია, ზვიადის მკვლელ-მდევართა ჯგუფში ასახელებს

ბადრი ზარანდიას ჯგუფსაც.

138. გაზ. „განმათავისუფლებელი“ , №51, 2016 წ. გვ. 9 – ერეკლე საღლიანის მონანიება ზვიადთან დაკავშირებით.

139. ვიკიპედია – ალექსანდრე ბატონიშვილი.

140. გაზეთი „ალია“, №48, 4-10 დეკემბერი, 2017 წ. – მთვარისა კერესელიძის ინტერვიუ ჯანსუღ ჩარკვიანზე, გვ. 5, 6.

141. http://alia.ge/news/11770 – დოდონა კიზირიას მოგონება გოგი ხოშტარიაზე, 02 აპრ . 2018 02:13

142. pktv.ge/index.php?action=full_news8iid=5851 – ბადრი ზარანდიაზე

წიგნში გამოყენებულია ფოტოები წიგნის ავტორის პირადი არქივიდან, ეროვნული ბიბლიოთეკის არქივიდან, ინტერნეტ-საიტებიდან, სოციალური ქსელიდან, გუგლიდან და ფეისბუქ-მეგობრების გვერდებიდან.

სარჩევი

რედაქტორისაგან 3

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა 9

ისტორიული სიმართლე ზვიად გამსახურდიას მიერ ოსების ე. წ. „გენოციდის“ შესახებ 21

გია ჭანტურია და 2 სექტემბრის მიტინგის პოლიტიკური ანატომია 61

ზურაბ წერეთლის ფენომენი, წითელი ინტელიგენციის რუტინა 79

ტელევიზიის ჟურნალისტების გაფიცვა 82

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობის მიზეზები, გადატრიალების სამზადისი და პირველი გასროლა 93

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 111

აფხაზეთის ავანტიურისტული ომი და შევარდნაძის მიერ აფხაზეთის ჩაბარება 118

ასლანი 141

ყარსის ხელშეკრულების ძალმოსილების საკითხი 157

ყარსის ხელშეკრულების „საიდუმლო“ 162

„სამოქალაქო ომად“ შერაცხული ინტერვენცია 164

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა 201

საფლავშიც წამებული... 243

ნოდარ წულეისკირის ავი წინათგრძნობა ზვიადის მკვლელობაზე 246

ვისი ზეგავლენით თქვა უარი კათოლიკოს–პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძრის ეზოში პრეზიდენტ გამსახურდიას დაკრძალვაზე 249

ინტერვიუები პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაკრძალვის ადგილთან დაკავშირებით ტელეკომპანიებზე: „რუსთავი -2“, „იმედი“, 2007 წლის 6 მარტი 252

რა საშინელი დანაშაულის გამჟღავნების ეშინიათ მანანა არჩევაძესა და ბესარიონ გუგუშვილს? 255

პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატები – 1991-1992 წ.წ. 260

საშობაო ეპისტოლე 268

პუტჩისტების გამონათქვამები 273

რუსი დისიდენტების გამონათქვამები გამსახურდიაზე 276

უახლესი ისტორია 280

რუსეთის მეხუთე კოლონის პოლიტ-ლიდერები და მათი ჭანჭიკები: 283

ხუნტა 285

ხუნტის პარლამენტარები (1992-1995 წ.წ.) 292

სამხედრო გადატრიალების შედეგად შექმნილი თ. სიგუას მთავრობის პოლიტიკური „საკონსულტაციო საბჭოს“ სია 296

დიდუბის პანთეონიდან ჯაბა იოსელიანის ამოთხრის მცდელობა 297

კვლავ ყალბისმქნელების შესახებ 300

წიგნის ავტორისაგან 301

პუბლიცისტიკა 303
ნეოსტალინელები.....304
სიძულვილიდან სიყვარულამდე.....310
მძულვებელნი 315
ზიზღი შევარდნაძის საქართველოს, ანუ ეს ჩემი საქართველო არ არის!.....320
ზვიად გამსახურდია ეროვნული მოძრაობის ჩრდილოვანი მხარეა?! 325
კვლავ ვიქტორ რცხილაძის ქვებუდნობისა გამო.....383
ხუნტის პროკურორი, ანუ რატომ მოკლეს ზვიად გამსახურდია 390
ზვიად გამსახურდიას ყბადაღებული მონანიების შესახებ.....403
ყურადღება, მესამე მოდის... 406
კვლავ, ზვიად გამსახურდიას „მონანიების“ შესახებ.....409
კვლავ ზვიად გამსახურდიას ყბადაღებულ „მონანიებაზე“ 417
მძინარე მოწმე.....425
ამ სიმართლით ვივლი! 437
ქვაბავაზაკთთა დილემა 446
ვინ წარმოადგენდა რუსეთის იმპერიულ ძალებს და მის აგენტურას
საქართველოში 90-იან წლებში.....448
ლექსები „ქრისტეშობა“ და „ქვაბავაზაკი“ ზვიად გამსახურდიას
არ ეკუთვნის! 449
კვლავ ზვიად გამსახურდიას კუთვნილებად მიჩნეულ ლექსების გამო.....458
„ღირსების სასამართლოს“ ვიდეო – ზვიადის მონინააღმდეგეთა
უღირსობის დემონსტრირება 461
„გიკვირს?! – ნუ გიკვირს!“ 473
მაღალი პენსიები შადიმანებსა და ბერბიჭაშვილებს?!.....476
კვლავ, უზენაესი საბჭოს დეპუტატებისთვის, პენსიის გაზრდასთან
დაკავშირებით! 478
მე და ვალერია ნოვოდვორსკაია.....481
ხმაური და პასუხგაუცემელი კითხვები ბესარიონ გუგუშვილის წიგნის
პრეზენტაციაზე 485
შენი სურათი.....489
ინგუში მწერლის ისა კოძოევის წერილი.....492
„არ გათეთრდების ყორანი...“ 499
ბესარიონ გუგუშვილი თვითლუსტრირებას განაგრძობს! 505
მურმან ლებანიძეს 507
ბადრი ზარანდიას მკვლელობის „ზვიადისტობასთან“ დაკავშირების გამო.....518
ბატონო ბესარიონ, შეთქმულებასა და მკვლელების მფარველობაში
გადანაშაულებთ!.....521
ბესარიონ გუგუშვილი სიცრუის ტირაჟირებას განაგრძობს! 525
არჩევნების სას(ტ)აულები!... 530
ლატავრა ფოჩიანი, სამშობლოზე მჭვუნვარე მოცეკვავე.....532
ლეილა ცომაიასა და გოჩა გვასალიას პოლემიკა facebook-ზე.....534
როგორ გააუქმეს კოლაბორაციონალისტმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა
და შალვა ნათელაშვილმა უზენაესი საბჭო.....538
შევარდნაძე გარდაიცვალა 542

დიდთა აფთარი ცოლები 547
ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის საგანგებო განცხადება 554
ქრონიკა სოციალური ქსელიდან 556
ეკლესიის პრობლემები.....562
ვრჩები მიუმხრობელი და შეურიგებელი.....567
რა დამსახურებისათვის დააჯილდოვეს მოსკოვში ზაზა დავითაია?!.....569
ეკლესიის მამები მრევლს 9 აპრილის მიტინგზე წასვლას უკრძალავენ....573
პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელით მოქმედი რენეგატები ... .577
ბიძინა ივანიშვილმა, საქართველო, საკუთარ ბიზნეს-ობიექტად დაიგულა...580
რატომ მოაფარა თვალს სახელოვან მამულიშვილთა მარმარილოს
დაფები პირველი კლასიკური გიმნაზიის ახალმა დირექტორმა?! 585
„კოლხურ კოშკზე“ ვანდალიზმი ხორციელდება!.....588
დროა, კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, კოლხური კოშკიდან
მთაწმინდაზე გადავასვენოთ! 596
კახა კუკავას ოინები.....601
აღადგენენ თუ არა მერაბის მემორიალს ბორითთან?.....604
რუსეთუმეთა პოლიტიკური სტრიპტიზი 606
ვაი, რამდენი ორჯონიკიძეები და მახარაძეები გვყოლია!.....609
ვახტანგ(ლოთი) ქობალიას ბეზღებისა და ღალატის ოქმი.....614
მართლა დაარბიეს თუ არა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საფლავი? 620
მელიასეული სიზმრებ-მოლანდებების ექო.....624
მზიანი მეუფე, რომელიც მოკლეს.....628
მძინარე მოწმე მღვიძარეზე უფრო პირმტკიცე! 634
პოსტები FACEBOOK-იდან, ვახტანგ ბეგიაშვილი და სხვა 636
ნაკვესი.....640
პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიაზე ფილმის გადაღების გამო... 642
კიდევ ერთხელ მხატვრულ ფილმ „ხიბულას“ გამო... 646
პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შეკვეთა.....649
პრემიერი, რომელსაც სძულდა ზვიად გამსახურდია, უერთგულებდა?!....654
რატომ ეწინააღმდეგება ბესარიონ გუგუშვილი პრეზიდენტ ზვიად
გამსახურდიას მკვლელობის ვერსიას? 660
შეხედეთ ამ უგვან მონტაჟს და უმალ მიხვდებით, ვინ მჭმუნვარეა,
ვინ მეოცნებე! 663
გაზეთ „НАРОДНАЯ ПРАВДА“-ში გამოქვეყნებულ პრეზიდენტ
ზვიად გამსახურდიას ინტერვიუს გამო 666
წითელი დისიდენტები 675
ჯანსუღ ჩარკვიანი დადანაშაულებულია შეკვეთილ მკვლელობაში.....678
27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ვირჩევთ... ჩუჩელას! 685
სატრანსპორტო მაგისტრალები – რუსეთის ახალი სტრატეგია
საქართველოს სრული ოკუპაციისათვის? 693

ხუნტის რეპრესიები.....701-920

გამოყენებული ლიტერატურა: 921-929

ზვიადი, ლეონა ცოტნია,
მეორე კონსტავა, 1987 წ.

"ქართული ერის გზა არის ძოწაძეობრივი გზა, გზა ქრისტესი,
გზა ეკლის გვირგვინისა, ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა"

ზ. ვარაზი